კარლო ინასარიძე



INDEPENDENT GEORGIA

# პატარა „ოქროს ხანა"

## საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

1918-1921

რადიოდოკუმენტაცია

მიუნხენი 1984 წელი

INDEPENDENT GEORGIA

"ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნეს". ილია ჭავჭავაძე

"ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა".
"მესამე დასის" პროგრამა

რამსეი მაკდონალდი, ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერი და ინგლისის პრემიერმინისტრი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, რომელმაც იმოგზაურა დამოუკიდებელ საქართველოში 1920 წელს, სხვათა შორის, წერდა:

"თუ ერთა თავისუფლება ცარიელი სიტყვა არ არის, თუ რომელიმე ერს ეკუთვნის თავისუფლება, ეს არის ქართველი ერი, რომელმაც დაუმტკიცა მთელ კაცობრიობას თავისი მაღალი კულტუროსნობა და პოლიტიკური სიმწიფე.

მე გავეცანი მის კონსტიტუციას, მის სოციალურ და ეკონომიკურ აღმშენებლობას, და რაც მე იქ ვნახე, ვისურვებდი ასე მოწყობილი მენახოს ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში". (გაზეთი "ნეიშენ", 16.10.1920 წ.).

"ისტორია ყველას ღვაწლია, საერთოდ მთელის ერის ნამოქმედარია და იგი მამა-პაპა, რომელსაც თავისი სახელი ისტორიაში ასე თუ ისე მოუქცევია, ყველას მამა-პაპაა საერთოდ და განუყოფლად, იმიტომ რომ საისტორიო კაცი ხორცია ხორცისაგან მთელის ერისა და ძვალი ძვლისაგან. ამიტომაც ისტორიაში მომქმედ მამა-პაპის ავად ხსენება თვისის მამა-პაპის ავად ხსენებაც არის და ამას გლეხი, ვით შვილი ერთისა და იმავე ქვეყნისა, ერთისა და იმავე ერისა, თავის დღეში არ იკადრებს, თუ სანდადსავით ღმერთ-გამწყრალი და თავში დაკრული არ იქნება." ი.ჭავჭავაძე

# შინაარსი


წინასიტყვა.............................................1

"შესავალი".............................................4


## თავი პირველი

## საქართველოს დამოუკიდებლობის

## ისევ-აღდგენის წინა-პერიოდი


ერისა და პიროვნების თავისუფლება........................6

"ივერია" და "კვალი"....................................9

სხვაობა რუსეთისა და საქართველოს სოციალდემოკრატიაში....11

1905 წლის რევოლუცია...................................13

მენშევიზმი-ბოლშევიზმი.................................16

"პირველი დასი"........................................18

"მეორე დასი"..........................................20

ხალხოსნურ-დემოკრატიული მოძრაობა.......................22

1783 წლის ხელშეკრულება................................24

საქართველოს 1801 წლის ანექსია.........................25

"მესამე დასი".........................................30

1905 წლის რევოლუცია და საქართველო.....................33

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია.............36

ა.წერეთელი...1905 წლის მოვლენებზე.....................39

პირველი და მეორე სათათბიროს არჩევნები.................41

ნ.ჟორდანია-ვ.ლენინის საუბარი ლონდონში.................44

საქართველო 1907-14 წლებში.............................46

აგრარული საკითხი საქართველოში.........................48

კოლონიზაცია საქართველოში..............................50

საქართველოს პარტიები პირველი მსოფლიო ომის დროს........53

1917 წლის რევოლუცია საქართველოში......................56

მუშათა საბჭოები საქართველოში..........................59

"ოზაკომი" და საქართველო...............................61

ამიერკავკასიის სეიმი..................................64

საქართველოს ეროვნული საბჭო............................66

დამოუკიდებლობის გამოცხადების მომზადება................68

ამიერკავკასიის კომისარიატი და სეიმი..................70

ამიერკავკასიის საზავო მოლაპარაკება თურქეთთან..........73

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მომზადება..........75

## თავი მეორე

## 26 მაისი - საქართველოს

## დამოუკიდებლობის გამოცხადება

26 მაისი - დამოუკიდებლობის გამოცხადება..................79
საქართველოს პირველი და მეორე მთავრობა..................81
გერმანია-საქართველოს ურთიერთობა........................82ა
"საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი"..................96
1918 წლის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება..................109
საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა.................132
საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი.............135
საქართველოს მთავრობისა და საბჭოს კოორდინაცია...........138
ინგლისი და საქართველო...................................140
აგრარული რეფორმები საქართველოში.........................142
მუშათა მდგომარეობა საქართველოში.........................144
ეროვნულ უმცირესობათა საკითხი............................148
საქართველოს დე ფაქტო და დე იურე ცნობა...................150

## თავი მესამე

## რუსეთ-საქართველოს 1920 წლის

## 7 მაისის საზავო ხელშეკრულება

საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების დადება...........153
საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების ტექსტი...........164
სპეციალური საიდუმლო დანართი რუსეთ-საქართველოს
ხელშეკრულებისა..........................................178
რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებაზე
თანდართული დამატებითი შეთანხმება........................179
რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ტრაქტატი....................181
ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება..........................190
საქართველოს ისტორიის სწავლების საკითხისათვის............192
რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ტრაქტატის შინაარსი..........199

რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ტრაქტატის
უფლებრივი ხასიათი.............................. 208
რუსეთ-საქართველოს 1920 წლის ხელშეკრულების
უფლებრივი ხასიათი.............................. 211
საქართველოს დე ფაქტო და დე იურე ცნობა.................... 226

## თავი მეოთხე

# დამოუკიდებელი საქართველოს

# კონსტიტუცია

დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია.................. 229
დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის დებულებათა
ინტერპრეტაციის ცდა.............................. 253
პარლამენტი.............................. 256
მთავრობა.............................. 260
სასამართლო.............................. 264
მოქალაქის უფლებანი.............................. 268
ზოგიერთი მნიშვნელოვანი თარიღი.............................. 278
დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორია.................. 279
საქართველოს ეროვნული ჰიმნი "დიდება".................. 292
საქართველოს კონსტიტუციის ფესვები.................. 293

## თავი მეხუთე

# დამოუკიდებელი საქართველო და

# მისი ხელმძღვანელობა

დამოუკიდებელი საქართველო და მისი ხელმძღვანელობა......... 322
ნოე ჟორდანია.............................. 326
ნოე რამიშვილი.............................. 343
ევგენი გეგეჭკორი.............................. 354
კონსტანტინე კანდელაკი.............................. 358

კარლო ჩხეიძე........................................ 362
სპირიდონ კედია...................................... 369
ირაკლი(კაკი) წერეთელი............................... 376
გიორგი გვაზავა...................................... 386
აკაკი ჩხენკელი...................................... 390

## თავი მეექვსე

# უცხოელთა აზრი დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ

რამსეი მაკდონალდი დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ....398
ემილ ვანდერველდე დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ.....400
პიერ რენოდელი დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ........403
კარლ კაუცკი დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ..........406
ალბერ თომა დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ...........410

## თავი მეშვიდე

# რამდენიმე ინტერვიუ დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ

ნოე ჟორდანიას გრამჩანაწერი.............................. 413
ინტერვიუ: პავლე სარჯველაძე............................ 416
ინტერვიუ: ნიკო ურუშაძე................................ 420
ინტერვიუ: რეზო გაბაშვილი.............................. 426
კარლ კაუცკის სიტყვა...................................432
გენერალ კვინიტაძის ინტერვიუ...........................436

### თავი მერვე

## საქართველო და დემოკრატიული პარტიები

სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფო............442
ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და საქართველო..............464
საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია...............472

### თავი მეცხრე

## რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი

რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი..........477
ნოე ჟორდანიას განცხადება...................................488
საქართველოს მთავრობის განცხადება..........................490
მთავარი შტაბის ზოგიერთი კომუნიკე...........................494
დამფუძნებელი კრების ორი დადგენილება.......................495
კათოლიკოს ამბროსის მიმართვა გენუის კონფერენციისადმი.....496
გენერალ ჰეკერის საიდუმლო მოხსენება........................498
ფილიპე მახარაძის საიდუმლო მოხსენება.......................501

### თავი მეათე

## მოგონებანი

საქართველოს დაპყრობა და ევროპა(ამონაწერი)...............508
მოვიგონოთ...................................................509
ჩემი დღიურიდან..............................................512
იუნკრების ბრძოლა............................................513
თებერვლის დღეებში...........................................521

მოგონებანი – ამოღებული ჩემი რვეულიდან................. 525
წითელი რუსეთი თავს დაგვესხა........................... 528
თბილისის დატოვება.................................... 532

## თავი მეთერთმეტე

# საქართველო დაპყრობის შემდეგ

საქართველო დაპყრობის შემდეგ......................... 535
აჯანყებიდან მშვიდობიან დემონსტრაციამდე...............537
1924 წლის აგვისტოს ამბოხება..........................538
საქართველო და რუსეთი.................................563
აჯანყებანი საქართველოში..............................566
ფიქრები აგვისტოს დღეებზე.............................570
რა მოხდა.............................................573
რუსი მწერლები და საქართველო("თვითგამოცემა")......... 581
1956 წლის მარტის სტუდენტთა დემონსტრაციები............ 588
სსრკ 60 წლისთავი და საქართველო(გენუის კონფერენცია).. 600
მიმართვა "ქართველ ერს"...............................603
სსრკ 60 წლისთავი და საქართველო(ჰიმნი)................605
დინ ეჩესონის მიმართვა ქართველ ერს....................610
აჯანყებიდან მშვიდობიან დემონსტრაციამდე...............615
დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის დეკლარაცია........628

## დამატება:

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება(ფრანგულად).............629
1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება(რუსულად)...............636
საქართველო და საერთაშორისო უფლება......................641
1783 წლის ტრაქტატი(ფრანგულად)..........................652
1783 წლის ტრაქტატის ძველი ქართული თარგმანი.............666
May 26,1918............................................673
ბიბლიოგრაფია...........................................677

# წინასიტყვა

ეს"რადიოდოკუმენტაცია", რომ იტყვიან ხოლმე, "წვეთია ზღვაში"; ხოლო "პატარა 'ოქროს ხანას'" ვუწოდებ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდს 1918-1921 წლებში იმიტომ, რომ საქართველო, "დიდი 'ოქროს ხანის'" დაცემისა და საქართველოს დაქუცმაცების შემდეგ, ისევ გახდა ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო. ამას ემატება კიდევ შემდეგი: საბჭოთა საქართველოში საქართველოს რამდენიმე ათასწლოვანი ისტორიის არც ერთი მონაკვეთი არ არის(შეგნებულად თუ შეუგნებლად) ისე ყალბათ ასახული როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის 1918-21 წლების ისტორია. იმისათვის რომ გამართლებულ იქნას საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობა 1921 წლის თებერვალ-მარტში,ქართველი ისტორიკოსებიც ჩვენი ისტორიის ამ მონაკვეთს, ნებსით თუ უნებლიეთ, ამახინჯებენ, და ზოგჯერ ისე შორს მიდიან, რომ საქართველოს ანექსიას 1801 წლის სექტემბერში, მხოლოდ"პროგრესიულ" მოვლენად თვლიან. გასაგებია, ასეთ პირობებში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიული ფაქტების,მოვლენების ზუსტ აღდგენას,რომ შემდეგ - ამ ფაქტებზე დაყრდნობით - შესაძლებელი გახდეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნამდვილი რაობის ჩამოყალიბება. ამ მხრივ მრავალი მონოგრაფიაა გამოქვეყნებული უცხოეთში,განსაკუთრებით საფრანგეთში(პარიზში),სადაც - დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის შემდეგ - იმყოფებოდა საქართველოს დემოკრატიული გზით არჩეული,ე.ი. კანონიერი მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით.

ამდენად, საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენის მოწმეთა ნარკვევები,მოგონებები თუ სქელტანიანი ნაშრომები,უთუოთ,უტყუარი მასალებია მომავალი ისტორიკოსებისათვის,რომლებიც, უეჭვოა, ობიექტურად აღწერენ საქართველოს ისტორიის ამ"პატარა ოქროს ხანის" რაობას.

ეს "რადიოდოკუმენტაცია", ამდენად, სხვა არაფერია თუ არა"კრებული" ზოგიერთი იმ მასალებისა,რომლებიც "ხელში ჩამივარდა" რადიორედაქციაში ყოველდღიური მუშაობის დროს. ამიტომ მასალების სრულყოფილებაზე ლაპარაკი შეუძლებელია,თუმცა უნდა ითქვას, რომ ნოე ჟორდანიას მოგონება "ჩემი წარსული",რომელიც(სამწუხაროთ შემოკლებულად) დაიბეჭდა პარიზში

1953 წელს,სულ ცოტა "გზისმაჩვენებელია" ამ ხანის ჭეშმარიტი ისტორიის ჩამოსაყალიბებლად.

ამ "რადიოდოკუმენტაციაში",მეტ-ნაკლებად, ქრონოლოგიურად თავმოყრილ მასალებში ადგილი აქვს განმეორებებს, დანაწევრებებს თუ ნახტომებს, რაც გამოწვეულია რადიოური გადაცემების თავისებურობითაც. ხშირად,ესა თუ ის დოკუმენტი თუ გამონათქვამი შემოკლებულიცაა(ფრჩხილებში ჩასმული ნაწილები),რაც გამოიწვია უბრალოდ ამა თუ იმ გადაცემის ხანგრძლივობის შემცირების საჭიროებამ, ზოგჯერ კი პოლიტიკურმა ოპორტუნიტეტმა,რასაც ასე დიდი მნიშვნელობა აქვს რადიოგადაცემებში, ვინაიდან,ნათელია, - შოთას სიტყვებით რომ ვთქვათ - "ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების."

ეს "რადიოდოკუმენტაციის" გადაცემა დაიწყო 1979 წლის 19-ტ ივნისს გადაცემათა ციკლით "საქართველო სამოცი წლის წინათ".

"პატარა ოქროს ხანა" თუ "მცირე ოქროს ხანა" - 1918-21 წლები - ერთიანი და განუყოფელი საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა, მის თითქმის მთელს ისტორიულ საზღვრებში, ამავე დროს, საქართველოს ისტორიაში პირველად სახელმწიფო მართვის მონარქიული სისტემიდან რეს-პუბლიკურ სისტემაზე გადასვლა და ნამდვილი დემოკრატიული, უფლებრივი სახელმწიფოებრივი წესყობილების დამყარება - არის არა მარტო ისტორი-ული ფაქტის აღიარება, არამედ, ამასთანავე, იმ დიდი და ჰუმანიტარული იდეების აღიარებაც, რომლებიც გამოთქმულია დამოუკიდებელი საქართვე-ლოს, თუ გნებავთ, კონსტიტუციაში, რომელიც 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო და დაამტკიცა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა,1918-21 წლებში,იყო და დარჩა საქართველოს სამიათასწლოვანი ისტორიის-მქონე ს ა მ ე ფ ო თ ა ღირსეული მემკვიდრე, რაც ქრონოლოგიურად ასეთ სურათს იძლევა: (ის.საქართველოს ისტორია, თბილისი,1980 წ.).

I. დ ი ა ო ხ ი(ტ ა ო) - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტომთა ერთი დიდი გაერთიანება-სახელმწიფო, რომელიც ჩვენს

წელთაღრიცვამდე მე-12 საუკუნის ბოლოს საკმაოდ გაძლიერდა. დიაოხის ბელადი სიენი 1112 წელს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე, დამარცხდა ასურეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ დიაოხი ასურელებმა მაინც ვერ დაიმორჩილეს.

დიაოხის "მრავალმოსილი ქვეყნის" მეფე უტუფურში რამდენჯერმე დაამარცხეს ურარტუს მეფეებმა. მე-8 საუკუნეში კი გაანადგურეს დიაოხი, რომლის ნაწილი კოლხას სახელმწიფოში მოექცა.

II. კ ო ლ ხ ა - საქართველოს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მცხოვრები ქართველი ტომების გაერთიანება-სახელმწიფო ძალიან ადრე ჩამოყალიბდა. ესაა არგონავტების, მეფე აიეტის და მისი ქალ-ვაჟის მედეასა და აფსირტეს ხანაც. მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში განადგურდა დიაოხი და კოლხა.

III. ე გ რ ი ს ი = კ ო ლ ხ ე თ ი: - 750-741 წლებში თავს ესხმის კოლხეთს ურარტუს მეფე სარდური II. 730 წელს, ჩვენს ერამდე, კოლხეთს თავს ესხმის სკვითები და ქიმერიელები. კოლხეთში, 600-ი წლიდან დაწყებული, იქმნება ბერძენთა კოლონიები. ურარტუს სახელმწიფოს განადგურება 590 წელს ჩვენს ერამდე.

IV. ი ბ ე რ ი ი ს სახელმწიფოს აღორძინება მე-4 საუკუნიდან, ქრისტე დაბადების წინ. იბერიაში ქრისტიანიზმის სახელმწიფო რელიგიად აღიარება(337 წელი), წმინდა ნინოს მოღვაწეობის შედეგად.

V. გაერთიანებული და განუყოფელი საქართველოს აღორძინების ხანა მე-11-მე12 საუკუნეებში(დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე).

VI. გაერთიანებული და განუყოფელი საქართველოს ისევ-აღდგენა 1918 წლის 26 მაისს. საქართველოს სამიათასწლოვანი მონარქიული სახელმწიფო-წესყობილების რესპუბლიკური წესყობილებით შეცვლა.

აქედან გამომდინარე, გასაგებია, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდს, 1918-21 წლებში, "პატარა ოქროს ხანას" ვუწოდებთ, ხოლო ნოე ჟორდანიას, დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტსა და მთავრობის თავჯდომარეს, ქართველი ხალხი, როგორც გადმოგვცემენ, "ნ ო ე  ა ღ მ ა დ გ ე ნ ე ლ ს" უწოდებს.

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 1984 წლის 30 ნოემბერი

ქართული რედაქცია-რადიო"თავისუფლება"

ავტორი,დიქტორი: დავით თაბორიძე

**გადაცემათა ციკლი: საქართველო სამოცი წლის წინათ:**

წამყვანი: ახლა ჩვენი მორიგი გადაცემა ციკლიდან - საქართველო 60-ი წლის წინათ. მიკროფონთან არის დავით თაბორიძე:

დიქტორი: გადაცემათა ციკლში - საქართველო 60-ი წლის წინათ - მე·მხურს გაგაცნოთ ზოგიერთი მოვლენები,რომლებიც ჩვენს სამშობლო საქართველოში მოხდა 60-ი წლის წინათ, ე.ი. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა პერიოდში. დამოუკიდებლობის დროსა და საქართველოს დაპყრობის პირველ წლებში.

(გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა მე-2 გვერდზე......................

.......................................................).

წამყვანი: ეს იყო დავით თაბორიძის მორიგი საუბარი ციკლიდან - საქართველო 60-ი წლის წინათ. ლაპარაკობს რადიო თავისუფლება!..

## საქართველო 60-ი წლის წინათ:

## საუბარი პირველი:

როგორც,ახე ვთქვათ,"შეხავალი" საქართველოში 60-ი წლის წინათ მომხდარი მოვლენებისა, უნდა აღინიშნოს მოვლენათა მთელი ჯაჭვი, თუ გნებავთ,"პირველი დახი", "მეორე დახი" და "მესამე დახი",რომლებითაც ხაფუძველი ჩაეყარა იმ მოვლენებს, რომლებიც მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა პერიოდში, დამოუკიდებლობის დროსა და მის შემდგომ ხანში.

ეხება რა ამ საქართველოს თავისუფლების "მოსამზადებელ" პერიოდს, ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული",რომელიც დაიბეჭდა პარიზში 1953 წელს,სხვათა შორის, წერს:

> როცა „ფიქრის გორაზე" მოვხდი და ზოგი ჩემი აზრი გაუზიარე სოფლელებს, ვერავითარი გაგება და გამოხმაურება ვერ ვპოვე. სოფელი რჩებოდა ძველებურად ყრუ. აქ კიდევ თბოვნების და სარწმუნოების კულტი ბატონობდა. სამაგიეროდ შეგირდებში, რომელთა რიცხვი 7 - 8 კაცს არ აღემატებოდა, ვპოვე დიდი ენთუზიაზმი და საქმით აზროვნება. სამწუხაროდ, ამ ჯგუფის ხელმძღვანელობა გამოჩნდა პირველ ჩვენ კონფერენციაზე ყვირილაში 1892 წ. დეკემბერში, სადაც გამოიკვეთა ნაროდნიკული მიმდინარეობა. ამის მთავარი საბუთი იყო იგივე ნაროდნიკული. ამბობდნენ: ჯერ გაანთავისუფლე მუშები, შემდეგ ისინი გაანთავისუფლებენ გლეხებს; ამის შემდეგ ისინი შეერთდებიან და მოახდენენ რევოლუციას — ამ გრძელ წინამძღოლობას ჩვენ ვერ მოვესწრებით, ჩვენი შვილებიც ვერ მოესწრობა, ეს გრძელი გზაა, ჩვენ კი გვეჩქარება - ო.
>
> საქმე თითქოს გადაწყდა, მაგრამ მე მაინც არ მოვეშვი და ს. ჯიბლაძესთან და ეგნატესთან ერთად გადავწყვიტეთ ხელახლა შეყრა. შევუდექით მოხსენების დაწერას. ამ მოხსენებას იცნობენ, დაბეჭდილია; ვიტყვი მხოლოდ, რომ საკითხისადმი მიდგომა იყო ორი მხრით — ნაციონალურის და ტაქტიკურის. უნდა მოვძებნა ისეთი ღერძი, რომლითაც შეიძლებოდა ძველი საზოგადოების გადატრიალება..

ახე წერს თავის მოგონებაში "ჩემი წარსული" ნოე ჟორდანია იმის შესახებ, თუ როგორ ჩაეყარა ხაფუძველი იმ მოვლენებს,

რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში.

1893 წლის 8-ა იანვარს ზესტაფონში შეხდგა "მესამედასელთა" პირველი კონსპირაციული თათბირი ნოე ჟორდანიას მეთაურობით, რომლის კალამს ეკუთვნის "მესამე დასის" პროგრამაც და რომელიც 1894 წელს გამოცემულ იქნა ცალკე წიგნად სახელწოდებით -"ეკონომიური წარმატება და ეროვნება". "ამ დასის მეთაურად ხიცყვაკაზმულ ლიტერატურაში უნდა ჩაითვალოს ნინოშვილი" - ამბობდა გიორგი წერეთელი, ჰქონდა რა მას მხედველობაში ეგნატე ნინოშვილის "გოგია უიშვილი" თუ "ჯანყი გურიაში", რომელშიც ეგნატე, სხვათა შორის, ასეთ აზრს გამოთქვამდა:

"...მერე რესპუბლიკური მართველობა დავაარსოთ, ესე იგი, ამოვარჩიოთ პატიოსანი და ჭკვიანი კაცები და რამდენიმე წლის ვადით მივანდოთ ხალხის მართვა. შემდეგ, როცა ამათ მისცამინდობას ვადა შეუსრულდება, სხვა ამოვირჩიოთ, ამის შემდეგ კიდევ სხვები...

ეგნატე ნინოშვილი გარდაიცვალა 1894 წლის 12 მაისს დანჩხუთის რაიონის სოფელ ჩირგვეთში, და მისი დასაფლავების დღე იქცა "მესამე დასის" პირველ ოფიციალურ საჯარო გამოსვლად, "მესამე დასისა", რომლის მრწამსი იყო -"ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც ძედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა." ეს მრწამსი კი ფაქტიურად განხორციელდა 1918 წლის 26 მაისს, როცა გამოცხადებულ იქნა, ნოე ჟორდანიას მიერ, საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა, და დამყარდა ნამდვილი დემოკრატიული წესყოფილება.

ქართული რედ..ქცია-რადიო "თავისუფლება"
ავტორი, დიქტორი: დავით თაბორიძე

## საქართველო 60 წლის წინათ:

## საუბარი მეორე:

წინა საუბარში ჩვენ შევეხეთ "მესამე დასის" დაარსებას 1893 წელს ნოე ჟორდანიას მიერ და ავღნიშნეთ, რომ "მესამე დასის" სამოქმედო პროგრამის ცენტრში იდგა ერისა და პიროვნების თავისუფლების განხორციელება საქართველოში. ეხება რა ამ საკითხს, ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული", რომელიც დაიბეჭდა პარიზში 1953 წელს, სხვათა შორის, წერს:

> რა ძირითადი მოსაზრებებიდან გამომდინარე-ერის თავისუფლება? მთლიანად ერიდან — დემოკრატიულ მოთხოვნილებებიდან. თუ კი პიროვნება უნდა იყოს თავისუფალი, თუ მთელი საზოგადოება თავის თავს უნდა მართავდეს, რატომ ერი, როგორც დიდი ეთნიკური საზოგადოება, არ უნდა მართავდეს თავის თავს, არ ქონდეს თავისი სახელმწიფო. ეს იყო ჩვენთვის ლოგიკური დასკვნა და სწორედ დიდი დისკუსიის შემდეგ ჩვენმა წრემ გაიზიარა ის. რაკი ერთხელ მივიღეთ არსებობა პროგრამის მინიმუმის და მაქსიმუმის, ჯერ ერთი დემოკრატიული ეტაპი და შემდეგ მეორე, ამით საბოლოოთ დავშორდით ნაროდნიკულს, რუსულ ყველა სკოლის სოციალიზმს, რომელიც ასეთ ეტაპებს არ სცნობდა და ერთბაშად ყველას მიწიერ სამოთხეს პირდებოდა.
>
> ამ ნაირათ, ტრადიციული მარქსისტული სოციალიზმის პირველი შეხვედრა მოხდა თფილისში, ფებერვლის
>
> კონფერენციაზე (1893 წ.). მან მიიღო ნაციონალური პლატფორმა. ეს იყო სოციალისტური ინტელიგენციის ამბიციების გამოხატულება, გარეშე მუშათა და გლეხთა აზროვნებისა და ფსიქოლოგიისა. ეს პროგრამა ჯერ კიდევ არ იყო მიტანილი მასამდე, არ იყო შეფარდებული მის მოთხოვნილებებთან. ეს მხოლოდ მოხდა შემდეგ და ამან კიდევაც გამოიღო შესაფერი ნაყოფი.

ასე წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული". ამგვარად, "მესამე დასი" მოექცა საქართველოს, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში მე-19 საუკუნის

მიწურულში,რასაც მოყვა ერის ქველა ფენის ეროვნულ ლიანდაგზე გა-დასვლა. ამ მხრივ საგულისხმიეროა,მაგალითად, არჩილ ჯორჯაძის მიერ ჟურნალ "საქართველოს" გამოცემა პარიზში 1903 წელს,რომლის ირგვლივ თავი მოიყარა ქართველმა ეროვნულად განწყობილმა საზო-გადო და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა; 1904 წელს კი ჟენევაში გაიმართა კონფერენცია,რომელმაც ჩამოაყალიბა საქართველოს სოციალ-ფედერალისტების პარტია, რომლის დამაარსებელნი იყვნენ არჩილ ჯორჯაძე, კიტა აბაშიძე, გიორგი ლასხიშვილი, გიორგი ზდანოვიჩი(მაი-აშვილი) და სხვები. ეს პარტია მოითხოვდა საქართველოს ეროვნულ ავტონომიას რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში.

ამ მოვლენის შესახებ ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული",სხვათა შორის, წერს:

"...1904 წელს დაიწყეს გამოცემა ქართულად და ფრანგულად ჟურნალის "საქართველოს" პარიზში. ამ...ინიციატივას შევხდი დადებითად და კიდევაც მოვათავსე იქ რამდენიმე წერილი მოძრაობაზე ჩვენში. მაგრამ ჩქარა გამოჩნდა მათი განსახვაკებული ტენდენციები...მათ მოაწყვეს ჟენევაში კონფერენცია,სადაც ჯგუფი ქართველი სოციალ-დემოკრატებისა იყო მიწვეული სტუმრათ. მიწვევა მივიღეთ...,მაგრამ იქვე წავიკითხეთ ჩვენი განცხადება,რითაც ვაცნობებდით კრებას ჩვენს უარყოფით დამოკიდებულებას კონფერენციისადმი...კონფერენციამ გამოაცხადა დაარსებულად სოციალ-ფედერალისტთა პარტია,რომლის ძირითად დოქტრინად აღიარა ორი ახალი დებულება: საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლა და ამ დროშის ქვეშ ყველა...ძალების და-დგომა. ეს უნდა გამხდარიყო "საერთო ნიადაგი" ყველა კლასის და წოდების შორის და სხვა...აი ეს "საერთო ნიადაგი" გახდა ჩვენთვის ყოვლად მიუღებელი...რატომ? იმიტომ, რომ მუშათა მოძრაობა გადა-ვაბით გლეხთა მოძრაობას; პირველი თუ დაპირისპირებული იყო უმ-თავრესად არაქართული კაპიტალის წინააღმდეგ და აქ კიდევ შეი-ძლებოდა ლაპარაკი საერთო ნიადაგზე, მეორე კი მიმართული იყო ქართველების,ქართველი მემამულეების წინააღმდეგ... ჩვენს მიერ ასეთი საერთო ენის ძიება დაბოლავდებოდა ერთი შედეგით - გლეხობა ჩამოგვშორდებოდა..."

წერს ნოე ჟორდანია და დასძენს:

"ყოველ შემთხვევაში ერთი მოვლენა იყო ფაქტი: ქართველი საზოგა-დოება შეიძრა და ახალი გზების ძებნას შეუდგა. იწყება საერთო გამოფხიზლება და გადაწყობა-გადმოწყობა..."

## საუბარი მესამე: "ივერია" და "კვალი":

საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენის წინაპერიოდში, მე-19-20 საუკუნის მიჯნაზე, საქართველოს საზოგადოებრივი აზრის შექმნაში დიდი როლი ითამაშეს ჟურნალებმა "ივერიამ" და "კვალმა". ამის შესახებ ნოე ჟორდანია, თავის მოგონებაში "ჩემი წარსული", რომელიც დაიბეჭდა პარიზში 1953 წელს, სხვათა შორის, წერ

"კვალის" ბანაკში იყო დომხალი. აქ სწერდა ყველა ის, ვინც "ივერიაში" ადგილს ვერ შოულობდა. აქ ეწყობოდა პროგრესიული აზერბის ძიება და მათ ირგვლივ კამათი...

გადაწყდა განსაკუთრებით თათბირის მოწვევა თბილისში მრავალ-რიცხოვანი წევრებით. ეს თათბირი მოხდა მისა დარჩიაშვილის ბინაზე, სადაც ცხოვრობდა მისი ძმა ლადო, ნოემბრის თვეში. დაესწრნენ ყოველი მხრიდან, სადაც კი ს.-დ. მუშაობა იყო დაწყებული: ბათუმიდან კ. ჩხეიძე, ბეგლარ მელია და ლეუზინი; ქუთაისიდგან სამ. კილაძე და გრიგო ნიქაძე. თბილისიდგან ათამდე კაცი სილ. ჯიბლაძის მეთაურობით. პირველ ყოვლისა გადაწყვიტეთ წინააღმდეგ „პოლიტიკოსებისა", არა-ლეგალური მუშაობის მიუმატებით ლეგალური მუშაობა. ჩვენ მივიღეთ თავის-თავზე „კვალი"-ს რედაქტორობა. ამ მიზნით მაშინვე დავიწყეთ მოლაპარაკება „კვალი"-ს პატრონებთან—ოფიციალურ რედაქტორ-გამომცემელ ანასტასია წერეთელთან და ფაქტიურ რედაქტორთან, მის მეუღლეს გ. წერეთელთან. შემდეგ გადავედით ჟურნალის ხასიათზე და მასში მოსათავსებელი მასალების ღირსებაზე. დიდი მუხეთქება გაიმართა ნაციონალური საკითხის გამო. ამ საკითხის სრულიად მოხსნას ითხოვდნენ დღის წეს-რიგიდან ბათუმელები, სანახევროდ მოხსნას თბილისელების უმრავლესობა, ხოლო ჩემი აზრის სრულიად არავინ არ აღმოჩნდა. მათი საბუთები ტაქტიკური: საჯაროდ წამოყენება ისეთი საკითხების, რომელნიც მშრომელ მასებს აშორებენ გაერთიანებულ კლასებს და ქმნიან მათგან მოპირდაპირე შეგნებულ ბანაკს. ნაციონალური საკითხი კი ხიდებს დებს მათ შორის, აბნევს კლასთა ბრძოლას და მით ანელებს მასების მთელ მოძრაობას; გვეყოფა ისიც, თუ შევძლებთ მათი გადაყვანა ეკონომიური წრიდან პოლიტიკური ბრძოლის ნიადაგზე; ეს არის მთავარი ამოცანა. საბუთი თეორიული: ქართველი

ხალხისთვის ჯერ კიდევ გაუგებარია ნაციონალური მო-
თხოვნილებათა წამოყენება, ნაციონალისტები აყენებენ
ზოგ ამათგანს, გვერდს ზოგიერთს, მაგრამ მთლის წინა-
ლის ვერ მიდიან. ეს იმიტომ რომ საქართველოს თავი-
სუფლება ხალხისთვის ნიშნავს ისტორიულ-სამარცხვინო
ტყვეთ გახდომას; ასეთი ლოზუნგით წავაგებთ მთელ
მოძრაობას, ხალხი ზურგს შეგვაქცევს ეკონომიური და პო-
ლიტიკური საკითხებშიაც.

იყო წარმოთქმული ასეთი აზრიც, რომ სოციალისტის
საქმეა სოციალისტური საკითხი და არა ნაციონალური.
ამ აზრის იცავდენ ბათუმელები და ყველა რუსები ლუ-
ზინის მეთაურობით. მაგრამ უმრავლესობამ არ გაიზია-
რა ასეთი ნიჰილიზმი და დაიწყო მიზანშეწონილების თე-
ზის. კრება შეწყდა. მე წავედი გ. წერეთელთან შესახვე-
დრად, უჩვენე იგი თათბირი. დაბრუნებისას სილვამ
თქვა სიტყვა და გამოაცხადა თათბირის განაჩენი: „კვა-
ლი"-ს რედაქტორად იქნება ნ. ჟორდანია, მას ვუცხადებთ
ნდობას ყველა საკითხებში. გვაქვს იმედი აქ გამოთქმულ
საშუალებებს სახეში მიიღებს და მათ თანახმად იმოქმე-
დებს. ყრილობა დაიშალა. ხმა გავარდა „კვალი" ჩვენს
ხელში გადმოდის. ერთ დღეს მოვიდა ჩემთან ალ. ყიფ-
შიძე და გადმომცა ილია ჭავჭავაძის სურვილი თქვენი ნახვა
და ხვალ დილით გელის თავის სახლშიო. ძალიან გამი-
კვირდა, არავისათვის არ გამიმჟღავნებია. მეორე დღეს წა-
ვედი. მიმიღო თავის სამუშაო კაბინეტში. გავეცანი, და-
ჯდომისთანავე დაიწყო: შევიწუხეთ ერთი საქმისათვის.
მე მსურს თქვენ გახდეთ „ივერია"-ის ხელმძღვანელი, რე-
დაქტორი სრული უფლებით, მხოლოდ ერთიც ჩვენს შო-
რის იქნება აზრების დიდი განსხვავება — მე ჩემსას დავ-
ბეჭდავ, თქვენ თქვენსას. მე სხვები მირჩევენ გაზეთის
გადაცემას, მათ არ გადავცემ, გამოცდილებით ვიცი მა-
თი ამბავი, თქვენ თუ არ იღებთ, მხოლოდ ვერ გადმოვცემ.
ეს წინადადება იყო ჩემთვის სრულიად მოულოდნელი.
მაშინვე გადავწყვიტე ჩემთვის წინადადებაზე უარი მე-
თქვა, მაგრამ რომ ეს უეცრად არ გამოსულიყო, ვუპასუ-
ხე: დიდ მადლობას გწირავთ ასეთი ნდობისათვის. მე ეს
არ დამიმსახურებია. წინადადება ისეთი მოულოდნელია,
რომ საჭიროა მოფიქრება, მეგობრების ნახვა და ამ ორ
დღეში პასუხს მოგახსენებთ თქვა. ლაპარაკის დროს გა-
მოირკვა, რომ მას სურთ გაზეთის ხელმძღვანელობის
გადაცემას გ. ლასხიშვილი, კ. აბაშიძე და ნაკაშიძე. გ.
წერეთლისათვის არ მითქვამს. მეორე დღესვე დაპირე-
ბისამებრ წავედი ილიასთან ბანკში და გადავეცი უარი
(საბუთებით). პასუხათ მითხრა: თქვენი ნებაა, იმედი
მაქვს ერთმანეთს ხელს არ შევუშლით. მე ეს გავიგე ისე
რომ ერთი-მეორეს თავს არ დავესხმით. მეც პირობა მი-
ვეცი. პირობა შევასრულე. საქმისისათვის გადასხდით „კვა-
ლი"-ს 1898 წ. ნომრებს, რომ დარწმუნდეთ. „კვალი"
თავს ესხმის „ივერია"-ს მხოლოდ მას შემდეგ რაც „ივე-
რია"-მ იერიში მიიტანა.

ამ ნაირათ, პირველი იანვრიდან (1898 წ.) „კვალი"
გახდა ქართველი მარქსისტების პირველი ლეგალური
ორგანო. ეს იყო იმავე დროს პირველი მაგალითი მთელ
რუსეთის იმპერიაში.

ასე წერს ნოჲ ჟორდანია ჟურნალების"ივერიისა" და "კვალის" შესახებ
თავის მოგონებაში"ჩემი წარსული",რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში.
==============================

## საუბარი მეოთხე: ნ.ჟორდანია რუსეთისა და საქართველოს ს.დ.პარტიის პროგრამების სხვაობაზე:

რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და საქართველოს სოციალ-დემოკრატებს შორის არსებულ პროგრამულ განსხვავებას ადგილი ჰქონდა ამ პარტიების ჩამოყალიბების დღიდან.

როგორც ცნობილია,"მესამე დასი" და ამით საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის პირველი უჯრედი გაცილებით უფრო ადრე ჩამოყალიბდა,ვიდრე სოციალდემოკრატიული პარტია რუსეთში. ეხება რა ამ საკითხს, ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული",სხვათა შორის, წერს:

> 1902 წლის დამლევს ციხეში მივიღეთ თბილისის კომიტეტის ფურცელი, რომელიც გვაუწყებდა იმით, რომ თავზე ეწერა: — რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. გამიკვირდა, რა შუაშია რუსეთის პარტია. როდის შევუერთდით, რა პირობით — არაფერი არავინ იცოდა. ცხადი იყო რომ ჩვენ შევუერთდით რუსეთის პარტიას, არა როგორც ჩამოყალიბებული ორგანიზაცია, არამედ როგორც ადგილობრივი ორგანიზაცია. დამაფიქრა, შემეშინდა იდეოლოგიურადაც არ შეგვეძლო რუსების მთელი პოზიცია, სადაც არ იდგა არც გლეხის საკითხი, არც ნაციონალური, არც ორგანიზაციული ჩვენის მნიშვნელობით და სხ. საჭიროა ამ განსაკუთრების ახსნა. ჩვენში ორგანიზაცია შესდგებოდა მთლიად მუშებისაგან, ორგანიზატორები და ხელმძღვანელები იყვნენ ისინი. მხოლოდ პროპაგანდისტები იყვნენ ინტელიგენტები, მაგრამ მათ არ ჰქონდათ გადამწყვეტი ხმა კომიტეტში და რაიონებში. ნივთიერი მხარე მთლად აწვა თავზე მუშებს, რომელნიც ყველა „პალერქაზე" იხდიდენ დადგენილ პარტიულ გადასახადს. რუსეთში კი იყო პირიქით: ორგანიზაცია შესდგებოდა ინტელიგენტ-პროპაგანდისტებისაგან. მისსა მათ მისდევდა, ფულს შოულობდენ ინტელიგენტები და მოქონდათ ორგანიზაციაში. მუშა არას იხდიდა. ერთი სიტყვით, პარტია იყო ს.-დემ. ინტელიგენტების იმ მიზნით, რომ მუშა ხალხისათვის მიეცა პოლიტიკური შეგნება ცარიზმთან საბრძოლველად. ეს იყო, მაშასადამე, პარტია არა მუშების, არამედ მუშების სასარგებლოდ, დემოკრატიულად წინააღმდეგი ჩვენი პარტიული წყობისა. ამ მხრით, რუსების სოც.-დემ. აღიარებდა მარქსიზმს, მაგრამ სინამდვილეში, პარტიის წყობაში და მუშაობაში ისინი იყვნენ ნაროდნიკები.

რაკი ასეთი დიდი განსხვავება იყო ჩვენსა და რუსებს შორის, სახიფათოთ მიმაჩნდა ასე ხელაღებით მათ პარტიაში გათქვეფა. მაგრამ რაკი ეს მოხდა, საჭირო იყო თავისი ხასიათის შენარჩუნება და ცდა ამ მხრით გავლენის მოხდენა თვით რუსებზე. ამ მიზნის მისაღწევათ, საჭირო იყო, პირველ-ყოვლისა, შექმნა საქართველოს ცენტრალური ორგანოს. ციხეში ვიყავი სწორედ წელიწადი, ივნისში გამომიშვეს და ბინათ მომცეს ლანჩხუთი, საქმის გადაწყვეტამდე პეტერბურგის პოლიციის დეპარტამენტის მიერ. ამ დროის გურიაში უკვე გაძლიერებული იყო გლეხთა მოძრაობა, რომელსაც ყავდა თავის ადგილობრივი მეთაურები, სოც.-დემ. ორგანიზაციის წევრები. დაიწყო მასიური დაპატიმრება და მათ შორის მეც მომიყოლეს. ქუთაისის ციხეში მოვხვდი 200 დაპატიმრ გურულ გლეხების შორის. აქ პირველათ ვნახე ნ. ხომერიკი, აქ იყო ს. ჯიბლაძე და სხვა მრავალი ნაცნობ-მეგობრები. ჩქარა ინტელიგენტები გადაგვიყვანეს. ფოთის ციხეში, საიდანაც გამომიშვეს ოქტომბერში და ბინათ დამინიშნეს განჯა, პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ. აქედან ხშირად ჩავდიოდი ჩუმათ თფილისში პარტიული საქმეების გამო. ან ამოდიოდნენ ჩემთან, უმთავრესათ გ. წულუკიძე, კომიტეტის წევრი და მ-სი დავალებით. სილვა უკვე გადასახლებული იყო ციმბირში. გადავწყვიტეთ მოწვევა პარტიული კონფერენციის ამიერ-კავ-

---

კასიის მასშტაბით:- 1902 წ., ნოემბერში, კონფერენცია მოხდა თფილისში, ტოლოჩკოვის რესტორანის ერთ-ერთ ოთახში და ჩატარდა ჩემი თავმჯდომარეობით. მთავარი საკითხი იყო არჩევა ცენტრის, რისაც დაერქვით საკავშირო კომიტეტი („სოიუზნი კომიტეტ") ამიერ-კავკასიისა. აქვე მომანდვეს დამეწერა პარტიული პროგრამის პროექტი, როგორც ადგილობრივი, ისე მთელი სარუსეთოს მასშტაბით. განჯაში დაბრუნებისას შევუდექი ამ მუშაობას და რამდენიმე კვირაში დავამთავრე. პროგრამა იყო გვარიან ვრცელი — დემოკრატიული რესპუბლიკა, დემოკრატიის ბატონობა, მთელი პროგრამის მინიმუმი მუხლებათ დაყოფილი. ნაციონალური საკითხში მქონდა წამოყენებული ასეთი მუხლი: „ამიერ-კავკასიის თვითმართველობა პარლამენტით თფილისში".

ასე წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული", რომელიც დაიბეჭდა პარიზში 1953 წელს.

==========================

ეხება რა 1905 წლის რევოლუციას რუსეთში და მენშევიკ-ბოლშევიკების განხეთქილება ლონდონის ყრილობაზე, ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში -"ჩემი წარსული" -,რომელიც დაიბეჭდა პარიზში 1953 წელს,ხხვათა შორის, წერს:

11 იანვარს 1905 წ. ჟენევის გაზეთში გამოქვეყნდა პეტერბურგის ამბები შესახებ მუშათა დემონსტრაციებისა გაპონის მეთაურობით. მაშინვე გადავწყვიტე — რევოლუცია დაწყებულა, დაუყოვნებლივ წასვლა საქართველოში. ერთ კვირაში ვიშოვე პასპორტი, ბოლგარული ფუნქციონერის სახელზე. ჩემი არქივი, ხელნაწერები, წერილები, წიგნები ჩავაწყვე ყუთში, დაველოცე და მივაბარე დაშნაკცუტიუნის რედაქციას („დროშაკი"), რომელიც მდებარეობდა როზიერის ქუჩაზე (რაც მას შემდეგ ვეღარ მივიღე) და 18 იანვარს გავემგზავრე რუსეთისაკენ, პირდაპირ პეტერბურგისაკენ, სადაც ჩემი ახალშერთული ცოლი, ინა კორინევა, ბინადრობდა და პარტიაში მუშაობდა. ის დაბრუნდა ჟენევიდან რამდენიმე თვით ადრე. 25 იანვარს უკვე ადგილზე ვიყავი, რევოლუცია უკვე გათავებული იყო, რეპრესიები დაწყებული. ჩემი [illegible] ისე გამართლდა. ინამ დაწვრილებით მიამბო რაც მოხდა და გადავწყვიტეთ საქართველოში წასვლა. ის ლეგალურათ, მე არალეგალურათ. გამოირკვა, რომ გაპონის მოძრაობა იყო სრულიად მოულოდნელი პარტიული ორგანიზაციებისათვის, მასში არც რაიმე როლი უთამაშნიათ, პირიქით, თვით აყვა მას, შეიქნა აზვირთებული სტიქიის სათავეში ისარიც. მაგრამ რადგან ტალღა დაცხრა, ნაღვერი გადაიარა, ადგილზე დარჩნენ ისევ ორგანიზაციები, დაყოფილნი რაიონებად და შეერთებული კომიტეტით. აქ უკვე ბატონობდა ლენინის ც. კ. და ისწრაფოდა ყველა ორგანიზაციების ჭკუაზე მოსაყვანათ. „რასკოლი" მზადდებოდა.

წამოვედით, გავჩერდით ბაქოში. ინა დადგა ნაცნობ რუსის ქალის ოჯახში. გავაბით კავშირი სოც.-დ-ბთან. მოხდა მათი (ინტელიგენციის) კრება, სადაც გავაკეთე განხეთქილების შესახებ მოხსენება. შედეგად ბოლშევიკები, არაფერი გამოვიდა; ვიფიქრე — სჯობს ძველებური მეთოდით მოქმედება. თბილისის ორგანიზაციიდან მუშების გამოგზავნა და აქ მათი ამუშავება. გავსწიე თბილისისაკენ. ინა დარჩა ბაქოში. თბილისში ატმოსფერა დამხვდა დიდათ გამოცვლილი. ძველი მემარჯვენე სექტორი ილიას მეთაურობით დაშლილიყო, „ივერია"-ც ახალი ბანკის ხელში გადავიდა; სოც.-ფედერალისტები დაპატრონებოდნენ „ცნობის ფურცელს"; „კვალი"-ს ადგილს გამოდიოდა „მოგზაური" ფ. მახარაძის რედაქტორობით. („კვალი" დახურა მთავრობამ). მუშათა მა-

ცებში რეფორმისტული სული ღვიოდა; ორგანიზაციე-ბში და კომიტეტში მითქმა-მოთქმა და ჯახი პარტიულ საკითხებზე, თუმცა არავინ იცოდა დავის შინაარსი. არც ერთ დელეგატს არ გაუკეთებია მოხსენება ლონდონში მომხდარ ამბებზე არც ერთ ორგანიზაციაში, გარდა საკავშირო კომიტეტისა. იქ კი თითქმის ყველა მომხრობოდა ბოლშევიზმს. ჩვენი ჩასვლა მოულოდნელად არაფრით ეკამშნიკათ; მოინდომეს ჩვენი ჩარევება; ამ მიზნით მოიწვიეს საკ. კომიტეტის კრება, დაესწრნენ: მ. ცხაკაია, ალ. წულუკიძე, არ. ზურაბოვი, ფ. მახარაძე. ლაპარაკოდან გამოირკვა მათი ახალი მიზანი და გადაწყვეტილება მასაში არ გაეტანათ ეს საკითხი, ბოლო ორგანიზაციები გადაეყვანათ ლენინის საორგანიზაციო ნიადაგზე — ყველა ხელმძღვანელი ორგანო დაენიშნათ მაღლიდან. ამგვარი გახდა ჩვენთვის, რომ საკ. კომიტეტთან მე ვერას გავაწყობდი და ვინახულე ძველი ნაცნობი მუშები. ამათგან კი გავიგე, რომ ორგანიზაციაში მისულა საკ. კ. ბრძანება — გადადგეს კომიტეტის ძველი შემადგენლობა და მთელი ტექნიკური აპარატი ჩაბარონ დანიშნულ კომიტეტს. ამ მოწყობილობას აუღელვებია მოწინავე მუშები და პირველ კვირასვე ეს საკითხი გაურჩევია რაიონულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრებაზე კომიტეტის თანადასწრებით. კრება მოხდა ნაძალადევში, დაესწრო ოცამდე კაცი. მე ვიჯექი კუთხეში, არავის მათგანს არ უცვნივარ (მხოლოდ წვერი მქონდა მოპარსული), მაგრამ რაც სიტყვა ავიღე (ანდრიას ფსევდონიმით) და ლაპარაკი დავიწყე, ყველა გაშტერებული შემომაჩერდა; მე გამიცნეს, წამოცვივდნენ, მიცნეს, ყველა ძველი ნაცნობი იყვნენ, ხელით თავი შეიკავეს, ჩემი ჩაპარვა არ გამჟღავნებულიყო, დასხდნენ, ორი კაცი გარეთ დააყენეს სადარაჯოთ. გახელდა კამათი,

---

რაიც დასრულდა ერთხმათ განაჩენით — საკ. კომიტეტს უარი ეთქვას მოთხოვნილებაზე და განაგრძოს მუშაობა ძველებურათ. მათ მაინც დაენიშნეს თავისი კომიტეტი, ხოლო ჩვენი გამოაცხადეს პარტიის გარეთ. ასტყდა დიდი შუღლი. ყველა რაიონებში ისინი მარცხდებოდნენ, ყველგან მუშათა მასა ორივე ხელებით ეჭიდებოდნენ ორგანიზაციის ძველ წყობას, მუშათა მეთაურობას და საარჩევნო წესებს.

ამ დროის ცნობა მივიღე ბაქოდან, ინა დაიჭირესო დაპატიმრებული, ოფიციალურათ ბოლომ ვერ გამოარკვიებდნენ. მაგრამ ვინახულე ცოლის ექიმი ი. ელიაშვილი, ჩემი ძველი ნაცნობი და ამხანაგი, რომ ის ჩემი ცოლია, ფეხმძიმეთაა, ამ ერთ თვეში ელის, ციხეში მოელოგინება შეუძლებელია და თუ შეიძლება განთავისუფლება ამ მოტივებით თქვა. დამპირდა, დაპირება შეასრულა. ორივე ერთად წავედით თბილისისაკენ და იქ დავბინავდით ცალ-ცალკე, მე კომპანიატელ ბინაზე დიდუბეში. ზაფხულის პირველ რიცხვებში ის წავიდა ლანჩხუთში ახალ დაბადებული გოგონით (ასმათი). მე დავრჩი თბილისში. რადგან ერთ თვეში თბილისი გაიწმინდა ბოლშევიზმისაგან და ჯერი მიდგა პროვინციაზე. მე გამგზავნეს ბათუმში, სადაც დავყავი ორი კვირა, ვაკეთებდი მოხსენებებს. ყოველგან სადაც კი გავივლიდი დავის შინა-

არსს — მუშების ხელქვეით რაიონ, ინტელიგენციის მეთაურობა, პროფ. რევოლიუციონერის ბატონობა, ლენინის დოქტრინის ციტატებით წარმოდგენილს — უარყოფდნენ ბოლშევიზმს. ამასთანავე უარყოფითად უყურებდნენ რუსულ მენშევიზმს, რომელიც წერილებში უდავებოდნენ ლენინელთ, ხოლო მთავარში კი მათ ეთანხმებოდნენ.

ამ ნაირათ, ჩამოყალიბდა ამ დავებში ქართული მენშევიზმი, მუშური და რევოლიუციური, განსხვავებული რუსულისაგან, არამუშურის და ნაკლებათ რევოლიუციურისაგან. ამ ჩვენი მენშევიზმის ორგანო გახდა არალეგალური გამოცემა „სოციალ-დემოკრატი", სადაც მოვათავსე წერილები ნ. რამიშვილის თანამშრომლობით ამ საგანზე: მენშევიზმი თუ ბოლშევიზმი. ეს წერილები შემდეგ რუსულათ გამოსცეს ჟენევაში, დანის წინასიტყვაობით, როგორც ახალი სიტყვა. ბოლშევიკები გაირიყენ მთელ საქართველოში.

ასე წერს ნოე ჟორდანია,

სხვათა შორის, თავის წიგნში "ჩემი წარსული", რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში.

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება, ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემულო მსმენელებო, ზოგიერთი დებულება დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციიდან, რომელიც საქართველოში ძალაში იყო 1921 წლის 18-ტ მარტამდე, როცა საქართველო დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა:

"პიროვნება ხელშეუხებელია..."(მუხლი 22-ე)."ყოველი მოქალაქის ბინა შეუვალია..."(მუხლი 28-ე)."ყოველი მოქალაქე მიმოსვლის და ბინადრობის არჩევაში სრულიად თავისუფალია..."(მუხლი 30-ე)."ყოველი მოქალაქე სინდისის სრული თავისუფლებით სარგებლობს..."(მუხლი 31-ე)."ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად"(მუხლი 32-ე)."...მოქალაქეთ უფლება აქვთ მთავრობის ნებადაურთველად შეიკრიბონ საჯაროთ და უიარაღოთ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ."(მუხლი 33-ე)."მუშათა გაფიცვა თავისუფალია:"(მუხლი 38-ე).
და ამიტომაა ჩვენი დევიზი - ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ლაპარაკობს რადიო "თავისუფლება!.."

==================

ეხება რა არსებით განსხვავებას ბოლშევიზმს, რუსულ მენშევიზმსა და საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას შორის, ნოე ჟორდანიას თავის წიგნში "ჩემი წარსული", რომელიც 1953 წელს გამოიცა პარიზში, სხვათა შორის წერს:

> და გამგზავრებული ბათუმში, სადაც დავყავი ორი კვირა, ვაკეთებდი მოხსენებებს. ყოველგან სადაც კი გაიგებდნენ დავის შინაარსს — მუშების ხელქვეითი როლი, ინტელიგენციის მეთაურობა, პროფ. რევოლუციონერის ბატონობა, ლენინის დოქტრინის ცენტრებით წარმოდგენილი — უარყოფდნენ ბოლშევიზმს. ამასთანავე უარყოფითად ეკიდებოდნენ რუსულ მენშევიზმს, რომელიც წვრილმანებში ეწინააღმდეგებოდა ლენინელთ, ხოლო მთავარში კი მათ ეთანხმებოდნენ.
>
> ამ ნაირად, ჩამოყალიბდა ამ დღეებში ქართული მენშევიზმი, მუშური და რევოლუციური, განსხვავებული რუსულისაგან, არამუშურის და ნაკლებად რევოლუციურისაგან. ამ ჩვენი მენშევიზმის ორგანოდ გახდა არალეგალური გამოცემა „სოციალ-დემოკრატი", სადაც მოთავსდა წერილები ნ. რამიშვილის მონაწილეობით ამ საგანზე: მენშევიზმი თუ ბოლშევიზმი. ეს წერილები შემდეგ რუსულად გამოსცეს ჟენევაში, დანის წინასიტყვაობით, როგორც ახალი სიტყვა. ბოლშევიკები გაირიყნენ მთელ საქართველოში. ხოლო ბაქოში გაგზავნილ ჩვენმა ემისრებმა დასაყრდენი ფეხი პოვეს უმთავრესად ქართველ მუშებში, რუსები კი ირყეოდნენ, იქეთ-იქით მირბოდნენ-მორბოდნენ, ბოლოს გაიხლიჩნენ ორად. ჩამოყალიბდა ორი ორგანიზაცია.
>
> ამნაირად, საქართველოში მხოლოდ დამკვიდრდა და გაბატონდა მარქსიზმის ძირითადი ორგანიზაციული და პოლიტიკური ლოზუნგი: მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა. ჩვენ გამოვეყავით როგორც რუსულს, ისე ევროპიულ სოციალიზმს. რუსების ლოზუნგი და პრაქტიკა იყო: მუშათა განთავისუფლება „თავდადებული ინტელიგენციის საქმეა", ლოზუნგი წმინდა ნაროდნიკული, და ახლა ს.-დ. მიერ მითვისებული. ორივე შემთხვევაში, ევროპაში და რუსეთში, მუშათა მასათ გულისხმობდნენ მხოლოდ ქარხნის მუშებს, სამრეწველო პროლეტარიატს, რომელიც შეიყვანს აღთქმულ ქვეყანაში დანარჩენ მშრომელთა მასას (გლეხებს, ხელოსნებს და სხ.). ჩვენ კი გავავრცელეთ მუშის ცნება გლეხზე და მათგან შევქმენით ერთი რაზმი, ერთი ჯარი, რასაც უნდა განეხორციელებინა ერის მობრუნებული, დემოკრატიული სოციალ-პოლიტიკური შენობა.
>
> ასე გაიყარნენ გზები საქართველოს და რუსეთის ს.-დ. შორის; ხოლო ამავე დროს ვიყავით ერთ პარტიაში,

ქრით ც. კ. და ყრილობის მეთაურობაში. ასეთ პირობებში ჩვენი ტაქტიკა ნათელი იყო — უნდა მოგვეხდინა გავლენა თვით რუსებზე და მიგვეახლოვებინა ისინი ჩვენს მსოფლმხედველობასთან.

ასე წერს ნოე ჟორდანია თავის წიგნში "ჩემი წარსული" არსებითი განსხვავების შემდეგ ბოლშევიზმს, რუსულ მენშევიზმსა და საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას შორის.

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..
================================

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება
ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემულო მსმენელებო,

ილიას სიტყვები:

"თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი;
შენ ხარ ჩაგრულის, წამებულის წმინდა სალარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა!"

და ამიტომაა ჩვენი დევიზი - ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ლაპარაკობს რადიო "თავისუფლება!.."
==================

საქართველო 60-ი წლის წინათ:

"პირველი დასი"

დიქტორი:..........(გაგრძელება 1-ლი გვერდიდან):

სანამ საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენის წინა-პერიოდს შევეხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია გავარკვიოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ის იდეური მიმდინარეობანი,რომლებმაც წარმოშვა 1918 წლის 26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენის გზა.

ეროვნულმა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ფართოდ იჩინა თავი XVII-XIX საუკუნეებში ევროპისა და ამერიკის დაჩაგრულ ერებში, და ამ იდეამ ფეხი მოიკიდა (მით უმეტეს) საქართველოში,რომელიც მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში თავის საკუთარ ზურგზე განიცდიდა უცხო ბატონობის საშინელებას,რაც საქართველოს,ქართველ ხალხს ყოფნა-არყოფნის წინაშე აყენებდა. თუ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ეროვნული თავისუფლებისაკენ ლტოლვა უფრო პრაქტიკულ,ვიდრე თეორიულ ხასიათს ატარებდა, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში უკვე ყალიბდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვადასხვა მიდინარეობანი. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი იდეური მიმართულება ცნობილია "პირველი დასის" სახელწოდებით,რომელსაც აგრეთვე როგორც "ჰუმანისტურ-დემოკრატიულ მიმდინარეობას" ახასიათებენ. "პირველი დასი" გამოჩნდა საზოგადოებრივ ასპარეზზე მაშინ,როცა 1861 წელს, ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე ე.წ."ძველ" და "ახალ" თაობათა წარმომადგენლების შეტაკებას ჰქონდა ადგილი ჟურნალ "ცისკრის" ფურცლებზე."ეს იყო - წერს მ.გაფრინდაშვილი - ქართველ განმანათლებელთა, ე.წ.თერგდალეულთა,ე.ი.რუსეთში განათლებამიღებული მოწინავე ქართველი ახალგაზრდობის ის ნაწილი,რომელმაც ფართოდ გააჩაღა იდეური ბრძოლა ბატონყმური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ განაგრძო და განავითარა ადრინდელი ქართველი განმანათლებლებისა და ჰუმანისტების პატრიოტული და დემოკრატიული ტრადიციები".

ამ მიმდინარეობის ლიტერატურული ორგანო იყო ჟურნალი "საქართველოს მოამბე", რომელიც გამოიცა 1863 წელს. ამ ჟურნალმა გააგრძელა და განავითარა პატრიოტული იდეები, რომლებიც ჯერ სოლომონ დოდაშვილის "სალიტერატურონი ნაწილნი თბილისის უწყებათანში" ჩაისახენ და მერმეთ გიორგი ერისთავისა და ივანე კერესელიძის "ცისკარში" უფრო ფართოდ იჩინეს თავი. შემდეგ "პირველი დასის" მიმდევარნი, 60-70-იან წლებში, "დროება", "კრებულსა" და "ტიფლისკი ვესტნიკში" თანამშრომლობდნენ. 1877 წლიდან 1906 წლამდე კი პირველდასელთა ორგანო იყო გაზეთი "ივერია", რომელიც პატრიოტულ-დემოკრატიულ პროგრამას იცავდა. პირველდასელები ერისა და კაცობრიობის პატრიოტულ-ჰუმანისტური თვალსაზრისით უდგებოდნენ ყველა საზოგადოებრივ მოვლენას და ეწეოდნენ ბრძოლას ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. პირველი დასის ამ ჰუმანისტურ-დემოკრატიულ იდეურ მიმართულებას მეთაურობდა ილია ჭავჭავაძე, რომელსაც გვერდში უდგნენ აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, მოგვიანებით ალექსანდრე ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა.

პირველდასელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჰუმანიტარულ-დემოკრატიული მიმართულება, შეიძლება, ყველაზე უფრო ხხარტად გამოისახება ილია ჭავჭავაძის ცნობილი გამონათქვამით - "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!"

პირველდასელთა იდეურ მემკვიდრეებად უნდა ჩაითვალონ ის პირები, რომლებმაც 1911-თ წელს, როგორც ამას რეზო გაბაშვილი მოგვითხრობს, დაარსეს საქართველოს ეროვნული პარტია, რომელიც 1917-ი წლის რუსეთის თებერვლის დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, წოდებულ იქნა "საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიად", და რომელმაც აქტიური როლი ითამაშა საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენის წინაპერიოდში, დამოუკიდებლობის დროსა და დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის შემდეგაც.

<u>გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..</u>

## საქართველო სამოცი წლის წინათ:

"მეორე დასი"

დიქტორი:..............(გაგრძელება 1-ლი გვერდიდან):

სანამ საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენის პერიოდს შევეხებოდეთ, საჭიროა გავარკვიოთ აგრეთვე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ის იდეური მიმდინარეობანი,რომლებზედაც აღმოცენდა 1918-ი წლის 26-ი მაისი,საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენის დღე.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში,როგორც წინა საუბარში ავ-ღნიშნეთ, წარმოიშვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთი მიმართულება,რომელიც "პირველი დასის" სახელწოდებითაა ცნობილი და რომლის სულისჩამდგმელი და მეთაური იყო ილია ჭავჭავაძე,რომელსაც გვერდში ედგა აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და მოგვიანებით ალექსანდრე ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა. არა მარტო პირველდასელთა საერთო ეროვნულ ლოზუნგად იქცა ილიას ცნობილი გამონათქვამი -"ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!"

მაგრამ "პიველი დასის" გვერდით თავი იჩინა "მეორე დასის" ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოვრაობის მიმართულებამ,რომლისთვის სოციალური საფუძველი და თეორიული წყაროები ძირითადათ იგივე იყო,რაც პირველდასელებისა, მაგრამ იგი მესამე წოდების მოთხოვნათა უფრო რადიკალურ გამომხატველად გამოდიოდა. ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან თავისუფალი,დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლად და ბატონ-პატრონად მათ მიაჩნდათ მშრომელი,განათლებული ხალხი. იცავდნენ მესამე წოდებას,განსაკუთრებით უმიწაწყლოებს,რომლებმაც ქალაქს მიაშურეს.

მეორედასელთა ამგვარი რადიკალურ-დემოკრატიული პროგრამა მაშინდელ ეროვნული განვითარების მოთხოვნილებებს პასუხობდა.

მეორედასელთა რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობის ორგანოები იყო "დროება" 1866-85 წლებში; "სასოფლო გაზეთი" 1868-74 წლებში;

"მოამბე" 1894-1897 წლებში; "კვალი" 1893-1903 წლებში და სხვა. ამ რადიკალურ-დემოკრატიულმა ჟურნალ-გაზეთებმა, ჰუმანიტარულ-დემოკრატიულ "საქართველოს მოამბესთან" და "ივერიასთან" ერთად დიდი როლი ითამაშეს ეროვნულ-რევოლუციური აზროვნების დამკვიდრებაში.

მეორედასხელების იდეურ მიმდინარეობას მეთაურობდნენ გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სერგი მესხი.

გიორგი წერეთლის რედაქტორობით 1866-ს წელს იწყო გამოსვლა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობის ორგანომ გაზეთმა "დროებამ". გიორგი წერეთლის იდეალი იყო მშრომელთა საზოგადოება, რომლის ეკონომიური საფუძველი იქნებოდა ერთსა და იმავე დროს მწარმოებელ, მომხმარებელ და გამსაღებელ ამხანაგობებში გაერთიანებული. პოლიტიკური ფორმა კი უნდა ყოფილიყო მთელი ხალხის მიერ არჩეული ეროვნული ხელისუფლება.

ნიკო ნიკოლაძემ კი ჩამოაყალიბა მეორედასხელთა პროგრამა, რომლის თანახმად-ქართული ენისა და კულტურის დაცვის გზით-ეროვნულ თავისუფლებისათვის ბრძოლას თვლიდა უპირველეს ამოცანად. ნიკო ნიკოლაძის აზრით, ხალხის ეროვნული თავისუფლება შეუძლებელია მისი სოციალ-ეკონომიური განთავისუფლების გარეშე."ხალხში ნამდვილი ერთობა - წერდა ის - მხოლოდ მაშინ დამყარდება, როცა "მისი ეკონომიური ცხოვრება გათანასწორდება, როცა ხალხი ეკონომიურად განთავისუფლდება და შეერთებულ შრომას შეეჩვევა".(ნ.ნიკოლაძე,ნაწერი,II,1914,გვ.118-119).

"ნიკო ნიკოლაძე ყოველთვის მთელი ერის სახელით გამოდიოდა და იდეალად მიიჩნევდა ისეთ საზოგადოებას, სადაც გამეფებულ იქნებოდა საყოველთაო შრომა, თანასწორობა, თავისუფლება და ბედნიერება," - ამბობს მ.გაფრინდაშვილი "საქართველოს ისტორიის ნარკვევების მე-5 ტომის 521-ე გვერდზე.

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..

საქართველო 60-ი წლის წინათ:

ხალხოსნურ-დემოკრატიული მოძრაობა

დიქტორი:............(გაგრძელება 1-ლი გვერდიდან):

საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენის პერიოდის გაგებისათვის საჭიროა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმ იდეური მიმართულებათა გარკვევა, რომლებმაც განაპირობეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება 1918 წლის 26-ს მაისს.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პირველდასელთა და მეორედასელთა იდეურ მიმდინარეობათა გვერდით, საყურადღებოა აგრეთვე ხალხოსნურ-დემოკრატიული მიმდინარეობა, რომელმაც საქართველოში თავი იჩინა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში თავიდანვე იჩინა თავი სოციალური თავისუფლების იდეებმა, რომლებიც პირველ და მეორე დასელებმა საგლეხო რეფორმების მომზადებისა და გატარების პერიოდში მთელი ერის პროგრამად ჩამოაყალიბეს. იმ დროს ქართველი "მესამე წოდების" ძირითად ნაწილს გლეხობა წარმოადგენდა. პირველი და მეორე დასელების უმრავლესობა გლეხთა სოციალური განთავისუფლების მოთხოვნას მთელი ხალხის განთავისუფლების მოთხოვნას უქვემდებარებდა.

50-60-ან წლებში საქართველოში ისახება ისეთი იდეები, რომლებიც, უწინარეს ყოვლისა, არა მთელი ჩაგრული ერის, არამედ მხოლოდ ჩაგრული გლეხობის სოციალური განთავისუფლების გზით მთელი ხალხის განთავისუფლების მოთხოვნას გამოხატავდნენ. ასეთი მიმდინარეობა საბოლოოდ 70-ან წლების დამდეგს ჩამოყალიბდა და თავს სოციალურ-რევოლუციურ ან ხალხოსნურ პარტიას უწოდებდა. "იგი მოითხოვდა მსხვილი მიწათმფლობელობის სრულ გაუქმებას ან მოსპობას, მიწის უფასოდ გადაცემას გლეხობისათვის და პოლიტიკური ხელისუფლების დემოკრატიზაციას" იმავა-

რად,რომ ახალი საზოგადოების ერთადერთი ბატონპატრონი ამხანაგობაში გაერთიანებული სოფლის მშრომელი,თანასწორი წვრილი მესაკუთრენი ყოფილიყვნენ" - წერს მ.გაფრინდაშვილი "საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მე-5-ე ტომში.

ხალხოსნების წრე ჯერ კიდევ 50-ანი წლების ბოლოს შეიქმნა თბილისში,რომელსაც დანიელ ჭონქაძე მეთაურობდა. 60-ან წლებში ასეთივე წრე შექმნა ანტონ ფურცელაძემ. 70-ანი წლების დასაწყისში კი თბილისის, გორის,ქუთაისის,ოზურგეთის ხალხოსნური წრეები ერთიან ორგანიზაციად გაერთიანებას ცდილობენ და საქართველოს სოფლებში არალეგალურ მუშაობას ეწევიან.

ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი - ნ.ლომოური,ს.მგალობლიშვილი, შ.გულისაშვილი - ხალხოსნურ იდეებს ქადაგებენ. ამ მიზნით ხალხოსანი ინტელიგენტები და მათი წინამორბედნი,არალეგალურ ლიტერატურასთან ერთად,მაშინდელ ლეგალურ პრესასაც იყენებდნენ,როგორც,მაგალითად, "საქართველოს მოამბეს","დროებას","გუთნის დედას","ივერიას". მაგრამ მათ თვითონაც დაარსეს თავიანთი ორგანოები,მაგალითად,"მნათობი" 1869-72 წლებში, "შრომა" 1881-83 წლებში, "იმედი" 1881-83 წლებში.

ხალხოსნურ-დემოკრატიულმა მიმდინარეობამ საქართველოში წინ წაწია ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და დიდი როლი შეასრულა ხალხის გამოღვიძებასა და აღზრდაში.

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..
================================

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება, ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაუკუმირებით მაგონდება,პატივცემული მსმენელები,

ჩვენი აკაკის სიტყვები:

"ვინ ნახა თავისუფლება
ტანჯვით და მოთმინებითა!"

ქართული რედაქცია-რადიო"თავისუფლება"
ავტორი,დიქტორი: დავით თაბორიძე

საქართველო 60-ი წლის წინათ:

1783 წლის ხელშეკრულება

დიქტორი:..........(გაგრძელება 1-ლი გვერდიდან)

სანამ შევეხებოდეთ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა მოვლენებს - 1917 წლის რუსეთის თებერვლის დემოკრატიულ რევოლუციასა და ოქტომბრის ბოლშევიკურ გადატრიალებას, საჭიროა გარკვეულ იქნას საქართველოს იმდროინდელი იურიდიული სტატუსი, როგორც სახელმწიფოსი. ამისათვის კი საჭიროა განხილულ იქნას ორი იურიდიული აქტი,რომლებსაც დიდი არა მარტო იურიდიული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისას 1918 წლის 26 მაისს.

პირველი ასეთი საერთაშორისო სამართლის აქტია 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება,ანუ ტრაქტატი,რომელიც დადებულ იქნა მეფე ერეკლესა და იმპერატრიცა ეკატერინა მეორეს შორის.

იმყოფებოდა რა "სამ-ცეცხლს-შუაშ - ერთის მხრივ ოსმალების, მეორეს მხრივ სპარსელებისა და მესამეს მხრივ რუსების ინტერესების გზაჯვარედინზე, მეფე ერეკლემ გადაწყვიტა ხელი აელო საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიულ ტრადიციაზე, და იმის მაგივრად,რომ ისევ განეგრძო ამ სამ დიდ სახელმწიფოთა შორის წონასწორობის დაცვა და ამით საქართველოს სრული დამოუკიდებლობისა და სუვერენობის შენარჩუნება, მან პირი იბრუნა ჩრდილოეთისაკენ. მართალია, მან ჯერ მოშინჯა ნიადაგი დახმარება მიეღო ევროპიდან, მაგრამ როცა ამგვარი იმედები გაუცრუვდა, თავისი ელჩები გაგზავნა მეფის რუსეთის

კარზე, აწარმოა მოლაპარაკებები იმპერატრიცა ეკატერინასთან და 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკის ციხე სიმაგრეში შესდგა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების ხელმოწერა. ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა ი.კ.მუხრანბატონმა და გ.რ. ჭავჭავაძემ ხელი მოაწერეს ამ ხელშეკრულებას საქართველოს მხრიდან, ხოლო რუსეთის მხრიდან ხელი მოაწერა გენერალმა პაველ პოტიომკინმა.

ამ ხელშეკრულების ტექსტი შესდგებოდა პრეამბულის, 13-ი ძირითადი და 4-ი სეპარატიული მუხლის,ანუ არტიკულისაგან. 1784 წლის 24 იანვარს მას ხელი მოაწერეს საქართველოს სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა, ერეკლეს მიერ ხელშეკრულების რატიფიკაციის დღეს.

ეს "ტრაქტატი",რომელსაც"მეგობრობითი პირობა" ეწოდებოდა,ძალაში შევიდა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შემდეგ. 1784 წლის 22-რ იანვარს ერეკლე მეორემ მიიღო ეკატერინე მეორის სარატიფიკაციო სიგელი, ხოლო 1784 წლის 24-ს იანვარს ერეკლემ თავის სარატიფიკაციო სიგელს მოაწერა ხელი და გადასცა იგი რუსეთის წარმომადგენელ ვ.ტამარას.

რუსეთ-საქართველოს ამ ხელშეკრულების შესახებ გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება: მ.ხელთუფლიშვილი,ნ.კორკუნოვი,ბ.ნოლდე და გ.ვეშაპელი,მაგალითად, ფიქრობდნენ,რომ ამ ხელშეკრულებით დამყარდა საქართველოზე რუსეთის "პროტექტორატი". ზ.ავალიშვილის აზრით, ამ ხელშეკრულებით რუსეთი ამყარებდა საქართველოზე "პროტექტორატსაც და ვასალიტეტსაც".მაგრამ ო.ნიპოლდი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტრაქტატი საქართველოს არ ართმევდა სუვერენული სახელმწიფოს სარისხს და იგი საერთაშორისო სამართლის სუბიექტის უფლებას არ კარგავდა. ფრანგი მეცნიერის ლე_ფიურის აზრით, 1783 წლის ტრაქტატი იყო არა მარტო ხელშეკრულება პროტექტორატის შესახებ, არამედ მეგობრობისა და კავშირის შესახებაც. ივანე ჯავახიშვილი კი,თავის ნაშრომში – "დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში" (თბილისი,1919), 1783 წლის ტრაქტატს ახასიათებს ასე:"მეგობრული

ხელშეკრულება კავშირისა და მფარველობის შესახებ". მიუხედავათ აზრთა ამგვარი სხვაობისა, უდაოა, რომ 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატის ძალით საქართველო რჩებოდა სუვერენული სახელმწიფო და ბაგრატიონთა დინასტია ინარჩუნებდა საქართველოს მეფის ყველა უფლე-ბასა და ტიტულს; მხოლოდ საგარეო პოლიტიკაში მას უნდა ეთათბირა რუსეთის იმპერატორთან გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

რუსეთის იმპერიამ კი აღნიშნული აქტით დიდი გამარჯვება მოიპოვა ამიერკავკასიაში, გადალახა რა უომრად კავკასიონის მთაგრეხილი და მის სამხრეთით უაღრესად ხელსაყრელი პლაცდარმი მიიღო. თუ საქართველომ რა სარგებლობა მიიღო ამ ტრაქტატიდან, ეს მთელი სიგრძე-სიგანით ნათე-ლი გახდა 1801-სა და მის მომდევნო წლებში,რაზედაც ჩვენ შემდეგ საუ - ბარში შევეხებით.

დიქტორი:
========

(“თავისუფლების ჰიმნი” ოპერა “დაისიდან”)

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!.. —
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
და ამასთან დაკავშირებით მაგონდება პატივცემულო მსმენელებო,

ნიკოლოზ ბარათაშვილის - სიტყვები:

“რა ხელ ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვევებული?
ესრეთ რას არგებს კაცსა დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება?”

და ამიტომაა ჩვენი დევიზი - ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

(“თავისუფლების ჰიმნი”ოპერა“დაისიდან”)

ლაპარაკობს რადიო “თავისუფლება!..”

==================

საქართველო 60-ი წლის წინათ:

საქართველოს 1801-ი წლის ოკუპაცია

ლიქტორი:.........(გაგრძელება 1-ლი გვერდიდან).

ხანამ საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენის წინა პერიოდს განვიხილავდეთ, საჭიროა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, იურიდიული სტატუსის განსაზღვრა, რის საფუძველია 1783-ი წლის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატი, რომლის ძალით, როგორც წინა საუბარში განვიხილეთ, საქართველოს წართმეული არ ჰქონდა სუვერენული სახელმწიფოს სტატუსი და არ კარგავდა სუვერენული სახელმწიფოს ხარისხს, როგორც ამას საზგასმით აღნიშნავს ო.ნიპოლდი.

მაგრამ 1783-ი წლის ხელშეკრულების დადების შემდეგ, მეფის რუსეთი ყოველი ხერხით ცდილობდა საქართველო, ნებსით თუ უნებლიეთ, შეეყვანა რუსეთის უშუალო ბრძანებლობის ქვეშ და გაეუქმებია საქართველოს სამეფო. ამის, ასე ვთქვათ, ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, როცა 1798 წელს გარდაიცვალა მეფე ერეკლე და ტახტზე ავიდან გიორგი XII-ე. ამ შემთხვევაში არსებითი არ არის ის ფაქტი, რომ მეფე გიორგის ავადმყოფობასთან დაკავშირებით, ბრძოლა გაჩაღდა სამეფო სახლის შიგნით ტახტის დაუფლებისათვის. გიორგი XII-ემ დაარღვია შეპირება, რომ ტახტის მემკვიდრედ იულონ ბატონიშვილს ცნობდა და რუსეთის იმპერატორს პავლე პირველს საკუთარი შვილის დავითის მემკვიდრედ დამტკიცება მოთხოვა 1783 წლის ტრაქტატის შესაბამისად, რაც პავლე პირველმა 1799-ი წლის 18-ც აპრილს დააკმაყოფილა. იულონის და დავით ბატონიშვილების ორი მტრული პარტიის გარდა, რომლებიც 1783-ი წლის ტრაქტატის პოზიციაზე იდგენ, არსებობდა კიდევ ერთი მცირერიცხოვანი დაჯგუფება, რომელიც რუსეთთან სრული შეერთების მომხრე იყო. მაგრამ ყველა ამ დაჯგუფებების დავას არავითარი იურიდიული გაფორმება

არ მოუპოვებია, თვით გიორგი XII-ეს მოლაპარაკებების ჩათვლით; მოლაპარაკებებისა, რომელშიც ის რუსეთის"ქვეშევრდო-

მიზეზე" დაპარაკობდა,რაც - როგორც მ.დუმბაძე "საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მე-IV ტომში წერს -"არსებითად საჭირო დახმარების მიღების მიზნებს ემსახურებოდა, მაგრამ საშინაო დამოუკიდებლობაზე ხელის აღებას არ გულისხმობდა",არც,რა თქმა უნდა, საქართველოს სამეფოს და ბაგრატიონთა დინასტიის გაუქმებას გულისხმობდა.

მაგრამ ქართლ-კახეთი,გაუთავებელი ომების შედეგად, იმდენად დასუსტებული იყო იმ დროს, რომ რუსეთის მთავრობა საქართველოს ოკუპაციისათვის სათანადო ზომებს იღებდა.

1801-ი წლის 18-ც იანვარს პეტერბურგში გამოქვეყნდა პავლე პირველის მანიფესტი,რომელიც ჯერ კიდევ გიორგი მეფის სიცოცხლეში - 1800-ი წლის 18 დეკემბერს იყო შედგენილი, და ქართლ-კახეთი რუსეთის გუბერნიად გამოცხადდა. მაგრამ 1801-ი წლის 11-ც მარტს პავლე იმპერატორის მკვლელობასთან დაკავშირებით ქართხ-კახეთში რუსული მმართველობას დანერგვის საქმე დროებით შეფერხდა,ვინაიდან ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა-ფორმალურად საქართველოს საკითხის განხილვა სახელმწიფო საბჭოს დაავალა,მაგრამ 1801 წლის 12-ც სექტემბერს გამოცხადებულ იქნა ალექსანდრე პირველის მანიფესტი,რის საფუძველზედაც ქართლ-კახეთის სამეფოს ლიკვიდაცია დასრულდა და რუსეთმა მოახდინა ქართლ-კახეთის ოკუპაცია. ამ აქტით მეფის რუსეთმა უხეშად დაარღვია რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ხელშეკრულება, და გიორგი XII-ეს გარდაცვალების შემდეგ საქართველოს ტახტზე არ დაუშვა მეფე გიორგის კანონიერი მემკვიდრე დავით ბატონიშვილი,რომელიც თვით იმპერატორ პავლეს მიერაც ცნობილი იყო საქართველოს ტახტის კანონიერ მემკვიდრედ.

ამგვარად, 1801-ი წლის 12-ი სექტემბრიდან ჯერ ქართლ-კახეთი, ხოლო შემდეგ მთელი საქართველო დაპყრობილ იქნა.

მეფის რუსეთი ცდილობდა 1801 წლის მალადობის აქტი, გარეგნულად, ერთმორწმუნე ქართველი ერის დახმარების სურვილით შეენიღბა. რუსეთის ამგვარი პოლიტიკის შესახებ ენგელსი წერდა:"ყოველგვარ დაპყრობას ტერი-

ტორიისა,
ყოველგვარ ძალადობას, ყოველგვარ ჩაგვრას ცარიზმი ახორციელებდა მხოლოდ განათლების, ლიბერალიზმის, ხალხთა განთავისუფლების ნიღაბით".(კ.მარხი და ფ.ენგელსი:"სოჩინენიი",იზდ.II,ტ.XXII,გვ.24).

საქართველოს სამეფოს გაუქმების დღიდანვე დაიწყო განმათავისუფლებელი მოძრაობა,რომელიც მომდევნო პერიოდში სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა.ამან აიძულა რუსის ჯარის მთავარსარდალი ციციანოვი და თვით რუსეთის ხელმწიფე ეთქვათ, რომ "ქართველები საგარეო და საშინაო ამბოხებათა ქარიშხალში გახვეული ხალხიაო".(ის."საქართველოს ისტორიის ნარკვევები",ტ.IV,გვ.819).

<u>ლიქტორი:</u> <u>("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")</u>

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება ,
ვინაიდან — ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
და ამასთან დაკავშირებით მაგონდება,პატივცემულო მსმენელებო,

ვაჟა-ფშაველას სიტყვები:

"უპირველეს ყოვლისა სული უნდა გრძნობდეს ბედნიერებას; ისე როგორც გაზაფხულზე ბუნება, უნდა ყვაოდეს, უნდა მწვანდებოდეს, უნდა იყოს ცხოველმყოფელი, მქმნელი სიცოცხლისა, ცოცხალ არსებათა მომცემი და ამასთან უსათუოდ თავისუფალი, როგორც გაზაფხულზე ბუნება".

ვაჟა-ფშაველა დასძენს:

"მონობა სიკვდილია - თავისუფლება სიცოცხლე და ბედნიერება. მონობაში არწივი ას წელს ვერ ცოცხლობს, თავისუფლებაში კი ორასსაც გადააჭარბებს".

და ამიტომაა ჩვენი დევიზი - ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

<u>("თავისუფლების ჰიმნი"ოპერა"დაისიდან")</u>
ლაპარაკობს რადიო "თავისუფლება!.."
==================

საქართველო 60-ი წლის წინათ:
===========================

"მესამე დასი"

დიქტორი:...........(გაგრძელება 1-ლი გვერდიდან):

საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენის წინა-პერიოდის გაგე-ბისათვის, საჭიროა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმ იდეური მიმართულებათა გარკვევა,რომლებმაც თავი იჩინეს საქართველოში მე-19 საუკუნის დასაწყისში და ჩამოყალიბდა იმავე საუკუნის მეორე ნა-. ხევარში.

მე-19 საუკუნის პირველდასელთა,მეორედასელთა და ხალხოსნური მოძრაობის იდეურ მიმდინარეობათა გვერდით, ყველაზე უფრო მასობრივი და სა-ხალხო სახე მიიღო "მესამედასელთა" მოძრაობამ,რომლის ჩამოყალიბება საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაარსებათაც ითვლე-ბა.

ნოე ჟორდანია წერს თავის მოგონებაში -"ჩემი წარსული",რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში, რომ პირველი შეხვედრა მომავალ მესა-მედასელთა მოხდა 1892 წელს, დეკემბერში ყვირილაში. ამ კონფერენ-ციაზე გაიმარჯვა ხალხოსნურმა მსოფლმხედველობამ. "ამბობდენ - წერს ნოე ჟორდანია - ჯერ გააცნობიერე მუშები,შემდეგ ისინი გაა-ცნობიერებენ გლეხებს; ამის შემდეგ ისინი შეერთწბიან და მოახდენენ რევოლუციას - ამ გრძელ წიდალობიდას ჩვენ ვერ მოვესწრებით,ჩვენი შვილებიც ვერ მოესწრება, ეს გრძელი გზაა,ჩვენ კი გვეჩქარება".

გადაწვეტილ იქნა ხელახლა შეყრა, და 1893 წლის 8-ა იანვარს, ზე-სტაფონში შეხდგა "მესამედასელთა" პირველი კონპირაციული თათბირი ნოე ჟორდანიას მეთაურობით, ნოე ჟორდანიას,რომლის კალამს ეკუთვნის აგრეთვე "მესამე დასის" პროგრამაც,რომელიც 1894 წელს დაბეჭდილ იქნა ცალკე წიგნადაც სახელწოდებით -"ეკონომიური წარმატება და ეროვნება" ასე დაარსდა საქართველოში პირველი მარქსისტული ორგა-

სახით დაარსდა ჯგუფი "მესამე დასი",რომლის საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია. "ამ დასის შეთაურად სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში – წერდა გიორგი წერეთელი– უნდა ჩაითვალოს ნინოშვილი",ჰქონდა რა მხედველობაში ეგნატე ნინოშვილის "გოგია უიშვილი" თუ "ჯანყი გურიაში", რომელშიც ეგნატე,სხვათა შორის, ასეთ აზრს გამოთქვამდა:

"...მერე რესპუბლიკური მმართველობა დავაარსოთ, ესე იგი,ამოვარჩიოთ პატიოსანი და ჭკვიანი კაცები და რამდენიმე წლის ვადით მივანდოთ ხალხის მართვა. შემდეგ,როცა ამათ მინდობილობას ვადა შეუსრულდება, სხვა ამოვირჩიოთ, ამის შემდეგ კიდევ სხვები..."

ეგნატე ნინოშვილი გარდაიცვალა 1894 წლის 12-ს მაისს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩირგვეთში, და მისი დასაფლავების დღე იქცა "მესამე დასის" პირველ ოფიციალურ საჯარო გამოსვლად.

ამგვარად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია,დასაწყისში "მესამე დასად" წოდებული, დაარსდა გაცილებით უფრო ადრე,ვიდრე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია. აი რას წერს ამის შესახებ ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული":

"1902 წლის დამდეგს ციხეში მივიღეთ თბილისის კომიტეტის ფურცელი, რამაც გაგვანცვიფრა იმით, რომ თავზე ეწერა: – რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. გამიკვირდა, რა შუაშია რუსეთის პარტია. როდის შევერთდით, რა პირობით – არაფერი არავინ იცოდა..... დამაფიქრა, შემეშინდა იდეოლოგიურადაც არ მიგვეღო რუსების მთელი პოზიცია,სადაც არ იდგა არც გლეხის საკითხი, არც ნაციონალური, არც ორგანიზაციული ჩვენის გაგებით და სხვა.....ჩვენში ორგანიზაცია შესდგებოდა მხოლოდ მუშებისაგან, ორგანიზატორები და ხელმძღვანელები იყვნენ ისინი. მხოლოდ პროპაგანდისტები იყვნენ ინტელიგენტები, მაგრამ მათ არ ჰქონდათ გადამწყვეტი ხმა კომიტეტში და რაიონებში. ნივთიერი მხარე მთლად აწვა თავზე მუშებს,რომელნიც ყოველ"პალუჩქაზე" იხდიდენ დადგენილ პარტიულ გადასახადს. რუსეთში კი იყო პირუკუღმა: ორგანიზაცია შესდგებოდა ინტელიგენტ-პროპაგანდისტე-

ზისაგან. მასსა მათ მისდევდა, ფულს შოულობდენ ინტელიგენტები და მოქონდათ ორგანიზაციაში, მუშა არას იხდიდა. ერთი სიტყვით, პარტია იყო სოციალ-დემოკრატ ინტელიგენტების იმ მიზნით, რომ მუშა ხალხი-სათვის მიეცა პოლიტიკური შეგნება ცარიზმთან საბრძოლველად. ეს იყო,მასაშადამე, პარტია არა მუშების,არამედ მუშების სასარგებლო, დიამეტრალურად წინააღმდეგი ჩვენი პარტიული წყობისა.....რაკი ასეთი დიდი განსხვავება იყო ჩვენსა და რუსებს შორის, სახიფათოო მიმაჩნდა ასე ხელაღებით მათ პარტიაში გათქვეფა. მაგრამ რაკი ეს მოხდა,საჭირო იყო თავისი ხასიათის შენარჩუნება....ამ მიზნის მისა-ღწევათ საჭირო იყო,პირველყოვლისა, შექმნა საქართველოს ცენტრალური ორგანოს," - ასე წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში -"ჩემი წარსუ-ლი" - საქართველოსა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიების პროგრამატულ განსხვავებების შესახებ.

მესამედასელთა პროგრამის არსი კი გამოიხატებოდა დებულებაში: ნივთიერი კეთილდღეობა,როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა.

და მესამედასელთა ამ მრწამს ხორცი შეესხა, როცა 1918 წლის 26-ს მაისს გამოცხადებულ იქნა საქართველოს დამოუკიდებლო-ბისა და სუვერენობის ისევ-აღდგენა.

---

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" იპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება,
ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!.. —
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
და ამასთან დაკავშირებით მაგონდება,პატივცემული მსმენელებო,

ქართული ხალხური სიბრძნე:
"სჯობს მონობაში გადიდკაცებულს,
თავისუფლების ძებნაში მკვდარი!"

## 1905 წლის რევოლუცია და საქართველო:

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა პერიოდში, ერთი უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო 1905-ი წლის რევოლუცია რუსეთში, რასაც უშედეგოდ არ ჩაუვლია საქართველოშიც.

"სახალხო რევოლუცია,რომელიც რუსეთის იმპერიაში აზვირთდა 1905 წლის დასაწყისში, შემზადებული იყო ქვეყნის ისტორიული ცხოვრების მთელი მსვლელობით" - წერს ი.ხუციშვილი"საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მე-6 ტომის 186 გვერდზე. საჭირო საბაბი გახდა 1905 წლის 9 იანვარი,როცა,პეტერბურგში, ზამთრის სასახლის მოედანზე და ქალაქის სხვა უბნებში მეფის მთავრობამ იარაღით გაუსწორდა მშვიდობიან დემონსტრანტებს: 1200-მდე მოკლული,5.000-ზე მეტი დაჭრილი - აი ამ "სისხლიანი კვირის" შედეგები.

9-ა იანვრის ამბებმა რუსეთის იმპერიაში მკაცრი პროტესტები გამოიწვია და ეს ტალღა საქართველოშიც შეიჭრა.საქართველოში იმართებოდა გაფიცვები,მიტინგები,კრებები. მაგრამ თუ რუსეთში რევოლუციური მოძრაობა მხოლოდ სოციალურ ხასიათს ატარებდა და მეფის რეჟიმის დამხობისაკენ მოუწოდებდა ხალხის მასებს, საქართველოში წინაპლანზე იდგა აგრეთვე ეროვნული საკითხი. ამ მხრივ,მაგალითად, დამახასიათებელია გორის მაზრის კავთისხევისა და ნიჩბისის სასოფლო საზოგადოებათა გლეხების 1905 წლის 10 მარტის მოთხოვნა თბილისში სახელმწიფო ხარჯზე უნივერსიტეტის დაარსების შესახებ, როგორც ამას წერს ი.ხუციშვილი გორის მაზრის რევოლუციური გლეხობის 1905 წლის ერთი მოთხოვნის შესახებ("საქ.კომუნისტი",1963,ნომერი 6,გვ.75-77).

გლეხთა მოძრაობა მოედო მთელ საქართველოს, რასაც მოყვა ის, რომ 1905 წლის 11-ი მარტიდან კავკასიის ხელისუფლებამ ქუთაისის გუბერნიაში,მაგალითად, სამხედრო წესები გაავრცელა. საქართველოს გლეხობა მიტინგებზე,სხვათა შორის, აყენებდნენ ასეთ მოთხოვნებს:
მემამულეთა, საზინის,საუფლისწულო და საეკლესიო მამულების ჩამორთმევა და მათი გადაცემა გლეხების ხელში;

წოდებრივი პრივილეგიების სრული მოსპობა და კანონის წინაშე ყველას გათანასწორება;
პიროვნების,ბინის და სხვა თავისუფლებათა სრული გარანტირება;
კრების,სიტყვის და ბეჭდვის სრული თავისუფლება;
საპასპორტო სისტემის გაუქმება და თავისუფალი მიმოსვლა;
სოფლად და მაზრებში თვითმართველობის სისტემის შემოღება;
საყოველთაო,უფასო და სავალდებულო სწავლა-განათლების დაწესება ქართულ ენაზე 16-ი წლის ასაკამდე;
თბილისში სახელმწიფო ხარჯზე უნივერსიტეტის დაარსება; და სხვადასხვა.

უკვე საქართველოს გლეხობის ამ მოთხოვნებინადაც ჩანს, რომ მეფის რუსეთში, ხალხთა ამ საპყრობილეში, მწვავედ იდგა აგრეთვე ეროვნული საკითხი. რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 57-ც პროცენტს შეადგენდნენ არარუსი ეროვნებანი,რომელნიც თვითმპყრობელობის ეროვნულ-კოლონიურ ჩაგვრას განიცდიდნენ(გვ.235).ამიტომ 1905 წლის რევოლუციურმა მოძრაობამ საქართველოში ეროვნული მოძრაობის ხასიათი მიიღო.

"11 იანვარს 1905 წელს - წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული",რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში - ჟენევის გაზეთში გამოქვეყნდა პეტერბურგის დეპეშები შესახებ მუშათა დემონსტრაციისა გაპონის მეთაურობით.მაშინვე გადავწყვიტე...დაუყონებლივ წასვლა საჭირო...გავსწიე თბილისისაკენ...რევოლუცია თანდათან ღრმავდებოდა მთელს იმპერიაში.მის შესასუსტებლად მთავრობამ გამოსცა ბრძანება შესახებ სათათბირო დუმის მოწვევის(ბულიგინის დუმა).ჩვენმა ორგანიზაციებმა დაადგინეს მის არჩევაში მონაწილეობის მიღება...ეს იყო გაგრძელება "კვალის" ტაქტიკის,ვიყოთ ყოველგან,სადაც კი მოვახერხებთ მისვლას, გადავაბათ არალეგალურ მუშაობას ლეგალური მუშაობა...ოქტომბრის შემდეგ დაიწყო რეაქცია,გამოცხადდა საალყო წესები, სამხედრო ჯარებს გადაეცა ხელისუფლება. ნამესტნიკის თანამემამულეს გრიაზნოვს ჩაბარდა მათი მეთაურობა. ორგანიზაციამ გადაწყვიტა მისი თავიდან მოცილება...გრიაზნოვის მოშორებამ არ შეაჩერა რეაქცია,თუმცა ეტყობოდა

ხელმძღვანელობის მოშლა...(დუმის არჩევნებში) საქართველოში ყველგან გავიდნენ ჩვენი პარტიის კანდიდატები. ასე რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია დუმაში გამოჩნდა ქართველების სახით."

— ასე წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული" 1905 წლის რევოლუციისა და მისი მომდევნო მოვლენების შესახებ.

---

რადიო "თავისუფლება" - ქართული რედაქცია

ავტორი და დიქტორი: დავით თაბორიძე

ს პ ი ც ი:

რადიო "თავისუფლების" მრწამსი-დევიზი:

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება, ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მოგონება, პატივცემულო მსმენელებო, —

ჩვენი დროის სიტყვები:

"...ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროთ, თავის ისტორიას ივიწყებს...დავიწყება ისტორიისა, მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა...წარსული მკვიდრი სამირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო - მომავლისა...შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების ულის წევა...უამისოდ თითონ შვილი, რა გინდა ძნე და გამჭრიახი იყოს, უხორთუმო სპილოს ემგვანება...და ამ წუთისოფელში ვერას გახდება...ისტორია ის დიდებული ტაძარია, სადაც უწირავს ერთიანს სულსა ერისას და სადაც აღუმართავს ერს თავის დიდებულ და დიდ-ბუნებოვან კაცთა უწმინდესნი სახენი და ზედ წაუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა,ვითა საშვილიშვილო ანდერძი".

და ამიტომაც ჩვენი დევიზი - ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა"დაისიდან")
ლაპარაკობს რადიო "თავისუფლება!.."

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია:

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა პერიოდში ერთერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს სოციალისტ-ფედერა-ლისტთა პარტიის დაარსება, რაც ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობის ერთერთ გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს. 1901 წლის დასაწყისში ქართველ ეროვნულ-დემოკრატთა ჯგუფმა გაზეთი "ცნობის ფურცელი" შეიძინა და კიდევ უფრო გააძლიერა პატრიოტული იდეების ლეგალური ქადაგება.ეს ჯგუფი არალეგალურ საქმიანობასაც ეწეოდა. რუსეთისაგან საქართველოს ანექსიის ასი წლისთავზე,მაგალითად, ამ ჯგუფმა გაავრცელა პროკლა-მაცია,რომელშიც ქართველ ხალხს ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებმდა და საქართველოს ეროვნულ დამოუკიდებლობას მოითხოვდა.

1903 წლის მაისიდან ქართველ ეროვნულ დემოკრატთა ჯგუფმა პა-რიზში დაიწყო გაზეთ "საქართველოს" გამოცემა; 1904 წელს კი ჟენე-ვაში ჩატარდა პირველი კონფერენცია. ეროვნულ-დემოკრატების მიერ და არჩილ ჯორჯაძის მეთაურობით(1861-1913 წწ.) დაარსდა "ქართველი სოციალისტფედერალისტების პარტია",რომლის პროგრამის დედა-ბოძი იყო საქართველოს ეროვნული თავისუფლების მოთხოვნა.რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, სოციალისტ-ფედერალისტების პროგრამით, ყველა ერი თვითონ გაუძღვებოდა თავის საქმეს და შესაფერ წვლილს შეიტანდა ფედერალური სახელმწიფოს დაცვაში;საერთაშორისო ასპარეზზე წარმომადგენლობის უფლება კი მთლიანად ფედერალური სახელმწიფოს ხელში იქნებოდა.

სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ყველაზე თვალსაჩინო თეორეტიკოსი იყო არჩილ ჯორჯაძე. ის და მისი მიმდევარნი – გ.მაიაშვილი, გ.ლასხიშვილი, მ.წერეთელი,ს.გაბუნია, ს.ფირცხალავა და სხვები–თვითმპყრობელობისაგან და ბატონყმობისაგან განთავისუფლე-ბული ავტონომიური საქართველოს შექმნის პროგრამას იცავდნენ რუსეთის ხალხების ფედერაციაში.

"არჩილ ჯორჯაძე 1905-1907 წლების რევოლუციის უპირველეს ამოცანად საქართველოში ეროვნული საკითხის გადაწყვეტას თვლიდა - წერს "საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მე-6 ტომის 242-ე გვერდზე ი.ხუციშვილი - და მისი განხორციელების იმედს მთელ ხალხზე...ამყარებდა...."საერთო მოქმედების ნიადაგად" მას წარმოდგენილი ჰქონდა ქართული ენა,ეროვნული ვაჭრობა-მრეწველობა და საქართველოს მიწა-წყალი. მისი აზრით, მიწა და ენა ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების სამირკველია, მიწა - ეკონომიური, ენა - სულიერის საფუძველია ერის არსებობისა..."

არჩილ ჯორჯაძისა და მის მიმდევართა შეხედულებით, რუსეთის მრავალეროვან ფედერაციულ სახელმწიფოში შემავალი ავტონომიური საქართველოს პოლიტიკური საფუძველი - ეროვნული თვითმართველობის ორგანოები, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი და საქართველოს საერო კრება, ე.ი.პარლამენტი - უნდა ყოფილიყო.ზოგი ფედერალისტი კი მოითხოვდა ავტონომიური საქართველოს შესვლას კავკასიის ფედერაციაში,რომელიც, თავის მხრივ, რუსეთის ფედერაციულ სახელმწიფოში გაერთიანდებოდა.

ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში -"ჩემი წარსული",რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პროგრამის შესახებ,სხვათა შორის, წერს:

"...ძირითად დოქტრინათ აღიარა ორი ახალი ლოზუნგი: საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლა და ამ დროშის ქვეშ ყველა რევოლუციური და პროგრესიული ძალების დადგომა. ეს უნდა გამხდარიყო "საერთო ნიადაგი" ყველა კლასის და წოდების შორის....აი ეს "საერთო ნიადაგი" გახდა ჩვენთვის ყოვლად მიუღებელი. ეს იყო აღდგენა ილია ჭავჭავაძის ძველი ლოზუნგის - ყველა ერთ ტაფაში ვიწვით, ყველა შევერთდეთ ვინაობის დაცვაში,რის წინააღმდეგ მეოთხმოცე წლებში ილაშქრებდნენ ქართველი ნაროდნიკები. თუ ეს მიუღებელი იყო იმ ძველ დროს, გაცილებით უფრო მიუღებელი იყო ამ მოძრაობის ხანაში. რატომ? - იმიტომ, რომ მუშათა მოძრაობა გადავაბით გლეხთა მოძრაობას; პირველი თუ დაპირისპირებული

იყო უმთავრესად არაქართული კაპიტალის წინააღმდეგ და აქ კიდევ შეიძლებოდა ლაპარაკი საერთო ნიადაგზე, მეორე კი მიმართული იყო ქართველების, ქართველი მემამულეების წინააღმდეგ და აქ ამ ორ წოდებათა შორის საერთო ენა შეუძლებელი იყო. ჩვენს მიერ ასეთი ენის ძიება დამთავრდებოდა ერთი შედეგით – გლეხობა ჩამოგვშორდებოდა, გლეხთა საკითხი მოიხსნებოდა და ჩავარდებოდით რუსის სოციალ-დემოკრატების მდგომარეობაში. გლეხობის ჩამოშორება გასცესთა მცირერიცხოვან, მაგრამ აქტიურ მუშათა კლასს და გზას გაუხსნიდა ბოლშევიკების ჰეგემონიას. ქართული მარქსისტული სოციალიზმი სამუდამოთ დაიმარხებოდა"; – ასე წერს თავის მოგონებაში "ჩემი წარსული" ნოე ჟორდანია, და დასძენს:

"ყოველ შემთხვევაში ერთი მოვლენა იყო ფაქტი; ქართული საზოგადოება შეინძრა და ახალი გზების ძებნას შეუდგა...."

## გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..

**დიქტორი:** ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია – ერისა და პიროვნების თავისუფლება, ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!.. და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემულო მსმენელებო, დიდი ილიას გამონათქვამი "ქვათა ღაღადიდან", რომელშიც ის, სხვათა შორის, პატარა ერების შესახებ ამბობს:

"...ერს რომ გზა შეუკრან წარმატებისა, – რაც გინდ პატარა ერი იყოს – არავისთვის არც მისაწონია, არც გამოსაყენებელი...

...ყველამ თავისით უნდა მოიწონოს თავი, ყველას თავისი უნდა ეკუთვნოს."

აკაკი წერეთელი,ნ.ნიკოლაძე,

ვაჟა-ფშაველა,იაკობ გოგებაშვილი„1905 წლის მოვლენებზე:

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინაპერიოდიდან, დიდი მოვლენა იყო 1905 წლის რევოლუცია რუსეთში,რომლის ტალღებმა საქართველოშიც გამოიწვია რევოლუციური აღტკინება.

აკაკი წერეთელი მუშა ხალხსა და გლეხობას ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა:"ჯერ გარეშე მტრის მოგერიება უნდა შეერთებული შრომით და მერე შინაური ბრძოლა"(ა.წერეთელი,თხზ.სრ.კრებული, ტ.14,გვ.313). ნიკო ნიკოლაძე უხმობდა ხალხს:"შეერთდით ყველა... თვითმართველობის დროშის ქვეშ!..მარტო ეს დროშა დაუმკვიდრებს ჩვენს ქვეყანას და ყველა მის ერებს თავისუფლებას, თანასწორობას და ძმობას"(ნ.ნიკოლაძე,მამაშვილური რჩევა,"კლდე"1913, ნომერი 38.).

ვაჟა-ფშაველა წოდებათა უპირატესობის მოსპობის, პიროვნებისა და მთელი ერის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თავისუფლების მოთხოვნას იცავდა. იგი წერდა:
"თავისუფალი უნდა იყოს არა მარტო რომელიმე წოდება, არამედ მთელი ერი. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერიც დამონებულია და დამონებულ ერში, რა თქმა უნდა, პიროვნებაც მონაა". (ვაჟა-ფშაველა,თხზ.,ტ.6,1961,გვ.413).

იაკობ გოგებაშვილი ასე ახასიათებდა 1905-1907 წლების იდეალს: "მთელს ჩვენს სიცოცხლეში გულწრფელი მომხრენი ვიყავით თანასწორობისა და ყოველგვარი ბატონობა გვძულდა...მშრომელი ხალხის სრულ განთავისუფლებას კი ჩვენ ყოველთვის წრფელი გულით ვნატრობდით და,რაც შეგვეძლო, ვემსახურებოდით"(ი.გოგებაშვილი,თხზ.,ტ.4,გვ.185-186). იაკობ გოგებაშვილი,მაგალითად, მხარს უჭერდა აჯანყებულ გურულ გლეხებს,რომლებმაც, - როგორც ის წერდა -"პირველებმა გამოიღვიძეს, აირჩიეს განმათავისუფლებელი გზა, შეიმუშავეს ნამდვილი დემოკრატიული პროგრამა და ამ პროგრამის განხორციელებას შეუდგნენ სამაგალი-

თო მხნეობით, იშვიათი გმირობით, საარაკო ვაჟკაცობით".(იქვე,გვ.49).

"თუ კაცს მშობლიური ენა და სამშობლო არ უყვარს, იგი სხვასაც ვერ შეიყვარებს"(ი.ხუციშვილი,გვ.260). და ქართველი კაცი ამგვარი სიყვარულით იყო გამსჭვალული 1905-1907 წლების მოვლენების დროსაც. ამდენად 1905-1907 წლების ქართველი ხალხის სოციალურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას 1905-1907 წლებში უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის აღმავლობამ აიძულა ცარიზმი მეტი სიფრთხილით მოჰკიდებოდა საქართველოსა და ამიერ-კავკასიის საქმეებს,ვინაიდან - როგორც ნოე ჟორდანია წერს თავის მოგონებაში "ჩემი წარსული" - "...ქართული საზოგადოება შეინძრა და ახალი გზების ძებნას შეუდგა..."

ლიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება,
ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
და ამასთან დაკავშირებით მაგონდება,პატივცემულო მსმენელებო,
აფხაზი მწერლის,
პოეტისა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი გულიას ლექსი "სიმღერა აფხაზეთზე",რომელშიც ის ამბობს:

"მშობლიური აფხაზეთი,
მისი მიწა, მთები თეთრი,
მზიანია და ლამაზი,
და ნაზოჲ იქრის თასი.

ჰე, სიჩქარით უნდა ნახო
აფხაზეთის სამოსახლო.
სულ ჰაცარა კუთხე წყნარი,
საქართველოს ცურვა მხარის."

დ ამიტომაა ჩვენი დევიზი - ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას,ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა"დაისიდან")

ლაპარაკობს რადიო თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა!..

## <u>პირველი და მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები საქართველოში:</u>

### საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა პერიოდში

მძიმე მდგომარეობა შეიქმნა საქართველოში,როცა 1905 წლის რევოლუცია დამარცხდა, რასაც საქართველოში მოყვა შეიარაღებული აჯანყებების დამარცხებაც. რუსეთის თვითმპყრობელობამ საქართველოშიც გააჩაღა სისხლიანი რეპრესიები. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, სოხუმისა და ბათუმის ოლქებში გააჩაღეს არაადამიანური დევნა ყველა მათდამი,რომლებიც შემჩნეული იყვნენ თავიანთი ანტიცარისტული განწყობილებით. საქართველოს მოსახლეობის დასათუგნავად საქართველოში მაშინ მოქმედებდნენ, როგორც ი.ხუციშვილი წერს"საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მე-6 ტომის 263 გვერდზე, - 15-ი ქვეითი, 8-ა საკავალერიო და კაზაკთა პოლკი, 11-ი საარტილერიო ბატარეა, მეტყვიამფრქვეველთა 3-მი ათასეული და 8-ა ცალკე ბატალიონი, რომლებსაც ეხმარებოდნენ 3.000-სზე მეტი პოლიციელი" და სხვა.მთელს საქართველოში გამოაცხადეს სამხედრო წესები. საქართველოში არ დარჩენილა ქალაქი და სოფელი,რომელსაც მეფის ჯალათების რისხვა და გაპარტახება, ხანძარი და განადგურება, დაპატიმრება და დახვრეტა და სხვა თავს არ დატყდომოდეს.

მეფის რუსეთის ამგვარი რეპრესიების მიუხედავად, 1905-ი წლის 9-ა იანვრის წლისთავი, 1906-ს წელს, გაფიცვით,მიტინგებითა და დემონსტრაციებით აღინიშნა თბილისში,ქუთაისში,თელავში,ჩაქვში; და გამძაფრებული რეპრესიები ვერ ანელებდა სოფლად გლეხების ბრძოლას.

1906 წლის მარტში დაიწყო <u>პირველი სახელმწიფო სათათბიროს</u> არჩევნები. სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო დებულების საფუძველზე თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებს უნდა აერჩიათ სახელმწიფო სათათბიროში <u>სამ-სამი</u> დეპუტატი, ბათუმისა და სოხუმის ოლქებს - <u>ერთი</u> და ქალაქ თბილისს - <u>ერთი</u>. ასე რომ, საქართველოდან სახელმწიფო სათათ-

ბიროში სულ 8-ა დეპუტატი უნდა გაეგზავნილიყო. საარჩევნო კამპანიაში გამარჯვება მოიპოვა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ. არჩეული 8-ა დეპუტატიდან ხუთი იყო სოციალ-დემოკრატი,სახელდობრ - ნოე ჟორდანია, ს.ნ.წერეთელი,ი.გ.გომართელი,ი.ი.რამიშვილი და ს.დ. ჯაფარიძე. მეექვსე იყო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიიდან ი.ა.ბარათაშვილი(ბარათოვი), მეშვიდე - კადეტი ა.გ.აივაზოვი და მერვე პ.ა.შერვაშიძე.

პირველ სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატების ფრაქცია 17-ი დეპუტატისაგან შედგებოდა,რომელშიც ქართველი სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ.

პირველი სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო აგრარული საკითხი,რომლის განხილვამ მეფის მთავრობის რისხვა გამოიწვია და 1906-ი წლის 8-ა ივლისს სახელმწიფო სათათბირო გარეკა.

1906 წლის დეკემბრიდან 1907 წლის თებერვლამდე საქართველოში მიმდინარეობდა II-ე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების არჩევნების კამპანია,რომელშიც გამარჯვება მოიპოვა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატებმა და დეპუტატებათ არჩეული იქნენ ი.გ.წერეთელი, ა.გ.ზურაბოვი(ზურაბიშვილი), ა.ლ.ჯაფარიძე, ს.მ.ჯუღელი, გ.თ.მახარაძე, ვ.გ.ლომთათიძე,ნ.ა.კაციაშვილი და კ.ე. კანდელაკი. მეორე სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია შედგებოდა 54 დეპუტატისაგან და ამ ფრაქციის ხელმძღვანელობა ქართველი სოციალ-დემოკრატების ხელში იყო.

1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ რუსეთის იმპერიაში და ამით საქართველოში დაიწყო შავი რეაქცია,რომელიც 1910 წლამდე მძვინვარებდა. 1907 წლის 3-მ ივნისს ხელში ჩაიგდო ძალაუფლება სტოლიპინმა,რომელმაც გარეკა მეორე სახელმწიფო სათათბირო და გამოსცა ახალი საარჩევნო კანონი,რომლის საფუძველზე 1907-ი წლის გაზაფხულზე ჩატარდა III-ე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები."უხეში

პოლიციური ტერორის და შანტაჟის გამოყენებით – წერს ა.სურგულაძე "საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მე-6 ტომის 283 გვერდზე – ცარიზმმა სახალხო წარმომადგენლობის ფაქტიური ლიკვიდაცია განახორციელა".

"მეორე დუმის გარეკვასთან ერთად" – წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული", რომელიც დაიბეჭდა 1953 წელს პარიზში – "გამოვიდა უკაზი მესამე მოწვევისა ახალი საარჩევნო უფლებით, რაიცა ფართე მასებს სავსებით რიცხავდა დუმის ასპარეზიდან (კანონი კრიჟანოვსკის). ამასთანავე საქართველოს შეუმცირეს წარმომადგენელთა რიცხვი. ამ დროს პარტიულ წლეებში დაიწყო აგიტაცია ამ დუხჭირი დუმის ბოიკოტის შესახებ",–დასძენს ნოე ჟორდანია. ამგვარად, ვერც პირველმა და ვერც მეორე სახელმწიფო სათათბირომ ვერ შესძლო არსებული მდგომარეობისათვის თავის გართმევა, და მესამე სახელმწიფო დუმაზე ხომ სრულიად ზედმეტია ლაპარაკი.

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია – ერისა და პიროვნების თავისუფლება,
ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება,
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემული მსმენელებო,

გერმანელი სოციალისტისა და დემოკრატის როზა ლუქსემბურგის სიტყვები თავისუფლების შესახებ:
"თავისუფლება არის – ამბობდა როზა ლუქსემბურგი – სხვაგვარად-მოაზროვნეების თავისუფლებაც."

"Die Freiheit auch die Freiheit des Andersdenkenden ist".

ნოე ჟორდანიასა და ვ.ლენინის საუბარი ლონდონში:

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა პერიოდიდან, მვირფასო მსმენელებო, საყურადღებოა ლენინისა და ნოე ჟორდანიას გასაუბრება ლონდონში სოციალ-დემოკრატიული პარტიის მე-5 ყრილობის დროს, რომელიც მუშაობდა ლონდონში 1907 წლის 30-ი აპრილიდან 19-ც მაისამდე. ამ ყრილობაში მონაწილეობას ლებულობდნენ 29-ა დელეგატი საქართველოდან.

"რუს დელეგატთა შორის - წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული",რომელიც დაიბეჭდა პარიზში 1953 წელს - დიდი უმრავლესობა იყვნენ ბოლშევიკები, მაგრამ როცა ქართველი მენშევიკები მიემატენ - უთანასწორდებოდნენ რუს ბოლშევიკებს...არჩეულ იქნა მთავარი კომისია პოლიტიკური რეზოლუციის შესამუშავებლად და კონგრესზე წარმოსადგენათ...კერჭის-ყრის დროს ხმა'ი იყოფოდა,ანდა ერთად ფლავდებოდა. ამ უნაყოფო შრომის შემდეგ დავიმალეთ და მივანდევთ კერძო ინიციატივას რეზოლუციების ყრილობისათვის წარდგენა.

მივდივარ ქუჩაზე ახე ხელ-ცარიელი, ხმა შემომესმა უკანიდან: კასტროვ(ეს ჩემი პსევდონიმი იყო) მოიცადეთ ერთ წუთს. მოვიხედე - ლენინია. დავიცადე და ერთად გადავედით ქუჩის მეორე ნაპირას. მან მითხრა სიტყვასიტყვით შემდეგი:

ქართველებო ნუ ერევით რუსების საქმეში, თქვენ არ იცნობთ ჩვენს ხალხს,მის ფსიქოლოგიას, მის ყოფა-ცხოვრებას და რატომ ხელს გვიშლით ჩვენ ჩვენი საქმეები ჩვენებურათ,რუსულათ მოვაგვაროთ. მიიღეთ ავტონომია, აკეთეთ საქართველოში, რაც და როგორც გსურთ, ჩვენ არ ჩაგერევით, ნურც თქვენ ჩაგვერევით!

გამიკვირდა,გავოცდი, - წერს შემდეგ ნოე ჟორდანია,-მეგონა მცდიდა, დავატყვე სერიოზულად მელაპარაკებოდა და განვუცხადე - პასუხს ახლა ვერ მოგცემ, შევეკითხები ამხანაგებს, სწორედ ამ სალამოს გვაქვს კრება ქართველ სოციალ-ყემოკრატებს.

ძლიერ კარგი, დასვით ეს საკითხი, თუ გნებავთ მეც დამიმახეთ, დაიმახსოვრეთ ჩემი წინადადება: თქვენ,ქართველები,ნუ ერევით ჩვენს პარტიულ საქმეებში, ჩვენ არ ჩავერევით თქვენსაში. ხომ ხედავთ საითკენაა რუსის მუშათა კლასი/მისი დელეგაციის უმრავლე-სობა ბოლშევიკებია, ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს; ხალხი რევოლუციონური განწყობილებისაა, მენშევიკები ოპორტუნისტებია, მათ მხარს როგორ დაუჭერენ. მაკვირვებს მხოლოდ თქვენი, ქართველი სოციალ-დემო-კრატების საქმე, თქვენ ხართ რევოლუციონერები, როგორც ჩვენ. რა გაქვთ საერთო მარტოვ-დანის კამპანიასთან...

ამ ლაპარაკში მივედით კონგრესის შენობასთან და ერთმანეთს დავ-შორდით,"- წერს ნოე ჟორდანია და დასძენს:
"ვიფიქრე, განვაცხადო ეს ამბავი ჩვენს კრებაზე, ამხანაგები აღშფოთდებიან, ხმა გავარდება, ლენინს ბევრი მოხვდება, პრესტიჟიც დაეცემა, ვისთვის რა სასარგებლოა ეს. არ განვაცხადო - შეიძლება საყვედური მითხრას; ხოლო თვითონ კი განაცხადოს თავის წრეში მაინც. ვარჩიე არაფერი ვთქვა, მოვიცადო მეორე დღემდე და თუ ისიც გაჩუმდა, ცხადია, თავის აზრებს მსვლელობას აღარ აძლევს. ეს პოზიცია ვამჯო-ბინე, მით უფრო, რომ ბევრში მართალი იყო. რუსი მენშევიკები მართლა უხერხემლო ინტელიგენციას წარმოადგენდენ და უფრთხოდენ რევოლუციურ გამოსვლებს, ყოველივე გადაწყდება ნელნელა დუმის გზით...გავიდა ერთი კვირა, ლენინი გაჩუმებულია, მეც გაჩუმებული ვარ,თუმცა ვხვდე-ბოდით ერთმანეთს. ამის შემდეგ ეს ამბავი აღარავისთვის არ მითქვამს"- წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში -"ჩემი წარსული",რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში.

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..

<u>საქართველო რეაქციის პერიოდში(1907-1914 წლებში):</u>

==============================================

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინაპერიოდში საშინელი შედეგები მოყვა საქართველოში 1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხებას: დაიწყო შავი რეაქცია,რომელიც 1910 წლამდე მძვინვარებდა.

ცარიზმმა გარეკა მეორე სახელმწიფო სათათბირო და გამოსცა ახალი საარჩევნო დებულება, რომელიც - როგორც ნოე ჟორდანია წერს თავის მოგონებაში "ჩემი წარსული - "ფართე მასებს სავსებით რიცხავდა დუმის ასპარეზიდან...ამასთანავე საქართველოს შეუმცირეს წარმომადგენელთა რიცხვი". ამ კანონით 1907წლის გაზაფხულზე ჩატარდა მესამე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები,რომლითაც ცარიზმმა სახალხო წარმომადგენლობის ფაქტიური ლიკვიდაცია განახორციელა. ცარიზმის ბატონობის განმტკიცებას კი მოყვა "შავი რეაქცია",რომლის ორგანიზატორი გახდა <u>სტოლიპინი</u> მას შემდეგ, რაც მან 1907 წლის 3-ი ივნისის გადატრიალების შედეგად, ძალაუფლება ჩაიგდო ხელში. აიკრძალა ყოველგვარი შეკრება, შებოჭილ იქნა პროფკავშირული საქმიანობა.ე.წ-ლ"შავ სიებში" მოხვედრილი ადამიანებისათვის ყველგან დაიკეტა კარი. ათასობით ადამიანებს გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი,გადასახლება,კატორღა. პოლიციური ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით შეიქმნა "კავკასიის რაიონული დაცვითი განყოფილება". მთელი კავკასია სამხედრო მდგომარეობაზე გადაიყვანეს.

რეაქციის წლებში ცარიზმმა განსაკუთრებული გააფთრებით მიიტანა იერიში იმპერიის განაპირა - ნაციონალურ ქვეყნებში,როგორც,მაგალითად, საქართველოში,-რომლებიც "მთლიანი და განუყოფელი რუსეთის" დანგრევისათვის იბრძოდნენ "ველიკორუსულმა შოვინიზმმა - წერს ა.სურგულაძე "საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მე-6 ტომის 293-ე გვერდზე - თავისი ბრჭყალები გამოაჩინა. დაიწყო პოლონეთის,ბალტიისპირეთის, უკრაინის, ამიერკავკასიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი

მოძრაობისადმი ანგარისგასწორება..." მაგრამ მეფის რუსეთის ამგვარმა ანტიეროვნულმა პოლიტიკამ, ბუნებრივია, კიდევ უფრო გააძლიერა რუსეთში მოქცეულ სხვადასხვა ერებში ეროვნული მოძრაობა. არჩილ ჯორჯაძე, მაგალითად, თავის თხზულებათა პირველი ტომის 43 გვერდზე, 1911 წელს, სხვათა შორის, წერდა:

"ქართულმა სახელმწიფომ შექმნა ქართული ეროვნება და ეროვნული შემეცნება...ეროვნების წარმოშობისათვის, საჭირო იყო ერთგვარი ორგანო, რომელსაც გათქვეფისა და ჩაკირვის და შეერთების ძალა შესწევდა და ეს ორგანო იყო სახელმწიფო".

მიხეილ წერეთელი კი თავის ნაშრომში "ერი და კაცობრიობა", რომელიც გამოიცა 1910 წელს, სხვათა შორის, ამბობდა:

"ერი ასორციელებს საზოგადოებაზე დაკისრებულ პოლიტიკურ და იურიდიულ ფუქციებს...მე იმ აზრს ვიცავ, - წერდა მიხეილ წერეთელი,- რომ ერთი ერის პროლეტარიატს შეიძლება კავშირი ჰქონდეს სხვა ერის პროლეტარებთან, მაგრამ თითოეული ერის სწორედ პროლეტარიატს თვით მოწინააღმდეგე კლასებთან აქვს ათასი სხვა სოციალ-ორგანული კავშირი, რომელსაც იგი ვერ მოსცილდება, რადგანაც ერი ორგანიზმია მიუხედავათ კლასთა უსასტიკესი ბრძოლისაც".

ეროვნული ბრძოლის ამ ეტაპზე მიხეილ წერეთელი, არჩილ ჯორჯაძე თუ ვ.ჩერქეზიშვილი "ეროვნული ავტონომიის" პოზიციაზე იდგნენ. საქართველოს სოციალდემოკრატიულმა პარტია 1906 წელს, - კავკასიის საოლქო კონფერენციაზე დაეყრდნო რა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამას ეროვნულ საკითხში, -"კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის" იდეას იზიარებდა. ამ საკითხს მიუძღვა ნარკვევი საქართველოს ტოციალ-დემოკრატიული პარტიის თეორეტიკოსმა - ნოე ჟორდანიამ, რომელშიც ის, სხვათა შორის, ამბობდა:

"...როცა ქართველი სოციალ-დემოკრატია თავისი ერისათვის თხოულობს კულტურულ ავტონომიას...ამით ის წვდება ხალხის გულისნადებს..."

<u>გესაუბრებოდათ დავით თაზორიძე!..</u>

===============================

## აგრარული საკითხი საქართველოში:

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა პერიოდიდან, საჭიროა განვიხილოთ
სტოლიპინის აგრარული რეფორმა და აგრარული საკითხი საქართველოში.

1906-1910 წლების აგრარული რეფორმა დაკავშირებულია სტოლიპინის სახელთან,რომლის მიზანი იყო ახალი რევოლუციური გამოსვლების თავიდან აცილება. ჯერ კიდევ 1905 წლის 12-ც აგვისტოს გამოიცა ახალი წესი საგლეხო ბანკის მოქმედების გაფართოების შესახებ,რომლის მალით ბანკს გადაეცა საუფლისწულო და სახაზინო მიწები გლეხებისათვის მისასყიდათ.

1905 წლი 3-ი ნოემბრის მანიფესტით სანახევროდ შემცირდა,ხოლო 1907 წლის 1-ლ იანვრიდან სავსებით გაუქმდა სანადელო მიწების გამოსასყიდი გადასახადი. მაგრამ ეს წვრილმანი დათმობანიც ამიერკავკასიისა და საქართველოს გლეხობას არ შეხებია.

1906 წლის 9 ნოემბრის და 1910 წლის 14-ი ივნისის ბრძანებულებებით დაკანონდა თემიდან გლეხთა გამოსვლა და მათთვის სანადელო მიწების საკუთრებად დამტკიცება.

სტოლიპინის ამგვარი აგრარული რეფორმებში იყო ცარიზმის ცდა თავიდან აეცილებია რევოლუციური გამოსვლები. მაგრამ სტოლიპინის რეფორმების მთავარი დებულებები - თემების დაშლა და გლეხებისათვის სანადელო მიწების საკუთრებად დამტკიცება - საქართველოს არ შეხებია.

საქართველოში იმ დროს გლეხები იყოფოდნენ:
დროებით ვალდებულ, ხიზან, სახელმწიფო, სახაზინო და მესაკუთრე გლეხებად.

სტოლიპინის აგრარული რეფორმების პრაქტიკულ გატარებას მეფის მოხელეები შეეცადნენ საქართველოში,რისთვისაც მათ საჭიროთ ჩათვალეს -

1. მიწების გლეხთა საკუთრებად დამტკიცება,
2. საგლეხო-სათავადაზნაურო... 

3. საქართველოში რუსთა კოლონიზაციის გაძლიერება.

1911 წლის 11-ტ მაისს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დეპუტატებმა მესამე სათათბიროში შეიტანეს კანონპროექტი ხიზნური ურთიერთობის ლიკვიდაციისა და ხიზნების საადგილმამულო მოწყობის შესახებ. 1913 წლის 27-ლ თებერვალს მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატიულ-მა ფრაქციამ,30-ი წევრის ხელმოწერით, კვლავ შეიტანა კანონპროექტი ხიზნური ურთიერთობის ლიკვიდაციის შესახებ. მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო ხიზანთა საკითხის განხილვა მთავრობის საკანონმ-დებლო ორგანოებში შეწყდა.

რუსეთში საგლეხო-საადგილმამულო ბანკი 1883 წელს დაარსდა. ამ ბანკის წესდებით, ბანკი მემამულესა და მიწის მყიდველ გლეხს შორის მხოლოდ შუამავლის როლს ასრულებდა,-გლეხს სესხს აძლევდა. 1895 წელს კი ნება დართო ბანკს თავისი სახსრებით შეესყიდა მიწა და შემდეგ იგი გლეხებისათვის მიეყიდა. საგლეხო-საადგილმამულო ბანკის ამიერ-კავკასიის განყოფილება თბილისში გაიხსნა 1906-ი წლის მარტში. ამ ბანკს მიზნად უსახავდენ მისი კლიენტურა რუსებით შეევსებულა,მაგრამ ეს იმედები არ გამართლდა. როგორც გაზეთი "ამირანი" 1908-ა წლის 55-ე ნომერში წერდა, დაარსებიდან ორი წლისა და ორი თვის განმავლო-ბაში ამიერკავკასიის ბანკს დახმარება სესხის სახით სთხოვა 112-მა გლეხმა,ხოლო ბანკმა სესხი გასცა 29-ა გლეხზე. ამ ხნის განმავლო-ბაში გლეხებმა ბანკის სესხით შეისყიდეს 8.910 დესეტინა მიწა,ხოლო თვით ბანკმა საკუთრებად შეიძინა 44.698 დესეტინა. მარტო 1907 წელს საგლეხო ბანკმა შეისყიდა 13.000-ს დესეტინაზე მეტი მიწა და იგი რუსული კოლონიზაციის საჭიროებისათვის გასცა. როგორც ვხედავთ, ბანკმა დახმარება გაუწია არა ადგილობრივ გლეხებს, არამედ თავის საკუთრებაში შეიძინა მიწები და საკოლონიზაციო ფონდი შექმნა.

ამგვარად, მთავრობამ ბანკების საშუალებით ვერ შესძლო გაემძლიე-რებინა მიწების კერძო მფლობელობა გლეხებზე, და აქაც სტოლიპინის აგრარულმა რეფორმამ კრახი განიცადა.

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..

==================================

## კოლონიზაცია საქართველოში 900-ან წლებში:

წინა საუბარში აღვნიშნეთ, რომ საგლეხო ბანკი რუსეთში დაარსდა 1883-მ წელს ამიერკავკასიაში - თბილისში - ამ ბანკის განყოფილება გაიხსნა 1906-ი წლის მარტში,რომლის მოვალეობა იყო შუამავლის როლი შეესრულებინა მემამულეებსა და გლეხებს შორის და ამ უკანასკნელთათვის სესხი მიეცა მიწის შესასყიდად. 1895-ი წლიდან კი ბანკს ნება დართეს თავისი სახსრებით მიწები შეესყიდა, და სწორედ ამ მიწებს იყენებდა რუსული კოლონიზაციის საჭიროებისათვის.

მეფისნაცვალი კავკასიაში ვორონცოვ-დაშკოვი თავის 1907 წლის 10 თებერვლის "ბარათში" კავკასიაში რუსული მოქალაქეობის გავრცელებას მნიშვნელოვან მომენტად თვლიდა და სასურველად მიაჩნდა ამ მხარის რუსული ელემენტებით კოლონიზაცია, როგორც ეს ნათქვამია მე-4 ტომში, 93-ე გვერდზე "სოფლის მეურნეობა და აგრარული ურთიერთობა ".

1904 წლის 6-ს ივნისს მეფის მთავრობამ გამოსცა კანონი,რომლის მალით დაკანონებულ იქნა კოლონიზაციის ორი სახე:

1.მთავრობის ხელისშეწყობით და

2.მთავრობის ხელისშეწყობის გარეშე, რომელთაც არავითარი ნებართვა არ ესაჭიროებოდათ.

ამიერკავკასიის რუსიფიკაციის მიზნით მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გლეხების გადმოსახლებას. როგორც 1908 წლის გაზეთ "დროებას" მე-19 ნომერში ვკითხულობთ, 1906-1908 წლებში ამიერკავკასიაში რუსეთიდან გადმოსახლებულ იქნა რუსული წარმოშობის 10.000-ი გლეხი-კოლონისტი. ვორონცოვ-დაშკოვი სახსრებს არ ზოგავდა კოლონისტთა მოსაწყობად. მარტო მათი სახლების ასაგებად 1908-1915 წლებში გაიცა 985.570 მანეთი. კოლონისტთა დასახლებულ შავი ზღვის სანაპიროზე გზების გასაკეთებლად 1.126.142 მანეთი დაიხარჯა. საგადასახადო სამართველოს უფროსის მოადგილე ი.ცხორყევსკი 1909 წელს კავკასიაში სამსახურეობრივი მივლინების ანგარიშში აღნიშნავდა:

"გენერალ-ადიუტანტ გრაფ ი.ი.ვორონცოვ-დაშკოვის მიერ წამოყენებული

ამოცანა, რომ დასახლდეს ამიერკავკასიაში ნახევარი მილიონი რუსი და აყვანილ იქნას რუსი მოსახლეობის პროცენტი ნაცვლად ახლანდელი 2,5 პროცენტისა 15-ტ პროცენტამდე, სავსებით შესაძლებელია"(ცგია, სსსრ,ფ.1405,ან.531,დ.806,ლ.25.---"ნარკვევები...",გვ.320).
მეფის რუსეთის ამგვარი კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგად, უკვე 1909 წელს თბილისის გუბერნიაში რუსი მოსახლეობის რაოდენობა უდრიდა 27.656 სულს, ე.ი. მთელი მოსახლეობის(808.311 სული) 3,3 პროცენტს; ქუთაისის გუბერნიაში – მხოლოდ 0,01 პროცენტს,ე.ი.105 სულს(მთელი მოსახლეობა 785.615 სული); ბათუმის ოლქში რუსი მოსახლეობის რაოდენობა უდრიდა 3.140 სულს,ე.ი. მთელი მოსახლეობის(112.415 სული) 2,8 პროცენტს, სოხუმის ოლქში 3.184 სულს,ე.ი.მთელი მოსახლეობის (108.865 სული) 3-მ პროცენტზე მეტს.

ამგვარად, სტოლიპინის 1906 წლის 9-ა ნოემბრის კანონი და საკოლონიზაციო პოლიტიკა-მეფის მთავრობის აგრარული პოლიტიკის ორი მხარე იყო, რომელიც სავსებით პასუხობდა მეფის რუსეთის დიდმპყრობელურ-შოვინისტურ ინტერესებს.

და მეფის რუსეთის ამგვარი კოლონიზატორული პოლიტიკა კიდევ უფრო, რომ გაძლიერებულ იქნა ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში, ამის ყველაზე უფრო ნათელი ფაქტია,თუ გნებავთ, ის, რომ-1970 წლის აღწერით – საქართველოში უკვე ნახევარ-მილიონამდე რუსი ცხოვრობს, ხოლო ქართველთა რაოდენობა საქართველოს მთელი მოსახლეობის მხოლოდ 67-ლ პროცენტს შეადგენს,იგივე 1970 წლის აღწერით.

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..
==============================

## საქართველოს პოლიტიკური პარტიები პირველი მსოფლიო ომის დროს:

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა პერიოდიდან, უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო პირველი მსოფლიო ომი,რომელშიც რუსეთი ჩაება 1914 წლის 1-ლ აგვისტოს, საფრანგეთისა და ინგლისის მხარეზე, გერმანიის წინააღმდეგ. თურქეთმა,ამ დროს, სამოკავშირეო ხელშეკრულება დადო გერმანიასთან,რის შემდეგ 1914 წლის 2-რ ნოემბერს რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს,რის შედეგად საქართველო მოექცა ომის ქარცეცხლში.

ამ მომენტში,ნათელია, დიდი გამოცდის წინაშე დადგენ საქართველოს პოლიტიკური პარტიები. ყველაზე უფრო ძლიერი გავლენა საქართველოს მოსახლეობაში მაშინ გააჩნდა საქართველოს <u>სოციალ-დემოკრატიულ</u> პარტიას ნოე ჟორდანიას მეთაურობით. სომხეთში დიდი გავლენა ჰქონდა <u>დაშნაკების</u> პარტიას,ხოლო აზერბაიჯანში <u>მუსავატელების</u> პარტიას.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეტად ფრთხილი პოზიციის შესახებ პირველ მსოფლიო ომში, ნოე ჟორდანია,თავის მოგონებებში "ჩემი წარსული", სხვათა შორის, წერს:

> როცა ჩვენ ასე ფრთხილ პოლიტიკას ვაწევდით, მეზობელ ერში, სომხეთში, ხდებოდა სრულიად საწინააღმდეგო მოვლენა. ენდვენ რუსების დაპირებებს, აყვენ მათ ინსტრუქციებს, შეადგინეს თავისუფალი რაზმები, სომხებიც თფილისის ქუჩებზე ლაღად-ჩამოდიოდნენ, მოედანზე იწვრთნებოდნენ და რუსის ჯარის წინ თუ უკან შედიოდნენ <u>ოსმალეთში და იქ მცხოვრებ სომხებს აჯანყებდნენ</u>. სომხები თფილისში გაამაყდნენ, მაღლიდან გვიყურებდნენ, დარწმუნებული იყვნენ, რომ იწყება მათი აღორძინების ხანა, ოსმალეთის დანგრევა, ძველი სომხეთის აღდგენა და სხ. არავის მათგანს ეჭვიც არ შეუტანია ამ იმედებში. ჩვენ ამ დროს ვიდექით სრულ ნეიტრალურ პოზიციაზე; არც რუს ვეხმარებოდით, არც ოსმალოს; ვიყავით ლოიალურად განწყობილი, რამაც აგვაცდინა ბევრი ფათერაკი ამ ძნელ ხანაში. საერთოდ ხოცვა-ჟლეტაში ჩვენთვის მთავარი ამოცანა იყო ერის, თვითეული მისი კუთხის, ფიზიკურად ამოწყვეტისაგან გადარჩენა.
>
> აი ამ დაკვირვებაში ვარ გართული, რომ ქუთაისიდან წერილი მომდის — დაუყოვნებლივ ამოდით. წავედი, ვაგზლიდან წამიყვანეს დიდის საიდუმლოებით ერთ უცნობ ბინაზე, გაიღო კარები, გამოჩნდა მ-ხაკო <u>წერეთე-</u>

ლი, ჩემი ძველი ნაცნობი, ჯერ იყო მარქსისტი, პირველად მან თარგმნა მარქსის „კაპიტალ"-ს ერთი თავი და მოათავსა „კვალ"-ში გასაცნობად; შემდეგ ევროპაში გახდა ანარქისტი, შემდეგ ნაციონალისტი და ამ ფორმით ჩამოვიდა საქართველოში სადეპუტატოთ. მან ამიხსნა მიზეზი შეხვედრის — გერმანიაში დაარსებული ქართული კომიტეტი, რომლის მიზანია საქართველოს განთავისუფლება გერმანია-ოსმალეთის დახმარებით. ჩამოვიდა საამისო სამუშაოთ ამ ნიადაგზე, ხალხის მოსამზადებლათ. საზღვრების გადმოლახვისთანავე და სხ. მე კატეგორიული უარი უთხარი ასეთი მუშაობის დაშვებაზე, ავუხსენი: ჩვენ ომს არ ვაწარმოებთ, არც ერთ კოალიციაში არ ვიმყოფებით, რუსეთის ორგულობას ვერ გამოვიჩენთ, პირიქით. ხალხის შეკითხვაზე — მობილიზაციაში გავიდეთ თუ დავიმალოთ, — ჩვენ ვურჩიეთ გასვლა, ძალადობის საპროტესტო არ გაეწიათ. ჩვენში გერმანოფილური აზროვნება სჭარბობდა, მაგრამ აჯანყების მომხრე მათგან არც ერთი პირი არ შეიძლება იყოს, ჩვენი გზა სხვაა არა ამ მხრით, არამედ რუსეთის შინაგანი რევოლუციის ხაზზე და სხ. თან დაუმატე იმუშაონ მათ საზღვარ-გარეთ ქართულ კომიტეტში. შეიძლება ეს ხაზიც გამოგვადგეს-თქვა. დიდ ხანს კამათი არ დაგვჭირებია, ჩქარა შევთანხმდით, ჩემი მოსაზრების საფუძვლიანობა მან იცნო და ასე დავშორდით ცოტა ხნის შემდეგ. ამავე საკითხზე მქონდა ბაასი იმავე კომიტეტის წევრ წარმომადგენელ გ. მაჩაბელთან თბილისში დ. ვაჩნაძის ბინაზე. აქაც საუბარი გათავდა შეთანხმებით — ჩვენ ჩვენ ხაზზე ვიმუშავებდით შიგნით, ისინი მათებურათ უცხოეთში, ან ერთი გაგვიყვანს, ან მეორე. ძირითად საკითხში — საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევაში — არავითარ აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა. საქმე იყო მხოლოდ ისეთი ტაქტიკა, რომელიც მარტოდ მიგვიყვანდა ამ მიზნისაკენ და თან ქართველი ერის ფიზიკურ არსებობას არ ემუქრებოდა. ყოველნაირი ავანტიურა, სისხლიანი ნაბიჯები ჩვენი მუშაობიდან უნდა ყოფილიყო ამოგდებული. ამ დროს დამოუკიდებლობის საკითხის შესახებ ჩვენ კიდევ არ გვქონდა პარტიული აზრი, საერთო გადაწყვეტილება; თვითეულს ქონდა თავისი აზრი ამ საგანზე და მეც წერეთელ-მაჩაბელს ჩემს პირად აზრს მოვახსენებდი. მაგრამ ვიცოდი, რომ ბევრი ამხანაგები ჩემებრ ფიქრობდა, თუ ხელსაყრელი პირობა დაგვიდგებოდა — ამ ნაბიჯს გადავდგამდით. მაგრამ ბოლშევიზმის მაინც საქმით დავინახეთ კოლექტიური აზრის შედგენა და ამ მიზნით მოვიწვიეთ პარტიული კონფერენცია მარტო საქართველოს ორგანიზაციების ლიდერთში, სოფ. ჯუნჯუათში. ამ ადგილის ამორჩევა მოხდა იმ მოსაზრებით, რომ მე ვქალაქად დავესწრებოდი, ხოლო შორს წასვლა არ შემეძლო, პოლიცია თვალ-ყურს მადევნებდა.

ეს თვალ-ყურის დევნა გაძლიერდა განსაკუთრებით 1917 წ. დასაწყისიდან; მე მგონია ჩემზე რაღაც ეჭვი აიღეს, შეიძლება გაიგეს ჩემი მეგობრული ურთიერთობა უცხოეთის ემისარებთან.

კონფერენცია შვედეთ სტოკჰოლმში თუ თებერვალში 1917 წ. მოიწვიეს და შეთავაზებული იყო ზოგიერთ ჟორდანიას[illegible] დაესწრო ყველა ლიდერები. დიდი დავა არ ყოფილა; მთავარ საკითხზედ საერთო აზრი იყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა გამოცხადდეს თუ დადგება საჭირო პირობები, ე. ი. რუსის ჯარი დასტოვებს ჩვენს ქვეყანას. ამ შემთხვევაში ჩვენი აქტი არც კი ჩაითვლება ვინმეს ღალატად, პირიქით, ეს იქნება თავის დაცვის საშუალება

ასე წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული" საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიციის შესახებ პირველი მსოფლიო ომის დროს საქართველოში.

გესაუბრებოდათ დავით თაზორიძე!..

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია – ერისა და პიროვნების თავისუფლება, ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება, პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემული მსმენელებო, გურამ [illegible] აზრი "[illegible]" შესახებ ("ლიტ.საქ.", 24.9.82 წ.), [illegible]ის, სხვათა შორის, ამბობს:

" [illegible] "

"....[illegible]

" ეს ...................... [illegible]"

" [illegible]"

## 1917-ი წლის თებერვლის რევოლუცია საქართველოში:

პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას,

1916-ი წლის მიწურულისათვის ცხადი გახდა, რომ ცარიზმს ომის გაგრძელება აღარ შეეძლო,ვინაიდან ფრონტი და ზურგი მოიშალა. 1917-ი წლის იანვარში დაწყებული მღელვარებანი თებერვალში მძლავ მანიფესტაციებში გადაიზარდა, რაც შეიარაღებულ გამოსვლად იქცა. მუშებს მხარი დაუჭირეს ჯარისკაცებმა და აჯანყებულებმა,პეტროგრადის ყველა მნიშვნელოვანი დაწესებულება დაიკავეს; 27-ღ თებერვალს კი მეფის ხელისუფლების დამხობა გამოცხადდა. 2-რ მარტს პეტროგრადში შეიქმნა დროებითი მთავრობა გ.ლვოვის თავჯდომარეობით. მთავრობა შეუდგა ზოგიერთი დემოკრატიული ლონისძიების განხორციელებას,მაგრამ მთავრობა შებოჭილი იყო საბჭოების კონტროლით,რის შედეგად რუსეთში შეიქმნა <u>ორ-ხელისუფლებიანობა</u>.

კავკასიის ადმინისტრაციას საიდუმლოდ ეუწყა მეფის მთავრობის ჩამოგდების ამბავი. მეფისნაცვალმა კავკასიაში ნიკოლოზ ნიკოლოზისძემ უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის უფროს გენერალ ალექსეჟევისაგან 28-ა თებერვალს მიიღო პირველი დეპეშა პეტროგრადში რევოლუციის დაწყების შესახებ. 29-ა თებერვალს მეფისნაცვლის თანაშემწის გენერალ ორლოვის ხელმოწერით კავკასიის გუბერნატორებს დაეგზავნა დეპეშები, სადაც,პეტროგრადში ახალი მთავრობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, დასახული იყო მოქმედების გზები:"სიმშვიდის შენარჩუნება იმ დროს მოლოდინში,როდესაც რუსეთში სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობა აღდგებოდა"(ცენტრარქივი,თბ.,1930,გვ.26).

პეტროგრადში მეფის მთავრობის დამხობის შესახებ კი, საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამ რევოლუციის მოსვლისთანავე მიიღო (კონსპირაციული) დეპეშა IV-ე სახელმწიფო სათაბიროს წევრის კარლო ჩხეიძისაგან,რომელიც დეპეშაში პეტროგრადიდან იტყობინებოდა: "მთავრობამე გარდაიცვალა, აცნობეთ ნათესავებს და ნაცნობებს."

---

როგორც გაზეთი "თანამედროვე აზრი" თავის 1917-ი წლის 52-ე ნომერში წერს, - 1917 წლის 4-ს მარტს მოსდა შესვედრა ნიკოლოზ ნი-

კოლოზის მეხთან,რომელშიც მონაწილეობდენ თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის მოვალეობის აღმასრულებელი ჩოლოყაშვილი, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი ნიჟარაძე,თბილისის ქალაქის თავი ხაცისოვი და საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის ლიდერები ნოე ჟორდანია და ნოე რამიშვილი. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ თავისი თავი ახალი მთავრობის ერთგულად აღიარა და თავისი დანიშვნა უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობაზე დროებითი მთავრობის მიერ. მან აღნიშნა, რომ - მომყავს სიტყვასიტყვით -"...ზაქოსა და თბილისში სამაგალითო წესიერებაა დაცული. ეს...იმით აიხსნება, რომ სოციალ-დემოკრატია, რომელსაც აქ კავკასიაში დიდი გავლენა აქვს,წესიერების მომხრეა".

მაგრამ მდგომარეობა მალე შეიცვალა. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე,როგორც უმაღლესი მთავარსარდალი,ამიერკავკასიიდან გაწვეულ იქნა. გუბერნა-ტორები და ზაზრის უფროსები იძულებული გახდენ გადამგარიყვნენ;ზევრი მათგანი დააპატიმრეს კიდეც. ხელისუფლებას ახალი ორგანოები - საბ-ჭოები და აღმასრულებელი კომიტეტები დაეპატრონენ.

1917-ი წლის 2-რ მარტს(ძველი სტილით) ფილიპე მახარაძე შეეცადა მუშათა საბჭოს ჩამოყალიბებას თითო-ოროლა ბოლშევიკების მეთაურობით, მაგრამ საქართველოს სოციალ-დემოკრატებმა,ნოე ჟორდანიას მეთაურო-ბით, შეხძლო ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების ამგვარი უზურპაციის აღკვეთა. "აშკარა იყო ერთი მუშა ბოლშევიკების ჩაწყობილი საქმე"-წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული",რომელიც პა-რიზში დაიბეჭდა 1953 წელს, და განაგრძობს:"ეს სამაგელი შეთქმულება გამომჟღავნდა, დამსწრე მუშებმა ხმა ამოიღეს, დაგმეს ეს კრება... მიიღეს ჩემი წინადადება - არჩეულ იქნას საორგანიზაციო,საინიციატივო კომისია მუშათა საბჭოს არჩევის მოსაწყობათ...ერთ კვირაში მუშათა საბჭო მზათ იყო თავისი აღმასრულებელი კომიტეტით და ჩემი თავჯდომარე-ობით...ჯარის-კაცთა საბჭო მოეწყო ვერეშჩაკის თავჯდომარეობით... ყოველი მხრიდან მომართავდნენ აღმასკომს - დაეპატრონეთ ხელისუფლება-

სო...ჩვენ ვიყავით თანახმა წეს-რიგის დაცვა აგველო ხელში,ხოლო დროებითი მთავრობის ერთგული და დამხმარე დავრჩენილიყავით...ქალაქში თანდათან დაიწყო ანარქიული გამოსვლები, ძარცვა და მკვლელობები. აღმასკომმა დაადგინა სასწრაფოთ შეექმნა საკუთარი პოლიციური რაზმები და აღეკვეთა მაგარი ხელით კრიმინალური გამოსვლები. მივწერეთ გურიის სოციალდემოკრატიულ კომიტეტს ასეთი ძალების გამოგზავნა.რაღაც ორ-სამ კვირაში მოგვივიდა გურულების რაზმი ვლ. და კ. იმნაძეების მეთაურობით. გვარდიის ხსენება კიდევ არ იყო...ამ დროიდან მუშათა საბჭოს ფაქტიური ხელისუფლება მყარდება და მას მიმართავენ ყველა უმაღლესი დაწესებულება("ოზაკომი",ქალაქის მართველობა და სხვა)მათი დადგენილების სისრულეში მოსაყვანათ"; - ასე წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული" 1917-ი წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნილ მდგომარეობაზე საქართველოში. ამგვარად მუშათა დეპუტატების საბჭო,ნოე ჟორდანიას თავჯდომარეობით, 1917-ი წლის 4-ი მარტიდან გახდა საქართველოს ფაქტიური მართველი.

დიქტორი: (**"თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან"**)

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება,
ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
და ამასთან დაკავშირებით მაგონდება,პატივცემულო მსმენელებო,

დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის - ნოე ჟორდანიას - შემდეგი სიტყვები:

"დემოკრატიის ძირითადი პრინციპია: ადამიანი და მისი სუვერენობა. ის სუვერენია ინდივიდუალურად თავის კერძო, საოჯახო საქმეებში სუვერენია კოლექტიურად, სხვასთან ერთად, საერო,საზოგადო საქმეებში".

"დემოკრატიის ორგანია - დასძენს შემდეგ ნოე ჟორდანია - მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მიმქმელი, მკრელი,მეზრძოლი".

## მუშათა საბჭოები საქართველოში:

როგორც წინა საუბარში ავღნიშნეთ, 1917-ი წლის 4-ს მარტს ჩამოყალიბებულ იქნა მუშათა საბჭო,რომლის თავჯდომარედ არჩეულ იქნა ნოე ჟორდანია და შექმნილ აღმასრულებელი კომიტეტი,რომელიც შესდგებოდა 46-ი წევრისაგან. მუშათა დეპუტატების საბჭოები იმავე წლის მარტის პირველ რიცხვებში ჩამოყალიბდა აგრეთვე ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ჭიათურაში, გორში, ცხინვალსა და საქართველოს სხვა მაზრებსა და სოფლებში. ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო,რომლის თავჯდომარედ არჩეულ იქნა ესერი ვერეშჩაკი, მუშათა საბჭოსთან მჭიდრო კავშირში შეუდგა მუშაობას.

თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ თავისი დანიშნულება ასე განმარტა:

"1.თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო თავის მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას და აწარმოოს გადამჭრელი ბრძოლა ყველა კონტრრევოლუციურ ძალებთან.
2.თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო მიისწრაფვის წარმართოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების მოვლენები, ხელი შეუწყოს ახალი ხელისუფლების ორგანიზაციას ადგილობრივ, თვალყური ადევნოს მისი წარმომადგენლების მოქმედებას და სრული დემოკრატიის დამყარების მიზნით მოახდინოს რევოლუციური ზეგავლენა როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ ხელისუფლებაზე".(საქ.ის.ნარკვევები, ტ.VI,გვ.410-411).

მაგრამ აღმასრულებელი კომიტეტი თავიდანვე დაეპატრონა ხელისუფლებას თბილისში და იგი არამარტო თბილისისა და საქართველოს,არამედ პირველ ხანებში მთელი ამიერკავკასიის ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენდა. "საბჭოს და პარტიის მუშაობა წარმოებდა ერთსულოვნათ...საბჭოს დიდი უმრავლესობა იყვნენ სოციალ-დემოკრატები...ერთი სიტყვით, მთელი მოძრაობის იდეური და ტაქტიკური მეთაური იყო ჩვენი პარტია"- წერს ნოე

ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული",რომელიც დაიბეჭდა პარიზში 1953 წელს და განაგრძობს:
"...დაიბადა აზრი საკუთარი შეიარაღებული ძალის შექმნის მოწინავე მუშებისაგან. ამის მთავარი მოციქული გახდა ჯუღელი და მასვე მივანდევით ჭიაბერაშვილთან ერთად მისი დაწყება"."მუშათა ჩიქორთულად შეიარაღებულმა რაზმმა 33-ი-ათასი  მეომრისაგან შემდგარი გარნიზონი განაიარაღა მორალურად და დააჩოქა თავის წინაშე. არსენალი გადმოვიდა ჩვენს ხელში", - წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში.
"ყველა ამ ორგანიზაციებს ემატებოდა კიდევ ერთი - მუშათა,ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების ამიერკავკასიის ცენტრი("კრაევოი ცენტრ"),რომლის თავჯდომარე - წერს ნოე ჟორდანია - მე ვიყავი. ამ ცენტრის მამოძრავებელი ძალა იყო თბილისის მუშათა აღმასრულებელი კომიტეტი".

რუსეთის "დამფუძნებელ კრებაში - წერს შემდეგ ნოე ჟორდანია - არ წავედით, ვიცოდით არაფერი გამოვიდოდა...კრების გარეკის შემდეგ ნათელი გახდა ჩვენი თავის ჩვენს ამარაზე დარჩენა. ეს კი ნიშნავდა რუსეთიდან გამოყოფას ფაქტიურად და ჩვენი ცხოვრების ჩვენს ჭკუაზე მოწყობას. ეს დასკვნა გამოდიოდა შემდეგი საქვეყნოთ ცნობილი ფაქტორეისაგან:
ბოლშევიკური გადატრიალება რუსეთში, რის ავტორიტეტს ჩვენ არ ვცნობდით,
ოსმალეთის ფრონტის დატოვება რუსის ჯარების მიერ და
ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება,რომლითაც ჩვენ გვეკარგებოდა ჩვენი პროვინციები. რაკი რუსეთმა უარი სთქვა ჩვენს დაცვაზე, პირიქით, იქით გააჩუქა ჩვენი ტერიტორია, ცხადი იყო მან უარი თქვა ჩვენს ქვეყანაზე, თვითონ გავიდა და დაგვტოვა მარტო-მარტო" , - წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული".

<u>გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..</u>
================================

## "ოზაკომი" და საქართველო:

წინა საუბარში ავღნიშნეთ, რომ საქართველოს ფაქტიური მართველობა გადავიდა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ხელში,რომლის თავჯდომარე იყო ნოე ჟორდანია. მაგრამ - თავის მხრივ - რუსეთის დროებითმა მთავრობამ ამიერ-კავკასიისათვის მართვა-გამგეობისათვის შექმნა სპეციალური ორგანო - "ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი"="ოსობიი ზაკავკასკიი კომიტეტ" = "ოზაკომი", რომელშიც შევიდნენ IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები -

კადეტები - ვ.ხარლამოვი და მ.პაპაჯანოვი,

მუსავატი - ნ.ჯაფაროვი,

სოციალ-ფედერალისტი - კ.აბაშიძე,რომელიც ავადმყოფობის გამო სოციალ-დემოკრატმა აკაკი ჩხენკელმა შეცვალა. რუსეთის დროებითმა მთავრობამ ეს პირები პეტროგრადიდან თბილისს გამოაგზავნა ამიერკავკასიის სამართავად. ["ცენტრარქივში",1917 წლის რევოლუცია, გვერდი 62-ი.] როგორც "ამიერკავკასიის რევოლუციური საბჭოთა ორგანიზაციების ოქმებში" ვკითხულობთ(ტომი I,გვ.5), "ოზაკომი"იყო - "ამიერკავკასიის სამოქალაქო მართველობის უმაღლესი ორგანო და დროებითი მთავრობის წარმომადგენელი".

1917-ი წლის 10-თ მარტს თბილისის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა "ოზაკომის" საკითხი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ "ეს შემადგენლობა თავისი უმრავლესობით არ წარმოადგენს კავკასიის დემოკრატიის ინტერესების გამომხატველს"(ტ.I,გვ.5). აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ეს "საკითხი განსახილველად მუშათა დეპუტატების საბჭოს საერთო კრებას" გადასცემოდა. საქართველოს სოციალდემოკრატიული გაზეთი "ერთობა""ოზაკომის" შესახებ, თავის 1917 წლის 198-ე ნომერში წერდა ,რომ"ოზაკომმა" არა თუ ხელუხელბელი დატოვა მეფისდროინდელი დაწესებულებები, არამედ ძველ ბიუროკრატიულ მექანიზმს კიდევ ახალი დაუმატა და საქმე არივ-დარია, ამიტომ წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული",რომელიც

გამოიცა პარიზში 1953 წელს, რომ "ოზაკომი" აღმოჩნდა ჰაერში ჩამოკიდებული და რომ ყოველივე მხრიდან მომართავდენ აღმასრულებელ კომიტეტს დაპატრონებოდა ხელისუფლებას,რაც ამ ორგანომ ფაქტიურადაც განახორციელა. ამგვარად,როგორც ა.სურგულაძე წერს "საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მე-VI ტომის 415-ე გვერდზე -"მშრომელი მასები ცარიზმის უკიდურესი რეპრესიების ვითარებიდან სრულიად უმტკივნეულოდ და უეცრად პოლიტიკური თავისუფლების ვითარებაში აღმოჩნდენ". ამასთან დაკავშირებით საგულისხმიეროა ნოე ჟორდანიას აზრი აღნიშნულ მოვლენებიდან,სადაც ის ამბობს:

"რევოლუცია იყო სრულიად მოულოდნელი ყველა პოლიტიკური პარტიისათვის. რუსეთში არც ერთი პარტია რევოლუციური თუ ოპოზიციონური რევოლუციისაკენ არ მოუწოდებდენ და ცდილობდენ მხოლოდ დუმის საშუალებით რასპუტინების განდევნას და მთავრობის ირგვლივ ფართე საზოგადოების შემოკრებას თავდაცვის ნიადაგზე. ბოლშევიკები უცხოეთში ძალიან რევოლუციონერობდენ, მაგრამ რუსეთში კი ხმას არ იღებდენ და ერთგული მოქალაქის როლში გამოდიოდენ".

1917-ი წლის 18-ტ მარტს კი თბილისში შედგა ამიერკავკასიის აღმასრულებელი კომიტეტის ყრილობა,რომელსაც 160-ი დელეგატი დაესწრო. ყრილობამ დროებითი მთავრობის ორგანოს "ოზაკომის" ფაქტი სცნო, მაგრამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი="ოზაკომი" - ერთი მხრივ - და მუშათა,ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები მათი აღმასრულებელი კომიტეტითურთ მეორეს მხრივ - "ორხელისუფლებიანობას" ქმნიდა საქართველოში.

მდგომარეობა კი არსებითად შეიცვალა, როცა პეტროგრადში მოხდა ბოლშევიკური გადატრიალება.ბოლშევიკური გადატრიალება დაგმობილ იქნა სამხარეო საბჭოებისა და თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე.ნოე ჟორდანია,ნოე რამიშვილი და საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის სხვა ლიდერები ბოლშევიკურ გადატრიალებაში ხედავდენ "დემოკრატიის გათიშვას"; და ამ ფაქტით

საქართველო და მთელი კავკასია ფაქტიურად ჩამოშორდა რუსეთს და "იზა-კომი" უკვე არავის აღარ წარმოადგენდა კავკასიაში. "...შეუდექით ჩვენი ძველი პროგრამის - ამიერკავკასიის თვითმართველობის მოწყობას პარლამენტით თბილისში. ეს აზრი - წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში - ჯერ გავატარეთ ყველა რევოლუციურ ორგანოებში - დაწყებული მუშათა საბჭოდან და შემდეგ განვახორციელეთ. იმვა ხელში!"

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება,
ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემული მსმენელებო, რევაზ ჯაფარიძის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა საქართველოს მწერალთა კავშირის მე-8 ყრილობაზე 1976 წლის 23-მ აპრილს და რომელიც მხოლოდ თვითგამოცემის გზით გავრცელდა საქართველოში და ჩვენამდეც მოაღწია.

"გასულ წელს - ამბობს რევაზ ჯაფარიძე თავის ამ სიტყვაში - საქართველოს სათანადო ორგანოებმა მოსკოვიდან მიიღეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მინისტრის - ელიუტინის - ბრძანება, რომლის თანახმად უმაღლესი სასწავლებლების ყველა სახელმძღვანელო უნდა გამოიცეს რუსულ ენაზე...ამ ბრძანების თანახმად, უკვე გაუქმდა ქართველ სწავლულთა რიგი ორიგინალური სახელმძღვანელოები...მაღალი ინსტანციების დადგენილების თანახმად, დისერტაციები..., პუბლიკაციები დისერტაციებზე და თვით სწავლულთა საბჭოს სხდომების სტენოგრამები მოსკოვს უნდა წარედგინოს რუსულ თარგმანში". შემდეგ რევაზ ჯაფარიძეს მოყავს ლენინის შემდეგი აზრი: "შოვინიზმის არგუმენტები მორს სამეზარი როლის... ეს არგუმენტია ის, რომ თვითეული ერი დაემორჩილოს ველიკოროსებს. ბატონნო პურიშკევიჩები არ მოერიდებიან იმას, რომ ნავსხებით აკრძალონ ის "მაღლის ენები", რომლებზეც ლაპარაკობს რუსეთის არარუსი მოსახლეობის 60-ი პროცენტი".(ტომი 20, გვ.70-71). და-ბოლოს რევაზ ჯაფარიძემ ისევ ლენინის ნაშრომიდან - "კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე" - მოიყვანა შემდეგი სიტყვები: "სახელმწიფო კანონების გამოცემა...,რომელიც პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებს რომელიმე ნაციას,...უნდა ჩაითვალოს არაკანონიერად და ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება მოითხოვოს კანონის დამრღვევის პასუხისგებაში მიცემა."

ამიტომაა ჩვენი დევიზი - ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ლაპარაკობს რადიო "თავისუფლება!.."

## ამერიკავკასიის სეიმი:

წინა საუბარში ავღნიშნეთ, რომ 1917 წლის თებერვლის დემოკრატიული რევოლუციის შედეგად, საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის ფაქტიური მართველობა გადავიდა მუშათა,ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის ხელში,რომელსაც მეთაურობდა ნოე ჟორდანია. განსაზღვრული "ორხელისუფლებიანობა" დამყარდა,როცა რუსეთის დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიაში გამოგზავნა ე.წ-ლი"ოზაკომი"="ამიერკავკავიის განსაკუთრებული კომიტეტი". მაგრამ ამ უკანასკნელმა თავისი მისია ვერ შეასრულა და შემდეგ უნიადაგო გახდა,როცა რუსეთში მოხდა ოქტომბრის გადატრიალება. ამის შემდეგ, წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში"ჩემი წარსული",რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში, "იშვა სეიმი",რაც იყო ამერიკავკასიის მართველობის ორგანო პარლამენტით თბილისში. "მაგრამ ამავე დროს - წერს შემდეგ ნოე ჟორდანია - არ სძინავდა არც ბოლშევიკებს. ლენინმა თავის ნამესტნიკად დანიშნა შაუმიანი. ეს ვაჟბატონი ჩქარა ისე დაფრსთა, რომ მიიზადა...ბოლშევიკების მუშაობამ მიიღო აშკარა ჩვენი ქვეყნის სამტრო სასიათი;ისინი ილევნებოდენ როგორც მოსკოვ-ოსმალეთის აგენტები და მათთვის ხელისშემწყობნი. ამ უკაცრავად პასუხია "რევოლუციონერებს" დამცველი აღარ აღმოაჩნდათ. <u>ერთი მხრივ</u> ოსმალები მოიწევდნენ ჩვენი საზღვრებისაკენ და ჩვენ ვაწყობდით თავდაცვის საშუალებებს, <u>მეორე მხრივ</u> იმავე დროს ბოლშევიკები შიგნით გვიჯანყდებოდენ...ისინი გახდენ - წერს შემდეგ ნოე ჟორდანია - ერის აშკარა მოღალატენი...ამნაირად, მოხდა დაკავშირება თურქ-ქართველ ბოლშევიკებისა ჩვენი ტერიტორიის წასაგლეჯად, ჩვენი ხელისუფლების დასამხობად".

"...ოსმალო...ფიქრობდა თავის საბრძანებლის გაფართოებას ამიერ-კავკასიის ხარჯზე. ეს მას შეეძლო იმ შემთხვევაში, თუ ამიერ-კავკასია გამოვიდოდა რუსეთის ფარგლებიდან,იქნებოდა დამოუკიდებელი და,მაშასადამე, მსხვერპლად ადვილად გასახდომი...მე ვამბობდი - წერს ნოე ჟორდანია -, ამიერკ-კავკასიის დამოუკიდებლობა ჩინებულია,

მაგრამ მისი ცნობა და ცნობა მისი საზღვრების წინასწარი პირობა უნდა იყოს ჩვენსა და ოსმალეთს შორის მოლაპარაკების დროს... სამწუხაროთ, ჩემი სიფრთხილე არ გაიზიარა არც ჩემმა ფრაქციამ,არც სეიმმა...შედეგს არ დაუყოვნებია; ოსმალო შემოიჭრა და დაიჭირა ახალქალაქის და ახალციხის მაზრები, მთელი აზერბაიჯანი და სომხეთის სამი-მეოთხედი. გერმანელების დახმარებით, ჩვენ შევაჩერეთ ისინი ჩვენს საზღვარზე, თბილისთან ახლოს....ერთი სიტყვით, თავისუფალი ამიერ-კავკასია იურიდიულად, გახდა ფაქტიურად ოსმალეთის პროვინცია."

"...შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია: სეიმის დაშლა და სამი ერის მიერ თავთავის დამოუკიდებლობის გამოცხადება... ჩვენი აზრი მოიწონეს გერმანელებმაც და აღვითქვეს დახმარება...მაშასადამე - წერს შემდეგ ნოე ჟორდანია -, დღის წესრიგში დაისვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება....ეგევე საკითხი დაისვა ნაციონალურ საბჭოში,რომელსაც უნდა მოემზადებია მისი განხორციელება სეიმის დაშლის შემდეგ. საჭირო იყო დამოუკიდებლობის აქტის შედგენა და მიღება საბჭოში. გამოვყევით კომისია ჩემთან ერთად სამუშაოთ ამ საკითხში...ამ ნაირათ დეკლარაცია შემუშავდა, რაიცა წავიკითხე 26 მაისს და გადაიქცა ჩვენი თავისუფლების მიროთად ქარტიათ. იშვა 26 მაისი"; - წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული", რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში.

შესაუზრებოდათ დავით თაბორიძე!..
==============================

## 26-ი მაისის მოსამზადებელი მუშაობა საქართველოში:

### საქართველოს ეროვნული საბჭო:

1917 წლის 19 ნოემბერს მოწვეულ იქნა საქართველოს ეროვნული ყრილობა. იმავე წლის 22-რ ნოემბერს კი საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭო. შემდეგი მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის ცხოვრებაში ამიერკავკასიის სეიმის მოწვევა,რომლის ინიციატივა ეკუთვნოდა ქართველ ხელმძღვანელ პირებს. ამიერკავკასიის სეიმი მოწვეულ იქნა 1918-ი წლის 10-თ თებერვალს ამიერკავკასიის ფედერაციის დასაარსებლად. შესდგა ამერიკავკასიის ფედერაციული მთავრობა,რომელშიც შედიოდა 4-ი ქართველი,5-ი აზერბაიჯანელი და 4-ი სომეხი.

1918-ი წლის 9-ა აპრილს გამოცხადდა დამოუკიდებლობა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკისა,რომელმაც დიდხანს ვერ იარსება ოსმალეთის წინააღმდეგობისა და სომეხ-აზერბაიჯანელთა უთანხმოების გამო და დაიშალა, რასაც მოყვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება 1918-ი წლის 26-ს მაისს,რის შემდეგ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს აგრეთვე სომხეთმა და აზერბაიჯანმაც.

საქართველოს ეროვნულ საბჭოში არჩეულ იქნა 88-ა წევრი,რომლებიც განაწილდა საქართველოს დემოკრატიულ პარტიათა და პოლიტიკურ დაჯგუფებათა შორის შემდეგნაირად:

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ წარგზავნა ეროვნულ საბჭოში 51-ი კაცი;

სოციალისტ-ფედერალისტების პარტიამ 11-ი კაცი;

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ 10-ი კაცი;

რადიკალ-დემოკრატებმა 1-ი კაცი;

უპარტიო 2-ი კაცი და

ე.წ-ლი"ალიონისტების" პოლიტიკურ დაჯგუფებიდან 4-ი კაცი.

აი რას წერს რაყდენ არსენიძე,დამოუკიდებელი საქართველოს იუსტიციის მინისტრი,დამოუკიდებლობის გამოცხადების მომზადების შესახებ:

"ყველა პარტიაში ერთხმოვანი თანხმობაა დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხში: მაგრამ ხალხის ხმის მოსმენა მაინც საჭიროა. და სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც უზომოდ დიდი გავლენა აქვს მთელ ერში - შეკითხვას უგზავნის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციას, რომელიც ხალხთან ახლოს არიან. მათი აზრის წინასწარ მოსმენა სავალდებულოდ მიაჩნია. და ყველა კუთხიდან, ყველა ქალაქიდან, ყველა მაზრიდან მოდის ერთხმოვანი პასუხი: თანახმა ვართ!

თქვენთან ვართ!

დამოუკიდებლობა საქართველოს!

ასეთივე პასუხი მოდის ყველა სხვა პარტიებიდანაც. ამგვარად, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი იღებს პირველ რეფერენდუმს."

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება, ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემულო მსმენელებო, ჩვენი მწერლების - რევაზ ჯაფარიძისა და ნოდარ წულეისკირის სიტყვები; რომლებშიც მათ წარმოთქვეს საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის - ედუარდ შევარდნაძის - თანდასწრებით ქართული ენის დაცვის მიზნით, ქართული ენისა, რომელსაც მოსკოვისა და თბილისის პარტიულმა ხელმძღვანელობამ მოქიშპე მტრად გაუხადა უცხო ერის, რუსი ერის ენა - რუსული ენა, იმ მოტივებით, რომ თითქოს "ლენინის ენა" უფრო მნიშვნელოვანი იყოს ქართველი ერის, საქართველოს მოსახლეობისათვის, ვიდრე "რუსთაველის ენა".

"ქართული ენით - ამბობდა აკადემიკოსი ნიკო მარი - ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაიმე რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპისა, რომ არათუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრულ ყალიბში ვერ ჩამოასხას.

ასე მდიდარია ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებით იგი უმდიდრესი ენაა."

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..

ნოე ჟორდანიას აზრი დამოუკიდებლობის გამოცხადების მომზადების შესახებ:

ახლა გავაცნობ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზი-დენტისა და მთავრობის თავჯდომარის ნოე ჟორდანიას მოგონებას ამერიკავკასიის სეიმის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მომზადებას 1918-წ წელში.

ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული",რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში, ამ საკითხის შესახებ წერს:

თავისუფალი ამიერ-კავკასია ფედე-რაციით, გახდა ფაქტიურად ოსმალეთის პროვინცია. მაშ შეძლება ქართველის ის — ახლა კონსტანტინოპოლით მო-სკოვმა ხელი დაიბანა: რაც მოგივა დაგითაო, ყველა შე-ნი თავითაო, გამართლდა დიდ ტრაპიზონის მასშტაბში. ოსმალეთი რომ არ იყო სანდო, ეს ტრაპიზონიდან ვიცო-დით, მაგრამ თუ ასე ცინიკურად დაგვატყუებდა — ეს არავის უგრძნა. მეც არ ვიყავი დარწმუნებული, მხოლოდ ეჭვები მქონდა და სიფრთხილეს ვიჩენდი. ახლა ბერლი-ნში გამართული მოლაპარაკება ბათუმში რა იქნებო-და თუ არა ჩვენი კაპიტულაცია. მაგრამ რაც მოხდა იქ — წაინც არ მოველოდით.

ბათუმიდან მოვიდე დეპეშა, ჩემდამი, ჩაჭ..ი, დაშ-ვლა შემაძრწუნებელი სურათი: ერთი მხრით სომხეთის დალაგებაც, მეორე მხრით მუსულმანების კუთხის დაქვე-ყნება, არ დაგვაცალეს, ჩვენ თქვენი ვართ, ... დენ სტამბოლის. სომხებს არავინ ყურს არ უგდებდა, ხო-ლო ქართველები მეგობრებელობით ამიერ-კავკასიის

დამცველი, რასაც არავითარი ფასი არ ქონდა. ამ წარ-მათ აზერბეიჯანმა გაარღვია რა ჩვენი ტერიტორიალუ-რი მთლიანობა და გადაბარგდა მტრის ბანაკში, დაინგ-რა სეიმის დელეგაცია, რასაც უნდა მოჰყოლოდა თვით სეიმიც. ქართველ დელეგაციამ გამართა თათბირი. შევე-დით იმ დასკვნამდე, რომ შექმნილი მდგომარეობიდან ერთად-ერთი გამოსავალი: სეიმის დაშლა და სამი ერის მიერ თავ-თავის დამოუკიდებლობის გამოცხადება. აზ-ერბეიჯანი ახლა ოსმალეთისაკენ მიიწევდა მთელ ნდო-ბით, რადგან მას მოუთმენლობდით, მხოლოდ თავ-თავს გაათრევდა. სომხები ვერ ხედავდენ მდგომარეობას, ფსი-ქოლოგიური ლაპარაკი მომივიდა ალ. ხატისოვთან. მან და-მარწმუნა — თუ ვიღუპებით — სჯობს ერთად დავიღუპო-თო! ეს იყო სასოწარკვეთილების ამოძახილი. ჩვენი აზ-რი მოიწონეს გერმანელებმაც და აღგვითქვეს დახმარე-ბა. ამ გადაწყვეტილებით წავედი ბერლინში თავის მთავრობისათვის მოსახსენებლად.

მაშასადამე, დღის წეს-რიგში დადგა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ეს იყო სრულიად მოულოდნელი, არავითარ არ გათვალისწინებული აქამდე. მისი გატარება ჩვენს რევოლუციონურ ორგანიზაციებში გახდა დიდ თავსამტვრევ ამოცანათ. ამ მიზნით დავბრუნდი თფილისში.

რაკი გადამწყვეტ როლს ყველა დიდ პოლიტიკურ მდგომარეობაში ასრულებდა თფილისის სოც.-დემ. ორგანიზაცია, პირველ-ყოვლისა მოვიწვიეთ მისი კრება ქალაქის საბჭოში. დაესწრნენ ყველა რაიონების წარმომადგენლები, კომიტეტი სრული შემადგენლობით, ცენ. კომიტეტი, პარლამენტის კოლეგიის წევრები — ერთი სიტყვით მთელი მეთაურობა, სადაც შედიოდნენ ყველა ეროვნებები ქართველების გვერდით, რუსები, სომხები, ოსები, მუსულმანები — ყველა. ეს იყო მართლა ინტერნაციონალური. გავაკეთე მოხსენება (დაბეჭდილია). გაიმართა დებატები, აღფრთოვანებულნი იყვნენ „მუსავატის" მოქმედებით, ამიერკავკასიის განდგომით და ბოლოს ერთხმათ იქნა მიღებული წარდგენილი რეზოლიუცია. ეს მოვქმედეთ, თავდადებული ხალხი იმავე ღამეს შეესიენ მუშათა რაიონებს. გააცნეს რა ხდებოდა ბათუმში და ოცდაოთხ საათში მთელი მუშათა კლასი გადაიყვანეს საქართველოს ნაციონალურ რელსებზე.

დაუვიწყარია ეს კრიტიკული მომენტი. ჩვენმა პარტიამ კიდევ ერთხელ დაიჭირა ძნელი ეგზამენი. ლ[illegible]თის სოც.-დემ. კონფერენციის გადაწყვეტილება განხორციელდა სრულიად მოულოდნელ, ტრაგიკულ პირობებში, როგორც საშუალება თავის გადარჩენისა...

რაკი ეს მთავარი ფრონტი ჩაიყარა შემდეგ მისი გატარება ადვილი იყო. სეიმის ჩვენმა ფრაქციამ ერთხმათ მიიღო; მოვიწვიე სომხები ცალკე და გავაცანი მდგომარეობა. აგარონიანმა თქვა ლიტ. სიტყვით მოწმობათა — რაკი ქართველებს ეს გადაარჩენს რა დაგვრჩენია რომ არ დავემორჩილოთ და მოგილოცოთ; ჩვენ უპირველესად არ გვინდა სხვებიც ჩავითრიოთ და სხ.

ეხლა საკითხი დადგა ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ საბჭოში, რომელსაც უნდა მოემზადებია მისი განხორციელება შემდეგ სეიმის დაშლისა. საჭირო იყო დამოუკიდებლობის აქტის შედგენა და მიღება საბჭოში. გამოეყო კომისია ჩემით ერთად სამუშაოთ ამ საკითხში.

ასე წერს ნოე ჟორდანია თავის წიგნში "ჩემი წარსული" ამიერკავკასიის სეიმის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მომზადების შესახებ.

გესაუბრებოდათ დავით თაზორიძე!..
==============================

## ამიერკავკასიის კომისარიატი და სეიმი:

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინაპერიოდიდან საქართველოს მმართველობაში დიდი როლი ითამაშა ჯერ ამიერკავკასიის კომისარიატმა, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის სეიმმა.

1917 წლის 11-ს ნოემბერს თბილისში შედგა თათბირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თბილისის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა; ქალაქის სათათბიროს გამგეობამ, კავკასიის არმიის სარდლობამ, სამხარეო საბჭოებმა და ოზაკომის შემადგენლობამ. ამ თათბირზე გადაწყდა ამიერკავკასიის მთავრობის შექმნა, ვინაიდან ბოლშევიკური გადატრიალება რუსეთში არ სცნო დემოკრატიულმა ძალებმა ამიერკავკასიაში. "...არაჩვეულებრივ გარემოებათა გამო, რაც გამოწვეულია პოლიტიკური მოუქნელობით..."ამიერკავკასიის დემოკრატია იძულებულია ამიერიდან ხელში აიღოს მმართველობის საჭე, - ნათქვამია ამიერკავკასიის კომისარიატის განცხადებაში.

გადწყდა ახალი მთავრობა <u>ამიერკავკასიის კომისარიატის</u> სახელწოდებით, რომლის თავჯდომარეთ არჩეულ იქნა <u>ევგენი გეგეჭკორი</u>, ხოლო მთავრობაში შედიოდა - <u>აკაკი ჩხენკელი</u>, სოციალ-დემოკრატი, <u>ლონსკოი</u>, ესერი, <u>კარჩიკიანი</u>, დაშნაკი, <u>ხან-ხოისკი</u>, მუსავატი, <u>ალექსეევ-მესხიევი</u>, ფედერალისტი, <u>ხას-მამედოვი</u>, მუსავატი, და სხვები.(სსცია, ფ.1918, საქ.116, ფურც.20-21). ამგვარად, ამიერკავკასიის კომისარიატის, ე.ი. მთავრობის შექმნა პირდაპირი პასუხი იყო ბოლშევიკური გადატრიალების წინააღმდეგ პეტროგრადში, რომელიც დაგმო საქართველოს დემოკრატიულმა ძალებმაც.

ამიერკავკასიის კომისარიატი-მთავრობა დაუყონებლივ შეუდგა მოქმედებას, რომლის ერთერთი აქტი იყო 16-ს დეკემბერს გამოქვეყნებული დებულება - "სახაზინო, ყოფილ საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო, იურიდიული პირების და კერძომფლობელური მიწების-სადგილმამულო კომიტეტებისათვის გადაცემის შესახებ"(სსცია, ფ.1819, საქ.41, ფურც.173).

5-თ დეკემბერს, 1917 წელს ხელმოწერილ იქნა დროებითი დაზავე-ბის ხელშეკრულება თურქეთსა და კავკასიის არმიებს შორის, რის შედეგად საომარი მოქმედება შეწყდა მთელს კავკასიის ფრონტზე, და შემუშავებულ იქნა სადემარკაციო ხაზი"(ცენტრარქივი1917 წ.რევოლუცია,გვ.221).

იმის შემდეგ კი, როცა ლენინმა რუსეთის დამფუძნებელი კრება გარე-კა, 1918 წლის 12-ს იანვარს ამიერკავკასიის კომისარიატის მორიგ სხდომაზე დადგენილ იქნა რუსეთის დამფუძნებელი კრების ამი-ერკავკასიელი დელეგატებით ამიერკავკასიის სეიმის შექმნა,რომელიც პარლამენტის - საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციას შეასრულებდა(სსცია, ფ.1818, საქ.12,ფურც.26). სეიმის მოწვევის იდეა მოწონებულ იქნა. ამიერკავკასიის სეიმის პირველი სხდომა გაიხსნა 1918 წლის 10-თ თე-ბერვალს თბილისის სასახლის სხდომათა დარბაზში; სეიმში ფრაქციების სახით წარმოდგენილი იყო სოციალ-დემოკრატიული,სახალხო თავისუფლების, სოციალისტ-რევოლუციონერების, დაშნაკ-ცუტუნის, ფედერალისტების,მუ-სავატისტების, ნაციონალ-დემოკრატების, მუსლიმანური სოციალისტური ბლოკის,რუსეთის იტისალ-ისლამის, გუმეტის(მემარცხენე,ნაციონალისტური ფრთა)პარტიები. ყველაზე მძლავრი ფრაქცია ჰყავდათ სოციალ-დემოკრატებს, სულ 32 დეპუტატი, მუსავატისტებს 30-ი და დაშნაკებს 27-ი(სსცია,ფ.1819, საქ.176,ფურც.16).

ამიერკავკასიის სეიმის მეორე სხდომაზე ამიერკავკასიის კომისა-რიატის თავმჯდომარემ ევგენი გეგეჭკორმა კომისარიატის საქმიანობის ანგარიში ჩააბარა და კომისარიატმა თავისი რწმუნება მოხსნა; 1918 წლის 23-მ თებერვალს კი სეიმის პრეზიდიუმის სხდომამ დაადგინა,რომ ახალი მთავრობა ევგენი გეგეჭკორს შეედგინა. მას ახალ მთავრობაში დიდი ცვლილება არ შეუტანია: მინისტრთა პოსტები არსებითად სოციალ-დემოკრატიული,მუსავატისტური და დაშნაკური პარტიების წარმომადგენ-ლებმა დაიკავეს.

საბჭოთა რუსეთის (ბოლშევიკურმა) მთავრობამ დაიწყო მოლაპარაკება გერმანიასა და მის მოკავშირეებთან საზავო ხელშეკრულებაზე და

1918 წლის          ხელმოწერილ იქნა ის, რომლის მალით საბჭოთა რუსეთის მთავრობამ,ლენინის მეთაურობით, ამიერკავკასიის ქვეყნების, განსაკუთრებით საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიები,რომლებიც უკვე რუსეთის იურისდიქციის ქვეშ აღარ ითვლებოდა, თურქეთს გადასცა. ამიტომ ბრესტლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების წინააღმდეგ გაილაშქრა ჯერ ამიერკავკასიის კომისარიატი,შემდეგ ამიერკავკასიის სეიმი, ვინაიდან ბრესტის ზავით თანახმად საბჭოთა რუსეთმა <u>ბათუმი და მთელი აჭარა არდაგანის რაიონით,ე.ი.საქართველოს ტერიტორია თითქმის 15-ი ათასი კვადრატული კილომეტრის მოცულობის, და ამასთანავე ყარსი და მისი რაიონი თურქეთს გადასცა.</u>

<u>ლიქტორი:</u>          <u>("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")</u>

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება,
ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება,პატივცემული მსმენელები, დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის          ნოე ჟორდანიას აზრები ადამიანის,ასე ვთქვათ,"გაადამიანურებასა" და თავისუფლებაზე.

"მთელი ჩემი ყურადღება - ამბობს ნოე ჟორდანია - მიქცეული ადამიანისაკენ,ადამიანობისაკენ; ჩემი სული მასზე გადაშლილა უჩუმოდ, ჩემი ნებისყოფის გარეშე,ვაჟკაცურად; ვარ მომწყვდეული ამ რკალში გამოუსვლელად...     საზოგადოებრივი ინტერესები ჩაყლაპა პირად-ეგოისტურმა ინტერესებმა; საერთო,საყოველთაო მისწრაფებად გახდა სხვისი ოფლით ხელის მოთბობა; ადამიანი ასრობს ადამიანს მისსავე სისხლში, რომ თავისი ეგოისტური სურვილები დაიკმაყოფილოს; ადამიანი გახდა ადამიანისათვის ჯოჯოხეთი; და ეს მაღლა აწეული ადამიანი დარწმუნებული იმაში, რომ ის ზეკაცია, რომ ის რჩეულია, ბუნების გვირგვინია; დაჰყურებს მაღლიდან მშრომელ ხალხს და ასრობს თავის სღვირაჭბნილ სურვილებს გამოუგონებელ მოთხოვნილებათა მორევში." აი, რად იქცა თანამედროვე ადამიანი,რომელიც თავის ისტორიულ მიმმეს რომის ჩამავალი მზის ეპოქაში პოულობს.

"ჩემი ცხოვრება მიყვარდეს, ჩემი მეზობლის მძულდეს - ვერავერი საქმეა". ამის გარდაქმნას "მოითხოვს ღრმა სოციალურ კადაპოცს,ასაღ საადამიანო მენიშნას,რომელიც პიროვნებას ჩააყენებს ისეთ მისთვის სასარგებლო.საცხოვრებელ პირობებში, რომ სრულიადაც არ დასჭირდება სხვაზე ბატონობა".

## ამიერკავკასიის საზავო მოლაპარაკებანი თურქეთთან 1918 წელს:

წინა საუბარში აღვნიშნეთ, რომ საბჭოთა რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ ლენინის მეთაურობით, 1918 წლის ბრესტლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების თანახმად, რომელიც ლენინმა დადო გერმანიასა და მის მოკავშირეებთან, ამიერკავკასიის, განსაკუთრებით საქართველოს ტერიტორიები ბათუმი და მთელი აჭარა, არდაგანის ჩათვლით, სულ დაახლოებით 15.000-სი კვადრატული კილომეტრი - გადასცა თურქეთს, რა თქმა უნდა, არც ამიერკავკასიის კომისარიატი და არც ამიერკავკასიის სეიმი არ სცნობდა ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების ამ დებულებებს; და ამიტომ ამიერკავკასიის სეიმმა საზავო მოლაპარაკება დაიწყო თურქეთთან. 1918 წლის 16-ც თებერვალს სეიმმა თურქეთთან საზავო მოლაპარაკების შემადგენლობა დაამტკიცა, რომლის თავჯდომარედ არჩეულ იქნა ცნობილი ქართველი სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი.

იმავე წლის 23-მ თებერვალს სეიმის დელეგაცია აკაკი ჩხენკელის მეთაურობით ჩავიდა ტრაპიზონში, რომელიც თურქების ხელში იყო. საზავო მოლაპარაკების დაწყებამდე, ვეხიპ ფაშამ ამიერკავკასიაში რუსეთის არმიის სარდალს გენერალ ლებედინსკის გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც იგი ყარსის, ბათუმის, არდაგანის ოლქების დაუყოვნებლივ ევაკუაცია და თურქეთისათვის გადაცემას მოითხოვდა ("დოკუმენტი ი მატერიალი პო ვნეშნეი პოლიტიკე ზაკავკაზია ი გრუზიი", გვ.86). თურქეთის მთავრობა, პირველ რიგში, უსიტყვოდ მოითხოვდა ბრესტლიტოვსკის (ხელშეკრულების) შესრულებას. დაკარგად იცნობდა რა ამიერკავკასიის უმლურებას, -გაამლიერა თავისი ძალები ამ რაიონში და ბათუმის მიმართულებით შეტევაზე გადავიდა. ამიერკავკასიის მთავრობის დელეგაცია, გასაგებია, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა: მოლაპარაკება მიმდინარეობდა, თურქეთის ჯარები კი შეტევას განაგრძობდნენ, რის შედეგად 6-ს მარტს უკვე არდაგანი აიღეს და ყარსის დაცემის დღეებიც ახლოვდებოდა. ამ დროს ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციაში უთანხმოებამ იჩინა თავი: მუსავატელები თურქეთის ყველა მოთხოვნაზე

თანხმობას აცხადებდნენ. თურქებმა 1-ლ აპრილს (ახალი სტილით) ბათუმი, შემდეგ ყარსი, (ეს თბილისსაც კი ემუქრებოდნენ.) ოზურგეთი აიღეს, ამიერკავკასიის მთავრობამ გამოაცხადა მობილიზაცია. ტრაპიზონის საზავო კონფერენციამ მუშაობა შეწყვიტა. ამიერკავკასიის მთლიანობის შენარჩუნებისა და დაცვის მიზნით, <u>1918 წლის 9-ა აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა</u> გამოაცხადა. მთავრობის შედგენა დაევალა აკაკი ჩხენკელს, რომელმაც მთავრობის თავჯდომარისა და საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა დაიკავა, რის შემდეგ საზავო კონფერენციის მუშაობა 1918 წლის 11-ც 15-ც მაისს კი მაისს ბათუმში განახლდა. თურქეთის ჯარებმა ალექსანდროპოლი (თურქეთის ჯარები) დაიპყრეს და, მიუხედავად საზავო კონფერენციის მსვლელობისა, განაგრძობდნენ შეტევებს როგორც ერევნის, ისევე თბილისის მიმართულებით.

ამ დროს <u>გენერალი ნაზარბეკოვი</u> თავის დეპეშაში 20-ც მაისს ამიერკავკასიის სარდლობას ატყობინებდა:

"მიუხედავად საზავო მდგომარეობისა, თურქები განაგრძობენ სამხედრო მოქმედებას...ალექსანდროპოლისა და ერევნის გზის დაკავება მხოლოდ დასაწყისია შემდეგი დაპყრობისა" ("დოკუმენტი..." გვ.302). აი ასეთი მდგომარეობა არსებობდა ამიერკავკასიაში, რასაც ემატებოდა უთანხმოება ამიერკავკასიის სეიმში. ამ დროს, როგორც ნოე ჟორდანია წერს თავის მოგონებაში "ჩემი წარსული" (პარიზი, 1953 წელი), -ის ჩავიდა ბათუმში, სადაც დახვდა, როგორც ის წერს, "შემაძრწუნებელი სურათი: ერთი მხრივ სეიმის დელეგაცია, მეორე მხრით მუსულმანების კერძო დელეგატები; არ დაგვტოვით, ჩვენ თქვენი ვართ, ევედრებოდნენ სტამბოლს. სომხებს არავინ ყურს არ უგდებდა; ხოლო ქართველები მჭერმეტყველობით ამიერკავკასიის დამცველი, რასაც არავითარი ფასი არ ჰქონდა.... მაშასადამე - განაგრძობს ნოე ჟორდანია -, დღის წესრიგში დაისვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ". და ასე იშვა <u>26-ი მაისი</u>.

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..
==============================

## როგორ იქნა მომზადებული აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა?

როგორ იქნა მომზადებული აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა? - ამ კითხვაზე პასუხს იძლევა დამოუკიდებელი საქართველოს იუსტიციის მინისტრი - რაჟდენ არსენიძე, რომელიც უშუალო მონაწილე იყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მომზადებისა. რაჟდენ არსენიძე წერს:

"თებერვალ-მარტის რევოლუციას ბოლშევიკებმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს. მთავრობა იარაღით ჩაიგდეს ხელში ხალხის დიდი უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგ. ეს გამოჩნდა დამფუძნებელი კრების არჩევნებში, რომელიც მათ მოახდინეს მთავრობაში ჩადგომის შემდეგ. მიუხედავად ბოლშევიკური ძალმომრეობისა, ხალხის დიდმა უმრავლესობამ მათ უნდობლობა გამოუცხადა. დამფუძნებელ კრებაში ბოლშევიკი დეპუტატები იყვნენ ერთმესამედზე ნაკლები. დიდი უმრავლესობა კი მათი მოწინააღმდეგე სოციალისტ-რევოლუციონერები, სოციალ-დემოკრატები, ლიბერალები და სხვა პარტიების წარმომადგენლები გავიდნენ.

ბოლშევიკებმა გადადგომის მაგიერ დამფუძნებელი კრება გარეკეს და უმცირესობის დიქტატურა გამოაცხადეს. აქედან დაიბადა ანარქია და სამოქალაქო ომი მთელს რუსეთში. მხოლოდ კავკასიის ერებმა შესძლეს ამ არეულობისაგან თავის გადარჩენა, რადგან მათში ბოლშევიკებს თითქმის არავითარი გავლენა არ ჰქონდათ. სამი მთავრი ერის - ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების წარმომადგენლებისაგან შეიქმნა ამიერკავკასიის მთავრობა, რომელიც მუშათა და გლეხთა საბჭოებთან შეთანხმებული მართავდა ქვეყანას. მალე დამფუძნებელი კრების არჩევნების საფუძველზე თბილისში შედგენილ იქნა საკანონმდებლო ორგანო "ამიერკავკასიის სეიმი", რომელიც შეუდგა სოციალური რეფორმების გატარებას. სეიმმა შესძლო შინაური წესიერების დაცვა და ოტომანის საზღვრებიდან წამოსული გაბოლშევიკებული ჯარისაგან მოსალოდნელ დარბევას ქვეყანა ააცილა.

მაგრამ რამდენიმე თვის მუშაობის შემდეგ საგარეო ორიენტაციის საკითხებმა და გარეშე ძალების ზეგავლენამ კავკასია ერთობის გზას გადააცდინა და მოშალა იგი.

აი,ასეთ პირობებში, 25 მაისს, 1918 წელს, ეროვნულმა საბჭომ, რომელიც საქართველოს ყველა პარტიების, თვითმართველობების,კულტურული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან იყო შექმნილი, დაადგინა გამოცხადოს საქართველოს დამოუკიდებლობა, გაიჩინოს საკუთარი მმართველობა, რომ მტერს და მოყვარეს გასცეს პასუხი. ამ მიზნით მან გამოყო საკანონმდებლო კომისია,რომელსაც დაავალა დამოუკიდებლობის აქტის პროექტის დამუშავება.

ეს კომისია შეიკრიბა იმავე დღეს. ნაშუადღევს დავიწყეთ მუშაობა. ვჩქარობთ,რადგან ხვალ ეროვნული საბჭოს სხდომაა,რომელმაც თავს იდვა ამ ისტორიული აქტის შესრულება. ვჩქარობთ,მაგრამ არც ის შეიძლება, რომ აქტი არ იყოს მოფიქრებული,სერიოზული,ღირსი თავის დიად დანიშნულების; უნდა აღინიშნოს ხომ უფლებები ახალ დაბადებული მოქალაქის; უყურადღებოთ ვერ დავტოვებთ იმ ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს,რომელნიც ჩვენი ტერიტორიის ფარგლებში ცხოვრობენ. და ყოველივე ეს უნდა ითქვას მოკლედ,მოჭრით,მკაფიოდ. ამიტომ თვითეული სიტყვა იწვევს დავას,კამათს,აზრთა შეჯახებას; ყოველი ფრაზა ყალიბდება დიდი გულმოდგინებით. ბოლოს ბრძოლა და ჯახი თავდება მორიგებით, ერთსულოვნებით; რაც მიღებულია - მიღებულია ყველასაგან. განხეთქილებას და გულნაკლულობას აქ, ამ დიად გადამწყვეტ მომენტში, არ უნდა დაურჩეს ადგილი. ამას ვგრძნობდით ყველა, თუმცა ეს ჩვენთვის არავის უკარნახევია... ვიბრძვით და ვჩქარობთ, რადგან ოტომანის პორტასაგან 72-ი საათის ულტიმატუმი გვაქვს წამოყენებული,რომელსაც ხვალ საღამოზედ გაუდის ვადა. ამიერკავკასიის წინააღმდეგობისა და პასუხის გაცემის უნარი აღარ აქვს. ოტომანის იმპერია კი იარაღით გვადგია თავზე. სამარცხვინო ბრესტლიტოვსკის ზავით და რუსის ჯარის დაშლით გათამამებული - ყარსის, ბათუმის,არდაგანის ოლქების ჩამოცილებით გვემუქრება.

ყველა პარტიაში ერთსულოვანი თანხმობაა დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხში. მაგრამ ხალხის ხმის მოსმენა მაინც საჭიროა. და სოციალ-დემოკრატიული პარტია,რომელსაც უზომოთ დიდი გავლენა აქვს

მთელ ერში, შეკითხვას უგზავნის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციას,რომლებიც ხალხთან ახლოს არიან. მათი აზრის წინასწარი მოსმენა სავალდებულოდ მიაჩნია; და ყველა კუთხიდან,ყველა ქალაქიდან,ყველა მაზრიდან მოდის ერთსულოვანი პასუხი: თანახმა ვართ!

თქვენთან ვართ!

დამოუკიდებლობა საქართველოს!

ასეთივე პასუხი მოდის ყველა სხვა პარტიებიდანაც. ამგვარად, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი იგებს პირველ რეფერენდუმს.

ეს იყო 25 მაისს,1918 წელს,დილით შაბათს. კომისიაში მოგვდის ეს ცნობები,გვიხარია და მეტის ენერგიით ვაგრძელებთ მუშაობას. შეღამდა...ვერ დაგვისრულებია შრომა...ვიკრიბებით ნავახშმევს და ისევ ვმსჯელობთ, ისევ ტექსტის ყოველ აზრს ჩავკირკიტებთ; ხოლო ეროვნული საბჭოს ბიურო, მისი პრეზიდიუმი, გვიცდის, ელის ჩვენგან შემუშავებულ პროექტს, რომ საბოლოო ტექსტი მიიღოს და სავალ საბჭოს წინაშე წარადგინოს. შუაღამეზე ვათავებთ პროექტის დამუშავებას და მაშინვე ორი წევრი <u>გიორგი გვაზავა</u> და <u>პავლე სარჯველაძე</u> მიეშურებიან საბჭოს ბიუროს სხდომაზე,რომ ამაღამვე დაამთავრონ ეს საშური,მაგრამ მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა.

ნაშუაღამევს ბიურო იღებს ზოგიერთი შესწორებით საბოლოო რედაქციას და კვირას,26 მაისს,იგი საჯაროთ ცხადდება სასახლის თეთრ დარბაზში.

ვის სცალოდა იმ ჟამად კომისიის ოქმების შედგენაზე,და მათ შემოწმებაზე ფიქრი და ზრუნვა! იწერებოდა კი, მაგრამ არ ვიცი, ინახება იგი სადმე თუ გადაყლაპა დროთა უკუღმართობამ. ამიტომ გაწვდით ამ ცნობებს. იმაგან,ვინც ამ აქტის,აწ ისტორიულ აქტად ქცეულის შედგენაში და გამოცხადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს და რომელთა სახელები მესხიერებამ შემინახა, აღარავინ მეგულება ცოცხალთა შორის. თითქმის ყველა ჩვენს წინაპართა პანთეონს შეუერთდა. ამათგან ორი სახელი მინდა მოვიხსენო: <u>კოტე აფხაზი</u>,დიდი გონიერი პატრიოტი,რომელიც ინიციატორი იყო თავად-აზნაურობის მთელი ქონების ქართველი ერი-

სათვის გადაცემის,რითაც მოუმზადა ნივთიერი და ორგანიზაციული საფუძველი ჩვენი ერის აღორძინებას. მან წამებით დაიდგა უკვდავების გვირგვინი საქართველოს 26-ი მაისისათვის ბრძოლაში.

საქართველოს დიდი პრეზიდენტი ნოე ჟორდანია, დამოუკიდებლობის აქტის გამომცხადებელი, რომელიც 1953 წლის იანვარში მოგვტაცა ულმობელმა სიკვდილმა. ჩავისახოთ გულში მათი ხსოვნა და მათი სახეები.

ღრმად გაცწლებით,მაგრამ ურყევი რწმენით და გაზედულებით ვუდგებოდით ორიათასი წლის დამოუკიდებელი არსებობის განახლების მომენტს ასჩვიდმეტი წლის უსახელმწიფოდ ყოფნის შემდეგ. დიდია ჩვენი განცდა, დღესაც როცა ამ წამებს ვიგონებ მაშინ ერმა თავისი გაიცანა. საფრთხისაგან თავი იხსნა მით, რომ თავისი თავის პატრონი გახდა. გვწამს, იხსნის დღესაც თავის თავს კომუნიზმის უმსგავსო თარეშისაგან.

რაჟდენ(მიშა) არსენიძე
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
იუსტიციის მინისტრი.
25 მაისი,1958 წელი,მიუნხენი

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება,
ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
და ამასთან დაკავშირებით მაგონდება,პატივცემულო მსმენელებო,
აფხაზი მეცნიერისა
და საზოგადო მოღვაწის, პეტრე ჭარაიას სიტყვები აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ:
1912 წელს -
"აფხაზეთის პოლიტიკური ისტორია - წერს პეტრე ჭარაია მჭიდროდ დაკავშირებულია ქართველი ხალხის ისტორიასთან. აფხაზეთში ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით აღორძინდა ახალი ქართული სახელმწიფო. დღეს მთელი აფხაზეთის ტერიტორია მოფენილია ქართული ეკლესიებითა და ქართული წარწერებით. აფხაზური ტექსტისათვის ჩვენ ვხმარობთ ქართულ ანბანს, ქართულ ტრანსკრიპციას, რაც სავსებით ეგუება და ეთანაზრება აფხაზურს".

## 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება:

დადგა 26-ი მაისი 1918 წლისა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე. საქართველოს მთელი მოსახლეობა, როგორც რაჟდენ არსენიძე, ცნობილი სოციალ-დემოკრატი და შემდეგ საქართველოს იუსტიციის მინისტრი მოიგონებს, - საქართველოს მთელი მოსახლეობა ფეხზე იდგა; ხალხი ელოდა ისეთი ცნობის მოსმენას, რომელსაც ყველა 117-ი წლის განმავლობაში უცდიდა. და როცა 1918-ი წლის 26 მაისს ნაშუადღევის 5-თ საათსა და 10-თ წუთზე, თბილისში, მთავრობის სასახლის თეთრ დარბაზში ტრიბუნიდან ჭაღარამოსილი ნოე ჟორდანია საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს კითხულობდა, მისი პირით ლაპარაკობდა საქართველოს მთელი ისტორია, წარსული და აწმყო ქართველი ერისა.

აი სრული ტექსტი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისა:

### საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი:

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თვისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდი რევოლიუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერ-კავკასია.

დარჩენილ-რა თვისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერ-კავკასიამ თვით იდვეს თავსა საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორ-

განოუპიც შეჰქმნეს: მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერ-კავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა, და მით ამიერ-კავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკა არის.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

საქართველოს დამოუკიდებლობის ამ აქტს ხელი მოაწერა საქართველოს ეროვნული საბჭოს 100-მა წევრმა, მათ შორის ნოე ჟორდანიამ, ევგენი გეგეჭკორმა, ნოე რამიშვილმა და სხვა გამოჩენილმა პოლიტიკოსებმა.

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..

==================================

## დამოუკიდებელი საქართველოს პირველი და მეორე მთავრობა:

წინა საუბარში გაგაცანით საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელიც 1918 წლის 26-ს მაისს ნოე ჟორდანიამ,როგორც ეროვნული საბჭოს თავჯდომარემ, გამოაცხადა მთავრობის სასახლეში და ამ აქტით საქართველო გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი,ე.ი.სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფო.

დამოუკიდებლობის აქტის მეშვიდე მუხლი კი განსაზღვრამდა,რომ -"დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო,რომელიც შევსებული იქნება ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე".

ამ დებულების შესაბამისად, საქართველოს დროებითი მთავრობის შედგენა დაევალა ცნობილ სოციალ-დემოკრატს ნოე რამიშვილს,რომელმაც შეადგინა კოალიციური მთავრობა.

მთავრობის თავჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა <u>ნოე რამიშვილი</u>;

საგარეო საქმეთა მინისტრი - <u>აკაკი ჩხენკელი</u>;-სოციალ-დემოკრატი.

სამხედრო მინისტრი - <u>გრიგოლ გიორგაძე</u>;სოციალ-დემოკრატი.

მიწადმოქმედებისა და შრომის მინისტრი - <u>ნოე ხომერიკი</u>;სოციალ-დემოკრატი.

ფინანსთა მინისტრი - <u>კონსტანტინე კანდელაკი</u>;სოციალ-დემოკრატი.

იუსტიციის მინისტრ - <u>შალვა მესხიშვილი</u>;სოციალისტ-ფედერალისტი.

განათლების მინისტრი - <u>გიორგი ლასხიშვილი</u>;სოციალისტ-ფედერალისტი.

გზათა მინისტრი - <u>ივანე ლორთქიფანიძე</u>;სოციალისტ-რევოლუციონერი.

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი - <u>გიორგი ჟურული</u>;ეროვნულ დემოკრატი.

24-ს ივნისს კი ნოე რამიშვილი შეცვალა მთავრობის თავჯდომარის ადგილზე <u>ნოე ჟორდანიამ</u>. ამას მოყვა მთავრობაში ზოგიერთი ცვლილებები:

საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ჩაბარდა ევგენი გეგეჭკორს და სხვა.

ამის შესახებ, ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული", რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში, სხვათა შორის, წერს:

"...საქმეთამხედველობაში გამოირკვა ორი გარემოება; ერთი,მთავრობის ხელმძღვანელი მისაღებია არა თავისთავად...,მთავრობის კანდიდატი შეკავშირებულია არა ამ თვით თანამდებობასთან,არამედ პიროვნებასთან. ნოე ჟორდანიას ბრძანებას დავემორჩილები,სხვებისას კი არა – აი ამ ფსიქოლოგიის ამოძახილი. ასეთი აზროვნება, ასეთი ფსიქიკა ძირს უთხრიდა ნაციონალური მთავრობის არსებობას,მთელ ნაციონალურ საქმეს. კანონიერად შედგენილი მთავრობა ერის მთავრობაა – ეს ასეა ყოველგან, ასე უნდა იყოს ყოველგან. ჩვენში კი ეს დიდი საქმე დაუკავშირეს პიროვნებას. ამიტომ მე ვერას გზით ვერ მოვიშორე ეს თანამდებობა... მქონდა დიდი ლაპარაკი და კამათი პასუხისმგებელ ამხანაგებთან.ესენი ერთხმად მარწმუნებდნენ, რომ ჩემი გადადგომა დაანგრევს სახელმწიფოს, სამაგიერო ავტორიტეტიანი და მისაღები არავინაა და ისევ აიწყვეტენ დაბმული სახელმწიფო აზროვნებას მიუჩვეველი ძალები", – ასე წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში"ჩემი წარსული".

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..
=================================

მისარიაცს, არც ამერიკავკასიის სეიმსა და არც დამოუკიდებელ საქართვე-ლოს არასოდეს არ ჰქონია ბრესტ-ლიტოვსკის ეს სამარცხვინო ხელშეკრულე-ბა, მაგრამ ამ ხელშეკრულებამ მრავალი საერთაშორისო გართულება გამოი-წვია /განსაკუთრებით საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობაში/,და გერმანიისთანაც, თუმცა ეს უკანასკნელი ცდილობდა თავი აე-რიდებინა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების იმ დებულებების ცხოვრებაში გატარებისათვის,რომლითაც საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნა-წილი უნდა გადასულიყო თურქეთის უფლებამოსილების ქვეშ.

კაიზერის,ე.ი.იმპერატორულ გერმანიასთან კავშირი საქართველოს პოლიტიკური მოღვაწეების ერთმა ჯგუფმა დაამყარეს ჯერ კიდევ საქარ-თველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე. ამის შესახებ დამოუკიდებე-ლი საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობის თავჯდომარე ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული",რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში, სხვათა შორის, წერს:

ქუთაისიდან წერილი მომდის — დაუყოვნებლივ ამოდით. წავედი, ვა-გზლიდან წაიყვანეს ქალაქის საიდუმლოებით ერთ უც-ნობ ბინაზე, გაიღო კარები, გამოჩნდა მიხაკო წერეთე-ლი, ჩემი ძველი ნაცნობი; ჯერ იყო მარქსისტი, პირვე-ლათ მან თარგმნა მარქსის „კაპიტალი"-ს ერთი თავი და მოათავსა „კვალ"-ში გასაცნობათ; შემდეგ ყრილობაში გახდა ანარქისტი, შემდეგ ნაციონალისტი და ამ ფრონ-ტით ჩამოყალიბდა საქართველოში საიდუმლოთ. მან ამი-ხსნა მიზეზი შეხვედრის — გერმანიაში დაარსებულა ქა-რთული კომიტეტი, რომლის მიზანია საქართველოს გა-ნთავისუფლება გერმანიის დახმარებით. ჩამოვიდა საიდუმლო საქმეებით ამ ნიადაგზე, ხალხის მოსამზადებლათ საზღვრების გადმოლახვისთანავე და სხ. მე კატეგო-რიული უარი უთხარი ასეთი მუშაობის დაშვებაზე. ვუ-თხარი: ჩვენ იმას არ ვაწარმოებთ, არც ერთ კოალიცი-აში არ ვიმყოფებით, რუსეთის ომგულობას ვერ გამოვი-ჩენთ, პირიქით. ხალხის შეკითხვაზე — მობილიზაციაში გავიდეთ თუ დავიმალოთ, — ჩვენ ვურჩიეთ წასვლა, ანტიომური საბოტაჟი არ გავწიოთ. ჩვენში გერმანოფი-ლური აზროვნება სჭარბობს, მაგრამ ავანტიურის მომხრე მათგან არც ერთი პირი არ შეიძლება იყოს. ჩვენი გზა სხვაა არა ამ მხრით, არამედ რუსეთის შინაგანი რევო-ლუციის ხაზზე და სხ. თან დაუმატე: აცნობე მათ სა-ზღვარ-გარეთ ქართულ კომიტეტში. შეიძლება ეს სა-

ზიც ვამოგვადგეს - თქვა. დიდ ხანს კამათი არ დაგვჭირდება. ჩქარა შევთანხმდით, ჩემი მოსაზრების [illegible]ლობითა მან იცნო და ასე დავშორდით ცოტა ხნის შემდეგ. ამავე საკითხზე მქონდა ბაასი იმავე კომ[illegible] მეორე წარმომადგენელ გ. მაჩაბელთან თბილისში დ. ყიფიანის ბინაზე. იქაც საუბარი გათავდა შეთანხმებით — ჩვენ ჩვენ ხაზზე ვიმუშავებდით შიგნით, ისინი [illegible]ბულით უცხოეთში. ან ერთი გაგვიყვანს, ან მეორე. ძირითად საკითხში — საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებაში — ძირითადი აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა. საქმე იყო მხოლოდ ისეთი ტაქტიკა, რომელიც მაქსიმუმ მიგვიყვანდა ამ მიზნისაკენ და თან ქართველი ერის ფიზიკურ არსებობას არ ემუქრებოდა. ყოველნაირი ავანტიურა, საუკეთესო ნაწილები ჩვენი [illegible] უნდა ყოფილიყო ამოღებული. ამ დროს დამოუკიდებლობის საკითხის შესახებ ჩვენ კიდევ არ გვქონდა პარტიული აზრი, საერთო გადაწყვეტილება; თვითეულს ქონდა თავისი აზრი ამ საკანზე და მეც წერილობით-მოხაზულ ჩემი პირადი აზრი მოგახსენებდით. მაგრამ ვიცოდი, რომ ბევრი ამხანაგები ჩემებრ ფიქრობდა, თუ ხელსაყრელი პირობა დაგვიდგებოდა — ამ ნაბიჯს გადავდგამდით.

ასე წერს ნოე ყორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული". თუ როგორ განვითარდა გერმანია-საქართველოს ურთიერთობა, ამის შესახებ შემდეგ საუბარში.

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება,
ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემულო მსმენელებო, აფხაზი მწერლის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი გულიას სიტყვები აფხაზებისა და ქართველების შესახებ, რომელიც გამოქვეყნებულია ჟურნალ "მნათობის" 1974 წლის მე-10 ნომერში:

"ჩვენ - ამბობს დიმიტრი გულია - ერთი ცის ქვეშ, ერთ მიწაზე გვიშენებია ჩვენი კულტურა, ერთად დაგვიცავს ჩვენი ეროვნული რაობა და ჩვენი მიწა-წყალი. ჩვენ რომ ვთქვათ ძმები ერები ვართ, ეს ცოტაა. ჩვენ ერთი ფსიქიკის, ერთი ადათის, ერთი წესის, ერთი ფსიქოლოგიის ერები ვართ. ქართველს არა მგონია ვინმე ჰყავდეს უფრო ახლობელი ძმა, ვიდრე აფხაზია, აფხაზებსაც ასე მიაჩნდათ ქართველი და ჩვენ ამ ძმობამ შეგვინახა. ვინც ამ ძმობას მტრობს, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, "იგი თავისა მტერია"."

## გერმანია-საქართველოს ურთიერთობა 1918-21 წლებში: - II.

წინა საუბარში ავღნიშნეთ, რომ კაიზერის,ე.ი.იმპერატორული გერმანია ცდილობდა დახმარება გაეწია საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიისათვის 1917-18 წლებში, თუმცა 1918 წლის 3-ი მარტის ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებით, რომელიც დადებულ იქნა საბჭოთა რუსეთსა და გერმანია-ავსტრო-უნგრეთ-თურქეთ- ბულგარეთს შორის გერმანია თურქეთის მოკავშირედ ითვლებოდა და ამით ბრესტლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების ერთგულება უნდა გამოეჩინა. ამ ხელშეკრულებით კი საბჭოთა რუსეთმა თურქეთს გადასცა საქართველოსა და სომხეთის ტერიტორია ყარსი,ბათუმი და არდაგანი. თუ როგორი სახე მიიღო გერმანია-საქართველოს ურთიერთობამ 1917-1918 წლებში, მოთხრობილია დათა ვაჩნაძის,საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთერთი ლიდერის,მოგონებაში "გერმანული ფურცელი ქართულ ისტორიაში",რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ "საქართველოში"(18.10.1942, 11.12.1942,8.11.1942,15.11.1942). აი მთავარი ადგილები ამ მოგონებიდან. დათა ვაჩნაძე,წერს:

# გერმანული ფურცელი ქართულ ისტორიაში

### 1. გერმანული ფარი

(ეს მოგონებანი ეხება 1917-1918 წლებს, ქართველი და გერმანელი ხალხის ხულწრფელ მეგობრობას. მოგონება ეკუთვნის ერთერთ ქართველ მოღვაწეს. ვბეჭდავთ მასშემოკლებული სახით.)

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალება რუსეთში. რუს ბოლშევიკთა ჯარისკაცთა ტალღებმა წალეკეს დიდი საომარი ფრონტი დასავლეთში. დაიწყო სრული პოზიციების რღვევა. კავკასიის რუსული ჯარი ერზერუმ—ტრაპეზუნის ხაზზე უცაბედით შეირყა, მოსწყდა საომარ პოზიციებს და ჩრდილოეთით გაქანდა. ამ ჯარის ავანგარდი 39 დივიზია მოადგა თბილისის ძველი ციხის კედლებს. ყარსის რკინისგზის მატარებლიდან გადმოცვენილ სალდათების შემზარავი ძახილი: „გაუმარჯოს რევოლუციას, დაიკარით ბურჟუებს!..."

საზოგადოება შლეგომარეობაში იყო თბილისი. ქალაქი იხსნა ქართულმა მჭერმეტყველობამ. ქართველებმა დაარწმუნეს გამოქცეული რუსის ჯარისკაცთა მეთაურნი დაეტოვებინათ თბილისი, გაეგრძელებინათ გზა ჩრდილოეთისაკენ. „თქვენთვის დამზადებულია აურაცხელი. სურსათ—სანოვაგე,ტანსაცმელი, გაეშურეთ თორემ, სხვები დაგასწრებენ, დაილუპებით შიმშილითა და სიცივისაგან—უებნებოდნენ მათ ქართველი ორატორები. კავკასიის ჯარმა მიატოვა თბილისი, წავიდა ბაქოსაკენ.

წავიდნენ რუსები.1918 წელს თურქები იჭერენ ბათუმსა და ყარსს. 8 აპრილს მდინარე ჩოლოყზე ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს თურქების გალიპოლის დივიზია დაჰხოცეს 600 თურქი. თურქებმა დიდი ძალებით შესძლეს ოზურგეთის მაზრის ნაწილის აღება. თბილისი და ქუთაისი თურქების მუქარის ქვეშაა. ქართველობა ეძებს გამოსავალს.

ამ განსაცდელისას ქალაქს ელვის სისწრაფით მოედო ცნობა. თბილისში გაჩნდა გერმანიის წარმომადგენელი გრაფი შულენბურგი.

ქართული საზოგადოებრივი აზრი წყვეტს, მიმართოს დახმარებისათვის გერმანიას. არჩეული იქნა დელეგაცია სამეულის სახით. გრაფ შულენბურგმა დაგვინიშნა შეხვედრა თავის ბინაზე სოლოლაკში. „თქვენო ბრწყინვალებავ, საქართველომ დაგვავალა ჩვენ მოგმართოთ გერმანიის წარმომადგენელს თბილისში, აღმოგვიჩინოთ დახმარება, რათა ჩვენი პატარა ერი გადარჩეს განადგურებას თურქთაგან."

გრაფ შულენბურგმა გულთბილად მიიღო ჩვენი თხოვნა. აღგვითქვა, რომ იგი მოელაპარაკებოდა თავის მთავრობას: „ჩემს მთავრობას,—განაცხადა მან, —მე ვთხოვ ნებას, დამრთოს გერმანელ ტყვეებისაგან შევადგინოთ სამხედრო ნაწილები. იმედი მაქვს, უარს არ მივიღებ." ამ სიტყვებით დაიმედებულნი წამოვედით.

სამი დღის შემდეგ ისევ გრაფ შულენბურგთან ვართ. გრაფმა სიხარულით გადმოგვცა, რომ გერმანიის მთავრობამ დააკმაყოფილა მისი თხოვნა. გრაფმა გაგვაცნო გერმანელი ლეიტენანტი კაიზერი, რომელიც უშუალო ხელმძღვანელი იყო გერმანელი ტყვეების ორგანიზაციის საქმის. გრაფმა დაგვისახა სამუშაო პროგრამა, სწრაფად უნდა ჩამოგვეყალიბებინა სამხედრო რაზმები.

რამდენიმე დღის შემდეგ თბილისის სამხედრო სასწავლებლის ეზოში შეგროვდა 5 დიდი სატვირთო ავტომობილი; იქ ისხდნენ გერმანელი ტყვეები. ქართველმა მკერავებმა შეჰკერეს ტანსაცმელი, მექუდეებმა განაახლეს ქუდები, არსენალიდან ჩამოვიტანეთ იარაღი, მოვიმარაგეთ სურსათ-სანოვაგე, საღამოს 8 საათზე გერმანელი სამხედრო ტყვეებისაგან შემდგარი ორი ასეული გაემართა ტფილისის რკინიგზის სადგურისაკენ. ღამით საქართველოს აღმოსავლეთის საზღვრების მთავარი პუნქტები უკვე დაჭერილი იყო გერმანელთა რაზმების მიერ. 6 დღის განმავლობაში გერმანულმა რაზმებმა, რომელთაც მეთაურობდნენ გერმანელი ოფიცრები, ქართველი ოფიცრების თანხლებით, რიცხვით 1200-მა კაცმა გზა გადუღობა თურქებს.

მოლაპარაკება თურქებთან. საქართველოს ჰყავს მფარველი გერმანია. დამოუკიდებელი საქართველო. ერთ საღამოს შევიარე გრაფ შულენბურგთან, რათა გადამეცა ახალი ამბავი— საქართველოს დამოუკიდებლობა. გრაფი შინ არ დამხვდა.ახალი ამბავი გადავეცი ლეიტენანტს კაიზერს.მან მოგვილოცა დამოუკიდებლობა და გვითხრა, რომ ივნისში ტფილისში ჩამოვიდოდა გერმანიის ჯარი გენერალ ფონ კრესენშტეინის მეთაურობით.

ისტორიული დღე. საქართველოს პარლამენტის პირველი საზეიმო სხდომა. ზეიმი, აღტაცება. გერმანელი ლეიტენანტი კაიზერი მიდის ტრიბუნასთან: „მაქვს პატივი,—აცხადებს იგი,— გერმანიის მთავრობის სახელით მივულოცო ქართველ ერს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის დღე". ქართული პარლამენტი უდიდესი აღტაცებით ეგებება გერმანიის უკეთილშობილეს შვილებს: გრაფ შულენბურგს, ლეიტენანტ კაიზერს. ამ ორი ადამიანის სახით ქართველი ხალხი მადლობას უხდის გერმანიის ერს,რომელმაც მძიმე დღეებში განსაცდელისაგან იხსნა პატარა საქართველო. ამ აზრმა ფართო გასაქანი ჰპოვა.

დღეს ამ გულწრფელ მეგობრობის საფუძველზე კვლავ ახალი ძალით იჭედება ჩვენი ქართველი ერის მეგობრობა, გერმანიის დიდ ხალხთან. ეს მეგობრობა თავის ბრწყინვალე შედეგს მისცემს ქართველ ხალხს.

ასე წერს თავის მოგონებაში დავით ვაჩნაძე საქართველო-გერმანიის ურთიერთობის შესახებ 1917-18-წ წლებში.

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..

==============================

## გერმანია-საქართველოს ურთიერთობა 1917-18 წლებში - III.

გასულ საუბრებში შევეხე გერმანია-საქართველოს ურთიერთობას 1917-1918 წლებში და გავაცანით ამ საკითხზე ნოე ჟორდანიასა და დათა ვაჩნაძის ზოგიერთი აზრები-მოგონებანი. როგორც ავღნიშნეთ, საქართველოს ეროვნული დემოკრატიული პარტიის ერთერთმა ხელმძღვანელმა დათა ვაჩნაძემ დაწერა მოგონება "გერმანული ფურცელი ქართულ ისტორიაში", რომლის პირველი ნაწილი ჩვენ უკვე გავაცანით წინა საუბარში. ახლა გავაცნობთ ამ მოგონების მეორე ნაწილს. დათა ვაჩნაძე ამ მოგონებაში, სხვათა შორის, წერს:

# გერმანული ფურცელი ქართულ ისტორიაში

## 2. გერმანელთა სამხედრო დელეგაცია

1918 წლის ივნისში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ქ. თბილისში ჩამოვიდა გერმანელთა სამხედრო დიპლომატიური დელეგაცია გენერალ ბარონ კრეს ფონ კრესენშტაინის მეთაურობით. საქართველოს მთავრობამ დელეგაცია უდიდესი პატივისცემით მიიღო. გენერალმა ფონ კრესენშტაინმა დანიშნა დღე საქმიან მოლაპარაკებისათვის. გერმანიის ჯარის [illegible] გენერალის: რომელიც [illegible] ქართველების [illegible] სიტყვით მიმართა გერმანელ მებრძოლებს გენერალმა ფონ კრესენშტაინმა: [illegible] ამ ქვეყანაში მოვედით არა [illegible] მიზნით, არამედ [illegible] დაპყრობის [illegible] ქართველ [illegible] სახელმწიფოს [illegible]. ჩვენ მოვედით არა როგორც დამპყრობლები, არამედ როგორც მეგობრები". ამ სიტყვებს მალე მოჰყვნენ შესაფერი საქმენიც.

დელეგაციამ გენერალ ფონ კრესენშტაინის ხელმძღვანელობით შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი, მათ შორის იყო პროექტი ქართული რეგულარული ჯარის ორგანიზაციის (3 დივიზია) და სამხედრო [illegible] შესახებ, რომლებიც დამტკიცებულ იქნა საქართველოს მთავრობის, პარლამენტის სამხედრო კომისიის და ქართული გენერალიტეტის შტაბის [illegible] გაერთიანებული სხდომის [illegible]. ქართული რეგულარული ჯარის ორგანიზაციამ გაამხნევა ყველა ის, ვინც იბრძოდა საქართველოს სახელმწიფოს გამაგრებისათვის. იგი ხელს მოუღებდა რუსული რევოლუციის [illegible] პარტიულ „წითელ გვარდიას", რომელიც ებრძოდა ეროვნული ჯარის შექმნას, ეროვნული სამხედრო წესების დანერგვას.

გვარდიის და ჯარის პარალელურად

თანარსებობა შეუძლებელი იყო, ეს გარემოება იწვევდა უთანხმოებას. საქმე დაიწყო დროშებისათვის ბრძოლით, გამართა დავა. ამას უმალვე შემთხვევამაც შეუწყო ხელი. საქართველოს რკინისგზების დასაცავად საჭირო იყო შექმნილიყო გერმანელთა სადარაჯოები. გერმანელთა შტაბმა იცნობა საქართველოს მთავრობას, რომ იგი შეუძლებლად თვლის [illegible] გერმანული რაზმები წითელი დროშების ქვეშ, რომლებიც მაშინ ფრიალებდნენ რკინისგზების ყველა სადგურზე. გერმანელები [illegible] რკინიგზებს თუ წითელი დროშები შეიცვლებოდნენ ქართული ეროვნული დროშებით.

წითელი გვარდიის ბანაკში ატყდა ალიაქოთი. წითელი დროშები შეცვლილ იქნა ეროვნული დროშებით. გერმანელმა და ქართველმა რაზმებმა აღფრთოვანებით და ზეიმით აღმართეს თბილისის სადგურზე საქართველოს ეროვნული დროშა.

საქართველოს აღმოსავლეთის საზღვარზე თურქებთან შეტაკებისას ქართველ ჯარისკაცებთან ერთად მოკლულ იქნა ორი გერმანელი ჯარისკაცი. დაკრძალვის დღეს გერმანულ სავადმყოფოსთან, საიდანაც უნდა გამოესვენებინათ ცხედარი, თბილისის დიდძალმა ქართულმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. მოვიდა საპატიო ქართული სამხედრო ასეული. მას მოჰყვა ავტომანქანით ფონ კრესენშტაინი. პროცესია დაიძრა. მას აცილებდა მთელი თბილისი, აქ იყვნენ საქართველოს მთავრობის წევრნიც.

მეორე დღეს საუბარი გვქონდა გენერალ ფონ კრესენშტაინთან. საინტერესოა მისი საუბრის შინაარსი. „ადრე თუ გვიან, — ამბობდა იგი, — ჩვენ გერმანელები წავალთ კავკასიიდან. თქვენი მმართველი წრე კი არ ჩქარობს შექმნას საფუძვლიანი საარსებო დაწესებულებანი. ქართული ჯარის შექმნისათვის მიღებული პროექტი აქამდის [illegible], მეზობლებთან არა გაქვთ კარგი განწყობილება. თუ თქვენ გსურთ დაიცვათ თქვენი თავისუფლება, გმართებთ დღე და ღამ იმუშაოთ. თქვენი თანამემამულეთა დიდი ნაწილი უდარდელია, ამ უდარდელობით ვერ აშენდება ეროვნული სახელმწიფო. მაპატიეთ, რომ ვერევი თქვენს შინაურ ცხოვრებაში და ასე მკვახედ გელაპარაკებით, მაგრამ ამ შემთხვევაში მე მასულდგმულებს მხოლოდ კეთილი სურვილი, რომ თქვენმა ნიჭიერმა და სიმპატიურმა ერმა არ დაჰკარგოს თავისუფალი სახელმწიფო".

ასე წერს დათა ვაჩნაძე თავის მოგონებაში გერმანია-საქართველოს ურთიერთობის შესახებ 1917-18 წლებში.

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..
================================

## გერმანია-საქართველოს ურთიერთობა 1917-1918 წლებში - IV.

წინა საუბრებში გაგაცანით <u>მთავარი ადგილები</u> მოგონებისა გერმანია-საქართველოს ურთიერთობის შესახებ 1917-1918 წლებში, რომლის ავტორია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი დათა ვაჩნაძე. მან ეს მოგონება სათაურით "გერმანული ფურცელი ქართულ ისტორიაში" გამოაქვეყნა გაზეთ "საქართველოში" 1942 წელს. ახლა გაგაცნობთ ამ მოგონების მესამე ნაწილს. დათა ვაჩნაძე წერს:

# გერმანული ფურცელი ქართულ ისტორიაში

## 3. გერმანელი მრჩეველი. ქართული ლხინი.

გერმანიის სამხედრო დელეგაციამ საჭიროდ სცნო ქართულ სამხედრო სამინისტროში გერმანიის საგანგებო სამხედრო მრჩეველის მოწვევა. საქართველოს მთავრობა მას დაეთანხმა ამ მოთხოვნილებაზე. მალე ბერლინიდან ჩამოვიდა გენერალ ჰინდენბურგის მიერ გამოგზავნილი მაიორი გრაფი ვოლფსკელი. იგი შეუდგა ქართული მუდმივი ჯარის ორგანიზაციის პრაქტიკული საკითხების გარკვევას. ჰაუპტმან კაიზერის (კაიზერმა უკვე წარჩინება მიიღო) და ქართული გენერალური შტაბის ოფიცრების დახმარებით მაიორმა ვოლფსკელმა შეიმუშავა გეგმა, თუ როგორ უნდა შემდგარიყო ქართული ეროვნული ჯარი. ამ პრაქტიკული გეგმის განხორციელება მოითხოვდა პარტიული გვარდიის დაუყონებლივ ლიკვიდაციას.

როდესაც გეგმა განსახილველად წარდგენილი იქნა საქართველოს საპარლამენტო სამხედრო კომისიაში, მის წინააღმდეგ გამოვიდნენ სოციალისტები ს. მდივანის მეთაურობით. ისინი მოითხოვდნენ „სახალხო გვარდიის" ხელუხლებლად დატოვებას. ეს გასაგებიც იყო, რადგან ამ დროს მზადდებოდა არჩევნები საქართველოს დამფუძნებელი კრებისათვის და სოციალისტებს ესაჭიროებოდათ „გვარდიის" დახმარება.

საქართველოს ფინანსიური მდგომარეობა, ქვეყნის სამხედრო თავდაცვის პრინციპი ვერ ითმენდა ორი სამხედრო სისტემის არსებობას. გრაფი ვოლფსკელი გადადგა „მრჩეველის" თანამდებობიდან და მოემზადა გერმანიაში წამოსასვლელად. ქართულ კლუბში გამართულ ბანკეტზე, რომელიც მიძღვნილი იყო გრაფ ვოლფსკელის გამომგზავრებისადმი, სოციალ-დემოკრატები ქება-დიდებას ასხამდნენ გრაფს. საქართველოს სამხედრო მინისტრმა გრ. გიორგაძემ გრაფს მიართვა ვერცხლით მორთული ქართული ხმალი. ამ სურათით განცვიფრებულმა გრაფმა წარმოსთქვა: „რისთვის? რატომ? გარდა შეწუხებისა მე თქვენთვის სხვა არაფერი მომიტანია. თქვენ ჩემი რჩევა არ მიიღეთ... რისთვის ან ვისგან ვიღებ ახლა ამ ძვირფასს საჩუქარს?"

გრაფის ამ სიტყვებს შესანიშნავად უპასუხა გამოჩენილმა ქართველმა მხედარმა ე. გულისაბედიშვილმა: „ამ საჩუქარს, — სთქვა მან, — თქვენ ღებულ

[ლობით ქართველი პატრიოტებისაგან, საქართველოს სამხედრო წრეებისაგან. თქვენ ყველაფერი თქვით და გააკეთეთ, როგორც შეგეძლოთ. თქვენს ამაგს აფასებს ქართველი ხალხის ის დიდი ნაწილი, რომელიც თქვენთან ერთად ერის თავდაცვის საქმეს პარტიულ ინტერესებზე მაღლა აყენებს."

გამოთხოვებისას გრაფმა განაცხადა: „ვტოვებ საქართველოს და მიმაქვს თან დიდი სიმპატია ქართველებისადმი, მაგრამ ამავე დროს თან მიმყვება გულისტკივილიც, რომ ვერ შევსძელი დამერწმუნებინა თქვენი ხალხის ახლანდელი მეთაურები, მიეღოთ ჩემი რჩევანი".

გრაფი გაემგზავრა ბერლინს.]

გერმანელების მოღვაწეობამ მალე მიიზიდა თბილისის საზოგადოების ყურადღება. გერმანელებს სურდათ კიდევ უფრო დაახლოვებოდნენ ქართველებს, გაცნობით, მისვლა - მოსვლით და სხვა. გენერალ გაბაშვილმა მოაწყო წვეულება. წყნეთის ქუჩის ახლოს სახლში სამი დარბაზი გაივსო მოპატიჟებული სტუმრებით. აქ იყო მთელი თბილისი— მთავრობა, ქართული პარტიების მეთაურნი, გერმანელთა და ავსტრიელთა დელეგაციების წარმომადგენელნი, უფროსი ოფიცრობა. მაგიდის შუაგულში ისხდნენ გერმანელთა და ავსტრიელთა დელეგაციის უფროსები ფონ კრესი და მაიორი ფონ ფრანკენშტაინი.

გაიმართა ლხინი. ი. ბარათაშვილმა ჩამოჰკრა თარზე და საამური ხმით იმღერა ქართული რომანსი „შენ გეტრფი მარად". ამ სიმღერამ კიდევ უფრო გააცოცხლა სუფრა. დავიწყებული იქნა გუშინდელი უთანხმოებანი. ძველმა ქართულმა ტრადიციამ — სუფრამ ერთიანობა ჩამოაგდო.

რამდენიმე წუთის შემდეგ მასპინძელმა, გენერალ გაბაშვილმა აიღო ვერცხლის აზარფეშა და მიმართა თავის ევროპიელ სტუმრებს: „მადლობელი გახლავართ პატივისცემისათვის, ხოლო მე ვიცი, რომ სიღარიბის გამო ვერ შევსძელი უკეთესად შეგხვედროდით. ნება მიბოძეთ ეს ნაკლი სიტყვით მაინც შევავსო. ჩემს ჭაღარას არ შეშვენის სიყალბე. გულახდილად გეტყვით, რომ არ მოველოდი იმას, რაც თან მოიტანეს გერმანელებმა საქართველოში. თითქმის მთელი მსოფლიოსთან მებრძოლი, ამ სისხლის წვიმების ხანაში, აზიის მიჯნებზე გადმოსული თავისი ჯარით, ასე ბრწყინვალე წესრიგითა და დისციპლინით, მეძველს მხედარს თავს მოაჭრევინებს. ჩემთვის, როგორც ქართველისათვის საამაყოა ის, რომ თქვენ ასეთი ყურადღება გამოიჩინეთ ჩვენი პატარა ერის საჭიროებისადმი, მისი საშინაო და საგარეო ცხოვრების განმტკიცებისათვის. ეს რაინდული მოქცევა აღემატება ყოველგვარ წარმოდგენას კეთილშობილებაზე... ნება მიბოძეთ მაღლა ავსწიო ეს ქართული სასმისი და გამოვსახო გრძნობები მთელი ქართველი საზოგადოებისა... მრავალჟამიერ თქვენს კეთილშობილებას!"

გუგუნებს ქართული „მრავალ ჟამიერი".

---

ასე წერს დათა ვაჩნაძე თავის მოგონებაში გერმანია-საქართველოს ურთიერთობის შესახებ 1917-1918 წლებში.

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..
================================

## გერმანია-საქართველოს ურთიერთობა 1917-1918 წლებში - V.

წინა საუბრებში ჩვენ გაგაცანით საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთერთი ხელმძღვანელის დათა ვაჩნაძის მოგონება გერმანია-საქართველოს ურთიერთობის შესახებ 1917-1918 წლებში. დათა ვაჩნაძის ეს მოგონება სათაურით - "გერმანული ფურცელი ქართულ ისტორიაში"-გამოქვეყნებულ იქნა გაზეთ "საქართველოში" 1942 წელს. ახლა გაგაცნობთ მეოთხე და ბოლო ნაწილს ამ მოგონებისა.
დათა ვაჩნაძე, სხვათა შორის, წერს:

### 4. სამშობლოს პატივის დაცვისათვის

ომის ახალმა მოვლენებმა უცაბედათ შესცვალეს გერმანელთა მიერ დამყარებული მდგომარეობა კავკასიაში. 1918 წელს საქართველოს მოედო ხმები, რომ გერმანელთა ჯარში დაიწყო რევოლუციური მოძრაობა. თბილისის გერმანულ მისიაში არ მალავდნენ ამ ხმების სისწორეს. გერმანელების კავკასიიდან წასვლა ახლო ხანში უნდა მომხდარიყო. ახალმა ამბებმა მალე დაადასტურეს ეს ხმები. ფრონტებზე ზავს მოჰყვა რევოლუცია გერმანიაში. კაიზერი გადადგა. ინგლისის გემები შემოვიდნენ შავ ზღვაში. გერმანელთა ჯარი შეუდგა ევაკუაციისათვის სამზადისს.

ზამთრის პირია. ცივა. ავადმყოფი ვწევარ ლოგინში. შემორბის ჩემი ცოლი და გადმომცემს, რომ სტუმრები მოვიდნენ. ძლივს ჩავიცვი.. გენერალი მოცდიდა. ნაღვლიანი სახით ჩამომართვა ხელი ფონ კრესმა. მის გვერდითვე იდგა ჩაფიქრებული ჰაუპტმანი დრეიერი.

—ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის... მოვედი რომ გამოგეთხოვო. დღეს, საღამოს, ჩემს დელეგაციასთან ერთად მივდივარ ქალაქ ფოთს. ინგლისელები უკვე თბილისში არიან. მათ უჭირავთ რკინიგზის სადგური. ველი უსიამოვნო ამბებს.—მითხრა გენერალმა.

—ძვირფასო გენერალო, ნურაფერზე შეწუხდებით. ჩვენ ყველაფრით მზად დაგიხვდებით—მიუგე მე მას. გენერალი თავის დელეგაციით გაემართა სოლოლაკისაკენ.

მე სწრაფად ჩავიცვი ჩოხა-ახალუხი. შევუდექი საქმის მოგვარებას. რკინიგზის სადგურზე უკვე იდგა შოტლანდიელი გუშაგი. გავიგე, რომ რკინიგზის ადმინისტრაციას, ინგლისელების შიშით, გადაუწყვეტია გერმანელთა დელეგაციის გამგზავრება „სამხედრო პლატფორმიდან“. მე თვითნებურად აღვიდგინე ჩემი ძველი რწმუნება და ვუბრძანე სადგურის უმფროსს გამოეყვანა მატარებელი გერმანელთათვის; თვით კი ინგლისელებთან მოსალაპარაკებლად წავედი. გზაში შემხვდა კაპიტანი გ. აფხაზი ინგლისური ენის კარგი მცოდნე, ვთხოვე მას დახმარება. ორთავენი მივედით შოტლანდიელ გუშაგთან და გამოვაძახებინეთ ასეულის უფროსი.

ჩვენ თხოვნაზე დროებით გაენთავისუფლებია დარბაზი, ასეულის უფროსმა ასე გვიპასუხა:

საიდანაც გინდათ იქიდან გაისტუმრეთ გერმანელები.

გამოვბრუნდი იქიდან, გადავედი იქვე სადგურის მახლობლად მდგომ ქართული ათასეულის ყაზარმაში გამოვიყვანე ერთი ასეული და გარს შემოვერტყით სადგურის სადაო დარბაზს. შოტლანდიელებმა ვეღარ გაგვიწიეს წინააღმდეგობა. ახლა უკვე თვითონ დასცალეს დარბაზი.

5 საათზე დარბაზი გაივსო ქართული ოფიცრებით, პარლამენტის წევრებით და სხვათა წარმომადგენლებით. მოვიდა გენერალი ფონ კრესი. ქართველები უსურვებდნენ დელეგაციას კეთილს მგზავრობას. ჩვენ გარს ვერტყით დელეგაციას, ვიცავდით მას, რადგან ვიცოდით ინგლისელებს აზრად ჰქონდათ ხელში ჩაეგდოთ დელეგაციის დოკუმენტები.

—ჩვენ მოვახერხებთ დავიცვათ ქართველთა უძველესი ადათი — სტუმართმოყვარეობა. არავის მივცემთ ნებას ჩვენს მიწა-წყალზე ძალადობას მიმართოს. იყავით დამშვიდებული,—ვეუბნებოდი გენერალს.

ქართველები გულისტკივილით ემშვიდობებოდნენ ძვირფასს სტუმრებს.. ფონ კრესმა მაგრად ჩამჰკიდა ხელი და მითხრა: „...ჩვენ დავმარცხდით და ვტოვებთ საქართველოს. ახლა მოვლიან ინგლისელები და ფრანგები. მართალია ამჟამად ისინი ჩვენი მტრები არიან, მაგრამ ვინაიდან მე მეგობარი ვარ საქართველოსი, რომლის თავისუფლებისათვის ჩვენ, გერმანელებმა გავაკეთეთ ის, რის გაკეთებაც შევსძელით, ვსთვლი ვალად გიხსნათ დაუყონებლივ მიმართოთ მათ თხოვნით დაგეხმარონ თქვენი ახალგაზრდა სახელმწიფოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის".

ეს იყო გენერლის უკანასკნელი სიტყვები.

გერმანელთა დელეგაცია 30 რჩეული ვაჟკაცით გააცილა კაპიტანმა აბაზამ. ისინი მშვიდობით ჩავიდნენ ფოთში. შემდეგ შევიტყვეთ, რომ ინგლისელებმა გერმანელებს არ მისცეს გემი. მთავრობის განკარგულებით დელეგაცია გადაყვანილი იქნა ქალაქ ქუთაისში. გერმანელებს ქუთაისში უდიდესი სიხარულით შეეგება ხალხი და ალფრთოვანებით უმასპინძლდებოდნენ მთელი ერთი თვის განმავლობაში. ქუთაისიდან ჩამოსულმა გრაფმა შულენბურგმა აღტაცებული ხმით მითხრა:

„ქართველების რაინდული ისტორია ახლა თვალწინ მიდგას. იმედია თქვენც და ჩვენც ბოლოს და ბოლოს ვერავინ მოგვერევა. გადაეცით თქვენს თანამემამულეებს ჩვენი უდიდესი მადლობა იმ განსაკუთრებული ყურადღებისათვის, რომელიც თქვენმა ხალხმა გამოიჩინა ამ შავს დღეებში".

1919 წლის მარტში გერმანელთა სამხედრო მისიამ დასტოვა საქართველო და გაემგზავრა ბათომიდან.

ამ წარსული გულწრფელი მეგობრობის საფუძველზე შენდება დღესაც გერმანელი და ჩვენი ხალხის ახალი მჭიდრო მეგობრობა.

თავის მოგონებაში
ასე წერს დათა ვაჩნაძე გერმანია-საქართველოს ურთიერთობის შესახებ 1917-1918 წლებში.

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..

==============================

## გერმანია-საქართველოს ურთიერთობა 1917-18 წლებში - VI.

წინა საუბრებში ჩვენ შევეხეთ გერმანია-საქართველოს ურთიერთობას 1917-1918 წლებში და გადავცანით სხვადასხვა პირთა მოგონებები ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის შესახებ,საიდანაც დავინახეთ, რომ კაიზერულ,ე.ი.იმპერატორული გერმანიის მთავრობამ, თავისი ინტერესების შესაბამისად კავკასიაში, დიდი მეგობრობა გაუწია საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს,

და მას ზევით მთელ კავკასიას. ჯერ ამიერკავკასიის კომისარიატმა,ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის სეიმმა,-დაინახა რა რომ თურქეთი ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულებით განსაზღვრული საქართველოს და სომხეთის ტერიტორიების დაპყრობითაც აღარ კმაყოფილდებოდა,- შეეცადა კაიზერული გერმანიასთან მოლაპარაკებების წარმოებას, რომ ამიერკავკასია ეხსნა თურქეთის ოკუპაციისაგან, რამაც, როგორც ა.სურგულაძე წერს"საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მე-6 ტომში(გვ.567),-"მართლა იხსნა ქვეყანა თურქეთის ოკუპაციისაგან".

როცა 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, საქართველოს მთავრობის პირველი ნაბიჯი იყო კაიზერული გერმანიის მხარდაჭერის მოპოვება დამოუკიდებლობის დასაცავად,რაც,ამ მომენტში ნიშნავდა, თურქეთის იმპერიალისტური ზრახვებისაგან თავის დაღწევას. ამ დროს გაცხარებული დიპლომატიური მუშაობა წარმოებდა კაიზერულ გერმანიის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის, რომლის დროს საქართველოს დიპლომატიამ"...მართებულად ჩათვალა გამოეყენებინა გერმანია-თურქეთის ბლოკში არსებული წინააღმდეგობანი და თურქეთის მთავრობის აგრესიული ზრახვები გერმანიის დახმარებით აელაგმა"(ა.სურგულაძე).საქართველოს ამგვარ განზრახვას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ბათუმის საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობდა კაიზერული გერმანიის მთავრობის დელეგაცია,როგორც შუამავალი. საქართველოს დახმარების თხოვნა გერმანიის მთავრობას გადაეცა გერმანიის

ელჩის - გრაფ ფონ შულენბურგის - მეშვეობით; და გერმანიამ სამხედრო დახმარება გაუწია დამოუკიდებელ საქართველოს იმით, რომ - როგორც წინა საუბრებში ავღნიშნეთ - გერმანელი ჯვეეყმისაგან, რომლებიც საქართველოში მსყოფებოდენ, სასწრაფოდ შეიქმნა გერმანული განაყოფები, რომლებიც წინ აღუდგნენ თურქებს და ამით შეჩერდა თურქეთის ჯარი, დაინახა რა რომ გერმანია დამოუკიდებელი საქართველოს მოკავშირე იყო. 1918 წლის 28-ა მაისს კი საქართველოს მთავრობამ და გერმანიის მთავრობამ ხელი მოაწერეს ფოთში სამხედრო, ეკონომიკურ და პოლიტიკურ შეთანხმებას ამ ორ ქვეყანას შორის.

გერმანია-საქართველოს ურთიერთ-თანამშრომლობის ნათელ სურათს იძლევა თავის მოგონებაში "ჩემი წარსული" ნოე ჟორდანია, დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობის თავჯდომარე 1918-21 წლებში. აი რას წერს ის:

"საერთაშორისო მდგომარეობა ჩვენს ირგვლივ მეტად გართულდა, ოსმალები შემოგვესივნენ, გერმანელების ჯარები მოვიდნენ. მათ უკან შორს - ახლო [illegible] ინგლის - საფრანგეთის თოფ - ზარბაზანი. ამ ქაოსში საბოლოოდ ვინ გაიმარჯვებდა ვინ იცოდა. ბერლინიდან დაბრუნდა ნ. ნიკოლაძე, ენკენისთვეში და მოიტანა: გერმანიის გამარჯვება უზრუნველყოფილია, მას ვერავითარი ძალა ვერ უძლებს, შეგვიძლია ავიღოთ ხაზი გადაჭრით გერმანიაზე. ასეთი აზრი არა მარტო ჩემი, არამედ მთელი დელეგაციის, ჩხენკელის მეთაურობით და სხ. მე მაინც ვყოყმანობდი, გვქონდა ხშირი თათბირი ამ საგანზე. გადავწყვიტეთ სრული ნეიტრალობა. დავეყრდნოთ ჩვენს თავს, ჩვენს მოსახლეობას და ორგანიზაციულ სიმტკიცეს, [illegible] — [illegible], საქმეს [illegible] — ჩვენი სუვერენობის ცნობით და შინაურ საქმეებში ჩაურევლობით. [illegible] ჩვენ სოციალისტები და დემოკრატები, ისინი მონარქისტები, აზნაურები. განსხვავება პოლიტიკური და იდეოლოგიური იყო დიდი. [illegible] ამის ჩვენი ურთიერთობის დამოუკიდებლობა იყო

---

ლიბერალური, მეგობრული, გულწრფელი. იმათ გერმანელებმა, იმავე დროს სრულიად სხვანაირად [illegible] უკრაინაში. აქ ისინი თვით აყენებდნენ და გადააყენებდნენ მთავრობას. აწყობდნენ შინაურ ურთიერთობას — [illegible] იქცეოდნენ როგორც გამარჯვებულნი დაპყრობილ ქვეყნებში. [illegible]

სახლში ჩვენ და ჟორდანიას მიმართ? უპირველეს ყოვლისა გა-
ნსხვავებით: იქ იყო სრული ანარქია, შინაური ბრძოლა,
ბოლშევიკების თარეში, პარტიული ქიშპობა, უწესრიგობა
და უთაობა. გერმანელი კი ემორჩილება წეს-რიგს, და
ისეთ მთავრობას, რომელსაც ერი სცნობდა და მას ნორ-
მალური წარმომადგენლები და მართავდა. ასეთი ჩვეულებ-
რიობა იქ არ იყო და თვით შეეძლოთ მას შექმნა. ჩვენში
კი სწორედ ის პოვეს, რასაც ეძებდნენ — წეს-რიგი, მთე-
~~ლიანი მთავრობის [illegible] [illegible]~~
ქაოსი და ანარქია — ერთი სიტყვით ნამდვილი თანამედ-
როვე სახელმწიფო. ჯარების უფროსის ფონ-კრესის პი-
რველი დარბაზობა ჩვენთან და მისი პირველი მოხსენება
სიტყვით (თარჯიმნით) იყო ნამდვილი კეთილშობილუ-
რი, ურთიერთ შეგრძნობილი და პატრიოტული. მან ამ ხაზი-
დან აღარ გადაუხვევია."

ახე წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული" გერმანია-საქართველოს თანამშრომლობის შესახებ 1917-1918 წლებში.

<u>დიქტორი:</u> <u>("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")</u>

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება, ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემული მსმენელებო, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის - ამბროსის - სიტყვები, რომლებითაც მან მიმართა ბოლშევიკურ სასამართლოს 1924 წელს, თბილისში. მოგაგონებთ: ბოლშევიკებმა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი გაასამართლეს იმისათვის, რომ მან 1922 წელს იტალიაში მემორანდუმი-წერილი გაუგზავნა გენუის კონფერენციას იტალიაში, რომელშიც ის აღწერდა საქართველოს მამინდელ უმწეო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ მდგომარეობას და მოითხოვდა საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ნაწილების გაყვანას საქართველოდან და საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ აღდგენას. და როცა ბოლშევიკური სასამართლო შეეცადა მისი უწმინდესობის - ამბროსის - მორალურ გატეხას და მოითხოვდა მისგან თავისთავის დამნაშავედ აღიარებას, კათოლიკოს-პატრიარქმა - ამბროსიმ - ბოლშევიკ მოსამართლეებს უპასუხა:

"ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, ჩემი გული საქართველოს, ხოლო ჩემს გვამს რაც გსურთ ის უქენით!.."

"საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი":

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინაპერიოდში განსაზღვრული როლი ითამაშა ე.წ-ით "საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა" პირველი მსოფლიო ომის დროს.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის შესახებ ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული", რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში, სხვათა შორის, ამბობს:

> ჩვენ ამ დროს ვიყავით სრულ ნეიტრალურ პოზიციაზე; არც რუს ვუსხმიდით, არც ოსმალოს; ვიყავით ლოდინით განწყობილი, რომაც აღვადგინა ბევრი ფანტაზია ამ ცვლის ხანაში. საერთო სიტუაციაში ჩვენთვის მთავარი ამოცანა იყო ერის, თავისუფალი მისი კულტურის, ფიზიკური ამოწყვეტისაგან გადარჩენა.
>
> აი ამ დავიდარაბაში ვარ გამშვილი, როცა ქუთაისიდან წერილი მომდის — დაუფიქრებლივ აშოდო. წავედი, ვიგძლიდან წინაიყვანეს ლოდის საიდუმლოებით ერთ უცხო ბინაზე, გაიღო კარები, გამოჩნდა მიხო — წერეთელი, ჩემი ძველი ნაცნობი; [ეგერ იყო მარქსისტი, პირველად მან თარგმნა მარქსის „კაპიტალი"-ს ერთი თავი და მოათავსა „კვალ"-ში გასაცნობათ; შემდეგ ევროპაში გახდა ანარქისტი, შემდეგ ნაციონალისტი, და ამ ფორმით ჩამოიყვანეს საქართველოში საიდუმლოთ.] მან ამიხსნა მიზეზი შეხვედრის — გერმანიაში დაარსებული ქართული კომიტეტი, რომლის მიზანია საქართველოს განთავისუფლება გერმანია-ოსმალის დახმარებით. ჩამოვიდა სამისო საშუამავლო ამ საკითხზე, ხალხის მოსამზადებლად [~~[illegible] და სხ.~~] მე კატეგორიული უარი ვუთხარი ასეთი მუშაობის დაშვებაზე, ვუთხარი: ჩვენ ომში არ ვაწარმოებთ, არც ერთ კოალიციაში არ ვიმყოფებით, რუსეთის ოკუპაციას ვერ გამოვრჩენ, პირიქით. ხალხის შეკითხვაზე — მობილიზაციაში გავიდეთ თუ დავიმალოთ, — ჩვენ ვურჩიეთ გასვლა, არავითარი საბოტაჟი არ გაეწიოთ. ჩვენში გერმანოფილური აზროვნება სპარობიზმ, თურქეთ აჯანყების მომხრე მათგან არც ერთი პირი არ შეიძლება იყოს, ჩვენი გზა სხვაა არა ამ მხრით, არამედ რუსეთის შინაგანი რევოლუციის ხაზზე და სხ. თან დავუმატე ამეშიანე მათ საზღვარ-გარეთ ქართულ კომიტეტში. შეიძლება ეს ხაზიც გამოგვადგეს-თქვა. დიდ ხანს კამათი არ დაგვჭირებია, ჩქარა შევთანხმდით, ჩემი მოსაზრების საფუძვლიანობა მან იცნო და ასე დავშორდით ცოტა ხნის შემდეგ.

საქართველოს დამოუკიდებლობის ამ კომიტეტის შესახებ, მისი ერთ-ერთი წევრისა და ხელმძღვანელის აწ გარდაცვლილი პროფესორ მიხეილ წერეთლისდახმარებით, კალისტრატე სალიამ გამოაქვეყნა მოგონება 1962 წლის ჟურნალ "ბედის ქართლისას" 39-40-ც ნომრებში, პარიზში. გაგაცნობა ამონაწერებს ამ მოგონებიდან: აქ ვკითხულობთ:

## საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი

## პირველი მსოფლიო ომის დროს

(მასალა ისტორიისათვის)

პირველი მსოფლიო ომის დროს საზღვარ-გარეთ არსებული საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის სრული თავგადასავალი დღემდე არავის გამოუქვეყნებია. მისი მოღვაწეობა კი იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის განმათავისუფლებელ ბრძოლის ისტორიაში, რომ დანაშაული იქნებოდა მისი დავიწყება და სათანადოთ არ აღნიშვნა. ჩვენ ვცადეთ აღგვედგინა მთლიანი სურათი ამ ორგანიზაციის საქმიანობისა მისი ცოცხლად დარჩენილი უკანასკნელი წევრის ბ-ნ პროფ. მიხეილ წერეთლის დახმარებით, რომელსაც აქ ქვემოდ ვაქვეყნებთ.

[რაც შეეხება გერმანულ ოფიციალურ დოკუმენტებს შესახებ ქართული კომიტეტის დამოკიდებულებისა გერმანიის მთავრობასთან, ჩვენ მას გავაცნობთ მკითხველს ერთ-ერთ ნომერში ჩვენი ჟურნალისა.]

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი დაარსდა შვეიცარიაში, ქ. ჟენევაში, ომის გამოცხადებისთანავე, 1914 წელს.

პირველი მისი წევრები იყვნენ: პეტრე სურგულაძე, ლეო და გიორგი კერესელიძენი და ნესტორ მალალაშვილი. კომიტეტის თავჯდომარე პეტრე სურგულაძე იყო წევრი იმ დამოუკიდებლობის ჯგუფისა, რომელიც არსებობდა საქართველოში 1909-1910 წელს და რომელშიც შედიოდენ: იაკობ გოგებაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, სვიმონ ყიფიანი, ალექსანდრე კიკვიძე, მიხეილ წერეთელი, გიორგი გვაზავა, ვალერიან გუნია, ნიკო ლორთქიფანიძე და სხვ. მათი ორგანო იყო „ერი“, რომელიც ცენზურისაგან დევნის გამო სხვა და სხვა სახელით გამოდიოდა და გაბედულად მოითხოვდა საქართველოს სუვერენობის აღდგენას.

1910 წელს ქართველი ნაციონალისტები დიდ დევნას განიცდიან, ამიტომ პეტრე სურგულაძე გადასახლდა ჟენევაში, სადაც მან განაახლა დამოუკიდებლობის ჯგუფის მუშაობა ძმ. კერესელიძეებთან ერთად და დაარსა გაზეთი „თავისუფალი საქართველო“. მიხეილ წერეთელი ამ დროს ლონდონში იყო; იგი უკავშირდება ჟენევაში მომქმედ ქართველთა ჯგუფს და თანამშრომლობს მათ გაზეთში, ხოლო 1911 წლიდან 1914-მდე იგი ჰაიდელბერგშია და იქიდან განაგრძობს თანამშრომლობას ჟენევის ჯგუფთან. გიორგი მაჩაბელი კი ბერ

ლინში ცხოვრობს და კავშირშია მიხეილ წერეთელთან და ჟენევის ჯგუფთან; ომის დაწყებას წინ იგი ბელგიაში გადასახლდება.

ომის გამოცხადებისათანავე ჟენევის დამოუკიდებლობის კომიტეტი იჭერს კავშირს გერმანიის პოლიტიკურ წარმომადგენლობასთან, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროს თანხმობით ქართველებთან ერთად იმუშავებს მთელ გეგმას კომიტეტის მუშაობისა. ჟენევიდან ბერლინში გადმოსახლებული საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი წარუდგება გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაობის საბოლოოდ დასამტკიცებლად. აქ იქმნა დადებული ერთნაირი ხელშეკრულება გერმანიის მთავრობასა და ქართულ კომიტეტს შორის, სადაც იყო დაპირება გერმანიის მთავრობის მიერ საქართველოს სუვერენობის ცნობისა, თუ გერმანია გაიმარჯვებდა და საქართველოს მიეცემოდა შესაძლებლობა დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. იყო აღთქმული აგრეთვე ყოველნაირი დახმარება კომიტეტის მუშაობისათვის.

მთავარი მაწარმოებელნი ქართული საქმისა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში იყვნენ: მომხსენებელი - მრჩეველი რუდოლფ ნადოლნი, ამავე დროს გენერალური შტაბის პოლიტიკური სექციის უფროსი, და „ლეგაციის სეკრეტარი" ოტო გიუნტერ ფონ ვეზენდონკ, რომლებსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვით ქართული პრობლემის შესწავლის საქმეში და მთავრობასთან მის დაცვაში.

გერმანიის მთავრობასთან შეთანხმების დადების შემდეგ დამოუკიდებლობის კომიტეტი მიემგზავრება სტამბოლს ოსმალეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად.

საინტერესოა, რომ სრულიად დამოუკიდებლად ქართული კომიტეტისა, რომლის წევრი იგი მაშინ არ იყო, გიორგი მაჩაბელსაც ჰქონია შემუშავებული იგივე გეგმა, რომელიც ჟენევის ჯგუფმა გერმანიის მთავრობას წარუდგინა. ამ გეგმით გ. მაჩაბელი მივიდა ფელდმარშალ ფონ დერ გოლცთან, რომელიც მაშინ დაპყრობილი ბელგიის გუბერნატორი იყო. ფელდმარშალმა ალტაცებით კაიზიარა მაჩაბელის გეგმა და თავისი ავტომობილით გააგზავნა იგი გერმანიაში. გიორგი მაჩაბელმა გაიარა ჰაიდელბერგში მიხეილ წერეთელთან და ორივენი დაუყონებლივ გაემგზავრენ ბერლინს. საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელეებმა იგინი მაშინათვე მიიღეს და ვრცელი მოლაპარაკება გამართეს მათთან საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან უკვე შემუშავებული და დადგენილი გეგმის განხორციელების შესახებ.

გერმანელების რჩევით გ. მაჩაბელი და მ. წერეთელი გაემგზავრენ კონსტანტინოპოლს და იქ შეხვდენ პეტრე სურგულაძეს, ლეო და გიორგი კერესელიძეებს და ნესტორ მაღალაშვილს. დამოუკიდებლობის კომიტეტი გაფართოვდა. მას მიემატენ: გიორგი მაჩაბელი, მიხეილ წერეთელი, მელიტონ ქარცივაძე, ხია ბეგ აბაშიძე და შალვა ვარდიძე. შემუშავდა საბოლოოდ კომიტეტის წესდება და მუშაობის გეგმა.

თურქეთის მთავრობამაც აღუთქვა კომიტეტს ცნობა საქართველოს დამოუკიდებლობისა გამარჯვების შემთხვევაში და იგივე დახმარება, რაც გერმანიის მთავრობამ დაჰპირდა.

კომიტეტი შეუდგა მუშაობის გეგმის განხორციელებას. უპირველესი ამოცანა იყო ქართული ლეგიონის დაარსება ოსმალეთში, რომლისათვისაც მას ეხმარებოდა გერმანია. კომიტეტს სურდა რუსეთის წინააღმდეგ აშკარა მონაწილეობის მიღება სამხედრო მოქმედებაში. ლეგიონის სამოქმედო ადგილად არჩეულ იქმნა ჭანეთი (ლაზისტანი), სახელდობრ, ვიწე, რომელიც ომის გამოცხადების დროს უახლოესი ადგილი იყო ფრონტიდან.

ლეგიონის შედგენის საქმე დაევალათ ლეო კერესელიძეს და გერმანელ ოფიცერს კიშკეს, რომელიც, ასე ვთქვათ, სამხედრო ატაშე იყო ქართულ კომიტეტთან, ხოლო პოლიტიკურ ატაშედ იყო დანიშნული ბ-ნი მოზელ. ორივენი ბოლომდე დარჩენ ქართულ კომიტეტთან და მუშაობდენ მასთან.

ლეო კერესელიძემ სცადა ქართული ლეგიონის შედგენა მაჰმადიან კავკასიელთა ერთად შეყრით: ქართველთა, ლეკთა და სხვათა, და მცირე ხნის

შემდეგ შეიქმნა პატარა რაზმი, დაახლოებით 70 კაცისაგან შემდგარი და თანადროდ გაწრთვნილი. ეს იყო საფუძველი. რომელზედაც უნდა აშენებულიყო ქართული ლეგიონი.

ჯერ კიდევ ომი არ იყო გამოცხადებული რუსეთსა და ოსმალეთს შორის, რომ ეს ახლად დაარსებული პატარა ქართული ლეგიონი აითვალისწინეს თურქებმა, განსაკუთრებით მათმა პოლიტიკურმა კომისიამ. რომელიც თურქეთის ჯართან იყო და დავალება ჰქონდა ქართულ კომიტეტთან მუდმივ კონტაქტში ყოფილიყო.

როგორც შემდეგ გამოირკვა. თურქებს თავისი განსაკუთრებული მიზეზები ჰქონდათ. გამარჯვების შემთხვევაში მათ სურდათ სამუსულმანო საქართველოს შეერთება და ამიტომ ეშინოდათ ქართული სამხედრო ძალის შექმნისა, რომელიც შევიდოდა საქართველოში თუ არა. წინ გადაეღობებოდა თურქების ამ მიზანს. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ერთ ღამეს ვიღაც უცნობმა ნავთი კადაასხა და ცეცხლი მოუკიდა იმ სახლს. სადაც კომიტეტის წევრებს და მათთან მიელინებულ გერმანელებს ეძინათ. მათ საბედნიეროდ. მოზელს არ ეძინა. რომელსაც უძილობის ავადმყოფობა ჰქონდა. სწრაფლ წამოვარდა ზეზე. გააღვიძა მძინარე ხალხი და ყველა გადაარჩინა. სახლი კი საძირკვლამდის დაიწვა.

ცოტა ხნის შემდეგ გამოცხადდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი. ჰანთაგან შემდგარი მოხალისეთა რაზმი თურქეთის ჯარის ნაწილებთან ერთად შეიჭრა რუსეთის ტერიტორიაზე. დაიპყრა უმეტესი ნაწილი აჭარისა და წამოიყვანა ტყვეთ ართვინის ოლქის უფროსი და ასზე მეტი ყაზახი.

ქართულ პატარა რაზმს ამ სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობა არ მიუღია. ასეთი იყო თურქების სურვილი. მათ არ სურდათ, როგორც თქმული იყო, ქართველებს საკუთარი სამხედრო ძალა ჰყოლოდათ და სამხედრო მოქმედება გამოეჩინათ. ეს მდგომარეობა ნათლად გაითვალისწინა ქართულმა კომიტეტმა და სასწრაფოდ გაგზავნა მიხეილ წერეთელი სტამბოლს, რომ გერმანიის საელჩოს ჩარევით თურქებს აესრულებინათ დაპირება: მიეცათ უფლება და შესაძლებლობა ქართული კომიტეტისათვის ლეგიონის შედგენისა.

ჩავიდა თუ არა სტამბოლში. მიხეილ წერეთელმა ინახულა გერმანიის ელჩი ბარონ ფონ ვანგენჰაიმი, გააცნო მას საქმის ვითარება და სთხოვა დახმარება თურქებთან. ამავე დროს ოსმალეთში იმყოფებოდა ფელდმარშალი ფონ დერ გოლც, დიდი სამხედრო მეცნიერი და პირველი შემქმნელი ევროპიულად გაწრთვნილი ოსმალეთის მხედრობისა.

ქართულ კომიტეტის ატაშე კიშკესთან ერთად მ. წერეთელმა სთხოვა აუდიენცია ფელდმარშალს. რომელმაც მეორედაც მამაშვილურად და პატივით მიიღო ისინი. — როგორც გადმოგვცემს ბ-ნი პროფესორი. — მან ქართველი კაცი დიდი და ღრმა ყურადღებით მოისმინა და უთხრა შემდეგი: — დარწმუნებული იყავით, რომ თურქებს მე დავითანხმებ თქვენ შესაძლებლობა მოგეცეთ ქართული ლეგიონის შედგენისა და მოქმედებისა მათ ტერიტორიაზე, მაგრამ ეს არ კმარა. უდიდესი მნიშვნელობა აქვს წმიდა პოლიტიკურ მუშაობას და პროპაგანდას ბერლინში, სადაც დღეს, როგორც გავიგე, არც ერთი წევრი თქვენი კომიტეტისა არ იმყოფება. აუცილებელი საჭიროა კომიტეტის ერთი ნაწილის ბერლინში წასვლა და საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად თქვენი ქვეყნის საქმისათვის მუშაობა. მხოლოდ გაძლევთ ერთ რჩევას: არამც და არამც არ გასწიოთ საქართველოში პროპაგანდა ქართველი ერის ასაჯანყებლად. არ დაგავიწყდეთ. რა ბედი ეწვია სომხეთს ოსმალეთის ტერიტორიაზე რუსეთის შემოსვლის დროს აჯანყების გამო. თქვენი პრობლემა არის წმიდა პოლიტიკური. არავითარი მნიშვნელობა არ შეუძლია ჰქონდეს ამ უზარმაზარ მსოფლიო კონფლიქტში თქვენ სამხედრო ძალას. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა სცნოს პოლიტიკური მნიშვნელობა საქართველოსი და კავკასიის ერთა დამოუკიდებლობისა გერმანიისათვის. და ეს არის ნამდვილი საფუძველი თქვენი პოლიტიკური მუშაობისა და მოქმედებისა გერმანიაში. —

თანახმად ფელდმარშალის რჩევისა კომიტეტის წევრები: მიხეილ წერეთელი და გიორგი კერესელიძე ბერლინში გადასახლდნენ. მათ მიემატა მალე თბილისიდან დაბრუნებული გიორგი მაჩაბელი, რომელიც გაგზავნილი იყო საქართველოში გასაგებად იმისა, თუ რა სულისკვეთება იყო ჩვენში, როგორ უყურებდნენ მსოფლიო კონფლიქტს ქართული პოლიტიკური წრეები, რა შეხედულება და მიზნები ჰქონდათ მათ საქართველოს მომავალზე. გიორგი მაჩაბელმა საქართველოდან ფრიად საინტერესო და სასიამოვნო ცნობები ჩამოიტანა. იქ უკვე ცნობილი იყო დამოუკიდებლობის კომიტეტის მუშაობა გერმანიაში და ბევრი ქართველი დიდ იმედებსაც ამყარებდა ამ მუშაობაზე: თვით ის პოლიტიკური პარტიებიც კი, რომელნიც დიდ სიფრთხილეს იჩენდნენ, რადგანაც ეეჭვებოდათ გერმანიის გამარჯვება, მტრულად არ უყურებდნენ ბერლინის კომიტეტს. ცნობილია, რაც უთხრა ნოე ჟორდანიამ გიორგი მაჩაბელს — დაბრუნდით გერმანიაში, თქვენმა კომიტეტმა იქ იმოქმედოს იმ ხაზით და პროგრამით, რომელიც თქვენ გაქვთ; ჩვენ კი აქ ვიმუშავებთ. ვნახოთ რა იქნება-ო.

ხოლო ეროვნულ-დემოკრატიულმა ჯგუფმა — დავით ვაჩნაძემ, სპირიდონ კედიამ, შალვა ქარუმიძემ, რევაზ გაბაშვილმა და სხვებმა — პირდაპირ სურვილი განაცხადეს კომიტეტთან საიდუმლო თანამშრომლობისა და მასთან კავშირის გაბმისა.

თბილიდან ზურგ-გამაგრებული გიორგი მაჩაბელი ჩავიდა პეტერბურგს, მოაწყო იქ კომიტეტის დამხმარე საიდუმლო [illegible], რომლის ხელმძღვანელად დააყენა თავისი ძმა ნიკო მაჩაბელი, [illegible] დუმბაძე, რომელიც შემდეგ ხშირად ჩამოდიოდა საიდუმლოდ ბერლინში და უზარმაზარი სამსახური გაუწია ქართულ საქმეს.

პეტერბურგშივე შეხვდა გიორგი მაჩაბელი პროფესორ ალექსანდრე ცაგარელს, რომელიც აღფრთოვანებული იყო ქართული კომიტეტის დაარსებით და მათი საქმიანობით და სთხოვა გიორგი მაჩაბელს თან წამოეყვანა იგი ბერლინში კომიტეტთან სათანამშრომლოდ: — ავარგებელი მეგობრები მყავს გერმანიაში და დიდი სარგებლობის მოტანა შემიძლია თქვენთვის-ო. —

რასაკვირველია, გ. მაჩაბელმა თავს არ იდვა ასეთი პასუხისმგებლობა და მხცოვანი პროფესორი არ წამოიყვანა. თვითონ კი დაბრუნდა ბერლინს სტოკჰოლმის გზით.

სტოკჰოლმი გახდა ამის შემდეგ შესახვედრი ადგილი ბერლინის ქართული კომიტეტისა და საქართველოში მომქმედ ძალთა შორის.

ბერლინში კომიტეტის მუშაობა ორ უმთავრეს საქმეზე წარმოებდა: ქართველ ტყვეთა გამოყოფა უზარმაზარი რუსის ტყვეთა ლაგერებიდან და მათთვის ზრუნვა, მეორე — პროპაგანდა გერმანულ საზოგადოებაში და ქართული საკითხის გატანა არა მარტო გერმანულ საზოგადოებაში, არამედ ყველგან, სადაც კი შესაძლებელი იყო — ბროშურებისა და პრესაში გამოქვეყნებული წერილების საშუალებით და სხვა.

მიხეილ წერეთელს ჰქონდა მინდობილი განსაკუთრებით პროპაგანდის საქმე; გიორგი კერესელიძეს — რედაქტორობა ტყვეებისათვის დაარსებული გაზეთისა, ხოლო გიორგი მაჩაბელს — კომიტეტის საგარეო საქმეთა ხელმძღვანელობა; როდესაც იგი ბერლინში იყო. მას მუდმივი კავშირი ჰქონდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან.

პროპაგანდის გარდა მიხეილ წერეთელს დავალებული ჰქონდა გერმანიის სამხედრო უწყებისაგან ტყვეების ლაგერთა ნახვა ყველგან გერმანიაში და ავსტრიაში და თუ კიდევ სადმე არ იყვნენ ქართველები გამოყოფილნი რუსებისაგან, მათი გამოყვანა და მოწყობა. მ. წერეთელმა დაათვალიერა ყველა ლაგერი,

როგორც ჯარისკაცების, ისე ოფიცრებისა. უმეტესი ნაწილი ქართველებისა უკვე გამოყოფილი იყო და ისინი ცხოვრობდნენ ცალკე ლაგერებში. მათი მდგომარეობა შედარებით სხვა რუსის ტყვეებთან უკეთესი იყო. ხოლო რაც შეეხება მათ პოლიტიკურ განწყობილებას, უნდა ითქვას შემდეგი: უმეტეს ნაწილს არ სწამდა გერმანიის გამარჯვება. ამიტომ ძნელი იყო მათთვის წინადადების მიცემა ქართულ ლეგიონში ჩაწერისა. თუმცა სრულებით არ იყვნენ განწყობილნი ქართული კომიტეტის წინააღმდეგ. შენიშნა რა ასეთი სულისკვეთება ქართველი ჯარისკაცებისა, მიხეილ წერეთელს არ მიუცია მათთვის წინადადება ლეგიონში შესვლისა. უხსნიდა მათ მხოლოდ ქართული კომიტეტის მუშაობის მნიშვნელობას და საქართველოს დამოუკიდებლობის შესაძლებლობას.

ოფიცერთა შორის განწყობილება კი უფრო სხვა იყო. ისინი უმთავრესად განათლებული პატრიოტები იყვნენ და დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართული კომიტეტის მიმართ, რომლის მუშაობაზე საუბარს გაბრწყინებული სახით უსმენდნენ. განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხვდნენ მიხეილ წერეთელს ერთ ლაგერში 4 ოფიცერი და 4 უნტეროფიცერი, რომლებმაც განაცხადეს, რომ გაგონილი ჰქონდათ ქართული კომიტეტის არსებობა და სურდათ მასთან მუშაობა: ამიტომ განგებ ჩავარდნენ ტყვედ. ესენი იყვნენ: ელიზბარ კიკნაძე, ლორთქიფანიძე, ოქროპირიძე, ტატიშვილი, წერეთელი, მძინარიშვილი და სხვები (სამწუხაროთ ბ. მიხეილს არ ახსოვს სახელები). ქართულ ლეგიონში ჩაწერის სურვილის განცხადებისთანავე ყველანი გაგზავნილ იქმნენ ოსმალეთში, გარდა მძინარიშვილისა, რომელიც კომიტეტმა დატოვა ბერლინში სხვა და სხვა დავალებებისათვის.

ავსტრიის ერთ ლაგერში ქართული კომიტეტის წარმომადგენელს გენერალი შაქრო ბაქრაძე შეხვდრია: საუკეთესო მენდლებით მკერდ-მოჭედილი. შესანიშნავი ვაჟკაცი გულდასმით მისმენდა, ბოლოს ცრემლი გადმოუვარდა და მითხრა: — ოღონდ კი განთავისუფლებული საქართველო ვიხილო და ჩემი ცხოვრების მიზანი მიღწეული იქნებაო. — მოგვითხრობს მ. წერეთელი.

გერმანიის მთავრობამ უფლება მიანიჭა ქართულ კომიტეტს შეეკრიბა აგრეთვე ის ქართველები, რომლებიც გერმანიაში ჩარჩნენ ომის გამოცხადების გამო. ესენი ლაგერებში არ იჯდნენ, არამედ ცხოვრობდნენ სხვა ადგილებში პოლიციის უბრალო ზედამხედველობის ქვეშ. კომიტეტმა თავი მოუყარა მათ და ყველანი ბერლინში ჩაიყვანა. მათ შორის იყვნენ: კონსტანტინე გამსახურდია, რაფიელ ნიჟარაძე, ალექსი ანჯაფარიძე და სხვანი. [განთავისუფლება შესთავაზეს აგრეთვე იმ დროს ლაიპციგში მცხოვრებ ლადო დარჩიაშვილს, რომელმაც კომიტეტს უპასუხა შეურაცხმყოფელი და გერმანიისადმი ზიზღით აღსავსე წერილით. მოითხოვდა მასთან არავითარი კავშირი არ დაეჭირათ.] საერთოდ გერმანელები ანთავისუფლებდნენ ზედა-მხედველობისაგან ყოველ ქართველს, ვინც განაცხადებდა, რომ ის დგას საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე და სურს მისთვის მუშაობა.

---

ქართული საქმის პროპაგანდამ ბერლინში დიდი ნაყოფი გამოიღო. საქართველოს დამოუკიდებლობას აღიარებელი თანამგრძნობი გაუჩნდა არა მარტო პოლიტიკურ წრეებში, არამედ ცნობილ მეცნიერთა, მწერალთა, მხატვართა და საზოგადოების სხვა გაელენიან პირთა შორის. რასაც დიდი გავლენა ჰქონდა თვით საგარეო საქმეთა სამინისტროზედაც. დაარსდა გერმანულ-ქართული საზოგადოება, რომელშიც შედიოდნენ ცნობილი იურისტები საერთაშორისო სამართლისა ფრანც ფონ ლისტის თავმჯდომარეობით, რომელიც იყო მუდმივი დამცველი საქართველოს უფლებათა, ხოლო საზოგადოების მდივანი იყო გერმანელი ებრაელი დევის ტრიჩ, დიდი იდეალისტი, სიონისტი, ამავე დროს გერმანიის პატრიოტი, დიდი განათლების კაცი. იგი უდიდეს დახმარებას უწევდა ქართულ საქმეს გერმანიაში. იყო ნიჭიერი მწერალი: თუმცა უმეტეს ნაწილად ებრაულ საკითხებზე სწერდა, მაგრამ ამავე დროს ის იყო დიდი მომხრე და დამცველი ყველა დაჩაგრულ ერთა უფლებათა. დევის ტრიჩს ხშირად უთქვამს ხოლმე ქართველებისათვის: — მე ვარ სიონისტი, რომელიც დიდი

ხმიდან მთელ ჩემს ძალას და ღონეს ვწირავ ამ მოძრაობას: ჩემი იდეალია, რომ ებრაელთა ერი გახდეს გლეხთა ერი. პურის მთესველი და მომყვანი თავის უძველეს სამშობლოში. ამით გადაწყდება ებრაელთა საკითხი და ჩვენს ერს მსოფლიოში პატივი და სიმპატიები ექნება-ო. ამით აიხსნება ჩემი თანაგრძნობა და მეგობრობა ყველა დაჩაგრულ ერთა მიმართ. და განსაკუთრებით ქართველებთან, რომლებთან თანამშრომლობა მე ბედმა მარგუნა-ო. —

ბერლინში მუშაობდა ომის დროს მრავალი კომიტეტი არა მარტო რუსეთის, არამედ ანტანტის მიერ დაჩაგრულ ყველა ერებისა. აქ იყვნენ პოლონელები (პილსუდსკის ლეგიონი), მათი კომიტეტის თავმჯდომარე ლემპინსკი; ფინლანდიელები, რომელთა კომიტეტი სტოკჰოლმში არსებობდა, ხოლო განყოფილება ბერლინში ჰქონდათ. კომიტეტის თავმჯდომარე იყო დიდად ცნობილი მოღვაწე კონი ცილიაკუს, რომელთან გიორგი დეკანოზიშვილს ჰქონდა საქმე იაპონიის ომის დროს; უკრაინელების კომიტეტი, ბელორუსებისა, ინდოელების, ეგვიპტელების და სხვა და სხვა. აზერბეიჯანელებს და მთიელებს ცალკე კომიტეტები არ ჰქონდათ: ისინი მუშაობდნენ ქართულ კომიტეტთან ერთად.

ჩვენ გერმანელ მეგობართა შორის იყო ბალტიელი ბარონი ფონ უექსკიულ, რომელიც დიდი მომხრე იყო რუსეთის მიერ დაჩაგრულ ერთა თავისუფლებისა: მისი ინიციატივით და რჩევით ხშირად იკრიბებოდნენ ერთად რუსეთის დაჩაგრულ ერთა კომიტეტები. რომ განსაზღვრულ მომენტში ერთად გამოსულიყვნენ მთელ მსოფლიოს წინაშე თავიანთ ერების უფლებათა დასაცავად.

ერთხელ ბარონმა დაიბარა ყველა წარმომადგენლები კომიტეტებისა და მათ შემდეგი წინადადება მისცა: — უნდა გამოიცეს წიგნი, სადაც აღწერილი იქნება დაწვრილებით რუსეთის მიერ დაჩაგრულ ერთა მდგომარეობა, მათი ტრაგედია. რასაკვირველია, ყველანი დასთანხმდნენ, დაამზადეს მოკლე ისტორია თავიანთ ერთა და გამოიცა დიდი წიგნი სახელით: „იცნობთ თქვენ რუსეთს?", გერმანულად, ფრანგულად და ინგლისურად.

მთელმა ამ პროპაგანდამ ისეთი გავლენა მოახდინა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროზე, რომ ყველა დაჩაგრულ ერთა წარმომადგენლებს მიეცა წინადადება და შესაძლებლობა წასულიყვნენ ლოზანაში "ერთა კავშირის" მესამე კონგრესზე დასასწრებლად, 1916 წ. კონგრესის მომწვევი იყო ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მთავარი კომიტეტი, რომელიც პარიზში არსებობდა. ბერლინში მყოფ ანტანტის მიერ დაჩაგრულ ერთა წარმომადგენლებმა: ინდოელებმა, ეგვიპტელებმა, ირლანდიელებმა, ფინლანდიელებმა, პოლონელებმა, უკრაინელებმა, ქართველებმა და სხვებმა განაცხადეს სურვილი კონგრესზე დასწრებისა. გაემგზავრენ ლოზანაში და წარსდგნენ რა კონგრესის ორგანიზატორთა წინაშე, მოითხოვეს კატეგორიულად უფლება დასწრებისა და თავიანთ ეროვნულ მოთხოვნილებათა წარდგენისა. კონგრესის ორგანიზატორები იძულებულნი გახდნენ მათი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინათ.

დაიწყო კონგრესი და ანტანტის მიერ განზრახული დემონსტრაცია ცენტრალურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, გადაიქცა უზარმაზარ დემონსტრაციად თვით ანტანტის დაჩაგრულ ერთა, განსაკუთრებით ინგლისისა და რუსეთის წინააღმდეგ.

წარმოსთქვეს სიტყვები წარმომადგენლებმა: ინდოეთისა, ირლანდიის, ფინლანდიისა, პოლონეთისა, საქართველოსი და სხვა ერთა. სიტყვები, რომლებიც წარმოადგენდნენ უდიდეს საბრალმდებლო აქტებს, სადაც მხილებულ იყვნენ რუსეთისა და ინგლისის იმპერიები მათ ერთა დამღუპველ და ერთა მომსპობ პოლიტიკაში.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვა საქართველოს წარმომადგენლის მიხეილ წერეთლის სიტყვამ, რომელმაც აღნიშნა რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ ჩადენილნი დანაშაულებანი ვახტანგ მეექვსედან დაწყებული უკანასკნელ დღემდე რუსეთის ბატონობისა საქართველოში. საქართველოს მრავალჯერ განადგურება თურქთა და სპარსთა მიერ რუსეთის პროვოკაციის და მოტყუების შედეგად: ერეკლე მეფისა და ეკატერინე მეორეს 1783 წელს

შეკრული ტრაქტატის დარღვევა რუსეთის მიერ: აქაც მოტყუება და მით გამოწვეული განადგურება საქართველოსი ალა-მაჰმად-ხანის მიერ და შემდეგ სრული მოსპობა საქართველოს სახელმწიფოსი, მისი დინასტიისა, ეკლესიისა და ყველა ეროვნულ დაწესებულებათა: ქართველთა აჯანყებანი და სისხლში ჩახრჩობა ამ აჯანყებათა გამხეცებული რუსის ჯარების მიერ და ბოლოს გარუსების პოლიტიკა და დევნა ქართული ეროვნებისა მთელი 116 წლის განმავლობაში და სხვა. მოხსენება დასაბუთებული იყო ძლიერად და თვით რუსული წყაროების მიხედვით მან არამც თუ კონგრესზე დასტოვა უდიდესი შთაბეჭდილება, არამედ თვით რუს დამსწრეთ ენა ჩაუგდო: რუსის პრესაში ეს ამბავი გამოაქვეყნა ერთმა დამსწრემ, რომელმაც ვერაფრის თქმა არსებითად მ. წერეთლის მოხსენების წინააღმდეგ ვერ მოახერხა. მხოლოდ ამბობდა ლოზანის კონგრესზე ქართველმა მ. წერეთელმა რუსეთი და ყოველი რუსული ისე უდიერად მოიხსენია, რომ ჩემმა რუსულმა ყურმა ვერ აიტანა ამისი მოსმენა და კრება დავსტოვეო...

მიხეილ წერეთლის ეს მოხსენება დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე ბერლინში, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ. (დიდი ნაწილი მისი ჩვენ გამოვაქვეყნეთ „ბ. ქ."-ის № 15, გვ. 4, 5, 6).

ქართული ლეგიონი ამასობაში გერმანელების რჩევით და დახმარებით ოსმალეთში დაარსდა. იგი იმდენად გაიზარდა, რომ 1.500 კაცს უყრიდა თავს. ესენი იყვნენ უმეტესად ოსმალეთის ქვეშევრდომი მაჰმადიანი ქართველები, აჭარლები, ქობულეთლები. მაგრამ იქ მრავლად იყვნენ აგრეთვე ქართველი ქრისტიანი მოხალისენი და ქართველი ოფიცრები. უფროსი ლეგიონისა იყო ლეო კერესელიძე, რომელიც სხვა და სხვა მიზეზთა გამო შესცვალა გრაფ შულენბურგმა.

როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, ოსმალეთს არ სურდა ქართული ლეგიონის არსებობა, რომელიც უკვე კარგად გაწრთვნილ სამხედრო ძალას წარმოადგენდა და არ აძლევდა მას საშუალებას რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა მიეღო. ბოლოს, 1916 წლის დამლევს თითქმის ულტიმატუმის სახით თურქებმა მოსთხოვეს გერმანიის მთავრობას ქართული ლეგიონის დაშლა. გერმანელებს, რასაკვირველია, არ სურდათ მათ მიერ შედგენილი ლეგიონის მოსპობა, მაგრამ იძულებულნი იყვნენ მოკავშირეების ანგარიში გაეწიათ და ლეგიონი მართლაც დაშალეს. მხოლოდ ასიოდ კაცამდე შემოინახა ქართულმა კომიტეტმა და მათი ოფიცრებით რუმინიაში გადმოიყვანა სხვა და სხვა სამხედრო დავალებების ასასრულებლად. ეს ნაშთი ლეგიონისა თავისი ფორმით შემდეგ შევიდა განთავისუფლებულ საქართველოში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართული კომიტეტის ბერლინისა და ოსმალეთის განყოფილებებს მუდმივი კავშირი ჰქონდათ ერთმანეთთან. პეტრე სურგულაძე და მელიტონ ქარცივაძე ხშირად ჩამოდიოდნენ ბერლინში, სადაც იმართებოდა საერთო კრება კომიტეტისა. ერთ ამ კრებაზე გადაწყდა გიორგი მაჩაბელის კვლავ გაგზავნა წყალქვეშა ნავით საქართველოში მდგომარეობის გასაცნობად და აგრეთვე ახალი ამბების ჩამოსატანად. მაჩაბელმა თან წაიყვანა ოფიცერი მძინარიშვილი და რამოდენიმე ქართველი, ერთი აზერბეიჯანელი და ერთიც მთიელი (ყაზავატი). მიუხედავად უმძიმესი პირობებისა მათ მიაღწიეს დასახულ მიზანს: მთიელი და აზერბეიჯანელი ჩავიდნენ თავიანთ სამშობლოში, ხოლო გიორგი მაჩაბელმა ინახულა ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი, ესაუბრა მათ, გააცნო კომიტეტის მუშაობა, შეაგროვა ბევრი საჭირო ინფორმაცია და ყალბი პასპორტით თბილისიდან პეტერბურგს გაემგზავრა, იქიდან ვლადივოსტოკზე, ტოკიოზე, ამერიკაზე, ნორვეგიაზე გადაიარა და ბერლინში დაბრუნდა.

1917 წლის რევოლუციის დასაწყისშივე სოციალისტურმა ინტერნაციონალმა გადაწყვიტა სტოკჰოლმში კონგრესის მოწვევა ომის წინააღმდეგ ზომების მისაღებად. ანტანტის სახელმწიფოებმა სოციალისტებს ვიზა არ მისცეს. არც რუსებს გაუგზავნიათ დელეგატები. ხოლო ზოგიერთმა სოციალისტმა. როგორც ბელგიელმა ჰიუსმანსმა და სხვებმა მაინც მოახერხეს სტოკჰოლმში ჩასვლა. გერმანიამ. ავსტრიამ და ბულგარიამ კი სრული დელეგაციები გააგზავნეს. კონგრესი. რასაკვირველია. არ შედგა. მაგრამ ჩამოსულმა დელეგატებმა მაინც ითათბირეს და შეხვედრების შესახებ წიგნიც კი გამოსცეს. მ. წერეთელი და ვ. მაჩაბელი იმ დროს სტოკჰოლმში იყვნენ და სოციალისტების დელეგაციას საქართველოს შესახებ სათანადო მოხსენებებიც წარუდგინეს. მემორანდუმის გადაცემის დროს ჰიუსმანსმა ჰკითხა მ. წერეთელს — რომელი სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი ბრძანდებითო? მ. წერეთელმა უპასუხა: — არც სოციალდემოკრატი გახლავართ. არც სოციალისტ-ფედერალისტი, მაგრამ რადგანაც ქართველ სოციალდემოკრატებს და ფედერალისტებს არ შეუძლიათ აქ წარმომადგენლები გამოგზავნონ. ამიტომ მე ქართველმა ნაციონალისტმა დავწერე ეს მოხსენება ქართული საკითხის შესახებ და გაახლებთ გამოსაქვეყნებლად. თუ ინებებთო. — ჰიუსმანსმა გულიანად გაიცინა და უპასუხა: — ამას მნიშვნელობა არა აქვს. თავი და ბოლო მემორანდუმია. სადაც თქვენი საკითხია გაშუქებული და ამას სიამოვნებით დავბეჭდავთო. და მართლაც. მის მიერ გამოცემულ წიგნში ეს მემორანდუმი სრულიად უცვლელად არის დაბეჭდილი.

ამის შემდეგ მ. წერეთელი წარუდგა გერმანელ სოციალ-დემოკრატთა დელეგაციას და გაუკეთა მოხსენება საქართველოს შესახებ. ბ. დავიდმა წერეთელს იურიდიული საკითხები დაუყენა: — აქვს თუ არა საქართველოს უფლება დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოცხადებისა და სხვა. კამათი გაგრძელდა და მოსაწყენი შეიქმნა. უცბად ამაღლებული ხმით დელეგაციის თავმჯდომარემ ებერტმა სთქვა: — ამხანაგო დავიდ. აქ სრულიად არ არის საკითხი იურიდიულ წვრილმანებზე. არამედ ცოცხალი ერი. დაჩაგრული უცხოელებისაგან მოითხოვს თავის უფლებათა აღდგენას-ო. მერე მიუბრუნდა წერეთელს და უთხრა: — დარწმუნებული იყავით. რომ ჩვენი პარტია ყოველ საშუალებას იხმარს თქვენი უფლებების დასაცავად-ო. — ეს სიტყვები მან მართლაც შეასრულა და როდესაც ბერლინში საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი იდგა, ებერტი გამოვიდა მის უენერგიულეს დამცველად.

ასე გრძელდებოდა კომიტეტის მუშაობა 1917 წ. რუსეთში ძომხდარ რევოლუციამდე. რომელიც გამოწვეული იყო უმთავრესად. როგორც ვიცით, რუსეთის მხედრობის გერმანიის მიერ დამარცხებით. ჯარმა ფრონტი მიატოვა. საქართველოს მოაწვა ოსმალეთის ფრონტიდან მოხსნილი ნახევარი მილიონი რუსის ჯარი. ამ საფრთხის წინაშე დამდგარმა თბილისის კომიტეტმა გამოგზავნა

სასწრაფოდ სტოკჰოლმში შალვა ქარუმიძე დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებთან მოსალაპარაკებლად. იქ შესვდა მას გიორგი მაჩაბელი. რომელიც სტოკჰოლმში იმყოფებოდა კომიტეტის მიერ დაკალებული პოლიტიკური მისიით: მაჩაბელმა დაუყონებლივ გამოიძახა ბერლინიდან მიხეილ წერეთელი და ქარუმიძესთან ერთად გადაწყვიტეს: ეთხოვათ გერმანიის მთავრობისათვის შველა და დახმარება ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ საქართველოსათვის. გერმანელები მაშინათვე გამოეხმაურენ ქართველების თხოვნას და დაავალეს სტოკჰოლმში მყოფ ადმირალური შტაბის კაპიტანს და ფინანსიურ საქმეთა გამგეს ბარონ ფონ შტაინეაკსს ქართული კომიტეტის წევრებთან დაკავშირება და სათანადო ზომების მიღება. დადგენილ იქმნა წყალქვეშა ნავის გაგზავნა ზედიზედ მიყოლებული ექსპედიციებით სტამბოლიდან საქართველოში. ექსპედიციის გადასვლის ადგილი საქართველოს ნაპირზე უკვე თბილისში იყო გადაწყვეტილი: ეს უნდა ყოფილიყო მდინარე ჰურიასთან. უნდა გადაეტანათ ია-

რაღი. რამდენსაც კი წყალქვეშა ნავი ზიდავდა: გადაეყვანათ ხალხი. რომელიც დახმარებას გაუწევდა თბილისის კომიტეტს: აგრეთვე საჭირო თანხაც უნდა მიეშველებიათ მისთვის. რომ ამით მას შესძლებოდა მუშაობა. დადგენილი იყო აგრეთვე დრო პირველი წყალქვეშა ნავის მისვლისა საქართველოში. სიგნალები და პაროლი.

შ. ქარუმიძე გაბრუნდა საქართველოში. ხოლო ა. მანაშელი და მ. წერეთელი ბერლინში. სადაც ამ დროს იმყოფებოდნენ პეტრე სურგულაძე და ნესტორ მაღალაშვილი. წყალქვეშა ნავით გამგზავრებისა და იარაღის გადატანის საქმე თავს იდვეს მ. წერეთელმა და მ. ქარცივაძემ. ესენი დაუყონებლივ გაემგზავრენ სტამბოლში. თან წაიყვანეს ოფიცერი გეიშიანი და კიდევ ორი ქართველი უნტერ-ოფიცერი. გერმანელებმა მოკაზმეს სამხედრო წყალქვეშა ნავი. დატვირთეს იარაღით (ხუთასი რუსის სამხედრო თოფი თავისი ამუნიციით. ხუთასი მაუზერი და სხვა) და მისწერილი და სხვა ნაწარმი მ. წერეთლის თბილისის კომიტეტისათვის. ექვსი დღის მგზავრობის შემდეგ წყალქვეშა ნავი მიადგა საქართველოს ნაპირს წინასწარ დანიშნულ ადგილას. ამოვიდა თუ არა ღამით წყალქვეშა ნავი სიგნალის მისაცემად. კაპიტანი უცბად შეკრთა. არავითარი სიგნალი დანიშნულ ადგილიდან არ მოდიოდა. არამედ რაღაც სინათლეს ამჩნევდნენ სამი კილომეტრით ჩრდილოეთით დანიშნულ ადგილისა. ვერ გაიგეს. იყო ეს შეცდომა თუ ღალატი. წერეთელმა და ქარცივაძემ სთხოვეს კაპიტანს გადაესხა ორი კაცი დასაზვერავად და გამოსარკვევად იმ სინათლისა, რომელიც ჩრდილოეთიდან მოდიოდა. დიდი სიფრთხილით გადავიდა ნაპირზე დანიშნულ ადგილს უკითოთ მელიტონ ქარცივაძე ერთ ქართული უნტერ - ოფიცრით და იქვე შეხვდა დავით მიქელაძეს. რომელმაც უამბო შემდეგი: —

გავიგეთ. რომ პერისთან. სადაც დანიშნული იყო თქვენი გადმოსვლა. რუსის პოსტი იყო ავებული. ამიტომ მოვეწყვეთ თქვენი დამხვედრები აქ, ნიკო ხორავას სახლში. თქვენი ბედი, რომ რუსებს ეძინათ და ამიტომ სინათლე იყო ჩამქრალი. თორემ ჩავარდებოდით პირდაპირ მათ ხელში-ო.

მელიტონი დაბრუნდა დამხვედრების მიერ გამზადებული ნავით, დატვირთეს იარაღი, შიგ ჩასხდნენ ყველანი და უვნებლად გადავიდნენ ნაპირზე. ნავმა ვერ დაიტია მთელი იარაღი: ამიტომ გეიშიანი დაბრუნდა და უკლებლივ ვადმოიტანა დანარჩენიც. როდესაც ეს ოპერაცია დამთავრდა. ყველანი მიადგნენ ნიკო ხორავას სახლს. აქ სიტყვას ვუთმობთ თვით მიხეილ წერეთელს:

შევედით სახლში და მოგვევება პატრონი მისი. შესანიშნავი მოხუცი ნიკო ხორავა. მოგვესალმა, მივესალმეთ და მივართვით თამარის ორდენი, რომელიც 1916 წ. ქართული კომიტეტისაგან იყო დაარსებული. ნიკომ აიღო თამარის ორდენი. დახედა თამარ დედოფლის სურათს. განაპყრო ხელები და თქვა სახარების სიტყვები: აწ განუტევე მონა შენი, უფალო. რამეთუ ვიხილე მაცხოვრებაი შენი... თამარის ქვეყანაში. მისი ქვეყნის განთავისუფლებისათვის ხალხი მეწვია ჩემ ქოხში და თამარის ორდენითაც დამაჯილდოვეს. სიზმარში მგონია ჩემი თავი-ო.

ნიკო ხორავამ თვალის დახამხამებაში მიიღო ზომები იარაღის დამალვისა ტყეში, რის შემდეგ ყველანი ნიკოსთან ერთად შევექცეით ვახშამს. მალე ისეთი სულისკვეთება შეიქმნა, რომ მოგზაურობის დროს გადატანილი მთელი უბედურება დაგვავიწყდა, თითქო არაფერი მომხდარა.

ნიკო ხორავა იყო ერთი მოურავთაგანი სამეგრელოს მთავრისა, რომელსაც ის ადგილი და მიმდგომი დიდი ტყე (ოხარკალია) ეკუთვნოდა. კომიტეტის წევრები ნიკოსთან მივიდნენ თითქოს ხე-ტყის სავაჭროთ.

მეორე დღეს მ. წერეთელი. მ. ქარცივაძე და დ. მიქელაძე გაემგზავრენ თბილისს. გზაში სენაკთან შეხვდნენ შალვა ქარუმიძეს და კალე მისაბიშვილს, რომელნიც ორი უშველებელი კამეჩის ურმით მიდიოდნენ იარაღის წამოსაღებად, რაც მათ კიდევაც აღასრულეს და პატარა რაზმიც შექმნეს ამ იარაღით საქართველოში. გეიშიანი და ორი გურული უნტერ-ოფიცერი კი გაიგზავნენ სვანეთში და გურიაში. რომ იქ ხალხისათვის გაეცნოთ ქართული საქმის ვითარება და მომხრეები გაეჩინათ. როგორც შემდეგ გამოირკვა. მათ ეს დავალება ჩინებულად შეასრულეს.

მიაღწიეს თუ არა თბილისს. კომიტეტის წევრებმა მაშინვე ინახულეს დათა ვახნაძე და შალვა ქარუმიძე და გადასცეს მათ გერმანელებისაგან გამოტანებული ფული თბილისის კომიტეტისათვის. შემდეგ შეხვდნენ ნოე ჟორდანიას. რომელმაც განუცხადა შემდეგი: —

ჩვენი უმთავრესი მიზანი დღეს არის ნახევარ მილიონ მიწოლილ რუსთა ბრბოსაგან განთავისუფლება. რის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაც ადვილი იქნება. რაც შეიძლება მალე დაბრუნდით ბერლინში და სთხოვეთ გერმანიის მთავრობას გვიშველონ და დაგვიხსნან ამ მდგომარეობიდან-ო.

მეორე დღეს დათა ვახნაძის ბინაზე გაიმართა კრება. რომელსაც დაესწრნენ: ნოე ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი, მიხეილ წერეთელი, დავით ვაჩნაძე, იოსებ გედევანიშვილი და მელიტონ ქარცივაძე. ამ კრებამ განიხილა დაწვრილებით მაშინდელი მდგომარეობა საქართველოში და მიიღო დადგენილება — დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები დაუყონებლივ დაბრუნებულიყვნენ ბერლინში და ეთხოვათ გერმანიისათვის სასწრაფოდ დახმარება.

ამ ისტორიულ კრებაზე გადაწყდა სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. რომლისაც ამისათვის შესაფერი მომენტი დაელოდებოდა.

ევგენი გეგეჭკორმა გამოთქვა სურვილი წყალქვეშა ნავით კომიტეტის წევრებთან ერთად ბერლინში წასულიყო: მე იქ თვითონ მოვახსენებ გერმანიის მთავრობას ყველაფერს და აქედან წასული კაცის მოხსენებას სულ სხვა შთაბეჭდილება ექნებაო. გავამაგრებთ ზურგს და დაგეხმარებით-ო. — მაგრამ კომიტეტის წევრებმა არ ურჩიეს ევგენი გეგეჭკორს ასეთ გართულებულ პირობებში საქართველოს დატოვება. ხოლო შემდეგ გამოირკვა: — გეგეჭკორი გერმანიაში რომ ყოფილიყო ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შეკვრის დროს როგორც საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი, თურქები ვერ შესძლებდენ საქართველოს ტერიტორიის დაჭერას.

მ. წერეთელი და მ. ქარცივაძე დაბრუნდენ ოხარკალიაში. დრო იყო მეორე ექსპედიციის მოსვლისა. რომლის წევრები იარაღით უნდა შემოსულიყვნენ საქართველოში: ხოლო წერეთელი და ქარცივაძე იმავე ნავით დაბრუნდებოდენ სტამბოლში და იქიდან ბერლინში.

მაგრამ წყალქვეშა ნავს მოუვიდა დიდი მარცხი. სანაპიროდან, რუსის პოსტიდან უფრო მეტი სინათლე გამოდიოდა. ვიდრე იყო ქართველების სიგნალები და წყალქვეშა ნავმა მზვერავები და პაროლის მთქმელნი სწორედ იქ გადასხა. ისინი მიადგნენ რუსის პოსტს. სადაც ეგონათ კომიტეტის წევრების ბინა. იქიდან გამოცვივდნენ რუსის ჯარისკაცები და დაინახეს რა გერმანელები. ასტეხეს სროლა: სროლის ხმამ ოხარკალიამდე მიაღწია. წერეთელი და ქარცივაძე მიხვდნენ. თუ რა მოხდა. ამიტომ მისცეს გაძლიერებული სიგნალები წყალქვეშა ნავს. რომ უკან გაბრუნებულიყო. ექსპედიცია. რომელსაც ხელმძღვანელობდენ პეტრე სურგულაძე და შალვა ქარუმიძე. დაბრუნდა სტამბოლში და უკან წაიღეს ფული და იარაღი. გამოტანებული გერმანიის მთავრობისაგან საქართველოსათვის.

რუსებმა დაიჭირეს ორი გერმანელი და ორი ქართველი და გადასცეს ადგილობრივ რევოლუციონურ კომიტეტს. რომელმაც ისინი ბათუმის ციხეში გააგზავნა. მთელი ამბავი შემდეგ გაიგეს რუსებმა და ნიკო ხორავას სახლს. სადაც კომიტეტის წევრები იმყოფებოდენ. დაპატიმრებას უპირებდენ. მაგრამ აეროპლანი გზაში გაფუჭდა და ზღვაში ჩავარდა. ამნაირად მ. წერეთელი და მ. ქარცივაძე იძულებული შეიქმნენ მარშრუტი ეცვალათ. -- გამოიქცნენ ფეხით

ტყით და დიდი კაივაგლახით მიაღწიეს კოკი დადიანის სახლს ნოსირში. საიდანაც ცოტა ხნის დასვენების შემდეგ გაეშურენ თბილისისაკენ. კვლავ ინახულეს პოლიტიკური მოღვაწენი. რომლებმაც ურჩიეს სხვა გზით როგორმე ბერლინში დაბრუნება. ხოლო აკაკი ჩხენკელმა, გაიგო თუ არა ოხარკალაიაში

მომხდარი ამბავი, გააგზავნა ბათუმში სპეციალური კაცები, მოაწყობია მათ ციხეში აჯანყება. გააქციეს ორი გერმანელი და ორი ქართველი, ჭურიაში დაჭერილნი და დაამალვინეს სოფელში. ჩხენკელს რომ ეს დროზე არ ექმნა, მათ გაგზავნიდენ სევასტოპოლში. სადაც აუცილებელი სიკვდილით დასჯა მოელოდათ.

რადგანაც სხვა გზა არ იყო. წერეთელმა და ქარციეაძემ გადასწყვიტეს რუსეთსა და ფინლიანდიის გზით გადასვლა სკანდინავიაში და იქიდან — ბერლინში. აღიჭურვეენ ყალბი პასპორტებით. მრავალი რეკომენდაციებით და გაემგზავრენ ვლადიკავკასიით პეტერბურგს. რომელსაც მიაღწიეს იანვარს 1918 წელს. პეტერბურგში მათ მფარველობდა ნიკო მაჩაბელი. რომელსაც იქ დიდი კავშირები ჰქონდა. მან მოუხერხა წერეთელსა და ქარციეაძეს ავადმყოფობის მოწმობა ერთი გამოჩენილი რუსი ექიმისა და ნორვეგიაში გასამგზავრებელი პასპორტები. მაგრამ მივიდენ თუ არა ფინლანდიის სადგურზე, დაინახეს, რომ არავითარი მატარებელი იქიდან არ გადიოდა. რადგან სწორედ ამ დროს მოხდა ფინლანდიაში წითელი რევოლუცია. დიდი ხნის ცდის შემდეგ ფინლანდიის გზაც გაიხსნა. წერეთელი და ქარციეაძე ჩავიდნენ ბალტიის ზღვის ნავსადგურ ქ. ბიერნებორგს. სადაც იდგეს სკანდინავიის გემები რუსეთიდან წამოსული ხალხის წასაყვანად. მაგრამ აქ იმდენი ხალხი უცდიცა გამგზავრებას. რომ რამოდენიმე თვე დასჭირდებოდა წერეთელს და ქარციეაძეს რომელიმე გემზე მოხვედროდენ. გაიგეს თუ არა. რომ გაყინულ ზღვაზე მარხილებით გადასვლა შეიძლებოდა ალანდიის კუნძულებზე. რომელიც დაჭერილი იყო გერმანელების მიერ, დაბრუნდენ ბიერნებორგიდან აბოში, იქირავეს მარხილი და სხვებთან ერთად გაყინულ ზღვაზე სამი დღის მოგზაურობის შემდეგ მიაღწიეს ეკკერეს. ალანდიის კუნძულზე. გერმანელებმა, რასაკვირველია. სრული თავისუფლება მისცეს ქართველებს მგზავრობისა და სტოკჰოლმის გზით ისინი დაბრუნდენ ბერლინში, მარტს, 1918 წ.

მ. წერეთელმა და მ. ქარციეაძემ ვეღარ ჩამოუსწრეს ბრესტ-ლიტოვსკის კონგრესს; გიორგი მაჩაბელი. რომელიც ნადოლნისთან ერთად დაესწრო კონგრესს. არ იქმნა დაშვებული თურქების მიერ. როგორც საქართველოს წარმომადგენელი. თურქებმა განაცხადეს პრეტენზია მთელ სამუსლიმანო საქართველოზე და ბათომზე. ხოლო გერმანია უძლური იყო წინააღმდეგობა გაეწია. რადგან საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი. მანდატით აღჭურვილი, კონგრესზე არ იყო.

---

სასწრაფოდ დაიბარეს მ. წერეთელი და მ. ქარციეაძე გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში და უთხრეს:

— ხომ ხედავთ, რა მოხდა ბრესტ-ლიტოვსკში! ჩვენ გვესაჭიროება აუცილებლად სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოსი. აღჭურვილი მანდატით, თუ მთელი ერისა არა. მისი უძლიერესი პარტიის მიერ მაინც. მიიღეთ ყველა ზომა ასეთი წარმომადგენელის ჩამოსაყვანადო.

ისევ გაემგზავრენ წერეთელი და ქარციეაძე საქართველოში. მიაღწიეს ოდესას, სადაც გერმანელები იდგენ და იქიდან წყალქვეშა ნავით სევასტოპოლს, რომელიც აგრეთვე გერმანელების მიერ იყო დაჭერილი. მაგრამ საქართველოში ჩასვლა მათ აღარ დასჭირდათ. რადგან სევასტოპოლში შეხვდენ სპირიდონ კედიას, რომელიც აღჭურვილი იყო ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარის აკაკი ჩხენკელის მანდატით ევროპაში გასამგზავრებლად პოლიტიკური მისიით. კომიტეტის წევრები სპირიდონ კედიასთან ერთად სასწრაფოდ დაბრუნდენ ბერლინში და საქართველოს წარმომადგენელი წარუდგინეს გერმანიის მთავრობას.

შემდეგი ამბები უკვე ცნობილია — გერმანელების მიერ ზომების მიღება თურქების შემოტევის გასაჩერებლად. ფონ კრესის შესვლა საქართველოში გერმანული ჯარით და სხვა.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აკაკი ჩხენკელი ჩამოდის ბერლინში, როგორც სრულუფლებიანი მინისტრი დამოუკიდებელ საქართველოსი ნიკო ნიკოლაძისა და ზურაბ ავალიშვილის თანხლებით.

დამოუკიდებლობის კომიტეტი დაიშალა და მთელი საქმე და ანგარიში ჩააბარა აკაკი ჩხენკელს, რომელმაც დიდი მადლობა გამოუცხადა კომიტეტის წევრთ და უთხრა: უდიდესი საქმე გაგიკეთებიათ და ჩემთვის კარგი ნიადაგიც მოგიმზადებიათ-ო.

ამის შემდეგაც კომიტეტის ყოფილი წევრები დიდ დახმარებას უწევდნენ აკაკი ჩხენკელს მთელი მისი მოღვაწეობის დროს ბერლინში.

ამით გათავდა ქართული კომიტეტის ამბავი, რომელიც ბევრი ქართველისათვის და უცხოელისათვის, ვინც მას იცნობდა, ერთი მშვენიერი ეპოპეია იყო. [ხოლო მტერი და მოშურნე მას დღესაც ავანტიურას უწოდებს, რაც მხოლოდ ყოვლად შეუგნებელ ადამიანს შეშვენის.]

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ღვაწლი და მუშაობა დაუვიწყარი იქნება მომავალ თაობათათვის განსაკუთრებით იმიტომ, რომ საქართველომ მთელი მისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ევროპის რეალური დახმარება პირველად მაშინ მიიღო. დასავლეთი დაეხმარა ქართველ ერს მის დათრგუნვილ უფლებათა აღსადგენად.

კ. სალია

ასე წერს კალისტრატე სალია "საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" მოღვაწეობის შესახებ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინაპერიოდში, ე.ი. 1918 წლის 26-ს მაისამდე, ჟურნალ "ბედი ქართლისას" 1962 წლის 39-40 ნომრებში, ჟურნალისა, რომელიც გამოდის პარიზში.

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..

ქართული რედაქცია

ავტორი: დავით თამორიძე

დიქტორი: დავით თამორიძე-ნუგზარ მარია

## ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება:

წამყვანი: საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა პერიოდში ერთერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების დადება. 1918 წლის 3 მარტს დადებულ იქნა ე.წ.ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულება,რომლის ძალით საქართველომ კიდევ ერთხელ დაკარგა თავისი ტერიტორიის ნაწილი თურქეთის საზღვართან. რა პირობებში დაიდო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება?

დიქტორი: ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომი არ იყო დამთავრებული, როცა რუსეთში ბოლშევიკებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება; მაგრამ 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, საბჭოთა რუსეთი მოექცა მეტად მძიმე მდგომარეობაში: მისი საშინაო და საგარეო მდგომარეობა იმდენად დასუსტებული იყო, რომ კაიზერის გერმანიამ პირდაპირ უკარნახა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება,რომლის ძალით რუსეთმა რუსეთის ყოფილი იმპერიის დიდძალი ტერიტორიები დაკარგა; და ვინაიდან თურქეთი კაიზერის გერმანიის მოკავშირე იყო პირველ მსოფლიო ომში, თურქეთმაც წამოაყენა ტერიტორიული მოთხოვნები საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში. ამგვარად, 1918 წლის 3 მარტს, დადებულ იქნა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება - ერთის მხრივ - გერმანიას,ავსტრო-უნგრეთს,ბულგარეთსა და თურქეთს და - მეორეს მხრივ - საბჭოთა რუსეთს შორის. ამ საზავო ხელშეკრულებით, საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის ნაწილი გადასცა თურქეთს. ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მესამე აბზაცში სიტყვასიტყვით ნათქვამია შემდეგი:

ხმა:"არდაგანის,ყარსისა და ბათომის ოლქები...დაუყოვნებლივ დაცლი-

ლი იქნება რუსეთის ჯარებისაგან. რუსეთი ამ ოლქების სახელმწიფო-ებრივ და საერთაშორისო ახალ უფლებრივ განსაზღვრაში კი არ ჩაე-რევა, არამედ თვით ამ ოლქების მოსახლეობის საქმეა სდის ეს ახალი სტატუსი მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმებით გაატარონ ცხოვრე-ბაში".

დიქტორი: მართალია, საბჭოთა რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრუ-ლების ამ მუხლით, თურქეთს მისცა საქართველოს ტერიტორიის ნაწილი, რომელიც არც რუსეთსა და არც თურქეთს არ ეკუთვნოდა, მაგრამ ამ ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარება ადვილი საქმე არ გამოდგა. საქმე შემდეგში იყო:

დიქტორი II: 1917 წლის თებერვლის დემოკრატიული რევოლუციის შედე-გად, დაემხო რუსეთის უზარმაზარი იმპერია. ამიერკავკასიაში მეფის რეჟიმს ასახიერებდა მეფის ნაცვალი, რომელმაც გაიგო თუ არა მეფის მთავრობის ჩამოგდების ამბავი - მიიწვია თავის სასახლეში, თბილისში, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ნოე ჟორდანია, განუცხადა მას, რომ ხელს იღებს ძალაუფლებაზე და მიდის თბილისიდან.

ეს ისტორიული მისია იკისრეს მუშათა საბჭოებმა, რომლებიც იმ წუთშივე შეიქმნა მთელს ამიერკავკასიაში, როგორც კი გადატრიალე-ბა მოხდა. მუშათა საბჭოებთან ერთად დაარსდა სოფლისა და ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტები. კომიტეტების წევრები ინიშნებოდენ უმთავრესად პარტიათა შორის შეთანხმებით. ჯერ ირჩეოდა სოფლის აღმასრულებელი კომიტეტები, რომელთა ყრილობა ირჩევდა სამაზრო აღ-მასრულებელ კომიტეტს; ხოლო ამ კომიტეტების ყრილობა კი ირჩევდა საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტს. ამ კომიტეტების ხელში გადა-ვიდა არა მარტო ადგილობრივი საქმეების გაძღოლა, არამედ მთელი სა-ხელმწიფო ფუნქციებიც. შემდეგ თბილისის მუშათა საბჭოს თაოსნობით მოწვეულ იქნა თბილისში მთელი ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობა, რომელმაც უკვე 1917 წლის მარტის პირველ რიცხვებში შექმნა საოლქო ცენტრი ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალა მთელი ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელობა. ამას მოყვა საბჭოების არჩევნები სამხედრო ნაწილებში და 22 აპრილს შედგა

მუშათა და ჯარისკაცთა გაერთიანებული საოლქო ყრილობა, რომელსაც შემდეგ შეუერთდა გლეხთა საბჭოებიც.

იმ ხანებში რუსეთში შესდგა დროებითი მთავრობა, რომელმაც მეფის ნაცვლის მაგივრად ე.წ. "ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი" ="ოზაკომი" შექმნა. "ოზაკომი" აღჭურვილი იყო დროებითი მთავრობის უფლებებით, მაგრამ მდგომარეობის ფაქტიური ბატონ-პატრონი იყვნენ რევოლუციური ორგანიზაციები. ასეთი იყო, პირველ ყოვლისა, ამიერკავკასიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ჯერ კიდევ მარტში დაარსდა – დამფუძნებელი კრების არჩევნების მოსაწყობად. კომიტეტს ეკისრებოდა საერთო ხელმძღვანელობა მთელ ამიერკავკასიაში საგუბერნიო და სამაზრო კომისიების საშუალებით.

ამ დროს პეტერბურგში მოხდა ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალება; და რადგანაც კერენსკის მთავრობა დაეცა, 15 ნოემბერს გაუქმდა "ოზაკომი". ამით გაწყდა პეტერბურგთან ის კავშირი, რომელსაც სიმბოლიური მნიშვნელობა მაინც ქონდა და ამიერკავკასია ფაქტიურად განცალკევდა. მიუხედავათ ამისა დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის მზადება არ შეჩერებულა. კავკასიის ფრონტზე არჩევნები დაიწყო პირველ ნოემბერს, ხოლო ქალაქში და სოფლებში 14 ნოემბერს.

1917 წლის 11 ნოემბერს შესდგა ამიერკავკასიის – საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის – ყველა ორგანიზაციისა და პარტიის თათბირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო კავკასიის ჯარების მთავარსარდალმა – გენერალმა პრჟევალსკიმაც და კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსმა – გენერალმა მდივანმაც – ადგილობრივი მმართველობის მოწყობის შესახებ. ამ თათბირმა ერთხმად, გარდა ბოლშევიკებისა, მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

სმა: "რადგანაც ცენტრალური, ყველას მიერ უფლებამოსილად ცნობილი მთავრობა არ არსებობს, და დღითი დღე ძლიერდება მთელს სახელმწიფოში ანარქია, რომელიც მოსალოდნელია ამიერ კავკასიაშიც გავრცელდეს, და რადგანაც საჩქაროთ გადასაჭრელია მთელი რიგი საზოგადოებრივი, ფინანსიური და ეკონომიური კითხვებისა, რომელთა გადაჭრაზე დამოკიდებულია ჩვენი მხარის უახლოესი ბედი – თათბირი ადგენს შესდგეს ამიერ

კავკასიის მართველობა,რომელშიდაც შევდენ ამიერ კავკასიის ცენტრალურ, საზოგადოებრივ, ოფიციალურ და ეროვნულ ყველა რევოლუციურ დემოკრატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი. ადგილობრივი მართველობა თავის მოქმედებაში უნდა ემყარებოდეს ამიერ კავკასიის და ადგილობრივ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს და ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოებს."

დიქტორი: ასე შესდგა ადგილობრივი მთავრობა - "ამიერ კავკასიის კომისარიატის" სახელწოდებით. მთავრობაში უნდა შესულიყო 3 სოციალ-დემოკრატი, 3 სოციალ-რევოლუციონერი, 2 დაშნაკი, 4 მუსულმანი, 1 სოციალ-ფედერალისტი და 1 ბოლშევიკი. ბოლშევიკებმა უარი თქვეს და მეორე დღეს შესდგა მთავრობა მათი მონაწილეობის გარეშე. მთავრობის თავჯდომარეთ და შრომის მინისტრათ არჩეულ იქნა ევგენი გეგეჭკორი. ამირგათ, 1917 წლის 14 ნოემბერს საბოლოოდ ჩაეყარა საფუძველი ამიერ კავკასიის დროებით ადგილობრივ მთავრობას.

ბოლშევიკებმა გააჩაღეს აგიტაცია ჯარებში ამიერკავკასიის მთავრობის წინააღმდეგ. მდგომარეობა გართულდა განსაკუთრებით მას შემდეგ,რაც თბილისში ჩამოვიდა ყარსის პოლკი,რომელიც მიდიოდა რუსეთში. ამ პოლკმა ვერ გაბედა ბოლშევიკების აყოლა და როგორც იქნა დათანხმდა თბილისიდან წასვლაზე და კიდევაც წავიდა.

საჭირო იყო ისეთი შეიარაღებული ძალის შექმნა,რომელიც ანარქიას გაუმკლავდებოდა და ცხოვრების მშვიდობიან მსვლელობას დარაჯად დაუდგებოდა. თბილისის არსენალის ხელში ჩაგდების შემდეგ, ასეთი ძალის შედგენა გაადვილდა და შესაძლებელი გახდა. ასეთ ძალთა შორის პირველი ადგილი ეჭირა გვარდიას,რომელიც შეიქმნა თბილისის მუშათა საბჭოს მოწოდებით. ამიერკავკასიის კომისარიატის დადგენილებით შეიარაღებულ იქნა ე.წ.ნაციონალური პოლკები. ეს პოლკები შესდგა ამიერკავკასიის დროებითი მთავრობის დეკრეტით,რომლის თანახმად თვითეულ ეროვნებას ნება ეძლეოდა ფრონტზე თუ ზურგში თავიანთი ხალხისაგან შეექმნათ პოლკები,კორპუსები. ამ დეკერეტის ძალით კავკასიის ფრონტის სარდალმა ნება დართო შემდგარიყო ფრონტზე ნაციონალური ერთ-

ეულები. ფრონტზე მყოფი ქართველი მხედრობა ცალკე ერთეულებში დაირაზმა და სამშობლოში - საქართველოში - დაბრუნდა. აქ მათ ხხვა მიემატა და შეხდგა 7-მდე ქართული პოლკი.

რუსის ჯარი დაიძრა კავკასიის ფრონტიდან, რომელთა წასვლა რუსეთში თითქმის ოთხი თვე გაგრძელდა, ვინაიდან კავკასიის ფრონტზე ამ დროს დაახლოებით ნახევარი მილიონი ჯარისკაცი იდგა. ეშელონები მიდიოდენ ყოველგვარი იარაღით დატვირთულნი, მიუხედავათ მთავარსარდლის, რევოლუციური საბჭოების და ფრონტის კომისარის განკარგულებისა იარაღი დაეტოვებიათ ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებაში. ეშელონების წასვლამ და კავკასიის ფრონტის გატიცვლებამ ადგილობრივი მცხოვრებნი მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. მტერს ხელფეხი გაეხსნა და წინ წამოწევა გაუადვილდა...

1918 წლის 5 იანვარს გაიხსნა რუსეთში დამფუძნებელი კრება. მთელი ყურადღება მისკენ იყო მიპყრობილი, მისგან მოელოდენ ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას. მაგრამ ბოლშევიკებმა, როგორც ცნობილია, გარეკეს დამფუძნებელი კრება და ამით გზა გაეხსნა ანარქიას. რუსეთის დამფუძნებელი კრების გარეკით, ამიერკავკასია სავსებით მოწყდა ცენტრს და სრულიად შეწყდა მასთან ყოველგვარი კავშირი.

ამიერკავკასიის რევოლუციურმა ორგანოებმა 1918 წლის 9 იანვარს მოიწვიეს თათბირი და დაადგინეს რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის არჩეული დელეგატებისაგან შეედგინათ ადგილობრივი კრება. დადგენილება მოყვანილ იქნა სისრულეში და 22 იანვარს გაიხსნა სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის არჩეული ადგილობრივი დეპუტატების სხდომა, რომელსაც დაესწრო 26 დეპუტატი. კრება ამიერკავკასიის კომისარიატის სახელით გახსნა ევგენი გეგეჭკორმა. აზრთა გაცვლაგამოცვლის შემდეგ სხდომამ დაადგინა:

ხმა: "ამიერკავკასიისაგან არჩეულ დამფუძნებელი კრების დეპუტატთა სხდომამ განიხილა რა შექმნილი მდგომარეობა - საჭიროთ ალიარა დროებით, სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების ისევ შეკრებამდე, მოწვეულ იქნეს ამიერ კავკასიის სეიმი საკანონმდებლო ფუნქციებით ადგილობრივი ცხოვრების ყველა საკითხებში. სეიმის მოწვევისათვის

საჭიროდ მიიჩნია სამჯერ შემცირებულ იქნეს საარჩევნო მეტრი ცალკე პარტიების მიერ ბილებული. სეიმის მოწვევის ვადათ დაინიშნოს 10 თებერვალი."

დიქტორი: 1918 წლის 20 იანვარს ლენინის მთავრობამ თავის კომისრათ ამიერკავკასიაში დანიშნა ბაქოელი ბოლშევიკი - შაუმიანი და მის მდივნად - კუზნეცოვი. ლენინის ამ ახალი ავანტიურის წინააღმდეგ გაილაშქრა ამიერკავკასიის ახალგაზრდა დემოკრატია და ამიერკავკასიის კომისარიატმა წინადადება მისცა შაუმიანსა და კუზნეცოვს 48 საათის განმავლობაში ამიერკავკასიიდან გასულიყვენ. შაუმიანი მიიმალა.

მდგომარეობის შინაურ გართულებას ამიერკავკასიაში ახლა გარეშე გართულებაც მიემატა. ეს იყო ოსმალეთის საფრთხე. მას შემდეგ რაც რუსეთის ჯარებმა დატოვეს კავკასიის ფრონტი, ოსმალეთისაგან თავის გადარჩენა გახდა უმთავრესი საზრუნავი საქმე. 1918 წლის პირველ თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატმა, კავკასიის ფრონტის სარდალთან, რევოლუციურ ცენტრებთან და ეროვნულ საბჭოებთან თათბირის შემდეგ, - დაადგინა აცნობოს ოსმალეთის ჯარების უფროსს, რომ ის თანახმაა დაიწყოს საზავო მოლაპარაკება. 10 თებერვალს გაიხსნა ამიერკავკასიის სეიმის პირველი სხდომა,რომელზედაც არჩეულ იქნა საზავო დელეგაციის ამრჩევი კომისია. 16 თებერვალს კი ამიერკავკასიის სეიმის სხდომაზე არჩეულ იქნა საზავო დელეგაცია აკაკი ჩხენკელის თავჯდომარეობით,რომელშიდაც შევიდენ ყველა პარტიების და ყველა ეროვნების წარმომადგენელნი. ამ დელეგაციას მიეცა ინსტრუქცია,რომ ის გამოდის სეიმის მიერ მიღებულ დებულებათა ფარგლებში. ამ დებულების მთავარი აზრი იყო 1914 წლის სახელმწიფო საზღვრების შერჩენა და ოსმალეთის საზღვრებში სომხებისათვის ავტონომიის მიცემა.

27 თებერვალს ამიერკავკასიის დელეგაცია უკვე ტრაპიზონში იყო, რომელიც იმ დროს უკვე თურქების ხელში იყო. ოსმალეთმა,მართალია, ზავზე მოლაპარაკება დაიწყო, მაგრამ ამავე დროს ჯარების გზავნას მოუხშირა მიერკავკასიის საზღვრებისაკენ; ცხადი იყო,რომ მას სურდა

ზავის საკითხის გადაჭრა იარაღის ძალით.

წამყვანი: ამ დროს, ე.ი. 1918 წლის 3 მარტს დადებულ იქნა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება, რომელმაც მეტად გაართულა თურქეთთან ზავის მოლაპარაკება.

დიქტორი: ოსმალეთის ჯარების მთავარსარდალმა, თანახმად ოსმალეთის მთავრობის განკარგულებისა, - მოთხოვა რუსეთის ჯარების უფროსს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაში აღნიშნული ოლქების - ყარსის, ბათუმის და არდაგანის - დაცლა და მასზე გადაცემა. იგივე მოთხოვნა წაუყენა ოსმალეთის დელეგაციამ ამიერკავკასიის დელეგაციას ტრაპიზონში და დაუმატა, რომ ის სიამოვნებით შეეგებებოდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

საქმე იმაში იყო, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მეოთხე მუხლში, როგორც აღვნიშნეთ, ნათქვამია:

ხმა: "არდაგანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს რუსის ჯარისაგან. რუსეთი არ ჩაერევა ამ ოლქების საერთაშორისო პოლიტიკურ დამოკიდებულების საქმეებში, მაგრამ მიანდობს ადგილობრივ მცხოვრებთ პოლიტიკური წყობილების დამყარებას მეზობელ სახელმწიფოებთან, კერძოთ ოსმალეთთან შეთანხმებით."

დიქტორი: და რაკი რუსეთი აღარ იყო "მეზობელ სახელმწიფოებში", ამიერკავკასიის გარეშე აღარ შეიძლებოდა ამ საკითხის მოგვარება. ეს კარგათ იცოდა ოსმალეთმა და დაჟინებით მოითხოვდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

1918 წლის 31 მარტს ამიერკავკასიის კომისარიატის ზავის დელეგაციამ შეწყვიტა მოლაპარაკება თურქეთთან. დელეგაცია უკან გამოიწვია ამიერკავკასიის სეიმმა ერთხმად მიღებული შემდეგი დადგენილებით:

ხმა: "რადგან ოსმალეთსა და ამიერ კავკასიას შორის საზღვრების შესახებ მშვიდობიანი მოლაპარაკებით მორიგება არ მოხერხდა - ამიერკავკასიის დელეგაციას წინადადება ეძლევა დაუყოვნებლივ წამოვიდეს უკან."

დიქტორი: 1918 წლის პირველ აპრილს ამიერკავკასიის დელეგაციამ ტრაპიზონი დატოვა. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავათ ზავის მოლაპარაკებებისა, საომარი მოქმედება ოსმალეთს ჩვენი საზღვრების გასწვრივ ერთხელ

ლაც არ შეუწყვეტია: სარაყამიშის აღება, არტაანის დაჭერა, ბათომზე შემოსევა - ყოველივე ეს მოხდა იმ დროს, როცა წარმოებდა საზავო მოლაპარაკება ტრაპიზონში.

[სეიმმა მიმართა ამიერკავკასიის ერებს მოწოდებით, სადაც ნათქვამი იყო შემდეგი:

ხმა: " დაჰკრა საათმა, როცა წყდება ჩვენი სამშობლოს ბედი.
=====
თქვენ იცით რაგვარი მოთხოვნები წამოგვიყენა ოსმალეთმა. ჩვენგან ითხოვენ, რომ გვეცნო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება, რომლითაც მოითხოვენ ჩვენგან საუკეთესო ციხესიმაგრეებს და ჩვენს საუკეთესო ნავთ-საყუდელს - ბათომს. ჩვენგან მოითხოვენ სამი ოლქის დაცლა-განთავისუფლებას. ჩვენ ყოველივე ღონე ვიხმარეთ, რომ ოსმალეთთან მშვიდობიანი მოლაპარაკებით მოგვეგვარებინა საქმე. მაგრამ ოსმალეთი მაინც თავისას ადგა. სამშობლოსა და მომავალი თაობის წინაშე ჩვენი დიდი პასუხისმგებლობის შეგნებით, ჩვენ შეურყევლად ვარჩიეთ - სამარცხვინო ზავს ხელი არ მოვაწეროთ. ამიერიდან კითხვას გადაჭრის იარაღი. ყველამ იარაღს ხელი, ყველანი გაეშურეთ ფრონტისაკენ! გამოდით ყველანი სამშობლოს და თავისუფლების დასაცავად!"]

ლიქტორი: 1918 წლის 25 მარტს ოსმალებმა ისევ გაიმეორეს თავისი
=========
წინადადება ბათომის და მისი ოლქის დაცლის შესახებ. ამ დროს აქა იქ პატარა შეტაკებებიც მოხდა, რომელიც ადვილად იქნა მოგერიებული. 31 მარტს სეიმმა მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის დაცვის უმაღლესი საბჭოს შესადგენად, რომელიც გააერთიანებდა ყველა შეიარაღებული ძალების მოქმედებას. საუბედუროთ ჩვენი სამხედრო მომზადება ვერ გამოდგა იმდენად ძლიერი, რომ ოსმალეთის შემოტევა შეეჩერებინა.

[1 აპრილს ბათომი დაეცა და ოსმალებმა კატეგორიულად მოითხოვეს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ასრულება. და ამავე დროს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება. აშკარა იყო, რომ ოსმალეთი არ დაკმაყოფილდებოდა ამ საზღვრებითაც და მას გადმო]

ლახავდა. ასეც მოხდა. 7 აპრილს მისი ჯარები ოზურგეთში შემოვიდა. 8 აპრილს გათენებისას, ჩოლოქის ხიდთან ოსმალებს შეებრძოლა ვალოდია გოგუაძის ჯავშნიანი მატარებელით, დაამარცხა სასტიკად და დიდი ზარა-ლით უკუაგდო მტერი. აქ გამარჯვებამ ოსმალების წინსვლა შეაჩერა, თუმცა საომარი მოქმედება გრძელდებოდა.

ასეთ ტკივილებში და გაჭირვებაში იშვა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა. 1918 წლის 9 აპრილს, ძველი სტილით, ამიერკავკასიის სეიმმა მიიღო შემდეგი დადგენილება:

ხმა: "1. აღიარებულ იქნას ამიერ კავკასიის დამოუკიდებელი ფედერაცი-ული რესპუბლიკა და ეცნობოს ეს სხვა სახელმწიფოებს.

2. მიენდოს მთავრობას შეიმუშაოს საამისო კონსტიტუცია."

დიქტორი: სეიმმა მიიღო აგრეთვე შემდეგი რეზოლუცია:

ხმა: " სეიმი წინადადებას აძლევს მთავრობას განაგრძოს საზავო მო-ლაპარაკება და მიიღოს ზომები შეწყდეს საჩქაროთ საომარი მოქმედე-ბა და ამავე დროს მიიღოს ზომები ქვეყნის დასაცავად."

დიქტორი: 10 აპრილს, თანახმად 9 აპრილის დადგენილებისა; საზავო მო-ლაპარაკების შესახებ, - ამიერკავკასიის მთავრობის თავჯდომარემ - აკაკი ჩხენკელმა წინადადება მისცა ოსმალეთის ჯარების მთავარსარ-დალს, 10 აპრილს, 5 საათიდან შეეჩერებინა მთელ ფრონტზე საომარი მოქმედება. ამასთანავე აცნობა ოსმალეთს, რომ ამიერკავკასია გამო-ცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

ეს წინადადება მიიღო ოსმალეთმა და 10 აპრილს ორივე მხრი-დან შეწყდა საომარი მოქმედება.

15 აპრილს ჩხენკელმა ვეჰიბ-ფაშასაგან მიიღო შემდეგი ცნობა:

ხმა: "პატივი მაქვს გაცნობოთ:

1. ოტომანის მთავრობამ იცნო ამიერ კავკასიის დამოუკიდებლო-ბა და აცნობა ეს თავის მოკავშირეებს.

2. ოტომანის საზავო დელეგაცია მალე გამოვა სტამბოლიდან და თანახმაა მოლაპარაკების ადგილად იყოს ბათომი."

<u>დიქტორი:</u> ოსმალეთის დელეგაციამ ბათომის საზავო მოლაპარაკე-ბაზე კი განაცხადა:

<u>ხმა:</u> "რადგან ოსმალეთსა და მიერ კავკასიას შორის განსხვავებული იყო სამხედრო მოქმედება - ოსმალეთი არ არის თანახმა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება ჩაითვალოს ერთადერთ საფუძვლად და ითხოვს უფლებას წამოაყენოს ახალი მოთხოვნები."

<u>დიქტორი:</u> საქმე იმაში იყო, რომ ამიერკავკასიის მიმართ ოს-მალეთში იმ დროს იყო სამი მიმართულება:

ერთი - ითხოვდა შეთანხმებას ბრესტ-ლიტოვსკის ხელშე-კრულების საფუძველზე;

მეორე - იცავდა ამ ხელშეკრულების გაფართოებას და კიდევ რამდენიმე ოლქების მიმატებას;

მესამე,- რომელსაც მეთაურობდა ენვერ-ფაშა, მოითხოვ-და ამიერკავკასიის სრულ ოკუპაციას.

ოსმალეთის დელეგაციამ ბათომის საზავო მოლაპარაკებაზე მოითხოვა გარდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაში ჩამოთვლილი ოლქებისა - ახალციხის, ახალქალაქის, ალექსანდროპოლის, დღეს ლე-ნინაკანი, ეჩმიაძინის და სურმალინის მაზრები და აგრეთვე მთე-ლი რკინიგზების მართვის გადაცემა.

ოსმალეთში იმ დროს გაბატონებული იყო პანთურქიზმი, რომლის თანახმად აზერბაიჯანელებს თურქებათ თვლიდენ და ცდილო-ბდენ მის თურქეთთან შეერთებას. პანთურანიზმისათვის კავკასიას საერთოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს, ვინაიდან იგი თურქე-ბისა და თურანის ქვეყნებს შუა მდებარეობს. ტყუილად კი არ ასწავ-ლიდენ ოსმალეთის სკოლებში ბავშვებს სიმღერაში -"კავკასია გზა და ხიდია თურანისაკენო". მართლაც, აქეთ არიან თურანის რასები: თურქები, თათრები, უზბეკები, ყირგიზები, სართები, ტუნ-გუსები, იაკუტები და სხვა.

<u>დიქტორი II.</u> ოსმალეთის იმპერიალისტური მადის შესამოკლებლად იყო ერთადერთი - გერმანელების დახმარება, რომელთა დელეგაცია ამ

დროს, ოსმალებისათვის მოულოდნელად, ბათომში მოვიდა. ეს ის დროა, როცა საქართველოს ირგვლივ ომის რკალი იყო შემორტყმული: ერთის მხრით-ოსმალეთის ჯარი, - მეორე მხრივ - საბჭოთა რუსეთის კომისრების მუქარა, მესამე მხრით - გერმანელები თავისი ინტერესებით, ე.ი. ინგლისელებთან ომით. თვით ამიერკავკასიაში?! სომხები, ოსმალეთის შიშით, რუსეთისაკენ მიილტვოდა, აზერბაიჯანელები კი - თურქეთისაკენ. საქართველო დარჩა მარტოდ-მარტო. ამ სამ უმთავრეს ძალას შორის იჭყლიტებოდა პატარა ქვეყანა და საქართველოს ხელმძღვანელთა აზრი ასეთ პირობებში გადაჭრით შეჩერდა გერმანიის მფარველობაზე.

დიქტორი: ამ სამ ძალიდან გერმანიის მფარველობა უფრო საიმედოთ იქნა მიჩნეული იმიტომ, რომ გერმანია დაინტერესებული იყო ეკონომიურად; ერის ფიზიკურად განადგურებას არ მოინდომებდა, ისე როგორც ეს იყო მოსალოდნელი ოსმალეთისა თუ საბჭოთა რუსეთისაგან.

1918 წლის 19 მაისს გერმანიის დელეგაციის თავჯდომარემ - ფონ-ლოსოვმა აცნობა აკაკი ჩხენკელს, რომ ის მზადაა, მოლაპარაკებას დასაჩქარებლად, შუამავლობა იკისროს ოსმალეთთან ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ფარგლებში, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. ამის შემდეგ მოხდა შეთანხმება ფონ-ლოსოვსა და აკაკი ჩხენკელს შორის საქართველოს მომავალი ბედის შესახებ. ამასობაში, 22 მაისს, ბათომიდან დაბრუნდა ნოე ჟორდანია, რომელიც გაწვეული იყო იქ საზავო მოლაპარაკებების გართულების გამო. ნოე ჟორდანია დაბრუნდა თბილისში იმ რწმენით, რომ საქართველოს მთელი ხალხი, ყველა პარტია და შექმნილი მდგომარეობა გადაჭრით ითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

26 მაისს ამიერკავკასიის საზავო დელეგაციამ მიიღო ოსმალეთის ულტიმატუმი, რომელშიც ის მოითხოვდა ყველა მისი წინადადების უკლებლივ მიღებას. მაგრამ ამის პასუხის მიცემა ამიერკავკასიის საზავო დელეგაციამ უკვე ვერ შეძლო, ვინაიდან ამ ულტიმატუმის მიღების რამდენიმე საათით ადრე დაიშალა ამიერკავკასიის სეიმი და გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა.

ამიერკავკასიის სეიმი დაიშალა დღის სამ საათზე; ხუთ საათზე კი ნოე ჟორდანიას თავჯდომარეობით შედგა ეროვნული საბჭოს სხდომა

და ხუთ საათზე და 10 წუთზე მან წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი,რომელიც მიღებულ იქნა ერთხმად. შემდეგ შედგა კოალიციური მთავრობა. ახე ისტორიულ ქარტეხილში იშვა საქართველოს დამოუკიდებლობა.117 წლის განმავლობაში უცხო ულის ქვეშ მყოფი ერი თვით შეუდგა თავისი თავის ბატონპატრონობას. საკანონმდებლო ორგანო ისევ ეროვნული საბჭო იყო, რომელიც 1918 წლის 8 ოქტომბერს გადაკეთდა "საქართველოს პარლამენტად".

ლიქტორი II: 1918 წლის ოქტომბერში უკვე საბოლოოდ გამოირკვა, რომ
===========
მსოფლიო ომში გამარჯვება ანტანტის მხარეზე იხრებოდა. ნოემბრის პირველ რიცხვებში პირველი მსოფლიო ომი შეწყდა და 11 ნოემბერს გერმანიის
1918 წლის 13 ნოემ-)
წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს საზავო პირობებს.(ბერს კი საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გააუქმა ბრესტ-ლიტოვსკის "მტაცებლური"ხელშეკრულება.
ოსმალეთი,როგორც გერმანიის მოკავშირე, დამარცხებულთა რიცხვში აღმოჩნდა და ოსმალებმა დასცალეს ახალციხის,ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრის ის ნაწილი,რომელიც ეჭირათ და გერმანელებთან ერთად გავიდნენ საქართველოდან. მაგრამ რა? - ოსმალეთის ოკუპაცია ახლა ინგლისელების ოკუპაციამ შეცვალა. ბათომისა და მისი ოლქის მართველობა ინგლისელებმა ლენიკინელებს ჩააბარეს და არა საქართველოს მთავრობას. ჩაიგდეს თუ არა საქართველოს ეს ტერიტორია ხელში, ლენიკინელებმა დაიწყეს ქართველობის დევნა და რუსიფიკატორული პოლიტიკის გაძლიერება. მიუხედავად ამგვარი  მძიმე მდგომარეობისა, 1919 წლის 29 თებერვალს ბათომში მოხდა არჩევნები. საარჩევნო კანონი შეიმუშავა კონფერენციამ,რომლის წევრები დანიშნული იყვნენ ინგლისის სარდლობის მიერ. და მიუხედავად ბოლშევიკების და პანისლამისტების პროვოკაციებისა საქართველოს წინააღმდეგ, რომლებიც კავშირში იყვნენ ლენიკინელებთან,ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ქართველ ამომრჩეველთა ბლოკმა. აარჩიეს იყო სულ 36 ხმოსანი,რომელთაგან ქართველებმა გაიყვანეს აბსოლუტური უმრავლესობა - 20 ხმოსანი,რუსებმა - 2,ბერძნებმა - 8,სომხებმა - 4,(რუს-)უზრაელებმა-2. ამან კი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა,პირველ ყოვლისა, თვით ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებაზე.

ლიქტორი:საქართველო - დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან - მტკიც-
========
ცეთ იცავდა ამიერკავკასიის პოლიტიკას. [სამწუხაროდ ეს არ ითქმის ჩვენ

მეზობელ რესპუბლიკებში: სომხეთი,რომელმაც აგრეთვე დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1918 წლის მაისში, ცდილობდა დაყრნობოდა უცხო ძალას - ინგლისს, აზერბაიჯანი კი,რომელმაც აგრეთვე დამოუკიდებლობა გამოაცხადა მაისში, - ოსმალეთში ხედავდა თავის დასაყრდენ ძალას.

დიქტორი II: 1920 წლის 7 მაისს დადებულ იქნა საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის ხელშეკრულება,რომლითაც საბჭოთა რუსეთმა იური-დიულად იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში ნათქვამია შემდეგი:

ხმა:"რუსეთი ყოველი პირობის გარეშე აღიარებს საქართველოს სახელმწი-ფოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას და თავისი ნებით ხელს იღებს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე,რომელიც რუსეთს ეკუთვნოდა საქარ-თველოს ხალხზე და მის მიწა-წყალზე".

დიქტორი II:ამ ხელშეკრულებით გაპქრა უკანასკნელი დაბრკოლება,რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ეცნო სხვა სახელმწიფოებს. სულ მოკლე ხანში საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო მსოფლიოს 22 სახელმწიფომ. ამავე დროს ამ ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა ქონდა ბათომის დაბ-ბრუნებ[illegible]აც.

დიქტორი: 1920 წლის 5 ივლისს ქართული ჯარი შევიდა ბათომში,ხოლო 7 ივლისს მოკავშირეთა სახელმწიფოებმა დაუშვეს დროშა და მის ნაცვლად ქართული დროშა ააფრიალეს. ამ დღიდან დაიწყო საქართველოდან ინგლისის ჯარების გასვლა,რომელიც დამთავრდა 1920 წლის 11 სექტემბერს.

ამ დღიდან საქართველომ ამოისუნთქა და დაიწყო თავისი საშინაო მდგომარეობის უფრო განმტკიცება. მაგრამ საქართველოს ახალი საშიშროება მოელოდა გარედან.

1920 წლის აპრილის პირველ რიცხვებში დენიკინის ჯარი საბოლოოდ დაამარცხა წითელმა არმიამ და 27 აპრილს წითელი ჯარები ბაქოში შე-ვიდენ. მოხდა "გადატრიალება" და აზერბაიჯანში ძალაუფლებას კომუ-ნისტები დაეპატრონენ.

აზებაიჯანის გასაბჭოებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოსმალეთისა და რუსეთის ინტერესები ამ დროს ერთმანეთს დაემთხვა: ორივე იბრძოდენ ანტანტის გავლენის წინააღმდეგ ახლო აღ-მოსავლეთში. და თუ 1918 წელს რუსმა ბოლშევიკებმა და მუსავატისტებმა

შემოიყვანეს ოსმალეთი ამიერკავკასიაში, 1920 წელს მუსავატისტებმა და ოსმალეთის ნაციონალისტებმა შემოიყვანეს ამიერკავკასიაში საბჭოთა ჯარები.

ამგვარად საქართველო და სომხეთი მოექცა ორი დიდი შეიარაღებული ძალების - საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთის - შუა. ოსმალეთის ჯარებმა გადალახეს სომხეთის საზღვრები [და ყარსი და ალექსანდროპოლი, ახლა ლენინაკანი, დაიკავეს]. ამას მოყვა საბჭოთა რუსეთის ჯარების შესვლა სომხეთში [და ასე გაიყვეს სომხეთის ტერიტორია საბჭოთა რუსეთმა და ოსმალეთმა.]

<u>დიქტორი II:</u> დარჩა რა თავის ამარა, საქართველო შეუდგა თავისი საზღვრების დაცვის სამზადისს. საქართველოს მთავრობა იმედოვნებდა, რომ ლენინის მთავრობა არ დაარღვევდა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას, მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა. წითელმა არმიამ დაიწყო ომი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ 1921 წლის თებერვალში. ქართული ჯარებით მთელი ენერგიით

შეეცადა მოზღვავებულ მტერს, მაგრამ რა უნდა გაეკეთებია პაწარა საქართველოს რუსეთის მასობრივი წითელი არმიის წინააღმდეგ?! დაახლოებით ორი თვის გაცხარებული ბრძოლების შემდეგ, საქართველო დაიპყრო წითელმა არმიამ და წითელი არმიის ნაწილები მიადგა ბათომს. საქართველოს ამ ტრაგიკული ბედით ისარგებლა თურქეთმაც და ოსმალეთის ჯარებმა დაიკავეს არდაგანისა და ართვინის ოლქები. ამ დროს საქართველოს მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით იყო ბათომში. ოსმალეთის ჯარებმა შეეცადა ბათომის დაპყრობას. მაშინ საქართველოს მთავრობამ უბრძანა <u>გენერალ გიორგი მაზნიაშვილსა</u> და <u>გენერალ ვარდენ წულუკიძეს</u> არ შემოეშვათ თურქეთი ბათომში. დაიწყო ბრძოლები ბათომთან, რომელიც სამი დღე გაგრძელდა. ოსმალეთის ჯარები დიდი ზარალით უკუგდებულ იქნა. ბრძოლა ბათომის შესარჩენათ დამთავრდა 19 მარტს. საქართველოს მთავრობამ / კი, დამფუძნებელი კრების დადგენილებით, 17 მარტს გემზე გადავიდა და უცხოეთში გაემგზავრა. ბათომიში კი შევიდენ წითელი არმიის ნაწილები.

<u>დიქტორი:</u> საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ამ უკანასკნელ გმირულ ბრძოლებს ბათომის განსათავისუფლებათ, როგორც

შემდეგ გამოირკვა, - უდიდესი მნიშვნელობა ქონდა,ვინაიდან საბჭოთა რუსეთი და ოსმალეთი, თურმე, შეთანხმებული იყვნენ იქ დაეწესებით საზღვარი საბჭოთა რუსეთსა და ოსმალეთს შორის,სადაც ამ ორი ქვეყნის ჯარები ერთმანეთს შეხვდებოდა. ამის შესახებ,აი რას წერს ნოე ჟორდანია, თავის მოგონებაში "ჩემი წარსული",რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში:

ხმა:"...ომის დაწყებისთანავე..."

<u>დიქტორი:</u> დაპარაკის საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ომზე...

ხმა:"...ომის დაწყებისთანავე ვაწარმოებდით პოლიტიკურ მუშაობას. ყველა წარმომადგენელი უცხო სახელმწიფოებისა ჩვენ თანაგვიგრძნობდა. ეჭვს მიბადებდა მხოლოდ ერთი - ოსმალეთის ელჩი კიაზიმ-ბეი. ის გამოცხადდა ჩემთან მეორე დღესვე და გამიცხადა სრულიად კატეგორიულად: ჩვენი ინტერესია საქართველოს დამოუკიდებლობა და ამ მიზნის მისაღწევად არ დავერიდებით ომსაც ბოლშევიკების წინააღმგე ასეთია ჩვენი მთავრობის აზრიო. ეს იყო პირდაპირ ჩვენი გაკეთება,ვინაიდან ვიცოდი რა დიდ მნიშვნელობას აძლევს მოსკოვი ოსმალეთის ნეიტრალობას. კიაზიმ-ბეიმ მაშინვე დაგვაკავშირა პირდაპირი მავთულით ჩვენს წარმომადგენელთან ანკარაში - სვიმონ მდივანთან. ის გვატყობინებდა თავის მუშაობის სასიათს, მთავრობის წევრების ყოყმანს და გამოთქვამდა იმედს ჩვენი ხაზის გამარჯვებისა. ამავე დროს კიაზიმ-ბეიმ გვთხოვა მისთვისაც მიგვეცა საშუალება პირდაპირი კავშირისა ანკარასთან და მოსკოვთან. ეს უკანასკნელი წინადადება არ მომეწონა, მაგრამ რაკი დაპირებები იყო დიდი, დანაშაულობა იქნებოდა ის ჩამენგრია ტექნიკური საკითხებისათვის. კიაზიმ-ბეი ხშირად ელაპარაკებოდა მტაზიდან ანკარას და მოსკოვს, ერთხელაც ვერ გავიგეთ როგორ და რაზე. უეჭველია ამ დროს იყიდეს ოსმალეთის ნეიტრალობა მოსკოველებმა არტაანისა და ართვინის დათმობით, რაიცა დამტკიცდა თურქეთის ჩვენზე ზურგიდან თავს დასხმით."

დიქტორი: როგორც ვხედავთ, საბჭოთა რუსეთი და ოსმალეთი შეთანხმდენ საქართველოს მთავრობის ზურგში და გაინაწილეს საქართველოს ტერიტორიები ერთმანეთში. ოსმალეთი საბჭოთა რუსეთის ამგვარ დაპირებას

იმიტომ აქცევდა ასე დიდ მნიშვნელობას, რომ - როგორც ავღნიშნეთ - საბჭოთა რუსეთის მთავრობამ, როცა 1918 წლის 13 ნოემბერს ვილჰელმ მეორე და მისი მთავრობა ჩამოგდებულ იქნა, - გააუქმა 1918 წლის 3 მარტს დადებული ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულება, რომელსაც ბოლშევიკები "მტაცებლურ პირობებით" დადებულ ხელშეკრულებას უწოდებდნენ. მართალია, ოსმალეთი ჯერ ამიერკავკასიისა და შემდეგ საქართველოს მთავრობისგან მაინც მოითხოვდა ამ ხელშეკრულების განაღდებას, ე.ი. ყარსის, არდაგანისა და ბათომის მისთვის გადაცემას, მაგრამ საბჭოთა რუსეთისაგან იგივე მოთხოვნების წაყენება მას აღარ შეეძლო, ვინაიდან ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების მთავარი პარტნერი - კაიზერის გერმანია - უკვე დამარცხებული იყო. ამიტომ ჩათვალა საჭიროთ ოსმალეთმა საქართველო-საბჭოთა რუსეთის ომის დაწყებისთანავე, ეწარმოებია მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან საქართველოს სამხრეთი ტერიტორიის

ახალი მოლაპარაკებების შედეგად, 1921 წლის 16 მარტს დადებულ იქნა ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და ოსმალეთს შორის, რომელსაც საბჭოთა რუსეთის მხრიდან ხელი მოაწერა გიორგი ჩიჩერინმა, ხოლო ოსმალეთის მხრიდან - იუსუფ ქემალმა. ეს ხელშეკრულება შეიძლება ჩაითვალოს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით განსაზღვრული ტერიტორიული მოთხოვნების რევიზიათ. ამ ხელშეკრულების მეორე მუხლში ნათქვამია შემდეგი:

ხმა: "თურქეთი აცხადებს თანხმობას სუვერენიტეტი ბათომის ნავსადგურსა და ქალაქზე გადასცეს საქართველოს...

დიქტორი: ლაპარაკია საბჭოთა საქართველოზე...

ხმა: "...და აგრეთვე იმ ტერიტორიებისა, რომლებიც მდებარეობენ ჩრდილოეთის საზღვარს იქეთ."

დიქტორი: ასე გაავლეს საბჭოთა რუსეთმა და ოსმალეთმა სახელმწიფო საზღვარი საქართველოს ტერიტორიაზე. დიდი ნაწილი მოექცა საბჭოთა რუსეთის მხარეს, ხოლო უფრო მცირე ნაწილი შეიერთა ოსმალეთმა.

რა უფლებით მიითვისეს საბჭოთა რუსეთმა და ოსმალეთმა საქართველო?

საბჭოთა რუსეთმა იარაღის ძალით დაიპყრო საქართველო 1921 წლის თებერვალ-მარტში და ამით გაუუქმა საქართველოს          ისე,როგორც ეს პირველად ჩაიდინა რუსეთის იმპერატორმა - ალექსანდრე პირველმა - 1801 წელს. ეს იყო რუსეთის იმპერიალისტური აქტი და ასეც შეაფასა ეს მსოფლიო საზოგადოებრიობამ.

თურქეთის ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს მიმართ, უნდა ჩაითვალოს წმინდა წყლის იმპერიალისტურ აქტად:

დიქტორი II: თურქები,როგორც ცნობილია, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვარს მოადგნენ მე-15 საუკუნეში. ამ დროს საქართველო,სამინაო და საგარეო არასახარბიელო პირობების გამო,დაყოფილი იყო რამდენიმე სამეფოთა და სამთავროთ. მიუხედავად ამისა 1545 წელს ქართლის,იმერეთისა და სამხრეთ საქართველოს სამთავროების გაერთიანებულმა ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს საქართველოში შემოჭრილი თურქეთის ჯარი ბასიანში, ერზერუმის ახლოს, და საქართველომ შესძლო მაშინ თავი გადაერჩინა უცხო დამპყრობლებისაგან. მაგრამ ბრძოლა არც ოსმალეთსა და არც სპარსეთს საქართველოს წინააღმდეგ არ შეუწყვეტიათ. და ვინაიდან საქართველოს ცდები - მოკავშირეები გაეჩინა ქრისტიანულ ევროპაში - უშედეგოთ დამთავრდა,- საქართველო იცლებოდა სისხლისაგან მაშინდელიორიდიდმუსლიმანურ სახელმწიფოების - ოსმალეთისა და სპარსეთის - წინააღმდეგ ომებში. დამარცხდა რა ამ უთანასწორო ომებში, 1555 წელს თურქეთმა და სპარსეთმა დადეს ხელშეკრულება,რომლის ძალით მთელი საქართველო გაინაწილეს ერთმანეთში: სამცხე,ქართლი და კახეთი მიითვისა სპარსეთმა,ხოლო იმერეთი, ოდიში,გურია,აფხაზეთი და "ლაზთა შიწები" მიითვისა ოსმალეთმა. ბევრი დამპყრობლები უნახავს საქართველოს,ქართველ ერს,მაგრამ თურქები გამოდგნენ ყველაზე უსაშინელესი: ცეცხლითა და მახვილით ნერგავდნენ საქართველოში თურქულ ენასა და ისლამს; დევნა,მასობრივი გადასახლება მოსახლეობისა თურქეთის შორეულ რაიონებში...მაგრამ საქართველოს არასოდეს არ აუღია ხელი თავის სუვერენობასა და საქართველოს ტერიტორიის მთლიანობაზე. საქართველოს სამეფოები და სამთავროები არ უშვებდნენ ხელიდან ხელსაყრელ საშინაო და საგარეო პირობებს ჩვენი ერის თავისუფლებისა და სუვერენობის აღდგენა-განმტკიცებისათვის.

დიქტორი: და როცა მეფის რუსეთი გამოჩნდა კავკასიაში,როგორც ოსმალეთ-სპარსეთის მეტოქე, ერეკლე მეორემ, 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებით დაადგა რუსეთის ორიენტაციის გზას, რაც ასე ძვირად დაუჯდა საქართველოს. 1801 წელს მოახდინა რუსეთმა საქართველოს ანექსია და მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში თანდათანობით შეიერთა დიდი ნაწილი იმ ქართული მიწებისა,რომლებიც თავის დროზე დაიპყრო ოსმალეთმა.

1945 წელს საბჭოთა მთავრობამ ისევ საჭიროთ ჩათვალა ეცადა საქართველოს ტერიტორიები,რომლებიც თურქეთს უკავია; ახლა მეერთებინა საბჭოთა კავშირისათვის. 1945 წლის 20 დეკემბრის "პრავდაში" გამოქვეყნებულ იქნა ვრცელი წერილი სათაურით -"ჩვენი კანონიერი მოთხოვნები თურქეთისადმი",რომელშიც ნათქვამია შემდეგი:
ხმა:"საქართველოს ხალხმა უნდა მიიღოს უკან თავისი მიწები,რომლებზედაც მას არასოდეს უარი არ უთქვამს და არც შეეძლო ეთქვა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არდაგანის,ართვინის,ოლთის,თორთუმის, ისპირის,ბაიბურთის,გუმუშანის რაიონები, და აღმოსავლეთი ლაზისტანი,ტრაპიზონისა და გირესუნის რაიონების ჩათვლით, ესე-იგი მხოლოდ ნაწილი იმ ტერიტორიებისა,რომლებიც წაართვეს საქართველოს!"
დიქტორი:საბჭოთა კავშირის მთავრობის ეს მოთხოვნა დარჩა "ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". თურქეთმა მხარდაჭერა იპოვნა დასავლეთში, რამაც საბჭოთა კავშირის მთავრობას ხელი აღებინა ამ მოთხოვნაზე. 1953 წლის 30 მაისს კი, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა - ვ.მოლოტოვმა აცნობა თურქეთს, რომ საბჭოთა მთავრობა უარს ამბობს ყოველგვარ ტერიტორიალურ პრეტენზიაზე თურქეთისადმი და რომ სურს კეთილმეზობლური დამოკიდებულება საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის.

როგორც ვხედავთ, საქართველოს,საქართველოს ისტორიული ტერიტორიების ბედი დღესაც წყდება საქართველოს,ქართველი ხალხის დაუკითხავად. აი,ასეთ მდგომარეობაში ვართ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დადების 50 წლის თავზე.

წამყვანი: როგორ პირობებშია დღეს თურქეთის მმართველობის ქვეშ მყოფი ქართველები?

დიქტორი: ქართველთა ყოფა-ცხოვრება მეტად ჩამორჩება დღეს საბჭოთა საქართველოს მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში მოსახლეობა იყენებდა მდინარეებზე იმ ხიდებს, რომლებიც აშენებული იყო თამარ მეფის დროს. ქართველთა რაოდენობის ოფიციალური ცნობა თურქეთში არ მოიპოვება, ვინაიდან თურქეთში მოსახლეობის აღწერა ეროვნების პრინციპზე არ ტარდება. ე.ფ.ლუდშუვეიტის აზრით, "თურქეთში 300 ათასზე მეტი ქართველი და ლაზი ცხოვრობს. თურქი დამპყრობლების მბრძანებებით ქართველებმა და ლაზებმა XVI საუკუნეში მიიღეს ისლამი, მაგრამ შეინარჩუნეს თავიანთი ენა". (ე.ფ.ლუდშუვეიტი, "თურქეთი", 1961 წელი).

თვით ქართველთა აზრით, რომლებიც თურქეთში ცხოვრობდნენ და როგორც ტურისტებს პარიზში შევხვდით, - ამბობენ, რომ "ქართველთა რიცხვი თურქეთში ორ მილიონამდეაო". ეს ციფრი ჩვენ გადაჭარბებულად მიგვაჩნია, მაგრამ, ალბათ, სინამდვილესთან უფრო ახლოს იქნება, თუ ქართველთა რაოდენობას თურქეთში ნახევარ მილიონ სულზე მეტად ვივარაუდებთ.

დიქტორი II: თუ როგორ პირობებში ცხოვრობენ ეს ჩვენი თანამემამულეები თურქეთში, ამის შესახებ ბევრი ველაპარაკეთ თურქ ტურისტებს, რომლებიც ეწვიენ პარიზსს. ერთმა ქართველმა, მაგალითად, თურქეთის მმართველობის ქვეშ მყოფ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან,-მოგვითხრო:

ხმა: "ჩვენ ვცხოვრობთ ჩვენებურად, ქართულად. ოჯახებში ვლაპარაკობთ ქართულად. ვქორწილდებით ერთმანეთში; ხოლო თუ ვინმე თურქ ქალს ითხოვს ან თურქს გაყობა ცოლად, ასეთი ქართველები ქართულ წრეებიდან ირიყებიან. საერთოდ, უკანასკნელ ხანებში ქართველი ქალების გათხოვებამ მდიდარ თურქებზე იმატა. სიმდიდრე ჩვენ ქალებსაც უბრმავებს თვალებს."

დიქტორი II: ვახტანგ ბერიძე, რომელმაც, როგორც ქართველმა ტურისტმა, 1961 წელს იმოგზაურა თურქეთში, ჟურნალ "მნათობის" 1961 წლის მე-8 ნომერში, ქართველების შესახებ თურქეთში, სხვათა შორის, წერს:

ხმა: "...გვარი ყველა აქართველს უკვე თურქული აქვს, ოფიციალურად ისინი თურქებათ ითვლებიან, მშობლიურ ენადაც თურქულს აცხადებენ იმისათვის, რომ შევიწროებას დააღწიონ თავი. ცოცხალი, დღევანდელი საქართველო მორეული ზღაპარი-ღაა. და მაინც ჯერ არ ჩამკვდარა... ქართველობის შეგნება და არ აღმოფხვრილა ქართული ენა!"

დიქტორი II: ახე წერს, სხვათა შორის, ვახტანგ ბერიძე თურქეთში მცხოვრებ ქართველებზე.

ჩვენც ერთმა ქართველმა გადასახლებულ ქართველთა სოფლებიდან, რომლებიც განლაგებულია სტამბოლის სამხრეთით- მდებარე ქალაქ ბურსის სამხრეთით, დაახლოებით, 60 კილომეტრის დაშორებით, - მოგვწერა შემდეგი:]

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება, ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ახლაც დაკავშირებით შეგონდება, პატივცემული მსმენელებო, ზოგიერთი დებულება დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციიდან, რომელიც საქართველოში ძალაში იყო 1921 წლის 18-დ მარტამდე, როცა საქართველო დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა:

"პიროვნება ხელშეუხებელია..." (მუხლი 22-ე). "ყოველი მოქალაქის ბინა შეუვალია..." (მუხლი 28-ე). "ყოველი მოქალაქე მიმოსვლის და ბინადრობის არჩევაში სრულიად თავისუფალია..." (მუხლი 30-ე). "ყოველი მოქალაქე სინდისის სრული თავისუფლებით სარგებლობს..." (მუხლი 31-ე). "ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად" (მუხლი 32-ე). "...მოქალაქეთ უფლება აქვთ მთავრობის ნებადაურთველად შეიკრიბონ საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ." (მუხლი 33-ე). "მუშათა გაფიცვა თავისუფალია." (მუხლი 38-ე).

ამიტომაა ჩვენი დევიზი - ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!.. პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

ხმა: "ერთხელ ჩემი ბაბუა, რომელიც 80 წელზე მეტი ხნის იყო, – დაიკარგა. ჩვენ შვილებმა და შვილიშვილებმა დავუწყეთ ძებნა...სამი დღის შემდეგ ვნახეთ უღრან ტყეში დამშეულ-მისუსტებული სიკვდილის პირას. წამოვიყვანეთ სახლში, მოვუარეთ, გამოვაჯანმრთელეთ და შევეკითხეთ: "სად მიდიოდი ბაბუა? რა გინდოდა ამ უღრან ტყეში?" ბაბუამ გვიპასუხა: "საქართველოში მივდიოდი შვილო და გზაში დავიბენიო". თურმე, როცა ბაბუამ სიკვდილის მოახლოება იგრძნო, გადაწყვიტა საქართველოში წასვლა და იქ სიკვდილი. სამწუხაროთ, ამას ის ვერ ეღირსა."

დიქტორი: ასე მოგვითხრო ერთმა ქართველმა ქალაქ ბურსას სამხრეთით-მდებარე ქართულ სოფლებიდან. სხვათაშორის, აქაური ქართველები ამბობენ, რომ ისინი გადასახლებულ იქნენ გურია-აჭარის ტერიტორიებიდან "99 წლის წინათ". ასე მოგვითხრეს იქაურმა ქართველებმა 1965 წელს. საიდან იციან ასე ზუსტად, რომ "99 წლის წინათ" წამოვიდენ ისინი საქართველოდან, ეს ვერ ავიხსნეს. საინტერესოა აგრეთვე კიდევ ერთი ქართველის ნაამბობის ამ მხრიდან; მან, როცა ნახა პარიზში დაბადებული ქართველი ბავშვები, რომლებიც ყველა კარგათ ქართულს ვერ ლაპარაკობს, - თქვა:

ხმა: "ჩვენთან ქართველები და ქართველი ბავშვებიც, რა თქმა უნდა, ქართულად ლაპარაკობენ. ჩვენი ბავშვები თურქულს მხოლოდ როცა სკოლაში შედიან იქ სწავლობენ. სამწუხაროთ ქართული სკოლები არ გაგვაჩნია."

დიქტორი: ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბერძნებს, სომხებს და სხვებს თურქეთში გააჩნია სკოლები თავიანთ მშობლიურ ენებზე, მაგრამ ქართველებს არა, მიუხედავათ იმისა, რომ - ქართველები თურქეთში - ისეთ შორს გადასახლებულებიც კი, როგორც ბურსას სამხრეთ რაიონებში მცხოვრები ქართველებია, - დიდის მონდომებითა და გულდასმით ეწაფებიან ქართული ენის შესწავლას. ამიტომ ამ პრობლემის მოგვარება ყველაზე უფრო სათუთი საზრუნავია არა მარტო თურქეთში მცხოვრებ ქართველებისათვის, არამედ ჩვენთვისაც. ჩვენ შეუძლებლად არ მიგვაჩნია ის, რომ საქართველოს განათლების სამინისტრომ შექმნას ერთი სპეციალუ-

რი განყოფილება იმ ქართველთა სწავლა-განათლების საქმის მოგვარებისათვის, რომლებიც დღეს ცხოვრობენ საბჭოთა საქართველოს გარეთ. ჩვენ,თითქმის, ყველა ქართველმა თურქეთიდან გვითხრეს, რომ მათ ესაჭიროებათ ქართული ენისა და ლიტერატურის წიგნები,სკოლები,მასწავლებლები. ამ საკითხის მოგვარება,ვითომ შეუძლებელია საბჭოთა კავშირის საელჩოს მეშვეობით თურქეთში? ვითომ შეუძლებელია იმ საკითხის წამოჭრა თურქეთის მთავრობის წინაშე, რომ მიეცეს ქართველებს თურქეთში კულტურული ავტონომია,როგორც ეს უკვე გააჩნია ბერძნებსა და სომხებს თურქეთში?

აი ჩვენი გადაუდობელი საზრუნავი პრობლემები.

დიქტორი II: ამის გვერდით, დიდი მნიშვნელობის საქმეთ მიგვაჩნია ჩვენ მიმოსვლის გაადვილება თურქეთში მცხოვრებ ქართველებსა და საბჭოთა საქართველოს შორის. ნუთუ შეუძლებელია დღეს, როცა საბჭოთა მთავრობა და თურქეთის მთავრობა ასე თუ ისე ურთიერთშორის მეგობრობის განმტკიცებისაკენ მიილტვიან, - გაადვილებულ იქნეს ქართველებს შორის მიმოსვლა ამ ორ ქვეყანას შორის? განა დღეს, ატომურ ეპოქაში, როცა მსოფლიოს ყოველ კუთხეში ყოველი პატარა ერი,ხალხი დამოუკიდებლობასა და სუვერენობას თავიანთ გარდაუვალ უფლებათ აღიარებენ, ქართველებს იმის უფლებაც კი არ უნდა ქონდეთ   თავისუფლათ აწარმოონ მიმოსვლა ერთმანეთთან?

დიქტორი: სხვათა შორის, სიტყვამ მოიტანა: დღეს ჩვენ, რომ ატომურ ეპოქაში ვცხოვრობთ, ამ ფაქტს საბჭოთა საქართველოში და თურქეთში მცხოვრები ქართველობა ყველაზე უფრო იგრძნობს,თუ თურქეთის მოთხოვნა - ატომური ნაღმებით დანაღმულ იქნეს საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარი - განხორციელებულ იქნა. როგორც იცით, ასეთი მოთხოვნა წამოაყენა თურქეთის მთავრობამ ნატოს თათბირზე ანკარაში 1967 წელს. თუ ეს ჯოჯოხეთური გეგმა მართლაც განხორციელებულ იქნა, თურქეთის მხრიდან საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიები დანაღმულ იქნებიან ატომური ნაღმით, რაც განადგურებით,სრული მოსპობით ემუქრება პირველ ყოვლისა ქართველ და სომეხ ერებს. აი, ასეთი ბედი გვარგუნა ატომურმა ეპოქამ: ჩვენი ერი,ჩვენი ტერიტორია არა მარტო გა-

ყოფილია ორ სახელმწიფოს შორის, არამედ ამასთანავე ამ ორი სახელმწიფოს ინტერესები ყველაზე უფრო მძაფრად ჩვენ ტერიტორიაზეა დაპირისპირებული და ამ დიდმპყრობელური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას ატომური ნაღმებით ლამობენ. ესაა ქართველი ერის ისტორიული ტრაგიკული ბედის კიდევ ერთი,ყველაზე უფრო საშიში ტრაგედია,რომელიც ქართველ ერს სრული განადგურებით ემუქრება.

მაგრამ,როგორც აღვნიშნე, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს ჯოჯოხეთური გეგმა - ატომური დანაღმული ზონის შექმნა - არ მოხდება საქართველოს ტერიტორიაზე და ქართველებს თურქეთში და საბჭოთა კავშირში მიეცემათ უფლება დაამყარონ ურთიერთ შორის კულტურული კავშირები, გააძლიერონ მიმოსვლა ერთმანეთში და ამით განამტკიცონ არა მარტო ჩვენი ეროვნული მთლიანობა, არამედ ამასთანავე ხელი შეუწყონ მშვიდობიანობისა და მეგობრობის განმტკიცებას ხალხებს შორის,უპირველეს ყოვლისა ქართველებსა,თურქებსა და რუსებს შორის,რომლებზედაც დამოკიდებული ჩვენი ეროვნული ყოფნა-არყოფნა.

აი, ეს აზრები დაგვებადა ჩვენ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დადების 50 წლისთავთან დაკავშირებით.

<u>წამყვანი:</u> ჩვენს სპეციალურ გადაცემაში - ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების 50 წლისთავთან დაკავშირებით - ჩვენ შევეხეთ ამ ხელშეკრულების მთავარ მუხლებს,მაშინდელ საერთაშორისო მდგომარეობას და ქართველთა დღევანდელ ბედს საქართველოს იმ ტერიტორიებზე,რომლებიც ახლა იმყოფება თურქეთის მმართველობის ქვეშ.

<u>დიქტორი:</u> <u>("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")</u>

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება

ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება,პატივცემული მსმენელები,

ილიას სიტყვები:

"თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წამებულის წმინდა საყდარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ შვნებისა!"

## საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო და საშინაო პოლიტიკური ამოცანები:

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, დადგა საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი.

1783-ი წლის ტრაქტატით, როგორც ცნობილია, ერეკლე მეორე დაადგა რუსეთის ორიენტაციის საგარეო პოლიტიკურ გზას, მიუხედავათ იმისა, რომ საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ მოღვაწეთა მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს ტრადიციული საგარეო პოლიტიკური გზის მომხრე დარჩა, ტრადიციული საგარეო პოლიტიკისა, რომელიც გამოიხატებოდა მაშინდელ სამ დიდ სახელმწიფოთა - რუსეთსა, თურქეთსა და სპარსეთს შორის - დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებაში, შესაბამისად არსებული პირობებისა მოცემულ მომენტში. მაგრამ ამგვარი ტრადიციული, ე.ი. სამ მოსაზღვრე დიდ სახელმწიფოთა შორის მიუმხრობელი პოლიტიკის წარმოება იმითაც გახდა შეუძლებელი, რომ თვით რუსეთი, თურქეთი და სპარსეთი დაინტერესებული არ აღმოჩნდა მათ შორის - საქართველოს-კავკასიის სახით-ე.წ-ლი "ბუფერული სახელმწიფოს" არსებობით, მით უმეტეს, რომ უკვე იგრძნობოდა სპარსეთ-თურქეთის სიძლიერის დასუსტება, ხოლო რუსეთის თანდათანობით გაძლიერება მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში. საქართველომ გაუცრუვდა რა ყოველი იმედი ორიენტაციისაგან მეფის რუსეთთან, ისევ ევროპის ორიენტაციაზე დაიწყო ზრუნვა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური მიზნები ასახულია, როგორც ამას წერს ზურაბ ავალიშვილი თავის ნარკვევში "საქართველოს დამოუკიდებლობა", რომელიც დაიბეჭდა 1924 წელს პარიზში, - 1918 წლის 17-ი ივნისის მემორანდუმში. ამ დოკუმენტში ლაპარაკია საქართველოს ხალხის სურვილზე დაეყრდნოს ისეთ სახელმწიფოს, რომლის მხრიდან საშიშროება არ არსებობს საქართველოს ანექსიისა,

როგორც ეს გააკეთა,მაგალითად, მეფის რუსეთმა,როცა 1801 წელს მოხლინა საქართველოს ანექსია და ამით მოსპო საქართველო,როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. ამას გარდა,საქართველოს ამგვარი დასაყრდენი სახელმწიფოს პოლიტიკური მიზნების "შეთავსება" შესაძლებელი უნდა ყოფილიყო საქართველოს,როგორც სუვერენული სახელმწიფოს, პოლიტიკურ მიზნებთან. ასეთ სახელმწიფოთ მიჩნეული იქნა გერმანია,რომლის ინტერესების შეთავსება საქართველოს პოლიტიკურ ამოცანებთან ადვილად გამოიყურებოდა. თუ რაში გამოიხატებოდა საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური ამოცანები, ამას ზურაბ ავალიშვილი ასე განსაზღვრავს:
"პირველ ყოვლისა, თავისი სახელმწიფოებრივობის განმტკიცება; ხელისფლების და მართველობის უწყებების,სამხედრო საქმისა და ფინანსების ორგანიზაცია; ცნობის მიღება სხვა სახელმწიფოებიდან და მათთან სამართლიანი საერთაშორისო ურთიერთობის დამყარება.

მეორე, მოკავშირეობითი ურთიერთობის დამყარება საქართველოსა და მის მეზობლებს შორის...როგორც ამიერკავკასიაში,ისევე ჩრდილოეთ კავკასიაში, და შემდეგ მომზადება კავკასიის კონფედერაციისა, რომელიც მოწოდებულია ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი მომავალ პოლიტიკურ სისტემაში,.."

"მაგრამ,პირველ ყოვლისა საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას საქართველოს მომავალი, მხარი დაეჭიროს მის დამოუკიდებლობას: დამოუკიდებელი საქართველო ხდება ქვაკუთხედი კავკასიის კონფედერაციისა." ასე წერს ზურაბ ავალიშვილი თავის ნაშრომში "საქართველოს დამოუკიდებლობა",რომელიც 1924 წელს დაიბეჭდა პარიზში.

"ამისაგან გამოდის დასკვნა, რომ ურთიერთობა საქართველოსა და გერმანიას შორის უნდა ეყრდნობოდეს მოკავშირეობის საწყისებს, საქართველოს სრული დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ცნობით".

ზურაბ ავალიშვილი შემდეგ წერს:
"1918 წლის ივნისის ბოლოს, საქართველოს მთავრობას სათავეში ჩაუდგა ნოე ჟორდანია, და ამით მიღწეულ იქნა განსაზღვრული კოორდინაცია

სამთავრობო მანქანისა და სხვადასხვა პარტიული და რევოლუციური ორგანიზაციებისა,რომელთა ხელმძღვანელად ის ითვლებოდა. არადიდი მასშტაბით საქართველოს პირობებში თავიდან იქნა აცილებული გაორება "მთავრობისა" და "საბჭოსა",რაც ასე საბედისწერო გახდა რუსეთისათვის 1917 წელს".

ასეთ პირობებში, წერს შემდეგ ზურაბ ავალიშვილი, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას კაიზერული გერმანიის მხრიდან, რაც ფერხდებოდა იმიტომ, რომ გერმანიის მთავრობა ჯერ მოითხოვდა საბჭოთა რუსეთის მთავრობის თანხმობას, რომ შემდეგ ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

ამგვარად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ცდილობდა - აღნიშნული პოლიტიკური მიზნების შესაბამისად - დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივ განმტკიცება-გაძლიერებას,რომ საქართველო გამხდარიყო მომავალი კავკასიის კონფედერაციის ქვაკუთხედი. ამ მიზანს ემსახურებოდა საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია კაიზერულ გერმანიაზე,თუმცა გერმანია ორჭოფობდა,როგორც ავღნიშნე, ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. მაგრამ ამის შესახებ შემდეგ საუბარში.

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება,
ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
და ამასთან დაუუმირებით მაგინდება,პატივცემული მსმენელებო,

ჩვენი აკაკის სიტყვები:
"ვინ ნახა თავისუფლება
ტანჯვით და მოთმინებითო!"

## საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი:

წინა საუბარში ჩვენ ავღნიშნეთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1918 წლის 26-ს მაისს, მთელი სიგრძე-სიგანით წამოიჭრა საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი, ვინაიდან საქართველოს ტრადიციული საგარეო პოლიტიკური ხაზის განგრძობა, ე.ი. რუსეთ-სპარსეთ-თურქეთისაგან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოება, მეფის რუსეთის ორიენტაციის აღების შემდეგ 1783 წელს, შეუძლებელი ჩანდა. ამიტომ საქართველოს მთავრობამ მიზანშეწონილად ჩათვალა ორიენტაციის აღება კაიზერულ გერმანიაზე იმ რწმენით, რომ გერმანიისა და საქართველოს გეოპოლიტიკური მონაცემები სავარაუდოს არ ხდიდა იმას, რომ გერმანია რუსეთის გზას დაადგებოდა, ე.ი. საქართველოს ანექსიას მოახდენდა, როგორც ეს მოიმოქმედა მეფის რუსეთმა 1801-ლ წელს.

მაგრამ გერმანია ჯერ მოითხოვდა საბჭოთა რუსეთის თანხმობას, რომ ეხცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, რაც სრულიად მიუღებელი იყო საქართველოსათვის. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს ნოე რამიშვილის მთავრობის დროს - აკაკი ჩხენკელი - ბერლინში უმტკიცებდა გერმანიის მთავრობას, რომ რუსეთის ყოფილ იმპერიაში საქართველოს გააჩნდა განსაკუთრებული სტატუსი 1783-ი წლის რუსეთ-საქართველოს ე.წ-ლი ტრაქტატის საფუძველზე; რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა არასოდეს არ ყოფილა ფორმალურად გაუქმებული და ამიტომ გერმანიას შეუძლია საქართველოს ცნობა საბჭოთა რუსეთის მთავრობის თანხმობის გარეშე.

იმისათვის, რომ გარდადასხული ყოფილიყო გერმანიის მთავრობის შეფიქრიანება ამ საკითხში, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესწავლა დაევალა ცნობილ გერმანელ საერთაშორისო სამართლის მეცნიერს, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორს ფრანც ფონ ლისტს, რომელმაც შეიმუშავა ექსპერტიზა (Prof.Dr.Franz von Liszt:Die voelkerrechtliche Stellung der Republik Georgien. Ein Gutachten.Berlin,I9I8), რომელიც გამომდინარეობდა არა 1783 წლის ხელშეკრულებიდან ან 1801 წლის საქართველოს

ანექსიიდან, არამედ საქართველოს მდგომარეობიდან 1918 წელს; და მივიდა დასკვნამდე, რომ არავითარი <u>იურიდიული</u> ჯებირი არ არსებობს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა არ იქნეს ცნობილი გერმანიის მთავრობის მიერ. აი პროფესორ ფრანც ფონ ლისცის დასაბუთება:

1. საქართველო უკვე ახლა (1918 წლის აგვისტო) არის თვითმყოფადი და სრულიად დამოუკიდებელი და ამით სუვერენული სახელმწიფო და, როგორც ასეთს, გააჩნია საერთაშორისო-უფლებრივი მომთხოვნობა იცნოს სხვა სახელმწიფოებმა.

2. საქართველოს რესპუბლიკა უკვე ცნობილია, როგორც დე ფაქტო არსებული წევრი სახელმწიფოთა ერთობისა, -გერმანიის იმპერიისა და მისი მოკავშირეებისადმი...

3. ფორმალური ცნობის წინააღმდეგ არ არსებობს იურიდიული შესადავებული საბუთი. ეს არ იქნებოდა "არამეგობრული მოქმედება" რუსეთის მიმართ, რომელმაც ღიათ და საზეიმოდ გამოაცხადა ხალხთა თვითგამორკვევის თავისუფლების უფლება, "სრული გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ჩათვლით".

გერმანია-რუსეთის ბრესტ-ლიტოვსკის <u>დამატებით</u> ხელშეკრულებაში კი, რომელიც ხელმოწერილ იქნა ბერლინში 1918 წლის 27 აგვისტოს, მე-13 მუხლში ნათქვამია:

"რუსეთი აცხადებს თავის თანხმობას იმაზე, რომ გერმანიამ იცნოს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ორგანიზმად".
(Deutsch-Russischer Ergaenzungsvertrag vom 27.August I9I8,Art.I3:
"Russland erklaert seine Zustimmung, dass Deutschland Georgien als selbstataendiges Staatsgebilde anerkennt".) საქართველოს იურიდიული ცნობა გერმანიის მხრიდან მეტად გაჭიანურდა, და ეს შესაძლებელი გახდა პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისა და კაიზერული გერმანიის მთავრობის რესპუბლიკური მთავრობით შეცვლის შემდეგ; გერმანიამ საქართველოს დამოუკიდებლობა (იურიდიულად) იცნო 1920 წლის 24-ს სექტემბერს, საქართველოს დამოუკიდებლობის დე ფაქტო ცნობის ორ-წელიწადზე მეტი ხანის გავლის შემდეგ; საქართველოს დამოუკიდებლობა დე ფაქტო გერმანიამ იცნო ჯერ კიდევ 1918-ი წლის

10-თ ივნისს,ე.ი. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დაა-ხლოებით ორი-კვირის შემდეგ.

დაბოლოს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1918 წელს,საქართველოს დე-მოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას ბერლინში ხელმძღვანელობდა სა-ქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილის მთავრობაში - აკაკი ჩხენკელი, ხოლო დელეგაციაში შედიოდნენ ისეთი ქართველი გამო-ჩენილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები,როგორიც იყვნენ ნიკო ნიკოლაძე და ზურაბ ავალიშვილი.

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება,
ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
და ამასთან დაკავშირებით მაგონდება,პატივცემული მსმენელებო,
ილია ჭავჭავაძის "ქვათა ღაღადიდან" ის ადგილი,სადაც ის ლაპარაკობს სომხეთისა და საქართველოს ურთიერთობის შესახებ. ილია წერს:

"....სომეხთ ვერ დაუკავშირებიათ თავის ბედი ქრისტიანობისათვის

- ჩვენ მეტი დაგვებედა. ქრისტიანობისათვის ბევრი რამ გადაგვხ-დია. ბევრი სისხლი გვიღვრია და მეტი არა იქნება ვთქვათ, რომ ქრისტიანობას [illegible] ჩვენი [illegible] თვისი ის-ტორია, თვისი სამეფო, თვისი მეფენი, თვისი სახელმწიფო და [illegible]. თვისვე [illegible]. შეინახეს თვისი რჯუ-ლი, ენა და ვინაობა [illegible] შეინახეს თვისი ძალი [illegible], ძალი ეროვნული [illegible]. ვერც ისტორია და ვერც [illegible] ვერ დაავიწყებს სომხეთს [illegible], სომხეთს თავის [illegible] ქრისტიანობისათვის....."

"......ჩვენ კარგად ვი-ცით რომ [illegible] საქართველოს [illegible] [illegible] [illegible] სომხეთი — [illegible] [illegible]. ჩვენ [illegible] [illegible] [illegible] მის [illegible] [illegible] და [illegible] მაშინდელი საქართველო, მთელი ჩვენი ისტორია [illegible], რომ [illegible] ჩვენი თავი [illegible]. საქართველოს რომ [illegible] [illegible] ვერ სომხეთი უნდა [illegible] ჩვენი [illegible] მეფენი და სამეფოს [illegible] [illegible], რომ [illegible] სომხეთისათვის. [illegible] [[illegible], [illegible] ჩვენს შეუძლია არ [illegible] — [illegible] ქრისტიანობისათვის სომხეთის [illegible].] [illegible] სომხეთი და სომხეთის [illegible] საქართველოში [illegible] სომხეთის [illegible] მთელი [illegible] [illegible] [illegible] ჩვენზე [illegible]. [illegible] მთელი ჩვენი ისტორია [illegible] და [illegible] [illegible] და ვერა [illegible]."

## მთავრობისა და საბჭოს კოორდინაცია:

როგორც წინა საუბრებში ავღნიშნეთ, 1918 წლის 26-ს მაის გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა; დამოუკიდებლობის აქტი წაკითხულ იქნა ეროვნული საბჭოს თავჯდომარის - ნოე ჟორდანიას - მიერ თბილისში, მთავრობის სასახლის თეთრ დარბაზში. დამოუკიდებლობის აქტის მე-7 მუხლი განსაზღვრავდა შემდეგს: "დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე".

ამგვარად მოხდა ის, რომ საქართველოს მართვა-გამგეობას უძღვებოდა ეროვნული საბჭო და დროებითი მთავრობა, რაც თავისებური "ორ-მართველობის" ნიშანს აცარებდა განსაკუთრებით იმიტომ, რომ ნოე ჟორდანია იყო ეროვნული საბჭოს თავჯდომარე, ხოლო დროებითი მთავრობის შემდგენა დაევალა ნოე რამიშვილს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მთავრობა შემდგენილ იქნა პარლამენტში წარმოდგენილ პარტიათა კოალიციის ნიადაგზე:
მთავრობის თავჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა ნოე რამიშვილი(სოციალ-დემოკრატი).
საგარეო საქმეთა მინისტრი აკაკი ჩხენკელი(სოციალ-დემოკრატი).
მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი ნოე ხომერიკი(ს.დ.).
ფინანსთა მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი(სოციალ-დემოკრატი).
იუსტიციის მინისტრი შალვა მესხიშვილი(სოციალისტ-ფედერალისტი).
განათლების მინისტრი გიორგი ლასხიშვილი(სოციალისტ-ფედერალისტი).
გზათა მინისტრი ივანე ლორთქიფანიძე(სოციალისტ-რევოლუციონერი).
ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი გიორგი ჟურული(ეროვნულ დემოკრატი).

მაგრამ სახელმწიფო მმართველობაში თავი იჩინა "ორ-მართველობამ", ნოე ჟორდანიას მეთაურობით, - ერთის მხრივ - ეროვნული საბჭო და მეორეს მხრივ დროებითი მთავ-

პარიზში 1924 წელს, სხვათა შორის, წერს:

"1918 წლის ივნისის ბოლოს, საქართველოს მთავრობას სათავეში ჩაუდგა ნოე ჟორდანია, და ამით მიღწეულ იქნა განსაზღვრული კოორდინაცია სამთავრობო მანქანისა და სხვადასხვა პარტიული და რევოლუციური ორგანიზაციებისა, რომელთა ხელმძღვანელათ ის ითვლებოდა. არადიდი მასშტაბით, საქართველოს პირობებში, თავიდან იქნა აცილებული გაორება "მთავრობისა" და "საბჭოსა", რაც ასე საბედისწერო გახდა რუსეთისათვის 1917 წელს".

<u>ლიქტორი:</u> <u>("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")</u>

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება,
ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემული მსმენელებო, დამოუკიდებელი საქართველო 1918-21 წლებში, როცა ქართველი ხალხი იყო საქართველოს ბედ-იღბალის გამგებელი <u>პრესის თავისუფლების</u> საქმეში. მაშინ საქართველოში არსებობდა მრავალი პარტიული და უპარტიო ჟურნალ-გაზეთი: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო იყო, მაგალითად, "ერთობა", საქართველოს მთავრობის ოფიციალური ორგანო - "საქართველოს რესპუბლიკა", ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის - გაზეთი "საქართველო", ფედერალისტთა პარტიის - "სახალხო საქმე", სოციალ-რევოლუციური პარტიის-"შრომა" და სხვა მრავალი ჟურნალი და გაზეთი, რომელთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა სატირული ჟურნალი "ეშმაკის მათრახი", რომლის ხელისჩამდგმელი იყო ცნობილი ქართველი ჟურნალისტ-სატირიკოსი ნესტორ კალანდაძე.

ქართული საბჭოთა პრესა დღეს სხვა არაფერია თუ არა საბჭოთა მთავრობის რუპორი.

და რას ამბობდა ამგვარი სასტიკი ცენზურის ქვეშ მყოფი პრესის შესახებ კარლ მარქსი თავის სტატიაში "დებატები პრესის თავისუფლების შესახებ" 1842 წელს?..

"მალემორალიზებლად მოქმედებს მხოლოდ ცენზურის ქვეშ მყოფი პრესა... მთავრობა ისმენს მხოლოდ თავის საკუთარ ხმას; მან იცის, რომ ის ისმენს მხოლოდ თავის საკუთარ ხმას, და მიუხედავად ამისა ის მხარს უჭერს თავისთავის მოტყუებას თითქოს ისმენს ხალხის ხმას და მოითხოვს ასევე ხალხისაგან, რომ მან მხარი დაუჭიროს ამ თვითმოტყუებას."

## ინგლისი(დენიკინ-ალექსეევ-ვრანგელი) და დამოუკიდებელი საქართველო:

1918 წელს,26-ს მაისს - გამოცხადდა რა საქართველოს დამოუკიდებლობა საქართველოს მთავრობა,როგორც აღვნიშნეთ, დაუყონებლივ შეუდგა საქართველოს საგარეო და საშინაო პოზიციების განმტკიცებას და განსაზღვრულ წარმატებებსაც მიაღწია. მაგრამ საქართველოს მაშინდელ საზღვრებს გარეთ, განსაკუთრებით რუსეთში, უფრო ანარხია,ვიდრე წესრიგი სუფევდა,რაც,ნათელია,ზეგავლენას ახდენდა საქართველოს საგარეო და საშინაო მდგომარეობაზედაც. ეხება რა საქართველოს იმდროინდელ მდგომარეობას, ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში -"ჩემი წარსული",რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში -,სხვათა შორის, წერს:

ამ დროს ჩვენს ირგლივ ერთი მტერი სცვლიდა მეორეს. ოსმალები მოგვეშორნენ, მათი ალაგი დაიჭირა ერთი მხრით ინგლისელებმა, მეორე მხრით ამათ მოკავშირე მოხალისეთა ჯარებმა. სამუსულმანო საქართველო გახდა ინგლისელთა საინტერესო ასპარეზი, ხოლო შავი ზღვის პირი დენიკინის სათარეშო. ინგლისის სარდლობა მოვიდა ჩვენში არა მარტო როგორც წარმომადგენელი, არამედ ამავე დროს როგორც წარმომადგენელი დენიკინ - ალექსეევ - ვრანგელისა. მათი მთავარი მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის გაუქმება, დენიკინის მოკავშირედ გახდომა და შემდეგ დაპყრობა — გამარჯვებული მოხალისენი ავტონომიას მოგვანიჭებენო. ასეთი წინადადებით გამოცხადდა ერთ დღეს ჩემთან გენ. მილნი. ეს პირი, ჩანდა, იყო მეტად ზრდილობიანი, მორიდებული, აუჩქარებელი და შევატყვე ასრულებდა სხვის ბრძანებას და არა თავის გულისწადილს. რასაკვირველია, ვერც ერთ მუხლში ვერ შევთანხმდით გარდა ერთისა — სტენოგრაფიული ანგარიში ჩვენი მუსაიფისა შეედგინათ ფრანგულად და ორივეს მოგვეცეს. ასეთივე მიზნით ინახულა ჩემი გენერალმა [illegible], იმავე შედეგებით. ამავე დროს მათ დაგვარტყეს შავი ზღვის ბლოკადა: არავითარი სანოვაგის მიღება, ან რაიმე ვაჭრობის გამართვა სტამბოლით ევროპისკენ არ შეიძლებოდა. ეს ზომა იყო ალბათ ჩვენი შესაშინებელი. არ შეგვეშინდა, გაჭირვებული ვიყავით, მაგრამ ვიტანდით გაჭირვებას სულგრძელობით. აქ გამოჩნდა ჩვენი ხალხის, მთელი ჩვენი ერის ნებისყოფა, მედგარი ხასიათი და სიდინჯე. მას ჰქონდა შეგნებული მდგომარეობა და გვერდში გვედგა მამაცურად და ერთგულად. ინგლისელებთან გვქონდა ბრძოლა ორი მხრით, ორი მეთოდით — დიპლომატიურად, ვერსალის კონფერენციაზე, აქტიურად — საქართველოში. ეს მეორე ბრძოლა იყო მეტად სახიფათო, მეტად დასაფიქრებელი და საძნელო; ის უნდა გვეწარმოებინა ისე, რომ არ გადა-

ვარდნილიყავით მეორე უკიდურესობაში, არ გადაგვე-
მტერებინა საბოლოოდ ინგლისის მთავრობა და იმავე
დროს მიზანს მივეღწიეთ. ხოლო მიზანი კი გახლდა ერ-
თი — სამუსულმანო საქართველოს შემოერთება, ჩვენი
ტერიტორიული ცნობა, ჯარის ლიკვიდაცია და მისი მეთა-
ურობის წილება.

ერთ დღეს ჩემს კაბინეტში შემოდის უცნობი ინგლი-
სელი და თავს მაცნობს — წარმომადგენელი ლოიდ ჯორ-
ჯის და კერზონის, გამოგზავნილი მათ მიერ დავალე-
ბით ~~[illegible]~~ [illegible] მაჩვენებს). ეს
იყო ჰეროული ინგლისელი, სამოქალაქო პირი, რომელიც
მოვიდა საიდუმლოდ და სამუსაიფოდ. მივიღე პატივით
და ვისაუბრეთ ორი საათი. მან ყველაზე უფრო აინტე-
რესებდა ჩვენი აზრი საბჭოთა ხელისუფლებაზე, რუსე-
თის მდგომარეობაზე. მე ყველა მის კითხვებზე მივეცი
გარკვეული პასუხი. ვუთხარი დაახლოვებით შემდეგი:
დენიკინზე იმედის დამყარება ოცნებაა, საბჭოთა ხელის-
უფლება მაგრათ ზის და მისი გადმოგდება შინაური ძა-
ლით შეუძლებელია. რაც შეეხება მის ცნობას — რასა-
კვირველია უნდა იქნას ცნობილი ფაქტიურათ და იუ-
რიდიულათ. ეს არის საქმე ფაქტის, სინამდვილის. რაკი
არსებობს, აღიარება ამდენხანს — ეს საკმარისი არგუ-
მენტია მისი ცნობისათვის. ასეთივე საბუთით ჩვენც უნ-
და გვიცნოთ და სხ. და სხ. მოლაპარაკე შეკითხვებით
გამოვარკვიე, რომ ინგლისის მთავრობაში ყოფილა ორი
აზრი — ერთი მოსკოვის ცნობის მომხრე, მეორე — მო-
წინააღმდეგე. „ჩემი იმედოვნება ამ დავას გადასჭრი-
სო", მითხრა მან გამოთხოვებისას. მე მგონია [illegible]
არ გადამიჭარბებია და არც უცაბედათ ნათქვამი წამომ-
ცდენია. თავიდანვე ვიყავი იმ აზრის, რომ ევროპას მო-
ვლაპარაკით ცნობა ჩვენი და არა ვიქნებით წინააღმდეგი

თუ ის წინასწარ იცნობს. დიდი იმედი არ მქონდა ამა-
თი მესამეს და დარჩენისა. არ მაწუხებდა, რომ
ინგლისის მთავრობის მეთაური ლოიდ-ჯორჯი, კაცი
ლიბერალი, ლიბერალური ტრადიციის დამცველი და ამ-
ყოლი, მისი პოლიტიკის აღმოსავლეთში მატარებელი.
ხოლო ეს პოლიტიკა ცნობილია — ოსმალეთის დანგრე-
ვა რუსეთის საშუალებით. მისთვის დიდი მძლავრი რუ-
სეთი საუკეთესო მეგობარი და თანამგზავრია. და თუ ის
ვერ აღადგენს ძველ რუსეთს დენიკინის საშუალებით,
ბოლშევიკურ რუსეთსაც არ დასწუნებს.

ასე წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული",რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში.

გესაუბრებოდა დავით თაბორიძე!..
================================

## აგრარული რეფორმები დამოუკიდებელ საქართველოში:

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ერთერთი მნიშვნე-ლოვანი მოვლენა იყო მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარება. ეხება რა ამ საკითხს, ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული",რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში, სხვათა შორის, წერს:

> ჩვენ სოციალიზმი უმთავრესად გამოიხატა აგრარულ რეფორმებში. ის რაც ჩვენში მოხდა ამ სფეროში უფრო ეწოდება რევოლუციას, ნამდვილად კი ეს იყო რეფორმა. რატომ? იმიტომ რომ ეს ჩატარდა ყოველგვარ ძალდობის, არეულობის და ბრძოლის გარეშე. საკმარისი იყო მთავრობის და პარლამენტის დეკრეტი, რომ ყველა კლასი, პირველ ყოვლისა, მემამულენი, დამორჩილებოდენ მას. ასეთი ძირითადი ეკონომიური ზომა არსად, არც ერთ ქვეყანაში არ გატარებულა ურევოლუციოთ და უკონტრრევოლუციოთ. რეფორმა კი წარიმართა ძირითადი იყო უსასყიდლოთ მამულების ჩამორთმევა. უბრალო კონფისკაცია დემოკრატიული გზით. ყველა სხვა პირობებში იქნებოდა ეკონომიური კატასტროფა, სამოქალაქო ომის გამოწვევით. ხოლო არსებულ პირობებში კი ის თავისთავად საგულისხმოდ გადაიქცა.
>
> ხალხი ცხოვრობს რეალიზმით, მას ცხოვრება აინტერესებს, პირველ ყოვლისა; ამიტომაა ის უკვდავი, ცოცხლობს ათი-ათას წლობით; იმას ვერ გაიტაცებს, ვერ აცდუნებს იდეალიზმი, წმინდა ღვთური მოძღვრებები, ეს თუ ის კეთილი სურვილები. ასეთი სენი რომ მას სჭირდეს, მრავალჯერ გადაიჩეხებოდა უფსკრულში და გაქრებოდა. ეს არის კეთილ-ლული პიროვნებათა, პარტიების, რომელნიც საქმობენ და კვდებიან, ხოლო ხალხი კი არ კვდება. ჩვენი ნაციონალური აღორძინება. პირველ ყოვლისა, მოითხოვდა მთელი ხალხის დარწმუნებას ამ საქმეში, არა სიტყვით, პროპაგანდით, არამედ რეალურათ, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებით. რუსეთს რჩებოდა ის იმიტომ, რომ ის აძლევდა საგარეო მფლობელობას, რასაც ქართველი ხალხი მაღლა აყენებდა მიწის-ყმობის და ნივთიერი მდგომარეობის სიდუხჭირეზე. და მართლაც. თუ საგარეო მფლობელობა არ არის, იქ არც ნორმალური ცხოვრებაა შესაძლებელი. თავისუფალ საქართველოს მისთვის უნდა მიეცა რაღაც მეტი. რომ ის თავის გულში ჩაეკონა; ეს იყო საგარეო მფლობელობის გარდა ეკონომიური გაუმჯობესება. სოციალური რეფორმი მშვიდობით გადაეწყვიტა ერთიანულ რეჟიმს. ერთი სიტყვით, გლეხობის ნაციონალური აღზრდა უნდა მომხდარიყო აგრარული რეფორმით. ეს მერნა ეს გაიგო თვით მემამულეებმაც. რასაკვირველია. ჩვენ ვცდილობდით

რუსეთის პირობებში, სადაც ნაციონალური საკითხი არ იდგა და მხოლოდ ეკონომიკა გახდა ბრძოლის საგანი, ცხადია ჩვენშიაც მოხდებოდა ის, რაც ყოველგან მოხდა — მემამულენი აღმართავდნენ ბრძოლის დროშას თავის პრივილეგიების დასაცავათ. მაგრამ რაკი ყველა ნაბიჯი იზომებოდა და იელიფებოდა ნაციონალური მომენტით, ჩვენ დავმორჩილდით ყველა კლასი და წოდება. დავა აღარ იყო. მთავრობის სფეროში დავა გამოიწვია მხოლოდ ერთმა საკითხმა: რამდენი ვერსტი სახნავ-სათესი მიწა დავუტოვოთ მემამულეს მისი მამულიდან. მე ვითხოვდი დიდი მემამულეობისათვის 15 დესეტინას. ნ. ხომერიკი შვიდ დესეტინას. გაიმარჯვა უკანასკნელმა.

ჩვენმა სოციალიზმმა ამ სფეროში მიიღო სპეციალური, ქართული ხასიათი. ჩამორთმეული სახნავ-სათესი მიწები გადავეცით გლეხობას კერძო საკუთრებათ, რითაც ეწინააღმდეგებოდა სოციალისტურ დოქტრინას. ამ აზრის ვიყავით ჩვენ თავიდანვე. პარტიული შენობის დაწყებიდანვე, როგორც ეს ზემოთ განვმარტეთ. წინანდელ ჩვენს საბუთებს, წმინდა ეკონომიური ხასიათისას, ახლა მიემატა ნაციონალური ხასიათის საბუთებიც. ჩვენი ხელმძღვანელი აზრი იყო, საქართველოს მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას — გლეხობას დაენახა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობამ მას მოუტანა მიწა, მისი ცხოვრების ახალი საშუალებანი. ასე რომ, აგრარული რეფორმა გახდა უძლიერესი ნაციონალური ფაქტორი ჩვენში.

ასე წერს ნოე ყორდანია თავის მოგონებაში -"ჩემი წარსული",რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში.

ლიდერი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება

ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!.. —

პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მოგონდება პატივცემულო მსმენელებო,

ნიკოლოზ ბარათაშვილის - ბიწყვეში:

"რა ხეღ ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვევებული?
ესრეთ რას არგებს კაცსა დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება?"

და ამიტომაა ჩვენი დევიზი - ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

## მუშათა მდგომარეობა დამოუკიდებელ საქართველოში:

წინა საუბარში განვიხილეთ აგრარული რეფორმის მთავარი დებულებები დამოუკიდებელ საქართველოში და მოვიყვანეთ ამონაწერები ნოე ჟორდანიას მოგონებიდან "ჩემი წარსული", მიწის რეფორმის შესახებ საქართველოში. ნოე ჟორდანია მის მოგონებაში ეხება აგრეთვე მუშების მდგომარეობას და წერს:

> მუშათა კლასის შრომის ფარგლებში ახალი ვერაფერი ვთქვით, თუმცა აქ იყო ჩვენი სოციალისტური სწავლის მთავარი სარბიელი. ამის მიზეზია მრეწველობის სისუსტე, სახელმწიფო და კერძო წარმოებათა ბატონობა, სადაც გასაქანი არ იყო. მაინც დავაარსეთ შრომის კამერა, კოლექტიური ხელშეკრულება, სინდიკატების ლეგალური ფუნქციებით და სხ. მუშებმა გამოიჩინეს დიდი ნაციონალური და სახელმწიფოებრივი უნარი. ისინი იყვენ ჩვენი მთავარი ბაზა ბრძოლის ველზე გვარდიის სახით, ეკონომიურ სფეროში სინდიკატების სახით. მთავრობას და სინდიკატებს შორის ერთხელაც არ მომხდარა კონფლიქტი, თუმცა ზოგი მათი მეთაური მუშათა მასებს გვისისინებდა, განსაკუთრებით კვების მოტივებით. მათ არ აყვა არც პარტია, არც ხალხი. ეს კონფლიქტი ხდებოდა და ირჩეოდა ცკ კომიტეტში, გარეთ არ გამოდიოდა. დემაგოგებს, არაპრინციპულ გაქრიდათ გარეთ, შიგნით მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაცია იჩქმოდა ხმაღ მოღაღადებლისა უდაბნოსა შინა. საზოგადოთ, საქართველოს რესპუბლიკის მთავარი ფუძე თავიდან ბოლომდე იყო თფილისის მუშათა კლასი. ყველა დანარჩენი მოსახლეობა მას მისდევდა. სოციალ-დემოკრატიის 24 წლის მუშაობას მუქთად არ ჩაუვლია. კვების საქმე მართალაც ცუდად იყო მოწყობილი. რუსეთი, დენიკინის და ბოლშევიკების პურს, ჩვენსკენ არ უშვებდა; ყუბანის დემოკრატიული მთავრობის მიერ გამოგზავნილი მთელი გემი ხორბლეულობისა დაიკავეს დენიკინელებმა და უკან დააბრუნეს ტუაპსეში. უცხოეთიდგან ვერ ვღებულობდით ბლოკადის გამო; მაშასადამე, პური იყო ცუდი, არეული სხვადასხვა ფქვილებით, არ ცხვებოდა რიგიანად, მუშები იყვენ იძულებულნი დაკმაყოფილებულიყვნენ ასეთი სუროგატებით. მომარაგების მინისტრათ გვყავდა ერთი მათგანი, გ. ერაძე, რომელზედაც არ შეეძლოთ რაიმე ეჭვი შეეტანათ. გიორგის ხშირათ უხდებოდა პურის ალაგას ორატორობით გამასპინძლება უკმაყოფილო ელემენტებისა. ხანდახან უცაბედათ ვახერხებდით სტამბოლის გზით პურის გამოპარებას უცხოეთიდგან, განსაკუთრებით ოცში, ხოლო მანამდე კი თფილისი იკვებოდა თავის ნაკლს ისევ სოფლებიდან. მეც სანოვაგეს ჩემი სახლიდან ვიღებდი ხშირათ; ერთხელ ჩამოვიდა დედა-ჩემი მოხალე-ნაირი სანოვაგით, გაგვიხარდა რასაკვირველია. დედა მეუბნება:

> მ-თხრეს: შენ მინისტრი ხარო, რაღა დაგიჯერო, ჩემი სა-
> რჩენი მინისტრი ვის გაუგონია! მართალიც. გამოდი-
> და, რომ ეს მას კი არ ვარჩენდი, პირიქით ის მე. ერთი
> სოფლით, ყველა გაპიროვნებული ერთიანი დაწყებული ზა-
> ლალი სოფლებიდან. ეს გათანასწორება გაპირებაში
> მოქმედებდა შემძენელს და მას იღებდნენ მოთმინებით.

ასე წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული",რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში.

## მუშათა დამოუკიდებელი პროფკავშირები საქართველოში:

დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში,რესპუბლიკისა,რომლის დამოუკიდებლობა 1918-ი წლის 26-ს მაის გამოცხადდა, - მე-35-ე მუხლი განსაზღვრავს თავისუფალი, დამოუკიდებელი პროფკავშირის შექმნის პირობებს. ამ მუხლში ვკითხულობთ:

"საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად დაარსონ საპროფესიო და სხვა ყოველგვარი კავშირი, თუ მისი მიზანი კანონით არ არის აკრძალული; კავშირის გაუქმება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლება".

კონსტიტუციის ამ მუხლის თანახმად, საქართველოში, დამოუკიდებლობის ერის 1918-21 წლებში, არსებობდა ნამდვილი,თავისუფალი პროფესიული კავშირები,რომლის ერთერთი გამოჩენილი წარმომადგენელი, მუშა გიორგი ერაძე დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წევრი იყო და, როგორც მინისტრი,განაგებდა შრომის სამინისტროს.

მაგრამ საქართველოს მშრომელებს არაერთხელ ბრძოლა დასჭირდათ იმისათვის, რომ შეექმნათ თავისუფალი პროფესიული კავშირები.

საქართველოს მშრომელთა,განსაკუთრებით გლეხთა არაერთი აჯანყება მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ საქართველოში მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში, ატარებდა არა მარტო სოციალურ, არამედ პოლიტიკურ ხასიათსაც; შეიძლება უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ გლეხთა აჯანყებები საქართველოში უფრო პოლიტიკურ,ვიდრე სოციალურ ხასიათს ატარებდა,ვინაიდან სალხი პოლიტიკურ თავისუფლებას თვლიდა და თვის ეკონომიკური და ამით სოციალური თავისუფლების მოპოვების წინაპირობად. ამას ადასტურებს,თუ გნებავთ,"მესამე დასის" სამოქმედო პროგრამის დედა-აზრი:
"ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული ადამიანისა".

ჰქ კი საქართველოს,ქართველი ერის,მშრომელების თავისუფლება,ნივთიერი კეთილდღეობა - ერთი მთლიანობაა,რომლის ამოსავალი წერტილია, სახელმწიფოებრივი წესყობილებისა და მოქმედების განსაზღვრა "ქვემოდან",როგორც ეს აღნიშნულია დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნულ მე-35-ე მუხლში -"საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად დაარსონ საპროფესიო და სხვა ყოველგვარი კავშირი..."
და ეს დებულება გამომდინარეობს იგივე "მესამე დასის" სამოქმედო პროგრამიდან,"მესამე დასისა",რომელიც დაარსდა ნოე ჟორდანიას მეთაურობით 1893 წელს. ეხება რა ამ ორგანიზაციის დემოკრატიულ სულისკვეთებას, ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული", რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში,სხვათა შორის,წერს:
"ჩვენში ორგანიზაცია შესდგებოდა მხოლოდ მუშებისაგან, ორგანიზატორები და ხელმძღვანელები იყვნენ ისინი. მხოლოდ პროპაგანდისტები იყვნენ ინტელიგენტები. მაგრამ მათ არ ჰქონდათ გადამწყვეტი ხმა კომიტეტში და რაიონებში. ნივთიერი მხარე მთლად აწვა თავზე მუშებს,რომლებიც ყველა "პადუჩკაზე" ისდიდენ დადგენილ პარტიულ გადასახადს. რუსეთში კი იყო პირუკუღმა: ორგანიზაცია შესდგე-

ბოლა ინტელიგენტ-პროპაგანდისტებისაგან....მაშასადამე პარტია არა მუშების,არამედ მუშების სახარგებლო, დიამეტრალურათ წინააღმდეგი ჩვენი პარტიული წყობისა....ასეთი დიდი განსხვავება იყო ჩვენსა და რუსებს შორის..."

ნოე ჟორდანიას ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ რუსეთში პარტია და მის ქვეშ მყოფი ყოველი ორგანიზაცია თვით პროფესიული კავშირები ჩამოყალიბებული იყო "ზემოდან" ბატონობის პრინციპზე; საქართველოში კი -

როგორც დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის მე-35-ე მუხლშია ნათქვამი - მოქალაქეებს და ამით მუშებსაც უფლება ჰქონდათ "მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად" შეექმნათ საპროფესიო და სხვა ყოველგვარი კავშირი. მოქალაქეთა ამ უფლებებითაც აიხსნება ის,რომ საქართველოს მუშები,მთელს ქართველ ხალხთან ერთად, - თითო-ოროლა ბოლშევიკების გამოკლებით - მთელი თავისი ძალღონით იცავდა და აშენებდა დამოუკიდებელი საქართველოს სუვერენობას,რაც ყველაზე უფრო ნათლად გამომჟღავდა 1921 წლის თებერვალ-მარტში,როცა ქართველი მშრომელები იარაღით ხელში იცავდნენ თავიანთი სახელმწიფოს - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის - საზღვრებს მომხდური საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის შემოტევებისაგან.

**დიქტორი:** ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება,
ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
და ამასთან დაკავშირებით მაგონდება,პატივცემული მსმენელები,

ქართული ხალხური სიბრძნე:
"სჯობს მონობაში გაღიდკაცებულს,
თავისუფლების ბეზნაში მკვდარი!"

## ეროვნულ უმცირესობათა საკითხი დამოუკიდებელ საქართველოში:

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას - 1918 წლის 26 მაისს - დიდი სიხარულითა და პატრიოტული მთაგონებით შეეგება არა მარტო ქართველი ერი, არამედ საქართველოში მცხოვრების ყველა სხვა ერისა და ეროვნებების შვილები. ამგვარი ერთსულოვნების საძირკველი იყო ის საუკუნოვანი ეროვნული პოლიტიკა, რომელსაც საქართველოს ხელმწიფეები ატარებდნენ საქართველოში მცხოვრები ყველა ერის შვილების მიმართ.

დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობაც დაადგა ქართველი ხალხის ამ საუკუნოვანი ტრადიციული ეროვნული პოლიტიკის გზას, რაც გამოიხატებოდა საქართველოში მცხოვრები ყველა ერის შვილების ეროვნული უფლებების უზრუნველყოფაში. ეხება რა ამ საკითხს, ნოე ჟორდანია, თავის მოგონებაში "ჩემი წარსული", რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში, სხვათა შორის წერს:

> ჩვენს ირგვლივ, ყველა საზღვრების გადაღმა იყო ნამდვილი ანარქია, ერთა-შორის სრესა, აწიოკება და ცეცხლი; საჭირო იყო ამ ბარბაროსობის შუაგულში პატარა საქართველო დაპირდაპირებოდა მას, გადაერჩინა თავი, აეცილებინა შინაგანი ბრძოლა, ხოლო ეს კი შეიძლებოდა შინაგანი ერთობით, ყველა ძალების დარაზმვით, სოციალური და ნაციონალური მშვიდობიანობით. ჩვენი ნაციონალური პოლიტიკა ნაციონალური უმცირესობის მიმართ გამომდინარეობდა ჩვენი პოლიტიკის დოქტრინიდან, მთელი ჩვენი წარსული მოღვაწეობიდან. სოც.-დემოკრატიას იმით ქონდა გავლენა საქართველოში, რომ ყველა ერის ინტერესებს თანასწორად ვიცავდით, ჩვენთვის არ იყო ელინი და ბარბაროსი, ყველას ელინებად ვრაცხდით. მაგრამ ეს თეორია, ეს წარსული შეიძლება დარჩენილიყო მკვდარ სიტყვად და საქმედ, რომ ჩვენი ქვეყნის ობიექტიურ მდგომარეობას მისი გატარება არ მოეთხოვა. აუცილებელი შეიქნა შინაგანი ზავი, ერთა უმცირესობის დიდ-ერთან, ქართველობასთან სოლიდარობა, ჭირში და ლხინში ერთად ყოფნა, რისაც შესრულებელი იქნა არა ცარიელი პროპაგანდით, არამედ შესაფერი უფლებების მინიჭებით, პოლიტიკურად, კულტურულად, ეკონომიურად სავსებით გათანასწორებით. არც ერთ ერს არ წამოუყენებია ისეთი მოთხოვნილება, რომელიც არ ყოფილიყო დაკმაყოფილებული. ამით აიხსნება ის იშვიათი მოვლენა, რომ წმინდა სომხებით დასახლებულ ახალქალაქის მაზრაში არჩევნების დროს სომხურმა ნაციონალურმა პარტიამ დაშნაკმა

მაღლა გაცემულებით ნაკლები ხმა, ვინემ საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ. თვით თბილისში, სადაც ქართველთა მოსახლეობა შეადგენდა უმცირესობას, მივიღეთ ხმის დიდი უმრავლესობა.

ხელმძღვანელ ორგანოებში, პარტიის ც. კომიტეტში, სოციალდემ. ფრაქციაში, მთავრობაში ამ საკითხზე დავაც არ ყოფილა, ისე თავისთავად საგულისხმოდ მიაჩნდათ. და რაც უფრო გასაკვირველია, ამ პოლიტიკურ ასპარეზზე ქართველ ნაციონალისტური პარტიები ბრძოლას არ გამოუცხადებიათ, საერთო კანდიდატებს არ დაუყენებიათ. ცხადია, მათ ჩვენც დაინახეს, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა საქართველოს ნაციონალური თავისუფლების დამაგრება და ნაციონალური ერთობა. ჩვენმა მეზობლებმა კი გვითვალთვალებდნენ, როდის საიდან შემოგვეპარათ ნაპრალი მოეძებნათ. აფხაზეთის ერთი განკერძოებული მეწინავე თავადი შერვაშიძე გაიქცა ჩრდილო-კავკასიაში და იქ ერთ მიტინგზე აფხაზეთი უფეშქაშა მათ. ამის მიზეზი რომ ვკითხეთ მიუთითა, რა უფლებით. ჯერ მიზეზობრიობით გვაძლევ ამ ქვეყანას, მათ სიხარულით ჩაიწერეს ეს საბოძვარი და შემდეგ პრეტენზიებს წამოგვიყენებს — აფხაზეთი ჩვენია. გადით იქიდან! ასეთი მეზობლები გვყავდა! ერთი სიტყვით საქართველოს ირგვლივ იყო გაბატონებული ნამდვილი ავანტიურა აწყვეტილი პირების, რომელთაც არას დროს პოლიტიკური მუშაობა არ უწარმოებიათ, ჩვენ მოხელეებით იყვნენ, ემსახურებოდნენ ძველ რეჟიმს და ახლა უცებ მთელი მათი კარიერა ჩანგრა და აქეთ-იქით ეხეთქებოდნენ.

განსაკუთრებით 1919 წელი იყო მეტად მწვავე წელი. ამ დროს თითქმის ყველა მტერი, შიგნით თეთრგვარდიელები და ბოლშევიკები, გარეთ კი მოხალისეთა ჯარები. მოსკოვი, ოსმალეთი და თეთრი რუსები შეუერთდნენ ჩვენი ქვეყნის სიძულვილში და დაპყრობაში. ყველა ისინი სხვადასხვა გზით და საშუალებით თავს გვესხმოდნენ და ძირს გვითხრიდნენ. სწორედ გასაკვირველია, როგორ ასე შეიძლება პატარა ერი, პატარა ქვეყანა, რომელსაც არავის არას უშავებდა და მხოლოდ თავის მეურნეობას ეძებდა. ეს ორი მეზობელი, ოსმალეთი და რუსეთი იყო და დარჩა ჩვენი მტერი. ქვეყნის თავდაცვა გახდა მთავარი პირველი საგანი. დემოკრატიულმა კრებამ ვერ შეანელა გარეშე საფრთხენი.

გასაკვირველი იყო არა ის, რაც გვაკლდა, არამედ ის რაც გვქონდა. როგორ ვიტანდით ამდენ გაჭირვებას. როგორ ვებრძოდით [illegible] ვავებულ დაბრკოლებით.

ასე წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული", რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში.

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..

==============================

საქართველოს დამოუკიდებლობის დე იურე და დე ფაქტო ცნობა:

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ,1918 წლის 26 მაისს, საფუძველი ჩაუყარა საქართველოს სუვერენობას საგარეო და საშინაო პოლიტიკაში. საგარეო პოლიტიკაში კი,როგორც აღვნიშნეთ, პირველ პლანზე იდგა საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის დე იურე,ე.ი.იურიდიული და დე ფაქტო, ე.ი.ფაქტიური ცნობის საკითხი საერთაშორისო მასშტაბით. ამ მხრივ კი რთული პრობლემების წინაშე იდგა საქართველო.

ვინაიდან საქართველო 117-ი წლის განმავლობაში რუსეთის იმპერიის პროვინციად ითვლებოდა, მხოლოს წამყვანი სახელმწიფოები რუსეთისაკენ იყურებოდნენ,მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი იმ დროს სამოქალაქო ომის ქარცეცხლში იყო გახვეული. ამგვარად, საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის საერთაშორისო ცნობის წინაპირობად თვლიდენ იმას, რომ ჯერ საბჭოთა რუსეთს ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. გამონაკლისი გააკეთა თურქეთმა, რომელმაც - რუსეთის დაუკითხავად - 1918 წლის 3-მ ივნისს იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა ფაქტიურად და იურიდიულადაც. მაგრამ მან მოიმოქმედა ეს,ვინაიდან ის ამგზით ცდილობდა საქართველოს უფრო მეტი ტერიტორიის ხელში ჩაგდებას,ვიდრე მას მისცეს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით. გამონაკლისი გააკეთა აგრეთვე კაიზერულმა გერმანიამ, რომელმაც მხოლოდ დე ფაქტო,ე.ი.ფაქტიურად იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 10-თ ივნისს. საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული ცნობა კი გერმანიამაც რუსეთს დაუკავშირა, და რუსეთისაგან მხოლოდ 1918 წლის 27-დ აგვისტოს მიიღო თანხმობა. საბჭოთა რუსეთ-გერმანიის 1918 წლის 27 აგვისტოს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დამატების მე-13 მუხლში ნათქვამია: "რუსეთი აცხადებს თანხმობას, რომ გერმანიამ იცნოს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა".

მიუხედავად ამისა, კაიზერულ გერმანიამ არ იცნო იურიდიულად საქართველოს დამოუკიდებლობა· რესპუბლიკურმა გერმანიამ კი სა-

ქართველის დამოუკიდებლობა იურიდიულად იცნო 1920 წლის 24-ს სექტემბერს, როცა საქართველო, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, ცნობილი იყო საბჭოთა რუსეთის მიერ 1920 წლის 7-ი მაისის საზავო ხელშეკრულებით საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის.

ეხება რა საქართველოს საერთაშორისო ცნობის საკითხს, ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული", რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში, სხვათა შორის, წერს:

საქართველო იყო დამოუკიდებელი;

შინაგან მტერის არ გვეშინოდა, ხალხი ჩვენთან იყო და ნაძირალებს ადვილად ვუმკლავდებოდით. მაგრამ ასეთი მდგომარეობა სამუდამო უნდა გაგრძელებულიყო. სახელმწიფო არსებობს არა მარტო თავისთვის, შინაურული წესით, არამედ გარეშეებისათვისაც, ნაციონალურად და ინტერნაციონალურად. ამ მხრით ევროპიდან ბევრი არაფერი სანუგეშო მოგვდიოდა. ვერსალის კონფერენცია გათავდა, ჩვენ კი დავრჩით უცნობი, ცხადი იყო, რუსეთს, წაქცეულ რუსეთსაც დიდ ანგარიშს უწევდნენ და არ სურდათ მისი დანაწილების დადასტურება. საჭირო იყო ამ საკითხისადმი მიდგომა სხვანაირად, შემოვლით. რაკი პირდაპირი მიდგომით, ევროპის წინაშე შუამდგომლობით და იქ პროპაგანდით არა გამოდიოდა რა, ცხადი გახდა, საქმის ისევ რუსეთიდან დაწყების აუცილებლობა. ვიფიქრე, თუ მოსკოვმა გვიცნო, ჩვენი დამოუკიდებლობა დაადასტურა, ამ თამასუქით წარუდგებით ევროპის აეროპაგის წინაშე და ეს უეჭველად გაჭრის. გადავწყვიტე ჯერ ჩემს გულში მოსკოვში კაცის გაგზავნა. დესპანი უნდა ყოფილიყო ლენინის და მისი შტაბის ნაცნობი, სოციალ-დემოკრატი, პარტიის ყრილობაზე ნამყოფი. ვიფიქრე და გავჩერდი გრ. ურატაძეზე. ის იყო სტოკჰოლმის და ლონდონის კონგრესებზე და იცნობდა ყველას. დავუძახე გრიშას და მოველაპარაკე. მან მაშინვე თანხმობა განაცხადა, თუმცა „გზა იყო ეკლიანი", უნდა გაევლო მრავალნაირი სამხედრო ფრონტები. მისი თანხმობის შემდეგ, წავედი საგარეო სამინისტროში, ვნახე საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი და გაუზიარე ჩემი აზრი. მან მითხრა — აგერ ერთი თვეა ერთი ქართველი კომუნისტი მეხვეწება გამატანეთ ვინმე თქვენი კაცი მოსკოვში და იქ მოვახერხებ დავითანხმო ლენინი საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობაზეო. დამისახელა გვარიც (ალიო [illegible]), იყო იმავე დროს კომპარტიის ც. კომიტეტის წევრი რუსეთში. გრიშაზე დათანხმდა და ორ კვირაში გავისტუმრეთ რუსეთისაკენ, შავი ზღვით. ამ მისიის ერთი მთავარი პირობა იყო მისი საიდუმლობა ე. ი. საქართველოს კომუნისტებს არ გაეგოთ არავითარ შემთხვევაში, თორემ უეჭველად ჩაშლიდნენ.

წელი ეს ამბავი, გორშის გამგზავრება და იქ მუშაობა საქართველოში არავის გაუგია. მე ახლაც მიკვირს, რატომ მოისყიდეს არ შეეცოდა თავის ხალხს თვალისმიერ. ჩვენთვის მთავარი იყო ეცნო მოსკოვს ორი ლებულება: დამოუკიდებლობა და საზღვრები. ყველა დანარჩენი პირობები იქნებოდა მეორე ხარისხოვანი, რადგან იქნებოდა

საგანი მოლაპარაკების. ახალი ინსტრუქცია მ-ვეცი გრ. ურატაძეს. ის წავიდა პარიზ

ასე გადაიდგა ნაბიჯები იმ მიზნით, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობას, ლენინის მეთაურობით, ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, რაც გზას გაუხსნიდა საქართველოს საერთაშორისო არენისაკენ.

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება,
ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემულო მსმენელებო, 1976 წელს თბილისში გამოცემულ თვითგამოცემით ჟურნალ "საქართველოს მოამბის" პირველ ნომერში გამოქვეყნებული დოკუმენტი, რომლის სათაურია -"თბილისის უნივერსიტეტის რუსიფიკაციის ცდები".

"1975 წლის, მიწურულში - ნათქვამია ამ დოკუმენტში - თბილისის უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის თანამშრომელმა - მარიკა პირველმა - დაიბარა საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი მარიკა ლორთქიფანიძე და უთხრა: ამას წინათ რექტორმა ვაჟა ჩხიკვიშვილმა დამავალა გადმოგცეთ, რომ თქვენს ფაკულტეტზე რამდენიმე საგანი რუსულ ენაზე უნდა წაიკითხოთ. მარიკა ლორთქიფანიძემ დიდათ გაიოცა ასეთი წინადადება და აღშფოთება გამოთქვა...ამის შემდეგ ჩხიკვიშვილმა ტაქტიკა შეცვალა და დაიწყო საიდუმლოდ დაბარება ფაკულტეტის დეკანებისა 1976 წლის 15 იანვარს...რუსიფიკაციის ესოდენ დაურიდებელმა ცდამ განცვიფრება გამოიწვია ფაკულტეტის დეკანებსა და პროფესორებს შორის...პოლიტეკონომიის კათედრის გამგემ, ჩანტლაძემ განაცხადა: "სანამ მე აქ ვარ, ეს არ მოხდება და თუ ენების შესწავლაზე მიდგება საქმე, მე მყავს სპეციალისტები, რომლებიც გერმანულად და ინგლისურადაც წაიკითხავენ ლექციებს."....ჩხიკვიშვილი უკან დახევის გზას დაადგა და დაამშვიდა: "კარგი, კარგი, რასაც არ გინდათ, შევწყვიტოთ ამაზე საუბარიო!" აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე რუსულად წაიკითხა ლექცია დოცენტმა ტიკაძემ. მეორე დღეს სტუდენტები აღარ მივიდნენ ლექციაზე...ცენტრალურ კომიტეტში კი განუცხადეს განცვიფრებულ რექტორს და პროფესორ-მასწავლებლებს, რომ ასეთი მითითება სულაც არ მიუციათ უნივერსიტეტისათვის...ცხადია, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა ყოველივე ამით ნიადაგის ზონდირება მოახდინა და რა დაინახა ასეთი ერთსულოვანი წინააღმდეგობა, ჯერჯერობით უკან დახევის ტაქტიკა აირჩია".

საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების დადება:

წინა საუბარში მოვიყვანეთ ამონაწერები ნოე ჟორდანიას მოგონებიდან "ჩემი წარსული",სადაც ის ლაპარაკობს საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7-ი მაისის ხელშეკრულების დადების შესახებ და აღნიშნავს, რომ - ვინაიდან ვერსალის საზავო კონფერენციამ დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო ცნობის საქმე რუსეთის საკითხს დაუკავშირა - "გადავწყვიტე ჯერ ჩემს გულში მოსკოვში კაცის გაგზავნა".

როგორც ის წერს, ამგვარი მისიისათვის ის შეჩერდა გრიგოლ ურატაძეზე,რომელიც ლენინს პირადათ იცნობდა, და საიდუმლოდ გაგზავნა მოსკოვში. დავით საღირაშვილი,ცნობილი სოციალ-დემოკრატი,რომელიც სახალხო გვარდიის ხელმძღვანელობაში ითვლებოდა, თავის მოგონებაში კი მოგვითხრობს, რომ მოსკოვში საქართველოს დამოუკიდებლობის დე ფაქტო და დე იურე ცნობის მოსალაპარაკებლად გაემგზავრა სულ სამი კაცი - გრიგოლ ურატაძე, დავით საღირაშვილი და მირსკი-კობახიძე, თუმცა ამის შესახებ გრიგოლ ურატაძე თავის მოგონებაში არაფერს არ ამბობს. მაგრამ გავეცნოთ ჯერ გრიგოლ ურატაძის მოგონებას რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7-ი მაისის ხელშეკრულების დადების შესახებ.

მოგახსენებთ, რომ გრიგოლ ურატაძე იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთერთი გამოჩენილი პირი, რომელსაც არაერთი,საპასუხისმგებლო დავალება შეუსრულებია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე და საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში 1918-21 წლებში; შემდეგ კი მოღვაწეობდა პარიზში,სადაც ის გარდაიცვალა და დაკრძალულია პარიზის ახლოსმდებარე დაბა ლევილის ქართულ ძმათა სასაფლაოზე.

[აი რას მოგვითხრობს გრიგოლ ურატაძე 1920 წლის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ. გრიგოლ ურატაძის ხმა ჩაწერილია რადიო"თავისუფლების"სტუდიაში 1955 წლის 7 მაისს:(ფ ი რ ი):
როგორ დაიდო 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება]

ორი წელიწადი უსრულდებოდა დამოუკიდებელ საქართველოს თავისი ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი დე იურეთ.

ამ დროს ახალი სახელმწიფოების ცნობა-არცნობა დამოკიდებული იყო პარიზში არსებულ უმაღლეს საბჭოზე, რომელშიაც შედიოდენ გამარჯვებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლები - ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის მეთაურობით. ჩვენი მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ჩვენს რესპუბლიკას ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ც ნ ო ბ ა მიეღო, რაც შეიძლება დაჩქარებით.

უმაღლესმა საბჭომ ყველა იმ ახალი სახელმწიფოების ცნობა-არცნობა რომლებიც რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე შეიქმნა - დაუკავშირა ე.წ. "რუსეთის საკითხს". რუსეთის საკითხის გადაჭრა კი გადაიდო სულ ბოლოსათვის. საერთაშორისო ცნობის დაგვიანება კი დიდ საფრთხეს უმზადებდა ჩვენს ახალგაზრდა რესპუბლიკას. საკითხის დასაჩქარებლად ჩვენს მთავრობას აზრათ მოუვიდა ეცადა ცნობის მიღება თვით საბჭოთა რუსეთიდან და თუ ამას შესძლებდა - დარწმუნებული იყო, ამ ცნობას გავლენა ექნებოდა პარიზის უმაღლეს საბჭოშიდაც - საქართველოს ცნობის საკითხში. ცდა ბედის ნახევარიაო იტყვიან. ამიტომ მთავრობის თავჯდომარემ - ნოე ჟორდანიამ დამავალა მე, მომეხერხებია როგორმე მოსკოვში მისვლა და საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკება.

- ჩემი ნახვლა უნდა მომხდარიყო საიდუმლოდ, რომ არ გაეგოთ ადგილობრივ კომუნისტებს, რადგან ესენი მტრულად იყვნენ განწყობილნი თავის საკუთარ ქვეყნისადმი, და შეეძლოთ ხელი შეეშალათ ჩვენი ცნობისათვის. არც იმ ძალებს უნდა გაეგოთ, რომლებიც სამოქალაქო ომში იყვნენ ბოლშევიკებთან, რადგან მე მათ ტერიტორიაზე მიხდებოდა გავლა.

მოგზაურობა მეტად ძნელი აღმოჩნდა. ხიდები ბევრ ადგილას ჩალეწილი იყო, ხშირად რკინიგზის რელსები აყრილი, სადგურები გადამწვარ-მინგრეული. ნოვოროსიიდან როსტოვამდე ვიმგზავრე ორთქმავალით. ორთქმავალს მივყავდით დანგრეულ ხიდამდე. იქ ხიდის ნანგრევებზე ფეხით გადავდიოდით და იქიდან მივყავდით მეორე ორთქმავალს შემდეგ მდინარემდე. იქ კიდევ იგივე პროცედურა მეორდებოდა. ერთ ადგილას ორთქმავალს ნახშირი არ ეყო და ტყის ახლოს გაჩერდა. ჩვენ დავაგროვეთ შეშა, შევუკეთეთ ცეცხლი და გავწიეთ. სადგურები გზაში სავსე იყო სახით, ქალებით, ბავშვებით, კაცებით.

დიდი დავიდარაბით წავედი როსტოვში. იქ მოთავსებული იყო ჩრდილო-კავკასიის "სამხედრო სარევოლუციო საბჭო", რომელსაც თავჯდომარეობდა სერგო ორჯონიკიძე. ორჯონიკიძე საქართველოს დაუძინებელი მტერი იყო-ის და მისი ამხანაგები, რომლებიც გამქცეულნი იყვნენ საქართველოდან ექსპროპრიაციის ან მოღალატეობის ჩადენისათვის, საქართველოს „მენშევიკურ რესპუბლიკას" უწოდებდნენ.

როსტოვ-ჩრდილოკავკასიის რაიონში გაჩაღებული იყო სამოქალაქო ომი. იქ მომქმედი ჯარი ემორჩილებოდა იმ სამხედრო რევოლუციურ საბ-

ჯობ, რომლის თავჯდომარე ორჯონიკიძე იყო. მის ხელში იყო აგრეთვე ყოველგვარი ცნობათა გადამცემი აპარატი — ფოსტა, პირდაპირი მავთული და სხვა.

ორჯონიკიძე მეტად მშრალად მეხვდა ჩემს მისვლას. მარწმუნებდა, რომ მოსკოვი არას გზით არ დაეთანხმებოდა საქართველოს იურიდიულ ცნობაზე, რადგან ამის წინააღმდეგი იქნებოდა სტალინი, რომელიც მაშინ საბჭოთა მთავრობის ეროვნებათა კომისარი იყო. მეც მასთან ვარ ამ საკითხში, ამიტომ შენი მოსკოვში წასვლა უმიზნოა, სჯობია დაბრუნდე საქართველოში და ამაში კი ყოველგვარ დახმარებას გაგიწევთ — მპირდებოდა იგი.

ორჯონიკიძე ჩემი ძველი ნაცნობი იყო. ამიტომ გარეგნულად მეტად თავაზიანად მექცეოდა, მაგრამ როგორც კი მოსკოვში წასვლაზე ჩამოვუგდებდი ლაპარაკს — უარს მეუბნებოდა. ერთადერთი სამსახური, რომელიც მან გამიწია იყო ის, რომ მომცა ოფიციალური ნებართვა გავსულიყავი საზღვარზე, როცა მინდოდა: ორი კვირა დავდიოდი საზღვარზე, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ერთი სამხედრო მატარებელიც არ დაბრუნდა მოსკოვისაკენ. იყო რამდენიმე ე.წ. "დელეგაციის ვაგონი", მაგრამ ვაგონის ყველა კომენდანტი ითხოვდა საგანგებო ნებართვას, რომელსაც სერგო ორჯონიკიძე არ იძლეოდა. მე მაინც განვაგრძობდი საზღვარზე გასვლას იმ იმედით, რომ ერთხელ მაინც წავაწყდებოდი მატარებელს.

ერთ საღამოს საზღვარზე მოვიდა არანორმალურად გრძელი მატარებელი საქონლის ვაგონებისაგან შემდგარი. ვაგონებზე წითელი ასოებით იყო წარწერილი: "ამხანაგ ლენინს — პერეკოპის მუშებისაგან!" პერეკოპზე იმ ხანებში ბრძოლა იყო ვრანგელის ჯართან, რომელიც დაამარცხა წითელმა ჯარებმა. წითელი ჯარის ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო ცნობილი ბოლშევიკი — სოკოლნიკოვი. როგორც გამოირკვა, იგი ახლა მიდიოდა მოსკოვში და თან მიჰქონდა პურის ფქვილით და სხვა სანოვაგით დატვირთული "საჩუქრად ლენინს", ვითომდა იქაური მუშებისაგან. ნამდვილად კი იყო იმის ნადავლი ვრანგელის დამარცხების შემდეგ.

საზღვარზე ვიყავი, როცა ეს მატარებელი მოვიდა. გავიგე რომ მატარებელი პირდაპირ მოსკოვში მიდიოდა და არის "ამხანაგ სოკოლნიკოვის" განკარგულებაში. მოვახერხე მისი ნახვა. მან ჯერ მიმიღო, როგორც ამხანაგი, მაგრამ როცა გაიგო ჩემი მისია და გაეცნო ჩემს მანდატს, რომელიც როგორც მეფის რეჟიმის დროს, ისე ახლაც შარვლის სათავეში მქონდა ჩამალული, მეგობრული კილოთი მითხრა: "რადგან თქვენ საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელი ხართ, მე არ შემიძლია შემოგთავაზოთ ადგილი ჩემს ვაგონში"; და მოახდინა განკარგულება ჩამოებათ მისი მატარებლისთვის სპეციალური ვაგონი ჩვენი მისიისათვის. მე მეტად გახა-

რებული ვიყავი იმით, რომ სამეგრელოს ვიმოვე მოსკოვში წასასვლელად. რადგან იღბლად ორჯონიკიძე ამ დღეს ჩრდილო კავკასიაში იყო წასული და ხელის შეშლა არ შეეძლო. ალბათ, ძალიან ინანა, რომ აღარ დავხვდი. მაგ-რამ რაღას გააწყობდა!

ამ მდგომარეობით ჩავედი მოსკოვში. პირველყოვლისა ვინახულე ლენი-ნი და ჩემი მისია გავაცანი. "ქართველი მენშევიკები — მიპასუხა მან, — სულ სხვა სახის ხართ, თქვენთან მუშაობა შეიძლება, მაგრამ იმ აუცი-ლებელი პირობით, რომ თქვენი ტერიტორია არ იქნება გამოყენებული უცხო-ჯარების მიერ საომარ ბაზად ჩვენს წინააღმდეგ." მე მივეცი სათანადო განმარტება, რის შემდეგ, პირადი მდივანის პირით აცნობა საგარეო საქ-მეთა კომისარს — ჩიჩერინს — დაეწყო ჩემთან მოლაპარაკება და რაც შეი-ძლება დაჩქარებით დაესრულებინა. მისგან ასე ადვილად დათანხმება მოლა-პარაკებაზე შეიძლება აიხსნას ერთი მხრით იმით, რომ ბაქო თავისი ნავ-თით უკვე მის ხელში იყო და აღარ სურდა გაერთულებინა მდგომარეობა კავკასიაში, მით უმეტეს რომ კარზე ადგა ომი პოლონეთთან.

მეორე ღამეს ვინახულე ჩიჩერინი. ვამბობ ღამით, რადგან კრემ-ლის კომისარიატები თითქმის ყველანი მუშაობდენ ღამით. ჩიჩერინმა თა-ვის მოადგილე — კარახანი — დანიშნა თავის წარმომადგენლად, და დავიწ-ყეთ მასთან მოლაპარაკება. ხელშეკრულების ტექსტის შედგენა ადვილად მოხერხდა. არც საზღვრების საკითხს გამოუწვევია დიდი დავა, შეიძლება იმიტომ — როგორც შემდეგ ერთმა გვეხმა მითხრა ციხეში: "რატომ დაგიწყე-ბდენ დავას, თურმე მთელი საქართველოს ერთად წაღებას ფიქრობდენო!"

ზავის შეკვრის დროს ორჯონიკიძე უკვე აზერბაიჯანში იყო თავისი ჯარებით და ყველაფერს შვრებოდა, რომ მოსკოვი საქართვე-ლოს ოკუპირების ფაქტის წინაშე დაეყენებინა. მე მალე დავრწმუნდი, რომ ლენინმა იცოდა ორჯონიკიძის განზრახვა, იცოდა ისიც, რომ მას მხარს უჭერდა სტალინი. ეს ჩემთვის სავსებით ნათელი გახდა, როცა გავი-გე, რომ წითელი ჯარები იბრძვიან საქართველოს საზღვარზე აზერბაიჯანის მხრიდან. მაშინვე მივმართე ლენინს პროტესტით და განვუცხადე, რომ თუ არ მიიღებდა სასწრაფო ზომებს იძულებული ვიქნებოდი შემეწყვიტა მოლაპა-რაკება. ლენინმა ტელეფონით უბრძანა კარახანს დაუყონებლივ გადაეცა ორჯონიკიძისათვის, რომ თუ საქართველოსთან წითელ ჯარებს შეტაკება მოუხდებოდა პასუხისმგებელი პირადად ორჯონიკიძე იქნებოდა. ღამის ოთხ საათზე მე და კარახანმა პირდაპირ მავთულით გადავეცით ორჯონიკიძეს ლენინის ეს განკარგულება ბაქოში. ორჯონიკიძემ გვიპასუხა: "არ ვეთან-ხმები, მაგრამ ვემორჩილები!"

შვიდ. მაისს ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებაზე. ბოლშევიკების გულ-წრფელობა არასდროს არ გვწამდა, მათ ბუნებას ჩვენ კარგად ვიცნობდით, ვიცოდით, რომ მათი ნდობა არ შეიძლებოდა, მაგრამ თუ ასე ცინიკურად

დაარღვევდენ ხელშეკრულებას და ისიც ისე მოკლე ხანში - ამის დაჯერება კი ძნელი იყო. საბჭოთა მთავრობამ თავის მოქმედებით გაიხადა, რომ ის არასდროს არ ჩაერეოდა ჩვენს შინაურ საქმეებში, მაგრამ გულში მაინც ინახავდა და ავითარებდა ჩვენი ქვეყნისადმი მტრობას. ქართველი ხალხის მიერ გაძევებული ქართველი კომუნისტებიც, ყოველი მხრიდან უსისინებდნენ აქეზებდნენ მოსკოვს საქართველოს წინააღმდეგ და კიდევაც მოიყვანეს წითელი ჯარები, დაიპყრეს მათი სამშობლო ქვეყანა და გაბატონდნენ. ამ რიგად, ისინი აღმოჩნდნენ საუკეთესო გამტარებელნი მოსკოვის წითელი იმპერიალიზმისა.

ასე თქვა გრიგოლ ურატაძემ 1920 წლის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულების შესახებ.

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება, ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემულო მსმენელებო, კარლ მარქსის აზრი ცენზურის შესახებ. თავის სტატიაში - "დებატები პრესის თავისუფლებაზე", კარლ მარქსი, სხვათა შორის, 1842 წელს, ამბობს:

"თავისუფალი პრესა - ესაა ხალხის სულის ფხიზელი თვალი... თავისუფალი პრესის არსებაა - გაბედული, გონიერი არსება თავისუფლებისა. ცენზურის ქვეშ მყოფი პრესის სახითია - უთავისუფლობის დამახასიათებელი სიმახინჯე".

"მთავრობას ესმის მხოლოდ თავისი საკუთარი ხმა. მან იცის, რომ მას ესმის მხოლოდ თავისი საკუთარი ხმა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც მხარს უჭერს თვითმოტყუებას, - თითქოს ისმენს ხალხის ხმას, და მოითხოვს აგრეთვე ხალხისაგან, რომ მხარი დაუჭიროს ამ თვითმოტყუებას".

**საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების დადება:**

წინა საუბარში მოვიყვანეთ ამონაწერები ნოე ჟორდანიას მოგონებიდან "ჩემი წარსული", სადაც ის ლაპარაკობს საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7-ი მაისის ხელშეკრულების დადების შესახებ და აღნიშნავს, რომ - ვინაიდან ვერსალის საზავო კონფერენციამ დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო ცნობის საქმე რუსეთის საკითხს დაუკავშირა - "გადავწყვიტე ჯერ ჩემს გულში მოსკოვში კაცის გაგზავნა".

როგორც ის წერს, ამგვარი მისიისათვის ის შეჩერდა გრიგოლ ურატაძეზე, რომელიც ლენინს პირადათ იცნობდა, და საიდუმლოდ გაგზავნა მოსკოვში. დავით საღირაშვილი, ცნობილი სოციალ-დემოკრატი, რომელიც სახალხო გვარდიის ხელმძღვანელობაში ითვლებოდა, თავის მოგონებაში კი მოგვითხრობს, რომ მოსკოვში საქართველოს დამოუკიდებლობის დე ფაქტო და დე იურე ცნობის მოსალაპარაკებლად გაემგზავრა სულ სამი კაცი - გრიგოლ ურატაძე, დავით საღირაშვილი და მირსკი-კობახიძე, თუმცა ამის შესახებ გრიგოლ ურატაძე თავის მოგონებაში არაფერს არ ამბობს.

ჩვენ უკვე გავეცანით გრიგოლ ურატაძის მოგონება რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7-ი მაისის ხელშეკრულების დადების შესახებ. დღეს კი გაგაცნობთ დამოუკიდებელი საქართველოს დელეგაციის მეორე წევრის - დავით საღირაშვილის - მოგონებას ამავე საკითხზე.

დავით საღირაშვილი დაიბადა 1887 წლის 15 იანვარს თბილისში და გარდაიცვალა 1962 წელს ვაშინგტონში, 75 წლის ასაკში და დაკრძალულია პარიზის ახლოსმდებარე ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

დავით საღირაშვილი მთელი თავისი ცხოვრება იღვწოდა საქართველოს მოწინავე ინტელიგენციის რიგებში და თავიდანვე ჩაება სოციალ-დემოკრატიული პარტიის მუშაობაში. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კი, ის იყო ცნობილი ქართული სახალხო გვარდიის შტაბის წევრი, სახალხო გვარდიისა, რომელიც - დამოუკიდებელი საქართველოს რეგულარული არმიის გვერდით - ახე

შეუპოვრად და წარმატებით იცავდა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკას გარე და შიდა მტრებისაგან.

დავით სალირაშვილი მოგვითხრობს:

"...ერთ დილას გაგრაში გამაცნეს ორი პირი, რომლებიც მოვიდნენ თბილისიდან. ერთს მე კარგად ვიცნობდი. ეს იყო გრიშა ურატაძე, სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, ხოლო მეორე მე ვნახე პირველად... უცნობი აღმოჩნდა ბოლშევიკი მირსკი წარმოშობით ქართველი კობახიძე, პროფესიით ექიმი... ის სტალინს დავალებით გამოგზავნილი იყო საქართველოში დამანგრეველ მუშაობისათვის. — მოიტანა 8-ათასი ოქროს მანეთი და შექმნა მთელი ქსელი "ტროიკებისა". მაგრამ მალე იქნა დაპატიმრებული... მოხვდა რა ციხეში, მირსკი-კობახიძე დარწმუნდა, რომ ამგვარი სახის "მუშაობა" განწირული იყო და რომ ქართველ ხალხს აბსოლუტურად არ სურდა ბოლშევიკური იდეის მიღება. როცა ის მივიდა ამგვარ რწმენამდე..., მან გადაწყვიტა მიეწერა წერილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის - ევგენი გეგეჭკორისათვის გაენთავისუფლებია ის პატიმრობიდან, იმ შეპირებით, შექმნას რომ ხელს შეუწყობდა მოსკოვში კეთილმეზობლური დამოკიდებულების საბჭოთა მთავრობასთან.

ევგენი გეგეჭკორს, აგრეთვე ნოე ჟორდანიას არწმუნებდა მირსკი-კობახიძე დარჩებოდა მისი "პატიოსანი სიტყვის" ერთგული და მიიღებდა ყოველ ზომას, რომ ბოლშევიკებს თავი დაენებებინათ საქართველოსათვის. გადაწყვეტილ იქნა მირსკი-კობახიძესა და გრიშა ურატაძესთან ერთად წავსულიყავით მოსკოვში — დავალებით გაგვეგო განწყობილება მოსკოვის მართველ სფეროებში საქართველოს მიმართ".

დავით სალირაშვილი შემდეგ წერს: "დონის როსტოვში მისვლისას, ჩვენ შევხვდით სერგო ორჯონიკიძეს, რომელსაც ჩვენ ვიცნობდით როგორც საქართველოს ეროვნული მთავრობის სასტიკ მტერს. მართალია მან ჩვენ შეგვხვდა, ფორმალურად მეგობრულად, მაგრამ გადაწყვეტილად განაცხადა, რომ

ჩვენ არ უნდა წავსულიყავით მოსკოვში, რომ მას ყველაფრის გაფორმე-ბა შეუძლია დონის როსტოვში. მისი დემაგოგიურობის საზარლობა მეტად ძნელი წარმოსადგენია. ჩვენს კამათში ჩაერია მირსკი-კობახიძეც, რომელიც უმტკიცებდა სერგო ორჯონიკიძეს, რომ ჩვენ ვართ უფლება-მოსილი საქართველოს მთავრობის მიერ პირადათ ლენინს მოვახსენოთ საქართვე-ლოს მთავრობის სურვილი, ლენინს, რომელიც კარგად იცნობდა ნოე ჟორდა-ნიას სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობების დროს, უცხოეთში. მაგ-რამ სერგო ორჯონიკიძეზე არავითარი დასაბუთება არ მოქმედებდა"

დავით სალირაშვილი შემდეგ განაგრძობს:

"მირსკი-კობახიძემ მოითხოვა, როგორც აღმასრულებელი კომიტეტის წევ-რმა, პირდაპირი ტელეფონის ხაზი ლენინთან და სტალინთან, ვინაიდან ის მივლინებაში იქნა გაგზავნილი საქართველოში მათ მიერ. მაგრამ სერგო ორჯონიკიძე ამაზეც არ დათანხმდა; და ამით დამთავრდა ეს მეტად მწვავე კამათი. მე ვისარგებლე ორჯონიკიძის წასვლით და ვთხოვე <u>ხმიდგს</u>, რომელიც მოწმე იყო ოთხი ქართველის დავისა, ელაპარაკა ჩემ-თან მარტო... ჩვენ გავედით მეორე ოთახში და ვკითხე, არ უკვირს მას სერგო ორჯონიკიძის მოქმედება. მან თქვა, რომ ორჯონიკიძეს არ აქვს უფლება დაგაკავოთ თქვენ გზაზე, და რომ ის შეეცდება დაითანხმოს ორჯონიკიძე, უკიდურეს შემთხვევაში, მისცემს შესაძლებლობას მირსკის დაელაპარაკოს ლენინს. მარლაც, სამი საათის შემდეგ მირსკიმ მიიღო შესაძლებლობა დალაპარაკებოდა პირადათ ლენინს პირდაპირი ხაზით. ლენინისაგან მიიღო ბრძანება ორჯონიკიძემ, რომ მას დაუყონებლივ გაეშვა საქართველოს დელეგაცია... ამის შემდეგ ორჯონიკიძე გახდა სრუ-ლად სხვაგვარი, ტკბილი და თავის დიდებულ სალონ-ვაგონშიც მიგვიწვია. აი ვზივართ სალონ-ვაგონში ოთხი ქართველი - ორი ბოლშევიკი: ორჯონი-კიძე-კობახიძე - და - ორი სოციალდემოკრატი: ურატაძე და მე - და ვიხილავდით რუსეთის ურთიერთობას საქართველოსთან, რომლის დროს ნათქლი გახდა ორისხვადასხვა ორიენტაცია... და-ბოლოს ჩავედით მო-სკოვში... მირსკი-კობახიძემ მოგვათავსა თავის ბინაში"..

დავით საღირაშვილი შემდეგ თავის მოგონებაში-საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების დადების შესახებ 1920 წლის მაისში-წერს:

"ჩვენ გვითხრეს, რომ სანამ საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან წარვსდგებოდეთ, აუცილებელია ეროვნებათა კომისარ-სტალინთან შეხვედრა...შევხვდით სამი ქართველი სტალინს თავის კაბინეტში; იქვე იჯდა კამენევიც, რომელიც მოსული იყო, როგორც ჩანს, პარტიული საქმეებისათვის. სტალინმა, როგორც კი მოახსენეს მას, მიგვიღო დაუყონებლივ. ის მომზადებული იყო ჩვენი მიღებისათვის იმავე მირსკი-კობახიძის მიერ, რომელმაც მისცა მას ვრცელი მოხსენება ნამდვილი მდგომარეობის აღწერით საქართველოში; დასკვნით, რომ აუცილებელია საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა საბჭოთა მთავრობის მიერ. ეს მოხსენება-წერილი წარედგინა ლენინს, ხოლო ახლა სტალინს... ჩვენ მოკლედ შევნიშნეთ, ქართველ ხალხს არ შეუძლია წავიდეს საბჭოთა-მთავრობის მიერ არჩეული გზით; ის მიდის თავისი გზით, მაგრამ ჩვენ არ ვართ მტრები და არ გვსურს ხელი შევუშალოთ იმას, რაც ხდება რუსეთში. ჩვენ გვსურს ასეთივე პოზიცია რუსეთისაგანაც; ამის დამამტკიცებელი საბუთი კი იქნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა".

დავით საღირაშივლი შემდეგ წერს:

"სტალინი ჩვენ გვისმენდა ყურადღებით...დასასრულს თქვა: "მე შემეძლება მოგცეთ პოზიტიური პასუხი, თუ ხელშეკრულებაში იქნება ჩართული პუნქტი იმის შესახებ, რომ საქართველოს მთავრობა ვალდებულებას იღებს თავისთავზე არ დაუშვას, რომელიც არ უნდა იყვეს, მტრული ძალები თავის ტერიტორიაზე." - ჩვენ ამაზე მივეცით დადებითი პასუხი. მაშინ სტალინმა მიმართა იქვე მჯდომ კამენევს და ღიმილით შეეკითხა: "აბა, ამხანაგო კამენევო, რა უნდა გვქონდეს ჩვენ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ცნობის წინააღმდეგ?" - კამენევი, რომელიც მთელი ხნის განმავლობაში გაჩუმებული იჯდა, ჩანს, გაკვირვებული იყო ჩვენი საუბრით და მხოლოდ ახლა ამოიღო ენა: "რა თქმა უნდა,

ამხანაგო სტალინ,რა უნდა გვქონდეს ჩვენ ცნობის წინააღმდეგ. დაე, იცხოვრონ და იმუშაონ,როგორც მათ ერჩევნებათ უკეთესად; მხოლოდ აი ეს ნოე რამიშვილი,საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ასე მკაც-რად ნუ მოქმედებს ადგილობრივი ბოლშევიკების წინააღმდეგ".

დავით საღირაშვილი შემდეგ წერს:"მიღება სტალინთან დამთავრდა. ჩვენ კმაყოფილი ვიყავით სტალინის დასკვნით,რომელიც სამი დღის შემდეგ თვითონ მან გადასცა პირადათ ლენინს. ლენინი, გაეცნო რა საქმეს, სტალინის დასკვნაზე მიაწერა:"თანახმა ვარ", და იმავე საათში გადასცა ჩიჩერინს,საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარს,რომელსაც ჩვენთან ერთად უნდა გამოემუშავებია შესაბამისი ხელშეკრულება. ლენინმა შეგვპირდა, რომ ის მიგვიღებს ჩვენ, როცა დამთავრდება ამ ხელშეკრულების ფორმალური მხარე."

"მეტი რა გვინდოდა? წარმატება იყო თვალსაჩინო. მირსკი-კომპანი-მე იყო აღფრთოვანებული...ჩიჩერინმა,ლენინისა და სტალინის თანხმო-ბით,საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება მოიწონა 1920 წლის 7 მაისს და ხელშეკრულებას ხელი მოაწერა საბჭოთა რუსეთის მთავრობის უფლებამოსილებით - კარახანმა, ხოლო საქართველოს დემოკრატიული რეს-პუბლიკის მთავრობის უფლებამოსილებით გრიგოლ ურატაძემ."

დავით საღირაშვილი და-ბოლოს დასძენს:"ორი დღის შემდეგ მოხდა მიღება ლენინთან,რომელიც გაგრძელდა სულ 15-ცი წუთი. მან გვისურვა, რომ ეს ხელშეკრულება არ დარჩენილიყო მხოლოდ ქაღალდზე და ორივე ქვეყნის საკეთილდღეოდ მალე იქნას სორცშესხმული."აბა, - თქვა ლე-ნინმა - ააშენეთ თქვენთან თქვენებურად დემოკრატიული წვრილ-ბურჟუა-ზიული სოციალიზმი, ხოლო ჩვენ შევქმნით მას რევოლუციურად" - დასძინა მან ხუმრობით."

"მაგრამ - დასძენს დავით საღირაშვილი თავის მოგონებაში - 1921 წლის 11 თებერვალს საბჭოთა რუსეთის ჯარებმა,ომის გამოცხადებლად,ყოველ-გვარი მიზეზის გარეშე,...გადალახეს დამოუკიდებელი საქართველოს საზღვრები...ომი გაგრძელდა თვე-ნახევარი, და მიუხედავათ გმირული

თავდაცვითი ბრძოლების, რუსეთის ჯარი თბილისში შემოვიდა 1921 წლის 25 თებერვალს, ხოლო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა ამავე წლის 17 მარტს".

აი, პატივცემულო მსმენელებო, ამონაწერები დავით საღირაშვილის მოგონებებიდან იმის შესახებ, თუ როგორც დაიდო საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, და როგორ მუხანათურად დაარღვია ეს ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთის მთავრობამ, ლენინის მეთაურობით.

გეხაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..
==============================

დიქტორი:
========
("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება,
ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება,
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემულო მსმენელებო,

რუსი დემოკრატისა და პატრიოტის - ვლადიმირ ბუკოვსკის სიტყვები, რომლებიც მან გამოთქვა წერილში 1975 წლის ზაფხულში, მისი ვლადიმირის ციხეში პატიმრობის დროს:

"მე ვარ რუსი, - წერს ვლადიმერ ბუკოვსკი ამ წერილში - და მე გული მტკივა ჩემს ქვეყანაზე, სადაც ოფიციალური პირები ქადაგებენ შოვინიზმს, სადაც რუსიფიკაცია აყვანილია სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე. მე გული მტკივა, რომ რუსეთი არის ხალხთა საპყრობილე უფრო დიდი მასშტაბით, ვიდრე ეს იყო 60 წლის წინათ, ხოლო საპყრობილეებში არ არსებობენ ნებაყოფლობით მცხოვრებლები. მე რუსი - ეროვნებით, კულტურით, ენით - ვაცხადებ: საბჭოთა კავშირში არსებობს ნაციონალური დისკრიმინაცია და იძულებითი რუსიფიკაცია".

## საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7-ი მაისის ხელშეკრულება:

წინა საუბრებში ჩვენ გავაცანით თუ როგორ პირობებში დადებულ იქნა საზავო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთის მთავრობისა და საქართველოს დემოკრატიული მთავრობის უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის. გავაცანით აგრეთვე ისიც, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხრიდან სამმა-პირმა გრიგოლ ურატაძემ, დავით საღირაშვილმა და კობახიძე-მირსკიმ დიდი როლი ითამაშეს ამ ხელშეკრულების დადების საქმეში.

როგორც ამ ხელშეკრულების დადების ოქმიდან ჩანს,რომელსაც ხელს აწერს გრიგოლ ურატაძე და საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ლევ კარახანი, რუსეთ-საქართველოს 1920 წლის ხელშეკრულება შედგენილ იქნა მოსკოვში ორ-ეგზემპლარად, და,როგორც ჩანს, მხოლოდ რუსულ ენაზე,რომელთაგან ერთი მიიღო საბჭოთა რუსეთის მთავრობამ,ხოლო მეორე დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ.

ამდენად საბჭოთა-რუსეთ-საქართველოს ეს ხელშეკრულება თარგმნილია რუსულიდან ქართულად(თარგმნა ირაკლი გავაშელმა):

ეს ხელშეკრულება შეიცავს შემდეგ ნაწილებს:
1."უფლებამოსილებისა" და ხელშეკრულების დადების "ოქმს",
2.თვით ხელშეკრულებას,რომელიც შედგება 16-ი მუხლისაგან,
3.ორ-მუხლიან "სპეციალურ საიდუმლო დანართს" და
4.სამ-მუხლიან "თანდართულ დამატებით შეთანხმებას".

ამ ხელშეკრულების სრულ ტექსტს კი გაგაცნობთ ნაწილ-ნაწილად.

(საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების რუსული-ორიგინალი და ფრანგული თარგმანი იხილეთ "დამატებაში").

(გაგრძელება შემდეგ გვერდზე.................................)

რუსეთის ფედერაციული
სოციალისტური
საბჭოთა რესპუბლიკა

სახალხო კომისართა
საბჭო
მოსკოვი, კრემლი,
7 მაისი, 1920 წ.
№ 6/710

## უ ფ ლ ე ბ ა მ ო ს ი ლ ე ბ ა

იმის გამო, რომ რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება რუსეთსა და საქართველოს შორის მეგობრობაზე ხელშეკრულების დადების შესახებ, რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ აღნიშნული ხელშეკრულების დადებისათვის მოლაპარაკებების საწარმოებლად უფლებამოსილებით აღჭურვა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ლევ მიხეილის-ძე კარახანი, მიანიჭა რა მას უფლება, - ხელი მოაწეროს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ უფლებამოსილ პირებთან ერთად მოლაპარაკებების გზით მიღწეულ ხელშეკრულებას, რომელიც აღნიშნული ხელმოწერის ძალით სავალდებულო იქნება რუსეთისათვის რაიმე განსაკუთრებული რატიფიკაციის გარეშე.

ამის დასადასტურებლად, რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ხელი მოაწერა ამ უფლებამოსილებას და ბრძანა მისი დამტკიცება შესაბამისი ბეჭდის დასმით.

სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე — ულიანოვი (ლენინი)

საგარეო საქმეთა სახალხო
კომისარი — გეორგ ჩიჩერინი.

ბეჭედი.

# ო ქ მ ი.

ჩვენ,ქვემოთ ხელისმომწერნმა,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრმა გრიგოლ ილარიონის-ძე ურატაძემ და რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ლევ მიხეილის-ძე კარახანმა,ჩვენ-ჩვენი მთავრობების მიერ გაცემულ უფლებამოსილებათა ურთიერთისათვის წარდგენის საფუძველზე, დღეის რიცხვით,მოვაწერეთ რა ხელი საქართველოსა და რუსეთს შორის ხელშეკრულებას,რომელიც შემუშავებულ იქნა შესაბამისი მთავრობების უფლებამოსილებათა საფუძველზე ჩვენს შორის მიმდინარე წლის 28 აპრილიდან 6 მაისამდე წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად,-თვითეულმა მივიღეთ აღნიშნული ხელშეკრულების თითო დედანი ჩვენი მთავრობებისათვის გადასაცემად.

ამასთან,ხელშეკრულების ხელმომწერი ორივე მხარე შევთანხმდით,რომ დღეის რიცხვით ხელმოწერილი ხელშეკრულება ორივე ხელმომწერი მხარის მიერ დაუყოვნებლივ იქნება საჯარო გამოტანილი სრული შინაარსით გარდა მე-5-ე მუხლის მე-10 ქვემუხლისა,რომელიც გამოქვეყნებული იქნება დღეიდან ორი კვირის გასვლის შემდეგ,რის დასადასტურებლადაც ქვემოთ ხელისმომწერებმა შევადგინეთ ეს ოქმი და განვამტკიცეთ იგი ჩვენ-ჩვენი ბეჭდების დასმით.

შედგენილია მოსკოვში,ორ ეგზემპლარად,1920 წლის 7 მაისს.

გ.ურატაძე. ლ.კარახანი.

# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა .

## საქართველოსა და რუსეთს შორის.

-

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ერთის მხრივ და რუსეთის სოციალისტურმა ფედერაციულმა საბჭოთა რესპუბლიკამ მეორეს მხრივ, ხელმძღვანელობდნენ რა საერთო სურვილით,-დაემყარებიათ ორივე ქვეყანას შორის მტკიცე და მშვიდობიანი თანაცხოვრება ორივე ამ ქვეყანაში მცხოვრები ხალხების საკეთილდღეოდ,-გადაწყვიტეს ამისათვის დასდონ სპეციალური ხელშეკრულება და ამ მიზნით დანიშნეს თავიანთ უფლებამოსილ პირებად: საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ -საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ილარიონის-ძე ურატაძე და რუსეთის სოციალისტურმა ფედერაციულმა საბჭოთა რესპუბლიკამ -საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ლევ მიხეილის-ძე კარახანი.აღნიშნული უფლებამოსილი პირები, გაეცვნენ რა ერთმანეთის უფლებამოსილებებს,რომლებიც აძლევს აღნიშნულ პირებს ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უფლებას,-შეთანხმდნენ ქვემოთ ჩამოთვლილ მუხლებზე:

### მუხლი I .

რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მიერ აღიარებული იმ უფლებიდან გამომდინარე,რომ ყველა ხალხებს გააჩნიათ თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება იმ სახელმწიფოდან სრულ გამოყოფამდეც კი,რომლის შემადგენლობაშიც ისინი შედიან,-რუსეთი უსიტყვოდ სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენობას და ნებაყოფლობით ამბობს უარს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე,როგორიც კი გააჩნდა რუსეთს ქართველი ხალხისა და საქართველოს ტერიტორიის მიმართ.

### მუხლი II.

ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში ჩამოყალიბებული პრინციპებიდან

გამომდინარე რუსეთი იღებს ვალდებულებას,-უარი თქვას საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზე.

მუხლი III.

1. სახელმწიფო საზღვარი საქართველოსა და რუსეთს შორის გადის შავი ზღვიდან მდინარე ფსოუზე ახახჩას მთამდე,ახახჩასა და არაპეცის მთებს შუა გავლით შავი ზღვის,ქუთაისისა და თბილისის ყოფილი გუბერნიების ჩრდილოეთ საზღვრამდე,ზაქათალის ოლქამდე და ამ ოლქის აღმოსავლეთი საზღვრის გაყოლებით სომხეთის საზღვრამდე.

2. ყველა გადასასვლელი აღნიშნულ სასაზღვრო ხაზზე 1922 წლის პირველ იანვრამდე მიჩნეულია ნეიტრალურად.ისინი არ შეიძლება დაკავებულ ან გამაგრებულ იქნას ამ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი რომელიმე მხარის ჯარების მიერ.

3.ამ მუხლის მე-2 ქვემუხლში აღნიშნული ნეიტრალიტეტი დარიალის გადასასვლელზე ვრცელდება გადასასვლელის გასწვრივ ბალციდან კობის გადასასვლელამდე.მამისონის გადასასვლელზე -ზარამაღიდან ონამდე,ხოლო ყველა სხვა გადასასვლელზე -საზღვრიდან 5 კილომეტრის დაშორებით ორივე მხარეს.

4. ამ ხელშეკრულების ხელმომწერ მხარეებს შორის სახელმწიფო საზღვრის ზუსტ გატარებას მოახდენს სპეციალური შერეული კომისია,რომელშიც შევა წევრთა თანაბარი ოდენობა ორივე მხრიდან.ამ კომისიის მუშაობის შედეგები დამტკიცებულ იქნება სპეციალური ხელშეკრულებით ორივე ხელმომწერი მხარის მიერ.

მუხლი IV.

1. რუსეთი ვალდებულებას იღებს,გარდა ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლის I ქვემუხლით გათვალისწინებული შავი ზღვისპირა გუბერნიის ნაწილებისა,საქართველოს სახელმწიფოში შემავალად სცნოს უსიტყვოდ რუსეთის ყოფილი იმპერიის შემდეგი გუბერნიები და ოლქები:ტიფლისის,ქუთაისისა

გამომდინარე რუსეთი იღებს ვალდებულებას,-უარი თქვას საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზე.

## მუხლი III.

1. სახელმწიფო საზღვარი საქართველოსა და რუსეთს შორის გადის შავი ზღვიდან მდინარე ფსოუზე ახახჩას მთამდე,ახახჩასა და არაშეცის მთებს შუა გავლით შავი ზღვის,ქუთაისისა და თბილისის ყოფილი გუბერნიების ჩრდილოეთ საზღვრამდე,ზაქათალის ოლქამდე და ამ ოლქის აღმოსავლეთი საზღვრის გაყოლებით სომხეთის საზღვრამდე.

2. ყველა გადასასვლელი აღნიშნულ სასაზღვრო ხაზზე 1922 წლის პირველ იანვრამდე მიჩნეულია ნეიტრალურად.ისინი არ შეიძლება დაკავებულ ან გამაგრებულ იქნას ამ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი რომელიმე მხარის ჯარების მიერ.

3.ამ მუხლის მე-2 ქვემუხლში აღნიშნული ნეიტრალიტეტი დარიალის გადასასვლელზე გავრცელდება გადასასვლელის გასწვრივ ბალტიდან კობის გადასასვლელამდე.მამისონის გადასასვლელზე -ზარამაგიდან ონამდე,ხოლო ყველა სხვა გადასასვლელზე -საზღვრიდან 5 კილომეტრის დაშორებით ორივე მხარეს.

4. ამ ხელშეკრულების ხელმომწერ მხარეებს შორის სახელმწიფო საზღვრის ზუსტ გატარებას მოახდენს სპეციალური შერეული კომისია,რომელშიც შევა წევრთა თანაბარი ოდენობა ორივე მხრიდან.ამ კომისიის მუშაობის შედეგები დამტკიცებულ იქნება სპეციალური ხელშეკრულებით ორივე ხელმომწერი მხარის მიერ.

## მუხლი IV.

1. რუსეთი ვალდებულებას იღებს,გარდა ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლის I ქვემუხლით გათვალისწინებული შავი ზღვისპირა გუბერნიის ნაწილებისა,საქართველოს სახელმწიფოში შემავალად სცნოს უსიტყვოდ რუსეთის ყოფილი იმპერიის შემდეგი გუბერნიები და ოლქები:ტფილისის,ქუთაისისა

და ბათუმის-ყველა მაზრებითა და ოლქებით, რომლებიც შეადგენენ აღნიშნულ გუბერნიებს და აგრეთვე ზაქათალისა და სოხუმის ოლქებს.

2. შემდგომში, საქართველოსა და სხვა სახელმწიფოებრივ ფორმირებებს შორის, გარდა რუსეთისა, ურთიერთობათა გარკვევის კვალობაზე, რომელთაც აქვთ ან შესაძლოა ექნეთ საქართველოსთან საზღვარი, განსხვავებული იმისაგან, რაც აღწერილია ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლში, რუსეთი გამოთქვამს მზადყოფნას, -სცნოს, როგორც საქართველოში შემავალი, კავკასიის ყოფილი სამეფისნაცვლოს ესა თუ ის ნაწილი, რომლებიც გადავა მის შემადგენლობაში ამ ფორმირებებთან დადებული ხელშეკრულებებით.

მუხლი V.

1. სცნობს რა სამართლიანად რუსეთის მოთხოვნებს, -ამიერიდან საქართველოს ტერიტორიაზე არ იქნას დაშვებული არავითარი სამხედრო ოპერაციები, სამხედრო ძალების ყოფნა ან სხვა მოქმედება, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე შექმნიდა საშიშროებებს მისი დამოუკიდებლობისათვის ან საქართველოს ტერიტორიის ისეთი ოპერაციების ბაზად გადაქცევისათვის, რომლებიც მიმართული იქნებოდა რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკისა ან მასთან კავშირში მყოფი სახელმწიფოების ან მათში დაფუძნებული სახელმწიფოებრივი წესწყობილების წინააღმდეგ,-
საქართველო თავის თავზე იღებს ვალდებულებას:

1.- დაუყოვნებლივ განაიარაღოს და საკონცენტრაციო ბანაკებში ინტერნირება უყოს ამ შეთანხმების ხელმოწერის მომენტისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ან მის საზღვრებში მიმავალში შეჭრილნი თუ ასეთს ექნა ადგილი, სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ნაწილები, გუნდები და ჯგუფები, რომელთაც ექნებათ პრეტენზია რუსეთის ან მისი ნაწილის მთავრობის როლზე ან რუსეთის მოკავშირე ქვეყნის მთავრობის როლზე და აგრეთვე წარმომადგენლობები და თანამდებობის პირები, ორგანიზაციები და ჯგუფები, რომლებიც თავიანთ მიზნად ისახავენ რუსეთის ან მისი მოკავშირე სახელმწიფოს მთავრობის დამხობას.

2.-დაუყოვნებლივ განაიარაღოს და ინტერნირება უყოს საქართველოს ნავსადგურებში მყოფ ყველა გემს, რომლებიც შედიან ამ მუხლის პირველ ქვემუხლში ხსენებული სამხედრო-საზღვაო ძალების, ორგანიზაციებისა და ჯგუფების შემადგენლობაში ან ამა თუ იმ მიზეზით იმყოფებიან ამ ორგანიზაციებისა და ჯგუფების განკარგულებაში და იმყოფებიან საქართველოს ნავსადგურებში. ამ გემების ეკიპაჟის მიმართ მთლიანად გამოიყენება ამ მუხლის პირველი ქვემუხლით გათვალისწინებული პირობები.

3.-გადასცეს რუსეთს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ამ მუხლის პირველ ქვემუხლში ხსენებული ორგანიზაციებისა და ჯგუფების მფლობელობაში, გამოყენებასა ან განკარგულებაში მყოფი სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ქონება, ფასეულობა და ფულადი სახსრები.

ხსენებული სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ქონების ქვეშ იგულისხმება: გემები და სხვა მცურავი საშუალებები და ყველა საარტილერიო, საინტენდანტო (სასურსათო და ნივთიერის ჩათვლით), საგნები, საინჟინრო და საავიაციო მომარაგება.

4.- გადასცეს რუსეთს, განიარაღების შემდეგ, ამ მუხლის პირველ ქვემუხლში ხსენებული ნაწილები, ორგანიზაციები, ჯგუფები და გემების ეკიპაჟები. რუსეთი იღებს ვალდებულებას, - შეუნარჩუნოს სიცოცხლე ამ მუხლის ძალით მისთვის გადაცემულ ყველა პირს.

5.- გაატაროს ღონისძიებები საქართველოს იმ ტერიტორიიდან, რომელიც ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლითაა განსაზღვრული, ყველა სახის ჯარებისა და სამხედრო რაზმების გასაყვანად, რომლებიც არ შედიან საქართველოს სამთავრობო ჯარის შემადგენლობაში.

6.- გაატაროს ღონისძიებები, რათა მომავალში არ იქნას დაშვებული საქართველოს ტერიტორიაზე ჯარები და სამხედრო რაზმები, რომლებიც ამ მუხლის წინა ქვემუხლშია ჩამოთვლილი.

7.- აუკრძალოს საქართველოს ჯარის შემადგენლობაში ამა თუ იმ სახით, მათ შორის ნებაყოფლობით შესვლა პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ამ მუხლის პირველ და მე-5 ქვემუხლებში ჩამოთვლილ ორგანიზაციებს, ჯგუფებსა და სამხედრო ნაწილებს, რამდენადაც ეს პირები თავიანთი ეროვნებით არ

წარმოადგენენ ქართველებს.

8.- არ დაუშვას მომავალში ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით დადგენილ საზღვრებში ფორმირება და ყოფნა ნებისმიერი ორგანიზაციისა და ჯგუფისა, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ მთავრობის როლზე რუსეთის ან მისი ნაწილის მიმართ ან რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოების მიმართ ისევე როგორც არ დაუშვას წარმომადგენლობები და თანამდებობის პირები, ორგანიზაციები და ჯგუფები, რომელთაც მიზნად აქვთ დასახული რუსეთის ან მისი მოკავშირე სახელმწიფოების მთავრობათა დამხობა. საქართველო ასევე იღებს ვალდებულებას, -არ დაუშვას ხსენებული ორგანიზაციების, ჯგუფების, წარმომადგენლობებისა და თანამდებობის პირების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გატარება ყოველივე იმისა, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას რუსეთზე ან მის მოკავშირე სახელმწიფოებზე თავდასხმისათვის, ასევე წინააღმდეგობა გაუწიოს ასეთი ორგანიზაციების გემებისა და სხვა მცურავი საშუალებების ყოფნას მის ნავსადგურებსა და ტერიტორიულ წყლებში, გარდა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული გემის უბედური შემთხვევებისა და სხვა მსგავსი შემთხვევისა.

9.- იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის წინა, მე-8 ქვემუხლში ჩამოთვლილი ორგანიზაციების, ჯგუფების, წარმომადგენლობებისა და თანამდებობის პირების მიერ ადგილი ექნა ამ მუხლის აღნიშნულ მე-8 ქვემუხლში ჩამოთვლილ აკრძალვათა დარღვევის მცდელობებს, საქართველოს მთავრობის მიერ ამ მუხლის მე-8 ქვემუხლით თავის თავზე აღებული ვალდებულების შესაბამისად, დაკავებული პირებისა და ქონების მფლობელების მიმართ გატარებული იქნება ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მუხლის მე-3 და მე-4 ქვემუხლებით.

10. ამ მუხლის მე-5 ქვემუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება დაწყებულ უნდა იქნას დაუყოვნებლივ, ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთანავე. საქართველო ვალდებულებას იღებს დაასრულოს იგი უმოკლეს ვადაში, თუნდაც ამისათვის დასჭირდეს სამხედრო ძალის გამოყენება.

მუხლი VI.

რუსეთი იღებს ვალდებულებას,-არ მისცეს მის ტერიტორიაზე ყოფნისა და საქმიანობის უფლება ჯგუფებსა და ორგანიზაციებს,რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ საქართველოს ან მისი ნაწილის გამგებლობაზე,აგრეთვე ჯგუფებსა და ორგანიზაციებს,რომელთა მიზანს შეადგენს საქართველოს მთავრობის დამხობა.რუსეთი ვალდებულებას იღებს,გამოიყენოს მთელი თავისი გავლენა მის მოკავშირე სახელმწიფოებზე,რათა მათ არ დაუშვან თავიანთ ტერიტორიებზე ამ მუხლში ხსენებული ჯგუფები და ორგანიზაციები.

მუხლი VII.

შესაძლო გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად ორივე ხელმომწერი მხარე შეთანხმდა,რომ ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-5 და მე-6 ქვემუხლების შესრულებისას საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილებზე, რომლებსაც გააჩნიათ მის შემადგენლობაში შესვლის უფლება ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-2 ქვემუხლის საფუძველზე,მას შემდეგ,რაც საქართველო დაადგენს საზღვრებს მომიჯნავე ქვეყნებთან,გარდა რუსეთისა,ასეთ შემთხვევაში აუცილებელი გამაფრთხილებელი ღონისძიებები საქართველოს მხრიდან დასრულებულ უნდა იქნას უმოკლეს ვადაში მას შემდეგ,რაც საქართველო თავის თავზე აიღებს ამა თუ იმ ტერიტორიის მიმართ უმაღლესი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ფორმალურ განხორციელებას.

მუხლი VIII.

ამ ხელშეკრულების მე-5 და მე-6 მუხლების ზუსტ შესრულებაზე თვალის დევნებისა და აღნიშნული მე-5 მუხლით გათვალისწინებული პირებისა და ქონების მიღება-ჩაბარებისათვის წესდება შერეული კომისია ორივე მხარის წარმომადგენლებისაგან თვითეული მხარის წარმომადგენელთა თანა-

ბარი ოდენობით.

კომისიის მუშაობის განაწესს საზღვრავს თვით კომისია.

ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 ქვემუხლებში ხსენებული პირებისა და ქონების მიღება-ჩაბარება დასრულებულ უნდა იქნას ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან ორი თვის განმავლობაში.

მუხლი IX.

1.- ქართული წარმოშობის პირებს,რომლებიც ცხოვრობენ რუსეთის ტერიტორიაზე და მიაღწიეს 18 წლის ასაკს,ენიჭებათ უფლება,-მიიღონ საქართველოს მოქალაქეობა.ასევე პირებს,რომლებიც არიან არა ქართული წარმოშობის,ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე და მიაღწიეს აღნიშნულ ასაკს,ენიჭებათ უფლება,-მიიღონ რუსეთის მოქალაქეობა.

2.- ამ მუხლის შესრულების დაწვრილებითი განაწესი განმტკიცებულია ორ ხელმომწერ მხარეს შორის დადებული სპეციალური შეთანხმებით.

3.- ამ ხელშეკრულების ხელმომწერი ორივე სახელმწიფოს ის მოქალაქეები,რომლებიც მოისურვებენ ამ მუხლით მინიჭებული უფლებით სარგებლობას,ვალდებული იქნებიან შეასრულონ მათ მიმართ წაყენებული ფორმალობები ამ მუხლის მე-2 ქვემუხლით გათვალისწინებული შეთანხმების დადებიდან ერთი წლის განმავლობაში.

მუხლი X.

საქართველო ვალდებულებას იღებს გაათავისუფლოს სასამართლო ან ადმინისტრაციული სასჯელისა და დევნისაგან ყველა ის პირი,რომლებიც დასჯილ იქნენ საქართველოს ტერიტორიაზე ქმედებისათვის,რომელიც მიმართული იყო რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ან კომუნისტური პარტიის სასარგებლოდ.

შენიშვნა:საქართველო ვალდებულებას იღებს დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს პირები,რომლებიც საპატიმროში იმყოფებიან აღნიშნული სახის ქმედებისათვის.

## მუხლი XI.

ამ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი თვითეული მხარე ვალდებულებას იღებს სცნოს და პატივი სცეს მეორე მხარის ალამსა და ღერბს,როგორც მეგობრული სახელმწიფოს ემბლემებს.ალამისა და ღერბის სურათები,ისევე როგორც მათში შეტანილი ცვლილებები,თუ ასეთს ექნა ადგილი,ურთიერთს ეცნობება დიპლომატიური გზებით.

## მუხლი XII.

ეკონომიური ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის განისაზღვრება დროებით,მათ შორის სავაჭრო შეთანხმების დადებამდე,რისთვისაც შესაძლო უმოკლეს ვადაში გატარებულ უნდა იქნას შემდეგი ღონისძიებები:

1.-ამ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი ორივე მხარე ურთიერთ შორის სავაჭრო ურთიერთობას საფუძვლად უდებს რაც შეიძლება მეტი ხელსაყრელობის პრინციპს.

2.-საქონელი,რომლის გამგზავნს ან მიმღებს წარმოადგენს ამ ხელშეკრულების ხელმომწერი ერთ-ერთი მხარე,მეორე მხარის მიერ არ იბეგრება რაიმე სატრანზიტო ბაჟით ან გადასახადით.

## მუხლი XIII.

ამ ხელშეკრულების წინა,მე-12 მუხლის პირველი და მეორე ქვემუხლებით გათვალისწინებული პირობები უნდა დაედოს საფუძვლად სავაჭრო შეთანხმებას იმავე მე-12 მუხლის საფუძველზე,რომელიც დადებულ უნდა იქნას ორივე ხელმომწერ მხარეს შორის.

## მუხლი XIV.

დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის დამყარებულ იქნება შესაძლო უმოკლეს ვადაში.მომავალში,ორივე

ხელმომწერ მხარეს შორის კონსულების შესახებ სპეციალური შეთანხმების
დადებამდე,რისთვისაც გატარებულ უნდა იქნას ლონისძიებები,მათი უფლება
და მოვალეობა განისაზღვრება ამის თაობაზე თვითეულ ხელმომწერ სახელ-
მწიფოში არსებული კანონმდებლობით.

## მუხლი XV.

გადაწყვეტა საზოგადოებრივ-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი
ხასიათის საკითხებისა,რომლებიც შეიძლება წამოიჭრას ორ ხელმომწერ
სახელმწიფოთა მოქალაქეებს შორის ისევე როგორც ზოგიერთი ცალკეული
საკითხების მოგვარება ორივე სახელმწიფოს შორის მოხდება სპეციალური
შერეული რუსეთ-საქართველოს კომისიების მიერ,რომლებიც დაფუძნებულ
იქნება  ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან შესაძლო უმოკლეს ვადაში.
ამ კომისიების შემადგენლობა,უფლება და მოვალეობა დადგენილ იქნება
სპეციალური განაწესით,რომელიც თვითეული კომისიისათვის დამტკიცებულ
იქნება შეთანხმებით ამ ხელშეკრულების ხელმომწერი ორი მხარის მიერ.

ამ კომისიების გამგებლობას,სხვათაშორის,დაექვემდებარება:

1.-სავაჭრო შეთანხმებისა და სხვა ეკონომიკური ხასიათის შეთანხმებათა
შედგენა.

2.- არქივის ყოფილი ცენტრალური დაწესებულებებიდან გამოყოფის,სასა-
მართლო საქმის წარმოებისა და ადმინისტრაციული დეპოზიტებისა და
სამოქალაქო მდგომარეობის შესახებ აქტების საკითხების გადაწყვეტა.

3.-ბათუმ-ბაქოს ნავთობსადენის იმ ნაწილის მფლობელობისა და მით სარ-
გებლობის განსაზღვრა,რომელიც ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლის ძალით
იმყოფებოდეს იქნება საქართველოს ტერიტორიაზე.ეს საკითხი შემდეგ
განმტკიცებულ იქნება ორივე ხელმომწერ მხარეს შორის დადებული სპე-
ციალური შეთანხმებით.

## მუხლი XVI.

ეს ხელშეკრულება ძალაში შედის თვით ამ ხელშეკრულების დადების

ფაქცით მისი ხელმოწერის მომენტიდან და იგი არ ექვემდებარება სპე-
ციალურ რატიფიკაციას.

რის დასადასტურებლად, ორივე მხარის წარმომადგენლებმა პირადად მოაწერეს ხელი ამ ხელშეკრულებას და დაუსვეს მას თავიანთი ბეჭდები. შედგენილია მოსკოვში ორ ეგზემპლიარად 1920 წლის 7 მაისს.

გ.ურატაძე. ლ.კარახანი.

# ეროვნული ჰიმნი

დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული
ჰიმნი 1918-21 წლებში

## დ ი დ ე ბ ა

დიდება ზეცით კურთხეულს,
დიდება ქვეყნად სამოთხეს
ტურფა ივერსა!

დიდება ძმობა-ერთობას,
დიდება თავისუფლებას,
დიდება სამარადისოდ
ქართველ მხნე ერსა!

დიდება ჩვენსა სამშობლოს,
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს დიადსა!

ვაშა ტრფობასა-სიყვარულს,
ვაშა შვებასა-სიხარულს,
სალამი ჭეშმარიტების
შუქ-განთიადსა!

მუსიკა: კოტე ფოცხვერაშვილი



INDEPENDENT GEORGIA

## სპეციალური საიდუმლო დანართი რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებისადმი.

### მუხლი I.

საქართველო ვალდებულებას იღებს,-სცნოს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი კომუნისტური ორგანიზაციების თავისუფალი არსებობისა და საქმიანობის უფლება,-კერძოდ,კრებების თავისუფალი მოწყობისა და თავისუფალი გამომცემლობების(მათ შორის,ბეჭდვითი ორგანოების) უფლება.

ყოველ შემთხვევაში,არ შეიძლება გატარებულ იქნას რაიმე რეპრესიული ღონისძიებები,როგორც სასამართლო,ასევე ადმინისტრაციული ხასიათის, კერძო პირების მიმართაც,რომელთა საქმიანობა გამომდინარეობს კომუნისტური პროგრამის პროპაგანდა-აგიტაციისაგან ან კომუნისტურ პროგრამაზე დამყარებული პირებისა და ორგანიზაციების საქმიანობის მიმართ.

### მუხლი II.

ეს საიდუმლო დანართი შეადგენს რუსეთსა და საქართველოს შორის დღეის რიცხვით ხელმოწერილი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.ეს დანართი ხელშეკრულებასთან ერთად ძალაში შედის მისი ხელმოწერის ფაქტით შემდგომი რატიფიკაციის გარეშე.

შედგენილია მოსკოვში ორ ეგზემპლარად 1920 წლის 7 მაისს.

გ.ურატაძე. ლ.კარახანი.

## რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებაზე თანდართული დამატებითი შეთანხმება.

ქვემოთ ხელმომწერნი -რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელმა -საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ლევ მიხეილის-ძე კარახანმა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა -საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრმა გრიგოლ ილარიონის-ძე ურატაძემ, მივიღეთ რა მხედველობაში, რომ რუსეთის მთავრობამ მიიღო აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის თანხმობა ქვემოთ ჩამოთვლილი მუხლების შინაარსზე,-შევთანხმდით შემდეგზე:

### მუხლი I.

სადავო ადგილების საკითხი საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საზღვარზე და ზაქათალის ოლქში გადასაწყვეტად გადაეცემა შერეულ კომისიას, რომელშიც თანაბარი ოდენობით შევლენ საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები და რომლის თავმჯდომარე იქნება რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელი. ამ კომისიის ყველა გადაწყვეტილება აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობების მიერ მიჩნეული იქნება თავიანთთვის სავალდებულოდ.

### მუხლი II.

საქართველო და აზერბაიჯანი ამ შეთანხმების პირველ მუხლში აღძრულ საკითხზე შეთანხმების მიღებამდე აღარ შეიყვანენ ზაქათალის ოლქში ჯარის ახალი ნაწილები იმათ გარდა, რომლებიც უკვე იმყოფებოდნენ იქ ამ დამატებითი შეთანხმების ხელმოწერის მომენტისათვის.

### მუხლი III.

ეს დამატებითი შეთანხმება განიხილება, როგორც რუსეთსა და საქართველოს შორის მოსკოვში, 1920 წლის 7 მაისს ხელმოწერილი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და აღნიშნულ ხელშეკრულებასთან ერთად ძალაში შედის

მისი ხელმოწერის ფაქტით და არ საჭიროებს შემდგომ რატიფიკაციას.

რის დასადასტურებლად, ორივე მხარის წარმომადგენლებმა პირადად მოაწერეს ხელი ამ შეთანხმებას და დაუსვეს მას თავიანთი ბეჭდები.

შედგენილია მოსკოვში, ორ ეგზემპლარად, 1920 წლის 12 მაისს.

გ.ურატაძე. ლ.კარახანი.

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება, ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემულო მსმენელებო, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითი აქტი, რომელსაც, ევროპის ყველა სახელმწიფოსთან ერთად, 1975 წლის პირველ აგვისტოს, საბჭოთა კავშირმაც ხელი მოაწერა. ჰელსინკის ამ დასკვნითი აქტის პირველი თავის მერვე მუხლი ეხება - "ხალხთა თანასწორუფლებიანობასა და საკუთარი ბედის გამგებლობის უფლებას", რომელშიც, სხვათა შორის, სიტყვა-სიტყვით ნათქვამია:

"ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თავიანთი ბედის გამგებლობის უფლებიდან გამომდინარე, ყველა ხალხს მუდამ აქვს უფლება სრული თავისუფლების პირობებში განსაზღვროს, - როცა უნდათ და როგორც უნდათ, - თავიანთი საშინაო და საგარეო პოლიტიკური სტატუსი გარედან ჩაურევლად, და თავიანთი შეხედულებებისამებრ განახორციელონ თავიანთი პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური და კულტურული განვითარება."

და ამიტომაა ჩვენი დევიზი - ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ლაპარაკობს რადიო "თავისუფლება!.."

ქართული რედაქცია-რადიო"თავისუფლება"
ავტორი,დიქტორი: დავით თაბორიძე

## რუსეთ-საქართველოს 1783 წლის "ტრაქტატი"

დიქტორი: წინა საუბრებში ჩვენ გავაცანით თუ როგორ იქნა დადებული საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7-ი მაისის ხელშეკრულება და აგრეთვე ამ ხელშეკრულების სრული ტექსტი. ახლა შევეცადოთ ამ ხელშეკრულების უფლებრივი ხასიათის გარკვევას.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ორ ხელშეკრულებას, სახელდობრ 1783 წლის ე.წ-ლ"ტრაქტატს",რომელიც დადებულ იქნა ერეკლე მეფესა და იმპერატრიცა ეკატერინეს შორის, და 1920 წლის 7-ი მაისის ხელშეკრულებას, რომელიც დადებულ იქნა საბჭოთა რუსეთსა და დამოუკიდებელ საქართველოს შორის, - ჰქონდა საერთაშორისო ხელშეკრულების ხასიათი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სხვა ხელშეკრულებსაც, რომლებიც იმპერატორულმა რუსეთმა თავის დროზე დადო საქართველოს სხვა სამეფოესა და სამთავროებთან,მაგალითად, იმერეთის სამეფოსთან თუ სამეგრელოს სამთავროსთან. მაგრამ მაინც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა 1983 წლის რუსეთ-საქართველოს,უფრო ზუსტად,რუსეთ-ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დადებულ ხელშეკრულებას,ვინაიდან მეფე ერეკლე 1790 წლის დადებული და "ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული"ხელშეკრულებით სამხედრო კავშირის მეთაური გახდა. რაც შეეხება 1801-ი წლის რუსეთის იმპერატორის მიერ გამოცხადებულ ე.წ-ლ"მანიფესტს" საქართველოს შესახებ,რასაც მოყვა საქართველოს ანექსია, - ეს იყო

რუსეთის იმპერატორის <u>ცალმხრივი აქტი</u>,რასაც მოჰყვა საქართველოს როგორც სახელმწიფოს გაუქმება და რუსეთის იმპერიის შემადგენელ გუბერნიებად გადაქცევა, - რაც არასოდეს არ უცვნია საქართველოს, ქართველ ხალხს, და ამდენად 1801-ი წლის აქტი იყო და დარჩა ცალმხრივი იძულებითი აქტი.

რუსეთ-საქართველოს <u>იურიდიული</u> ურთიერთობის განსაზღვრისათვის,ამიტომ, საჭიროა რუსეთ-საქართველოს არა მარტო 1920 წლის 7-ი მაისის ხელშეკრულების,არამედ რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ხელშეკრულების,ე.წ-ლი "ტრაქტატის" უფლებრივი ხასიათის გარკვევაც.

ამიტომ მოვიგონოთ მთავარი მომენტები რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ხელშეკრულების დადების და ამ ხელშეკრულებით გამოწვეული მდგომარეობა საქართველოსა და მთელს კავკასიაში. ნიკოლოზ ბერძენიშვილი,ივანე ჯავახიშვილი და სიმონ ჯანაშია "საქართველოს ისტორიაში",რომელიც გამოცემულია თბილისში 1948 წელს,სხვათა შორის, წერენ:

> მე-18 საუკუნის 80-იან წლებში ალმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში ერეკლეს უმთავრეს მეტოქედ გამოვიდა შარვანის მპყრობელი ფ ა თ ა ლ ი - ხ ა ნ ი. როცა ქერიმ-ხანი გარდაიცვალა და ირანში არეულობა დაიწყო, ფათალი-ხანი ენერგიულად ამოქმედდა—მას ყ ა ე ნ ო ბ ა ს უ რ დ ა. ამისთვის-კი მას ჯერ აღმოსავლეთი ამიერ-კავკასია უნდა დაემორჩილებინა. ერეკლეს წინაალმდეგ იგი, აჯი-ჩალაბივით, მაჰმადიანი მფლობელების ამხედრებას ცდილობდა. ფათალი-ხანმა ქართლ-კახეთის მეფეს განჯისა და ერევნის ხანები აუჯანყა. სამაგიეროდ, ერეკლე ყარაბაღის ხანს ი ბ რ ე ი მ ს შეუკავშირდა. მოკავშირეებმა ორგზის დაამარცხეს ფათალი-ხანის ჯარები 1779 წელს და აჯანყებული განჯის-ხანიც დაიმორჩილეს. ამავე წელს ერეკლე დიდი ჯარით ერევანზე წავიდა. შეშინებულმა ხანმა პატიება ითხოვა. მეფეს ერევნის სახანოს გაუქმება და ამ ქვეყნის საკუთრად დაპყრობა ჰქონდა გადაწყვეტილი და ამიტომ პატიებას არ აპირებდა. მაგრამ ქართლის საქმეების გართულებამ ერეკლე აიძულა ერევნის ხანის თხოვნა შეეწყნარებინა და სწრაფად თბილისში დაბრუნებულიყო.
>
> ქართლში ამ დროს მართლაც მძიმე ამბები იყო. ერეკლეს შეთანხმება ოსმალეთთან სოლომონ მეფეს არ მოსწონდა. ეჭვობდა, რომ ქართლ-კახეთის მეფეს ოსმალთა თანხმობით იმერეთის დაპყრობა სურდა.

ამავე დროს ბრძოლა რუსეთსა და ოსმალეთს შორის კიდევ უფრო გამწვავდა. მე-18 საუკუნის განმავლობაში რუსეთმა თანდათან გამოგლიჯა ოსმალეთს ხელიდან ყირიმი, ჩრდილოეთ-კავკასიის ქვეყნები და 80-იანი წლებისათვის სახელმწიფო საზღვრები თითქმის კავკასიონის ქედს მიაბჯინა. რუსეთის შემდგომი წარმატებისათვის აუცილებელი იყო ამიერ-კავკასიაში დასაყრდენის გაჩენა.

მეორე მხრით, რუსეთის მეფის კარზე გადაწყვიტეს აგრეთვე კასპიის ზღვის სამხრეთი სანაპიროების ხელში ჩაგდება.

ამ პირობებში ერეკლე და სოლომონი მეტად ძვირფასი გახდნენ რუსეთის მეფისა და მის პოლიტიკოსთა თვალში.

ასეთი მდგომარეობისდა მიუხედავად ერეკლე მხნეობას არ ჰკარგავდა და ქვეყნის ხსნის ღონეს დაუცხრომლად ეძებდა. 1791 და 1782 წლებში ერეკლემ ევროპის ხელმწიფეებთან კავშირის გაბმა და მათგან დახმარების მიღება სცადა. ასეთი ნივთიერი დახმარებით მეფეს განზრახვა ჰქონდა რამდენიმე პოლკი მხედრობა ევროპულ წესზე გაეწყო, რომ ამით გარეშე და შინაური მტრები საბოლოოდ აელაგმა და ქვეყნის აღმშენებლობას მტკიცე ხელით შესდგომოდა. ერეკლეს ესმოდა, რომ საქართველოს გამოხსნა, გაძლიერება და მისი მომავლის უზრუნველყოფა ქვეყნის ევროპულად გარდაქმნას, მის სამხედრო-ტექნიკურსა და სამეურნეო-სახელმწიფოებრივ დაწინაურებას შეეძლო მხოლოდ. ამიტომაც იყო რომ ერეკლე „ისე არაფრისაკენ არ მიისწრაფოდა, როგორც თავისი ხალხის ევროპულად გარდაქმნისაკენ", როგორც ამბობს იმ დროებში საქართველოში ნამყოფი რუსი პოლკოვნიკი ბურნაშოვი.

დასავლეთ ევროპის ხელმწიფეებისადმი მიმართვისაგან არაფერი გამოვიდა. ამავე დროს ენერგიულად ამოქმედდნენ რუსეთის პოლიტიკის ხელმძღვანელები. ერეკლეს კარზე სტუმრობას მოუხშირეს რუსმა მოხელეებმა, ელჩებმა, მოგზაურებმა. ისინი ურჩევდნენ ერეკლეს ეთხოვნა რუსეთის ხელმწიფის მფარველობა. აიმედებდნენ, რომ ძლიერი მოკავშირის დახმარებით საქართველო ყველა სიძნელეს ადვილად დასძლევდა, მშვიდობასა და კეთილდღეობას ეწეოდა.

განსაკუთრებით სიძნელეს უქმნიდა ერეკლეს ალექსანდრე ბაქარის ძის საქმიანობა. ფათალიხანისა თუ სხვა კავკასიელი მფლობელების შემოსევის მოლოდინში მეფე ყოველ წამს მზად უნდა ყოფილიყო. ქართლის ჯარი ამ საქმისათვის სანდო არ იყო: ალექსანდრეს იქ მრავალი მომხრე ჰყავდა. ამიტომ მეფე იძულებული იყო ლეკთა დიდი ჯარები დაექირავებინა და მუდამ თავისთან ჰყოლოდა. ამ ჯარის ჯამაგირი („სალეკო") მძიმე ტვირთად აწვებოდა მოსახლეობას და მის უკმაყოფილებას აძლიერებდა.

ამრიგად, მე-18 საუკუნის უკანასკნელ ოცეულ წლებში ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო პოლიტიკა ამიერ-კავკასიაში გაინასკვა. ერეკლეს წინაშე დიდი ისტორიული მნიშვნელობის საკითხი იდგა. სამი დიდი მეტოქე, ირანი, ოსმალეთი და რუსეთი, ამიერ-კავკასიას ერთი მეორეს ეცილებოდა.

საქართველოს ბედის რუსეთთან დაკავშირებით ერეკლე ირან-ოსმალეთის მოძალადეებისაგან თავისი ქვეყნის სამუდამოდ გამოხსნასა და მის აღდგენას ლამობდა.

21 დეკემბერს 1782 წელს ერეკლემ, რუსეთის მთავრობის სურვილის თანახმად, რუსეთის მეფის მფარველობა ითხოვა.

**1783 წლის ტრაქტატი.** 24 ივლისს 1783 წელს ციხე გეორგიევსკში (იმიერ-კავკასიაში) რუსეთ-საქართველოს შორის „მეგობრობით პირობას“ („ტრაქტატს“) ხელი მოაწერეს. ერეკლე მეფის მხრით აქ იყვნენ იოანე მუხრან-ბატონი და გარსევან ჭავჭავაძე, ეკატერინე მეფის მხრით—გენერალი პავლე პოტიომკინი.



რუსეთ-საქართველოს „მეგობრობითი პირობა“ 1783 წლისა.
ერეკლეს ტიტულატურა (ტექსტი): „...ირაკლი მეორე, წყალობითა ღვთისათა და თქვენის იმპერატორების დიდებულებისა კეთილნებობითა, მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა, მემკვიდრე მფლობელი სამცხე საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსა, მთავარი შამშადილისა, მთავარი კაკისა, მთავარი შაქისა და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევნისა“.

საქ. მუზეუმის ხელნაწერთა განყ.



ერეკლეს ხელისმოწერა 1783 წლის ტრაქტატზე.

6 თვის შემდეგ, ესე იგი, 24 იანვარს 1784 წელს, ერეკლემ ტრაქტატს ხელი მოაწერა, და ეს „მეგობრობითი პირობა“ ძალაში შევიდა.

ტრაქტატი ორმხრივ ვალდებულებებს ითვალისწინებდა.

ქართლ-კახეთის მეფე საქვეყნოდ საუკუნოდ უარყოფდა თავის დამოკიდებულებას ირანისა თუ სხვა ხელმწიფეთაგან, ამიერიდან ის მხოლოდ იმპერატორის უზენაეს უფლებას სცნობდა და მის საფარველში შედიოდა.

ქართლ-კახეთის ტახტზე ახლადგამეფებული ამიერიდან რუსეთის იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა.

უცხო სახელმწიფოებთან დიპლომატიურ ურთიერთობასაც ქართლ-კახეთის მეფე ამიერიდან დამოუკიდებლად არ აწარმოებდა. ყოველ ასეთ შემთხვევაში ის მოვალე იყო რუსეთის მთავრობის ადგილობრივ მოხელეს შესთანხმებოდა.

დასასრულ, ქართლ-კახეთის მეფე მოვალე იყო მთელი თავისი სამხედრო ძალით საჭირო დროს რუსეთის მეფის სამსახურზე გამოსულიყო.

თავის მხრით, რუსეთის იმპერატორი ქართლ-კახეთის მეფეს საუკუნო მფარველობას აღუთქვამდა. ამის ნიშნად იმპერატორი ერეკლეს სამეფლობელოს დაცვას ივალებდა.

ამიერიდან უცხო ქვეყნების მიმართ რუსეთი და საქართველო ერთი იყო. იმპერატორი პირობას იძლეოდა, რომ საქართველოს მტერს თავის მტრად იგულებდა.

იმპერატორი პირობას სდებდა, რომ ერეკლესა და მის ჩამომავლობას ქართლ-კახეთის ტახტზე უცვალებლად დაიცავდა.

ქვეყნის შინაურ მართვა-გამგეობაში ქართლ-კახეთის მეფე დამოუკიდებელი იყო. რუსეთი საქართველოს შინაურ საქმეებში არ ერეოდა.

ტრაქტატს ახლდა კერძო (საიდუმლო) პუნქტები. ამათ თანახმად ერეკლე სოლომონ მეფესთან თანხმობით ყოფნას ივალებდა, ხოლო უთანხმოების შემთხვევაში ის რუსეთის ხელმწიფეს შუამავლად სცნობდა და საცილობელ საკითხს მის მსჯავრს ანდობდა.

ქართველთა ჯარის გასამტკიცებლად და საქართველოს დასაცავად რუსეთი საქართველოში მუდმივ სამყოფად ორ ბატალიონს ქვეითა ჯარს გზავნიდა, ხოლო ომის შემთხვევაში დამატებითი სამხედრო შენაწევრობის აღმოჩენას კისრულობდა. იმპერატორი აღთქმას სდებდა . აგრეთვე, რომ ომისა თუ დაზავების დროს ის ყოველ ღონეს მოიხმარდა, რათა საქართველოს დაბრუნებოდა ყველა კუთხე და მხარე, რომელნიც მტრებს ჰქონდათ მისგან მიტაცებული.

ტრაქტატით გათვალისწინებული რუსთა ჯარი 1783 წელს, სამ ნოემბერს, მოვიდა თბილისში, ხოლო 23 იანვარს, 1784 წელს, ერეკლემ რუსეთის იმპერატორისადმი ერთგულების ფიცი მიიღო.

## ტრაქტატიდან ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე

ქართველები რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას დიდ გეგმებს უკავშირებდნენ. მფარველ-მოკავშირის დახმარებით ლეკებს ადვილად ალაგმავდნენ და უმთავრეს ყურადღებას ქვეყნის შინაურ აღმშენებლობას მიაქცევდნენ. რუსეთ-ოსმალეთს შორის მომავალი ომისას ქართველებს იმედი ჰქონდათ, რომ სამცხე-საათაბაგოს დაიბრუნებდნენ. აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში-კი ერეკლე არა მარტო საქართველოდან ჩამოგლეჯილი კაკ-ენისელის შემოერთებას აპირებდა, არამედ მეზობელ შაქი-შარვანის სახანოებზედაც ხელს იწევდიდა. ქართლ-კახეთის მეფის ასეთ განზრახვებს მფარველ-მოკავშირე მხარს უჭერდა. ერეკლე მეფის მფლობელობაშივე სცნობდა რუსეთი განჯა-ერევნის სახანოებსაც.

ასეთივე ტრაქტატის დადებას რუსეთის მთავრობა სოლომონ იმერეთის მეფესთანაც აპირებდა.

ერეკლეს გადაჭრით დადგა ამ რუსეთის მხარეზე და რუსთა ჯარის საქართველოში შემოსვლამ ამიერ-კავკასია ააფორიაქა. ხანებს შიშის ზარი დაეცათ. ნაძალადევი მორჩილებით ხანები თავის გადარჩენას ცდილობდნენ. დარუბანდის, ყარაბაღისა თუ ხოის ხანები ერთგულებას ეფიცებოდნენ რუსეთს. მორჩილება გააცხადეს დაღისტნის მთავრებმაც.

მაგრამ პირველმა შიშმა ჩქარა გაიარა, და მალე სულ სხვა სინამდვილე გამოჩნდა. მაჰმადიანი ხანები შიშისა და დაბნეულობიდან ოსმალეთმა გამოიყვანა.

რუსეთის პირველი მარცხი ის იყო, რომ იგი იძულებული შეიქნა იმერეთის მეფესთან განზრახული ხელშეკრულების დადებაზე უარი ეთქვა. რუსეთის სტამბოლელმა ელჩმა გამოარკვია, რომ ასეთს რასმე ოსმალეთი უომრად არ დასთმობდა. ასე რომ იმერეთის საჯაროდ მფარველობაზე რუსეთმა ძალაუნებურად ხელი აიღო.

მალე ოსმალეთი ირანის სახანოების მფარველისა და დამრაზმველის როლში გამოვიდა. ოსმალეთის აგენტები „სარწმუნოების დასაცავად" მოუწოდებდნენ მაჰმადიანობას. ფულით, საჩუქრებით, დაპირებებით მათ ადვილად აამოძრავეს ადარბადაგანისა და ამიერ-კავკასიის ხანები, დაღისტნის მთავრები.

ამ დროს ქართლ-კახეთის წინააღმდეგ კვლავ ლეკები წამოიშალნენ. ამ საქმის მთავარ ორგანიზატორად ახალციხის ფაშა გამოვიდა. ფაშამ ახალციხე ლეკების საბუდრად გადააქცია, საიდანაც ავაზაკთა ბრბოები გამუდმებით თავს ესხმოდნენ ქართლის სოფლებს.

ამიერ-კავკასიისა და ადარბადაგანის ხანები ზოგნი ოსმალთა „სამსახურში" შევიდნენ, ერეკლეს მტრები გახდნენ და საქართველოზე ლაშქრობას აპირებდნენ. ხანები აყვედრიდნენ ერეკლეს რუსთა შემოყვანას, აფრთხილებდნენ, ემუქრებოდნენ. უფრო მეტიც: მეფეს გადაუდგნენ და ხარკი შეუწყვიტეს განჯამ და ერევანმა, თვით ყაზახ-შამშადილუს თათრებიც-კი შფოთავდნენ და მეფეს აღარ ემორჩილებოდნენ.

სამ წელს გრძელდებოდა ლეკთა თარეშები. ქვეყანამ კვლავ დაცლა იწყო. მოსახლეობა სახიზარებს უბრუნდებოდა, ვისაც შეეძლო, უცხოეთში გარბოდა. ერეკლე ტრაქტატით გათვალისწინებულ დახმარებას ითხოვდა მფარველისაგან. ენერგიული დიპლომატიური ზომებით რუსეთი ამაოდ ცდილობდა აეძულებინა ოსმალეთი ხელი აეღო ქართლ-კახეთის მიმართ მტრობისაგან.

1785 წელს ხუნძახის ბატონი ომარ-ხანი 20.000 კაცით კახეთის საზღვარს მოადგა. ერეკლე ხელშეკრული იყო: მეფემ ქართლის ჯარი ვერ შემოიყვანა, რადგანაც ახალციხის მხრიდან ლეკ-ოსმალთა შემოსევისა ეშინოდა. კახელებითა და რუსთა რაზმით, მათი სიმცირის გამო, შებმა ძნელი ჩანდა. ომარ-ხანმა სწრაფად გამოვლო ყარაია, აიღო ბორჩალოს ციხე, აიარა დებედას ხეობა, აიღო ახტალა და მადნები სულ გაანადგურა. ტყვე-ალაფით დატვირთული ხანი ახალციხეს მივიდა. იქიდან ის მალე საბაშიძოში (ზემო იმერეთი) ვახანის ციხეს ეწვია, აიღო და დიდძალი ტყვით უკან გაბრუნდა. ერეკლე იძულებული იყო მორიგებოდა ომარ-ხანს და მისთვის ყოველწლიური „ჯამაგირი" 5.000 მანეთი გაეჩინა.

**კვლავ საგარეო ორიენტაციის საკითხი ქართლ-კახეთში.** ერეკლე განსაკუთრებულ გასაჭირში ჩავარდა. შემოსავალი არსაიდან შემოდიოდა, აოხრებული ქვეყანა გადასახადებს ვერ იხდიდა; ერეკლე იძულებული იყო მოსახლეობა სამი წლით სამეფო გადასახადისაგან გაეთავისუფლებინა. მოხარკეც სამეფოს აღარავინ ჰყავდა. ახტალის მადნები ამის შემდეგ ორ წელიწადს სულ არ მოქმედებდა, ვაჭრობა დაეცა და საბაჟო შემოსავალმაც სათანადოდ იკლო. ერეკლე მფარველ-მოკავშირეს ფულს სესხად სთხოვდა, მაგრამ რუსეთის იმპერატორის კარისაგან მან ვერაფერი მიიღო.

ამ დროს რუსეთში საქართველოსადმი ინტერესი შენელდა. რუს პოლიტიკოსებს ყოყმანი დასჩემდათ. კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ფეხის მოკიდება ძნელი აღმოჩნდა. ოსმალეთის გავლენაც მეტად ძლიერი იყო მთელ კავკასიაში, ხოლო მოკავშირე საქართველო — სუსტი.

ამავე დროს ოსმალეთი ერეკლეს მოუწოდებდა მასთან მეგობრობა-კავშირი აღედგინა და რუსეთთან კავშირი უარეყო. არზრუმის ფაშა მეფეს მოაგონებდა, თუ როგორი მშვიდობის ჟამი ჰქონდა საქართველოს ოსმალეთთან კეთილმეზობლობისას და მიუთითებდა იმ უბედურებაზე, რომელსაც ქართლი რუსთა მხარეზე დადგომის შემდეგ განიცდიდა.

ასეთ პირობებში საგარეო ორიენტაციის საკითხი საქართველოში შეუნელებელი სიმწვავით იდგა.

ერეკლეს მეუღლე, დედოფალი დარეჯანი, და მისი შვილები. რუსეთ-ოსმალეთის საკითხში დარეჯანი და მისი შვილები ოსმალეთთან მორიგების პოზიციას ადგნენ.

1787 წლის აგვისტოში რუსეთ-ოსმალეთს შორის ახალი ომი დაიწყო. რუსეთის მთავრობამ თავისი ჯარი საქართველოდან უკან გაიწვია. ერეკლე ამის შემდეგ ადვილად მოურიგდა ახლოს მეზობლებს. ოსმალეთმაც შეანელა მტრობა, თუმცა საქართველო-რუსეთის კავშირის საბოლოო გაწყვეტას ის შემდეგშიაც დაჟინებით ცდილობდა.

რუსეთთან კავშირმა იმ ხანებში ერეკლესა და მისი მომხრეების იმედები არ გაამართლა. ქვეყანას გარეშე მტერი გაუმრავლდა, და ერეკლეს სამეფო ამიერკავკასიაში განმარტოებული აღმოჩნდა.

**ამერ-იმერეთის კავშირი ერეკლეს მეთაურობით.** მეორე მხრით, იმავე დროს ისეთი მოვლენაც მოხდა, რომელიც საქართველოს მოწინავე ძალების ზრდას მოწმობდა. ეს იყო ამერეთ-იმერეთის გაერთიანების ცდა.

იმერეთის მეფე სოლომონი 1784 წელს გარდაიცვალა. მას ვაჟი არ დარჩენია. ტახტის მემკვიდრედ მეფის ძმისწული დავით არჩილის ძე და მეფის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე გამოვიდნენ. მემკვიდრეებს შორის ბოლომოუღებელი ბრძოლა გაიმართა. ამ ბრძოლაში რუსეთ-ოსმალეთისა და ერეკლეს ხელიც ერია. ბოლოს იმერეთის თავადების ერთმა ჯგუფმა ერეკლეს ამერ-იმერეთის ერთ სამეფოდ გაერთიანების წინადადებით მომართა.

იმერეთის წარმომადგენელნი ერეკლესთან მოვიდნენ. მეფემ დარბაზი შეყარა. ბჭობა სამი დღე გაგრძელდა. ერეკლემ ბოლოსდაბოლოს უარყო გაერთიანების წინადადება. ასეთი გადაწყვეტილების სასარგებლოდ მეფეს, სხვათა შორის, ერთი მძიმე საბუთიც ჰქონდა: ერეკლე რუსეთის ხელდებული იყო, იმერეთი-კი ოსმალეთს თავისად მიაჩნდა. ამიტომ ამერეთ-იმერეთის გაერთიანებას ოსმალეთი არ მოითმენდა.

მაინც ამ ცდისაგან კარგად ჩანდა, რომ ამერეთ-იმერეთის გაერთიანების იდეა მწიფდებოდა.

ამავე დროს ერეკლემ ხელი შეუწყო სოლომონ პირველის ძმისწულის, დავით არჩილის ძის, საბოლოო გამეფებას იმერეთში. იმერეთის ახალგაზრდა მეფე ერეკლეს შვილიშვილი, მისი გაზრდილი და მისივე პოლიტიკის გამტარებელი იყო. დავით არჩილის ძემ გამეფების (1789 წ.) შემდეგ სოლომონ მეორის სახელი მიიღო.

მართალია, გაერთიანება იმჟამად შეუძლებელი აღმოჩნდა, მაგრამ მოწინავე ძალებმა მაინც თვალსაჩინო წარმატება მოიპოვეს სოლომონ ლიონიძის ცდით.

ერეკლეს შესანიშნავი თანამოღვაწე, ნიჭიერი პოლიტიკოსი, სახელმწიფო მსაჯული სოლომონ ლიონიძე ერთი იმ პირთაგანი იყო, რომელთაც ერეკლე გაბედულად აწინაურებდა უგვაროთა წრიდან მათი ჭკუის, ნიჭისა და ერთგულების მიხედვით. ამ დროს სოლომონ ლიონიძე დიდი გავლენით სარგებლობდა და მისი თაოსნობით იყო რომ ერეკლე მეორესა, ერთი მხრით, ხოლო სოლომონ მეორესა, გრიგოლ დადიანსა და სიმონ გურიელს შორის, მეორე მხრით, 1790 წელს „ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული“ ხელშეკრულება დაიდო. ეს იყო საერთო მტრის წინააღმდეგ სამხედრო კავშირის პირობა ერეკლეს მეთაურობით. 1793 წელს ამ ხელშეკრულების მონაწილენი საერთო მფარველობას სთხოვდნენ რუსეთის იმპერატორს.

**კრწანისის ომი.** ამასობაში ირანში მრავალწლოვანი შინაური ომებიდან საბოლოოდ გამარჯვებული გამოვიდა აღა-მაჰმად-ხან ყაჯარი.

ალა-მაჰმად-ხანმა ჯერ კიდევ 1786 წელს მოაგონა თავი ერეკლეს: „ძმობისა და სიყვარულის“ სიტყვები შემოუთვალა „გურჯისტანის“ მეფეს. ალა-მაჰმად-ხანი ქართლ-კახეთში ირანის ძველი ბატონობის აღდგენას ცდილობდა. ერეკლესაგან ის რუსეთ-საქართველოს კავშირის გაუქმებასა და ქართლ-კახეთის ირანისადმი დამორჩილებას მოითხოვდა. სამაგიეროდ ხანი დიდ წყალობასა და პატივს პირდებოდა ერეკლეს.

1793 წელს ერეკლემ უკვე იცოდა, რომ ალა-მაჰმად-ხანს საქართველოზე ლაშქრობა გადაწყვეტილი ჰქონდა. აქეთკენ ეპატიჟებოდნენ შაჰს ქართლ-კახეთის მეფის მტრობე ხანებიც. ერეკლე რუსეთს ჯარითა და არტილერიით დახმარებას სთხოვდა.

ხელშეკრულების თანახმად რუსეთის მთავრობა მოვალე იყო ერეკლეს დახმარებოდა, მაგრამ მოკავშირე-მფარველის ეს დახმარება არ ჩანდა. მენაპირე-უფროსი გ უ დ ო ვ ი ჩ ი ერეკლეს დაუსრულებლად აიმედებდა, მაგრამ საქმით არაფერს აკეთებდა.

1795 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში ალა-მაჰმად-ხანის ჯარები შუშასა და ერევანს შემოსდგომოდნენ. ეჩმიაძინის სომეხთა კათალიკოსმა თავი დიდი ქრთამით დაიხსნა. სექტემბრის დამდეგს ალა-მაჰმად-ხანი უკვე თბილისისაკენ წამოვიდა.

საქართველოს ასაოხრებლად ალა-მაჰმად-ხანმა 35 ათასი კაცი წამოიყვანა. 10 სექტემბერს მტერი თბილისს მოუახლოვდა. ერეკლეს მხოლოდ ხუთი ათასი კაცი ჰყავდა. აქედან სამი ათასი მეომარი სოლომონ მეორის, იმერთა მეფის, მიერ მოყვანილი დამხმარე ჯარი იყო. სიმცირის მიუხედავად მეფემ ომი გადასწყვიტა. ალა-მაჰმად-ხანმა საქართველოს ვითარება არ იცოდა და ერეკლესაგან ძლიერ წინააღმდეგობას მოელოდა. 10 სექტემბერს ქართველებმა დაამარცხეს მტრის მოწინავე რაზმი და ის დიდი ზარალით უკუაგდეს. მტერი შეფიქრდა და თავისი საქმის წარმატებაში შეეჭვდა. ამ დროს მოღალატეებმა თბილისიდან მტრის ელჩი გააპარეს. მან მეფის სისუსტე ხანს აცნობა. მტერს იმედი მოეცა და 11 სექტემბერს ერეკლეს გულსრულად შემოუტია: კ რ წ ა ნ ი ს ი ს  მ ი ნ დ ო რ ზ ე, თბილისის კარებთან, გადამწყვეტი ომი მოხდა. მიუხედავად თავგანწირული ბრძოლისა, ქართველები დამარცხდნენ. თვით ერეკლეც ხიფათში ჩავარდა,—მას მტერი გარს შემორტყმოდა, მაგრამ ერეკლეს შვილიშვილის იოანე ბატონიშვილისა და სხვა ერთგულთა თავდადებამ იხსნა მეფე: მებრძოლი მოხუცი გამოიყვანეს ომის ცეცხლიდან. ერეკლე მთიულეთში წავიდა, სოლომონი-კი თავისი ჯარით იმერეთს გადავიდა.

გამარჯვებული ალა-მაჰმად-ხანი თბილისში შემოვიდა. მტერმა ქალაქი გაძარცვა, დასწვა, დაანგრია. ხანი მეფის სასახლეში შევიდა, ჯერ გაძარცვა ის, შემდეგ დაანგრევინა. მისივე ბრძანებით საგანგებოდ დაანგრიეს ზარბაზნების ჩამოსასხმელი ქარხანა, იარაღის საწყობი, აბანოები, ზარაფხანა[1]. ამავე დროს ხანმა ქვეყანას მარბიელი რაზმები გაუსია. ერთი ასეთი რაზმი ახტალას ავიდა, იქ ვერცხლისა და სპილენძის ქარხნები, რომელნიც ომარ-ხანის შემდეგ აღუდგინა ერეკლეს, გაძარცვა და დაანგრია. იქ სპარსელებმა მრავლად დაატყვევეს მადნის მუშები. მარბიელთა რაზმებმა შიდა-ქართლიც მოითარეშეს გორი-ცხინვალამდე, მაგრამ მოსახლეობა დახიზნულიყო და ბევრი ვერაფერი იშოვეს. არაგვზე მარბიელებს 300 კაცისაგან შემდგარი ხევსურთა რაზმი შეეყარა. ხევსურები ერეკლეს მოწოდებაზე წამოსულიყვნენ, ქართველთა დამარცხება მათ ჯერ არ შეეტყოთ და თბილისში მეფესთან მიდიოდნენ. ხევსურებმა მარბიელთა ეს რაზმი თითქმის სულ გასწყვიტეს.

ვიდრე აღა-მაჰმად-ხანი საქართველოში იყო, მასა და ერეკლეს შორის მოლაპარაკება გაიმართა. ერეკლე, რომელიც ანანურს იდგა, დროის მოგებას ცდილობდა, მტერთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, მაგრამ ამის შესახებ რუსთა მენაპირე-უფროსს გუდოვიჩს ატყობინებდა და მისგან სასწრაფოდ დახმარებას მოითხოვდა. არც აღა-მაჰმად-ხანს სწამდა ერეკლეს გულწრფელობა.

საქართველოში მტერი დიდხანს არ დარჩენილა. ჯერ კიდევ მოლაპარაკება გრძელდებოდა, რომ სექტემბრის მიწურულში ხანი აიყარა და სასწრაფოდ წავიდა.

—

რუსეთის მთავრობამ თავისი შეცდომა ეხლა დაინახა. მას გასაჭირში მიტოვებული და მტრის პირში მიცემული მოკავშირე ეკარგებოდა, ხოლო საქართველოს დაკარგვით რუსეთი იძულებული გახდებოდა მთელს ახლო აღმოსავლეთში ფეხი ამოეკვეთა. აღა-მაჰმად-ხანი თბილისიდან წასული იყო, როცა გუდოვიჩმა პეტერბურგიდან ერეკლესთვის დახმარების აღმოჩენის ნებართვა მიიღო. ორი ათასი კაცისაგან შემდგარი რუსის ჯარი 1795 წლის დეკემბერში საქართველოში შემოვიდა. ამ დროს რუსეთში ერთხელ კიდევ გაცოცხლდა ჩრდილოეთ ირანის დაპყრობისა და ინდოეთთან სავაჭრო კავშირის გეგმა, რომელიც პეტრე პირველმა შეადგინა თავის დროზე. საქართველოს დაცვისა და აღა-მაჰმად-ხანის დასჯის საბაბით 1796 წელს, გაზაფხულზე, 30 ათასი კაცისაგან შემდგარი რუსთა ჯარი დარუბანდის გზით ამიერ-კავკასიაში შემოიჭრა.

რუსთა ჯარმა ზუბოვის სარდლობით აიღო დარუბანდი, ყუბა, ბაქო, სალიანი, შამახია, გავიდა მუღანს და შიგნით ირანში სალაშქროდ ემზადებოდა. პეტერბურგში ირანს ლაშქრობის გეგმასთან ერთად პეტრეს ძველი გეგმის მეორე ნაწილიც მოაგონდათ: ამიერ-კავკასიაში ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნა.

1796 წელს, ნოემბერში, რუსეთის იმპერატორი ეკატერინე გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრემ, პ ა ვ ლ ე მ, ირანს ლაშქრობა მოშალა და ჯარი უკან გაიწვია. აღა-მაჰმად-ხანმა ეს თავის გამარჯვებად გამოაცხადა და კვლავ საქართველოში ლაშქრობა დააპირა.

ერეკლე დაჟინებით სთხოვდა თავის მფარველ-მოკავშირეს ტრაქტატით ნაკისრი მოვალეობის შესრულებასა და საქართველოს დასაცავად ჯარის დატოვებას.

იმპერატორი პავლე ერეკლეს ვედრებისადმი ყრუ იყო. 1797 წელს რუსეთის მთავრობამ საქართველოდან ჯარი გაიყვანა და მოკავშირე კვლავ გაავთრებული მტრის პირისპირ დააგდო.

აღა-მაჰმად-ხანი ყარაბაღს მოვიდა, მაგრამ საქართველო ახალი აოხრებისაგან მკვლელის დანამ იხსნა: ამავე წლის ივნისში აღა-მაჰმად-ხანი იქვე, ყარაბაღში, მოჰკლეს.

მცირე ხნით ირანში კვლავ არეულობა გამეფდა. შემდეგ ძალაუფლება აღა-მაჰმად-ხანის ძმისწულმა ბ ა ბ ა-ხ ა ნ მ ა იგდო ხელთ. საქართველოს მიმართ ისიც თავისი ბიძის პოლიტიკას განაგრძობდა.

**ერეკლეს გარდაცვალება.** ასეთ გარემოებაში იყო სამეფო, როცა 11 იანვარს 1798 წელს თელავს გარდაიცვალა 80 წლის ერეკლე,—ქ ვ ე ყ ნ ი ს თ ა ვ დ ა დ ე ბ უ ლ ი მ ო ა მ ა გ ე, დ ი დ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო მ ო ღ ვ ა წ ე, ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე ს ა რ დ ა ლ ი დ ა თ ა ვ ი ს დ რ ო ი ს მ ო წ ი ნ ა ვ ე კ ა ც ი. მოხუცებულობის მიუხედავად მისი დაკარგვა აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო აფორიაქებული ქვეყნისათვის.

## ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება

**გიორგი მეთორმეტის გამეფება.** სამეფო ტახტზე გიორგი ერეკლეს ძე ავიდა. მისი მდგომარეობა იმთავითვე მეტად მძიმე იყო. თავისი ურჩი ძმების შემორიგების მიზნით გიორგი მალე იძულებული შეიქნა დაემტკიცებინა 1791 წელს დარეჯან დედოფლის თაოსნობით შედგენილი ტახტის მემკვიდრეობის ის წესი, რომლის უკანონობა თვით ერეკლემ დაუდასტურა იმავე გიორგის. ძმებს შორის ნდობა არც ამის შემდეგ დამყარებულა და ერთმანეთის წინააღმდეგ ორივე მხარე ძალებს იკრებდა.

**სამეფოს უკანასკნელი წლები.** ჯერ კიდევ ერეკლემ უბრძანა 1797 წლის მიწურულში თავის ელჩს გარსევან ჭავჭავაძეს, რათა მას გადაჭრით დაესვა საკითხი რუსეთის მთავრობის წინაშე, აპირებდა თუ არა რუსეთი ტრაქტატით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. ერეკლე ისე გარდაიცვალა, რომ რუსეთის მთავრობისაგან პასუხი არ მიუღია. გიორგი მეფემ თავისი ტახტზე ასვლა აცნობა რუსეთის ხელმწიფეს და მისგან დასტური ითხოვა. რუსეთის მთავრობა ეხლაც დუმილს განაგრძობდა.

1798 წლის ივლისში გიორგი მეფეს ირანის შაჰის სიგელი მოუვიდა. შაჰი გიორგისაგან ირან-საქართველოს ძველი ურთიერთობის აღდგენას მოითხოვდა, სამაგიეროდ დიდ წყალობას პირდებოდა მეფეს. უარისათვის შაჰი ქვეყნის განადგურებით იმუქრებოდა. მეფემ შაჰთან მოლაპარაკება გადასწყვიტა და ამის შესახებ პეტერბურგშიაც შეატყობინა. ცოტა ხნის შემდეგ მეფემ აცნობა თავის ელჩს გარსევან ჭავჭავაძეს, რომ მას გადაწყვეტილი აქვს, თუ რუსეთი არ დაეხმარება, ტრაქტატი დარღვეულად გამოაცხადოს, ელჩი უკან გამოიწვიოს და დახმარებაც სხვაგან ეძიოს. ამ დროს მეფეს ოსმალეთთანაც მოლაპარაკება წამოეწყო. მეფის მტკიცე კილომ რუსეთის მთავრობა აამოქმედა. იმპერატორმა პავლემ გიორგი მეფეს წყალობის სიგელი გამოუგზავნა.

იმავე წლის შემოდგომით გიორგიმ, ტრაქტატის თანახმად, პავლესაგან ტახტზე დამტკიცების ნიშნები, თავისი შვილის დავითის მემკვიდრედ აღიარება და 3000 კაცისაგან შემდგარი ლაშქარი ითხოვა. რუსეთის მთავრობამ გიორგის თხოვნა დააკმაყოფილა. 1799 წლის აპრილში პავლემ დამტკიცების სიგელი და სათანადო ნიშნები გამოუგზავნა გიორგი მეფეს.

დავით გიორგის ძის ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებამ გიორგი მეფის ძმები ააჯანყა. ბატონიშვილები თავის საუფლისწულოებში ჩასხდნენ და მეფის ხელისუფლებას აღარ სცნობდნენ. დარეჯან დედოფალი თბილისში იჯდა და გიორგი მეფისადმი მტრობას დაუღალავად აღვივებდა. ალექსანდრე ბატონიშვილი, ერეკლეს ძე, ირანის შაჰთან გაიქცა. ბაბა-ხანმა დიდი ხალისით იკისრა ერეკლეს შვილების უფლების ცრუ ქომაგობა და კიდევ უფრო მეტი ენერგიით ცდილობდა ქართლ-კახეთის დამონებას.

რუსთა ჯარი ჯერ კიდევ არ მოსულიყო. შეშინებულმა ავადმყოფმა მეფემ ისევ რუსეთს მიმართა და ტრაქტატის შეცვლა ითხოვა. მეფე რუსეთის მთავრობას უფლებას აძლევდა ქართლ-კახეთის საშინაო საქმეები მოეწესრიგებინა, ოღონდ თავისთვის და თავისი ჩამომავლობისათვის მეფობის შენარჩუნებას მოითხოვდა.

ნოემბრის ბოლოს 1799 წელს რუსთა ჯარი გენერალ ლაზარევის სარდლობით საქართველოში შემოვიდა. ლაშქართან ერთად მოვიდა რუსეთის მთავრობის მინისტრი საქართველოს მეფის კარზე—კოვალენსკი.

რუსის ჯარის საქართველოში შემოსვლამ ირანის შაჰი შეაშფოთა. ელჩების პირით შაჰი რუსეთისგან საქართველოს დაცლას მოითხოვდა, თანაც ჯარებს აგროვებდა და ომით იმუქრებოდა. იმპერატორი პავლე ერთხელ კიდევ შეყოყმანდა, მაგრამ ამ დროს უკვე რუსეთის მთავრობის წრეებში მეტად გაძლიერებულიყო საქართველოს ანექსიის მომხრეთა დასი. რუსეთ-საქართველოს ხანგრძლივი ურთიერთობის განმავლობაში რუსმა პოლიტიკოსებმა შეისწავლეს საქართველო, კარგად შეაფასეს მისი მნიშვნელობა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში, გაიცნეს საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეები და საქართველოს შეძენას რუსეთისათვის ისინი ახლა უკვე სიკეთედ სთვლიდნენ.

1800 წლის სექტემბერში რუსეთის მთავრობამ კიდევ ერთი პოლკი ჯარი გამოგზავნა საქართველოში გენერალ გ უ ლ ი ა კ ო ვ ი ს სარდლობით. გიორგი მეფეს ამის შემდეგ მშვიდი ძილი შეეძლო, მის მემკვიდრეებს-კი მეფობა სიზმარივით უქრებოდათ.

1783 წლიდან ვიდრე 1800 წლამდე ქართლ-კახეთი თანდათან ეცემოდა. იშვიათად განუცდია აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ასეთი ხანა: თითქოს მთელი მსოფლიო მტრად აუტყდა მცირე ქვეყანას; საგარეო მტრები შინაურ მტრებს, რეაქციონერ თავადებს, დაუკავშირდნენ. და ამ ძლიერმა კავშირმა ქართველი საზოგადოების ჯერ კიდევ სუსტი მოწინავე ძალები დროებით დაამარცხა.

გიორგი მეფე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, რომ რუსეთის მთავრობას მეფის სიკვდილის მოლოდინში უკვე მიეღო გადაწყვეტილება ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და ქვეყნის რუსეთთან შეერთების შესახებ. ეს იყო 22 დეკემბერს 1800 წელს. ექვსი დღის შემდეგ გიორგი მეფე გარდაიცვალა. ადგილობრივი რუსის ჯარის სარდალს კარგა ხნის საიდუმლო განკარგულება ჰქონდა მიღებული, რათა დავით ბატონიშვილის მეფედ გამოცხადება არ დაეშვა. მაგრამ ამასობაში იმპერატორი პავლე I გარდაიცვალა (1 /III 1801 წ.) და საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხის მოგვარება წილად ხვდა იმპერატორ ალექსანდრე პირველს, რომელმაც 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და ქვეყნის რუსეთთან შეერთება საბოლოოდ გააფორმა.

---

საქართველო მეფის რუსეთის კოლონიად იქცა. რათქმაუნდა, ეს იყო ბოროტება, რომელსაც ქართველი ხალხი დაულალავად ებრძოდა"

აი ამონაწერები "საქართველოს ისტორიიდან", რომლის ავტორებია ნიკოლოზ ბერძენიშვილი, ივანე ჯავახიშვილი და სიმონ ჯანაშია და რომელიც გამოცემულია თბილისში 1948 წელს.

ამგვარად, მეფის რუსეთმა დაარღვია 1783 წლის რუსეთ-საქართველოს, როგორც ამას ვკითხულობთ "ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის მატიანეში" - "მეგობრული ტრაქტატი", ე.ი. ხელშეკრულება და საქართველო რუსეთის პროვინციათ აქცია.

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..
==============================

ქართული რედაქცია-რადიო"თავისუფლება"

ავტორი,დიქტორი: დავით თაბორიძე

გადაცემათა ციკლი: საქართველო სამოცი წლის წინათ:

წამყვანი: ახლა ჩვენი მორიგი გადაცემა ციკლიდან - საქართველო 60-ი წლის წინათ. მიკროფონთან არის დავით თაბორიძე:

დიქტორი: გადაცემათა ციკლში - საქართველო 60-ი წლის წინათ - მე· მსურს გაგაცნოთ ზოგიერთი მოვლენები,რომლებიც ჩვენს სამშობლო საქართველოში მოხდა 60-ი წლის წინათ, ე.ი. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა პერიოდში. დამოუკიდებლობის დროსა და საქართველოს დაპყრობის პირველ წლებში.

---

წინა საუბრებში ჩვენ გაგაცანით ამონაწერები ივანე ჯავახიშვილის, ნიკოლოზ ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას "საქართველოს ისტორიიდან",რომელიც გამოცემულია თბილისში 1948 წელს. საქართველოს ისტორიის ამ სახელმძღვანელოს შესახებ ცნობები გამოაქვეყნა ქართულმა თვითგამოცემითმა ჟურნალმა "ოქროს საწმისმა",რომელიც - თვითგამოცემითი გზით,ე.ი.არაოფიციალურად - გამოიცა თბილისში 1976 წელს. ამ ჟურნალში გამოქვეყნებულია ნიკოლოზ სამხარაძის სიტყვა,რომელიც აღნიშნულ სახელმძღვანელოს ეხება. აი ეს ტექსტი ,რომელიც შეიცავს ნიკოლოზ სამხარაძის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებსაც:

მუშაობდა ისტორიის მასწავლებლად I საშუალო სკოლაში; გაკვეთილებს ატარებდა ძლიერ გაბედულად, ამხელდა სოციალურ უსამართლობას და ველიკორუსულ შოვინიზმს. ამ სიტყვის წარმოთქმის შემდეგ 1958 წლის 16 ოქტომბერს დაპატიმრა უშიშროების კომიტეტმა, ხოლო 1959 წლის იანვარში მიესაჯა იძულებითი მკურნალობა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, საიდანაც განთავისუფლდა 1959 წლის 8 სექტემბერს. 10 წლის განმავლობაში არ აძლევდნენ სამსახურს, იყო ყოველგვარი საარსებო საშუალების გარეშე.

1969 წელს ნ.სამხარაძემ ვრცელი დეპეშით მიმართა ბრეჟნევს, უარი განაცხადა საბჭოთა მოქალაქეობაზე და მოითხოვა ოჯახითურთ საზღვარგარეთ წასვლა. მხოლოდ ამის შემდეგ, 1969 წლის აპრილს დანიშნეს თბილისში უბნის ექიმად /მას სამედიცინო განათლება აქვს/. დანარჩენი მის შესახებ იხილეთ ქვემოთ, "მოკლე ცნობები".

## ნიკოლოზ სამხარაძე

## საქართველოს ისტორიის სწავლების საკითხისათვის

/სიტყვა წარმოთქმული საქართველოს განათლების სამინისტროში მოწვეულ ისტორიკოსთა თათბირზე 1958 წლის 26 აგვისტოს/

ჩვენ მოვისმინეთ მინისტრ გ.ჯიბლაძის ინფორმაცია საშუალო სკოლის სასწავლო პროგრამიდან საქართველოს ისტორიის ამოღებისათვის/სწავლების შეწყვეტისათვის/. მინისტრმა აღნიშნა: "საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, შედგენილი ივ.ჯავახიშვილის, ნიკ.ბერძენიშვილის და ჯანაშიას ავტორობით მეტად ვრცელ მასალას

მოიკავს. ამის გამო ამ სახელმძღვანელოთი სწავლება დიდაქტიკურად გაუმართლებელია და ხელმძღვანელ წრეებში იყო შემდეგი მოსაზრება: ვიდრე ახალი სახელმძღვანელო შეიქმნება, საქართველოს ისტორიას საშუალო სკოლებში ახალგაზრდობა შეისწავლის სსრ კავშირის ისტორიის არსებული სახელმძღვანელოებით.

შემდეგ თქვენ მოისმინეთ პედაგოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ისტორიის მეთოდური კაბინეტის გამგის ლ.ციხისთავის სიტყვა. იგი მთლიანად მიეძღვნა დასაბუთებას, რომ ფართე მოცულობის გამო არსებული სახელმძღვანელოთი საქართველოს ისტორიის სწავლება გაუმართლებელია. "...შემომაქვს წინადადება ახალი სახელმძღვანელოს შედგენამდე სასწავლო პროგრამიდან ამოღებულ იქნას საქართველოს ისტორიის სწავლება." შემდეგ იგი დასძენს: "საქართველოს ისტორიას ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა სსრ კავშირის არსებული სახელმძღვანელოებით შეისწავლის".

მინისტრ გ.ჯიბლაძისა და ლ.ციხისთავის ინფორმაცია, რომელიც აქ მოვისმინეთ, გამოწვეულია არა იმით, რომ არსებული სახელმძღვანელოთი სწავლება მართლაც გაუმართლებელია, არამედ სულ სხვა განზრახვით და მიზეზით. პარტიისა და მთავრობის მმართველ ზედაფენაში თავი იჩინა ველიკორუსულმა დიდმპყრობელურმა შოვინიზმმა. ველიკორუსმა ეს მმართველი ფენა ცდილობს საბჭოთა კავშირში შემავალ მცირე ერებს სამოცზე მეტი ნაციონალობისაგან შემდგარსა და მოსახლეობის ნახევარზე მეტის შემცველს, წაართვას საკუთარი თვითშეგნება და მოახდინოს მათი ასიმილაცია.

საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი ლენინი იმთავითვე მიუთითებდა ველიკორუსული დიდმპყრობელობის საშიშროებაზე და აღნიშნავდა: "არ არის გამორიცხული ის ამბავი, რომ პარტიაში დროდადრო თავს იჩენს ველიკორუსული დიდმპყრობელური შოვინიზმი. ამგვარი გამოვლენა ძირშივე უნდა აღმოიფხვრას

ხხვათა შორის,
ახე განაცხადა,ნიკოლოზ ხამხარამემ თავის ხიტყვაში,რომელიც მან წარმოხთქვა ხაქართველოხ განათლების მანიხტრომი მოწვეულ ისტორიკოხთა თათბირზე 1958 წლის 26 აგვისტოს

გეხაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..

ქართული რედაქცია-რადიო"თავისუფლება"

ავტორი,დიქტორი: დავით თაბორიძე

გადაცემათა ციკლი: საქართველო სამოცი წლის წინათ:

წამყვანი: ახლა ჩვენი მორიგი გადაცემა ციკლიდან - საქართველო 60-ი წლის წინათ. მიკროფონთან არის დავით თაბორიძე:

დიქტორი: გადაცემათა ციკლში - საქართველო 60-ი წლის წინათ - მე·მსურს გაგაცნოთ ზოგიერთი მოვლენები,რომლებიც ჩვენს სამშობლო საქართველოში მოხდა 60-ი წლის წინათ, ე.ი. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა პერიოდში დამოუკიდებლობის დროსა და საქართველოს დაპყრობის პირველ წლებში.

წინა საუბრებში ჩვენ გაგაცანით ამონაწერები ივანე ჯავახიშვილის, ნიკოლოზ ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას "საქართველოს ისტორიიდან",რომელიც გამოცემულია თბილისში 1948 წელს. საქართველოს ისტორიის ამ სახელმძღვანელოს შესახებ ცნობები გამოაქვეყნა ქართულმა თვითგამოცემითმა ჟურნალმა "ოქროს საწმისმა",რომელიც - თვითგამოცემითი გზით,ე.ი.არაოფიციალურად - გამოიცა თბილისში 1976 წელს. ამ ჟურნალში გამოქვეყნებულია ნიკოლოზ სამხარაძის სიტყვა,რომელიც აღნიშნულ სახელმძღვანელოს ეხება. აი ეს ტექსტი ,რომელიც შეიცავს ნიკოლოზ სამხარაძის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებსაც:

ნიკოლოზ სამხარაძე -

მუშაობდა ისტორიის მასწავლებლად I საშუალო სკოლაში, გაკვეთილებს ატარებდა ძლიერ გაბედულად, ამხელდა სოციალურ უსამართლობას და კორუფციულ მოვლენებს. ამ სიტყვის წარმოთქმის შემდეგ 1958 წლის 16 ოქტომბერს დააპატიმრა უშიშროების კომიტეტმა, ხოლო 1959 წლის იანვარში მიესაჯა იძულებითი მკურნალობა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, საიდანაც განთავისუფლდა 1959 წლის 8 სექტემბერს. 10 წლის განმავლობაში არ აძლევდნენ სამსახურს, იყო ყოველგვარი საარსებო საშუალების გარეშე.

1969 წელს ნ.სამხარაძემ ვრცელი წერილით მიმართა ბრეჟნევს, უარი განაცხადა საბჭოთა მოქალაქეობაზე და მოითხოვა ოჯახითურთ საზღვარგარეთ წასვლა. მხოლოდ ამის შემდეგ, 1969 წლის აპრილს დანიშნეს თბილისში უბნის ექიმად /მას სამედიცინო განათლება აქვს/. დანარჩენი მის შესახებ იხილეთ ქვემოთ, "მოკლე ცნობები".

---

## ნიკოლოზ სამხარაძე

## საქართველოს ისტორიის სწავლების საკითხისათვის

/სიტყვა წარმოთქმული საქართველოს განათლების სამინისტროში მოწვეულ ისტორიკოსთა თათბირზე 1958 წლის 26 აგვისტოს/

ჩვენ მოვისმინეთ მინისტრ გ.ჯიბლაძის ინფორმაცია საშუალო სკოლის სასწავლო პროგრამიდან საქართველოს ისტორიის ამოღებისათვის/სწავლების შეწყვეტისათვის/. მინისტრმა აღნიშნა: "საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, შედგენილი ივ.ჯავახიშვილის, ნიკ.ბერძენიშვილის და ჯანაშიას ავტორობით მეტად ვრცელ მასალას

მოიყავს. ამის გამო ამ სახელმძღვანელოთი სწავლება დიდაქტიკურად გაუმართლებელია და ხელმძღვანელ წრეებში იყო შემდეგი მოსაზრება: ვიდრე ახალი სახელმძღვანელო შედგებოდეს, საქართველოს ისტორიას საშუალო სკოლებში ახალგაზრდობა შეისწავლის სსრ კავშირის ისტორიის არსებული სახელმძღვანელოებით.

შემდეგ თქვენ მოისმინეთ პედაგოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ისტორიის მეთოდური კაბინეტის გამგის ღ.ციხისთავის სიტყვა. იგი მთლიანად მიეძღვნა დასაბუთებას, რომ ფართო მოცულობის გამო არსებული სახელმძღვანელოთი საქართველოს ისტორიის სწავლება გაუმართლებელია. "...შემომაქვს წინადადება ახალი სახელმძღვანელოს შედგენამდე სასწავლო პროგრამიდან ამოღებულ იქნას საქართველოს ისტორიის სწავლება." შემდეგ იგი დასძენს: "საქართველოს ისტორიას ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა სსრ კავშირის არსებული სახელმძღვანელოებით შეისწავლის".

მინისტრ გ.ჯიბლაძისა და ღ.ციხისთავის ინფორმაცია, რომელიც აქ მოისმინეთ, გამოწვეულია არა იმით, რომ არსებული სახელმძღვანელოთი სწავლება მართლაც გაუმართლებელია, არამედ სულ სხვა განზრახვითა და მიზნით. პარტიისა და მთავრობის მმართველ წრეებში თავი იჩინა ველიკორუსულმა დიდმპყრობელურმა შოვინიზმმა. ველიკორუსთა ეს მმართველი ფენა ცდილობს საბჭოთა კავშირში შემავალ მცირე ერებს სამოცზე მეტი ნაციონალობისაგან შემდგარსა და მოსახლეობის ნახევარზე მეტის შემცველს, წაართვას საკუთარი თვითშეგნება და მოახდინოს მათი ასიმილაცია.

საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი ლენინი იმთავითვე მიუთითებდა ველიკორუსული დიდმპყრობელობის საშიშროებაზე და აღნიშნავდა: "არ არის გამორიცხული ის ამბავი, რომ პარტიაში დროდადრო თავს იჩენს ველიკორუსული დიდმპყრობელური შოვინიზმი. ამგვარი გამოვლენა ძირშივე უნდა აღმოიფხვრას

---

ხხვათა შორის,
ახე განაცხადა,ნიკოლოზ სამხარაძემ თავის სიცყვაში,რომელიც მან წარმოსთქვა საქართველოს განათლების მანისცრომი მოწვეულ ისცორიკოსთა თათბირზე 1958 წლის 26 აგვისცოს

გეხაუზრებოდათ ლავით თაზორიძე!..

ქართული რედაქცია-რადიო"თავისუფლება"
ავტორი,დიქტორი: დავით თაბორიძე

## გადაცემათა ციკლი: საქართველო სამოცი წლის წინათ:

წამყვანი: ახლა ჩვენი მორიგი გადაცემა ციკლიდან - საქართველო 60-ი წლის წინათ. მიკროფონთან არის დავით თაბორიძე:

დიქტორი: გადაცემათა ციკლში - საქართველო 60-ი წლის წინათ - მე მსურს გაგაცნოთ ზოგიერთი მოვლენები,რომლებიც ჩვენს სამშობლო საქართველოში მოხდა 60-ი წლის წინათ, ე.ი. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა პერიოდში. დამოუკიდებლობის დროსა და საქართველოს დაპყრობის პირველ წლებში.

დიქტორი: რუსეთ -საქართველოს იურიდიული ურთიერთობის განსაზღვრისათვის საჭიროა რუსეთ -საქართველოს არა მარტო 1920-ი წლის 7-ი მაისის, არამედ რუსეთ-საქართველოს 1783-ი წლის 24-ი ივლისის ხელშეკრულების უფლებრივი ხასიათის გარკვევაც.

წინა საუბრებში ჩვენ უკვე გესაუბრეთ რუსეთ-საქართველოს 1783-ი წლის ხელშეკრულების დადებისა და მის მიერ საქართველოსა და ამიერკავკასიაში გამოწვეული მდგომარეობის შესახებ. ახლა გაგაცნობთ ამ ხელშეკრულების, ე.ი."ტრაქტატის" შინაარსს:
(რუსულიდან თარგმნა ზურაბ ნარსიამ):

(თარგმნა ზურაბ ნარსიამ. ამ ხელშეკრულების ძველი ქართული თარგმანი და ფრანგული თარგმანი იხილეთ "დამატებაში").

მასალები

# კ ა ვ კ ა ს ი ი ს   ა ხ ა ლ ი   ი ს ტ ო რ ი ი ს ა - თ ვ ი ს.

1722 წლიდან 1803 წლამდე.

პ.გ. ბუტკოვი

---

მეორე ნაწილი.

(ხუთი ნახაზით)

სანკტ პეტერბურგი, 1869.

---

იყიდება იმპერიის მეცნიერებათა აკადემიის კომისიონერებთან:

ბაზუნოვთან -ს.პ. ეგერსსა და კომისთან ს.პ.

ი.გლაზუნოვთან -ს.პ. გ.შმიცდორფთან ს.პ.

ი.ა. ისაკოვთან - ს.პ. ნ. კიმელთან რიგაში.

ენფიანჯიანთან და კომისთან თბილისში.

ფასი 2 მანეთი.

## თავი 108.

1783 წლის 24 ივლისს, იმავე დროს, როცა ყირიმის ბედი წყდებოდა, რუსეთისა და საქართველოს რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს ქვემორე მოყვანილ ტრაქტატს გიორგიევსკში.

### მუხლი პირველი.

ქართლისა და კახეთის მეფე, თავისი სახელით, თავისი მემკვიდრეებისა და მთამომავლების სახელით, სამუდამოდ იღებს ხელს სპარსეთის ან სხვა სახელმწიფოს ვასალობისა ან ნებისმიერი სხვა სახის დამოკიდებულებისაგან და თავისი თავისა და თავისი მემკვიდრეების მიმართ არ ცნობს სხვა თვითმპყრობელ ძალას, რუსეთის მონარქთა უმაღლესი ძალაუფლებისა და მფარველობის გარდა; ამასთან პირდება რუსეთს ერთგულებას და მზადყოფნას–ხელი შეუწყოს სახელმწიფოს ინტერესებს ყველა შემთხვევაში, სადაც ეს მას დაევალება.

### მუხლი მეორე.

მისი საიმპერატორო აღმატებულება, თავისი თავისა და თავისი მემკვიდრეების სახელით პირდება და იმედს იძლევა, რომ მათი წყალობა და მფარველობა არასოდეს არ ჩამოერთმევა კახეთისა და ქართლის მეფეებს. ამის დასამტკიცებლად, მისი აღმატებულობა ვალდებულებას კისრულობს, რომ შენარჩუნებული იქნება მეფე ერეკლეს სამფლობელოთა მთლიანობა, რაც გულისხმობს ამ ვალდებულების გავრცელებას ისეთ სამფლობელოებზეაც, რომლებიც დროთა მანძილზე, სხვადასხვა გარემოებებით, იქნება მოპოვებული და მის კუთვნილებაში დამტკიცებული.

### მუხლი მესამე.

ქართლისა და კახეთის მეფეები, რომლებიც მთამომავლობით მიიღებენ თავიანთ სამეფოს ვალდებულნი არიან მაშინვე აცნობონ ამის შესახებ რუსეთის საიმპერატორო კარს და მოსთხოვონ თავიანთ ელჩებს მეფობაზე იმპერატორის დასტურის მიღება. მათ უნდა მიიღონ აგრეთვე სიგელი, დროშა რუსეთის

იმპერიისა, რომელზედაც აღნიშნული იქნება ამ სამეფოთა ღერბები, ხმალი, სახელმწიფო კვერთხი და მანტია, ან ყარყუმის ბეწვიანი მოსასხამი.

მეფე, ყველაფერ ამის მიღების შემდეგ, ვალდებულია, რუსი მინისტრის თანდასწრებით, საზეიმოდ მიიღოს ფიცი რუსეთის იმპერიის მიმართ ერთგულების, რუსეთის იმპერატორთა უმაღლესი ძალაუფლებისა და მფარველობის ცნობის შესახებ იმ ფორმით, რომელიც თან ერთვის ამ ტრაქტატს. ეს ცერემონია მეფე ერეკლეს მიერაც უნდა იქნას შესრულებული.

მუხლი მეოთხე.

მეფე ვალდებულია, არ დაამყაროს ურთიერთობა მეზობელ სამფლობელოებთან, მის კართან აკრედიტებული მისი საიმპერატორო აღმატებულების მინისტრთან და მთავარ სასაზღვრო უფროსთან წინასწარი შეთანხმების გარეშე; ხოლო როცა ამ სამფლობელოებიდან ჩამოვლენ წარგზავნილები, ან მიღებული იქნება წერილები, მაშინ აუცილებელია რჩევის მიღება ამ მინისტრისა და მთავარ სასაზღვრო უფროსისაგან, წარგზავნილთა უკან გასტუმრებისა და წერილზე პასუხის გაცემის თაობაზე.

მუხლი მეხუთე.

მისი საიმპერატორო აღმატებულება პირობას იძლევა, რომ რუსეთის საიმპერატორო კართან დაშვებული იქნება მეფის მიერ წარგზავნილი მინისტრი ან რეზიდენტი, და რომ იგი მიიღება სხვა სამფლობელოთა თანაბარი რანგის თავად-მინისტრთა მსგავსად; გარდა ამისა, მეფე, თავის მხრივაც კისრულობს ვალდებულებას, სამეფო კართან იყოლიოს რუსეთის მინისტრი ან რეზიდენტი.

მუხლი მეექვსე.

მისი საიმპერატორო აღმატებულობა პირობას იძლევა: 1) ქართლისა და კახეთის ხალხები მიჩნეული იქნებიან მკიდრო კავშირსა და სრულ თანხმობაში ამ იმპერიასთან. აქედან გამომდინარე, მათი მტრები მის მტრებად იქნება მიჩნეული. ამიტომ სამშვიდობო ხელშეკრულებები ოსმანის პორტასთან, სპარსეთთან ან სხვა სახელმწიფოსთან და ოლქთან, უნდა გავრცელდეს მისი საიმპერატორო აღმატებულობის მფარ-

ველობის ქვეშ მყოფ ამ ხალხებზედაც,2) მეფე ერეკლე, მისი მემკვიდ-რეები და შთამომავლები, განუწყვეტლივ იქნან უზრუნველყოფილნი სამე-ფო ტახტით ქართლსა და კახეთში. 3) მიენიჭოს მეფეს მაღაუფლება შინა-ურ საქმეებში, გადასახადების აკრეფაში, სამართალსა და სასჯელის გამოცანა-ში, მისი ნებისა და სარგებლის შესაბამისად; მის სამხედრო და სამო-ქალაქო ხელმძღვანელობას აეკრძალოს რაიმე განკარგულებათა გაცემა.

## მუხლი მეშვიდე.

მეფე, თავის მხრივ, თავისი თავისა და მემკვიდრეთა სახელით, კის-რულობს შემდეგ ვალდებულებებს: 1) მუდამ მზად იყოს თავისი ჯარები-თურთ, ემსახუროს მის აღმატებულებას. 2)მუდმივ ურთიერთობაში იმყო-ფებოდეს რუს უფროსობასთან ყველა იმ საკითხებში, რომლებიც მისი სა-იმპერატორო აღმატებულობისადმი სამსახურს შეეხება; დააკმაყოფილოს ამ უფროსთა მოთხოვნები და დაიცვას მისი აღმატებულობის წარმომადგენ-ლები ყოველგვარი შევიწროებისა და დევნისაგან. 3) ადგილებზე ხელმძღ-ვანელთა დანიშვნას, მათ დაწინაურებასა და დაჯილდოებას; ღირსეული პატივი სცეს იმ პირებს, რომლებსაც ღვაწლი მიუძღვით რუსეთის იმპე-რიისადმი რომლის მთავრობაზეა დამოკიდებული ქართლსა და კახეთში სიმშვიდე და კეთილდღეობა.

## მუხლი მერვე.

მის საიმპერატორო აღმატებულებას სურს, რომ საქართველოს კათოლი-კოსი ან მთავარი არქიეპისკოპოსი ითვლებოდეს რუს მღვდელმთავართა შო-რის მერვე ხარისხში, სახელდობრ, ტობოლის მღვდელმთავრის შემდეგ; სა-მუდამოდ მიენიჭოს მას უწმინდესი სინოდის წევრის წოდება; ხოლო რაც შეეხება ქართული ეკლესიის მმართველობასა და რუსეთის სინოდისადმი და-მოკიდებულებას, ამის შესახებ შემუშავებულ იქნას მუხლი.

## მუხლი მეცხრე.

მისი საიმპერატორო აღმატებულება აღგენს, რომ მეფის ქვეშევრდომი თავადები და მემამულეები რუსეთის იმპერიაში ყველა იმ უპირატესობით ისარგებლებენ,რომლებითაც სარგებლობენ რუსეთის დიდგვაროვანნი; მეფე

ვალდებულია წარუდგინოს მისი აღმატებულობის კარს ყველა დიდგვაროვნის სია, რომ მისმიხედვით იყოს ზუსტად ცნობილი, თუ ვის როგორი პატივი ეკუთვნის.

მუხლი მეათე

დადგენილია, რომ ქართლისა და კახეთის ყველა მცხოვრებს უფლება აქვს რუსეთში გამგზავრებისა, დასახლებისა და უკან დაუბრკოლებლივ დაბრუნებისა; ტყვეები კი, რომლებიც ძალით, ან მოლაპარაკებათა გზით იქნებიან განთავისუფლებული თურქების, სპარსელების ან სხვა ხალხების ტყვეობიდან, მათი სურვილისდამიხედვით იქნან გაშვებულნი; დაბრუნებულ იქნას მხოლოდ მათი გამოსყიდვისა და მგზავრობის ხარჯები; ამასთან დაკავშირებით, მეფეც იღებს ვალდებულებას, წმიდად შეასრულოს იგივე, მეზობლებთან ტყვედ ჩავარდნილ რუსეთის მკვიდრთა მიმართაც.

მუხლი მეთერთმეტე

ქართლისა და კახეთის ვაჭრებს თავისუფლად შეუძლიათ თავიანთი საქონლის რუსეთში გატანა; თანაც ისინი იმავე წესებითა და უპირატესობებით ისარგებლებენ, რომლითაც რუსეთის მკვიდრნი სარგებლობენ. ამასთანავე, მეფე ვალდებულებას კისრულობს, დაადგინოს მისი აღმატებულობის სასაზღვრო უფროსთან, ან მინისტრთან ერთად, რუსეთის სოვდაგართა ვაჭრობის გაადვილების პირობები მის ოლქებში, ან სხვაგან სავაჭროდ, ამ ოლქების გავლის თაობაზე. სოვდაგართა სარგებლობის პირობათა შესახებ ზუსტი დადგენილების გარეშე, ამ მუხლს არ შეიძლება ძალა ქონდეს.

მუხლი მეთორმეტე.

ეს ხელშეკრულება სამუდამოდ არის დადებული, მაგრამ თუ რაიმე ცვლილების ან დამატების შეტანა იქნა საჭირო ორივე მხარის სასარგებლოდ, დაშვებულ იქნას ამის უფლება.

მუხლი მეცამეტე.

ამ ტრაქტატის რატიფიცირებული სიგელების გაცვლა, მისი ხელმოწერიდან ექვსი თვის შემდეგ უნდა მოხდეს, ან უფრო ადრე, თუ ეს იქნება შესაძლებელი.

ამ ტრაქტატის სათანადო მუხლებში შეტანილია აგრეთვე შემდეგი სეპარატული დადგენილებები:

პირველი მუხლი.

ერჩიოს მეფეს მეგობრობა და კეთილი ურთიერთობა შეინარჩუნოს იმერეთის მეფე სოლომონთან, რომ ეს ერთი სარწმუნოებისა და ერთი წარმოშობის ხალხი ერთმანეთთან მეგობრულად და კეთილად იყოს განწყობილი, რომ ერთიანი ძალებით მოიგერიონ მათ თავისუფლებაზე, სიმშვიდესა და კეთილდღეობაზე ნებისმიერი თავდასხმა; მისი საიმპერატორო აღმატებულება არა მარტო ხელს შეუწყობს ამ კეთილი საქმის განხორციელებას, არამედ ასეთი მშვიდობისა და ურთიერთობის დამყარების ვალდებულებას კისრულობს.

მეფე აღიარებს, რომ მეფე სოლომონთან ურთიერთობაში, როგორც ამჟამად, ასევე მომავალშიაც, უმაღლეს არბიტრად სცნობს მის აღმატებულებას; ამ ორ სამეფოს შორის წარმოშობილი უთანხმოება ან გაუგებრობა მისი საიმპერატორო აღმატებულების გადაწყვეტილებას დაემქვედებარება.

მეორე მუხლი.

მეზობელთა შევიწროებისაგან ქართლისა და კახეთის დასაცავად, მისი საიმპერატორო აღმატებულება ვალდებულებას კისრულობს, მეფის ჯარებისათვის დახმარების მიზნით, იყოლიოს მის ოლქებში ფეხოსანთა ორი სრული ბატალიონი ოთხი ზარბაზნითურთ, რომლის მომარაგება საკვებითა და ფურაჟით ნატურის სახით იწარმოებს ამ მიწებიდან იმ ფასებში, რომელზედაც შეთანხმდებიან მეფე და მთავარი სასაზღვრო უფროსი.

მესამე მუხლი.

ომის შემთხვევაში, მთავარი სასაზღვრო უფროსი, მისი საიმპერატორო აღმატებულობისაგან მუდამ უნდა იყოს უფლებამოსილი, შეათანხმოს ქართლისა და კახეთის მეფესთან, აღნიშნული მიწების დაცვისა და მტრის წინააღმდეგ მოქმედებისათვის საჭირო ღონისძიებები; ეს მოწინააღმდეგე საერთო მტრად უნდა იქნას მიჩნეული. ამასთან ერთად დგინდება, რომ თუ ქართლისა და კახეთის ჯარის ნაწილები გამოყენებული იქნება მისი საიმპერატორო აღმატებულების სამსახურში მათ ფარგლებს გარეთ, მათი სრული შენახვა,

მისი აღმატებულობის სხვა ჯარებისაგან განსხვავებით, მათ მიერვე უნდა ხდებოდეს.

და ბოლოს, მეოთხე მუხლში.

მისი საიმპერატორო აღმატებულება ვალდებულებას კისრულობს, რომ ომის შემთხვევაში, შეიარაღებითა და ყველა სხვა საშუალებებით აღმოუჩენს დახმარებას, მშვიდობის დროს კი ეცდება ქართლ-კახეთის სამეფოს დაუბრუნდეს ის მიწები და ადგილები, რომლებიც მას წარსულში ეკუთვნოდა; ეს მიწები დარჩება ამ სამეფოს შემადგენლობაში, თანახმად ხელმოწერილი ტრაქტატისა სრულიად რუსეთის იმპერატორთა მიერ მათდამი მფარველობისა და უმაღლესი ძალაუფლების შესახებ.

ტრაქტატი მიღებულ იქნა თბილისში, 20 აგვისტოს, 1783 წელს

რუსეთის მფარველობის ქვეშ საქართველოს შესვლის შესახებ თავადმა პოტიომკინმა ამ ტრაქტატის ასლები გაუგზავნა აზერბაიჯანის ხანებს.

## თავი 109.

ტრაქტატრიცა შემადგენელ მუხლთა გარდა, იმპერატრიცა ეკატერინემ დააკმაყოფილა მეფე ერეკლეს შემდეგი მოთხოვნები:

იმის გამო რომ ერეკლე, სამეფო ტახტის მიღებისას ნაკურთხი არ ყოფილა, იმპერატრიცა ეკატერინემ ინება, რომ მოხდეს მისი კურთხევა ძველი, წმიდა ადათ-წესის მიხედვით.

მეფის რწმუნებულთა განცხადების თანახმად, მეფე ერეკლეს მთელს აზიაში ეძლევა წოდება "უმაღლესი", ანუ "აღმატებულობა", ამდენად, რუსეთის მხრიდან დათანხმდნენ ყველა აქტში მეფეს ასე უწოდონ, წინანდელი "ბრწყინვალების" ნაცვლად.

მეფეს ფულის მოჭრის უფლება ეძლევა, ერთ მხარეზე თავისი გამოსახულებით, მეორე მხარეზე კი ქართლისა და კახეთის სამეფოთა ღერბის გამოსახულებით, მაგრამ მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ ღერბის ზემოთ გამოსახული ექნება რუსეთის ორთავიანი არწივი, ამ სამეფოთა მიმართ რუსეთის

იმპერატორთა მფარველობის აღსანიშნავად.

როცა, რწმუნებულთა მოლაპარაკებების შედეგად, ყველაფერი ამგვარად გადაწყდა, მაშინ,- 1783 წელს,თბილისში,საზეიმოდ, ხალხის გულითადი სიხარულით,აღინიშნა ტრაქტატის დადება. ნოემბრის თვეში მეფეს წარუდგინეს იმპერატრიცა-ეკატერინეს მიერ რატიფიცირებული ტრაქტატი, უმაღლესი სიგელი და ხელისუფლების აღმნიშვნელი ნიშნები, ამასთან მისგან მიღებულია ფიცი რუსეთის იმპერიისადმი ერთგულებისა და მეგობრობის შესახებ. ტრაქტატის ძალით, რწმუნებულებსა და საქართველოს სხვა დიდგვაროვანთ მიერთვა 30.500 მანეთის ღირებულების საჩუქრები, ხოლო ერეკლეს მეუღლეს , დედოფალ დარია გრიგოლის ასულს,-წმინდა ეკატერინეს ორდენი ბრილიანტის ვარსკვლავითა და ბეჭედი, 5500 მანეთის ღირებულებით. ეს ორდენი მეფე ერეკლემ თვითონ გაუკეთა მას ეკლესიაში, 1784 წლის 25 იანვარს, სადაც იგი მაშინ პირველად იყო პირბადის გარეშე.

ერეკლეს უფროსობით მეხუთე შვილმა მირიანმა, რომელიც მაშინ 17-ი წლისა იყო, მიიღო პოლკოვნიკის წოდება და ყაბარდოს ფეხოსანი პოლკის მთავარსარდლობა, რომელიც მაშინ კავკასიის ხაზზე იმყოფებოდა; ერეკლეს უფროსობით მეოთხე შვილმა, რომელიც ბერ-მონაზვნად შედგა და რომელიც ოცი წლის ასაკში არქიმანდრიტი იყო, მოსკოვში არქიეპისკოპოსად იქნა ნაკურთხი და დაინიშნა საქართველოს კათოლიკოსად. მეფის გენერალ-ადიუტანტი, თავადი ჭავჭავაძე, რომელიც მონაწილეობდა ტრაქტატის შედგენაში, მიღებულია რუსეთის საიმპერატორო კარზე მინისტრის სახით.

ყველა ისინი წარსდგნენ იმპერატრიცა ეკატერინეს წინაშე. თვითონ მეფესაც სურდა ეს მან მიიღო მისი აღმატებულების ნება-სურვილი 1785 წელს ტავრის გუბერნიაში შეხვედრაზე, იმპერატრიცას იქ ყოფნის დროს, თუ ეს ხელს არ შეუშლიდა მას სამეფოთა მართვაში. როგორც ჩვენ ამას შემდგომში დავინახავთ, იგი მართლაც სახლში დარჩა.

ტრაქტატის მიღებისას, საქართველოს რწმუნებულებმა წინადადება წამოაყენეს, შემდეგნაირი ტიტულები ეწოდებინათ მეფე ერეკლესათვის.:

ერეკლე მეორე, კახეთის მეფე და ქართლის მეფე, სამცხე-საათაბეგოს მემკვიდრე თავადი, ყაზახთა თავადი, ბორჩალოს თავადი, შამშადილის თავადი, კახის თავადი, შაკის თავადი, შირვანის თავადი, განჯის, ერევნი-

სა და სხვათა მფლობელი და მფარველი.

მაგრამ ტრაქტატში ეს ტიტულები არ იქნა მიღებული.

1783-ი წლის 24-ი ივლისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების რაობა ასე გამოიყურება:

> 24 იანვარს 1784 წელს, ერეკლემ ტრაქტატს ხელი მოაწერა, და ეს „მეგობრობითი პირობა" ძალაში შევიდა.
>
> ტრაქტატი ორმხრივ ვალდებულებებს ითვალისწინებდა.
>
> ქართლ-კახეთის მეფე სამუდამოდ სამუდამოდ უარყოფდა თავის დამოკიდებულებას ირანისა თუ სხვა ხელმწიფეთაგან, ამიერიდან ის მხოლოდ იმპერატორის უზენაეს უფლებას სცნობდა და მის საფარველში შედიოდა.
>
> ქართლ-კახეთის ტახტზე ახლადგამეფებული ამიერიდან რუსეთის იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა.
>
> უცხო სახელმწიფოებთან დიპლომატიურ ურთიერთობასაც ქართლ-კახეთის მეფე ამიერიდან დამოუკიდებლად არ აწარმოებდა. ყოველ ასეთ შემთხვევაში ის მოვალე იყო რუსეთის მთავრობის ადგილობრივ მოხელეს შესთანხმებოდა.
>
> დასასრულ, ქართლ-კახეთის მეფე მოვალე იყო მთელი თავისი სამხედრო ძალით საჭირო დროს რუსეთის მეფის სამსახურზე გამოსულიყო.
>
> თავის მხრით, რუსეთის იმპერატორი ქართლ-კახეთის მეფეს სამუდამო მფარველობას აღუთქვამდა. ამის ნიშნად იმპერატორი ერეკლეს სამფლობელოს დაცვას იღებდა.
>
> ამიერიდან უცხო ქვეყნების მიმართ რუსეთი და საქართველო ერთი იყო. იმპერატორი პირობას იძლეოდა, რომ საქართველოს მტერს თავის მტრად იგულებდა.
>
> იმპერატორი პირობას სდებდა, რომ ერეკლესა და მის ჩამომავლობას ქართლ-კახეთის ტახტზე უცვალებლად დაიცავდა.
>
> ქვეყნის შინაურ მართვა-გამგეობაში ქართლ-კახეთის მეფე დამოუკიდებელი იყო. რუსეთი საქართველოს შინაურ საქმეებში არ ერეოდა.
>
> ტრაქტატს ახლდა კერძო (საიდუმლო) პუნქტები. ამათ თანახმად ერეკლე სოლომონ მეფესთან თანხმობით ყოფნას იღებდა, ხოლო უთანხმოების შემთხვევაში ის რუსეთის ხელმწიფეს შუამავლად სცნობდა და საცილობელ საკითხს მის მსჯავრს ანდობდა.
>
> ქართველთა ჯარის გასამტკიცებლად და საქართველოს დასაცავად რუსეთი საქართველოში მუდმივ სამყოფად ორ ბატალიონს ქვეითა ჯარს გზავნიდა, ხოლო ომის შემთხვევაში დამატებითი სამხედრო შენაწევრობის აღმოჩენას კისრულობდა. იმპერატორი აღთქმას სდებდა აგრეთვე, რომ ომისა თუ დაზავების დროს ის ყოველ ღონეს მოიხმარდა, რათა საქართველოს დაბრუნებოდა ყველა კუთხე და მხარე, რომელნიც მტრებს ჰქონდათ მისგან მიტაცებული.
>
> ტრაქტატით გათვალისწინებული რუსთა ჯარი 1783 წელს, სამ ნოემბერს, მოვიდა თბილისში, ხოლო 23 იანვარს, 1784 წელს, ერეკლემ რუსეთის იმპერატორისადმი ერთგულების ფიცი მიიღო. 1

1801-ი წლის 12-ი სექტემბრის მანიფესტით კი რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა დაარღვია 1783-ი წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება და გააუქმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

=================================

(

ქართული რედაქცია-რადიო"თავისუფლება"

ავტორი,დიქტორი: დავით თაბორიძე

## ე.შევარდნაძე 1783-ი წლის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატის შესახებ:

წამყვანი:როგორ აფასებს პარტიული ხელმძღვანელობა 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას,"ტრაქტატს"? -
საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველმა მდივანმა - ედუარდ შევარდნაძემ - შეეხო რა რუსეთ-საქართველოს 1783-ი წლის ხელშეკრულებას, მან რუსეთთან საქართველოს "შეერთების" დასაბამი უწოდა.

დიქტორი: ედუარდ შევარნაძის აზრით, რუსეთ-საქართველოს 1783-ი წლის ხელშეკრულება, ისე როგორც საქართველოს ე.წ-ლი"გასაბჭოება" 1921 წლის თებერვალ-მარტში ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული ე.წ-ლი"საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით" მშრომელების აღზრდისათვის, ვინაიდან 1983 წელს რუსეთ-საქართველოს 1783-ი წლის ხელშეკრულების 200-ი წლისთავია.

მაგრამ ვითომ ეს თარიღები გამოდგება საქართველოს მოსახლეობის "საბჭოთა პატრიოტიზმის" სულისკვეთებით აღზრდისათვის? - ჯერ ერთი უნდა აღინიშნოს, რომ 1783 წლის ხელშეკრულებას არავითარი კავშირი არ აქვს არც "საბჭოთა პატრიოტიზმთან" და არც პროლეტარულ თუ სოციალისტურ ინტერნაციონალიზმთან იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება დადებულ იქნა საქართველოს მეფე ერეკლე მეორესა და რუსეთის

იმპერატრიცა ეკატერინე მეორეს შორის, ე.ი. იმ ხანაში,როცა "საბ-ჭოთა პატრიოტიზმზე" თუ "პროლეტარულ ინტერნაციონალიზმზე"ლაპარაკი ანაქრონიზმია და სხვა არაფერი. მაგრამ უფრო არსებითია ის ფაქტი, რომ 1783-ი წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას შეუძლებელია დასაბამი მიეცა საქართველოს რუსეთთან შეერთებას, ვინაიდან ასეთ ისტორიულ ფაქტს საერთოდ არ ჰქონია ადგილი რუსეთ-საქართველოს ისტორიაში, თუ იურიდიულ ცნებას ანექსიას, ყალბათ არ გავაიგივებთ სიტყვა "შეერთებასთან". "შეერთება" ნიშნავს არა ძალადობით, არამედ განსაზღვრულ ნებაყოფლობით აქტს;"ანექსია" კი არის ცალმხრივი, ძალადობითი აქტი და სწორედ ასეთ აქტს ჰქონდა ადგილი მეფის რუ-სეთის მხრიდან საქართველოში 1801 წელს. რაც შეეხება 1783-ი რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას - ეს იყო "მეგობრობითი პირობა", "ტრაქტატი" ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის. რუსეთის იმპერატორი პირობას სდებდა,რომ ქვეყნის შინაურ საქმეებში არ ჩაერეოდა და ერეკლესა და მის ჩამომავლობას ტახტზე უცვალებლად დაიცავდა. მაგრამ სწორედ ეს პირობები დაარღვია რუსეთის იმპერატორმა და 1801 წელს მოახდინა საქართველოს ანექცია და აქცია ის რუსეთის იმპე-რიის ერთერთ პროვინციად.

ამდენად საქართველოს,ქართველ ხალხს არავითარი საფუძველი არ აქვს აღნიშნოს 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების 200-სი წლისთავი,როგორც საქართველოს თითქოსდა რუსეთთან "შეერთე-ბის" დასაბამი.

რაც შეეხება საქართველოს ე.წ-ლ "გასაბჭოების" 60-ი წლისთავს, რომლის აღნიშვნა ედუარდ შევარდნაძეს 1981 წელს სურს,ამ შემთხვე-ვაში საქმე კიდევ უფრო ნათელია: საბჭოთა ხელისუფლება საქართვე-ლოში დამყარებულ იქნა საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, რომელიც,ომის გამოუცხადებლად, დაიწყო წითელმა არმიამ ლენინის ბრძანებით, 1921 წლის 11-თ თებერვალს. ამ უთანასწორო ომში თავი ისახელა საქართველოს ახალგაზრდა არმიამ,განსაკუთრებით ტაბახმე-

ლაზე,სადაც ქართველმა მხედრებმა მწარე მარცხი აგემებს მომხდურ მტერს; მაგრამ რა შეეძლო პატარა საქართველოს რუსეთის მრავალრიცხოვანი წითელი არმიის წინააღმდეგ?!.. 1921 წლის 25-თ თებერვალს წითელი არმიის ნაწილები შემოვიდნენ თბილისში და სწორედ ამ დღეს უწოდებს პარტიული პროპაგანდა "საქართველოს გასაბჭოების დღეს!" საყურადღებოა აგრეთვე ის ფაქტი, რომ საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელები ყოველთვის გაურბიან 1920 წლის 7-ლი მაისის საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების ხსენებასაც კი,რომლის ძალით ლენინის მთავრობამ (დე იურე და დე ფაქტო) იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა. ლენინმა ეს ხელშეკრულებაც ისევე დაარღვია,როგორც რუსეთის იმპერატორებმა 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატი.

დღ ჟუჟოა ამ ფაქტის შემდეგ, განა რაიმე საბაბი არსებობს ამ ხელშეკრულებების იჯ²იჯე ან საქართველოს პირველი და მეორე დაპყრობის თარიღები 1801 წელი და 1921 წელი ალნიშნულ იქნან სადღესასწაულო ვითარებაში, როგორც ეს ედუარდ შევარდნაძეს სურს?..

ლიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი ლევიზია — ერისა და პიროვნების თავისუფლება,
ვანადან——ერს-უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
და ამასთან დეკადენტურების მაგისნდება,პატრიოტული მსმენელები,-

ვაჟა-ფშაველას სიტყვები:

"უპირველეს ყოვლისა სული უნდა გრძნობდეს ბუნებას; იგი როგორც განაცხულზე ბუნება, უნდა ყვაოდეს, უნდა მწვანდებოდეს, უნდა იყოს ცხოველმყოფელი, მქმნელი სიცოცხლისა, ცოცხალ არსებათა მომცემი და ამასთან უსაზღვროდ თავისუფალი, როგორც განაცხულზე ბუნება".

ვაჟა-ფშაველა დასძენს:

"მონობა სიკვდილია - თავისუფლება სიცოცხლე და ბედნიერება. მონობაში არწივი ას წელს ვერ ცოცხლობს, თავისუფლებაში კი ირასსაც გადააჭარბებს".

ქართული რედაქცია-რადიო"თავისუფლება"

ავტორი,დიქტორი: დავით თაბორიძე

**ხაბჭოთა რუსეთ- საქართველოს 1920 წლის 7-ი მაისისა**

**და**

**რუსეთ-საქართველოს 1783 წლის "ტრაქტატის"**

**უ ფ ლ ე ბ რ ი ვ ი   ს ა ს ი ა თ ი:**

წამყვანი: (სიგნალი,მუსიკა...)
ჩვენი ლღევანდელი პროგრამის მეორე ნაწილი მთლიანად მიძღვნილია ციკლისადმი -"საქართველო ხამოცი წლის წინათ", ვინაიდან ესაა ჩვენი მე-100-ხე გადაცემა ამ სერიიდან.

დიქტორი: წინა საუბრებში ჩვენ ვაგაცანით თუ როგორ იქნა დადებული რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ტრაქტატი და საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7-ი მაისის ხელშეკრულება და გაგაცანით აგრეთვე ამ ხელშეკრულებათასრული ტექსტი. ახლა შევეცადოთ ამ ხელშეკრულებათა უფლებრივი სასიათის გარკვევას.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ორ ხელშეკრულებას,სახელდობრ 1783 წლის ე.წ-ლ"ტრაქტატს",რომელიც დადებულ იქნა ერეკლე მეფესა და იმპერატრიცა ეკატერინეს შორის, და 1920 წლის 7-ი მაისის ხელშეკრულებას, რომელიც დადებულ იქნა საბჭოთა რუსეთსა და დამოუკიდებელ საქართველოს შორის, - ჰქონდა საერთაშორისო ხელშეკრულების სასიათი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სხვა ხელშეკრულებებს, რომლებიც იმპერატორულმა რუსეთმა თავის დროზე დადო საქართველოს სხვა სამეფოებსა და სამთავროებთან,მაგალითად, იმერეთის სამეფოსთან თუ სამეგრელოს სამთავროსთან. მაგრამ მაინც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა 1983 წლის რუსეთ-საქართველოს,უფრო ზუსტად,რუსეთ-ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დადებულ ხელშეკრულებას,ვინაიდან მეფე ერეკლე 1790 წლის დადებული და "ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული"ხელშეკრულებით სამხედრო კავშირის მეთაური გახდა. რაც შეეხება 1801-ი წლის რუსეთის იმპერატორის მიერ გამოცხადებულ ე.წ-ლ"მანიფესტს" საქართველოს შესახებ,რასაც მოყვა საქართველოს ანექსია.

კარლო ინასარიძე

# 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების უფლებრივი ხასიათი

ამოღებული იურიდიულ დისერტაციიდან:

**DIE STAATSRECHTLICHE STELLUNG DES KOENIGREICHES VON KARTELI UND KACHETHI ZU RUSSLAND AUF GRUND DES VERTRAGES VOM 24. JULI 1783 ZWISCHEN DER KAISERIN KATHARINA II. VON RUSSLAND UND DEM KOENIG HERAKLIUS II. VOM KARTHLI UND KACHETHI.**

Juristische Dissertation, Muenchen 1951

(გერმანულიდან თარგმნა ავტორმა. ქ. მიუნხენი, 1951 წელი)

Muenchen, 1951

## 1783 წლის ხელშეკრულების უფლებრივი ხასიათი

"სახელმწიფო არის, იურიდიული გაგებით, უმაღლესი ძალაუფლებით (სუვერენიტეტით) აღჭურვილი ტერიტორიალური მთლიანობა".[1] სახელმწიფოს არსებითი შემადგენელი ნაწილებია: ხ ა ლ ხ ი (ერი) ის არის პირველადი (primaere) სახელმწიფოში, რომელიც ოჯახური და ტომობრივი გაერთიანების შემდეგ, ნაწილობრივად ფიზიკურ და ნაწილობრივად გონებრივ ფაქტორებს ეყრდნობა, რომლებიც ხალხის წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ენის, ჩვეულების, რელიგიის, კულტურის და აგრეთვე სხვა ისტორიული ბედის მიმენდებში თავის საფუძველს პოულობს; ტ ე რ ი ტ ო რ ი ა, რომელშიაც ხალხი "მუდმივად" და "განმორებულად" სხვა ერებისაგან (ხალხთაგან) ცხოვრობენ; და ხალხისა და ტერიტორიის ორგანიზაცია ანუ ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ა, რომელიც წყდება ამ ხალხიდან გამომდინარე ძალებს ერთ სახელმწიფო ძალაუფლებაში აერთიანებს, როგორც უმაღლეს იძულებით ძალას. ამ სახელმწიფო უმაღლეს ძალას შეუძლია მიიღოს სუვერენიტეტის (დამოუკიდებლობის) თვისება.

ვინაიდან ქართლ-კახეთის სახელმწიფოს ს უ ვ ე რ ე ნ ი ტ ე ტ ი ს[2] საკითხი 1783 წლის ხელშეკრულების დადების შემდეგ, საერთაშორისო სამართლის თანახმად, შეიცვალა, გვინდა ეს საკითხი გავარკვიოთ.

ცდილობენ, - მეცნიერული კვლევის გაზიარებული შედეგის შესაბამისად, რომელსაც ახასიათებს მკვეთრი განცალკევება საერთაშორისო სამართლისა და ცალკეული სახელმწიფოს ნიჭიერების შორის - "სუვერენიტეტით" წოდებული თვისება ორი მიმართულებით, სახელდობრ ცალკეული სახელმწიფოს მხრიდან "შინაგან" და "საგარეო" მიმართულებით გაჰყონ და ამის საფუძველზე სუვერენული სახელმწიფოს ძალაუფლება სხვა სახელმწიფოსაგან "დამოუკიდებელი" და მასთან შეერთებულ ან დაქვემდებარებულ პირებთან დამოკიდებულებაში, როგორც "უმაღლესი" განსაზღვრონ

ამგვარად ქმნიან საერთაშორისო სამართლის და სახელმწიფო სამართლის სუვერენიტეტს შორის განსხვავებას. მართი ეს დაყოფა ლოგიკურ მსჯელობას ვერ უძლებს, ვინაიდან ეს უკანასკნელი არ ერთმანეთისაგან შეუხამებელ მიერთად ლეგიტი-მის არევდარევას. სუვერენიტეტის აზრში უნდა გამოხატოს,რომ ცალკეული სახელმწიფოს ძალაუფლება – იურიდიული განსაზღვრის სფეროში – აბსოლუტურად უმაღლესი არის.3) ამგვარი განსაზღვრის საფუძველზე სახელმწიფოს შეუძლია "უმაღლესი" "საშინაო" და "დამოუკიდებელი" "საგარეო" საქმეებში იყოს.

შინაგანი და გარეგანი სუვერენიტეტის ცნებების ამგვარი განსაზღვრის შემდეგ, ცდილობენ,როგორც პირველიდან გამომდინარე, აღნიშნონ სახელმწიფოს პოლიტიკურად ორგანიზაციის უფლება; ეს ნიშნავს: რომ მას(სახელმწიფოს) ქონდეს კანონმდებლობის,აღსრულების და ~~სასამართლოს~~ ძალაუფლება. როგორც გარეგანი სუვერენიტეტის ანდა დამოუკიდებლობის უფლებად აღნიშნავენ: უფლებას, რომლის საფუძველზე სახელმწიფოს შეუძლია სხვა სახელმწიფოებთან თავისუფლად დამოკიდებულებაში შევიდეს; ამას ეკუთვნის: წარმომადგენლობის,ხელშეკრულებების დადების, ომის წარმოების და სხვა უფლებები. ამგვარი განსხვავების დროს ნათლად ჩანს ის/გაურკვეველი დუალიზმი, რომელიც საერთაშორისო სამართალსა და ცალკეული სახელმწიფოს წესრიგებს შორის არსებობს; და რომლის გადაწყვეტა სამართლის მეცნიერებს სერიოზული სიძნელეების წინაშე აყენებს. მაგრამ "შინაგანი" და "გარეგანი" სუვერენიტეტი შეიძლება იურიდიულად გაგებული იქნეს მხოლოდ როგორც ერთი მთლიანობა,რომელიც საერთაშორისო სამართლის ცნების სფეროში ექცევა.4)

ს.

სახელმწიფო ეს "მთელი სუვერენიტეტი" შეიძლება,საერთაშორისო სამართლის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებებით, იქნეს შეზღუდული. მაგრამ როდის კარგავს სახელმწიფო სუვერენობას ანდა როდის ისპობა იგი მთლიანად როგორც სახელმწიფო?

ამ კითხვებზე რომ ჩვენ დამაკმაყოფილებელი პასუხი გავცეთ საჭიროა ჯერ განვსაზღვროთ – როგორი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება შეიქმნა ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის 1783 წლის ხელშეკრულების საფუძველზე;რომლის შემდეგ . სუვერენიტეტის საკითხის გარკვევა უფრო გაადვილდება.

თავისთავად ცხადია, რომ საერთაშორისო სამართლის, — მიუხედავად იმისა, რომ 1783 წლის ხელშეკრულებას "განსაკუთრებულ" ხელშეკრულებათა კატეგორიას აკუთვნებენ, — არ შეუძლია ყოველი "განსაკუთრებული" ხელშეკრულების უფლებრივი ხასიათის განსაზღვრისათვის ახალი ცნებები შექმნას; არამედ თვით ხელშეკრულებაუნდა იქნეს იმ ცნებების საფუძველზე განსაზღვრული, რომელიც საერთაშორისო სამართლის პრაქტიკამ და თეორიამ საუკუნეების მანძილზე გამოიმუშავა.

სახელმწიფოების ერთმანეთთან დაკავშირების ყველაზე მარტივი ფორმაა ე.წ. პ ე რ ს ო ნ ა ლ უ რ ი კ ა ვ შ ი რ ი [6] (Personalunion): - შემთხვევითი შეერთება ორი სახელმწიფოსი ერთი მონარქის ქვეშ, რომლის დროს ორივე სახელმწიფო საერთაშორისო სამართლის სუბიექტები რჩებიან. (მაგალითად, ესპანეთის მონარქი კარლ I არჩეული იყო აგრეთვე გერმანიის მეფედ (1519-1556); ინგლისი და ჰანოვერი 1714-1837 წ.წ. და სხვ.). ამ მოკლე განსაზღვრებიდან ცხადად ჩანს, რომ 1783 წლის ხელშეკრულება არავითარ კავშირში არ არის პერსონალურ კავშირთან, ვინაიდან ქართლ-კახეთის სამეფომ, ხელშეკრულების საფუძველზე, თავისთავზე რუსეთის უმაღლესი ძალაუფლება იცნო და ამით ქართლ-კახეთის სახელმწიფოს სუვერენიტეტის უფლება კითხვის ქვეშ დააყენა. [7]

რ ე ა ლ უ რ ი - კ ა ვ შ ი რ ი ს (Realunion) ცნებასაც ვერ აკმაყოფილებს 1783 წლის ხელშეკრულება, ვინაიდან აქაც ორივე სახელმწიფოსათვის საერთო მონარქია გათვალისწინებული და პერსონალური კავშირის საწინააღმდეგოდ — რეალურ კავშირს საერთაშორისო სამართალი ძირითადში როგორც ერთ მთლიანობას უყურებს, ისე რომ შეერთებული სახელმწიფოები ცალკ-ცალკე [8] არ არიან საერთაშორისო სამართლის სუბიექტები. ეს ცნებაც ვერ შეეხამება 1783 წლის ხელშეკრულების შინაარს, ვინაიდან ქართლ-კახეთი და რუსეთი ამ ხელშეკრულებით არ გამხდარა ერთი მთლიანი სახელმწიფო, სუვერენიტეტის უფლებით; და თვით ერეკლე II, როგორც მანამდე, ქართლ-კახეთის მეფე დარჩა.

1783 წლის ხელშეკრულების დამოკიდებულება კ ო ნ ფ ე დ ე რ ა ც ი ა ს ა ნ (სახელმწიფოთა კავშირი - Staatenbund) უფრო ცხადია, ვინაიდან ეს
ორი ან)
რამდენიმე სახელმწიფოების თანასწორუფლებიან კავშირს წარმოადგენს. საერთოდ, სახელმწიფოთა-კავშირის დროს, კავშირში შემავალი ყველა სახელმწიფო არიან ცალკეულად საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, მაგრამ შეიძლება ამავე დროს თვით

ქანმიდზე, და ამით ის შემოხსენებულ ცნებასაც არ ეფარდება, იმაზე რომ საერთოდ არ ვილაპარაკოთ ამ ხელშეკრულების საფუძველზე თანასწორუფლებიანობას ქართლ-კახეთისა და რუსეთის სახელმწიფოებს შორის საერთოდ არ აქვს ადგილი.

ვინაიდან ამ ორ სახელმწიფოსაგან, ე.ი. რუსეთისა და ქართლ-კახეთის სახელმწიფოებისაგან, 1783 წლის ხელშეკრულების საფუძველზე - ერთი ახალი სახელმწიფო არ შექმნილა, ამიტომ არ ქონია არც სახელმწიფოთა შეერთებას - ფ უ ზ ი ი ს (Fusion ) ადგილი.

1783 წლის ხელშეკრულების საფუძველზე არ ქონია აგრეთვე ადგილი, სახელმწიფო სამართლის საფუძველზე გამოწვეულ, ქართლ-კახეთის ტერიტორიალურ შეერთებას რუსეთთან; ამიტომ არც ი ნ კ ო რ პ ო რ ა ც ი ი ს ( Inkorporation )ქონია ადგილი.

როგორც დავინახეთ, ყველა აქამდე აღნიშნული სახელმწიფოთა დაკავშირების ცნებები მთლიანად ვერ აკმაყოფილებენ 1783 წლის ხელშეკრულების შინაარს. ჩვენ დაგვრჩა კიდევ პ რ ო ტ ე ქ ტ ო რ ა ტ ი ს [17] ცნების გარკვევა, რომელიც ჩვენი აზრით ყველაზე უფრო შეეხამება 1783 წლის ხელშეკრულებას.

ა. ვერდროსი [18] ასხვავებს ერთმანეთისაგან სამი სახის პროტექტორატს: 1. პროტექტორატს; 2. პროტექციას ( Protektion ) და 3. კვაზი-პროტექტორატს ( Quasi Protektorat ). მისი აზრით, ორ სახელმწიფოს შორის პროტექტორულ დამოკიდებულებას მაშინ აქვს ადგილი, როცა ერთი სახელმწიფო ხელშეკრულებით ვალდებულებას იღებს თავისთავზე მეორე სახელმწიფო ყოველგვარი გარეგანი თავდასხმისაგან დაიცვას და სამაგიეროდ მთლიანად მის საგარეო პოლიტიკას განაგებს (სრულყოფილი პროტექტორატი - Vollkommenes Protektorat ); ან მეორე სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას თვალყურს ადევნებს (შესუსტებული პროტექტორატი - Abgeschwaechtes Protektorat ). პროტექციას აქვს ადგილი, ვერდროსის აზრით, მაშინ, როცა ერთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ დგება, მაგრამ თავის საგარეო პოლიტიკას თვითონ განაგებს. კვაზი-პროტექტორატის დროს პროტექტორს აქვს ინტერვენციის უფლება.

ხანამ ჩვენ პროტექტორატის ცნებებს 1783 წლის ხელშეკრულებას შევადარებდეთ და ჩვენს საბოლოო აზრს ვიტყოდეთ, გვინდა აღვნიშნოთ აგრეთვე სხვა ავტორების აზრი 1783 წლის ხელშეკრულების უფლებრივ ხასიათზე.

ს. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი [19] 1783 წლის ხელშეკრულებაში ხედავს როგორც სახელმწიფოთა-სახელმწიფოებრივ, ისევე პროტექტორულ ნიშნებს. როგორც ჩვენ ავღნიშნეთ, მართლაც

რომ 1783 წლის ხელშეკრულება სახელმწიფოთა-სახელმწიფოს ცნებას ზოგიერთ ნაწი-ლებში აკმაყოფილებს, მაგრამ ვინაიდან ქართლ-კახეთის სამეფო ვალდებული არ იყო რუსეთისათვის ხარკი გადაეხადა, მას ეს ერთი მთავარი უფლებრივი ნიშანი არ გააჩნია, რომ შემოხსენებული ცნება დააკმაყოფილოს. ამდენად ხ. ავალიშვილის 1783 წლის ხელშეკრულების ძლიერ ფრთხილი შეფასება იცდენს თავიდან ყოველგვარ კრიტიკას. ის არც სახელმწიფოთა-სახელმწიფოებრივ და არც პროტექტორულ ცნებებს მთლიანად არ ეყრდნობა და ლაპარაკობს მხოლოდ "ნიშნებზე", რომლებიც როგორც ცნე-ბებში ისევე ხელშეკრულებაში ერთად მოიპოვებიან.

გ. ვ ე შ ა პ ე ლ ი [20] ამბობს, რომ 1783 წლის ხელშეკრულება ყველა ძირითად მონაცემებს შეიცავს, რომელიც მოცემულია პროტექტორატის ცნებაში. პროტექტორატის ცნების განსაზღვრა კი, ჩვენის აზრით, თხოულობს უფრო მეტს ჩამოყალიბებას(იხილეთ ზევით) და ამდენად გვინდა ჩვენ ვეშაპელის აზრი შევავიწროვოთ.

მ. წ ე რ ე თ ე ლ ი [21] აღნიშნავს, რომ ქართლ-კახეთის სამეფო 1783 წლის ხელშეკრულების თანახმად გახდა "ნახევრად-სუვერენული" სახელმწიფო; ვინაიდან მან ყველა დარგი, რუსეთის დაუკითხავად, უცხოეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებთან მოლაპარაკება ეწარმოებინა და ამას გარდა რუსეთმა ინვესტი-ტურის უფლება მიიღო. ქართლ-კახეთის სამეფოს ტახტზე რუსეთის ორ-თავიანი არ-წივი ნათლად ცხადყოფს რუსეთის უმაღლეს ძალაუფლებას(Oberhoheit) ქართლ-კა-ხეთის სამეფოზე.

"ნახევრად-სუვერენიტეტის" საკითხის გარკვევა ჩვენ მოგვიანებით მოგვიხდე-ბა. აქ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ჩვენ გვინდა იმ საერთაშორისო სამართლის ცნებათა განსაზღვრას დავეთანხმოთ, რომელიც სუვერენიტეტის ყოველგვარ გაყო-ფას უარყოფს.

ვ. კ ი კ ა ბ ი ძ ე [22] ამბობს, რომ ქართლ-კახეთის სამეფო არ შეერთებუ-ლა რუსეთის სახელმწიფო ტერიტორიასთან და დარჩა გამოყოფილი(ცალკე) სახელმწი-ფო. სუვერენიტეტი კი დაკარგა მან, უკიდურეს შემთხვევაში იმათთვის, რომლებიც სუვერენიტეტის ცნებას იურიდიულად მკვეთრად, ლოგიკურად განსაზღვრავენ, რომელიც როგორც ერთადერთ სწორ განსაზღვრად ჩანს. ქართლ-კახეთის დამოკიდებულება რუსეთთან არის Protectorat sui generis, მას შეიძლება ეწოდოს სასაზღვრო-პრო-ტექტორატი(Grenzfall-Protektorat ).

აქ საჭიროა. სასაზღვრო-პროტექტორატის ცნების განსაზღვრა, რომელიც კიკაბიძეს ვენცელის თეორიულ განსაზღვრიდან გამოჰყავს. ვენცელი[23] ლაპარაკობს მხოლოდ ს ა ს ა ზ ღ ვ რ ო - ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ ზ ე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1919 წლის 11 აგვისტოს კონსტიტუციის საფუძველზე, სადაც ფედერაციაში შემავალი ყველა "სახელმწიფოები"(Laender) თანასწორუფლე-[24] ბიანი იყვნენ. ამ სასაზღვრო-"სახელმწიფოებიდან" სრულიად ახალი "სასაზღვრო-პროტექტორატის" ცნების შექმნა და მისი 1783 წლის ხელშეკრულებაზე გავრცელება ჩვენ არ მიგვაჩნია სწორად.

ქართლ-კახეთსა და რუსეთს შორის არსებულმა მამინდელმა სახელმწიფო საზღვარმა, ე.წ. "კავკასიის ხაზმა" რა თქმა უნდა ხელი შეუწყო 1783 წლის ხელშეკრულების დადებას, მაგრამ "კავკასიის ხაზმა" ე.ი. სახელმწიფო საზღვარმა კი არ განსაზღვრა ხელშეკრულების შინაარსი, არამედ ხელშეკრულების შინაარსი იყო იმ პოლიტიკური და ისტორიული მოვლენების ჯამი, რომლებშიდაც იმ დროს ქართლ-კახეთის სამეფო და რუსეთი იმყოფებოდენ. საზღვარი "კავკასიის ხაზი" შეიძლება მხოლოდ ხელშეკრულების დადების ერთერთ მიზეზად ჩაითვალოს, მაგრამ მცდარი იქნებოდა თუ მას ხელშეკრულების დადების ძირითად ელემენტად ჩავთვლით და მის საფუძველზე ხელშეკრულების უფლებრივ ხასიათს გავსაზღვრავდით.

ზემოდმოყვანილი განხილვის შემდეგ, შეგვიძლია ჩვენ მივიდეთ დასკვნამდე, რომ ვინაიდან რუსეთს, ხელშეკრულების თანახმად, უფლება არ მინიჭებია ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკა მთლიანად გადაებარებინა, ამიტომ "სრულყოფილ-პროტექტორატს"(Vollkommenes Protektorat) არ ქონია ადგილი. 1783 წლის ხელშეკრულებით ქართლ-კახეთისა და რუსეთის სახელმწიფოებს შორის შეიქმნა შ ე ს უ ს ტ ე ბ უ ლ ი - პ რ ო ტ ე ქ ტ ო რ ა ტ ი ს (Abgeschwaechtes Protektorat)[25] დამოკიდებულება, რომლის დროს, ა. ვერდროსის მიერ ამ ცნების განსაზღვრის საფუძველზე, პროტექტორს უფლება ენიჭება პროტექტორებულ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას თვალყური ადევნოს და ყოველგვარი საგარეო პოლიტიკის საკითხები შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტოს. მართლაც, 1783 წლის ხელშეკრულების IV მუხლის საფუძველზე, რუსეთს მიეცა უფლება ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკისათვის თვალყური ედევნებინა და თავის მხრივ ქართლ-კახეთის სამეფო ვალდებული იყო ყოველგვარი საგარეო პოლიტიკური · წამოჭრილი საკითხი

რუსეთისთვის ეენიზების და ყოველგვარი ნაბიჯი უნდა გადადგა რუსეთთან შეთან-ხმების საფუძველზე. ვფიქრობთ, ეს მუხლი არის, საერთაშორისო სამართლის საფუ-ძვლებზე, ხელშეკრულების უმნიშვნელოვანესი მუხლი. ამგვარად, ქართლ-კახეთის სახელმწიფომ 1783 წლის ხელშეკრულების საფუძველზე იცნო რუსეთის უმაღლესობა (Oberhoheit ), რომელიც ფაქტიურად საგარეო პოლიტიკის შეზღუდვაში გამოი-ხატებოდა და ამით ქართლ-კახეთის სამეფომ დაკარგა თავისი სუვერენიტეტი.

მაგრამ გახდა იგი "ნახევრად-სუვერენული" ან "არასუვერენული" სახელმწი-ფო?

ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ხელშეკრულების საფუძველზე სუვერენიტეტის შეზღუდვა, არ შეიძლება განხილული იქნეს როგორც სუვერენიტეტის დაკარგვა; ვინაიდან ხელშეკრულების დადება მოისხლობის სახელმწიფოების სურვილის საფუ-ძველზე ხდება. "ნახევრად-სუვერენიტეტის" ცნების შექმნა, რომელიც საერთაშორისო სამართლის მიხედვით, პროტექტორულ დამოკიდებულებას შეესაბამება, რადგანაც პრო-ტექტორებული სახელმწიფო მთლიანად ან ნაწილობრივ საგარეო პოლიტიკის უფლებაზე პროტექტორი სახელმწიფოს სასარგებლოდ ხელს იღებს, არ შეიძლება ფორმალური სუ-ვერენიტეტის შეზღუდვად იქნეს განხილული, რამდენადაც ეს "შეზღუდვა" ხელ-შეკრულებითაა განსაზღვრული, ე.ი. "შეზღუდული" სახელმწიფოს სურვილს შეე-საბამება. ამგვარი განხილვის დროს არ შეიძლება ვილაპარაკოთ ე.წ. "ნახევრად-სუვერენიტეტზე". მაგრამ თუ პროტექტორულ დამოკიდებულებას, საერთაშორისო სა-მართლის საფუძვლებზე განვიხილავთ, მაშინ ისევე ქრება პირველი სახელმწიფოს "ნახევრად-სუვერენიტეტი", როგორც მეორეს - "მთელი-სუვერენიტეტი"; რჩება მხო-ლოდ პროტექტორული დამოკიდებულება, რომელიც განსაზღვრულია ხელშეკრულების შინა-რსით.[26]

უაზროა აგრეთვე, სახელმწიფოს სუვერენიტეტის "შინაგან" და "საგარეო" სუვერენიტეტებად დაყოფა. სახელმწიფოს ძალაუფლება, რომლითაც შეიძლება სუვერე-ნიტეტის უფლება მიიპოვის, უნდა განისაზღვროს როგორც ერთი მთლიანი უმაღლესი ძალაუფლება. პროტექტორული ხელშეკრულების საფუძველზე სუვერენიტეტის შეზღუ-დვის "ნახევრადსუვერენიტეტად" განსაზღვრა, როგორც არაიურიდიული ცნება,[27] უნდა იქნას უარყოფილი; ვინაიდან "ნახევრად უმაღლესი ძალა" თავისთავად არ არსებობს. აქედან გამომდინარე მივდივართ დასკვნამდე, რომ სახელმწიფოს

შეუძლია სუვერენული იყოს, ეს ნიშნავს, მისი უმაღლესი ძალაუფლება განსაზღვრავს როგორც შინაგან, ისე გარეგან სახელმწიფო ცხოვრებას; ანდა ის შეიძლება იყოს არასუვერენული, ეს ნიშნავს, რომ მან იცნო მეორე სახელმწიფოს უმაღლესი ძალაუფლება თავისთავზე.[28] ზემოდმოყვანილი განსაზღვრის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ:

რუსეთი და ქართლ-კახეთი 1783 წლის ხელშეკრულების დადებამდე უეჭველად იყვნენ სუვერენული სახელმწიფოები. უკანასკნელმა მაგრამ იცნო თავისთავზე რუსეთის უმაღლესი ძალაუფლება და ამით დაკარგა თავისი სუვერენიტეტი. მაგრამ ვინაიდან ქართლ-კახეთის სახელმწიფო ტერიტორია რუსეთის სახელმწიფო ტერიტორიას არ შეერთებია, ვინაიდან ქართლ-კახეთის სახელმწიფო ხალხი, როგორც მო-ნაწილე, ქართლ-კახეთის სამეფოს ქვეშევრდომნი დარჩნენ და სახელმწიფოს შინაგანი ძალაუფლება, სასამართლოს და სამრევლოს წარმოება, მთლიანად ქართლ-კახეთის სახელმწიფოს ხელში დარჩა,—1783 წლის,24 ივლისის ხელშეკრულების თანახმად, ქართლ-კახეთის სამეფო გახდა არასუვერენული პროტექტორებული სახელმწიფო.

— • — • — • — • — • —

კარლო ინასარიძე

1).Vgl. v. Liszt, Voelkerrecht, S.115
2).Vgl. Hatschek, Deutsches und Preussisches Staatsrecht,Bd.I,S.23;etc
3).Vgl. Woerterbuch des Voelkerrechts und der Diplomatie,Bd.II, S.554-559
4).Vgl. Ebenda,S.555-558
5).Vgl. Sauer,Grundlehre des Voelkerrechts,S.89
6).Vgl. Giese,Deutsches Staatsrecht,S.14
7).Vgl. v.Ullmann,Voelkerrecht,S 99-102
8).Vgl. v.Liszt,a.a.O.,S.99
9).Vgl. Triepel, Die Hegemonie,S.286-290
10).Vgl. Nawiasky,Der Bundesstaat als Rechtsbegriff,S.98
11).Vgl. Wegner,Geschichte des Voelkerrechts,S.83-87
12).Vgl. Guggenheim,Lehrbuch des Voelkerrechts,S.255
13).Vgl. Sauer,a.a.O.,S.91-92
14).Vgl. Hatschek,a.a.O.,S.228-232
15).Vgl. v.Ullmann,a.a.O.,S.274-277
16).Vgl. Kaufmann,Studien zur Lehre von den Staatensukzessionen,S.223
17).Vgl. Heilborn,Das Voelkerrechtliche Protektorat,
18).Vgl. Verdross,Voelkerrecht,S.161-163
19).Vgl. Awalischwili,Die Vereinigung Georgiens mit Russland,S.17
20).Vgl. Toschapeli,Die Einheit Georgiens unter dem russischen Protektorat,S.12
21).Vgl. Tseretheli,Die Rechte Georgiens,S.2,8,20,77
22).Vgl. Kikobidse,Die staatsrechtliche Stellung Georgiens zu Gesamtrussland in Vergangenheit und Gegenwart,S.62
23).Vgl. Wenzel,Juristische Grundprobleme,S.335
24).Vgl. Gebhart,Handkommentar zur Verfassung des Deutschen Reiches vom 11.August 1919,S.62-67
25).Vgl. Verdross,a.a.O.,S.161
26).Vgl. Woerterbuch...,S.554-559
27).Vgl. Handbuch der Politik,Bd. I,S.11
28).Vgl. Seidler,Grundzuege des allgemeinen Staatsrechts,S.70-73

— • —

მაგრამ 1783 წლის ტრაქტატის იურიდიული ხასიათის განსაზღვრაში უფრო დასაბუთებული მოსჩანს ო.ნიპოლდის, ლე ფიურისა და ივანე ჯავახიშვილის აზრები: ო.ნიპოლდი საზგასმით აღნიშნავს, რომ ტრაქტატი საქართველოს არ ართმევდა სუვერენული სახელმწიფოს ხარისხს და იგი საერთაშორისო სამართლის სუბიექტის უფლებას არ კარგავდა. ფრანგი მეცნიერის ლე_ფიურის აზრით, 1783 წლის ტრაქტატი იყო არა მარტო ხელშეკრულება პროტექტორატის შესახებ, არამედ მეგობრობისა და კავშირის შესახებაც. ივანე ჯავახიშვილი კი,თავის ნაშრომში – "დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში" (თბილისი,1919), 1783 წლის ტრაქტატს ასახიათებს ასე:"მეგობრული ხელშეკრულება კავშირისა და მფარველობის შესახებ". მიუხედავათ აზრთა ამგვარი სხვაობისა, უდაოა, რომ 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატის ძალით, საქართველო რჩებოდა სუვერენული სახელმწიფო და ბაგრატიონთა დინასტია ინარჩუნებდა საქართველოს მეფის ყველა უფლებასა და ტიტულს; მხოლოდ საგარეო პოლიტიკაში მას უნდა ეთათბირა რუსეთის იმპერატორთან გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

რუსეთის იმპერიამ კი აღნიშნული აქტით დიდი გამარჯვება მოიპოვა ამიერკავკასიაში, გადალახა რა უომრად კავკასიონის მთაგრეხილი და მის სამხრეთით უაღრესად ხელსაყრელი პლაცდარმი მიიღო. თუ საქართველომ რა სარგებლობა მიიღო ამ ტრაქტატიდან, ეს მთელი სიგრძე-სიგანით ნათელი გახდა 1801 წელს,როცა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ანექსია და საქართველო აქცია რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად.

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..

1920-ი წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების უფლებრივი ხასიათი:
გავარკვიეთ რა 1783-ი წლის 24-ი ივლისისა და 1920-ი წლის 7-ი მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებების დადების პირობები და გავაცანით რა ამ ხელშეკრულებათა სრული ტექსტები, უკანასკნელ საუბრებში შევეხადეთ 1783- წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების,ე.წ-ლი"ტრაქტატის" უფლებრივი ხასიათის გარკვევას.

ახლა შევეცდებით გავარკვიოთ 1920-ი წლის 7-ი მაისის რუსეთ-საქართველოს საზავ. ხელშეკრულების უფლებრივი ხასიათი.

საერთაშორისო სამართლით აღიარებულ დებულებათა თანახმად
ორი
უკვე პირველი მუხლი რუსეთ-საქართველოს 1920-ი წლის 7-ი მაისის ხელშეკრულებისა ნათლად გამოხატავს საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობას საერთაშორისო სამართლის საფუძველზე: პირველ მუხლში სიტყვა-სიტყვით ნათქვამია:
"რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მიერ აღიარებული იმ უფლებიდან გამომდინარე, რომ ყველა ხალხებს გააჩნიათ თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება იმ სახელმწიფოდან სრულ გამოყოფამდეც კი,რომლის შემადგენლობაში ისინი შედიან, - რუსეთი უსიტყვოთ სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენობას და ნებაყოფლობით ამბობს უარს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე,როგორიც კი გააჩნდა რუსეთს ქართველი ხალხისა და საქართველოს ტერიტორიის მიმართ."
რუსეთ-საქართველოს ამ ხელშეკრულების მეორე მუხლში კი ნათქვამია:
"ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში ჩამოყალიბებული პრინციპებიდან გამომდინარე, რუსეთი იღებს ვალდებულებას, - უარი თქვას საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზე".

ეს ორი მუხლი,ისე როგორც რუსეთ-საქართველოს 1920-ი წლის 7-ი მაისის ხელშეკრულების მთელი რაობა,ნათელს ხდის, რომ 1920-ი წლის 7-ი მაისიდან რუსეთსა და საქართველოს შორის დამყარდა დე ფაქტო და დე იურე,ე.ი.ფაქტიურად და იურიდიულად ურთიერთობა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე და რუსეთისთვისაც საქართველო გახდა საერთა-

შორისო სამართლის სუბიექტი. რუსეთ-საქართველოს ამ საზავო ხელშეკრულებით კი - ფაქტიურად და იურიდიულად - ყველა ამ თარიღამდე არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებები,რომლებიც წარსულში დაიდო რუსეთსა და საქართველოს,ან საქართველოს რომელიმე ნაწილს შორის, გახდა - იურიდიული გამოთქმა რომ ვიხმაროთ - "ნული და უმნიშვნელო".

ამგვარად, 1920-ი წლის 7-ი მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებით, რუსეთმა,როგორც იქნა, საქვეყნოდ აღიარა და იცნო საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა,რასაც 117-ი წლის განმავლობაში უარყოფდა მეფის რუსეთი.

მაგრამ,საუბედუროდ, - როგორც მეფის რუსეთმა დაარღვია 1783-ი წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება და 1801-ლ წელს მოახდინა საქართველოს ანექსია, საბჭოთა რუსეთმაც,ლენინის მეთაურობით, დაარღვია 1920-ი წლის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულება და, ამჯერად, იარაღის ძალით დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო 1921 წლის თებერვალ-მარტში.

საბჭოთა რუსეთმა,ლენინის მეთაურობით, დაარღვია 1920-ი წლის ხელშეკრულების მთელი ღედა-აზრი,როცა მის ჯარებს უბრძანა საქართველოს სახელმწიფო საზღვრების გარღვევა; ეს მოხდა 1921 წლის 11-ც თებერვალს, როცა საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ ხუთი მხრიდან ერთდროულად გარღვია საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და ასე დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი. მაგრამ საბჭოთა რუსეთმა 1920-ი წლის ხელშეკრულების ცალკეული დებულებების დარღვევას მიჰყო ხელი ჯერ კიდევ რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებამდე· რუსეთ-საქართველოს 1920-ი წლის ხელშეკრულების VI-ე მუხლში,მაგალითად, ნათქვამია:

"რუსეთი იღებს ვალდებულებას, - არ მისცეს მის ტერიტორიაზე ყოფნისა და საქმიანობის უფლება ჯგუფებსა და ორგანიზაციებს,რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ საქართველოს ან მისი ნაწილის გამგებლობაზე, აგრეთვე ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომელთა მიზანს შეადგენს

საქართველოს მთავრობის დამხობა. რუსეთი ვალდებულებას იღებს, გამოიყენოს მთელი თავისი გავლენა მის მოკავშირე სახელმწიფოებზე, რათა მათ არ დაუშვან თავიანთ ტერიტორიაზე ამ მუხლში ხსენებული ჯგუფები და ორგანიზაციები".

შეიძლება ითქვას, რომ რუსეთ-საქართველოს 1920-ი წლის ხელშეკრულების ამ VI-ე მუხლის <u>ყველა</u> დებულება დაარღვია საბჭოთა რუსეთის მთავრობამ საქართველოზე თავდასხმის დაწყებამდე, ე.ი. 1921 წლის 11-ტ თებერვლამდე:
რუსეთის მთავრობამ, ლენინის მეთაურობით კარგად იცოდა, რომ საბჭოთა რუსეთის მე-11 არმია ემზადებოდა საქართველოზე თავდასხმისათვის ჯერ კიდევ 1920-ი წლის 7-ი მაისის ხელშეკრულების დადებამდე; ხოლო ამ ხელშეკრულების დადების პერიოდში - ორჯონიკიძემ -, მართალია შეაჩერა საომარი მოქმედება დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ, მაგრამ ლენინს გაუგზავნა დეპეშა -"ბრძანებას ვემორჩილები, მაგრამ არ ვიზიარებ!" და თვით ლენინიც რომ სერგო ორჯონიკიძისა და სხვა ქართველი და არაქართველი ბოლშევიკების აზრის იყო დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის საკითხში, ეს იქიდანაც მოსჩანს, რომ მასსა და მის მთავრობას 1920 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების დადების შემდეგაც არასოდეს არც კი უცდია რუსეთისა და მის მოკავშირე სახელმწიფოების ტერიტორიაზე არ მიეცა მოქმედების უფლება ჯგუფებისა და ორგანიზაციებისათვის, რომელთა მიზანი იყო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის დამხობა, როგორც ეს ნათქვამია აღნიშნულ VI-ე მუხლში.

ამდენად, საბჭოთა რუსეთმა ისევე ცალმხრივად დაარღვია 1920-ი წლის 7-ი მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულება, როგორც მეფის რუსეთმა დაარღვია 1783-ი წლის 24-ი ივლისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება, ე.წ-ლი"ტრაქტატი". განსხვავება იურიდიულად იმაში გამოიხატება, რომ 1801-ლ წელს რუსეთმა მოახდინა საქართველოს <u>ანექსია</u>, ხოლო 1921 წლის თებერვალ-მარტში <u>დაიპყრო</u> დამოუკიდებელი საქართველო. ორივე აქტის შედეგი კი ერთნაირი იყო საერთაშორისო

სამართლის საფუძველზე: როგორც 1801-ლ წელს, ისევე 1921-ი წლის თებერვალ-მარტში - საქართველო,როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, გაქრა საერთაშორისო არენაზე.

მაგრამ-მნიშვნელოვანია იურიდიულად ის ფაქტი, რომ საქართველო დღესაც, მისი დამოუკიდებლობის დაკარგვის უკვე 60-ე წლისთავზე, იურიდიულად მაინც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ითვლება,ვინაიდან საქართველოს დაპყრობა 1921 წლის თებერვალ-მარტში, საქართველოს დემოკრატიული გზით არჩეულ მთავრობას, ქართველ სალხს,ვთქვათ, რეფერენდუმის გზით, - არასოდეს არ უცვნია. ამდენად,იურიდიულად, საქართველო მაშინვე უნდა გახდეს ფაქტიურადაც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო,როგორც კი ის ძალა,ის ძალადობის აქტი გაუქმდება, რომელმაც 1921 წლის თებერვალში"შეაჩერა","დროებით შეწყვიტა" დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის - ძირითადი კანონის - მოქმედება.

ამდენად, მოსკოვის ბატონობას საქართველოში,დაწყებული 1921-ი წლის თებერვალ-მარტიდან არავითარი იურიდიული საფუძველი არ გააჩნია საერთაშორისო სამართლის საფუძველზე. ფაქტიურად საქართველო,როგორც სახელმწიფო, მოსკოვის ბატონობის ქვეშაა,მაგრამ იურიდიულად საქართველო დღესაც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა და ეს იურიდიული უფლება ელის მის ფაქტიურ განხორციელებას,ე.ი.უცხო ძალის მოსხნას საქართველოსა და ქართველ სალხზე,რის შედეგად საქართველო ფაქტიურადაც აღადგენს მის დამოუკიდებლობასა და სუვერენობას,როგორც ეს აღიარებულ იქნა თვით რუსეთის მიერაც 1920-ი წლის 7-ი მაისის ხელშეკრულებით.

წამყვანი: ეს იყო ჩვენი მეასე გადაცემა ციკლიდან - "საქართველო სამოცი წლის წინათ".

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..

(მუსიკა,სიგნალი)

## დამოუკიდებელი საქართველოს დე ფაქტო და დე იურე ცნობა:

წინა საუბრებში ჩვენ გავაცანით რუსეთ-საქართველოს 1783-ი და 1920-ი წლის ხელშეკრულებები,რომლებითაც განსაზღვრული იყო საქართველოს,როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს სტატუსი საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, და ავღნიშნეთ, რომ 1920-ი წლის 7-ი მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულებით, საბჭოთა რუსეთმა დე ფაქტო და დე იურე,ე.ი. ფაქტიურად და იურიდიულად ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა, და ამით საქართველო, როგორც სახელმწიფო, მეფის რუსეთის 117-ი წლის ბატონობის შემდეგ, ისევ გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი,ე.ი.გამოვიდა საერთა-შორისო არენაზე როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო: საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დე ფაქტო და დე იურე ცნობის ბაზად უნდა ჩაითვალოს დასავლეთის მოკავშირე სახელმწი-ფოების და თვით საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა. აი ამონაწერები ამ საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტე-ბიდან:

1. "საფრანგეთი,დიდი ბრიტანეთი, იტალია, იაპონია და ბელგია, გაერთიანებულნი უმაღლეს საბჭოში, ცნობენ დე იურე საქართველოს დამოუკი-დებლობას".

(ნოტა უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის - არისტიდ ბრიანისა, 27 იანვარი, 1921 წელი.)

"La France, la Grande-Bretagne, l'Italie, le Japon et la Belgique, réunis en Conseil Suprême, ont reconnu de jure l'indépendance de la Géorgie."

(Note d'Aristide Briand,Président du Conseil Suprême, du 27 janvier 1921.)

- . - . - . - . - . - . - . -

2. "რუსეთი უყოყმანოდ ცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს და ნებაყოფლობით უარს ამბობს ყველა სუვერენულ უფლებაზე,რომლებიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოს ხალხისა და ტერიტორიის მიმართ."

(საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების 1 მუხლი.)

"Россия безоговорочно признает независимость и самостоятельность Грузинского государства и отказывается добровольно от всяких суверенных прав, кои принадлежали России в отношении к грузинскому народу и земле".

( Статья I.)

- - - - - - - - - - - - - - -

3. გერმანია-რუსეთის(რსფსრ) 1918 წლის 27 აგვისტოს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დამატების მე-13 მუხლში თქმულია:

"რუსეთი აცხადებს თანხმობას,რომ გერმანიამ იცნოს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა."

Im deutsch-russischen(RSFSR) Ergaenzungsvertrag von Brest-Litowsk vom 27. August I9I8, Art. I3 heisst es:

"Russland erklaert seine Zustimmung, dass Deutschland Georgien als Selbststaendiges Staatsgebilde anerkennt."

---

ამგვარად,საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა,მოკლე დროის განმავლობაში, იცნო შემდეგმა სახელმწიფოებმა:

| სახელმწიფო: | დე ფაქტო: | დე იურე: |
|---|---|---|
| თურქეთი | 1918 წ. | 3 ივნისი1918 წ. |
| არგენტინა | | 13 სექტ. 1919 წ. |
| საფრანგეთი | 11 იანვარი,1920, | 27 იან.1921 წ. |
| დიდი ბრიტანეთი | 11 იან.1920 წ. | 27 იანვ.1921 წ. |
| იტალია | 11 იანვ.1920 წ. | 27 იანვ.1921 წ. |
| იაპონია | | 27 იანვ.1921 წ. |
| საბჭოთა რუსეთი | | 10 მაისი 1920 წ. |
| ბელგია | 27 აგვ.1920 წ. | 27 იანვ.1921 წ. |

გერმანია........................10 ივნისი1918 წ. 24 სექტ.1920 წ.
პოლონეთი.................................28 იანვ.1921 წ.
რუმინეთი.................................18 თებ.1921 წ.
ჩეხოსლოვაკია.................... 8 აპრ.1920 წ.
ავსტრია........................18 ივნისი1918 წ. 17 თებ.1921 წ.
ლუქსემბურგი................................23 თებ.1922 წ.
ჰაიტი......................................9 მარტი 1921 წ.
ლიბერია....................................28 მარტი 1921 წ.
მექსიკა....................................14 აპრ.1921 წ.
პანამა.....................................26 აგვისტო 1921 წ.
სიამი......................................20 ნოვ.1921 წ.
შვეიცარია..................................1920 წელი.

---

და მსოფლიოს სხვა მრავალი სახელმწიფო,რომლებიც უკვე დიპლომატიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ დამოუკიდებელ საქართველოსთან და გადაწყვეტილი ჰქონდათ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებელობისა და სუვერენობის დე ფაქტო და დე იურე ცნობა, შეაჩერა იმ ფაქტმა, რომ საბჭოთა რუსეთმა თავს დაესხა დამოუკიდებელ საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტში,დაიპყრო ჩვენი სამშობლო და ამით მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის პროცედურაც შეწყდა.

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..

## დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია:

წინა საუბრებში ჩვენ გავაცანით რუსეთ-საქართველოს 1783-ი წლისა და 1920-ი წლის 7-ი მაისის ხელშეკრულებების შინაარსი და იურიდიული ხასიათი და ავღნიშნეთ, რომ 1920-ი წლის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულებით, საბჭოთა რუსეთმა სცნო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა დე ფაქტო და დე იურე, რის შემდეგ მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ,მათ შორის მსოფლიოს დიდმა სახელმწი-ფოებმა - საფრანგეთმა,ინგლისმა,გერმანია,იაპონიამ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ამგვარად, საქართველო,როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, გამოვიდა საერთაშორისო სარბიელზე და გახდა მსოფლიო სახელმწიფოთა თავისუფალი ოჯახის ერთერთი წევრი.

მაგრამ საქართველოს საგარეო პოლიტიკური სტატუსის განმტკიცების პარალელურად, საქართველოში მიმდინარეობდა ჩვენი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის ძირითადი კანონის - კონსტიტუციის შემუშავება. რა თქმა უნდა, საქართველოს კონსტიტუციის საფუძველი უნდა გამხდარიყო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი,რომელიც,როგორც არაერთხელ ავ-ღნიშნეთ, 1918-ი წლის 26-ს მაისს საქვეყნოდ გამოაცხადა,თბილისში, მთავრობის სასახლეში, საქართველოს ეროვნული საბჭოს თავჯდომარემ - ნოე ჟორდანიამ. და ასე შეიმუშავა საქართველოს კონსტიტუციის პროექტი საკონსტიტუციო კომისიამ, და შემდეგ კონსტიტუციის პროექტი დასამტკიცებლად გადაეცა საქართველოს დამფუძნებელ კრებას,ე.ი. პარლამენტს, რომელმაც 1921 წლის 21-თ თებერვალს მიიღო და დაამტკი-ცა "საქართველოს კონსტიტუცია". აქვე უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის ისტო-რიული მნიშვნელობის ფაქტი, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ამ კონსტი-ტუციით საქართველო ,როგორც სახელმწიფო, თავისი სამიათასწლოვანი ის-ტორიის მანძილზე პირველად გადავიდა სახელმწიფოს მართვის მონარქიული წესყობილებიდან რეს-პუბლიკურ წესყობილებაზე. ახლა კი გავეცნოთ თვით ამ ძირითადი კანონის - კონსტიტუციის ცალკეულ დებულებებს:

# საქართველოს
# კონსტიტუცია

მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21.

## საქართველოს დამოუკიდებლობა.

საქართველოს დამფუძნებელი კრება, —არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,— თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წელს, მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წლის მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 საათსა და 10 წუთს ტფილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

### საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი:

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თვისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდი რევოლიუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერ-კავკასია.

დარჩენ-რა თვისი ძალღონის amარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერ-კავკასიამ თვით იდვეს თავსა საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს: მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერ-კავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერ-კავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის, ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკა არის.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

## თავი პირველი

### ზოგადი დებულებანი

#### მუხლი 1.

საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო.

მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

#### მუხლი 2.

საქართველოს დედა-ქალაქი არის ტფილისი.

#### მუხლი 3.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა.

### მუხლი 4.

საქართველოს რესპუბლიკის დროშა არის — შინდის ფერი ალამი შავი და თეთრი ზოლით.

საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის თეთრი გიორგი შინდი მნათობით.

### მუხლი 5.

ყოველ კანონსა და სავალდებულო დადგენილებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, უკეთუ გამოცხადებულია სათანადო წესით.

### მუხლი 6.

სახელმწიფო ტერიტორიის გაცემა, დანაწილება და გაყიდვა შეუძლებელია.

სახელმწიფო ტერიტორიის გაფართოება ან სადავო საზღვრების შესწორება შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.

---

### მუხლი

ადმინისტრატიული დაყოფა და ტერიტორიალურ ერთეულთა საზღვრების დაწესება და შეცვლა სწარმოებს მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.

### მუხლი 8.

კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია: არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედა აზრის წინააღმდეგია.

კონსტიტუციის შესრულება და მისი პრინციპების განხორციელება კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაში სახელმწიფოს ყოველი ხელისუფლების მოვალეობას შეადგენს.

### მუხლი 9.

კონსტიტუციის მიღებამდე გამოცემული და გამოქვეყნებული კანონი და დეკრეტი ძალაში რჩება, უკეთუ კონსტიტუციასა და მის პრინციპებს არ ეწინააღმდეგება.

### მუხლი 10.

ეს კონსტიტუცია ძალაშია მუდმივ და შეუწყვეტლივ, იმ შემთხვევის გარდა, რომელიც ამავე კონსტიტუციას აქვს გათვალისწინებული.

### მუხლი 11.

დამტკიცებისა და მიღების შემდეგ კონსტიტუციას აქვეყნებს დამფუძნებელი კრება თავის წევრთა ხელმოწერით.

## თავი მეორე.

### მოქალაქეობა

მუხლი 12.

საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება წარმოშობით, ქორწინებით და ნატურალიზაციით.

მუხლი 13.

საქართველოს მოქალაქეს არ შეუძლია იყოს იმავე დროს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე.

მუხლი 14.

საქართველოს მოქალაქეს შეუძლია უარი განაცხადოს საქართველოს მოქალაქეობაზე მხოლოდ თავის სახელმწიფოებრივ მოვალეობის შესრულების შემდეგ.

მუხლი 15.

მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის პირობებს დაწვრილებით კანონი განსაზღვრავს.

## თავი მესამე.

### მოქალაქის უფლებანი.

მუხლი 16.

მოქალაქენი კანონის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან.

მუხლი 17.

წოდებრივი განსხვავება არ არსებობს.

მუხლი 18.

ხარისხის მინიჭება გარდა აკადემიურისა აკრძალულია. ორდენი გაუქმებულია.

საომარ მოქმედების დროს თავის გამოჩენისათვის შეიძლება მიეცეს წარჩინების ნიშანი.

მუხლი 19.

სიკვდილით დასჯა გაუქმებულია.

მუხლი 20.

არ შეიძლება დასჯილ იქნეს ვინმე სხვაგვარად, თუ არა სასამართლოს წესით; გამონაკლისია კანონით განსაზღვრული დისციპლინარული წესი.

მუხლი 21.

ყოველი მოქალაქე გასამართლებულ უნდა იქნეს საერთო წესით.

მუხლი 22.

პიროვნება ხელშეუხებელია; არ შეიძლება შეპყრობილ ან სხვაგვარად თავისუფლებას მოკლებულ და პირადად გაჩხრეკილ იქნეს ვინმე, თუ არა სასამართლოს ან საგამომძიებლო ორგანოს დასაბუთებული ბრძანების ძალით.

მუხლი 23.

ადმინისტრაციას შეუძლია თვისი უფლებით შეიპყროს ვინმე შემდეგ შემთხვევაში:

ა) როცა ბოროტმოქმედს ზედ დანაშაულის ადგილას ასწრებს;

ბ) როცა დანაშაულის ადგილას დაზარალებული, ან მოწმე ვინმე ბოროტმოქმედს ხელს დაადებს;

გ) როცა მას, ვისზედაც ეჭვია მიტანილი, რაიმე გასამტყუნებელი ნივთი აღმოაჩნდება, ან როცა მის ტანზე ან ბინაზე დანაშაულის აშკარა ნიშანი და კვალი აღმოაჩნდება.

მუხლი 24.

დამნაშავის დაკავება შეუძლია კერძო პირსაც, თუ დანაშაულის ადგილას მოასწრებს და ამასთანავე ადმინისტრაციის მოსვლამდის მისი მიმალვა მოსალოდნელია.

მუხლი 25.

როგორც სასამართლოს ორგანოთა, ისე ადმინისტრაციის ბრძანებით შეპყრობილი, 24 საათის განმავლობაში ახლოეს სასამართლოში უნდა იქნეს წარდგენილი; თუ სასამართლო ისეა დაშორებული, რომ 24 საათში დამნაშავის მიყვანა შეუძლებელია, ეს ვადა განგრძობილ უნდა იქნეს გზის გარემოების მიხედვით, მხოლოდ არა უმეტეს 48 საათისა.

მუხლი 26.

სასამართლო ვალდებულია წარდგენილ პირს დაუყოვნებლივ, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 24 საათისა, დაჰკითხოს; ხოლო შემდეგ წერილობითი ბრძანება გასცეს ან მისი პყრობის განგრძობისა, ან დაუყოვნებლივ განთავისუფლებისათვის.

მუხლი 27.

სასამართლოს სათანადო ორგანოები ვალდებულნი არიან, თუ რაიმე გზით და საშუალებით ეცნობოთ, რომ ვინმე ზეაღნიშნულ წესთა დარღვევით შეპყრობილია, დაუყოვნებლივ გამოიძიონ საქმე და წერილობითი ბრძანება გასცენ ან მისი განთავისუფლებისა ან შეპყრობის განგრძობისა.

მუხლი 28.

ყოველი მოქალაქის ბინა შეუვალია; მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლება მისი გაჩხრეკა, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მ უ ხ ლ ი 29.

კერძო მიწერ-მოწერა ხელშეუხებელია: მისი ახსნა და გადასინჯვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით.

მ უ ხ ლ ი 30.

ყოველი მოქალაქე მიმოსვლასა და ბინადრობის არჩევაში სრულიად თავისუფალია; ამ უფლების შეზღუდვა მხოლოდ სასამართლოს განკარგულებით შეიძლება.

მ უ ხ ლ ი 31.

ყოველი მოქალაქე სინდისის სრული თავისუფლებით სარგებლობს. მოქალაქის დევნა და მის პოლიტიკურ თუ სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა სარწმუნოების ან რწმენის გამო არ შეიძლება. ყველას შეუძლია აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც სურს, ან სარწმუნოება გამოიცვალოს, ან და არც ერთ კულტს არ ეკუთვნოდეს.

სარწმუნოებისა და რწმენის მოტივებით მოქალაქობრივი და პოლიტიკური მოვალეობის ასრულებაზე უარის თქმა არავის შეუძლია, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული.

სარწმუნოებრივი ხასიათის აქტებს არავითარი გავლენა არა აქვს მოქალაქობრივ უფლებასა და მდგომარეობაზე.

მ უ ხ ლ ი 32.

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოსთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ყოველი დანაშაულისათვის, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

მ უ ხ ლ ი 33.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ უფლება აქვთ მთავრობის ნებადაურთველად შეიკრიბნენ საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც შენობაში, ისე გარეთ.

მ უ ხ ლ ი 34.

თუ კრებამ დანაშაულის ხასიათი მიიღო, ადმინისტრაციას შეუძლია დახუროს იგი.

მ უ ხ ლ ი 35.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად დააარსონ პროფკავშირები და სხვა ყოველგვარი კავშირი, თუ მისი მიზანი კანონით არ არის აკრძალული; კავშირის გაუქმება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლება.

მ უ ხ ლ ი 36.

გონებრივი, სულიერი და სამეცნიერო-სახელოვნებო პროფესიის თავისუფალი განვითარება უზრუნველყოფილია რესპუბლიკის კანონებით.

**მ უ ხ ლ ი 37.**

პირადი და კოლექტიური პეტიციის უფლება უზრუნველყოფილია.

**მ უ ხ ლ ი 38.**

მუშათა გაფიცვა თავისუფალია.

**მ უ ხ ლ ი 39.**

ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია, როგორც პოლიტიკური ისე სამოქალაქო, ეკონომიური და საოჯახო უფლებებით.

**მ უ ხ ლ ი 40.**

ქორწინება ემყარება უფლებრივ თანასწორობას და ნებაყოფლობას: ქორწინების ფორმასა და წესებს კანონი განსაზღვრავს.

ქორწინების გარეშე და ქორწინებაში შობილი უფლებით და მოვალეობით თანასწორნი არიან: დედას უფლება აქვს იძიოს და დაამტკიცოს, ვინ არის მამა მის მიერ ქორწინების გარეშე შობილისა: აგრეთვე ქორწინების გარეშე შობილს უფლება აქვს იძიოს თავისი მამა.

**მ უ ხ ლ ი 41.**

პოლიტიკური დევნილი რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეხიზნული, სხვა სახელმწიფოს არ გადაეცემა.

**მ უ ხ ლ ი 42.**

მოქალაქის უფლებათა დარღვევისათვის, როგორც თანამდებობის, ისე კერძო პირი მიეცემა პასუხისგებაში, სისხლის სამართლის კანონების თანახმად

**მ უ ხ ლ ი 43.**

ამბოხებისა ან ომის დროს, პარლამენტს უფლება აქვს დროებით შეაჩეროს მთელს რესპუბლიკაში, ან რომელსამე მის ნაწილში იმ უფლებათა გარანტია, რომელიც აღნიშნულია შემდეგ მუხლებში: 19, 22, 25, 26, 27, 28, 29, 30, 32, 33, და 38, ომის დროს-კი 21 მუხლში აღნიშნული გარანტიაც იმ პირობით, რომ სამხედრო სასამართლოში მიცემა შესაძლებელია მხოლოდ მომქმედი ჯარის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე.

თუ პარლამენტი შეკრებილი არ არის, მთავრობას შეუძლია თავის პასუხისმგებლობით შეაჩეროს ზემოაღნიშნულ გარანტიათა მოქმედება, მხოლოდ დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს პარლამენტი და თავის დადგენილება წარუდგინოს.

**მ უ ხ ლ ი 44**

დიდი ეპიდემიის დროს მთავრობას უფლება აქვს შეაჩეროს დროებით მე-32, 25, 26 და 30 მუხლში აღნიშნულ უფლებათა გარანტია, რამდენადაც ამას ეპიდემიასთან ბრძოლა მოითხოვს.

მუხლი 45.

კონსტიტუციაში ჩამოთვლილი გარანტია და უფლება არ უარყოფს სხვა გარანტიასა და უფლებას, რომელიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის მიერ აღიარებული პრინციპებისაგან.

## თავი მეოთხე

## პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი

მუხლი 46.

საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის „საქართველოს პარლამენტი", რომელიც შესდგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესით არჩეულ დეპუტატებისაგან. ამ არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს სქესის განურჩევლად ყოველ სრულწლოვან მოქალაქეს, რომელსაც ოცი წელი შესრულებია.

პარლამენტი აირჩევა სამი წლის ვადით.

მუხლი 47.

პარლამენტის არჩევნების წესს განსაზღვრავს ცალკე კანონი.

მუხლი 48.

პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა აზრისა და შეხედულებისათვის, რომელსაც გამოსთქვამს თავისი მოვალეობის ასრულების დროს.

პარლამენტის წევრის პიროვნება ხელშეუხებელია: არ შეიძლება შეპყრობილ ან სამართალში მიცემულ იქნეს იგი, ვიდრე პარლამენტის წევრად ითვლება, თუ თვით პარლამენტმა ამის ნება არ დართო, გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როცა დანაშაულის ჩადენაზე მიასწრებენ.

ეს შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს.

შეპყრობილი ან სამართალში მიცემული პარლამენტის წევრი განთავისუფლებულ უნდა იქნეს, თუ პარლამენტი ამას მოითხოვს.

მუხლი 49.

პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტების გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც დეპუტატს. ეს უფლება არ ეკარგება მაშინაც, როცა დეპუტატად აღარ ითვლება.

მუხლი 50.

პარლამენტის წევრებს მიეცემათ კანონით განსაზღვრული გასამრჯელო.

მ უ ხ ლ ი 51.

პარლამენტის წევრობისა, მოხელეობისა და პროფესიის შეუთავსებლობის საკითხს განსაზღვრავს კანონი.

მ უ ხ ლ ი 52.

ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს. პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას.

მ უ ხ ლ ი 53.

პარლამენტი გამოსცემს კანონსა, დეკრეტსა და დადგენილებას; მათი გამოქვეყნების წესი ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული.

მ უ ხ ლ ი 54.

პარლამენტის უფლებაა:

ა) კანონმდებლობა;

ბ) უმაღლესი გამგებლობა რესპუბლიკის ჯარისა და საზოგადოდ ყოველი შეიარაღებული ძალისა;

გ) ომის გამოცხადება;

დ) დამტკიცება საზავო, სავაჭრო და ამგვარ ხელშეკრულობისა უცხო სახელმწიფოებთან;

ე) ამნისტია;

ვ) ბიუჯეტის დამტკიცება;

ზ) საშინაო და საგარეო სესხის აღება;

ჱ) თანამდებობის პირთა არჩევა, კონსტიტუციით ან კანონით მისდა მიკუთვნებული, და

თ) საერთო კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლებისა.

მ უ ხ ლ ი 56.

პარლამენტის სხდომა საჯაროა; მაგრამ პარლამენტს შეუძლია განსაკუთრებული დადგენილებით თავის სხდომა, ან ნაწილი სხდომისა ფარულად გამოაცხადოს.

მ უ ხ ლ ი 56.

პარლამენტი თვითონ გაარჩევს თავის წევრთა არჩევნების კანონიერებას და გადასწყვეტს ყოველსავე დავას ამ საგანზე.

მ უ ხ ლ ი 57.

პარლამენტი ყოველ საკითხს სწყვეტს ხმის მარტივი უმრავლესობით, თუ რეგლამენტით ან კანონით სხვა წესი არ არის მიღებული.

მ უ ხ ლ ი 58.

პარლამენტის გახსნა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ დეპუტატთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი გამოცხადდა

## მუხლი 59.

პარლამენტის წევრთ უფლება აქვთ მთავრობის მიმართ შეკითხვის შეტანისა და კითხვის მიცემისა. წესი შეკითხვის შეტანისა და კითხვის მიცემისა განისაზღვრება კანონით ან რეგლამენტით.

პარლამენტს უფლება აქვს დანიშნოს საგამომძიებლო საანკეტო კომისია.

## მუხლი 60.

პარლამენტი თვითონ განსაზღვრავს რეგლამენტით თავის მოქმედების წესს.

## მუხლი 61.

პარლამენტი იკრიბება ყოველწლივ ნოემბრის პირველ კვირა დღეს. ახალი პარლამენტის არჩევნები ინიშნება შემოდგომაზე, ერთსა და იმავე დროს მთელს რესპუბლიკაში, იმ ვარაუდით, რომ ახლად არჩეული დეპუტატები დაესწრნენ პარლამენტის გახსნას.

## მუხლი 62.

პარლამენტის მუშაობის დროებით შეწყვეტა შეიძლება მოხდეს მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით.

როცა პარლამენტის მუშაობა შეწყვეტილია, მისი მოწვევის უფლება განსაკუთრებულ შემთხვევისათვის აქვს მთავრობას, ან პარლამენტის პრეზიდიუმს.

პარლამენტის შეკრება სავალდებულოა, თუ ამას დეპუტატთა ერთი მეოთხედი მოითხოვს.

## მუხლი 63.

ინიციატივის უფლება ეკუთვნის:

ა) პარლამენტის ყოველ წევრს, და

ბ) 5,000 ამომრჩეველს.

## მუხლი 64.

თუ ოცდაათმა ათასმა ამომრჩეველმა წერილობით მოითხოვა, პარლამენტი ვალდებულია ახლად მიღებული კანონი სარეფერენდუმოდ ხალხს წარუდგინოს.

რეფერენდუმის წესს განსაზღვრავს კანონი.

## მუხლი 65.

პარლამენტი ყოველწლივ ირჩევს პრეზიდიუმს.

## თავი მეხუთე.

### აღმასრულებელი ხელისუფლება.

**მუხლი 66.**

უმაღლესი მართვა-გამგეობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას.

**მუხლი 67.**

მთავრობას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს პარლამენტი ერთი წლის ვადით; ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედი ზედ მხოლოდ ორჯერ.

**მუხლი 68.**

მთავრობის დანარჩენ წევრებს—მინისტრებს იწვევს მთავრობის თავმჯდომარე რესპუბლიკის იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ.

**მუხლი 69.**

მთავრობის წევრს არ შეუძლია იმავე დროს რაიმე სხვა თანამდებობა ეჭიროს, ან რომელსამე პროფესიას მისდევდეს; შეუძლია იყოს მხოლოდ პარლამენტის წევრი და ადგილობრივი თვითმართველობის ხმოსანი.

**მუხლი 70**

მთავრობის თავმჯდომარეს ეკისრება რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობა; იგი ნიშნავს ელჩებს სხვა სახელმწიფოებში და უცხოეთის ელჩები წარმოიდგინებიან მასთან.

განსაკუთრებულ გარემოებაში, უკეთუ მთავრობის დადგენილების გამოტანა დაბრკოლებულია, თავმჯდომარეს შეუძლია გამოიწვიოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალა; რაც დაუყოვნებლივ უნდა მოახსენოს პარლამენტს.

თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებასა და განკარგულებას კანონის აღსრულებისათვის, მაგრამ უფლება არა აქვს კანონის მოქმედება შეაჩეროს ან მისი შესრულება დააბრკოლოს.

მთავრობის თავმჯდომარეს უფლება აქვს თავის განკარგულებით დანიშნოს რევიზია მართველობის ამა თუ იმ დარგისა, ადგილის ან მოხელისა კანონში აღნიშნულ წესისაებრ.

თავმჯდომარეს არა აქვს არავითარი განსაკუთრებული უფლება, იმის გარდა რაც ამ კონსტიტუციით არის მიკუთვნებული.

**მუხლი 71.**

მთავრობის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე, რომელიც ასრულებს მის მოვალეობას მთავრობაში.

### მ უ ხ ლ ი 72.

მთავრობის საერთო უფლება და მოვალეობაა:

ა) რესპუბლიკის საქმეთა უმაღლესი მართვა-გამგეობა, თანახმად კანონისა;

ბ. თვალ-ყურის დევნა და აღსრულება კონსტიტუციისა და კანონებისა;

გ) წარდგენა პარლამენტის წინაშე თავის კანონპროექტისა, აგრეთვე დასკვნისა იმ კანონპროექტის შესახებ, რომელიც პარლამენტისა ან ხალხის ინიციატივით არის შემოსული;

დ) დაცვა რესპუბლიკის საგარეო ინტერესებისა;

ე) უზრუნველყოფა რესპუბლიკისა გარეშე განსაცდელისაგან და დაცვა მისი დამოუკიდებლობისა:

ვ) ზრუნვა შინაური წესრიგისა და უშიშროების დაცვისათვის.

მოულოდნელ შემთხვევაში, თუ საჭიროებამ მოითხოვა, მთავრობას უფლება აქვს თავის დადგენილებით გამოიყვანოს შეიარაღებული ძალა, ვადით არა უმეტეს 21 დღისა. უკეთუ მეტის ვადით დასჭირდა, პარლამენტისაგან უნდა მიიღოს ნებართვა.

ზ) განაგოს ფინანსები, ს] ას ფული თანახმად კანონისა, და ყოველ წლივ წარუდგინოს პარლამენტს შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვა, ბიუჯეტი;

ჱ) ანგარიში აძლიოს პარლამენტს თავის მოქმედებისა და წელიწადში ერთხელ მაინც წარუდგინოს მოხსენება ქართველის შინაგან და საგარეო მდგომარეობის შესახებ: წარუდგინოს აგრეთვე განსაკუთრებული მოხსენება, უკეთუ პარლამენტმა მოითხოვა, და

თ) შეასრულოს ყოველივე, რაც კანონს ან პარლამენტს მისთვის დაუვალებია.

### მ უ ხ ლ ი 73.

რესპუბლიკის დანარჩენ საქმეთა მართვა-გამგეობა განაწილებულია მთავრობის წევრთა შორის. თვითეული მათგანი დამოუკიდებლად და პარლამენტის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობით განაგებს მისთვის მინდობილ უწყებას და უნდა გადადგეს, როცა პარლამენტის პირდაპირი დადგენილებით დაჰკარგავს მის ნდობას.

მინისტრს უფლება აქვს პარლამენტში ხმის მიცემისა მხოლოდ მაშინ, როცა დეპუტატად ირიცხება.

მთავრობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე საერთო პოლიტიკისათვის, ვალდებულია დაემორჩილოს პარლამენტის დადგენილებას და აასრულოს იგი და ამის მიხედვით, თუ საჭიროა, გამოსცვალოს ცალკე მინისტრი ან გარდაქმნას მთელი კაბინეტი.

### მუხლი 74.

მთავრობის ყოველ წევრს უფლება აქვს პარლამენტისა და მისი კომისიის სხდომას დაესწროს. თუ მინისტრმა მოითხოვა, პარლამენტი და მისი კომისია ვალდებულია მოუსმინოს. თავის მხრით პარლამენტისა და კომისიის მოთხოვნით მინისტრიც ვალდებულია სხდომაზე გამოცხადდეს და და ახსნა-განმარტება მისცეს.

### მუხლი 75.

კონსტიტუციის დარღვევისათვის მთავრობის თავმჯდომარე და მთავრობის წევრები პასუხისმგებელნი არიან სასამართლოს წინაშე. მათი პასუხისგებაში მიცემა შეუძლია მხოლოდ პარლამენტს. მათი გასამართლება საერთო წესით სწარმოებს.

## თავი მეექვსე:

## ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო

### მუხლი 76

საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებობს ერთი უმაღლესი სასამართლო—სენატი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი. სენატი მოვალეა:

ა) თვალყურს ადევნოს კანონის დაცვას, და

ბ) განაგოს სასამართლო ნაწილი, როგორც საკასაციო სასამართლომ.

### მუხლი 77.

სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრატიული სამართლის საქმეთა საწარმოებლად არსებობს მუდმივი სასამართლოები.

სასამართლოს ორგანიზაცია, იურისდიქცია და კომპეტენცია განისაზღვრება კანონით.

### მუხლი 78.

სასამართლო დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება.

მართლმსაჯულება სწარმოებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით.

### მუხლი 79.

სასამართლოს არც ერთი განაჩენი არ შეიძლება გაუქმებულ, შეცვლილ ან შეჩერებულ იქნეს კანონმდებელი, აღმასრულებელი ან ადმინისტრატიული ორგანოს მიერ.

### მუხლი 80.

სასამართლოს სხდომა საჯაროა; მხოლოდ განსაკუთრე-

ბულ შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს ზნეობისა და საზოგადო მშვიდობიანობის დაცვის ინტერესი. სხდომა შეიძლება კარდახშულ იქნეს თვით სასამართლოს დადგენილებით.

მუხლი 81.

მძიმე სისხლის სამართლის და აგრეთვე, პოლიტიკური და ბეჭდვითი დანაშაულისათვის არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.

მუხლი 82.

მოსამართლე აირჩევა ვადით. არჩევის წესი და პირობა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მსაჯული, კანონით განისაზღვრება.

მუხლი 83.

არ შეიძლება სასამართლოს წევრის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა მისი სურვილის წინააღმდეგ, გარეშე სასამართლოს დადგენილებისა.

თანამდებობიდან მისი დროებით გადაყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა სამართალში ან გამოძიებაში არის მიცემული.

სრულიად დათხოვნა-კი შეიძლება სასამართლოს განაჩენის ძალით.

## თავი მეშვიდე

### სახელმწიფო ფინანსები

მუხლი 84.

არცერთი სახელმწიფო გადასახადი არ შეიძლება დაწესებულ ან აკრეფილ იქნეს, თუ წინასწარ პარლამენტის მიერ არ იქნა დადასტურებული.

შენიშვნა: ადგილობრივი თვითმმართველობის გადასახადთა დაწესების უფლებას ცალკე კანონი განსაზღვრავს.

მუხლი 85.

სახელმწიფო გადასახადისაგან ვერავინ განთავისუფლდება, თუ არა კანონის ძალით.

მუხლი 86.

თუ არა კანონის ძალით არავითარი პენსია, ჯილდო და საზოგადოთ ხარჯი არ შეიძლება გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან.

მუხლი 87.

პარლამენტის ნებადაურთველად არ შეიძლება აღებულ იქნეს სახელმწიფო სესხი ან რაიმე ფინანსიური ვალდებულება.

მუხლი 88.

სახელმწიფოს ყოველი შემოსავალ-გასავალი ბიუჯეტში უნდა იქნეს აღნიშნული. ბიუჯეტი ყოველწლივ უნდა წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად.

მუხლი 89.

თუ ბიუჯეტის დამტკიცება პარლამენტმა ვერ მოასწრო საანგარიშო წლის დამდეგამდე, მთავრობას უფლება ეძლევა სახელმწიფო ხარჯები ახალი ბიუჯეტის დამტკიცებამდე წინა წლის ბიუჯეტის მიხედვით დაფაროს პარლამენტის ნებართვით.

მუხლი 90.

ხარჯის გადატანა ბიუჯეტის ერთი პარაგრაფიდან მეორეში არ შეიძლება პარლამენტის ნებადაურთველად.

## თავი მერვე.

### სახელმწიფო კონტროლი.

მუხლი 91.

სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარება:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის სისწორით ასრულება;

ბ) სახელმწიფოს ყოველნაირი შემოსავალი და გასავალი;

გ) მთავრობის და სხვა და სხვა უწყების ხარჯთაღრიცხვა და ანგარიში, და

დ) ადგილობრივი თვითმართველობის ფინანსები კანონის თანახმად.

მუხლი 92.

სახელმწიფო კონტროლიორს ირჩევს პარლამენტი. იგი არ ითვლება მინისტრთა კაბინეტის წევრად. მაგრამ აღჭურვილია მინისტრის უფლებით და პასუხის მგებელია უშუალოდ პარლამენტის წინაშე. იგი ყოველწლიურად ანგარიშს უდგენს პარლამენტს.

მუხლი 93.

კონტროლის ორგანიზაცია და მოქმედების წესი განსაზღვრულია კანონით.

## თავი მეცხრე.

### სახელმწიფო თავდაცვა.

მუხლი 94.

ყოველი მოქალაქე რესპუბლიკისა ვალდებულია პირადად მოიხადოს სამხედრო ბეგარა კანონის თანახმად.

მუხლი 95.

სამხედრო ძალთა დანიშნულება არის დაცვა რესპუბლიკისა და მისი ტერიტორიისა.

### მუხლი 96.

სამხედრო ბეგარის ვადა და სამხედრო ძალთა ყოველი მოწყობის წესი განისაზღვრება კანონით.

### მუხლი 97

სამხედრო ბეგარის მოსახდელად გასაწვევ ახალგაზრდათა რაოდენობას ყოველწლივ პარლამენტი ამტკიცებს.

## თავი მეათე.

## ადგილობრივი თვითმართველობა.

### მუხლი 98.

ადგილობრივი თვითმართველობა არის იმავე დროს ორგანო ადგილობრივი მართველობისა და განაგებს ადგილობრივ გამგეობის კულტურულ განმანათლებელ და სამეურნეო საქმეებს თავის ტერიტორიის ფარგლებში.

### მუხლი 99.

ადგილობრივი თვითმართველობის ორგანიზაცია, უფლება-მოვალეობა და მართვა-გამგეობის წესი განისაზღვრება კანონით.

### მუხლი 100.

ადგილობრივ თვითმართველობას უფლება აქვს გამოსცეს სავალდებულო დადგენილება თანახმად კანონისა.

### მუხლი 101.

ადგილობრივი თვითმართველობა ირჩევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო წესით.

### მუხლი 102.

ადგილობრივ თვითმართველობის დადგენილება და განკარგულება შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ სასამართლოს წესით.

### მუხლი 103.

მთავრობის ცენტრალ ორგანოებს უფლება აქვთ შეაჩერონ ადგილობრივი თვითმართველობის დადგენილება და განკარგულება, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს. ხოლო ვალდებულნი არიან საქმე დაუყოვნებლივ სასამართლოს გადასცენ. წესი და პირობა შეჩერებისა განისაზღვრება კანონით.

### მუხლი 104.

ადგილობრივი თვითმართველობა მართვა-გამგეობის საქმეში ემორჩილება მთავრობის ცენტრალ ორგანოებს.

### მუხლი 105.

იმ საგნებს, რომლის შესახებაც ადგილობრივი თვითმართველობის დადგენილება დამტკიცებულ უნდა იქნეს ცენტრალ ხელისუფლების მიერ, განსაზღვრავს კანონი.

### მუხლი 106.

ადგილობრივ თვითმართველობას ენიჭება საბიუჯეტო უფლება, ცალკე კანონით განსაზღვრული.

## თავი მეთორმეტე.

### ავტონომიური მმართველობა.

### მუხლი 107.

საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს-აფხაზეთს სოხუმის ოლქი, სამუსლიმანო საქართველოს (ბათომის მხარე) და ზაქათალას ზაქათალის ოლქი, ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა.

### მუხლი 108.

წინა მუხლში მოხსენებულ ავტონომიურ მმართველობათა დებულებანი შემუშავებულ იქნება ცალკე კანონით.

## თავი მეცამეტე

### სწავლა-განათლება და სკოლა.

### მუხლი 109

ხელოვნება, მეცნიერება და მათი სწავლება თავისუფალია; სახელმწიფოს მოვალეობაა მფარველობა გაუწიოს და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას.

### მუხლი 110

პირველდაწყებითი სწავლა საყოველთაო, უსასყიდლო და სავალდებულოა. საზოგადო სკოლების სისტემა ერთს ორგანიულ მთლიანობას წარმოადგენს, სადაც პირველდაწყებითი სკოლა საფუძველია საშუალო და უმაღლესი სკოლისა.

სწავლა-განათლება ყველა საფეხურის სკოლებში საეროა.

### მუხლი 111.

სახელმწიფო მიზნად ისახავს: პირველდაწყებით სკოლაში უღარიბეს ბავშვებს საზრდო, ჩასაცმელ-დასახური და სასწავლო ნივთები უფასოდ მიეცეს. ამ მიზნის განსახორციელებლად სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობანი თავის შემოსავლის ერთ ნაწილს გადასდებენ ყოველ წლიურად.

### მუხლი 112.

კერძო თაოსნობით დაარსებული სკოლა ემორჩილება საერთო სასკოლო კანონს.

## თავი მეცამეტე.

### სოციალ-ეკონომიური უფლებანი.

მუხლი 113.

რესპუბლიკა ზრუნავს თავის მოქალაქეთა ღირსეული არსებობისათვის.

მუხლი 114.

საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა ან კერძო ინიციატივის შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის ცალკე კანონში განსაზღვრული წესით. ჩამორთმეულ ქონებაში მიეცემა სათანადო საფასური თუ კანონში სხვა გვარად არ არის განსაზღვრული.

მუხლი 115.

რესპუბლიკას აქვს საკუთარი საალებ-მიმცემო და საწარმოო-მეურნეობა, რომლის გაფართოება და ერთი მთლიანი საზოგადოებრივი მეურნეობის შექმნა მისი მთავარი მიზანია.

რესპუბლიკა ხელს უწყობს ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოთა ასეთსავე მეურნეობის გაფართოებას და გაძლიერებას.

რესპუბლიკას შეუძლია კანონმდებლობის გზით გაასაზოგადოოს ის სავაჭრო-სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო დარგი და წარმოება, რომელიც ამისთვის გამოსადეგია.

მუხლი 116.

წვრილი მწარმოებლის—სოფლის მეურნის, ხელოსნის, შინამრეწველის—შრომის ნაყოფის დაცვა კერძო პირთა ექსპლოატაციისაგან სახელმწიფოს განსაკუთრებული საზრუნავი საგანია.

რესპუბლიკის განსაკუთრებული საზრუნავია აგრეთვე სოფლის მეურნეობის აყვავება; მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე.

მუხლი 117.

შრომა საფუძველია რესპუბლიკის არსებობისა და მისი უზრუნველყოფა რესპუბლიკის განსაკუთრებული მოვალეობაა.

მუხლი 118.

რესპუბლიკის კანონმდებლობით ადგილობრივ თვითმართველობას ევალება დააარსოს შრომის ბირჟა, საშუამავლო კანტორა და სხვა ამგვარი დაწესებულება, რომელიც აღნუსხავს უმუშევართ და შუამავლობას უწევს სამუშაოს შოვნაში.

ასეთ დაწესებულების ხელმძღვანელ ორგანოში მუშათა კავშირის წარმომადგენელთა რიცხვი ნახევარზე ნაკლები არ უნდა იყოს.

მუხლი 119.

უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეს მიეცემა დახმარება სამუშაოს აღმოჩენით ან დაზღვევის სახით.

### მუხლი 120

მოხუცებულობით, დაავადებით თუ სხვა მიზეზით შრომის უნარს მოკლებული მოქალაქე, რომლისთვისაც ზრუნვა კანონით ან ჩვეულებით დაკისრებული არა აქვს მემკვიდრეს, მზრუნველს, მწარმოებელს ან სხვა ცრძოსა თუ საზოგადოებრივ დაწესებულებას, და რომელსაც არსებობის სახსარი არ მოეპოვება, მიიღებს დახმარებას სახელმწიფო ხაზინიდან დაზღვევით ან სხვა სახით. ასევე დაეხმარება ხაზინა, უკეთუ მემკვიდრეს ან მზრუნველს შრომის უნარდაკარგულის რჩენა არ შეუძლია.

### მუხლი 121.

დაქირავებული მუშა, რომელიც მოხუცებულობით, დაშავებით ან სხვა მიზეზით დაჰკარგავს სავსებით ან ნაწილობრივ შრომის უნარს, მიიღებს დახმარებას დაზღვევის სახით თავის ხელფასის კვალობაზე. დასაზღვევი თანხა უნდა შესდგეს დამქირავებელზე შეწერილ საგანგებო გადასახადისაგან.

### მუხლი 122.

გარდა საგანგებო ან ამ მიზნით შეწერილი გადასახადისა ზემოაღნიშნულ მოვალეობათა ასასრულებლად რესპუბლიკის შემოსავლიდან უნდა გადაიდოს ყოველ წლიურად განსაზღვრული ნაწილი.

### მუხლი 123

ნორმალი სამუშაო დრო დაქირავებულთათვის არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს; ამასთანავე კვირაში ერთხელ მუშა უნდა ისვენებდეს განუწყვეტლივ 42 საათს. გამონაკლისს სამუშაო დროის შესახებ განსაზღვრავს კანონი.

სასოფლო მეურნეობასა და სხვა სასეზონო წარმოებაში სამუშაო დროის შეფარდება განსაკუთრებულ პირობებთან განისაზღვრება კანონით.

### მუხლი 124

წარმოებაში 16 წლამდის ყმაწვილის შრომა აკრძალულია; 16—18 წლის მოზარდთათვის სამუშაო დრო განისაზღვრება საათით დღეში; მოზარდთა და საზოგადოთ ქალთათვის ღამით მუშაობა აკრძალულია.

### მუხლი 125.

რესპუბლიკის საზრუნავი საგანია განსაზღვროს მინიმუმი ხელფასისა და შრომის ნორმალი პირობანი წარმოებაში.

არსდება შრომის ინსპექცია და სანიტარული ზედამხედველობა, რომელიც დამოუკიდებელი უნდა იყოს დამქირავებელთაგან.

### მუხლი 126.

განსაკუთრებული კანონი დაიცავს ქალთა შრომას წარმოებაში. აკრძალულია ქალის მუშაობა დედობისათვის მავნე წარმოებაში; მუშა ქალი მშობიარობის დროს არა ნაკლებ ორი თვისა თავისუფალია მუშაობისაგან ჯამაგირის მოუსპობლად; დამქირავებელს ევალება ძუძუმწოვარ ბავშვთა მოსავლელად შესაფერ გარემოებაში ამყოფოს მუშა ქალები.

### მუხლი 127

შრომის დამცველ კანონების დარღვევისათვის დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით.

### მუხლი 128

რესპუბლიკას და ადგილობრივ მმართველობას ეკისრება დედობის და ბავშვების დაცვისათვის მზრუნველობა.

## თავი მეთოთხმეტე.

### ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი.

### მუხლი 129.

არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური ხმარება-გამგეობა.

ყველას აქვს უფლება სწერის, ჰბეჭდის და ილაპარაკის დედა-ენაზე.

### მუხლი 130.

ეროვნულ უმცირესობისაგან შემდგარი ადგილობრივ თვითმართველობის ერთეულებს (თემი, ერობა, ქალაქი) უფლება აქვთ შეერთდნენ და დააარსონ ეროვნული კავშირი თავის კულტურულ-განმანათლებელი საქმეების უკეთ მოსაწყობად და გასაძღოლად კონსტიტუციისა და კანონის ფარგალში.

ეროვნულ უმცირესობას, რომელსაც ასეთი თვითმართველობის ორგანოები არ მოეპოვება, შეუძლია იმის გარეშეც შეადგინოს ეროვნული კავშირი ამ მუხლში აღნიშნული უფლებითა და კომპეტენციით.

ეროვნულ კავშირში შესვლა ხდება სალაპარაკო ენის მიხედვით.

ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-განმანათლებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო და თვითმართველობათა ბიუჯეტიდან გადაიდება ფინანსიური საშუალებები პროპორციულად მცხოვრებთა რაოდენობისა.

### მუხლი 131.

არ შეიძლება შეიზღუდოს ვისიმე პოლიტიკური და მოქალაქობრივი უფლება ეროვნულ კავშირში მონაწილეობისათვის.

### მუხლი 132.

ყოველ ეროვნულ კავშირს შეუძლია აღძრას და დაიცვას სასამართლოს წინაშე ის საქმე, რომელიც ეხება კონსტიტუციით და კანონით მინიჭებულ ეროვნულ უმცირესობის უფლების დარღვევას.

### მუხლი 133.

საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს თანასწორი უფლება აქვს მიიღოს სახელმწიფო, სამოქალაქო, სამხედრო და საქალაქო თუ საერობო სამსახური.

### მუხლი 134.

ეროვნულად ნარევი ადგილობრივი მმართველობა ვალდებულია სწავლა-განათლებისათვის გადადებული თანხით დააარსოს საკუთარ რიცხვში სკოლების და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებისა მოქალაქეთა ეროვნულ შედგენილობის პროპორციის მიხედვით.

### მუხლი 135.

ეროვნულ უმცირესობის სკოლაში სწავლება სწარმოებს ბავშვის სალაპარაკო ენაზე.

### მუხლი 136.

ადგილობრივ მმართველობის ოლქებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატება ყველა მოქალაქეთა 20%-ს, ამ ეროვნულ უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედა-ენაზედაც.

### მუხლი 137.

არა ქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმაოდ არ იცის, შეუძლია პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვას დედა-ენით, რომლის სწორ თარგმანს წინასწარ წარუდგენს პარლამენტის პრეზიდიუმს.

დაწვრილებით წესს განსაზღვრავს კანონი.

## თავი მეთხუთმეტე

## სახელმწიფო მოხელე.

### მუხლი 138

საქართველოს მოქალაქე შეიძლება მიღებულ იქნეს ყოველ თანამდებობაზე, თუ კანონის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

### მუხლი 139.

მოხელე ან თანამდებობის პირი შეიძლება გადაყენებულ ან დისციპლინარულ წესით დასჯილ იქნეს იმ დაწესებულების ან უფროსის განკარგულებით, ვისგანაც იყო მიღებული; ხოლო სამსახურიდან სრულიად დათხოვნის წესს განსაზღვრავს კანონი.

### მუხლი 140.

თვითეული მოხელეს აქვს უფლება პენსიის მიღებისა. მოხელისა და მისი ოჯახის წევრთა მიერ პენსიის მიღების პირობას განსაზღვრავს კანონი.

### მუხლი 141.

თვითეული მოხელე პასუხისმგებელია სასამართლოს წინაშე საერთო წესისამებრ.

მოქალაქეს უფლება აქვს პასუხისგებაში მისცეს ყოველი მოხელე საზოგადო წესით მისი დანაშაულისათვის.

მოქალაქეს უფლება აქვს მოსთხოვოს მოხელის უკანონო მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება სახელმწიფოს.

ანაზღაურების წესი და პირობა განისაზღვრება კანონით.

## თავი მეთოთხმეტე.

## სახელმწიფო და ეკლესია.

### მუხლი 142

სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულნი და დამოუკიდებელნი არიან.

### მუხლი 143.

არც ერთ სარწმუნოებას არა აქვს უპირატესობა.

### მუხლი 144.

ხარჯის გაღება სახელმწიფო ხაზინიდან და ადგილობრივ თვითმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საჭიროებისათვის აკრძალულია.

## თავი მეთხუთმეტე

## კონსტიტუციის გადასინჯვა

### მუხლი 145.

კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვის ინიციატივის უფლება აქვს:

ა) პარლამენტის წევრთა ნახევრის არა ნაკლებსა, და

ბ) 50.000 ამომრჩეველსა.

### მუხლი 146.

წინადადება კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვისა პარლამენტის დღიურ წესრიგში დაისმის განსახილველად არა უადრეს ექვსი თვისა შეტანის დღიდან.

### მუხლი 147.

კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვის პროექტი მიღებულ უნდა იქნეს პარლამენტის ყველა წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით. იგი ძალაში შედის მხოლოდ ხალხის უმრავლესობის მიერ დადასტურების შემდეგ.

**მ უ ხ ლ ი 148.**

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფორმის გაუქმება არ შეიძლება გახდეს კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადების საგნად.

**მ უ ხ ლ ი 149.**

პირველ პარლამენტის შეკრებამდე მის მაგიერობას გასწევს დამფუძნებელი კრება.

---

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება,
ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემული მსმენელებო, სიტყვები - ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერისა და პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისის პრემიერ-მინისტრის რამსეი მაკდონალდისა, რომელმაც, სხვა ევროპელ სოციალისტებთან ერთად, 1920 წელს ინახულა დამოუკიდებელი საქართველო და იმავე წლის 16 ოქტომბერს გაზეთ "ნეიშენ-ში" გამოაქვეყნა წერილი დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ, რომელშიც, სხვათა შორის, ამბობდა:

"ქართველმა სოციალისტებმა შესძლეს ის, რაც ევროპაში სახელმწიფო სათავეში მყოფმა სოციალისტებმა ვერ შესძლეს: სახელმწიფო სრული პარ- [illegible] მიწის ნიადაგზე და ქალაქს მიიღეს. გაატარეს უმტკივნეულოდ, უკონფლიქტოდ მიწის რეფორმა. უმიწაწყლო გლეხებს დაურიგეს მიწები. გაატარეს სოციალური კანონმდებლობა. შრომა დაედვა საფუძვლად რესპუბლიკის არსებობას. მისი დაცვა განისაზღვრა კონსტიტუციით... მისდა განსაზოგადოება ბუნებრივი სიმდიდრისა, დიდ მემამულეთა და საუფლისწულო მიწებისა... ამავე დროს თავისუფლება მიეცა კერძო ინიციატივას... მუშას, გლეხს, გუშინდელ მემამულესაც კი, ერის ყველა ნაწილს შეგნებული აქვს უდიდესი პასუხისმგებლობა. მენდება სრული დემოკრატიული სახელმწიფო სოციალისტური მთავრობის ხელმძღვანელობით.

თუ ერთა თავისუფლება ცარიელი სიტყვა არ არის, თუ რომელიმე ერს ეკუთვნის თავისუფლება, ეს არის ქართველი ერი, რომელმაც დაუმტკიცა მთელს კაცობრიობას თავისი მაღალი კულტურისნობა და პოლიტიკური სიმწიფე.

მე გავეცანი საქართველოს კონსტიტუციას, მის სოციალურ და ეკონომიურ აღმშენებლობას, და რაც მე იქ ვნახე, ვისურვებდი ასე მოწყობილი მენახოს ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში.

## საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ზოგიერთი ასპექტის ინტერპრეტაციის (რადიოური) ცდა

1921 წლის 21 თებერვალს, ორშაბათს, დილის 10 საათზე, საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც არჩეული იყო დემოკრატიული არჩევნების გზით 1919 წლის ივნისში საქართველოს მოსახლეობის მიერ, - მიიღო და დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია - ძირითადი კანონი -, რომლითაც კონსტიტუციურად დამკვიდრდა ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ის დიდი დემოკრატიული ტრადიციები, რომლებიც ჩვენმა ერმა შექმნა თავისი ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი ისტორიის მანძილზე.

ჩვენ უკვე გაგაცანით საქართველოს კონსტიტუციის სრული შინაარსი. ახლა შევეცდები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ზოგიერთი ასპექტის ინტერპრეტაციას, მაგრამ დღეს მსურს ავღნიშნო ის ფაქტი, რომ 21-ი თებერვალი საქართველოს კონსტიტუციის დღეა, ვინაიდან ამ

კონსტიტუციით, ე.ი. ძირითადი კანონით, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ მიიღო და დაამტკიცა 1921 წელს, - საქართველო - თავისი სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიის მანძილზე, მონარქიულ პრინციპებზე აგებულ სახელმწიფოდან პ ი რ ვ ე ლ ა დ გახდა რესპუბლიკურ სახელმწიფოდ და საქართველოს "პირველი მმართველი" ანუ "ხელ-მწიფე" გახდა არა მეფე ბაგრატიონთა გვარეულობიდან, არამედ საქართველოს რიგითი მოქალაქე - ნოე ჟორდანია, რომელიც, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი, შევიდა საქართველოს ისტორიაში. და აი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეს ძირითადი კანონი - კონსტიტუცია მიიღო და დაამტკიცა ქართველი ერის მიერ დემოკრატიული წესით არჩეულმა დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს მეტად რთულ პირობებში.

"რთულ პირობებში" ვამბობთ იმიტომ, რომ იმ დროს, 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის წითელი არმია ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და მწვავე ბრძოლები წარმოებდა წითელ არმიასა და ახალგაზრდა ქართულ არმიას შორის. ამ აგრესიული აქტით, ლენინის მთავრობამ დაარღვია საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, რომლითაც საბჭოთა რუსეთის მთავრობამ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა; და სწორედ იმ დროს მიიღო და დაამტკიცა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს კონსტიტუცია, როცა ჩვენი არმია ჩაბმული იყო უთანასწორო ბრძოლებში წითელ არმიასთან.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ეს ომი იყო ბრძოლა ორ იდეას შორის: საქართველოს ჯარები იცავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას, საქართველოს ეროვნულ თავისუფლებასა და სუვერენობას, ე.ი. იმ პრინციპებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში: ეს პრინციპებია ერისა და პიროვნების თავისუფლება. ეს კონსტიტუცია შედგება ჩვიდმეტი თავისაგან, რომლებიც ერთად შეიცავს 149 მუხლს. ამ კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები ჩამოყალიბებულ იქნა ჯერ კიდევ "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში", რომელიც ნოე ჟორდანიამ 1918 წლის 26 მაისს აცნო ქართველ ერსა და მთელს მსოფლიოს. დამოუკიდებლობის აქტის პირველ მუხლში, მაგალითად, ნათქვამია შემდეგი:

"ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულ უფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა."

ამიტომაა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია განსაზღვრავს არა მარტო საქართველოს ხალხის, ქართველი ერის სუვერენულ უფლებებს, არამედ ამავე დროს ზუსტად აყალიბებს საქართველოს მოქალაქეთა უფლებებსა და მოვალეობებს, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ერისა და პიროვნების თავისუფლება პრაქტიკულად განხორციელდეს ჩვენი სამშობლოს ცხოვრებაში.

რა მოსამზადებელი მუშაობა იქნა გაწეული ამ კონსტიტუციის შესაქმნელად? - "დავიწყეთ რა კონსტიტუციის პროექტის შექმნა, - ამბობს თავის მოგონებაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი - რაჟდენ არსენიძე, რომელიც საკონსტიტუციო კომისიის წევრი იყო, - ჩვენ ხელთ

გვქონდა მსოფლიოს ყოველი უფლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია. ვმუშაობდით თითქმის განუწყვეტლივ მთელი დღე-ღამე. ყოველი მუხლი, ყოველი დებულება, ყოველი აზრი იწვევდა ბევრ დავასა და შეჯახებასაც კი, მაგრამ საბოლოო ჯამში ხდებოდა შეთანხმება, ვინაიდან საკონსტიტუციო კომისიის ყოველი წევრი მთელი თავისი შეგნებითა და სერიოზულობით ეპყრობოდა ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს. უნდა ითქვას, რომ - დასძენს შემდეგ რაჟდენ არსენიძე - ბევრი ძირითადი იდეა გადავიღეთ შვეიცარიის კონსტიტუციიდან და შევუთავსეთ საქართველოს სინამდვილეს; მაგრამ სხვა უფლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციებიდანაც გამოვიყენეთ ესა თუ ის პრინციპი."

აი ამგვარი გულდასხმით მუშაობის შედეგია ის, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია შეიძლება დღესაც ჩაითვალოს უფლებრივ-დემოკრატიული სახელმწიფოს სანიმუშო კონსტიტუციად. მაგალითისათვის ავიღოთ, თუ გნებავთ, ამ კონსტიტუციის ზოგიერთი დებულებანი, რომლებიც განსაზღვრავენ "მოქალაქის უფლებებს". "მოქალაქის უფლებები" ჩამოყალიბებულია მესამე თავში, რომელიც შეიცავს 29 მუხლს, რომელთაგან ოცდა-მეცამეტე მუხლი, მაგალითად, ამბობს შემდეგს:

"ყოველ მოქალაქეს აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად." კონსტიტუციის ეს მუხლი მართლაც აღნუსხავდა საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, 1918-21 წლებში, საქართველოში არსებობდა ხუთი პარტია და მრავალი პოლიტიკური დაჯგუფება, რომელთაც გააჩნდათ თავიანთი პოლიტიკური [illegible]. აი ასეთი სახელმწიფო, აი ასეთი კონსტიტუცია მოსპო წითელმა არმიამ იარაღის ძალით და დაამყარა უცხო ერთპარტიული რეჟიმი საქართველოში.

პარლამენტი:

დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციაში ჩამოყალიბებულია სახელმწიფო ძალაუფლების სამ დასაყრდენ ბოძად დანაწილება, რაც საფუძველია უძველესი დემოკრატიული სახელმწიფოსი. სახელმწიფო ძალაუფლების ასეთ დაყოფა ეყრდნობა უძველესი სახელმწიფოს იმ მიზანდასახულობას, რომ სახელმწიფოში აღკვეთილი უნდა იყოს სახელმწიფო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა; ამის ყველაზე უფრო ეფექტური გარანტიაა ის, თუ კანონმდებლობის, მართველობისა და მართლმსაჯულების ორგანოები, - სახელმწიფო ძალაუფლების ეს სამი დედაბოძი - ერთმანეთისაგან გამოყოფილია ამავე დროს (სამართალი) საზოგადოებრივი, მთელი ხალხის კონტროლს ქვეშაა. შევჩერდეთ დღეს დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის იმ მუხლებზე, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფო ძალაუფლების-სამიდან ერთი დედაბოძის კანონმდებლობის საკითხს:

"საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის ნათქვამია დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციაში - "საქართველოს პარლამენტი, რომელიც შედგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესისამებრ არჩეული დეპუტატებისაგან... პარლამენტი აირჩევა სამი წლის ვადით". ასეა ნათქვამი დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 46-ხე მუხლში, რომელიც პირველი მუხლია ამ კონსტიტუციის მეოთხე თავისა, რომელიც განსაზღვრავს პარლამენტის, ე.ი. კანონმდებლობის ორგანოს უფლებებს. 53 მუხლში კი ნათქვამია:"პარლამენტი გამოსცემს კანონსა, დადგენილებებსა და რეზოლუციებს"; ხოლო 54-ხე მუხლში ჩამოთვლილია "პარლამენტის უფლებანი":ა)კანონმდებლობა, ბ)უმაღლესი ხელმძღვანელობა რესპუბლიკის ჯარისა და საზოგადოდ ყოველი შეიარაღებული ძალისა, გ)ომის გამოცხადება, დ)დამტკიცება საზავო, სავაჭრო და ამგვარი ხელშეკრულებისა უცხო სახელმწიფოებთან,ე)ამნისტია,ვ)ბიუჯეტის დამტკიცება, ზ)საგარეო და საშინაო სესხის აღება, თ)თანამდებობის პირთა არჩევა კონსტიტუციის ან კანონით მისდა მიკუთვნებული,და ყოველი კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლებისა.

ამგვარად – სახელმწიფო ძალაუფლების სამიდან ერთ ამ დელაბოძს- საქართველოს პარლამენტს კონსტიტუციით მინიჭებული აქვს კანონმდებლობითი უფლება და ამავე დროს აღმასრულებელი ორგანოს, ე.ი. მთავრობის საერთო კონტროლი. მაგრამ პარლამენტი არის ხალხის ნებასურვილის გამომხატველი და ეს რომ ასეა, ამას განსაზღვრავს დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 52-ტე მუხლში, სადაც თქმულია შემდეგი:

"ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს. პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას".

მაგრამ ეს "ერის ხელმწიფება" და მის მიერ პარლამენტის კონტროლი არ არის ფიქცია; და ეს რომ ასე არ არის, ამას განსაზღვრავს 64-ხე მუხლი, სადაც განსაზღვრულია შემდეგი:

"თუ 30 ათასმა ამომრჩეველმა წერილობით მოითხოვა, პარლამენტი ვალდებულია ახლად მიღებული კანონი სარეფერენდუმოდ ხალხს წარუდგინოს".

ესე-იგი, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია უფლებას აძლევდა საქართველოს მოქალაქეებს, თუ ისინი თანახმა არ იყვნენ პარლამენტის მიერ მიღებული კანონზე, მოეთხოვათ ამ კანონის სარეფერენდუმოდ წარდგენა და ამის უფლება მინიჭებული ქონდა 30-ათას კაცს, ამომრჩეველთა ასე სრულიად მცირე ჯგუფს. ამდენი ამომრჩევლის ხელმოწერა კი სრულიად ადვილი საქმე იყო დამოუკიდებელ საქართველოში, ვინაიდან არსებობდა პოლიტიკურ პარტიათა და დაჯგუფებათა სრული თავისუფლება, რის შედეგი იყო ის, რომ საქართველოს პარლამენტში – 1919 წლის ივნისის დემოკრატიული არჩევნების შედეგად – საქართველოს ხალხმა წარადგინა ოთხი პოლიტიკური პარტია – სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური და სოციალ-რევოლუციური პარტიები. ასეთ პირობებში ყოველ პარტიას სრულიად ადვილად შეეძლო 30-ათასი მოქალაქის ხელმოწერის შეგროვება, თუ ეს პარტია და მოქალაქეთა ჯგუფი მიზანშეწონილად ჩათვლიდა

პარლამენტის რომელიმე კანონს. ამგვარად კანონმდებლობის ორგანო - პარლამენტი - საქართველოს მოქალაქეების უშუალო კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა; ხოლო პარლამენტი - თავის მხრივ - საერთო კონტროლს უწევდა აღმასრულებელ ორგანოს, ესე-იგი მთავრობას.

პარლამენტის წევრები, ე.ი. დეპუტატები ითვლებოდა ამომრჩევლების ნებასურვილის გამომთქმელებად კანონმდებლობის ორგანოში. ამ საკითხს ეხება დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლი, სადაც ნათქვამია:

"პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა იმ აზრისა და მსჯელობისათვის, რომელსაც ის გამოთქვამს თავის მოვალეობის ასრულების დროს. პარლამენტის წევრის პიროვნება ხელშეუხებელია. არ შეიძლება შეპყრობილი ან სასამართლოში მიცემული იქნეს იგი ვიდრე პარლამენტის წევრად ითვლება თუ თვით პარლამენტმა ამის ნება არ დართო. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა როცა დანაშაულის ჩადენაზე მიასწრებენ. ეს შემთხვევა დაუყონებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. შეპყრობილი ან სასამართლოში მიცემული პარლამენტის წევრი განთავისუფლებული უნდა იქნას თუ პარლამენტი ამას მოითხოვს".

ასე განსაზღვრავს დეპუტატის ხელშეუხებლობას დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლი. ეს ნიშნავს იმას, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის დეპუტატს სრული უფლება ქონდა ყოველი პირისა და ყოველი ორგანოს, თვით მთავრობის თავჯდომარის ჩათვლით, -კრიტიკისა და ამისათვის მას კი არ სჯიდნენ, პირიქით, ეს იყო დეპუტატის მოვალეობა. და ამის შედეგი იყო, რომ საქართველოს პარლამენტში აზრთა სხვადასხვაობა ნორმალურად ითვლებოდა.

ამგვარად, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის ძალით, საქართველო იყო უფლებრივი სახელმწიფო. სახელმწიფო ძალაუფლება იყო სამ ღერძზე დაყრდნობილი - კანონმდებლობა იყო პარლამენტის ხელში, მართველობა მთავრობის ხელში და მართმსაჯულება სასამართლოს ხელში. როგორც დავინახეთ, კანონმდებლობის ორგანო -

პარლამენტი შედგებოდა დემოკრატიული გზით არჩეული სხვადასხვა პარტიების დეპუტატებისაგან, რომლებსაც სრული უფლება ჰქონდათ თავისი აზრი ღიად გამოეთქვათ ყველა საკითხზე; ხოლო პარლამენტი იყო საქართველოს მოქალაქეების კონტროლის ქვეშ, · ვინაიდან – როგორც 52-ე მუხლშია ნათქვამი –"ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს. პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას".

აი ახე გამოიყურებოდა დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტი, რომლის უფლებები განსაზღვრული იყო საქართველოს კონსტიტუციაში.

რადიო"თავისუფლება" – ქართული რედაქცია
ავტორი და დიქტორი: დავით თაბორიძე

ს პ ი ტ ი:

რადიო"თავისუფლების" მრწამსი-დევიზი:

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია – ერისა და პიროვნების თავისუფლება ; ვინაიდანერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!.. და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემული მსმენელებო, როზა ლუქსემბურგის აზრი ცენზურის შესახებ. თავის წიგნში – "რუსეთის რევოლუცია" – აი რას წერდა ის ცენზურის აღდგენის შესახებ საბჭოთა რუსეთში ოქტომბრის გადატრიალების ათი დღის შემდეგ:

"თავისუფლება მხოლოდ მთავრობის მომხრეებისათვის, მხოლოდ ერთი პარტიის წევრებისათვის, როგორი მრავალრიცხოვანნი არ უნდა იყოს ის, – არ არის თავისუფლება.

თავისუფლება ყველასთვის, და თავისუფლება განსაკუთრებით სხვაგვარადმოაზროვნეებისათვის...

საზოგადოებრივი ცხოვრება იმ ქვეყნებში, სადაც თავისუფლება შეზღუდულია, – ღარიბია, უნაყოფო სწორედ იმიტომ, რომ იქ არ არის დემოკრატია და ამის შედეგად ჩახშობილია ყველა ცხოვრებისეული წყარო; წყარო-ყველა სულიერი საგანძურისა და პროგრესისა".

## მთავრობა

წინა საუბარში აღვნიშნე, რომ დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავდა სახელმწიფო ძალაუფლების სამ ნაწილად დაყოფას – კანონმდებლობის, აღმასრულებელ და მართლმსაჯულების – ორგანოებად და ამით იყო ის უფლებრივი სახელმწიფოს ძირითადი კანონი. ვილაპარაკეთ აგრეთვე, თუ რა უფლება და მოვალეობა გააჩნდა პარლამენტს და აღვნიშნეთ, რომ პარლამენტის ძირითადი მოვალეობა იყო კანონმდებლობა და აღმასრულებელი ორგანოს, ე.ი. მთავრობის კონტროლი. თვით პარლამენტი კი იყო ხალხის უშუალო კონტროლის ქვეშ,ვინაიდან დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის ძალით – "ხელმწიფება ეკუთვნოდა მთელს ერს", ხოლო პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებდა ერის ხელმწიფებას.

ახლა შევეხოთ დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის მეხუთე თავს, რომელიც განსაზღვრავს აღმასრულებელი ხელის უფლების, ე.ი. მთავრობის უფლებებსა და მოვალეობებს.

"უმაღლესი მართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას" – ნათქვამია ამ კონსტიტუციის 66-ე მუხლში და შემდეგ მუხლში თქმულია: "მთავრობას ყავს თავჯდომარე, რომელსაც ირჩევს პარლამენტი ერთი წლის ვადით. ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ."

რა თქმა უნდა, ზოგიერთებს, შეიძლება, ეხამუშოს დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის ეს დებულება, მაგრამ ამ დებულებათა დედააზრია ის, რომ უფლებრივ სახელმწიფოში უნდა ხდებოდეს მთავრობის თავჯდომარეთა კანონის გზით შეცვლა: ეს არის უფლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი დებულება, რომელიც ახლაც უმტკივნეულოდ ხორციელდება, ე.ი. პრაქტიკაშია შვეიცარიაში თუ სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოში, განსხვავებით კომუნისტური ქვეყნებისა, სადაც მთავრობის თავჯდომარის გადაყენება-დანიშვნა მართველ წრეშივე ხდება ინტრიგების თუ გადატრიალების გზით, რომლის დროს მოქალაქეთა, სა-

[illegible] ორგანიზაციათა კონტროლი სრულიად გამოთიშულია და არც [illegible] ეკითხება ვინმე რამეს, რომლებიც თითქოს ამომრჩევლებს წარმოადგენენ უმაღლეს საბჭოში. დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია კი კანონით განსაზღვრავდა მთავრობის თავჯდომარის უფლებებსა და მოვალეობას და მის დანიშვნა-გადაყენების წესს. სახელმწიფოს დანარჩენ საქმეთა მართვა-გამგეობა, ამ კონსტიტუციის 73-ე მუხლის ძალით, განაწილებული იყო მთავრობის წევრებს შორის. მთავრობის თითოეული წევრი, ესე-იგი მინისტრი პასუხისმგებელი იყო პარლამენტის წინაშე და უნდა გადამდგარიყო, თუ ესა თუ ის მინისტრი დაკარგავდა პარლამენტის ნდობას.

73-ე მუხლით მთავრობის თავჯდომარე პასუხისმგებელია საერთო პოლიტიკისათვის და ვალდებულია დაემორჩილოს პარლამენტის დადგენილებას, აასრულოს იგი და პარლამენტის დადგენილების მიხედვით თუ საჭიროა გამოცვალოს ცალკე მინისტრი ან გარდაქმნას მთელი კაბინეტი. როგორც ვხედავთ, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა პარლამენტის სრული კონტროლის ქვეშ, და ამით საქართველოს მოქალაქეების სრული კონტროლის ქვეშ იყო.

მთავრობის უფლება და მოვალეობა კი განსაზღვრულია 72-ე მუხლით: ესაა რესპუბლიკის საქმეთა უმაღლესი მართვა-გამგეობა თანახმად კანონისა, თვალყურის დევნება და აღსრულება კონსტიტუციისა და კანონებისა, დაცვა რესპუბლიკის საგარეო ინტერესებისა, რესპუბლიკის დაცვის უზრუნველყოფა, ფინანსების განაგება, ფულის მოჭრა, ბიუჯეტის აღრიცხვა და სხვა; და ყოველწლიურად ერთხელ მაინც უნდა წარუდგინოს პარლამენტს მოხსენება საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ.

დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლი კი განსაზღვრავს იმ უფლებებს, რომელთა ძალით მთავრობის თავჯდომარეს [illegible] უფლება უმაღლესი წარმომადგენლობისა, ე.ი. მთავრობის თავჯდომარე იმავე დროს არის რესპუბლიკის პრეზიდენტი, როგორც ეს იყო [illegible] დამოუკიდებლობის დროს, მთავრობის თავჯდომარე.

ნიშნავს ელჩებს სხვა სახელმწიფოებში და ღებულობს უცხოეთის სახელმწიფოების ელჩებს, განსაკუთრებულ შემთხვევაში შეუძლია მას გამოიყვანოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალა-რაც დაუყოვნებლივ უნდა მოახსენოს პარლამენტს, მთავრობის თავჯდომარე გამოსცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს კანონის აღსრულებისათვის; მაგრამ უფლება არ აქვს კანონის მოქმედება შეაჩეროს ან მისი მოქმედება დააბრკოლოს.

დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის ძალით მთავრობის თავჯდომარეს უფლება აქვს მოიწვიოს მინისტრებად საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ. და მთავრობის წევრებს, ე.ი. მინისტრებს არ შეუძლიათ იმავე დროს რაიმე სხვა თანამდებობა ეჭიროს ან რომელსამე პროფესიას მისდევდეს: შეეძლო მხოლოდ ყოფილიყო პარლამენტის წევრი და ადგილობრივი თვითმართველობის ხმოსანი.

როგორც ვხედავთ, პატივცემულო მსმენელებო, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის ძალით, საქართველოს მთავრობა - ეს სახელმწიფო ძალაუფლების სამიდან ერთი ორგანო - პარლამენტისა და მართმსაჯულების გვერდით, - იყო კანონმდებლობის ორგანოს, ე.ი. პარლამენტის უშუალო კონტროლის ქვეშ, ხოლო პარლამენტი - თავის მხრივ - იყო საქართველოს მოქალაქეების, ე.ი. ამომრჩევლების უშუალო კონტროლის ქვეშ. თვით პარლამენტი კი შედგებოდა სხვადასხვა პარტიების დეპუტატებისაგან, რომლებიც დემოკრატიული გზით არჩეული იყვნენ საქართველოს მოქალაქეების მიერ. ასეთი დემოკრატიული არჩევნები კი საქართველოში ჩატარდა 1919 წლის ივნისში, რის შედეგად საქართველოს პარლამენტში თავიანთი დეპუტატები გაიყვანეს ოთხმა დემოკრატიულმა პარტიებმა - სოციალ-დემოკრატიულმა, ეროვნულ დემოკრატიულმა, სოციალისტ-ფედერალისტურმა და სოციალ-რევოლუციურმა პარტიებმა. მაგრამ პარლამენტისა და მთავრობის ურთიერთ-

დამოუკიდებულებაში ჩარეულია მართლმსაჯულებაც - სახელმწიფო ძალაუფლების ეს ერთი ორგანოც, რომელსაც განსაზღვრავს დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლი: "კონსტიტუციის დარღვევისათვის, - ნათქვამია ამ მუხლში - მთავრობის თავჯდომარე და მთავრობის წევრები პასუხის გებული არიან სასამართლოს წინაშე. მათი პასუხისგებაში მიცემა შეუძლია პარლამენტს. მათი გასამართლება ხდება საერთო წესით".

აქ კი შეკრულია წრე, რომლის სამი ნაწილია კანონმდებლობის, აღმასრულებელი და მართლმსაჯულების ორგანოები, რაც, როგორც აღვნიშნეთ, დედაბოძებია უფლებრივი სახელმწიფოს ძალაუფლებისა.

**დიქტორი:** ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება, ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემულო მსმენელებო, ნობელის პრემიის ლაურეატის, ცნობილი რუსი მწერლისა და მოაზროვნის - ალექსანდრე სოლჟენიცინის - სიტყვები, რომელიც მან თქვა პრეს-კონფერენციაზე, ციურიხში, 1974 წლის 16 ნოემბერს:

"ნაციონალური პრობლემების სიცხარე დღეს საბჭოთა კავშირში უფრო მწვავეა, ვიდრე ეს მეფის რუსეთში იყო. თუ ნაციონალურ წინააღმდეგობათა სიმწვავეს მიწისძვრის თორმეტბალიანი შკალით გავზომავთ, მაშინ ძველ რუსეთში ეს იქნებოდა სადღაც ორ ბალზე, ხოლო დღეს საბჭოთა კავშირში არის ათ ბალზე".

"...ჩვენი ზრუნვა იქითკენ უნდა იყოს მიმართული - დასძენს ალექსანდრე სოლჟენიცინი -, რომ ეს, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირში ასე გამწვავებული ნაციონალური პრობლემა, როგორმე არ დავუშვათ აფეთქებამდე, არ დავუშვათ ხანძრამდე".

## სასამართლო

წინა საუბარში მე გესაუბრეთ, პატივცემულო მსმენელებო, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის მეხუთე თავის შესახებ, რომელშიც ჩამოყალიბებულია დებულებანი სახელმწიფო ძალაუფლების სამიდან ერთი ორგანოს - აღმასრულებელი ორგანოს, ე.ი. მთავრობის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ; და იქვე აღვნიშნეთ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა იყო რესპუბლიკის პარლამენტის, ე.ი. საკანონმდებლო ორგანოს უშუალო კონტროლის ქვეშ; თვით პარლამენტი კი შესდგებოდა დემოკრატიული გზით არჩეული სხვადასხვა პარტიების დეპუტატებისაგან, რომლებიც - კონსტიტუციის 48-ვე მუხლის თანახმად, - პასუხისგებაში არ შეიძლებოდა მიეცათ იმ აზრისა და შეხედულებებისათვის, რომელსაც ის გამოთქვამდა; ესე-იგი პარლამენტის წევრებს სრული თავისუფლება გააჩნდათ გაეკრიტიკებინათ თუ დაეგმოთ ამა თუ იმ პირის თუ სახელმწიფო ორგანოს მოქმედება თვით მთავრობის თავჯდომარის ჩათვლით. უმაღლესი ხელმწიფება კი ეკუთვნის - ამ კონსტიტუციის ძალით - მთელს ერს. პარლამენტი მხოლოდ ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას. ამგვარად, დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტი იყო მთელი ერის უშუალო კონტროლის ქვეშ, პარლამენტი კი თავის მხრივ კონტროლს უწევდა მთავრობის მოქმედებას; და თუ სახელმწიფო ძალაუფლების ამ ორ ორგანოს - პარლამენტსა და მთავრობას შორის წამოიჭრებოდა სადავო საკითხი, მაშინ წინა პლანზე იწევდა სახელმწიფო ძალაუფლების მესამე ორგანო - სასამართლო, რომლის უფლებებს განსაზღვრავს დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის მეექვსე თავი, რომლის 78-ტე მუხლი ამბობს შემდეგს:

"სასამართლო დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება".
და რომ ეს დებულება კიდევ უფრო განმტკიცებული იქნას, 79-ტე მუხლში ნათქვამია შემდეგი:

"სასამართლოს არც ერთი განაჩენი არ შეიძლება გაუქმებული,

შეცვლილი ან შეჩერებული იქნეს კანონმდებელი, აღმასრულებელი ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ".

აქ კი ზუსტადაა განსაზღვრული სახელმწიფო ძალაუფლების სამი დელაბოძის – კანონმდებლობის, აღმასრულებელი და სასამართლო – ორგანოების ფუნქციები: არც კანონმდებლობის ორგანოს – პარლამენტს და არც აღმასრულებელ ორგანოს – მთავრობას – არ შეუძლია გააუქმოს, შეცვალოს ან შეაჩეროს სასამართლოს განაჩენი. მაგრამ სასამართლოს უფლება კიდევ უფრო ფართეა: 76-ტე მუხლის თანახმად, დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს ერთი უმაღლესი სასამართლო-სენატი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი. სენატი მოვალეა:
ა) თვალყური ადევნოს კანონის დაცვას, და
ბ) განაგოს სასამართლო ნაწილი, როგორც საკასაციო სასამართლომ.
აქ კი ისურება სახელმწიფო ძალაუფლების ორგანოების – პარლამენტის, მთავრობისა და სასამართლოს – ურთიერთდამოკიდებულებითი წრე, რომლის ფუნდამენტია ის, რომ – პარლამენტი აწარმოებს კანონმდებლობას და კონტროლს უწევს მთავრობის მუშაობას, – მთავრობა უძღვება ქვეყნის საშინაო და საგარეო საქმეებს, ხოლო სასამართლო – თავის მხრივ – "თვალყურს ადევნებს კანონის დაცვას" და თუ კანონის დარღვევას ექნება ადგილი, ის ერევა საქმეში, გამოაქვს განაჩენი და სასამართლოს განაჩენის გაუქმების, შეცვლის ან შეჩერების უფლება არ აქვს არც კანონმდებელ, არც აღმასრულებელ და არც ადმინისტრაციულ ორგანოებს. და ბოლოს, – თუ ისევ მოვიგონებთ, რომ პარლამენტი დემოკრატიული გზით არჩეული სხვადასხვა პარტიების დეპუტატებისაგან შედგება და უშუალოდ ერის კონტროლის ქვეშაა, ვინაიდან უმაღლესი ხელმწიფება მთელს ერს ეკუთვნის 52-ტე მუხლის თანახმად, – მაშინ ნათელი ხდება, რომ სახელმწიფო ძალაუფლების სამი დელაბოძის – კანონმდებლობის, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების ურთიერთდამოკიდებულება ისეა დაწყებული და მათი უფლებები და მოვალეობანი ისეა ერთმანეთში განაწილებული , რომ არც ერთ

ორგანოს არ გააჩნია შესაძლებლობა დაეპატრონოს სახელმწიფოს მთელ ძალაუფლებას, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ უფლებრივ დემოკრატიულ სახელმწიფოში შეუძლებელია ძალაუფლების ბოროტად გამოყენება; ამის შესაძლებლობას სპობს ძალაუფლების სამად დანაწილება პარლამენტს, მთავრობასა და სასამართლოს შორის.

იმისათვის, რომ სასამართლო, როგორც სახელმწიფო ძალაუფლების სამიდან ერთი ორგანო - მთლიანად მართლმსაჯულების სამსახურში ჩადგეს, ამისათვის აუცილებელია მოსამართლეთა უფლებების და მოვალეობების ზუსტად განსაზღვრა. დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 82-რე მუხლის თანახმად, "მოსამართლე აირჩევა ვადით." და ვინაიდან 78-ტე მუხლით "სასამართლო დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება", მოსამართლეც, ნათელია, დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება. ამ დებულებებით კი მოსამართლე სრულიად დამოუკიდებელი პიროვნებაა, რომელიც მხოლოდამხოლოდ კანონს ემორჩილება; კანონს ქმნის პარლამენტი, პარლამენტი კი ერის უშუალო კონტროლის ქვეშაა. [illegible] მოსამართლის პიროვნებასა და მოვალეობას განსაზღვრავს 83-მე მუხლი, სადაც თქმულია:

"არ შეიძლება სასამართლოს წევრის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა მისი სურვილის წინააღმდეგ გარეშე სასამართლოს დადგენილებისა. თანამდებობიდან მისი დროებით გადაყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა სასამართლოში ან გამოძიებაში არის მიცემული. სრულიად დათხოვა კი შეიძლება სასამართლოს განაჩენის ძალით".

დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის ამ მუხლის ძალით, მოსამართლის, სასამართლოს წევრის პიროვნება დაცულია ისე, რომ ის ხელშეუხებელია და ის სასამართლოს დადგენილებით ან განაჩენით შეიძლება გადაყენებულ იქნეს დროებით ან დათხოვნილ იქნას. ამგვარად მოსამართლე სახელმწიფო ძალაუფლების სამიდან ერთი ორგანოს - სასამართლოს - გამგებელია, რომელიც თვალყურს ადევნებს კანონის დაცვას და განაგებს მართლმსაჯულებას.

ჯენ გაგაცანით, პატივცემულო მსმენელებო, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის ის დებულებანი, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფო ძალაუფლების სამი დელაშოძის – კანონმდებლობის, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების უფლებებსა და მოვალეობებს და დავინახეთ, რომ სახელმწიფო ძალაუფლების ეს სამი ორგანო ისეა გადაჯაჭვული ერთმანეთთან, რომ მათ არც ერთს არ შეუძლია სახელმწიფო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება: პარლამენტი კანონმდებლობის ორგანოა, რომლის დროს ის ერის უშუალო კონტროლის ქვეშაა(30-ათას ამომრჩეველს შეუძლია წერილობით მოითხოვოს ახლად მიღებული კანონი სარეფერენდუმოდ წარუდგინოს პარლამენტმა ხალხს), პარლამენტი კონტროლს უწევს მთავრობას, ხოლო სასამართლო თვალყურს ადევნებს კანონების დაცვას.

აი ასეთი უფლებრივი სახელმწიფო იყო დამოუკიდებელი საქართველო 1918-21 წლებში; და დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციაც შეიძლება ჩაითვალოს უფლებრივი სახელმწიფოს ერთერთ საუკეთესო ნიმუშად.

<u>დიქტორი:</u> <u>("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")</u>

ჩვენი დევიზია – ერისა და პიროვნების თავისუფლება,
ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
და ამასთან დაკავშირებით მოგონება, პატივცემულო მსმენელებო, –

ჩვენი ილიას სიტყვები:

"...ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს...დავიწყება ისტორიისა, მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა...წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო – მომავლისა...შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღლის წევა...უამისოდ თითონ შვილი, რა გინდა მხნე და გამჭრიახი იყოს, უხორთუმო სპილოს ეგვანება...და ამ წუთისოფელში ვერას გახდება...ისტორია ის დიდებული ტაძარია, სადაც ჰწირავს ერთიანს სულსა ერისას და სადაც აღუმართავს ერს თავის დიდებულ და დიდ-ბუნებოვან კაცთა უწმინდაესნი სახენი და ზედ წაუწერია დიდთა საქმეთა მოხსენება, ვითა საშვილიშვილო ანდერძი".

## საუბარი მეხუთე: მოქალაქის უფლებანი - (1) - სიტყვის, ბეჭდვის უფლება

წინა საუბრებში ჩვენ უკვე გავარკვიეთ დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფო ძალაუფლების სამი ძირითადი შტოს - კანონმდებლობის, აღმასრულებელი და მართლმსაჯულების ორგანოების უფლებებსა და ვალდებულებებს და მივედით დასკვნამდე, რომ კანონმდებლობა იყო ერის სუვერენიტეტის უშუალო კონტროლის ქვეშ, პარლამენტი კონტროლს უწევდა მთავრობას, და კანონის დაცვას თვალყურს ადევნებდა სასამართლო, რის შედეგად გამორიცხული იყო ყოველგვარი შესაძლებლობა სახელმწიფო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა. ამგვარად, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია არის უფლებრივი დემოკრატიული სახელმწიფოს სანიმუშო ძირითადი კანონი და სწორედ ამ კონსტიტუციაში იყო ასახული დემოკრატიული სახელმწიფოს რაობა, რომელიც ჩვენ გვქონდა 1918-21 წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს - და რომელიც იარაღის ძალით მოგვისპო საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ - ლენინის ბრძანებით.

ახლა მსურს შევეხო დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის იმ დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ მოქალაქის უფლებებს. მოქალაქის უფლებანი ჩამოყალიბებულია ამ კონსტიტუციის მესამე თავში, რომელიც შედგება 30 მუხლისაგან. ამ დებულებებიდან გავარჩიოთ ის მუხლები, რომლებიც განსაზღვრავენ <u>სიტყვის</u>, <u>ბეჭდვის</u> ან სხვა საშუალებით აზრის გამოთქმის საშუალებას. მოქალაქის უფლებებიდან პირველყოვლისა ჩვენ იმიტომ გვსურს ამ საკითხზე შევეხოთ, რომ სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, - პრესის თავისუფლება და ამით <u>პრესა</u> საერთოდ - დემოკრატიულ სახელმწიფოებში, - ითვლება, სახელმწიფო ძალაუფლების "მეოთხე ორგანოდ" კანონმდებლობის, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების გვერდით. და მართლაც, პრესა, თუ ის თავისუ-

ტერია, - ხალხის, საზოგადოების, ერის და ცალკეული პიროვნების რუპორია, რომლითაც ხალხი, ერი, საზოგადოება, ცალკეული მოქალაქე არა მარტო გავლენას ახდენს სახელმწიფო ძალაუფლების სამი დედა-ბოძის - კანონმდებლობის, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოებზე, არამედ ამ ორგანოების გვერდით ხელს უწყობს უფლებრივი სახელმწიფოს პრაქტიკულ განხორციელებას სახელმწიფო ცხოვრებაში. და რა გასაკვირია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია ზუსტად განსაზღვრავს და აყალიბებს სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლების ძირითად პრინციპებს.

"ყოველ მოქალაქეს - ნათქვამია ამ კონსტიტუციის 32-ე მუხლში აქვს სიტყვის, ბეჭდვის ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნება დაურთველად. ყოველი დანაშაულისათვის, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს სასამართლოს წინაშე".

31-ე მუხლი კი უფრო განმარტავს ამ უფლებას, სადაც (სხვათა შორის, მოცემულია შემდეგი:

"ყოველი მოქალაქე სინდისის სრული თავისუფლებით სარგებლობს. მოქალაქის დევნა და მისი პოლიტიკური თუ სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა სარწმუნოების ან რწმენის გამო არ შეიძლება."

აქ მართლაც ჩამოყალიბებულია დებულებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებას. მაგრამ, თქვენ, პატივცემულო მსმენელებო, შეიძლება მაინც შეგეპაროთ ეჭვი დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის ამ დებულებების ქმედითობაში, ვინაიდან საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციებშიც აღიარებულია - მაგალითად, სიტყვის თავისუფლება, ბეჭდვის თავისუფლება.

მაგრამ
საბჭოთა საქართველოს კონსტიტუცია ყველაფერს კრძალავს, რაც ე.წ."სოციალისტური წესყობილების განმტკიცების მიზნებს"არ ემსახურება; და თუ რა არის, რას წარმოადგენს ეს "სოციალისტური წესყობილების მიზნები" - ამას განსაზღვრავს "ცენტრის" პარტსელმძღვანელობის სათავეში მდგომი პირი; ხოლო საქართველოს მოქალაქეების სიტყვისა და ბეჭდვის უფლება გამოისახება იმაში - სიტყვა მჯახსას - ღღეს, ვთქვათ, ლეონიდ ბრეჟნევის ყოველ აზრს, ისე როგორც წარსულში სდებოდა ლენინის, სტალინის თუ ხრუშჩოვის ყოველი ზანდური გამოთქმის ხოტბის შესხმა. და ასეთ შემთხვევაში რომ საერთოდ არ შეიძლება ლაპარაკი სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებაზე, ეს თქვენ კარგად იცით, პატივცემულო მსმენელებო, და ყოველდღიურად ხედავთ გაზეთ "კომუნისტის" თუ სხვა პრესის ორგანოებში. დიამეტრალურად სხვაა დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 32-ტე მუხლის დებულება სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლების შესახებ: დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია კი არ ყოფილა ჰაერში აგებული ძირითადი დებულებანი, არამედ გამოსახავდა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს.რაობას, რომელიც არსებობდა 1918-21 წლებში. და გარანტია საქართველოს მოქალაქის სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებისა - იყო მაშინდელი რეალური მდგომარეობის აღნუსხვა.

მაგალითად, დამოუკიდებელ საქართველოში 1918-21 წლებში არსებობდა ნამდვილი დემოკრატიული პრესა, რომელიც გამოსახავდა მაშინდელ საქართველოს პლურალისტური საზოგადოების ყოველი

ფენის, ყოველი პროფესიის აზრებს. მაშინ საქართველოში არსებობდა 12-ტი პოლიტიკური პარტია და დაჯგუფება და ყოველ მათგანს ქონდა თავისი საკუთარი გაზეთები, ჟურნალები და ღიად გამოთქვამდენ თავიანთ აზრს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ და სოციალურ მდგომარეობაზე. საქართველოს პარლამენტში საქართველოს ამომრჩევლებმა წარადგინა ოთხი პარტიის - სოციალ-დემოკრატების სოციალისტ-ფედერალისტების, ეროვნულ დემოკრატებისა და სოციალ-რე-

ვოლუციონერების - დეპუტატები, რომლებიც, ხშირად, სხვადასხვა აზრის იყვნენ ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხის შესახებ; და რა გასაკვირია, რომ ეს აზრები, მეხაფერე კომენტარებითა და დოკუმენტაციით - ქვეყნდებოდა ამათუიმ პარტიის პრესაში, რითაც ყოველი საკითხი ღიად, საჯაროდ იხილებოდა მთელი ერის, მთელი მოსახლეობის წინაშე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციაში აღბეჭდილი იყო მოქალაქის სიტყვისა და შეკრების თავისუფლების დებულება, რაც იყო მაშინდელი საქართველოს რეალური მდგომარეობის სარკე. ახლა შემთხვევაში კი მოქალაქის სიტყვისა და შეკრების თავისუფლება ფიქცია კი არ არის, როგორც ამას აქვს ადგილი საბჭოთა საქართველოს ერთპარტიულ სისტემაში, - არამარტო მოქალაქის სიტყვისა და შეკრების თავისუფლება ქმედობაში, ხორციელდება ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს კი არის სიტყვისა და შეკრების ნამდვილი თავისუფლება; და ახლა თავისუფალ პრესას მართლაც რომ შეიძლება ეწოდოს უფლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოში სახელმწიფო ძალაუფლების "მეოთხე ძალა", "მეოთხე ორგანო", - როგორც ამას ამბობენ ხოლმე დემოკრატიულ სახელმწიფოებში.

ამგვარად, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია არის უფლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელიც სახელმწიფო ძალაუფლებას სამ დედაბოძზე - კანონმდებლობის, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებზე აყრდნობდა; და მოქალაქის სიტყვისა და შეკრების თავისუფლებ ქმედით საშუალებას საზოგადოებას, ერს, მოქალაქეებს, ცალკეულ პირებს თავისი აზრი ღიად თქვათ ქვეყნის ყოველ საჭირბოროტო საკითხზე; და აქ პრესა გვერდში ედგა სახელმწიფო ძალაუფლების სამ ძალას -კანონმდებლობას, მთავრობას, სასამართლოს,-როგორც - "მეოთხე" ძალა.

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..
==============================

## საუბარი მეექვსე: მოქალაქის უფლებანი - (2)-მიმოსვლის უფლება

წინა საუბრებში ჩვენ ვილაპარაკეთ დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის იმ დებულებებზე, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფო ძალაუფლების სამ დედაბოძზე - კანონმდებლობაზე, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებზე დაყრდნობას; და ვისაუბრეთ აგრეთვე მოქალაქეთა უფლებების შესახებ, რომლითაც გარანტირებულია სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება. დღეს შევეხებით იმ მუხლებს, რომლებიც ეხება მოქალაქეთა მიმოსვლის თავისუფლებას.

დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის მესამე თავში ჩამოყალიბებულია მოქალაქეთა უფლებანი, რომელთა შორის მუხლი 30-ე ეხება მიმოსვლის თავისუფლებას:

"ყოველი მოქალაქე - ნათქვამია ამ ნაწილში - მიმოსვლასა და ბინადრობის არჩევაში სრულიად თავისუფალია; ამ უფლების შეზღუდვა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება".

ახლა ნათქვამში დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლში, რაც საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლებას ანიჭებდა საქართველოს დამოუკიდებლობის დროს - 1918-21 წლებში - თავისი სურვილისამებრ ემოგზაურა საქართველოს ტერიტორიაზე თუ საზღვარგარეთ და თავისი სურვილით აერჩია თავისი საცხოვრებელი ბინა-ადგილი. ეს მუხლი მართლაც რომ მეტად დიდი მნიშვნელობის იყო იმ დროს, ე.ი. 1918-21 წლებში, არამედ ეს დებულება მეტად აქტუალურია დღესაც - ვინაიდან დღეს საბჭოთა საქართველოს მოქალაქეებს, ისე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქეებს — სწორედ მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის თავისუფლება არ გააჩნიათ. დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის ამ 30-ე მუხლის უდიდეს მნიშვნელობას ადასტურებს აგრეთვე ისიც, "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში", - რომელიც 1948 წლის 10 დეკემბერს მიიღო გაერთიანებული ერების

ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ, - დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის მიღების 27 წლის შემდეგ ჩამოყალიბებულ იქნა მიმოსვლის თავისუფლების დებულებანი:

"ყოველ ადამიანს - ნათქვამია "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" მე-13-ე მუხლში - აქვს უფლება თავისუფალი მიმოსვლისა და აირჩიოს თავისთვის საცხოვრებელი ადგილი ყოველ სახელმწიფოში.

ყოველ ადამიანს აქვს უფლება დატოვოს ყოველი სახელმწიფო, თავისი საკუთარი სახელმწიფოს ჩათვლით, და დაბრუნდეს თავის ქვეყანაში".

ახლა ნათევამი "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში", რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიამ მიიღო 1948 წლის 10 დეკემბერს, ე.ი. დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის მიღებისა და დამტკიცების 27 წლის შემდეგ. აქედან კი ნათლად ჩანს, თუ როგორი შორსმჭვრეტელობით, როგორი კულტურობით იყო გამსჭვალული დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის შემქმნელები, როცა იმუშავებდეს და როცა მიიღებდა და დაამტკიცებს ეს კონსტიტუცია. დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის ამ 30-თე მუხლს, რომლითაც უზრუნველყოფილია ყოველი მოქალაქის მიმოსვლის თავისუფლება, - იმიტომ ვანიჭებთ ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას, რომ საქართველოში დღეს - საქართველოს დაპყრობის, ესე-იგი დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის დამპყრობელი ძალის მიერ გაუქმების შემდეგ, - არ არსებობს მიმოსვლის თავისუფლება, არ არსებობს შინაურობის არჩევის თავისუფლება. და აი დამოუკიდებელი საქართველოს ახეთი დემოკრატიული კონსტიტუცია გააუქმა ლენინის მთავრობამ, როცა 1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის წითელმა არმიამ დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო.

## კრების თავისუფლება

გავარკვიეთ
რა მოქალაქის უფლებები დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე, წინა საუბრებში ჩვენ შევეხეთ პრესის თავისუფლებასა და მიმოსვლის თავისუფლებას; ახლა მსურს გესაუბროთ, პატივცემულო თანამემამულენო, დემონსტრაციის უფლებებზე ამ კონსტიტუციის, ესე-იგი დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის ძალით, რომელიც ძალაში იყო საქართველოში 1918-21 წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს.

დემონსტრაციისა და კრების თავისუფლებას განსაზღვრავს დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლი, სადაც თქმულია შემდეგი:

"საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ უფლება აქვთ მთავრობის ნება დაურთველად შეიკრიბონ საჯაროთ და უიარაღოთ როგორც ჭერქვეშ ისე გარეთ."

37 მუხლი კი განსაზღვრავს:"პირადი და კოლექტიური პეტიციის უფლება უზრუნველყოფილია".

აქ, ამ ორ მუხლში განსაზღვრულია მოქალაქეთა უფლებანი, რომელთა ძალით დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეებს უფლება ქონდათ,მთავრობის ნებართვის გარეშე,თავი შეეყარათ ქუჩებში, მოედნებზე თუ სხვაგან, ისე როგორც ჭერქვეშ და თავიანთი აზრი გამოეთქვათ ერის, სახელმწიფოს, საქართველოს ყოველ საჭირბოროტო საკითხზე. და მოქალაქეებს გააჩნდათ პირადი და კოლექტიური პეტიციის უფლება, ესე-იგი მათ შეეძლოთ პეტიციის სახით თავიანთი აზრი ეცნობებინათ მთავრობის ორგანოებისათვის და მოეთხოვათ ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხზე პასუხი.

ერთადერთი შეზღუდვა გამოიხატებოდა იმაში, რომ საჯარო შეკრება გარეთ თუ ჭერქვეშ უნდა ჩატარებულიყო უიარაღოთ, რაც

სრულიად შეუსაბამება დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის (უზენაესობა - ძირითად დებულებებს, ვინაიდან საქართველოს მოქალაქეების/-როგორც ეს ჩვენ ავღნიშნეთ საქართველოს პარლამენტის,ე.ი.კანონმდებლობის ორგანოს განხილვისას,-ერის უზენაესობა, ერის ხელმწიფება უზრუნველყოფილია 52-ტე მუხლის ძალით და პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ანხორციელებს ერის ხელმწიფებას. და თუ პარლამენტი მიიღებს ისეთ კანონს, რომელიც არ შეესაბამება ერის ინტერესებს, საქართველოს მოქალაქეების ინტერესებს, მაშინ - ამ კონსტიტუციის 64-ხე მუხლით ძალით - 30-ათას ამომრჩეველს შეუძლია წერილობით მოთხოვოს პარლამენტს ეს კანონი სარეფერენდუმოდ წარუდგინოს ხალხს. ამგვარად, მოქალაქეებს სრულიად ლეგალური საშუალებები გააჩნია უშუალო მონაწილეობა მიიღოს კანონის შექმნაში და ამის შედეგად სრულიადაც არ არის საჭირო გარეთ თუ ჭერქვეშ მოქალაქეთა იარაღით შეკრება, მით უმეტეს, რომ ამ კონსტიტუციის 37-ტე მუხლის ძალით უზრუნველყოფილია პირადი და კოლექტიური პეტიციის უფლება.

დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ "თუ კრებამ ცანაშაულის ხასიათი მიიღო, ადმინისტრაციას შეუძლია დახუროს იგი". ტერმინ "დანაშაულში" აქ იგულისხმება, რა თქმა უნდა, სისხლის სამართლის დანაშაული და არავითარ შემთხვევაში სიტყვის, ბეჭდვის თავისუფლების შეკვეცა. აკი დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 32-ტე მუხლი ამბობს, რომ ყოველ მოქალაქეს აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარი ნებართვის გარეშე. და აქ ნათლად არის ნათქვამი, რომ მოქალაქეთა სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება,ე.ი. თავისი აზრების გამოთქმის უფლება ყოველი საშუალებით უზრუნველყოფილია თავშეყრის დროს გარეთ თუ ჭერქვეშ. პრაქტიკულად ეს ნიშნავს, იმას,რომ

დამოუკიდებელ საქართველოში მოქალაქეებს უფლება ქონდა თავი მოეყარათ ქუჩებში თუ ჭერქვეშ და გაეკრიტიკებიათ თუ დაეგმოთ მთავრობის თუ რომელიმე პარტიის თუ რომელიმე ორგანიზაციის თუ რომელიმე პირის მოქმედება და ამისათვის მათ არავითარი შევიწროება თუ სასჯელი არ მოელოდათ. ეს უფლებები გარანტირებულია კონსტიტუციით. აქ კი ნათელი ხდება თუ რა დიდი განსხვავებაა დამოუკიდებელ საქართველოს კონსტიტუციას, და დამოუკიდებელი საქართველოს რეალურ მდგომარეობასა და საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციასა და საბჭოთა საქართველოს რეალურ მდგომარეობას შორის.

საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში გარანტირებულია -"კრებების და მიტინგების თავისუფლება" და "ქუჩებში სვლისა და დემონსტრაციის თავისუფლება"; მაგრამ ყველაფერი ეს ნებადართულია მხოლოდამხოლოდ თუ ეს კრებები და მიტინგები, სვლა თუ დემონსტრაციები "შეესაბამება მშრომელების ინტერესებს"; ხოლო თუ რა შეესაბამება მშრომელების ინტერესებს ამას განსაზღვრავს "ცენტრის" კომპარტიის ცეკას სათავეში მდგომი პირი დიქტატორული ტეხით. და საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის ეს ფიქტიური უფლება ჩვენ ქართველებს მეტად ძვირად დაგვიჯდა განსაკუთრებით 1956 წელს, როცა საქართველოს სტუდენტების და მუშა-ახალგაზრდების მშვიდობიანი დემონსტრაციები სისხლში ჩაახშო პარტსელმძღვანელობამ და იარაღის ძალით გაუმასპინძლდა ახალგაზრდებს პარტსელმძღვანელობა მხოლოდამხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენმა ახალგაზრდებმა არ დაეთანხმა "ცენტრის" პარტსელმძღვანელობის პოლიტიკას და გამოთქვა თავისი საკუთარი აზრი, რომელიც ჩვენი ერის უფლებების დაცვასაც შეიცავდა. და ვინაიდან "ცენტრისა" და საქართველოს პარტსელმძღვანელობა ვერ იცანს, არ უშვებს სხვა აზრს, თუ არა მხოლოდამხოლოდ "ცენტრის" მმართველის აზრს, სისხლში ჩაახშო სტუდენტთა და ახალგაზრდა მუშათა მშვიდობიანი დემონსტრაცია თბილისის ქუჩებში. აი ასე ესმის პარტ-

წელმძღვანელობას კრებისა და მიტინგების, ქუჩებში სვლისა და დემონსტრაციების თავისუფლება. [უხელმძღვანელობისათვის კრებისა და მიტინგების თავისუფლება, ქუჩებში სვლისა და დემონსტრაციების თავისუფლება მხოლოდ-მხოლოდ მაშინაა უზრუნველყოფილი, თუ კრების, მიტინგების, თუ დემონსტრაციების მონაწილენი სოფზას შეასხამენ პარტხელმძღვანელობის მისვეტ-მოსვეულ და ხშირად სრულიად ულოღიკო აზრთა აკრობატიკას.]

დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციით კი საქართველოს მოქალაქეებს ქონდათ თავმეყრის სრული თავისუფლება, როგორც გარეთ, ისე ჭერქვეშ მთავრობის ნებართვის გარეშე; და ამგვარი შეკრების დედააზრი სწორედ ის იყო, რომ მოქალაქეებს ამ გზითაც გამოეთქვათ თავისი აზრი ერის, ქვეყნის ყოველ საჭირბოროტო საკითხზე და კრიტიკის ქარცეცხლში გაეტარებინათ თვით მთავრობაც, მთავრობის ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პარტიები თუ ცალკეული პასუხისმგებელი პირებიც. და მოქალაქეთა ეს უფლება სორციელდებოდა პრაქტიკულად, ესე-იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, "დემოკრატია იყო მოქმედებაში".

ეს ასეთი კონსტიტუცია გაუქმდა ჩვენი ერის ცხოვრებაში მაშინ, როცა წითელმა არმიამ 1921 წლის თებერვალ-მარტში დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო.

ზოგიერთი მნიშვნელოვანი თარიღები:

დღეს მსურს გაგაცნოთ, პატივცემულო მსმენელებო, ზოგიერთი მნიშვნელოვანი თარიღი საქართველოს უახლესი ისტორიისა:

19 ნოემბერს,1917 წელს - მოწვეულ იქნა საქართველოს ეროვნული ყრილობა.

22 ნოემბერს,1917 წელს - ეროვნული ყრილობა ირჩევს საბჭოს.

10 თებერვალს,1918 წელს - მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის სეიმი, ქართველთა ინიციატივით, ამიერკავკასიის ფედერაციის დასაარსებლად. შემდგა მთავრობა - 4 ქართველი(მთავრობის თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრი,სამხედრო მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი), 5 აზერბაიჯანელი და 4 სომეხი.

9 აპრილს, 1918 წელს - გამოცხადდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა როგორც ფედერაციული რესპუბლიკის. (ოსმალეთის წინააღმდეგობით და სომეხთა და აზერბაიჯანელთა შეუთანხმებლობის გამო დაიშალა.) ..........

26 მაისი,1918 წელი - გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა.

12 მარტს, 1919 წელს - ერთხმად რატიფიცირებული იყო ეს დადგენილება ეროვნულ ყრილობის დამფუძნებელი კრების მიერ.

16 ივნისს, 1919 წელს - დაიდვა თავდაცვის ხელშეკრულება საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის.

7 მაის ს, 1920 წელს - დაიდვა ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის.

21 თებერვალს, 1921 წელს - საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა-მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია.

25 თებერვალს,1921 წელს - საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ დაიპყრო თბილისი.

28 და 29 აგვისტოს,1924 წელს - საქართველოში ადგილი ჰქონდა საყოველთაო სახალხო აჯანყებას, რომელიც დამარცხდა და ათასობით ქართველი პატრიოტი მოკლული, დაპატიმრებული თუ გადასახლებული იქნა.

9 მარტს, 1956 წელს - თბილისში სისხლში იქნა ჩახშობილი თბილისის ახალგაზრდა მუშებისა და სტუდენტების მასობრივი დემონსტრაციები.

14 აპრილს, 1978 წელს - თბილისში ჩატარდა მასობრივი დემონსტრაცია ქართული ენის დაცვის მიზნით,რის შედეგად ქართული ენა ისევ იქნა შეტანილი საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში როგორც საქართველოს სახელმწიფო ენა.

=====================================

## დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორია:

დღევანდელ ჩვენს საუბარში შევეხებით, პატივცემულო მსმენელებო, დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის საკითხს, ტერიტორიისა, რომელიც 1921 წლის 17-ც მარტამდე, როცა დამოუკიდებელი საქართველო იარაღის ძალით დაიპყრო ლენინის რუსეთის წითელმა არმიამ - უდრიდა 91.110-თ კვადრატულ კილომეტრს; საბჭოთა საქართველოს სახელმწიფოტერიტორია კი უდრის 69.700-ს კვადრატულ კილომეტრს, ე.ი. 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველომ დაკარგა არა მარტო დამოუკიდებლობა და სუვერენობა და გაქრა როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი მსოფლიო პოლიტიკაში, არამედ დაკარგა თავისი ტერიტორიის თითქმის ერთი მეოთხედი, ზუსტად - დაკარგა თავისი ტერიტორიის 21.410-ი კვადრატული კილომეტრი, რომელთაგან ერთი ნაჭერი საქართველოს,ქართველი ერის ისტორიული ტერიტორიის თვით რუსეთმაც კი მიითვისა - სოჭი და მისი რაიონი - თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს. ამგვარად, ხაზგასმით მსურს კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ ქართველმა ბოლშევიკებმა 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის იარაღის ძალით არა მარტო დაიპყრეს და ისევ უცხო ძალას დაუმორჩილეს საქართველოს სახელმწიფო,არამედ, როგორც ბუდუ მდივანი ამბობდა,"მარცხნივ-დამარჯვნივ"დაარიგეს ქართველი ერის მიწა-წყალი,რის შედეგად საქართველომ დაკარგა <u>არტვინის ოლქი</u>(3.339 კვ.კმ.),<u>ფოცხოვის თემი</u>(588 კვ.კმ.), <u>არდაანის ოლქი</u>(5.137 კვ.კმ.),<u>ოლთისის ოლქი</u>(3.051 კვ.კმ.), <u>ბორჩალოს მაზრის ნაწილი</u>(3.812 კვ.კმ.),<u>ზაქათალის ოლქი</u>(3.564 კვ.კმ.),ხოლო თვით საბჭოთა რუსეთმა მიიკუვნა საქართველოს უძველესი ტერიტორია - ჯიქეთი,ე.ი.სოჭი და მისი რაიონი;

მაგრამ დავუბრუნდეთ რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულებას, რომლის ვრცელი ... თსი მუხლი ამ ხელშეკრულებიდან, განსაზღვრავენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასა და ადგენენ საქართველოს საზღვრებს:

## ო თ ხ ი   მ უ ხ ლ ი -

## 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებისა:

1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას შორის დადებულ იქნა შემდეგი ხელშეკრულება:

### 1 მუხლი.

„ეყრდნობა რა რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკის მიერ ყველა ხალხისათვის აღიარებულ თვითგამორკვევის უფლებას იმ სახელმწიფოსაგან სრულ ჩამოშორებამდე, რომლის ნაწილსაც შეადგენდენ, რუსეთი ცნობს სავსებით საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენობას, და ნებაყოფლობით ხელს იღებს ყველა იმ სუვერენულ უფლებაზე, რომელნიც ეკუთვნოდენ რუსეთს ქართველი ხალხის და საქართველოს ტერიტორიის მიმართ.

### 2 მუხლი

ეყრდნობა რა ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში განსაზღვრულ პრინციპებს, რუსეთი ვალდებულებას იღებს თავი დაიჭიროს საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველგვარი ჩარევისაგან.

### 3 მუხლი

სახელმწიფო საზღვარი საქართველოსა და რუსეთს შორის გადის შავი ზღვიდან მდინარე ფსოუზე ასახჩას მთამდე, გადით ასახჩას და არაპეცს მთებს შორის შავი ზღვის, ქუთაისის და თბილისის ყოფილ გუბერნიების ჩრდილოეთ საზღვრამდე, ზაქათალის ოლქით ამ ოლქის აღმოსავლეთ საზღვარზე, სომხეთის საზღვრამდე.

### 4 მუხლი

რუსეთი სცნობს საქართველოს სახელმწიფოში აუცილებელ შემავალად, გარდა შავი ზღვის (ჩერნომორსკაია გუბერნია) იმ ნაწილებისა, რომელიც აღნიშნულია ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში, შემდეგ გუბერნიებს და ოლქებს ყოფილი რუსეთის იმპერიისა: თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის ყველა მაზრებით და ოლქებით, რომლებიც შეადგენენ აღნიშნულ გუბერნიებს; და აგრეთვე ზაქათალის და სოხუმის ოლქებს."

---

აი, ახლა ნათქვამი რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7-ლი მაისის ხელშეკრულებაში დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიის შესახებ.

დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის შესახებ, ისტორიკოსმა ალექსანდრე მანველიშვილმა - 1938 წელს, პარიზში, გამოაქვეყნა ნარკვევი "საქართველოს საზღვრები". გავაცნობთ ამონაწერებს ამ ნარკვევიდან:

ალ. მანველიშვილი

# საქართველოს საზღვრები

სადაც თავდება მორალი პოლიტიკისა,
— იწყება პოლიტიკა მორალისა.

კანტი.

გაზეთ „მომავალის“ გამოცემა

პარიზი 1938

## საქართველოს ტერიტორია და საზღვრები

საქართველოს ტერიტორია ეთნოგრაფიულად და ეკონომიურად ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენს. ათასეულ წელთა განმავლობაში ბრძოლებისა და თავდაცვის დროს გამოიკვეთა და განმტკიცდა ის გარკვეულ

ბუნებრივ საზღვრებში. ეს იქამდე დამახასიათებელია საქართველოს ტერიტორიის, რომ თვით ალორძინებისა და ძლიერების ხანებშიც საქართველო დიდათ არ ყოფილა დაინტერესებული თავისი სამფლობელო ბუნებრივი საზღვრებისათვის გადაცილებინა.

ისტორიულად საქართველოს უმთავრესი მტერი სამხრეთიდან ჰყავდა. ამიტომ ცვალებადობას უმთავრესად სამხრეთის საზღვრები განიცდიდნენ. უნდა ითქვას რომ ღრმა ცვლილებანი მხოლოდ უკანასკნელ საუკუნეებში მოხდა. ადრე კი, მართალია საქართველოს ხშირად განუცდია დაპყრობა, მაგრამ ეს ყოფილა მთლიანი და დამპყრობ იმპერიის ფარგლებში საქართველო ყოველთვის ახერხებდა თავისი ტერიტორია ბუნებრივ საზღვრებში შეენახა.

აღნიშნული ცვლილება იწყება მე-17 საუკუნის პირველი ნახევრითგან. როდესაც თურქები იპყრობენ მესხეთს და ძალით ამაჰმადიანებენ. მე-19 საუკ. განმავლობაში რუსები ნელ-ნელა იბრუნებენ ოსმალებისაგან საქართველოს ტერიტორიებს და მიუახლოვდებიან ბუნებრივ საზღვრებს. 1918 წელს მკვდრეთით აღმდგარი საქართველო დაახლოებით აღნიშნულ საზღვრებში განახორციელებს თავის დამოუკიდებლობას. ხოლო 1921 წელს მოსკოვმა ოსმალეთს გადაულოცა საქართველოს სამხრეთის პროვინციები: ფოცხოვის თემი (ახალციხის მაზრის ნაწილი), არტაანის, ოლთისის და ართვინის მხარეები და ნაწილი ბათუმის მხარისაც.

საქართველოს ტერიტორია მოთავსებული ამიერ-კავკასიაში, სამი მხრით შემორტყმულია სიმაგრეებით. ხოლო მეოთხე, აღმოსავლეთით იხსნება აზერბეიჯანთან. ისტორიულად, აქ მოსახლე თათრის ტომები საქართველოს ვასალურ დამოკიდებულებაში იყვნენ ხოლმე. და მაშასადამე საქართველო აღმოსავლეთითაც თავის სტრატეგიულ ხაზს კასპიის ზღვით საზღვრავდა. ისტორიულად, ყველა დიდი ომების და შეთქმულებების გეგმები ამ პრინციპს ემყარებოდენ.

ამგვარად:

1. საქართველოს ჩრდილოეთით აკრავს კავკასიის მთავარი ქედი მისი უმთავრესი შტოებით.
2. სამხრეთით მას ზღუდავს თოვლიანი მთების მთელი სისტემა, ჩილდირის ტბიდან თორთუმ ბაიბურთის გაყოლებით, შავ ზღამდე.
3. დასავლეთით არტყია შავი ზღვა — უგრძელესი ხაზით ჩერქეზეთიდან სამხრეთის საზღვრამდე.
4. აღმოსავლეთით საქართველო ეკვრის აზერბეიჯანის ველს. ხოლო აქაც ის გაიყოფა კავკასიის მთავარი მდინარით, მტკვრით და შესართავებით: ძეგამ-ალაზან-ქურმუხით.

ამ ბუნებრივ საზღვრებში მოთავსებული საქართველო ისეთი მთლიანობაა, რომ ყოველი უმნიშვნელო ნაწილის ჩამოცილება ასახიჩრებს მთლიან ორგანიზმს. ის არღვევს გეოგრაფიულად, აკოჭლებს ეკონომიურად აზიანებს სამხედრო თავდაცვის თვალსაზრისით და ასუსტებს პოლიტიკურად.

მთელ საქართველოს სერავენ სამი მთავარი მდინარის აუზები მათი შესართავებით: მტკვრის, ჭოროხისა და რიონის.

სამხრეთ საქართველო ანუ მესხეთი ერთის მხრით ჭოროხის ხეობით უკავშირდება დასავლეთ საქართველოს, მეორეს მხრით მტკვრის ხეობით აღმოსავლეთ საქართველოს და ასე გადაახვევს რა ხელს ორ დანარჩენ ძმას, ჰქმნის მთლიან ჰარმონიას ეკონომიური და პოლიტიკური თვალსაზრისით. აქეთგან ნათლათ სჩანს სამხრეთ სა-

ქართველოს უდიდესი მნიშვნელობა საქართველოს მეურნეობისა და მთლიანობისათვის, რაც ისტორიითაც დამტკიცებულია. საქართველოს პირველი გაერთიანება შესაძლებელი გახდა, მხოლოდ სამხრეთის სუვერენთა თანხმობით. ხოლო შემდეგ უმათოთ ეს შეუძლებელი შეიქმნა მთელი ხუთი საუკუნის განმავლობაში.

სამხრეთ საქართველოს მნიშვნელობა უფრო გაიზრდება თუ გავითვალისწინებთ მის როლს საერთო თავდაცვის საქმეში. საუკუნეთა განმავლობაში ის იყო ბარიერი გარეშე მტრის ერთად ერთ მოსავალ გზაზედ. ამიტომ იყო, რომ თურქების მიერ მე- 17 საუკუნეში ამ კუთხის მოტაცების შემდეგ, საქართველო არა მარტო დასუსტდა. არამედ ის ორად გაყოფილი. ბოლომდე ველარ ახერხებს გაერთიანებას. ამიერ და იმიერ ქართველობაში არა ერთხელ იფეთქა ეროვნულმა შეგნებამ, არა ერთხელ გამოითქვა სურვილი გაერთიანების. მე-18 საუკუნეში ქართველ მეფე-მთავრებმა სათანადო ხელშეკრულებასაც კი მოაწერეს ხელი, და ეს უნდა მომხდარიყო ისეთი დიდი ავტორიტეტის სკიპტრის ქვეშ როგორიც იყო პატარა კახი, მაგრამ ჩვენი ღრმა რწმენით, აღნიშნული მდგომარეობა და მისგან შექმნილი პოლიტიკური პირობები იყვნენ ერთად ერთი მიზეზნი მთლიანობის განუხორციელებლობის. საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობის დარღვევას მოჰყვა ეკონომიური დაცემაც. რადგან საქართველოს ყოველი კუთხე მეურნეობის თავისებურებით ხასიათდება და სამხრეთის სამუდამოთ ჩოწყვეტამ და აღმოსავლეთ დასავლეთის გაყრამ შექმნა გაჭირვება და სიღატაკე. მე-18 ს. ეს იქამდე სინამდვილე იყო, რომ [illegible] ქართლ-კახეთის მეფე ერეკლეც, კერძო პირებისგან სესხულობდა ხოლმე ფულს, ამიტომ ყოველგვარ ეკონომიურ და ფინანსიურ ბაზას მოკლებული სახელმწიფო მხოლოდ სამხედრო ძალაზედ დამყარებით სულს ითქვამდა დროებით და მისი დაცემა გარდაუვალი იყო.

ამგვარად, საქართველოს თავისუფლებას აზრი დაეკარგა მას შემდეგ. რაც მისი პოლიტიკური მთლიანობა დაირღვა და ეკონომიურად დაეცა. ხოლო ყოველივე ამის მიზეზი იყო მისი ტერიტორიალური მთლიანობის დარღვევა.

—

თვით მონღოლთა ბატონობის დროსაც ვინაითგან საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობა დარღვეული არ იყო, მიუხედავათ მისი მრავალგზის აოხრების, მოსახლეობა კიდევ აღწევდა 5—6 მილიონს და ნივთიერადაც ძლიერი იყო. ის ჯერ კიდევ არ ჰგავდა მე-17—18საუკუნის, ირან - ოსმალეთის მეტოქეობის დროის საქართველოს.

გარდა პოლიტიკური და ეკონომიური მთლიანობის, საქართველო ეთნოგრაფიულადაც ერთ მთლიანს წარმოადგენს. ასეთი მთლიანობა საქართველოს მსგავს პირობებში მყოფ არც ერთ ერს არ დაუცავს. მისი მოსახლეობის 80 პროცენტს წმიდა ქართველობა შეადგენს. ვერც მტერთა შემოსევებმა; ხოცვა-ჟლეტამ. უამრავ უცხო ტომის ჩამოსახლებამ, სპარსეთის და უფრო კი რუსეთის კოლონიალურმა პოლიტიკამ, ვერ შესძლეს საქართველოს ეთნიური მთლიანობის დარღვევა.

ქართველობა გაცილებით პრივილეგიურ მდგომარეობაში იყო კულტურულად ყველა მეზობელ ხალხებზედ. ამან და ძლიერმა პატრიოტიზმმა ის დაიცვა საბოლოო გათქვეფისაგან.

საზღვრები დეტალურად. 1. დასავლეთით—შ. ზღვა 2. ჩრდილოეთით — კავკასიონის მთავარი ქედი: საზღვარი იწყება მდ. მაკოფსეს შესართავიდან შავ ზღვასთან, იქ სადაც კავკასიონის ქედი უახლოვდება შავ ზღვას. ხაზი მისდევს მდ. მაკოფსეს — დიდ ფსეუხშოს მწვერვალამდე. შემდეგ მიჰყვება მდინარეებს ტუაფსესა და

აშეს წყალთ გამყოფ ხაზს და მიადგება კავკასიონის მთავარ ქედს გორიხის უღელტეხილიდან 20 კილომეტრზე სამხრეთ აღმოსავლეთით. აქეთგან მიყვება მთავარ ქედს ვაინქ-ფარსის მწვერვალამდე. შემდეგ მიყვება ყაზბეგის მთის სისტემას შავი კლდის მწვერვალამდე. აქედან ხელმეორედ მიჰყვება კავკასიის მთავარ ქედს 11389 ფუტის სიმაღლის მწვერვალამდე, რომელიც იმყოფება ზაქათალის ოლქის მიჯნაზედ (მთ.„კარა კაია").

3. აღმოსავლეთით — საზღვრის ხაზი დაშვებული ზემოხსენებული 11389 ფუტის სიმაღლის მწვერვალიდან კავკასიონის ქედისა, გაივლის შემდეგ მწვერვალებს: ქაიაპს, უსახელო მწვერვალს 8568 ფუტის სიმაღლის, უსახელო მწვერვალს 3682 ფუტის სიმაღლის მდ. ყაშყაჩაიმდე, მწვერვალიდან 4 კილომეტრის მანძილზედ. ხაზი მიჰყვება ამ მდინარეს სანამ ის შეერთვის მდინარე აგრიჩაის. შემდეგ გაივლის ბოზდ-დაღის მწვერვალს და მიდის მდ. მტკვრამდე მდ. ალაზნის შესართავთან. აქედან მიყვება მდ. მტკვარს ხრამ- ძეგამის შესართავამდე. შემდეგ გაყვება ჩათინის მთებს და მივა სამხრეთით ბამბაკის მთებამდე.

4. სამხრეთით — მდ. ძეგამის სათავეებიდან საქართველოს საზღვარი გაყვება ბამბაკის და ბეზობდალის მთებს შორის (საქართველოში რჩება ლორი). შემდეგ ცოტა შიგნით შემოწევით გარს შემოუვლის ახბალას მთას (მთა რჩება სომხეთში). შემდეგ მიდის სამხრეთით საქართველოში სტოვებს ჩილდირის ტბას. მერე მიყვება მდ. არაქსისა და მდ. მტკვრის წყალთ გამყოფ ქედს. შემდეგ ხაზი შემოუვლის თორთუმს, გაივლის აზრუმის ახლოს, მამახათუნზედ, კარგა შიგნით სტოვებს ბაიბურთს. გაივლის გვიმიშხანის გარეთ და მიდის შავ ზღვაზედ კერხაძთან ახლოს, ტრაპიზონის კარგა მოშორებით. ეს არის ისტორიული საზღვრები.

8

ამ ბუნებრივი საზღვრებითგან საქართველოს ხშირად ახევინებდენ უკან. მაგრამ ხელსაყრელ შემთხვევებში ის მას კვლავ იბრუნებდა ხოლმე.

ვინაითგან საქართველოსათვის ცვალებადობის და დავის საგანი ისტორიულად უმთავრესად სამხრეთის საზღვრები იყო, ამიტომ აქ მთავარ ყურადღებას მას მივაქცევთ.

აღარ ღირს მე-12 საუკუნის უწინარეს ხანაზედ ლაპარაკი, რადგან მაშინ ქართველები აღნიშნულ საზღვრებსაც სცილდებოდენ, განსაკუთრებით ლაზიკის სამეფოს დროს. მე-8 საუკუნითგანაც, როცა კლარჯეთის ქართველთა სამეფო ყალიბდებოდა, ჩვენს მიერ მოხაზული ტერიტორია მუდამ მათ ხელშია. მაშინ საზღვარი ტრაპიზონის იქით გადიოდა.

სამხრეთის საზღვრების ცვლილება ქართველების სასარგებლოთ ხდება მე-12 ს-ში, საქართველოს დიდების ხანაში. ამ დროს მთელი ამიერ კავკასიის ტერიტორია შავი ზღვითგან კასპიის ზღვამდე საქართველოს იმპერიას შეადგენდა. სომხეთის სამთავრო ქართველთა უშუალო მფარველობაში იყო. ქართველთა ვასალები იყვნენ თათართა სახანოებიც. საქართველოს გავლენის ზონაში შედიოდენ ჩრდილოეთით კავკასიის მთიულები და სამხრეთით სელჯუკთა ზოგიერთი სასულთნოები. თამარის მეფობაში მოხდა ყარსის აღებაც და ამგვარად საზღვარი მტკვრისა და არაქსის წყალთ გამყოფ ქედსაც გადასცდა.

უფრო გვიან, მე-13 ს-ში, როდესაც საქართველოში მონღოლები შემოვიდენ, მათი წყალობით სამცხის მთავარმა სარგის ჯაყელმა შეიძინა სელჯუკთა აზრუმის სასულთნო. ასე რომ საქართველოს საზღვარი ამ დროს ბაიბურთის სამხრეთით კარგა შორს უნდა გადაწეულიყო. მაგრამ მალე შინაური უთანხმოების გამო საქართველო აზრუმის სასულთნოს ჰკარგავს.

მონღოლთა „ბატონობითგან დაწყებული“ საქართველო ნელ ნელა ეცემა. ის მსოფლიოსგან იზოლაციაში მოჰყვა. ჩაიკეტა დასავლეთის გზა. ევროპამ აღმოსავლეთისაკენ მიმავალი გზები შორს გადაიტანა და ასე მომწყვდეულ საქართველოში, ირან- ოსმალთა მეტოქეობის ნიადაგზედ იწყება დანაწილების პროცესი. უკვე დარღვეული პოლიტიკურად, საქართველოს ნაწილები კიდევ ერთხანს ინარჩუნებენ ძველ საზღვრებს.

მე-17 საუკუნითგან კი როდესაც ქართლ-კახეთს სპარსელები იკლებენ, ოსმალები იპყრობენ სამცხე საათაბაგოს და აცხადებენ ახალციხის საფაშოდ. შემდეგ დიდ ნაწილს ძალით ამაჰმადიანებენ. მრავალ ქრისტიანებს ამოსწყვეტენ და ბევრსაც გადაასახლებენ. შემდეგ ოსმალეთი მიილტვის მთელ დასავლეთ საქართველოს დასაკავებლად. იპყრობს შავი ზღვის ნაპირებს: ბათუმს, ფოთს და გაავლენას ავრცელებს აფხაზეთზედ. ხოლო მუდმივ ცდაშია იმერეთის დაპყრობის.

ამგვარად, მე- 17 საუკუნის პირველ ნახევრიდან მოყოლებული მთელი სამხრეთ დასავლეთ საქართველო (ე. ი. საქართველოს ერთი მესამედი) მოექცა ოსმალეთის ბატონობის ქვეშ. სახელდობრ შემდეგი პროვინცი-

ები: გარდა შავი ზღვის ნაპირებისა, აჭარა, შავშეთი-კლარჯეთი, ჭანეთი, ერუშეთი, სამცხე და ჯავახეთი. მთავარი ხაზი საზღვრისა ბათუმიდან გადიოდა აჭარა ახალციხის მთებზედ და ბოლოს უწვდებოდა ბორჯომის ხეობას, ეს ის რაც უშუალოდ ოსმალების ხელში იყო.

ასეთი იყო საერთო მდგომარეობა როდესაც რუსეთი შემოვიდა საქართველოში. ამ ხანაში ერთ დამახასიათებელ მოვლენას ჰქონდა ადგილი. ახალციხის ფაშები, (ჯაყელთა შთამომავლები) უკანასკნელ ხანებში, ნახევრად ავტონომიურ მდგომარეობაში იყვნენ სულთანისაგან. მიუხედავად მათი სრული გამაჰმადიანებისა გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მე-19 ს. დასაწყისამდე მთელი სამაჰმადიანო საქართველო სულიერად და კულტურულად დედა საქართველოსთან იყო. ამის დამამტკიცებელი დოკუმენტები უამრავია. პოლიტიკურადაც ახალციხის ფაშები ისეთსავე ურთიერთობაში იყვნენ საქართველოს მეფე-მთავრებთან, როგორც უკანასკნელნი ერთი მეორეში. მხოლოდ რუსეთმა რომ საქართველოში ფეხი შემოდგა, ამას სასტიკათ შეებრძოლენ მესხები. ამ დროს მესხებსა და დანარჩენ ქართველთა შორის ურთიერთობაზე გაავლენას ახდენდა ჯაყელ ფაშებსა და აჭარელ ხიმშიაშვილებს შორის სადინასტიო ბრძოლაც.

რუსეთი როგორც კი ფეხს მოიკიდებს მთელ საქართველოში, ამ ქვეყნით სარგებლობის თვალსაზრისით აუცილებლად იცნობს ბრძოლას ოსმალეთის წინააღმდეგ, რათა დაიბრუნოს საქართველოს დაკარგული მიწები.

იმდროინდელ დიპლომატიურ მიწერ მოწერაში მკაფიოდ არის აღნიშნული ზემოხსენებული ადგილების ის მნიშვნელობა, რაც ჩვენ გავითვალისწინეთ. მაშ მათი დაპყრობაც ეკონომიური და სტრატეგიული თვალსაზრისით აუცილებელი იყო. იგივე გეგმა ჰქონდა უფრო ადრე მეფე ერეკლეს. ამ პროგრამის განხორციელების მიზნით იყო რომ ერეკლემ და სოლომონ პირველმა შეკრეს სამხედრო კავშირი ეკატერინესთან 1768—1774წ. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს. თუმცა მოკავშირე რუსეთმა ქართველ მეფეებს იმედი არ გაუმართლა და ასპინძის გმირული ბრძოლის შემდეგ, 1774 წ. კაინარჯის ტრ-

აქტატმა საქართველოსათვის [illegible] წინანდელი საზღვრები უცვლელი დასტოვა, ბოლოს თეფე ეოეკლეჟ ეს საკითხი 1783 წლის რუსეთ საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულებაშიაც შეიტანა. აღნიშნული ტრაქტატის ძალით (იხ. სეპარატიული კონვენცია) რუსეთი ივალებდა ხელსაყრელ შემთხვევაში დახმარებოდა საქართველოს დაკარგული ტერიტორიის აღდგენისათვის. აქ იგულისხმებოდა სამცხე -საათაბაგო. აქედან ჩანს რომ სამხრეთ საქართველოს მნიშვნელობის შეგნებასთან, მაღალი მამულიშვილური გრძნობა და მისი დაბრუნების პრეტენზიაც ბოლომდის სცოცხლობდა ქართველი ერის პოლიტიკაში.

ხოლო მათი ეს კანონიერი და კეთილშობილური ოცნება ნაწილობრივ ფრთებს შეისხამს მე-19 საუკუნეში, რუსეთის საიმპერიო მისწრაფებათა გზაზედ.

1810 წელს რუსებმა მოახდინეს იმერეთის სამეფოს საბოლოო ანექსია და გავლენა გაავრცელეს დასავლეთის დანარჩენ სამთავროებზედაც. ამ დროიდგან დასავლეთითაც და აღმოსავლეთითაც რუსეთი წინ მიიწევს. 1813წ. 12 ოქტომბერს გულისტანის ზავით (მუხ.3) სპარსეთი სცნობს რუსეთის საკუთრებად: ქართლ- კახეთის სამეფოს, კუბას ბაქოს, შირვანს, დერბენტს და დაღესტანს. ხოლო შეიდი თვით ადრე, 16 მაისის1812წ. რუსეთ ოსმალეთის შორის დადებული ბუხარესტის ზავი თუმცა ომის წინა საზღვრებს უცვლელად სტოვებს, მაგრამ რუსეთმა ომის დროს დაპყრობილი ადგილებიდან ოსმალეთს დაუთმო: ახალქალაქი და ფოთი, ხოლო ქ. სოხუმზედ რომელიც ომამდე თურქებს ეკუთვნოდათ, უარი უთხრა. ამ პუნქტში გამაგრება მას საშუალებას მისცემდა ადვილად წასულიყო წინ შავი ზღვის მიმართულებით.

უფრო საგრძნობი პროგრესი ხდება 14 ოქტ. 1829წ-ს ადრიანოპოლის ზავით. ტრაქტატის მე-4 მუხლის ძალით დაპყრობილი ადგილებითგან რუსეთს რჩება: ქ. ახალციხე. ახალციხის საფაშოს ნაწილით. ქ. ახალქალაქი და მის შიგნით მოქცეული ტერიტორია. (ამ სექტორში საზღვარი იყო იქ სადაც გადის დღეს, ე. ი. 1921წ. ყარსის ხელშეკრულებით). ხოლო ქ. ყარსს, ნაწილს ახალციხის საფაშოსი (ფოცხოვის თემი) და მის გარედ მოქცეულ ტერიტორიას რუსეთი უთმობს ოსმალეთს. ტრაქტატი აგრეთვე სცნობს რუსეთის საკუთრებად გურია -იმერეთს*).

ამ ფრონტზედ რუსეთის სარდლობას დიდი პრეტენზია ჰქონდა. პასკევიჩის გეგმით რუსეთს უნდა დაეჭირა მთელი ტერიტორია ბაიაზეთისა და აზრუმის საფაშოების და გავლენა გაევრცელებინა ქურდისტანზედ. მაგრამ მას ბაიბურთთან უკანასკნელი ბრძოლა გათავებული არა ჰქონდა, როდესაც ადრიანოპოლში ზავს ხელი მოაწერეს აღნიშნული პირობების დაცვით და რაც პასკევიჩმა გვიან შეიტყო*)

ამის შემდეგ მორიგი პროგრესი მოსალოდნელი იყო ყირიმის ომის დროს. მაგრამ 30 მარტის 1856 წ. პარიზის ტრაქტატი რუსეთ -ოსმალეთის შორის აღმოსავლეთის საზღვრებს უცვლელად სტოვებს. ასე რომ რუსეთი კიდევ ერთხელ უბრუნებს ოსმალეთს დაპყრობილ ყარსსა და სხვა ადგილებს.

რუსეთის მისწრაფება (აქ)ვერ შეჩერდებოდა. მართალია ისტორიამ დაამტკიცა, რომ რუსეთის იმპერიალიზმი ამ მიმართულებით კავკასიით განისაზღვრა. მაგრამ 'თვით

*) რუსეთი, როგორც დასავლეთით და სამხრეთით, ისესამხრეთ აღმოსავლეთითაც პარალელურად მიიწევდა წინ. ახლაც 22 თებ. 1828წ. თურქმანჩაის ტრაქტატით სპარსეთი უთმობს რუსეთს ნახჩევანს და ერევანს (მუხ. 3). მე-4 მუხ. ნათქვამია: „ყველა წყლები რომელნიც დიან კასპიის ზღვის მიმართულებით ეკუთვნიან რუსეთს" ე. ი. საზღერები იყო ყარასუს სათავეითგან პატარა არარატამდე და არაქსიდან აბას-აბადამდე.

[*) ამ] ომის შემდეგ ახალციხე-ახალქალაქითგან დიდძალი ქართველი მაჰმადიანები იქმნენ გადასახლებული. განსაკუთრებით ახელქალაქის მაზრა მთლად დაიცალა. მათ ადგილას კი რუსების მთავარსარდალმა პასკევიჩმა ოსმალებისაგან შევიწროვებული ა<u>ზრუმის სომხობა, 30 ათასზე მეტი სული ჩამოასახლა.</u>

კავკასიის დაკავება (1864 წლ. შემდეგ) სრული არ იქნებოდა, თუ ის მის ბუნებრივ საზღვრებსა და სიმაგრეებს სრულიად არ დაეუფლებოდა.

ეს იყო აუცილებელი პირობა კავკასიის თავდაცვისათვის.

ეს გეგმა განხორციელდა 3 მარტის 1878 წ. რუსეთ ოსმალეთის შორის დადებული სან-სტეფანის ზავით (მუხ.19) რაც 13 ივლისს 1878 წ. ბერლინის ტრაქტატმა დაადასტურა მცირე გამონაკლისით ე. ი. რუსეთმა პირველი ზავით მიღებულითგან ოსმალეთს უკან დაუბრუნა სომხეთის მხარეს ალაშკერტის ხეობა და ქ. ბაიაზეთი. აი დეტალურად ბერლინის ტრაქტატით გაყვანილი ხაზი: მუხ. 8. „ბრწყინვალე პორტა უთმობს რუსეთის იმპერიას აზიაში ტერიტორიებს, არტაანის, ყარსის და ბათუმის თავისი ნავთსადგურით, ისევე ყველა იმ ტერიტორიებს, რომელიც მოთავსებულია რუსეთ -ოსმალეთის აღრინდელ საზღვრებსა და შემდეგი ხაზს შორის:

„ახალ.. საზღვარი შავი ზღვიდან მიყვება სან-სტეფანოს ზავით განსაზღვრულ ხაზს (იხ. აღნიშნული ტრაქ. მუხ.19) ხოფას ჩრდილო დასავლეთით და ართვინის სამხრეთით ერთ წერტილამდე, საზღვარი სწორი ხაზით მიყვება მდ. ჭოროხამდე, გადასჭრის ამ მდინარეს და გაიარს აშმიაშენის აღმოსავლეთით; შემდეგ მიდის სწორი ხაზით სამხრეთით და უერთდება სან-სტეფანოს ზავით ნაჩვენებ ხაზს, მერე გაიარს ნარიმანის სამხრეთით და ოლთისს სტოვებს რუსეთისაკენ. და ხე."

აღნიშნული ხაზი საგრძნობლად მიუახლოვდა ისტორიულ საზღვრებს მის აღმოსავლეთ ნაწილში. დასავლეთით კი შორს დარჩა.

ამის შემდეგ დიდ ომამდე ალარაფერი ცვლილება ალარ მომხდარა. თითქმის 40 წელიწადი გრძელდებოდა ეს მდგომარეობა. 1914წ. ომის დრო თითქოს იყო ის შემთხვევა, როდესაც მოსალოდნელი იყო საზღვრების კვლავ გაწევა, ე. ი. მთელ ლაზისტანის შემოერთებაც. მაგრამ რუსეთის დამარცხებას მოჰყვა მისი განუხორციელებლობაც და დროებით კიდევ სხვა ადგილების დაკარგვაც.

მართალია ბერლინის ტრაქტატით ლაზიკა კვლავ ოსმალეთის ხელში დარჩა, მაგრამ არტაანის, ოლთის, ართვინის და ბათუმის მხარეების დაბრუნებით შესაძლებელი შეიქმნა ნაწილობრივ ტერიტორიალური და ეკონომიური მთლიანობის გამოსწორება. ამიტომ იყო რომ რუსეთი 40 წლის განმავლობაში ადვილად ურიგდებოდა ამ საზღვრებში გაჩერებას.

აქეთკან კიდევ ერთხელ მტკიცდება დებულება: რომ ამ მხარის შემოერთება, თუ აუცილებელი იყო თვით რუსეთისათვის. რომელსაც საქართველო მხოლოდ ცალკე გუბერნიათ ჰქონდა წარმოდგენილი, მით უმეტეს ის აუცილებელია მაშინ. როდესაც საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენს.

საქართველოს სამხრეთის საზღვრების საკითხი არ არის მისი ტერიტორიის მეტ ნაკლები სივრცის დათმობის, არამედ ის არის მისი დამოუკიდებლობის სასიცოცხლო ფაქტორი. მაშასადამე ეს საკითხი საყურადღებო ხდება საერთაშორისო თვალსაზრისითაც, და ვინც საქართველოს დამოუკიდებლობით ნამდვილად არის დაინტერესებული, მას გვერდს ვერ აუხვევს. ხოლო არა ნაკლებ ანგარიში უნდა გაუწიონ საქართველოს ამ კანონიერ მოთხოვნილებას მისმა მეზობლებმა, ვინც იზიარებენ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას და სურთ კეთილმეზობლური დამოკიდებულება.

ამ თვალსაზრისით 1917- 18წ.წ. ოტომანთა იმპერიის მოქმედება საქართველოს მიმართ იყო წმიდა აგრესიული. თუმცა სხვაგვარი მოქმედება თურქეთისა ისტორიას არ ახსოვს, მაგრამ აღნიშნულ ეპოქისათვის ის დარჩება უცნაურ პარადოქსად და ოსმალეთის მისწრაფების მუდმივ საზომად. აი რატომ: როდესაც რევოლუციის შემდეგ ფაქტიურად დამოუკიდებელი კავკასია ჯერ კიდევ იურიდიულად კავშირს არ სწყვეტდა რუსეთის დროებით მთავრობასთან, თურქების აღმოსავლეთის ფრონტის მთავარ სარდალი ვეხიბ ფაშა წინადადებას აძლევდა კავკასიის მთავრობას დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა.

ამავე დროს კი ის განაგრძობდა ჯარების პროგრესს შიგნით საქართველოსა და სომხეთისაკენ. ეს მოძრაობა კი არ შეუჩერებია მაშინაც, როდესაც კავკასიამ და მერე მისმა ერებმა ცალ-ცალკე დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ოსმალები დაჟინებით მოითხოვდენ ბრესტ ლიტოვსკის ზავით დათმობილ ადგილებს. მართალია, კავკასიის და საქართველოს მთავრობამ გამოუცდელობით შეცდომა დაუშვეს, როდესაც დროზედ ვერ გამოაცხადეს დამოუკიდებლობა და თავისი დელეგატები არ წარგზავნეს ბრესტ- ლიტოვსკში; მაგრამ ეს მაინც ვერ ამართლებს ოსმალეთის მოქმედებას და ვერც ამ ფაქტის მომიზეზება ფარავს მათ მისწრაფებას. რათგან კავკასია თუნდაც რომ იმპერიის ნაწილად წარმოვიდგინოთ ბრესტ -ლიტოვსკის დროს, არაფერ შემთხვევაში მას კავშირი არ ჰქონდა ბრესტ- ლიტოვსკის ავტორებთან. მაშასადამე ბოლშევიკური წარმომადგენლობის დიპლომატიური აქტი იმპერიის ძველ ნაწილებზედ ვერ გავრცელდებოდა. თურქების აგრესივობის დამამტკიცებელი კიდევ ის არის, რომ დაბოლოს მათ დაიბყრეს რა ბრესტ - ლიტოვსკით ნაბოძები ადგილები, სხვებიც ზედ მიაყოლეს. ხოლო 4 ივნისს 1918 წლისა ბათუმში, ოსმალეთის იძულებითა და სრული კარნახით ოსმალეთ საქართველოს წარმომადგენლები ხელს აწერენ ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულების ძალით ოსმალები ითვისებენ ბრესტ - ლიტოვსკის დამატებით ახალციხესა და ახალქალაქს [illegible] ზავით ოსმალეთმა განაიარაღა საქართველო და მის დამოუკიდებლობასაც აზრი დაუკარგა. [illegible] შეიძლია აქ მეტის თქმა ამ ზავის პოლიტიკაზედ. ხოლო [illegible] დაუმატებ, რომ ამ სამარცხვინო აქტს სათაურად აწერია: „ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულება"(?!)

მალე კი ოსმალეთის დამარცხებამ და შექმნილმა მდგომარეობამ მას უკან დაახევინა, და საქართველო აღსდგა დაახლოებით ომის წინა დროინდელ საზღვრებში. ასეთ პირობებში მოხდა მისი ფაქტიური და იურიდიული ცნო

ბა ჯერ ვერსალის უმაღლეს საბჭოს მიერ და მასთან აზია-ევროპა-ამერიკის სახელმწიფოების მიერ, მათ შორის საბჭოთა რუსეთის მიერაც.

4

ოსმალეთში ხდება ქემალის გადატრიალება და როდესაც 1921წ. ბოლშევიკური რუსეთი შემოესევა საქართველოს, ოსმალეთიც თავის მხრივ დასძრავს ჯარებს. იკავებს ჯერ არტაან - ართვინის მხარეებს და მერე შემოდის ბათუმსა და ახალციხეში.

დღეს ყველასათვის გარკვეულია, რომ ოსმალეთ რუსეთი შეთანხმებული იყვენ (ეს მოხდა ომის წინ) საქართველოში შემოსევისათვის. რაც 16 მარტის 1921 წლის მოსკოვში, რუსეთ ოსმალეთს შორის დადებული „ძმობისა და კავშირის" ხელშეკრულებით დამტკიცდა. მოსკოვმა ეს ხელშეკრულება დასდო ოსმალეთთან 16 მარტს, იმავე დღეს ოსმალები საქართველოს ულტიმატუმის სახით უცხადებენ, რომ თანახმად ანგორის ნაციონალური ყრილობის დადგენილების ისინი ანექსიას ახდენენ ბათუმისა. 17 მარტს ქართველი ჯარები თურქებს განდევნიან ბათუმიდან, ხოლო ნაციონალური მთავრობა საქართველოს სტოვებს 18 მარტს. აქედან ცხადია, რომ მოსკოვი ჯერ კიდევ არ იყო დაპატრონებული საქართველოს, ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, როდესაც მოსკოვ- ანგორა ალნიშნული ტრაქტატით ჩვენს ტერიტორიას ინაწილებდნენ.

მოკლედ, ამ ხელშეკრულებით უკვე გადაწყვეტილი იყო საქართველოს ბედი. მაგრამ მოსკოვმა, გარეშეთათვის მოსაჩვენებლად, ე. წ. ამიერ კავკასიის მთავრობას 13 ოქტომბერს 1921 წ. ქ. ყარსში ახალი ხელშეკრულება დაადებინა, რაც არსებითად იყო მოსკოვის ალნიშნული ხელშეკრულების დადასტურება.

13 ოქტ. 1921 წ. ყარსის ხელშეკრულება ოსმალეთს უთმობს ყველა იმ ადგილებს, რაც მოიპოვა მეელმა რუსეთმა 1829 წლ. ადრიანოპოლის ზავის შემდეგ ბათუმის გამოკლებით. ალნიშნული ტრაქტატით ოსმალეთის ხელში გადავიდა სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილი. ნაწილი ახალციხის მაზრის, ბათუმის მხარის და არტაან -ართვინის მხარეების. ტრაქტატის მე-4 მუხ. საზღვრის ხაზს ასე განსაზღვრავს: „ოსმალეთის ჩრდილო დასავლეთი საზღვარი მიყვება ხაზს რომელიც იწყება შავ ზღვასთან მდებარე სოფ. სარფთან, ის გაყვება ქედის მთას, მერე გაივლის შავშეთ -დერა -კანნი -დაგ-ის მთის წყალთ გამყოფ ხაზს და შემდეგ შორს მიყვება არტაანის და ყარსის ყოფილ ადმინისტრატიული ოლქის ჩრდილოეთით, გადის მდ. არფა-ჩაისა და არაქსს და ქვემო ყარა-სუს სათავეს..."

ეს მხარე რომელიც ბოლშევიკებმა ოსმალეთს გადასცეს (შე[illegible])

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ართვინის ოლქს: | — 3,339 | კვ. კილ.; | მოსახ. | — 61,000*) |
| ფოცხოვის თემს: | — 588 | „ | „ | — 15,000 |
| არტაანის ოლქს: | — 5,137 | „ | „ | — 56,000 |
| ოლთისის ოლქს: | — 3,051 | „ | „ | — 32,000 |
| სულ: | — 12,115 | კვ. კილ. | | — 164,000 |

გარდა აღნიშნული მხარეების ბოლშევიკებმა გაასაჩუქრეს საქართველოს ადგილები აღმოსავლეთითაც და სამხრეთ აღმოსავლეთითაც. სახელდობრ ბორჩალოს მაზრის ნაწილი 3,812 კვ. კილომეტრი და ზაქათალის ოლქი 9.564 კვ. კილომეტრი.

ამგვარად ბოლშევიკებმა, თურქეთს, აზერბეიჯანს და სომხეთს დაუთმეს საქართველოს ტერიტორიის 19.491 კვ. კილომეტრის სივრცე.

საბჭოთა საქართველო დღევანდელ ფარგლებში უდრის 71.619,4 კვ. კილომეტრს; და. მთელი საქართველოს ტერიტორია უდრის*) 91,110,4 კვ. კილომეტრს )

*) მოსახლეობის ცნობები ეხება 1916 წლის სტატისტიკას. საგულისხმოა, რომ დღეს ეს რიცხვი გაცილებით მეტი უნდა იყოს. სამწუხაროდ თურქეთის დღევანდელი ადმინისტრატიული დანაწილება ნებას არ გვაძლევს აღნიშნული მხარეების მცხოვრებთა რიცხვის საჩქაროდ გამორკვევას.

*) ეს ეხება მხოლოთ იმ ტერიტორიას, რომელიც გვეპყრა ჩვენი დამოუკიდებლობის დროს, 1918 — 1921 წ-ში. ხოლო ძველი საქართველოს ტერიტორია, რომელიც მოქცეულია 1914 წლ. საზღვრების გარედ (ლაზიკა, ტრაპიზონი, გუმიშხანა, ჯანიკი, ბაიბურთი, თორთუმი ლივანა) შეიცავს სივრცით 38,608 კვ. ვერსტს. ხოლო მოსახლეობა 1881 წ. თურქეთის აღწერის მიხედვით იქ იყო 490.433 მამაკაცი. ქალებით თუ გაორკეცებულს ვიანგარიშებთ იქნება 980,866 სული. აქედგან მუსულმანი იყო 748.132; დანარჩენი იყვენ ბერძენ-სომხები. მაშ უკანასკნელ რიცხვს თუ სულ უმნიშვნელო ნაწილს ქურთების და თურქმენების გამოვაკლეთ დაგვრჩება ქართველების რიცხვი. მაშ ჯერ კიდევ მაშინ იქ ნახევარ მილიონზედ მეტი ქართველი მოსახლეობდა.

ტერიტორიის სიდიდის თვალსაზრისით საქართველოს მრავალ დამოუკიდებელ სახელმწიფოზედ პრივილეგიური ადგილი უჭირავს. მასზედ მცირე ტერიტორიას შეიცავენ: ლატვია (45.791), ლიტვა (55.670), ესტონეთი (47,549), დანია (44,326), შვეიცარია (41.295), ჰოლანდია (34,223), ბელგია (30,444), ალბანეთი (27.538), ლიუქსენბურგი (2,585), და სხვ.

საქართველოს მთელ კავკასიაშიც პირველი ადგილი უკავია.

საქართველო — 91.110,4 კვ. კილომეტრი;
აზერბეიჯანი — 84.679 კვ. კილ.
სომხეთი — 30,200 კვ. კილ.
ჩრდ. კავკასია — 90,200 კვ. კილომეტრი**).
სულ — 296,189.4 კვ. კილომეტრი***

მაშინ როდესაც დღევანდელი თურქეთის ტერიტორია უდრის — 763,000 კვ. კილომეტრს.

**) ჩრდილო კავკასია ბოლშევიკების დანაწილებით შეიცავს შემდეგ ავტონომიებს: ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ყარაჩაი, ჩერქეზეთი, ჩრდ. ოსეთი, ყაბარდო, და დაღესტანი. ეთნოგრაფიულად და ისტორიულად ის შეიცავს: ჩერქეზეთს, ჩეჩნეთს, ჩრდ. ოსეთს და დაღესტანს.

***) ამ რიცხვს უნდა გამოაკლდეს ის, რაც გადაეცათ სომხეთს და აზერბეიჯანს. მაშასადამე ის აკლდება თვითეულ მათგანსაც. მაშინ აზერბეიჯანი რჩება 81,679 კვ. კ. და სომხეთს 26,388 კვ. კილომეტრი.

ბ

ტერიტორიალური განსხვავება საქართველოსი კავკასიის დანარჩენ ნაწილებთან გაცილებით პატარა მნიშვნელობისაა. მთავარია მისი ხარისხი, რადგან კავკასიის მდებარეობა ისეთია, რომ ყოველი ადგილი ერთნაირ ღირებულებას არ შეიცავს. ნიადაგის სინოყიერის, ბუნებრივი

სიმდიდრის და მსოფლიოსთან კავშირის თვალსაზრისით საქართველოს ცენტრალური ადგილი უჭირავს. საქართველო უზარმაზარი სივრცით აკრავს შავ ზღვას და მისი ნავთსადგურებით უკავშირდება ევროპის ბაზარს.

საქართველო მთელს კავკასიაში არის ძირითადი ერთეული პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული და სამხედრო თვალსაზრისითაც. რაც მაჩვენებელია იმის, რომ მთელი კავკასიის დამოუკიდებლობის ბედი იგივეა, რაც საქართველოსი. ეს დამტკიცდა ისტორიულადაც. კავკასიის დანარჩენი ხალხები იმდენად იყვნენ ხოლმე თავისუფალნი, რამდენადაც საქართველო იყო ძლიერი და იცავდა სამხრეთის საზღვრებს. რადგან ეს იყო ასე, ამიტომ ქართველი მეფეები და სარდლები თვით საქართველოს თავდაცვის საქმეს მთელი კავკასიის, უმთავრესად კი ამიერ კავკასიის მაშტაბით ანგარიშობდენ ხოლმე.

---

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება;

ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება,

პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემული მსმენელებო, გენერალ გრიგორენკოს მოხსენება - "ეროვნული პოლიტიკა საბჭოთა კავშირში", რომელიც მან წარმოსთქვა 1978 წლის მაისში, იტალიის ქალაქ ტურინში, და

რომელშიც, სხვათა შორის,

თქვა:

საბჭოთა კავშირი არის არა კავშირი თავისუფალი ხალხებისა, არამედ იმპერია, რომელსაც მართავს ელიტა, რომელიც იყენებს რუსულს როგორც სახელმწიფო ენას. [მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყანას მართავს რუსები. ეს სიტუაცია მემკვიდრეობით მიღებულია წარსულიდან და შეესაბამება ინტერესებს ელიტისა, რომელიც დაკომპლექტებულია არა ნაციონალური, არამედ (პარტიული ხაზისადმი ერთგულების) იდეოლოგიური პრინციპით.]

გარდა ენისა, - თქვა შემდეგ გენერალმა გრიგორენკომ - არავითარი სხვა უპირატესობით არ სარგებლობენ რუსები. რუსი ერი განიცდის ისეთსავე კულტურულ, ნაციონალურ, რელიგიურ ჩაგვრას, როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ხალხები.

მიუხედავად ამისა, - დასძინა გენერალმა გრიგორენკომ - საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ხალხებს, განსაკუთრებით პატარა ხალხებს ემუქრება ასიმილაცია - დაკარგვა საკუთარი სახისა.**



# ეროვნული ჰიმნი

დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული
ჰიმნი 1918-21 წლებში

## დიდება

დიდება ზეცით კურთხეულს,
დიდება ქვეყნად სამოთხეს
ტურფა ივერსა!

დიდება ძმობა-ერთობას,
დიდება თავისუფლებას,
დიდება სამარადისოდ
ქართველ მხნე ერსა!

დიდება ჩვენსა სამშობლოს,
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს დიადსა!

ვაშა ტრფობასა-სიყვარულს,
ვაშა შვებასა-სიხარულს,
სალამი ჭეშმარიტების
შუქ-განთიადსა!

მუსიკა: კოტე ფოცხვერაშვილი



ქართული რედაქცია - რადიო"თავისუფლება"

ავტორი,დიქტორი: დავით თაბორიძე

## რ ა დ ი ო - ნ ა რ კ ვ ე ვ ი:

## საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია და მისი ფესვები

წამყვანი: ჩვენი პროგრამის მეორე ნაწილში -

წამყვანი: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ე.ი. დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის წლისთავთან დაკავშირებით, - გესაუბრებ[illegible]დ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ფესვების შესახებ; გესაუბრებათ დავით თაბორიძე:

დიქტორი: "დემოკრატიის ძირითადი პრინციპია, - წერს ნოე ჟორდანია, დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობის თავჯდომარე 1918-21 წლებში, - დემოკრატიის ძირითადი პრინციპია ადამიანი და მისი სუვერენობა. ის სუვერენია ინდივიდუალურად თავის კერძო, საოჯახო საქმეებში, სუვერენია კოლექტიურად, სხვასთან ერთად, საერთო, საზოგადო საქმეებში". "დემოკრატიის ორგანოა - დასძენს შემდეგ ნოე ჟორდანია - მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წარმომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი".

და დემოკრატიის ამ ძირითადი პრინციპების ხარკვა დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია - ძირითადი კანონი -,რომელიც მიღებული და დამტკიცებულ იქნა 1921 წლის 21 თებერვალს დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების,ე.ი.პარლამენტის მიერ; და ამიტომ ყოველი წლის 21-ი თებერვალი საქართველოს კონსტიტუციის დღე, საქართველოს მოსახლეობის,ქართველი ერის დღესასწაული.

ეხება რა დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის რაობას, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წევრი - ნოე ცინცაძე - ამბობს:

"კონსტიტუცია წარმოადგენს სახელმწიფო ძირითად კანონს...კონსტიტუცია უნდა იყოს გამოფენა, ემანაცია=გამოსხივება ერის სულისკვეთებისა და მიდრეკილების. ის უნდა ატარებდეს ბეჭედს ერის ისტორიისა და მისივე ტრადიციებისა. ის უნდა იყოს გამოვლინება დემოკრატიისა; თვით დემოკრატია ხომ გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი არჩევნების პრაქტიკა, უმრავლესობის პრინციპის აღიარება. ის არის ადათი, ჩვეულება, თუ გნებავთ, მოქალაქეობრივი შეგნებისა. ერთი სიტყვით, ის უნდა იყოს საზოგადოებრივი მორალის ერთგვარი კოდექსი. სახელმწიფო მისი კონსტიტუციით უნდა ემთხვეოდეს და პასუხს აძლევდეს აგრეთვე ახალ მოთხოვნებსა და ამოცანებს. იმავე დროს მას უნდა ახასიათებდეს სოციალური როლი ხაზგასმით,ვინაიდან ჩვენი დრო ხომ ეპოქის გამოძახილია. აქტი        საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 26 მაისს, - არის პროლოგი კონსტიტუციისა. ამ აქტით ემცნო მთელს კაცობრიობას, რომ სახელმწიფოს ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა..."

პასუხობს თუ არა ამ მოთხოვნებს დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია? - აყენებს კითხვას ნოე ცინცაძე და        მოყავს ერთი მაგალითი:

"დავიწყოთ ადამიანისაგან: ადამიანის უფლებათა დეკლარაცია ჩვენს კონსტიტუციაში ახდენს შთაბეჭდილებას, თითქოს, ის არის ქართული ვარიანტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10-თ დეკემბერს მიღებული ადამიანის უფლებების დეკლარაციისა. ჩვენი კონსტიტუცია კი მიღებულია 21 თებერვალს, 1921 წელს", ესე-იგი,        ავლინებს ხაზგასმით, თითქმის ერთი-მესამედი საუკუნის შემდეგ.

და აქ მსურს კიდევ ერთი არაქართველის,უფრო ზუსტად ერთი ცნობილი ინგლისელის აზრიც მოვიყვანო დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის რაობის შესახებ. "თუ ერთა თავისუფლება ცარიელი სიტყვა არ არის - წერდა მაკდონალდი,ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერი და ინგლისის პრემიერმინისტრი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, გაზეთ "ნეიშენ-ის" 1920 წლის 20-ი ოქტომბრის ნომერში,მას შემდეგ, რაც მან იმოგზაურა დამოუკიდებელ საქართველოში, - თუ ერთა თავისუფლება ცარიელი სიტყვა არ არის, თუ რომელიმე ერს თავისუფლება ეკუთვნის, ესაა ქართველი ერი, რომელმაც დაუმტკიცა მთელ კაცობრიობას თავისი მაღალი კულტუროსნობა და პოლიტიკური სიმწიფე.

მე გავეცანი მის კონსტიტუციას, მის სოციალურ და ეკონომიკურ აღმშენებლობას, - ამბობს შემდეგ რამსეი მაკდონალდი, - და რაც იქ ვნახე,ვისურვებდი ასე მოწობილი მენახოს ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში".

და აქ ვაყენებ კითხვას: რა საბუთებს, რა ტრადიციებს დაეყრდნო დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია,რომელიც დღესაც ერთერთი სამაგალითო,დემოკრატიული სულისკვეთებით გაჟღენთილი კონსტიტუციათ უნდა ჩაითვალოს მთელს მსოფლიოში? საიდან გამომდინარეობს მისი ფესვები? - დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის ფესვები უნდა ვეძიოთ არა მარტო ქართველი ერის სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრივ ისტორიაში, არამედ აგრეთვე კაცობრიობის პროგრესიულ მიმდინარეობათა რაობაშიც.

შევეხოთ ჯერ დამოუკიდებელი საქართველოს ჭეშმარიტად დემოკრატიული კონსტიტუციის ქართულ,ეროვნულ ფესვებს, რომლის საწყისები,უთუოთ, ანტიკურ ეპოქაში უნდა ვეძიოთ. შეუძლებელია,მაგალითად, ანტიკურ საქართველოში,რომელსაც ასეთი სახელმწიფოებრივი,ზოგჯერ მტრული, ზოგჯერ მეგობრული, ურთიერთობა ჰქონდა დემოკრატიის სამშობლო საბერძნეთის ცალკეულ "ქალაქ-სახელმწიფოებთან", სულ ცოტა, არ ცოდნოდათ ხალხის ბატონობის"=დემოკრატიის ბერძნულ ტრადიცია ,

ვთქვათ, აწიკის=ათენის ქალაქ-სახელმწიფოში, თუმცა ეს საკითხი ჯერჯერობით გაურკვევლად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ საქართველოს დემოკრატიული ტრადიციების მოძებნა და განსაზღვრა უფრო ნათელი ხდება ახალი ერის დასაწყისიდან, რომლის ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობის მოვლენაა ქრისტიანიზმი,რომლის გავრცელება საქართველოში, როგორც ცნობილია, პირველივე საუკუნიდან იწყება, და ამიტომაა, რომ საქართველოს ეკლესია სამოციქულო ეკლესიად ითვლება,ვინაიდან "ქრისტიანული სარწმუნეობის პირველი მადლიანი მარცვალი საქართველოში, -
როგორც ამას საქართველოს ეკლესიის კალენდარში ვკითხულობთ, -
შემოიტანეს წმინდა მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა, ხოლო ქრისტიანობის საბოლოო აღიარება და მისი სახელმწიფო სარწმუნეობად გამოცხადება საქართველოში ნაყოფი არის მოციქულთასწორის, წმინდა ნინოს სანგრძლივი ქადაგებისა". ქრისტიანიზმმა კი,(ანტიკური საბერძნეთის დემოკრატიის საწინააღმდეგოდ,რომლის დროს,მაგალითად, "ათენის მოქალაქეებს"-და არა მონებს - ჰქონდათ იმდროინდელი დემოკრატიული უფლებები,)- აღიარა ადამიანთა თანასწორობა და გამოდიოდა პირველ ყოვლისა მონების, შევიწროებულების მფარველ-დამცველად. ეს კი იყო დიდი პროგრესიული მოვლენა, და ამ დიდ პროგრესიულმა მიმდინარეობამ,როგორც ავღნიშნეთ, ღრმად გაიდგა ფესვები საქართველოში,ვინაიდან ამგვარი იდეისათვის,უდავოა, მაშინდელ საქართველოში ნიადაგი უკვე მომზადებული იყო.

საქართველოს,ქართველი ერის დემოკრატიული ტრადიციების ერთერთნიშანსვეტია დავით აღმაშენებელი, თუმცა ეს უფრო მისი დიდბუნებოვანი, ჰუმანური პიროვნებით უნდა აიხსნას, ვიდრე საქართველოს იმდროინდელი სახელმწიფოებრივი წესყობილებით. ავიდა რა ტახტზე 1086 წელს,ჯერ კიდევ 16-ი წლის ჭაბუკი, მან სახელი მოიხვეჭა თავისი საოცარი ლმობიერი მოპყრობით უცხო ტომების,ისევე როგორც უცხო სარწმუნეობათა მიმდევრების მიმართ; და ასეთ პოლიტიკას აწარმოებდა დავით აღმაშენებელი იმ დროს, როცა დასავლეთი ევროპა ე.წ-დ

ჯვაროსნულ, ე.ი. რელიგიურ ომს აწარმოებდა თითქოსდა ქრისტეს შობისა და მოღვაწეობის წმინდა ადგილების განსათავისუფლებლად, ე.ი. მაჰმადიანობის წინააღმდეგ.

თვით თბილისის აღების შემდეგაც, 1122 წელს, როგორც მაჰმადიანი ისტორიკოსები წერენ, დავით აღმაშენებელმა, მართალია პირველ დღეს, გაჯავრებულ გულზე, მოწინააღმდეგენი სასტიკად დასაჯა, მაგრამ მალე მოლბა და ბრძანება გასცა, რომ თბილისის მცხოვრებნი, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად, თანასწორ მდგომარეობაში ყოფილიყვნენ. მაჰმადიანებსა და ებრაელებს ზოგიერთი უპირატესობაც კი მიანიჭა. მაგრამ უმჯობესია მოვიყვანოთ თვით არაბი ისტორიკოსების- ალ-ფარიკისა და ალ-ჯაუზის აზრები, რაც ამოღებულია შოთა მესხიას ნარკვევიდან: "ძლევაი საკვირველი" (თბილისი, 1972 წ.):

თბილისის განთავისუფლების შემდეგ, 1122 წელს, ალ-ფარიკის ცნობით -

დავითმა ქალაქში მოსახლე მუსლიმანებისათვის თავისუფალი ცხოვრების პირობების შექმნის მიზნით დაადგინა, რომ ქალაქის იმ ნაწილში, სადაც მუსლიმანები ცხოვრობდნენ, არავის ყოლოდა ღორი და არავის დაეკლა იგი მათ შორის, მან მოჭრა მათთვის მონეტა (ფული) ხალიფასა და სულთანის სახელით, და მისცა მათ უფლება აზანისა (ლოცვაზე მოწოდებისა) და თავისუფლად ლოცვისა. დაუდო მათ პირობა აგრეთვე, რომ არც ქართველი, არც ებრაელი და არც სომეხი არ შევიდოდა ისმაილის (მუსლიმანების) აბანოში და რომ პარასკევ დღეს მინბარიდან (კათედრიდან) ილოცონ ხალიფა და სულთნისათვის და არა მისთვის (საქართველოს მეფისთვის). მან დააწესა გადასახადები ყოველწლიური, ქართველისათვის — 5 დინარი, ებრაელისათვის — 4 დინარი, ხოლო მუსლიმანისათვის — 3 დინარი... იგი ისე კეთილად ეპყრობოდა მუსლიმანებს, და აგრეთვე მათ სარწმუნოებას, მეცნიერებას, ხალხსა და სუფიებს, როგორიც მათ არ ჰქონდათ თვით მუსლიმანებს შორის. მე თვით ვნახე, როცა მივედი მათთან (თბილისელ მუსლიმანებთან) 1153 წელს, თუ როგორ ძალაშია მუსლიმანთათვის დადებული ყველა ეს პირობა აქამდე".

საქართველოში მოსახლე მუსლიმანებთან სამეფო ხელისუფლების ამგვარი დამოკიდებულების შესახებ ამასვე იმეორებენ სხვა მაჰმადიანი ისტორიკოსებიც: ალ-ჯაუზი, ალ-ყაიმი და სხვები.

აღსანიშნავია, რომ ალ-ჯაუზის ახლახან ქართულად გამოქვეყნებული ცნობა ამ მხრივ ერთგვარად განსხვავებულ და საინტერესო მასალას გვაწვდის: „შემდეგ (მეფემ) მოალბო ქალაქის მცხოვ-

> რებთა გული და მათ თხოვეს მას ზოგი რამ. მან (დავით მეფემ) მისცა მათ ზოგიერთი პრივილეგია. ისინი აქამდე არსებობენ. იმ (პრივილეგიებში შედიოდა), რომ იგი (დავითი) არ დაკლავდა იქ (თბილისში) ღორს, ამოკვეთდა დირჰემებზე და დინარებზე ალაჰის, მისი მოციქულისა და ხალიფას სახელებს, შეასრულებდნენ (მუსლიმი) მცხოვრებლები პარასკევ დღეს აზანსა და ხუტბას; არ შევიდოდა (ურწმუნო) აბანოში მუსლიმებთან ერთად და რომ არ შეავიწროებდა ურწმუნო მუსლიმს. ყველა ეს (პრივილეგია) დღესაც აქვთ მათ. დავითი ყოველ პარასკევს შედიოდა მეჩეთში, მასთან ერთად იყო ხოლმე მისი შვილი დიმიტრი, ისმენდა ხუტბასა და ყურანის კითხვას და აძლევდა ხატიბსა და მუეზინებს მრავალ ოქროს. მან ააშენა ქარვასლები სტუმართათვის და სახლები მქადაგებელთათვის, სუფიებისა და პოეტებისათვის; დააწესა მათთვის სტუმართმოყვარეობა. და თუ მოისურვებდნენ ისინი წასვლას თბილისიდან, ნებას დაურთავდა და მოამარაგებდა მათ მრავალი ქონებით. იგი (დავითი) მეტ პატივს სცემდა მუსლიმებს, ვიდრე მათ სცემდნენ პატივს ისლამის მფლობელები".

დიდი დავითის, ასე ვთქვათ, ეროვნული,ეროვნებათა-შორისო პოლიტიკა უკვე საუკუნეები უსწრებდა წინ მაშინდელ ევროპული ერების,ქვეყნების პოლიტიკას სხვა ერების მიმართ.

თამარ მეფის დროს კი უკვე წამოყენებულ იქნა მოთხოვნა ახალი სახელმწიფო დაწესებულების "კარავის" დაარსების შესახებ ისანში,მეფის სასახლეში, საქართველოს უმაღლესი დაწესებულების - "სახელმწიფო დარბაზის"- გვერდით. ამის შესახებ"საქართველოს ისტორიაში"(თბილისი, 1980 წელი), სხვათა შორის,ვკითხულობთ:

> თუმცა „კარავის" დაარსება უარყოფილ იქნა, მაგრამ თამარმეფემ დარბაზის „თანადგომის", ესე იგი სახელმწიფო საქმეების განხილვა-გადაწყვეტაში მონაწილეობის განსაკუთრებული უფლება აღიარა. ამ დროიდან მოყოლებული, დიდი თანამდებობის პირთა დანიშვნის შესახებ თამარის ისტორიკოსი ყოველთვის ასე ამბობს: „თანადგომითა და ერთნებობითა დიდებულთა" თამარმა დაამტკიცა ესა და ეს პირი.
>
> ამგვარად. საქართველოს მეფის ხელისუფლება სახელმწიფო დარბაზის „თანადგომითა და ერთნებობით" თვალსაჩინოდ იქნა შეზღუდული. საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებაში მომხდარი ეს დიდად მნიშვნელოვანი ცვლილება იმ ცვლილების წინამორბედსა და ანალოგიურ მოვლენას წარმოადგენს, რომელიც მე-13 საუკუნის დამდეგს ინგლისში მოხდა, სადაც „თავისუფლებათა დიდი ქარტიის" („მაგნა ხარტა ლიბერტატუმ") შექმნით ინგლისის მეფის ხელისუფლება შეიზღუდა.

თუ ადამიანისა და ერის უფლებების ჩანასახები, ფესვები უნდა ვეძიოთ მონათმფლობელური საზოგადოებრივი წესყობილების შერყევის პერიოდში, განსაკუთრებით ქრისტიანიზმის მეშვეობით, ფეოდალური საზოგადოებრივი წესყობილების შერყევა დაიწყო კაპიტალიზმის დამკვიდრების პერიოდში, რამაც საქართველოში განსაკუთრებული ელფერი მიიღო მე-19 საუკუნეში. ჩვენი ქვეყანა, მთელი ქართველი ერი ამ პერიოდში განიცდიდა როგორც ეკონომიკურ, ისევე ეროვნულ ჩაგვრასაც, ვინაიდან საქართველოში ბატონობდა უცხო, რუსეთის დიდმპყრობელურ-შოვინისტური ძალა, რომელიც ქართველი ერის მოსპობასაც, გარუსებასაც კი ლამობდა. და ამ მეტად მძიმე ხანის ეროვნულ მოძრაობათა გამოხატულებაა დიდი ილიას მოთხოვნა "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს", ხოლო ამ ეროვნული იდეის კონკრეტიზაციად უნდა ჩაითვალოს "მესამე დასის" პროგრამით, ჯერ კიდევ 1893 წელს განსაზღვრული მოთხოვნა -

"ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა."

ეს თანამედროვე ცივილიზაციის უდიდესი მონაპოვარი - ერისა და პიროვნების თავისუფლება - კი, საქართველოში, ქართველ ერში განხორციელდა, როცა 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა, ისევ აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა; და ამ დიდი ისტორიული დემოკრატიული მოვლენის იურიდიული ნუსხაა "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი" და დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია - ძირითადი კანონი -, რომელიც საქართველოს დამფუძნებელთა კრებამ, ე.ი. პარლამენტმა მიიღო და დაამტკიცა 1921 წლის 21 თებერვალს.

მაგრამ პიროვნების, ერის თავისუფლების ფესვები, რომელზედაც აღმოცენდა დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია, უნდა ვეძიოთ

მხოლოდ სხვა ქვეყანათა ანალოგიურ, ისტორიულ მისწრაფებებშიც: ერთი ასეთი დიდი მოვლენაა **1789 წლის საფრანგეთის რევოლუცია.**

1789 წლის 5 მაისს, როგორც ცნობილია, პარიზში შეიკრიბა ე.წ-ლი "საერთო სახელმწიფო კრება", États generaux, ე.ი. არისტოკრატიის, სასულიერო და მოქალაქეთა წოდება, რომელიც მოიწვია საფრანგეთის მეფე ლუდვიგ XVI-ემ, რომ გამოესწორებინა კატასტროფული ფინანსიური მდგომარეობა. მაგრამ საქმე სხვაგვარად წარიმართა, ვიდრე ამას მოელოდენ მეფე და მისი მრჩევლები: 1789 წლის 17-ტ ივნისს მესამე წოდებამ - მოქალაქეებმა - თავისი თავი გამოაცხადა ნაციონალურ, ე.ი. ეროვნულ კრებად, და ეს იყო საფრანგეთის რევოლუციის დასაწყისი, რის შედეგად, როგორც გერმანელმა პოეტმა ჰაინრიხ ჰაინემ(1797-1856) მოგვიანებით თქვა, საფრანგეთი გახდა "თავისუფლების სამშობლო". "მესამე წოდების" ამგვარი მოქმედება, უთუოთ, იმანაც გამოიწვია, რომ 1302-ი წლიდან მოპოვებული უფლება-მონაწილეობა მიიღო მეფის მიერ გადასახადების განსაზღვრაში,-1614-ი წლიდან 1789-ა წლამდე შეწყვეტილ იქნა, და ამიტომაც "მესამე წოდების" დეპუტატებმა თავიანთი თავი გამოაცხადეს "ნაციონალურ კრებად".

1789 წლის 14-ტ ივლისს ხალხის მასები ჯერ ალყას არტყამენ სახელმწიფო სატუსაღოს ბასტილიას=La Bastille პარიზში და შემდეგ გაწმენდენ მას მცველებისაგან. იმავე 1789 წლის 26 აგვისტოს კი, ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსად, - "ნაციონალური კრება" აცხადებს ადამიანისა და მოქალაქეების უფლებებს, ხოლო 1791 წლის 3-მ სექტემბერს აცხადებს საფრანგეთის პირველ მოდერნულ კონსტიტუციას - ძირითად კანონს.

ამგვარად, შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის გამოცხადებამ 1776 წლის 4-ს ივლისს, განსაზღვრული ზეგავლენა მოახდინა საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციაზედაც. როგორც ცნობილია, 1774 წლიდან 1783 წლამდე ჩრდილოეთი ამერიკის 13-მა კოლონიამ, ატლანტის ოკეანეს სანაპიროზე, შეიარაღებული ბრძოლით მოიპოვა დამოუკიდებლობა

ინგლისის კოლონიური ბატონობისაგან. ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის მოპოვების თარიღი კი 1776 წლის 4-ი ივლისია, როცა შეიქმნა პირველი დემოკრატიული ფედერაციული სახელმწიფო მსოფლიოში საერთოდ. ფრანგი და ამერიკელი რევოლუციონერების მრწამსი რომ ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ამას ადასტურებს ე.წ-ლი"ვირჯინია ბილ ოფ რაიტს"= Virginia Bill of Rights(I776), ე.ი.ვირჯინიას შტატის უფლებათა კანონი, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა 1776 წელს, და საფრანგეთის კონსტიტუცია, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა 1791 წელს. ამ კონსტიტუციურ კანონებში, ადამიანის უფლებები, მაგალითად, განსაზღვრულია შემდეგნაირად:

| <u>"ვირჯინიას შტატის 1776 წლის უფლებათა კანონი"</u>: | <u>საფრანგეთის 1791 წლის კონსტიტუცია:</u> |
|---|---|
| ყოველი ადამიანი ბუნებისაგან დაბადებულია ერთნაირად თავისუფალი და დამოუკიდებელი. | ადამიანები არიან და რჩებიან დაბადებით თავისუფალი და უფლებით თანასწორნი. |
| ყველა უფლება სადგომლობს ხალხში და ამის შედეგად გამომდინარეობს მისგან. მოხელეები გამოხატავენ მხოლოდ მის უფლებამოსილებას და მის წინაშე ყოველთვის პასუხისმგებელი. | სუვერენობის წყარო საბოლოოდ სადგომლობს ერში. არც ერთ უწყებას, არც ერთ პიროვნებას არ შეუძლია ძალაუფლების გამოყენება, რომელიც მხოლოდდამხოლოდ მისგან არ გამომდინარეობს. |
| სახელმწიფოს კანონმდებლობისა და აღმასრულებელი ძალაუფლება დაშორებული და გამოყოფილი უნდა იქნას მართლმსაჯულებიდან. | საზოგადოებას, რომელშიც... ძალაუფლების დაყოფა განსაზღვრული არ არის, არ გააჩნია კონსტიტუცია. |
| პრესის თავისუფლება არის თავისუფლების ერთერთი ძლიერი საყრდენი და არასოდეს არ შეიძლება შეზღუდულ იქნას, თუ არა დესპოტიური მთავრობების მიერ. | თავისუფალი მიწოდება აზრებისა და შეხედულებებისა არის ერთ-ერთი უძვირფასესი უფლება ადამიანისა. ამგვარად ყოველ ადამიანს შეუძლია თავისუფლად წეროს, ილაპარაკოს და დაბეჭდოს იმ პირობით, რომ სრულ პასუხისმგებლობა აიისრია ამ უფლების ბოროტად გამოყენებისათვის კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. |

ამგვარად, ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციებს საერთო ნიშანდობლიობაა სახელმწიფოხელისუფლების დაყოფა კანონმდებლობით(პარლამენტი), აღმასრულებელ(მთავრობა) და მართლმსაჯულებით (სასამართლო) ძალაუფლებად=ორგანოებად. ეს მოსაზრება ეყრდნობა ფრანგი ფილოსოფოსის შარლ დე მონტესკიეს(1689-1755) აზრს,რომელიც მის მთავარ შრომაში "კანონების გონი",სხვათა შორის, წერდა:

"პოლიტიკური თავისუფლება ხორციელდება...მხოლოდ მაშინ, როცა ძალაუფლება ბოროტად არ იქნება გამოყენებული; მაგრამ მარადიული გამოცდილებაა, რომ ყოველი, რომელსაც ძალაუფლება გააჩნია, მისი ბოროტად გამოყენების მიდრეკილებას ამჟღავნებს: ის მიდის ისე შორს, რომ მის საზღვრებს აწყდება...ძალაუფლების ბოროტად გამოყენება რომ დაშვებული არ იქნას,...ძალაუფლებამ ძალაუფლებას უნდა დაუდვას საზღვარი".

ჟან-ჟაკ რუსომ(1712-1778),მის შრომაში "საზოგადოებრივი ხელშეკრულება", შექმნა კანონის წინაშე თანასწორობის მოძღვრება.

თომას ჯეფერსონი(1743-1826), 1776 წლის ამერიკის დამოუკიდებლობის აქტის შემქმნელი, მოითხოვს, თვითგამორკვევას,დემოკრატიას, თანასწორობას და ბუნებიდან ბოძებულ უფლებას, "ცხოვრების, თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ მისწრაფებას".

იმანუელ კანტი(1724-1804), თავის 1795 წელს გამოქვეყნებულ პოლიტიკური მნიშვნელობის შრომაში -"მარადიული მშვიდობა", - გმობს ძალისმიერ ჩარევას სხვა სახელმწიფოს შინაგან საქმეებში; გმობს აგრეთვე ომს და აგრეთვე ისეთი "საშუალებების გამოყენებას,რომლებიც მისკენ მიემართება". კანტი მოითხოვს აგრეთვე "მუდმივი ჯარის" თანდათანობით ალგვას და ხაზგასმით აღნიშნავს ვაჭრობის მნიშვნელობას მშვიდობიანობისათვის ხალხებს შორის. ადამიანის თავისუფლება, კანტის აზრით, შეიძლება შეზღუდული იქნას სხვების უფლებებისადმი პატივისცემის გამო.

საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციამ საფუძვლიანად შეარყია მთელი ევროპა. საფრანგეთში ზოგჯერ ბატონობდა ტერორი,რომელმაც შეიწირა უთვალავი ადამიანის სიცოცხლე, მათ შორის თვით რევოლუციონერებიც, როგორც,მაგალითად, რობესპიერი თუ დანტონი. საფრანგეთის მეფე ლუდვიგ XVI-საც კი მოკვეთეს თავი გილიოტინით. საფრანგეთის რესპუბლიკა, ომების შედეგად ავსტრიის, პრუსიისა და ინგლისის წინააღმდეგ, ჯერ მომაგრდა. მაგრამ 1804 წელს ნაპოლეონმა საფრანგეთის იმპერატორად გამოაცხადა თავისი-თავი, და მრავალი ომის შედეგად, 1815 წელს დამარცხებულ იქნა ევროპის მოკავშირეების მიერ, რომლებმაც ვენის კონგრესზე, იმავე 1815 წელს, ისევ დაიწყეს"ძველი ევროპის" აღდგენა. გერმანიაში,მაგალითად, 300-სი სახელმწიფოებრივი ერთეულიდან დარჩა 38-ი-ერთი იმპერატორით,რამდენიმე მეფითა და მთავრებით, და ოთხი "თავისუფალი ქალაქით"(ჰამბურგი,ბრემენი,ლიუბეკი და ფრანქფურტი); და ეს 38-ი გერმანული სახელმწიფო გაერთიანებული იყვნენ "დოიჩე ბუნდ-ში"="გერმანულ ფედერაციაში",რომელშიც მთავარ ძალას წარმოადგენდა პრუსია და ავსტრია. მაინის ფრანქფურტში კი იყო "დოიჩერ ბუნდესტაგ-ის" ="გერმანიის პარლამენტის" სადგომი, ე.ი.წევრქვეყნების ელჩთა მუდმივი კონფერენცია ავსტრიის თავჯდომარეობით.

საყურადღეობა,ასე ვთქვათ, "ნაპოლეონის ეპოქიდან", იოჰან ვოლფგანგ გოეთეს გამონათქვამი, რომელიც მან თქვა იმ დროს, როცა მოწმე გახდა - "ვალმის ზარბაზნების ცეცხლში გახვევისა" 1792 წლის 20-ც სექტემბერს -, რომლის დროს პრუსიის ჯარმა უკან დაიხია. ამ მოვლენას გოეთემ ასეთი კომენტარი უძღვნა: "აქედან და დღეს მთავრდება მსოფლიო ისტორიის ერთი ახალი ეპოქა, და თქვენ შეგიძლიათ თქვათ, ჩვენ დავესწარით ამას".

ნაპოლეონის დამარცხებით, საფრანგეთის რევოლუციის იდეები არ მომკვდარა.გერმანელ პატრიოტთა იმედები,მაგალითად, რომ ნაპოლეონზე გამარჯვება გერმანიას მოუტანს ერთიანობასა და თავი-

ხუჟლებას, - არ გამართლდა. ევროპა დაადგა "ძველი ევროპის" რესტავრაციის გზას. თავისუფლებისათვის მებრძოლებს დევნიან გერმანიაში, რომელთაგან ზოგიერთები იძულებული გახდნენ დაეტოვებიათ გერმანია, რომ თავი აერიდებიათ დაპატიმრებისათვის. ყველაზე უფრო ცნობილი მათ შორის, იყო პოეტი ჰაინრიხ ჰაინე,რომელიც 1856-ს წელს პარიზში გარდაიცვალა.

მე-19 საუკუნე ინდუსტრიული რევოლუციის ეპოქაა, რაც - პოლიტიკური ერთიანობის საწინააღმდეგოდ - იწვევს ეკონომიკურ წინსვლას. 1833-ს წელს იქმნება "გერმანიის საბაჟო გაერთიანება"; 1826-ს წელს ბერლინში შემოიღეს გაზის პირველი განათება; 1833-ს წელს შემოღებულ იქნა პირველი ელექტრო-მაგნეტური ტელეგრაფი; 1835-ს წერს გერმანიაში ექსპლოატაციაში შედის პირველი რკინიგზა ნიურნბერგსა და ფიურტს შორის; ვითარდება ქვეყნის ინდუსტრია...და ამ ეპოქაში გამოჩნდა ხაში - არისტოკრატიის,სასულიერო და მოქალაქეთა წოდების გვერდით, "მეოთხე წოდება"=გაღატაკებული ხელოსნობა და ინდუსტრიის მშრომელები= პროლეტარიატი მუშათა შრომისა და ცხოვრების პირობები იმდენად აუტანელი და მძიმე იყო, რომ თვით ბავშვებიც იძულებული იყვნენ ემუშავათ, რომ როგორმე უზრუნველყოფილი ყოფილიყო ოჯახი პურით მაინც. პრუსიაში,მაგალითად, 1839 წელს მოზარდთა შრომა ექვს-დღიან სამუშაო კვირაში,განსაზღვრულ იქნა 10-ი საათით დღეში, ხოლო ბავშთა შრომა ფაბრიკებში სრულიად აკრძალულ იქნა,თუმცა ეს მაინც განხორციელებული ვერ იქნა.

1848-ა წელს ისევ საფრანგეთი აძლევს მაგალითს მთელს მსოფლიოს თუ არა,სულ ცოტა,ევროპას: 1848 წლის თებერვალში, შიმშილობის დროს, პარიზში მუშებმა, მოქალაქეებმა და სალდათებმა შტურმით აიღეს მეფის სასახლე, მეფე გაიქცა და გამოცხადებულ იქნა რესპუბლიკა. გერმანიამდეც მიაღწია თავისუფლების ამ ნაპერწკლებმა, და 1848-ა წელს მაინის ფრანქფურტის პავლეს ეკლესიაში თავი მოიყარა გერმანიის ეროვნულმა კრებამ,რომელიც შესდგებოდა პოქალაქეთა

წარმომადგენელ თითქმის 600-ი დეპუტატისაგან. იმავე 1848 წლის 27-ლ დეკემბერს მიღებულ იქნება საერთო კონსტიტუცია -"კანონი გერმანელი ხალხის ძირითადი უფლებების შესახებ", რომლის ხუ-
რეობდა
ლისხკვეთება გამომდინა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფ-რაგეთის კონსტიტუციებიდან. 1849 წლის 28 მარტს კი ეროვნულმა კრებამ, მაინის ფრანქფურტში, მიიღო "გერმანიის რაიხის კონსტიტუცია", რომელსაც აგრეთვე "პაულს ეკლესიის კონსტიტუციას" უწოდებენ, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია:

მუხლი 137:"...გერმანელები კანონის წინაშე თანასწორია".

მუხლი 142:"ყოველ გერმანელს აქვს უფლება, სიტყვით, წერილობით, ბეჭდვით და სურათოვანი გამოსახვით თავისი აზრი თავისუფლად გამოთქვას".

მუხლი 144: "ყოველ გერმანელს აქვს რწმენისა და სინდისის თავისუფლება. არავინ არ არის ვალდებული თავისი რელიგიური რწმენა აღიაროს".

მუხლი 153:"მეცნიერება და მისი სწავლება თავისუფალია".

მუხლი 161:"ყოველ გერმანელს აქვს უფლება, მშვიდობიანად და უიარაღოთ თავი შეიყაროს; ამისათვის განსაკუთრებული ნებართვა საჭირო არ არის."

მუხლი 162:"გერმანელებს აქვთ უფლება გაერთიანებების შექმნისა".

1849 წლის აპრილის დასაწყისში გერმანიის ეროვნული კრება თხოვს პრუსიის მეფეს ფრიდრის ვილჰელმ IV-ეს მიიღოს გერმანიის გვირ-გვინი, მაგრამ ის უარყოფს; ხოლო, როცა 1870-1871 წლების გერმანია-საფრანგეთის ომში საფრანგეთი დამარცხდა, ოტო ფონ ბისმარკმა (1815-1898) პარიზის ახლოს-მდებარე ვერსალის სასახლის სარკეებიან დარბაზში გამოაცხადა გერმანიის რაიხის შექმნა, რომ-ლის დროს ე.წ-ლ"რკინის კანცლერისაგან" პრუსიის მეფე ვილჰელმმა მიიღო კაიზერის წოდება.

'არა სიტყვებითა და უმრავლესობის გადაწყვეტილებებით დროის დიდი

საკითხების გადაწყვეტა - ესაა შეცდომა 1848-ა და 1849 წლებისა -, არამედ რკინითა და სისხლით", - თქვა ოტო ფონ ბისმარკმა.
მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში რომ ნაპოლეონზე გამარჯვებული "რესტავრატორები" "მეოთხე წოდებას"=დამშეულ-გაღატაკებულ მშრომელებსა - ერთის მხრივ - თაფლის პურით, ხოლო - მეორე მხრივ - მათრახით უმასპინძლდებოდენ, ამის ნათელი მაგალითია გერმანიის ე.წ-ლი "რკინის კანცლერის" ოტო ფონ ბისმარკის კანონები მე-19 საუკუნის მიწურულში:
1881-ი წლიდან 1891-ტ წლამდე ბისმარკი ქმნის სოციალურ კანონებს, როგორიცაა დაზღვევას ავადმყოფობის, ავარიის, ინვალიდობისა და მოხუცებულობის დროს; და აგრეთვე შრომის უსაფრთხოების კანონებს. ამგვარი "თაფლის პურის" მიზანს ბისმარკი ასე განმარტავდა: "ვისაც პენსია აქვს მოხუცებულობაში, ის არის გაცილებით უფრო კმაყოფილი და ადვილად მოსავლელი, ვიდრე ის, ვისაც პენსიის მიღების არავითარი იმედი არ აქვს".
და - მეორე მხრივ - ყველაზე უფრო სასტიკი მათრახის პოლიტიკა იყო რაიხსტაგის მიერ 1878 წელს მიღებული "კანონი სოციალდემოკრატიის საზოგადოებრივად საშიში მისწრაფებების წინააღმდეგ",რომლის პირველ მუხლში ნათქვამი იყო:
"გაერთიანებები, რომლებიც სოციალდემოკრატიული, სოციალისტური თუ კომუნისტური მისწრაფებებით არსებული სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი წესრიგის დამხობას ისახავენ მიზნად, უნდა იქნან აკრძალული..."

ევროპის ქვეყნების შიგნით და გარეთ ამგვარ შეუწყნარებლობით პოლიტიკას მოყვა-პირველი მსოფლიო ომი, რომლის დამთავრების შემდეგ, არა მარტო მრავალ ევროპის ქვეყანაში, დამკვიდრდა თანამედროვე ცივილიზაციის უდიდესი მონაპოვარი პიროვნებისა და ერის თავისუფლება. და ამ მხრივ. დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია, შეიძლება ერთადერთი კონსტიტუციაა, რომელიც <u>პიროვნების</u>

და ერის თავისუფლებას, როგორც ერთ მთლიანობას აკანონებს. და ამით სარკეა ქართული და ჩვენი კონსტიტუციის მიღების შემდეგ საერთაშორისოდ აღიარებულ ჰუმანიტარული პრინციპებისაც კი,

როგორიცაა:

"ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნეს". (ილია ჭავჭავაძე).

"ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა".
("მესამე დასის" პროგრამა).

"დემოკრატიის ძირითადი პრინციპია ადამიანი და მისი სუვერენობა".
(ნოე ჟორდანია).

"თანასწორობა...დიდი და პატარა ხალხებისა".
(გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტია).

"ყოველ ადამიანს აქვს რწმენისა და მისი თავისუფლად გამოთქმის უფლება; ეს უფლება შეიცავს უფლებას დაუბრკოლებლივ გაჰყვეს თავის რწმენას და თავისუფლად მოძებნოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაციები და იდეები ყოველი საშუალებით სახელმწიფო საზღვრების მიუხედავათ".
(ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია).

"...ყოველ ხალხს მუდამ აქვს უფლება სრული თავისუფლების პირობებში განსაზღვროს...საშინაო და საგარეო პოლიტიკური სტატუსი გარედან ჩაურევლად..." (ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითი აქტი).

ამგვარად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია შეჯამებაა დამოუკიდებელ საქართველოში 1918-21 წლებში არსებული მდგომარეობისა, რაც - თავის მხრივ - შეჯამებაა საქართველოსა და მსოფლიოს, განსაკუთრებით ამერიკა-ევროპის ჰუმანიტარული მემკვიდრეობისა; და, შეიძლება, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია, მისი მიღების დროს, 1921 წლის 21 თებერვალს,- ვინ იცის! შეიძლება ერთადერთი კონსტიტუცია იყო, რომელშიც ერისა და პიროვნების თავისუფლება გადაჯაჭვულია "ნივთიერ კეთილდღეობასთან," რაც ადამიანის ცხოვრების დედა-ბოძადაა აღიარებული.

სავალალოა მხოლოდ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ახეთი დემოკრატიული ხელისკვეთებით გაჟღენთილი კონსტიტუციის მოქმედება შეწყვეტილ იქნა 1921 წლის 18-ტ მარტს, როცა საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ იარაღის ძალით დაიპყრო მთელი საქართველო. მაგრამ, უდავოა, რომ საბჭოთა რუსეთის ამ ძალადობითი აქტით შეუძლებელია ერისა და პიროვნების დიადი იდეის ჩახშობა,

ვინაიდან - როგორც დავინახეთ - საქართველოს დემოკრატიული რეს-
პუბლიკის კონსტიტუციას ღრმად აქვს გადგმული ფესვები ქართველი
ერის, საქართველოს და ამავე დროს მსოფლიო მოწინავე ქვეყანათა
ჰუმანიტარულ ტრადიციებში, და ამგვარი ჰუმანიტარული იდეა, ადრე
თუ გვიან, ისევ აღსდგება, როგორც ეს მოხდა საქართველოში 1918
წლის 26-ს მაისს.

დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია კი იურიდიულად დღესაც
ძალაშია; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იური-
დიულად დღესაც განაგრძობს არსებობას, ვინაიდან საქართველოს
დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო - საქართველოს დემო-
კრატიული რესპუბლიკა - საბჭოთა რუსეთის მთავრობამ 1920-ი წლის
7-ი მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულებით იცნო
დე ფაქტო და დე იურე, ე.ი. ფაქტიურად და იურიდიულად. მაგრამ
1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მთავრობამ, ლენინის
მეთაურობით, ცალმხრივად დაარღვია რუსეთ-საქართველოს 1920 წლის
7-ი მაისის საზავო ხელშეკრულება და ომის გამოუცხადებლად თავს
დაესხა დამოუკიდებელ საქართველოს და ძალით დაიპყრო იგი.

რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულების დარღვევითა
და დამოუკიდებელის საქართველოს დაპყრობით, საბჭოთა რუსეთის
მთავრობა გაბატონდა საქართველოზე ფაქტიურად, რაც გრძელდება
დღესაც დაწყებული 1921 წლის 25-ი თებერვლიდან, უფრო ზუსტად,
დაწყებული 1921 წლის 18-ი მარტიდან, როცა დამოუკიდებელი საქა-
რთველოს კანონიერი მთავრობა - ნოე ჟორდანიას მეთაურობით -
იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა და საფრანგეთისათვის
შეეფარებინა თავი. ამგვარად საქართველოს დამოუკიდებლობა და
სუვერენობა იურიდიულად დღესაც განაგრძობს არსებობას და ეს
განხორციელდება ფაქტიურადაც მაშინ, როცა საქართველოში მოიშლება
ის ძალადობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1921 წლის თებერვალ-მარტში
საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის შემოჭრითა და დამოუკიდებელი

საქართველოს იარაღის ძალით დაპყრობით. ანალოგიურია დამოუკიდე-ბელი საქართველოს კონსტიტუციის იურიდიული და ფაქტიური ხტა-ტუხიც: იურიდიულად ის დღესაც ძალაშია, და ფაქტიურადაც შევა ძა-ლაში, როცა მოიხსნება ის ძალადობის აქტი, რომელიც

— საერთაშორისო სამართლის საერთოდ აღიარებული ნორმების დარღვევით — ჩაიდინა საბჭოთა რუსეთის მთავრობამ, ლენინის მეთაურობით.

და-ბოლოს კი მოვიყვანოთ ამონაწერები "საქართველოს დამოუკიდებ-ლობის აქტიდან" და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციიდან, რომლებშიც დაკანონებულია თანამედროვე ცივილიზაციის იმ უძვირფასეს მრწამსუკრედო, რომელიც გამოიხატება ერისა და პიროვნების თავისუფლებაში.

დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია სულ შედგება 149-ა მუხლისაგან, და დაყოფილია 7-ც თავად. საქართველოს და-მოუკიდებლობის აქტი კი შედგება შესავალისა და 7-ი მუხლისაგან; და უკვე ამ დამოუკიდებლობის აქტშია ჩამოყალიბებული ის ძირითადი დებულებები, რომლებიც შემდეგ ზუსტადაა დაკანონებული დამოუკიდებე-ლიK საქართველოს კონსტიტუციაში. აი ეს შვიდი მუხლი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისა:

> ამისდა თანახმად] საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის, ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ დღეს აცხადებს:
>
> 1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.
>
> 2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკა არის.
>
> 3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.
>
> 4 საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით-კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან. ...

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის პირველი თავი შეიცავს "ზოგად დებულებებს", რომელთა პირველ ის მუხლში დაკანონებულია:

მუხლი 1.

საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი განუყოფელი სახელმწიფო.

მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

მუხლი 2.

საქართველოს დედა ქალაქი არის ტფილისი.

მუხლი 3.

საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.

მუხლი 4.

საქართველოს რესპუბლიკის დროშა არის — შინდისფერი ფერი ალამი შავი და თეთრი ზოლით.

საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობით.

კონსტიტუციის "მეხამე თავში" განსაზღვრულია მოქალაქის უფლებები, რომლებშიც, სხვათა შორის, დაკანონებულია:

"<u>მუხლი 16-ე:</u> მოქალაქენი კანონის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან".

<u>მუხლი 19-ე:</u> სიკვდილით დასჯა გაუქმებულია.

<u>მუხლი 22-ე:</u> პიროვნება ხელშეუხებელია...

<u>მუხლი 28-ე:</u> ყოველი მოქალაქის ბინა შეუვალია...

მუხლი 29-ე: კერძო მიწერ-მოწერა ხელშეუხებელია...

მუხლი 30-ე: ყოველი მოქალაქე მიმოსვლასა და ბინადრობის არჩევაში სრულიად თავისუფალია...

მუხლი 31-ე: ყოველი მოქალაქე სინდისის სრული თავისუფლებით სარგებლობს. მოქალაქის დევნა და მის პოლიტიკურ თუ სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა სარწმუნოების ან რწმენის გამო არ შეიძლება. ყველას შეუძლია აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც სურს, ან სარწმუნოება გამოიცვალოს, ანდა არც ერთ კულტს არ ეკუთვნოდეს.

მუხლი 32-ე: ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად.

მუხლი 33-ე: საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ უფლება აქვთ მთავრობის ნებადაურთველად შეიკრიბონ საჯაროთ და უიარაღოთ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.

მუხლი 38-ე: მუშათა გაფიცვა თავისუფალია.

საქართველოს კონსტიტუციის მეოთხე თავში დაკანონებულია პარლამენტის უფლებები:

მუხლი 46-ე: საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის "საქართველოს პარლამენტი", რომელიც შესდგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესისამებრ არჩეულ დეპუტატებისაგან. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს სქესის განურჩევლად ყოველ სრულუფლებიან მოქალაქეს, რომელსაც ოცი წელი შესრულებია.

მუხლი 54-ე: პარლამენტის უფლებაა: ა) კანონმდებლობა;.......

კონსტიტუციის მეხუთე თავი აკანონებს აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებებს:

მუხლი 66-ე: უმაღლესი მართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას.

კონსტიტუციის მეექვსე თავი აკანონებს სასამართლოს უფლებებს.

<u>მუხლი 76-ე:</u> სასამართლო დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება.

მართმსაჯულება წარმოებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით.

კონსტიტუციის მეთერთმეტე თავი აკანონებს <u>ავტონომიური</u> მმართველობის უფლებებს:

<u>მუხლი 107-ე:</u> საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს - აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათომის მხარე) და ზაქათალის ოლქი, ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა.

დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის მეთოთხმეტე თავი აკანონებს საქართველოში მცხოვრები <u>ეროვნებათა უმცირესობების</u> უფლებებს:

<u>მუხლი 129-ე:</u> არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა.

ყველას აქვს უფლება სწეროს, ბეჭდოს და ილაპარაკოს დედა-ენაზე.

აი, ზოგიერთი დებულებები დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციიდან, რომელიც იყო დამოუკიდებელი საქართველოს ძირითადი კანონი - კონსტიტუცია - 1918-21 წლებში. მიუხედავათ იმისა, რომ ეს კონსტიტუცია, როგორც აღვნიშნე, მიღებული და დამტკიცებული იქნა ჯერ კიდევ 1921 წლის 21 თებერვალს, ის დღესაც, უდავოა, ერთერთი სანიმუშო კონსტიტუციათ უნდა ჩაითვალოს მთელს მსოფლიოში, ვინაიდან ის ეყრდნობა იმ დიდ ჰუმანიტარულ მემკვიდრეობას, რომელიც შექმნა საქართველომ, ქართველმა ერმა თავისი სამიათას-წლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიის მანძილზე და აგრეთვე ნუსხაა იმ ჰუმანიტარული მემკვიდრეობისა, რომელიც მოგვცა განსაკუთრებით ევრო-

პულმა კულტურამ და ცივილიზაციამ, რომლის ერთერთი უძველესი ნაწილი თვით საქართველო, ქართველი ერია.

და-ბოლოს, ვიმეორებ, ამგვარი ჰუმანიტარული სულისკვეთებით გაჟღენთილი კონსტიტუცია, უდავოა, ისევ შევა ძალაში, როცა საქართველო ისევ გახდება თავის-უფალი, როგორც ეს იყო 1918-21 წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს.

შეუძლებლად მიმაჩნია, რომ, საბოლოო ჯამში, არ გაიმარჯვოს ისეთმა ჭეშმარიტად ჰუმანიტარულმა იდეამ, რომელიც, როგორც ავღნიშნე, ჩამოყალიბებულია, ჯერ კიდევ 1893 წელს მიღებულ "მესამე დასის" პროგრამაში: "ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული ადამიანისა".

და თუ მე ამ დებულებას უფრო მაღლა ვაყენებ, ვიდრე სხვა ხალხთა ანალოგიურ საერთაშორისო მნიშვნელობის თავის-უფლების იდეალებს, ამის საფუძვლად მიმაჩნია ამ დებულების ის უნიკალური დედა-აზრი, რომლითაც პიროვნების თავისუფლება დაკავშირებულია ერის თავისუფლებასთან, ხოლო მათ წინაპირობად აღიარებულია ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა საერთოდ.

წამყვანი: ეს იყო ჩვენი რადიო-ნარკვევი: დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია და მისი ფესვები. გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..

==============================



# საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება, — არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, — თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აცხადებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, საღამოს 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

# საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

მრავალი საუკუნის განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს მრავალ მტრისაგან შევიწროებულმა საქართველომ თავისი ნებით შეუერთა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაირღვა და რუსის ჯარებმა დასტოვეს ამიერ-კავკასია.

დარჩა რა თავის საკუთარ ძალღონის ამარა, საქართველომ და მასთან ერთად ამიერ-კავკასიამ თვითონ იკისრა თავის საკუთარი საქმეების გაძღოლა და შესაფერი ორგანოებიც შექმნა, მაგრამ გარეშე ძალების ზეგავლენით ამიერ-კავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და ამიერ-კავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, რათა მისი საშუალებით გადაურჩეს დამონებას გარეშე ძალის მიერ და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საძირკველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.





# ႱႠႵႠႰႧႥႤႪႭ

"ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა"



"მესამე დასის" პროგრამიდან
1893 წელი

"Material prosperity as the basis for life of the human being; Freedom for the whole nation and every individual"



From the program of "MESSAME DASSI" - "Third Group", 1893

ქართული რედაქცია - რადიო"თავისუფლება"
ავტორი, დიქტორი: დავით თაბორიძე

26 მაისი - ეროვნული დღესასწაული:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატები

წამყვანი: (სიგნალი...)

ჩვენი დღევანდელი პროგრამის მეორე ნაწილში გაგაცნობთ, პატივცემულო მსმენელებო, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის სრულ ტექსტს და აგრეთვე საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატების სახელსა და გვარს, დეპუტატებისა, რომლებმაც ხელი მოაწერეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, 1918 წლის 26 მაისს.

მაშ, ჯერ მოვისმინოთ ჩვენი ეროვნული ჰიმნი "დიდება", რომლის მინაარსია:

(ეროვნული ჰიმნი "დიდება": ტექსტი და მუსიკა)

ახლა გაგაცნობთ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის სრულ ტექსტს:

(საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი)

ახლა კი მოვისმინოთ ეროვნული ჰიმნი "დიდება", რომელიც შექმნილია "სინთეთაიზერის", ე.ი. ელექტრონული გზით:

("დიდება".......)

ახლა კი გაგაცნობთ საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატთა სახელსა და გვარს, დეპუტატებისა, რომლებმაც ხელი მოაწერს დამოუკიდებლობის აქტს 1918 წლის 26 მაისს. აღსანიშნავია, რომ ნაქართველოს დამოუკიდებლობის ეს აქტი დაბეჭდილია მეტად კარგ

ქაღალდზე, გარშემორტყმულია ქართული ორნამენტალური ქარაგმით, რომლის თავზეა დამოუკიდებელი საქართველოს ღერბი : თეთრი გიორგი შვიდი მნათობით; რის ქვემოთ დაბეჭდილია - ჯერ - საქართველოს დამფუძნე კრების დადგენილება, ხოლო შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი. ქვემოთ კი განლაგებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატთა ხელმოწერა ხუთ სვეტში.

პირველ სვეტში ხელს აწერენ საქართველოს დამფუძნებელი კრების შემდეგი დეპუტატები:

1.ნოე ჟორდანია
2.ევგენი გეგეჭკორი,
3.ნოე რამიშვილი
4.გიორგი ლასხიშვილი
5.ნოე ხომერიკი
6.შალვა ალექსი-მესხიშვილი
7.გიორგი მახარაძე
8.გრიგოლ გიორგაძე
9.სილიბისტრო(სილვა) ჯიბლაძე
10.რაჟდენ არსენიძე
11.კონსტანტინე ანდრონიკაშვილი
12.დიომიდე თოფურიძე
13.პეტრე გელეიშვილი
14.ნოე ცინცაძე
15.ლევან ნათაძე
16.თევდორე კიკვაძე
17.გიორგი გვაზავა
18.დავით ონიაშვილი
19.სევერიანე თევზაძე
20.დავით შარაშიძე და იქვე გვერდზეა მიწერილი:21.ვლასა მგელაძე.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ხელსაწერენ - მეორე სვეტში -
შემდეგი დეპუტატები:

22.გრიშა ურატაძე

23.ექვთიმე თაყაიშვილი

24.პავლე საყვარელიძე(მეტსახელად"დიდი პავლე")

25.იოსებ ელიგულაშვილი

26.ნიკიფორე იმნაიშვილი

27.იოსებ სალაყაია

28.ივანე გომართელი

29.ლიზა ბოლქვაძე

30.გიორგი ანჯაფარიძე

31.ილია ფირცხალაიშვილი

32.პავლე წულაძე

33.სიმონ სურგულაძე

34....................გვარი და სახელი რუსულადაა დაწერილი.ვერ შევ-
ძელით ამოკითხვა.

35.მელიტონ რუხია

36.ივანე ჭავჭანიძე

37.ანნა სოლოლაშვილი

38.ილიკო ბადრიძე

39.ივანე ალექსის ძე ცაციშვილი

40.გიორგი ექვთიმესძე მურვანიძე

41.იოსებ კონსტანტინეს ძე მაჭავარიანი

42.კონსტანტინე კანდელაკი

43.კირილე ნინიძე

44.ვასო წულაძე.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ხელს აწერენ - მესამე სვეტში -
დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების შემდეგი დეპუტატები:

45.რაფიელ ჩიხლაძე

46.ფილიპე ლორია

47.ჰაიდარ აბაშიძე

48.ალექსანდრე ხოტუას ძე ჩიქავა

49.ალაივან ფარნიევი

50.კადირ შერვაშიძე

51..................რუსულად; ვერ ამოვიკითხე.

52.რუბენ აუშტროვი

53.ნიკოლოზ ქუმსიაშვილი

54.ლეონტი ჟღენტი

55.გიორგი ცინცაძე

56.რუბენ ყოფიანი

57....................ქართულადაა ხელმოწერილი,მაგრამ ვერ ამოვიკითხე.

58.ილია კოპალაძე

59.კონსტანტინე ჯაფარიძე

60....................გერმანულ-გოთური ხელმოწერა;ვერ ამოვიკითხე.

61.კონსტანტინე საბახტარიშვილი

62.ბენია გიგოს ძე ჩხიკვიშვილი.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, 1918 წლის 26 მაისს, - მეოთხე სვეტში - ხელს აწერენ საქართველოს დამფუძნებელი კრების შემდეგი დეპუტატები:

63.მ.ვარდანიან(რუსული ასოებით)

64.ალექსანდრე ჭიაბრიშვილი

65.ვასილ ცაბაძე

66. თ.ს. ჭელიძე

67. მ.დავარიშვილი

68.ანანია სალუქვაძე

69.რიანგალ მამელოვი

70.ვალიკო ჯუღელი

71.გიორგი ცისკარიშვილი

72.სილვა ახმეტაშვილი

73.ვახო ლუნჯუა

74.პაულ ბილ(ხელმოწერა გერმანულად და ქართულად)=

75.ვარლამ შერვაშიძე

76....................ხელმოწერა რუსული ასოებით;ვერ ამოვიკითხე.

77. ა.ემუხვარი

78. კ.პაწიევი

79. ელ. მახვილაძე

80......................რუსული ასოებითაა ხელმოწერა;ვერ ამოვიკითხე.

81.დავით ჩხეიძე

82.ნიკო ელიავა(<u>შენიშვნა</u>:შალვა ელიავას ძმა)

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს - <u>მეხუთე სვეტში</u> - ხელს აწერენ საქართველოს დამფუძნებელი კრების შემდეგი დეპუტატები:

83.პეტრე სურგულაძე

84.გიგო ნათაძე

85.ილია ნუცუბიძე

86.ივანე გობეჩია

87.ლეო შენგელაია

88.იესე(იოსებ) ალ. ბარათაშვილი

89.შალვა ნუცუბიძე

90.სიმონ გურგენის ძე მდივანი

91.სამსონ გიორგის ძე ფირცხალავა

92.გიორგი ერაძე

93.გრიგოლ ცინცაბაძე

94.ალექსანდრე ასათიანი

95.გიორგი ფალავა

96.სპირიდონ კედია

97.გერონტი ქიქოძე.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს აგრეთვე ხელს აწერენ დამფუძ-

ნებელი კრების თავჯდომარის ამხანაგი -
98.ალექსანდრე ლომთათიძე და
99.მუხრან ოდიშელი(ე.ი.იონა მაქსიმის ძე ხოჭოლავა).

პატივცემულო მსმენელებო, სრული სია იმ დეპუტატებისა, რომლებმაც ხელი მოაწერეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, 1918 წლის 26 მაისს, თბილისში, მთავრობის სასახლეში, რუსთაველის გამზირზე. აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრების ყველა დეპუტატმა ხმა მისცა და ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს; მაგრამ ერთმა დეპუტატმა - გერონტი ქიქოძემ -,მართალია, დამფუძნებელ კრებაში ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინააღმდეგ, მაგრამ დამოუკიდებლობის აქტს ხელი მაინც მოაწერა, რითაც, როგორც სჩანს, ის დაემორჩილა დიდი, დიდი უმრავლესობის გადაწყვეტილებას.

დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერთა ეს სია მე კი გადმოვიწერე საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის იმ ფოტოსურათიდან, რომელიც მშვენივრად ჩარჩოში ჩასმული ჰკიდია პარიზის ახლოს-მდებარე დაბა ლევილის ქართული მამულის შატოს=სასახლის მთავარ დარბაზში.

ამ დარბაზში თქვენ ნახავთ აგრეთვე დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წევრთა სურათებს, რომელთა შუა ალაგას ჰკიდია დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის თავჯდომარის ნოე ჟორდანიას დიდი ფოტო-სურათი.

და-ბოლოს კი ისევ მოვისმინოთ დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ჰიმნი დიდება, რომელიც შესრულებულია "სინთეთაიზერით", ე.ი.. ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტით.

დიდება ქართველ ერს!..

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!...

გაუმარჯოს 26 მაისს, საქართველოს ეროვნულ დღესასწაულს!..

(დიდება...............)

ლაპარაკობს რადიო თავისუფლება!..
(სიგნალი)

## დამოუკიდებელი საქართველო და მისი ხელმძღვანელობა:

დამოუკიდებელი საქართველო და მისი ხელმძღვანელობა - აი, საკითხი,რომლის გაშუქება მსურს ჩემს მორიგ საუბარში.

დამოუკიდებელი საქართველო იყო დემოკრატიული რესპუბლიკა, რაც,როგორც ცნობილია, იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფოს სამი საყრდენი სვეტი - კანონმდებლობის, აღმასრულებელი და მართლ-მსაჯულების ორგანოები არჩეული იყო დემოკრატიული გზით. დემოკრა-ტიის ცნებას კი ნოე ჟორდანია, დამოუკიდებელი საქართველოს პრე-ზიდენტი და მთავრობის თავჯდომარე, ასე განმარტავს:
"დემოკრატიის ძირითადი პრინციპია: ადამიანი და მისი სუვერენობა. ის სუვერენია ინდივიდუალურად თავის კერძო, საოჯახო საქმეებში, სუვერენია კოლექტიურად, სხვასთან ერთად, საერთო, საზოგადო საქ-მეებში".

"დემოკრატიის ორგანოა - ამბობს ნოე ჟორდანია - მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წარმომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი".

და ამგვარი დემოკრატიული გზით,ე.ი. საქართველოს მოსახლეობის მიერ არჩეული იყო დამოუკიდებელი საქართველოს სა-კანონმდებლო, აღმასრულებელი და მართლმსაჯულების ორგანოები. პირველი ნამდვილი, დემოკრატიული საყოველთაო არჩევნები დამოუკი-დებელ საქართველოში ჩატარდა 1919 წელს, რომლის დროს არჩეულ იქნა დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრება,ე.ი.პარლამენტი. საქართველოს დამფუძნებელი კრების სულ 130-თ დეპუტატიდან, სა-ქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გაიყვანა 109-ი დეპუტატი, საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულმა პარტიამ 8-ი დეპუტატი, სოციალ-რევოლუციო-ნერების პარტიამ 5-ი დეპუტატი,ხოლო საქართველოს სოციალისტ-ფე-დერალისტთა პარტიამ 5-ი დეპუტატი. და ამ დემოკრატიული არჩევნების

შესაბამისად, მოხდა საქართველოს მთავრობისა და სხვა სახელმძღვანელო ორგანოებისა და პირების არჩევნებიც. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ სახელმწიფოს დემოკრატიული მმართველობის განუყოფელი ნაწილია ოპოზიცია. ოპოზიციას კი სულ 21-ი დეპუტატი ჰყავდა დამოუკიდებელი საქართველოს საკანონმდებლო ორგანო დამფუძნებელ კრებაში, რის გამო, როგორც ცნობილია, თვით ნოე ჟორდანია მოითხოვდა, რომ ოპოზიციას განსაკუთრებული გულისყურით მოპყრობოდენ, ვინაიდან პოზიცია-ოპოზიციის ბჭობის, აზრთა შეხლა-შემოხლის შედეგ-ხმების უმრავლესობით-მიღებული გადაწყვეტილებაა მჭრელი,ქმედითი,მებრძოლი,როგორც ამას ნოე ჟორდანია ამბობს. ამგვარად, დამოუკიდებელი საქართველო 1918-21 წლებში იყო პირველი რესპუბლიკური სახელმწიფო,რომლის სათავეში და საერთო ხელმძღვანელობაში იყო საქართველოს მოსახლეობის მიერ დემოკრატიული(უმრავლესობით) არჩეული პირები. ამით კი, საქართველო, მისი სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიის მანძილზე, პირველად—1918-ი წლის 26-ს მაისს-გახდა რესპუბლიკური სახელმწიფო, რომლის სათავეში იდგა არა მეფე,ვთქვათ, ბაგრატიონთა დინასტიიდან, არამედ საქართველოს რიგითი მოქალაქე - ნოე ჟორდანია.

შევეცადოთ დამოუკიდებელი საქართველოს პოზიციის,ე.ი.მთავრობისა და ოპოზიციის ხელმძღვანელი პირების ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაშუქებას, რამდენადაც ამის მასალები ხელთ გვაქვს.

დამოუკიდებელი საქართველოს ხელმძღვანელთაგან, უდავოა, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნოე ჟორდანიას, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავჯდომარესა და პრეზიდენტს. მაგრამ სანამ დამოუკიდებელი საქართველოს ცალკეული ხელმძღვანელი პირების ცხოვრებასა და მოღვაწეობას განვიხილავთ, ჯერ მოვიგონოთ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის შემადგენლობა. როგორც არაერთხელ ავღნიშნეთ, 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს ეროვნული საბჭოს თავჯდომარემ - ნოე ჟორდანიამ-გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, თბილისში,

მთავრობის სასახლეში, და ამ აქტით საქართველო გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი,ე.ი.დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო.

დამოუკიდებლობის აქტის მეშვიდე მუხლი კი განსაზღვრავდა,რომ -"დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო,რომელიც შევსებული იქნება ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე".

ამ დებულების შესაბამისად, საქართველოს დროებითი მთავრობის შედგენა დაევალა ცნობილ სოციალ-დემოკრატს ნოე რამიშვილს,რომელმაც შეადგინა კოალიციური მთავრობა.

მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა <u>ნოე რამიშვილი</u>;

საგარეო საქმეთა მინისტრი - <u>აკაკი ჩხენკელი</u>;-სოციალ-დემოკრატი.

სამხედრო მინისტრი - <u>გრიგოლ გიორგაძე</u>;სოციალ-დემოკრატი.

მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი - <u>ნოე ხომერიკი</u>;სოციალ-დემოკრატი.

ფინანსთა მინისტრი - <u>კონსტანტინე კანდელაკი</u>;სოციალ-დემოკრატი.

იუსტიციის მინისტრი- <u>შალვა მესხიშვილი</u>;სოციალისტ-ფედერალისტი.

განათლების მინისტრი - <u>გიორგი ლასხიშვილი</u>;სოციალისტ-ფედერალისტი.

გზათა მინისტრი - <u>ივანე ლორთქიფანიძე</u>;სოციალისტ-რევოლუციონერი.

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი - <u>გიორგი ჟურული</u>;ეროვნულ დემოკრატი.

24-ს ივნისს კი ნოე რამიშვილი შეცვალა მთავრობის თავმჯდომარის ადგილზე <u>ნოე ჟორდანიამ</u>. ამას მოყვა მთავრობაში ზოგიერთი ცვლილებები:

საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ჩაბარდა <u>ევგენი გეგეჭკორს</u>.

ამის შესახებ, ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული", რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში, სხვათა შორის, წერს:

"...საქმეთამხედველობაში გამოირკვა ორი გარემოება: ერთი,მთავრობის ხელმძღვანელი მისაღებია არა თავისთავად...,მთავრობის კანდიდატი

შეკავშირებულია არა ამ თვით თანამდებობასთან, არამედ პიროვნებასთან. ნოე ჟორდანიას ბრძანებას დავემორჩილები, სხვებისას კი არა – აი ამ ფსიქოლოგიის ამომხსნელი. ასეთი აზროვნება, ასეთი ფსიქიკა მთის უცხოა ნაციონალური მთავრობის არსებობას, მთელ ნაციონალურ საქმეს. კანონიერად შედგენილი მთავრობა ერის მთავრობაა – ეს ასეა ყოველგან, ასე უნდა იყოს ყოველგან. ჩვენში კი ეს დიდი საქმე დაუკავშირეს პიროვნებას. ამიტომ მე ვერას გზით ვერ მოვიშორე ეს თანამდებობა... მქონდა დიდი ლაპარაკი და კამათი პასუხისმგებელ ამხანაგებთან. ესენი ერთხმად მარწმუნებდნენ, რომ ჩემი გადადგომა დაანგრევს სახელმწიფოს, სამაგიერო ავტორიტეტიანი და მისაღები არავინაა და ისევ აიწყვეტენ დაბმული სახელმწიფო აზროვნებას მიუჩვეველი მასები", – ასე წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული".

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობა იყო ე.წ.-ლი "კოალიციური მთავრობა", ესე-იგი მასში შედიოდა საქართველოს დემოკრატიული პარტიების ხელმძღვანელი წარმომადგენლები.

ამდენად, საქართველოს დამფუძნებელ კრებაში არსებობდა ოთხი ფრაქცია: სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური, ეროვნულ- დემოკრატიული და სოციალისტ-რევოლუციონერების ფრაქციები.

1919 წელში კი, როგორც ავღნიშნეთ, ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომლის შედეგად საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, რის შედეგად დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა შესდგა მხოლოდ სოციალ-დემოკრატებისაგან.

მაშ, გავეცნოთ დამოუკიდებელი საქართველოს გამოჩენილ პიროვნებათა ცხოვრებასა და მოღვაწეობას:

## ნოე ჟორდანია

დამოუკიდებელი საქართველოს ხელმძღვანელთა შორის ყველაზე უფრო გამოჩენილი პიროვნებაა ნოე ჟორდანია - დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობის თავჯდომარე.

დიქტორი: ნოე ჟორდანია დაიბადა 1868 წლის 15 იანვარს ლანჩხუთში და გარდაიცვალა 1953 წლის 11 იანვარს პარიზში; და დაკრძალულია პარიზის ახლოს-მდებარე დაბა - ლევილში - ქართულ ძმათა სასაფლაოზე.

ნოე ჟორდანიას სახელი ოქროს ასოებითაა ჩაწერილი საქართველოს ისტორიაში, მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში მისი სახელის საჯარო თქმა, მისი შრომები, მის ღვაწლზე ლაპარაკი აკრძალულია. მისი სახელი ოქროს ასოებითაა ჩაწერილი საქართველოს ისტორიაში იმიტომ, რომ მის სახელთანაა დაკავშირებული ერთიანი, განუყოფელი საქართველოს ისევ აღდგომა და საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლა, როგორც სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოსი. როგორც იცით, პატივცემულო თანამემამულენო, 1918 წლის 26 მაისს, ნაშუადღევის ხუთ საათსა და ათ წუთზე, თბილისში, სასახლის თეთრი დარბაზის ტრიბუნიდან - ჭაღარით მოსილი - ნოე ჟორდანია - საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს კითხულობდა, მისი პირით ლაპარაკობდა საქართველოს მთელი ისტორია, წარსული და აწმყო ქართველი ერისა; 117 წლის უცხო ბატონობის შემდეგ, საქართვე

ლო კვლავ აღდგა როგორც სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფო და უმოკლეს ვადაში გახდა საერთაშორისო უფლების სუბიექტი. და ეს

უდიდესი ისტორიული მოვლენა საქართველოს ისტორიაში დაკავშირებულია ნოე ჟორდანიას სახელთან. როგორი ცხოვრების გზა განვლო ნოე ჟორდანიამ? - ვალაპარაკოთ თვით ნოე ჟორდანია

მისი წიგნიდან - "ჩემი წარსული",რომელიც დაიბეჭდა პარიზში, 1953 წელს. ნოე ჟორდანია წერს:

"დავიბადე 1868 წელს,

ორ იანვარს ძველი სტილით, ხოლო 15 იანვარს ახალი სტილით."

"ჩემი მოწაფეობის პირველ ხანაში,როგორც დანჩხუთის სოფლის სკოლაში, ისე ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, მქონდა მხოლოდ ორი სახელმძღვანელო: დედა-ენა და "როდნოე სლოვო". გაგონილი მქონდა,რომ არსებობს ქართული მეორე სახელმძღვანელო -"ბუნების კარი",მაგრამ არსად შემხვედრია და მისი შინაარსის არაფერი გამიგია."

"ერთ დღეს რუსული ენის მასწავლებლის მაგიერ შემოვიდა გაკვეთილზე ქართული ენის მასწავლებელი და გამოგვიცხადა - მასწავლებელი ვერ მოვა, ავათ არის, სამაგიეროთ; მე წაგიკითხავთ ქართული წიგნიდან რამდენიმე ადგილს. ამოიღო მოსქო წიგნი,დავინახეთ სათაური "ბუნების კარი" და დაიწყო კითხვა ლექსების, აწერილობის საქართველოს კუთხეების და სხვა. გაკვეთილის გათავებისთანავე მივირბინე მასწავლებელთან და ვთხოვე რამდენიმე დღით ეთხოვებია წიგნი. მათხოვა და გახარებული გავიქეცი შინისაკენ.

შეუდექი კითხვას. განსაკუთრებით დამაინტერესა ბუნების მოვლენათა ახსნა-განმარტებამ. წვიმა,თოვლი,ქუხილი,მეხი და სხვა ამისთანეებზე წერილების წაკითხვამ გამაოცა,გამაშტერა,წაკითხულს არ ვუჯერებდი,რამდენიმეჯერ ვკითხულობდი ერთ და იმავე წერილს.აზროვ-

ნება შემერყა.ვიცოდი, და დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველა ეს მოვლენანი ღვთის საქმეა,როცა უნდა წვიმას მოიყვანს,როცა უნდა სიმშრალეს, ახლა კი გამოდის რომ ღმერთი არაფერ შუაშია, ის არც კი ჩანს, მის მაგივრობას ასრულებს თვით ბუნება და მისი ძალები...
...ამ დღიდან დავინახე,რომ მე გამოვარდი ჩვეულებრივი,საყოველთაოთ მიღებული აზროვნებიდან,გამოვარდი ბარტყივით ბუდიდან..."

შემდეგ ნოე ყორდანია წერს:

"...მახსოვს ოზურგეთიდან ჩამოველი "ბუნების კარის" კითხვის შემდეგ ლანჩხუთში. ჩვენ წინ,მინდორში,არის პატარა გორაკი,რომელსაც დაარქვეს "ფიქრის გორა"...აქ ისვენებდა ყველა მოხეირნე და საუბრის მოყვარულნი...მე ჩამოვაგდე ლაპარაკი ბუნების მოვლენაზე,ავხსენი მათი მიზეზები...როცა გავათავე ერთმა მათგანმა თქვა:ღმერთო დაილოცა შენი სახელი,როგორ კარგად გაუნაწილებია თავის საქმეები.ყველა წვრილმანში რომ ყოველთვის თვითონ ჩაერიოს - ეს რა იქნებოდა..."

ერთხელ "ივერიაში" დაიბეჭდა ფელეტონი,სადაც ნიჭიერად იყო აწერილი ედისონის მიერ ელექტრონის სანთლით მთელი ბაღის უეცრად განათება. ლანჩხუთში ჩამოსვლისთანავე ეს ამბავი მოუყევი გორაზე თავმოყრილ ხალხს,ძალიან გაუკვირდათ; ბოლოს ერთმა ხმამაღლა თქვა: "დიდება შენ ღმერთო,რას არ გამოიგონებს რუსის ხელმწიფე!" გამიკვირდა, სრულიად არ მიხსენებია არც რუსეთი, არც მისი ხელმწიფე; ვლაპარაკობდი ამერიკაზე და ედისონზე. შემდეგ ლაპარაკიდან გამოვარკვიე, რომ ხალხში ასეთი აზრი იყო: თუ სადმე რამე კარგი კეთდება - სულ ყველა რუსის ხელმწიფის მეოხებით."

"...ხალხს იმ დროს ვერ მიეკარებოდი ვერც პოლიტიკური, - ვერც სოციალური და ვერც ნაციონალური პროპაგანდით. ეს ძალიან მაწუხებდა...სამაგიეროთ,თფილისში მოწაფეთა წრეები იძლეოდა

ასპარეზს სწავლის და აზრთა გავრცელების. პირველად მე ვიყავი წევრი - მოსწავლე ასეთი არალეგალური წრის, შემდეგ მე თვითონ მყავდა წრეები და მათ ვხელმძღვანელობდი. ორივე შემთხვევაში საგანი ჩვენი მეცადინეობისა იყო სოციალური და პოლიტიკური სა-კითხები."

თბილისის სასულიერო სემინაშიაში ყოფნისას, ნოე ჟორდანია, ისე როგორც სემინარიის სხვა სტუდენტები, გაიტაცა ბუნებისმეტყველებამ, სოციოლოგიამ, ისტორიამ, რაც თავის გამოხატულებას არალეგალურ პოლიტიკურ მუშაობაში პოულობდა. ნოე ჟორდანია წერს:

"ერთ ზამთარში, დიდმარხვაში, 1889 წელს, სემინარიის ბურსაკებს, სტუდენტებს მოსძულდათ ყოველ-დღე ლობიოს ჭამა და გამოაცხადეს გაფიცვა...თავი მოვიყარეთ სამმა პირმა - მე, თ.კიკნაძემ და ფილიპე მახარაძემ. გადავწყვიტეთ გაფიცვისათვის მიგვეცა ნაციონალური სახის-თი. წამოვაყენეთ შემდეგი მოთხოვნები: შემოღება სემინარიაში ქართული ენის, საქართველოს ისტორიის და ქართული ლიტერატურის. ბურსაკებმა გაიზიარეს ეს პროგრამა და გაიმართა ბრძოლა. ერთი კვირე დაიკეტა სწავლა...ეს იყო ერთადერთი ბრძოლა, რაიცა გადავიხადე სემინარიაში ყოფნის დროს. ვცემდით ხელნაწერ ჟურნალს, სახელად "სინათლეს" და "ყვავილს"...ერთი სიტყვით გავხდი სოციალისტ-ნაროდნიკი, მომხრე რევოლუციის, მაგრამ თვით დოქტრინა არ მაკმაყოფილებდა. რუსეთში იყო "ობშჩინა", ჩვენში კი კერძო საკუთრება; რევოლუცია უნდა გვექადაგა გლეხებისათვის, მაგრამ გლეხი იყო მონარქისტი და ვერ ვეკარებოდით. ამ ჩიხიდან ვერ გამოვედით სემინარიაში. ნაროდნიკობა აღიარებდა რე-ვოლუციას, მაგრამ არა დემოკრატიულს...ესეც იწვევდა ეჭვს...

1890 წელს გავათავე სემინარია...ასეთი დაეჭვებული სოციალის-ტურ დოქტრინაში და ტაქტიკაში, იმდეგატეხილი და უნიადაგო გავემგზა-ვრე 1891 წლის ზაფხულს ვარშავაში ვეტერინარ ინსტიტუტში შესასვლელად.

ვეტერინარობა არ მაინტერესებდა, არც მინდოდა; და თუ შევედი ამ ინ-სტიტუტში - იმიტომ,რომ აქ გვიღებდნენ სემინარიელებს,ისიც. პირველ ხარისხით გათავებულთ...ჩამოსვლისთანავე მოვაწყვე ორი სამაცადინო წრე - ქართველ სტუდენტების,ქართულ ენაზე, რუს-ქართველ სტუდენტების რუსულ ენაზე. პირველისათვის დავწერე მოხსენება. "რა არის პროგრესი". ...ეს იყო ჩემი უკანასკნელი ნააზრევი რუსული სოციალიზმის ფარგალში."

შემდეგ ნოე ჟორდანია წერს:

"1892 წელს კი დაიწყო ჩემთვის სრული რევოლუციით ამ სფეროში. ...წავიკითხეთ კარლ კაუცკის...წიგნი გერმანულ ენაზე,სადაც იყო ახსნი-ლი და განმარტებული ისტორიული მატერიალიზმი...ამ დღიდან დაიწყო ჩემში სწრაფი ევოლუცია. ერთი ნაროდნიკული სკამიდან მეორეზე,მარქ-სისტულ სკამზე, გადაჯდომა. აქ პირველად დავინახე რომ რუსული სოცია-ლიზმი ნამდვილი უტოპიური და რეაქციონური მიმდინარეობაა და თუ ის მართლა განხორციელდა სადმე, დავექანებით უკან ბარბაროსობაში... ამან სამუდამოთ მოკლა ჩემში იმდენი წლის შეთვისებული რუსული სოციალ-იზმი და გადამიყვანა ევროპულ ნიადაგზე...რასაკვირველია,ყველა ამ აღმოჩენების შესახებ ვრცლად ვსწერდი ეგნატე ინგოროყვას-ნინოშვილს და სილიბისტრო ჯიბლაძეს...ვარშავამ ჩემში მოახდინა დიდი მთაბეჭდი-ლება ნაციონალურ სფეროშიაც...აქვე უნდა გავიხსენოთ,რომ ერთადერთი პოლონური პარტია,რომელმაც თავის პროგრამაში წამოაყენა პოლონეთის დამოუკიდებლობა, იყო პოლონეთის სოციალისტური პარტია..."

წიგნში "ჩემი წარსული" ნოე ჟორდანია შემდეგ წერს:

"...მე ავადმყოფობის გამო იძულებული ვიყავი დავბრუნებულიყავი სამშობლოში აგვისტოს დასაწყისში 1892 წელს...როცა "ფიქრის გორაზე" მოვხდი და ზოგი ჩემი აზრი გაუზიარე სოფლელებს,ვერავითარი გაგება და გამოხმაურება ვერ ვპოვე...სამაგიეროთ შეკრებებში,რომელთა რიც-ხვი 7-8 კაცს არ ამორდებოდა, ვპოვე დიდი ენთუზიაზმი და საერთო

აზროვნება. სამწუხაროთ, ამ ერთობის ზერელობა გამოჩნდა პირველს ჩვენ კონფერენციაზე ყვირილაში 1892 წლის დეკემბერში, სადაც გაიმარჯვა ნაროდნიკულ მსოფლმხედველობამ...ამბობდენ: ჯერ გააცნობიერე მუშები, შემდეგ ისინი გააცნობიერებენ გლეხებს; ამის შემდეგ ისინი შეერთდებიან და მოახდენენ რევოლუციას...მე მაინც არ მოვეშვი და სილიბისტრო ჯიბლაძესთან და ეგნატე ნინოშვილთან ერთად გადავწყვიტეთ ხელახლა შეყრა. შევუდექი მოხსენების დაწერას...საკითხებისადმი მიდგომა იყო ორი მხრით - ნაციონალურის და ტაქტიკურის. უნდა მომენახა ისეთი ღერძი, რომლითაც შეიძლებოდა ძველი საზოგადოების გადატრიალება...ახლა მე არ შემიძლია ახსნა მეორე დებულების - ერის თავისუფლების აუცილებლობის. არ ვიცი საიდან ამოვიღე ეს; არც ერთ ნაწერში, რომელიც კი წამიკითხავს ჩემ დროს, ასეთი აზრი არ იყო გატარებული, არც ერთი ქვეყნის სოციალისტები ამ დებულებას არ აყენებდენ...როცა ჩვენ ეს საზოგადო პროგრამული მოთხოვნილება წამოვაყენეთ და კონფერენციაზე მივიღეთ, ორი თვის შემდეგ შეიყარა ევროპაში პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ და მიიღო იგივე დებულება კონკრეტული ფორმით - პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენა (1893 წ.). ამნაირათ, ტრადიციული მარქსისტული სოციალიზმის პირველი შეხეთქა მოხდა თბილისში, თებერვლის კონფერენციაზე 1893 წელს. მან მიიღო ნაციონალური ფორმა."

ამგვარად 1893 წლის თებერვალში ჩამოყალიბებულ იქნა "მესამე დასი", რომლის პიონერთა ჯგუფში შედიოდენ ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ეგნატე ნინოშვილი, კარლო ჩხეიძე, დიმიტრი კალანდარაშვილი, ისიდორე რამიშვილი, არსენ წითლიძე.

ამის შემდეგ ძლიერდება ნოე ჟორდანიას დევნა და ის იძულებულია დატოვოს საქართველო...ისევ პოლონეთი...ევროპა...ისევ საქართველო... ნოე ჟორდანიას დაჭერა-გადასახლება...მაგრამ ვალაპარაკოთ თვით ნოე ჟორდანია. ის თავის წიგნში "ჩემი წარსული" წერს:

"ვარშავიდან წაველი ჟენევაში სწავლის გასაგრძელებლად...

...1895 წელს წაველი პარიზში. მსურდა ჟენევის უნივერსიტეტიდან გამოტანილი ცოდნა შემევსო აქ. ქალაქის გაცნობის შემდეგ უნდა ამომერჩია ორში ერთი: ან სორბონის ლექციები ან ნაციონალური ბიბლიოთეკა. ამოვარჩიე ეს უკანასკნელი, სადაც დილიდან საღამომდე ვმეცადინეობდი...დავბრუნდი ჟენევაში და იქიდან პირდაპირ გავემგზავრე გერმანიაში. აქ ძევდა მარქსიზმის სამშობლო, აქ ცხოვრობდენ საუკეთესო მისი იდეოლოგები და ჩემი განათლების შესავსებათ აუცილებელი იყო აქ ცხოვრება და სწავლა. დავსახლდი ქალაქ შტუტგარტში ორი მოსაზრებით: აქ ცხოვრობდა კარლ კაუცკი. აქ მყავდა ერთი ნაცნობი არც რუსი, არც ქართველი, რომ ხელი შეეშალა გერმანული ენის შესწავლაში. კაუცკის გავეცანი თავიდანვე, კარგათ ლაპარაკობდა ფრანგულათ...მისგან ბევრი ვისწავლე. ხშირად ვიყავი მის ოჯახშიაც...ჩემი მიზანი იყო გავცნობოდი არამარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიასაც და ამიტომ გავემგზავრე მიუნხენში. აქ ჩავეწერე უნივერსიტეტში და განსაკუთრებით გულმოდგინეთ ვუსმენდი პროფესორ ბრენტანოს...1897 წლის მარტში გავწიე ლონდონისაკენ...ლონდონმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ინგლისის ყოფაცხოვრება ისე განირჩეოდა ევროპის კონტინენტისაგან, რომ გადავწყვიტე ეს ჩემი შთაბეჭდილებები გამეზიარებია ქართველ საზოგადოებისათვის. ამ წერილების ერთი ნახევარი კიდევაც დაიბეჭდა...ინგლისიდან პირდაპირ გავემგზავრე საქართველოში, სადაც ჩაველი ოქტომბერში, 1897 წელს; გავეცანი მდგომარეობას, ყველა თავის ადგილზე დამხვდა, გარდა ეგნატე ნინოშვილისა, რომლის ასე მოულოდნელ გარდაცვალებამ გული დამწყვიტა..."

შემდეგ ნოე ჟორდანია წერს:

---

"ჩვენ მივიღეთ თავისთავზე "კვალის" რედაქტორობა... ამნაირათ, პირველი იანვრიდან (1898 წელი) "კვალი" გახდა ქართველი მარქსისტების პირველი ლეგალური ორგანი. ეს იყო იმავე დროს პირველი მაგალითი.

მთელს რუსეთის იმპერიაში არსად სოციალისტებს ლეგალური ორგანო არ ქონდათ...თბილისში მოძრაობა გაიზარდა, ორგანიზაცია გაძლიერდა და მან თავისი მუშაობა გადაიტანა სხვა ქალაქებში...ჩვენი სოციალიზმი თანდათან ღებულობდა სასურ ხასიათს...ცნობილი სამაისო დემონსტრაციის შემდეგ, 1901 წელს,18 აპრილს,შუა ბაზარზე, - დაიწყო მასიური დაპატიმრება მთელ თბილისში,ციხეები გაივსო...დამიჭირეს და ქუთაისის ციხეში მომათავსეს...დამკითხეს მხოლოდ მარტში,ე.ი.დატყვევების რვა თვის შემდეგ...ივნისში გამომიშვეს და ბინათ მომცეს ლანჩხუთი...ამ დროს გურიაში უკვე გაძლიერებული იყო გლეხთა მოძრაობა,რომელსაც ყავდა თავისი ადგილობრივი მეთაურები, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრები.დაიწყო მასიური დაპატიმრება და მათ შორის მეც მიმაყოლეს...ოქტომბერში გამომიშვეს და ბინათ დამინიშნეს განჯა, პოლიციის მხედველობის ქვეშ...გადავწყვიტეთ მოწვევა პარტიული კონფერენციის ამიერ-კავკასიის მასშტაბით. 1902 წლის ზამთარში კონფერენცია მოხდა თბილისში, ტილიპუჭურის რესტორნის ერთერთ ოთახში და ჩატარდა ჩემი თავჯდომარეობით.მთავარი საკითხი იყო არჩევა ცენტრის,რასაც დავარქვით "საკავშირო კომიტეტი" ამიერკავკასიისა.აქვე მომანდვეს დამეწერა პარტიული პროგრამის პროექტი,როგორც ადგილობრივი,ისე მთელი სარუსეთო მასშტაბით. განჯაში დაბრუნებისას შევუდექი ამ მუშაობას და რამდენიმე კვირაში დავამთავრე."

ნოე ჟორდანიამ, თავი რომ დააღწია გადასახლებას სამი წლით ვიატკის გუბერნიაში,მოახერხა ბათომით ევროპაში გაქცევა. ამ დროს,1902 წელს, ლონდონში მოხდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშთა პარტიის ყრილობაზე, განხეთქილება: წარმოიშვა ბოლშევიზმი და მენშევიზმი...მორიგი ყრილობაც ლონდონში შედგა,1907 წელს, მეორე დუმის დროს,რომელსაც საქართველოდან 29 დელეგატი დაესწრო,მათ შორის ნოე ჟორდანია.ამის შესახებ ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში:-"ჩემი წარსული" - წერს:

"...რუს დელეგატთა შორის დიდი უმრავლესობა იყო ბოლშევიკები,მაგრამ როცა ქართველი მენშევიკები მიემატნენ - ყთანასწორდებოდენ რუს ბოლშევიკებს...მივდივართ ქუჩაზე...ხმა შემომესმა უკანიდან:"კასტროვ(ეს ჩემი ფსევდონიმი იყო) მოიცადეთ ერთ წუთს." მივიხედე - ლენინია. დავიცადე და ერთად გადავედით ქუჩის მეორე ნაპირას. მან მითხრა სიტყვა-სიტყვით შემდეგი:

"ქართველებო ნუ ერევით რუსების საქმეში. თქვენ არ იცნობთ ჩვენს ხალხს,მის ფსიქოლოგიას,მის ყოფა-ცხოვრებას და რატომ ხელს გვიშლით ჩვენ ჩვენი საქმეები ჩვენებურათ,რუსულათ მოვაგვაროთ, მიიღეთ ავტონომია,აკეთეთ საქართველოში,რაც და როგორც გსურთ,ჩვენ არ ჩაგერევით, ნურც თქვენ ჩაგვერევით!"

...განვუცხადე - პასუხს ახლა ვერ მოგცემ,შევეკითხები ამხანაგებს, სწორედ ამ საღამოს გვაქვს კრება ქართველ სოციალ-დემოკრატებს.

"ძლიერ კარგი, დასვით ეს საკითხი, თუ გნებავთ მეც დამიძახეთ, დაიმახსოვრეთ ჩემი წინადადება: თქვენ,ქართველები, ნუ ერევით ჩვენს პარტიულ საქმეებში, ჩვენ არ ჩავერევით თქვენსაში. სომ ხედავთ საითკენაა რუსის მუშათა კლასი;მისი დელეგაციის უმრავლესობა ბოლშევიკებია,ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს;სალხი რევოლუციური განწყობილებისაა, მენშევიკები ოპორტუნისტებია,მათ მხარს როგორ დაუჭერენ. მაკვირვებს მხოლოდ თქვენი, ქართველი სოციალ-დემოკრატების საქმე. თქვენ ხართ რევოლუციონერები, როგორც ჩვენ, რა გაქვთ საერთო მარტოვ-დანის კამპანიასთან."

ნოე ჟორდანია ბრუნდება საქართველოში 1907 წლის დეკემბერში. თბილისში ცხოვრობს კონსპირაციულ ბინაზე და განაგრძობს თავის რევოლუციურ მუშაობას...ნოე ჟორდანია იყო არა მარტო საქართველოს სოციალ-დემოკრატების ლიდერი,არა მარტო რევოლუციონერი პრაქტიკოსი,არამედ ამავე დროს პარტიის თეორეტიკოსიც; მის კალამს ეკუთვნის მრავალი თეორიული შრომები,რომელთაგან პირველთაგანი შრომაა მისი

ნარკვევი - "ეკონომიური წარმატება და ეროვნება", რომელიც პირველად დაიბეჭდა 1894 წელს ჟურნალ "მოამბეში". ამის შემდეგ ეს ნარკვევი რამდენიმეჯერ იქნა გამოცემული საზღვარგარეთაც კი. ნოე ჟორდანიას ნაწერთა ორი ტომი გამოცემულ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობის დროს. [მაგრამ მისი ყველა შრომების გამოცემა ეს მომავლის საქმეა, ვინაიდან უცხოეთში ამის შესაძლებლობა არ გაგვაჩნია. მისი ცალკეული ნარკვევები კი გამოცემულია უმთავრესად პარიზში და, ვიმედოვნებთ, რომ ერთ დროს ქართველი ხალხი შესძლებს ნოე ჟორდანიას ყველა ნაწერთა კრებულის გამოცემას.]

ნოე ჟორდანიას პოლიტიკური მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი პერიოდია, თებერვლის რევოლუციის შემდგომი ხანა. როცა 1917 წლის თებერვალში რუსეთში იფეთქა რევოლუციამ, ამ დღიდან იწყება საქართველოს თავისუფლებისათვის ყველაზე უფრო ეფექტური მუშაობა, რომლის ლიდერი იყო ნოე ჟორდანია.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის 22 ნოემბერს, საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო.

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

1919 წლის 12 მარტს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც არჩეული იყო პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, თავის პირველსავე სხდომაზე მიიღო და დაადასტურა საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 26 მაისს თბილისში გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო მსოფლიოს 22 სახელმწიფომ, მათ შორის თვით საბჭოთა რუსეთის მთავრობამაც ლენინის მეთაურობით. 1920 წლის 7 მაისს დადებულ იქნა საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება, რომელშიც ლენინის მთავრობამ ვალდებულება აიღო თავისთავზე -"რუსეთი სცნობს სავსებით საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და სუვერენობას, და ნებაყოფლობით ხელს იღებს ყველა იმ სუვერენულ უფლებაზე, რომელნიც ეკუთვნოდენ რუსეთს ქართველი ხალხის და საქართველოს ტერიტორიის მიმართ."

ერთი.სიტყვით, ნოე ჟორდანიას უშუალო ხელმძღვანელობით საქართველო გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და ქვეყნის შიგნით დაამყარა თანამედროვე დემოკრატიული წესყობილება, რომელიც ეყრდნობოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ძირითად კანონს, კონსტიტუციას, რომელიც დამტკიცებულ იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს, ორშაბათს, ღამის 10 საათზე და 12 წუთზე. როგორც ცნობილია, დემოკრატიული, სუვერენული და დამოუკიდებელი საქართველო საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ დაიპყრო 1921 წლის თებერვალ-მარტში, და საქართველოს ეროვნული მთავრობა -ნოე ჟორდანიას მეთაურობით - იძულებული გახდა დაეტოვებია საქართველო. უცხოეთშიც ნოე ჟორდანიას არ შეუწყვეტია მოღვაწეობა საქართველოს, ქართველი ერის გარდაუვალი უფლებების დაცვისათვის საერთაშორისო ასპარეზზე, და ამავე დროს მრავალი თეორიული ნაშრომი შექმნა, რომლებიც დაიბეჭდა პარიზში, ქალაქში, რომელიც ნოე ჟორდანიას გარდაცვალებამდე, 1953 წლის 11-ც იანვრამდე, საქართველოს დემოკრატიული გზით არჩეული მთავრობის სადგომად იქცა.

დიდია ნოე ჟორდანიას დამსახურება საქართველოსა და ამით ქართველი ხალხის წინაშე; ის გახდა საქართველოს ისტორიის "პატარა ოქროს ხანის", ე.ი. დამოუკიდებლობის პერიოდის სულისჩამდგმელი 1918-21 წლებში; და ეს პერიოდია კულმინაციური წერტილი ნოე ჟორდანიას მოღვაწეობისა საერთოდ, რომელიც დაიწყო ჯერკიდევ მე-19 საუკუნის 90-იან წლებში.

ავღნიშნავთ რა ნოე ჟორდანიას ხსოვნის დღეს ყოველი წლის 15-ც იანვარს, მისი დაბადების დღეს, მოვიგონოთ აგრეთვე "მესამე დასის" სამოქმედო პროგრამა,რომლის ავტორი თვით ნოე ჟორდანია იყო, და ამ პროგრამის დედა-აზრი,რომელიც გზისმაჩვენებელია დღე-საც,ატომური და გამომთვლელი მანქანების ეპოქაშიც:

"ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებაისა. თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა!.."

(ეროვნული ჰიმნი "დიდება")

ლაპარაკობს რადიო "თავისუფლება!.."

(მუსიკა,სიგნალი....)

==========================================

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება, ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება,პატივცემულო მსმენელებო,

დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის - ნოე ჟორდანიას - შემდეგი სიტყვები:

"დემოკრატიის ძირითადი პრინციპია: ადამიანი და მისი სუვერენობა. ის სუვერენია ინდივიდუალურად თავის კერძო, საოჯახო საქმეებში სუვერენია კოლექტიურად, სხვასთან ერთად, საერთო,საზოგადო საქმეებში".

"დემოკრატიის ორგანოა - დასძენს შემდეგ ნოე ჟორდანია - მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი,მებრძოლი".

დიდია ნოე ჟორდანიას დამსახურება საქართველოს, ქართველი ერის ბრძოლაში მოეპოებია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ საფრანგეთში მცხოვრებმა ქართველმა ახალგაზრდებმა – ნოე ჟორდანიას გარდაცვალების სამი წლის თავზე – ჩამოაყალიბეს პარიზში, ნოე ჟორდანიას სახლში, ვანვში, "ნოე ჟორდანიას სახელობის წრე". "ნოე ჟორდანიას წრის" მიერ იმ დროს გამოქვეყნებულ "ბიულეტენში", სხვათა შორის, ვკითხულობთ:

1953 წლის 11 აპრილს, საინიციატივო ჯგუფმა მოიწვია ნოე ჟორდანიას სახ. წრის დამფუძნებელი კრება. კრებამ განიხილა ორგანიზაციის წესდების პროექტი და შესწორებების შემდეგ, ერთხმად დაამტკიცა. ამგვარად 1953 წლის 11 აპრილს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის პატივსაცემად დაფუძნებული იქნა „ნოე ჟორდანიას სახ. წრე".

---

„ნოე ჟორდანიას სახ. წრის"
დამფუძნებელი კრების მოწოდება

გასულ საუკუნეში ქართველი ხალხი, რომელიც თავისი უძველესი მრწამსით ევროპის ბედ-იღბალს უძველეს დროიდან დაუკავშირდა, დაადგა ევროპის გარდაქმნის გზას: შემოიჭრა კაპიტალი ქართველი ერის ცხოვრებაში. შეიცვალა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრება. ხალხის წინაშე წამოიჭრა ახალი, „ქართლის ცხოვრებაში" ჯერ არ ნახული, პრობლემები, რომლებიც ევროპაში ცხოვრების ასპარეზზე ჯერ კიდევ რამოდენიმე საუკუნით ადრე გამოჩნდა. ამ ახალი პრობლემების დამორჩილება შეიძლებოდა მხოლოდ მასზე აღმოცენებული ახალი ევროპული მსოფლმხედველობით. საჭიროებას წარმოადგენდა ევროპის ამ ახალი გზის — ინდუსტრიალიზაციის მეცნიერულად შესწავლა და ამ სტიქიური მოვლენის უარყოფითი მხარეებიდან ქართველი ხალხის დაცვა; ვის უნდა გადაებარებინა ეს საპატიო როლი საქართველოში, თუ არა ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილს, რომლის მამამთავარი და სულის ჩამდგმელი, დროთა განმავლობაში, ნოე ჟორდანია გახდა. ნოე ჟორდანიამ გამოჭედა რა თავისი მსოფლმხედველობა ევროპულ იდეათა ქურაში, პირველმა ალღო აუღო ქართველი მშრომელი ხალხის გარდაუვალ ინტერესებს და მთელმა ქართველმა ერმა ნოე ჟორდანიას იდეა თავის მეთაურად აქცია, რომლის ურყევი ბაირაღი 1918 წლის 26 მაისია.

ნოე ჟორდანიას ამ ეროვნული და მის ზევით საკაცობრიო იდეის ცენტრში იდგა ადამიანი: „მთელი ჩემი ყურადღება — ამბობს ის — მიქცეულია ადამიანისაკენ, ადამიანობისაკენ; ჩემი სული მასზე გადაბმულია უჩემოდ, ჩემი ნებისყოფის გარეშე, ფატალურად; ვარ მომწყვდეული ამ რკალში, გამოუსვლელად"; და სხვაგან „ქრები ადამიანთა შორის და ადამიანობაში, მაგრამ გაქრები პეპლისა·წყლით ტანის ბანას. ეს არ არის ადვილი", მით უმეტეს იმ დაქანებულ ხანაში, რომელშიდაც დღეს კაცობრიობა იმყოფება. „ყველა ჭურჭლიდან არ დაილევა: წმინდა წყალი, წმინდა ჭურჭელი სჭირდება" და ეს წმინდა ჭურჭელი ერი უნდა მოიძებნოს, თუ არა თვით ადამიანში, რომლის შექმნაში „ბუნებას დიდი მარცხი მოუვიდა, არა იმით რომ ის გააჩინა,

---

არამედ იმით, რომ ეს თავისი ნაყოფი ვერ დაამთავრა". ერთად-ერთი ადამიანია, რომელმაც აწყურტა და მის მიერ ქვეყნის არევ-დარევას საზღვარი არა აქვს. ვინაიდან ბუნებამ ვერ დაამთავრა ადამიანი, ვერ გახდა მისი პატრონი, ეს როლი უნდა დაეკისროს ურთიერთ სხვა — საზოგადოებას; მაგრამ საზოგადოებრივი ინტერესები ჩაყლაპა პირად-ცენტრისტულ ინტერესებმა; საერთო, საყოველთაო მისწრაფებად გახდა სხვისი ოფლით ხელის მოთბობა; ადამიანი ახრჩობს ადამიანს მისსავე სისხლში, რომ თავისი ეგოისტური სურვილები დაიკმაყოფილოს; ადამიანი გახდა ადამიანისათვის ჯოჯოხეთი; და ეს მაღლა აწეული ადამიანი დარწმუნებულია იმაში, რომ ის ზეკაცია, რომ ის რჩეულთა, ბუნების გვირგვინია; დაჰყურებს მაღლიდან მშრომელ ხალხს და ახრჩობს თავის აღვირახსნილ სურვილებს გაუთავებელი მოთხოვნილებათა მორევში. აი, რით იქცა თანამედროვე ადამიანი, რომელიც თავის ისტორიულ მოძმეს რომის ჩამავალი მზის ეპოქაში პოულობს.

ნოე ჟორდანია გვასწავლის, რომ ამ წარყვნილი ხანის გარდაქმნისათვის არსებობს მხოლოდ ერთი გზა: ადამიანმა უნდა შეიგნოს საზოგადოების გადამწყვეტი ინტერესები, რომელიც ცხოვრების თავისუფლებას ადამიანურ კალაპოტში ჩააყენებს. „ჩემი ცხოვრება მიყურადგეს ჩემი მეზობლის ბედნიერების ყოველდღიური საქმეა"; ასეთი გარდაქმნა კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანი ხელს აიღებს სხვის პატრონობაზე: ამ იდეალის განხორციელებისათვის არსებობს „მხოლოდ ერთი წამალი, ერთი ლოზუნგი: იბატონე თავის-თავზე". თავისთავზე ბატონობა, რომელიც მხოლოდ რჩეული ადამიანების რჩეული ხვედრია, ნიშნავს: „თავის ვნების, სურვილების და უსაზღვრო მოთხოვნილებებისათვის... ალაგმის ჯილდოს და მიზანშეწონილად ხელმძღვანელობას; ეს არის გამარჯვება ნებისყოფის და გონიერების". თუ ადამიანი ამას შესძლებს, ის იქნება თავისი თავის პატრონი; ის არ დაეპატრონება სხვას და არ შეეცდება მის დამორჩილებას. ადამიანის ფასი და პატივისცემა მასში გაიზრდება და ყველა ანტიადამიანური მოვლენა — მასში გაბატონდება ჰუმანიური სული. რათქმაუნდა ეს „მოითხოვს ღრმა სოციალურ კალაპოტს, ახალ საადამიანო შენობას, რომელიც პიროვნებას ჩააყენებს ისეთ მისთვის საჭირო საცხოვრებელ პირობებში, რომ სრულიად არ დასჭირდება სხვაზე ბატონობა, ამრიგად არ მოუვა თავისი მოძმის ჩაგვრისა და რბევით ცხოვრება"; ამ დროს ადამიანი გახდება თავისუფალი - ინდივიდუუმი და ჭეშმარიტად გვირგვინი ბუნების ქმნილებათა შორის. [აი, ამ ჰუმანიური დიდი იდეით გამსჭვალულნი, დღეს 1953 წლის 29 მარტს შევიკრიბეთ ჩვენ, კაცობრიობის თავისუფლების მოძრაობათა ცენტრში — პარიზში, და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველ

[ პრეზიდენტის პირობებისა და მოღვაწეობის პატივსაცემად, საფუძველი ჩაეუყაროთ „ნოე ჟორდანიას სახ. წრეს". ჩვენი ძირითადი მიზანია ნოე ჟორდანიას იდეოლოგია, რომელშიც საქართველოს თავისუფლება მოიაზრება. კიდევ ერთხელ კრიტიკის ქარცეცხლში გავატაროთ, რომ მასზედ აღმოცენებული სინთეზი სოციალური მექანიზმი იყოს ყოველი ადამიანისათვის — თავისუფალი ქართველი ხალხისათვის!..

ჩვენ გვჯერა, რომ ის დღეც იდგა, რომელიც დაკავშირებულია ნოე ჟორდანიას სახელთან. როგორც ყოველთვის, აღფრთოვანებებს და გარეცვებს ლტოლვილობაში მყოფ ქართველებს პარიზში, ნიუ-იორკში, მიუნხენში, ლონდონში, ბუენოს-აირესში და სხვაგან და ძირს ჩვენს მეგობრებს მოვუძღვნ; მხოლოდ როდესაც მრავალტანჯული ქართველი ხალხი, თავის თავისუფლების დღეს 26 მაისს საქართველოში, ქართველი ხალხის გულში — თბილისში იზეიმებს, მაშინ ყოველ ქალაქში, ყოველ სოფელში „ნოე ჟორდანიას სახ. წრე" თავის მეგობრებს შეიმოიკრებს და დაბინავდება იქ მარადიულად. სადაც ქართველი ხალხი თავის [illegible] შეიკრებს და მასზედ აღმოცენებული ჯანსაღი აზრი, იქნება საქართველოს მომავლის გამომხატველი, როდესაც ქართველი ერი თავის წვლილს ხალხთა ძმურ ოჯახში შეიტანს ]

ჩვენ გვწამს ქართველი ხალხის ეს დიდმნიშვნელოვანება, გვსურს აღვიზარდოთ მასზე და გავყვეთ კაცობრიობის იმ ჯანსაღ გზას, რომელიც ჩვენმა პრეზიდენტმა ასე მეცნიერულად დაგვიხატა.

დიქტორი: <u>("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")</u>

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება,
ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება,
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემული მსმენელებო, მილოვან ჯილასის მიერ გამოთქმული აზრი სტალინის მემკვიდრეების შესახებ, გამოქვეყნებული 1978 წლის 2-რი მარტის გაზეთ "ველტში", რომელიც გამოდის დასავლეთ გერმანიაში. ჯილასი, სხვათა შორის, ამბობს:

"სტალინმა ინტერნაციონალიზმის საბჭოთა ვარიანტი გარდაქმნა საბჭოთა სახელმწიფოს იმპერიალიზმად. ამ დროს მან გამოიყენა რუსული ნაციონალიზმის მავნებელი და მჩაგვრელი მხარეები. საბჭოთა ბიუროკრატია [illegible] რუსულ შოვინიზმს... საბჭოთა კავშირის დღევანდელი წესრიგი - მისი ბიუროკრატიული და იმპერიალისტური თვისებებით - ეყრდნობა რუსული "ორიენტალური დესპოტიზმის" ტრადიციებს. მაგრამ რუსებისა და რუსეთის ისტორიის დაყვანა ამ ერთ კომპონენტზე, არის ისევე ცალმხრივი, როგორც უსამართლო. რუსი ხალხი, როგორც ყოველი სხვა ერი ისწრაფვის სპონტანურად თავისუფლებისაკენ" - დასძენს მილოვან ჯილასი.

ახლა გავაცნობთ ზოგიერთი ქართველი ცნობილი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწის აზრს ნოე ჟორდანიას შესახებ:

პროფესორი მიხაკო წერეთელი ნოე ჟორდანიას პიროვნებას ასე ახასიათებდა:

> „მე არ ვიცი ვინ შეძლებდა მაშინდელ პირობებში, ნ. ჟორდანიას გარდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, როგორ იქნებოდა შესაძლებელი საქართველოს დამოუკიდებლობა, თუ ამას არ იწამებდა ნ. ჟორდანია". (პრ. მ. წერეთელი. „ბედი ქართლისა", № 14. 1953).

ცნობილი სასულიერო პიროვნება რაჟდენ ინგილო კი ამბობდა:

> „ნოე ჟორდანია რომ არ ყოფილიყო, საქართველოს დამოუკიდებლობას იქნებ ვერც კი გამოეცხადებინათ". (რ. ინგილო. „მებრძოლი საქართველო" № 9).

ქართველი ცნობილი მწერალი გერონტი ქიქოძე ნოე ჟორდანიას შესახებ, სხვათა შორის, ამბობს:

> „დღეს ნ. ჟორდანია მართლაც მთელი ერის მეთაურია. 1917 წლის ნოემბრის დღეებში ის ავიდა იმ სიმაღლეზე, რომელზედაც საქართველოში არავინ ასულა. ეს მოხდა მაშინ როცა ნ. ჟორდანიამ ეროვნულ ყრილობაზე განაცხადა, რომ ქართველი ერის სხეული გამთელდა და დაწერა დიდი ეტრატი თავისუფლებისა".

აი რას სწერდა გერონტი ქიქოძე იმ ხანებში

ნოე ჟორდანიას თანამებრძოლი, დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი ამბობს:

> „ნოე ჟორდანია ჩვენი ხალხისათვის იგივეა პოლიტიკაში, რაც აკაკი წერეთელი პოეზიაში; ორივე ხალხოსნური, ადვილად გასაგები, ორივე მისი შემქმნელი და ორივე საყვარელი".
>
> ევ. გეგეჭკორი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთერთმა ლიდერმა, შალვა ამირეჯიბმა – ნოე ჟორდანიას დაბადების 60-ი წლისთავზე, სხვათა შორის, მას "ნოე აღმაშენებელი" უწოდა.

გიორგი კერესელიძემ, ცნობილმა პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწემ, ნოე ჟორდანიას პიროვნება ასე დაახასიათა:

> „თუ ილია უგვირგვინო მეფე იყო, ბედმა ქართლისამ ნოე ჟორდანიას შუბლზე დაადგა მძიმე გვირგვინი სრულად საქართველოსი". (გ. კერესელიძე. „მებრ. საქართველო".).

ქართველ ხალხში კი, როცა დამოუკიდებელი საქართველოს კანონიერი, დემოკრატიული გზით არჩეული მთავრობა, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო და [illegible]შეეხიზნა საფრანგეთს, გავრცელდა ლექსი-სიმღერა:

> „გავალ მინდვრად გაზაფხულზე, მოვკრეფ ვარდსა, იასამანს, ტკბილი კოცნა შევუთვალოთ ნოე ჟორდანიასო".

> ქართველი ერის სოფლები ნატვრა, კვლავ ნ. ჟორდანიას ხილვისა: „გაზაფხულზე მოვა ის, მას მოჰყვება ჟორდანია".

ხოლო როცა ნოე ჟორდანია 1953 წლის 11-ს იანვარს გარდაიცვალა პარიზში და დასაფლავებულ იქნა პარიზის ახლოსმდებარე დაბა ლევილის ქართულ ძმათა სასაფლაოზე, ქართველ ხალხში ისევ გავრცელდა ლექსი:

> „ლომი ნოე ჟორდანია გვესახა ჩვენ
> ლტოლვილებში დარჩენა, მისი ხსოვნა უკვდავია, წინ. მიგვიძღოდა მთა-
> ლთ დღესა".

გრიგოლ რობაქიძე, ჩვენი დიდი მწერალი და მოაზროვნე, კი ნოე ჟორდანიას შესახებ, სხვათა შორის წერდა:

> „არ ვიცი ლოცულობდა თუ არა ნოე ჟორდანია, მაგრამ ის კი ვიცი, რომ საქართველო ნოე ჟორდანიაზე ლოცულობს". (გრ. რობაქიძე. „მ. ქართ". № 14 1953 წ.).

რა შეიძლება ითქვას ნოე რამიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ? –

ნოე ბესარიონის-ძე რამიშვილი დაიბადა 1881 წელს. სოფლის სკოლისა და სემინარიის დამთავრების შემდეგ, ის შედის დორპატის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო, მას უნივერსიტეტის დამთავრება არ დასცალდა. ის დაბრუნდა საქართველოში და ხელმძღვანელობდა მუშათა და გლეხთა მოძრაობას საქართველოში ბათუმსა და გურიაში. 1903-მ წელს, მისი ხელმძღვანელობით, მოწვეულ იქნა გურიის მშრომელთა ყრილობა; 1904-ს წელს ნოე რამიშვილი დააპატიმრეს ჟანდარმებმა, რომელთაგან შესძლო მან თავის დაღწევა და გაიქცა როსტოვში, სადაც მან განაგრძო არალეგალური მუშაობა. ნოე ჟორდანიასთან ერთად ის ხელმძღვანელობდა გაზეთს "სოციალ-დემოკრატს".

რაც დრო გადიოდა ნოე რამიშვილი თვალსაჩინო ადგილს იჭერდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, რაც პრაქტიკულად იმაში გამოიხატა, რომ 1905-თ წელს მან შესძლო მშრომელთა მასების ერთმანეთთან დაკავშირება და ასე გახდა ამ მოძრაობის ერთერთი ხელმძღვანელი. 1917-ი წლის რუსეთის თებერვლის დემოკრატიული რევოლუციის ხანაში ის გახდა მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელი კომიტეტის ცენტრის წევრი. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კი ის ხდება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავჯდომარე, რომელიც შემდეგ შეცვალა ნოე ჟორდანიამ. ნოე რამიშვილი ნოე ჟორდანიას მთავრობაში იყო საქართველოს შინაგან საქმეთა, განათლებისა და სამხედრო მინისტრი ერთდროულად. ნოე რამიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის თბილისის უნივერსიტეტის დაარსების საქმეშიც. ნოე რამიშვილის შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს, საქართველოს ყოველ კუთხეში, მივარდნილ სოფლებშიც კი, მოეწყო ფოსტა-ტელეგრაფი და (სხვა) მოსახლეობის მომსახურების უწყებანი· ნოე რამიშვილი ცნო-

ბილი იყო საქართველოს საზღვრებს გარედაც როგორც დიდი ერუდიციის ადამიანი, წინდახედული პოლიტიკური მოღვაწე და, პირველ ყოვლისა, მეტად დიდი გაქანების ორგანიზატორი და პრინციპული ადამიანი. როცა 1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკური რუსეთის წითელმა არმიამ, ლენინის ბრძანებით, დამოუკიდებელი საქართველო დაიპყრო, ნოე რამიშვილი, ნოე ჟორდანიას მთავრობასთან ერთად, საქართველოს დამფუძნებელი კრების დავალებით, შეეხიზნა საფრანგეთს და განაგრძობდა შეუნელებელ ბრძოლას საქართველოს სუვერენობის აღდგენისათვის. და სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ ბოროტმა ხელმა 1930-ი წლის 7-დ დეკემბერს ნოე რამიშვილი გამოასალმა სიცოცხლეს: პარიზის იტალიის მოედანზე რევოლვერის ტყვიით განგმირულ იქნა ნოე რამიშვილი, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია არა მარტო ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში.

დიდია ნოე რამიშვილის დამსახურება საქართველოს, ქართველი ხალხის წინაშე. დამოუკიდებელი საქართველო რომ 1918-21 წლებში იქცა ერთერთ ყველაზე უფრო სტაბილურ დემოკრატიულ სახელმწიფოდ რუსეთის ყოფილ იმპერიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოებს შორის, ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ნოე რამიშვილს. "...მასში ბუნებამ გამოკვეთა - წერდა ნოე ჟორდანია ნოე რამიშვილის შესახებ - ადამიანი საკვირველი სანახაობა, სანახაობა იშვიათი, ერთი მთლიანი ქმნილება, მისი შინაგანი და გარეგანი სახეობა სავსებით ჰარმონიულია... ის საუკეთესოდ გამოხატავდა ქართველი ხალხის ნებისყოფას, სიმტკიცეს და აღებული გეზის ერთგულებას. მან არ იცოდა ბრძოლაში წაბორძიკება, გამარჯვებაში დაეჭვება, გაჭირვებაში უკანდახევა, უბედურებაში სასოწარკვეთილობა. ყოველგვარ რთულ მდგომარეობიდან ის მუდამ პოულობდა გამოსავალს...ის ფიქრობდა მუდამ საქმეზე. მან არ იცოდა სხვა სიამოვნება, მას არ იტაცებდა ცხოვრების არავითარი სიტკბოება, არ ეძებდა არავითარ ფუფუნებას. მას აწუხებდა ერთადერთი

ფიქრი-ქვეყნის სვებედი, მას ჰქონდა ერთადერთი სიამოვნება ქვეყ-
ნის მსახური".

ნოე ჟორდანია ნოე რამიშვილის შესახებ შემდეგ წერს:
"ქართველმა ერმა პირველად მასში განასახიერა თავისი სურვილი. პირველად მას მიანდო ნაციონალური მთავრობის შედგენა. როცა დედამიწის ერთ-მეექვსედზე ანარქია ბობოქრობდა, როცა მთელი კავკასია ცეცხლის ალში გაეხვია, მხოლოდ საქართველოში სუფევდა სიწყნარე, ნოე რამიშვილი იყო, რომ მეთაურობდა ყოველი მხრიდან შემოსეულ ბრბოთა წინააღმდეგ ბრძოლას. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ! მისი საქმენი ისტორიის საგანია...ის მოკვდა პოსტზე, თავაწეული და წმინდა დროშით საქმე მივალი..."

ასე წერს ნოე ჟორდანია ნოე რამიშვილის, როგორც სახელმწიფო მოღვაწის შესახებ.

ნოე რამიშვილი იყო არა მარტო დიდი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, არამედ- მისი პრაგმატული მოქმედება - ემყარებოდა თეორიულ საფუძვლებს, რომლებიც მან ჩამოაყალიბა თავის

ნარკვევში -"დემოკრატიული სოციალიზმი" -, რომელიც დაიბეჭდა პარიზი 1931 წელს. "ნოე რამიშვილისათვის - წერს ამ წიგნის წინასიტყვაობაში ნოე ჟორდანია - მწერლობა იყო მხოლოდ იარაღი...პრაქტიკული პოლიტიკის გასატარებლად". თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მის ამ ნარკვევში ჩვენ ვეცნობით ნოე რამიშვილის აზრებს, რომლებიც ერის რაობის თეორიულ გარკვევასაც შეიცავს. ესება რა, მაგალითად, ენის საკითხს, ნოე რამიშვილი წერს:
"თანამედროვე ეროვნება არის ისტორიულად შექმნილი, პირველ რიგში საერთო ენის ნიადაგზე აღმოცენებული ადამიანთა ფსიქოლოგიური ერთობა, კავშირი. ერთი ენა ერთი ერი - აი თანამედროვე ეროვნული მოძრაობის მთავარი პრინციპი. შვეიცარია, სადაც სამი ენა ერთი

მეორის გვერდით მაცონობს, საერთო კანონს, როგორც გამონაკლისი, ამტკიცებს".

ნოე რამიშვილი იყო განსახიერება ქართული მებრძოლი სულის, მტერს რომ გამუდმებით ებრძოდა. რუსეთის ბოლშევიკებს ნოე რამიშვილი ისეთ დაუძინებელ მტრად მიაჩნდათ, რომ მოსკოვიდან შეატყობინებს ქართველ თითო-ოროლა ბოლშევიკებს -"არ გაიკაროთ სიახლოვეს ნოე რამიშვილის მომხრეებიო!"

დამოუკიდებელი საქართველოს მტრებს ის შიშისზარს სცემდა, და ამიტომაც ნოე რამიშვილი დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა როგორც დიდი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, როგორც რკინისებური ნერვების მქონე სახელმწიფო მოღვაწე.

აი ამიტომ იყო, რომ დამოუკიდებელი საქართველოს დამპყრობლები, ბოლშევიკები ყოველი მაღონით ცდილობდნენ ნოე რამიშვილის ფიზიკურ განადგურებასაც კი. ამ მხრივ საყურადღებოა უცხოეთში არსებული ქართული ეროვნული საბჭოსა და ეროვნული პოლიტიკური ცენტრის ერთობლივი განცხადება ნოე რამიშვილის ტრაგიკული ბედის შესახებ. ამ ერთობლივ განცხადებაში სახელწოდებით-"ქართველი ხალხის სამჯავროში" - რომელიც 1966 წელს გამოქვეყნდა პარიზში როგორც ბროშურა, ნოე რამიშვილის მკვლელობის შესახებ, სხვათა შორის, ვკითხულობთ:

**ნოე რამიშვილის მკვლელობა**

მტერმა თავის დროზე საკმაოდ იდღესასწაულა დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობის პირველ თავმჯდომარის, შემდეგ საშინაო საქმეთა მინისტრის და ს.-დ. პარტიის ლიდერის ნ. რამიშვილის მკვლელობა. ლომაშვილი იმეორებს მოსკოვის მიერ იმ დროს გავრცელებულ ტყუილებს:

პირველი—აჯანყების შემდეგ რამიშვილის მითითებით ჭანუყვაძე თითქოს აიძულეს ემიგრაციაში წასულიყო. ნ. რამიშვილი სრულებით არ იცნობდა მაშინ თავის მკვლელს, ან რათ ესაჭიროებოდა მას უცხოეთიდან მიეწერა მისი ჩამოყვანა. ეს მოპორილი და აქ მოტანილი ამბავი მდიდარია არა მარტო ბოროტებით, არამედ სისულელითაც... ტყუილი მეორე—ჭანუყვაძე დაითხოვა პეკოს ადმინისტრაციამ. ნ. რამი-

ჩვილი ჩავიდა ოთხი დღის შემდეგ. სწორედ მისი გავლენით და ჯორჯნეით სათეისტომის გამგეობამ მას მისცა დახმარება, რომ პარიზში ჩასულს, სანამ სამუშაოს იშოვნიდა—არ გაჭირვებოდა. პარიზში სწორედ ნ. რამიშვილის შუამდგომლობით საქართველოს საელჩომ ის მოაწყო ქარხანაში. სადაც არ მოიცადა. შემდეგ ნ. რამიშვილის ნითითებით და თხოვნით ის მოაწყვეს დიდ მაღაზიაში «სამარიტენში», ვერც აქ გაძლო. აი როგორ ახასიათებდნენ მას ოდენკურში, სრულიად გარეშე პირები:

«უხეში, ბოროტი, გაუტანელი, გულჩათხრობილი დაგულდიდი»... აი ყაჩაღური სულით და გულით ავსილი ადამიანი გამოიყენეს ჩვენი ქვეყნის მტრებმა, რამაც ათქმევინა ცნობილ ვექილს:

«ის იყო ბოლშევიკების იარაღი და რომ ის ასრულებდა მათ ბრძანებას. როცა კლავდა რამიშვილს, საქართველოს განმათავისუფლებელ ბრძოლის განსახიერებას. მაგრამ ამ ჩემი რწმენის დასაცავად იურიდიული საბუთების მოყვანა მე არ ძალმიძს. თქვენ იცით როგორ მოხერხებულად, როგორი საიდუმლოებით აწყობენ და ასრულებენ ისინი ასეთ საქმეებს».*)

[illegible]

განა ორი აზრი შეიძლება იყეს ნ. რამიშვილის მკვლელობის შესახებ?

ვინ დახოცა ქართველი მოღვაწეები ასობით?.. ვინ მორწყო ქართველთა სისხლით ჩვენი ქვეყანა?.. ვინ გაანადგურა ერი და მისი კულტურა? ვინ მოსტაცა მას თავისუფლება?

ყველა ეს და სხვა მრავალი ბოროტებანი ჩაიდინა მოსკოვის ბარბაროსებმა რომლის მორიგი სისხლიანი აქტი იყო ნ. რამიშვილის მკვლელობა.

საქართველოს ჯალათები მასში ხედავდნენ რკინის ხელს, დაუშრეტელ ენერგიით თავდადებულ მებრძოლს მათ წინააღმდეგ და უგუნური. ბოროტი ქართველის მიერ გასროლილი ტყვიით ის სიცოცხლეს გამოასალმეს.

*) იხ. «ბრ. ხმა». № 18, 1931.

ასეა ნათქვამი, სხვათა შორის, უცხოეთში არსებული ქართული ეროვნული საბჭოსა და ეროვნული პოლიტიკური ცენტრის ერთობლივ განცხადებაში ნოე რამიშვილის მკვლელობის შესახებ.

1931 წელს, ე.ი. ნოე რამიშვილის მოკვლის ერთი წლის შემდეგ კი, პარიზში გამოცემულ იქნა ნოე რამიშვილის წიგნი "დემოკრატიული სოციალიზმი", რომელშიც ის აყალიბებს მის შეხედულებებს სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ.

ამ წიგნის"წინასიტყვაობა" ეკუთვნის დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტსა და მთავრობის თავჯდომარეს ნოე ჟორდანიას, რომელშიც მოკლედ ჩამოსხმულია ამ დიდი ქართველის - ნოე რამიშვილის - სახე. გავაცნობთ ამ წინასიტყვაობის შინაარს. ნოე ჟორდანია წერს:



## წინასიტყვაობა

ვაქვეყნებთ ჩვენი დაუვიწყარი ნ. რამიშვილის უკანასკნელ შრომას. მის ნაწერს ჩვენი დასტური არ ეჭიერება. მისი კალამი თვით ლაღადებს თავის ნაშრომზე. თავის ღირსებაზე და დამსახურებაზე. ნათელი აზრი, მკვეთი სტილი, საჭირბოროტო საკითხების წინ წამოყენება, რაც ასე ახასიათებს ყველა მის ნაწერს. ახასიათებს ამ შრომასაც. აქ ჩანს ნ. რამიშვილი მთელი თავისი სულიერი არსებით, მთელი მისი იდეალებით და მიდრეკილებით. რაზე ფიქრობდა, რა აწუხებდა, რაზე მიგვითითებდა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ ხანაში—აი ეს წიგნი ხმამაღლა მოგვითხრობს. ის დაეცა ბრძოლის ველზე და დასტოვა უკანასკნელი სიტყვა, უკანასკნელი ანდერძი—დემოკრატია, სოციალიზმი. მისთვის ნაციონალური საკითხი აღარ შეადგენდა დავის საგანს; ის ერთხელ და სამუდამოთ გადაჭრილია, მაგრამ ამავე დროს ის კარგათ ხედავდა ერთ გარემოებას: მტერმა ვერ ამოგლიჯა ხალხის გულისაგან სამშობლოს თავისუფლება. ერს ვერ აალებია ხელი თავის თავზე. სამაგიეროთ მან შესძლო მისი პოლიტიკური და სოციალური მსოფლმხედველობის შერყევნა, არევ-დარევა, სოციალიზმის სამოსელით ველური იდეოლოგიის გავრცელება, დემოკრატიის ამოსაფხვრელათ ტირანიის შემოპარება.

ნოეს მჭიდრო კავშირი ქონდა გადმოხვეწილ ახალგაზდობასთან და არა-ერთხელ უთქვამს ჩემთვის: ისინი ბოლშევიზმის მოსისხლე მტრებია, მაგრამ მის იდეოლოგიას სავსებით ვერ ჩამოშორებიანო. მისი ასეთი დაკვირვება სავსებით ეთანხმებოდა საქართველოდან პარტიის მიერ გამოგზავნილ ცნობას—ახალგაზდობას არ აქვს სულიერი საზრდო, არ ესმის რა არის ნამდვილი დემოკრატია, ჭეშმარიტი სოციალიზმიო. ნოემ მაშინვე გადაწყვიტა ამ ნაკლის შევსება, ახალგაზდობისათვის შესაფერი საზრდოს მიწოდება. მან ეს პირნათლად შეასრულა, დასწერა ეს წიგნი, გაათავა ის სავსებით და მეორე დღეს მოკვდა— მას ენამ უყივლა. ამ შრომას ხელს აღარ მოვკიდებო—ეუბნებოდა ის თავის მეუღლეს მაროს წინა დღეს, თითქოს განგება ამ შრომის დაბოლოვებას უცდიდა.

ნ. რამიშვილისათვის მწერლობა იყო მხოლოდ იარაღი, საშუალება მომწიფებული საჭიროების დასაკმაყოფილებლათ, პრაქტიკული პოლიტიკის გასატარებლათ. ის იყო უმთავრესათ მოქმედების კაცი, მებრძოლთა თავის მომყრელი, მათი დამრაზმველი, ბრძოლის ველზე გამომყვანი, ორგანიზატორი და შემტევი. აი ამ ხელჩართულ ბრძოლაში ის კალამსაც იხმარიებდა. იდეიური ბურუსის იდეიურათვე გაფანტვით ის თავის პრაქტიკულ საქმეს აკეთებდა, ქმნიდა ახალ-ახალ თანამოაზრეთ და ერთათ აჯგუფებდა. ის მუდამ ჩახედული იყო მასის სულში და იქ დაგროვილი მოთხოვნილებანი კარგათ ესმოდა. მისი ნაწერები ყოველთვის ამ მოთხოვნილებათა საპასუხოთ იწერებოდა

ნ. რამიშვილთან მუშაობა მწერლობის ასპარეზზე მეტათ სასიამოვნო იყო. მას სრულიად არ ქონდა მწერალთა უხეში თავმოყვარეობა, თავის ნაწერის გაბერვა და ხელშეუხებლათ გამოტანა. სხვის აზრს აქაც ისეთსავე დიდ ანგარიშს უწევდა, როგორც ორგანიზაციულ მუშაობაში. სამაგიეროთ მეტათ ლმობიერათ ეპყრობოდა სხვის ნაწერს, სანთლით ეძებდა ახალ მწერალს და თუ ვინმეს ციურ ნაპერწკალს შესწამებდა მწერლობისაკენ ეწიწებოდა..

ეს წიგნი დაწერილი არ იყო, როცა მას ზეპირათ ახალგაზდათა წრეში კითხულობდა და მსმენელთა აზრს ამ საგანზე კრებდა. მის დაწერას შეუდგა მხოლოდ მას შემდეგ. როცა კარგათ გაიგო მისი აუდიტორიის გონებრივი მომზადება, სულიერი მოთხოვნილებანი და ქართული ენის გაგება. ჟო-

სული ახალგაზდობა ნაწილია საქართველოში მყოფი ახალგაზდობის და ამ ნაწილის გაცნობით ის ეცნობოდა მთელს. ნოემ დაინახა მასში ერთი დიდი ნაკლი და მის გამოსასწორებლათ ჩაგვიტოვა «დემოკრატიული სოციალიზმი».

ნ. რამიშვილისათვის პარტია არ იყო აკადემია, სადაც მასწავლებლები სხედან და მოსწავლეთ ასწავლიან. პარტია არის ბრძოლის იარაღი. თანამოაზრეთა დაჯგუფება განსაზღვრული მიზნის მისაღწევათ. პარტიული მწერლობა ქვია ისეთ მწერლობას, რომელიც აი ამ ორგანიზაციას ეხმარება. მას ამაგრებს, აერთებს და ამრავლებს. ნ. რამიშვილი სწორეთ ასე უყურებდა მწერლობის დანიშნულებას. ამითაც ის იყო ულრესათ პარტიული კაცი. ის სწერდა მხოლოდ იმას, რაც პარტიას აძლიერებდა. ის არ იტყოდა არასოდეს ერთ ფილოსოფოსივით: დეე ქვეყანა დაინგრეს, ოღონდ ჭეშმარიტებამ გაიმარჯვოსო. არა. დამგრევი ჭეშმარიტება არ არის ჭეშმარიტება. პარტიაში არ შეიძლება იყოს პარტიის დამარღვეველი «ჭეშმარიტებაი»; ასეთი მწერლობა ხელობაა სექტანტის, ფანტაზიორის, უსაქმო პოლიტიკოსის და არა მებრძოლი პარტიული მუშაკის.

საქართველოს სოც. დემოკ. პარტიის სკოლა, შექმნილი მის პირველ პიონერთა მიერ და რომელშიაც გამოიხარშა ნ. რამიშვილი, ნ. ხომერიკი და მრავალი სხვანი თავდადებულნი სწორეთ არის ის ფუძე, რომელზედაც დაეყრდნო პარტიის სიმაგრე და ძლიერება. მხოლოდ ამ სკოლის, ასეთი გაგების, ამ ჯგუფის და ტიპის მუშაკნია ჩვენი პარტიის გაურღვეველი კედელი, რომელზედაც ასკდება ყოველნაირი რეაქცია, ჟანდარმების თუ ჩეკისტების. მათ არაერთხელ გადაურჩენიათ პარტია განსაცდელისაგან და გადაარჩენენ დღესაც...

ნ. ჟორდანია.

ახლა კი გაგაცნობ ნოე რამიშვილის წიგნის "დემოკრატიული სოციალიზმის" "შესავალს", რომელიც დაწერილია ამ წიგნის ავტორის მიერ და რომელშიც მოხაზულია ამ ნარკვევის დედა-აზრი.

ნოე რამიშვილი წერს:

### შ ე ს ა ვ ა ლ ი

ამ წიგნის მიზანია ჩვენი მოძღვრების მარტივსა და ყველასათვის გასაგებ ენაზე გარკვევა.

ეს აუცილებელი შეიქნა ორი გარემოების გამო. ბოლშევიზმი უკიდურეს ტირანიას სოციალისტურ მოძღვრებათ ასაღებს. საბჭოთა ხელისუფლებამ სინამდვილეში ბევრათ გადააჭარბა სოციალიზმის იმ კარიკატურულ დასურათებას, რასაც თავის დროზე იძლეოდა ევგენი რიხტერი ავგუსტ ბებელის წინააღმდეგ გერმანიაში, აგრეთვე ჟორჟ კლემანსო ჟან ჟორესის გასანბილებლათ საფრანგეთში. მთელი ხალხის საკატორღო ციხეში დამწყვდევა და მონობის ხუნდებში ჩაჭედვა—ასეთია ბოლშევიკური სინამდვილე, რის დამალვას სოციალისტურ ფრაზეოლოგიით ლამობენ.

მეორე მხრივ, ბოლშევიზმმა მთელი ხალხის თვითმოქმედება შებოჭა, ხოლო განსაკუთრებით ის ებრძვის მშრომელთა ბანაკს—მუშათა კლასს და გლეხკაცობას—და მის პარტიას, სოციალდემოკრატიას.

დიდი ხანია მოისპო მუშათა და გლეხთა დამოუკიდებელი ორგანიზაციები. თავისუფალი პრესა აღკვეთილია. აზროვნებისა და თავისუფალ მოქმედების მონოპოლია სავსებით საბჭოთა მთავრობის ხელშია. არა თუ უბრალო მომაკვდავნი, თვით ახალ პრივილეგიურ კლასის - ბოლშევიკურ პარტიის წევრები ფაქტიურათ იძულებული არიან მოსკოვის ბრძანება აასრულონ და პარტიის გენერალურ მდივნის, ლენინის ერთათ-ერთ მოციქულის ყოველივე სიტყვა ხალას და უალრეს ჭეშმარიტებათ მიიჩნიონ. ასეთია თანამედროვე სინამდვილე.

ყველაზე უფრო მწვავეთ ამას რასაკვირველია ქართველი ერი გრძნობს. და ეს იმიტომ, რომ ოთხიოდე ათეული წლის განმაელობაში ის სოციალდემოკრატიის მეთაურობით საკმაოთ გამოწრთობილია დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. ჯერ კიდევ რევოლიუციის წინა ხანაში ყოველკვირეულ «კვალი»-ს ფურცლებზე ნოე ჟორდანიას მეთაურობით საქვეყნოთ და მედგრათ გაისმოდა ახალი მოძღვრება და მაშვრალთა და ტვირთმძიმეთ სოციალდემოკრატიის რიგებისაკენ უხმობდა. 1905 წლის რევოლიუციიდან მოყიდებული ჩვენს პარტიას მუდამ ჰქონდა ყოველდღიური ლეგალური გამოცემა. მართალია მეფის მოხელეთა ბრძანებით გაზეთები იცვლებოდა, მაგრამ ბრძოლაში დაცემულთა ფერფლიდან სამოქმედო ასპარეზზე ახალი ორგანო გამოჩნდებოდა, და ძლევამოსილი იდეა კვლავინდებურათ შორს გაისმოდა. თვით მიყრუებულ კუთხეებსაც კი ამ გზით სინათლე ეფინებოდა.

დაურთეთ ამას სხვა ლეგალური საშუალებანი—წიგნთსაცავ-სამკითხველოები და სახალხო უნივერსიტეტები: პროფესიონალური კავშირები და კოოპერატივები; ადგილობრივი თვითმართველობანი, სადაც მიუხედავათ ცენზიანი საარჩევნო კანონისა დროგამოშვებით მაინც გაისმოდა დემოკრატიის ხმა. და დასასრულ სახელმწიფო დუმა და მისი ფართო ტრი-ბუნა. როგორც ხედავთ, მეფის ბატონობის ჟამს, მიუხედავათ სასტიკი დევნისა, სოციალდემოკრატიას ჰქონდა სხვადასხვა ლეგალური საშუალება ხალხში თავისუფალ აზრის გავრცელებისა.

დღეს ყველა ეს საშუალება რასაკვირველია მოსპობილია. კიდევ მეტი. თვით დემოკრატია, რომლის მოსაპოებლათ რევოლიუციონერთა მრავალი თაობა იბრძოდა, დაცინვის საგნათ არის გადაქცეული.

საბჭოთა სამოთხეში «დემოკრატობით» ხალხს ისევე ართხობენ, როგორც ჩამორჩენილ კუთხეებში ბავშვებს ალქაჯების თარეშით. საბჭოთა ქვეყნები დემოკრატიას უფრო დაშორებული არიან, ვინემ ეს იყო თვითმპყრობელობის ხანაში.

მოკლეთ, მთელი ხალხი, ხოლო განსაკუთრებით ახალი თაობა მსხვერპლი შეიქნა აზროვნობის მონოპოლიისა, რაც ბოლშევიკურ რეჟიმს თანა სდევს.

მაგრამ ბოლშევიკური იდეოლოგია საბოლოოთ გაკოტრდა. დიქტატურის ლიკვიდაცია ცხოვრების წესრიგში ისმება.

ასეთ დროს განსაკუთრებით საჭიროა ბოლშევიკურ უტოპიას და მის მიერ შექმნილ არევდარევას დაუპირდაპიროთ დემოკრატიულ სოციალიზმის მოძღვრება და მით მთელ მშრომელ ხალხს, პირველ რიგში ახალ თაობას, ნათელი სამოქმედო გზა უჩვენოთ. ამ გზით დიქტატურის დაძლევა გაადვილდება, დემოკრატიის საბოლოო გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება.

ამ საჭიროებას ეს წიგნი შეძლებისდაგვარათ ემსახურება.

ასე წერს ნოე რამიშვილი მისი პარიზში 1931 წელს დაბეჭდილი წიგნის "დემოკრატიული სოციალიზმის" "შესავალში".

---

1930-ი წლის 7-დ დეკემბერს, პარიზში, მუხანათურათ მოკლეს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობის თავჯდომარე და ნოე ჟორდანიას მთავრობაში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთერთი ლიდერი - ნოე რამიშვილი.

ნოე რამიშვილის ტრაგიკულად დაღუპვის 50-ი წლისთავი, შესაფერისი შთაგონებითა და სიფაქიზით აღნიშნა უცხოეთში მცხოვრებმა ქართველობამ. 1980 წლის 7-დ დეკემბერს, ნოე რამიშვილის ტრაგიკულად დაღუპვის 50-თ წლისთავზე, პარიზის წმინდა ნინოს ქართულ ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი ნოე რამიშვილის სულის მოსახსენებლად, რომელსაც დაესწრო მრავალი ხალხი. პარიზის წმინდა ნინოს ქართული ეკლესიის მოძღვარმა დეკანოზმა მამა ილიამ კი – თავის ქადაგებაში – ჩვეული შთამაგონებელი სიტყვებით დაახასიათა ნოე რამიშვილის პიროვნება და ხაზი გაუსვა მის დიდ ღვაწლს ქართველი ერისა და საქართველოს მიმართ, რის შემდეგ ეკლესიაში გაისმა საქართველოს ეროვნული ჰიმნი "დიდება".

7-დ დეკემბერს დილით კი ნოე რამიშვილის ოჯახის წევრებმა, ნათესავებმა, მეგობრებმა ცოცხალი ყვავილებით შეამკეს ნოე რამიშვილის საფლავი.

და აღვნიშნავთ რა ამ დიდი ქართველი პატრიოტისა პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის ტრაგიკულად დაღუპვის 50-ე წლისთავს, დაბოლოს ისევ მოვიყვან ნოე ჟორდანიას სიტყვებს, რომ ნოე რამიშვილის "...საქმენი ისტორიის საგანია...ის მოკვდა პოსტზე, თავდაწეული და წმინდა დროშით მიმავალი..." და ასეთი პიროვნება, უდავოა, მაგალითის მიმცემი დარჩება განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდობისათვის!..

დოქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია – ერისა და პიროვნების თავისუფლება,
ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემულო მსმენელებო,

ილიას სიტყვები ქართული ენის შესახებ:



## ევგენი გეგეჭკორი - დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი

დამოუკიდებელი საქართველოს ერთერთ წამყვანი ხელმძღვანელი იყო, საქართველოს პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას გვერდით, აღიარებული დიპლომატი და პოლიტიკური მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი - ევგენი გეგეჭკორი.

ევგენი გეგეჭკორი დაიბადა 1882 წელს და გარდაიცვალა 1954 წლის 5-თ ივნისს პარიზში და დაკრძალულია პარიზის ახლოსმდებარე ლევილის ქართულ მმათა სასაფლაოზე, სადაც განისვენებენ საქართველოს უახლოესი ისტორიის ისეთი გამოჩენილი პირები, როგორიცაა დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობის თავჯდომარე ნოე ჟორდანია, გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე ირაკლი(კაკი) წერეთელი, დამოუკიდებელი საქართველოს მინისტრები და სხვები.

ევგენი გეგეჭკორი იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთერთი ლიდერთაგანი, მეფის რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, სადაც ის არაერთხელ გამოვიდა რუსეთის იმპერიის ბატონობის ქვეშ ჩაგრული ერების დასაცავად, განსაკუთრებით პოლონეთისა და ფინეთის ეროვნული უფლებების დასაცავად. ევგენი გეგეჭკორი 1917 წლის თებერვლის რევოლუციისა და ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს სუვერენული უფლებების მოპოვება-აღდგენაში, რაც წარმატებით დამთავრდა, როცა 1918 წლის 26-ს მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა. ის იყო დამოუკიდებელი საქართველოს უცვლელი საგარეო საქმეთა მინისტრი 1918 წლიდან 1921-თ წლამდე. ხოლო როცა 1921 წლის თებერვალ-მარტში დამოუკიდებელი საქართველო დაიპყრო საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ,

ევგენი გეგეჭკორი, საქართველოს დამფუძნებელი კრების დადგენილებით, ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილთან, კონსტანტინე კანდელაკთან და აკაკი ჩხენკელთან ერთად, წარგზავნილ იქნა უცხოეთში, რომ განეგრძოთ საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლა, როგორც საქართველოს კანონიერ, ქართველი ხალხის მიერ არჩეულ მთავრობას.. ევგენი გეგეჭკორმა ქართველი ხალხის ეს დავალებაც პირნათლად შეასრულა მთავრობის სხვა წევრებთან და მთელ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან ერთად.

ცნობილი პროფესორი მიხეილ წერეთელი, გაიგო რა ევგენი გეგეჭკორის გარდაცვალების ამბავი, წერდა:

"გაგვშორდა საუკუნოდ ევგენი გეგეჭკორი; მისმა სახლობამ შეირფასი უფროსი, მის მოყვარეთ საყვარელი მოყვარე, მისმა პარტიამ დიდი ხელმძღვანელი, საქართველოს მთავრობამ უცხოეთში მისი უნიჭიერესი მინისტრი, ქართველმა ერმა მისი ღირსეული წარმომადგენელი ქვეყნის წინაშე და მის დაუთრგუნივ უფლებათა აღდგენისათვის დაუღალავი და დაურღომელი მებრძოლი".

"გეგე-ჭკორი" - ამბობს პროფესორი მიხეილ წერეთელი - ნიშნავს "წმინდა გიორგის ყმა"; ე.ი. მსახური, რაინდი თეთრი გიორგისა - საქართველოსი; სოლო თეთრი გიორგი იყო ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ღერბი".

დიდი ქართველი მწერალი და მოაზროვნე გრიგოლ რობაქიძე კი, ევგენი გეგეჭკორის შესახებ, წერდა:

"სამეგრელო, ლეჩუმი და შამეთი ევგენი გეგეჭკორისა, ძველი კოლხეთის ნაშიერია. აქ იშვა "ოქროს ვერძი", რომელმა მთელს მსოფლიოში "ოქროს მატყლი" განფინა. უკანასკნელი ფესვეული გაგება მხოლოდ კოლხეთის "ვერძის" მიხედვით შეიძლება.

კოლხეთმა მოავლინა მედეა - განაგრძობს გრიგოლ რობაქიძე - უნივერსალურ ქალთა შორის ყველაზე უფრო თავისებური...სამეგრელომ მოგვცა...ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია, ლემნა შენგელაია...

ამ ქვეყანაში აეზიდა თვალები ჯერ ხალხის ტრიბუნს და შემდეგში თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეს, დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს."

ეხება რა ევგენი გეგეჭკორის დიპლომატიურ ნიჭს, გრიგოლ რობაქიძე წერს:

"ევგენი გეგეჭკორი ზრდილი იყო მეგრული ნაირობით. ზრდილობა უმთავრესად თავდაჭერაა და თავდაჭერა მანძილის დაცვა: დისტანსის. ევგენი ხელქვეითს ექცეოდა, როგორც თანასწორს – ხელქვეითი ხედავდა არათანასწორს. მანძილი თავისთავად გაყვანილი ხდებოდა, რადგან არ იყო საზგასმული... თავდაჭერაში მას ხელს უწყობდა სახის მიმიკა. თვალში თვალს მაშინ გიყრიდა, როცა გაიცინებდა. ევგენი ვაჟკაცი იყო, გულადი. როდიჩევი, რუსეთის სახელგანთქმული ტრიბუნი, მოგვითხრობს: ერთხელ, სახელმწიფო დუმაში, პურიშკევიჩის ჯგუფი რომ გადმოეშვა ჩემსკენ

თავდასაცემად, უეცრად გეგეჭკორი ამე ჟარა მძლავრი ტანით და მოსულები უკუიქცნენო. გულადი ევგენი გამბედავიც იყო: არა მხოლოდ კერძო ცხოვრებაში, პოლიტიკაშიაც. ევგენი ბევრს მუშაობდა, ბევრს განიცდიდა და მთელი ეს განცდა სამშობლო – საქართველო იყო პირველად ყოვლისა".

– ასე წერს გრიგოლ რობაქიძე ევგენი გეგეჭკორის პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ, და დასძენს:

"მოვიდალე, მითხრა ევგენიმ, მოვიქანცე...ვატყობ, მალე გავესტუმრები იქითაო".

და მართლაც, 1954 წლის 5-თ ივნისს გარდაიცვალა ევგენი გეგეჭკორი, და დაკრძალულ იქნა, როგორც აღვნიშნეთ, პარიზის ახლოს-მდებარე ლაზა ლევილის ქართულ ძმათა სასაფლაოზე, სადაც განისვენებენ საქართველოს მრავალი ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, მათ შორის დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობის თავჯდომარე – ნოე ჟორდანია, რომლის საგარეო საქმეთა უცვლელი მინისტრი ევგენი გეგეჭკორი იყო.

"ამ კეთილი ადამიანის, კაცთ-მოყვარე, სათნო და თბილი გულების მქონე კაცის უეცარმა გარდაცვალებამ სპონტანურად დრობით შეცვალა ქართულ ემიგრაციაში დამყარებული სულიერი განწყობილება. მისი სითბო დაკარგული, გაციებული ცხედრის ირგვლივ ქართველთა საერთო სითბომ შემოიკრიბა, წმინდა სანთლად აინთო ქართული ერთობის კელაპტარი, რომლის სანათებელზე კვლავ გამოჩნდა საქართველოს ისტორიული ცხოვრების სიღრმეში ჩვენი სულიერი ერთობის ცოცხალი ძირები" - ასე წერდა ევგენი გეგეჭკორის გარდაცვალებისას საქართველოს ეროვნული დემოკრატიული პარტიის ლიდერი - ელისე პატარიძე - 1954 წლის ივლისის ჟურნალ "ივერიაში".

და, მართლაც, ევგენი გეგეჭკორი იყო ადამიანი, რომელიც თავისი ჰუმანიტარული რწმენითა და არსებით ეროვნული ერთობის გამოხატულებას წარმოადგენდა.

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება!
ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება,
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემული მსმენელებო,
იუგოსლაველი ცნობილი
მოღვაწის - მილოვან ჯილასის - აზრი, რომელიც მან გამოთქვა
1977 წლის 29 ოქტომბერს, დასავლეთ გერმანიის გავრცელებულ გაზეთ "დი ველტის" კორესპონდენტთან საუბარში:
შეეხო რა საბჭოთა სისტემის რაობას, მილოვან ჯილასმა, სხვათა შორის, განაცხადა:
"საბჭოთა სისტემის განვითარების შეფასებისას ჩვენ გამოვდივართ იმისაგან, რომ იქ ბატონობს სახელმწიფო კაპიტალიზმი. საბჭოთა კავშირში კი განმტკიცდა არა სახელმწიფო კაპიტალიზმი, არამედ სამრეწველო ფეოდალიზმი.

საბჭოთა ბიუროკრატია შეეზარდა კლასიკურ რუსულ იმპერიალიზმს და მიისწრაფვის ევროპისაკენ!"

## დამოუკიდებელი საქართველოს ფინანსთა მინისტრი
## კონსტანტინე კანდელაკი

დამოუკიდებელი საქართველოს ერთერთი წამყვანი ხელმძღვანელი, სახელმწიფო მოღვაწე იყო, პატივცემული მსმენელებო, საქართველოს ფინანსთა მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი, რომელიც იყო დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის თავჯდომარის, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თეორეტიკოსისა და დამაარსებლის - ნოე ჟორდანიას - ერთერთი უახლოესი თანამებრძოლი.

კონსტანტინე კანდელაკი ერთერთი წარმომადგენელია იმ ბრწყინვალე თაობისა,რომელმაც გამოსჭედა და საფუძველი ჩაუყარა საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოს,როცა 1918 წლის 26-ს მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, და ამით საქართველო ,ქართველი ხალხი სუვერენული უფლებებით აღჭურვა.

კონსტანტინე კანდელაკი დაიბადა 1883 წელს და მისი ახალგაზრდობა არსებითად არ განსხვავდებოდა იმ ეპოქის სხვა ქართველი ახალგაზრდების ცხოვრებისაგან,რომლებიც "მესამე დასის" ჩამოყალიბების შემდეგ, ჩაებნენ საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

დაწყებითი სკოლა, გიმნაზია,უმაღლესი განათლების მიღება და ამავე დროს რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმა - აი ის,ასე ვთქვათ,"სტანდარტული გზა ცხოვრებისა",რომელიც გაიარა კონსტანტინე კანდელაკმა სხვა ქართველ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად. მისი მოღვაწეობის კულმინაციური წერტილი

კი იყო  ის ხანა,როცა ის გახდა საქართველოს დემოკრატიული რეს-პუბლიკის ფინანსთა მინისტრი; და მან ამ მეტად საპასუხისმგებლო პოსტზე ისეთი დიდი ნიჭი და გამჭრიახობა გამოავლინა, რომ ქართული ფული - მანეთი - უმოკლეს ხანში გახდა საერთაშორისო ვალიუტა, რაც ნათელს ხდიდა იმ მდგომარეობას, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობა-საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მოკლე დროის განმავლობაში- ისე მომაგრდა და გაძლიერდა,რომ ერთერთ ყველაზე უფრო სტაბილურ ქვეყანად გახდა ყოფილი მეფის რუსეთის იმპერიის ქვეყნებს შორის.

კონსტანტინე კანდელაკის ამგვარი წარმატება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მას ღრმა და საფუძვლიანი განათლება გააჩნდა განსაკუთრებით ეკონომიურ სფეროში. მის მიერ მოგვიანებით გამო-ცემული წიგნი "ეკონომიური კრიზისი", რაც დაიბეჭდა პარიზში 1932 წელს, და განსაკუთრებით მისი მეორე წიგნი "საქართველოს ეროვნული მეურნეობა",რომელიც ისევე პარიზში დაიბეჭდა 1935 წელს, - ნათელს ხდიან, რომ კონსტანტინე კანდე-ლაკი, თავის ეკონომიურ პოლიტიკაში, ეყრდნობოდა საქართველოს მაშინდელ რეალურ მდგომარეობას და ცდილობდა საქართველო თავისი ეროვნული მეურნეობის შესაძლებლობათა მეშვეობით,უმთავრესად, საკუთარი ძალებით დამდგარიყო ფეხზე, და,როგორც ავღნიშნეთ, ეს მან შესძლო.

ე.წ-ლი"შრომის განაწილების" საკითხში,მაგალითად, კონსტან-ტინე კანდელაკი ეყრდნობოდა,რამდენადაც შესაძლებელია,ყოველმხრივი ეკონომიური ცხოვრების განვითარების პრინციპს,და წერდა: "შრომის განაწილება" წარმოებაში? - კი."შრომის განაწილება" საზოგადოებაში?" - კი. ხოლო "შრომის განაწილება"ისე, რომ ერთი ქვეყანა მუდამ მეორე ქვეყნისათვის ნედლი მასალის მიმწოდებლად დარჩენილიყო და ამ უკანასკნელს ამ ნედლი მასალის გადამუშავებაზე(და შემდეგ განაწილებაზე) მუდამ ესარგებლა საკუ-

თარ სიმდიდრის შეხამენათ და უფრო მეტად, ვინემ ნედლი მასალის მიმწოდებელს? - არა....."

კონსტანტინე კანდელაკი განაგრძობს: "ამერიკელები ამბობენ ხოლმე: ვისაც ბამბა მოყავს, იგი იღებს ერთს; ვინც იმას რთავს(ძაფად იღებს), იღებს ორს; ვინც იმას ქსოვს, იღებს სამსო. და თუ ჩამორჩენილი ერები მოახერხებენ - გააკეთონ ერთიც, მეორეც და მესამეც, რომ მეტი მიიღონ, ნუთუ ეს არანორმალური იქნება?" - ასე წერდა კონსტანტინე კანდელაკი თავის წიგნში "საქართველოს ეროვნული მეურნეობა", რომელიც დაიბეჭდა პარიზში 1935 წელს.

კონსტანტინე კანდელაკი იყო დინჯი, წყნარი, თავდადებული, შრომისმოყვარე, მეცნიერული ცოდნითა და ერუდიციით დაჯილდოებული ადამიანი. დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ე.ი. 1921 წლის მარტის ბოლო რიცხვებში, მან, როგორც საქართველოს მთავრობის წევრმა, საქართველოს დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილების თანახმად, დატოვა ჩვენი სამშობლო საქართველო, თავი შეაფარა საფრანგეთს და იქ განაგრძობდა მთელი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მოღვაწეობას საქართველოს სუვერენული უფლებების აღდგენისათვის. ამავე დროს კონსტანტინე კანდელაკი მუშაობდა მეცნიერულად საქართველოს სახალხო მეურნეობის საკითხებზე, და ამ მეცნიერული შრომის შედეგად შეიქმნა მისი საყურადღებო ნაშრომი "საქართველოს ეროვნული მეურნეობა". კონსტანტინე კანდელაკი კითხულობდა აგრეთვე ლექციებს ამ წიგნში გაშუქებული საკითხების შესახებ ქართველი სტუდენტებისათვის, რომლებიც 20-ან წლებში იმყოფებოდნენ პარიზში.

აღსანიშნავია აგრეთვე კონსტანტინე კანდელაკის დიდი დამსახურება ქართველი ებრაელების გადარჩენაში ნაცისტური ოკუპაციის დროს საფრანგეთში: ის ადგენდა შესაბამის დოკუმენტებს გადახვეწილობაში მყოფი დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის უფლებამო-

სიღებით,რის მეშვეობით ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკებისაგან გადაარჩინა არა მარტო ქართველი,არამედ სხვა ერებთან მიკუთვნებული ებრაელობაც კი. მისი ეს მოქმედება მით უფრო დასაფასებელია,რომ ამგვარი მოქმედებით ის მიდიოდა რისკზე თვით გამხდარიყო ნაცისტური რეჟიმის მსხვერპლი.

კონსტანტინე კანდელაკი გარდაიცვალა პარიზში, 1958 წელს და დაკრძალულია პარიზის ახლოსმდებარე დაბა ლევილის ქართულ ძმათა სასაფლაოზე.

==========================================================

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება, ვინაიდანერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!.. და ამასთან დაკავშირებით მაგონდება,პატივცემული მსმენელებო, რევაზ ჯაფარიძის სიტყვა,რომელიც მან წარმოთქვა საქართველოს მწერალთა კავშირის მე-8 ყრილობაზე 1976 წლის 23-მ აპრილს და რომელიც მხოლოდ თვითგამოცემის გზით გავრცელდა საქართველოში და ჩვენამდეც მოაღწია.

"გასულ წელს - ამბობს რევაზ ჯაფარიძე თავის ამ სიტყვაში - საქართველოს სათანადო ორგანოებმა მოსკოვიდან მიიღეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის - ელიუტინის - ბრძანება, რომლის თანახმად უმაღლესი სასწავლებლების ყველა სახელმძღვანელო უნდა გამოვიდეს რუსულ ენაზე...ამ ბრძანების თანახმად, უკვე გაუქმდა ქართულ სწავლებათა რიგი ორიგინალური სახელმძღვანელოები...მაღალი ინსტანციების დადგენილების თანახმად, დისერტაციები...პუბლიკაციები დისერტაციებზე და თვით სწავლულთა საბჭოს სხდომების სტენოგრამები მოსკოვს უნდა წარედგინოს რუსულ თარგმანში". შემდეგ რევაზ ჯაფარიძეს მოყავს ლენინის შემდეგი აზრი:"მოვინიშნის არგუმენტები მორს საშუალო როლია... ეს არგუმენტია ის, რომ თვითეული ერი დაემორჩილოს ველიკორუსებს. მაგრამ პურიშკევიჩები არ მოერიდებიან იმას, რომ ნაცხებით აკრძალონ ის "მძლავრის ენები",რომლებზეც ლაპარაკობს რუსეთის არარუსი მოსახლეობის 60-ი პროცენტი".(ტომი 20,გვ.70-71). და-ბოლოს რევაზ ჯაფარიძეს ისევ ლენინის ნაშრომიდან -"კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე" - მოყავს შემდეგი სიტყვები:"სახელმწიფო ენის სავალდებულობის გამოცემა...რომელიც პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებს რომელიმე ერს...უნდა ჩაითვალოს არაკანონიერად და ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება მოითხოვოს კანონის დამრღვევის პასუხისგებაში მიცემა".

## კარლო ჩხეიძე - დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების თავჯდომარე

დამოუკიდებელი საქართველოს ერთერთი წამყვანი ხელმძღვანელი იყო კარლო ჩხეიძე,დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების თავჯდომარე, რომელიც დაიბადა 1864 წლის 10(?) მაისს(?), და ტრაგიკულად გარდაიცვალა პარიზში 1926 წლის 11 ივლისს.

ლიქტორი:"კარლოს ტრაგედია - ქართველი ერის ტრაგედიაა" - ასე წერს,სხვათა შორის, დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი ნოე ჟორდანია კარლო ჩხეიძის ნეკროლოგში და დასძენს:
"გრძნობა უარყო გრძნული აზრი "სიკვდილამდე არ მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა". მან ვერ გაუძლო...წვალების ყურე მას გოლგოთაზე გაკრული ხალხის დაავადებას და მან აირჩია სამუდამოდ თვალების დახუჭვა".
სხვა სიტყვებით: კარლო ჩხეიძის ტრაგედია ქართველი ერის ტრაგედიაა იმიტომ, რომ მან ვერ აიტანა საქართველოზე,ქართველ ხალხზე უცხო ძალის გაბატონება,ვერ აიტანა პოლიტიკური ემიგრანტის სვებედი და თავისი ხელითვე დაამთავრა თავისი სიცოცხლე. თუმცა მან,თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში, დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს - ევგენი გეგეჭკორს - გაანდო: -
"ჩემზე ნუ ფიქრობთ, რაც მოხდა ამით გულს ნუ გაიტეხთ, საქმეს მოუარეთ",—
რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მას ჩვენი სამშობლოს ბედი ბოლომდე აწუხებდა და მისი ერთგულება საფრავში ჩაიტანა; მაგრამ თავისითავის თავისსავე ხელით სამსხვერპლოზე მიტანა,თვითმკვლელობა,

არ უნდა ჩაითვალოს საშინელ,კიდევ მეტი,მიუღებელ მაგალითად არა მარტო პოლიტიკურ ბრძოლაში? - უთუოთ.

მაგრამ კარლო ჩხეიძის შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს განსაკუთრებულ მდგომარეობასთან, განსაკუთრებულ პიროვნებასთან, რაც-თუ არ ამართლებს - , სულ ცოტა, გასაგებს ხდის მის მოქმედებას. მისი პიროვნების ეს "განსაკუთრებულობა" განაპირობა მისმა ცხოვრებამ და მოღვაწეობამ:

კარლო ჩხეიძე დაიბადა 1864 წლის 10 მაისს(?) შორაპნის მაზრის სოფელ ფუთში,სადაც მიიღო პირველდაწყებითი განათლება; შემდეგ შევიდა ქუთაისის გიმნაზიაში,რომლის მერვე,ე.ი.უკანასკნელი კლასიდან ის გამოაგდეს პოლიტიკური მოტივებით.ის ახერხებს ჯერ ოდესისა და შემდეგ ხარკოვის უნივერსიტეტებში სწავლას,და სწორედ იმ ხანაში დაუახლოვდა,როცა რუსეთსა და საქართველოს ინტელიგენციის წრეებში მარქსისტულ და ხალხოსნურ მიმდინარეობათა ბრძოლებში ებმებოდენ.

80-ანი წლების მიწურულში კარლო ჩხეიძე დაბრუნდა საქართველოში გარკვეული მსოფლხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და,როგორც ის მოგვითხრობს ჟურნალ "ბრძოლის" მეცხრე ნომერში, 1891 წელს გაიცნო ეგნატე ნინოშვილი,რომელიც იმ დროს ჭიათურის ერთერთ კანტორაში მსახურობდა. ეგნატემ იმავე წელს კარლო ჩხეიძე გააცნო სილიბისტრო ჯიბლაძეს, და ამგვარად გახდა იმ მცირე ჯგუფის წევრი, რომელსაც, ეგნატეს სიკვდილის შემდეგ, გიორგი წერეთელმა უწოდა "მესამე დასი" და რომელიც სოციალდემოკრატიული მოძრაობის ფუძეთ იქცა. ამიერიდან კარლო ჩხეიძის ცხოვრება და მოღვაწეობა განუყრელად დაუკავშირდა დემოკრატიულ სოციალისტურ მოძრაობას ჯერ საქართველოს,შემდეგ რუსეთის და ბოლოს საერთაშორისო მასშტაბით.

ეგნატე ნინოშვილის, სილიბისტრო ჯიბლაძის და კარლო ჩხეიძის მოღვაწეობას ამ პერიოდში ნოე ჟორდანია ასე ახასიათებს:

"ეგნატე,სილვა,კარლო - ეს პირველი სერიაა ჩვენი მოძრაობის,ჩვენი ბრძოლის და განვითარების. ესენი ერთი-მეორეს ავსებდნენ,ერთი-მეორეს

აგრძელებდენ...ერთი აღწერდა ხალხის გაჭირვებას, მეორე აფოთებდა ამ გაჭირვებულთ, მესამე მათ აძლევდა თეორიულ დასაბუთებას დიდ-ტანიანი წიგნებით".

კარლო ჩხეიძე მონაწილეობას ღებულობდა ჟურნალ"კვალის" გამოცემაში,რომელიც გამოდიოდა ჯერ გიორგი წერეთლის და შემდეგ ნოე ჟორდანიას რედაქტორობით. იმ ხანად ის ბათუმში ცხოვრობდა და ირჩენდა თავს კერძო სამსახურის მცირე ხელფასით და კერძო გაკვეთილებით. ის ბათუმში, ისიდორე რამიშვილთან ერთად, მუშათა წრეებს ასწავლიდა პოლიტიკურ და სოციალურ ანბანს, და ქარხნის საკვირაო სკოლაში აწყობდა
აგრეთვე ელემენტარულ ცოდნას სხვადასხვა საგნებში. კარლომ და ისიდორემ შემოიკრიბეს თავიანთ გარშემო ინტელიგენციის წრეები. მე-19 საუკუნის მიწურულში კარლო ჩხეიძე უკვე ყველგან პატივცემული და კარგად ცნობილი მოღვაწეა ბათუმში. 1898 წელს მას ირჩევენ ხმოსნად ქალაქის საბჭოში,რაც იყო სოციალდემოკრატის ხმოსნად არჩევის პირველი შემთხვევა არა მარტო საქართველოში,არამედ მთელს კავკასიაში.

მე-20 საუკუნის პირველ წლებში კარლო ჩხეიძის ბინა რევოლუციური მუშაობის ცენტრია ბათუმში; გაისმა ხმა 1905 წლის რევოლუციისა,რომლის დამარცხების შემდეგ ის გადადის არალეგალურ მდგომარეობაში, სტოვებს ბათუმს და 1906 წელში მოღვაწეობს გურიაში, სადაც მან მალე მოისვეჭა ღრმა სიყვარული და პატივისცემა. 1907 წელში კი ის თბილისში მოღვაწეობს და არჩეულ იქნა ქალაქის საბჭოს ხმოსნად.

1907 წელს,მეორე დუმის გარეკისა და იმავე წლის 3 ივნისის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ,როცა რეაქციის ტალღა უმაღლეს წერტილს აღწევდა,კარლო ჩხეიძე არჩეულ იქნა მე-3 დუმის და შემდეგ, 1912 წელს, მე-4 დუმის დეპუტატად თბილისის გუბერნიიდან. კარლო ჩხეიძე 10-ი წლის განმავლობაში იყო სოციალდემოკრატიული ფრაქციის თავჯდომარე,რომლის დროს მან გამოამჟღავნა მაღალი გონებრივი და მორალური თვისებები. კარლო ჩხეიძე,როგორც ამას სახელმწიფო დუმის

ცნობილი ქართველი ტრიბუნი (– ირაკლი(კაკი) წერეთელი –) ამბობდა, "...გახდა არა მარტო სოციალ-დემოკრატიის, არამედ მთელი რუსეთის მუშათა კლასის მისწრაფებათა გამომხატველი". ნოე ჟორდანია კი მოიგონებს:
"როცა კარლო დუმის ტრიბუნაზე ავიდოდა, დეპუტატები თავის სკამებიდან დაიძროდენ...ტრიბუნისაკენ,რომ ორატორის თითოეული სიტყვა არ გამოპაროდათ".

რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ,კარლო ჩხეიძე არჩეულ იქნა იმავე წლის მარტში რევოლუციის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოს – პეტროგრადის საბჭოს და შემდეგ სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარედ. "ყველა,ვისაც თვალყური უდევნებია 1917 წლის რევოლუციის მსვლელობისათვის, იცნობს მის როლს ამ რევოლუციაში..., ის ცდილობდა რევოლუცია დემოკრატიისა და თავისუფლების საფუძველზე განემტკიცებინა" – ამბობს ირაკლი(კაკი) წერეთელი და დასძენს:"...რუსეთში ბოლშევიზმის გამარჯვების შემდეგ,მან მთელი თავისი ძალღონე მოახმარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას და განმტკიცებას".

1918 წლის თებერვალში შეიკრიბა ამიერკავკასიის სეიმი, რომლის თავჯდომარედ არჩეულ იქნა კარლო ჩხეიძე. 1918 წლის 26 მაისს,საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ის არჩეულ იქნა საქართველოს ეროვნული საბჭოს, პარლამენტის, თავჯდომარედ. 1919-20 წლებში კი ის მეთაურობს საქართველოს დელეგაციას პარიზის საზავო კონფერენციაზე; და როცა ის პარიზში იმყოფებოდა, 1919 წლის თებერვალში არჩეულ იქნა საქართველოს ახლადარჩეული დამფუძნებელი კრების თავჯდომარედ. 1920 წლის მიწურულში კარლო ჩხეიძე დაბრუნდა საქართველოში და ასრულებდა თავის მოვალეობას როგორც საქართველოს დამფუძნებელი კრების თავჯდომარე. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ 1921 წლის თებერვალ-მარტში დიდი ტრაგედია დაატყდა თავზე საქართველოს: ლენინის რუსეთი,რომელმაც ჯერ სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულებით, – მოულოდნელად დაესხა თავს საქართველოს დე-

მოკრატიულ რესპუბლიკას და ასე დამყარდა საქართველოში,იარაღის ძალით, ბოლშევიკური რეჟიმი,რის შემდეგ,დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობასთან ერთად, კარლო ჩხეიძე ისიზნება ევროპაში. უხოეთში კარლო ჩხეიძე არჩეულ იქნა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი ბიუროს თავჯდომარის ამხანაგად, ქართულ პარტიათა დელეგაციის თავჯდომარედ, ჟურნალ "ბრძოლის" რედაქციის წევრად და მუშაობდა ევროპის სხვადასხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით.

კარლო ჩხეიძეს გააჩნდა უდიდესი ავტორიტეტი და პატივისცემა საერთაშორისო დემოკრატიულ წრეებში,ვინაიდან მისი მისწრაფება და იდეალი ეყრდნობოდა მის ღრმა ეროვნულ და ერთაშორისო კულტურასა და ბუნებას,რაც ჩამოყალიბებულია,მისი მონაწილეობით შექმნილი,"მესამე დასის" ძირითად საკაცობრიო მნიშვნელობის დებულებაში:"ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა".

"ის იყო შვილი ჩაგრულ პატარა ხალხისა...; სიყრმიდანვე თავისი სიცოცხლე უძღვნა მან მშრომელთა განთავისუფლებას,სოციალისტური დემოკრატიის დიადი იდეებით მათ გამსჭვალვას..." ამბობს ირაკლი (კაკი)წერეთელი.

ლეონ ბლუმმა,საფრანგეთის ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, პრემიერმინისტრმა და არაერთგზის მინისტრმა, კარლო ჩხეიძის დასაფლავებაზე პარიზის <u>პერ-ლაშეზის</u> სასაფლაოზე 1926 წლის 15 ივნისს, სხვათა შორის, თქვა:
"მე მოველი აქ,რომ ამ ახლილ საფლავის წინაშე სოციალისტური მუშათა ინტერნაციონალის ფრანგული სექციის სახელით ძმური თანაგრძნობა ვუძღვნა ჩვენს ქართველ მეგობრებს...ქართველმა სოციალისტებმა უნდა იქონიონ რწმენა მათი ქვეყნის მომავალი თავისუფლებისა. ჩვენ ვგრძნობთ იმ ტრაგედიას, რომლის გამოხატულებას ეს ძველი მებრძოლის ცხედარი წარმოადგენს...როდესაც ვფიქრობ ისეთ მტკიცე და შეურყეველი მებრძოლის ტრაგიკულ ბედზე,როგორიც ჩხეიძე იყო,უნებლიეთ მება-

ლება აზრი: ქართველო ამხანაგებო, შეიძლება თქვენ ეჭვი შეგლით, რომ ყველასაგან მიტოვებული ხართ, რომ ჩვენც,თქვენი მეგობარი სოციალისტები, შევურიგდით გაბატონებულ უსამართლობას, რომ ჩვენც უგულო ქვეყანასთან ერთად მოვიხარეთ ქედი მომხდარი ფაქტის წინაშე. არა! ეს ასე არ არის! ჩვენ ისეთივე აღშფოთებით განვიცდით დღეს თქვენს უბედურებას, როგორც განვიცდიდით პირველ ხანებში; იცოდეთ, რომ ჩვენ,ფრანგი სოციალისტები არასოდეს მოვიხრით ქედს თქვენს მიმართ ჩადენილი უსამართლობის წინაშე..."

კარლო ჩხეიძის დაკრძალვაზე სოციალისტური მუშათა ინტერნაციონალის სახელით - ბატონმა ბრაკმა - კი განაცხადა:

"ჩვენ კარგად ვიცნობთ ჩხეიძეს,რომლის სახელი ჩვენთვის დაკავშირებულია არა მარტო საქართველოს,არამედ აგრეთვე მთელი რუსეთის მუშათა კლასის მოძრაობასთან...ჩვენ გაცნობილი ვართ საქართველოს ტრაგიკულ ბედს. ჩვენ ვიცით თუ რაოდენ მძიმეა მისი ბრძოლა თავისუფლებისათვის".

"...ჩხეიძე მარტო საქართველოს არ ეკუთვნის. - თქვა რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის სახელით ბატონმა გურევიჩმა. - ის ეკუთვნის აგრეთვე რუსეთს,ვინაიდან ის გადაჯაჭვულია მთელი რუსეთის რევოლუციის ისტორიასთან..."

პოლონეთის სოციალისტური პარტიის სახელით - ბატონმა იერონემენკომ, სხვათა შორის, თქვა:

"...დაუვიწყარია მისი ბრძოლა მეფის იმპერიალიზმის მიერ ჩაგრული ერებისათვის. და ჩვენი პარტია და პოლონეთის მთელი ხალხი არასოდეს დაივიწყებენ,რომ ჩხეიძემ პირველათ აიმაღლა ხმა პოლონეთის დამოუკიდებლობის სასარგებლოდ".

ებრაული სოციალისტური პარტიის წარმომადგენელმა - ბატონმა ლივშიკმა აღნიშნა კარლო ჩხეიძის მიერ დაუვიწყარი დაცვა რუსეთში თვითმპყრობელობისაგან ჩაგრული და დევნილი ებრაელი ხალხისა და ღრმა სიმპათია,მადლობის გრძნობა და პატივისცემა,რომლითაც აღნიშნულია ებრაელთა გულში განსვენებულის ხსოვნა.

რუსეთის დროებ_ითი მთავრობის თავჯდომარემ - ალექსანდრე კერენსკიმ -, სხვათა შორის, აღნიშნა:

"...საქართველო და რუსეთი. აქ ითქვა -'რუსეთიდან მოვიდა ის საშინელება, რომელმაც საქართველო გასრისაო'. მაგრამ ამავე საშინელებამ ხომ გასრისა რუსეთის ხალხიც... და აი, თქვენი სამშობლოს სიყვარულით თქვენ ასწავლეთ ბევრს ჩვენგანს სამშობლოს გრძნობის შეგნება; და ჩვენ ამას უნდა ვუმადლოდეთ კარლო ჩხეიძეს, ამ გულწრფელ ქართველ პატრიოტს".

კარლო ჩხეიძის ცხოვრება და მოღვაწეობა შთამაგონებელი სიტყვებით დახასიათებულ იქნა საფრანგეთის, ინგლისის, ბელგიის, რუსეთის, ლატვიის, პოლონეთის, უკრაინის, ჩეხოსლოვაკიის, იტალიის, ფინეთის, უნგრეთის, ესპანეთის, ჰოლანდიისა და მსოფლიოს სხვა სოციალ-დემოკრატიული და სხვა პარტიების წარმომადგენლების სიტყვებში თუ სამგლოვიარო წერილებში, რომელთა საერთო დედააზრი - ნოე ჟორდანიას გამოთქმა რომ მოვიგონოთ - ასეთია: "კარლოს ტრაგედია - ქართველი ერის ტრაგედიაა", ვინაიდან თავისუფალი საქართველო გახდა მსხვერპლი უცხო ძალადობისა 1921 წლის თებერვალ-მარტში და ქართველი ერის ეს ტრაგედია იქცა მის პირად ტრაგედიადაც, როცა ის იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო და გაეზიარებინა პოლიტიკური ემიგრანტის მწარე ბედი. უთუოდ, ისტორია იცნობს პოლიტიკური ემიგრაციის არა ერთ მწარე შემთხვევებს, მაგრამ პოლიტიკური ლტოლვილობა სასტიკ ფორმას ღებულობს განსაკუთრებით მაშინ, როცა ხალხის მიერ დემოკრატიული გზით არჩეულ მთავრობასა და პოლიტიკურ მოღვაწეს - და ასეთი იყო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა და თვით კარლო ჩხეიძე - უცხო, მომხდური ძალა აიძულებს დატოვოს სამშობლო და გაიხიზნოს უცხოეთში. თუმცა პოლიტიკური ლტოლვილობის ეს უსასტიკესი ფორმაც ვერ ამართლებს კარლო ჩხეიძის თვითმკვლელობას 1926 წლის 11-ტ ივნისს, მაგრამ მას, სულ ცოტა, უფრო გასაგებს ხდის.

ამას ემატება კიდევ კარლო ჩხეიძის პიროვნული განსაკუთრებულობა: ის ეკუთვნოდა იმ თაობას, რომელიც [illegible]ლობდა წმინდა მიზნის

## სპირიდონ კედია - საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ლიდერი

დღეს მსურს გესაუბროთ,პატივცემულო მსმენელებო, საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ლიდერის, ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის - სპირიდონ კედიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

მაგრამ, სანამ სპირიდონ კედიას ცხოვრებასა და მოღვაწეობას შევეხებოდე, მსურს ავღნიშნო ის კაქტი, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობა, რომელიც შეხდგა 1918 წლის 26 მაისს, იყო კოალიციური მთავრობა, რომელშიც შედიოდა საქართველოს ყველა დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი: სოციალ-დემოკრატიულ პარტიიდან ხუთი კაცი, სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიიდან ორი კაცი, ერთი კაცი სოციალისტ-რევოლუციურ პარტიიდან და ერთი - საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიიდან. 1919 წლის დამფუძნებელი კრების საყოველთაო არჩევნების შემდეგ კი, როცა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ საქართველოს დამფუძნებელი კრების სულ 130-ი დეპუტატიდან 109 დეპუტატი, ხოლო სოციალისტ-ფედერალისტურმა პარტიამ 8-ა, ეროვნულ დემოკრატიულმა პარტიამ 8-ა,ხოლო სოციალისტ-რევოლუციურმა პარტია 5-ი დეპუტატი გაიყვანა, მაშინ, როგორც ცნობილია, ნოე ყორდანიამ წამოაყენა საქართველოს დამფუძნებელ კრებაში <u>ოპოზიციის გაძლიერების</u> წინადადება. მხოლოდ ძლიერი პოზიცია-ოპოზიციის პირობებში ვითარდება ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფო, ვინაიდან დემოკრატია ეყრდნობა <u>უმრავლესობის</u> პრინციპს, რომლის დროს ამ უმრავლესობის წარმომადგენელი დეპუტატები მთავრობა-პოზიციის, ხოლო უმცირესობა ოპოზი-

ციის გამომხატველია. ამდენად, მთავრობის-ოპოზიციის გვერდით, ოპოზიციაც დემოკრატიული სახელმწიფოს მმართველობის მნიშვნელოვანი ელემენტია; და დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობაში ასე ღებულობდა ყველა პარტია მონაწილეობას.

და დამოუკიდებელი საქართველოს ერთერთი გამოჩენილი მოღვაწეა სპირიდონ კედია.

სპირიდონ კედია დაიბადა 1884 წლის 20-ც სექტემბერს ზუგდიდში, და გარდაიცვალა პარიზში 1948 წელს.

"რვა წლის სპირიდონი - მოიგონებს მისი მეუღლე სოფიო კედია - დედამ ზუგდიდის რუსულ სკოლაში შეიყვანა. მაშინ ზუგდიდში ქართული სკოლა არ არსებობდა". ამ სკოლის დამთავრების შემდეგ, სპირიდონ კედია შედის ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში,და ამავე დროს მუშაობდა გიმნაზიის გარეშაც სხვადასხვა,ხშირად პოლიტიკურ და არალეგალურ წრეებშიც, რომლებიც იწვევდნენ "ცხოვრების გარდასაქმნელად". ერთერთი ასეთი წრის კრებაზე სპირიდონ კედიას,სხვათა შორის, განუცხადებია, როგორც მისი მეუღლე იგონებს,-რომ ქართველი ახალგაზრდები ასეთ მუშაობაში იმდენად უნდა ჩაებნენ,რამდენადაც ასეთი მუშაობა ქართველი ხალხისათვის იქნება სასარგებლო.

1905-ი წლის რევოლუციის განთიადზე თბილისის ახალგაზრდობა ფართო ხასიათის მიტინგის მოწყობას აპირებდა,რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო ახალგაზრდობის წარმომადგენლებს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდანაც; და ამ დროს,როგორც ქუთაისის მოსწავლეთა დელეგატი, სპირიდონ კედია ჩადის თბილისში,სადაც შეკრება დანიშნული იყო ვერაზე, იქ,სადაც ახლა თბილისის უნივერსიტეტის მთავარი კორპუსი დგას. მაგრამ ახალგაზრდობის ეს მიტინგი კაზაკებმა მათრახით დაშალეს,ვინაიდან

მიტინგი ეროვნულ მანიფესტაციად გადაიქცა. 1905-ი წლის რევოლუცია კი მთელ საქართველოს მოედო; განსაკუთრებულად მწვავე ხასიათი მიიღო აჯანყებებმა გურიასა და სამეგრელოში, რის შედეგად მეფის რუსეთის დამსჯელი რაზმები მოედვა მთელს საქართველოს. სპირიდონ კედიამ ჯერ თავი შეაფარა სვანეთს, ხოლო შემდეგ დაბრუნდა ქუთაისში და იძულებული გახდა 1906 წელს დაეტოვებინა საქართველო და წავიდა პარიზში.

საფრანგეთში ის სწავლობდა პარიზის უნივერსიტეტში, შემდეგ სამხრეთ საფრანგეთში ბუნებისმეტყველებას და სწავლა დაამთავრა დიპლომით "ლისანს ეს სიანს". ამასობაში დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და სპირიდონ კედიამ გადაწყვიტა საქართველოში დაბრუნება შეცვლილი გვარით, მაგრამ ის დააპატიმრეს ლენინგრადში და ორი თვის შემდეგ შესძლო, ქართველი გენერალ ნაკაშიძის დახმარებით, საქართველოში ჩამოსვლა, სადაც ის ხშირად იცვლიდა ბინას, რომ თავი აერიდებინა ისევ-დაპატიმრებას.

სპირიდონ კედია ახალგაზრდობაში გატაცებული იყო სოციალისტური მსოფლმხედველობით, მაგრამ შემდეგ შეეცადა საერთო ენის გამონახვას საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტებთან. ეს შეუძლებელი გახდა. 1917-ი წლის ივნისში ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია, რომლის თავჯდომარედ არჩეულ იქნა სპირიდონ კედია. ამის შემდეგ სპირიდონ კედია მიემგზავრება ევროპაში იმ მიზნით, რომ მას სურდა მჭიდრო კავშირის დამყარება გიორგი მაჩაბელთან, რომელიც იყო გერმანიაში "საქართველოს თავისუფლების კომიტეტის" სულისჩამდგმელი. ამ კომიტეტმა კი განსაზღვრული როლი ითამაშა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მომზადების საქმეში.

"...ქუთაისიდან წერილი მომდის - დაუყონებლივ ამოდით, - წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული", რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში. წავედი,...ერთ უცნობ ბინაზე გაიღო კარები, გამოჩნდა სიხაკო წერეთელი, ჩემი ძველი ნაცნობი...მან ამიხსნა მიზეზი შესვედრისა - გერმანიაში დაარსებულა კომიტეტი, რომლის მიზანია სა-

ქართველის განთავისუფლება გერმანია-ოსმალეთის დახმარებით...მე კატეგორიული უარი უთხარი ასეთი მუშაობის დაშვებაზე, ავუხსენი:ჩვენ ომს არ ვაწარმოებთ, არც ერთ კოალიციაში არ ვიმყოფებით, რუსეთის ორგულობას ვერ გამოვიჩენთ...თან დაუმატე იმუშაონ მათ საზღვარგარეთ ქართულ კომიტეტში. შეიძლება ეს ხაზიც გამოგვადგეს-თქვა. დიდ ხანს კამათი არ დაგვჭირვებია, ჩქარა შევთანხმდით...ამავე საკითხზე მქონდა ბაასი იმავე კომიტეტის მეორე წარმომადგენელ გიორგი მაჩაბელთან თბილისში დავით ვაჩნაძის ბინაზე. აქაც საუბარი გათავდა შეთანხმებით - ჩვენ ჩვენ ხაზზე ვიმუშავებდით შიგნით, ისინი მათებურად უცხოეთში, ან ერთი გაგვიყვანს, ან მეორე. ძირითად საკითხში - საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოებაში - არავითარი აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა. საჭირო იყო მხოლოდ ისეთი ტაქტიკა,რომელიც მართლა მიგვიყვანდა ამ მიზნისაკენ და თან ქართველი ერის ფიზიკურ არსებობას არ ემუქრებოდა. ყოველნაირი ავანტიურა...მუშაობიდან უნდა ყოფილიყო ამოგდებული", - წერს ნოე ჟორდანია. ამ ხანში ბერლინში წავიდა საქართველოს დელეგაცია აკაკი ჩხენკელის მეთაურობით; დელეგაციის მდივანი კი იყო სპირიდონ კედია,რომელიც მთელი თავისი არსებით ჩაბმული იყო მუშაობაში. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ის დაბრუნდა საქართველოში, რომ თავისი წვლილი შეეტანა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მოსამზადებელ მუშაობაში,როგორც საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავჯდომარეს. და როცა 1918 წლის 26-ს მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, სპირიდონ კედიამ მთელი თავისი ენერგიით ჩაება პარლამენტის მუშაობაში; ამავე დროს დიდ ყურადღებას აქცევდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ოფიციალური ორგანოს,გაზეთ "საქართველოს",რომლის გარშემო მან თავი მოუყარა დახელოვნებულ ჟურნალისტებსა და პოლიტიკურ-საზოგადო მოღვაწეებს - ალექსანდრე ასათიანს, ი. მაჭავარიანს, ლავრენტი კვარაცხელიას,გერონტი ქიქოძეს, ნიკო ნიკოლაძეს,გიორგი გვაზავას,მიხეილ ჯავახიშვილს,შალვა დადიანს, ვასილ ზარნოვს,ექვთიმე თაყაიშვილს,კორნელ კეკელიძეს, ი.ზურაბიშვილს

და სხვებს. ამგვარად, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შენე-ბა-განმტკიცებაში - 1918-21 წლებში - სპირიდონ კედია აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა, როგორც საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი.

სპირიდონ კედია ითვლებოდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამაარსებლად და მის იდეურ ხელმძღვანელად, თუმცა, როგორც სევერიანე ჭირაქაძე წერდა 1949 წლის ჟურნალ "ივერიის" პირველ ნომერში, -"...სპირიდონ კედია არ იყო პარტიის თეორეტიკოსი...სპირიდონ კედია იყო უფრო პოლიტიკური მწერალი-პუბლიცისტი და იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული მჭერმეტყველი-ორატორი...ჯერ პარლამენტში და შემდეგ დამფუძნებელ კრებაში მისი გამოსვლები, როგორც ოპოზიციის მეთაურის დიდ გამოძახილს პოულობდა მთავრობისა და პოლიტიკურ წრეებში".

"უთუოთ, - წერს შემდეგ სევერიანე ჭირაქაძე - გაზეთ "საქართველოს" გამოცემით იწყება ამ ეროვნული მიმართულების შექმნა სრულიად საქართველოს მასშტაბით. იგი 1917 წელს პირველ ყრილობაზე ოფიციალურად იწოდა ეროვნულ დემოკრატიულ პარტიად...ქართული ძალების გასაერთიანებლად სპირიდონ კედიამ წამოაყენა ზეკლასიური თეორია...მისი აზრით, ეროვნულ ცხოვრების მოწყობაში ყველა სოციალურ კატეგორიებს თანაბარი მონაწილეობა უნდა მიეღო." საქართველოში, - წერს სევერიანე ჭირაქაძე "...პირველი პოლიტიკური პარტია სოციალ-დემოკრატიით იწყება, იდეოლოგიურათ და ორგანიზაციულად გაფორმებული. თეორეტიკოსი და ბელადი ამ პარტიის იყო...ნოე ჟორდანია. მისი "ეკონომიური წარმატება და ეროვნება" საფუძვლად დაედო მარქსისტულ მიმდევრების გავრცელებას საქართველოში. მეორე მნიშვნელოვანი პარტია იყო სოციალისტ-ფედერალისტების: ეროვნული და სოციალისტური ერთდაიმავე დროს,მაგრამ არა მარქსისტული. მისი დამფუძნებელი და სულისჩამდგმელი ჭეშმარიტად არჩილ ჯორჯაძე იყო..." საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

ჩამოყალიბებამ, "ამ მესამე არასოციალისტური და ეროვნული ძალის მოვ-
ლენამ დაამთავრა ქართული საზოგადოებრიობის განვითარების პროცესი",—
დასძენს სევერიანე ჭირაქაძე.

მაგრამ,1921 წლის 11-ც თებერვალს, საბჭოთა რუსეთის წითელი
არმიის შენაერთები ხუთი მხრიდან დაესხა თავს დამოუკიდებელ საქარ-
თველოს. "ამ საბედისწერო ჟამს – წერს თავის მოგონებაში სპირიდონ
კედიას მეუღლე სოფიო ჩიქავაძე-კედიასი – ,-როგორც საქართველოს
პარლამენტის ყველა ოპოზიციური პარტიის დეპუტატები, სპირიდონ კე-
დიაც საქართველოს მთავრობას გვერდით ამოუდგა, მაგრამ რა შეეძლო
მას გარდა ფრონტისაკენ მიმავალ ჯარისადმი გამამხნევებელ სიტყვით
მიმართვისა..." საქართველოს არმიის მთავარსარდლობასა და მთავრობა-
ში დაისვა თბილისის დაცლა-არდაცლის საკითხი. "ეს საკითხი დავსვი –
წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში"ჩემი წარსული" – სამხედრო კომი-
სიაში. დაესწრნენ დეპუტატებიც...არც ერთი გამამხნევებელი სიტყვა
მათგან არ გამიგონია; გარდა ერთადერთი სპირიდონ კედიასი. მხოლოდ
ის იყო წინააღმდეგი ქალაქის დატოვების, წინააღმდეგი იყო მთავრობა
და თავდაცვის საბჭო,"- წერს ნოე ჟორდანია. ამ უთანასწორო ომში,
საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ დაიპყრო საქართველო,ხოლო სა-
ქართველოს ეროვნული მთავრობა და მრავალი პოლიტიკური და საზოგადო
მოღვაწე იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ საქართველო და თავი შეე-
ფარებინათ უცხოეთისათვის. სპირიდონ კედიამ კი,სხვა მრავალ გამო-
ჩენილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, ამჯობინა საქარ-
თველოში დარჩენა და საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის განგრ-
ძობა. სპირიდონ კედიას საქართველოში დარჩენის დადგენილება კი
გამოიტანა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სხდომამ. ასე
ჩაისახა სამხედრო ცენტრის საიდუმლო ორგანიზაცია,რომლის შემადგენლო-
ბაში შედიოდა სპირიდონ კედია. 1922 წელს, საქართველოს დაპყრო-
ბის ერთი წლისთავზე, განზრახული იყო მასობრივი დემონსტრაციის მოწ-
ყობა თბილისში, და სწორედ ამ დემონსტრაციის მოწყობის წინ დააპა-
ტიმრეს სპირიდონ კედიაც და ჯერ მეტეხის, ციხეში ,ქვსი თვე იჯდა,ხოლო შემდეგ საგუბერნიო ციხეში
მოათავსეს, სადაც მან კიდევ ექვსი თვე დაჰყო. და-ბოლოს მისმა მეგობრებმა

მოახერხეს სპირიდონ კედიას ციხიდან გამოყვანა და,რომ თავი დაეღწია ისევ-დაპატიმრებისაგან, მან დატოვა საქართველო და თავი შეაფარა საფრანგეთს.

უცხოეთშიც სპირიდონ კედია,როგორც საქართველოს ეროვნუ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი უცხოეთში, განაგრძობდა მუშაობას საქართველოს თავისუფლების მოპოვებისათვის. ის იყო გულკეთილი, დინჯი,დარბაისელი,ღრმად განათლებული ადამიანი,რომლის სიტყვას დიდი ყურადღებით უსმენდა არა მარტო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები და მიმდევარნი, არამედ საქართველოს სხვა დემოკრატიული პარტიების წევრები და მიმდევარნიც,ვინაიდან ის ყოველთვის იდგა "ერთგული ოპოზიციის" პოზიციაზე,ე.ი. სწამდა,რომ დემოკრატიულ, უფლებრივ სახელმწიფოში - და ასეთი სახელმწიფო იყო საქართველო 1918-21 წლებში საქმიანობა ოპოზიციური პარტიებისა ისევე დიდი პასუხისმგებლობითა და ეროვნული შეგნებით უნდა წარმოებდეს, როგორც თვით მთავრობის და სამთავრობო პარტიის თუ პარტიების მოქმედება.

სპირიდონ კედია აწარმოებდა არა "ოპოზიციას ოპოზიციისათვის",როგორც ეს,სამწუხაროთ, ახასიათებს ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეს, არამედ "ოპოზიციას საქმისათვის",ე.ი. ის აწარმოებდა ჯერ საქართველოს დამფუძნებელ კრებაში თბილისში, და შემდეგ უცხოეთში არა "ნეგატიურ ოპოზიციას",არამედ "პოზიტიურ ოპოზიციას". ასეთი შეგნება და მოქმედება კი არის დემოკრატიის,ე.ი."ხალხის ბატონობის"ერთადერთი ჭეშმარიტი გაგება, და აჭორედ ასეთი მრწამსის იყო სპირიდონ კედია თავისი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა სფეროში; და,უთუოთ, ამით აიხსნება ის,რომ სპირიდონ კედია დიდი პატივისცემით სარგებლობდა არა მარტო ეროვნულ-დემოკრატიულ, არამედ საქართველოს ყველა დემოკრატიულ პარტიასა და მათ მიმდევრებში.

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..

ქართული რედაქცია-რადიო"თავისუფლება"

ავტორი:          დავით თაბორიძე

დიქტორები: დ.თაბორიძე და ი.გავაშელი

## ირაკლი(კაკი) წერეთლი

დღეს გესაუბრებით ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის ირაკლი(კაკი) წერეთლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ირაკლი(კაკი)წერეთელი დაიბადა 1881 წლის 20 ნოემბერს ქუთაისში და გარდაიცვალა 1959 წლის 20 მაისს ნიუ-იორკში. დაკრძალულია ლევილში, პარიზის ახლოს, ქართულ ძმათა სასაფლაოზე.

როცა 1917 წლის 5-თ ოქტომბერს რუსეთიდან თბილისში დაბრუნდა ირაკლი(კაკი)წერეთელი, მოზღვავებული ხალხის მასების წინაშე ცნობილმა ეროვნულმა გმირმა - ვლასა მგელაძემ -,სხვათა შორის, ასეთი სიტყვებით მიმართა კაკი წერეთელს:
"...რამ შეაერთა თბილისს სხვადასხვა ერები  ვარკვლავებით მოკამკამებულ ცის ქვეშ? ....ძველად ასე მეფეებს ხვდებოდენ. აქ კი, ჩვენს წინ დგას ჩვენი წრიდან ამოზრდილი ჩვენი საყვარე ლი კაკი წერეთელი.....ძვირფასო კაკი!.. აი ეს ბავშვი,რომელიც შენ მეგეგება თაიგულით ხელში ამ ტრიბუნაზე,რომელიც მორწყულია ხალხის სისხლით და რომელიც თავისუფლების გმირთა ძვლებ-ტვინ-ნერვებზე არის დამაგრებული, რომლის გარშემო ამაყად ფრიალებენ თავისუფლე-ბის დროშები,-არის შვილი კავკასიის მუშათა საყვარელი სილიბისტრო ჯიბლაძის, და გილოცავთ ბედნიერ მოსვლას!"

ირაკლი(კაკი) წერეთლის ამგვარი ტრიუმფალური მიღებისას თბილისში 1917 წლის 5-თ ოქტომბერს, თვით ეროვნულმა გმირმა - ვლასა მგელაძემ - დასვა კითხვა:"ვინ არის კაკი?" როგორ დაიმსა-ხურა მან ასეთი უსაზღვრო სიყვარული არა მარტო ქართველი ხალხისა?..

ირაკლი გიორგისძე წერეთელი დაიბადა 1881 წლის 20 ნოემბერს "სავარდო და საპაისო" ქუთაისში და გარდაიცვალა 1959 წლის 20-ც მაისს ნიუ-იორკში და ახლა დაკრძალულია პარიზის ახლოსმდებარე დაბის ლევილის ქართულ ძმათა სასაფლაოზე საქართველოს სხვა გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებთან - ნოე ჟორდანია,ევგენი გეგეჭკორთან და სხვებთან ერთად.

ირაკლი(კაკი)წერეთელი არის ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის - გიორგი წერეთლის ვაჟიშვილი."მისი ოჯახი - წერს ქართველი სალხის დიდი მეგობარი ბ.ნიკოლაევსკი - ჯერ ქუთაისში და შემდეგ თბილისში, იყო დემოკრატიული ბანაკის ლიტერატურული ინტელიგენციის შეხვედრის ადგილი, - და წერეთელი-შვილი, ბავშვობიდანვე მიეჩვია ჩაფიქრებოდა სტუმრების საუბრებს, და ადრე თვითონაც დაინტერესდა სოციალურ-პოლიტიკური საკითხებით....ის იყო მხურვალე მომხრე საქართველოს ნაციონალური დამოუკიდებლობისა..."

1900-ს წელს კაკი წერეთელმა დაამთავრა თბილისის გიმნაზია და სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. პირველად პოლიტიკურ (ბრძოლის) არენაზე გამოვიდა კაკი წერეთელი 1901 წელს, როცა ის გახდა საერთოდ-აღიარებული ხელმძღვანელი სტუდენტური მოძრაობისა და 1901 წლის შემოდგომიდან არჩეულ იქნა სტუდენტების ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარედ. თითქმის ყველა მოწოდება აღმასრულებელი კომიტეტისა დაწერილ იქნა თვით კაკი წერეთლის მიერ,მათ შორის, ბროშურა "ჩვენი მიზნები", რომელშიც ჩამოყალიბებული იყო სტუდენტების მოთხოვნა,რომელიც ცილდებოდა სტუდენტთა არეს და ეხებოდა მთელს მოსახლეობას,რითაც მან დიდი სიმპათია მოიპოვა მოსახლეობის ფართო ფენებში. სტუდენტთა მოძრაობამ ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ უნივერსიტეტში შეყვანილ იქნა ჯარები,დაპატიმრებულ იქნა ათასზე-მეტი სტუდენტი,რომელთაგან ბევრი გადასახლებულ იქნა,მათ შორის კაკი წერეთელიც,რომელსაც მიუსაჯეს უმაღლესი ვადა: ხუთი წლით გადასახლება აღმოსავლეთ ციმბირში.

დაჰყო რა დაახლოებით ერთი წელი გადასახლებაში, 1903-ი წლის ზაფხულში კაკი წერეთელი დაბრუნდა თბილისში, სადაც ის შედის ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში და ირჩევენ მას პარტიის თბილისის კომიტეტის წევრად. ამ დროს მოხდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე განხეთქილება ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის, რომლის შემდეგ კაკი წერეთელმა სასტიკად დაგმო ლენინის ანტი-დემოკრატიული კონცეფცია, მისი "ორგანიზაციული გეგმა".

ამ დროს კაკი წერეთელი არჩეულ იქნა ქართული ყოველკვირეული ჟურნალის -"კვალის" რედაქტორად ,"კვალისა", რომელიც 10-ი წლის წინათ დაარსებული იყო მამამისი მიერ და რომლის გამოცემაში მამამისმა ჩააბა პირველი ქართველი მარქსისტები. ამ ჟურნალს ჰქონდა ამ დროს ისეთი დიდი წარმატება, რომ 1904 წლის თებერვალში ხელისუფლებამ ის აკრძალა და დაიშალა თვით პარტიული ორგანიზაციაც. დაპატიმრებისაგან რომ თავი დაეღწია, კაკი წერეთელი 1904 წლის გაზაფხულზე მიემგზავრება უცხოეთში.

ის დასახლდა ბერლინში და დაიწყო სწავლა ბერლინის უნივერსიტეტში; ამავე დროს ის ესწრებოდა მუშების კრებებს, იმოგზაურა ჟენევაში, სადაც მონაწილეობა მიიღო მენშევიკური პარტიის კონფერენციაში 1905 წლის მაისში; შემდეგ წავიდა პარიზში. ამ დროს კაკი წერეთელი მძიმე ავად გახდა და ჩამოვიდა ქუთაისში. თუმცა მისი ავადმყოფობა ხანგრძლივ მკურნალობას მოითხოვდა, მაგრამ ის 1906 წლის შემოდგომაზე წამოყენებულ იქნა მეორე სახელმწიფო დუმის დეპუტატის კანდიდატად, და ის არჩეულ იქნა. მეორე სახელმწიფო დუმის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციაში შედიოდა 65 დეპუტატი, რომლებმაც ამ ფრაქციის თავჯდომარედ აირჩიეს კაკი წერეთელი. და პირველი დებიუტი დუმაში წარმატებით ჩატარდა, როცა კაკი წერეთელმა სასტიკად დაგმო სტოლიპინის რეაქციული მთავრობის პოლიტიკა, თავის გამოსვლაში 1907 წლის 6 მარტს, რომლის შესახებ ერთი უპარტიო ჟურნალისტი, რომელიც

თვალყურს ადევნებდა მეორე სახელმწიფო დუმის მუშაობას, სხვათა შორის, წერდა:

ამ სიტყვამ წერეთელი გახადა "არა ორატორად,რომელიც წამოყენებული იყო პარტიისაგან, არამედ ტრიბუნად,რომელიც ლაპარაკობდა მთელი ხალხის სახელით".

ერთი ჭაღარა დეპუტატი,

ცრემლებით თვალებში,მივიდა კაკი წერეთელთან, , ტრიბუნიდან ჩამოსვლისას,და უთხრა:"მადლობა შვილო!" – აღწერს სახელმწიფო დუმის ამ სხდომის ქრონისტი. კაკი წერეთლის ეს სიტყვა სახელმწიფო დუმის წინაშე იყო არა მარტო მისი,არამედ მთელი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის გამარჯვება. კიდევ მეტი: კაკი წერეთელი გამოდიოდა მაშინ, 2-რ ივნისს, 1907 წელს დუმაში – ყველა სოციალისტური ფრაქციების – "ტრუდოვიკების", სახალხო სოციალისტებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების სახელითაც. 3-მ ივნისს დილით კი დუმის დეპუტატებმა წაიკითხეს გაზეთებში "ბრძანებულება" სახელმწიფო დუმის დათხოვნისა და საარჩევნო სისტემის შეცვლის შესახებ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყველა დეპუტატი დაპატიმრებულ იქნა,მათ გარდა, ვინც მოასწრო მიმალვა. სასამართლო განაჩენი იყო მეტად მკაცრი: კაკი წერეთელს მიუსაჯეს ხუთი წლით საკატორღო პატიმრობა,მაგრამ ვინაიდან ის მძიმე ავად იყო, მასსა და მის მეგობარს-არჩილ ჯაფარიძეს-კატორღა შეუცვალეს ციხით. არჩილ ჯაფარიძე გარდაიცვალა ციხეში, წერეთელი კი დაბრუნდა აღმოსავლეთ ციმბირიდან ექვს-წელზე მეტი პატიმრობის შემდეგ.

კაკი წერეთელი ცხოვრობდა ირკუტსკის ახლოს ანგარაზე,სადაც მან თავის გარშემო შემოიკრიბა სოციალ-დემოკრატები,რომლებიც გადასახლებიდან დაბრუნდნენ და ომის დასაწყისში,1914 წლის დეკემბერსა და 1915 წლის იანვარში შესძლეს გამოეცათ თითო ნომერი ჟურნალებისა "ციმბირის ჟურნალი" და "ციმბირის მიმოხილვა",რომლებშიც ისევე დაგმობილი იყო ლენინის "პორაჟენცული",ე.ი.

დამარცხების მომხრეობის თეზისი, როგორც "უცილობლო თავდაცვის" თეზისი.

1917 წლის 19-თებერვალს კაკი წერეთელი ჩავიდა პეტროგრადში და უკვე მისი გამოსვლის შემდეგ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე 21-თ მარტს, რომელზედაც განხილულ იქნა ომისა და ზავის საკითხები, -ის გახდა რევოლუციური დემოკრატიის უმრავლესობის ლიდერი და ასეთად დარჩა ის მთელი თებერვლის რევოლუციის პერიოდში.

"მისი მთავარი ძალა გამოიხატებოდა იმაში, - წერდა ვ.ს.ვოიტინსკი მის მოგონებებში მეორე ტომში "გამარჯვებებისა და დამარცხებების წლები", რომელიც მიძღვნილია 1917 წლის ამბებისადმი - , რომ მან იცოდა, რაც მას სურდა, ჰქონდა განსაზღვრული გეგმა, სჯეროდა ის და შეეძლო ამ გეგმის შესაბამისად განესაზღვრა კონკრეტული საკითხები, რომლებსაც წამოაყენებდა თვით ცხოვრება".

"სხვებზე უკეთესად ხედავდა წერეთელი - წერს ბ.ნიკოლაევსკი -, რომ ლენინის პოლიტიკა გამოიწვევს სამოქალაქო ომს დემოკრატიის შიგნით, პოლიტიკური თავისუფლებების მოსპობას და ყველაზე უფრო სასტიკი ტერორის გამოყენებას, რომლის შედეგი იქნება დაჩაგრული მშრომელთა მასები".

1917 წლის 25 ოქტომბერს ბოლშევიკებმა, ლენინ-ტროცკის მეთაურობით, მოახდინეს გადატრიალება პეტროგრადში. წერეთელი, რომელიც ექიმების რჩევით კავკასიაში ისვენებდა, დაუყონებლივ დაბრუნდა პეტროგრადში და როგორც იქნა პირველად 1918 წლის 5-თ იანვარს მიაღწია დამფუძნებელი კრების თათბირის გახსნას, რომელზედაც ის გამოვიდა საპროგრამო სიტყვით ყველა არაბოლშევიკური პარტიების სახელით და, სხვათა შორის, თქვა, რომ -"...დამფუძნებელი კრება...ეს არის ხალხის ნებასურვილის უმაღლესი ორგანო...მოპოებული საუკეთესო თაობების სისხლით..." მაგრამ კაკი წერეთლის შეკითხვებს, რომლებიც მან 5-თ იანვარს წამოაყენა, ლენინმა გასცა ის პასუხი, რომ 6-ს იანვარს მიიღო დეკრეტი დამფუძნებელი კრების გაყრის შესახებ, ხოლო 7-ლ იანვარს ლენინმა დაწერა მისი "თეზისები სეპარატიული და ანექსიური ზავის ღადების საკითხზე", რო-

მელშიც ამტკიცებდა გერმანიის ზავის პირობების მიღების აუცილე-
ბლობას.

თებერვლის რევოლუციის თითქმის მთელ პერიოდში კაკი წერეთელი იყო საერთო-აღიარებული ლიდერი - ჯერ - პეტროგრადის მუშების და ჯარისკაცების დეპუტატების საბჭოსა, ხოლო შემდეგ საბჭოების სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა,რომელშიც ხელმძღვანელ როლს მაშინ თამაშობდა დემოკრატიული სოციალიზმის პარტიები - სოციალ-დემოკრატები(მენშევიკები) და სოციალისტ-რევოლუციონერები. 1917 წლის მაის-ივნისში კი კაკი წერეთელი იყო დროებითი მთავრობის წევრი.

ამგვარად, კაკი წერეთელმა მანამ, სანამ საბოლოოდ მთელი თავისი მალლონით ჩაებმებოდა დამოუკიდებელი საქართველოს შექმნა-განმტკიცების საქმეებში, - გაიარა ეკლიანი რევოლუციური გზა:

- ის არჩეულ იქნა მეორე სახელმწიფო დუმის დეპუტატად და შემდეგ დუმის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავჯდომარედ.
- ის იყო მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.
- დუმის გალევნის შემდეგ, 1907-ი წლის 3-მ ივნისს, მთელი თავისი ფრაქციის წევრებთან ერთად, დაპატიმრებულ იქნა და მიუსაჯეს კატორღა ციმბირში.
- 1912-ტ წელს ის განთავისუფლებულ იქნა,დაბრუნდა პეტროგრადში და გახდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი.

კაკი წერეთელი იყო აგრეთვე წევრი პირველი მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

- ის იყო ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი კოალიციურ დროებით მთავრობაში.
- ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, მეთაურობდა დემოკრატიულ ბლოკს დამფუძნებელ კრებაში.

აი ასეთი დიდი რევოლუციური და დემოკრატიული გამოცდილებით დაბრუნდა საბოლოოდ საქართველოში ირაკლი(კაკი)წერეთელი 1918 წელს,როცა საქართველოში გაცხოველებული მუშაობა წარმოებდა სა-

ქართველის სახელმწიფოებრივი ორგანიზმის შექმნა-განმტკიცებისათვის.

- 1917 წლის 19-ც ნოემბერს მოწვეულ იქნა საქართველოს ეროვნული ყრილობა,რომელიც 22-რ ნოემბერს ირჩევს ეროვნულ საბჭოს.

-1917 წლის 10-თ თებერვალს მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის სეიმი.

- 1918 წლის 9-ა აპრილს გამოცხადდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა,როგორც ფედერაციული რესპუბლიკა,რომელიც სომეხთა და აზერბაიჯანელთა უთანხმოების გამო მალე დაიშალა.

- 1918 წლის 26-ს მაისს კი გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ აქტით საქართველო, 117-ი წლის უცხო ბატონობის შემდეგ, გამოვიდა საერთაშორისო ასპარეზზე როგორც სუვერენული სახელმწიფო; და საქართველოს საერთაშორისო ცნობაში დიდი როლი ითამაშა ირაკლი წერეთელმა. ის არჩეულ იქნა,კარლო ჩხეიძესთან ერთად, საქართველოს წარმომადგენლად ვერსალის საზავო კონფერენციაზე, და დიდი როლი ითამაშა საქართველოს,როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, საერთაშორისო ცნობაში,რასაც მოყვა ის, რომ დამოუკიდებელი საქართველო მოკლე ხანში იცნო მსოფლიოს 22-მა სახელმწიფომ, მათ შორის ინგლისმა,საფრანგეთმა,იაპონიამ და თვით საბჭოთა რუსეთმაც კი.

მაგრამ საბჭოთა რუსეთმა და მისი მთავრობის მეთაურმა ვ.ი.ლენინმა დაარღვია საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7-ი მაისის ხელშეკრულება და, ომის გამოუცხადებლად, თავს დაესხა დამოუკიდებელ საქართველოს, და 1921 წლის თებერვალ-მარტში იარაღის ძალით დაიპყრო საქართველო დამოუკიდებელი საქართველოს ხალხის მიერ 1919 წლის დემოკრატიულ არჩევნებში არჩეული მთავრობა,ნოე ჟორდანიას მეთაურობით, იძულებული გახდა დაეტოვებია საქართველო,და ირაკლი(კაკი) წერეთელიც გახდა პოლიტიკური ემიგრანტი, რომელიც ყოველი ძალღონით ცდილობდა უცხოეთში საქართველოს, ქართველის ხალხის სუვერენული უფლებების აღდგენას. კაკი წერეთელს,კარლო ჩხეიძესთან ერთად, დააჩნდა ისეთი დიდი

ავტორიტეტი საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობაში, რომ იგიან-წლებში არა მარტო ევროპის, არამედ მსოფლიოს ყოველი კუთხის განსაკუთრებით სოციალისტური წრეები ღიად გამოდიოდნენ - პრესაში თუ მიტინგებზე - საქართველოს უფლებების დაცვისა და საქართველოს სუვერენობის აღდგენის მოთხოვნებით. (საფრანგეთის სოციალისტების ლიდერმა და პრემიერმინისტრმა - ლეონ ბლუმმა, მაგალითად, 1926 წლის 15-ტ ივნისს, სხვათა შორის, განაცხადა:

"...ქართველო ამხანაგებო, შეიძლება თქვენ ეჭვი შეგქონდათ, რომ ყველასაგან მიტოვებული ხართ, რომ ჩვენც, თქვენი მეგობარი სოციალისტები, შევურიგდით გაბატონებულ უსამართლობას, რომ ჩვენც უგულო ქვეყანასთან ერთად მოვისაზრეთ ქედი მომხდარი ფაქტის წინაშე. არა! ეს ასე არ არის! ჩვენ ისეთივე აღშფოთებით განვიცდით დღეს თქვენს უბედურებას, როგორც განვიცდიდით პირველ ხანებში; იცოდეთ, რომ ჩვენ, ფრანგი სოციალისტები არასოდეს მოვისრით ქედს თქვენს მიმართ ჩადენილი უსამართლობის წინაშე..."

და საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრისა და ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების საქართველოს უფლებების აღდგენის სასარგებლოდ გამოსვლებში დიდი როლი ითამაშა, საქართველოს სხვა გამოჩენილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, ირაკლი წერეთელმა, რომელსაც ჩვენ თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ სინდისი დემოკრატიული რევოლუციისა, ერთერთი ფუძემდებელი დემოკრატიული სოციალისტური წესყობილებისა, რის ნიმუში გახდა დამოუკიდებელი საქართველო 1918-21 წლებში.

ამიტომ წერდა, სხვათა შორის, ემილ ვანდერველდე, ბელგიის პრემიერ-მინისტრი, ბელგიის სოციალისტური პარტიისა და მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის ლიდერი, 1920 წლის ჟურნალ "ლე პეპლ-ში", რომელიც ბრიუსელში გამოდიოდა, შემდეგს:

"ომის წინა წლებში რომ დასმულიყო საკითხი მეგობრებში, თუ სად, ევროპის რომელ დიდ ქალაქში შეხვდებოდა პირველი სოციალისტური მთავრობა, ზოგი დაასახელებდა ლონდონს,ზოგი პარიზს,ბერლინს,სტოკჰოლმს თუ ბრიუსელს,მაგრამ ვინ იფიქრებდა საქართველოს სატახტო ქალაქზე - თბილისზე? მაშინ სწორედ ამ ქალაქში აღიმართა დროშა სოციალისტური და დაიწყო ნამდვილი დემოკრატიული წესყობილების მშენებლობა..."

ემიგრაციაშიც კაკი წერეთელი შეუდრეკელი ენერგიით განაგრძობდა ქართველი ხალხის სუვერენული უფლებების აღდგენისათვის მოღვაწეობას. მაგრამ განსხვავებით სამშობლოს მუხანათური დაპყრობისაგან დაკოდილი ბრძოლებისგან, რომლებსაც სურდათ საქართველოს

-"თავისუფლება დაუყონებლივ!""თავისუფლება დღესვე!", კაკი წერეთელი,როგორც ამას ჟურნალ "სოციალისტური აზრის" პირველ ნომერში(1961 წ.), მე-7 გვერდზე ,ვკითხულობთ,

"...ემიგრაციაში მოთმინებას ქადაგებდა..."

"...ირაკლი ხედავდა ჩვენი მართალი საქმის შორეულ და უტყუარ მოკავშირეს: ეს იყო,მისი ღრმა რწმენით, მსოფლიოში სამართლიანობის იდეების გამარჯვება და დემოკრატიის გაძლიერება," თუმცა იმასაც აღიარებდა, რომ "ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია".

50-ან წლებში, ირაკლი(კაკი) წერეთელი მიწვეულ იქნა ნიუ-იორკში კოლუმბიის უნივერსიტეტში იმ მიზნით, რომ მას დაეწერა მოგონებები 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შესახებ; და,მართლაც,1963 წელს გამოქვეყნებულ იქნა მისი ორ-ტომიანი "მოგონებები თებერვლის რევოლუციაზე",რომელშიც ის აღწერს ქართველი ხალხის ბრძოლის ამბებს/საქართველოს თავისუფლების მოპოვების საქმეში. ირაკლი წერეთლის ეს "მოგონებანი თებერვლის რევოლუციაზე",უთუოდ, არის დოკუმენტი იმისა, თუ როგორ მოხდა რუსეთში დემოკრატიული წესყობილების განადგურება ბოლშევიკების მიერ,ლენინის ხელმძღვანელობით. ამგვარად, დემოკრატია რუსეთში მოსპო შინაგან ძალებმა,

ლენინის მეთაურობით. საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატია საქართველოს სუვერენობა,რომელიც მთელი ქართველი ხალხის ნებასურვილს ეყრდნობოდა, უცხო ძალამ გაანადგურა, და აი ამ უცხო ძალის აღკვეთისათვის იღწვოდა ირაკლი(კაკი)წერეთელი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე.

და-ბოლოს ისიც გვსურს ავღნიშნოთ, რომ კაკი წერეთელს არა ერთი ლექსი აქვს დაწერილი,რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა ქართულ პრესაში უცხოეთში. ერთი ლექსი,მაგალითად, მან დაწერა 1914-ტ წელს, რომელიც გამოქვეყნებულია 1914-ი წლის 5-ი მარტის გაზეთში "აზრი". ამ ლექსის სათაურია "ბრძოლა" და მიძღვნილია ამავე სახელწოდების ჟურნალის პირველი ნომრის გამოცემისადმი 1914-ტ წელს. ამ ლექსში გამოსჭვივის ირაკლი წერეთლის პოლიტიკური მრწამსიც.
აი ეს ლექსიც:"ბრძოლა":

ვით პირველ მერცხალს გაზაფხულისას,
ვით განთიადის პირველ ტოროლას,
იმედით გულში და თანაგრძნობით
ჩვენ ვეგებებით შორიდან „ბრძოლას".

დღეს პირველათა ჩვენს ქვეყანაში
გაისმა სიტყვა თავისუფალი
და მაგ ძლიერ ალს ერთხელ ანთებულს,
აწ ვერ ჩააქრობს ვერარა ძალი.

ვინც უნდა იყვეთ, მხნე მეომარნო,
მიიღეთ ჩვენგან სალამი ძმური:
თქვენ დასცით ჩვენში ბრძოლის ნაღარა,
თქვენ პირველობა გხვდათ საამური.

მსოფლიო ომში, სადაც სიბნელეს
მედგრადა ებრძვის ძალა ნათელი,
თქვენ ჩაერიეთ უშიშრად, ძმებო
და შეიყვარეთ რაზმი ქართველი!

ადრე თუ გვიან, — ვული მისია,
და ის დარჩება ომში მძლეველად,
ვის დიად საქმეს მშრომელთა ოფლი
უდევს საფუძვლად შეურყეველად.

და იმ დღეს, როცა თავისუფლების
ქვეყნად ცხოველი მზე გაბრწყინდება,
ჩვენს მშრომელ ხალხსაც ბრძოლით ნაყიდი
სიცოცხლის სხივი დაეფინება.

ირ. წერეთელი.
„აზრი", 5 მარტი, 1914 წელი.

წამყვანი: ეს იყო ჩვენი სპეციალური გადაცემა ირაკლი(კაკი)წერეთლის გარდაცვალებიდან 20-ი წლისთავის შესრულების გამო.

ლაპარაკობს რადიო თავისუფლება!..

==================================

ქართული რედაქცია-რადიო"თავისუფლება"

დავით თაბორიძე

## გიორგი გვაზავა

**წამყვანი:**

ცნობილი ქართველი იურისტი და საზოგადო მოღვაწე - გიორგი გვაზავა.

**დიქტორი:** გიორგი გვაზავა დაიბადა 1869 წლის 23 აპრილს ნაქალაქევში და გარდაიცვალა 1941 წლის 21 იანვარს პარიზში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ, ის სწავლობდა - ჯერ - მოსკოვის უნივერსიტეტში, სადაც მან იურიდიული ფაკულტეტი "ოქროს მედლით" დაამთავრა; შემდეგ კი იმავე დარგზე სწავლობდა პარიზის უნივერსიტეტში.

გიორგი გვაზავა ახალგაზრდობიდანვე ჩაება საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მუშაობაში. 1905-თ წელს მან დაარსა ეროვნული პარტია, რომლის მიზანი იყო,როგორც ყოველი პოლიტიკური პარტიისა და დაჯგუფებისა იმ დროს, ეროვნული თავისუფლების მოპოება. 1907 წელს, გიორგი გვაზავამ შეადგინა დეკლარაცია ვარლამ ჩერქეზიშვილთან ერთად,რომელზედაც ხელი მოაწერეს 5.000-ზე მეტმა კაცმა და წარუდგინა ჰააგის კონფერენციას. ამ დეკლარაციაში ის მოითხოვდა მეფის რუსეთის მთავრობიდან 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატის დებულებების ცხოვრებაში გატარებას,ტრაქტატისა,რომელიც დადებულ იქნა მეფე ერეკლე მეორესა და იმპერატრიცა ეკატერინა მეორეს [illegible] 1909 წელს კი გიორგი გვაზავამ თბილისში დაარსა ჟურნალი "საქართველოს აზრი" რუ-

სულ ენაზე,რომელშიც ქვეყნდებოდა მასალები საქართველოს ცხოვრების სხვადასხვა მხარეებზე, განსაკუთრებით კი ეროვნულ საკითხზე. ამ წლებში გიორგი გვაზავამ იმოგზაურა ევროპაში და ჩეხოსლოვაკიაში დაესწრო სპორტიული საზოგადოების "შევარდენის" ვარჯიშობას,რომლის შესახებ შემდეგ მან დაწერა სტატია,რომელშიც გატარებული იყო აზრი, თუ როგორ ემზადებოდნენ ჩეხი ახალგაზრდები ავსტრიის ბატონობისაგან განსათავისუფლებლად, და ამ მიზნის მიღწევისათვის იყენებდა სპორტულ საზოგადოებასაც. ამავე დროს გიორგი გვაზავა მოუწოდებდა საქართველოს ახალგაზრდობას ანალოგიური საზოგადოების დაარსებისაკენ. მისმა ამგვარმა მოწოდებამ კი გამოიწვია მეფის ხელისუფლების რეპრესია და გიორგი გვაზავას მიუსაჯეს ერთი თვით თავისუფლების აღკვეთა, და სასჯელის მოსახდელად მოათავსეს მეტეხის ციხეში. მან ეს ერთი თვით ციხეში ჯდომა გამოიყენა იმისათვის, რომ თარგმნა ძილი ბერძენი ტრაგიკოსის - სოფოკლეს - ტრაგედია "ანტიგონე" ქართულ ენაზე. ციხიდან გამოსვლისთანავე გიორგი გვაზავა ისევ მთელი თავისი არსებით ჩაება საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში, განსაკუთრებით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა პერიოდსა და საქართველოს დამოუკიდებლობის დროს.

სხვათა შორის, შეადგინა
გიორგი გვაზავამ, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტი , რის შესახებ საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე - ნოე ჟორდანია - აი რას წერს თავის მოგონებაში "ჩემი წარსული",რომელიც დაიბეჭდა პარიზში 1953 წელს:

"საჭირო იყო დამოუკიდებლობის აქტის შედგენა და მიღება ეროვნულ საბჭოში. გამოვყევით კომისია ჩემთან ერთად სამუშაოდ ამ საკითხში. მე ვთხოვე კომისიის წევრს გიორგი გვაზავას შეედგინა პროექტი, როგორც იურისტს და მოეტანა ჩემთვის. მან შეადგინა, წავიკითხე,გავოცდი. სწორ,ნაციონალურ დებულებათა გვერდით იყო წამოყენებული სოციალური რეფორმების დებულებანი: რვა საათის სამუშაო დღე, მამულების კონფისკაცია და სხვა. მე ასეთი მუხლები [illegible] ადგილოთ; საჭირო

იყო ერთი ყველა ქართველისათვის მისაღები ნაციონალური პლატფორმა, საიდანაც უნდა გამორიცხოს ყველა გამთიშველი ელემენტები. ამ აზრის თანახმად შევასწორე პროექტი, ამოვაგდე იქიდან ყველა კლასობრივი ხა-სიათის მუხლები, დავტოვე შესწორებით მხოლოდ ნაციონალურ-პოლიტიკური ხასიათის. ახლ შესწორებული წაუკითხე კომისიას. გიორგი გვაზავას ხმა არ ამოუღია; მასზე დავინახე განცვიფრების და კმაყოფილების ბე-ჭედი. ალბათ ფიქრობდა - ეს საციმბირო რევოლუციონერი ჩემზე უფრო ზომიერი აღმოჩნდაო. არ გაემტყუნება, რაც გვიცნობდა. ამ ნაირად დეკლარაცია შემუშავდა, რაიცა მე წავიკითხე 26 მაისს და გადაიქცა ჩვენი თავისუფლების ძირითად ქარტიად. იშვა 26 მაისი."

ახლ წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული" გიორგი გვაზავას შესახებ, რომლის შედგენა კალამს ეკუთვნის საქართველოს დამო-უკიდებლობის აქტის პროექტისა.

დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის შემდეგ წითელი არმიის მიერ 1921 წლის თებერვალ-მარტში, გიორგი გვაზავაც იძულებული გახდა, საქართველოს სხვა ცნობილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, დაეტოვებინა საქართველო და თავი შეაფარა საფრანგეთს. უცხოეთში გიორგი გვაზავამ გააჩაღა მუშაობა საქართველოს უფლებების აღსადგენად. მან დაარსა, მაგალითად, ჟურნალი "პრომეთე", რომელიც გამოდიოდა ფრანგულ ენაზე და რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი სხვა ერების წარმომადგენლებიც. ამავე დროს გიორგი გვაზა-ვა განაგრძობდა კულტურული ხასიათის მოღვაწეობას; თარგმნა ქართულად რასინის "მითრიდატი", 1934 წელს დაწერა ფრანგულ ენაზე ბროშურა სა-თაურით "მხოლოს პირისპირ", თარგმნა ფრანგულად ლექსი "როსტომელა", დაარსა ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირი საფრანგეთში, დაარსა აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციის - "ერთა ლიგის" - დამ-ხმარე საზოგადოება იმ მიზნით, რომ ამ ინტერნაციონალურ ორგანიზა-ციაში არ ჩამქრალიყო საქართველოს უფლებების დაცვის საკითხი.

გიორგი გვაზავა, აგრეთვე, თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად

თვლიდა უცხოეთშიაც განეგრძო ერთგული სამსახური საქართველოს ხელმძღვანელობის ქვეშ. ეროვნული მთავრობისა და პირადათ ნოე ჟორდანიას         ომლის დროს მის დიდ იურიდიულ ცოდნასა და გამოცდილებას იყენებდა ჩვენი ერის, საქართველოს სამსახურისათვის. და აი სწორედ მისი მოღვაწეობის ამგვარ         ფერხულში იყო ის ჩაბმული, როცა 72-ი წლის ასაკში გარდაიცვალა პარიზში.

ამგვარად, გიორგი გვაზავამ, საქართველოს სხვა გამოჩენილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, პირნათლად მოიხადა თავისი ვალი საქართველოსა და ქართველი ერის წინაშე. ის იყო მეტად გულკეთილი, პირდაპირი, დაუღალავი და დიდი ნებისყოფის ადამიანი, როგორც საზოგადოებრივ, ისევე მის პირად, ოჯახურ ცხოვრებაში.

სხვათა შორის, გიორგი გვაზავამ - მისი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გვერდით - 1939 წელს გამოსცა კრებული -"ჩემი ლექსები". ამ კრებულიდან მსურს გაგაცნოთ გიორგი გვაზავას ლექსი "გუშაგი". აი ეს ლექსიც:

**გ უ შ ა გ ი**

(ილიას ხსოვნას)

ადგა მონა და შურდული
ხელში აილო ნელა მან.
საქმე მას უყვარს ქურდული,
თავი მით ისახელა მან.

ჰნახა, ლაჟვარდი ჰბრჭყვიალებს,
შიგან არწივი ჰტრიალებს,
თითქო მიჰქონდეს სიოსა;
მთებსა დაჰყურებს, ბარებსა,
ჰდარაჯობს, მშობლიურ ზღვარებსა
მტერი არ შეესიოსა.

არწივს ესროლა მონამა,
სისხლის ღვარითა მონამა
ველი სამშობლო მხარისა.

ლაჟვარდი ისევ ჰბრჭყვიალებს,
მაგრამ იქ არა ჰტრიალებს
გუშაგი მთა და ბარისა.

გეხაუზრებოდათ დავით თაზორიძე!..

===============================

ქართული რედაქცია - რადიო"თავისუფლება"

ავტორი,დიქტორი: დავით თაბორიძე

## აკაკი ჩხენკელი:

დღეს გესაუბრებით, პატივცემულო მსმენელებო, ცნობილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის - აკაკი ჩხენკელის - ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე:

აკაკი ჩხენკელი დაიბადა 1874 წელს დაბა ხონში;
გარდაიცვალა 1959 წელს,და დაკრძალულია ლევილში.მამამისი იყო მღვდელი, და გაბრიელ ეპისკოპოსმა გადაიყვანა საქართველოს ეკლესიის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში; მაშინ აკაკი იყო 8-ა წლის.მისი ძმა კიტა ჩხენკელი, დაიბადა აფხაზეთში. მან საშუალო სკოლა დაამთავრა წარმატებით, და სასწავლებლად წავიდა დასავლეთ ევროპაში. მან,შვეიცარიაში სწავლის შემდეგ, იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა გერმანიაში, და შემდეგ - 1909 წელს - თავისი მეუღლითურთ დაბრუნდა საქართველოში.

მაშინ საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის გაზეთი იყო "თანამედროვე აზრი",რომლის მთავარი რედაქტორი იყო ლადო ახმეტელიშვილი, რომელიც იმ დროს დააპატიმრეს პოლიტიკური მოღვაწეობისათვის, და გაზეთის მთავარი რედაქტორობა გადაიბარა აკაკი ჩხენკელმა. მაშინ, - მოიგონებს საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის ერთერთი მოღვაწე ვალიკო ჩუბინიძე , - მაშინ ჩვენი უფროსი თაობის თითქმის ყველა წარმომადგენელი დაპატიმრებულნი იყვნენ; მხოლოდ სილიბისტრო ჯიბლაძე დარჩა თბილისში და ნოე ჟორდანია ლანჩხუთში, რომელსაც ლანჩხუთიდან გასვლის უფლება არ ჰქონდა. ერთხელ დამიბარა ნოე ჟორდანიამ ლანჩხუთში, ჩაველი იქ და მან გამატანა მასალები გაზეთ "თანამედროვე აზრის" პასუხისმგებელ რედაქტორ აკაკი ჩხენკელთან თბილისში. მეორე დილით ჩაველი თბილისში,მივედი ბატონ აკაკისთან ბინაზე, მოსკოვის ქუჩა 22-ში. სახლში დამხვდა აკაკის მე-

უღლე მაკრინე და მაცნობა, რომ აკაკი ამ დილით დააპატიმრეს და წაიყვანეს მეტეხის ციხეში. წადი მალე          აქედან, რომ შენც არ დაგიჭირონ . პოლიციელებმა მთელი სახლი გაჩხრიკეს და ყველა ხელნაწერი, წერილები გაიღესო.

მეორე დღეს, მოგვითხრობს შემდეგ ვალიკო ჩუბინიძე, – წავედით ქალბატონი მაკრინე და მე მეტეხის ციხეში, მივუტანეთ აკაკის საცვლები და საჭმელი, მაგრამ ის იქ არ დაგვხვდა. გვითხრეს, რომ მეფისნაცვლის კანცელარიაში წაიყვანეს დასაკითხავადო , თუ მოიცდით ისევ მოიყვანებენ უკან აქ. მართლაც ჩვენ მოვიცადეთ და დაახლოებით ორ საათზე აკაკი ჩხენკელი და კალისტრატე გოგუა, ერთმანეთზე გადაბმული, მოიყვანეს ისევ მეტეხის ციხეში. ქალბატონ მაკრინეს უფლება მისცეს გამოსაუბრებოდა მის მეუღლეს და აკაკიმ აცნობა, რომ მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორმა – პარტერონმა – ის დაკითხა, უთხრა, რომ მას არაფერში ბრალს არ დებენ, მაგრამ არასაიმედო ქართველი, ევროპიდან მოსული ქართველი სოციალისტი ორი წლით გადასახლებული ხართ როსტოვშიო. მართალია, – მოიგონებს შემდეგ ვალიკო ჩუბინიძე, – ბატონი აკაკი და ქალბატონი მაკრინე გადაასახლეს როსტოვში, მაგრამ იმავე 1910 წელს გაზეთებმა დაიწყეს წერა, რომ უნდა მოხდეს მეოთხე დუმის, ე.ი. სათათბიროს დეპუტატების არჩევნებიო, და ნოე ჟორდანიამ წამოაყენა აკაკი ჩხენკელის კანდიდატურა ბათუმის, სოხუმისა და ყარსის ოლქების საარჩევნო უბანში. ეს გადაწყვეტილება როსტოვში აცნობეს აკაკის და ის ჩუმათ ჩამოვიდა, თავისი მეუღლესთან ერთად, ბათუმში, სადაც ნოტარიუსს დაამოწმებინა, რომ ის არის დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებული, რის შემდეგ ის მართლაც არჩეულ იქნა დეპუტატად, რაც მას მიულოცა ბათუმის ქალაქის თავმაც და მას გადასცეს "ხელშეუხლებლობის საბუთი", როგორც ეს გააჩნდათ ყველა არჩეულ დეპუტატს. ამის შემდეგ, აკაკი ჩხენკელი, 1911 წლის ნოემბერში, ჩამოვიდა თბილისში.

აკაკი ჩხენკელი იყო და დარჩა დაუღალავი მებრძოლი ერისა და პირო-ვნების თავისუფლებისათვის როგორც რუსეთის მთელი იმპერიის, ასევე მთელი კავკასიისა და, რა თქმა უნდა, საქართველოს მასშტაბით, რომლის დროს მან განსაკუთრებული სახელი მოიხვეჭა უკრაინაში მცხოვრები უბრაელობის უფლებების დაცვის საქმეში. პირველი მსოფლიო ომის დროს, 1914 წელს, სოციალდემოკრატიული პარტიის ფრანქციის დადგენილებით, სამხედრო ხარჯების წინააღმდეგ მისცა ხმა, რაც აკაკი ჩხენკელმა დაასაბუთა თავის სიტყვაში. ამ დროს დუმის, ე.ი. სახელმწიფო სათა-თბიროს მამასახლისმა გარეკა სათათბიროს დეპუტატები, მაგრამ აკაკი ჩხენკელი მაინც იჯდა თავის სავარძელში. მამასახლისი მას თავზე დაადგა და უბრძანა დაეტოვებია დარბაზი. მაშინ აკაკი ჩხენკელმა უპასუხა, რომ "ძალას ვემორჩილები!" ამ მოვლენამ დიდი გამოძახილი გამოიწვია მაშინ სახელმწიფო დუმის გარედაც, დემოკრატიულ პრესაში.

1917 წლის თებერვლის დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, აკაკი ჩხენკელი უმთავრესად მოღვაწეობდა საქართველოსა და კავკასიის მას-შტაბით. და როცა 1917 წლის ოქტომბერში რუსეთში მოხდა ბოლშევი-კური გადატრიალება, ამიერკავკასიაში დემოკრატიულმა პარტიებმა და ძალებმა არ სცნეს ბოლშევიკური რეჟიმი, და 1917 წლის 11-ტ ნოემბერს შესდგა თათბირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თბილისის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, ქალაქის სათათბიროს გამგე-ობამ, კავკასიის არმიის სარდლობამ, სამხარეო საბჭოებმა და ე.წ-ლმა "ოზაკომმა" და გადაწყდა ამიერკავკასიის მთავრობის შექმნა, ამიერ-კავკასიის კომისარიატის სახელწოდებით. მთავრობის თავჯდომარეთ არჩეულ იქნა ევგენი გეგეჭკორი, ხოლო მთავრობაში შეყვანილ იქნა აკაკი ჩხენკელი=

ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის შემდეგ, როცა 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, აკაკი ჩხენკელი გახდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი . მაგრამ როცა ნოე რამიშვილის მთავრობა, იმავე წელს, შეცვალა ნოე ჟორდანიას

მთავრობამ, აკაკი ჩხენკელი დანიშნულ იქნა დამოუკიდებელი საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად პარიზში, და ამ პოსტზე დარჩა ის 1933 წლამდე, ე.ი. სანამ საფრანგეთის მთავრობა ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას, თუმცა დამოუკიდებელი საქართველო, როგორც ცნობილია, საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის თებერვალ-მარტში დაიპყრო. საფრანგეთ-საქართველოს ურთიერთობის ეს პერიოდი განსაკუთრებით საყურადღებოა იმით, რომ საფრანგეთის ყველა დემოკრატიული პარტია და მთავრობა არ სცნობდენ საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის ფაქტს, და საქართველოს ელჩი აკაკი ჩხენკელი, როგორც ავღნიშნე, 1933 წლამდე საქართველოს ელჩად ითვლებოდა პარიზში, რის შესახებ დიდი დავა წამოიჭრა საფრანგეთის დემოკრატიულ პარტიებსა, რომელბიც საქართველოს დამოუკიდებლობას იცავდენ და არ ცნობდენ რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის ფაქტს, და საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას შორის, რომელიც რუსეთის იმპერიის დამცველის როლში გამოდიოდა.

აქვე გაგაცნობთ, პატივცემულო მსმენელებო, აკაკი ჩხენკელის სიტყვას, რომელიც მან წარმოსთქვა თბილისში, 1(18 წლის 26 იანვარს - ძველი სტილით -ე.ი.8 თებერვალს - ახალი სტილით - საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელით, წარმოსთქვა თბილისის უნივერსიტეტის საზეიმო გახსნაზე. მან, სხვათა შორის, თქვა:

> 26 იანვარს 1918 წელს მე მხვდა წილად გამეხსნა ჩვენს დედა - ქალაქში, საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელით, პირველი ქართული უნივერსიტეტი. ჩემთვის ძვირფას მოგონებაა, რომ [illegible] ამ დღეს თავმჯდომარეობდა [illegible]

ან. მახლოვს მხოლოდ არაჩვეულებრივი მღელვარება. გულის - ტოკვა. რომელიც განვიცადე.

და განა მარტო მე! ამავე განცდას ალბათ ამოიკითხავდით სხვა დამსწრეთა სახეზედ. დიდი იყო მათი რიცხვი.

ხალხს ვერ იტევდა სახეიმო დარბაზი. ვერც განიერი დერეფნები. თვით ეზოში ბევრი კანკალებდა სიცივისაგან. ამიტომ ენა უადგილობით განწირულებულ ხალხს სხვა არ დარჩენოდა რა, გარდა იმისა, რომ ბანი დაეწია დარბაზიდან მიღებულ ვაშა - ტაშისთვის.

საყურადღებოა, გარდა მოსწავლე ახალგაზრდობისა, ბლომათ იყო დაბალი ხალხი: მუშა, ხელოსანი, ვაჭარი... უკანასკნელნი სჯარბობდნენ კიდეც პირველს. რაც შეეხება პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთ, მათ შორის არ სჩანდნენ ოფიციალური პირები. აღსანიშნავია მხოლოდ ჩვენი მეზობლების დელეგაციები, რომელთაც მისალოცი სიტყვები წარმოთქვეს.

ჩვენ ეხსნილით, ასე ვთქვათ, კერძო უნივერსიტეტს; მას კიდევ არ ერქვა „სახელმწიფო." რადგან უკანასკნელი მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ გაჩნდა. ეროვნული ყრილობა შესდგა ნოემბერს 1917 წელს, რომლისგან იშვა თვით ჩემი გამომგზავნი ეროვნული საბჭო, გარდაქმნილი, 26 მაისის შემდეგ, საქართველოს დროებით პარლამენტად. არსებობდა, ამის გარდა, საქართველოს დამოუკიდებელი ეკლესია, რომლის მეთაური, აწ განსვენებული კათალიკოზი კირიონი, პირადათ დაესწრო უნივერსიტეტის გახსნას.

მაგრამ ყველა ეს ჯერ კიდევ არ იძლეოდა საკმაო საბუთს, რომ საქართველოს ხმამაღლა ეთქვა თავისი გულის - ნადები. თავის საკუთარ მიწა-წყლის ბატონპატრონად გამოეცხადებინა. ბევრი იყო ამისათვის დაბრკოლება და პირველ რიგზე უაღრესათ მტრული განწყობილება ქართული ელემენტებისა ჩვენი ქვეყნის რუსეთისაგან გამოცალკევების მიმართ

გამოცალკევება რაა, თვით უნივერსიტეტის დაარსებაც ყოვლად მიუღებლად ჩაგვითვალეს! მე მოწმე ვიყავი, რა პაპან-წყვეტა განიცადეს ივ. ჯავახიშვილმა და მისმა ვიწრო ჯგუფმა სანამ მიზანს მიაღწევდნენ. თუმცა რევოლუციის პირველ ხანაში, მაშასადამე, თითქოს სრული თავისუფლების ფრთების ქვეშ, უნივერსიტეტის, თუ გინდ კერძოსი, ნებადაურთველად გახსნა ყოვლად შეუძლებელი იყო. ძველი რეჟიმის ადათი ჯერ კიდევ განაგრძნობდა თბილისში. სადაც დაგროვილი იყო დიდძალი რუსის ჯარი და თავს იყრიდენ უამრავი დელეგატები ანატოლიის ფრონტიდან: საკმარისი იყო უბრალო წახისინება, რომ ძველი ერი კანონის გარეშე გამოეცხადებინათ, და ხამედროვეეთ ახსოვთ, როგორი შიშის ქვეშ მუშაობდა რე-

ნი ეროვნული საქმეც; ის არალეგალური იყო დასაწყის-
ში და მისი წევრები კიდეც უარობდნენ, გარეშეთა წინა-
შე მასში მონაწილეობას...

ვისთვის უნდა მიემართნა ი. ჯავახიშვილს ნებართვისათ-
ვის? ოზაკომისათვის, რა თქმა უნდა, რომელიც პატრებ-
და პეტროგრადის დროებითი მთავრობის ძალაუფლებას
ამიერკავკასიის ფარგლებში. მასში შედიოდნენ: თითო
წარმომადგენელი სომხებისა და აზერბაიჯანელებისაგან,
ორი ქართველებისაგან და თავმჯდომარედ რუსი იყო
დანიშნული. ეგზარქოსმა განსვენებულ კიტა აბაშიძეს გა-
ნათლების დარგი ჰქონდა მინდობილი; უნივერსიტეტის საქ-
მეც მას ეკუთვნოდა, მაგრამ მოგეხსენებათ, იმავე ძველი
ადათით, შინაგან საქმეთა მართველსაც ცოტა რამ ეკით-
ხებოდა ამ საქმეში, და ეს კი მე გახლდით. უადგილო არ
იქნება აქვე შევნიშნო, რომ კიტა უამისოთაც ნაბიჯს არ
გადადგამდა უჩემოთ, რადგან ჩვენ თავიდანვე სოლიდა-
რულათ ვმუშაობდით.

ოზაკომმაც განიხილა ჯავახიშვილის შუამდგომლობა.
უნდა ითქვას, განხილვამდე კაი ძალი ცვლილებათა შეტა-
ნა დაგვჭირდა უნივერსიტეტის წესდებაში. ეს ხდებოდა,
ასე ვთქვათ, ჩვენს წრეში, ჯერ კიდევ განათლების უწყე-
ბის, ჰერ - ქვეშ. ოზაკომის არა ქართველი წევრები მეგო-
ბრულათ არ შეხვდნენ ჩვენ განზრახვას, თუმცა გარე-
გნულად არ იმჩნევდნენ ამას. მათ დააყენეს მეორე კითხვა,
რომელსაც უნდა ჩაეშალა, არა პირდაპირ, საქმე. ძველი
რეჟიმის მიწურულში, როგორც მოგეხსენებათ, ნებადა-
რთული იქნა უნივერსიტეტის გახსნა თბილისში მთელ
კავკასიისათვის. კოლეგებმა გამახსენეს თუ რამდენი ბრძო-
ლა დაგვჭირდა იმისათვის დუმაში... „ძლივს ეღირსეთ იმ
დროს - ამბობდნენ ისინი, - როცა ჩვენ თვითონ მოვცეც
საშუალება ამ დიდი ხნის წადილის განხორციელების, ჩვე-
ლიც ვადადებულია. საცაა საქმეს უნდა შევუდგეთ და თქ-
ვენ კი ქართული უნივერსიტეტის გახსნის კითხვას გვიყე-
ნებთ!" ისინი განმარტავდნენ, რომ რუსული უნივერსიტეტი
კავკასიის ერთა ინტელექტუალური ძალების გამაერთია-
ნებელ ცენტრად იქცეოდა. მაშინ როდესაც ქართულ-
სომხური, თათრული უნივერსიტეტები უფრო მათი გათიშ-
ვის ბუდეებად გახდებოდნენ. თითქოს მომენტიც ამართ-
ლებდა მათ აზრს: უკვე დაწყებული იყო შუღლი და ბრძო-
ლა სომეხ - თათართა შორის. მარტო ამითაც არ განისაზღ-
ვრებოდა მათი არგუმენტაცია: უნივერსიტეტის გახსნა
ხომ ასე ადვილი არ არის - ამბობდნენ ისინი ძლიერ თავა-
ზიანად. — მას ესაჭიროება, გარდა ათასგვარი ტექნიკური
მოწყობილობისა, პროფესორ - მეცნიერთა მთელი რიგი,
აბა სად შეიძლება ასე ნაუცბადევად ყველა ამ ნაკლის
შევსება?"

ეს უკანასკნელი მოსაზრება, თუ წარმოიდგენთ, ბევრი
ქართველისაგანაც გამოვიდა! ჩვენი მეცნიერული ძალები
ისე იყვნენ დაფანტული რუსეთის სხვა და სხვა მაღალ სას-

წარეპლებში, რომ მხოლოდ რჩეულთ, თუ შეეძლოთ განესაზღვრათ მათი რაოდენობა და ღირსება. ამ მხრივ იოანე ჯავახიშვილის დარბაისლური მეკიცხვანი, მისი შეურყეველი რწმენა, რომ სიტყვას საქმედ აქცევდნ.

საკმაო თავდები იყო ჩვენთვის, რომ გავეტაცებინეთ მის იდეას და სულით შევეწყო შეძლებისდაგვარად.

ბოლოს ინაკომმა მაინც მოგვცა თავისი დასტური და მოიწონა წარმოდგენილი წესდება. სხვაგვარ შეუძლებელი იყო, ერთი იმიტომ, რომ უარის თქმა კიდევ უფრო აუხსნიდა ერთა მეგობრულ განწყობილებას, რომლისათვის თითქოს ზრუნავდნენ, და მეორეც იმიტომ, რომ რევოლუცია, როგორც იციან, ჩვენს მხარეზე იგულისხმებოდა. ესე მე წარმოვადგენდი ამიერ-კავკასიის უმაღლეს ორგანოში და მქონდა საამისო მანდატიც, როგორც პეტროგრადის, ისე თბილისის საბჭოებისა. ჩვენ შორის წაგვეიყვანდა მოითხოვა იმის შესახებ რას მაკისრებდა ან როგორ ვასრულებდი მე ამ მანდატს; შევნიშნავ მხოლოდ, რომ ამა თუ იმ სათაქიზო კითხვის გადაჭრის დროს, განსაკუთრებული ყურადღებით ისმენდენ ჩემს დასკვნას, ვინაიდან, ჩემს ზურგს უკან რევოლუცია ეგულებოდათ.

კიტა აბაშიძე ძმოზე ავათ იყო ის სახალ და ისე ჯარიცვალა, საუბედუროდ, რომ არც კი დაპირუნებია თავის თანამდებობას ინაკომში. ამის გამო განათლების უწყებაც მე დამეკისრა და მქონდა, მაშასადამე, უშუალო დამოკიდებულება უნივერსიტეტის ინიციატორებთან. უკანასკნელნი არ იყვნენ შეკრულნი წესდებით. უნივერსიტეტის საბჭო აღჭურვილი იყო ავტონომიის უფლებით; მაგრამ, ვინაიდან ჩვენ ვცხოვრობდით რევოლუციის ხანაში, ხშირად ნაბიჯის გადადგმაც არ შეიძლებოდა ზევიდან ჩაურევლად. მახსოვს მაგალითად, რამდენი მეცადინეობა დაგვჭირდა, რომ უნივერსიტეტის შენობიდან გაგვეყვანა ჯარის ერთი ნაწილი, რომელიც იქ მოკალათებული იყო „რევოლუციური გზით."

ამასობაში აგვისტო დადგა და მე გავემგზავრე მოსკოვ-პეტროგრადს ჯერ სახელმწიფო, მერმე დემოკრატიულ კრილობებზე დასასწრებათ, პირველზე ინაკომის, მხოლოდ მეორეზე ეროვნული საბჭოს სახელით. სექტემბრის დამლევს მოხდა კორნილოვის გამოსვლა და თბილისში ამის პასუხად ინაკომის ნაცვლად კომისარიატი დაარსეს, რომელშიც მეც შევდიოდი. კიდევ ცოტა ხანი და მოხდა ბოლშევიკური გადატრიალება, რის გამო ამიერ - კავკასია მთლად ჩამოსცილდა ფაქტიურად ყოფილ რუსეთს.

მეჯლისის კორიდორებში, თავისთავად (ქალდა, ჩვენც უფრო გატაცებით, ახალგაზრდა ნაციონალური საზოგადოებაც ერის სახელზე (თავად ამხანაგობის შემოწირულება), რომელიც სასწრაფოდ დაუყოვნებით თავის ეროვნული ყრილობის მოწვევის და ილია და სხვა... ეროვნული საქმეები შეღვაწლი აღნიშნულ ცდილებათა ის იყო, რომ სიმძიმის ცენტრი თან და თან ეროვნულ საბჭოსაკენ გადადიოდა; ჯავახიშვილმა და მის მეგობრებმაც საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიმართეს და ითხოვეს, ასე ვთქვათ, მისი ლოცვა-კურთხევა, რაც მათ ერთხმად მიიღეს. ეს უკვე იყო საბჭოური სახელმწიფო აქტი, რომლის სიმბოლური გამოხატულება უნივერსიტეტის, ეროვნულ საბჭოს სახელით, გახსნაში დავინახეთ.

მე ვქონდა ბედნიერი შემთხვევა დავსწრებოდი, როგორც ერთი მრავალთაგანი, ჩვენი უნივერსიტეტის სამი წლის თავს, იანვარს 1921 წელს, მოსმენილმა ანგარიშებმა გადაგვიშალა ისეთი მდიდარი და მრავალ ფეროვანი სურათი უნივერსიტეტის ზრდისა და განვითარების, რომ 1918 წელში გამოთქმული იმედები სასიამოვნოდ არ გაცრუებულა. და თუ რაიმეზე მწუხარებდა ყველა გული, — ეს იმაზე, რომ ერთხელაც ვერ მოვასწარით, მოვესწრებოდით გამოირებითი მისწრაფებისა, დამოუკიდებელ საქართველოში ერთი წლის ყოფნის დროს, ქართულ ლექციებზე დასწრება.

აი აკაკი ჩხენკელის მოგონება თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისა და საზეიმო ვითარებაში გახსნის შესახებ 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, - ძველი სტილით -, ე.ი. 8-ა თებერვალს - ახალი სტილით.



თბილისის უნივერსიტეტის ემბლემა

## რამსეი მაკდონალდი დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ

უცხოელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ: როცა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, საქართველოს მთავრობამ დაპატიჟა საქართველოში ცნობილი ევროპიელი სოციალისტები; და მართლაც, საქართველოს 1920 წელს ესტუმრნენ - ინგლისიდან - რამსეი მაკდონალდი, თომას შოუ, ქალბატონი სნოუდენი; - ბელგიიდან - ვანდერველდე, ჰიუსმანი, დე ბრიუკერი; - საფრანგეთიდან - რენოდელი, მარკე, ინჰგელსი; - გერმანიიდან - კარლ კაუცკი მეუღლით.

რამსეი მაკდონალდი, - ინგლისის მუშა პარტიის ლიდერი და ინგლისის პრემიერმინისტრი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ; გაზეთმა "ნეიშენ-ი", 1920 წლის 16 ოქტომბერს, დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ, სხვათა შორის, წერდა შემდეგს:

"ქართველ სოციალისტებმა შეძლეს ის, რაც ევროპაში სახელმწიფო სათავეში მყოფმა სოციალისტებმა ვერ შესძლეს; სახელდობრ: სრული ჰარმონია სოფელსა და ქალაქს შორის. გაატარეს უმტკივნეულოთ, უკონფლიქტოთ მიწის რეფორმა. უმიწაწყლო გლეხ[illegible] გუს მიწები. მათ გაატარეს სოციალური კანონმდებლობა. შრომა დაუდვა საფუძვლად რესპუბლიკის არსებობას. მისი დაცვა განისაზღვრა კონსტიტუციით...

მოხდა განსაზოგადოება ბუნებრივი სიმდიდრის, დიდ მემამულეთა და საყდრისწულო მიწების... ამავე დროს თავისუფლება მიეცა კერძო ინიციატივას... მუშას, გლეხს, გუშინდელ მემამულესაც კი, ერის ყველა ნაწილს შეგნებული აქვს უდიდესი პასუხისმგებლობა. შენდება სრული დემოკრატიული სახელმწიფო სოციალისტური მთავრობის ხელმძღვანელობით.

თუ ერთა თავისუფლება ცარიელი სიტყვა არაა, თუ რომელიმე ერს თავისუფლება ეკუთვნის, ესაა ქართველი ერი, რომელმაც დაუმტკიცა მთელ კაცობრიობას თავისი მაღალი კულტუროსნობა და პოლიტიკური სიმწიფე.

მე გავეცანი მის კონსტიტუციას, მის სოც იალურ და ეკონომიურ აღმშენებლობას, მე იქ რაც მნახე, ვისურვებდი ახე მოწყობილი მენახოს ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში!"

ასე წერდა ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერი და ინგლისის პრემიერმინისტრი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ - რამზი მაკდონალდი,რომელიც 1920 წელს იყო სტუმრად საქართველოში და დაათვალიერა და შეისწავლა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფა-ცხოვრება.

<u>დიქტორი:</u> <u>("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")</u>

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება, ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება,პატივცემული მსმენელებო, დიდი ილიას გამონათქვამი "ქვათა ღაღადიდან",რომელშიც ის, სხვათა შორის, პატარა ერების შესახებ ამბობს:

"...ერს რომ გზა შეუკრან წარმატებისა, - რაც გინდ პატარა ერი იყოს - არავისთვის არც მისაწონია, არც გამოსაყენებელი...

...ყველამ თავისით უნდა მოიწონოს თავი, ყველას თავისი უნდა ეკუთვნოს."

და ამიტომაა ჩვენი დევიზი - ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას,ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა"დაისიდან")

<u>ლაპარაკობს რადიო თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა!..</u>

ქართული რედაქცია

ავტორი:

დიქტორი: ინასარიძე

## ემილ ვანდერველდე დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ

დღეს გაგაცნობთ ცნობილი ბელგიელი სოციალისტის - ემილ ვანდერველდეს - აზრს დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ-

ემილ ვანდერველდე დაიბადა 1866 წლის 25 იანვარს და გარდაიცვალა 1938 წლის 27 დეკემბერს ბრიუსელში. ის იყო ბელგიის სოციალისტური პარტიის ლიდერი და - დაწყებული 1916 წლიდან მის გარდაცვალებამდე - მრავალჯერ ეჭირა მინისტრის პოსტი. ემილ ვანდერველდე იყო ამავე დროს მეორე ინტერნაციონალის ცნობილი ლიდერი და დიდი სახელი მოიხვეჭა მან, როგორც იურისტმა, ბელგიის სოციალური კანონმდებლობის შექმნა-ჩამოყალიბებაში.

როცა 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებულ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობა, საქართველოს მთავრობამ, 1920 წელში, დაპატიჟა საქართველოში ცნობილი ევროპიული სოციალისტები; და მართლაც, საქართველოს ესტუმრენ იმავე 1920 წელში, - ინგლისიდან - რამსეი მაკდონალდი, თომას შოუ, ქალბატონი სნოუდენი; ბელგიიდან ვანდერველდე, ჰიუსმანი, დე ბრიუკერი; - საფრანგეთიდან - რენოდელი, მარკე, ინგელსი და გერმანიიდან - კარლ კაუცკი მეუღლით.

ესტუმრენ რა საქართველოს, მათ გაეცვნენ ჩვენი ერის წარსულსა და აწმყოს და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ,ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებას. შეკრიბეს მრავალი
წერილები
ცნობა და როცა დაბრუნდენ ევროპაში,გამოაქვეყნეს ევროპის პრესაში. ამ გზით მათ აალაპარაკეს მთელი დასავლეთის დემოკრატიული და სოციალისტური პრესა საქართველოს სასარგებლოდ. ამან ხელი შეუწყო საქართველოს იურიდიულ ცნობას და უმოკლეს ხანში საქართველოს დამოუკიდებლობა იცნეს მსოფლიოს 22 სახელმწიფომ, რომელთა შორის იყო საფრანგეთი,ინგლისი,იაპონია და თვით საბჭოთა რუსეთიც. ამგვარად ეს დიდი ევროპიელი სოციალისტები და დემოკრატები გახდენ ქართული საქმის დიდი პროპაგანდისტები ევროპაში და ამით მთელს მსოფლიოში.

ემილ ვანდერველდე, ბელგიის სოციალისტური პარტიის ლიდერმა და მრავალგზის მინისტრმა, 1920 წელს,ბრიუსელის სოციალისტურ ჟურნალში -"ლე,პოპლ" - დამოუკიდებელი საქართველოს შეაახებ მოათავსა სტატია სათაურით -"პირველი სოციალისტური მთავრობა",რომელშიც, სხვათა შორის, წერდა:

"ომის წინა წლებში რომ დაესმულიყო საკითხი მეგობრებში, თუ სად,ევროპის რომელ დიდ ქალაქში შესდგებოდა პირველი სოციალისტური მთავრობა, ზოგი დაასახელებდა ლონდონს, ზოგი პარიზს, ბერლინს, სტოკჰოლმს თუ ბრიუსელს, მაგრამ ვინ იფიქრებდა საქართველოს სატახტო ქალაქზე - თბილისზე? მაშინ. სწორედ ამ ქალაქში აღიმართა დროშა სოციალისტური და დაიწყო ნამდვილი დემოკრატიული წყობილების მშენებლობა - უძალადობაფეხური სოციალიზმისა; და ეს მოხდა არა აჯანყების გზით, არა სისხლის ღვრით, არამედ ხალხის სუვერენული უფლების აღიარებით, მისი სურვილითა და ნებისყოფის სრული გამოვლინებით."

ემილ ვანდერველდე განაგრძობს:

"ჩვენმა მეგობრებმა, ქართველ სოციალ-დემოკრატებმა ჩამოაყალიბეს დამოუკიდებელი საქართველოს ნაციონალურ თავისუფ-

ლების ფარგლებში ჭეშმარიტი დემოკრატიული იდეები. აგრარული რევოლუცია მოხდა: ყველა ყოფილ სამეფო გვარეულობის და დიდ მემამულეთა მამულები ჩამორთმეულ იქნა უსასყიდლოდ დარიგებული ღარიბ გლეხობაზე.

1918 წლის სოციალური და აგრარული რევოლუცია,რომელიც მოხდა საქართველოში, არ არის სოციალისტური, არამედ დემოკრატიული, მოხდენილი სოციალისტების მიერ...შეფარდებული ქვეყნის რეალობასთან, მის შესაძლებლობასთან. ამაშია ქართველი სოციალ-დემოკრატების უაღრესი გონიერება და სიბრძნე..."

შემდეგ ბელგიელი სოციალისტი – ემილ ვანდერველდე – წერს:

"მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა იძლევა დიდ დადებით პერსპექტივებს ქართველ მუშათა კლასის ინტერესების, მთელი ერის ეკონომიური წარმატებისათვის. მაგრამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია თუ საქართველოს არ ექნა საერთაშორისო სტატუსი, უფლება; თუ იგი არ იქნა ცნობილი ყველა სახელმწიფო ის მიერ".

ახლა წერდა ცნობილი ბელგიელი სოციალისტი ლიდერი – ემილ ვანდერველდე – დამოუკიდებელი საქართველოს ცხოვრების შე- 1920 წლის 20 ოქტომბრის სახებ, ბელგიის სოციალისტურ ჟურნალში "ლე პეპლ" რომელიც გამოდის ბრიუსელში.

რადიო "თავისუფლება" – ქართული რედაქცია

ავტორი და დიქტორი: დავით თაბორიძე

ქართული რედაქცია

ავტორი:

დიქტორი: ინასარიძე

==================

## პიერ რენოდელი დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ

გავაცნობთ საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ერთერთი ლიდერის, დიდი პარლამენტარისა და ტრიბუნის - პიერ რენოდელის - აზრს დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ:

პიერ რენოდელი დაიბადა 1871 წელს. 1914 წლიდან 1920 წლამდე იყო გაზეთ "ლუმანიტეს" მთავარი რედაქტორი; თვით გაზეთი კი მაშინ იყო სოციალისტების ხელში. 1918 წლიდან ის იყო აგრეთვე ჟურნალ "ლა ვი სოსიალისტ-ის" მთავარი რედაქტორი. 1914 წლიდან-იყო საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატი, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ერთერთი ლიდერი და ცნობილი ტრიბუნი.

როცა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, საქართველოს მთავრობამ დაპატიჟა საქართველოში ცნობილი ევროპიელი სოციალისტები; და მართლაც, საქართველოს ესტუმრენ - ინგლისიდან - რამსეი მაკდონალდი, თომას შოუ, ქალბატონი სნოუდენი; ბელგიიდან - ვანდერველდე, ჰიუსმანი, დე ბრუკერი; - საფრანგეთიდან - პიერ რენოდელი, მარკე, ინგელსი; - გერმანიიდან - კარლ კაუცკი მეუღლით.

ისინი ჩამოვიდენ საქართველოში 1920 წლის სექტემბერში. აქვე

უნდა ავღნიშნოთ, რომ ევროპის სოციალისტური პარტიები საქართველოს მთავრობის მიერ გაგზავნილ დაპატიჟებას იმავე 1920 წელში, მაშინვე დადებითად გამოეხმაურეს. საქართველოში მათ გაეცნენ საქართველოს ისტორიულ წარსულსა და, რა თქმა უნდა, აწმყოს. მათ შეკრიბეს ბევრი ცნობა, რომლებიც, ევროპაში დაბრუნების შემდეგ, გამოაქვეყნეს დასავლეთის დემოკრატიულ და სოციალისტურ პრესაში. ამით მათ ხელი შეუწყვეს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საქმეს და, მართლაც, უმოკლეს ხანში იმ სახელმწიფოთა რიცხვი, რომლებმაც იცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა, 22-რამდე მიაღწია, მათ შორის იყო ინგლისი, საფრანგეთი, იაპონია, საბჭოთა რუსეთი და სხვა სახელმწიფოები. ეს დიდი დემოკრატ-სოციალისტები და სახელმწიფო მოღვაწენი გახდენ ქართული საქმის დიდი პროპაგანდისტები ევროპაში და ამით მთელს მსოფლიოში.

პიერ რენოდელმა წერილთა მთელი სერია გამოაქვეყნა (გაზეთ "ლე პროგრე დე ლიონ-ის" —) დამოუკიდებელი საქართველოს ცხოვრების შესახებ 1920 წლის 18-ტი, 21-თი, 24-ხი, 28 ნოემბრის, 5-თი და 20-ცი დეკემბრის ნომრებში. აი რას წერდა ის, სხვათა შორის, დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ:

"...უდიდესი შეცდომა რუსეთის რევოლუციონერების ის იყო, რომ მათ გადადვეს აგრარული რეფორმის გატარება დამფუძნებელ კრების მოწვევამდე. გლეხობა მოუთმენლად მოელოდა რევოლუციიდან მიწას; ასე იყო ეს რუსეთში. ასეთივე მდგომარეობა იყო კერძოთ საქართველოში. ქართველი სოციალისტები აღმოჩნდენ უფრო რეალისტები. მათ მაშინვე აუღეს ალღო მდგომარეობას, და ჯერ კიდევ ამიერ-კავკასიის სეიმის დროს დაიწყეს მიწის რეფორმისათვის მუშაობა. საკმარისი იყო ჩამომრთმევ კომისიების შექმნა, მიწების გაზომვის დაწყება და გლეხობის ნდობა წინასწარ დაიმსახურა ქართველ სოციალისტებმა, რომლებიც შემდეგ მოექცენ დამოუკიდებელ საქართველოს სათავეში და დაწყებული რეფორმა დაამთავრეს... შემამულეთ დაუტოვეს თავის საყოფი სარჩო, ჩამორთმეული მიწები გადაეცა უმიწაწყლო

გლეხობას.საუფლისწულო და დიდი მამულები გადავიდა სახელმწიფოს ხელში და ამავე დროს ბუნებრივი სიმდიდრენი. მოხდა სრული აგრალური რევოლუცია - სისხლის დაუღვრელად, მშვიდობიანად. ამაში ქართველ სოციალისტებმა გამოიჩინეს გონიერება, ჭკუა და შორსმჭვრეტელობა. გლეხობა გახდა საიმედო ძალა ახლადდაარსებულ დემოკრატიულ რესპუბლიკისათვის..."

ფრანგი გამოჩენილი სოციალისტ-ლიდერი შემდეგ ეხება დამოუკიდებელი საქართველოს სოციალურ კანონმდებლობას და წერს:

"მუშათა ინტერესების დაცვა კონსტიტუციით - უზრუნველყოფილია; პროფესიული კავშირები დაკანონებულია. შრომის სამინისტრო მოწოდებულია დაიცვას შრომა, შრომის კანონები..."

ასე წერდა,სხვათა შორის, დამოუკიდებელი საქართველოს ცხოვრების შესახებ ფრანგი სოციალისტ-ლიდერი - პიერ რენოდელი.

რენოდელმა ვრცლად შეეხო აგრეთვე საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო ცნობის საკითხ და მოითხოვდა საფრანგეთის მთავრობიდან საქართველოს დამოუკიდებლობის დაუყონებლივ ცნობას,რაც მართლაც მოხდა უმოკლეს დროში.

ქართული რედაქცია

ავტორი:

დიქტორი: ინასარიძე

=================

კარლ კაუცკი დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ

(სტანდარტული შესავალი...)

დღეს გადმოგცემთ გერმანელი ცნობილი სოციალ-დემოკრატის, მარქსიზმის დიდი თეორეტიკოსის - კარლ კაუცკის აზრს საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ;

პატივცემულო მსმენელებო!

როცა 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებულ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობა, საქართველოს მთავრობა მაშინვე შეუდგა მეგობრული კავშირების გაბმა-განმტკიცებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან. საქართველოს მთავრობამ 1920 წელში, მაგალითად, დაპატიჟა საქართველოში ცნობილი ევროპიელი სოციალისტები, რომ მათ დაეთვალიერებია საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიული რესპუბლიკა. და მართლაც, საქართველოს ესტუმრენ იმავე 1920 წელში - ინგლისიდან - რამსეი მაკდონალდი, თომას შოუ, ქალბატონი სნოუდენი; ბელგიიდან ვანდერველდე, ჰიუსმანი, დე ბრიუკერი; - საფრანგეთიდან - რენოდელი, მარკე, ინგელსი და გერმანიიდან - კარლ კაუცკი მეუღლით.

კარლ კაუცკი დაიბადა 1854 წელს პრაღაში და გარდაიცვალა

1938 წელს ამსტერდამში. ის იყო მარქსიზმის ერთერთი უდიდესი
თეორეტიკოსი, გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტიის ლიდერი,
რომელმაც უშუალო მონაწილეობა მიიღო ერფურტის პროგრამის შე-
მუშავებაში,რომელიც გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტიის
სახელმძღვანელო პროგრამა იყო 1921 წლამდე. კარლ კაუცკი ცნობი-
ლი გახდა მთელს მსოფლიოში,როგორც მე-2 ინტერნაციონალის ერთერ-
თი ლიდერი და ავტორი ისეთი დიდი შრომებისა,როგორიცაა მისი
წიგნი "კარ მარქსის ეკონომიური შრომები", ორტომეული "ისტორიის
მატერიალისტური გაგება" და სხვა. 1883 წელს მან დაარსა და გა-
მოსცა ჟურნალი "ნოიე ცაიტ"="ახალი დროება",რომელიც 1917 წლამ-
დე გამოდიოდა.

აი ასეთმა დიდმა პიროვნებამ, 1920 წელს ესტუმრა
საქართველოს თავისი მეუღლით და გაეცნო დამოუკიდებელი
საქართველოს პოლიტიკურ ,ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებას.
საინტერესოა ერთი ფაქტი,რომელსაც ადგილი ქონდა გურიაში:

კარლ კაუცკი გურიაში ყოფნისას,ისე როგორც ყველგან,
გარშემორტყმული იყო მრავალრიცხოვანი ხალხით. ერთი გურული
გლეხი თურმე, ცხენით მივიდა ხალხის გუნდთან,რომლის ცენტრში
კაუცკი იდგა, ჩამოხდა სხარტად, შეიჭრა წრეში,მივიდა კარლ კა-
უცკისთან და უთხრა:"თქვენ ბრძანდებით კაუცკი? გამარჯობა თქვე-
ნი" - ჩამოართვა ხელი,შებრუნდა, წავიდა ცხენისაკენ,შეჯდა და
გააჭენა. კარლ კაუცკის თურმე მეტად გაუკვირდა ეს და როცა აუ-
ხსნეს, რომ ის მეტად პოპულარულია საქართველოში და ყველას
სურს მისი გაცნობა და ხელისჩამორთმევა, მეტად კმაყოფილი
დარჩა.

კარლ კაუცკი ევროპაში დაბრუნების შემდეგ გამოსცა ცნო-
ბილი წიგნი - "საქართველო,გლეხთა სოციალისტური რესპუბლიკა".
ამ წიგნის წაკითხვისას, ყოველი ქართველი,უდაოა, განცვიფრება-
ში მოვა, თუ როგორ შესძლო კარლ კაუცკიმ რამოდენიმე თვის განმა-
ვლობაში ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის ასე საფუძვლიანი და დაკვი-
რვებითი შესწავლა. ეს წიგნი არის საუკეთესო ნაშრომი რაც კი

დაწერილა საერთოდ ევროპაში თანამედროვე საქართველოს შესახებ. მაგრამ ამ წიგნის ღირსება მარტო საქართველოს საკითხის კარგად შეთვისებით არ განისაზღვრება. საქართველოს მაშინდელმა პრობლე-მებმა, საქართველოში სოციალდემოკრატიული პარტიის დემოკრატიული გზით გამარჯვებამ და ამ პარტიის პოლიტიკამ საშუალება მისცა მას ნათლად გაერკვია დღეისთვისაც მეტად საჭირბოროტო საკითხი: სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების შესაძლებლობა და მისი დადე-ბითი როლი ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებში.

კარლ კაუცკი იყო განუყრელი მეგობარი საქართველოს, ქართვე-ლი ერის და იგი არ ზოგავდა არც დროს, არც ძალას, თავისი ავტორიტე-ტული ხმა აემაღლებია ქართული საქმის დასაცავად.

კარლ კაუცკიმ ღრმა თეორიული და პრაქტიკული დასაბუთება მისცა დამოუკიდებელ საქართველოში გაზატონებულ ეკონომიურ რე-ფორმებს. მისცა მათ სრული გამართლება და ამით დაიცვა ის ევროპის სოციალისტურ-პროგრესიულ საზოგადოებრის წინაშე.

კარლ კაუცკი, მაგალითად, ეხება რა აგრარულ რევოლუციას დამოუკიდებელ საქართველოში, სხვათა შორის, წერს:

"რევოლუციამ წაართვა ფეოდალებს მიწები, რომლებიც გადა-ეცა უმიწაწყლო გლეხებს... ეს იყო არა სოციალისტური, არამედ ბურჟუაზიული რევოლუცია, მაგრამ ნაკარნახევი იყო მოცემული პი-რობებით და ესაა მნიშვნელოვანი... სწორედ ამით განვსხვავდებით ჩვენ სოციალისტები ულტრა-სოციალისტებისაგან; ვინაიდან ჩვენ ვაღიარ-
-რომ სოციალიზმი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოცე-მულ განსაზღვრულ პირობებში... ქართული მეთოდი ნაციონალიზაციისა თავისუფალია ყოველგვარი დაჩქარებისა და ჩავარდნებისაგან, ვი-ნაიდან ეს მოხდა დემოკრატიული გზით... რევოლუციამ საქართვე-ლოს მოუტანა პროვინციებისა და სოფლების სრული თვითმართველობა. ეს თვითმართველობა შექმნა ცენტრალისტური ბიუროკრატიული სისტემის ადგილზე."

ასე წერს კარლ კაუცკი თავის წიგნში "საქართველო, გლეხთა სოციალისტური რესპუბლიკა",რომელიც დაიბეჭდა ვენაში 1921 წელს. საინტერესოა აგრეთვე ჩვენი მსმენელებისათვის ამ წიგნის წინასიტყვა,რომელიც კარლ კაუცკმა დაწერა 1921 წლის 18 თებერვალს, ხოლო წინასიტყვის დამატება დასწერა 1921 წლის 8 მარტს. ამ თარიღებს რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ამას ადასტურებს კარლ კაუცკის შემდეგი აზრი:

"მიტანილ იქნა თუ არა ჩემი ეს შრომა წინასიტყვაობით სტამბაში, ჩემამდე მოაღწია საშინელმა ცნობამ, რომ ბოლშევიკები დაესხნენ თავს საქართველოს...მაგრამ როგორც არ უნდა წარიმართოს თავაზიანი და ენთუზიაზმით აღსავსე ქართველი ერის ბედი ბოლშევიკური ტერორის ქვეშ, - ერთის წაშლას ისინი ვერ შესძლებენ - ისტორიულ მნიშვნელობას საქართველოს სოციალიზმის მეთოდებისა. ამის გარკვევა არის ორკეცათ მნიშვნელოვანი..."

ასე წერს კარლ კაუცკი თავის წიგნში "საქართველო, გლეხთა სოციალისტური რესპუბლიკა".

ქართული რედაქცია

ავტორი:

დიქტორი: ინასარიძე

==================

## ალბერ ტომა დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ

დღეს გაგაცნობთ საფრანგეთის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის - ალბერ თომას აზრს დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ.

პატივცემულო თანამემამულენო!

როცა 1916 წლის 26 მაისს ქართველმა ერმა გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა, საქართველოს მთავრობა მაშინვე შეუდგა მეგობრული კავშირების გაბმას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან. საქართველოს მთავრობამ, სხვათა შორის, 1920 წელში, როგორც არაერთხელ გაცნობეთ, დაპატიჟა საქართველოში ცნობილი ევროპიელი სოციალისტები, რომ მათ დაეთვალიერებინათ საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიული რესპუბლიკა. და მართლაც, 1920 წელში საქართველოს ესტუმრენ ინგლისიდან - რამსეი მაკდონალდი, თომას შოუ, ქალბატონი სნოუდენი, - ბელგიიდან - ემილ ვანდერველდე, პიუსმანი, დე ბრიუკერი, - საფრანგეთიდან - რენოდელი, მარკე, ინგელსი, ალბერ ტომა და გერმანიიდან - კარლ კაუცკი მეუღლით. შემჩერდეთ (ალბერ) ტომას ბიოგრაფიულ ცნობებზე:

ალბერ ტომა დაიბადა 1878 წელს პარიზის ახლოსმდებარე პატარა ქალაქში, შამპინი-მარნზე; და გარდაიცვალა 1932 წელს. ის იყო საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ერთერთი წამყვანი ხელმძღვანელი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს შეიარაღების სამინისტროს პოსტზე იქნა დანიშნული. მის მრავალფეროვან და

დაუღალავ მოღვაწეობიდან, ჩვენ გვსურს ხაზი გაუსვათ იმ ფაქტს, რომ ის იყო დაუღალავი მებრძოლი პატარა ერების თავისუფლებისათვის. ის, მაგალითად, თავგამოდებით იცავდა პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობას პირველი მსოფლიო ომის შემდეგ და იყო მგზნებარე დამცველი რუსეთის იმპერიიდან განთავისუფლებული პატარა ერების თავისუფლებისა. და როცა 1920 წელში ალბერ ტომა ეწვია საქართველოს, მან შეისწავლა ჩვენი ერის ცხოვრება, ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის ყველა ასპექტი და როცა ის საფრანგეთში დაბრუნდა, ის *იყო* ჩვენი ერის საერთაშორისო უფლებების მგზნებარე დამცველი.

აი, ალბერ ტომას ზოგიერთი აზრი დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ; ჯერ უნდა ავღნიშნოთ, რომ როცა ირაკლი წერეთელმა ამიერკავკასიის სეიმის დაშლის დღეს სიტყვა წარმოთქვა, სადაც ის ღრმად არკვევდა ამიერკავკასიის ერთიანობის დაშლის მიზეზებსა და მედგრად იცავდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ეს სიტყვა იმდენად დასაბუთებული და მნიშვნელოვანი იყო, რომ ის გამოცემულ იქნა ფრანგულ ენაზე სწორედ ალბერ ტომას წინასიტყვაობით. ალბერ ტომა, რომელმაც ღირსეული როლი ითამაშა ვერსალის კონფერენციის მუშაობაში განსაკუთრებით საქართველოს უფლებების დასაცავად, თავის ამ წინასიტყვაობაში უდიდესი პატივისცემით, ღირსეული სიტყვებით იხსენებს ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომელთაც მაშინ საერთაშორისო არენაზე დიდი ავტორიტეტი ქონდათ მოპოვებული. ის იგონებს თებერვლის რევოლუციას და ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეებს კარლო ჩხეიძესა და ირაკლი წერეთელს. იგონებს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პერიოდს და საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად მოჰყავს მრავალი არგუმენტი. ის, სხვათა შორის, წერს:

"ირაკლი წერეთელი ურჩევს ქართველ ხალხს ნაციონალური სახელობის შენარჩუნებას, დამოუკიდებელი ცხოვრების მოწყობას, რომელიც სრულებით არ ეწინააღმდეგება დემოკრატიულ იდეას.

პირიქით, ის არის საუკეთესო გზა ჩვენი საბოლოო იდეალის, სოციალიზმის განსახორციელებლად..."

ალბერ ტომა განაგრძობს:

" და მართლაც, რომელ ერსაც არ შეუძლია თავისი ნაციონალური ვინაობის დაცვა და შენარჩუნება, იგი არც სოციალიზმის ღირსია...

ჯერჯერობით, საერთაშორისო არსეულობის ხანაში, – თითოეული ერი თვით უნდა მეეცადოს საკუთარი ნაციონალური დამოუკიდებლობის მოპოვებას და შესძლოს მისი დაცვა...

რუსეთის ფარგლებში მოქცეულ ერებს, რომლებსაც უარს ეუბნება ბოლშევიკები დამოუკიდებლობაზე ,

სთავაზობენ ავტონომიას – აი ამ ერებს სურთ სრული დამოუკიდებლობა, – პირველ რიგში ქართველ ერს, რომლის გათვითცნობიერება და დამოუკიდებლობის მინიჭება არის უმთავრესად საქმე საქართველოს სოციალდემოკრატიისა; ერი, რომელიც არავითარ სიძულვილს არ ატარებს სხვა ერის მიმართ..."

და ბოლოს ალბერ ტომა ამბობს:

"არა მარტო ქართველი დემოკრატიის, არამედ მსოფლიო დემოკრატიის ინტერესი მოითხოვს – დაუყონებლივ ცნობილ იქნას ახლად დაარსებული რესპუბლიკა".

ასე წერდა საფრანგეთის ცნობილი სოციალისტი-მოღვაწე – ალბერ ტომა ,რომელიც საქართველოში იყო მთავრობის მოწვევით 1920 წელს.

და მართლაც, საქართველოს დამოუკიდებლობა ცნობილ იქნა მსოფლიოს 22 სახელმწიფოს მიერ,რომელთა შორის იყო ინგლისი, საფრანგეთი,იაპონია,იტალია და თვით საბჭოთა რუსეთიც,რომელმაც 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

## გრამჩანაწერი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ:

დამოუკიდებელი საქართველოს ამ რადიოდოკუმენტაციაში, მსურს, პატივცემულო მსმენელებო, გაგაცნოთ საქართველოს ზოგიერთ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა გრამაფონის ფირფიტაზე თუ მაგნეტოფონის ფირზე ჩაწერილი ხმა, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება რადიო "თავისუფლების" ქართული რედაქციის არქივში.

---

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია – ერისა და პიროვნების თავისუფლება,
ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება,
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემულო მსმენელებო,

მილოვან ჯილასის მიერ გამოთქმული აზრი სტალინის მემკვიდრეობის შესახებ, გამოქვეყნებული 1978 წლის 2- რი მარტის გაზეთ "ველტში", რომელიც გამოდის დასავლეთ გერმანიაში. ჯილასი, სხვათა შორის, ამბობს:

"სტალინმა – ინტერნაციონალიზმის საბჭოთა ვარიანტი გარდაქმნა საბჭოთა სახელმწიფოს იმპერიალიზმად. ამ დროს მან გამოიყენა რუსული ნაციონალიზმის მავნებელი და მჩაგვრელი მხარეები. საბჭოთა ბიუროკრატია შეუერთდა რუსულ შოვინიზმს... საბჭოთა კავშირის დღევანდელი წესრიგი – მისი ბიუროკრატიული და იმპერიალისტური თვისებებით – ეყრდნობა რუსული "ორიენტალური დესპოტიზმის" ტრადიციებს. მაგრამ რუსებისა და რუსეთის ისტორიის დაყვანა ამ ერთ კომპონენტზე, არის ისევე ცალმხრივი, როგორც უსამართლო. რუსი ხალხი, როგორც ყოველი სხვა ხალხი, მიისწრაფვის სპონტანურად თავისუფლებისაკენ" – დასძენს მილოვან ჯილასი.

და ამიტომაა ჩვენი დევიზი – ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ლაპარაკობს რადიო თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა!..

ნოე ჟორდანია:

პირველად გვსურს მოგასმენინოთ დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის თავჯდომარის ნოე ჟორდანიას მიმართვა, რომელიც მან დასწერა 1938 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ოცი წლისთავზე. ნოე ჟორდანიამ ეს ტექსტი თვითონვე წაიკითხა პარიზში გრამაფონის ფირფიტების სტუდიაში და მისი ეს ერთადერთი ფირფიტა შეინახა დღემდე, პარიზში, მისმა ქალიშვილმა - ასმათი ჟორდანია-ფალავამ. მიუხედავად იმისა, რომ ნოე ჟორდანიას ეს გრამაფონის ფირფიტაზე ჩაწერილი ხმა ტექნიკურად სრულყოფილი არაა, მაინც გადავწყვიტეთ გადმოგეცით ეს; მით უმეტეს, რომ ესაა ნოე ჟორდანიას ერთადერთი გრამაფონის ფირფიტა, რომელსაც, უთუოდ, ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

მაშ, მოვისმინოთ ნოე ჟორდანიას მიმართვა, მისმიერვე წაკითხული, 1938 წელს, პარიზში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ოცი წლის თავზე:

(გრამაფონის ჩანაწერი)

ნოე ჟორდანია: "ამ ოცი წლის წინ საქართველოს ღრუბლიან ციდან 26 მაისმა ჩამოანათა. ერმა მას ჩაჰკიდა მაგარი ხელი და უდიდეს დღესასწაულად გამოაცხადა. ჩაიშნა მასში თავისთავი, თავისი სული და გული, თავისი აწმყო და მომავალი და თავის სვებედი მას გადააბა. 26 მაისი გახდა მწვავე განვლილი ისტორიის დაბოლოვება და ახალი ცხოვრების დაწყება. ქართველმა ერმა ამ დღეს უარყო სხვისი ბატონობა და გადასწყვიტა თვითბატონობა. "საქართველო ეკუთვნის საქართველოს ხალხს"- შესძახა მან მსოფლიოს და ამ გზაზე მამაცურად შედგა. 26 მაისი არის დაბადების დღე ახალი საქართველოსი. ამ დღეს გამოჩნდა ის ერთი მთლიანი, მორიგებული და ერთი აზრით გამსჭვალული. ამ დღეს გამოჩნდა ქართველი ხალხი შეგნებული, შეკავშირებული და თვითმართველი. 26 მაისს ქართველობა ერთსულოვნად გამოეყო ჩრდილოეთს, გამოვიდა მის ტყვეობიდან, დალეწა მისი ბორკილები და მოიპოვა თავისუფლება. ის თვით შეიქნა თავისი ცხოვრების კულტურისა და შემოქმედების აწყობი და დამწყობი. ის ამ გზაზე

ამაყად მიდიოდა,ამ ხაზზე მუშაობდა ხამ წელიწადს. მუშაობდა შეუ-
ჩერებლად,შეურყევლად,თავდადებულად. მან ძირბულიანად გამოცვალა
ძველი მობერებული ცხოვრება. დამალა ძველი დამპალი შინაური ურთი-
ერთობა, ჩაუყარა საძირკველი ახალ ხალხ[illegible]ა ეროვნულ დაწესებულებას.
დახსნა ყველა შეკრული არცახეში აზროვნების,შემოქმედების და შრომ-
რაობის.26 მაისს ხაერთაშორისო ოჯახს მიემატა ერთი ახალი წევრი.
ის შევიდა ამ ოჯახში თავისუფალი,მხიარული სახით, ნათელი აზრით.
ის იცვნეს აქ თავის ტოლად და მას ხელი გაუწოდეს ჩამოსართმეტლად.

საქართველო იშვა 26 მაისს, იშვა თავის ქვეყანაში,იშვა
მსოფლიოში-ნაციონალურად,ინტერნაციონალურად.

და რა არის დღეს საქართველო? ის აღარ არის; მას მოუბრუნ-
და ძველი მტერი,მას მოეპარა ჩრდილოეთი და მოსტაცა ხელი ძლიერი.
მან შეწყვიტა ერის მაჯის ცემა და შეაბა ძველი ბორკილები.პატივ-
აყრილი,უფლებაართმეული,ენაამოგლეჯილი ქართველი ერი ბნელ სარდაფ-
შია ჩამწყვდეული,ყოველმყოფელ სინათლეს მოკლებული; მისი ერთგული
იდევნება,მის ორგულს ფიანდაზათ ეფინება. სწორ გზაზე სიარული...,
მრუდე გზაზე სიარული დაჯილდოებულია. ქართველი ხალხისათვის დედა-
სამშობლო დედინაცვლად გადაქცეულია. მტერნი მოყვრულად თავსესხევიან
და მოითხოვენ გუნდრუკის კმევას. მ[illegible]ელი........ მათ უგალობენ ქება-
თაქებას. ხალხი ძაძებში გახვეულია, 25 მაისი აკრძალული[illegible]ლია.
მაგრამ 26 მაისი მაინც ანათებს და..............................
ხალხი დღედაღდე...................ის მუდამ ახალია, მუდამ სახატრე-
ლია,მუდამ ცხოველია; ის ჩვენი მომავალია.

26 მაისი არ მოძველდა,არც ხმობა,ის მოგვიწოდებს
სიფხიზლისა და ბრძოლისაკენ.არა ცვმარობს უიძელობა,განთიადი მოა-
ხლოვებულია."

ოთარ:თქვენ მოისმინეთ, პატივცემულო თანამემამულენო, საქართველოს
=====
პირველი პრეზიდენტისა და მთავრობის თავმჯდომარის - ნოე ჟორდანიას
მიმართვა,რომელიც თვითონ ნოე ჟორდანიამ წაიკითხა პარიზში 1938
წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულის ოცი წლის თავზე.

## ინტერვიუ: პავლე სარჯველაძე:

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 50 წლისთავთან დაკავშირებით, პატივცემული მსმენელებო, ეხე-ი-ი, 1968 წელს, - რადიო"თავისუფლების" ქართული რედაქციის წევრს ინტერვიუ მისცა, მაშინ საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი ბიუროს თავჯდომარემ - პავლე სარჯველაძემ. გაგაცნობთ ზოგიერთ ადგილებს ამ ინტერვიუდან. მიკროფონთან არის პავლე სარღველაძე და ქართული რედაქციის წევრი:

(ფ ი რ ი....)

შეკითხვა: ბატონო პავლე, როცა გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, 1918 წლის 26 მაისს,მაშინ სად ბრძანდებოდით?..

პავლე:"მაშინ მე გახლდით სოფელში,სახელდობრ გურიაში,ლანჩხუთში. რასაკვირველია, დღევანდელმა ახალგაზრდობამ არ იცის საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ რა დიდი აღტაცება-აღფრთოვანება გამოიწვია ქართველ ხალხში. ეს არ ყოფილა მარტო ქალაქებში, არ ყოფილა მარტო, ასე ვთქვათ, თუ შეიძლება ითქვას, დაწინაურებულ თუ მოწინავე საზოგადოებაში,არამედ სოფლადსადაც მე ვიყავი მაშინ ახალგაზრდა ჯერ კიდევ, - ამ საქართველოს დამოუკიდებლობამ გამოიწვია უაღრესი აღფრთოვანება. იმდღესვე,როცა ცნობა მოვიდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა - ყველა კუთხეებიდან დაბაში,სადაც მე მაშინ ვმსახურობდი, უცბათ,სპონტარიურად მოსდა დიდი თავყრილობა,აადაც გამოვიდენ სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები და ულოცავდენ საქართველოს განთავის უფლებას ქართველ ერს.

ითარ: [ესე-იგი, როგორც თქვენ ბრძანეთ, ბატონო პავლე, საქართველოში იყო უდიდესი აღფრთოვანება იმ ფაქტით, რომ 1918 წლის 26 მაისს, ე.ი. საქართველოს დაპყრობიდან 117 წლის შემდეგ, საქართველო ისევ აღსდგა, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო.] ხომ არ იყო საქართველოში იმ დროს ისეთი დაჯგუფება, რომელიც არ იყო მომხრე საქართველოს დამოუკიდებლობისა?

პავლე: "არსად, არც ერთ კუთხეში ასეთ გამოსვლას ადგილი არ ქონია; არსად არც ერთი პოლიტიკური ჯგუფი არ აღმოჩენილა. პირიქით, მუშები, გლეხები და ყველაზე მეტი სწორედ სოფლის მცხორები გამოდიოდენ და გამოსთქვამდენ უდიდეს სიხარულს, სიამოვნებას, რომ ქართველ ერს ეღირსა თავისუფლება.. ვიმეორებ, არც ერთი პოლიტიკური ჯგუფი მაშინ არ გამოჩენილა, რომ წინააღმდეგი ყოფილიყო და რაიმე, ასე ვთქვათ, დისონანსი შეეტანა იმ საერთო აღფრთოვანებაში, რომელიც გამოიწვია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ.

ითარ: " ბატონო პავლე! [ეხლა შევეხოთ შემდეგ საკითხს: საქართველოში, როგორც იცით, ჩვენს პრეზიდენტს და მთავრობის თავჯდომარეს - ნოე ჟორდანიას დღესაც დიდი პატივით იხსენებს ხალხი, ვამბობ ხალხი და არა მმართველი კომუნისტური პარტია.] რას გვეტყოდით თქვენ ჩვენს პრეზიდენტის - ნოე ჟორდანიას - პიროვნების შესახებ და მისი, ასე ვთქვათ, თეორიული ნაწერების შესახებ?

პავლე: [სიამოვნებით ვღებულობ თქვენ წინადადებას...რასაკვირველია ბევრის თქმა შეიძლება ამ დიდი პიროვნების შესახებ, რომელმაც ქართველ ერს ემსახურა სამოცი წლის მანძილზე.]

ნოე ჟორდანია უდაოდ ითვლებოდა მარქსიზმის თეორეტიკოსად. მისი აზრების შემომტანათ ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში, მაგრამ იგი არასოდეს ყოფილა დოგმატიკოსი. პირიქით, მას იცავდა ასეთებისაგან, რომლებიც ვერ ხედავდ თითოეული ქვეყნის განსაკუთრებულ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას. ნოე ჟორდანია მარქსიზმიდან ღებულობდა თავის ქვეყნისთვის რაც რეალური უდგებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებს.

საკმარისია გავიხსენოთ ორთოდოქსები: უცხოეთში მთელი სოციალისტური პარტიები უარყოფდნენ...სოციალისტური პარტიები უცხოეთში უარყოფდნენ გლეხობის როლს პროგრესიულ მოძრაობაში და უარყოფდნენ მათ ინტერესების დაცვას და მათზე დაყრდნობას. ნოე ჟორდანიას მეთაურობით საქართველოს სოციალდემოკრატიულმა პარტიამ ეს საკითხი თავიდანვე დადებითად გადაჭრა, გლეხთა მოძრაობას სათავეში ჩაუდგა, საერთოდ წვრილი მესაკუთრეების დაცვა სამოქმედო გეგმაში შეიტანა. ეს საზი გაზიარებულია ყველგან სოციალისტური პარტიების მიერ. ჟორდანია ხალხური სოციალიზმის მამამთავარია. სოციალიზმი მისი აზრით ნიშნავს... სოციალიზმი უნდა ემსახურებოდეს მთელს ერს და არა ერთ კლასს. მისი არსებობა უსათუოთ მოითხოვს კლასების გაუქმებას, მთელი ერის საერთო ნივთიერ კალაპოტში ჩაყენებას. ნივთიერ აწყობილ საზოგადოებაში უზრუნველყოფილია ადამიანის პიროვნების უფლებრივი და სულიერი საფუძვლების თავისუფალი შემოქმედება და ამაღლება. სამოცი წლის მანძილზე შეუჩერებლად იბრძოდა ნოე ჟორდანია ქართველი ხალხის სამსახურში; მისი პრაქტიკული მოღვაწეობის აღნუსხვას ტომები დასჭირდება. მისი პიროვნება განუყრელია, მჭიდროდაა დაკავშირებული იმ დიდ პოლიტიკურ-ეროვნულ ცხოვრების მოვლენებთან, რომლებსაც ადგილი ქონდა სამოცი წლის მანძილზე. ნოე ჟორდანია დღიდან კალმის ხელში აღებისა ემსახურება საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვევას, მისი სხვადასხვა საფეხურებზე, სოციალ-ეკონომიური წარმოშობის და განვითარების მიზეზების ახსნას. იგი ამ მხრივ არაა მარტო ისტორიული და სოციალური საკითხების მკვლევარი, არამედ თვით რეალურ ცხოვრებისგან მიღებულ ფაქტორთა გამშუქებელი და გზისმაჩვენებელი. მისი მებრძოლი პატრიოტიზმი არ ყოფილა გაცვეთილი სიტყვებით საქადაგებელი, არამედ ყოველდღიური საქმიანობის მჭედელი, წარსულის პატივისმცემელი, მაგრამ არა მასზე დასატირებელი, არამედ აწმყოს სინამდვილის შეგნებით ერის მომავალ გზებზე მზრუნავი.

ქართველი ხალხი არ აღზრდილა იმ საფუძველზე, რაც მას დღეს მოახვიეს თავზე რუსეთმა.

ნოე ჟორდანია ქართველ ხალხს ურჩევს - მან უნდა შეინახოს თავისი ნაციონალური სულისკვეთება და ნებისყოფის სიმა-გრე, არ იცნოს მისი დღევანდელი ეკონომიური წყობა თავის წყობად და მისაღებად. მან დაუპირისპიროს მუდამ დამოუკიდებელი საქართველოს მიერ მიღებუ-ლი და კაცარებული სოციალური ფუძე. ის დღეს ემორჩილება უცხო ძა-ლას, მუშაობს მისი ბრძანებით, მაგრამ სულიერათ, აზროვნებით მას ეთიშება, თავისუფალი საქართველოს დროშის ქვეშ გროვდება...

...... რაც შეიძლება მეტი უფლება პიროვნებას, ხალხს, რაც შეიძლება ნაკ-ლები სახელმწიფოს, მის აგენტებს და სხვა. ბრძოლა ამ ნიადაგზე ამ მოთხოვნათა განხორციელებლად შეინახავს ქართველი ერის ძველ სულიერ სიმაგრეს.

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ზემონათქვამიდან? - ქართველი ხალხისთვის საფრთხე გამომდინარეობს არა შინაგან ძალთა განწყობილებიდან, არამედ უცხო ძალთა შემოსევისაგან... ქართველი ერი მტკიცეთ უნდა იდგეს ეროვნულ სადარაჯოზე. ნაციონალური სუვერენ-ბა არის წინასწარი პირობა საქართველოს ფიზიკური შენახვისა და კულტურულ აყვავების.

31 წელი გაატარა უცხო მხარეს საქართველოს დემოკრატიულ რეს-პუბლიკის პრეზიდენტმა. არასდროს მოშორებია იგი სამშობლოს, მუდამ იყო მასთან სულიერ კავშირში. დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს სამშობლოში მომხდარ პოლიტიკურ მოვლენებს, საზოგადოებრივი ცხოვრების ცვალებადობას. თითოეული მოვლენა იყო საგანი მისი შეს-წავლის და თუ საჭიროება მოითხოვდა დაუყონებლივ პასუხის გაცე-მის. საჭირო მომავალმა თაობამ იცოდეს, შესაფერისი დაფასება მის-ცეს იმ სიყალბეს, მოჭორილ ამბავს, რომელსაც ავრცელებენ ჩვენი ისტორიის ფალსიფიკატორები............ნოე ჟორდანიას პოლიტიკურ შემოქმედებას საფუძვლად დაედო ქართველი ხალხის სამსახური, მისი სოციალური და ეროვნული თავისუფლება. ამ ქვეყნიდან განშორებული მებრძოლი პრეზიდენტი - ასული დიდების მწვერვალზე - თავისუფლების დროშით - რჩება სიმბოლო ქართველი ერის ბრძოლისა და გამარჯვების.

# ინტერვიუ: ნიკო ურუშაძესთან

(ფირი)

ოთარ: "ლაპარაკობს ოთარ კეთილაძე ლევილის ქართულ მამულიდან.
პატივცემულო მსმენელებო, ეხლა ჩვენ გვსურს გაგაცნოთ აზრი
ერთი ქართველი პოლიტიკური მოღვაწისა, რომელიც უკვე დიდიხანია
ცხოვრობს საფრანგეთში. ჩვენ ვესაუბრებით ბატონ ნიკო ურუშაძეს,
საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთერთ წარმომად-
გენელს უცხოეთში, რომელიც საქართველოდან 1926 წელს სპეციალურ
დავალებით იქნა მოვლინებული; და მას შემდეგ ბატონი ნიკო ცხოვ-
რობს საფრანგეთში, პარიზში და ეხლა ჩვენ ვართ ლევილის ქართულ
მამულში.

ბატონო ნიკო, რას გვეტყოდით თქვენი ცხოვრების
შესახებ?

ნიკო: "ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის უკანასკნელი კლასის მოწაფე,
მე ვმსახურობდი ქართულ მეოთხე ქვეითა პოლკში, რომელსაც ოზურგეთი-
სა და მისი მიდამოების ოსმალების მიერ აღებამდე მეთაურობდა
აქ საფრანგეთში გარდაცვლილი, იშვიათი ქართველი, პატრიოტი და
მხედარი, პოლკოვნიკი სიმონ წერეთელი. 26 მაისის წინა დღეებში
კი მეთაურად დაინიშნა ცნობილი რევოლუციონერი-პოლკოვნიკი ვიქ-
ტორ ინწკირველი. დამოუკიდებლობის გამოცხადების ამბავი მე გავიგე
ჩემს ათასეულში, სოფელ ბახვში. იქვე გადმომცეს, რომ ნასაკი-
რალზე, სადაც მაშინ ქართულ-ოსმალოთა ფრონტი გადიოდა, უკვე მოსული-
ყვნენ გერმანელი ჯარისკაცები, რომლებიც, იმავე გადმოცემით, ჩვენს

ჯარისკაცების წინ იდგენ ოსმალოების პირისპირ. სიხარულთან ერთად ორივე ამბავმა გამაოცა: დაუჯერებლად მივიჩნიე ოსმალეთის მოკავშირის - გერმანელების - ჩვენს მხარეზე გამოჩენა. ავიღე ნებართვა და ნასაკირალზე წავედი და იქ ჩემი თვალით ვნახე წინა ხაზზე ერთი-მეორედან დაშორებული გერმანელი ჯარისკაცები. დავრწმუნდი იმაში, რომ ამიერიდან ოსმალოები ფიზიკურად ვერ დაგვარბევდენ. და მეორეს მხრივ - იმედი მომეცა, თუ ისეთი ძლიერი სახელმწიფო, როგორიც გერმანია იყო მაშინ, ჩვენ გვეხმარება, ჩვენს დამოუკიდებლობას კარგი პირი უჩანს. იქედან დაბა ნაგომარში გავეშურე. აქ ნახევარ გურიის მოსახლეობას მიტინგი გაემართა, სადაც ტრიბუნი ისიდორე რამიშვილი, რომელსაც გურიის ხალხი დიდი ნდობით და სიყვარულით ეპყრობოდა, - უმარტავდა ამ მიტინგს გამოცხადებულ ისტორიულ აქტის პოლიტიკურ მნიშვნელობას და იმ საერთაშორისო ვითარებას, რომელმაც დააჩქარა და ბოლოს იძულებული გახადა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ჩემის რწმენით და ცნობით, ქართული მოწინავე საზოგადოება დიდიხანია დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფვოდა და რევოლუციის პირველ დღეებში მას დიდიდღე მოელოდა; მასებისათვის ეს მოვლენა მაინც სრულიად მოულოდნელი იყო; და ის უდაოთ საჭიროებდა ამ მოვლენაზე სათანადო ახსნაგანმარტების მიღებას, რაც მძლავრმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მოკლე დროში განახორციელა. ამ დაუვიწყარი მოვლენის 50 წლისთავზე, ჩემი განცდა და გონება ჩერდება ორ მოვლენაზე: პირველი - გასაოცარი და განსაცვიფრებელი იყო ის აღფრთოვანება და განსაკუთრებული ეროვნული-მოქალაქოებრივი დისციპლინა, რომლითაც თავის ეროვნულ დამოუკიდებლობის აღდგენას შეხვდა ქართველი ერი. მეორე - ამ აღტკინებას, ამ მაღალ სულიერ განწყობილებას ხელს უწყობდა ჩვენთვის. ის ბედნიერი გარემოება, რომელიც გამოიხატებოდა მძლავრ გერმანიის ჩვენს დახ არებაში, ურომლისოდ ქართულ სახელმწიფოებრიობის მომავალი ჩვენს მაშინდელ ტრაგიკულ მდგომარეობაში, უეჭველად საეგებიო გახდებოდა. კეთილშობილ ტრადიციების მქონე, მადლიერ ქართველმა ერმა გერმანიის ხალხს ეს დიდი სამსახური არსოდეს არ უნდა

დაუვიწყოს.

ოთარ: "ბატონო ნიკო! ეხლა ხომ არ მოგვითხრობდით მოკლედ, თქვენი პარტიის, ე.ი. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის საქმიანობაზე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მომზადებასა და განხორციელებაში?

ნიკო: "ცნობილია, რომ ამ საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში ფაქტიურად არსებობდა მხოლოდ ორი პოლიტიკური პარტია ამ სიტყვის თანამედროვე და დემოკრატიული გაგებით. ესენი-ივე ისინი რეგულარულად საქართველოში [და ემიგრაციაში] მართავდნენ კონფერენციებს, სადაც ამუშავებდნენ პოლიტიკურ პროგრამას და სამოქმედო ტაქტიკას. აგრეთვე ირჩევდნენ სახელმძღვანელო ორგანოებს. ქართველი სოციალ-დემოკრატები შედიოდნენ რუსეთის მუშათა პარტიის კავკასიურ გაერთიანებაში. ნოე ჟორდანია მეთაურობდა არა მარტო ქართველ სოციალდემოკრატებს, არამედ კავკასიელებსაც. ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია კი წარმოადგენდა სპეციფიურ ქართულ პარტიას. არავისთვის არ არის საიდუმლო ის, რომ ამ პარტიამ ქართულ ეროვნულ თვითშეგნების, პოლიტიკური გათვითცნობიერების საქმეში შესამჩნევი, დიდებული როლი ითამაშა. ათეულ წლების მანძილზე არჩილ ჯორჯაძესა და ნოე ჟორდანიას შორის წარმოებდა ეროვნულ საკითხის გარშემო განუწყვეტელივი იდეური, ხშირად მწვავე, პოლიტიკური პოლემიკა, რაც მაშინდელ ქართულ საზოგადოებრივი აზროვნების მთავარი და გადამწყვეტი პრობლემა იყო. ამ პოლემიკამ, რომლისადმი მაშინდელი საზოგადოებრიობა უდიდეს ინტერეს იჩენდა, - დიდი როლი ითამაშა ქართველ თაობათა ეროვნულ თვითშეგნების გამძაფრების საქმეში. ისტორიულ სიმართლეს მოკლებული იქნება იმის მტკიცება, რომ ამ ორ პარტიიდან რომელიმე იმთავითვე საქართველოს დამოუკიდებლობის [ი]დეა წამოეყენებინოს. ეს მათ რომ მოეხერხათ, მისი აშკარად ქადაგება წარმოუდგენელი იყო, რადგან ამას, უეჭველად, რუსეთიდან დარბევა მოყვებოდა. კავკასიის რთულ პოლიტიკურ პირობებში, სადაც ადგილზე რუსეთის თვითმპყრობელ ადმინისტრაციის მიერ ხელოვნურად შექმნილი ეროვნული დაპირისპირებანი არსებობდა. რუსეთის მუშათა სოციალ-

დემოკრატიული პარტიის ფილიალის კავკასიური გაერთიანების ტაქტიკა მეტად რთული იყო, ვიდრე წმინდა ქართული სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიისა. იმ გარემოებამ, რომ რუსეთის სოციალდემოკრატიული პარტიის კავკასიურ გაერთიანებაში რიცხვობრივად და პოლიტიკურად ქართველობა სჭარბობდა, მეტად დადებითი როლი ითამაშა ჯერ რევოლუციური კანონიერების დამყარებაში და შემდეგ - თვით ქართულ სახელმწიფოებრივობის განმტკიცების საქმეში. მიუდგომლობა მოითხოვს აღინიშნოს ის, რომ ეს ეროვნული პოლიტიკური პარტია მუშაობდა თავისი საზით, განსხვავებული გზებით იმისათვის, რომ ქართველ ერისათვის შეექმნა მისი დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის შესაფერისი პირობები. იგივე სამართლიანობა მოითხოვს ავღნიშნოთ - ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადების 50 წლისთავზე, რომ იწვნენ პოლიტიკური პიროვნებანი, როგორიც იყო ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი და სხვები, რომლებიც თავისი პირადი პასუხისმგებლობით უცხოეთში ქადაგებდენ და იცავდენ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას ოფიციალურად დამოუკიდებლობის იდეა არ წამოუყენებია, ზემოთაღნიშნულ მოსაზრებების გამო. მაგრამ ის, ჩვენი პარტია, როგორც რუსეთის ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ხელისუფლების მიერ, აგრეთვე საზოგადოებრივი აზრით, - მონათლული იყო სეპარატისტების პარტიათ. ეს იყო ჩვენი ყოველდღიური, ყოველწამის, მაგრამ იდუმალი ზრუნვის საგანი.

ოთარ: "ბატონო ნიკო, კიდევ ერთი შეკითხვა: როგორ შეაფასებდით თქვენ ჩვენი პრეზიდენტისა და მთავრობის თავჯდომარის ნოე ჟორდანიას როლსა და პიროვნებას 26 მაისის საქმეში?

ნიკო: "მანამ ნოე ჟორდანიას როლსა და პიროვნებაა შევეხებოდე, ისტორიული სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით, მე საჭიროთ მიმაჩნია დღევანდელ დღეს ნოე რამიშვილის პიროვნებაზე შევჩერდე. ცნობილია, რომ დამოუკიდებელ საქართველოს პირველ ეროვნულ მთავრობის თავჯდომარედ არჩეულ იქნა ნოე რამიშვილი. ეს გარემო-

ება სრულიად არ იყო შემთხვევითი მოვლენა. ორი თვის განმავლობა-
ში ნოე რამიშვილმა შესამჩნევათ უხელმძღვანელა ახალ სახელმწიფოს
საქმეს, მისი ნოე ჟორდანიის მთავრობის შეცვლა არ მომხდარა ეროვ-
ნულ საბჭოში რომელიმე პოლიტიკური პარტიის ფრაქციის მოთხოვნით.
პირიქით, ისინი,როგორც უცხოელი მეთვალყურეები , ნოე რამიშვილის
სახელმწიფოებრივ უნარიანობას და ორგანიზაციულ ნიჭს ყოველთვის
ქებით იხსენიებდნენ. ეს ცვლილება მოხდა თვით ქართული სოციალდემო-
კრატიული პარტიის თაოსნობით. თავის "მოგონებათა " წიგნში თვით
ნოე ჟორდანია ამ პერიოდზე ვრცლად ლაპარაკობს. მაგრამ,ჩემის გა-
გებით,ვერ იძლევა სავსებით ნათელსა და დამაკმაყოფილებელ განმარ-
ტებას. რუსეთის დიდი პარტიის კავკასიურ სოციალდემოკრატიულ გაე-
რთიანებაში,ბუნებრივია, არსებობდა მრავალი პოლიტიკური მიმარ-
თულება,სხვადასხვაობაში როგორც მთლიან რუსეთის პრობლემებზე,ისე
ადგილობრივ კავკასიურ თუ ქართულ საკითხების გარშემო; განსაკუთრე
ბით კი სწორედ ქართულ ეროვნულ პრობლემის შესახებ.ნოე რამიშვილ-
მა,დიდან მისი სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლისა, და განსაკუთრე-
ბით,როცა ის კავკასიულ სოციალდემოკრატთა ერთერთი მეთაური გახდა,
კავკასიურ და არსებულ თუ მომავალ ქართულ-რუსულ ურთიერთობის
საკითხებში აიღო სხვებისაგან განსხვავებული ისეთი გარკვეული
პოზიცია,რომელიც,დროთა ვითარებაში, ლოგიკურად უნდა დასრულებუ-
ლიყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით.დამოუკიდებლო-
ბის გამოცხადებამდე ჩვენში არსებობდა ე.წ."რევოლუციონური კანო-
ნიერება",რომელმაც გამოსახავდა სრულიად საქართველოს მუშათა
და გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭო,რომლის სათავეში ნოე ჟორდანია
იყო. მიუხედავათ ახალ სახელმწიფოს გამოცხადებისა, ეს უკვე დროს
გადასული რეჟიმი მაინც გრძელდებოდა,რაც ახალ სახელმწიფოს ძირი-
თად საძირკვლებისათვის ქმნიდა მიუღებელ მდგომარეობას,რომელსაც,
რაც შეიძლება, ადრე ბოლო უნდა მოღებოდა. და ეს შესაძლებელი
იქნებოდა თუ მთავრობის სათავეში მოექცეოდა ყველასათვის უდაოთ
ავტორიტეტით აღჭურვილი პიროვნება,როგორიც იყო მაშინ ნოე ჟორდა-

ნია. ამ დღიდან – დღემდე) ნოე ჟორდანიას სახელი ჩვენი თავისუფლების, ეროვ-
ნულ დამოუკიდებლობის სიმბოლოა.

ოთარ: " კიდევ ერთი, უკანასკნელი შეკითხვა გვაქვს თქვენთან: რას
უსურვებდით თქვენ დღეს ქართველ ერს და განსაკუთრებით, ქართველ
ახალგაზრდობას სამშობლოში, საქართველოში?

ნიკო: "თანამედროვე ძალიან განვითარებულ ტექნოლოგიურ და ინდუსტრი-
ალიზაციის ხანაში, მე ვუსურვებდი ქართველ ახალგაზრდობას დაუფ-
ლებოდენ – ერთის მხრივ – თანამედროვე ეროვნულ სახელმწიფოს გან-
მტკიცებისათვის მიუცილებელ მაღალ ტექნიკას და – მეორეს მხრივ –
შეესწავლად ჰუმანიტარული მეცნიერებანი; ამ საუკუნის ჩვენი ეროვ-
ნული განმათავისუფლებელი მოძრაობის ნამდვილი, სწორი ისტორია,
რათა შესძლონ ცრუ-ვაევლო მეცნიერულ საბჭოთა ფალსიფიკაციის უარ-
ყოფა. ისტორიულ ეპოქებს შორის არასოდეს არ არსებობს სრული იგივე-
ობა; არსებობს მხოლოდ მსგავსებანი. ამ მხრივ ჩვენი დღევანდელი
ხანა მეტად მიაგავს თებერვლის რევოლუციის წინა წლებს. ამ დიდ
ძვრების და მოვლენების მოლოდინში უსურვებ ქართველ ერს მზად ყო-
ფილიყოს და თავის თავდადებით, მხნეობით, ძალალ პოლიტიკურ ძეგნე-
ბით, პოლიტიკურ-ეროვნული მთლიანობით, როგორც ეს ქნეს წინა თაო-
ბებმა, მ მოსალოდნელ ქარტეხილში ქართველი ერი ფიზიკურად გადაე-
რჩინოს და ის თავისუფალ, დამოუკიდებელ ერთა საერთაშორისო ოჯახში
შეეყვანოს.

ოთარ: "დიდათ გმადლობთ, ბატონო ნიკო, თქვენი ასე ვრცელი და საინტე-
რესო ინტერვიუსათვის.

## ინტერვიუ რეზო გაბაშვილთან(26 მაისი)

(ფირი)

ოთარ:" ლაპარაკობს ოთარ კეთილაძე პარიზიდან!

პატივცემულო თანამემამულენო, ვინ არ იცნობს ჩვენში ჩვენს სახელოვან მწერალს - ეკატერინე გაბაშვილს. თქვენ,ალბათ, არ იცით, რომ მისი ვაჟიშვილი, ბატონი რეზო გაბაშვილი,რომელიც ეხლა 86 წლის ასაკშია, - ცხოვრობს პარიზში. ჩვენ გვსურს ბატონ რეზოს შევეკითხოთ, თუ რა განცდები განიცადა მან 1918 წლის 26 მაისს, როცა გამოცხადებულ იქნა, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, როცა აღდგენილ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობა.მაგრამ სანამ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდს შევეხებოდეთ, გვსურს ბატონ რეზოს ვკითხოთ, თუ რა მოგვიყვება ის თავისი ცხოვრების შესახებ,რომელიც მან გახვლო საქართველოში და შემდეგ ემიგრაციაში, უმთავრესად, პარიზში.

ბატონო რეზო ხომ არ მოგვითხრობთ თქვენი ცხოვრების მთავარ მომენტებს,რომელ წელში დაიბადეთ ბატონო, რეზო?

რეზო:"წარსულ საუკუნეში, 1882 წელს, 6 ნოემბერს,თბილისში, საკუთარ სახლში; დღეს დაარქვეს "ეკატერინე გაბაშვილის ქუჩა".

ოთარ:"სად მიიღეთ დაწყებითი განათლება,ბატონო რეზო?

რეზო:"პირველდაწყებითი, წერა-კითხვა, თვითონ დედაჩემმა მასწავლა და რვა წლისა შევედი ე.წ. სათავადაზნაურო სკოლის მეორე განყოფილებაში..

ოთარ:"როდის დამთავრეთ ბატონო რეზო...

რეზო:"...ჯერ ეს სკოლა გადაკეთდა გიმნაზიად და 1902 წელს იყო მესამე გამოშვება და....1902 წელს გავათავე გიმნაზია.

მაშინვე წავედი საზღვარგარეთ - ბელგიაში - ლიეჟში; იქ იყო მაშინ "ელექტროტექნიკური ინსტიტუტი". იქ დავყავი 1905 წლის ზაფხულამდე, როცა რუსეთში და საქართველოში პირველი რევოლუცია იფეთქა და რადგანაც მთელი ქართველობა ვემზადებოდით საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ჯერ კიდევ მაშინ... ერთი ყიფიანი იყო ბრიუსელში. ის გვასწავლიდა თოფის სროლას... ვემზადებოდით, ასე ვთქვათ, რევოლუციისათვის და საქართველოს განთავისუფლებისათვის... და ზაფხულში, როცა მე შევისწავლე ბომბებისა და ასაფეთქებელი მასალების გაკეთება, - დავბრუნდი საქართველოში. არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში არ ჩავწერილვარ წევრად, მაგრამ (რომელიც ემსახურებოდა მარტო რუსეთის დემოკრატიას;) რადგან ორი პარტია იყო - ერთი სოციალდემოკრატიული) - მეორე, ფედერალისტები, რომლებიც აყენებდნენ, ასე თუ ისე, ეროვნულ საკითხს, მე იმათ მივეკედლე... ეს იყო ჩემი პირველი პოლიტიკური გამოსვლა;...აქტიური გამოსვლა; თორემ თვითონ პოლიტიკურ საკითხებში, პოლიტიკურ ასპარეზზე მე უკვე 15-16 წლიდან გამოველი: ვესწრებოდი 1890-ან წლებში ძალიან გავრცელებულ მთელს რუსეთში და საქართველოში ე.წ."სამეცნიერო წრეებს", სადაც პოლიტიკური მოღვაწეები გამოდიოდნენ და გვასწავლიდნენ ამ მთელს.... რევოლუციონურ ამბებს, თავისი მეცნიერულ შეხედულებათა მიხედვით. მე ვესწრებოდი ამ კრებებს; და პირველი და პირველი პოლიტიკური გამოსვლა იყო 1901 წელსა მაშინ მე დავესწარი დემონსტრაციას და ჩემი თვალით ვნახე საშინელი ამბები - ყაზახებმა როგორ თავპირი დაამტვრიეს დემონსტრანტებს... სცემდნენ, თავპირს ამტვრევდნენ და მე ვერ მოვითმინე, 18 წლისა ვიყავი მაშინ, და დავიყვირე - "არა გრცხვენიათ, ტყვე-ხალხსა თქვენ კიდევ სცემთ მათრახებსა!.." გამომიდგა ერთი ყაზახი ცხენით და ტროტუარზე არ წაქცეოდა ცხენი, თავს გამიხეთქავდა...ხმალი მოიქნია და უნდა დაერტყა და: სწორედ ამ დროს ცხენი წაექცა ქვაფენილზე და მე ამ დროს ვისკუპე, ალექსანდროვის ბაღია თბილისში, და ამით გადავრჩი სიკვდილს. ეს იყო 1901 წელს...სოციალდემოკრატების გამოსვლა იყო ერევნის მოედანზე და იქ საშინელი ამბები დატრიალდა.

სოციალდემოკრატებს ჩამოტანილი ქონდათ სოფლებიდან სარები, კეტები და ამით აპირობდნენ შებრძოლებას ყაზახებთან...

თარ: "შემდეგ როგორ წარიმართა თქვენი ცხოვრება, ბატონო რეზო?

რეზო: " 902-ში რომ გავათავე გიმნაზია, წავედი ლიეჟში და მინდოდა ელექტრო-ინჟინერი გავმხდარიყავი, მაგრამ 905 რევოლუციამ შემიშალა ხელი...] დავბრუნდი საქართველოში 905-ში და ფედერალის-ტებით დავყალებით, როცა რეაქციამ გაიმარჯვა, 1906 წამოვედი პარიზში: პარტია დამავალა, რაკი რევოლუცია დამარცხდა, აქ იყო გიორგი დეკანოზიშვილი, მთავარი ხელმძღვანელი პარტიისა, დამავალეს ახალი ინსტრუქციები მიმეღო მისგან და დავბრუნებულიყავი საქართველოში. 906-ში, მაშასადამე, მე მოვიარე პარიზი, ვნახე დეკანოზიშვილი და დავბრუნდი საქართველოში, მაგრამ არ შემეძლო თბილისში გამოცხადება, იმიტომ, რომ - მირინკინი, რომელიც ვორონცოვის მარჯვენა ხელი იყო, იმან დედაჩემს გამოუცხადა, რომ რუსულად - "ვაშ სინ უნას ვესელ-ში, ნო ონ ვილეტელ ნას ტოლკო პერი ოხტალის ვ რუკახ"... ამიტომ მე წავედი ბაქოში და ვმსახურობდი ნავთის ქარხანაში, საინჟინერო საქმეები მაინტერესებდა, მუხთაროვთან, მენავთე იყო მუხთაროვი.[მაგრამ უნდა წარმოიდგინოთ მაშინდელი რუსული რეჟიმი: ვცხოვრობდი ბაქოში, ჩემი საკუთარი სახელით-გვარით და არავის ჩემთვის ხელის არ უხლია, მიუხედავად იმისა, რომ დამეძებდა ჟანდარმერია ჩამოსაკიდებლად. ეს ერთი. მეორე გარემოება, უფრო უცნაური, იმაში იყო, რომ 1907 წელს, მაშასადამე ორი წლის რევოლუციისა, მე შევედი პეტერბურგის უნივერსიტეტში და მიმიღეს, ჩამითვალეს ბელგიური სემესტრები, მეორე კურსზე... იქ გული ამეყარა რევოლუციაზე, მე ვიყავი ნაციონალ-რევოლუციონერი და არა ინტერნაციონალური... სრულებით გული ამეყარა რევოლუციონერებზე. იმიტომ, რომ მე დავრწმუნდი, რომ ეს რევოლუციონერები უფრო უარესები არიან, ვიდრე ისინი, ვისაც ვებრძოდით... ამიტომ მე სრულებით დავანებე თავი პოლიტიკას და ჩავები მეცნიერულ მუშაობაში... და სწორედ მაშინ ცოლიც შევირთე, შვილიც დამებადა და სწავლის გარეშე სრულებით არ ვერევოდი

პოლიტიკაში. აი ამ დროს მოხდა უცნაური რამ რუსეთში: ლევ ნიკოლაევიჩ ტოლსტოი, 75 წლის კაცი, სახლიდან გაიქცა, რა მიზეზით კაცმა არ იცოდა, და სადღაც ასტაპოვოში, ესაა სადგური, იქ მოკვდა. ამან გამოიწვია მთელ რუსეთში,უნივერსიტეტებში, საშინელი ამბავი..."ტოლსტოვსკიე დნი" - ასე დაათქვეს და მთელი სტუდენტობა გაიფიცა. უმთავრესად იყო პირველი,მეორე კურსის სტუდენტობა. უფროსები არ იღებდნენ ამაში მონაწილეობას და რაკი მე უკვე მესამე კურსზე ვიყავი არაფერში არ ვერეოდი. სრულებით შემთხვევით, ლექციაზე შევედი უნივერსიტეტში და ამ დროს მოხდა "ობლავა" და ამ "ობლავაში" მოვხვდი მე და დამიჭირეს. ეს იყო 910 ბოლოში და სამთვენახევარი ციხეში ვიჯექი, მიუხედავად იმისა, რომ ყველას მისწერე,რომ მე არაფერ შუაში არ ვიყავი...სამი თვის შემდეგ გამოგვიშვეს, 27 კაცი ვიყავით დაჭერილი, და გამომიცხადეს -"ბეზ პრავა პოსტუპლენია ვ უნივერსიტეტ". ასე, რომ არ დამამთავრებინეს უნივერსიტეტი და წამოველი თბილისში...რაკი რევოლუციონერებზე გულაყრილი ვიყავი, შევდექი საზოგადოებრივ მუშაობას და აი ამ დროს, ე.ი.1910-თიდან 1921-მდე, ეს იყო ჩემი საუკეთესო წლები,რომლებშიაც მე,შემიძლია ვთქვა, 24 საათი გადავარდნილი ვიყავი საზოგადოებრივ საქმეებში, უმთავრესად პოლიტიკურად დავაარსეთ საქართველოს ეროვნული პარტია.]

ოთარ:"რომელ წელში დააარსეთ,ბატონო რეზო საქართველოს ეროვნული პარტია?

რეზო:"ეს იყო 1911 წელს.

ოთარ:"ვინ შეადგინა ამ პარტიის პროგრამა?

რეზო:"ჩვენ ვიყავით სამნი - მე შალვა ამირეჯიბი და ლადო ვაჩნაძე. მერმეთ, პირველივე თვეებში, ჩვენ შემოგვიერთდნენ უფროსი თაობიდან - ( ა ახალგაზრდობიდან, ასე რომ პირველივე თვეებში ჩვენ ავიყვანეთ ჩვენი პარტიის რიცხვი თითქმის ას კაცამდე. და მერმეთ არსებობდა ჩვენი პარტია, ეროვნული პარტია, 1917 წლამდე,ვიდრე მოხდა რევოლუცია და მაშინ გადაკეთდა "საქართველოს

ეროვნულ დემოკრატიულ პარტია."

ოთარ: "ბატონო რეზო, ახლა ჩვენ ვუახლოვდებით იმ პერიოდს, როცა თებერვლის რევოლუცია მოხდა და საქართველოში შეიქმნა ეროვნული საბჭო, რომელმაც ნიადაგი მოუმზადა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. რას გვეტყოდით თქვენ ამ პერიოდზე?

რეზო: "ამისათვის ცოტა უნდა უკან დავიხიოთ:

1915 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს, საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა გიორგი მაჩაბელი, დიდი პოლიტიკური და გონიერი ადამიანი. ჩამოგვიტანა გერმანიასთან, ავსტრიასთან და ოსმალეთთან ხელმოწერილი ხელშეკრულება, რომ ეს სამი სახელმწიფო სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და როგორც კი, რომელიმე ამ სახელმწიფო ჯარი ფეხს შემოდგამდა საქართველოს ტერიტორიაზე გამოაცხადებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას და სცნობდნენ იურიდიულად. ჩვენ მივიღეთ თუ არა ეს დაწერილი, დაბეჭდილი და ხელმოწერილი ხელშეკრულებანი მოვიწვიეთ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების - სოციალდემოკრატების, ფედერალისტების და ჩვენ - ქუთაისში და გაიმართა კონფერენცია, 1915 წელს, გაქანებული ომის დროს. სოციალდემოკრატებიდან იყვნენ წარმომადგენელი - თვითონ ჟორდანია და ევგენი გეგეჭკორი, ფედერალისტებისაგან - იყვნენ წარმომადგენლები - გრიგოლ რცხილაძე და სამსონ ფირცხალავა, ჩვენი მხრიდან ვიყავით - მე და შალვ. ამირეჯიბი. ეს კრება მოხდა ერთი ახალგაზრდა ქართველის სახლში, რომელიც იმავე დროს ამ კონფერენციის თავჯდომარე იყო. ამ კრებას გიორგი მაჩაბელმა გააცნო მთელი მდგომარეობა და გადმოუღაგა ეს ხელშეკრულებანი და დავიწყეთ მსჯელობა. ბატონ. ჟორდანიამ განაცხადა შემდეგი: "ბატონებო, თქვენ უნდა იცოდე. რომ ჩვენ, მე და ჩვენი პარტია, ვართ ამ ომში მომხრენი ანტ.. ტისა და იმავე დროს რუსეთისა და ამას ვერ გადავცდებით. მს

ლოთაო, თქვენაო იმუშავეთ მაგ გზითაო,ე.ი.გერმანელებთან ერთად და ჩვენსაო ასეთი ხელს არ შეგიშლითო და პირიქითაო თუ საჭირო იქნება, აქა-იქ დაგეხმარებითო. და მე უნდა დავუმატო ამას,რომ მართლაც,როდესაც ჩვენ შემდეგ მოგვიხდა გერმანელებთან ასეთი თუ ისეთი კავშირები, - ჟორდანიამ არა მარტო ხელი არ შეგვიშალა, ხელს გვიწყობდა.[აი ეს ერთადერთი გასამართლებელი მოვლენა,რომელიც მე მახსოვს მთელი ნოე ჟორდანიას ბიოგრაფიიდან და ისტორიიდან.]

ოთარ:"ბატონო რეზო, ეხლა თქვენ ხომ არ მოგვითხრობთ, თქვენ პირად განცდებს,როცა გამოცხადებულ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობა, ე.ი.1918 წლის 26 მაისს? სად ბრძანდებოდით მაშინ?

რეზო:"მე,რასაკვირველია, ვიყავი თბილისში და წინასწარ გამოცხადებამდე, ბევრი ნაშრომი მქონდა,ბევრი გაკეთებული გვქონდა პირადათ და პარტიის საშუალებითაც, სამზადისი ამ დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის; როგორც ერთერთი მაგალითი, აი ეს მაგალითი - ქუთაისის კონფერენცია გიორგი მაჩაბლის ჩამოსვლის დროს. გარდა ამისა, ჩვენ ვაგროვებდით იარაღს,მომავალი დამოუკიდებლობისათვის და ეს იარაღი შემოდიოდა როგორც ყიდვით,ისე შემოწირულებით რუსის ჯარის ოფიცრებისაგანაც კი და მოგვდიოდა წყალქვეშა ნავებით გერმანიიდან.

ოთარ:"როგორ შეხვდა,თქვენ თვითონ თბილისში იყავით მაშინ, ქართველი ხალხი დამოუკიდებლობის გამოცხადებას?

რეზო:"ქართველი ხალხი,დედიან-ბუდიანათ შეიძლება ითქვას, დიდის აღტაცებით შეხვდა დამოუკიდებლობის გამოცხადებას. როდესაც პარლამენტში ნოე ჟორდანიამ წაიკითხა დამოუკიდებლობის აქტი და მერე ბალკონიდან ხალხს გამოუცხადა, შეიძლება ითქვას რომ, სასახლის გარშემო მთელი თბილისი იყო და აღტაცებით ცაში უკრავდა,მღეროდნენ და ხხვადასხვა.

ოთარ: მცხეთის მდგომარეობა, ალბათ, იყო აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქებში და სოფლებში?

რეზო: "ყველგან... სოფლებში, ქალაქებში დიდი აღტაცებით შეხვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და იმ დღეს, ვლასა მგელაძემ, გაიქცა მამადავითის ეკლესიაში, ზარები დარეკა და ილია ჭავჭავაძესა და აკაკის საფლავს ჩასძახა, რომ "გაიხარეთ, საქართველო დამოუკიდებელი გახდა!"..........................

ოთარ: როგორც იცით, ბატონო რეზო, საქართველოში გვყავს ახალი თაობა, რომლებიც დაიბადენ დამოუკიდებლობის პერიოდის შემდგომ დროში და მათ არ აქვთ საშუალება გაეცნონ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდს. თქვენ რას ეტყოდით ჩვენს ახალგაზრდობას...რას უსურვებდით ჩვენს ხალხს და ჩვენს ახალგაზრდობას საქართველოში?

რეზო: "ჩემი ხანგრძლივი გამოცდილებით და მეტადრე ხუთიათასი წლის ისტორიის შესწავლით, მეცნიერულად, არქეოლოგიურად და ენათმეცნიერების საშუალებით, - მე დავრწმუნდი, რომ ყოველი პატარა ერი, რომელიც ებრძვის თავის მოძალადეს და მოწინააღმდეგეს, უფრო მეტს იგებს, ვიდრე როდესაც ის შეურიგდება და წაუწვება დამპყრობელს.

ოთარ: "დიდათ გმადლობთ ბატონო რეზო.

==============================

==================

=========

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება, ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება,

პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემულო მსმენელებო, გერმანელი სოციალისტისა და დემოკრატის როზა ლუქსემბურგის სიტყვები თავისუფლების შესახებ:

"თავისუფლება არის - ამბობდა როზა ლუქსემბურგი - სხვაგვარად-მოაზროვნეების თავისუფლებაც."

"Die Freiheit auch die Freiheit des Andersdenkenden ist".

## კარლ კაუცკის სიტყვა

### წარმოთქმული სახალხო გვარდიის მე-2 ყრილობაზე 24 ოქტომბერს, 1920 წელს, თბილისში.

საყვარელო ამხანაგებო! დიდათ გმადლობთ იმ პატივისცემისათვის, რომელიც წილათ მარგუნეთ იმით, რომ ამირჩიეთ საპატიო თავმჯდომარეთ.

თქვენ ხედავთ ჩემს გულზე ნიშანს: მე გავხდი გვარდიის წევრი. ამით მე ვამაყობ, მაგრამ წლოვანებით მე უნდა ვიყო ძველი გამოცდილი გვარდიელი, მე კი ეხლა ვარ ყველაზე უმცროსი რეკრუტი (ტაში).

ამხანაგებო! მე სასიქადულოთ მიმაჩნია ვიყო წევრი თქვენი ორგანიზაციისა; ეს იმიტომ, რომ მე ვიცი თქვენი ორგანიზაცია. სახალხო გვარდია არის ერთი იმ ქვაკუთხედთაგანი, რომელსაც ეყრდნობა მთელი საქართველოს დემოკრატია. მე ვიცი, რომ თქვენ დაგიმტკიცებიათ თქვენი თავდადება იდეალებისადმი და დემოკრატიისადმი თქვენი სიცოცხლისა და სისხლის ფასით. მაგრამ მიუხედავათ თქვენი დამსახურებისა და მიუხედავათ იმისა, რომ თქვენ შეიარაღებულ ძალას წარმოადგენთ, თქვენ არ ინებეთ გამორჩევა სხვა მოქალაქეთაგან, არ მიიახლოვეთ და არ მიითვისეთ პრივილეგიები. თქვენ ხართ თანასწორნი სხვა მოქალაქეებთან. ეს განსაკუთრებული თვისება დამახასიათებელია თქვენი ორგანიზაციისათვის (ტაში).

ამხანაგებო! დღევანდელი თქვენი ყრილობა განსაკუთრებულ პირობებში იკრიბება. თქვენ იცით თუ რა მძიმე და რთულია დღეს საზოგადოთ საერთაშორისო მდგომარეობა. განსაკუთრებით მძიმეა და საშიშროებით სავსეა ის თქვენთვის, საქართველოსთვის. მე ამაზე ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია. მე ვიტყვი მხოლოდ, რომ საქართველოს დემოკრატიის პატარა ნავმა შესძლოს დიდი საშიშროების ტალღებში თავი გაიტანოს,—ამისთვის საჭიროა მესაჭე მაგარი ხელით და მტკიცე გულით მართავდეს ნავს. ასეთი ხელმძღვანელი, ასეთი მესაჭე თქვენ გყავთ თქვენი მთავრობის სახით, რომელსაც თქვენ ყველანი ენდობით. მაგრამ მარტო მთავრობა ვერასფერს გახდება, თუ იგი დარწმუნებული არ იქნება, რომ თქვენც მასთან ხართ. რომ მთავრობის მუშაობამ მიზანს მიაღწიოს, ამისათვის საჭიროა იცოდეს მთავრობამაც და მტერმაც, რომ საქართველოს ყავს ისეთი შეიარაღებული ძალა, რომელიც დამარცხებულს და შერცხვენილს უკუაგდებს თავის საზღვრებიდან მტერს, თუ ის გაბედავს და რესპუბლიკას შემოესევა (ტაში).

ამხანაგებო! თქვენ არა მხოლოდ ამისათვის იკრიბებით დღეს, რომ საერთაშორისო მდგომარეობა განიხილოთ, არამედ აგრეთვე იმისთვისაც, რომ გასინჯოთ, გამოარკვიოთ, თუ როგორ შეიძლება სამხედრო ორგანიზაციის გამოყენება სამშვიდობო და შემოქმედებითი მიზნებისათვის.

მე ვიცი, რომ თქვენ სამხედრო საქმის გარეშე ცდილობთ გააკეთოთ მშვიდობიანი საქმე, მოიხმაროთ თქვენი ორგანიზაციული ძალა წარმოებისათვის; სასოფლო-მეურნეობაში ეს ძალიან მნიშვნელოვანი საქმე დაგიწყიათ და ის დიდ ინტერესს გამოიწვევს მთელი ქვეყნის სოციალისტთა შორის.

შეიძლება ბევრმა იფიქროს, რომ ეს პარადოქსია: როგორ შეიძლება წარმოიდგინოთ ერთი შეხედვით, რომ სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც სიცოცხლის და სიმდიდრის განადგურებას ეწევა, რომელიც გამსჭვალულია განადგურების მისწრაფებით,—როგორ შეიძლება, რომ ეს სამხედრო ორგანიზაცია ემსახუროს შრომის და წარმოების მიზნებს. მაგრამ ეს პარადოქსია მხოლოდ პირველი შეხედვით, ნამდვილათ კი თქვენი ორგანიზაცია—სახალხო გვარდია—არ წარმოადგენს ჯარს, ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით. თქვენ მართლაც გაქვთ სამხედრო მიზნები, როგორც ყოველთვის ჯარს; მაგრამ თქვენი სამხედრო მიზნები ეთანხმება და ანალოგიურია იმ მიზნებისა, რომელსაც ემსახურება სოციალიზმი.

თქვენ მიზნათ დაგისახავთ არა სხვაზე თავდასხმა, სხვისი ცხოვრების განადგურება, არამედ თავდაცვა; თქვენი მიზანია თქვენ თანამემამულეთა სიცოცხლის დაცვა.

ამასთანავე თქვენ მიზნათ ისახავთ წარმოების დაცვას, რასაც ემსახურება აგრეთვე სოციალიზმიც. კიდევ სხვაგვარათაც შეიძლება კავშირი გავაბათ სოციალიზმს და არმიას შორის. მარქსი ერთ-ერთ თავის წიგნში, «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის შესავალი»-ში ამბობს, რომ ჯარი იყო პირველი ფორმა მსხვილ წარმოებისა.

ისე როგორც მსხვილ საწარმოო დაწესებულებას სჭირია დიდი ორგანიზაცია იმისათვის, რომ მისმა მოქმედებამ ნაყოფიერი შედეგები გამოიღოს, ასევეა ჯარი; თავის სამხედრო მიზნების მისაღწევათ, თავისი დანიშნულების შესასრულებლათ საჭიროებს რთულსა და კარგათ მოწყობილ ორგანიზაციას. თქვენ იცით, რომ ყველა დიდი სარდლები, როგორიც იყვნენ მაგალითად ცეზარი, კრომველი და ნაპოლეონი, იყვნენ ამასთანავე ნიჭიერი და გამოცდილი ორგანიზატორები, იცოდენ არა მარტო თავისი ჯარის კარგათ მოწყობა არამედ სახელმწიფოს მოწყობაც.

კაპიტალიზმისათვისაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს რთული და კარგი ორგანიზაცია; კაპიტალს ესაჭიროებიან ნიჭიერი და გამოცდილი ორგანიზატორები, რომლებსაც იგი ითხოვს წარმოებისათვის; და სწორეთ ისე, როგორც მსხვილი კაპიტალისტური წარმოება,—აგრეთვე სოციალიზმიც საჭიროებს რთულს და კარგ მოწყობილ ორგანიზაციას. მას განახორციელებენ არა თეორეტიკოსები, არამედ პრაქტიკის ხალხი.

თეორეტიკოსს შეუძლია გზა გიჩვენოს სოციალიზმისაკენ; მას შეუძლია დაგისურათოს ის პირობები, რომელშიაც სწარმოებს თქვენი ბრძოლა, რომელთაც მიჰყევხართ თქვენ გამარჯვებისაკენ. სოციალიზმის განხორციელება ცხოვრებაში კი შეუძლიათ არა თეორეტიკოსებს, არამედ ორგანიზაციულათ გაწრთვნილ პრაქტიკულ მოღვაწეებს. სოციალიზმის დამყარება რომ შესაძლებელი გახდეს, ამისათვის საჭიროა, რომ პროლეტარიატს ქონდეს დიდი ორგანიზაციული გამოცდილება და უნარი. ამ გამოცდილებას პროლეტარიატი იძენს მასიურ ორგანიზაციაში, როგორიც არის სოციალისტური პარტია, პროფესიონალური კავშირები და აგრეთვე კოოპერატივები; ეს არის ფორმები პროლეტარულ მასსიური ორგანიზაციისა, რომლებიც ვითარდება პროლეტარიატის ორგანიზატორული ნიჭით და შემოქმედებით.

თქვენ კი ეხლა ქმნით კიდევ ერთ ახალ ფორმას ორგანიზაციისა, პროლეტარულ სამხედრო ორგანიზაციას, რომელშიაც აგრეთვე იწვრთნება პროლეტარიატის ორგანიზაციული ნიჭი და იჭედება მტკიცე პროლეტარული შემოქმედება. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ახალი იდეა იქნება აგრეთვე ნაყოფიერი და დიდ ინტერესს აღძრავს სოციალისტურ წრეებში (ტაში). მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ არსებობს სოციალიზმსა და არმიას შორის კავშირი,—მათ შორის ამასთანავე არსებობს საგრძნობი წინააღმდეგობაც, რაც აფერხებს ჯარის გამოყენების საქმეს სოციალიზმისათვის. უწინარეს ყოვლისა ეს წინააღმდეგობა თავს იჩენს დისციპლინის საკითხში. არც ერთ დიდ ორგანიზაციას არ შეუძლია იარსებოს უდისციპლინოთ; მაგრამ ტრადიციული სამხედრო დისციპლინა დიდათ განირჩევა სოციალისტური დისციპლინისაგან.

ძველი არმიების დისციპლინა ემყარებოდა იძულება-დაშინებაზე. ფრიდრიხ მეორე პრუსიელი ამბობდა, რომ ჯარისკაცს უფრო უნდა ეშინოდეს თავის ოფიცრის, ვიდრე მტრისა. ასეთ დისციპლინაზე არც ერთი სოციალისტური საზოგადოება არ შეიძლება იქნეს აშენებული. სოციალისტური საზოგადოება მიისწრაფის დაეყრდნოს შრომის უმაღლეს ფორმას; ეს კი გულისხმობს ნებაყოფლობის და ხალისიან შრომას. იძულებითი შრომა, ყოველთვის ცუდ შედეგს იძლევა. იძულებითი მომუშავე აკეთებს საქმეს უხალისოთ, ცდილობს იმუშაოს რაც შეიძლება ნაკლები, აფუჭებს საწარმოო

მასალას. იძულებითი შრომით, შრომით ჯოხს ქვეშ. შეიძლება გაკეთებული იქნეს მხოლოდ პრიმიტიული სამუშაო. ის ცნობილი სოციალისტები, რომლებიც ცდილობდენ პრაქტიკულად განეხორციელებიათ სოციალიზმი,—მუდამ ფიქრობდენ იმაზე, თუ როგორ მიეცათ შრომისათვის მიმზიდველი ხასიათი; განსაკუთრებით რობერტ ოუენმა და ფურიემ ბევრი სწერეს ამ საკითხზე. მაგრამ ამის მიღწევა არც ასე ადვილი საქმეა; დიდი ხანი უნდა სანამ შრომა თავისთავად მიმზიდველი გახდება. სოციალიზმის განხორციელება ამას ვერ მოუცდის. ამიტომ ჩვენ ჯერ უნდა დავკმაყოფილდეთ სხვა პირობებით, რაც პროლეტარიატს შრომას შეაყვარებს. ეს პირობები არის: თავის მოვალეობის შეგნება. შემდეგ ღრმათ განვითარებული პატიოსნების გრძნობა და საერთო გონებრივი განვითარება. ეს პირობები არის აუცილებელი და თუ ეს პირობები აქვს შეძენილი პროლეტარიატს, მაშინ შესწევს მას ძალა ნებაყოფლობითი და ნაყოფიერი შრომისათვის, რომ ეს მოვალეობის შეგნებაა და, მე მწამს, პატიოსნების გრძნობა საკმაოთ არის განვითარებული თქვენი ორგანიზაციის წევრთა შორის. ეს მოგცემთ თქვენ საშუალებას ემსახუროთ არა მარტო სამხედრო მიზნებს, არამედ მეორე მიზანს, რომელიც თქვენ დაგისახავთ—ნაყოფიერ წარმოებით შრომას. რა გზით, როგორ უნდა განხორციელდეს ეს შრომა,—აქ მე ვერაფერს გეტყვით. ვინაიდან აქ იწყება ის ასპარეზი, სადაც თეორეთიკოსი უკან იხევს და წინ გამოდის პრაქტიკული მოღვაწეობა. აქ მე თქვენ ვერ გასწავლით.—აქ მე უნდა ვისწავლო თქვენგან. თქვენ ცდას, თქვენ მუშაობას განსაკუთრებული საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს ორის მხრივ.

ორი წელიწადია მას შემდეგ რაც საერთაშორისო ომი დასრულდა. მაგრამ მშვიდობიანობა მაინც ვერ მიენიჭა ქვეყანას; შეგვიძლია ვთქვათ, რომ საომარი მდგომარეობა ისევ

არსებობს; მთელი მსოფლიო იმყოფება ფარულ საომარ მდგომარეობაში. თქვენ იცით, რომ ამ მდგომარეობიდან გამოსვლა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც დიდგავლენიან ქვეყნებში მართვა-გამგეობა სოციალისტების ხელში იქნება, ან ყოველ შემთხვევაში, სოციალისტურ პარტიებს, პროლეტარიატს ექნება საკმაო გავლენა თავიანთ მთავრობების პოლიტიკაზე, რომ აიძულონ ისინი ანგარიში გაუწიონ პროლეტარიატის მოთხოვნილებებს: ამასთანავე შესაძლებელი იქნება ნამდვილი მშვიდობიანობის დამყარება მაშინ, როდესაც ხალხთა ლიგა გახდება რეალურ ძალათ და მიღწეული იქნება ინტერნაციონალის იდეალები. ხოლო სანამ ეს არ არის მიღწეული—სოციალისტური სახელმწიფოებიც საჭიროებენ შეიარაღებულ ძალას, ჯარს თავის დასაცავათ. მაგრამ სოციალისტური სახელმწიფოც მით განსხვავდება სხვა სახელმწიფოსაგან, რომ ის სცდილობს რაც შეიძლება ნაკლებათ დაამძიმოს ჯარით ხალხი, რაც შეიძლება მეტი ეკონომია და ნაკლები სამხედრო ხარჯები გასწიოს. თქვენ შექმენით შეიარაღებული ძალა—სახალხო გვარდია—ხოლო გვარდიაში შრომის პრინციპის შემოღებით და გვარდიის გამოყენებით საწარმოო მიზნებისათვის, თქვენ ცდილობთ ეს ეკონომია გაატაროთ პრაქტიკაში. თქვენის მაგალითის გამართლებით თქვენ დაამტკიცეთ, რომ სოციალისტურ ქვეყანას გაცილებით ნაკლებათ უჯდება ჯარის შენახვა, ვიდრე ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს, ვინაიდან სოციალისტურ ქვეყანას შეუძლია ჯარის არა მარტო მილიტარული მიზნებისათვის, არამედ აგრეთვე მშვიდობიან საწარმოო მიზნებისათვის გამოყენება. თუ თქვენ შესძელით მიღწევა.—ეს დიდი მაგალითი იქნება სოციალისტური ქვეყნებისათვის, რომელნიც იძულებული იქნებიან ჯარი იყოლიონ, ვიდრე სოციალიზმი საყოველთაოდ არ დამყარდება (ტაში).

მაგრამ თქვენს მუშაობას ინტერნაციონალისთვის ერთი დიდი მნიშვნელობა აქვს, და ეს სპეციალურათ აგრარული საკითხის სფეროში. თქვენ იცით, რომ ომის შემდეგ დაიწყო

ხანა სოციალიზაციის. საერთაშორისო კატასტროფის შემდეგ, არსად. არც ერთ ქვეყანაში პროლეტარიატი ძველ პირობებში აღარ დარჩება და მოითხოვს, რომ ყოველი სახელმწიფო შესდგეს საწარმოო ძალთა განსაზოგადოების გზაზე. თქვენ იცით, რომ წარმოების დარგის სოციალიზაცია ევროპის სახელმწიფოებში პრაქტიკულ საკითხადაა გამხდარი, მაგრამ სოციალიზაცია ერთი შაბლონით ვერ გატარდება

ყველა ქვეყანაში და წარმოების ყველა დარგებში. არ არსებობს ერთხელ და სამუდამოთ განსაზღვრული პროგრამა ამ მიზნის განსახორციელებლათ. პირიქით, ყველა ქვეყნის წარმოების სხვადასხვა დარგში უნდა იქნას შესწავლილი პირობები და ამის მიხედვით გატარდეს სოციალიზაცია. განსაკუთრებით ძნელია სოციალისტური შემოქმედება, სოციალიზმის გატარება სასოფლო მეურნეობაში. გლეხის სოციალურათ განთავისუფლება დღევანდელ ბარბაროსულ პირობებიდან არ შეიძლება მოხდეს წვრილ მეურნეობის საშვალებით, რომელიც ტიპიური მოვლენაა გლეხობაში. მსხვილი წარმოება კი სასოფლო მეურნეობაში დიდ დაბრკოლებებს ხვდება თავის განვითარების გზაზე. ამიტომ საჭიროა შემოვიღოთ მსხვილი სასოფლო წარმოების ისეთი ფორმები, რომლებიც მიმზიდველი იქნება გლეხისათვის. ეს მეტათ რთული საკითხია.

დასავლეთ ევროპის სოციალისტები ძალიან ბევრ შრომას და დროს ანდომებენ ამას. აქამდე წარმოებულმა ცდამ თითქმის უნაყოფოთ ჩაიარა. არსებობს ორგვარი ფორმა საზოგადოებრივი წარმოებისა სოფლათ: კომუნალური და კოოპერატიული. და აი თქვენ გინდათ მოიპოვოთ ახალი ფორმა საზოგადოებრივ მსხვილ წარმოებისა სასოფლო მეურნეობაში. თუ სახალხო გვარდიის ცდამ მიზანს მიაღწია, ეს იქნება უდიდესი მაგალითი სოციალისტურ ინტერნაციონალისათვის. თუ საზოგადოებრივი მსხვილი წარმოება სასოფლო მეურნეობაში, რომლის მოწყობასაც აქ ფიქრობს ნახევრათ სამხედრო პროლეტარული ორგანიზაცია, შრომის უმაღლეს ნაყოფიერების-მატარებელი აღმოჩნდა, მაშინ გლეხობა დაინახავს განსაზოგადოებრივებულ მსხვილ წარმოების უპირატესობას სასოფლო მეურნეობაში და ისარგებლებს თქვენი მაგალითით.

ამნაირათ, თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ თქვენ მუშაობას მნიშვნელობა აქვს არა მარტო თქვენი ქვეყნის ფარგლებში, არამედ მთელი ინტერნაციონალისათვის. ამ აზრით უნდა განიმსჭვალოთ თქვენ და მე მგონია, რომ ნება მაქვს არა მარტო ჩემი სახელით, არამედ მთელი ინტერნაციონალის სახელით მოგესალმოთ და გისურვოთ ნაყოფიერი მუშაობა და სრული გამარჯვება თქვენი მიზნების მიღწევაში (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები. მუსიკა ასრულებს ინტერნაციონალს).

«ერთობა» № 246. 28 ოქტომბერი 1920 წ.

# ინტერვიუ გენერალ კვინიტაძესთან

"მეფის რუსეთის ჯარში – ამბობს გენერალი კვინიტაძე – არც ერთ ერს არ ჰყავდა ისეთი ოფიცრები, როგორც ქართველებს, – მუდამ სახელმოხვეჭილი და დაჯილდოებული. მე შევადგინე ახალციხის ამბების დროს გენერლების სია; 25 გენერალთა შორის 23-ს ჰქონდა მიღებული წმინდა გიორგის ჯვარი".

გენერალი კვინიტაძე 1919 წლის აპრილში დანიშნულ იქნა ამიერკავკასიის რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის – გიორგი გიორგაძის თანაშემწედ და მთავარსარდლად. 1918 წლის 26 მაისს, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, გენერალი კვინიტაძე შეყვანილ იქნა ნოე რამიშვილის მთავრობაში იმავე თანამდებობაზე. სომხეთთან ომში გენერალი კვინიტაძე მონაწილეობას ღებულობდა, როგორც [illegible] მან მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ახალ-ციხის ხაზზე მოქმედებებში, ხოლო ახალციხის, ახალქალაქისა და არდაგანის აღების შემდეგ 1919 წელს, აგვისტოში, მიწვეულ იქნა სამხედრო სკოლის უფროსად თბილისში. 1920 წელს გენერალი კვინიტაძე გაგზავნილ იქნა აზერბაიჯანში საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო კავშირის გამოსაცოცხლებლად. როგორც ცნობილია, თვით ეს სამხედრო კავშირის ხელშეკრულება დადებულ იქნა 1919 წლის ზაფხულში. 1920 წლის აპრილში გენერალი კვინიტაძე დანიშნულ იქნა საქართველოს ჯარების მთავარსარდლად. მისი ხელმძღვანელობით მოგერიებულ იქნა წითელი არმიის შემოტევა საქართველოზე 1920 წელს, და ეს ბრძოლები დამთავრდა მტრის დევნით საქართველოს საზღვრებს იქით. 1921 წლის 16 თებერვალს გენერალი გიორგი კვინიტაძე ისევ დანიშნულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად; ეს მოხდა იმ დროს, როცა წითელი არმია, ლენინის ბრძანებით, საქართველოს თითქმის ყოველი მხრიდან უტევდა დიდი ძალებით. დამარცხდა რა, ამ უთანასწორო ბრძოლებში, ქართული შეიარაღებული ძალები, გენერალი კვინიტაძე, საქართველოს ეროვნულ კანონიერ მთავრობასთან ერთად, იძულებული იყო დაეტოვებინა საქართველო და დღემდე ცხოვრობს საფრანგეთში, პარიზში.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 60 წლისთავთან დაკავშირებით, ჩვენი რედაქციის წევრი - ოთარ კეთილაძე - ესაუბრა გენერალ კვინიტაძეს და ქონდა მასთან საუბარი. აი, მოვისმინოთ ეს საუბარი. მიკროფონთან არის - ოთარ კეთილაძე:

(ფირი)

ოთარ: "ბატონო გენერალო, ხომ არ მოგვიყვებით თქვენი ცხოვრების მთავარ მომენტებს?

გენერალი: "მე დაბადებული ვარ 1874 წელს, აგვისტოში. დაბადებული ვარ დაღესტანში, როგორც ყველა ჩემი ძმა, სადაც მამაჩემი მსახურობდა "დაგესტანსკი კონნი პოლკ-ში"...

ოთარ: "დაღესნსტანის ცხენოსანთა პოლკში"

გენერალი: "ხო, მამაჩემმა ორმოცი წელიწადი გაატარა იქ, დაღესტანში. მერე იქიდან, როცა მე ვიყავი ექვსი-შვიდი წლის, გადმოვიდა მამაჩემი თბილისში...

ოთარ: "ბატონო გენერალო თქვენ შემდეგ მამათქვენმა შეგიყვანათ "კადეტთა კორპუსში", დაამთავრეთ ის, მონაწილეობა მიიღეთ იაპონია-რუსეთის ომში, 1905 წელში, შემდეგ შედით სამხედრო აკადემიაში, დამთავრეთ ის...

გენერალი: "როცა მე აკადემია დავამთავრე სამი წლის შემდეგ, მე მქონდა მვებულება და მე მოვედი თბილისში. დედ-მამა უკვე არა მყავდა სამი და იყვნენ თბილისში, სამივე ჩემზე უფროსი.

ოთარ: "ბატონო გენერალო...სად ბრძანდებოდით თქვენ, 1918 წლის 26 მაისს, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა და როგორ შეხვდით თქვენ პირადათ საქართველოს დამოუკიდებლობას?

გენერალი: "მაშინ მე ვიყავი ჯარების უფროსი...მე ვიყავი ჯერ სამხედრო მინისტრის თანაშემწე და მთავარსარდალი ყველა კავკასიის ჯარებისა...როცა მოუახლოვდენ თათრები ყარსს, მაშინ გენერალმა ოდიშელიძემ უბრძანა სომხებს უკან დახევა, რადგან დარწმუნდა, რომ სრულებით შეუძლებელია მათი დაკავება. ამის შემდეგ ის იყო გადაყენებული და მე დამნიშნეს...

ოთარ:"ჯარების სარდალი...

გენერალი:"კავკასიის ჯარების სარდალი...

ოთარ:"საქართველოს დამოუკიდებლობა ჯერ არ იყო გამოცხადებული..

გენერალი:"არა. მოლაპარაკება გვქონდა ტრაპიზონში და ბერე ბათუმში თათრებთან...უკვე ჩვენ ვიყავით დამოუკიდებელი რესპუბლიკა, მოვშორდით რუსეთს... ის ხელშეკრულება, რომელიც დაიდვა ბრესტ-ლიტოვსკში, ჩვენ არ გვინდოდა მიგვეღო იმიტომ, რომ არდაჰანი, ბათუმი და ყარსი რუსეთმა მისცა თურქებს...

ოთარ:"ლენინის მთავრობამ მისცა...

გენერალი:"დიახ. ჩვენ არ მივიღეთ ეს. ერთი შემთხვევა მოხდა: თურმე გერმანელებმა, რომლებსაც უნდოდათ ჩვენი შველა, მოითხოვე ქართველების წარმომადგენლები ყოფილიყო ბრესტ-ლიტოვსკში...ჩვენები არ წავიდენ...

ოთარ:"ეს შეცდომა იყო?

გენერალი:"დიდი. იმიტომ, რომ რომ წასულიყვენ შეიძლება ეს გადაწყვეტილება არ გავიდოდა...

ოთარ:"და როცა დამოუკიდებლობა გამოცხადდა თქვენ იყავით ფრონტზე თუ თბილისში?

გენერალი:" მე ვიყავი თბილისში, როგორც სამხედრო მინისტრის თანაშემწე.

ოთარ:" და როგორ შეხვდა საერთოდ საქართველოს დამოუკიდებლობას ქართველი ხალხი, განსაკუთრებით ქართული ჯარი?

გენერალი:"...როცა გამოცხადდა პარლამენტში ეს ამბავი...

ოთარ:"დამოუკიდებლობის აქტი...

გენერალი:"...აქტი გამოცხადდა და ჩვენ მოვშორდით სომხებს და თათრებს, რომლებსაც უნდოდათ დამოუკიდებლობის გამოცხადება თბილის. ჩვენ არ დავუბვით ეს, - სოფლებში რა მოხდა მე არ ვიცი, ოფიცრობაში იყო მშვენიერი აღელვებ და სიხარული...

ოთარ:"...საქართველოს ახალგაზრდა არმია, რომელიც შეიქმნა დამოუკიდებლობის დროს, ასე მედგრად იბრძოდა საქართველოს მაშინდელ

ოთარ:"ჯარების სარდალი...

გენერალი:"კავკასიის ჯარების სარდალი...

ოთარ:"საქართველოს დამოუკიდებლობა ჯერ არ იყო გამოცხადებული..

გენერალი:"არა. მოლაპარაკება გვქონდა ტრაპიზონში და მერე ბათუმში თათრებთან... უკვე ჩვენ ვიყავით დამოუკიდებელი რესპუბლიკა, მოვშორდით რუსეთს... ის ხელშეკრულება, რომელიც დაიდვა ბრესტ-ლიტოვსკში, ჩვენ არ გვინდოდა მიღება, იმიტომ, რომ არდაგანი, ბათუმი და ყარსი რუსეთმა მისცა თათრებს...

ოთარ:"ლენინის მთავრობამ მისცა...

გენერალი:"დიახ. ჩვენ არ მივიღეთ ეს. ერთი შემთხვევა მოხდა: თურმე გერმანელებმა, რომლებსაც უნდოდათ ჩვენი შველა, მოითხოვეს ქართველების წარმომადგენლები ყოფილიყო ბრესტ-ლიტოვსკში... ჩვენები არ წავიდნენ...

ოთარ:"ეს შეცდომა იყო?

გენერალი:"დიდი. იმიტომ, რომ რომ წასულიყვნენ შეიძლება ეს გადაწყვეტილება არ გავიდოდა...

ოთარ:"და როცა დამოუკიდებლობა გამოცხადდა თქვენ იყავით ფრონტზე თუ თბილისში?

გენერალი:" მე ვიყავი თბილისში, როგორც სამხედრო მინისტრის თანაშემწე.

ოთარ:" და როგორ შეხვდა საერთოდ საქართველოს დამოუკიდებლობას ქართველი ხალხი, განსაკუთრებით ქართული ჯარი?

გენერალი:"...როცა გამოცხადდა პარლამენტში ეს ამბავი...

ოთარ:"დამოუკიდებლობის აქტი...

გენერალი:"...აქტი გამოცხადდა და ჩვენ მოვშორდით სომხებს და თათრებს, რომლებიც უნდოდათ დამოუკიდებლობის გამოცხადება თბილის. ჩვენ არ დავუშვით ეს, - სოფლებში რა მოხდა მე არ ვიცი, ოფიცრობაში იყო მშვენიერი აღელვება და სიხარული...

ოთარ:"...საქართველოს ახალგაზრდა არმია, რომელიც შეიქმნა დამოუკიდებლობის დროს, ახლა მეტად ირმოდა საქართველოს მაშინდელ

საზღვრების დასაცავად. რით ახსნით თქვენ ამ ფაქტს?

გენერალი:"როცა წაიკითხავთ ჩემს პატარა ბროშურას იქ ნახავთ — ნათქვამია ჩემს მიერ. კადეტი ვიყავი, 15 წლის, გლეხიმოდიოდა; ერთი გზა გვქონდა. "სალდათი ხარ" — შემეკითხა. ვუთხარი "არა". რატომ გაქვს მაშინ "პაგონები". მოწაფე ვარ სამხედრო სკოლის!" "უნდა გაათაო"? — "ხო!" და ძვილი წელიწადი ვიმსახურო". "მერე იქნები სალდათი?" —"არა"."წავალ რუსეთში კიდევ ორ წელიწადს ვისწავლი და მერე ვიქნები ოფიცერი"! "მერე?"-კიდევ დაყინებით მეკითხებოდა? "მერე, თუ კარგად ვიმსახურე გავხდები გენერალი". მან მითხრა:"მაშ, გახდი გენერალი, გაგვიძღვები და გავაგდებთ რუსებს !" ესე-იგი, გლეხი უბრალო ამბობს რუსებს გავაგდებთ. ეს ვუამბე მამას, რომ დავბრუნდი შინ. მამამ მითხრა: "ვინ არ იყო ჩვენთან — თათრები, თურქები, მონგოლები, ყველა იყვნენ, მაგრამ უკანასკნელად გამარჯვება ჩვენ გვრჩებოდა". და დაუმატა:"ეს ხალხი, გლეხები, ამათ დაუჯერე, არ გიღალატებენ!"

გენერალი:"საქართველო და საქართველოს ხალხი თავისი ჩვეულებებით, თავისი ადათებით, მოწყობით სახელმწფოსი — არის ევროპიელი, არა აზიური. უნდა შევადარო რა არის მოწყობა სახელმწიფოს ევროპიულად და აზიურად: აზიაში და აგრეთვე რუსეთში არადროს არ არსებობდა ის, რასაც ჩვენ ვეძახით ფედერალიზმს. საქართველოში პირიქით, გვქონდა ყოველთვის ასეთი ფედერალიზმი, ისე, როგორც მთელ ევროპაში. ამიტომ თავისი მოწყობით ქართველი ხალხი არის ევროპიელი და არა აზიური. როგორც გითხარით, რუსებს ქონდათ სხვა: იმათ ფედერალიზმი არადროს არ ქონდათ. ამიტომაც იმათში უფრო იყო მიღებული, რომ უფროსი იყოს საშინელი ძალით აღჭურვილი. ჩვენში კი არა: თამარის დროს, მაგალითად, ბევრჯერ თამარი ელაპარაკებოდა ყველას არა როგორც ხელმწიფე, არამედ როგორც მორჩილი, სამსახური თავის ერისა. ეს არსებობდა საქართველოში მაგრად ყოველთვის, როგორც ევროპაში. ესე-იგი ჩვენ უფრო მეტად

ვართ ვიყოთ დემოკრატიული ქვეყანა, ვიდრე რუსეთი.

ოთარ:"და ბატონო გენერალო,ვფიქრობთ, ასეთი დემოკრატიული სა-
ხელმწიფო ჩვენ გვქონდა დამოუკიდებლობის პერიოდში.

ოთარ:"ბატონო გენერალო,ეხლა კიდევ ერთი შეკითხვა:რას უსურვებ-
დით თქვენ ასეთი ცნობილი გენერალი,გამოცდილი ადამიანი ქართ-
ველ ხალხს, განსაკუთრებით ჩვენს ქართველ მსმენელებს?

გენერალი:"...მე ვუსურვებ მათ ისარგებლონ იმით, რომ,რაც შეიძ-
ლება, ჩვენ გვყავდეს ისეთი მხედრები,რომლებსაც ეცოდინებათ
სამხედრო მეცნიერება...თუ თქვენ გიყვართ სამშობლო,ყოველთვის
იფიქრებთ როგორ შეუქმნათ მას კარგი მომავალი...თითქმის ბავშ-
ვი ვიყავი, ერთი კაცი მოდიოდა ჩვენთან გიტარით და მღეროდა
ერთ ლოცვას; თუ გნებავთ მე ამ ლოცვას ვიტყვი?

ოთარ:"ბრძანეთ.

გენერალი:"ღმერთო! საწყალი გლეხის შვილი ვარ!
სოფლად დავდივარ ობოლი,ბედიდან განწირული!
ღმერთო! მიეცი ჩვენს ქვეყანას ბედი და ბედნიერება!
ღმერთო! მიეცი ჩვენ-ქართველებს სწავლა და მეცნიერება!
ღმერთო! ჩაუდე მათ გულში ძმობა და სიყვარული!
რომ გაუწიონ ერთმანეთს სამსახური,ერთგული სამსახური!"

ეს ლოცვა ბავშვობიდან ჩამრჩა თავში და,ხედავთ, დღემდე არ
დამავიწყდა.

ოთარ:"დიდი მადლობა ბატონო გენერალო თქვენი ასე შინაარსიანი
ინტერვიუსათვის.

========================

წამყვანი: ჩვენ გადმოგეცით ინტერვიუ გენერალ გიორგი კვინი-
ტაძესთან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 50 წლისთავ-
თან დაკავშირებით. გენერალი კვინიტაძე იყო საქართველოს ჯარე-
ბის მთავარსარდალი რუსეთ-საქართველოს ომის დროს 1921 წლის
თებერვალ-მარტში და ახლა ცხოვრობს პარიზში 95 წლის ასაკში.

==========================

ნოე ჟორდანია

# სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია

გამოცემა საოლქო კომიტეტისა.

ფასი 1 მან.

ტფილისი.
სტამბა ე. ა. რუხაძის ...-შვილის შესახვევი, № 1.
1918

## სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია*)

### 1. შესავალი.

პირველად საქართველოს სოციალ-დემოკრატიას უხდება მთავარი როლის ასრულება თანამედროვე სახელმწიფოს აშენების საქმეში. ჯერ არსად არ ყოფილა ასეთი მაგალითი. დღემდე სოც.-დემოკრატია მხოლოდ დებულობდა მონაწილეობას კანონების გამოცემაში, ან როგორც სახელმწიფოს ბატონ პატრონი — მაგ. ფინლანდიაში, შვეიცარიის ზოგიერთ კანტონებში, გოტის სამთავროში, და ან უმრავლესობაზე ახდენდა ერთგვარ ზეგავლენას, რომ გამოცემულიყო კანონები სოციალ

დემოკრატიის მსოფლმხედველობასთან შეფარდებით მე-19 საუკუნეში შეიქმნა ზოგიერთი ახალი სახელმწიფოები ძველ სახელმწიფოებიდან გამოყოფით: მაგ. ბელგია გამოეყო ნიდერლანდებს, სერბია, ბულგარეთი და სხვ. ბალკანეთის სახელმწიფონი — ოსმალეთს, იტალია ავსტრო-უნგრეთს და სხ. მაგრამ ეს სახელმწიფონი შექმნეს ბურჟუაზიულმა პარტიებმა, ხოლო სოციალ დემოკრატია ადგენდა თავის მინიმალურ მოთხოვნილებებს და თანდათანი ბრძოლის საშუალებით აუმჯობესებდა ამ სახელმწიფოთა მდგომარეობას.

ჩვენ კი სახელმწიფოს ვაშენებთ არა მარტო კანონების გამოცემით, არამედ — ჩვენი სისხლითაც. ჩვენი სახალხო გვარდია და შეგნებული მუშები, როგორც თფილისის ისე პროვინციის, განსაკუთრებით თფილისის — აი, ვინ არის ნამდვილი სახელმწიფოს აღმშენებელი. ჩვენც და მათაც უფლება აქვთ იკითხონ: რათ და რისთვის, რომელი იდეალების გულისთვის ვღვრით სისხლს და ვმუშაობთ დაუღალავად საქართველოს სახელმწიფოს აშენების საქმეში? ჩვენ ვართ არა მარტო სახელმწიფოს უბრალო აშენებლები, არამედ — სოც. დემოკ. მშენებლები, ე. ი. ჩვენ ვართ ისეთი ხალხი, რომელიც განსაზღვრული პოლიტიკური აზრით და მიზნებით ვაწარმოებთ პოლიტიკას. ამიტომ ისმება კითხვა: როგორ მოვათავსოთ ერთად სოციალ-დემოკრატიული მსოფლ-მხედველობა და მუშაობა ბურჟუაზიულ დაწესებულებათა შესაქმნელად: როგორ მოვახერხოთ, რომ ამ პროცესში პარტია არ გადაცდეს თავის გზას და არ გადაიქცეს წვრილ ბურჟუაზიულ პარტიად.

ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები გაზეთ „სოციალ-დემოკრატიდან" ჭეშმარიტების გზიდან ჩვენს აცდენას ხედავენ იქ, სადაც ეს არ შეეძლოთ დაენახა არას დროს არა თუ საღათ მოაზროვნე სოც.-დემოკრატს, არამედ — უბრალო, გულწრფელ დემოკრატს. — ეს შემცდარი გზა მათის აზრით საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადების ფაქტიდან მტკიცდება. მით სერიოზულად დაიწყეს დავა თვითგამორკვევის უფლების პრაქტიკულად ცხოვრებაში გატარების ნიადაგზე. როგორც ეტყობა, ინტერნაციონალის ამგვარ მოთხოვნას სასიცოცხლო მნიშვნელობას არ აკუთვნებდენ. ნამდვილად კი სოციალ-დემოკრატიული გზიდან აცდენის შესაძლებლობას პარტიისთვის შეიცავს არა ეს აქტი, არა დამოუკიდებლობის გამოცხადება, ვინაიდან ასეთ ნაბიჯს სოციალისტს შეუძლია მხოლოდ მიესალმოს, არამედ — ასეთი გზიდან აცდენა მოსალოდნელია თვით სახელმწიფოს შენების პრაქტიკულ ნიადაგზე. მარქსისტისთვის მხოლოდ აქ შეიძლება დაიბადოს ეჭვი და გაუგებრობა, ამიტომ აქეთკენ მოვაქცევ თქვენს ყურადღებას. მაშ, რისთვის ვაშენებთ ჩვენ საქართველოს სახელმწიფოს?

## 2. სახელმწიფო საზოგადოთ.

სახელმწიფო მენგერის სიტყვით არის განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა შეერთება, საერთო მთავრობის ქვეშ. ეს ასე ვთქვათ სახელმწიფოს შემეცნების გარეგნული განსაზღვრაა, რომელიც არაფერს არ ამბობს მის შინაარსზე. აქედან მხოლოდ ის ჩანს, რომ დამახასიათებელი ნიშანია ყოველი სახელმწიფოსი — მცხოვრებნი, ტერიტორია და მთავრობა. იქ, სადაც არ მოიპოვება ერთი აქ მოყვანილ ნიშანთაგანი, არ არის არც სახელმწიფო. მაგრამ ჩვენ, მარქსისტებმა

*) ეს მოხსენება წაკითხულ იქმნა თფილისში პარტიულ კრებაზე რუსულად 4 აგვისტოს 1918 წ.

ყიდით, რომ სახელმწიფო საზოგადოების კლასებათ დაყოფის ნიადაგზე აღმოცენდა და ის არის პოლიტიკური ორგანიზაცია გაბატონებული კლასებისა. ასეთია სახელმწიფოს ბუნება. სახელმწიფოსთან შესაძლებელია იყოს ორნაირი დამოკიდებულება: უარყოფითი და დადებითი; ე. ი. ან უნდა უარვყოთ სახელმწიფო, როგორც ჩვენთვის უცხოური, მზაკვარი, როგორც ამას ანარქისტები სჩადიან, ანუ უნდა ვაღიაროთ სახელმწიფო საზოგადოების განვითარების მთავარ ფაქტორად და ვეცადოთ გამოვიყენოთ ის საკუთარი მიზნებისათვის, როგორც სოციალისტები შვრებიან. პროლეტარიატი სავსებით სდგას სოციალიზმის თვალთახედვის ისარზე და იბრძვის თავის გასანთავისუფლებლათ ამ ძალის დასაპატრონებლათ.

ჩვენ კი საქართველოში ეს ძალა გვაქვს, მაგრამ შეიძლება სახეში ვიქონიოთ სოციალური რევოლიუცია, როგორც მიზანი, როგორც ისტორიული პერსპექტივა, და არა, როგორც პირდაპირი პრაქტიკული საგანი. ამ პერსპექტივით განვსხვავდებით ჩვენ ყველა ბურჟუაზიულ პარტიებისაგან, რომელნიც მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო დაწესებულებათა აშენების საქმეში იმ მიზნით, რომ განამტკიცონ კაპიტალისტური საზოგადოება და გაამუდმივონ დაქირავებული შრომა. ამ რიგათ ჩვენ სახელმწიფოს ვუყენებთ გარკვეულ ნათელ მიზანს: საზოგადოების სოციალურ ნიადაგზე გარდაქმნას. მაგრამ, როცა ამ მიზნისაკენ მივისწრაფით, მაშინ აუცილებლათ უნდა გავიაროთ საჭირო პოლიტიკო-ეკონომიური საფეხურები. ამ საფეხურებს ჩვენ გვერდს ვერ ავუხვევთ, ვერც ნახტომებს გავაკეთებთ, ამის უფლებას ისტორია არ იძლევა. ეს საფეხურები შემდეგია: ძველი რეჟიმის დამხობა და ახალი დემოკრატიული წყობილების დამყარება. კაუცკი ამბობდა, რომ პირველი ნაბიჯები ძლევა მოსილი პროლეტარიატისა იქნება არა სოციალური გადაკეთება, არამედ დემოკრატიულ დაწესებულებათა დამკვიდრება, პროგრამა მინიმუმის ცხოვრებაში გატარება და შემდეგ კი თანდათან პროგრამა მაქსიმუმზე გადასვლა. მხოლოდ ჩვენმა თავისებურმა სოციალისტებმა, რომელნიც ჯერ კიდევ არ არიან თავისუფალნი ნაროდნიკული ცრუმორწმუნოების ბადისაგან, პირველი საფეხური უკანასკნელ საფეხურათ ჩასთვალეს, დემოკრატიული რევოლიუცია სოციალურ რევოლიუციად მიიღეს, როგორც ეს 1848 წ. საფრანგეთში ბლანკის და ლუიბლანის სკოლის სოციალისტებმა მოიმოქმედეს. ერთი სიტყვით ბოლშევიკებმა მოინდომეს დაბალ საფეხურიდან უმაღლესზე გადახტომა, ერთი შეხტომით ძველი რეჟიმის სამეფოდან სოციალიზმის სამეფოში შესვლა, გვერდი აუხვიეს დემოკრატიას, მოატყუეს ისტორია, მაგრამ თვითონვე დარჩენ მოტყუებულნი. დემოკრატიის უარყოფით მიიღეს არა სოციალიზმი, არამედ ვანდალიზმი.

სახელმწიფოს თავისთავად მიზანი არ აქვს, მას მიზანს აძლევს ის კლასები, რომელთაც ის ხელში უჭირავთ. ძველი რეჟიმის დროს, თავად-აზნაურობის ბატონობის ხანაში, სახელმწიფოს მიზანი თავად-აზნაურული იყო, ეხლა კი ბურჟუაზიის ბატონობის ხანაში მიზანიც ბურჟუაზიულია, ე. ი. ის მოქმედებს იმ კლასების სასარგებლოთ, რომელნიც არიან მისი ბატონ-პატრონნი. მაგრამ სახელმწიფოები თავის პატრონებისათვის მოქმედობენ მხოლოდ ისტორიულ შესაძლებლობის ფარგლებში. მაგალითად ინგლისის სახელმწიფოს დღეს რომ მოვახვევიოთ თავზე თავად-აზნაურული მიზნები, მაშინ ამ მიზნების გატარება შეუძლებელი შეიქნება და აქედან გამოვა ან რევოლიუცია, ან ანარქია. ბოლშევიკების შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მათ ვერ შეითვისეს არამც თუ მარქსიზმის ელემენტარული ჭეშმარიტება. არამედ ისიც კი, რომ საზოგადოება რო-

გორც ბუნების ნაწილი, მოძრაობს აუცილებელი ისტორიული კანონების თანახმად მათ წარმოიდგინეს, გაუსწორებელ იდეალისტებსავით, რომ შეიძლება სახელმწიფოს როგორიც გინდა ისეთი მიზანი დაუყენო, ის მას უეჭველად განახორციელებსო. ამ წინააღმდეგობამ, რომელიც არსებობდა ბოლშევიკთა მიერ რუსეთის სახელმწიფოსადმი წარდგენილ მიზანსა და მის განხორციელების შეუძლებლობაში, გამოიწვია რუსეთის სახელმწიფოს დანგრევა და საუკუნოებით შექმნილ ქონების დაფლანგვა.

აი ჩვენ, საქართველოს სახელმწიფოს პატრონებმა, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, მაინც უნდა დავაღწიოთ თავი ამ დამღუპველ წინააღმდეგობას ისე, რომ ოპორტუნიზმში არ ჩავვარდეთ. ეჭვი არ არის, რომ ყველა სახელმწიფო ბურჟუაზიულ საზოგადოების ფარგლებში, ასე თუ ისე, ემსახურება ბურჟუაზიის ინტერესებს. ამას ვერას გზით თავს ვერ დააღწევს საქართველოს სახელმწიფო. ამისთვის თავის დაღწევა — ეს უტოპიაა და ამიტომ ჩვენ ამას სრულიად არ ვცდილობთ. მაგრამ არა უტოპიას, არამედ რეალურ შესაძლებლობას ვისახავთ მიზნად — ავაშენოთ ისეთი სახელმწიფო, რომელიც რაც შეიძლება მეტს იმოქმედებს ღარიბ კლასების ინტერესებისათვის. ამ მიზნის მიღწევას უნდა ვემსახურებოდეთ, სანამ ჩვენ ძალა-უფლება ხელში გვაქვს. შესაძლებელია თუ არა ამას მივაღწიოთ? შეიძლება ჩვენც მიზნად ახალ უტოპიას ვისახავთ? გნახოთ.

### 3. ქართველი საზოგადოების სტრუქტურა.

სახელმწიფო იქმნება არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობისაგან და ის იცვლება ამ ურთიერთობის შეცვლის თანახმად. სახელმწიფოებრივ ურთიერთობის მხრივ საქართველო არის tabula rasa (სუფთა ფიცარი,) ის არ არის შებოჭვილი არც ნაციონალური სახელმწიფოებრივი იდეოლოგიით, არც დამკვიდრებული სახელმწიფო ტრადიციებით. ჩვენი სახელმწიფო მოკვდა ასი წლის წინეთ, მისგან არაფერი არ დარჩენილა, რუსული სახელმწიფოებრივობა ჩვენ უარვყავით, ერთი სიტყვით, ჩვენ პოლიტიკურათ არაფრით არა ვართ შებოჭვილი სახელმწიფოს აშენების საქმეში, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ საკუთარი ჟინიანობით შეგვიძლია ვაშენოთ ის, რაც მოგვესურვება. ჩვენ აქ გვბორკავს კლასობრივი სტრუქტურა ნაციის და აქედან გამომდინარე საზოგადოებრივი ურთიერთობანი. რევოლუციამ საბოლოო მოხვედი ჩასცა საქართველოში ისედაც შერყეულ თავად-აზნაურულ წოდებას და მის მამულებიც ჩამოაცალა, სოციალ-დემოკრატიის შეუჩერებელ ბრძოლის მეოხებით პოლიტიკურად ეს წოდება რევოლუციამდეც დაუძლურებული იყო. მისი აღდგენა ეკონომიურად და რამოდენიმეთ პოლიტიკურათ შეუძლია მხოლოდ გარეშე ძალას, ე. ი. საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობით, რადგანათ შიგნით საქართველოში ამ წოდებას არა აქვს არავითარი ნიადაგი და ძალა რევოლუციის მონაპოვართა გასანადგურებლათ. ყველა ის, ვინც წინამღდეგია ჩვენი დამოუკიდებლობის და მომხრეა გარეშე ძალის, ჩვენს შინაურ საქმეში ჩარევის, აკეთებს კონტრ-რევოლუციონერების და თავად-აზნაურულ მიწათმფლობელების საქმეს. სკოროპადსკები ჩვენში არ შეიძლება იყოს, რადგანაც არ არის ის კლასი, ანუ ფართო წრე, „ხლებორობების", რომელთაც შეძლება ქონდეთ სოციალური ნიადაგი მოუმზადონ რეაქციას.

ერთი სიტყვით, თავად აზნაურობა როგორც სოციალური ძალა, ქართველ ერს მოწყდა, და ამ მკვდარ სხეულს რასაკვირ-

ვალია, არ შეუძლია შექმნას ბაზა მისაური კონტრ-რევოლიუციისათვის. მას ან ზოგიერთ მის გავლენიან წევრთ შეუძლიათ ასრულონ ერთგვარი უარყოფითი როლი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, რადგანაც, რა წამს რუსეთში ცარიზმი აღსდგება, ეს დრო კი შორს არ არის, ჩვენი თავად-აზნაურობა მას დასახმარებლად მოიწოდებს.

მხოლოდ ამ მხრივ წარმოადგენს ეს დამარცხებული წოდება საშიშროებას.

საქართველოში არ არის ძლიერი ბურჟუაზია, რომელსაც შეეძლება ქონდეს აიღოს ხელში ძალა უფლება და ააშენოს თა-

ნის მსგავსა სახელმწიფო. ეს კლასი იმდენად სუსტი და განუვითარებელია, რომ ვერ შესძლო ბურჟუაზიული პარტიის დაარსებაც.

ნაციონალ დემოკრატები ამ მისიაზე აცხადებენ პრეტენზიას. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის თავად-აზნაურობის პარტია არის. როგორც ხედავთ ეს ორი კლასი — თავად-აზნაურობა და ბურჟუაზია ქართველ საზოგადოებაში პირველი პოლიტიკური მკვდარი, მეორეკი სუსტი არიან.

ამ რიგად ჩვენში არ არის სოციალური ნიადაგი რეაქციარესტავრაციის ანუ მონარქიული კონსტიტუციისათვის.

ქართველი ერი შესდგება: მრავალრიცხოვან გლეხებისაგან, რომელთა 90 პროცენტი მიწის ნაკლებობას განიცდის, იძულებულია იჯარით აიღოს მიწა ან ბიუჯეტის შესავსებათ სხვა და სხვა ქალაქებში უნდა ეძიოს სამუშაო. თუნდაც ყველა ჩამორთმეული მიწები, დავურიგოთ გლეხებს, ისინი მაინც იძულებულნი იქნებიან სხვა გარეშე სამუშაო ეძიონ, რადგანაც მარტო იმ მიწის შემოსავლით ვერ გამოკვებავენ თავიანთ ცოლშვილს.

მაგრამ ამ მიწების გლეხებისადმი გადაცემა ხომ საუკეთესო უზრუნველყოფაა რევოლიუციონური მონაპოვრების და დემოკრატიის ბატონობის.

შემდეგ მოდიან — ქალაქის, ანუ წვრილი ბურჟუაზია, საკმაოთ მრავალრიცხოვანი, რომლის დიდი უმრავლესობა გლეხობიდან არის წარმოშობილი და თან ატარებს გლეხობის ანტიმემამულეთა მისწრაფებებს და თვისებებს — ეს კლასი პოლიტიკურად ეკედლება რევოლიუციონურ კლასებს, სოციალურად დაინტერესებულია მრეწველობის და მსხვილი კაპიტალის განვითარებაში, რადგანაც მას არ გამოუცდია მსხვილი ბურჟუაზიის დამრღვეველი გავლენა, ამიტომ ეს კლასი არ შეიძლება იყოს ამ ხანად მოციქული სოციალური რეაქციის.

შემდეგ მოდის მუშათა კლასი, გლეხებთან შედარებით მცირე რიცხოვანი, მაგრამ ყველაზე უფრო შეგნებული და ორგანიზაციულად მოწყობილი. როგორც რევოლიუციამდე, ისე რევოლიუციის დროსაც მთელი გლეხობა და წვრილი ბურჟუაზიის ნაწილი მას მისდევდა და სცნობდა მის პოლიტიკურ გეგემონიას.

ამ რიგათ საქართველოს საზოგადოებრივი ურთიერთობა ეწყობა სამი დემოკრატიული კლასისაგან: მუშათა, გლეხობისა და წვრილი ბურჟუაზიისაგან. ესენი შეადგენენ საძირკველს საქართველოს სახელმწიფოს შენობისათვის. ამ პირობებში შეიძლება სახელმწიფო იქნეს დემოკრატიული, ანუ სულ არ იქნება.

---

ასეთ საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებას ჩვენ ვერ ვხედავთ ვერც აძერბეიჯანში, სადაც ოსმალეთის მეოხებით ძალაუფლება მიწათმფლობელთა ხელშია; ვერც სომხეთში, სადაც ბურჟუაზია საკმაოდ ძლიერია, ხოლო გლეხობა პოლიტიკურათ ნაკლებათ შეგნებულია; ვერც რუსეთში, სადაც ბოლშევიკების

ავანტიურის მეოხებით რეაქციისათვის ხიდაკი მომზადებულია ერთი სიტყვით, საქართველოს პოლიტიკურ საზოგადოებრივი ურთიერთობა კლასობრივი სტრუქტურის მიხედვით ერთიანად განირჩევა ასეთივე ურთიერთობისაგან მეზობელ სახელმწიფოების. სხვათა შორის, ეს განსხვავება არსებობდა რევოლუციამდეც, რაზედაც მე არა ერთხელ დამიწერია წინეთაც.

ძველი დემოკრატიული რესპუბლიკები დაიბადნენ ისეთ სოციალურ ურთიერთობაში, როგორიც არის ჩვენში. შვეიცარიის და ამერიკის რესპუბლიკები აღმოცენდნენ ისეთ დროში, როცა ბურჟუაზია არ იყო განვითარებული და არ წარმოადგენდა მსხვილ სპეციალურ ძალას, ხოლო თავად აზნაურობა არ იყო. კონვენტის მისწრაფებანი საფრანგეთში დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისაკენ მიმართული დაამსხვრია უკვე წამომდგარ თავად აზნაურობამ, გაძლიერებულ ბურჟუაზიამ და გლეხობის ჩამორჩენამ. დღევანდელი საფრანგეთის რესპუბლიკა დემოკრატიული არ არის, როგორც ამას ქვევით დავინახავთ. კონვენტს რომ მოესწრებია თავისი დემოკრატიული კონსტიტუციის ცხოვრებაში გატარება, მაშინ ბურჟუაზიული კლასები იძულებული იქნებოდნენ მიეღოთ ის, როგორც ფაქტი, და განვითარებულიყვნენ ამ კონსტიტუციის ფარგლებში, როგორც ეს ქმნა ამერიკის და შვეიცარიის ბურჟუაზიამ.

საქართველოშიაც ხომ განვითარდება ძლიერი ბურჟუაზია, მაგრამ ის დაინახავს უკვე დამკვიდრებულ დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომლის ფარგლებში ის ვითარდებოდა და რომელსაც ის შეესისხლხორცა.

## 4. გლეხების როლი.

მე ვსთქვი, რომ პირველი ცდა საფრანგეთში დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებისა ჩამორჩენილ გლეხობამ დაამსხვრია. საფრანგეთის გლეხობამ ორჯერ დაასამარა რესპუბლიკა: ჯერ ამოირჩია ნაპოლეონ I და 60 წლის შემდეგ კი მთელი ძალა-უფლება გადასცა ნაპოლეონ III.

პრუსიაში 1848 და 49 წ.წ. რევოლუცია დაასამარა იმავე გლეხობამ, რომელმაც წარმოიდგინა, რომ მემამულენი ერთხელ და სამუდამოთ განდევნილია სოფლიდან და ამიტომ რევოლუციონურ ბრძოლას პასსიურად შეხვდა. გლეხებს არ ესმოდათ (როგორც ჩვენს ბოლშევიკებს) რომ მიწების კონფისკაცია და მათ ხელში გადასვლა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, დამფუძნებელმა კრებამ უნდა დააკანონოს. თავისთავად კი მიწის დატაცება არაფერ გარანტიას არ იძლევა. როცა რეაქციამ ქალაქებში გაიმარჯვა, შემდეგ სოფლებშიდაც გადავიდა და ძველი წყობილება აღადგინა.

ჩვენში კი, საქართველოში რესპუბლიკას და რევოლუციას შესაძლებელია მოელოდეს შიგნიდან ერთად ერთი საფრთხე გლეხებისაგან. ამ საფრთხის ნიშნები უკვე არის.

რაშია საქმე? გლეხობა, რომელიც ვითომ და რევოლუციის უმთავრეს მამოძრავებელ ძალად არის მოწოდებული, რათ ასამარებს მას?

დემოკრატია ეს ხალხის პოლიტიკური ბატონობაა, ეს პოლიტიკური თვითმართველობაა; ე. ი. ისეთი წყობილებაა რომლის დროს ხალხმა უნდა გამოიჩინოს უნარი და ნიჭი, რომ თავისი თავი თვითონ მართოს, ის უნდა იყოს თავისი თავის ბატონპატრონი. თუ რომელიმე კლასი, ანუ ნაწილი ხალხისა ამისთვის მზათ არ არის, დემოკრატიული წყობილება მისთვის მიუღებელია ასეთი კლასია გლეხობა. რატომ? ამაზე ბრწყინვალე პასუხს იძლევა კ. მარქსი. ის სწერს: „პარცელიარული, წვრილი (пар-

целярные, карликовые крестьяне) გლეხობა შეადგენს დიდ მასსას, რომლის წევრები სცხოვრობენ ერთნაირ პირობებში, მაგრამ ურთიერთ შორის არ ამყარებენ რომელიმე მჭიდრო და რთულ დამოკიდებულებას; მათი წარმოების საშუალება არამც თუ არ აერთებს მათ, არამედ პირდაპირ აშორებს მათ ერთმანეთს. ეს იზოლაცია ძლიერდება იმით, რომ საფრანგეთში ცუდა მიმოსვლის საშუალებებია და გლეხობაც ძლიერ ღარიბია. დასამუშავებელი მინდორი არ მოითხოვს შრომის განაწილებას, არც მეცნიერების მიახმარებას, ცხადია არ თხოულობს ყოველმხრივ განვითარებას, განსაკუთრებულ ნიჭის გამოჩენას და რთულ საზოგადოებრივ დამოკიდებულებას. თითეული გლეხის ოჯახი თითქმის იკმაყოფილებს თავს თავის ნაწარმოებით და თავის საარსებო საშუალების ძებნაში ბუნებასთან უფრო იჭერს დამოკიდებულებას, ვინემ საზოგადოებასთან. მიწის ნაჭერი—გლეხი და მისი ოჯახი. გვერდით მეორე ნაჭერი, მეორე გლეხი და მეორე ოჯახი. განსაზღვრული ჯამი ასეთი ოჯახებისა შეადგენს სოფელს, სოფლებთა ჯამი კი—დეპარტამენტს.

„ამნაირად უმრავლესობა საფრანგეთის ერისა შედგენილია ერთგვარ სიდიდის უბრალო მიმატებით, როგორც კარტოფილით სავსე ტომარა—ცალ-ცალკე კარტოფილებით. რამდენადაც მილიონი ოჯახები არსებობენ ისეთ ეკონომიურ პირობებში, რომ თავის ცხოვრების შინაარსით, განვითარებით და ინტერესებით, განირჩევიან სხვა კლასებისაგან, ან და მტრულ განწყობილებაში არიან მათთან, იმდენად ისინი შეადგენენ ერთ კლასს. მაგრამ, რამდენადაც მცირე მიწის პატრონ გლეხებს შორის არსებობს ლოკალური კავშირი, რამდენადაც მათი ინტერესთა მსგავსება, ერთიანობა არ ამყარებს არავითარ საზოგადოებრიობას და ერთობას, ნაციონალურ გაერთიანებას და პოლიტიკურ ორგანიზაციას, იმდენად ისინი არ შეადგენენ კლასს ამიტომ მათ არ შესწევთ ძალა თვითონ დაიცვან პარლამენტში, ანუ რომელიმე კონვენტში თავისი საკუთარი კლასობრივი ინტერესები; ისინი თავის თავს ვერ წარმოადგენენ, ისინი სხვამ, გარეშემ უნდა წარმოადგინოს. მათი წარმომადგენელი იმავე დროს უნდა იყოს მათი ბატონი, ავტორიტეტი, რომელიც აღჭურვილი იქნება უსაზღვრო ძალა უფლებით, და იცავს მათ ყველა სხვა კლასებისაგან და გაუგზავნის მათ ზევიდან წვიმასაც და მზის სხივებსაც. პოლიტიკური გავლენა მცირე მიწის პატრონ გლეხებისა პოულობს თავის უაღრესს გამოხატულებას იმაში რომ აღმასრულებელი ძალა იმორჩილებს საზოგადოებას".

როგორც ხედავთ, წარმოების საშუალება, გლეხური მიწათმფლობელობა და მიწის დამუშავება ქმნიან ისეთ პირობებს, რომელშიაც გლეხობის გაერთიანება და პოლიტიკური ბატონობა შეუძლებელია. მოძრაობაში ის მონაწილეობას იღებს, როგორც ზოგჯერთელა დამრღვევი ძალა, რომელიც სწვავს და ანგრევს მემამულეთა ქონებას, სჩადის მკვლელობებსაც, მაგრამ ყველა ამაში გლეხობა მონაწილეობას იღებს მხოლოდ იმიტომ, რომ მიიღოს მიწა. როცა ის ამ მიზანს მიაღწევს და მიწას ხელში ჩაიგდებს, შემდეგ მას არავითარი პოლიტიკური კითხვა არ აინტერესებს (როგორც ეს მოხდა პრუსიაში 1848—49 წლებში).

ეს ცოტაა. ისინი ხშირად ილაშქრებენ რევოლიუციონური მთავრობის წინააღმდეგ და თავის დამრღვევ ძალას დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართავენ. ამის კლასიკური მაგალითი ვანდეაა. შეეჩერდეთ ცოტახანს ამ მაგალითზე, როგორც ის აქვს აწერილი ჟორესს მე 4 ტომში „სოციალისტურ ისტორიისა" (კონვენტი).

საფრანგეთის გლეხმა დიდი რევოლიუციისაგან მიიღო ორ-

ნაირი სარგებლობა: მან მიიღო უფასოთ ყველა ის მიწები, რომელიც მას ეჭირა, როგორც დროებით ვალდებულს, ხაზინს და მემამულეს (ჩვენი დროებით ვალდებულ და ხიზანთ მსგავსია), გარდა ამისა მან ფულზე მიიღო საკუთრებათ მემამულეებისაგან კონფისკაციით ჩამორთმეული მიწები, თუმცა ამ მიწების ნაწილი ბურჟუაზიასაც ჩაუვარდა ხელში. როცა ყველაფერი ეს მიიღეს რესპუბლიკისაგან, მაშინ გლეხებმა უარი განაცხადეს ყოველგვარ ვალდებულებაზე რესპუბლიკის მიმართ ისინი განრისხებამდე მოჰყავდა განსაკუთრებით ორ გარემოებას, ეს იყო: გადასახადები და ჯარში გაწვევა. ე. ი. მათ არ უნდოდათ დაეცვათ რესპუბლიკა არც ფულით, არც სისხლით, მათ წარმოიდგინეს, რომ რესპუბლიკა და კონვენტი მათ სულ არ ეხება.

მაგრამ კონვენტი, რომელიც ირგვლივ შემორტყმული იყო კონტრ რევოლიუც. კოალიციით ერთად ერთ ხსნას ხედავდა ძლიერი არმიის შექმნაში და ამიტომ ახალ-გაზდებს ჯარში იწვევდა. მაშინ 5 დეპარტამენტის და მათ შორის ვანდეიის გლეხობა აჯანყდა თავდაპირველად თავად-აზნაურობა გაზე იდგა, ზოგიერთი გლეხურათ გადაცმული აგიტაციას ეწეოდა ქალაქების წინააღმდეგ, რომელნიც სცხოვრობენ ღარიბ გლეხთა შრომითო და სხ., მღვდლები წვალს ამღვრევდნენ, მაგრამ აჯანყებულთა სათავეში იდგნენ არა ისინი, არამედ თვით გლეხები — ყოფილი ჯარის კაცები და დეზერტირები, აგრეთვე ტყის მცველები. შემდეგ კი, როდესაც აჯანყებამ მასსიური ხასიათი მიიღო, მათ მიეკედლენ როიალისტები, ემიგრანტების აგენტები და მღვდლები. აჯანყებულთა მეკინვარეობა-მრისხანებას გაკვირვებაში მოჰყავდა თანამედროვენი; „მგლელობა ჩვენიაგის უმაღლესი სიტკბოებაა". ამბობდა ერთი მათგანი. წარჩინებულ რევოლიუციონერებს, კონვენტის მომხრეებს და აგენტებს არა თუ ხოცავდნენ, არამედ ისე ამახინჯებდნენ, რომ გამოცნობა ძნელი იყო: ამოთხრიდნენ თვალებს, ამოჭრიდნენ გულს და სხ

ისინი იქცეოდნენ ისე, როგორც ჩვენი აჯანყებულები იქცეოდნენ დუშეთში და ცხინვალში. მათ გაძარცვეს ყველა ის ქალაქები, რომელიც ხელში ჩაიგდეს.

კონვენტმა როცა ყველაფერი ეს მოისმინა, მაშინათვე დაადგინა გაიგზავნოს 20 ათასი ნაციონალური გვარდია (მაშინდელი წითელი გვარდია) აჯანყების ჩასაქრობათ. აჯანყება მართლაც ჩააქრეს ჯარში გასაწვევი ხალხი აკრიფეს, გადასახადები შეაგროვეს, კოალიცია დაამარცხეს, საზღვრები და რესპუბლიკა დაიცვეს. ყველა ამის რამოდენიმე წლის შემდეგ გლეხებმა ნაპოლეონის ამორჩევით და რესპუბლიკის დანგრევით უპასუხეს. მართალია, ნაპოლეონიც იწვევდა ჯარში ხალხს, აგროვებდა გადასახადებს, მაგრამ გლეხები მასში ხედავდნენ ბატონს, მბრძანებელს, რომელიც მართავს სახელმწიფოს მათ მაგივრად და რომელსაც უნდა დაემორჩილონ; მაშინ, როდესაც რესპუბლიკა — ეს მათი მსგავსი ხალხია, და მათ ისინი ბრძანებლათ არ სცნობდნენ.

ამასვე ჩვენ ვხედავთ 1846 წლის საფრანგეთის რევოლიუციაში, რამაც გლეხობა არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა. მაგრამ როცა რესპუბლიკამ მათ გადასახადები მოსთხოვა, მაშინათვე ამხედრდენ და მარქსის სიტყვით ერთხ მათ აღიარეს, რომ ეს „პარიზის მუშებს სურთ ჩვენს ხარჯზე ფუფუნებით მოაწყონ თავიანთა ცხოვრებაო". გლეხებმა ნაციონალურ კრებაზე აირჩიეს სულ პროლეტარიატის მტრები, რომლებმაც მოაწყეს ივნისის

როცხა-ქლეტა, ხოლო 10 დეკემბერს თავისა ვოტუმით ძალაუფლება ნაპოლეონ III გადასცეს. მარქსი სწერს: „10 დეკემბრის კანჭის ერა — ეს გლეხების რეაქციაა მუშა დახარჩენ კლასების წინააღმდეგ, იმ გლეხების, რომლითაც წილადი ხვდა თებერვლის რევოლიუციის ხარჯები დაეფარათ, ეს არის რეაქცია სოფლისა ქალაქის წინააღმდეგ". იტყვიან, ეგელა გლეხები კი არ ამხედრებულან კონვენტის წინააღდეგ, იგო ნაპოლეონის წინააღმდეგ გამოსვლების შემთხვევაშიც, რომელმაც ეს გამოსვლები ხიშტებით ჩააქრო. ამაზე მარქსი უპასუხებს: „საქმე იმაშია, რომ ბონაპარტეს დინასტია წარმოადგენს არა რევოლიუციონურ, არამედ კონსერვატიულ გლეხს, არა ისეთს, რომელიც მიისწრაფვის გადალახოს თავის არსებობის სოციალური პირობების ფარგლები, საზღვრები თავისი პარცელისა, არამედ წარმოადგენს ისეთ გლეხს, რომელსაც სურს, პირიქით, განამტკიცოს ეს პირობები, არა სოფლის ის მცხოვრები, რომელსაც სურს ჩამოაგდოს ძველი წყობილება, საკუთარი ენერგიით, არამედ ისეთს, რომელიც ჩაკეტილია თავის პარცელებთან ერთად ამ ძველი წყობილების ფარგლებში და ხსნას მთელის იმპერიის მოჩვენებებისაგან. ბონაპარტეს დინასტია არის წარმოდგენილი არა განათლებისა, არამედ გლეხობის ცრუმორწმუნეობის, არა მათი გონებისა, არამედ უგუნურობისა, არა მათი მომავლისა, არამედ წარსულისა, არა თანამედროვე სევესების, არამედ მათი თანამედროვე განდეის". ე. ი. არის ორნაირი გლეხობა: გლეხობა ჩამორჩენილი, რომელსაც არა აქვს პირდაპირი კავშირი ქალაქთან და მუშა-დემოკრატიასთან და რომელიც ჩაკეტილია თავის ცენტრიდან დაშორებულ კუთხეში და გლეხობა მოწინავე, რომელიც ცხოვრობს ქალაქების ახლოს, რომელნიც მიდიან ამ ქალაქებში სამუშაოდ და რომელნიც მუშათა კლასის გავლენის ქვეშ იმყოფებიან. პირველი,— რეაქციის საძირკველია, მეორე კი მკედლება რევოლიუციონურ მუშა-დემოკრატიას და თუმცა თვითონ არა აქვს რევოლიუციონური შემოქმედების ინიციატივა, მაგრამ ის სცნობს მუშათა კლასის ხელმძღვანელობას და მიდის მის მიერ ნაჩვენებ გზით.

ჩვენში, საქართველოში ეს ორი წრე გლეხობისა ნათლად გამოიხატა, როცა დუშეთის, ლეჩხუმის, ზუგდიდის და სხ. მთიან მაზრების რეაქციონურ გლეხობასთან ბრძოლაში. ჩვენ ვეყრდნობით სხვა მაზრების მოწინავე გლეხობას.

როგორც ხედავთ, ის რაც ჩვენში სოფლათ ხდებოდა ახალი არ არის, ესევე მეორდებოდა სხვადასხვა რევოლიუციის დროს დასავლეთ ევროპაში, სუყველგან ფართე მასსა გლეხობისა გამოდიოდა რევოლიუციონური დემოკრატიის წინააღმდეგ და უკანასკნელს უხდებოდა ბრძოლა მასთან, როგორც რეაქციონერებთან.

თუმცა ჩვენ არ უნდა გავეკვირვებინეთ გლეხობის აჯანყებას, მაგრამ ჩვენ იმდენათ დაგვავიწყდა მარქსიზმი და დაუჯერეთ ესერულ „აზრებს", რომ დღემდე ზოგიერთი ჩვენში ამ გლეხებს ილებს, როგორც რევოლიუციონერებს და დიდის ყოყმანით თანხმდებიან მათ წინააღმდეგ რეპრესიების მიღებაზე. დროა ბოლოთ მოვუღოთ ჩვენს სოციალ დემოკრატიულ პარტიაში ნაროდნიკულ ილიუზიების ბატონობას, დროა დაუბრუნდეთ მარქს და მაგრად დავდგეთ გლეხების რეაქციისაგან რევოლიუციის დაცვის ნიადაგზე. ერთად ერთი საფრთხე მიგვნიდან ჩვენს რესპუბლიკას მთელის ჩამორჩენილ გლეხობისაგან და რომ მას ანგარიში გავუწიოთ, და რევოლიუციის მონაპოვრები შევინარჩუნოთ, საჭიროა მუშები და მოწინავე გლეხები შეერთდენ ამ კონტრ-რევოლიუციონურ ტალღასთან საბრძოლველად. თუ ჩვენ

გავიმარჯვეთ, ეს იქნება ისტორიაში პირველი მაგალითი, როცა გლეხობამ ვერ შესძლო რესპუბლიკის დამხობა და გამოვიდა პოლიტიკურ თვითმართველობის გზაზე.

## 5. რესპუბლიკის ფორმა.

საქართველოს ფაქტიური კონსტიტუცია ეყრდნობა სამ კლასს: მუშათა, წვრილი ბურჟუაზიის და გლეხობის ურთიერთ დამოკიდებულებაზე. ეს კლასები სავსებით დემოკრატიულია და მათი ცხოვრების ინტერესები თხოულობენ დემოკრატიულ პოლიტიკურ დაწესებულებებს. ამ სოციალურ საფუძველზე შეიძლება აშენება სახელმწიფოებრივი მართვა — გამგეობის მხოლოდ ერთი ფორმის — რესპუბლიკის. ჩვენ ვიმყოფებით ისეთ ქვეყნის და ერთა მდგომარეობაში, რომლებმაც შესძლეს დამკვიდრება დემოკრატიული რესპუბლიკის ძლიერი ბურჟუაზიული კლასის ჩამოყალიბებამდე.

რა არის დემოკრატიული რესპუბლიკა?

რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ამაზე, საჭიროა გამოვარკვიოთ რესპუბლიკის ფორმები.

კ. მარქსი სცნობს სამ ფორმას რესპუბლიკისას: პარლამენტარულს, დემოკრატიულს და სოციალურს.

უკანასკნელი ფორმა რესპუბლიკისა კერძო საკუთრების გარეშე დგას, ხოლო კაუცკის სიტყვით „დემოკრატიული რესპუბლიკა — ეს ერთად ერთი პოლიტიკური ფორმაა, რომლისაც მოთავსება შეიძლება სოციალიზმისა", ამიტომ რჩება ორი ფორმა რესპუბლიკისა: პარლამენტარული და დემოკრატიული.

პირველად ტიერმა უწოდა 1849 წ. საფრანგეთის რესპუბლიკას პარლამენტარული, როცა პარლამენტიდან განდევნილ იქნა მონტანიარები როლენის მეთაურობით. ის წარმოადგენდა ისეთ რესპუბლიკას, სადაც ბატონობდა ბურჟუაზია. უკანასკნელის ორი ფრთა — ლეგიტიმისტები და ორლეანისტები — ვერ შეთანხმდენ სამეფო კანდიდატზე და ამიტომ ჩაებღაუჭენ რესპუბლიკას.

კაუცკი სწერს: „ბურჟუაზიას შეუძლია ბატონობა მხოლოდ პარლამენტარულ მონარქიის დროს, როცა ამ მონარქიის მეთაური წარმოადგენს უბრალო დეკორაციას", ე. ი. ბურჟუაზიის მიუცილებელი მოთხოვნილება პარლამენტარული რეჟიმია, იქნება ის რესპუბლიკის ფორმა, როგორც საფრანგეთშია, თუ მონარქიის, როგორც ინგლისში — ეს სულ ერთია. კ. მარქსის სიტყვებით ბურჟუაზიას 1849 წ. ტიერის მეთაურობით ასე ესმოდა რესპუბლიკა: „ეს პარლამენტარული ფორმაა ბურჟუაზიის ბატონობის, რომელიც შეუზღუდველია (როგორც მონარქიაში) აღმასრულებელი ძალით და პალატის ვადის შესრულებამდე დათხოვნით".

ერთი სიტყვით, ბურჟუაზიულ რესპუბლიკანურ პარლამენტარული წყობილების დროს — მთელი ძალა-უფლება, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი და სასამართლო არის მხოლოდ პარლამენტის ხელში. თვითმპყრობელი მეფის მაგივრად არის თვითმპყრობელი პარლამენტი, თავად-აზნაურობის მაგივრად — ბურჟუაზია. პრინციპი ერთსაირია — უსაზღვრო გაძლიერება ცენტრალური მთავრობის, მხოლოდ ეს ხდება სხვადასხვა ფორმით და საშუალებებით. როცა ბურჟუაზია ხელთ იგდებს ეკონომიურ ძლიერებას, მაშინ ის პოლიტიკურადაც ბატონდება. პარლამენტარული წყობილების ბატონობის დროს ბურჟუაზიის ხელშია კანონების გამოცემაც, მათი ასრულებაც (ადმინისტრაცია, პოლიცია, ჯარი და სხვ.). არც ერთ ამ

ფუნქციას ის არ ანიჭებს არც ხალხს, და არც სხვა პარლამენტისაგან დამოუკიდებელ ორგანოებს.

ამ რიგათ პარლამენტარული რესპუბლიკა გულისხმობს ჩვეულებრივი ცენტრალურ სახელმწიფოებრივ მექანიზმს და მოხელეთა მთელს არმიას. მარქსი სწერს: „საფრანგეთის ბურჟუაზიის მატერიალური ინტერესები მჭიდროთ დაკავშირებულია ფართე სახელმწიფო მექანიზმის შენახვასთან. აქ უყრის თავს ის თავის ზედმეტ მცხოვრებთ და მათ სახელმწიფო ჯამაგირის სახით უსრულებს იმას, რასაც ისინი ვერ ღებულობენ მოგების, პროცენტების, რენტის და ჰონორარის სახით".

ამ სახით პარლამენტარული წყობილება პირდაპირ აძლიერებს ბურჟუაზიას არა თუ პოლიტიკურათ, არამედ — მატერიალურადაც, აძლევს რა მათ შვილებს „თბილ ადგილებს".

ამ რიგათ იქმნება მთავრობა გამოყოფილი ხალხისაგან და მის წინააღმდეგ მიმართული. მარქსის სიტყვებით ასეთ პირობაში საერთო ინტერესი ეთიშება საზოგადოებას და უპირდაპირდება მას, როგორც უმაღლესი საყოველთაო ინტერესი.

ამნაირათ პარლამენტარული წყობილების დროს ყველაფერი ის, რასაც აზის ბეჭედი საზოგადო ინტერესისა დაწყებული ხიდებით, სასკოლო შენობებითა, კომუნალური ქონებით, და გათავებული რკინის გზებით, ნაციონალური ქონებებით, უნივერსიტეტებით, საზოგადოების წევრის თვითმოქმედების სფეროდან გამოდის და ხდება მთავრობას სამოქმედო საგნათ.

პარლამენტარული რესპუბლიკა - ეს იგივე პარლამენტარული მონარქიაა უმონარქოდ და პირიქით. პარლამენტარული მონარქია თავისი სტრუქტურის მიხედვით იგივე პარლამენტარული რესპუბლიკაა უპრეზიდენტოთ. დამახასიათებელი თვისება რესპუბლიკისა, პრეზიდენტი კი არ არის, და არც საყოველთაო საარჩევნო უფლება, არამედ — პარლამენტარული რეჟიმი, ე. ი. ბურჟუაზიის პოლიტიკური დიქტატურა, ყოველ ხა-
ირი ძალა უფლების მის ხელში მოგროვებით. ამ რეჟიმის მეოხებით ისინი სახელმწიფოს ფარგლებში არ ითმენენ და არ აძლევენ ნებას სხვა რომელიმე ძალა-უფლების დამკვიდრებას, თუ ის ცენტრზე არ არის დამოკიდებული და უკანასკნელი მას კონტროლს არ უწევს. ამიტომ ცენტრში გადატრიალება ნიშნავს მთელს სახელმწიფოში გადატრიალების მოხდენას, რადგანაც ცენტრის გადატრიალებას პერიფერიებში არსად არ ხვდება რაიმე კონსტიტუციური დაბრკოლებები, რომელიც მის გავრცელებას ხელს შეუშლიდა. მოახდინეთ როგორიც გინდათ გადატრიალება შვეიცარიის ცენტრში, თქვენ ამით კანტონებში ვერავითარ გადატრიალებას ვერ გამოიწვევთ. ასეთივე გადატრიალება პარიზში ნიშნავს მთელი საფრანგეთის სახელმწიფოებრივი მექანიზმის ხელში ჩაგდებას.

ამ რიგათ პარლამენტარული რესპუბლიკა გულისხმობს ისეთ პოლიტიკურ წყობილებას, როცა მთელი ძალა უფლება პარლამენტის ხელშია, რომელიც არ ითმენს არავითარ ცვლილებას, როგორც ადმინისტრაციის სფეროში, ისე სამმართველოს და საკანონმდებლო ორგანოებში თუ საამისოდ ნებართვა და ბრძანება არ არის ცენტრიდან. ხალხმა თუ დეპუტატები აირჩია და პარლამენტში გაგზავნა, შემდეგ მას (ხალხს) არაფერს არ ეკითხებიან, ის მართვა-გამგეობაში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს. ხოლო მისი ადგილობრივი თვითმართველობა იმყოფება ცენტრის სასტიკ ოპეკის ქვეშ. ერთი სიტყვით, პარლამენტარული მართველობა არ ითმენს ხალხის პოლიტიკურ თვითმართველობას.

## 6. დემოკრატიული რესპუბლიკა.

პარლამენტარულ რესპუბლიკისაგან დემოკრატიული რესპუბლიკა პრინციპიალურად განსხვავდება.

დემოკრატიულ რესპუბლიკას საფუძვლად უდევს პრინციპი ხალხის პოლიტიკური თვითმართველობისა აქ ძალა-უფლება მარტო ცენტრში არ არის მოგროვილი, არამედ--განაწილებული ცენტრსა და პერიფერიების შორის. ხალხი ირჩევს არა მარტო დეპუტატებს პარლამენტისათვის, არამედ — კანონების აღმასრულებლებსაც, ადმინისტრატორებს, მოსამართლეებს და სხ. ხალხი პირდაპირ მონაწილეობას იღებს კანონების გამოცემაში. ასე რომ, დამახასიათებელი თვისება დემოკრატიული რესპუბლიკისა ის არის, რომ აქ ხალხი პირდაპირ მონაწილეობას ღებულობს სახელმწიფოს მართვა გამგეობის საქმეებში. ამისათვის კი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ ხალხს თვითონ ჰქონდეს პარლამენტისაგან დამოუკიდებელი საკუთარი მართვა გამგეობის ორგანოები. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ცენტრალურმა ორგანომ შესძლო გაუქმება მოქალაქეთა ამა თუ იმ გადაწყვეტილებისა, მაშინ რესპუბლიკა იქნება არა დემოკრატიული, არამედ პარლამენტარული. კარლ მარქსის აზრით „მთავრობამ უნდა გაამარტივოს, შეამოკლოს სახელმწიფო მექანიზმი, რაც შეიძლება ნაკლებათ იმართველოს, დაიჭიროს ნაკლები რიცხვი მოხელეებისა, ნაკლები კავშირი დაიკავოს ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან, უნდა შეიქნას ბურჟუაზიისათვის და მათ საზოგადო აზრისათვის მთავრობისაგან დამოუკიდებელი ორგანოები. (id. 93, 191). როცა ამრიგათ ვანაწილებთ ძალა უფლებას პარლამენტს და ხალხს შორის, და ვაძლევთ უკანასკნელთ გარანტიას ცენტრის თვეკის წინააღმდეგ, ამით ჩვენ საშუალებას ვუსპობთ ბურჟუაზიას ბაეროთს სახელმწიფოს საშუალებით ხალხის ყველა საქმეებში, იყოს ვოველგან მეოფე მთავრობის ორგანოების საშუალებით. ერთი სიტყვით, ვამცირებთ და ვზღუდავთ ბურჟუაზიის პოლიტიკურ დიქტატურას.

თუ მაგ. ცენტრი სცემს კანონებს, ხოლო ის სისრულეში მოყავს ხალხის, ანუ რომელიმე ორგანოს მიერ არჩეულთ ცენტრის დამოუკიდებლათ, ცხადია, ბიუროკრატია უქმდება, მთავრობა რჩება უმოხელოთ. ანუ თუ კანონი, რომელიც გამოცემულია მთავრობის მიერ, ხალხმა არ მიიღო, მაშინ პარლამენტს ეკარგება უმაღლესი საკანონმდებლო ძალა-უფლება, რომელსაც ზღუდავს ხალხი.

როგორც ხედავთ, დემოკრატიული რესპუბლიკა უარყოფს პარლამენტარულ რეჟიმს, ამისდა მიხედვით იცვლება მთავრობის ხასიათიც, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა — ეს არ არის პარლამენტარული კაბინეტი, რომელიც ეყრდნობა პარლამენტის ცვალებად უმრავლესობას, არამედ — ეს არის საქმიანი კოლეგია, რომელიც უსიტყვოთ ასრულებს როგორც პალატის, ისე ხალხის გადაწყვეტილებებს. ისინი არიან ხალხის მოსამსახურენი და შეიძლება თანამდებობიდან დათხოვნილი იქნან არა პოლიტიკური, არამედ საქმიანობის მოსაზრებით.

ასეთ კონსტიტუციის დროს მთავრობას არასოდეს არ შეუძლია ხალხის გარეშე ორგანიზაციულად მოეწყოს და ხალხის წინააღმდეგ გაილაშქროს. აქ ძალა უფლება პირდაპირ გამომდინარეობს ხალხისაგან და იმდენად მჭიდროთ არიან დაკავშირებულნი ხალხი და პარლამენტი, რომ ძნელია ამათ შორის დემარკაციონური ხაზის გავლება. ხალხი და მთავრობა — ეს

მთლიანი ერთეულია, საერთო ნებით, მთლიანი მოქმედებით.

დემოკრატიული რესპუბლიკა შეიძლება იყოს ორი სისტემის: ფედერატიული და უნიტარული. პირველის მაგალითია შვეიცარია და ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები, უკანასკნელებში დემოკრატიული რესპუბლიკის პრინციპი ფრიად შეკვეცილია, ვინაიდან პრეზიდენტს ისეთი უფლება აქვს მინიჭებული, რომელიც ფაქტიურად ინგლისის მონარქის უფლებებს აღემატება საქართველოს პირობებში კი ფედერალიზმის პრინციპი სრულიად მიუღებელია, შეიძლება მხოლოდ შევჩერდეთ უნიტარულ დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. უკანასკნელის მაგალითებს ჩვენ ვხედავთ ძველ საბერძნეთის ქალაქთა რესპუბლიკებში, სადაც თვითეული მოქალაქე პირდაპირ მონაწილეობას ღებულობს ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში, მაგრამ რადგანაც არ იყო სამოქალაქო თანასწორობა, ეყრდნობოდა მონების შრომაზე, მათი წყობილება ცხადია, დემოკრატიული რესპუბლიკის სავსებით გატარება არ ყოფილა.

პირველად დემოკრატიული რესპუბლიკის თანამედროვე სახელმწიფოებრივ მასშტაბით შექმნას შეეცადა კონვენტი, რომელმაც 1793 წელს გამოიმუშავა სათანადო კონსტიტუცია.

ნება მიბოძეთ მოგაგონოთ ის ჭეშმარიტად შესანიშნავი კამათი, რომელიც გაჩაღდა კონვენტში მაშინ ამ კონსტიტუციის შესახებ. ერთი მეორეს დაეჯახა ორი პოლიტიკური მსოფლმხედველობა — ჟირონდისტების და მონტანიარების. თუმცა ორივე ეს მიმართულება პრინციპიალურად ერთ და იგივე თვალთაზრისით ხელმძღვანელობდენ.

ჟირონდისტების ლიდერის კონდორსეს პროექტით ხალხის სუვერენიტეტი უნდა აშკარავდებოდეს პირდაპირ და დამოუკიდებლივ. პირველი საარჩევნო კრებები ანუ ოლქები პირდაპირ ირჩევენ: მუნიციპალიტეტს, დეპარტამენტის ადმინისტრატორებს, დეპუტატებს პალატაში, მსაჯულებს და მინისტრებს. ორი დეპარტამენტის ამომრჩევლების მოთხოვნით კანონი, გამოცემული დეპუტატთა პალატის მიერ ხელახლად განხილულ იქნება მთელი ხალხის რეფერენდუმით. პალატა ირჩეოდა ერთი წლის ვადით. ამ პროექტის წინააღმდეგ იაკობინელებმა წამოაყენეს შემდეგი მოსაზრებანი: მუდმივი არჩევნებით ხალხი მოქანცება -- მოიღლება და ეს ბოლოს და ბოლოს იმდენათ მობეზრდებათ მათ, რომ თავისაც კი შეიკავებს ხმის მიცემაში.

მთელი საარჩევნო პროცედურა ჩაუვარდებათ ხელში პოლიტიკურ ინტრიგანებსო. ასეთი რთული პროცედურით კანონების გამოცემა — ეს იქნება ხალხის ნების Veto-ს (ვეტოს) შექმნა თვით ამ ნების წინააღმდეგ. შემდეგ, არჩევა მინისტრების მილიონი ხმებით და დეპუტატის ათასი ხმით — ეს ნიშნავს მისცე აღმასრულებელ ორგანოს საშინელი ძალა, ეს ნიშნავს სუვერენულ ხალხს აუშენოთ „არა ტაძარი, არამედ საფლავი“, — როგორც სთქვა სენ-ჟიუსტმა

მონტანიარები ხედავდენ ამ პროექტში ფედერალისტურ სულისკვეთებას, რაც მეტის-მეტად ეჯავრებოდა მათ, და ეშინოდათ რა რომ აღმასრულებელ ძალას სამინისტროს შექმნიან პროვინციალები რევოლიუციონურ პარიზის გავლენის მოუხედავათ, დაიწყეს ენერგიული კამპანია ამ პროექტის წინააღმდეგ. კონვენტი დაეთანხმა მონტანიარების დებულებებს და ამისდა მიხედვით გაასწორა კონდორსეს პროექტი. კონვენტმა დაადგინა: მოქალაქენი, რომელთაც შესრულებული აქვთ 21 წელი, პირდაპირ ირჩევდენ დეპუტატებს და არა პირდაპირ თავის რწმუნებულების საშუალებით ირჩევდენ ადმინისტრატორებს სისხლის სამართლის, სამოქალაქო და საზოგადო საკონცილიატორო მოსამართლეებს, ხოლო დეპარტამენტები წარმოადგენენ კანდი-

ლატებს მინისტრთა პოსტზე, და ამათშორის ამოირჩევს თვით პალატა. სახალხო კენჭის ყრა ხდებოდა ზოგიერთ კანონების შესახებ, რომელთა სია იყო შემდგარი.

ამ კონსტიტუციის რატიფიკაცია მოხდა საყოველთაო სახალხო კენჭის ყრის საშუალებით, მაგრამ ბურჟუაზიულმა რეაქციამ წალეკა ის სანამ ძალაში შევიდოდა. მისი ადგილი დაიჭირა 95 წლის ბურჟუაზიულმა კონსტიტუციამ, რომელიც თავის მხრივ გაანადგურა კონსულურ და იმპერიალურ კონსტიტუციამ გლეხთა რეაქციის მეოხებით.

რაც შეეხება თვით კონვენტს, ის, როგორც შეზღუდული საარჩევნო უფლებიდან გამოსული, არ იყო დემოკრატიული დაწესებულება. და თუმცა მთელი ძალა უფლება მის ხელში იყო, მაგრამ ის მაინც არ იყო პარლამენტარული დაწესებულება. კონვენტი — ეს რევოლიუციონური ორგანოა, რომელიც არ არის შებოჭვილი არავითარი პარლამენტარულ—კონსტიტუციური გზებით და მოქმედობს რევოლიუციის და სამშობლოს დაცვის გულისათვის, ამიტომ იყო რომ კონვენტმა დემოკრატიული კონსტიტუცია მაიღო და დაადგინა: გაატაროს ის ცხოვრებაში, ნორმალურ პოლიტ. პირობებში, რომელიც მისი აზრით დადგება რამოდენიმე წლის შემდეგ. ამ რიგათ პირველი ცდა უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებისა, დამარცხებით გათავდა. დარჩა 93 წლის კონსტიტუცია, როგორც საუკეთესო ჩამუში დემოკრატიული შემოქმედების და რომელიც შემდეგში ვერსად ვერ განხორციელდა (მის აღდგენას მოითხოვდა ბაბეფი).

როგორც ხედავთ, ჩვენ დღეს არა გვაქვს ისეთი ქვეყანა, სადაც დამყარებული იყოს უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლიდანაც შეგვეძლო სარგებლობა საქართველოს რესპუბლიკის შექმნისას დროს, ჩვენ გვიხდება საკუთარი პასუხისმგებლობით და შრომით საქართველოში სსენებული ფორმის რესპუბლიკის შექმნა-განმტკიცება, ჩვენ გვჭირია ისეთის რესპუბლიკა, რომელმაც ხალხი არ უნდა დაუმორჩილოს სახელმწიფოებრივი საშუალებებით ბურჟუაზიას, მაგრამ ამავე დროს ხელი არ უნდა შეუშალოს და ფართე ასპარეზი მიეცეს საწარმოო ძალთა განვითარებას. ჩვენ გვინდა ისეთი რესპუბლიკა, რომელიც უზრუნველყოფს დემოკრატიის ბატონობას ისე, რომ ცენტრალური ორგანოები არ გახდენ ბურჟუაზიის გასაბატონებელ პოლიტიკურ იარაღათ და არც ადგილობრივი ორგანოები გახდენ პროვინციალურ რეაქციის ბუდეთ.

ერთი სიტყვით ჩვენ უნდა ავაშენოთ ისეთი რესპუბლიკა, რომელიც „პოლიტიკური ფორმით სოციალიზმს უნდა ეთავსებოდეს“, რომ მით საშუალება მოგვეცეს ჩვენ მომავალში ვიმოქმედოთ საზოგადოების სოციალისტურ ნიადაგზე გარდასაქმნელად. ხალხის პოლიტიკური თვითმართველობა — ეს აუცილებელი საშუალებაა და უეჭველი საფუძველია მის სოციალური თვითმართველობისათვის

## 7 დემოკრატიული რესპუბლიკის ორგანოები.

როგორც ვსთქვი, საქართველოს სახელმწიფო შეიძლება დაფუძნებულ იქნას სამ სოციალურ კლასზე: მუშათა, წვრილი ბურჟუაზიის და გლეხობის ძალთა ურთიერთ განწყობილებაზე; ორი უკანასკნელი კლასი ჩამორჩენილ გლეხობის გამოკლებით სცნობს მუშათა დემოკრატიის პოლიტიკურ გეგემონიას და ხელმძღვანელობას: ამ დამოკიდებულების უფლებრივ ნორმებში ჩამოყალიბება ნიშნავს სახელმწიფოს მისეც სათანადო კონსტიტუცია. აქედან დიდი პრობლემა: როგორი ორგანოები უნდა შეიქმნას, რომ ისინი მართლა გამოხატავდენ საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებას და მას შესაფერ მიმართულებას აძლევდენ. სხვანაირათ რომ ვსთქვათ, როგორ შევქმნათ ისეთი

კონსტიტუციონალური ტანისამოსი, რომელიც ერგათ მოადგებოდეს ტანზე არსებულ საზოგადოებრივ სხეულს.

ერთი კი უეჭველია, ეს კონსტიტუცია უნდა იყოს რესპუბლიკანური, დემოკრატიული. მაგრამ რომელი ორგანოები, როგორი ნორმები უზრუნველყოფს ჩვენთვის დემოკრატიულ რესპუბლიკას?

მთელი ძალა უფლება გამოდის ხალხიდან — ეს საერთო მცნებაა ყველა თანამედროვე რესპუბლიკებისათვის. შემდეგ კი იწყება განსხვავება, პარლამენტარულ რესპუბლიკას ეს ძალა გამოაქვს ხალხისაგან და შემდეგ აძლევს პარლამენტს, ე. ი. აგროვებს ბურჟუაზიის ხელში, ამით ხალხის სუვერენიტეტს აქცევს გაბატონებულ კლასთა სუვერენიტეტათ. დემოკრატიული რესპუბლიკა არა თუ დებულობს ხალხისაგან ამ ძალა უფლებას, არამედ უმეტეს ნაწილს უტოვებს ისევ ხალხს და საშუალებას აძლევს მას მოიხმაროს ის იმ ძალა-უფლების დამოუკიდებლათ, რომელიც გადაცემული აქვს ცენტრს, ძალა-უფლების ასეთი განაწილების დროს, ცენტრალურ მთავრობას არა აქვს საშუალება ცალკე ორგანიზაციულად დაირაზმოს და ის თანდათან უახლოვდება ხალხს და იქცევა სახალხო მთავრობათ.

ერთია ძალა-უფლება — ერთია მისი წარმომშობი წყარო — ხალხი. უკანასკნელი თავის მოწოდებას ახორციელებს სამი გზით: კანონმდებლობით, ადმინისტრატიულით და სასამართლოთი. იქმნება შესაფერი ორგანოები.

### ა) საკანონმდებლო ორგანო.

უნიტარულ რესპუბლიკაში საკანონმდებლო ორგანო ერთია, ვინაიდან ერთია ხალხი. საჭიროა თუ არა ამ ორგანოს ქონდეს უზენაესი უფლება? განთქმული სამართლის მცოდნე დაისის სიტყვებით „არ არის მსოფლიოში ისეთი პარლამენტარული საკანონმდებლო ორგანო გარდა ინგლისისა, რომლის ხელში იყოს უზენაესი უფლება". მხოლოთ ინგლისის საკანონმდებლო ორგანო არაფრით არ არის შეზღუდული თავის მოქმედებაში, შეუძლია ყველაფერი ქნას ფიზიკურ შესაძლებლობის ფარგლებში, მაშინ, როცა ყველა დანარჩენი პალატები შეზღუდულია კონსტიტუციის სტატუტებით, ე. ი. თითეულ ქვეყანას აქვს კონსტიტუცია, ანუ თავისებური პოლიტიკური წესდება, რომლის თანახმად საკანონმდებლო ორგანო ასრულებს თავის ფუნქციებს. იმ შემთხვევაში, თუ კონსტიტუციის წინააღმდეგ გამოიცა კანონი, ის დაუყონებლივ გაუქმებული იქნება სასამართლოს, ანუ სხვა რომელიმე ძალის მიერ. ინგლისში კონსტიტუცია კანონისაგან არ არის განცალკევებული, ასეთი დაყოფაც არ არის. პარლამენტს ყოველ დროს შეუძლია გამოსცეს როგორიც უნდა ისეთი კანონი და არავის არ შეუძლია ეს კანონი გააუქმოს.*) ამიტომ ამბობენ, რომ ინგლისში კონსტიტუცია არ არის დაწერილი, რადგანაც ის ყოველდღე იცვლება. აქედან აშკარაა, თუ რამდენათ ძლიერია პოლიტიკურათ ინგლისის ბურჟუაზია, აღჭურვილია განუსაზღვრელი პარლამენტარული უზენაესობით.

პარლამენტარულ და ნახევრათ პარლამენტარულ ქვეყნებში საკანონმდებლო ორგანოს უზენაესობა შეზღუდულია კონსტიტუციებით, დემოკრატიულ ქვეყნებში კი კონსტიტუციით და სახალხო კენჭის ყრით (რეფერენდუმით).

ყველაზე დიდი შეზღუდვა, რასაკვირველია, არის რეფერენდუმი, რადგანაც ამ გზით შეიძლება გაუქმება არა თუ ანტი კონსტიტუციურ, არამედ კონსტიტუციურ კანონებისაც. ამ შემთხვევაში სრული ბატონ პატრონია ხალხი.

ამ რიგათ ჩვენ უარვყოფთ რა ინგლისის პარლამენტარულ სისტემას, ვდგევართ კანონმდებლობითი ორგანოს შეზღუდვილ უზენაესობის ნიადაგზე, მაგრამ რა ფარგლებში და როგორ შევზღუდოთ ის?

უწინარეს ყოვლისა კონსტიტუციას იმუშავებს სპეციალური (დამფუძნებელი) კრება. შეიძლება ამ კრების უზენაესობის შეზღუდვა? რასაკვირველია შეიძლება.

კონსტიტუციას რატიფიკაცია ხალხმა უნდა გაუკეთოს. ამას ბურჟუაზიაც კი ასრულებდა. შემდეგ ყოველგვარი ცვლილებანი კონსტიტუციაში ძალაში უნდა შევიდეს მას შემდეგ, როცა მას ხალხი მოიწონებს, როგორც ეს ხდება ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს ლოღიკურია: თუ კონსტიტუცია მკვიდრდება რეფერენდუმის საშუალებით, მაშინ ყველა შესწორებები და საშუალებებიც რეფერენდუმით უნდა იქნას შეტანილი. შემდეგ ჩვენ შევდივართ ძნელ და სადავო უფლებრივ სფეროში: როგორ გავანაწილოთ საკანონმდებლო ძალა უფლება ხალხის და საკანონმდებლო ორგანოს შორის ისე, რომ ხალხმა არ უარყოს პროგრესიული კანონები, როგორც ეს შვეიცარიაში ხანდახან ხდება, ან პროვინციალიზმმა არ ჩაულაპოს ცენტრი?

*) პარლამენტათ იგულისხმება ყველა ის ინსტანციები, რომელთა თანხმობაც საჭიროა ინგლისში კანონის გამოსაცემათ—სათემო პალატა, ლორდების პალატა და მეფე.

მსგავსი შემთხვევები შვეიცარიაში აიხსნება ერთის მხრით შვეიცარიის გლეხობის ჩამორჩენილობით, უძრაობით, რომელსაც არასოდეს არ განუცდია რევოლიუციონური ტალღების გავლენა, მეორეს მხრით კონსერვატიულ და ბურჟუაზიულ პარტიათა ორგანიზაციულად მოწყობით, რომელნიც პარლამენტში დემოკრატიის ზეგავლენით ხშირად მხარს უჭერენ კანონებს იმ იმედით, რომ ხალხი უარყოფს, მესამე—კანონების სირთულით და გაუგებრობით.

ჩვენში გლეხობამ რევოლიუციონური ტალღები რამდენიჯერმე განიცადა, ამიტომ მისი ჩამორჩენილობა იმდენად საშიში არ იქნება, ხოლო ბურჟუაზიული და კონსერვატიული პარტიები ჩვენში მეტად სუსტი არიან.

მხოლოდ საკითხის სიძნელესა და სირთულეს შეეძლოა ითამაშოს ჩვენში უარყოფითი როლი ხმის მიცემის დროს, ვინაიდან იმას, რაც არ ესმის კაცს ის ან უარყოფს ანუ შეუგნებლად ღებულობს გარეშე ძალის გავლენით.

ამიტომ საჭიროა შევჩერდეთ 93 წ. კონსტიტუციის კომპრომისებზე. კანონები ზოგიერთ ძირითად საკითხების შესახებ უნდა მიღებულ იქნას რეფერენდუმით (სავალდებულო, თუ ფაკულტატიური), დანარჩენ კანონებს სცემს პირდაპირ საკანონმდებლო ორგანო. რეფერენდუმით უნდა გადაჭრილ იქნას ყველა ის საკითხები, რომელსაც კავშირი აქვს ხალხის ჯიბესთან, მაგ. სახელმწიფოს შემოსავალი და გასავლის (გადასახადები სახელმწიფო ქონება, ფულის სისტემა) ომი და ზავის (საზავო, ვაჭრული ხელშეკრულებები) სახალხო განათლების საკითხი (შკოლა). ამ კანონების გამოცემაში ხალხის მონაწილეობას აქვს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც. ის აერთიანებს ხალხს სახელმწიფოსთან, აჩვევს და ასწავლის მას რესპუბლიკის დაცვას. ხალხის თანდათანი განვითარება ამ გზაზე და გაძლიერება შეგნებულ პოლიტიკურ დემოკრატიათ ათინის დემოკრატიის მზგავსად, ხელს შეუწყობს მთელი საკანონმდებლო ძალა უფლების მის (ხალხის) ხელში გადასვლას, ხოლო წარმომადგენლობითი დაწესებულება მაშინ გადაიქცევა ორგანოთ, რომელიც წინასწარ ამზადებს კანონპროექტებს და ხელმძღვანელობს მის ხალხის მიერ კენჭის ყრას.

ერთი სიტყვით, ვსთქვათ რომ ციურიხის კანტონის კონსტიტუციის სიტყვებით: „ხალხი ახორციელებს საკანონმდებლო ძალაუფლებას დეპუტატთა პალატის დახმარებით". ერთი პალატიან სისტემის დროს, რომელიც ჩვენშიაც უნდა იქნას მიღებული, რეფერენდუმი პალატას კონტროლს უკეთებს და აიძულებს დაკვირვებით და დინჯათ იმუშაოს კანონმდებლობის სფეროში.

### ბ) ადმინისტრატიული ორგანოები.

ცენტრალური ადმინისტრატიული ორგანო — ეს მინისტრთა კაბინეტია. პარლამენტარული წყობილების დროს სამინისტრო წარმოადგენს პარლამენტის აღმასრულებელ ძალას ე. ი. პარლამენტის დადგენილებანი სისრულეში მოჰყავს მხოლოდ მინისტრს და მის მოხელეებს. ეს ერთი დამახასიათებელი თვისებაა, მეორე თვისება კი იმაში მდგომარეობს, რომ სამინისტრო არის პალატის უმრავლესობის ნების გამომხატველი და იცვლება ამ უმრავლესობის შეცვლის მიხედვით. მაშინ, როცა დემოკრატიულ ქვეყნებში სამინისტროს არა აქვს არც ერთი ეს თვისება, ის არ არის კანონების ერთად ერთი აღმასრულებელი და მას არ აწევს პოლიტიკური პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე. შვეიცარიაში პარლამენტის და ხალხის მიერ გამოცემული კანონები სისრულეში მოჰყავს მოხელეებს, რომელნიც დანიშნული არიან არა ცენტრის მიერ, არამედ კანტონის მიერ. სამინისტროს არა აქვს მოხელეთა აპარატი, ამასთანავე უმაღლეს ადმინისტრატიულ თანამდებობაზე ზოგიერთ კანტონებში ირჩევიან მოქალაქეთა მიერ და არა ინიშნებიან. მეორე მხრით მინისტრებს ირჩევს პარლამენტი თავის მოქმედების დაწყების წინ, ისინი არსებობენ შემდეგი პარლამენტის პირველ სხდომამდე, ხოლო ამ უკანასკნელზე ირჩევენ ახალ მინისტრებს (ჩვეულებრივ ძველებს ხელახლა ირჩევენ). დაისის სიტყვებით ასეთი სამინისტრო შეიძლება განვმარტოთ: „როგორც დირექტორთა საბჭო, რომელიც შედგენილია შვეიცარიის საქმეების მმართველად, თანახმად კონსტიტუციის მუხლებისა და პარლამენტის საერთო სურვილისა". ერთი სიტყვით სამინისტრო — ეს საქმიანი კოლეგიაა, რომელიც შედგენილია გამოცდილი და საქმის მცოდნე ადმინისტრატორებისაგან, და აწარმოებენ მხოლოდ ადმინისტრატიულ საქმეებს და არ წარმოადგენენ უმრავლესობის არც მეთაურებს და არც პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ მოღვაწეებს. სამინისტროსი, ანუ თვითეული მინისტრის გადაყენება სამსახურის ვადის გასვლამდე შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან დაარღვია კონსტიტუცია, ან კანონი, მხოლოდ ეს უნდა დაადასტუროს ფედერატიულმა სასამართლომ.

როგორც ხედავთ, დემოკრატიული სამინისტრო არ წარმოადგენს პარლამენტარულ აღმასრულებელ ძალას. რატომ? ცხადია რატომ. თუ კანონმდებელია არა მარტო პალატა, არამედ ხალხიც, პალატის უმრავლესობა შეიძლება არ წარმოადგენდეს ხალხის უმრავლესობას, ამიტომ ყოვლად შეუძლებელია შეადგინო მინისტრთა კაბინეტი პალატის დეპუტატთა უმრავლესობისაგან. ისე, რომ ეს კაბინეტი არ დაუპირდაპირდეს მოქალაქეთა უმრავლესობას. შეუძლებელია აგრეთვე კაბინეტი შეადგინო მოქალაქეთა უმრავლესობის მიხედვით, ვინაიდან ეს უმრავლესობა ხასიათდება არა პოლიტიკური ნიშნებით, არამედ იმ კანონების ხასიათით რომელიც სახალხო კენჭის ყრით იქნა მიღებული. პარლამენტარიზმის გზით რომ წავიდეთ, მაშინ პარლამენტი უნდა გადადგეს, თუ მის მიერ მიღებული კანონი ხალხმა უარჰყო.

ამ ნაირათ, პარლამენტარიზმი ძირითადათ ეწინააღმდეგება დემოკრატიული რესპუბლიკის პრინციპებს. რაკი უკანასკნელი სიტყვა ხალხს ეკუთვნის, მას შეაქვს ყველგან დემოკრატიული მცნებები; მინისტრებს, დეპუტატებს და სხვა ადმინისტრატორებს ხალხი უყურებს არა ისე, როგორც თავის ბატონებს, არამედ ისე, როგორც თავის მოსამსახურეს, რწმუნებულთ, რომელნიც ვალდებულნი არიან შეასრულონ მისი ბრძანებანი იმ შემთხვევაშიაც, როცა ასეთებს არ ეთანხმებიან ისინი (მინისტრები). აქ პატრონია ხალხი და ის არ კითხულობს მინისტრები თანახმა არიან თუ არა, ის პირდაპირ უკარნახებს მათ თავის ნებას, რომლის შეუსრულებლობა სისხლის სამართლის კანონის ძალით ისჯება. ეს დემოკრატიის პატრონობის უმაღლესი ფორმაა და სანამ ხალხი არ ამაღლებულა ამ ფორმამდე, მას ძალაუნებურათ უხდება ანგარიში გაუწიოს ყველა სურვილებს და კაპრიზებს ადმინისტრატორებისა, რომელნიც მის ბატონათ ხდებიან და არა მოსამსახურეებათ.

შესაძლებელია თუ არა ჩვენში არა პარლამენტარული კაბინეთი? ამაზე კატეგორიული პასუხის გაცემა შეუძლებელია, რადგანაც ეს გამოირკვევა დემოკრატიული კონსტიტუციის პრაქტიკიდან.

რეფერენდუმის დროს ყველასათვის ცხადი გახდება, რომ პარლამენტარიზმის და სახალხო კანონმდებლობის ერთად მოთავსება ყოვლად შეუძლებელია. მაგრამ, როგორც გადასასვლელ საფეხურზე, მე მივუთითებდი ისეთ კაბინეთის შედგენაზე, სადაც თავმჯდომარე და ერთი ანუ ორი მინისტრი (მაგ. საშინაო ან საგარეო საქმეთა) იყოს პოლიტიკურათ პასუხისმგებელი, დანარჩენები კი საქმის ხალხი, რომელნიც გააგრძელებენ თავიანთ საქმებს მაშინაც, როცა პასუხისმგებელ მინისტრების გამოცვლა ხდება.

არა პარლამენტარული კაბინეთი ჯერ კიდევ არ ნიშნავს დემოკრატიულს, თუ ის ერთად-ერთი აღმასრულებელია გამოცემული კანონებისა.

ამ შემთხვევაში ის იმდენათ გაძლიერდება, რომ თავისი მოხელეების საშუალებით ხალხს ადვილათ დაიმორჩილებს და ამით გააბათილებს, როგორც რეფერენდუმს, ისე ხალხის სუვერენიტეტს. ამიტომ 93 წლის კონსტიტუცია ამკვიდრებდა ისეთ წესს, რომლის ძალით ადმინისტრატორებს ირჩევენ მოქალაქენი თავიანთ რწმუნებულთა საშუალებით და არა მინისტრები ნიშნავენ.

შვეიცარიაში და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ხალხი პირდაპირ ირჩევს გუბერნატორებს, პოლიცმეისტრებს და სხ. მაღალ თანამდებობის პირთ, ჩვენ კი იმ პირობებში, რომელიც საქართველოშია, ვარჩევთ კონვენტის სისტემას. ადმინისტრატორების ამორჩევის უფლება უკეთესია მიენიჭოს საერობო და მუნიციპალურ თვითმართველობებს, რომელსაც ისინი (ადმინისტრ.) პირდაპირ ემორჩილებიან, არაპირდაპირ კი ემორჩილებიან მინისტრს, რომელიც თვალყურს ადევნებს მათ მოქმედებას კანონიერების მხრით.

იტყვიან: მაშინ სამინისტრო ხომ უსაქმოთ დარჩებაო? არაფერი ამის მსგავსი. ცენტრალური მთავრობის კონსტრუქციის დროს ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ერთი პრინციპით: ეს მთავრობა, რაც შეიძლება ნაკლებ მმართველობდეს ხალხზე და მეტს ნივთებზე, ე. ი. ის უნდა ცდილობდეს სახელმწიფოებრივ მეურნეობის და ხალხის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. მდიდარ კლასთა მისწრაფება ამ დებულებას სრულებით ეწინააღმდეგება: მათ აინტერესებს ხალხის მართვა, ე. ი. მისი დამორჩილება სახელმწიფო ძალით და სამეურნეო-საოჯახო

საქმეების კერძო პირებზე გადაცემა. პარლამენტარულ ქვეყნებში, დემოკრატიულ ამერიკაშიაც-კი სახელმწიფოებს ჯერ ვერ მოუხერხებიათ არამც თუ ბუნებრივი სიმდიდრის, თავის ხელში რკინის გზების აღებაცკი. ბურჟუაზია პრინციპიალურად უარყოფს სახელმწიფოებრივ მეურნეობას, რადგანაც მასში სოციალიზმის ჩანასახს ხედავს. არსებული დემოკრატიული რესპუბლიკები (შვეიცარია და ამერიკა) ამ მეხლში სავსებით ბურჟუაზიის [illegible] ქვეშ იმყოფებიან და არ ისახავენ არავითარ სამეურნეო მიზნებს, არა აქვთ არავითარი სახელმწიფო უძრავი ქონებანი. ამ შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკა თავის სახელმწიფო ქონების მხრივ, რომელიც შესდგება ტყეებისაგან და მამულებისაგან (და რომელიც უნდა იქნას შევსებული მადნეულობით) წარმოადგენს ბედნიერ გამონაკლისს. არა მქონე და მცირე მქონე კლასების ინტერესები მოითხოვენ, რომ სახელმწიფომ პირველ რიგზე დააყენოს სახელმწიფო მეურნეობის შექმნა და კულტურული საკითხები, ხოლო მეორე რიგზე — ადმინისტრატიულ-პოლიტიკური საკითხები. რკინის გზები, ტყეები, მამულები, მადნეულობა, ჭაობების ამოშრობა, მელიორაცია, სკოლები, მუშათა დაზღვევა და სხ. — აი ის საგნები, რომელზედაც უნდა ტრიალებდეს უმთავრესად მთავრობის მოქმედება, აგრეთვე ყოველნაირად ხელს უნდა უწყობდეს და ეხმარებოდეს საზოგადოებრივი ორგანოების ასეთ დაწყებულებას. ჩვენი უმთავრესი მიზანია სახელმწიფოს გადაქცევა შეძლებისამებრ სამეურნეო ორგანიზაციათ. ასეთია ჩვენი მიზანი დემოკრატიული რესპუბლიკის შენების დროს.

როგორათაც ჩვენ გავანაწილეთ საკანონმდებლო ძალა პარლამენტისა და ხალხს შორის, ასევე უნდა გავანაწილოთ აღმასრულებელი ძალაც მთავრობასა და საზოგადოებრივ თვითმართველობათა შორის. ამისათვის კი საჭიროა ამ უკანასკნელთა არსებობა და მოქმედება. ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს საქართველოში ის აუცილებლად საჭირო საძირკველი, რომელზედაც დამყარებულია თანამედროვე სახელმწიფო, — არა გვაქვს კომუნალური თვითმართველობა. ჩვენი სოფლები წარმოადგენენ უფორმო, უუფლებო ორგანიზაციებს. მაშასადამე, დღეს უმთავრესად ჩვენ უნდა შევუდგეთ კომუნალური ორგანოების შექმნას, სახელმწიფოს ადგილობრივი ცენტრის მოწყობას, რის შემდეგ სახელმწიფო საძირკველი ძლიერი და შეურყეველი იქნება. სასოფლო, სამაზრო, ქალაქთა თვითმართველობანი და მათი კავშირები ადმინისტრატიულ მოღვაწეობასთან ერთად ხელს მოკიდებენ უმთავრესად სამეურნეო საკულტურო მუშაობას და მით შეავსებენ და გააგრძელებენ სახელმწიფო სამეურნეო მოქმედებას.

იბადება კითხვა: როგორი უფლებრივი დამოკიდებულება არსებობს მოქალაქეთა და ადმინისტრატორებთა შორის? შეუძლია თუ არა მოქალაქეთ სამსახურში დანაშაულის ჩადენის გამო ადმინისტრატორები ჩვეულებრივ სამართალში მისცენ?

ძველი პარლამენტარული და ნახევრათ პარლამენტარული სახელმწიფოები, ინგლისის გამოკლებით, თავიანთ მოხელეებს უყურებენ როგორც პირთ, რომელთაც აქვთ მინიჭებული მთელი რიგი განსაკუთრებულ უფლებებისა, პრივილეგიებისა და პრეროგატივებისა, — რითაც აღჭურვილნი არ არიან უბრალო მოქალაქენი და ჰგონიათ, რომ ამ უფლებათა, უპირატესობათა და პრეროგატივების რაოდენობა უნდა განისაზღვრებოდეს სხვა გვარი პრინციპებით, ვიდრე უფლება და მოვალეობანი ერთი მოქალაქისა მეორესთან შედარებით" (დაისი). ეს უბრა-

დით რომ ავხსნათ, ნიშნავს, რომ თანამდებობის პირნი ექვემდებარებიან არა ჩვეულებრივ სასამართლოებს, არამედ თავიანთ საკუთარ ეგრედ წოდებულ „ადმინისტრატიულ" სასამართლოს. ამ მიზნით შექმნილია ადმინისტრატიულ უფლებათა მთელი სისტემა, რომელიც ამყარებს მთავრობისაგან დამოკიდებულ ადმინისტრატიულ სასამართლოებს; უკანასკნელებს გადაეცემა გასასამართლებლათ ხოლმე მთავრობის დადგენილებით დამნაშავე თანამდებობის პირები. ამით აღმასრულებელმა ძალამ თავი დაიცვა, აღმართა თავისა და ხალხს შორის სიმაგრე და მოიპოვა იმაზე ძლიერი გავლენა. ეს სისტემა პირდაპირ გამომდინარეობს პარლამენტარული წყობილებიდან, ისე, როგორც ეს უფრო მოუხეშავი და ტლანქი სახით გამომდინარეობს თვითმპყრობელური რეჟიმისაგან: რაკი მთელი ძალა უფლება გროვდება ცენტრის ხელში, ცხადია, ეს სისტემა გამოყოფილია ხალხისაგან და იმაზე გაბატონებული. ადმინისტრატიული უფლება გულისხმობს მთავრობის და ხალხს შორის ანტაგონიზმის და მტრული განწყობილების არსებობას და ეს უფლება იღებს ყოველგვარ იურიდიულ ზომებს, მთავრობის და მის აგენტების დასაცავად ამ მტრებისაგან.

უფლების ასეთი გაგება ძირიანად ეწინააღმდეგება დემოკრატიული რესპუბლიკის პრინციპებს, სადაც მთავრობა და მისი მოხელეები წარმოადგენენ ხალხის მოსამსახურეებს, რომელთაც არა აქვთ არავითარი განსაკუთრებული პრეროგატივები და ემორჩილებიან ჩვეულებრივ სისხლის სამართლის და სამოქალაქო კანონს. ყველა პარლამენტარული ქვეყნებისაგან მხოლოდ ინგლისმა დაიხსნა თავი ამ ადმინისტრატიულ უფლებას მოსამართლეთა ძლიერი გავლენის მეოხებით, რომლებმაც ეს ძალა შეიძინეს მთელი საუკუნოების განმავლობაში მეფესთან და მოქალაქეებთან ერთად, ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლით. აქ ჩვეულებრივ სასამართლოს ექვემდებარება ყველა, დაწყებული მეფიდან და გათავებული უბრალო მომაკვდავით. თითეულ მოქალაქეს შეუძლია სიჩივარი აღძრას სასამართლოს წინაშე თანამდებობის პირის დანაშაულის შესახებ. მთელი ეს სისტემა მჭიდროთ დაკავშირებულია დემოკრატიული რესპუბლიკის პრინციპებთან და ჩვენ ეს უნდა მივიღოთ.

## გ) სასამართლოს ორგანოები.

ადმინისტრაცია თითქმის ყველგან გაბატონებულთა ორგანოთ ირიცხება, სასამართლო კი ჩაგრულთა ორგანოთ. ეს ორი დაწესებულება მუდამ ცუდ განწყობილებაში იყვნენ ერთმანეთთან და სასამართლომ ძვირად ძვირ შესძლო — გარდა ინგლისისა, ადმინისტრაციის დამორჩილება, რომელიც განცალკევდა მისგან და საკუთარი სასამართლოები შექმნა. რადგანაც სასამართლო ერთად ერთი დაწესებულებაა, სადაც თავშესაფარს პოულობენ ყველა სუსტები და დაჩაგრულები, ამიტომ უფლებისათვის მებრძოლებს მთელი ძალ-ღონე იქითკენ უნდა მიემართათ, რომ სასამართლო ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებელი გაეხადათ და ამნაირათ უზრუნველ-ეყოთ ხალხისათვის მინიმალური სამართლიანობა მაინც. სასამართლოს დამოუკიდებლობა გადაიქცა მოწინავე საზოგადოების საერთო მოთხოვნილებათ. აქედან გამომდინარეობს იდეა, რომ მოსამართლენი აღარ უნდა იცვლებოდენ — ეს მათი ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებლობის გარანტია იქნება.

მაგრამ, დემოკრატიულ რესპუბლიკაში მდგომარეობა იცვლება და სასამართლო სხვანაირ პირობებში ვარდება. თუ ხალხი ირჩევს მოსამართლეებს, ცხადია ისინი არ შეიძლება და-

მოკიდებული იყონ ადმინისტრაციისაგან, პირიქით - ისინი დამოკიდებული არიან ხალხისაგან და ასეთ პირობაში მოსამართლეთა დამოუკიდებლობა მხოლოდ გაბატონებულთა მოთხოვნილება შეიძლება იყოს.

ამ რიგათ მოსამართლენი არ უნდა იცვლებოდენ და დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ პარლამენტარულ და ნახევრათ პარლამენტარულ ქვეყნებში, ხოლო დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამოკიდებულიც უნდა იყვნენ და კიდევაც უნდა იცვლებოდენ. ხალხი ირჩევს და უკანვე იწვევს თავის არჩეულებს.

ახლანდელი სასამართლო დანაშაულობის მიხედვით ორ ნაწილად განიყოფება: პირად და სახელმწიფოებრივ ხელშეუხებლობას იცავს სისხლის სამართლის სასამართლო; საკუთრების და ოჯახის უფლებას — სამოქალაქო სასამართლო. ეს გაყოფა საერთოდ სამართლიანია, თუმცა ის ასე მტკიცეთ არ ხორციელდება, რაც შეეხება პროცესუალურ მხარეს, ეს დემოკრატიული თვალთახედვის ისრით კრიტიკას ვერ უძლებს. სისხლის სამართლის სასამართლოში დაზარალებულთა ინტერესების დაცვა სახელმწიფო ხარჯზე ხდება, სამოქალაქო სასამართლოში დაზარალებული კი საქმეს თავის ხარჯით აწარმოებს. ასეთი წესი კარგი და მისაწდომია მდიდრებისათვის, ხოლო ცუდია ღარიბებისათვის. პირველთ ფული აქვთ და შეუძლიათ პროცესი თავისი ხარჯით აწარმოვონ, ხოლო მეორეთ შეძლების უქონლობისა გამო ეს არ შეუძლიათ და ამიტომაა, რომ მდიდრები საქმეს თითქმის ყოველთვის იგებენ, ხოლო ღარიბები კი აგებენ. ამიტომ საჭიროა დაზარალებულთა სახელმწიფო ხარჯით დაცვის პრინციპი მიღებულ იქნას სამოქალაქო პროცესშიაც. ამით შეიძლება შეუმსუბუქოთ სუსტს მდიდართან საჩივარის წარმოება.

რაც შეეხება სასამართლოს ორგანოების მოწყობას, ჩვენ ამ შემთხვევაშიაც უნდა ვიხმაროთ ძირითადი პრინციპი, — ძალაუფლება უნდა განაწილდეს ცენტრის და ხალხს შორის. 93 წ. კონსტიტუციის მაგალითით ხალხი თავის რწმუნებულთა საშუალებით (ჩვენში საერობო და მუნიციპალური ორგანოების საშუალებით) ირჩევს მოსამართლეებს როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის. უკანასკნელი საქმეს არჩევენ ნაფიც მსაჯულებთა თანდასწრებით. სახელმწიფოს უმაღლესი სასამართლო, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს ყველა სასამართლოებს, არჩევს განსაკუთრებულ სერიოზულ და საკასაციო საქმეებს და როგორც უმაღლესი ინსტანცია, სწყვეტს კასციურ საქმეთ — ირჩევა პარლამენტის მიერ როგორც ეს შვეიცარიაშია მიღებული. ყველა მოსამართლეებს ირჩევენ ვადით ხელ ახალი არჩევის უფლებით. უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლებელია ასეთი კომპრომისის გაკეთება: ხელ მეორეთ არჩეულნი მოსამართლენი, როგორც ხალხის ნდობის მქონებელი, შეიძლება გამოცხადდნენ მუდმივ მოსამართლეებათ.

მაგრამ ეს დროებითი კომპრომისია, რომელიც სრულებით არ გამომდინარეობს რესპუბლიკის პრინციპებიდან და ახლო მომავალში უნდა გაუქმებულ იქნას.

მე არაფერი არ მითქვამს ერთ ფრიად ძლიერ დაწესებულებაზე, რომელსაც შეუძლია დააქციოს ყოველ გვარი წყობილება და ყოველგვარი თავისუფლება - ეს მუდმივი ჯარია.

ყველა ზემოთ თქმულისაგან ცხადია, რომ დემოკრატიულ რესპუბლიკის პრინციპებს სრულიად არ შეეფერება მუდმივი ჯარი და როგორც მსოფლიო ომი გათავდება და ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა გამოირკვევა, ნეიტრალობის დამკვიდრების თანავე ჩვენ გადავალთ სახალხო მილიციის სისტემაზე.

მე გავათავე. როგორც ხედავთ ჩვენს წინაშე სდგას მეტის მეტად ძნელი და რთული კითხვა—უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება—ისეთი წესწყობილების დაფუძნება და განმტკიცება, რომელიც ჯერ-ჯერობით არსად არ განხორციელებულა. ამ მიზნის მისაღწევათ კი საჭიროა ორი პირობა: საქართველომ უნდა განამტკიცოს ნამდვილი დამოუკიდებლობა, და იყოლიოს ძლიერი დემოკრატიული მთავრობა, რომელიც შეაძლებს ახალ წყობილების ცხოვრებაში გატარებას. ჩვენმა პარლამენტმა რომ შესძლოს გზის გაკვლევა, გაწმენდა, ყველა დაბრკოლებების ძლევა და დემოკრატიული პოლიტიკური თვითმართველობის დამკვიდრება, ის უნდა იყოს აღჭურვილი კონვენტის ძალა-უფლებით.

და თუ ჩვენ მიზანს მაინც ვერ მივაღწიეთ და დავმარცხდით, ერთი მაინც უეჭველი იქნება-და ამას პირუთვნელი ისტორია აუცილებლათ იტყვის — ჩვენ მივდიოდით სწორე გზით და გავაკეთეთ, რის გაკეთებაც კი შევძელით.

ნოე ჟორდანია

# სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია

გამოცემა საოლქო კომიტეტისა.

ფასი 1 მან.

ტფილისი.
სტამბა ე. ა. რუხაძისა, გამაშვილის შესახვევი № 1.
1918.

გიორგი გვაზავა დაიბადა 1869 წელს ნაქალაქევში და გარდაიცვალა პარიზში 1941 წელს. მისი მოღვაწეობის ერთერთი თვალსაჩინო პერიოდია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მოსამზადებელი ხანა, როცა მან - ნოე ჟორდანიას თხოვნით - მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ტექსტის შედგენაში. დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის შემდეგ, გიორგი გვაზავა იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებია და დასახლდა პარიზში, სადაც მან განაგრძო პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

======================

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
ახალგაზრდათა საზღვარგარეთელი ბიურო.

გიორგი გვაზავა

# საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

(წერილი მეორე)

პარიზი
1928

## საქართველო
## და
## ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

(წერილი მეორე)

ეხლა მოდაში შემოვიდა და ბევრიც ამტკიცებს, რომ ვითომდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტია დაარსდა მაშინ, როცა დაიწყო რუსეთის დიდი რევოლიუცია. ეს არ არის მართალი. პარტია დაარსდა უფრო ადრე, 1905 წელს, და თავის დაარსებით შეავსო ერთი დიდი ნაკლი საქართველოს პოლიტიკურ აზროვნებაში.

საქმე იმაშია, რომ საქართველოში პირველად ფეხი მოიკიდა სოციალისტურმა მოძღვრებამ. ამ მოძღვრებას საფუძვლად უდევს ე. წ. «ისტორიული მატერიალიზმი». მართალია, ამ მსოფლმხედველობას აქვს თავისი მნიშვნელობა და მისი უარისყოფა შეუძლებელია. მაგრამ ეჭვი არ არის იმაშიდაც, რომ იგი არ არის ყველაფერი და ცხოვრების ყოველ მოვლენას ვერა ჰხსნის და ვერა ჰფარავს. იმის გვერდით არის კიდევ სხვა ძალა, არა ნაკლებ ძლიერი და შემოქმედი, რომელიც ატრიალებს ცხოვრებას და ჰქმნის ისტორიას. ეს ძალა — თავისუფლება.

მაგრამ თავისუფლება არის მხოლოდ იდეა. ის მზამზარეული არსად მოიპოვება და ერთბაშად ხელში არავის უვარდება. მას უნდა თანდათანური განხორციელება. ეს შეიძლება მხოლოდ მუდმივი შრომით და ბრძოლით. საჭიროა გამაგრება ერთხელ დაპყრობილი პოზიციების და აქედან კვალად ბრძოლა მისი გასაფართოებლად და ახალი პოზიციების მოსაპოებლად. თავისუფლების ამ დაპყრობილ ნაწილებს ჰქვიან უ ფ ლ ე ბ ა. აქედან იბადება კითხვა: საქართველოს, როგორც ერს, აქვს თუ არა რაიმე უფლება, რომ ჰლირდეს მისი გამაგრება ეროვნული განთავისუფლებისათვის?

სოციალისტები ამ კითხვას არც კი აყენებდნენ. მათთვის უფლება იყო მხოლოდ ეკონომიკის ზედნაშენი, და ეროვნულ საკითხს სწყვეტდნენ ზოგადად და განყენებულად: ყველა თანასწორია და ყველას უნდა ჰქონდეს ერთი და იგივე უფლება თვითგამორკვევისა. მაგრამ თანასწორობა არ არის რეალობა. ისიც არის მხოლოდ იდეა, რომლის თანდათანური განხორციელება მოითხოვს ისევ შრომას და ბრძოლას. ბუნებამ ის არ იცის. ზოგი ადამიანი იბადება მჭლე და უდღეო. ზოგი სალი და ჯანმრთელი. ზოგი ბავშვობაშივე ჰკვდება, ზოგი გამოდის ყოჩაღი და ნიჭიერი. ასეთივეა ერიც. ყველა ერს არ აქვს ერთი და იგივე უფლება. ზოგი დღემდეც დარჩა მჭლე და უდღეო, ზოგი კი საუკუნოებით იბრძვის, ღვრის სისხლს, რომ გამოსჭედოს თავის ბედი და გაუთანასწოროდეს სხვა უფრო წინწასულ ერებს. ასეთია ქართველი ერი. ის იბრძოდა ოცი საუკუნის განმავლობაში, შექმნა თავისი კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება; მას ანგარიშს უწევდნენ მეზობელ სახელმწიფონი; თვით რუსეთის იმპერიამ საჭიროდ დაინახა 1783 წელს დაედო მასთან ხელშეკრულება და მიეღო თავისთავზე მთელი რიგი ვალდებულებისა. რასაკვირველია ამისთანა ერს ჩვენ ვერ გავუთანასწორებთ ზულუსებს თუ სამოედებს.

ამიტომ საქართველოს პოლიტიკურ მოთხოვნილებას ჩვენ საფუძვლათ დავუდევით იდეა უფლებისა.

ჩვენს პროგრამაში საქართველო გამოდიოდა არა როგორც გამოურკვეველი რამე, რომელსაც უნდა მისცემოდა უფლება თვითგამორკვევისა, არამედ როგორც სუბიექტი საერთაშორისო უფლებისა, სავსებით გამორკვეული თავის ტერიტორიით და სახელმწიფოებრივი მთლიანობით. პირველი მუხლი ჩვენი პროგრამის აცხადებდა:

> «საქართველოს და რუსეთის შორის დადებულ ხელშეკრულების ძალით, საქართველო მოითხოვს ავტონომიურ წყობილებას.»

როგორც ყველამ იცის, ავტონომია არის ისეთი შემეცნება, რომელშიდაც მოქცეულია ეროვნული და ტერიტორიალური მთლიანობა. ეს სახელმწიფოებრივი ფორმა პირველი საფეხურია პოლიტიკური დამოუკიდებლობისა. დაბყრობილ

ერს მეტის თქმა არ შეეძლო. დანარჩენი მუხლები პროგრამისა იყო იგივე, რაც ეხლა გვაქვს. დავბეჭდეთ 10 ათასი ცალი ამ პროგრამისა და გავავრცელეთ ხალხში. აეირჩიეთ პრეზიდიუმი. პარტიის ბეჭედზე ამოჭრილი იყო «საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია». ამით დაიწყო პარტიული მუშაობა.

—

**პირველი პერიოდი.**

ეხლა ხშირად გვესმის საყვედური: «შეიძლება პარტია დაარსეთ. მაგრამ საქმით ვერა გაგიკეთებიათ რაო». ეს საყვედური არ არის სამართლიანი. აი ზოგიერთი ფაქტები.

პარტიის დაარსებისთანავე ჩვენ გამოვეცით პირველი პარტიული ორგანო «გრუზინსკაია მისლ». საჭიროდ დავინახეთ რუსულად გამოგვეცა, რომ ჩვენი პოლიტიკური მოთხოვნილება დაგვეყენებინა რუსეთის წინაშე. პირველ ნომერშივე მოვითხოვეთ ავტონომია თანახმად ჩვენი პროგრამისა. შედეგი: გაზეთი დაჰხურეს, მე გადამასახლეს, როგორც რედაქტორი.

1906 წელს «კავკასიის იურიდიულ საზოგადოებაში» დაისვა საკითხი ერობაზე და ექს-ტერიტორიალურ ავტონომიაზე. აქაც გამოვიტანეთ ჩვენი პროგრამა. დიდი დავის შემდეგ, რომელიც გაგრძელდა თითქმის ორი თვე, დიდძალი ხალხის დასწრებით, კრებამ მიიღო დადგენილება:

> «საქართველო ეროვნულად და ტერიტორიალურათ წარმოადგენს ისეთ ერთეულს, რომ იქ ეხლავე შეიძლება შემოტანილ იქმნას ავტონომიური წყობილებაო».

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ «კავკ. იურ. საზოგადოებაში» შედიოდნენ წარმომადგენლები ყველა ერებისა და იქ დიდ უმეტესობას შეადგენდნენ სომხები და რუსები, ეს დადგენილება უნდა ჩაითვალოს პარტიის დიდ გამარჯვებად. ამ დადგენილებას ექნებოდა ერთნაირი წონა რუსეთის საკანონმდებლო სფეროში. მახსოვს ილია ჭავჭავაძემ აიღო ასლი ამ დადგენილების და წაიღო პეტერბურგში, სახელმწიფო საბჭოში (რომლის წევრი თვითონ იყო), რომ გაეცნო თავის კოლეგებისათვის. არჩილ ჯორჯაძემ მას მიუძღვნა რამდენიმე წერილი.

---

1907 წელს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიამ გაიტანა სამზღვარ გარე საქართველოს საკითხი. ამ წელს იკრიბებოდა ჰააგაში მეორე საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენცია. საჭირო იყო იქ მიგვეტანა რაიმე ფორმით საქართველოს ხმა. ამისთვის შევადგინეთ პეტიცია, მოვაგროვეთ საქართველოში 7 ათასამდე ხელის მომწერი და გავიტანეთ საზღვარგარე ეს კია და პეტიცია. ამ საქმეში უმთავრესი სამსახური მიუძღვის ვარლამ ჩერქეზიშვილს. მან გამაცნო ბრიუსელში პროფესორი ნაისი (Nys), რომელმაც გაასწორა ჩვენი პეტიცია და უფრო ნათელ-ჰყო საქართველოს უფლებრივი სტატუსი რუსეთის იმპერიაში. ეს პეტიცია შეტანილ იქმნა (ინგლისში მოწყობილ «ქართულ საზოგადოების» საშუალებით). ჰააგის კონფერენციაში. ჰააგაში მე დავყავი ერთ თვეზე მეტი. იქ შევხვდი ეგვიპტელებს და კორეელებს, ჩამოსულებს აგრეთვე თავიანთ ერთა უფლების დასაცველად.

საქართველოს პეტიცია დაურიგდა კონფერენციის ყველა წევრს, ყველა დელეგატებს, და გამოქვეყნებულ იქმნა მთლიანად ყველა დიდ გაზეთში, ევროპაში და ამერიკაში. შევქმენით ერთი მომენტი მაინც, როცა ყველა ქვეყნის ყურადღება მიქცეულ იყო საქართველოს ბედზე. ბევრი იყო კონგრესები — ვენის, პარიზის, ბერლინის... საქართველომ ყველა გამოუშვა ან ვერ მოახერხა იქ მიეტანა თავის პროტესტი რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ. ის უფრო ადვილად აწყობდა აჯანყებებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამით ვერა სწვდებოდა საერთაშორისო პოლიტიკის სფეროს. 1907 წელს ჩვენი პარტია თვითონ წარსდგა ამ სფეროს წინ და ამცნო ყველას, რომ საქართველო არ შერიგებია და არც შეურიგდება ვერაგულად დამყარებულს რუსეთის ბატონობას.

1908 წელს გამოვეცით ჟურნალი «ერი» პ. სურგულაძის რედაქტორობით. ვფიქრობდით კიდეც რაიმე მილიტარული

ძალის მოწყობაზე. გავგზავნეთ პრაგაში ერთი წევრი, რომ დაწვრილებით შეესწავლა, თუ როგორ იყო დაყენებული იქ გიმნასტიური საზოგადოება «შავარდენი». მაგრამ დავიწყეთ თუ არა ამ საგანზე წერა, ჟურნალი დახურეს, პ. სურგულაძე გაიქცა საზღვარ-გარე, მე გადამიწყვიტეს ერთი წლიწადი ციხე.

ბევრი გვქონდა სხვა გამოცემანიც. უფრო რუსულ ენაზე, ხომლისთვის პატივცემული პავლე თუმანიშვილი არ ზოგავდა ფულს და ენერგიას. ვიღებდით მონაწილეობას სახელმწიფო არჩევნებში და ვემზადებოდით შემდეგი სამშვიდობო კონფერენციისათვის, რომელიც უნდა მომხდარ იყო 1914 წელს ჰააგაშივე, მაგრამ ატყდა მსოფლიო ომი, შემდეგ რევოლუცია და დაიბზარა მთელი რუსეთი.

—

**მეორე პერიოდი.**

1917 წელი მეტად ხელსაყრელი იყო, რომ გადაგვედგა მეორე ნაბიჯი და პირდაპირ გამოგვეცხადებია, რომ რუსეთმა არ შეასრულა არც ერთი თავისი ვალდებულება და ამიტომ საქართველოც სრულებით თავისუფალია გამოაცხადოს თავისი დამოუკიდებლობა. საჩქაროთ მოვიწვიეთ პარტიული კონფერენცია და მივიღეთ საპროგრამო დადგენილება, რომ საქართველო ამიერიდან უნდა იყოს დამოუკიდებელი სახელმწიფო.

24 მაისს 1918 წელს, სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში, მოხდა ინტერპარტიული სხდომა ბ. ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით. საკითხი იდგა ამ დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე; წარმოდგენილი იყო ორი პროექტი დეკლარაციისა: ერთი—სოციალ-დემოკრატიული, ბ. არსენიძის მიერ, მეორე—წარუადგინე მე, ჩვენი პარტიის სახელით, ბ. ჟორდანიას არ მოეწონა პირველი, მაგრამ მიიღო მეორე. რასაკვირველია, აქ უმთავრესი დამსახურება მიუძღვის ბ. ჟორდანიას, ურომლისოდ ჩვენი დეკლარაცია ვერ გამოვიდოდა იმ სახით, რომელიც იმასა აქვს. ეხლა გამოდის ბ. კედია და ამტკიცებს, რომ ვითომდა ყველაფერი გაკეთებული იყო მხოლოდ მენშევიკების მიერ, და ვითომდა ჩვენს პარტიას არ მიუძღვის არავითარი სამსახური იმ დიდ სახელმწიფოებრივ გადატეხაში, რომელიც მოხდა 26 მაისს 1918 წელს. აი რასა სწერს იგი თავის ბროშიურაში («დეკლარაცია» გვ. 17):

> «ეს ხანა ჟორდანიას მთავრობის მატიანეში აღინიშნება: საქართველოს გამოცხადებით «ტაბულა რაზად» და შეურიგებელ ბრძოლით საქართველოს ეროვნულ სულისა და მისი ათასწლოვანი ტრადიციების წინაამდეგ.»

რომ რაიმე აზრი მიეცეს ამ მართლა გასაოცარ სიტყვებს, ბ. კედიამ ჯერ უნდა დაამტკიცოს, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება არის «ტაბულა რაზის» გამოცხადება და «შეურიგებელი ბრძოლა საქართველოს ეროვნული სულისა და მისი ათასწლოვანი ტრადიციების წინაამდეგ!»

—

ჩვენ კი გვგონია, რომ საქართველო ამ ისტორიული აქტით ამაღლდა თავის ეროვნულ ღირსების შეგნებამდე და გადაწყვეტით შეუერთდა კულტურულ კაცობრიობას. ამ დღიდან ის მართლა გახდა თავგამოდებული მებრძოლი საერთო ფრონტისა საერთო იდეალებისათვის. ამით მან გზა უჩვენა სხვა ერებსაც კავკასიაში: აზერბეიჯანის და სომხეთის დეკლარაცია სიტყვა სიტყვით გადმოწერილია ჩვენი დეკლარაციიდან. ყველგან ჰკრთის ცოტაოდენი ჰევლი მაინც, მომდინარე ჩვენი პარტიის იდეოლოგიიდან.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დადგა უფრო ძნელი და საპასუხისმგებლო პერიოდი. უნდა გაგვეწმინდა საქართველო რუსეთის იმპერიალიზმის ნაშთებისაგან და აგვეგო ახალი სახელმწიფო. გაიხსნა ვრცელი ასპარეზი უფლებრივი შემოქმედებისათვის. სწორედ ეს შემოქმედება არის უმაღლესი ფორმა ეროვნული სუვერენობისა. ეხლა, როცა უკან ვიხედებით, შეგვიძლია ამაყად ვსთქვათ, რომ ქართველ ერმა

დაიპირა ეს სახელმწიფოებრივი ეგზამენი და გამოცდიდან გამოვიდა უდავოდ გამარჯვებული.

ამ შემოქმედებისთვის მოწვეულ იქმნა დამფუძნებელი კრება, არჩეული საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით, პროპორციული პრინციპის ზედ მიმატებით. ეს არის ერთად ერთი, ცნობილი სახელმწიფო უფლებაში, უდავო წესი ერის ნებისყოფის გამოსარკვევად. სხვა გზა ცხოვრებამ არ იცის და მეცნიერებას არ გამოუგონია. ეს არჩევნები ისეთი დიდი მოვლენა იყო საქართველოში, რომ ჩვენი მტრებიც კი იძულებული არიან აღიარონ უფლებრივი საფუძველი მოხდენილი გადატეხისა ე. ი. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა. საქმე იმაშია, რომ ამ «გადატეხასაც» უნდა თავისი უფლებრივი საფუძველი. რომ საქართველოს უფლება ჰქონდა გამოეცხადებია თავისი დამოუკიდებლობა, ეს ყველასათვის ცხადი იყო. მაგრამ ვინ იზამდა ამას? არ იყო ის ორგანო, რომელსაც შეეძლო ეს გამოცხადება. ყოველი ჯგუფური გამოსვლა იქნებოდა მხოლოდ კერძო გამოსვლა, მოკლებული უფლებრივ შინაარს. მართალია, თუ კერძო ჯგუფი თანდათან გაიმარჯვებდა, შემოიკრებდა მეტ ძალას, ის გახდებოდა ფაქტიური მართველი ქვეყნისა. მაგრამ ფაქტიურ მართველობას კიდევ არა აქვს უფლებრივი საფუძველი; ამისთვის საჭიროა კიდევ დასტური მთელი ერის და საერთაშორისო ცნობა. ეს დასტური ჩვენ მივიღეთ დამფუძნებელი კრებისაგან. ეროვნული ნებისყოფა გახდა ყველასათვის ცხადი და უდავო. ამით დამოუკიდებლობის დეკლარაციას მიეცა სრული უფლებრივი საფუძველი. ის არ არის ფანტაზია მოცლილი ინტელიგენციისა. ის არის მთელი ერის გადაწყვეტილება, მაშასადამე, უზენაესი კანონი ყოველი ქართველისათვის.

სამწუხაროდ ეს ზოგს არ ესმის. ზოგი გულუბრყვილოდ დღესაც ფიქრობს, რომ საქართველოს მთავრობა იყო «ნიჰილისტური» და «სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა ემყარებოდა პროლეტარულ ჯგუფს». ამას იძახის ბ. კედია. ალბად ჰგონია, რომ საყოველთაო არჩევნები არის ნიჰილისტური პრინციპი და დამფუძნებელი კრება—პროლეტარული ჯგუფი!.. ნუ ვედავებით. ეს კიდევ ცოტაა. ის უსაყვედურებს მთავრობას, რომ იგი არ აწარმოებდა ისეთ პოლიტიკას, რომელიც

> «უზრუნველ ჰყოფდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აგებას მტკიცე საფუძვლებზე და ქართველი ერის კულტურულსა და ეკონომიურს განვითარებას და წარმატებას, მთელი ხალხის რეალური ინტერესების მიხედვით».

მე არ ვიცი, სად ეძებს ბ. კედია «სახელმწიფოს აგების მტკიცე საფუძვლებს», მაგრამ თუ დამფუძნებელი კრება იყო მოწვეული სწორედ ამ საქმისათვის—და სხვა აზრი კი იმას არა აქვს,—ჩვენც ამ კრებას და მის შემოქმედებას უნდა მივმართოთ, რომ დავაფასოთ, თუ რამდენად სამართლიანია ზემოყვანილი საყვედური.

შემოქმედება დამფუძნებელი კრებისა გამოიხატა მის-მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ კონსტიტუციაში. გადაშალეთ იგი და დარწმუნდებით, რომ მას საფუძვლად უდევს ორი პრინციპი: თავისუფლება და კერძო საკუთრება. თავისუფლება უზრუნველყოფილია, როგორც სხვა განათლებულ ქვეყნებში, საყოველთაო არჩევნებით, კანონმდებელ პარლამენტით, პასუხისმგებლობით აღმასრულებელი ხელისუფლებისა და დამოუკიდებელი სასამართლოს დაწესებით.

რაც შეეხება კერძო საკუთრებას, არ შეიძლება მისი ჩამორთმევა თუ არა კანონის ძალით და სათანადო სამართლის გადებით.

მაშასადამე, თუ ბ. კედიას უნდა რაიმე აზრი მიეცეს ზემოყვანილ საყვედურს, მან უნდა დაამტკიცოს, რომ თავისუფლება არ წარმოადგენს «ხალხის რეალურ ინტერესს» და კერძო საკუთრება ხელს უშლის ერის კულტურულსა და ეკონომიურს განვითარებას და წარმატებას!

ჩვენ ვიცოდით, რომ ბ. კედიამ დიდი ხანია მიატოვა დემოკრატიზმის ნაპირები, მაგრამ არ გვეგონა, რომ წავიდოდა

აგრე შორს. ეხლა დაბრუნებაც არ შეუძლიან: ჩააქრო ყველა მაყაკები.

---

მართალია, ბ. კედიას არ მიუღია არავითარი მონაწილეობა ამ ეროვნულ შემოქმედებაში. ის არ იყო ამისთვის საკმაოდ მომზადებული. მას არ დაუწერია არც ერთი ბროშიურა პრინციპიალური ხასიათისა, არ წაუკითხავს არც ერთი მოხსენება პარტიულ კონფერენციაზე, არ გაუშუქებია არც ერთი სახელმწიფოებრივი საკითხი... მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას არ მიუძღოდეს თავის უდავო ღვაწლი ამ საპასუხისმგებლო მუშაობაში. არ არის არც ერთი მუხლი კონსტიტუციისა, რომლის დამუშავებაში ჩვენი პარტიის წარმომადგენელს არ მიეღოს ბეჯითი მონაწილეობა და არ შეეტანოს, სადაც საჭირო იყო, თავისი შესწორებები. მართალია, კონსტიტუციაში არის ზოგიერთი ნაკლი, ეს დასამალი არ არის, მაგრამ რომელი ქვეყნის კონსტიტუციაში არ არის ნაკლი? რაც გინდა იყოს, ეს ნაკლი სრულებით იკარგება მის უდავო ღირსებასთან: ყველა მოქალაქე თავისუფალია და აღჭურვილი თანასწორი უფლებებით. ამით ქართველ ერმა დაამტკიცა, რომ ის სრულებით არ არის დაშორებული საკაცობრიო იდეალებისაგან და შეუძლიან ღირსეულად დაიჭიროს თავის ადგილი საერთაშორისო ოჯახში. მას ეპეკუნი არა სჭირია.

მე დანამდვილებით ვიცი, რომ თითქმის ყველა უცხო ქვეყნის წარმომადგენელი გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა დამფუძნებელ კრების მუშაობას და რეგულიარულად ცნობას აწვდიდა თავის მთავრობას მაზე, თუ როგორ მიდიოდა ეს მუშაობა და რა პრინციპები ეყრებოდა საფუძვლად მომავალ სახელმწიფოს. როცა ეს პრინციპები საკმაოდ გამოირკვა განათლებულ ქვეყნებისათვის, მაშინ მოვიდა საერთაშორისო ცნობაც de jure, 27 იანვარს 1921 წ. ეს იყო უდიდესი მიხწევა და ამ მიხწევაში უდიდესი სამსახური მიუძღვის საქართველოს დამფუძნებელ კრებას.

სიმართლე უნდა ითქვას, დამფუძნებელ კრებაში თითქმის ყველა გრძნობდა თავის პასუხისმგებლობას. ყველა გრძნობდა, რომ უფლებრივი შემოქმედება სახეა ეროვნული ნებისყოფის, რომ ამ სახეს ჩაუკვირდება მტერი, ამით გაიცნობენ და დააფასებენ თვითონ ერს და მის საერთაშორისო ღირებულებას. დამფუძნებელი კრება მუშაობდა თავგამოდებით მაშინაც კი, როცა ქალაქს მოაწვა რუსეთის ლაშქარი, ისმოდა ზარბაზანი და ცაში სქდებოდა ყუმბარები... ჩვენ დავიშალენით მხოლოდ გათენებისას, როცა საბოლოოდ დავამტკიცეთ ჩვენი კონსტიტუცია — ძირითადი კანონები საქართველოს რესპუბლიკისა.

მტერმა დაგვიდგა ცეცხლის აპოთეოზი. მაგრამ ამ ცეცხლიდან გამოვიტანეთ მაინც უმშვენიერესი ფურცლები ჩვენი ისტორიისა.

---

**მესამე პერიოდი.**

საქართველო დაემხო. მაგრამ მის ისტორიის უკანასკნელ ეტაპზე ჰდგას ორი სვეტი ბრწყინვალე წარწერით: კონსტიტუცია. ცნობა de jure. პირველი ჰკვეთავს მის უფლებრივ აღნაგებას შიგნით, მეორე — მის საერთაშორისო მდგომარეობას. პირველი სავალდებულოა ჩვენთვის, მეორე — ყველა სხვა ერებისთვის. ორივეს აქვს ერთი და იგივე არსებითი შინაარსი: დამოუკიდებლობა საქართველოსი.

ამ უფლების აღსადგენად იბრძვის დღეს საქართველო შიგნით და გარედ.

შინაგან ბრძოლას მე აქ ვერ ავწერ. ის არ ჩამოუვარდება თავის ტრაგიზმით და გმირულ თავგამოდებით იტალიის თუ საბერძნეთის განმათავისუფლებელ ეპოქას, ის ჯერ კიდევ ელის თავის ისტორიკოსს და თავის ბაირონს. აქ არ შეიძლე-

ბა პარტიული საზომის მიტანა. ეს იქნებოდა შეურაცხყობა ჩვენი გმირების. პარტიობას აქვს თავისი ფასი და ღირებულება მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფო თავისუფალია. მაგრამ როცა ქვეყანა დამხობილია და იქ ბატონ-პატრონობს უცხო ქვეყნის ძალმომრეობა, როცა ფეხით გათელილია საერთაშორისოდ ცნობილი დამოუკიდებლობა, მაშინ მიზანი ერთია ყველასათვის, განურჩევლად პარტიისა: აღდგენა დამოუკიდებლობისა. აგრეც მოხდა: საქართველო იბრძოდა, როგორც ერი, მიექონდა ერთი ჯერში ერთ მტრის წინაალმდეგ და ჰმარხავდა ერთ დიდების შუქში თავის თავგანწირულ შვილებს. ეს ხალხმა გაიგო, შეიგნო, დააფასა...

სამწუხაროდ ეს ზოგმა ვერ გაიგო. აი რასა სწერს ბ. კედია (იქვე. გვ. 12):

> «იგი (ქართველი ხალხი) უნდა დახსნილი იქმნას იმ «ყალბი მდგომარეობიდან, რომელშიდაც თავიდან «იმყოფება: ჩვენი მთაერობის მენშევიკური და მეორე «ინტერნაციონალის ტყვეობიდან.»

გამოდის, შემცდარი ყოფილა ჩვენი ხალხი და ჩვენი გმირებიც! ტყუილად დაუღვრიათ სისხლი! თურმე საქართველო რუსეთის ტყვეობაში კი არ ყოფილა, არამედ ჩვენივე მთაერობის ტყვეობაში. დამნაშავე ყოფილა ის მთავრობა, რომელმაც გამოაცხადა ჩვენი დამოუკიდებლობა და დღესაც იბრძვის ამ დამოუკიდებლობისათვის, და არა ის რუსეთი, რომელმაც დაამხო ეს დამოუკიდებლობა და სისხლით მორწყო მთელი საქართველო.

ეს მოწოდება არ არის ახალი. ამას ჰყვიროდენ და ჰყვირიან სწორედ ბოლშევიკები: «ჩვენ დავიხსენით საქართველო, ჩვენ გავბძევეთ იქედან მენშევიკური მთავრობაო!» ბოლშევიკური იმპერიალიზმი ჰცდილობს მისცეს ეროვნულ ბრძოლას პარტიული ხასიათი. ვითომდა საქართველო ველიკოროსების მამაპაპეულია და იქ ამტყდარი ვითომდა პარტიული ბრძოლა, ეს რუსეთის შინაური საქმეა... ბოლშევიკები რომ ამას ჰყვირიან, ეს სრულებით გასაგებია, მაგრამ სრულებით გაუგებარია, და გასაოცარი, როცა ქართველი კაცი ითვისებს ამ ბოლშევიკურ იდეოლოგიას.

რა თქმა უნდა, ასეთი კაცი ჩვენს პარტიაში ვერ დარჩება.

——

ჩვენ საქმეს აგრე არ ვუყურებთ. ჩვენ ვრჩებით ერთგული იმ პარტიული იდეოლოგიისა, რომოლიც მივიღეთ ჯერ კიდევ 1906 წელს. იდეია უფლებისა პრჩება ხელმძღვანელი პრინციპი. ქართველი ერი არის სუბიექტი ამ უფლებისა, თუ მას არ უნდა თვითონვე ძირი გამოუთხაროს ამდენი ბრძოლით და სისხლით მოპოებულ უფლებას, უნდა ყოველთვის გამოდიოდეს საერთაშორისო სფეროში, როგორც საერთაშორისო პიროვნება... და არა ფრაქციულად და პარტიულად. ამ მიზნით გადმოვიტანეთ ჩვენ პარიზში ორგანო ეროვნულ სუვერენობისა: ლეგალური მთავრობა და პრეზიდიუმი დამფუძნებელი კრებისა. ამისთვის გავაჩაღეთ მუშაობა აქ, სადაც ჯერ კიდევ ჰფრიალებს ჩვენი დროშა—ემბლემა ქართველი ერის სუვერენობისა. დავუპირდაპირეთ ეს სუვერენობა რუსეთის სუვერენობას და ცხად-ვყავით აქ, მსოფლიო პოლიტიკის და განათლების შუა-გულში, ტრაგედია ქართველი ერის.

ეს ტრაგედია არ არის მხოლოდ ადგილობრივი ან რეგიონალური. იქ ჩაწნულია უდიდესი ინტერესი თანამედროვე კაცობრიობის. ამ კაცობრიობის მოწინავე ნაწილმა დიდი ხანია შეიგნო, რომ მარტო ძალადობით შეუძლებელია დამყარდეს ერთა შორის რაიმე წესიერება და მშვიდობიანობა. განსაკუთრებით ეხლანდელ დროში, როცა მანძილი თითქოს აღარ არსებობს და ათასნაირ ეკონომიურ, ზნეობრივ და გონებრივ ინტერესებით გადაბმულია ერთმეორესთან ყოველი კუთხე ქვეყნიერების, ყველამ ნათლად დაინახა, რომ ყველა ამ ინტერესების შერიგება და მოწესრიგება შეუძლებელია თუ არა ერთი პრინციპის საფუძველზე. ეს პრინციპია იდეა უფ-

ლებისა, რომელიც არის საფუძველი საერთაშორისო სამართლისა. ამ ნიადაგზე აღმოცენდა ერთა ლიგა მისი საერთაშორისო ტრიბუნალით და მრავალი სხვა განყოფილებებით. აქ წყდება ყველა სადავო საერთაშორისო საკითხი და ხალხთა გინწყობილებას თანდათან ეყრება უფლებრივი საფუძველი. როგორც ჰხედავთ, ჩვენი ხანა არაფერში წაგავს ჩინგიზხანის თუ თემურლენგის ხანას. და რუსეთიც მალე გაიგებს, რომ

მისთვის შეიძლება ადვილი იყოს გადაჰლახოს თავის ურდოებით დარიალის ხევი ან მამისონის უღელტეხილი, მაგრამ ვერავითარი ურდო მას ვერ უშველის, რომ გადაჰლახოს საქართველოს უფლებანი.

აი სადა ჰდევს ეხლა საქართველოს თერმოპილები.

---

ეროვნულ—დემოკრატიული პარტია ჰდგას და უნდა იდგეს ამ სადარაჯოზე. მართალია, ყოველ თერმოპილებს აქვს თავის მოსახვევი ბილიკები და ყოველ პოზიციას შეიძლება აღმოაჩნდეს მოღალატე ეფიალტი. შეიძლება ჩვენ გაეწყდეთ კიდეც ამ სადარაჯოზე, მაგრამ ვიტყვით მაინც სიკვდილის წინ:

«ჰე მგზავრო! შეატყობინე საქართველოს, რომ ჩვენ დავიხოცენით აქ მის კანონების ერთგულებაში».

გიორგი ცკანაკა.

---

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
ახალგაზრდათა საზღვარგარეთელი ბიურო

# საქართველო
# და
# ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

(წერილი მეორე)

---

პარიზი
1928

## საქ. სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის დაარსების 90 წლისთავი

საქ.-ს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მოღვაწეობასა და ბრძოლას ეროვნული თავისუფლებისათვის, რა თქმა უნდა, მთლიანად ვერ განვიხილავ. ამისათვის საჭირო არც მასალები და არც ადგილი აქ არ გაგვაჩნია. იმედია, მკითხველი ამას გაითვალისწინებს და ჩემი ნაშრომის უსრულობას არ დამძრახავს. მე კი შემიძლია თავი დავიმშვიდო ამით: *„Feci, quod potui faciant meliora potentes."*

საქ. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ისტორია იწყება 1901 წლიდან, როცა არჩილ ჯორჯაძე სათავეში ჩაუდგა გაზეთ „ცნობის ფურცელს", თუმცა ეს ახალი პარტია ოფიციალურად დაარსდა 1904 წელს ჟენევაში შეკრებილ ქართველ რევოლუციონერთა კონფერენციის მიერ. 1901 წელს არჩილ ჯორჯაძე საქართველოშია. მან კავშირი გააბა ალექსანდრე ჯაბადართან და გიორგი ლასხიშვილთან და გაზეთ „ცნობის ფურცელის" ერთერთი წამყვანი თანამშრომელი გახდა. „ცნობის ფურცელს" თავიდან ვალერიან გუნია რედაქტორობდა. გიორგი ლასხიშვილი თავის მემუარებში აღნიშნავს, რომ არჩილი მხურვალე მომხრე გახდა იმ ახალგაზრდა ჯგუფისა, რომელსაც საჭიროდ მიაჩნდა სრულიად ახალი და დამოუკიდებელი ქართული პარტიის შექმნა. ჩვენს სინამდვილეში მაშინ განსაკუთრებით ორი მიმდინარეობა ებრძოდა ერთმანეთს: ძველი თაობა—ეროვნული იდეების მატარებელი და ახალი, მესამე დასელები, მარქსიზმის იდეოლოგიის მატარებელნი... სხვათა შორის, ჩვენს შორის ის აზრი ტრიალობდა, რომ უმჯობესია რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონურ პარტიასთან შეგვექმნა ქართული ავტონომიური ჯგუფი, მაგრამ ახალგაზრდები კიტა აბაშიძე, ვლ. ლორთქიფანიძე და სხვ. სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ რუსულ პარტიის დროშის ქვეშ დადგომისა... არჩილ ჯორჯაძე მომხრე გახდა იმ ახალგაზრდა ჯგუფისა, რომელსაც საჭიროდ მიაჩნდა სრულიად ახალი დამოუკიდებელი ქართული პარტიის შექმნა." (გ. ლასხიშვილი: „მემუარები", ტფილისი, 1934.)

ახალი დამოუკიდებელი პარტიის დაარსების აუცილებლობა თვით ცხოვრებამ დააყენა დღის წესრიგში ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. „თვით ცხოვრებამ დააყენა ეს კითხვა ხალხისა და ცხოვრებისა, დემოკრატიზმისა და პატრიოტიზმის დაკავშირებისა...ვიყავით და ვიქნებით იმის მტერი ვისაც ეროვნული ერთობის დაცვა არაფრად მიაჩნია, მხოლოდ არანაკლები მტერი ვართ იმათი, ვისაც კერძო და წოდებრივი ინტერესების გამოსარჩლება, ე.ი. ცალკე კლასისა, ერის გამოსარჩლებად მიაჩნია."—წერდა არჩილ ჯორჯაძე. იგივე „ცნობის ფურცელში" არ. ჯორჯაძე წერდა: „ხელი უნდა შევუწყოთ ევროპულ მოწინავე იდეებისა და საუკეთესო მისწრაფებათა გაცნობას, შეთვისებას და გავრცელებას, მაგრამ თუ ეს იდეები არ ეწინააღმდეგება ეთნოგრაფიულ არსებობას. ჩვენი ენა, ლიტერატურა, ეროვნული თვისებანი და არსება რჩებიან და ვითარდებიან... ილიას თაობამ შესანიშნავი სამსახური გაუწია მას... ჩვენ გვწამს სიდიადე მათის იდეალებისა და ამიტომ მოვალენი ვართ განვაგრძოთ მათი შრომა ერის თვითცნობიერების განვითარებისათვის...".

სოციალური პრობლემების შესახებ არ. ჯორჯაძე განსხვავებულ აზრებს გამოთქვამდა, ვიდრე ეს ქართულ საზოგადოებას „მესამე დასისაგან" სმენოდა. მართალია არჩილი კლასობრივ დიფერენციაციას ხედავს, მათ შორის ბრძოლასაც კარგად ამჩნევს, მაგრამ მისი აზრით, დამონებულს, პოლიტიკურად და ეროვნულად დევნილ ხალხს არ შეუძლია იგივე გაამწვავებული ბრძოლა იქადაგოს ეროვნულ კლასთა შორის. გამთიშველი სოციალური ბაზის გარეშე ამ კლასებს მოეპოვებათ ნაციონალური შემკრებილობითი საერთო ნიადაგი—ერის უფლებათა დასაცავად. ეს ნაციონალური დევნა ყველა წოდებას სტანჯავს, იმიტომ რომ ის ქართველია...კაპიტალიზმის ზრდა-განვითარებამ საქართველოში, თანამედროვე პირობებში ნაციონალური მიმართულება უნდა მიიღოს... ქართველი კაკაპიტალისტები, ე.ი. ვაჭარი და მრეწველი კი არ უნდა დაუპირისპიროთ ერთმანეთს, არამედ იმ უცხო ტომის ელემენტს, რომელსაც ხელში უპყრავს ალებ-მიცემობის მონოპოლია. ქართველი მუშაც ამავე ეროვნული აზრით უნდა იყოს გამსჭვალული...". („ცნობის ფურცელი", ტფილისი, 1901.)

„ეს ჯგუფი, წერს აკაკი ბაქრაძე, კლასთა წინააღმდეგობას ხედავდა, მაგრამ პირველ რიგში ერთა ბრძოლას (რუსიფიკაციას, ტერიტორიის გამოცლას, ქართველთა პოლიტიკურ-ეკონომიურ და კულტურულ დევნას საკუთარ მიწა-წყალზე) ამჩნევდა და უნდოდა ამ ბრძოლისათვის კლასთა ინტერესებიც მსხვერპლად მიეტანა, სოციალური მოწინააღმდეგენი ეროვნული დროშის ქვეშ ერ-

თად დაეყენებია, მაგრამ საჭიროა ეხლავ მშრომელთა გალონიერება და მისი კულტურულ-ეროვნული ამაღლება." („სახალხო საქმე", ბუენოს-აირესი, *1952* წ.)

საქ. სოც. ფედერალისტთა პარტია იყო დიდი ეროვნულ-სოციალისტური მოძრაობა, არა დოგმატური. სავალდებულო არ იყო ყოფილიყავი მაინც და მაინც სოციალისტი. მთავარი იყო ეროვნული საკითხი, და ამ პარტიაში მოღვაწეობდა საუკეთესო ქართველი ინტელიგენცია, რომელიც იდგა ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიის ნიადაგზე. რადგან: „ტერიტორიის გარეშე არც ერთი ერი წარმოშობილა. მართალია ერს, რომელმაც დაჰკარგა საკუთარი ბინა, შეუძლია შეინარჩუნოს და განავითაროს კიდეც თავისი ეროვნული „მე", მაგალითად ებრაელები, მაგრამ მას რომ საკუთარი ტერიტორია არ ჰქონოდა, იგი ერის სახეს ვერ მიიღებდა."(ალექსანდრე შათირიშვილი: „ერის რაობა და მშობლიური გრძნობა", პარიზი, *1963*) და სწორედ პირველ რიგში სოც. ფედერალისტთა პარტია აყენებდა ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას, წინააღმდეგ კულტურული ავტონომიისა, რადგანაც ერი არ არსებობს ტერიტორიის გარეშე, ხოლო ტერიტორია ერის გარეშე.

როგორც ეს ცნობილია, გაზეთ „ცნობის ფურცლის" რედაქციაში დაისვა საკითხი არალეგალური გამოცემის შესახებ, რადგან იქ უფრო თავისუფლად და ფართოდ გაშუქდებოდა საკითხი საქართველოს ავტონომიის, კავკასიის ერთა ფედერაციისა. ამის თაობაზე გ. ლასხიშვილი წერს: „არჩილმა ერთერთ კრებაზე დასვა საკითხი არალეგალური ბეჭდვითი ორგანოს გამოცემაზე და საჭიროდ მიიჩნია რომ იგი საზღვარგარეთ გამოეცათ...უკვე *1901* წლის შემოდგომაზე ჩვენი წრე შეუდგა საქმისათვის საჭირო თანხის შეგროვებას. ავირჩიეთ სამი კაცი: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი დეკანოზიშვილი, ევტიხი მიმინოშვილი, რომელთაც დაევალათ ფულის შეკრების ორგანიზაცია და გაძღოლა." (გ. ლასხიშვილი: „მემუარები.") ა. ჯორჯაძე, გ. დეკანოზიშვილი და ასოთამწყობი მიხეილ კიკნაძე გაემგზავრენ პარიზს, სადაც დაიწყეს გაზეთ „საქართველოს" გამოცემა ქართულად და ლა ეეორეთ —ფრანგულად. გაზეთ „საქართველოს" რედაქციის თაოსნობით ჟენევაში იქნა *1904* წელს მოწვეული ე.წ. ქართველ რევოლუციონერთა კონფერენცია, რომელმაც ოფიციალურად საფუძველი ჩაუყარა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიას. ამ საკითხს ეხება სოც. დემოკრატიული პარტიის ლიდერი, პრეზიდენტი ნოე ჟორდანია თავის „ჩემი წარსულში": ...ამ დროს საქართველოში მოხდა შემდეგი ამბავი: მიუხედავათ *1901* წლის დიდი რეპრესიებისა, დაწყებული მოძრაობა არა თუ არ შენელდა, კიდევ უფრო გაიზარდა. ამ გარემოებამ გავლენა მოახდინა განზე გამდგარ და მტრულად განწყობილ ინტელიგენციაზე და შეიტანა მასში რყევა. ერთი ნაწილი გამოეყო და ახალგაზრდებთან ერთად დაადგნენ ახალ გზას. მათ იცნეს მოძრაობა, მაგრამ მოინდომეს თავის რელსებზე შეყენება. ამ ჯგუფს მეთაურობდა არჩილ ჯორჯაძე, გ. ლასხიშვილი და სხვ. მათ *1904* წელს დაიწყეს გამოცემა ქართულათ და ფრანგულათ ჟურნალის „საქართველო" პარიზში. ამ მათ ინიციატივას შევხვდი დადებითად და კიდევაც მოვათავსე რამდენიმე წერილი ამ მოძრაობაზე ჩვენში, მაგრამ ჩქარა გამოჩნდა მათი განსხვავებული ტენდენციები, რის გამო არ. ჯორჯაძეს გამოვუცხადე პირადათ, რომ ჟურნალში მონაწილეობას ვერ მივიღებდი. იმავე წელს მათ მოაწყვეს ჟენევაში კონფერენცია, სადაც ჯგუფი ქართველ სოც. დემოკრატებისა იყო მიწვეული, მოწვევა მივიღეთ, მაგრამ იქვე წავიკითხეთ ჩვენი განცხადება, რითაც ვაცნობდით კრებას ჩვენს უარყოფით დამოკიდებულებას კონფერენციისადმი. კრება დავტოვეთ, შემდეგ დაიწყო პოლემიკა. რა'ში იყო ძირითადი განსხვავება? კონფერენციამ გამოაცხადა დაარსებულად სოციალ-ფედერალისტთა პარტია, რომლის ძირითად დოქტრინად აღიარა ორი ახალი დებულება: საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლა და ამ დროშის ქვეშ ყველა რევოლუციონური და პროგრესიული ძალების დადგომა. ეს უნდა გამხდარიყო „საერთო ნიადაგი" ყველა კლასის და წოდების შორის და სხვა. ეს „ეს საერთო ნიადაგი" გახდა ჩვენთვის ყოვლად მიუღებელი...სოც. ფედერალისტების წინააღმდეგ დავბეჭდე ჟენევაში ბროშურა, „ქართველი ნაციონალისტები" და გადავგზავნე საქართველოში. შემდეგ პოლემიკა გაგრძელდა საქართველოში..."

დიახ, მართალია, ამის შემდეგ პოლემიკა გაგრძელდა საქართველოში და მერე როგორი? იქამდეც კი მიდიოდნენ კრილობებზე თუ მიტინგებზე, რომ სოც. ფედერალისტების პარტიას უწოდებდნენ თავადაზნაურების პარტიას, რომელსაც სურდა საქართველოში ბატონყმობის აღდგენა, რეაქციონერ-მონარქისტებს და სხვა დემაგოგიურ ეპითეტებს. სოც. დემოკრატია სასტიკი მტერი გახდა ტერიტორიალური ავტონომიისა და ფედერაციისა. მათ ტერიტორიალურ ავტონომიას დაუპირისპირეს ე.წ. კულტურული ავტონომია და გამოდიოდნენ იმპერიის ფარგლებში დარჩენის და არა მის საწინააღმდეგოდ. ბოლშევიკი ფილიპე მახარაძე სოც. ფედერალისტებზე წერდა: „მათი დასაყრდენია გაკოტრებული თავად-აზნაურობა, ქართველი უნიადაგო ინტელიგენცია; მათ ემხრობოდა თითო-ოროლა

და შეუგნებელი გლეხი და ქალაქის ხელოსნები, რომ სოც. ფედერალისტთა პარტია გაჟღენთილი იყო წვრილბურჟუაზიული მეშჩანური იდეებითა და ნაციონალისტური მისწრაფებებით. ის იყო ანტისოციალისტური და ანტიდემოკრატიული და სხვა."(ქართული ისტორიოგრაფია, თბილისი, *1968*)

ამგვარად, საქ. სოც. ფედერალისტთა პარტიას მოუხდა ორ ფრონტზე გაამწვავებული ბრძოლა: მარცხნიდან მას უტევდენ ყველა ჯურის მარქსისტები, ხოლო მარჯვნიდან–რუსი რეაქციონერ-შავრაზმელები.

სოც. ფედერალისტთა პარტია და მისი მოძღვარი არჩილ ჯორჯაძე ქადაგობდა ეროვნულ სოციალიზმს, სოციალიზმს ჩასახულს ერის წიაღში, შეგუებულს ქართულს ეროვნულ პირობებთან, მის ისტორიულ წარსულთან, მის ეროვნულ მეურნეობის აღორძინებასთან. მაგრამ არ. ჯორჯაძის ეროვნული სოციალიზმი არ უნდა გავიგოთ ისე, როგორც ეს იყო გერმანიაში ნაციონალ-სოციალიზმი, ან იტალიაში ფაშიზმი. „რასაკვირველია სოციალისტური ნაციონალიზმი არ იყო დღევანდელი ნაციონალ-სოციალიზმი გერმანიაში, ან ფაშიზმი იტალიისა, მაგრამ იგი იყო მეცნიერული საფუძვლის მქონე მოძღვრება, რომელიც ერს სცნობდა იმ მუდმივ საზოგადოებრივ არსებათ, რომლის წიაღში იყო შესაძლებელი ყოველგვარი სოციალური ცვლილება. ამ მარქსიზმის სრული საწინააღმდეგო თეორიით განხილული ყოველი საკითხი–კლასთა ბრძოლა, მოშათა, გლეხთა და სხვა.–სულ სხვა ნათლით იყო გაშუქებული და პოლემიკასაც სოც. დემოკრატებთან უფრო საფუძვლიანი ხასიათი მიეცა, თუმცა უფრო მკაცრად, რადგან მარქსიზმს ეხლა ძლიერ მოწინააღმდეგესთან ჰქონდა საქმე." (მიხეილ წერეთელი: „არჩილ ჯორჯაძის სახსოვრად", „სახალხო საქმე", ბუენოს-აირესი, *1952*.)

ეროვნულ საკითხს თავის დროზე შეეხო დიდი ილიას თანამებრძოლი, თვალსაჩინო საზოგადო და ლიტერატურული მოღვაწე გიორგი წერეთელი, რომელიც ამბობდა: „ჩვენს ბედში მყოფი ხალხი, ორივე ხელებით უნდა ვეჭიდებოდეთ ჩვენს ისტორიას, ჩვენს ქართველობას..რუსეთთან ძმობის გამოცხადება მანამდე შეუძლებელია, სანამდის მის მთავრობას ბრჭყალებში ვყავართ გამოკლული და რუსი ხალხიც იმას სცდილობს, რომ თავის მთავრობის ძალღონით ჩვენ წაგვართვას უხსოვარ დროიდან ჩვენი კუთვნილი მიწა-წყალი, თბილი ჰავა და მშვენიერი ბუნება და თავათ დაიჭიროს. ამ გარემოების ძალით, ჩვენ უნდა ვიყოთ ნაციონალ-სოციალისტები მანამდის, სანამდის ქვეყანაზე დაჩაგრული ნაციები, როგორც ჩვენა ვართ, არ განთავისუფლდებიან სხვა, უფრო ძლიერი ნაციის ბატონობისაგან." (ი. მანწკავა: „გიორგი წერეთელზე". „ქართველი ერი" №*10* - *11*, ბერლინი, *1944*.)

საქ. სოც. ფედერალისტთა პარტიას რუსეთის თვითმპყრობელური იმპერიის დანგრევა და მის ნანგრევებზე თავისუფალი საქართველოს აღდგენა შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ რევოლუციური გზით, ამიტომ მას ეწოდა „სარევოლუციო" პარტია.

საქ.–ს ტერიტორიალური ავტონომიის მოთხოვნა იმ დროს მართლაც რომ გაბედული მოთხოვნა იყო, ამიტომ ასე სასტიკად ებრძოდა რუსეთის ცარისტული მთავრობა სწორედ სოც. ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიას, რადგან ამ მოთხოვნაში ის ხედავდა იმპერიის დაშლის, სეპარატიზმის საშიშროებას. "კავკასიაში არსებული რევოლუციონერებიდან ინტერნაციონალური პარტიები, სოციალ-დემოკრატები და სხვები, არ წარმოადგენდენ საშიშროებას იმპერიისათვის, რადგან ისინი მოითხოვენ მდგომარეობის გაუმჯობესებას იმპერიის ფარგლებში დარჩენით, მაგრამ ყველაზე საშიშნი არიან ჩვენთვის ნაციონალ-სოციალისტები, ე.წ. სეპარატისტები, რომელნიც სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვენ თავიანთი ერებისათვის. მათთან ერთად ფედერალისტებიც ნაციონალური იდეებით და დამოუკიდებლობის ქადაგებით გამოდიან კავკასიაში. ეს მოძრაობა ყველაზე მძლავრია საქართველოში. ქართველი ნაციონალისტები მეტად მძლავრი გავლენისანი არიან და დიდ საშიშროებას წარმოადგენენ იმპერიის მშვიდობისათვის. სხვა ერებში ასეთი მოძრაობა ძლიერი არ არის, ამიტომ საჭიროა ამ ძალების სასტიკი განადგურება საქართველოში..."–ასე უპატაკებდა კავკასიის ახრანა საიმპერიო რუსეთის მთავრობას. არ გაუვლია დიდ ხანს და მართლაც *1910* წლის დასაწყისში დაიწყო ჩვენი სასტიკი დევნა. დაეცნენ „ფედერალისტებს" და დააწიოკეს. გაანადგურეს მთელი მათი პარტია, დააპატიმრეს აუარებელი ხალხი..." (მიხეილ წერეთლის სტატია, „სახალხო საქმე", *1917* წ.)

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დარბევა-აწიოკება კვლავ განახლდა *1917* წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ. ლენინის მთავრობამ ომი დამთავრებულად გამოაცხადა და ოსმალეთის ფრონტიდან დაიძრა რუსის ჯარი. ისინი გზად არავის და არაფერს ინდობდენ. სხვათა შორის, ქუთაისში ისინი შეიჭრენ სოც. ფედერ. პარტიის საგუბერნიო კომიტეტის შენობაში, მილეწმოლეწეს ყველაფერი, გაიტაცეს და დაწვეს დროშები, ყვიროდენ: „დასცხეთ ფედერალისტებს, რუსეთიდან გამოყოფა უნდათო" და სხვა. გაშმაგებული ბრბოს დაშოშმინება შესძლო მხოლოდ ალექსანდრე წე-

რეთლის ორატორულმა მჭერმეტყველებამ. იმავე წელს ქუთაისის ქალაქის შუაგულში გაიმართა დიდი მიტინგი. ფედერალისტების დროშას ეწერა: „ეროვნული გზით სოციალიზმისაკენ!" „მიწა, მიწის მუშას!" ზოგიერთ დროშაზე კი დახატული იყო არჩილ ჯორჯაძის სურათი წარწერით: „ვაშა მებრძოლს." მიტინგზე კელავინდებურად შემოიჭრენ რუსი ჯარისკაცები და დაერივნენ ფედერალისტებს. წაართვეს დროშები და დახიეს პლაკატები. ამ ბრბოს დაშოშმინება შეძლო ისევ და ისევ ალ. წერეთელმა. (იხ. მინდია ლაშაური: „ძვირფასი თარიღი", „სახალხო საქმე", ბუენოს-აირესი, *1952*.)

ავტონომია-ფედერაციასთან დაკავშირებით, ექიმმა ვასილ წერეთელმა გამოსცა დიდი შრომა: „ავტონომია და ფედერაცია", რომელიც მოითხოვდა საქართველოს პოლიტიკურ-ტერიტორიულ ავტონომიას და გულისხმობდა საქ-ს შინაურ საქმეებში სრულ დამოუკიდებლობას, ქართ-ლი ერის ინტერესებთან შესაფერისად. საქ-ს უფლებებისათვის ბრძოლაში ვასილ წერეთელი ეყრდნობოდა *1783* წ. ტრაქტატს და, როცა მოითხოვდა ფედერაციას, ეს უნდა ყოფილიყო ფედერაცია თავისუფალ ერებისა. ვ. წერეთელი უტყუარი არგუმენტებით ამტკიცებს, რომ „ფედერაცია დიდ ერთან, მით უმეტეს იმ ერთან, რომელიც წინად პატარა ერების მპყრობელი იყო, შეუძლებელია."

დიდი ილიას თაობამ გაბედულად აღმართა ეროვნული დროშა. ეს დროშა ხელში აიღო და აღმართა ახალ ვითარებასთან შეგუებით სოციალის-ფედერალისტების პარტიამ. ყველა ჯურის მარქსისტებს საქართველოში არ სურდათ დაენახათ ეს დიდი ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მათ წრეებსაც მოედვა „ეროვნული იდეის სენი." *1905* წლიდან, ეროვნულად მოაზროვნე სოციალ-დემოკრატმა ლადო დარჩიამ შექმნა ჯგუფი „ავტონომისტების". მან დააარსა გაზეთი „ალიონი", სადაც თავგამოდებით ქადაგობდა საქართველოს ტერიტორიალური ავტონომიის იდეას. ლადო დარჩიაშვილს მიემხრო ცნობილი ექიმი და პუბლიცისტი, სოც. დემოკრატი ივანე გომართელი, რომელმაც ავტონომიის საკითხს უძღვნა მთელი რიგი შრომებისა, მათ შორის ყველაზე საინტერესოა: „საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია, ანუ ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმმართველობა", რომელიც დაიბეჭდა თბილისში *1917* წელს. ამგვარად, ეროვნულმა იდეამ გაიმარჯვა საქართველოში და ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ქედი მოიხარეს სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის წინაშე და, როგორც არჩილ ჯორჯაძემ თქვა: „შეთანხმება შესაძლებელია",—ეს შეთანხმება მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, როცა ქართველი სოც. დემოკრატები გამოეყენენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას და დააარსეს საკუთარი პარტია: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. მარქსისტ-ნიჰილისტები კი სამარცხვინოდ დამარცხდნენ საქართველოში.

### საქ. სოც-ფედერალისტთა პარტიული გამოცემები ჩვენში და უცხოეთში

*1901* წლიდან გაზეთ „ცნობის ფურცელი"-ს ირგვლივ თავს იყრიან ჩვენი პარტიის იდეოლოგის მოციქულები. *1903* წლის *1* მაისს გამოდის ჟურნალ „საქართველოს" პირველი ნომერი და იმ ხანადვე პარიზში იცემა ფრანგულ ენაზე „ლა ჟეორჟი". ამ გამოცემაში მოხდა პარტიის თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბება.. *1904-5* წლების განმავლობაში გარდა დასახელებული გამოცემებისა გამოდიოდენ „გლეხი" და „მიწა." შემდეგ გამოდიოდა გაზ. „კოლხიდა", „იმერეთი", „მეგობარი", „ხალხის მეგობარი", „სოციალისტ-ფედერალისტი", „სახალხო საქმე", „შრომა", „ისარი", „ამირანი", „სახალხო გაზეთი", „ზვირთი."

*1926* წელს პარიზში განახლდა „სახალხო საქმის" გამოცემა სამსონ ფირცხალავას რედაქტორობით. სოც. ფედერალისტების პარტიის ახალგაზრდობის ორგანიზაციას ჰქონდა საკუთარი ბეჭდვითი ორგანო: „მებრძოლთა ხმა", რომელიც საქ.-ს დამოუკიდებლობის დაცემის შემდეგ არალეგალურად გამოდიოდა ტფილისში.

### გამოჩენილი პარტიული მოღვაწეები

ქართველმა ინტელიგენციამ კოლოსალური როლი შეასრულა ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების და მეობის გაძლიერება-გამტკიცების საქმეში და მოამზადა იგი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ამ მხრივ საქ-ს სოც. ფედერალისტთა პარტიაში შედიოდნენ და მოღვაწეობდნენ ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. დავასახელოთ ზოგიერთი მაინც: არჩილ ჯორჯაძე, პარტიის იდეოლოგი, გიორგი ლასხიშვილი, ვარლამ ჩერქეზიშვილი, გიორგი დეკანოზიშვილი, გიორგი ზდანევიჩი, თედო სახოკია, ვალერიან გუნია,-ცნობილი დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე, „ცნობის ფურცლის" დამაარსებელი, მწერალი; სვიმონ მდივანი—საქ. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის

მოადგილე, საქართველოს ელ. თურქეთში, შალვა მესხიშვილი–განთქმული იურისტი, საქ–ს პირველი კოალიციური ეროვნული მთავრობის იუსტიციის მინისტრი, ძმები გასილ და მიხეილ წერეთლები, ალექსანდრე წერეთელი–თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი ისტორიკოსი, ახლო-აღმოსავლეთის ისტორიის მრავალ მეცნიერულ შრომების ავტორი, შესანიშნავი ორატორი, გრიგოლ რცხილაძე–უნივერსიტეტის პროფესორი, აკაკი პაპავა–ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე, დავით კლდიაშვილი–სახელგანთქმული მწერალი, დრამატურგი, სამსონ ფირცხალავა, შალვა ნუცუბიძე–პროფესორი, ორატორი, მრავალი სამეცნიერო შრომების ავტორი, სოსო გედევანიშვილი–საზ. მოღვაწე, დრამატურგი, ნიჭიერი მხედართმთავარი. მან შეადგინა სოც. ფედერალისტთა სამხედრო რაზმი, რომელმაც გაწმინდა საქ. სამხედრო გზა ბოლშევიკურ ბანდებისაგან და იხსნა გაჭირვებაში მოქცეული დარიალის მფრონავი რაზმი, რომელსაც მეთაურობდა კაპიტანი ფალიანი, თედო ღლონტი–თბილისის უნივერსიტეტის რექტორი, შრომების ავტორი ავტონომიასა და ფედერაციაზე, აგრარულ საკითხზე; რენეგატი, დადგა საბჭოთა პლატფორმაზე, დააარსა უდღეური მემარცხენე ფრთა სოც. ფედერალისტთა პარტიისა, დააარსა გაზეთი „ტრიბუნა", ბოლოს გადაბარგდა კომუნისტურ პარტიაში, მაგრამ **1937** წელში დახვრიტეს; არისტო ჭუმბაძე–მწერალი, ვახტანგ კოტეტიშვილი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, მრავალი შრომების ავტორი და სხვები

საქ–ს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ ღირსეულად ემსახურა სამშობლოს. მან გაელო **80** წლის სახელოვანი გზა და შეუძლია თამამად თქვას: ***Exegi monumentum***

მინდია ლაშაური
დეკემბერი **1982**.

---

დიქტორი:
========

("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება,

ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემული მსმენელებო,

კარლ მარქსის აზრი ცენზურის შესახებ. თავის სტატიაში - "დებატები პრესის თავისუფლებაზე", კარლ მარქსი, სხვათა შორის, 1842 წელს, ამბობს:

"თავისუფალი პრესა - ესაა ხალხის სულის ფხიზელი თვალი... თავისუფალი პრესის არსებაა - გაბედული, გონიერი არსება თავისუფლებისა. ცენზურის ქვეშ მყოფი პრესის ხასიათია - უთავისუფლობის დამახასიათებელი სიმახინჯე".

"მთავრობას ესმის მხოლოდ თავისი საკუთარი ხმა. მან იცის, რომ მას ესმის მხოლოდ თავისი საკუთარი ხმა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც მხარს უჭერს თვითმოტყუებას, - თითქოს ისმენს ხალხის ხმას, და მოითხოვს აგრეთვე ხალხისაგან, რომ მხარი დაუჭიროს ამ თვითმოტყუებას".

და ამიტომაა ჩვენი დევიზი - ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ლაპარაკობს რადიო თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა!..
==========================================

## საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი და საქართველოს დაპყრობა

ყ ო ვ ე ლ ი   წლის 25-თ თებერვალს პარტიული ხელმძღვანელობა აღნიშნავს საქართველოს გასაბჭოების   წლისთავს, და საზეიმო ვითარებაში აღნიშნავს ამ თარიღს. ჩემის აზრით კი,25-ი თებერვალი არის ეროვნული ტრაგედიის,ეროვნული გლოვის დღე,ვინაიდან საქართველომ,ქართველმა ხალხმა ისევ დაკარგა ეროვნული თავისუფლება, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა,რომელიც მან აღადგინა - 117-ი წლის უცხო ბატონობის შემდეგ - 1918-ი წლის 26-ს მაისს.

მოვიგონოთ დამოუკიდებელი საქართველოს ამ ტრაგიკული პერიოდის მთავარი მომენტები:

1921 წლის 11-ტ თებერვალს საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ,რომელიც შესდგებოდა არმიის ოთხი კორპუსისაგან, ერთდროულად გადალახა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო საზღვრები და ხუთი მხრიდან შემოუტია ჩვენს სამშბლოს. ასე დაიწყო საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი. ორი მთავარი შემოტევა საქართველოს წინააღმდეგ მოხდა აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან. მესამე შავი ზღვიდან, მეოთხე დარიალისა და მეხუთე მამისონის უღელტეხილიდან.

საბჭოთა რუსეთის ამ მრავალრიცხოვანი  არმიის წინააღმდეგ საქართველოს გააჩნდა მხოლოდ 40.000-სი კაცი, რეგულიარული არმიისა და სახალხო გვარდიის ნაწილების სახით. მხედველობაში უნდა იქნას

ავრეთვე მიღებული ის ფაქტიც, რომ საქართველომ, მისი დამოუკიდებლობის სამი წლის განმავლობაში, ვერ შეძლო შეიარაღების მიღება დასავლეთის ქვეყნებიდან, ხოლო საქართველოს ახალგაზრდა არმიას საერთოდ არ გააჩნდა არც ავიაცია და არც ტანკები.

მიუხედავად მაღალი ამგვარი უთანასწორობისა, საქართველოს არმიისა და სახალხო გვარდიის ნაწილებმა არა თუ შეძლეს მომხდური მტრის მოგერიება, არამედ სასწრაფო მარცხი აგემეს თბილისის მისადგომებთან – ტაბახმელასა და კოჯორთან. მაგრამ მდგომარეობა გაუარესდა, როცა თურქეთის არმიის ნაწილებმაც გადმოლახეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრები. ამის შესახებ ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული",რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში,სხვათა შორის, წერს:

> ყველა წარმომადგენელი უცხო სახელმწიფოსი ჩვენ თანაგრძნობდა, ყველა მიმადლობდა მხოლოდ ერთი — იტალიის ელჩი კონტი [illegible] ის გამოცხადდა ჩემთან მეორე დღესვე და გამოაცხადა სრულიად კატეგორიულად: ჩვენი ინტერესია საქართველოს დამოუკიდებლობა და ამ მიზნის მისაღწევად არ დავერიდებით ომსაც ბოლშევიკების წინააღმდეგ. ასეთია ჩვენი მთავრობის აზრი. ეს იყო პირდაპირ ჩვენი გაკვირვება, ვინაიდან ვიცოდით რა დიდ მნიშვნელობას აძლევს მოსკოვი იტალიის ნეიტრალობას. კონტმა მაშინვე დაუკავშირა პირდაპირი მავთულით ჩვენს წარმომადგენელთან ანგორაში, სვ. მდივანთან. ის გადმოსცემდა თავის მემორის სიტყვებს, მთავრობის წევრების ყოფნას და გამოითქვამდა იქიდან ჩვენი საზღვრის გამართვებისა. ამავე დროს კონტმა გვთხოვა მისთვისაც მიგვეცა საშუალება პირდაპირი კავშირისა ანგორასთან და მოსკოვთან. ეს უკანასკნელი წინადადება არ მიმიღია. მაგრამ რაც დაპირებები იყო დიდი, დანაშაულობა იქნებოდა ის [illegible] ტექნიკური საკითხებისათვის. კონტმა ხშირად ელაპარაკებოდა შეაბიდან ანგორას და მოსკოვს, ერთხელაც ვერ გავიგეთ როგორ და რაზე. უეჭველია ამ დროს იყიდეს იტალიის ნეიტრალობა მოსკოველებმა [illegible] და ართვინის დათმობით, რაიცა დამტკიცდა ჩვენზე ზურგიდან თავს დასხმით.

ასე წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული. ამგვარად, საბჭოთა რუსეთის მრავალრიცხოვანი ჯარის შემოჭრის შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიაზე, თურქეთის ჯარებმაც გადმოლახეს საქართველოს საზღვრები, და ორივე ეს სახელმწიფო ერთად მოქმედებდნენ დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობა-დაქუცმაცებისათვის.აქვე

უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს თურქეთის,როგორც მას უწოდებენ ხოლმე თურქები,"მამა" - ქემალ ფაშა - მეტად მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო ლენინთან,რომლისაგან ის ღებულობდა შეიარაღებასა და სამხედრო საჭურველს,რომელსაც თურქეთი იყენებდა არა მარტო დამოუკიდებელი საქართველოს, არამედ საბერძნეთისა და დასავლეთის მოკავშირეების წინააღმდეგაც პირველი მსოფლიო ომის დროს. მიუხედავათ ძალთა ამგვარი უთანასწორობისა, საქართველოს არმიამ შესძლო დაახლოებით ერთ-თვე-ნახევრის განმავლობაში გამკლავებოდა საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის ჯარებს;მაგრამ,საბოლოო ჯამში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდა არმია დამარცხდა, თუმცა უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა თურქეთის ჯარი ბათუმსა და მის რაიონებში, და ასე შეუნარჩუნა საქართველოს ლენინის მიერ ბრესტლიტოვსკში თურქეთისათვის ბოძებული საქართველოს ტერიტორიის ეს ნაწილი.

1921 წლის 16-ს მარტს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ ჩაატარა უკანასკნელი სხდომა ბათუმში და საქართველოს მთავრობას,ნოე ჟორდანიას მეთაურობით,დაავალა დაეტოვებია საქართველოს ტერიტორია და უცხოეთიდან განეგრძო მოღვაწეობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ამგვარად, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ,ნოე ჟორდანიას მეთაურობით, 1921 წლის 17-ს მარტს დატოვა საქართველოს ტერიტორია და თავი შეაფარა საფრანგეთს; სადგომად კი აირჩია პარიზი,რის შედეგად პარიზი გახდა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის უკანასკნელი წევრის - ნოე ცინცაძის - გარდაცვალებამდე,ე.ი.1978-ს წლამდე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის - ხალხის მიერ არჩეული - მთავრობის სადგომი.საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ნაწილები ბათუმში შემოვიდა 1921 წლის 20 მარტს.

ამგვარად რუსეთმა მეორეჯერ დაიპყრო საქართველო: ჯერ 1801 წელს,როცა მეფის რუსეთმა, დაარღვია რა 1783 წლის რუსეთ-

საქართველოს ხელშეკრულება, მოახდინა საქართველოს ანექსია, და - მეორეჯერ - 1921 წლის თებერვალ-მარტში, დაარღვია რა საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7-ი მაისის ხელშეკრულება,-იარაღის ძალით დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო.

საბჭოთა საქართველოს პირველი კომუნისტური მთავრობა,ე.წ-ლი "რევკომი" ცდილობდა შეექმნა შთაბეჭდილება, რომ თითქოს საბჭოთა რუსეთის არმიას არ დაუპყრია დამოუკიდებელი საქართველო, და რომ,თითქოს, საქართველოს მშრომელებმა მოაწყვეს აჯანყება საქართველოს ხალხის მიერ დემოკრატიული გზით არჩეული მთავრობის წინააღმდეგ,ჩამოაგდეს მთავრობა და ასე დამყარდა საქართველოში ე.წ-ლი საბჭოთა ხელისუფლება.ამგვარ სიყალბეს ქადაგებდენ და დღესაც ქადაგებენ საქართველოს პარტიული ხელმძღვანელები ამ 60-ი წლის განმავლობაში. ედუარდ შევარდნაძემაც 1980 წლის 20-ც ნოემბერს,მაგალითად, თქვა, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ნაწილები თითქოს "დაეხმარა საქართველოს აჯანყებულ მუშებსა და გლეხებს".იხილეთ,1980 წლის 20 ნოემბრის გაზეთი "კომუნისტი". ისტორიული სინამდვილე კი ის არის, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიზანი იყო დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობა, მაგრამ ამისათვის უცდიდა შესაფერ მომენტს. ამიტომ სრულიად უსაფუძვლოა ზოგიერთების მტკიცება თითქოს ლენინი დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგი იყო. სინამდვილეში ლენინი იყო არა საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგი,არამედ ამ ფაქტის გახმაურების წინააღმდეგი ევროპაში,სადაც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებს დიდი სახელი ჰქონდათ.

ამიტომ წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული",რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში: "რა დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ ამ საკითხს მოსკოვში, სჩანს იქიდან - წერს ნოე ჟორდანია -, რომ როცა ლენინმა გაიგო ჩვენი გასვლა, განაცხადა - წაგებული ვართ."ამგვარად, ლენინი

დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგი კი არ ყოფილა, არამედ ცდილობდა თავი აერიდებინა "ქართული საკითხის" გახმაურებისათვის განსაკუთრებით ევროპაში, რაც დიდ ზიანს მიაყენებდა ბოლშევიკების, ისედაც გაცვეთილ სახელს საერთაშორისო არენაზე. მაგრამ, ვინაიდან დამოუკიდებელი საქართველოს წესწყობილების დახშობა ბოლშევიკებმა ვერ შესძლეს შინაგანი არეულობების მოწყობის გზით, ლენინ-სტალინ-ტროცკიმ უბრძანეს წითელ არმიას გადაელახათ საქართველოს სახელმწიფო საზღვრები 1921 წლის 11-ც თებერვალს. ამის შესახებ, ლეო ტროცკი, თავის წიგნში "სტალინი", რომელიც მან დაწერა და გამოაქვეყნა ლტოლვილობაში საქართველოს საზღვრების გარდალახვაში ადანაშაულებს სტალინს და წერს:

"როგორც სჩანს სტალინმა დაივიწყა, რომ ხელმოწერილი იყო მეგობრობისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულება საქართველოსთან 1920 წლის 7-ლ მაისს, და 1921 წლის 11-ც თებერვალს წითელმა არმიამ მიიღო ბრძანება გადაელახა საქართველოს საზღვრები."

მაგრამ 1922 წელს, აპრილში, როცა ტროცკი იყო წითელი არმიის სახალხო კომისარი, მან განაცხადა:

"ჩვენ განზრახული არ გვაქვს დავტოვოთ საქართველო, მაგრამ თუ ისეთი სიტუაცია შეიქმნება, რომ ჩვენ უნდა დავტოვოთ იგი, მაშინ, სანამ დავტოვებთ მას, ისე მივარტყამთ კარებს, რომ საქართველოდან არაფერი, ერთი აგურიც კი აღარ დარჩებათ".

ასე განაცხადა ლეო ტროცკიმ. გაზეთი "კომუნისტი" კი 1921 წლის 5-ი მაისის ნომერში, ე.ი. დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის 6-ი კვირის შემდეგ, სხვათა შორის, წერდა:

"საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ, ჩვენმა მეგობარმა კლასობრივ ბრძოლაში, დაგვეხმარა ჩვენ და გადაგვარჩინა ანტანტის ბრჭყალებიდან".

ლავრენტი ბერიამ კი 1936 წლის თებერვალში, საქართველოს ე.წ-ლი "გასაბჭოების", ე.ი. დაპყრობის მე-15 წლისთავზე პირდაპირ განაცხადა:

"1921 წლის თებერვალში საქართველო განთავისუფლებულ იქნა ჩაგვრისაგან საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის დახმარებით და შემდგომ საბჭოთა დიქტატურის დამყარება".

ვიაჩესლავ მოლოტოვმა, საქართველოს ე.წ-ლი "გასაბჭოების" მე-15 წლისთავზე, თავის მხრივ, განაცხადა:

რუსეთის
"მხოლოდ დახმარებამ, რომელიც მიღებულ იქნა დიდი ოქტომბრის რევოლუციისაგან, შესაძლებელი გახადა მენშევიკური მთავრობის (ე.ი. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის) ჩამოგდება. ქართველი ხალხის განთავისუფლება დაიწყო მაშინ, როცა ბოლშევიკურმა რევოლუციამ გაიმარჯვა რუსეთში წითელი არმიის ძალით, რომელმაც 1920-ც და 1921-თ წლებში გაუწია საჭირო დახმარება ქართველ ხალხს და შემოვიდა საქართველოში."

ასე თქვა მოლოტოვმა საქართველოს ე.წ-ლი "გასაბჭოების", ე.ი. დაპყრობის მე-15-ე წლისთავზე. ფილიპე მახარაძემ კი 1921 წლის 6-ს დეკემბერს პოხსენება წარუდგინა საბჭოთა რუსეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მოსკოვში, რომელშიც ის საქართველოს ე.წ-ლი "გასაბჭოების" შესახებ, სხვათა შორის, წერდა:

"წითელი რამიის შემოსვლამ და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ საქართველოში მიიღო უცხოეთიდან დაპყრობის სახიათი, ვინაიდან თვით ქვეყანაში არ მოიპოვებოდა არავინ, ვინც იქნებოდა მზად მონაწილეობა მიეღო აჯანყებაში ან რევოლუციაში. საბჭოთა რეჟიმის დამყარების დროს მთელს საქართველოში არ მოიპოვებოდა პარტიის არც ერთი წევრი, რომელსაც შეეძლებოდა ორგანიზებული მოქმედება ან უზრუნველეყო ხელმძღვანელობა და ამ მიზნის განხორციელება დაეკისრათ უმთავრესად საეჭვო ან კრიმინალურ ელემენტებსაც კი...ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ქართველი ხალხის მასები შეეჩვია საქართველოს დამოუკიდებლობის იდე-იდეას...ჩვენ გამოვაცხადეთ, რომ ჩვენ ვმუშაობთ იმისათვის, რომ შევქნათ დამოუკიდებელი საქართველო...მაგრამ ჩვენ სისტემატიურად ვდგამთ ნაბიჯებს, რომლებიც არარაობად აქცევს ამ შეპირებას".

ასე წერდა, სხვათა შორის, ფილიპე მახარაძე 1921 წლის 6-ს დეკემბერს

თავის მოხსენებაში,რომელიც მან წარუდგინა საბჭოთა რუსეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მოსკოვში, საქართველოს ე.წ-ლი"გასაბჭოების" შესახებ.

პარტიული ხელმძღვანელობა, დაწყებული დამოუკიდებელი საქართველოში შეიარაღებული შეჭრისა და დაპყრობის დღიდან ყოველთვის გაპყვიროდენ და დღესაც გაპყვირიან,          რომ მათ თითქოს "გაათავისუფლეს საქართველო იმპერიალისტურ-კაპიტალისტურ ჩაგვრისაგან". მაგრამ სინამდვილე სრულიად სხვაგვარია: საბჭოთა რუსეთმა,ლენინ-სტალინის მეთაურობით მოსპეს, დაიპყრეს დამოუკიდებელი საქართველო იმიტომ, რომ

- რუსეთისათვის საქართველოს ტერიტორია ჰქონდა და აქვს დიდი სტრა-
მის
ტეგიული მნიშვნელობა იმპერიალისტურ პოლიტიკაში ახლო და შუა აღმოსავლეთში;
- რუსეთს სურდა ხელში ჩაეგდო                    საქართველოს შავი ზღვის ნავსადგურები  ბაქოს ნავთობის გასატანად საზღვარგარეთ;
- რუსეთს სურდა ხელში ჩაეგდო საქართველოს ეკონომიკა - მარგანეცი, ქვანახშირი,თამბაქო,ჩაი,ბამბა და სხვა,

და ამით საბჭოთა რუსეთმა,ლენინის მეთაურობით, პრინციპში გაიზიარა მეფის რუსეთის ექსპანსიური და არარუს ერთა ჩაგვრისა და მათი რუსიფიკაციის პოლიტიკა,რომელიც დღესაც ისეთი სიმწვავით ტარდება საქართველოში,როგორც ეს ხდებოდა მეფის რუსეთის დროს. მაგრამ საქართველოს, ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისაკენ მისწრაფების ისტორიული ფაქტებია,ამ უკანასკნელი 60-ი წლის განმავლობაში,საყოველთაო სახალხო აჯანყება 1924-ი წლის 28-29 აგვისტოს, თბილისის სტუდენტებისა და ახალგაზრდა მუშების მასობრივი დემონსტრაციები 1956-ი წლის 9-ა მარტს თუ 1978 წლის 14-ი აპრილის მასობრივი დემონსტრაცია თბილისში, და ვინ ჩამოთვლის ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისაკენ მისწრაფების სხვა მრავალ ფაქტს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ ექვსათეულ წლებში საქართველოში უცხო ბატონობის წინააღმდეგ!..

საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობამ 1921 წლის თებერვალ-მარტში დიდი გამოძახილი ჰპოვა განსაკუთრებით ევრო .ს ქვეყნებში. მიტინგები და დემონსტრაციები იმართებოდა ევროპის ქვეყნებსა და ქალაქებში,რომლის დროს სასტიკად გმობდნენ ბოლშევიკების დიდმპყრობელურ პოლიტიკას საქართველოს მიმართ. საქართველოს საკითხზე დებატები ჩატარდა საფრანგეთისა და ინგლისის პარლამენტებში,ერთა ლიგაში შვეიცარიაში,მიუხედავათ იმისა, რომ საქართველოს მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი,თუმცა ამ საკითხზე უკვე წარმოებდა მოლაპარაკებები,რაც სწორედ იმ ხანებში უნდა გადაწყვეტილიყო საქართველოს სასარგებლოდ,როცა საბჭოთა რუსეთის წითელი არმია დაესხა თავს საქართველოს და დაიპყრო იგი. საქართველოს საკითხი მოგვიანებით, 1926 წელში, განიხილა ამერიკის შეერთებული შტატების 69-ე კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიამ. მსოფლიოს, განსაკუთრებით ევროპის ქვეყნების სოციალისტური პარტიები და პროფკავშირული ორგანიზაციები აწყობდნენ მიტინგებს თუ დემონსტრაციებს მსოფლიოში პირველი,როგორც ისინი ამბობდნენ, სოციალისტური და დემოკრატიული სახელმწიფოს -საქართველოს - დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

ცნობილი ავსტრიელი და საერთაშორისო პოლიტიკური მოღვაწე,ქართველი ხალხის დიდი მეგობარი კარლ კაუცკი - თავის წიგნში დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ,რომელიც 1921 წელს დაიბეჭდა ვენაში, - სხვათა შორის, წერდა:

"საქართველოს დამოუკიდებლობის არსებობის მოკლე ხანში მისმა არმიამ არაერთი მკაცრი გამოცდა გაიარა. მაგრამ ყველაზე უფრო მკაცრი გამოცდა ერგო მას წილად...ძლიერი ბოლშევიკური ჯარების თავდასხმისას სამხეთიდან,აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ერთდროულად. ყოველგვარი ომის გამოცხადების გარეშე მოხდა მოღალატოებრივი თავდასხმა საქართველოზე თებერვლის მეორე ნახევარში...მოთხოვნილებამ, მისი ჯარი მოქმედებაში ყოლოდა და ისევდაისევ ახალი ნადავლი ჩაეგდო ხელში და უპირატესობა

მოეპოვებია, აიძულა ნაპოლეონი ეწარმოებია მოუფიქრებელი დაპყრობითი პოლიტიკა, რაც დაბოლოს მოსკოვში დაიმსხვრა. იგივე პირობები ახლა ქმნის          რუსეთში ისეთსავე მისწრაფებებს, მოსკოვის იმპერია
ეს არის ის, რის          მსხვერპლი ახლა გახდა საქართველო", - წერდა კარლ კაუცკი.

ამ იმპერიალისტური აქტით კი, საბჭოთა რუსეთის მთავრობამ, ლენინის მეთაურობით, დაარღვია საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7-ი მაისის საზავო ხელშეკრულება, რომლის ძალით საბჭოთა რუსეთმა დე ფაქტო და დე იურე სცნო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებ-ლობა. დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის შემდეგ კი, ათასობით ქართველი პატრიოტები დაპატიმრებულ, გადასახლებულ თუ დახვრეტილ იქნენ, რამაც ისეთი დიდი აღშფოთება გამოიწვია ქართველ ხალხში, რომ - მრავალ ლოკალურ ამბოხებებს - 1924 წლის აგვისტოში მოყვა საყოველთაო სახალხო აჯანყება, რომელიც          სისხლში ჩაახშო ბოლშევიკურმა რეჟიმმა.

"დღეს - თქვა "დამოუკიდებლობის კომიტეტის" პროცესზე თბილისში, 1925 წლის 22-რ ივლისს კოტე ანდრონიკაშვილმა - არც ერთი პასუხის-მგებელი კომუნისტი აღარ იმეორებს იმ ზღაპარს, თითქოს 1921 წელს საქართველოში მუშებმა და გლეხებმა მოახდინეს გადატრიალება, ჩამო-აგდეს საქართველოს დემოკრატიული მთავრობა, რისთვისაც დახახმარებლად შემოიყვანეს რუსის ჯარი და მას მოუხდინეს ოკუპაცია... დიახ, საქარ-თველო დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა. ეს ფაქტია."

როგორ შეხვდა ამ ფაქტს ქართველი ხალხი, ქართული პოლიტიკური პარტიები? - რასაკვირველია, ისინი ვერ შეურიგდენ ოკუპაციას..."

"რა მოხდა 1921 წლის თებერვალში? - თქვა იასონ ჯავახიშვილმა

იმავე 1925 წლის "დამკომის", ე.ი. "დამოუკიდებლობის კომიტეტის" სასამართლო პროცესზე, 31-ს ივლისს – ...რუსეთის შეიარაღებული თავდასხმა საქართველოზე...არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება რადეკის გულწრფელობაში, როცა ის მესამე ინტერნაციონალის კონფერენციაზე აცხადებდა: "რუსეთმა იმიტომ დაიპყრო საქართველო, რომ უნდოდა უზრუნველეყო ნავთობის მისადგომი გზები".

მაგრამ – დაიპყრო რა დამოუკიდებელი საქართველო საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის თებერვალ-მარტში – ლენინმა საქართველოს მოსტაცა არა მარტო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა, არამედ ამასთანავე საქართველომ დაკარგა მისი ტერიტორიის დიდი ნაწილიც: დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორია 1921-თ წელში შეადგენდა 91.110-თ კვადრატულ კილომეტრს, ე.ი. 21.000-ს კვადრატულ კილომეტრზე მეტს, ვიდრე საბჭოთა საქართველოს დღევანდელი ტერიტორიაა. ამგვარად, რუსმა და ქართველმა ბოლშევიკებმა 1921 წლის თებერვალში არა მარტო დაიპყრეს და უცხო ძალას დაუმორჩილეს საქართველოს სახელმწიფო, არამედ – როგორც ბუდუ მდივანი ამბობდა მაშინ – "მარცხნივ და მარჯვნივ" დაარიგეს ქართველის ხალხის მიწა-წყალი, რის შედეგად საქართველომ დაკარგა –
ართვინის ოლქი, რომლის ტერიტორია უდრიდა 3.339-ს კვადრატულ კილომეტრს,
ფოცხოვის თემი – 588-ი კვადრატული კილომეტრი ტერიტორიით,
არტაანის ოლქი – 5.137-ი კვადრატული კილომეტრის ტერიტორიით,
ოლთისის ოლქი – 3.051-ი კვადრატული კილემტრის ტერიტორიით,
ბორჩალოს მაზრის ნაწილი – 3.812-ი კვ.კილომეტრის ტერიტორიით,
ზაქათალის ოლქი – 3.564-ი კვადრატული კილომეტრის ტერიტორიით;
ჯიქეთი, ე.ი. სოჭი და მისი რაიონი კი თვით საბჭოთა რუსეთმა მიითვისა, თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს.

აი ასე აყარეს სუვერენული უფლებები საქართველოს, ქართველ ხალხს რუსმა და ქართველმა ბოლშევიკებმა და დაგლიჯეს, დააქუცმაცეს საქართველოს ისტორიული სახელმწიფო ტერიტორია, რის შედეგად საქართველოს ტერიტორიის ერთ-მეხუთედზე მეტი, ნახევარ მილიონზე მეტი მოსახლეობით, მოექცა უცხო ბატონობის ქვეშ.

"საქართველოს საკურთხეველზე - თქვა ნოე ჟორდანიამ, დამოუკიდებელი საქართველოს ხალხის მიერ არჩეულმა პრეზიდენტმა და მთავრობის თავმჯდომარემ - საქართველოს საკურთხეველზე დიდი მსხვერპლია მიტანილი..." "გადახედეთ ჩვენს ისტორიას; სადღა არიან საქართველოს მეფენი მტარვალნი? - ჟამთა ბრუნვამ მათ გაუთხარა საფლავი. ქართველ ხალხს დღეს მართებს მოთმინება,გამაგრება, მომავლი-საკენ იმედიანად გახედვა..." ამიტომ,მსურს ავღნიშნო საზგასმით დღეს,- ვარდობის თვის,ე.ი.მაისის 26-ს, საქართველოს დამოუკიდებლო-ბის ისევ-აღდგენის დღეს: 1918 წლის 26-ს მაისს ვერასოდეს ვერ დაჩრდილავს სუსხიანი 25-ი თებერვალი.

გავიხსენოთ შოთას სიტყვები:"აწმყო თუ არა გვწყალობს,მომავალი ჩვენია!" და გავიხსენოთ აგრეთვე მიხეილ ჯავა-ხიშვილის შთამაგონებელი სიტყვებით:"კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლე-კვები მგლისანი..."

=====================================

საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომისა და მისი წინა და მომდევნო პერიოდის შესახებ, ყველაზე უფრო ნათლად მეტყველებენ ამ საბედისწერო დროის ისტორიული დოკუმენტები. ამიტომ, ვფიქრობ, მიზანშეწონილია რამდენიმე ასეთი დოკუმენტის მოყვანა,რომ გავერკვეთ საქმის ნამდვილ ვითარებაში. რა თქმა უნდა, აქ, ჩემს მიერ მოყვანილი მასალების "ამორჩევა" განაპირობა იმანაც თუ რამდენად ხელმისაწვდომი იყო ჩემთვის ესა თუ ის დოკუმენტი. მაგრამ, ვიმედოვ-ნება, ეს "მჭლე" მასალებიც იძლევიან იმის საშუალებას, რომ რამდენა-დმე გავერკვეთ დამოუკიდებელი საქართველოს, ამ-ჯერად, დაპყრობის ისტორიაში, რის საფუძვლიანი შესწავლა მომავლის საქმეა.

=====================

## ნოე ჟორდანიას განცხადება დამფუძნებელ კრებაში *1921* წლის *21* თებერვალს

(მთავრობის თავმჯდომარეს ტრიბუნაზე ასვლისას კრება ესალმება ხანგრძლივი ტაშით).

მთავრობ. თავმჯდომარე: მოქალაქენო! ახლა თანდათან ირკვევა ომის გამომწვევი მიზეზი და აგრეთვე ის მიმართულება, რომელსაც ომი ახლო მომავალში მიიღებს.

ირკვევა, რომ საბჭოთა მთავრობას დიდი ხნიდან ჰქონია განზრახვა საქართველოში გადატრიალება მოეხდინა და საბჭოთა ხელისუფლება გამოეცხადებია, მაგრამ მათ აქამდე ვერ შეძლეს ამის განხორციელება, რადგან არ ჰქონდათ საკმარისი საბაბი. ხოლო ამ ათი დღის წინ იპოვეს ეს საბაბი ლორის რაიონში. იქ მათ მოაწყვეს საიდუმლო შეთქმულება და დაარქვეს მას ხალხის გამოსვლა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. იქ მათ გამოაცხადეს ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლება და აი, ვითომ მის დასახმარებლად მოდის რუსის ჯარი.

სწორედ ამ თვის თხუთმეტს გაიცა ბრძანება აზერბაიჯანში და სომხეთში მყოფ ჯარებისადმი და ეს ბრძანება ჩაგვივარდა ჩვენ ხელში ტყვეების საშუალებით. ამ ბრძანებაში ნათქვამია, რომ გადაწყვეტილია თბილისის აღება და საქართველოს საბჭოთა სისტემაზე გადაყვანა. იქ ჩამოთვლილია თუ რომელ ჯარის ნაწილმა რა უნდა გააკეთოს, როდის უნდა იქნას აღებული ესა თუ ის დაბა, ქალაქი თუ სოფელი. ბოლოს ნათქვამია, რომ *19* თებერვალს უნდა იქნას აღებული თბილისი.

ამ ჯარის პირველი შემოტევა, როგორც იცით, იყო უეცარი, მოულოდნელი, სრულიად მუხანათური და, აი, ამ უეცარმა და მოულოდნელმა შემოტევამ შეარყია ჩვენი ჯარის მდგომარეობა იქ, სადაც ეს ჯარი იდგა. და შეარყია იმ ზომამდე, რომ იყო მომენტი, როცა ბორჩალოს მაზრაში საზღვარზე მდგარმა ჯარებმა სრულიად ვერ შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა. მაგრამ, საბედნიეროდ უნდა ითქვას, რომ ჯარმა და აგრეთვე ჩვენმა ხალხმა სწრაფად შეიგნეს მდგომარეობა,, გამოსწორდნენ და დროზე შეუდგნენ საორგანიზაციო სამხედრო მუშაობას.

ეს სწრაფი აღდგენა მდგომარეობისა, წინათ დასუსტებულ ჯარების ეს ახალი შეჯგუფება, ეს სწრაფი თავის მოყრა ჯარების და მათი სწრაფი შეკავშირება,-არის იმის მიზეზი, რომ ჩვენ დღეს აქ(თბილისში) ვიმყოფებით. ეს ჩვენ ლორიდან დავიწყეთ, როცა შევამჩნიეთ, რომ ერთი მხრით, ამ მუხანათურმა თავდასხმამ შეარყია ჩვენი ჯარი, ხოლო, მეორე მხრით, მოსალოდნელი იყო აზერბაიჯანიდანაც დაგვესხმოდნენ თავს. ჩვენი მიზანი შეიქნა გამოგვეყვანა ეს დასუსტებული ჯარი ბორჩალოს მაზრიდან და უკეთესი პოზიციები დაგვეკავებია. უკან დახევა ალაგ-ალაგ წარმოებდა წესიერათ, ალაგ-ალაგ არ ხდებოდა წესრიგით, როგორც ეს უკანდამხევ ჯარს შეეფერება. საერთოდ კი, იქ მდგომ ჯარის დიდმა ნაწილმა დაიხია წესიერად, ან გამოვიდა ნაწილ-ნაწილად. გამოსულები დაღლილი იყვნენ, მაგრამ არა საბოლოოდ გატეხილი. მათ მხოლოდ ერთი-ორი დღის დასვენება ესაჭიროებოდათ, რომ ისეთივე ჯარიკაცები გამხდარიყვნენ, როგორც ახალგამოყვანილი მეომრები. აქ არ მომხდარა ის, რაც ჩვენ ვნახეთ ბათომში *1918* წელს. საკვირველი ისაა, რომ, მიუხედავად უეცარი თავდასხმისა, მიუხედავად მოულოდნელი გამოსვლისა, დეზერტირობას ადგილი არ ჰქონია.

ამგვარად, ამ დროის განმავლობაში ჩვენ შევძელით გამოგვეყვანა მტრის წინააღმდეგ კარგად გაწვრთნილი, შეიარაღებული და ერთსულოვნებით გამსჭვალული ჯარი.

პირველი დიდი ბრძოლა, რომელიც ჩვენ მტერს მივეცით, ეს იყო *19* თებერვალს ღამით. ბრძოლა ხდებოდა დიდ ფრონტზე, დაახლოებით ასი ვერსის მანძილზე. *18* და *19* თებერვალს ადგილი ჰქონდა მტრის შემოტევას მთელი ამ ფრონტის სივრცეზე და თქვენ გახსოვთ ეს დიდი ბრძოლა. *19*-ს დილით გამოირკვა, რომ ჩვენ შევძელით მტრის ცენტრის გარღვევა და ის სავსებით დამარცხდა. შემდეგ, *19* თებერვალს დილით მოხდა ბრძო-

და ჩვენს მარცხენა ფლანგზე. იქ, ყარაიაზის მიდამოებში, მტერმა ნამეტანი წამოიწია წინ, მოვიდა მარტყოფში, ლილოში და აქ, 19 თებერვალს, მოხდა ჩვენი მასთან შეტაკება; ჩვენ ვაიძულეთ ის უკან დაეხია, გავრეკეთ ყარაიაზში.

მხოლოდ დღეს, 21-ს და წინა ღამით, მოხდა დიდი ბრძოლა მარჯვენა ფლანგზე. აქ ბრძოლა თითქმის ისეთივე მწვავე იყო, როგორც ცენტრში. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ჯარი შეტევას აწარმოებს დიდი გაფთრებით, მტკიცედ და დისციპლინასაც იჩენს. გასულ ღამით, კოჯორის მიდამოებში მდგარ ჩვენს ჯარებს თავს დასხნენ და მოინდომეს გაერღვიათ ერთი ადგილი, რომელიც არ იყო საკმარისად დაცული. აქ მათ დახვდნენ იუნკრები და თქვენ იცით, რომ გაიმართა დიდი ბრძოლა,- ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა, გრანატებით და ხიშტებით, მაგრამ აქაც მათ სასტიკი დამარცხება განიცადეს.(მხურვალე ტაში) მტრის ჯარს რამდენიმე ისეთი მაღლობი ეჭირა, რომ ზედ ზარბაზნები დაედგათ, შეიძლებოდა მთელი თბილისის განადგურება. გუშინ მივიღეთ ჩვენ ზომები ამ მაღლობების წასართმევად. ეს იყო ჩვენი გამარჯვების პირველი ნაბიჯი და უნდა ითქვას, რომ ასეთი მიუდგომელი ადგილები, ასეთი მაღლობები, სადაც მტერი იყო გამაგრებული, ჩვენი გვარდიის ნაწილებმა იერიშით აიღეს ისე, რომ ერთი კაციც არ დაუკარგავთ(ხმები: გაუმარჯოს და მხურვალე ტაში). ამ ომში გამოირკვა, რომ საბჭოთა ჯარი ვერ უძლებს შეტევას. თვით ის მხნედ უტევს, მაგრამ მის წინააღმდეგ წარმოებულ შეტევას ის ვერ უმკლავდება,- წინააღმდეგ შემთხვევაში, მას, რომ შეტევის მოგერიების უნარი ჰქონდეს, ასეთ სიმაღლეებს ის არ დასტოვებდა.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ჯარი და გვარდია სამაგალითო მხნეობას იჩენენ(კრება ფეხზე ადგომით, ტაშით, ვაშას და გაუმარჯოს ძახილით ესალმება ჯარსა და გვარდიას). მე მგონია, რომ ჩვენს ხალხში გაიღვიძა, აჩქეფდა ჩვენი წინაპრების სისხლი, იმ წინაპრების, რომელნიც შემოჰრილ მტრის ურდოებს პატარა რაზმებით ამარცხებდნენ.

ახლა მინდა მოგახსენოთ თუ ვისი თაოსნობით წარმოებს თავდასხმა და ვინ წინამძღოლობს ამ საბჭოთა ჯარებს საქართველოს წინააღმდეგ. იცით ალბათ, რომ აქ გამოგზავნეს და დაარიგეს ფურცლები, სადაც სწერია, რომ შულავერში შედგა „საქართველოს მთავრობა", და ეს შულავერში შეყენებული მთავრობა ყოფილა თურმე ჩვენი ხალხის ნამდვილი ხელისუფლება, რომელიც მოუწოდებს ჩვენ ხალხს, დამფუძნებელ კრებას, გადააყენონ თავიანთი ხელისუფლება, გადააგდონ იგი და იცნონ „შულავერის მთავრობა". ეს ის ხალხია, რომელიც ესწრაფვის უცხო ქვეყნის ხიშტების საშუალებით დააწესოს თავისი ხელისუფლება, თავისი მმართველობა. ესენი არიან: მახარაძე ფილიპე, ორახელაშვილი მამია, მდივანი ბუდუ, ელიავა შალვა, ოკუჯავა მიშა, ლუმბაძე ლადო, ნაზარეტიანი, ომარი, გეგეჩკორი ალექსანდრე და კვირკველია. და, აი, ბატონებო, ამ ქართველთ, ამ ჩვენ ქვეშევრდომთა სურვილს, რომელნიც მტერს მოუძღვიან და ცდილობენ ცეცხლითა და მახვილით მოსპონ ქართველი ხალხი და ჯარი და გახდნენ საქართველოს ტირანები,-მათ ამ სურვილს ქართველი ხალხი არასოდეს არ მიიღებს. ამ სირცხვილს ქართველი ხალხი არასოდეს, არავითარ გზით თავის თავზე არ აიღებს. იმისთვის ხომ არ უშრომია, იმისთვის ხომ არ გადმოუგდია მას პეტერბურგის მთავრობა, რომ „შულავერის მთავრობა" მიეღო. მე ვამბობ, როცა ქართველი ხალხი გაიგებს რა ვაჟბატონები აპირებენ მის გათელვას, ქართველი ხალხის სულიერი განწყობილება კიდევ უფრო განმტკიცდება და ის იტყვის: „ან სიკვდილი, ან გამარჯვება!" (ტაში, მხურვალე ოვაციები. წულაია: გაუმარჯოს ჩვენი ხალხის ბელადს, ნოე ჟორდანიას). [ გადმობეჭდილია ჟურნალ „ჩვენი დროშა" №35-დან.]

## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს   მ თ ა ვ რ ო ბ ი ს   გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

### საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ საქართველოში შეჭრისა და დაპყრობის შესახებ

*1921* წლის *19* მარტს საქართველოს მთავრობა, რომელმაც ძალაუფლება ხალხის ნება-სურვილით მიიღო, რაც გამოიხატა საყოველთაო საარჩენო ხმისმიცემით, იძულებული გახდა თავისი ქვეყანა დაეტოვებინა. ეს იძულება გამოიწვია საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციამ, რომელმაც ხალხს თავისუფლება და დამოუკიდებლობა წაართვა და მის მთავრობას მოუსპო საშუალება მისი საქმიანობის წარმოებისა ეროვნულ მიწა-წყალზე.

ქვემოდ მოკლე განმარტებები იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც წინ უსწრებდნენ მტრისაგან საქართველოს დაპყრობას.

თავისი არსებობის პირველ დღეებიდანვე საქართველოს რესპუბლიკამ ყველა

მის განკარგულებაში არსებული საშუალებები გამოიყენა, რათა დაეცვა მშვიდობა მის მეზობლებთან.

ქართველმა ხალხმა თავისი სახელმწიფოს ორგანიზაცია მიანდო იმ ჯგუფს, რომელიც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში სათავეში ედგა ქვეყნის პოლიტიკურ მოვლენებს და, რომელიც მას წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის *4* დუმაში. ხალხის ნდობა, რომლითაც ეს მთავრობა სარგებლობდა,—დამფუძნებელ კრებაში ის წარმოდგენილი იყო დეპუტატთა *80%*-ით,—საქართველოს რესპუბლიკას აზღვევდა შინაურ კრიზისებისგან, რომლებიც შეიძლება გამოეწვია პარტიათა შორის ქიშპობას. ქვეყნის შინაური მშვიდობა აგრეთვე უზრუნველყოფილი იყო იმ ღრმა რეფორმებით, რომლებიც განხორციელდა მოსახლეობის თითქმის ერთსულოვნებით.

ასეთ პირობებში, რესპუბლიკის არსებობას შეიძლებოდა დამუქრებოდა მხოლოდ და მხოლოდ გარეშე ძალები, რაც საქ. მთავრობას უკარნახებდა დიდ სიფრთხილეს მის საგარეო პოლიტიკაში. ამიერკავკასიის რესპუბლიკების დაახლოება და ურთიერთობის განმტკიცება მეზობელ ქვეყნებთან ისევე, როგორც ევროპის სახელმწიფოებთან, ასეთი იყო მთავარი მიზნები ამ პოლიტიკის.

მაგრამ, ერთგული მისი მოვალეობისა: დაეცვა ქვეყნის დამოუკიდებლობა, საქ. რესპუბლიკის მთავრობას არ შეეძლო დაეშვა, რომ რომელიმე მის მეზობელს რესპუბლიკისათვის თავს მოეხვია თავისი ნება-სურვილი, თავისი კანონები და მისთვის ეკარნახა ესა თუ ის პოლიტიკა ევროპის ქვეყნების მიმართ. ამ მდგომარეობამ გამოიწვია მოსკოვის მთავრობის სიძულვილი საქათველოს მიმართ. მას უნდოდა მისი მპყრობელობა გაევრცელებია მთელს ამიერკავკასიაზე, რათა მას შეძლებოდა ის გამოეყენებია, როგორც პოლიტიკური იარაღი. საქ. მთავრობის გადაჭრილ უარზე, გამხდარიყო მოსკოვის აგენტი და მონაწილეობა მიეღო საბჭოთა რუსეთის იმპერიალისტურ ავანტიურაში, ბოლშევიკებმა გამოაცხადეს, რომ ეს მთავრობა იყო „ანტანტის" აგენტი.

საქართველოს „გასაბჭოება" შეიქმნა მთავარი ელემენტი ბოლშევიკების პოლიტიკისა წინა აზიაში.

მრავალი აჯანყებების და შეთქმულებების ჩაშლის შემდეგ, რომლებიც ეწყობოდნენ მოსკოვის ემისრების და ოქროს მეშვეობით, საბჭოთა მთავრობამ, მიუხედავად სამშვიდობო ხელშეკრულებისა, რომელსაც მან ხელი მოაწერა საქართველოსთან *1920* წლის *7* მაისს, გადაწყვიტა საქართველოს დაპყრობა სამხედრო ძალებით.

*1920* წლის დეკემბერში, რუსეთის მე-*11* წითელი არმიის სარდალს, გენერალ პეკერს, დაევალა მოხსენება წარედგინა თუ რა სამხედრო ძალები იქნებოდა საჭირო საქართველოს დასაპყრობად. თავის დაწვრილებით მოხსენებაში, გენერალი ასაბუთებდა, რომ მისი არმია ვერ შეძლებდა მოეხდინა ეს დაპყრობა თუ ანგორის მთავრობა თანხმობით არ იქნებოდა განწყობილი ამ წამოწყებისა. ბოლ-

შევიკები იძულებული იყვნენ გადაედვათ საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობა, მაგრამ დაუყოვნებლივ დაიწყო მათი ჯარების თავმოყრა საქ. საზღვრებზე. საქ. მთავრობის პროტესტები ამის შესახებ დარჩნენ უშედეგო.

ომის თავიდან ასაცილებლად, საქ. მთავრობა შეეცადა გამოერკვია მოსკოვის მთავრობის მიზნები ამიერკავკასიაში. მან ითხოვა მისი დაშვება რუსეთ-თურქეთის კონფერენციაზე, რომელიც დანიშნული იყო მოსკოვში, გასულ თებერვალში. ეს წინადადებაც დარჩა უპასუხოდ საბჭოთა მთავრობისაგან.

საქ. მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები, მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად სომხეთის მხრიდან, რომელიც ამ დროს უკვე „გასაბჭოებული" იყო, სასურველად დაგვირგვინდნენ: ერევნის მთავრობა დათანხმდა სადავო საკითხები მოლაპარაკებით მოგვარებულიყო ორ ქვეყანას შორის და გადაწყდა მოწვეულიყო თბილისში 15 თებერვალს.

მიუხედავად ამისა, 11 თებერვალს მე-11 არმიის რუსულმა ჯარებმა გადმოლახეს საქართველოს საზღვრები სომხეთის მხრიდან.

ბ-ნმა შეინმანმა, საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა თბილისში, მტკიცედ განუცხადა საქ. მთავრობას, რომ რუსეთმა არაფერი არ იცოდა ამ თავდასხმის შესახებ და, რომ ის იყო სომხეთის მთავრობის მიერ მოწყობილი.

იმავე დროს, საქართველოს მთავრობამ მიიღო საბჭოთა სომხეთის წარმომადგენლისაგან, ბ-ნ შაჰვერდოვისაგან არანაკლებ მტკიცე განცხადება, რომლის მიხედვითაც სომხეთი სრულიად უცხო იყო ამ თავდასხმაში.

ფაქტები ადასტურებენ, რომ ამ ორი განცხადებიდან ბ-ნ შაჰვერდოვის განცხადება იყო მართალი; თბილისის მახლობლად წარმოებულ ბრძოლების დროს, ქართულმა ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს მტრის მრავალი ჯარისკაცი. მათი დაკითხვებიდან გამოირკვა, რომ ყველა იყო წარმოშობით ცენტრალური რუსეთის პროვინციებიდან და ეკუთვნოდნენ მოსკოვის ჯარების რეგულარულ ნაწილებს. მაშასადამე საბჭოთა რუსეთმა, და არა სომხეთმა, საქართველოს შემოუტია თავისი ჯარები 11 თებერვალს სომხეთის მხრიდან.

15 თებერვალს, მე-11 არმიის ახალმა ნაწილებმა, გაძლიერებულმა კავალერიის შენაერთებისაგან, გადმოლახეს საქართველოს საზღვრები აზერბაიჯანის მხრიდან.

საქ. მთავრობა, რომელმაც მთელი თავისი ენერგია მიმართა შემოსული მტრის უკუსაგდებლად, შეეცადა ომის შეწყვეტას დიპლომატიური საშუალებებით.

16 თებერვალს, საქ. მთავრობის თავმჯდომარემ ტელეგრამით მიმართა მოსკოვის მთავრობას, მაგრამ საგარეო საქმეთა კომისრის თანაშემწემ, ნ-მა კარახანმა, რომელიც ტელეგრაფის მეორე ბოლოში იმყოფებოდა, უარი განაცხადა მასთან მოლაპარაკებაზე.

მეორე დღეს, ბ-მა ჩიჩერინმა, რომლისთვის თითქოს ცნობილი არ იყო საქართველოზე წითელი არმიის თავდასხმა, თბილისის რადიო-ტელეგრაფში გაგზავნილ დეპეშით საქ. მთავრობას შუამდგომლობა შესთავაზა საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებს შორის. თუმცა დიდ იმედებს არ ამყარებდა ჩიჩერინის ამ მიმართვის გულწრფელობაზე, საქ. მთავრობამ უპასუხა, რომ ღებულობდა ამ წინადადებას იმ პირობით, რომ რუსეთის მთავრობას თავისი ჯარები გაეყვანა საქართველოდან.

ამასობაში კი ვითარდებოდა სამხედრო ოპერაციები. ქართველი ხალხი გმირული წინააღმდეგობით შეხვდა თბილისის წინააღმდეგ ორი მხრიდან გაჩაღებულ შეტევებს. ჯარმა და სახალხო გვარდიამ უკუაგდეს მტრის ყველა იერიში, თუმცა ცოცხალი ძალით, შეიარაღებითა და საბრძოლო მასალით როდი შეედრებოდა მას.

21 თებერვალს, საქ. მთავრობის თავმჯდომარემ დეპეშით მიმართა ჩიჩერინს და სთხოვა მას განემარტა საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ გაჩაღებული ომის მიზეზები. ეს დეპეშა უპასუხოდ დარჩა, რის შემდეგ საქ. მთავრობის თავმჯდომარემ მოუწოდა ლენინსა და ტროცკის ამ აშკარა იმპერიალისტური და თავდასხმითი ომის შეწყვეტისაკენ.

ამის საპასუხოდ, საბჭოების მთავრობამ სამი ახალი მიმართულებით გაშალა შეტევები საქართველოს წინააღმდეგ - ვლადიკავკაზიდან სამხედრო გზაზე გავლით, მამისონის უღელტეხილიდან ქუთაისისაკენ და შავი ზღვის სანაპიროდან სოჩის მიმართულე-

ზით. ამგვარად, საქართველოს ყოველ მხრიდან შემოესიენ რუსეთის ჯარები, კერძოდ - მე-11 არმია, შემდეგ კი მე-8, მე-9 და მე- 13 არმიები, და აგრეთვე ბუდიონის და ელობას კავალერიის ნაწილები.

თუ მხედველობაში მივიღებთ ხალხის ენთუზიაზმს და მოხალისეთა დიდ რაოდენობას, საქ. მთავრობა იქნებ შესძლებდა მტრისადმი წინააღმდეგობის გაშლა-გაფართოებას, მაგრამ მან იარაღითა და საბრძოლო მასალით ვერ უზრუნველყო ერის ყველა შვილი, რომელიც მზად იყო თავი დაედო სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ საქ. მთავრობა ორი წლის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა სამშობლოს დასაცავად საჭირო სამხედრო ტექნიკის ევროპულ სახელმწიფოთაგან მიღებას. ასეთ დახმარებაზე დათანხმდა მხოლოდ ერთი სახელმწიფო, მაგრამ გადაწყვეტილება დაგვიანებული იყო.

ბოლშევიკები კი, იყენებდნენ რა ყირიმის ულევ რესურსებს, ქართული ლაშქრის წინააღმდეგ გზავდნიდნენ თანამედროვე შეიარაღებით აღჭურვილ ახალ-ახალ ძალებს.

22 თებერვალს, ბოლშევიკებს ახალმა ვითარებამ შეუწყო ხელი: ანგორის მთავრობამ საქ. მთავრობას წარუდგინა ულტიმატუმი, რომლითაც მოითხოვდა არდაგანის და ართვინის ევაკუაციას. საქართველოსთვის შეუძლებელი იყო თურქებისათვის, ე.ი. ახალ ფრონტზე წინააღმდეგობის გაწევა, და საქ. მთავრობა იძულებული შეიქმნა თავისი ჯარები გაეყვანა ამ ქალაქებიდან, თუმცა მან ამავე დროს ნათლად განაცხადა, რომ ამით არ წყდებოდა ეს საკითხი და რომ პრობლემის საბოლოო მოგვარება შეთანხმებასა ან არბიტრაჟს საჭიროებდა.

საქართველოს სამხედრო მდგომარეობა დღითი-დღე რთულდებოდა. ხუთი მხრიდან გარშემორტყმული საქ. რესპუბლიკა მეტად უთანასწორო ბრძოლაში იყო ჩაბმული. ქართულ ჯარს განადგურება ემუქრებოდა. საქ. უმაღლესმა სარდლობამ გადაწყვიტა თბილისის ევაკუაცია და უკან დახევა, რათა მოეხდინა ჯარის კონცენტრაცია ძლიერ პოზიციებზე. ჯარის ყველა ნაწილს მიეცა უკან დახევისა და რიონის მარცხენა ნაპირზე ბრძოლის გაგრძელების ბრძანება, ბათუმის როგორც სამხედრო ბაზად შენარჩუნებით.

25 თებერვალს, თბილისი დატოვებულ იქნა ქართული ჯარის ნაწილების მიერ. დაიწყო მთავარსარდალის მიერ ნაბრძანევი უკან დახევა. ბრძოლები ახალ ხაზზე სამ კვირას გაგრძელდა.

ქართველმა ხალხმა ამ ტრაგიკულ დღეებში კვლავ დაამტკიცა თავისი ერთიანობა და მტკიცე გადაწყვეტილება საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში. ფუჭად ჩაიარა ბოლშევიკების აგენტთა ყველა მცდელობამ სახალხო აჯანყებისა თუ სამხედრო ამბოხების მოწყობის მიზნით. მაგრამ სამხედრო ტექნიკას და მასალას მოკლებული, უმოკავშირედ, თავის ბედის ანაბარად მიტოვებული საქართველო, რომელიც არსაიდან დახმარებას არ მოელოდა, ხანგრძლივად ვერ გაუძლებდა დიდ რუსეთს... ანგორის მთავრობის პოლიტიკამ დააჩქარა მისი წინააღმდეგობის დასასრული. არდაგანის და ართვინის დაკავების შემდეგ, ქემალისტურმა მთავრობამ აუწყა საქართველოს, რომ მათ შორის უკვე აღარ არსებობდა სადავო საკითხები და საქ. დახმარება შესთავაზა, რათა ბოლშევიკური ჯარები არ შესულიყვნენ ბათუმის პროვინციაში. ქემალისტურმა მთავრობამ თხოვა საქ. მთავრობას, არავითარი წინააღმდეგობა არ გაეწია თურქეთის ჯარების ბათუმის პროვინციაში შესვლისათვის, ჯარებისა, რომლებსაც თითქოს მონაწილეობა უნდა მიეღოთ ამ რაიონის ბოლშევიკებისაგან დაცვაში.

მაგრამ, ბათუმში შესვლის შემდეგ, თურქებმა განაცხადეს: ანგორის დიდმა ეროვნულმა კრებამ დაადგინა მოხდეს ბათუმის და მთელი პროვინციის ანექსია და თურქები შეეცადნენ ძალით აეღოთ სახელმწიფოებრივი შენობები და ციხე-სიმაგრეები. თურქებმა ამავე დროს საქ. მთავრობას გაუგზავნეს ულტიმატუმი, რომლითაც მოითხოვდნენ ქართული ჯარის განიარაღებას. ბათუმში გაჩაღდა ცხარე ბრძოლები თურქებსა და ქართველებს შორის. ქართველებმა თურქები განდევნეს ქალაქიდან, მაგრამ საქ. ამ დღიდან ორ ფრონტზე მოუხდა ბრძოლა. ეს მეორე

ფრონტი კი იყო სწორედ აქ, სადაც მას სამხედრო ბაზა უზრუნველყოფილად მიაჩნდა. ქართული ჯარი, ·ირი ძლიერი სახელმწიფოს, რუსეთის და თურქეთის ჯარებით გარშემორტყმულს, არ გააჩნდა წარმატების არავითარი შანსი, განწირული იყო დასაღუპავად.

*17* მარტს, საქ. მთავრობამ გადაწყვიტა რიონის მარცხენა ნაპირზე ბრძოლების შეწყვეტა და ჯარის დაშლა, რამაც ბოლშევიკურ ძალებს გზა გაუხსნა ბათუმის და საქ. მთელი ტერიტორიისაკენ. ამის შედეგად, საქ. მთავრობა იძულებული გახდა დაეტოვებინა მტრის მიერ დაკავებული ტერიტორია. ეს იყო ერთადერთი გამოსავალი, რათა საქ. მთავრობას თავი აერიდებია დამპყრობელებთან ყოველგვარი პოლიტიკური კონტაქტებისაგან.

ბოლშევიკებმა, წითელი არმიის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, შექმნეს სამხედრო ხელისუფლება „რევოლუციური კომიტეტის" სახელწოდებით. საქ. რესპუბლიკის მთავრობამ ხალხისადმი მიმართვაში დააზუსტა თავისი დამოკიდებულება ამ კომიტეტისადმი. მან კერძოდ განაცხადა, რომ ლეგალურ ხელისუფლებად ვერ ჩაითვლებოდა რუსული ხიშტებით ქვეყანაში ძალით შემოტანილი ეს უზურპატორული კომიტეტი, რომელიც შედგება საქართველოს მტრის ჯარების ნაფეხურებს შემოყოლილ პირებისაგან, ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ. ამ კომიტეტს არავითარი უფლება არ ჰქონდა თავი ჩაეთვალა „ხელისუფლებად".

განაცხადა რა პროტესტი ქართველი ხალხის წინააღმდეგ გამოყენებული ძალმომრეობის გამო, საქ. მთავრობამ კვლავ გაიმეორა, რომ ნებისმიერ პირობებში და ყველგან ერთგული დარჩება თავისი მოვალეობისა, ესე იგი, დაიცავდა ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს,–თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

ზემოდ ჩამოთვლილი ფაქტები ნათლად ადასტურებენ :

*1.* არა შინაურმა მოძრაობამ, გამომდინარემ თუნდაც ხალხის უმცირესობისაგან, არამედ უხეშმა გარეშე ძალამ დაარღვია ხალხის მიერ თავისუფლად მიღებული დემოკრატიული კონსტიტუციური წესწყობილება და მის ნაცვლად შემოიღო საბჭოთა რუსეთიდან გადმოღებული ინსტიტუტი.

2. ქართველმა ხალხმა გმირული წინააღმდეგობა გაუწია მტერს და მან , თავისი მთავრობის ირგვლივ დარაზმულმა, თავისი მიწა-წყალი დათმო მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ამოწურა წინააღმდეგობის ყველა შესაძლებლობა.

3. საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა არის უცხო ჯარის მიერ ქვეყნის სამხედრო ოკუპაცია.

იძულებული, ბოლშევიკური ოკუპაციის გამო, დაეტოვა ეროვნული მიწა-წყალი, საქართველოს მთავრობა აგრძელებს დამფუძნებელი კრებიდან მიღებული მანდატის და იმ ვალდებულების შესრულებას, რომელიც მან ხალხის წინაშე იკისრა, იცავს რა ამ ხალხის ინტერესებს იმ სახელმწიფოების წინაშე, რომლებმაც იცნეს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

პარიზი. *1921* წლის აპრილი

(საქ. მთავრობის ეს წერილობითი მოხსენება ამოღებულია: „*DOCUMENTS relatifs a la question de la Georgie devant la Societe des Nations*"-დან. *Edition de la Legation de georgie en France. Paris 1925.*)

## მ თ ა ვ ა რ ი  შ ტ ა ბ ი ს  ზ ო გ ი ე რ თ ი  კ ო მ უ ნ ი კ ე

*12* თებერვალი: „ღამით *1*··დან *12* თებერვალს, რეგულიარული ჯარის ნაწილები, სომხეთის მხრით, მოულოდნელად დაესხნენ თავს ბეზობდალით ჩვენს მოწინავე სადარაჯოებს სადგურ შაგალისთან და სოფელ შინიხთან, ბორჩალოს მაზრაში. ამავე დროს, ბორჩალოს მაზრაში მოსაზღვრე მოსახლეობის ნაწილმა, შემდგარმა სომხებისა და რუსებისაგან, მოახდინა აჯანყება და შეუერთდა თავდამსხმელებს, მეორე ნაწილი კი ჩვენი ერთგული დარჩა და თავი.

დროზე შეგვატყობინა განზრახული თავდასხმის შესახებ. ბეზობდალის მხრით თავდამსხმელნი გავფანტეთ. ვორონცოვკის რაიონში აჯანყება დაძლეულია. შაგალის, უზუნლიარის და შინიხის რაიონებში ბრძოლა სწარმოებს.

— — — —

*14* თებერვალი: *13* თებერვალს ჩვენი ჯარები აწარმოებდნენ ბრძოლებს ვორონცოვკის და სადახლოს სამხრეთით. ხელში ჩაგვივარდა ტყვეები რომლებიც მოწმობენ, რომ ჩვენს წინააღმდეგ მოქმედობენ სომხურ-რუსული საბჭოთა ჯარები.

— — — —

*15* თებერვალი: *14* თებერვალს სადახლოს რაიონში წარმოებდა სროლა და მზვერავთა მოქმედება. მტერს ამ რაიონში აქტიურობა არ გამოუჩენია. ლორის ველზე მტერი შეეცადა გადმოსულიყო შეტევაზე, მაგრამ ჩვენი ჯარების ცეცხლმა მტრის ცდა გააქარწყლა. ღამით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ამ რაიონში უფრო ხელსაყრელი პოზიციები სიმაღლეებზე, რომლებიც ვორონცოვკის ჩრდილოეთით მდებარეობენ. არტილერიის ნაწილი, რომლის შესახებ *12* თებერვლიდან ცნობები არ გვქონია და რომელიც შინიხის რაიონში დაღუპულად ითვლებოდა, გზა გაიკაფა მის გარშემორტყმულ მტრის რკალში და მთის ბილიკებით გამოვიდა თავისიანებთან შესაერთებლად.

— — — —

*19* თებერვალი: ღამით *18*-დან *19* თებერვალს მტერმა დიდი ძალებით იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე თბილისის კარებზე. გააფთრებული ბრძოლა მთელი ღამე გაგრძელდა. მტერი უკუგდებული იქნა მძიმედ დაზიანებული და უწესრიგოდ მირბის. ჩვენ უკან მივდევთ. ჯერ-ჯერობით ხელთ ვიგდეთ ათასი ტყვე.

— — — —

*20* თებერვალი: კოჯორის რაიონში ჩვენ ხელთ ვიგდეთ ზარბაზნები და ტყვიისმფრქვევლები. მტრის დევნა გრძელდება. გაგრის რაიონში, მდინარე მეხადირზე წარმოებს ბრძოლა.

— — — —

*21* თებერვალი: *20*-დან *21* თებერვლის ღამით მტერმა, ახლად შემატებული ჯარებით გაძლიერებულმა, ორჯერ შეუტია ჩვენს ნაწილებს კოჯორის რაიონში, ორჯერვე მან მოაღწია ჩვენს სანგრებამდე. პირველი იერიში მოგერიებული იქნა ხელით სასროლი გრანატებით, მეორე კი ხიშტით შეტაკებით დამთავრდა. ჩვენი ჯარები, მიუხედავად უკიდურესი დაღლილობისა, ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლის გამო, ორჯერ გადავიდნენ კონტრშეტევაზე და მამაცური თავდასხმით უკუაგდეს მტერი. ყველა შემდეგი ცდა მტრისა შემოტევისა ჩვენი ნაწილებისათვის უკუგდებული იქნა ცეცხლით. დილის *8* საათზე, *21* თებერვალს მტერმა დაიწყო უკან დახევა. *20* თებერვალს დაიწყო მტრის შემოტევა ადლერის მხრით...

— — — —

*22* თებერვალი: თბილისის მიდამოებში ჩვენი ჯარები მისდევენ კოჯორთან დამარცხებულ მტერს. გუშინ ჩვენმა მოწინავე ნაწილებმა და მზვერავმა რაზმებმა დაიკავეს სოფლები კუმისი და წალასკური. კუმისთან მოულოდნელი თავდასხმით ღამე, ჩვენებმა ხელთ იგდეს მტრის რვა ტყვიისმფრქვეველი, სამი ოფიცერი და *53* წითელარმიელი. წალასკურთან-უუმბარის და პატრონების ყუთები. კახეთში დაიწყო ადგილობრივი გლეხების ძლი-

ერი პარტიზანული მოქმედება ბოლშევიკური კავალერიის წინააღმდეგ. დარიალში, მტრის ცდა ჩვენს პოზიციებს მოახლოებოდა უკუგდებული იქნა.

— — — —

23 თებერვალი: 22 თებერვალს თბილისის მდამოებში სიწყნარე იყო, მხოლოდ საღამოს დაიწყო მტრის მცირე ნაწილების შემოტევა ყარაიაზის მხრით, საგარეჯოზე. კახეთში გლეხების პარტიზანული ბრძოლა ძლიერდება. დარიალის ხეობაში მტრის შემოტევა უკუგდებული იქნა. გაგრის მიმართულებით მტერმა მრავალრიცხოვანი ძალებით შემოუტია ჩვენს მოწინავე სადარაჯოებს. ბრძოლები გრძელდება... (იხ. „ბრძოლა" №19-20. *1926* წ.)

## დამფუძნებელი კრების ორი დადგენილება

### საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება, არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით, ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, თავის *1921* წ. *21* აპრილის სხდომაზე ერთხმად ამტკიცებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციას.

### სამშობლოს მოღალატეების შესახებ

დამფუძნებელმა კრებამ *21* თებერვალს საღამოს სხდომაზე გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

„იღებს რა მხედველობაში, რომ საქართველოზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებენ ქართველი ხალხის უღირსნი შვილნი, დამფუძნებელი კრება ადგენს: ყველა ქართველები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ შეიარაღებულ ბრძოლაში საქართველოს წინააღმდეგ ან დახმარებას უწევენ ამ ბრძოლას, გამოცხადებული არიან ქართველი ხალხის მოღალატეებათ. მათ ერთმევათ ყოველივე ქონება და კანონს გარეშე არიან გამოცხადებულნი. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა ევალება მთავრობას".

## კათალიკოს ამბროსის მიმართვა
### გენუის კონფერენციისადმი

„კულტურულ კაცობრიობას, გენუის კონფერენციაზე წარმოდგენილს, მონა ღვთისა ამბროსი, სულიერი მწყემსი და პატრიარქი სრულიად საქართველოისა, ქრისტეს მიერ სიყვარულით მოიკითხავს.

ჯერ კიდევ არაქრისტიანულ ხანაში, კავკასიონის ძირში, შავისა და კასპიის ზღვებს შორის, ქართული მოდგმის ტომებმა შექმნეს, პატარა სივრცით, მაგრამ ძლიერი ნებისყოფით და მდიდარი აქტიური ნიჭით, სახელმწიფო, რომელიც ცნობილია ისტორიაში საქართველოს სახელით და, რომელიც საუკუნეთა განმაელობაში ერთადერთი მატარებელი იყო წინა აზიაში ქრისტიანული კულტურისა და ევროპული ჰუმანიზმისა.

მე-18 საუკუნის გასულს, გარეშე მტრებთან ბრძოლაში ძალამიხდილი, ქართველი ერი ნებაყოფლობით მიეკედლა ერთმორწმუნე რუსეთს, იმ იმედით, რომ მისი მფარველობის ქვეშ საქართველო უზრუნველყოფდა თავის პოლიტიკასა და ეროვნულ არსებობას, რაც აშკარად არის აღნიშნული 1783 წლის საქ. მეფე ერეკლე მეორის და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორის შორის დადებულ პოლიტიკურ ტრაქტატში.

მაგრამ, სამწუხაროდ, გაცრუებულ იმედების ამარად დარჩენილი ჩემი სამშობლო 117 წლის განმაელობაში რუსეთის ბიუროკრატიისგან განიცდიდა მხოლოდ მწვავე დესპოტიას და აუტანელ შევიწროებას. ამიტომ 1917 წელს, დაირღვა თუ არა რუსეთის იმპერიის ხელოვნური მთლიანობა, ქართველმა ერმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა და დაუყოვნებლივ ხელი მოჰკიდა თავისი პოლიტიკურისა და ეროვნულ-კულტურული ცხოვრების რესტავრაციას. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუშაობაში მას აფერხებდნენ შინაური და გარეშე მტრები, მან გამოიჩინა ისეთი ნიჭი და ეროვნული შემოქმედებითი ენერგია, რომ სამი წლის შემდეგ განათლებულმა ევროპამ სცნო მისი სახელმწიფოებრივი უნარი და ადგილი უბოძა საქართველოს დამოუკიდებელ, სუვერენულ პოლიტიკურ ერთეულთა შორის.

რასაკვირველია, ამას ვერ შეურიგდა მისი ბატონი, მცირე ერთა მჩაგვრელი რუსეთი: მან დასძრა საქ. საზღვრებისაკენ საოკუპაციო არმია და 1921 წ. 25 თებერვალს, უსწორო ბრძოლაში სისხლიდან დასცალა საქართველო, ხელმერედ დაადგა კისრად ისეთი მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი, რომლის მსგავსი მას არ განუცდია თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

ოკუპანტები მართალია ლამობენ შინ და გარედ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაანთავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად გრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე, მისმა სულიერმა მამამ და დღესდღეობით ერთადერთმა ნამდვილმა მოძღვარმა, რომლის ხელშიაც არის ამ ერის გულიდან გამომავალი იდუმალი ძაფები და, რომელსაც უშუალოდ ესმის მისი კვნესა და ვაება.

თამამად და გაუზვიადებლად ვამბობ: ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომლებსაც ამ უკანასკნელ წლებში ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკურად გადაშენებისა და სულიერად გაველურების და გახრწნის კარამდე.

ერს ართმევენ მამა-პაპათა სისხლით და ძვლებით გაპოხიერებულ მიწა-წყალს, რომელს უცხოეთიდან შემოხიზნულთ ურიგებენ; მათი წყალობით ისედაც გაღატაკებულ ერს პირიდან გლეჯენ მისი სისხლითა და ოფლით მონაგარ სარჩოს და გაუგებარი სიჩქარით იმავე უცხოეთში ეზიდებიან.

ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას, მას უბილწავენ ეროვნულ მამაპაპეულ კულტურას. დასასრულ, მას უბღალავენ წმიდათა წმიდას- სარწმუნოებრივ გრძნობას და, სინდისის თავისუფლების დროშის ქვეშ, ნებას არ აძლევენ თავისუფლად დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილება. მისი სამღვდელოება უკიდურესად დევნილია, მისი ეკლესია- ეს ძველისძველადვე ფაქტორი საქ. ეროვნული სახელმწიფოებრივი ამა-

ლებისა და ძლიერებისა- დღეს უფლება აყრილია იმდენად, რომ ნებაც არა აქვს თავისი შრომით, გარჯილობით და უნარით მოიპოვოს მუდმივი სახსარი არსებობისა. ერთი სიტყვით, ერი კვნესის, ერი გმინავს, მაგრამ საშუალება არა აქვს ხმის ამაღლებისა.

ამ პირობებში ჩემს მწყემსთმთავრულ მოვალეობად ვრაცხ კულტურული კაცობრიობის გასაგონად ვთქვა: მე, როგორც ეკლესიის წარმომადგენელი, არ შევდივარ პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ფორმის დაფასებაში და რეგლამენტაციაში, მაგრამ არ შემიძლია არ ვისურვო ჩემი ერისთვის ისეთი წყობილება, რომელიც შედარებით უფრო მეტად შეუწყობს ხელს მის ფიზიკურ აღორძინებას და კულტურულად განვითარებას. ამიტომ გთხოვთ:

1. დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს საქ. საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილი იქნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრება-მიტაცებისაგან.

2. საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლად და უკარნახოდ, მოაწყოს თავისი თავი ისე, როგორც ეს მას უნდა, შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორც შის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება.

სრული იმედი მაქვს, რომ მაღალპატივცემული კონფერენცია, რომელსაც მიზნად დაუსახავს გაარკვიოს უდიდესი პრობლემები კაცობრიობის ცხოვრებისა და დაამყაროს ქვეყანაზე სამართლიანობა და თავისუფლება, არ უგულებელ ჰყოფს პატარა საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნილებას, დღეს ჩემი პირით წარმოთქმულს, და დაიხსნის მას ძალმომრეობისა და სამარცხვინო კლანჭებისაგან.

კურთხევა უფლისა იყოს თქვენზედა და თქვენს კეთილშობილურ მისწრაფებასა და მუშაობაზე. მდაბალი ამბროსი, პატრიარქი სრულიად საქართველოისა.

1922 წლის 7 თებერვალი. თბილისი.

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემულო მსმენელებო, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის - ამბროსის - სიტყვები, რომლებითაც მან მიმართა ბოლშევიკურ სასამართლოს 1924 წელს, თბილისში. მოგაგონებთ, ბოლშევიკებმა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი გაასამართლეს იმისათვის, რომ მან 1922 წელს ოფიციალური მემორანდუმ-წერილი გაუგზავნა გენუის კონფერენციას იტალიაში, რომელშიც ის აღწერდა საქართველოს მაშინდელ უმწეო პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობას და მოითხოვდა საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ნაწილების გაყვანას საქართველოდან და საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენას. და როცა ბოლშევიკური სასამართლო შეეცადა მისი უწმინდესობის - ამბროსის - მორალურ გატეხას და მოითხოვდა მისგან თავისთავის დამნაშავედ ცნობას, კათალიკოს-პატრიარქმა - ამბროსიმ ბოლშევიკ მოსამართლეებს უპასუხა:

"ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, ჩემი გული კი საქართველოს, ხოლო ჩემს გვამს რაც გსურთ ის უქენით!."

## გ ე ნ ე რ ა ლ  ჰ ე კ ე რ ი ს  ს ა ი დ უ მ ლ ო  მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

(საბჭოთა რუსეთის წითელი მეთერთმეტე არმიის სარდლის, გენერალ ჰეკერის მოხსენება „კავკასიის რევოლიუციურ-სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე ორჯონიკიძისადმი)

„ 1920 წლის 18 დეკემბერი. საიდუმლო.

თქვენი წერილის, №1753, საპასუხოდ ქვემოდ მოგახსენებთ მოსაზრებებს თუ რა პირობებში უნდა მოხდეს საქართველოში შეჭრა და რა უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ამისათვის:

1. საერთაშორისო მდგომარეობა, ჩვენი დამოკიდებულება თურქეთთან.
2. ჩვენი ძალების მდგომარეობა, რომელთა გადაჯგუფება განსაზღვრულ ვადაში შეიძლება თავდასხმის პუნქტებზე.
3. ქართული ჯარის მდგომარეობა და რიცხობრივი ძალა.
4. მდგომარეობა ჩვენს ზურგში.

როგორც უკვე მოგახსენეთ „მე-11 არმიის რევოლიუციურ-სამხედრო საბჭოს" კრებაზე ამა წლის[1920] 3 დეკემბერს, საქართველოს წინააღმდეგ ოპერაციები შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში თუ კიაზიმ კარაბეკირის[ქემალისტური თურქები] ჯარები დაიცავენ გარკვეულ მეგობრულ ნეიტრალიტეტს, რადგან, იმ შემთხვევაშიც თუ ამ ოპერაციისთვის დაინიშნებიან მეთერთმეტე არმიის გარდა, მთლიანად მეცხრე არმია და მეორე არმიის კავალერია, ჩვენს კომანდობას არ ეყოლება საკმარისი ძალები თურქების წინააღმდეგ ჯებირი რომ შევქმნათ. ჩვენი უწყების ცნობების მიხედვით, კიაზიმ კარაბეკირის ძალები, სარაყამიშ-ალექსანდრეპოლის ხაზზე აღწევს 22-24000 რეგულიარულ ჯარისკაცს და 14-16000 ქურთ და თათარ კავალერისტს. ვიღებთ რა მხედველობაში სომხური ჯარის სისუსტეს, რომელიც სრულ დაშლის კრიზისს განიცდის და, რომელიც საფუძვლიან რეორგანიზაციას მოითხოვს, ჩვენ თურქების შესაკავებლად უნდა დავაყენოთ ძალები, რომლებიც ერთ ქვეით დივიზიაზე და ერთ კავალერიის ბრიგადაზე მცირე არ იქნება.

ამ შემთხვევაშიაც კი ჩვენი ოპერაცია ყაზახ-წითელი ხიდის მიმართულებით და შორსაც, თბილისისაკენ, შეფერხებული იქნება. ქართული ჯარის ნაწილების მიერ სერიოზული წინააღმდეგობის შემთხვევაში, ჩვენი ჯარები შეიძლება კატასტროფიულ მდგომარეობაში ჩავარდნენ.

ამგვარად, მე არ ვხედავ შესაძლებლობას ასეთი ჯებირის მოსაწყობად, მითუმეტეს სამხედრო ოპერაციების დასაწყისში ვერ გავბედავ, გამოვიყვანო ჯარები, რომლებიც დაკავებული არიან ლენქორანში, დაღესტანში, ჯავუშირში და ყარაბაღში.

ასეთ პირობებში, ჩემი ღრმა რწმენა არის, რაც წერილობით უნდა მოგახსენო, რომ ჩვენი ურთიერთობის თურქებთან წინასწარი მოგვარების გარეშე საშიში იქნება საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების დაწყება.

თუ მეთერთმეტე არმიის რევოლუციური-სამხედრო საბჭო მიიღებს რეალურ გარანტიებს იმისას, რომ კიაზიმ კარაბეკირის ჯარები ჩვენს მიმართ მეგობრულ განწყობილებას დაიჭერენ, საქართველოს ოკუპაციის პრობლემა, და, უპირველესად ყოვლისა თბილისის, უფრო რეალური გახდება. საქართველოს წინააღმდეგ სრულიად უსაშიშრო ოპერაციის ჩასატარებლად მე მიმაჩნია საჭიროდ შემდეგი ძალების თავმოყრა: ყაზახ-წითელი ხიდის ხაზზე ორი ქვეთი დივიზია და ორი კავალერიის დივიზია, ფოილოსაკენ- ქვეითი ჯარის ერთი დივიზია და კავალერიის ორი დივიზია, ალსტაფა-ელიზავეტოპოლის ხაზზე ქვეითი ჯარის ორი დივიზია. სულ ექვსი დივიზია ქვეითი ჯარისა და ხუთი დივიზია კავალერიისა. სრული ნამდვილი რიცხვით: 25 000 ხიშტი და 4000 ხმალი. ფოილოს მიმართულებით ამის გარდა კიდევ უნდა გვყავდეს სამი ჯავშნოსანი მატარებელი. სოჭის მიმართულებით ქართული ჯარების შესაკავებლად იქ უნდა დავტოვოთ ქვეითი ჯარის ერთი დივიზია, ხოლო ვლადიკავკაზის დასაფარავად—ამხანაგ იქსის მოძრავი ჯარი. ეს ძალები უნდა გა-

მოვყოთ მეცხრე და მეთერთმეტე არმიებიდან. ამ გამოყოფისათვის, თუ შესაძლებელია მათი სამხრეთის ფრონტზე გადმოყვანა, უნდა მოვიხმაროთ პირველი არმიის ერთეულები.

პირველი გეგმით, საქართველოში შესასვლელად, ოპერაციებისათვის თბილისის წინააღმდეგ უნდოდათ დაენიშნათ სპეციალური ერთეულები მეოცე, მეთვრამეტე, მეოცდათორმეტე და მეოცდარვე დივიზიებისა, ამხანაგ შერშენევის, კავალერიის დივიზიების: მერვესა და მეთვრამეტეს ერთეულები, რომლებიც უნდა გამოეყვანონ მეცხრე და მეთერთმეტე სხვა ერთეულებიდან. დამხმარე ძალები დასახელებულ ნაწილებიდან უნდა გამოეყონ იმ ფრონტის ნაწილებიდან, რომლებსაც ეხებათ მთავარსარდლის დეპეშა, რათა ჩემი არმია გაძლიერებულიყო. ამ პირობებში, დეკემბრის დამდეგისათვის, მე მეყოლებოდა საკმაო ძალები საქართველოს წინააღმდეგ გასალაშქრებლად, მაგრამ პოლიტიკურმა ამბებმა, რომლებსაც თქვენ კარგად იცნობთ, შეუძლებელი გახადა ამ გეგმის შესრულება. დამხმარე ძალები ჩემი არმიისთვის მოდიოდნენ უფრო დაგვიანებით, ვიდრე ეს ნაგულისხმები იყო. სამხრეთის ფრონტის რევოლიუციურ-სამხედრო საბჭოს №5376 დეპეშის მიხედვით, მეორე არმიის კავალერიის ტრანსპორტი შეჩერებული იქნა, ეშელონები №№134-628-661-312-454 დაკავებული იქნენ გუდერუ-პეტროვსკის ხაზზე, მეოცდარვე ქვეითი დივიზიის ნაწილები ვერ გამოიყვანეს და ვერ გაგზავნეს ფრონტზე, და განიცადეს რა დიდი დანაკლისი თვითონ მათ სჭირდებათ შევსება, მთელი მე-32 ქვეითი დივიზიიდან მხოლოდ მე-96 ბრიგადის გაყვანა შეიძლება ყაზახის მიმართულებით, მე-18 დივიზიის ერთეულებსაც სჭირდებათ დამხმარე ძალები და მათი თავმოყრა ძალიან ჭიანურდება. პეტროვსკში მოსვლისას ეშელონები გადავიყვანეთ ჩემი ბრძანებით ლენკორანის რაიონში. ამგვარად, აქსტაფა—ყაზახის რაიონში, უკეთეს შემთხვევაში შესაძლებელია ამჟამად ლაშქრობაში შევიყვანოთ განზრახულის მხოლოდ მეოთხედი ძალები. დეკემბრის ოთხს(1920 წ.), ყველა ვითარების აწონდაწონის შემდეგ, მე მოვახსენე საქართველოს რესპუბლიკის შესახებ რევოლიუციურ-სამხედრო საბჭოს, რომ ყოვლად შეუძლებელია შესრულდნენ რევკომის ბრძანებები და დასრულდეს ჯარების თავმოყრა საქართველოს წინააღმდეგ თვით დეკემბრის თვის დასასრულისათვის. თუ დამხმარე ძალების მოსვლა დაგვიანებით გაგრძელდება, წინა მოხსენებულის დამატებით და შესავსებათ გაცნობებთ, რომ საჭიროა ჩქარი გადმოყვანა ჯარებისა ჩრდილო კავკასიიდან და მეორე არმიის კავალერიისა, თუგინდ ამით დროებით დაბრკოლდეს საქონლის გადაზიდვა, რათა სულ მოკლე ხანში ჯარის ნაწილები ისეთ ვითარებაში მოხვდნენ, რომ შეეძლოთ ყოველ წუთში რევოლიუციის მიმართ თავისი მოვალეობა აღასრულონ.

ასევე უნდა შესრულდეს ჯარის მომარაგების საქმეც. ვიღებ რა მხედველობაში მომარაგების მდგომარეობას, წინადადებას გაძლევთ მოუცადოთ ხორბლის მოტანას და დამხმარე ძალების მოსვლას, რაც დაგვიანებით გაგრძელდება, მის დაწყობას ელიზავეტოპოლში, მანამ სანამ საქართველოზე თავდასხმას დავიწყებდეთ. მითუმეტეს, რომ თბილისზე ლაშქრობის დროს ჯარის მომარაგებას გზაზე შეუძლია გამოიწვიოს პროტესტები მოსახლეობისა, რომელიც მტრულადაა განწყობილი წითელი არმიის მიმართ.

ზურგის მდგომარეობაზე; კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ზურგი არ შემიძლია უშიშრად ჩავთვალო თუ შემდეგი ერთეულები არ იქნებიან ჩემს განკარგულებაში: ლენკორანის რაიონში ერთი ნაწილი ქვეითი ჯარისა და ერთი კავალერიისა ტერტერა-შუშაჯებრაილის რაიონში, ორი ნაწილი ქვეითის და ერთი კავალერიისა აუცილებელია ვანქაშუშა-შერუსის რაიონში, ნუხის რაიონში ერთი ნაწილი ქვეითისა, ბაქოს და რკინიგზის დაცვა მოითხოვს არა ნაკლებ ერთი დივიზიისა. ამის დამოუკიდებლად, საიდუმლო დაწესებულებების ცნობით, აპრილში უნდა მოველოდეთ მასიურად თურქების შემოსვლას ჯებრაილის რაიონში. აუცილებელია ახლავე დავიკავოთ არაქსზე გადმოსასვლელი ყველა პუნქტი და ამ მიზნით იქ საკმაო ძალები უნდა მივიყვანოთ.

რაც შეეხება ქართული ჯარისა და გვარდიის მდგომარეობას, ამის გამო აქ აღარ ვლაპარაკობ, რადგანაც ამაზე უკვე მოვახსენე დაწვრილებით რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს 1920 წლის 24 ნოემბერს. აქ მხოლოდ უნდა გავიმეორო, რომ მიუხედავად სისუსტისა და რევოლუციური სულისკვეთებისა, ქართულ ჯარებს შეუძლიათ წინააღმდეგობა, განსაკუთრებით თუ თავიდანვე ჩვენ ინიციატივა წაგვერთვა.

ყველა ეს მოსაზრება სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ შეუძლებელი იქნება საქართველოზე შეტევა, არამედ მგონია, რომ ეს უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ კარგი მომზადების შემდეგ, რათა სასწრაფოდ მოვუთავოთ ხელი თბილისის ხალხს. თუ მაინც პოლიტიკური მოვლენები გვაიძულებენ დავიწყოთ შეტევა, მაშინ უნდა მოველოდეთ იმას, რომ ომი საქართველოს წინააღმდეგ მიიღებს ხანგრძლივ ხასიათს.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ შეგვიძლია დაუბრკოლებლად ოკუპაცია მოვუხდინოთ მთელ საქართველოს ტერიტორიას სურამის ქედამდე, მაგრამ შემდეგ ჩემი ჯარები შეფერხდებიან. ამის გამო, ნებას ვაძლევ თავს გაგაფრთხილოთ, რომ უნდა დავაგვიანოთ შეტევა საქართველოს წინააღმდეგ, სანამ შემდეგი პირობები არ განხორციელდებიან:

1. კონცენტრაცია ბაქო-ბულახ-ნუხა-ელიზავეტპოლ-ყაზახში მეშვიდე ქვეითი დივიზიის და მეორე არმიის კავალერიისა.
2. ბაქო-ელიზავეტპოლის ხაზზე სანოვაგით დატვირთულ მატარებლების მოსვლა, რომელი სურსათიც საკმარისი იქნება დეკემბერ-იანვრის თვეთა განმავლობაში.
3. შეთანხმება თურქეთის სარდლობასთან.

ამ პირობების და ჯარის ერთეულთა სიმტკიცის შემთხვევაში, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კამპანია საქართველოს წინააღმდეგ შეიძლება მოთავდეს ექვსი კვირის განმავლობაში.

მე თქვენ გთხოვთ ანგარიში გაუწიოთ ზემოდ აღნიშნულ მოსაზრებებს თქვენს მოხსენებაში „რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს" თავმჯდომარის მიმართ."

(„კავკასიონი" №15) მე-11 არმიის სარდალი: ჰეკერი

<u>ლიქერი:</u> <u>("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")</u>

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება,

ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატრიოტული მხმენელებო, ჩვენი მწერლების - რევაზ ჯაფარიძისა და ნოდარ წულეისკირის სიტყვები; რომლებიც მათ წარმოთქვეს საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის - ედუარდ შევარდნაძის - თანდასწრებით ქართული ენის დაცვის მიზნით, ქართული ენისა, რომელსაც მისკოვისა და იმ დროის პარტიულმა ხელმძღვანელობამ მოქმედ მკრად გაუსადა უცხო ერის, რუსი ერის ენა - რუსული ენა, იმ მომიზეზებით, რომ თითქოს "ლენინის ენა" უფრო მნიშვნელოვანი იყოს ქართველი ერის, საქართველოს მოსახლეობისათვის, ვიდრე "რუსთაველის ენა".

"ქართული ენით - ამბობდა აკადემიკოსი ნიკო მარი - ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაიმე რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე რუსულის ან ლათინური ევროპისა, რომ არათუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრულად ცოტამში ვერ ჩამოსხვას.

ანტიმპერიალისტი ქართველი, შეიძლება ითქვას, მინაგანი თვისება ხელში იგრომბოვლით ენისა.

## ფილიპე მახარაძის საიდუმლო მოხსენება
### რუსეთის კომპარტიის ცეკასადმი, საქ. „გასაბჭოების" 9 თვისთავზე

„უკვე ცხრა თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამკვიდრდა. ვადა სრულიად საკმაოა იმისათვის, რომ ერთგვარი ჯამი გავუკეთოთ ამ ხნის განმავლობაში წარმოებულ მუშაობას. სამწუხაროდ ამის გაკეთება აქ შეუძლებელი ხდება.

ამ მოხსენებაში მე მხოლოდ ორ მიზანს ვისახავ: *1.* დავხატო ის პირობები, რომელშიაც ჩვენ მოგვიხდა მუშაობა საქართველოში დღიდან იქ საბჭოთა ძალაუფლების დამყარებისა და *2.* მივუთითო იმ ღონისძიებებზე, რომლებიც საშუალებას მოგვცემდნენ უფრო წარმატებით გვეწარმოებინა, როგორც პარტიული, ისე საბჭოთა აღმშენებლობა საქართველოში.

უწინარეს ყოვლისა უნდა მივუთითოთ იმ გარემოებაზე, რომ *1921* წლის დასაწყისში, ესე იგი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას, ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობა საქართველოში მეტისმეტად უნუგეშო იყო, რაც შედეგი იყო იმ ლეგალიზაციის, რომელიც გამოცხადდა საბჭოთა რუსეთსა და მენშევიკურ მთავრობის შორის დადებული ხელშეკრულების ძალით *1920* წლის *8* მაისს. ნამდვილად კი ეს ლეგალიზაცია მენშევიკურ საქართველოში პირდაპირ პროვოკაცია შეიქნა, სადაც ლეგალური არსებობა ყოვლად შეუძლებელი იყო. თავისთავად ცხადია, რომ ეს მეტად მცირე ლეგალური შესაძლებლობა მაქსიმალურად უნდა გამოგვეყენებინა, რასაც ჩვენ კიდევაც ვშეებოდით შეძლებისდაგვარად, მაგრამ ამავე დროს საჭირო იყო არალეგალური აპარატის დატოვებაც. ამაზე მე ვუთითებდი ჯერ კიდევ ლეგალიზაციის დასაწყისში(დაახლოებით *1920* წლის მაისის დამლევს) პირველსავე პარტიულ თათბირზე, რომელიც მაშინ მოწვეული იყო ჩვენი მომავალი ტაქტიკის გამოსარკვევად საქართველოში, და მე მაშინვე ვაფრთხილებდი ამხანაგებს არ გატაცებულიყვნენ მაინცდამაინც ლეგალური მუშაობით. სამწუხაროდ, ჩემი რჩევა მაშინ არ გაიგონეს. ზოგიერთი ამხანაგი მეტად გაერთო ჩვენი პარტიის ცრუ ლეგალიზაციით და, მიუხედავად კომინტერნის მეორე კონგრესის დადგენილებისა, რუსეთის კომპარტიის ც.კ-ს სპეციალური დირექტივებისა–კომუნისტური პარტიის მუშაობის შესახებ ბურჟუაზიულ ქვეყნებში—მათ არას გზით არ უნდოდათ არალეგალური აპარატის ორგანიზაცია და მოითხოვდნენ მხოლოდ და მარტო ლეგალურ მუშაობას. სამწუხაროდ, ჩემი წინასწარმეტყველება ახდა გაცილებით ადრე, ვიდრე მე თვითონ ვფიქრობდი დადებული ლეგალიზაციის შესახებ და *6-7* თვის შემდეგ ჩვენი პარტიიდან მხოლოდ ნამსხვრევები დარჩა. ამრიგად, *1921* წლის დასაწყისში საქართველოს კომპარტია სავსებით თავმოკვეთილი შეიქმნა და ამ თავმოკვეთაში ბრალი ჩვენ გვედება და განსაკუთრებით იმ ამხანაგებს, რომლებიც მაშინ უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ პარტიულ მუშაობას საქართველოში. მე კი კავბიუროს დადგენილებით *1920* წლის სექტემბრიდან გაწვეული ვიყავი მოსკოვში. პირდაპირ გასაკვირველი და გასაოცარია, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ამგვარად განადგურების შემდეგ, კავბიურო ვერ მიხვდა გაეგზავნა საქართველოში თუნდაც რამდენიმე მუშაკი, რომლებიც მონახავდნენ ადგილობრივ გადარჩენილ იაჩეიკებს, შეაკავშირებდნენ მათ და მისცემდნენ სათანადო დირექტივებს. ამაზე არავინ ფიქრობდა და მოხდა ის, რომ როდესაც დაიწყო წითელი ჯარების შეტევა, ამ შეტევის მიზანსა და განზრახვაზე არც ერთმა იაჩეიკამ, წარმოიდგინეთ, პარტიის არც ერთმა წევრმა საქართველოში არ იცოდა და ეჭვიც კი არ ჰქონდა. ამიტომ, ჩვენი ორგანიზაციების მხრივ, რამდენადაც ისინი ჯერ კიდევ მიათრევდნენ თავის წუთისოფელს, არავითარი გამაფრთხილებელი ზომის მიღება არ შეიძლებოდა. ცხადია, ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაუადვილა მენშევიკებს, წითელი ჯარების შემოტევისას, გაესწორებიათ ანგარიში აქა-იქ კიდევ დარჩენილ ჩვენი ორგანიზაციებისათვის და დაეჭირათ არამც თუ კომუნისტები, არამედ ცოტად თუ ბევრად მათი თანამგრძნობნიც. ამრიგად მოხდა შემდეგი:

*1.* საქართველოში წითელი ჯარის შესვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ

მიიღო აშკარა გარედან დაპყრობის ხასიათი, ვინაიდან შიგნით ამ დროს არავინ არც კი ფიქრობდა აჯანყების მოწყობაზე.

2. საბჭოთა ძალაუფლების გამოცხადებისას საქართველოში არ აღმოჩნდა არც პარტიული უჯრედი, არც მეტი, რომ არ ვთქვათ, პარტიის ცალკე წევრი, რომელსაც შეძლებოდა უფლების ორგანიზაციის მოწყობა. რომ ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს უმეტეს შემთხვევაში საეჭვო, ან პირდაპირ ბოროტმოქმედმა ელემენტებმა. აი, სადაა ჩვენი პირველი შეცოდება, სადაა ბოროტების ფუძე და აი, აქედან იწყება ყოველგვარი ჩვენი წაფორხილება საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში.

შეიძლებოდა თუ არა ერთბაშად აგვეშორებია ყველა შეცდომა და დეფექტი და მიგვეღო სწორი ხაზი? აუცილებლად შეიძლებოდა, რომ იმთავითვე მოგვეხერხებია საქართველოს ცენტრში მტკიცე და ერთიანი ძალაუფლება. მიუხედავად მრავალ დაბრკოლებათა და სირთულეთა ეს მოხერხდებოდა, მაგრამ შეუძლებელი შეიქნა, რადგან იმთავითვე რამდენიმე ძალაუფლების ორგანო აღმოჩნდა: ერთის მხრივ, საქართველოს ცენტრალური კომიტეტი და რევკომი, რომლებიც მხოლოდ ნომინალურად ითვლებიან უზენაეს ორგანოებათ, კავბიურო რ.კ.პ. და მე-11 არმიის „რევვოენსოვეტი", რომლებიც არიან ნამდვილი უზენაესი ორგანოები ძალაუფლებისა. ეს უკანასკნელი უმეტეს ნაწილად წყვეტს საქართველოს შესახებ ყოველგვარ პოლიტიკურ საკითხებს, რასაკვირველია, საქართველოს ცკ-და რევკომის დაუკითხავად.

ამასთანავე, არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი გარემოება, რომლის შესახებაც იშვიათად ლაპარაკობენ, არც ერთი წევრი ორივე კავბიუროსი საქმით ანგარიშს არ უწევს. მე ვლაპარაკობ ქართველი ერის ზოგიერთი წრის ნაციონალურ მიდრეკილებაზე. უნდა ვაღიაროთ ის ფაქტი, რომ უკანასკნელი სამ-ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს მასები შეეჩვიენ საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, თუმცა ცხადია დამოუკიდებლობა ეფემერული და ფიქტიური იყო. უნდა გამოვტყდე, რომ ეს მოვლენა ჩემთვისაც პირდაპირ მოულოდნელი იყო და მისი ანგარიშგაუწევლობა ყოვლად შეუძლებელი იყო. აღსანიშნავია, რომ ეს გარემოება ჯერ კიდევ ლენინმა განსჭვრიტა მოსკოვში, ერთგვარი ლოღიკური დასკვნაც გააკეთა და ჩვენს წამოსვლისას სათანადო დირექტივები მოგვცა. და მართალი უნდა ითქვას, პირველ ხანებში ჩვენ თითქოს სწორ პოზიციაზე ვიდექით, ყოველ შემთხვევაში სიტყვით მაინც. ჩვენ ყველანი ყველგან ვაცხადებდით, რომ საბჭოთა რუსეთი არასგზით არ სპობს დამოუკიდებელ საქართველოს, რომ წითელი არმია მოვიდა მხოლოდ მშრომელთა მასების გასანთავისუფლებლად ანტანტის იმპერიალისტების ბრჭყალებისაგან და სხვადასხვა.

ბუნებრივად იბადება კითხვა: შევძლებთ თუ არა ჩვენ ამ პოზიციაზე შეჩერებას თუნდაც სულ მცირე ხნით მაინც და ამაზე ხომ ბევრი რამ იყო დამოკიდებული. მასების მოტყუება პოლიტიკით ხომ შეუძლებელია და განსაკუთრებით ქართველი ხალხის, რომელიც ესოდენ გამომწვარი და გამობრძმედილია პოლიტიკაში ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში. საჭირო იყო ამ მასებისთვის გვეჩვენებია, რომ მართლაც დამოუკიდებლობის ნიადაგზე ვდგავართ, რომ შეუძლებელი იყო სიტყვით დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი და საქმით მისი უარყოფა და მოსპობა, და ეს მითუმეტეს საჭირო იყო, რომ ყველა ჩვენი მტრები და უმთავრესად მენშევიკები ჩვენ იმას გვაბრალებენ, რომ ბოლშევიკებს სურთ საქართველოს სახელმწიფოს მოსპობა, საქართველო უნდათ გადააქციონ რუსეთის უბრალო გუბერნიებათ, როგორც ეს იყო ცარიზმის დროსაო. სამწუხაროდ ბევრი კომუნისტი ფიქრობდა და დღესაც ფიქრობს, რომ ეს ასე უნდა იქნას დაუყოვნებლივ. საჭირო იყო მტრისთვის წაგვერთმია ეს ჩვენი საწინააღმდეგო კოზირი, ამას მოითხოვდა ძალაუფლების ინტერესებიც. მართალია ეს იქნებოდა ჩვენის მხრით ერთგვარი დათმობა მასების ნაციონალისტური გრძნობების მიმართ, მაგრამ დათმობა არა არსებითი და ამასთანავე ჩვენ დავემყარებოდით, ერთი მხრით, კომინტერნის მეორე კონგრესის დირექტივებს და, მეორეს მხრით, ლენინის დარიგებას, რომელიც მან ცალკე წერილად გამოუგზავნა კავკასიის კომუნისტებს.

ამ დათმობით ჩვენ ორ კურდღელს ვკლავდით. ჯერ ერთი, ხელიდან ვგლეჯდით მთავარ კოზირს ჩვენს მტრებს–მენშევიკებს და მეორე, გადმოვიბირებდით ჩვენს მხარეზე ქართველ ინტელიგენციის ერთ ნაწილს, უმთავრესად მემარცხენე სოციალისტ-ფედერა-

ლისტებს და ქართველ ესერებს, რომლებიც მენშევიკების დროს მემარცხენე ოპოზიციას წარმოადგენდნენ, ხოლო საბჭოთა უფლების დამკვიდრების შემდეგ საჯაროდ აცხადებენ, რომ სავსებით ვიზიარებთ საბჭოთა პლატფორმას და დიდი სიამოვნებით ვიმუშავებთ, მხოლოდ იმ პირობით თუ საქართველოს სახელმწიფო არ იქნება მოსპობილი. ამ ჯგუფთან თანამშრომლობას კი ჰქონდა და დღესაც აქვს არა მარტო მორალური მნიშვნელობა.

როგორც ზევით იყო ნათქვამი, ამგვარი დაპირება, მოსკოვის ნებართვით, ჩვენ საზოგადოდ რამდენჯერმე მივეცით სიტყვით, მაგრამ საქმით არც ერთხელ არ გაგვიმართლებია. ჩვენ ვეუბნებოდით, რომ ვაშენებთ არა სავსებით, მაგრამ მაინც დამოუკიდებელ საბჭოთა სახელმწიფოს, შევქმნით წითელ არმიას და სხვადასხვა, მაგრამ ჩვენ ვტოვებდით რა უყურადღებოდ ცენტრის დირექტივებს, სისტემატიურად თანდათან ამით იმგვარ ნაბიჯებს ვდგამდით, რომ უარყოფდა ყოველ ჩვენს დანაპირებს. რკინისგზების და საგარეო ვაჭრობის გაერთიანება, რკინისგზების პროფკავშირების ორგანიულად შეერთება და სხვადასხვა მოახდინეს მეტად სასწრაფოდ, მოუფიქრებლად, მოუმზადებლად, ზევიდან საომარ ბრძანებათა წესით. ყველა ამ ღონისძიებათა განხორციელება კი შეიძლებოდა სხვა გზით, გაუხმაურებლად, ხელშეკრულების წესით და სხვა. მხოლოდ შემდეგში დავიწყეთ კამპანია ზემოხსენებულ გაერთიანებათა საჭიროების შესახებ.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შენახვით, ვფიქრობ, მგონი, ცოტათი გავანელეთ ის უნდობლობა, რომელიც ხალხში ჩვენს მიმართ დაიბადა ყველა ამ დაწესებულებების წყალობით, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ იძულებული ვიყავით მოვშორებოდით ჩვენს პირდაპირ საქმეს, უშუალო მუშაობას პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობაში, რათა დაგვეპყრო და მოგვეკიდლებია მუშურ-გლეხური მასები და მოგვეწვია თვით საბჭოთა ყრილობა. ჩვენ ჯერ კიდევ მონელებული არ გვქონდა ზემოხსენებული ამბები, რომ კავბიურომ სრულიად მოულოდნელად ახალი სიურპრიზის წინაშე დაგვაყენა. ვგულისხმობ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციას და საქართველოს წითელი ლაშქრის მოსპობას. კავბიუროს ეს დადგენილებაც იმგვარადვე ტარდება ცხოვრებაში, საომარ ბრძანებათა სახით და არავითარი წინასწარი მსჯელობა პარტიულ ორგანიზაციებში არ ხდება.

ავიღოთ პირველად ამიერკავკასიის ფედერაცია. დამახასიათებელია, რომ კავბიუროს დადგენილება ამ საკითხის შესახებ საქ. კომპარტიის ცენტრალურ ორგანოში („პრავდა გრუზია“) დაბეჭდილი, პირდაპირ მოულოდნელი იყო თვით ცენტრალურ კომიტეტისათვის. აქედან ცხადია, რომ კავბიურო სრულიად საჭიროდ არ თვლის ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორიცაა ამიერკავკასიის ფედერაცია, ანგარიში გაუწიოს თვითეულ რესპუბლიკის ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოთა აზრს და ეს კი, არც მეტი და არც ნაკლები, ამ ორგანოების ავტორიტეტის ძირის გამოცლაა, დაცემაა ხალხის თვალში.

ახლა არსებითად არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო მათი სრულიად, ორგანიულად რუსეთთან შეერთებისა, მაგრამ საკითხავია: საჭიროა და სასარგებლო ეს ფორმალური გაერთიანება და ისიც ზევიდან ძალდატანებული, მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ დავახლოებივართ მასებს, როდესაც ჯერ კიდევ ვერ მოგვისწრია საბჭოების მოწვევა? მე ვაცხადებ, რომ ამგვარი ზევიდან ნაკარნახევი გაერთიანება არამც თუ რამეს მოგვცემს, არამედ ის კიდევ უფრო მოგვაშორებს ხალხს, ის კიდევ უფრო დაამძიმებს და გაართულებს მთელს ჩვენს მუშაობას საბჭოების მოწვევის საქმეში და ხელს შეუწყობს კიდევ ახალ პროვოკაციას ბოლშევიკებისა და საზოგადოდ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ფედერაცია ამგვარ პირობებში ნიშნავს ერთი კიდევ ახალი ზედმეტი ბიუროკრატიული აპარატის წამოსკუპებას, ხალხისაგან სრულიად მოწყვეტილს და მეტად არა პოპულარულს. რასაკვირველია, აზერბაიჯანის აღმასრულებელ კომიტეტებში ერთ დღეს სულ სხვა იქნებოდა, რომ საქართველოსა და სომხეთში შედგენილი ყოფილიყო საბჭოები და ეს ფედერატიული გაერთიანება გატარებულიყო საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის აღმასრულებელ კომიტეტებში. დიახ, მაშინ სულ სხვა იქნებოდა: მაშინ ჩვენ მოვიპყრობდით ნამდვილს და მტკიცედ გაერთიანებულს, მასებზე დამკვიდრებულს საბჭოთა რესპუბლიკებს. და ეს არ იქნებოდა წინ გახტომა, მოვლენის გასწრება, რომელიც სრულიად უადგილო იყო დღევანდელს პირობებში. მაგრამ ამ რესპუბლიკათა ნამ-

დვილი გაერთიანება, როგორც ერთმანეთთან, აგრეთვე რუსეთთან ხომ სხვა გზითაც შეიძლებოდა, გაცილებით უფრო ჰისალები და მიზანშეწონილი გზით. მე ვლაპარაკობ თავისუფალ შეთანხმებაზე, სამეურნეო პირობათა გაერთიანებაზე ხელშეკრულებათა, კონვენციათა საფუძველზე, რაზედაც ჯერ კიდევ სტალინი მიგვითითებდა თავის მოხსენებაში, რომელიც მან პარტიულ კრებაზე გააკეთა თფილისში ყოფნის დროს.

ამ დირექტივების მიხედვით, რომელიც რ. კ. პარტიის მეათე ყრილობის დადგენილებისაგან ამომდინარეობს, ჩემი ინიციატივით უკვე დადებულია რამდენიმე ხელშეკრულება რუსეთისა და საქართველოს მიწათ-მოქმედებათა კომისარიატებს შორის, რომლის ძალითაც თითქმის სავსებით გაერთიანებულია ამ კომისარიატების სამეურნეო ხარჯები მათი ფორმალურად ერთის მეორესადმი დაუმორჩილებლად. და სწორედ ეს არის არა მყვირალა, საქმიანი გაერთიანება, რომელიც ხმას აკმედინებს ყველა ჩვენს მოწინააღმდეგეს და არ აძლევს მათ საშუალებას გასწიონ ჩვენს წინააღმდეგ რაიმე პროვოკაცია. მეორეს მხრით, სიმართლე რომ ვსთქვათ, ნუთუ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები არსებითად უკვე გაერთიანებული არ არიან, ნუთუ ისინი განკერძოებულად არსებობენ, ნუთუ ნამდვილად იმდენად დამოუკიდებელი არიან, რომ სულმოუთმენლად საჭიროა გაერთიანება, თორემ ყველაფერი დაიღუპებაო? თავის თავად ცხადია, რომ არაფერი ამისთანა არ არის და მხოლოდ გამოუსწორებელ დონ-კიხოტებს ეჩვენება ეს. აიღეთ თუ გნებავთ კავბიურო [კავბიურო - კავკასიური ბიურო კომუნისტებისა], მისი წრეს გადაჭარბებული ოპეკუნობა; აიღეთ ოკა, და ერის რა დამოუკიდებელ, განკერძოებულ არსებობაზე შეიძლება კიდევ ლაპარაკი!.. ნუთუ ეს სასაცილო არ არის. ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ განსაზღვრულ ფაქტის დაცვაზე, სიფრთხილეზე, ვინაიდან ჩვენ ალყაშემორტყმული ვართ, ყოვლის მხრიდან ბლოკადით გამოცხადებული და ყოველი გაუფრთხილებელი ნაბიჯი, ყოველი მოუფიქრებელი გამოსვლა საშინლად დაგვცემს ხალხის თვალში. და კავბიუროს დადგენილება კი ამიერ-კავკასიის ფედერაციის სასწრაფოდ ცხოვრებაში გატარების შესახებ ძირიანად ეწინააღდეგება ჩვენს ტაქტიკას, რომელიც მეტად ფრთხილი და მოქნილი უნდა იყოს, რომ არ მივცეთ პროვოკაციის მასალა ჩვენს მოწინააღმდეგებს. ამასთანავე ეს დადგენილება არამც თუ ასუსტებს ნაციონალისტურ მისწრაფებას, არამედ აღვიძებს და ამაგრებს მას.

ამგვარი და შეიძლება კიდევ უარესი უარყოფითი მნიშენელობა ჰქონდეს კავბიუროს მეორე დადგენილებას საქართველოში წითელი ჯარის გაუქმების შესახებ. ამ დადგენილებით კავბიურომ ნათლად დაამტკიცა, რომ იგი არამც თუ არ უწევს ანგარიშს ადგილობრივ პირობებს და საქართველოში შექმნილ მდგომარეობას, არამედ საზოგადოდ ცოტა ყურადღებას აძლევს რ.პ.ც.კ. და ამხ. ლენინის სპეციალურ რჩევა-დარიგებას, რომელიც ჯერ კიდევ დიდი ხანი არ არის მას შემდგომ, რომ ურჩევდა საქართველოს კომუნისტებს, რაც შეიძლება საჩქაროდ შექმენით წითელი ჯარიო.

კავბიუროს აღნიშნული დადგენილება, რომელიც მოხდა საქართველოს ცეკას და რევკომის დაუკითხავად, მის ორგანოებში წინასწარ განუხილველად, მთლიანად სპობს ყველა ჩვენს პლანებს და საქმიანობას და ამავე დროს პირდაპირ ეწინააღმდეგება ცენტრის ყველა დირექტივას.

ახლა ვიკითხოთ, ვის და რას შეუშლიდა ქართული წითელი ლაშქრის ცალკე, ფორმალური არსებობა საოპერაციო მხრით ისედაც სავსებით და მთლიანად ოკაზე დამორჩილებული. აბსოლუტურად არავის და არაფერში. ორგანიზაციულად მისი არსებობა მხოლოდ მის შექმნას გაგვიადვილებდა. მორჩა და გათავდა. მართალია, ელიავამ, რომელიც იმთავითვე დაყენებულ იქმნა სამხედრო და საზღვაო კომისარიატის სათავეში, უაღრესად პასუხსაგებ საქმეში, სრული სიკოტრე გამოიჩინა, როგორც ახლა შეურყეველი საბუთებით ირკვევა. შეკრებილია მისი მოადგილის - ამხ. აღნიაშვილის და აგრეთვე საქართველოს კომპარტიის მიერ დანიშნული სარევიზიო კომისიის მიერ დიდძალის საბუთები. ელიავამ ყოველი საშუალებით ჩაიგდო ხელში, რაც იყო ძვირფასი საქართველოში. გაფლანგა ათეული და ასეული მილიარდები და ნაცვლად წითელი ჯარისა, ყოფილ კონტრრევოლუციონერ ოფიცერთაგან, თავადთა და აზნაურთაგან შექმნა ბანდიტებისა და სპეკულანტების ნამდვილი შაიკა, რომელსაც ახლა ამხ. აღნიაშვილი ათეულებითა და ასეულობით იჭერს და ხვრეტს.

ბოლოს, როდესაც ელიავა მიხვდა, რომ მისი სიკოტრე, უკეთ, მისი ბოროტმოქმედება, ქართული ჯარის შექმნაში უკვე გამოაშკარავებულია, თავი რომ გადაერჩინა, პასუხისგე-

ბისაგან და სამართლისაგან, მეტად არაჩვეულებრივი, არამოხერხებული ნაბიჯი გადადგა: თავის ბოროტმოქმედების დასაფარავად მან წინადადება მისცა კავბიუროს, გაეუქმებინა ქართული წითელი ჯარი და შეეერთებინა იგი ორგანიულად რუსულ არმიასთან. ოკამ და კავბიურომ მის მაგიერ, რომ ელიავა პასუხისგებაში მიეცა, დიდი ყურადღებით მიიღო მისი წინადადება. ამავე დროს კი ქართული წითელი ჯარის შექმნა ყოველ მიზეზის გარეშე შეიძლებოდა. მე კატეგორიულად ვამტკიცებ, რომ ელიავას ნაცვლად ვინმე სხვა ამხანაგი ყოფილიყო, სავსებით უბრალო, მაგრამ პატიოსანი, წითელი არმიის მნიშვნელობის შემგნები მუშა, წითელი ჯარი აუცილებლად გვეყოლებოდა, ვინაიდან საამისო ყველაფერი გვქონდა: ცოცხალი მასალა და პატარა ლაშქრისათვის საჭირო ქონება, აგრე ბოროტად გაფლანგული. მე ჯერ კიდევ საქართველოში ჩამოსვლისას დავინახე და ვიგრძენი, რომ ელიავა საქართველოს წითელ ჯარს ვერ შექმნიდა, რომ ის ჩვენ დაგვღუპავდა და ეს აზრი მას ამხანაგურად გავუზიარე, მეგობრული დარიგება მივეცი, რომ შეცდომები აეცდინა, მაგრამ ყველაფერი ფუჭი შეიქმნა. მე კი უძლური ვიყავი რაიმე რადიკალური ზომა მიმეღო, მაგალითად გადამეყენებინა ელიავა, რადგანაც ეს ჩვენდა დაუკითხავად იყო დანიშნული. ეს კიდევ ცოტაა. ელიავამ გაბედა და ამას გარდა საგარეო კომისრობაც იკისრა. ამ ადგილზე ის ითვლებოდა ამხ. მდივანის ჩამოსვლამდე. ამ დარგში მისი მუშაობის შესახებ აქ ზედმეტია ვილაპარაკოთ.

მე აუცილებლად მიმაჩნია აგრეთვე ხაზი გავუსვა შემდეგ გარემოებას: მოსკოვის პოლიტიკა ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის, კერძოდ საქართველოს მიმართ მე მესმოდა და მესმის ასე: მეტისმეტი ფრთხილი ტაქტიკით უნდა მიღწეული იქნეს სრული სულიერი და ეკონომიური გაერთიანება, ისე, რომ ამ რესპუბლიკებს შერჩეთ გარეგნულად ფორმალური დამოუკიდებლობა. ამ მიზნით პირველ ყოვლისა უნდა ვეცადოთ ამ რესპუბლიკების მუშები და გლეხები ვაზიაროთ საბჭოთა ხელისუფლების პრინციპებს, ჩავითრიოთ ხალხის ფართო მასები მუშურ-გლეხურ აღმშენებლობაში და სხვა. როცა კარგად ვიცით, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ბურჟუაზიული მთავრობების არსებობის დროს ხალხის მასები საკმაოდ მოიწამლენ ნაციონალიზმის და შოვინიზმის შხამით, უნდა ძალიან ფრთხილად მივუდგეთ ამ მასებს. ერთხელ და სამუდამოდ ხელი უნდა ავიღოთ ბრძოლის ისეთ წესებსა და საშუალებებზე, რომელსაც ცარიზმი ხმარობდა, რომ მასები არ ჩამოვიცილოთ და პირიქით გონიერი და ფრთხილი პოლიტიკით მოვიზიდოთ ჩვენსკენ. ამავე დროს, რასაკვირველია, ნაციონალისტური გრძნობების გამწვავების საბაბიც არ უნდა მივცეთ. ასეთი პოლიტიკა გვავალებს ყოველგან და ყოველთვის ანგარიში გავუწიოთ ადგილობრივ პირობებს და ხანდისხან ნაციონალისტურ ინტელიგენციას ცოტა რამ დავუთმოთ, რომ გამოვიყენოთ ეს უკანასკნელი საბჭოთა ხელისუფლების ინტერესების მიხედვით.

ასეთია გზა, ასეთია საშუალებები, რომლებიც შეგვაძლებინებს ადრე მოვუღოთ ბოლო ნაციონალისტურ ცრუმორწმუნეობას, მოვსპოთ ეროვნებათა შორის უნდობლობა და სხვა. მე ვფიქრობ, საერთოდ ასეთია პოლიტიკა რუსეთის ს.ს.ფ. რესპუბლიკის, კომინტერნის და კომუნისტური პარტიისა წვრილ ერების მიმართ დღევანდელ ისტორიულ მომენტში, იმ წვრილ ერების, რომლებიც წინათ და ახლაც იჩაგრებიან დიდი სახელმწიფოების მიერ. შესაძლებლობის და ჩემი საკუთარი ძალ-ღონის ფარგლებში მე ვცდილობდი გამეტარებია სწორედ ასეთი პოლიტიკა საქართველოში. არა შიშით, არამედ სინიდისის ქვეშ. ურყეველი ფაქტია, რომ ამიერკავკასიის კომუნისტურ პარტიებში არიან ამხანაგების ჯგუფები, რმლებიც ნაციონალიზმისაკენ იხრებიან. ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ კავბიურო, არც წინანდელი და არც ახლანდელი, არ დგას ამ მხრივ თავის მდგომარეობის სიმაღლეზე: სიტყვით კავბიურო არის რუსეთის კ.პ.ც.კ. პოლიტიკის გამტარებელი კავკასიაში, საქმით კი მუდამ იჩენდა რყევას და ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებოდა. კავბიუროს უმნიშვნელოვანეს დადგენილებებში არ ჩანს ფრთხილი ტაქტიკა და ის სწორი მიდგომა ადგილობრივ ხასიათის მეტად მწვავე და საჭოჭმანო საკითხებისადმი, რის შესახებაც მე ზემოდ ვლაპარაკობდი: ერთი, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციისა და, მეორე, საქართველოს წითელი ჯარის მოსპობის შესახებ. მართლაც, საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ კავბიუროს შემადგენლობაში ისეთი ამხანაგები

არიან, რომლებიც არც ახლა ცნობენ რესპუბლიკების ფორმალურად დამოუკიდებელ არსებობას და თვლიან მათ რუსეთის ს. ს.ფ. რესპუბლიკის გუბერნიებად.

არ შემიძლია სიჩუმით ჩავუარო აგრეთვე რ.კ.პ.ც.კ. წევრის, ამხანაგ ორჯონიკიძის განცხადებას, რომელიც მან გააკეთა საქართველოს კ.პ.ც.კ. სხდომაზე, *1921* წლის *15* ნოემბერს, ბათუმის პორტის საკითხის განხილვის დროს საქართველოს ცეკას წევრებისა და სხვა ადგილობრივ ამხანაგების მიმართ. მან ასეთი კატეგორიული განცხადება გააკეთა: „ბოლოს და ბოლოს გაიგეთ რომ მოსკოვი თქვენ არ გენდობათო.". რას ნიშნავს ეს? თუ კომუნისტი კომუნისტს არ ენდობა მაშინ ორში ერთი: ან ერთი მათგანი არ არის კომუნისტი, ანდა არიან კომუნისტები უმაღლესი ხარისხისა და კომუნისტები დაბალი ხარისხისა, და ამ დაბალ ხარისხის კომუნისტებს ეკუთვნიან ალბათ ადგილობრივი კომუნისტები, ქართველები, სომხები და სხვები, რომლების ნდობა არ შეიძლება. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მოსკოვი ამას ასე არ უყურებს, მაგრამ ადგილობრივი ამხანაგები ამას ვერ ხედავენ, ამაშია ჩვენი უბედურება.

პირიქით, ისეთი ამხანაგი, ძალიან ხშირად, რომელიც გამოიჩენს ინიციატივას, საქმისადმი ინტერესს, მოიქცევა არა შაბლონურად, არამედ ადგილობრივ პირობებს ანგარიშს გაუწევს, უნდა ელოდეს, რომ მას ჩარიცხავენ ნაციონალისტად, და უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ორივე კავბიუროს წევრები ძალიან ხშირად მიმართავენ ასეთ ხერხს ქართველი ამხანაგების შესაშინებლად, რითაც კოლონიზატორულ მიდრეკილებას ხელს უწყობენ კიდეც.

ამრიგად, ჩვენს წინაშე დგას მეტად სერიოზული და მნიშვნელოვანი საკითხი: ჩვენში ატმოსფერო მეტისმეტად შეკუმშულია, საჭიროა ამის გაფანტვა და გაჯანსაღება. საჭიროა უფრო ნორმალური დამოკიდებულება დაწესდეს ცენტრსა და პერიფერიებს შორის. საჭიროა მტკიცე და ნათელი დირექტივები, რომ ადგილობრივად პასუხისმგებელმა ამხანაგებმა იცოდნენ რა არის უახლოესი დავალება და მიზანი ცენტრისა. მაგრამ, ესეც არ კმარა, ისინი უნდა იცნობდნენ ცენტრის ტაქტიკას, და რაც უმთავრესია, ცენტრი სავსებით უნდა ენდობოდეს ადგილობრივ კომუნისტებს.

კონკრეტიულად, ჩემის აზრით, აუცილებელია ახლა შემდეგი ზომების მიღება:

*1.* ცენტრმა უნდა შეიმუშაოს სწორი და გარკვეული ტაქტიკური ხაზი ამიერკავკასიის რესპუბლიკების მიმართ, რომ შემთხვევით და ცალკე ამხანაგების სურვილით არ იყოს შესაძლებელი მისი შეცვლა. საჭიროა გამოირკვეს: მიზანშეწონილია თუ არა ამ მოკლე ხანში მათი–რესპუბლიკების–შენახვა, ან თუ აუცილებელია დაუყოვნებლივ მათი ლიკვიდაცია. ჩემის აზრით, და ეს არის აზრი საქართველოს კომპარტიის დიდი უმრავლესობის, გარეშე და შინაური პოლიტიკის მოსაზრებით, ამიერკავკასიის რესპუბლიკების შენახვა საჭირო არის.

*2.* უნდა შეჩერდეს კავბიუროს მეტისმეტად ბუნდოვანი დადგენილება ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ, სანამ საქართველოს და სომხეთის საბჭოები არ მოწყობილან და ფედერატიული გაერთიანების გატარება ცენტრალურ ისპოლკომების საშუალებით არ მომხდარა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გვექნება ერთი ბიუროკრატიული აპარატი მეტი, და არავითარი ნდობა მასაში.

*3*– უნდა შეჩერდეს კავბიუროს დადგენილება საქართველოს წითელი არმიის მოსპობის შესახებ, მოიხსნას ელიავა სამხედრო კომისრობიდან და მიეცეს სამართალში.

*4*. უნდა მიეცეს სპეციალური დირექტივები საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ცეკებს რუსეთის კომპარტიის მეათე ყრილობის დადგენილებათა გატარების შესახებ, როგორიცაა: ა) დანიშვნის სისტემის უარყოფა და არჩევნების წესზე გადასვლა,

ბ) სამხედრო კომუნიზმის დროის მეთოდებისა და ჩვეულებათა უარყოფა, ე. ი. წმინდა პარტიულ და საბჭოთა საქმეებში ბრძანებების მოსპობა,

გ) პასუხისმგებელ პარტიულ მომუშავეთა სავალდებულო კრებებზე წინასწარ საკითხების გარჩევა - დისკუსია პარტიის ფარგლებში და კრიტიკის სრული თავისუფლების მინიჭება იმ საკითხებზე, რომელთა შესახებ ყველასათვის სავალდებულო დადგენილება არ გამოტანილა.

5. კავკასიაში, განსაკუთრებით ამიერ-კავკასიაში, ჩვენ საქმე გვაქვს უკიდურეს თავისებურებასთან, მეტისმეტ დ რთულ პირობებთან, ამიტომ საჭიროა რ.კ.პ.ც.კ. კავბიურო შეიქმნეს მოსაშველე და მომწესრიგებელ ორგანოდ კავკასიაში; საჭიროა მან გამოიჩინოს უდიდესი სიფრთხილე ყველა მნიშვნელოვან ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტის დროს. ამასთანავე ადგილობრივ ცეკას უნდა ჰქონდეს უფლება მიმართოს აპელაციით, როგორც რუსეთის კომუნისტური პარტიის ცეკას, ისე ყრილობასაც. სასურველია, რომ კავბიურო, რომელიც მომავალში აუცილებლად არჩეულ უნდა იყოს, უფლება და მოვალეობანი სავსებით გამოირკვეს.

6. საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ცეკებს და რევკომებს ადგილობრივ საკითხებში მიეცეს სრული დამოუკიდებლობა.

7. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ურთიერთ შორის და რუსეთის ს.ს.ფ.რ. ეკონომიური გაერთიანება შესაძლებელია დაუყოვნებლივ და უმტკივნეულოდ გატარდეს იმ გზით, რომ გაერთიანდეს ეკონომიური მოქმედება ცალ-ცალკე რესპუბლიკების ნარკომატების ხელშეკრულების ან კონვენციის საფუძველზე, რომელზედაც საქმიანი ხელშეკრულებანი უფრო ჩქარა მოუმზადებენ (სხვათა შორის, ამასვე მიგვითითებდა ამხ. სტალინიც) ნიადაგს ამ რესპუბლიკების სავსებით და მტკიცედ გაერთიანებისას. ასეთი ხელშეკრულების ნიმუშად გამოდგება ამ ახლო ხანში დადებული ხელშეკრულება რუსეთის და საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატებს შორის. რაც შეეხება სამხედრო ძალების გაერთიანებას, ეს უკვე ფაქტიურად განხორციელებულია ამ რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან, — სხვანაირად არც შეიძლებოდა. სხვა ზომებს მე აქ არ ვასახელებ.

მე ვგრძნობ და მესმის, რომ ახლანდელი ხელმძღვანელი ორგანო — კავბიუროს — ტაქტიკა აუცილებლად უნდა შევცვალოთ, თუ გვინდა მასების ნდობა დავიმსახუროთ, თუ გვინდა საბჭოთა ხელისუფლებისაკენ ისინი მოვიზიდოთ. ახლა კი ჩვენ, პირიქით, ჩვენს გარშემო ყველას ხელს ვკრავთ, ძალიან დიდი წარმოდგენა გვაქვს ჩვენ ძალებზე და ვერ ვაფასებთ მოწინააღმდეგეთა ძალებს."

მოსკოვი, 6 დეკემბერი *1921* წ. ფილიპე მახარაძე

(„თავისუფალი საქართველო" № *24*, *1922* წ.)

(ფილიპე მახარაძის ეს მოხსენება ინახება საბჭოთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტში)

## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს   დ ა პ ყ რ ო ბ ა   დ ა   ე ვ რ ო პ ა

### (ამონაწერი)

ახალგაზრდა სახელმწიფოს სტაბილიზაციის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რაც შეიძლება მალე მისი დამოუკიდებლობის დიპლომატიურ ცნობას სხვა სახელმწიფოების მიერ, უმთავრესად დასავლეთის მიერ. ამ მიზნით მთავრობამ, რომლის პრეზიდენტი იყო ნოე ჟორდანია, სოციალ-დემოკრატიის დიდი ლიდერი, გააგზავნა საზღვარგარეთ დელეგაცია, კარლო ჩხეიძის და ირაკლი წერეთლის მეთაურობით. ეს ორი პიროვნება ჩავიდნენ პარიზში 1919 წლის თებერვლის ბოლოს. რაკი ორივემ დიდი როლი ითამაშა რუსეთში, განსაკუთრებით ი. წერეთელმა, როგორც დროებითი მთავრობის წევრმა, რომელსაც შემთხვევა ჰქონდა მოკავშირე სახელმწიფოების დიპლომატებთან და პოლიტიკურ მოღვაწეებთან შეხვედრებისა, ისინი დიდი სიპატიებით იყვნენ მიღებული.

დასავლეთის პოლიტიკური წრეები ნაკლებად იცნობდნენ საქართველოს, და ჩვენმა დელეგატებმა გამოიჩინეს დიდი ენერგია, რომ გაეცნოთ ეს პატარა ქვეყანა, თავისი ძველი ცივილიზაციით, თავისი ისტორიით, თავისი გმირული ბრძოლით დამოუკიდებლობის დასაცავად, თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებით, ბუნების სილამაზით, რათა დაერწმუნებიათ, რომ საქართველოს აქვს ყოველგვარი საშუალება იარსებოს როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ.

აქ მინდა მოვიტანო ერთი ფაქტი, რომელიც მე თვით წერეთელმა მიამბო. როდესაც ის ლონდონში იყო, მან ინახულა <u>ლორდ კერზონი</u>, ინგლისის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი, აუხსნა მას საქ. მდგომარეობა და განუვითარა საბუთები, რომ ამ ახალ პატარა სახელმწიფოს შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა. კერზონმა დიდი ყურადღებით მოისმინა წერეთლის სიტყვები და უპასუხა: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართველ ხალხს შეუძლია შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო. მე გეტყვით, არა მარტო ქართველ ხალხს, რომელმაც საუკუნოების განმავლობაში შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებლობა და განავითარა თავისი ცივილიზაცია, არამედ ველურ განუვითარებელ ხალხსაც შეუძლია შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო. თქვენი პრობლემა ეს არ არის. თქვენი პრობლემა არის შემდეგი: შეგიძლიათ თქვენ უზრუნველყოთ თქვენი დამოუკიდებლობა იმ უშველებელ სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, რომელიც თქვენი მეზობელია და, რომელსაც ჰქვია რუსეთი?." აი, სწორედ აქ არის ქართული პრობლემის სიძნელე, ქართველი ხალხის დრამა!

მიშა ხუნდაძე

## მ ო ვ ი გ ო ნ ო თ

ჩაესვენა ქართული მზე, საქ–ო კვლავ გახდა რუსეთის შოვინისტური პოლიტიკის მსხვერპლი 1921 წელს, მაგრამ ქართველი ერი არ ურიგდება დაპყრობას და შეუპოვრად განაგრძობს წინააღმდეგობას, თუმცა დიდი მსხვერპლის გაღებით.

სვანეთის აჯანყება 1921 წელს, 1922-ში ამბოხება ხევსურეთისა, მაშინ ჯერ კიდევ არსებულ ქართული ჯარის აჯანყება, რასაც მოჰყვა მისი დაშლა და მეთაურების სრული განადგურება.

ქართველი ხალხის ამ გმირულ ეპიზოდებზე ცნობებს საქ–ში ვერ მიიღებთ, წყაროებში არ არსებობს, ვერსად ვერაფერს ამოიკითხავთ, საფლავებიც მიუგნებელია, ერთად ჩაყარეს ორმოებში და ზედაპირი გაათანასწორეს. მაგრამ, ისინი უფრო მეტად ცოცხლობენ ხალხის მეხსიერებაში და მათი სახელოვანი თავგაწირვა თაობიდან თაობაზე, მამიდან შვილზე, უფროსი ძმიდან უმცროსზე გადადის. ვის დაავიწყდება ქართველი გენერლების ანდრონიკაშვილის, აფხაზის, წულუკიძის, პოლკოვნიკ ხიმშიაშვილის, მუსხელიშვილის, ზანდუკელის, ბაგრატიონ-მუხრანსკის და მრავალთა გმირული სიკვდილი, რომლის მსგავსი ჩეკის ჯალათებს სიზმარშიც არ უნახავთ რუსეთში. 1923 წლის 20 მაისი განმეორებაა 300 არაგველის და ცხრა ძმა ხერხეულიძეების ვაჟკაცობის, ქართველი მამულიშვილის სიკვდილზე გამარჯვების. დღესაც გვაღელვებს და გვამხნევებს მათი სიტყვები: „სიკვდილი ვერ შეგვაშინებს. ჩვენი სიკვდილი საქ–ს განთავისუფლების თავდებია." „მე ვკვდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი სამშობლოს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანისა, ჩვენი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქ–ს." „გვადავეცით, რომ ჩვენ დავიხოცეთ, ვით შეჰფერით ქართველ პატრიოტებს. სახეზე გეტყობათ, რომ გაკვირვებთ ჩვენი სულის სიმტკიცე. წადით და უთხარით თქვენებს თუ როგორ კვდებიან ქართველები სამშობლოსთვის."

ვალიკო ჯუღელის, ნოე ხომერიკის და მრავალთა სახე ხომ მთელი თავისი სიძლიერით აღიბეჭდა ჩვენს მეხსიერებაში, სიცოცხლეზე თავისი სურვილით ხელი რომ აიღეს,–მათ ხომ საზღვარგარეთ თავისუფალ ცხოვრებას საქ–სთვის სიკვდილი ამჯობინეს! დღესაც ხომ მთელი თავისი სიმძაფრით გვესმის კათალიკოს ამბროსის სასამართლოში ნათქვამი სიტყვები: „სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, გული ჩემს სამშობლოს, მძორი ჩემი, ჯალათებო, თქვენ და, რაც გინდათ ის უყავით მას"-ო. ეს ძარღვიანი, ქრუანტელის მომგვრელი სიტყვები ქართული ეკლესიის წინამძღოლისა, რომელიც მუდამ არა ნაკლებად იცავდა ქართულ სინდისს და პატიოსნებას, ვიდრე ძლევამოსილი ქართველი მეფენი, აფხიზლებს ძველ ქართველ ბოლშევიკებსაც კი. მათი სიმპატიები გაუტეხელი ქართველი ხალხისაკენ იხრება, დანაშაულს გრძნობენ და მოსკოვის წინააღმდეგ ოპოზიციას ჰქმნიან, მოსკოვის მიერ საქ–ს საქმეებში ჩაურევლობას ითხოვენ. ბუდუ მდივანი, მამია ორახელაშვილი, მალაქია ტოროშელიძე, შალვა ელიავა, ძმები ოკუჯავები, რომლებმაც მოსკოვში აბელ ენუქიძეში იპოვნეს დამხმარე-მანუგეშებელი ძალა და, რომლებმაც საქ–ს კარებები გაუღეს საბჭოთა რუსეთს, მხოლოდ ცოდვების მონანიებად გარდაიქცნენ, მოსკოვმა ყველა სიცოცხლეს გამოასალმა.

რუსეთმა ჯერ კიდევ მაინც ვერ მოიმაგრა ფეხი ქართულ მიწაზე, ვერ სძლია ქართულ სულს, ვერ გატეხა ქართველი ერის თავისუფლებისადმი სიყვარული. ქართველ ერს ჯერ კიდევ ახსოვს და ოცნებობს თავისუფალ ცხოვრებაზე, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მზიან დღეებზე. 26 მაისის მოგონება მას ათბობს, ენერგიას მატებს, სულს უმტკიცებს და იარაღისაკენ მოუწოდებს. ხალხი ტყეში იჭრება, იწყებს გააფთრებულ პარტიზანულ ბრძოლებს საქ–ს ყველა კუთხეში. კახეთში–ქაქუცა ჩოლოყაშვილი, რომლის გარშემო შეყრილან შეფიცულები, საქ–ს მტრებს

მის გაგონებაზე შიშის ზარი რომ ეწყებათ და მისი პატარა ჯგუფის დანახვაზე რუსული რეგულიარულ სამხედრო ნაწილები კურდღლებივით რომ გარბიან. ქართლში-ბრძოლებში გამოსრძმედილი ფაელენიშვილი და ლაშქარაშვილი და სხვაგან სხვანი, ყველა ფეხზე დგება, მთელი საქ. ემზადება საერთო დარტყმისათვის.

ეს დღეც მოვიდა, მაგრამ ***1924*** წლის აგვისტოს აჯანყებაც, საქ-ს დამოუკიდებლობის კომიტეტის ხელმძღვანელობით, მარცხდება და იწყება შურისძიების ხანა. ხვრეტენ ყველას, ვინც კი ჯალათებს ხელში უვარდება. რუსი და სხვა ეროვნების ჩეკისტები ქართველებზე ნადირობაში ერთმანეთს ეჯიბრებიან: „არ ინდობენ ქალებსაც და ბავშვებსაც კი"-ო, ამბობს ინგლისელი ქართველოლოგი ლენგი.

ვის დაავიწყდება შორაპანსა და ზესტაფონს შორის, დაქედილ საქონლის ვაგონებში გამომწყვდეულები, ასობით ქართველ მამულიშვილების ტყვიისმფრქვევლებით დაცხრილვა. საქ-ში ხმა დაყარეს, რამდენიმე გადარჩა და ევროპაში გაიქცაო. რამდენ დედას აღეძრა იმედი, იქნებ ჩემი შვილიც მათ რიცხვში მოხვდაო. მახსოვს, მეც მწერდნენ „კუპია იაშვილი(პაოლოს ძმა) მანდ ყოფილა და ეცადე მოძებნე"-ო...

***1928-34*** წლებში, ქართული ნაციონალიზმის წინააღმდეგ წარმოებულ რეპრესიების გვერდით, წარმოებს გაუგონარი სასოფლო-სამეურნეო ექსპერიმენტები—ძალდატანებითი მთლიანი კოლექტივიზაცია და მასთან დაკავშირებული „კულაკების" ფიზიკური ლიკვიდაცია—რომელმაც იმსხვერპლა ათასობით სოფლის საუკეთესო მშრომელი, დოვლათის შემქმნელი გლეხი და ქვეყანა ეკონომიურ კატასტროფამდე მიიყვანა.

***1934-39*** წლებში, როგორც ვიცით, მასიური ტერორის დროს ათი ათასობით ქართველი დახვრიტეს ან გადაასახლეს, რომელთაგან უკან ბევრი არ დაბრუნებულა. მეტყვიან: ეს საყოველთაო იყო, მან რუსებიც ბევრი იმსხვერპლაო. მართალია, მაგრამ ეს ჩვენ არაფრით არ გვანუგეშებს, ჯერ ერთი, და მეორეც, რუსეთში რუსეთის სიყვარულისათვის არ ჰკლავდნენ, მაშინ, როცა საქ-ში ქართველ პატრიოტებს და ასეთად შემჩნეულებს ავლებდნენ მუსრს.

მიუხედავად მეორე მსოფლიო ომის ხანას, ქართველი ხალხის ჯალათების, საბჭოთა ხელისუფლების, დასაცავად და გადასარჩენად საქ-დან გარეკეს შვიდასი ათასი მისი საუკეთესო შვილი, რომელთაგან თითქმის ნახევარი ცოცხალი და ჯანმრთელი სახლში აღარ დაბრუნებულა. ამ უშველებელ ჰრილობას ქართველი ხალხი როდის მოიშუშებს! იმ დროს შექმნილი ქართული ლეგიონიც, რომელიც პოლიტიკური დევნილებისა და ყოფილ ტყვეებისაგან შედგა, იგივე ქართველი ხალხის ***1921*** წლის თებერვალ-მარტის ომს აგრძელებდა, მისი ისტორიაც ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიის ერთი თავია, რომელსაც საქ-ს მეისტორიე თავის დროზე დაწერს და მით მთელი ქართველი ხალხის საკუთრებად აქცევს.

მიუხედავად ასეთი სისხლისაგან დაცლისა ქართველმა ახალგაზრდებმა მაინც გაიბრძოლეს ***1956*** წელში. რუსულმა სატანკო დივიზიამ მათი კეთილშობილი სისხლით შეღება თბილისის ქუჩები.

ამჟამად მოსკოვს იერიში მიაქვს ქართველი ხალხის უკანასკნელ ციხე-სიმაგრეზე—ჩვენს დედაენაზე. ბრეჟნევი შეეცადა საქ-თვის მის მიერ ბოძებულ კონსტიტუციიდან ქართული ენა, როგორც საქ. რესპუბლიკის ძირითადი ენა ამოეგდო. ჩვენი საამაყო ახალგაზრდობა არ შეუშინდა სიკვდილს და ***1978*** წლის ***14*** აპრილს საპროტესტო მანიფესტაციებით გამოვიდა თბილისის ქუჩებში. წინასწარ გაფრთხილებული მსოფლიო საზოგ. აზრის შიშით, ბრეჟნევმა მაშინ უკან დაიხია კონსტიტუციონალურად, მაგრამ საბოლოოდ რუსებს თავიანთ განზრახვაზე ხელი არ აუღიათ. ამას მოწმობს ***365*** ქართველი მეცნიერის, პედაგოგის, მწერლის და სხვა თვალსაჩინო მოღვაწეთა პეტიცია ბრეჟნევისადმი, რომელიც პირველად გამოქვეყნდა პარიზის რუსულ გაზეთში და შემდეგ „თავისუფლების ტრიბუნა".ს უკანასკნელ, ***31*** ნომერში. ქართველი ხალხი ცდილობს დაიცვას თავისი დედაენა ლეგალური სა-

შუალებებით, მაგრამ საეჭვოა, რომ ის ამას შეძლებს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირობებში. საბჭოთა მესვეურები არც კი მალავენ, რომ მათი მიზანია შექმნან ერთი მსოფლიო სახელმწიფო ერთი რუსული ენით და, რა თქმა უნდა, კრემლის ბატონობით.

ასეთია მკრთალი სურათი საბჭოთა რუსეთის ბატონობისა ჩვენს სამშობლოში, როლის სამოც წლისთავს წელს მტერი ზეიმობს და მისთვის ჩვეული ტერორის შიშით, ცინიკურად, ქართველ ხალხსაც აიძულებს მონაწილეობა მიიღოს ამ ზეიმში. ქართველმა ხალხმა იცის რასაც ნიშნავს ეს „საზეიმო" თარიღი და, რაც მან მას მოუტანა. ამას არ შეიძლება სხვაგვარად ეწოდოს თუ არა „გენოსიდი"— ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურება, მისი ეროვნული მოსპობის მიზნით. ამდენი მსხვერპლი ქართველმა ხალხმა სხვა არ იცის, მისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში, თვით მრისხანე და დაუნდობელი შაჰ-აბასის ბატონობის დროსაც.

დავით გაშაძე

<u>დიქტორი:</u>   <u>("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")</u>

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება,
ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება,პატივცემული მსმენელებო, დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას აზრები ადამიანის,ასე ვთქვათ,"გაადამიანურებაზე" და თავისუფლებაზე.

"მთელი ჩემი ყურადღება - ამბობს ნოე ჟორდანია - მიქცეულია ადამიანისაკენ,ადამიანობისაკენ; ჩემი სული მასზე გადაბმულია უჩემოდ, ჩემი ნებისყოფის გარეშე,ფატალურად; ვარ მომწყვდეული ამ რკალში გამოუსვლელად... საზოგადოებრივი ინტერესები ჩაყლაპა პირად-ეგოის ტურმა ინტერესებმა; საერთო,საყოველთაო მისწრაფებად გახდა სხვისი ოფლით ხელის მოთბობა; ადამიანი ასრობს ადამიანს მისსავე სისხლში, რომ თავისი ეგოისტური სურვილები დაიკმაყოფილოს; ადამიანი გახდა ადამიანისათვის ჯოჯოხეთი; და ეს მაღლა აწეული ადამიანი დარწმუნებული იმაში, რომ ის ზეკაცია, რომ ის რჩეულია, ბუნების გვირგვინია; დაჰყურებს მაღლიდან მშრომელ ხალხს და ასრობს თავის [illegible] სურვილებს გამოგონებულ მოთხოვნილებათა მორევში. აი, რად იქცა თანამედროვე ადამიანი,რომელიც თავის ისტორიულ მოძმეს რომის ჩამავალი მზის ეპოქაში პოულობს.

"ჩემი ცხოვრება მიყვარდეს, ჩემი მეზობლის მძულდეს - ვერაფერი საქმეა". ამის გადალახვა "მოითხოვს ღრმა სოციალურ [illegible],ახალ საადამიანო შენობას,რომელიც პიროვნებას ჩააყენებს ისეთ მისთვის სასარგებლო ცხოვრების პირობებში, რომ სრულიადაც არ დასჭირდება სხვაზე ბატონობა".

## ჩემი დღიურიდან

*12* თებერვალი. დილით სტუდენტთა სასადილოში მივდიოდი( აქ იყო სტუდენტთა გამგეობის სამდივნო), გზაში რაღაც ყველანი დაღვრემილი მეჩვენა. ყურადღება არ მივაქციე. სამდივნოში შევედი და მუშაობას შევუდექი. *11* საათი იყო სასადილოს დარბაზში გამოვედი, ჩვეულებრივად მრავალი სტუდენტები იყვნენ იმ დროისათვის და ჯგუფ-ჯგუფად ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. ერთ ჯგუფს შევუერთდი,–არა, აზერბაიჯანელებს შემოუტევიათ და წითელ-ხიდზე გადმოსულან, თბილისს უახლოვდებიანო, ამბობდა ერთი. მე მითხრეს სომხები გადმოვიდნენ ხრამზე და წინ მოიწევენო, თქვა მეორემ. მესამემ კიდევ დაუმატა: ამ დილით სამხედრო სამინისტროს ერთმა მოხელემ გადმომცა, რომ შავი ზღვის ნაპირებზე შემოგვიტია წითელმა ჯარმაო. ყველა მეტად შეწუხებული და აღელვებული იყო. უნდოდათ გაეგოთ რაშია საქმე, რა მოხდა: შეიძლება ყველა ეს ხმებია, პროვოკაციაა პანიკის ჩამოსაგდებად, საჭიროა სინამდვილის გაგება, გაისმა ხმები...

სტუდენტთა სასადილოს მოლარე კ. სამყურაშვილმა გადმომძახა: ტელეფონზე გთხოვენო. ვინ არის, ვკითხე. არ ვიცი სტუდენტთა კავშირის მდივანს თხოულობს, მიპასუხა. სასმენი მილი ავიღე, ვინ ბრძანდებით შევეკითხე.–გრიგოლ ლორთქიფანიძე ვარ, გრიგოლ ლორთქიფანიძე, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, განათლების მინისტრი. რა ამბავია? გამიელვა თავში. „შეგიძლიათ *12* საათისათვის უნივერსიტეტში მოიწვიოთ მიტინგი? მდგომარეობა მეტად ცუდია: მტერი ყოველ მხრიდან გვიტევს, მცირე სანაპირო ჯარები მტრის ძლიერ შემოტევას ვერ უძლებენ და უკან იხევენ, საჭიროა მიშველება, გამხნევება, სანამ მაშველი ჯარები მოსულან სტუდენტებმა უნდა იყოჩაღონ. ახლა უკვე *11* საათია და ერთ საათში ვერ მოვახერხებთ მათ თავშეყრას. სტუდენტები გაფანტულია მთელ ქალაქში: კლინიკებში, ლაბორატორიებში, სემინარებში და საგრძნობი ნაწილი მსახურობს. თუ გვიან არ იქნება, სამ საათისათვის შევძლებ ვაცნობო ყველას. „კეთილი, სამი საათისთვის იყოს. მაშ, სამ საათზე გრიგოლ რცხილაძე და მე უნივერსიტეტში ვიქნებით", მითხრა მან. მივიღეთ სასწრაფო ზომები, ყველა გავაფრთხილეთ უნივერსიტეტში და ინსტიტუტებში.

სამი საათისათვის სტუდენტობა თავს იყრის უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში(ეს იყო ყველაზე დიდი დარბაზი). სამზე და ხუთ წუთზე კათედრაზე გამოდის ბატონი მინისტრი. სტუდენტები ტაშით ეგებებიან. მოკლეთ, დრამატიულ სურათს ხატავს მდგომარეობისას და მგრძნობიარედ მოუწოდებს ახალგაზრდობას თავის წმინდა მოვალეობის შესრულებისათვის. ის გრიგოლ რცხილაძემ შეცვალა. მისი თბილი, მგრძნობიარე მოწოდება ახალგაზრდათა მიმართ ტაშით იფარება. შენობა ველარ იტევს, მიტინგი ეზოში გადაიტანეთ. აქ, ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობის სულიერი მამა და მათი უსაყვარლესი ადამიანი ივანე ჯავახიშვილი, მათ მიმართავს: „შვილებო, ჩემი მოვალეობაა თქვენ წიგნისა და კალმისკენ მოგიწოდოთ, მაგრამ ერის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, როცა საჭიროა ყველაფერი განზე გადასდო და იარაღით ხელში მტერს მიეგებო. და აი, მეც თქვენ დღეს იარაღისაკენ მოგიწოდებთ." „ვაჟკაცსა უნდა გული რკინისა, თუნდ აბჯარი ჰქონდეს ხისაო", უკანასკნელი სიტყვა სტუდენტ ოქროპირს(ასე ეძახოდნენ მას) გიორგი ნაკაშიძეს ერგო. მან მისთვის ჩვეული მგრძნობიარებით ახალგაზრდათა მღელვარება უმაღლეს მწვერვალამდე აიყვანა. გოგონები ცრემლებს ღვრიდნენ. გაისმა მქუხარე ხმა გ. სვანიძის: სასახლისაკენ! გუნდმა დასძახა: „ქარ–ლო ხელი ხმალს იკარ." ხალხი დაიძრა... სასახლის წინ მათ მიესალმა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე და პროფ. შ. ნუცუბიძე. იქვე შესდგა რამოდენიმე რაზმი ყოფილ ოფიცერ სტუდენტთა მეთაურობით, რომელთაგან ბევრი მსხვერპლად დაეცა სამშობლოს სამსხვერპლოზე.

(„ჩვენი დროშა" №*35*.*1961* წ.) ფილიპე შარაძე

## ტ ა ბ ა ხ მ ე ლ ა

რაშია საქმე, გვგზავნიან ომში თუ არა? ტფილისთან ზარბაზნები ჰქუხს და ჩვენ კი აქა ვართ! არა, ლოდინი აღარ შეგვიძლიან! თუ ყველას არ გაგვგზავნიან თითოობრივ მაინც წავიდეთ ან ჯგუფ-ჯგუფად, გაისმოდა სამხედრო სკოლის ეზოსა და სამოსწავლო ოთახებში, აქა-იქ შეგროვილ ჯგუფებში. შიგა და შიგ ჯგუფს ვიღაც მოსწყდებოდა და ოთხად მოკეცილ ქაღალდს კლასის ოფიცერს გაუწოდებდა. ქაღალდში ეწერა: „ვინაიდან სკოლას ფრონტზედ არ ჰგზავნიან, გთხოვთ დაუყონებლივ მიმავლინოთ მომქმედ ნაწილში." თხოვნები უპასუხოდ რჩებოდა და იუნკერთ სახეთ მოლოდინში შფოთისა და მღელვარების ნიღაბი ეკეროდათ... ხმები ბევრი იყო, რომ იუნკრები ფრონტზე არ წავლენ სრულიად, ან მხოლოდ უფროსი კურსელები ოფიცერთ ხარისხით, ან წავლენ ყველანი. მღელვარება შეწყდა ღენერალ კვინიტაძის მთავარსარდლათ დანიშვნის დღიდგან. აქ ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ ვალდებულების მოხდის სურვილში, მისგან თანაგრძნობის მეტს ვერას მიიღებდნენ.

მართლაც, **16** თებერვალს ყველამ იცოდა, რომ ფრონტზე გავდივართ. **17**-ს დილიდგანვე სკოლა მოეწყო სამგზავრო სამზადისით. მოედანზე იდგა: ოთხი ასეული ქვეითი იუნკრებისა, ერთი ბატარია, ხუთი ცხენოსანი იუნკერი, ნაცვალთა ათასეულის ახალი ასეულები, სკოლის მუსიკა. ეზოში ოფიცერთა შეკაზმულ ცხენებს მიმოატარებდნენ. სკოლა მაყურებელ ნათესავებით გაივსო.

ადგილზედ! სმენა, მარჯვნივ სწორდით!—გაისმა მწკრივებში, როდესაც სკოლის საუფროსოს კარებში პოლკ. ჩხეიძის ბუხრიანი ქუდი გამოჩნდა. მაიორ ანანიაშვილმა პატაკი ჩააბარა. პოლკოვნიკმა ასეულები გადაათვალიერა, მორთმეულ ცხენზედ რკინის ქანდაკებასავით გუნდების წინ აღიმართა და ჯარისთვის „თავისუფლება" ბრძანა. ასეულებმა მუხლებში ჩაიკეცეს. ჰიშკრიდან ღენ. ანდრონიკაშვილი გამოჩნდა. შავ ცხენს პოლკ. ჩხეიძისკენ მოაოთხებდა. უკან მხლებელი ადიუტანტები მოსდევდნენ.

ასეულობით სმენა, სწორება მარჯვნივ, იარაღით სალამი, ბატონო ოფიცრებო! გასცა ცხენიდგან პოლკ. ჩხეიძემ და ოთხივე გენერალს მიეგება. ურთიერთის წინ შეჩერდნენ. ღენერალმა პატაკი ჩაიბარა. წყობილებას დაუახლოვდა, აღგზნებული თვალები იუნკერნაცვალ ათასეულის გუნდებს მიაპყრო და, როდესაც მუსიკამ ჰიმნი ბოლომდე დაიმღერა, დაიწყო: „ყმაწვილებო, ბედნიერი ვარ მოგილოცოთ, რომ საშუალება გეძლევათ თქვენი მოქმედებით დაადასტუროთ თქვენი სურვილი სამშობლოს სამსახურისა. მე თქვენს მასწავლებელს და უფროსს ეჭვი არ მეპარება ზუსტად შეასრულებთ მხედრულ მოვალეობას და პირნათლად წარსდგებით ქართულ ისტორიის სამსჯავროს წინაშე. არ დაივიწყოთ ველზე ყოფნისას, რომ ყოველ თქვენს ნაბიჯს მოწმეთ ეყოლება იგივე მიწა, ცა და ბუნება, რომელიც არა ერთხელ გაკვირვებულა ქართველთ გმირობით და უდრეკელობით სიკვდილის წინაშე. გაუმარჯოს ჩვენს საქმეს, გაუმარჯოს საქართველოს და ქართულ ჯარს, ვაშა!"— ვაშა !—იგრიალა აღგზნებული სიტყვებით გატაცებულმა გუნდებმა. ვაშა !—ყვიროდნენ ახალგაზრდები და ამ გრიალზედ შეამჩნევდით, რომ მართლაც სანეტარო წუთები დადგომოდათ და რკინის კედლის შენგრევაზეც არ დაფიქრდებოდნენ ერთ წუთსაც...

ვაშა !—იმეორებდა ზანათ სკოლის შენობები, მტკვრის ხეობა და მამადავითის ფერდობები. მუსიკა „აღსდეგ გმირთ-გმიროს დამღეროდა...

ათეულებით მარცხენა მხარი წინ, ნაბიჯით იარ !—გაისმა რიგებში და ქართულად ამეტყველებულ მუსიკას ასეულები აედევნენ.

სამხედრო სკოლა მიდის ფრონტზედ, სამხედრო სკოლა !—ელვის სისწრაფით გავარდა ხმა ქალაქში და მთელი ქალაქი მიხაილოვის და შოთა რუსთაველის ქუჩაზედ გამოიფინა. ძლივს მიარღვევდნენ ასეულები აზღვავებულ ტალღას. ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, ყველა აქ გამოსულიყო და მწყობრად მიმავალთ ტაშის ცემითა და ვაშათი ეგებებოდა. იუნკერთა სასწავლებელი კი მიდიოდა მთელი მხედრული სიდარბა-

ანი ღამე ჩამოაწვა. იუნკ..ები საგუშაგოზედ იდგნენ. მეზობელთ შუა სიერცე გაკრათ, ზვერვა გაეხშირებ..ათ და ფრთხილათ მოწესრიგებას ჩქარობდნენ. ყრუ სიჩუმეს ნიჩბის შემთხვეევითი ჟღარუნი თუ შეარყევდა, ან დროგამოშვებით ძახილი: სდექ! ვინა ხარ! ბუ–უხ!...ბუ–უხ! გაისმა დაბლიდგამ. ფეხქვეშ მიწა დაჭრილსავით შეფართხალდა და ტაბახმელა სადღაც შორს განახეთქ ყუმბარათა ხმამ მოიცვა. ეს სოღანლუღის ბრძოლა დუღდებოდა. ღამე ცეცხლის ენებით აწვიმდა და ყუმბარათა ხმას ტყვიამფრქვეეთა ჩაკრაკი აედევნა. შორიდან მონაწედნენ ვაშა–ურას ძახილში ძლივ იმაგრებდნენ თავს იუნკრები ჩაშვეელების სურვილიდგან.

*19*-ს დაჭიმულ გრძნობას დაემატა ლენ. ანდრონიკაშვილის ამაღრეოლებელი მოლოცვა: „ჩვენს მარცხნივ, ღენერალ მაზნიაშვილმა ღამის განმავლობაში მტრის ყველა იერიში მოიგერია, გათენებისას თვით გადაეიდა იერიშზედ, ხელთ იგდო *1500* ტყვე, მტერი ზარალით იხევს. გილოცავთ გამარჯვებას.“ თუ საქ–მ იცოდა იმ დროს რა სული მეფობდა ტაბახმელაზედ ოფიცრებსა და იუნკრებში, დამშვიდებული უნდა ყოფილიყო თბილისის ბედზედ.

...*19*-ს დილიდგან მოლოდინის საათები გაგრძელდა. გუშაგები, მზვერავები, ხაზში გაშლილი მწყობრები გამზადებულ თოფებს ხელში სრესავდნენ და წინ გაშლილ მიდამოებს გამობურთული თვალებით ემუქრებოდნენ.

მზის სხივებმა მთის კალთებში მიწოლილ ქანდებს ყვითლად გაუცინეს. წაქეზებულმა ტაბახმელამ გულ-მკერდი გაიშიშვლა... არე-მარე ტრფობის მდუმარებით მიყუჩდა... მეოთხე მწყობრის სულ მარჯვენივ ათეული ტაბახმელიდგან კუმისისკენ დაქანებულ ხრამის თავში იყო. მაღლობიდგან მშვენივრად ჰხედავდა ქვეიდგან მონაპარ გზას.–თეთრად მოიკლაკნებოდა. „გზაზედ, შავად რაღაცა მოსჩანს“, გაისმა რამოდენიმე ხმა ერთათ. შავ წერტილთან იუნკრების ცქერის ხაზები შეჯგუფდა. რაღაც უნდა მოდიოდეს. თანდათან გვიახლოვედება, გრძელიც არის. ბოლო არ უჩანს. იძახდნენ აქა-იქედგან, თან გაკრიალებულ თოფებს დაჰყურებდნენ და ვაზნებს იმარჯვებდნენ.

–არავინ ისროლოს, ეს ლეკების მოხალისე ცხენოსანი რაზმი უნდა იყოს. მტერი მკვრივ წყობილებით არ წამოვიდოდა, იძახდა ლეიტენანტი ანდრონიკაშვილი, თან ჰოგრიტს იმარჯვებდა თავის ნათქვამში დასარწმუნებლად და ჩასაფრებულ ტყვიამფრქვეველს უახლოვდებოდა. შავი ხაზი ცოტა ხანს კიდევ მოდიოდა დინჯად, შემდეგ რაღაც მოძრაობა დაიწყო, განზედ გაიშალა. აქა–იქ პატარა ნაწილები წამოიმძღვარა...სიჩქარეს უკლო.

ეს უკვე საეჭვო იყო. შინაურს ამდენი სიფრთხილე რათ სჭირდებოდა?–აბა, ბიჭებო, ტყვიამფრქვეეიდგან ცეცხლი ჰაერში!–ტრა...ტა...ტა..ტა.. აჭიხვინდა სიჩუმეში ტყვიამფრქვევი. მტერი გაწვა. ცეცხლს ცეცხლით უპასუხა. ხაზები მარჯვენივ მიდრიკა და მოკლე ხანში გზიდგან დაწყებული იუნკრების წინ ამართული მთელი ქედის სიგრძეზედ, ცეცხლით ამოტყვევდა. ბუუუმ...ზუუუ...ბუხ.. იუნკრებს ჯერ ყურთ დაეცოთ, შემდეგ რაღაცას სუნმა გული შეუხუთათ. ერთი წამის შემდეგ, რომ გამოერკვნენ, საშინელი ბოლი ჰფარავდათ და ზარბაზნების მქუხარე ყუმბარა-შრაპნელები წინ და უკან ხტოდნენ. მოკლე ხანში, იუნკრების აჭარიშხლებული გულები დიდი ხნიდგან ნანატრ, ულამაზეს სტიქიაში ჰგრძნობდნენ თავს.

ამეტყველდნენ ქართული ზარბაზნები, ატიტინდნენ ტყვიამრქველები, აბზუვდნენ თოფები. სამხედრო სკოლა მოვალეობას იხდიდა.

თოვლიან ხევებით, არა ერთხელ ჩამოეშო მტრის შავი ზვირთები. ვერც ერთმა დაბლა ვერ ჩამოაწია. იშვიათმა მოახერხა ქედის უკანვე ამოფარება. იუნკრის არც ერთი ტყვია უქმად არ გასროლილა და დანიშნულებას ბევრი არც ასცდენია. მტერი, ახალი ძალებით გაძლიერებული, ახლათ მოიწევდა წინ, ახლათვე უკუგდებული, რომ წინსვლა ხელახლათ განემეორებია. ალბათ ლოტბარი გუნდს კარგად ლოტბარობდა.

საზრიანი უნდა ყოფილიყო იუნკერთ ნაწილების განაწილება პოლკ. ჩხეიძის მიერ. მტერმა ქართული სული ვერსად გასტეხა, იუნკერთა ხაზი ვერ გაარღვია, მაგრამ

რიცხოვანი უპირატესობა საშუალებას აძლევდა, განმეორებულ იერიშებთან ერთად, ხაზის თანდათანობით მარჯვნივ გაგრძელებას.

იუნკერთა ფრონტი ვულკანივით დუღდა; მტერი მის კიდეროს გადასცდა და გვერდში მოექცა. გვერდი ცარიელი აღმოჩნდა. მარჯვნივ მყოფ ჯარის ნაწილებს მამადავითისკენ დაეხიათ... სიცალიერით გათამამებული მტერი, ათასეულამდის, სკოლის ზურგისკენ დაეშვა. მარჯვნით მყოფ მეოთხე მწყობრმა რკალი შემოფარგლა, წინიდგან მოიერიშე ტალღებს იგერიებდნენ, გვერდსა და ზურგში მომავალ მტერს ცეცხლით აზიანებდნენ. ცეცხლზე, მტერმა ცეცხლი გააჩინა, მაგრამ ცეცხლი საზარელი, ცეცხლი შეჯგუფებული სამი მხრიდან.

მტერი ანდრონიკაშვილის შტაბისკენ დაეშო. მდგომარეობა გართულდა. ქარისგან დამძრალმა ტაბახმელელმა სიკვდილმა კბილებიააკაწკაწა და მოღერებულ ცელის ჩრდილი ტფილისს დააყრდნო. იუნკრები დახევასა და თავის გადარჩენაზედ არ ფიქრობდნენ.

იუნკერი მიქაძე სასწრაფო ბრძანებით ცხენს პოლკ. ჩხეიძისაკენ მიაქროლებდა. პოლკოვნიკი, შტაბის მარჯვნივ, თავის საყარაულო პუნქტზე იდგა, კოჯორიდან ზურგისკენ ჩამავალ მტერს შესცქეროდა და ჩვეულებრივი სიმშვიდით თავის ისტორიულ ჩიბუხს აბოლებდა. ხელში ნიშნებით მორთული თოფი ეჭირა, მხარზე პატანტრაში გადაეგდო. იქვე ახლოს მაიორი გარდაფხაძე და კაპიტანი მაჭავარიანი რაღაცეზე ლაპარაკობდნენ. ბატონო პოლკოვნიკო, მაქვს პატივი მოგახსენოთ დავალებული ბრძანება: „ბოლშევიკები ჩამოდიან კოჯორიდან ზურგში, შტაბი უკვე ცეცხლის ქვეშ იმყოფება, ამისათვის ნაბრძანებია სკოლამ და მეათე ათასეულმა დაიხიონ უკან." საით?— შეეკითხა პოლკოვნიკი, თან თვალს ჩამომავალ რუსებს არ აშორებდა.—აგერ იქით, გაიშვირა ხელი იუნკერ მიქაძემ მამადავითისკენ. პოლკ. ჩხეიძე ჩიბუხის ბოლში გაეხვია და ერთი წუთით განცდათა მორევში შეცურდა. მამადავითის მთაზედ, ასეთ პირობებში, მიეიყვან მარტო იუნკრებს. სხვები გაიფანტებიან ან ტფილისისკენ დაეშვებიან. მტერი სწრაფად დაიკავებს ჩვენ მიერ მიტოვებულ სიმაღლეებს. ტფილისი დაეცემა... და ვისი ბრალით? აქ თვალით დაეხატა სქელი წიგნი, ქართული ისტორიისა. თაობიდან თაობაზე პკითხულობენ, დიდი და პატარა ქართველნი, და იქა სწერია: „კრიტიკულ წუთებში სამხედრო სკოლამ დააგდო თავისი პოზიციები და დაიხია მამადავითის მთაზედ, რის შემდეგ ბოლშევიკებმა დაიკავეს ტაბახმელა და აქედან შემოვარდნენ ტფილისში."

არა, ეს ასე არ იქნებოდა დაწერილი, და ეს ერთი შემთხვევა იყო, რომ ანთებული ჩიბუხის მოწევისათვის აღარ სცალოდა. არწივისებური თვალები ღია ფრთისა და ზურგისთვის მიეპყრო და კლდესავით მოსხეპილი, ქანდაკებას ჰგავდა. გარდაფხაძე და მაჭავარიანიც, მიქაძის მოხსენების შემდეგ აღარ ლაპარაკობენ. ისინიც, მძიმე წუთზედ ჩაფიქრებულნი, ბოლშევიკების შეუჩერებელ წინსვლას შესცქეროდნენ და მოპარვით, პოლკ. ჩხეიძის თვალთაგან მდგომარეობიდგან გამოსავალის ამოკითხვას ჰლამობდნენ.

ირგვლივ ომის ჯოჯოხეთი, თოფ-ყუმბარათა ქუხილში, ზეიმს ახშირებდა. პოლკ. ჩხეიძის გული ამ დროს იმასვე სწყვეტდა, რასაც ფიქრობდნენ იუნკრები, გულ აჩუყებულ ტფილისზედ უკანასკნელ გაელისას: „ტფილისისკენ რუსები ჩვენ გვამებზედ გადაივლიან". —„იუნკერო, თავისუფალი ხართ, მეც მოვდივარ შტაბში". — უპასუხა დამშვიდებით პოლკ. ჩხეიძემ მომლოდინე მიქაძეს, თან ამომწვარ ჩიბუხს ხელის გულზედ იტყაპუნებდა ნაცრის გამოსაყრელად. „მაიორ ხახუტაშვილმა მოაბრუნოს ზარბაზნები უკნისკენ ცეცხლისთვის; ქარუმიძემ დადგას სამთო ზარბაზნები ბალისა და სოფელ ტაბახმელის შუა"! — უბრძანა პოლკოვნიკმა მაიორ გარდაფხაძეს და კაპიტან მაჭავარიანს. თვითონ ცხენით გაჰქუსლა შტაბისაკენ.

პატარა ხანს უკან იუნკრების მე- 2 მწყობრი, ათასეულის ნახევარი ასეული, ოფიცრებით: კაპ. თოიძეთი და ქარუმიძით, მტრის შესაჩერებლათ იერიშზედ გადადიოდნენ. წინ ყუმბარათა მარჯვე ცეცხლი მიუძღვოდათ. ორივე ოფიცერი მოკლულ იქნა. მაგრამ მტერი დიდი ზარალით შეჩერებული.

იუნკრები ღირსი მოწაფენი გამოდგნენ თავის მასწავლებლისა. ერთი მტკაველი მიწა მტერს არ დასთმობიათ, გამარჯვება იყო სრული, სულისკვეთება საუცხოვო, და ერთი დასანანებელი იუნკრებისთვის მხოლოდ ის, რომ ღამე დაღლილები და მშიერები შინდისში მიჰყავდათ დასასვენებლათ.

მთავარსარდლის ბრძანებით ფუნიკულიორიდგან, სოფელ ბებუთოვკიდგან, თელეთის ქედიდგან მიიწევდნენ წინ, კოჯორის დასაბრუნებლად. მის მიერ დაძრული ათასეულები, მხედრებისთვის, იმ დღიდანვე ეჭვი არ ყოფილა 19, 20 და 21-ს კვინიტაძის სარდლური ხელოვნების შედეგი იყო, დანარჩენნი თავის ვალს ასრულებდნენ. მართალია, 20-ში ტფილისის ბედი კოჯორზედ სწყდებოდა, მაგრამ იქ გამარჯვება მაინც მარცხით და ტფილისის დაკარგვით დამთავრდებოდა, რომ იმ პატარა ჯგუფებს კონტრ-იერიშებით და უკან მომბრუნებელ ზარბაზნების ცეცხლით, მოპირდაპირე არ შეეკავებინათ, სანამ მთავარსარდალი შესძლებდა მაშველი ჯარის გამოგზავნას.

სკოლა შინდისში ისვენებდა. მის ნაცვლად ტაბახმელას გვარდიისა და ჯარის ნაწილები იცავდნენ, არც ცოტანი: მე-10 ათასეულის ნაწილები, ორი გვარდიის ასეული, მე-5 ათასეული და კიდევ სხვა ნაწილები. კოჯორთან მიწოლილმა მტერმა ტაბახმელაზედ მოინდომა მოკლე მანძილით ტფილისისკენ დაშვება. გამეხებული შეტაკებებით, მრავალ უკუგდებული იერიშების შემდეგ, მაინც წინ წამოიწია, ზოგიერთ ადგილას შემოამტვრია და შტაბსა და ზარბაზნებს დაემუქრა. საკითხის გადასაჭრელად იუნკრები საჭირონი გახდნენ, და ფარნაოზი, ახლათ ჩამოსულ მთავარსარდლის ბრძანებით, შინდისში ჩხეიძესთან ცხენს მიაჭენებდა. —სკოლა ამოიყვანეთ საჩქაროთ ტაბახმელაზედ, მგომარეობა გართულდაო... სკოლა დაიძრა... გზაში კიდევ მოვიდა ბრძანება: „აჩქარდით, ფრონტი გაირღვა!" დაყარეთ ყველაფერი ვაზნების გარდა, სწრაფად წინ! გაისმა პოლკ. ჩხეიძის ფოლადისებური ხმა.

იუნკრები შარში გაშლილნი მირბიან; თავზედ ტყვიამფრქვევლები ბზუიან, ყუმბარათა ცეცხლი შინდისიდანვე სდევთ. აქა-იქ დაჭრილ-დახოცილი იუნკრები იჩოქებენ. ყუმბარათა ბოლში სჩანს რაღაც ნაწილები...იხევენ..მხოლოდ ვილაცა, ვაჟკაცური გამომეტყველებით, წარბშეუხრელად, ტანში გასწორებული, სიმწარით იქნევს აქა-იქ მათრახს და ნაწილების გაჩერებას ლამობს... იერიშებისათვის ვერ გაუძლიათ, ველს ატიტვლებენ... მათრახიანი ჯუღელია, თავის ნაწილების შეჩერებას ლამობს. იუნკრების დანახვაზედ იმედის სხივი უთამაშებს თვალებში, შეებით სუნთქავს, სწამს საქმე მოგებულია.

ვაშა! გრიალებდნენ იუნკერთა მწკრივებში და სასტიკი იერიში უნებლიეთ გვარდიელებზე და ბოლშევიკებზე თანაბრათ მიჰქონდათ. გვარდიელები მათმა ტალღამ წინ წაიღო. ხაზი აღდგენილი იქნა. იუნკრების სული შთაენერგა ტაბახმელას სხვა ჯარებსაც; ყველა სალამომდის განუწყვეტლად მონატანი იერიშები მოგერიებული იქმნა. მტერი დაზარალდა. სალამოსთვის მთლად მიჩუმდა და ტაბახმელა მიმწყნარდა. ოღონდ ყუმბარები ისევ შხაპუნებდნენ—აქ ომის ღმერთი მაინც ზეიმობდა.

ღამე, სამხედრო სკოლის უბნიდგან გაჰქონდათ 25 გვამი. ტფილისისკენ კი მიგორავდა ოთხი მტრის საველე ზარბაზანი და ერთი დაზიანებული ჯავშნოსანი... უკან დაგლეჯილი ტყვეები მისდევდნენ. იუნკერთა სული მეფობდა ტაბახმელაში.

22-23-ს მტერს არაფერი სერიოზული გაუბედია. კოჯორზე ბრძოლები გამარჯვებით დამთავრდა. დაღლილმა ჯარებმა ვაშლოვანამდის სდიეს. ღრმა დევნისათვის დასვენებული არ აღმოჩნდნენ. მე-11 და მე-12 ათასეულებს ელოდნენ ახალციხე-არტაანიდან.

24 თებერვალი ქანლითა და ზარბაზნების გრიალით გათენდა. ოც ნაბიჯს იქით არაფერი სჩანს. ბოლშევიკები სარგებლობენ სიბნელით, ტაბახმელის წინამდებარე ქედებით ხევებში წითელი კურსანტები ჩამოჰყავთ და მოულოდნელად ხელჩართულზე გადმოდიან. ბრძოლა ჩაღდება სასტიკი. არც ერთის მხრივ დანდობა...

ვაშა და ურა ზარბაზანთ გრიალში ირევა. ხიშტის ძგერასა და კონდახთ თხლაშუნში იშვიათად მოისმის შორით დაშორებულ მწკრივების სროლა. იერიშს კონტრ-იერიში მოსდევს, კონტრიერიშს ახალი იერიში, სიკვდილს სიკვდილი და ბრძოლის გახურებულ ჟინს, ახალი ჟინი... მოწინააღმდეგე ღირსი ფალავანდი გამოდგა. ჩვენები ყოველ მტკაველ მიწას ზედ აკვდებიან... თოვლი გაწითლდა. გვამები მოძრაობას აძნელებენ. ხელჩართული არა ნელდება... იუნკრები ერგული არიან ტფილისის ქუჩებში ჩუმათ დადებულ ფიცისა: „ბოლშევიკები ჩვენს გვამებზე გადმოივლიან..." გაუმარჯოს საქართველოს! უკანასკნელად იძახიან გულგანგმირული ახალგაზრდები და მხიარულათ ეხუტებიან ცივი გვამებით მშობლიურ მიწას...

ღამე ჩამოწვა სქელი და ნოტიო. გატეხილი მტერი აღარსადა სჩანს. ქართული ხაზები შენარჩუნებულია და ტაბახმელის რვა კილომეტრიან სივრცეს ისევ სდარაჯობს იუნკერთა ორი ჯგუფი: ერთი კაპიტანი მაჭავარიანით 12 კაცი, მეორე, კაპიტან ალავიძით: 8 კაცი. მზათ არიან ყველანი ახალ-ახალი იერიშის მოსაგერიებლათ. არავინ წვება, რომ დაქანცულს ძილი არ მოერიოს... ვაზნების გამოლევა არ ანაღვლებთ, ხიშტს დაჰკურებენ... ერთგულნი არიან დადებულ ფიცის...რა იქნება ხვალ, ეს მათ არ აფიქრებთ. მათი მოვალეობა იციან. ალბათ ხვალ ბოლშევიკები იერიშს გაიმეორებენ, დარჩენილი 20 იუნკერი დაიხოცება და მტერი...

რა იყო სხვაგან? იქაც ხომ მზგავსად იბრძოდნენ. იქნებ იქაც ეს?... თუ ეს ასეა, მაშ თბილისის კედლებთან ბრძოლის გაგრძელებას ახალი ძალები ესაჭიროებოდა, ძალები არსად სჩანდა და ბრძოლის მოგების იმედი ტფილისის შეწირვასა, დროს მოგებას და ახალ დარაზმულობას მოითხოვდა... ალბათ, მხოლოთ ამისთვის, უნებლიეთ გადარჩენილი იუნკრების მოქანცული ჩრდილები, სევდითა და ბოღმით, ჯერ მიბნედებულ ტფილისზედ და შემდეგ მტკვრის მარცხენა ნაპირით, მცხეთისკენ მიიძვროდნენ. გადარჩენილ ჯგუფს წინ მიუძღოდა ტაბახმელის გამწვარებული გმირი და ორიოდე გადარჩენილი ოფიცერი. უკან ტყუ-ტყუ. სოფელ მორიდებით დაგვიანებით ისწრაფვიდნენ საავადმყოფოდგან გამოპარული დაჭრილი იუნკრები.

ცხრამეტ მარტს, ქართულ ზღვას რამოდენიმე გემი მოწყდა. გემში ერისა და მხედრის კაცებში გადარჩენილი იუნკრებიც ერივნენ. მათ თვალებს კაეშანი და სევდა ასდევნებოდა.

( „მხედარი" №17. პარიზი. 1934) ნ. მა—დი.

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება,

ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემულო მსმენელებო,

აფხაზი მეცნიერისა

და საზოგადო მოღვაწის, პეტრე ჭარაიას სიტყვები აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ:

1912 წელს -

"აფხაზეთის პოლიტიკური ისტორია - წერს პეტრე ჭარაია მჭიდროდ დაკავშირებულია ქართველი ხალხის ისტორიასთან. აფხაზეთში ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით აღორძინდა ახალი ქართული სახელმწიფო. დღეს მთელი აფხაზეთის ტერიტორია მოფენილია ქართული ეკლესიებით და ქართული წარწერებით. აფხაზური ტექსტისათვის ჩვენ ვხმარობთ ქართულ ანბანს, ქართულ ტრანსკრიპციას, რაც სავსებით ეგუება და ეთანაბრება აფხაზურს".

## ს ი ტ ყ ვ ა

წარმოთქმული კოლონელ ნიკოლოზ (კუკური) თოხაძის მიერ, ქართული სათვისტომოს კრებაზე, პარიზში, *1971* წლის მარტის ცხრამეტს.

„დღეს ჩვენ შეკრებილი ვართ ამ დარბაზში იმ სამგლოვიარო თარიღის აღსანიშნავად, რომელიც ყველას, განურჩევლად ასაკისა და მსოფლმხედველობისა, მძიმე ლოდივით გვაწვევს და მწარე განცდით გვიპყრობს ჩვენი სამშობლოს უბედურების წინაშე. მე სხვანაირად მოაზროვნე აქ არავინ მეგულება და არც უნდა ჰქონდეს ადგილი ჩვენს შორის ისეთ გარეწარს, რომელიც ჩვენსავით არ განიცდის ჩვენი საყვარელი სამშობლოს დატოვების თარიღს და ჩვენი მიწა-წყლის შემოსეულ მტრის ხელში ჩავარდნას.

ახლა მე მსურს აგიწეროთ ტაბახმელას ქედზე, თბილისის დასაცავად, სკოლის და მასთან ერთად დაკავშირებული ჯარის ნაწილების მიერ გადახდილი ბრძოლების რამდენიმე ეპიზოდი. განსაკუთრებით *17* თებერვლიდან *24* თებერვლის შუაღამემდე სამხედრო სკოლის მოქმედება და სამშობლოს დასაცავად გაღებული მსხვერპლი.

*17* თებერვალს, დილის ხუთ საათზე, სამხედრო სკოლის უფროსმა გენ ალ. ანდრონიკაშვილმა მიიღო ჩვენი ახლად დანიშნული მთავარსარდლის, გენ. კვინიტაძის ბრძანება: სამხედრო სკოლა საჩქაროდ გამოვიდეს ტაბახმელას ქედზე მთელი თავისი შემადგენლობითო.

*18* თებერვალს გამარჯვება სოღანლუღის ნაკვეთზე იყო გამოწვეული სადარაჯო ათასეულის ერთი გუნდის მედგარი წინააღმდეგობით და ვალოდია გოგუაძის ჯავშნოსან მატარებლის მტრისთვის კრიტიკულ წუთში აღმოსავლეთით წინსვლით; შედეგი კი იყო: გარღვეულ ფრონტში შემოჭრილი მტრის განადგურება ან ტყვეებათ წაყვანა; ზარბაზნები, ტყვიამფრქვევლები და ტყვეები თბილისის ხალხმა ნახა სასახლის გვერდზე გამოფენილი *19*-დან *23* თებერვლამდე.

შავნაბადის, ტაბახმელას და კოჯორის ნაკვეთზე რა ხდებოდა *18* თებერვალს? გენ. ანდრონიკაშვილმა ბრძანების მიღებისთანავე ყველაფრის მომზადება დაავალა პოლ. ჩხეიძეს და თვითონ წინდაწინ გაეშურა ტაბახმელა-კოჯორის ნაკვეთისაკენ. სამხედრო სკოლა და ნაცვალთა ათასეულის ახლად გაწვეულ ჯარისკაცებს *7* კილომეტრი სიფართე ფრონტის დაცვა გვევალებოდა.

*11* თებერვალს, ღამით, რუსის ჯარის ნაწილები, სომეხ და ქართველ მოღალატეთა ჯგუფების დახმარებით, ჩვენ სანაპირო სადარაჯოებს თავს დაესხნენ და ჩვენი საზღვრები გადმოლახეს. *16* თებერვლამდე მეორე არმიის ბრიგადამ ხეობებით უკან დაიხია, ჯერ სადგურ სანდარზე და შემდეგ ხრამზე შეუჩერებლად, თბილისისაკენ.

*17* თებერვალს გენ. კვინიტაძე დაინიშნა მთავარსარდლად. თბილისიდან სამხედრო სკოლა გამოვიდა *12* საათზე, გადაასწრო მეოთხე ათასეულს და ტაბახმელას ქედზე განაწილდა, გენ. ანდრონიკაშვილის მიერ ნაჩვენებ სანგრებში. გენერალმა თავისი შტაბი მოათავსა გზატკეცილის დასავლეთით მხარეზე მდებარე დუქნის ორ ოთახში. იქვე დარჩნენ მის განკარგულებაში ხუთი ცხენოსანი იუნკერი, საინჟინერო განყოფილების ათი იუნკერს დაეკისრა მავთულით კავშირის გაბმა მთელი ჩვენი ნაკვეთის სივრცეზე, რომელიც ხევებით და ბუჩქებით იყო დაფარული, რის გამო კავშირის გაბმა ფერხდებოდა და ხუთი ცხენოსანი იუნკერი განუწყვეტლივ მისვლა-მოსვლაში იყო. ჩვენ აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ ფრთასთან მხოლოდ ათი იუნკერი გვაკავშირებდა. შტაბს ტელეფონით კავშირი მხოლოდ თბილისთან ჰქონდა.

ტაბახმელაზე ასვლისთანავე, სამხედრო სკოლამ, ნაცვალთა ათასეულის ახლად გაწვეულ ჯარისკაცების მიერ შედგენილმა ათასეულმა, ნაცვალთა ბატარეიამ, იუნკერთა ორმა საველე ზარბაზანმა, დაიკავეთ ზემოხსენებული ფრონტის ნაკვეთი, რომელიც გადაჰყურებდა სოფელ ვაშლოვანს და წავკისს.

*18*-ს საღამოს, ჩვენს პოზიციებზე ამოვიდნენ ბ-ნი ნოე ჟორდანია, მთავარსარდალი და სამხედრო მინისტრი.

ტაბახმელას ქედზე სკოლას ეკავა ძველი სანგრები, *1914* წლის ომის დროს წინასწარ გათხრილი, როცა თურქების იერიშები კავკასიის ფრონტს დაემუქრნენ და მდგომარეობა საშიში შეიქმნა ამიერ კავკასიაში. ზედმეტია აგიწეროთ ამ სანგრების მდგომარეობა *1921* წელში. ეს იყო უბრალო თხრილები, ნიაღვრების კალაპოტი, ზოგჯერ სულ გავერანებული და უვარგისი. მიუხედავად ამისა სკოლაზედ განაწილდა და *19* თებერვლის დილამდე ამ ცენტრალურ პოზიციებს იცავდა. ღამემ მშვიდობიანად გაიარა. მხოლოდ კანტი-კუნტი სროლა გაისმოდა სადარაჯოზე მდგომ ჯგუფებიდან.

*19*—ს დილით, ჩვენი პოზიციიდან გადავყურებდით ტაბახმელის ლაბორატორიუმს, სადაც იდგა მაიორი ბახუტაშვილის ბატარეა, სკოლის ნაცვალთა შემადგენლობით. ეს ბატარეა განუწყვეტელ კავშირში იყო პოლკ. ჩხეიძესთან, რომელიც ცხენზე იჯდა, ჟალიონს ეწეოდა; მის გარშემო შეკრებილი იყვნენ მაიორი ანანიაშვილი, კაპ. მაჭავარიანი და კაპ. შავდია.

დილის *8* საათი იყო დაახლოებით, პირველი თოფის სროლა გაისმა და ჩხეიძის წინ მდგომი ჯგუფიდან მაიორი ანანიაშვილი წუთისოფელს გამოესალმა. ის იყო ჩვენი სკოლის გუნდის უფროსი და ის გახდა მტრის ნასროლ როყიო ტყვიის პირველი მსხვერპლი. მტრის ცხენოსნები თითოეულად და ჯგუფებით მიიმართებოდნენ კოჯორის აღმართზე და ჩვენი ზარბაზნებით თითოეულ ჯგუფის გამოჩენაზე ცეცხლს ვხსნიდით; ასე გაგრძელდა დილის თორმეტ საათამდე.

მთაწმინდის ფუნიკულიორით იწყო ამოსვლა ბათუმის გვარდიამ და ვალიკო ჯუღელის მეთაურობით შეუტიეს კოჯორს, იუნკერთა წყობის მარჯვენა ფრთაზე. ჩვენი შეტევა კოჯორის აღებით დამთავრდა. ბათუმის გვარდიამ და მეოთხე ათასეულმა განაგრძო ქოროღლისაკენ წინსვლა, მაგრამ კოჯორის აღება ძვირად დაუჯდა იუნკერთა მეორე მწყობრს, რომელიც მეტად დაზარალდა. კაპიტანი თოიძე და თორმეტი იუნკერი გახდნენ მსხვერპლი. მეორე მწყობრი აღარ არსებობდა.

*24* თებერვალი. მტერმა დილიდანვე გახსნა არტილერიის გაძლიერებული ცეცხლი. მათი ჰურვები მეორე და მესამე სანგრების აღმოსავლეთით სკდებოდა; ამ სანგრებს სკოლის ახლად გაწვეულ ჯარისკაცების ორი გუნდი იცავდა, მაგრამ წინა დღეების ბრძოლების დამსწრე და უკვე ნაცადი ჯარისკაცები შეუდრეკლად იდგნენ თავიანთ ადგილზე. გათენებიდან დაღამებამდე სროლა და არტილერიის გრიალი არ შეწყვეტილა. იერიშები და კონტრიერიშები რამდენჯერმე განმეორდა; რუსის ჯარის ნაწილები დაჟინებით ცდილობდნენ ტაბახმელას ხელში ჩაგდებას და თბილისისაკენ გზის გაკაფვას; ხან ერთ სანგარს, ხან მეორეს, გაშმაგებით შემოუტიეს, მაგრამ მოგერიებული იქნენ.

საღამო ხანს, მტერმა ახალი ძალებით მძლავრი იერიში მიიტანა მეოთხე სანგარზე, რომელსაც მთელი დღის განმავლობაში პირველი ათასეულის ნაწილები იცავდნენ. აქ მტერმა შეძლო ხიშტებით სანგრის აღება, შიგ ჩაიმალა, განაგრძო აღმოსავლეთისაკენ წინსვლა და თავი ამოყო სანგრიდან იმ გორაკის წინ, სადაც გოგი მესხიშვილის ორი სამთო ზარბაზანი იდგა. მტერი გაეშურა ხიშტებით მათ ასაღებად; გოგი მესხიშვილმა სწრაფად შემოიკრიბა მის გარშემო ზარბაზნების მსახური ჯარისკაცები, იძრო ხმალი და მედგრად შეუტია შემოსეულ მტერს, ჩეხავდა მარჯვნივ და მარცხნივ. ჩვენი პოზიციიდან უმწეოდ შევყურებდით ამ გულშემზარავ სურათს, მიშველება შეუძლებელი იყო ჩვენი ზარბაზნებით ასეთ ხელჩართულ ბრძოლაში. უცებ ვაშას ყიჟინამ მოაღწია ჩვენამდე. ეს იყვნენ უკანასკნელ მაშველად ტაბახმელას ბაღებში შეფარებული იუნკერთა მწყობრები, რომლებიც ეკვეთნენ რუსებს სწორედ იმ წამში, როცა მათ მედგრად იგერიებდნენ გოგი მესხიშვილი და მისი ჯარისკაცები. კაპ. შავდიას, ხოშტარიას და ჩიჩუას წინამძღოლობით იუნკრების მოულოდნელ და მძლავრ დარტყმას ვერ გაუძლო მტერმა, ზურგი იბრუნა ისევ მეოთხე სანგრისკენ და სწრაფად მოშორდა ტაბახმელას ჰორიზონტებს და სოფლებში

მიიმალა. შემდეგ ვიცით რა მოხდა. ბრძოლის ველზე გმირულად დაეცნენ: შალვა ერისთავი, ოთარ ლორთქიფანიძე და იოსებ ჯანდიერი; დაჭრილნი იყვნენ სამივე ოფიცერი და *15* იუნკერი.

*19* თებერვალს, იუნკერთა მეორე მწყობრის კოჯორზე კონტრიერიშს გადარჩენილი იუნკრები გაანაწილეს მესამე, მეოთხე და პირველ მწყობრების შემადგენლობაში და მონაწილეობას ღებულობდნენ *24* თებერვლის კონტრიერიშებში.

მოულოდნელად მივიღეთ ბრძანება პოზიციებიდან გზატკეცილზე ჩავსულიყავით აუჩქარებლად და გამოვეთხოვებოდით ჩვენი სკოლის უფროსს, რომელიც შტაბის წინ იდგა და უკანასკნელად გვეთხოვებოდა. ჩვენ კი თბილისისკენ მივემართებოდით.

მტერს ტაბახმელიდან აცნობეს, რომ მათ წინ არავინ იყო და *25* თებერვალს დილით მტერმა გაბედა თბილისში შესვლა."

( „კავკასიონი" №*15*. პარიზი. *1971*. )

კოლონელ ნიკოლოზ თოხაძე

ლიქფორი: (<u>"თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან"</u>)

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება,
ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემული მსმენელებო,
აფხაზი მწერლის, პოეტისა
და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი გულიას სიტყვები აფხაზებისა და ქართველების შესახებ, რომელიც გამოქვეყნებულია ჟურნალ "მნათობის" 1974 წლის მე-10 ნომერში:

"ჩვენ - ამბობს დიმიტრი გულია - ერთი ცის ქვეშ, ერთ მიწაზე გვიშენებია ჩვენი კულტურა, ერთად დაგვიცავს ჩვენი ეროვნული რაობა და ჩვენი მიწა-წყალი. ჩვენ რომ ვთქვათ ძმები ვართ, ეს ცოტაა. ჩვენ ერთი ფსიქიკის, ერთი ადათის, ერთი წესის, ერთი ფსიქოლოგიის ერები ვართ. ქართველს არა მგონია ვინმე ჰყავდეს უფრო ახლობელი ძმა, ვიდრე აფხაზია, აფხაზებსაც ასე მიაჩნდათ ქართველი და ჩვენ ამ ძმობამ შეგვინახა. ვინც ამ ძმობას შლის, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, "იგი თავისა მტერია".

## თებერვლის დღეები

როდესაც გამოირკვა, რომ ჩვენს საზღვრებს უტევდნენ არა უბრალო ბრბოები, არამედ რუსული წითელი ჯარების რეგულიარული ნაწილები, საქ–ს პროფესიონალური კავშირების საბჭოს პრეზიდიუმმა, რომლის თავმჯდომარე იყო განსვენებული სეით დევდარიანი და, რომლის მდივანი გახლდით მე, მოვუყარეთ თავი თბილისის მუშა მოხალისეებს და მოვუწყვეთ სამხედრო ვარჯიშობა სპეციალისტების ხელმძღვანელობით. დავამზადეთ და დ:კგზავნეთ ფრონტებზე სანოვაგე და საექიმო მასალები.

თბილისის დაცემის წინა დღეს, მე და ჩემმა ორმა თანამშრომელმა, წავიღეთ საჩუქრები და ეტლით ავედით კოჯორისკენ სადაც ჩვენი იუნკრები და გვარდიელები იბრძოდნენ. სროლის ხმა თანდათან ახლოვდებოდა, როდესაც მივაღწიეთ იმ ადგილს, სადაც ორი დღის წინ აფეთქდა ჩვენი საექიმო ამბულატორია და გახდა მსხვერპლი ჩვენი მოწყალების და მაყაშვილი, ჩვენი ეტლიდან სამი თუ ოთხი მეტრის მანძილზე გავარდა ყუმბარა. ეტლი დაფარა მტვერმა. ჩვენ ვაპირებდით გზის გაგრძელებას, რომ სამხედრო ყარაულს არ გავეჩერებიეთ. მან გამოგვართვა ჩვენი ამანათები და გვირჩია უკან დავბრუნებულიყავით.

მეორე დღეს მოვიდა სეით დევდარიანი, რომელიც გვაკავშირებდა ჩვენ მთავრობასთან და დამფუძნებელ კრებასთან, და გვითხრა, რომ ყველა შემოტევები მოვიგერიეთ და გადავედივართ შეტევაზეო. ჩვენ იმედიანად შევუდექით მუშაობას.

მაგრამ, სამწუხაროდ, საღამოს ექვს საათზე სეითი მოვიდა დაღონებული და გვამცნო თავზარდამცემი ამბავი: მტერმა გაარღვია პოზიციები, თავი მოგვიარა, მოდის პირდაპირ თბილისზე, მთავრობამ გადაწყვიტა თბილისის დატოვება და მცხეთაში გამაგრებაო. სეითის მწუხარებას აღარ ჰქონდა საზღვარი, და, როდესაც ჩვენ ჩავიცვით მაზარები და ავიკიდეთ თოფები მხარზე, მან ერთგვარი შურით ამოიოხრა: „ნეტა თოფის ხმარება მაინც ვიცოდეო."

მე განვიზრახე დარჩენა თბილისში და წინააღმდეგობის გაწევა მუშათა ორგანიზაციებში. ამის გამოცდილება მე მქონდა რუსეთიდან, სადაც სამოქალაქო ომის დროს და შემდეგაც დიდი ბრძოლები ჩაატარეს მუშათა ორგანიზაციებმა და, რომელშიდაც მე პირადათ მივიღე მონაწილეობა აქტიური, როგორც პროფ. კავშირების ხელმძღვანელმა, როგორც პრესის, ისე საჯარო გამოსვლებითაც.

რადგან სხვა აეტორიტეტი აღარ იყო, მე და ჩემი ორი კოლეგა წავედით გვარდიის შტაბში სადაც დამხვდნენ ალექსანდრე დგებუაძე, ა. ქიაბრიშვილი და სხვა შტაბის წევრები. მე მათ წარვუდგინე ჩემი გეგმა, რომ არ ივარგებს მუშათა კავშირების კომუნისტების ხელში ასე უბრძოლველად ჩაგდება. უკეთესია ჩვენ აქ დავრჩეთ და მივცეთ აქ ბრძოლები, მითუმეტეს, რომ მუშათა მასები ჩვენ თანაგვიგრძნობენ, გარდა ორი თუ სამი კავშირისა, რომლებიც უცხოელებისაგან შედგებიან თქვა. შტაბის წევრებმა არ გაიზიარეს ჩემი პოზიცია, განსაკუთრებით წინააღმდეგი იყო ალ. დგებუაძე, რომელმაც მოიყვანა შემდეგი არგუმენტი: „კი დარჩებით ამხანაგებო, მაგრამ, რომ გაგიკეთონ მობილიზაცია და გაიძულონ ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლა"-ო. ამ სიტყვებზე ჩვენი დავა შეწყდა. ეტყობოდა, რომ ჩვენი დარჩენა არ იქნებოდა კარგად გაგებული და გამოიწვევდა ეჭვებს. გამოვემშვიდობეთ გვარდიელებს და დავუნიშნეთ ერთმანეთს პაემანი ქუთაისში და მივაშურეთ სადგურისაკენ.

გზაში მე გადავწყვიტე ზესტაფონში გავლა და ჩემი დის ნახვა, რომ მისთვის ჩამებარებია ჩემი ახლად შერთული მეუღლე, რომელიც მარტო რჩებოდა თბილისში. ზესტაფონის სადგური დამხვდა მილიციონერებით გარშემორტყმული. ყველა სადგურზე ჩამოსულ სამხედრო პირებს უყრიდნენ თავს ქალაქის მმართველობაში ღამის გასათევად, აბანოს მისაღებად და დასასვენებლად. მე ვიყავი მაზარაში და მეკიდა თოფი. მეც წამიყვანეს სხვებთან ერთად. როდესაც ყველას მიცეს თავშესაფარი, ჩემთან მოვიდნენ ერობის თავმჯდომარე, კ. ბუაჩიძე და მისი მოადგილე, სანდრო მენაღარი, რომლებმაც

გამაცილეს ჩემი დის ბინამდე, რათა ღამის ყარაულებს არ ჩავვარდნოდი ხელში უცნობობის გამო. მეორე დღეს გავედი სადგურში. მინდოდა განმეგრძო გზა ქუთაისისაკენ, სადაც მქონდა დანიშნული შეხვედრა პროფკავშირების პრეზიდიუმის წევრებთან. სადგურზე დამხვდა განსვენებული ნოე ხომერიკი, რომელსაც მთავრობისა და მხედრობისაგან ჰქონდა დავალებული აქაური ფრონტის პოლიტიკური ხელმძღვანელობა. ხომერიკმა მთხოვა ქუთაისისთვის დამენებებია თავი და წავსულიყავი საჩხერეში გენერალ ზაქრაძის დასახ[illegible]ლად. ოსიოურიდან შეტევა იწყება და საჰიროა იქიდან ზურგის გამაგრებაო, მითხრა ნოემ. დავის და წინააღმდეგობის დრო არ იყო და შევცვალეთ მარშრუტი. საჩხერეში დამხვდა მეტად სიმპატიური და უბრალო( გარეგნული შეხედულებით) კაცი, რომელმაც ძალიან კარგად მიმიღო. ყვირილის პირათ ხევადაბუნებში გავმართეთ მიტინგი. შევეცადეთ გაგვემაგრებია შეშინებული ხალხი.

მეორე დღეს ცხენით გავემგზავრე კორბოულში. იქაც გავმართეთ დიდი მიტინგი. ოსიოურიდან ისმოდა სროლის ხმა. მიტინგი დიდ ხანს გაგრძელდა. შემოღამდა კიდეც. იძულებული ვიყავი იმ ღამეს იქ გამეთია. დილაზე ადრე ხმა გავრცელდა სოფელში, ვითომც ვიღაც გვარდიელი მოსულიყოს ახლო სოფელში და ეთქვას ოსიოურიდან მოედიეარო. მართლაც სროლა უფრო შორიდან ისმოდა. ამ გვარდიელს უთქვამს ჩვენებმა ოსიოური დატოვესო. როგორც გამოირკვა ცნობა მართალი იყო.

საჩხერეში დაბრუნების დროს ოსეთის მხრიდან ისმოდა თოფის სროლა დრო გამოშვებით. საჩხერეში დამხვდა ცნობა ჩვენი უკან დახევის და განკარგულება ბათუმისაკენ წასვლის, ამასთან, ვიყავი დანიშნული ეშელონის კომენდატად, რამაც ძალიან გამაკვირვა, როგორც ძალიან დაშორებული სამხედრო საქმეებიდან, მაგრამ არც კი ვიცოდი თუ ვისთვის უნდა მეთქვა უარი და იძულებული შევიქენი მიმეღო ეს დანიშვნა. საჩხერიდან ჩვენი წამოსვლა შეუმჩნევლათ ჩატარდა, მხოლოდ ჩემი მეზობელი, კ. აბდუშელი, აკაკი წერეთლის დიდი თაყვანისმცემელი და მოურავი, შემდეგ აკაკის მუზეუმის გამგე, მოვიდა ჩვენთან, მოგვიტანა ძალიან კარგი ძღვენი:ქათმები, ხაჰაპურები, ჩინებული ღვინო აკაკის მამულიდან და ერთი აკაკის დაუბეჭდელი ლექსი, ფრიად პატრიოტული და გამამხნევებელი. სხვათაშორის, ჩვენთან იყო ვალიკო ჩუბინიძეც, რომელიც ჰიათურიდან ამოვიდა იმეამათ და, რომელიც მე მგონია პირველათ ვნახე(უძახდნენ პატარა ვალიკოს, ალბათ ვალიკო ჯუღელთან შედარებით).

ჰიათურაში ჩვენ შეგვხვდა და გამოგვემშვიდობა ბევრი ხალხი, ადგილობრივი პოლიტიკური და საზოგადო საქმეების ხელმძღვანელები.

როცა ჩვენი მატარებელი გაჩერდა სადგურ სალიეთის წინ(მეორე სადგური ჰიათურის შემდეგ) შემომესმა ჩემი გვარის ძახილი: ქუთაისიდან უძახიან გენერალ აბდუშელსო". პირველათ მე ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ როდესაც ეს განმეორდა მეორეთ და მესამეთ, მე ჩამოვხტი მატარებლიდან, მივედი სადგურში და ვიკითხე თუ რაშია საქმე თქო. ავიღე ტელეფონის  ტრუბა და გავიგონე. ზაქარია გურულის ხმა. მან გადმომცა განკარგულება ჩვენი მატარებლის შესახებ და მითხრა, რომ ალბათ მად შეცდენ, ეგონათ რადგან მატარებლის კომენდანტი ხარ გენერალი უნდა იყოო.

იქვე სადგურის დიდ ზალაში მე ვნახე საინტერესო სანახავი, მთელი სადგურის მუშა-მოსამსახურეები და მგონი სხვა სოფლელებიც იყვნენ თავმოყრილი სანთლის სინათლეზე. შუაში პატარა მაგიდასთან იჯდა ცნობილი პოეტი ვარდენ ყიფიანი და დიდი გატაცებით კითხულობდა საკუთარ ლექსს აქტიური პოლიტიკის შესახებ. მკაფიოდ მომესმა მისი ზოგიერთი სიტყვები: „გაიხარენით მდივან-ჭავთარაძენო, გაიხარენით მახარაძეელიავებო" და ასე ყველას ჩამოთვლით მათი საქმეებით და სხვა.

ბათუმში, სადგურზე ჩვენ პირისპირ შევეხეჩეთ გენერალ მაზნიაშვილს, რომელიც ჯოხით ხელში დაიარებოდა და ეძებდა მთავრობას: „დამივიწყეს, არ მომაკითხეს და ეს არის მოვხსენი ფრონტიო." უკვე შეღამდა, დილით ვინახულე ყველანი და

მათ შორის ნოე ჟორდანიაც, რომელიც იყო მეტად შეწუხებული შექმნილი მდგომარეობით. იყო გაჩუმებული და აღარაფერს ამბობდა. მთხოვეს წავსულიყავი ქალაქის თვითმართველობაში, სადაც გრიშა ურატაძე არიგებდა მთავრობის მიერ გადადებულ თანხას, ყველა მათთვის, ვინც უკან ბრუნდებოდა და აძლევდა დარიგებას დაბრუნებულიყვნენ თავიანთ საქმეზე და მორიდებოდნენ ყოველგვარ საპასუხისმგებლო მოვალეობას. მე შევცვალე გრიშა ურატაძე, რომელიც დამფუძნებელ კრების სხდომაზე მიეჩქარებოდა და განვაგრძე ფულის დარიგება. უკვე მოსაღამოვდა, რომ თანხაც გამომელია და ხალხიც წავიდ-წამოვიდა. დაიცალა დარბაზი და მეც გამოვედი ქუჩაში.

ქუჩაში ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იყო თავმოყრილი, იყო მისვლა-მოსვლა და ნერვიულობა. ვნახე გვარდიელები, სადღაც მიიჩქაროდნენ ალ. დგებუაძე, ვალოდია ჯიბლაძე, გენერალი წულუკიძე, მაზნიაშვილი, გიორგი ხიმშიაშვილი. იქვე კუთხეში იდგნენ ქართველი კომუნისტები, ს. ქავთარაძეს გარშემო თავმოყრილი, ახლახან გამოსული ციხიდან. როგორც გამოირკვა ბათუმის დაცვას აწყობდნენ. მეორე კუთხეში შევამჩნიე სეით დევდარიანი და მყისვე მივაშურე მისკენ. სად ხარ კაცო ამდენი ხანია შენ გეძებ. ნოე ჩამიშვილს უნდა ჩვენი ნახვაო, მითხრა სეითმა. მე ამან გამაკვირვა, რადგან მე ნოე უკვე ზღვაში მეგულებოდა, სხვა მთავრობის წევრებთან ერთად.

ჩვენ მაშინვე გავეშურეთ ნოესთან. არ მახსოვს კარგად რომელ შენობაში, რადგან ღამე იყო და ისედაც ბათუმს კარგად არ ვიცნობ. ნოე შეგვხვდა ყოჩაღად. გამოგვკითხა თუ რა ვიცით მდგომარეობის შესახებ და გადმოგვცა ათ-ათი მილიონი მანეთი თითოს ჟურნალებისათვის. სეითს პარტიული ორგანოსთვის, მე კი პროფესიონალურისათვის („მუშათა ცხოვრება" ორ ენაზე). ჩვენ ვიყავით ისე დაღონებული, რომ არც კი გამოვემშვიდობებივართ ნოეს, ისე გამოვედით დერეფანში. ნოეს ეს არ გამოპარვია, მოგვეწია გზაში, გაგვაჩერა, ჩამოგვართვა მაგრად ხელი და შემოგვძახა რიხიანად: „მშვიდობით, იყავით ყოჩაღათო!" თვითონ ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა თითქოს უბრალო სამგზავროთ მიდის რამოდენიმე დღით.

ნოედან ჩვენ პირდაპირ მატარებელს მივაშურეთ, სადაც თავი მოეყარათ უკვე: სილიბისტრო ჯიბლაძეს, ალექსანდრე ლომთათიძეს, გრიშა ურატაძეს, ალფეზა ხელაძეს და სანდრო მაისურაძის ქვრივს–ელენეს. იყვნენ სხვა ამხანაგებიც, რომელთა გვარები მე აღარ მახსოვს. არ გასულა სულ ნახევარი საათი, რომ გავარდა თოფი, რასაც მოყვა ზარბაზნის ხმა და, რაც თანდათან გაგრძელდა. ყუმბარები სკდებოდა ჩვენს გარშემო. მატარებელი ადგილიდან ველარ დაიძრა და ჩვენ განვიცადეთ დიდი შიში და მღელვარება. ხან ვწვებოდით, ხან ვიჩოქებდით, ხან ზეზე ვიყავით, ვეხეთქებოდით ერთი კუთხიდან მეორე კუთხეზე. განსაკუთრებით ღელავდნენ გრიშა და ალ. ხელაძე. მალე ჩვენებმა წაიწიეს წინ, ყუმბარები ჩვენამდე ველარ აღწევდა, მაგრამ მაინც საკმაო ხანი დავყავით სანამ სადგურიდან დავიძრებოდით.

სილიბისტრო და ზოგი სხვა ამხანაგები წავიდნენ პირდაპირ თბილისში. სეით დევდარიანი, ალ. ლომთათიძე, მე და ხელაძე წავედით გურიისკენ, ელენე მაისურაძესთან ერთად. გავიარეთ ოზურგეთში, სადაც დავრჩით რამდენიმე დღე, სეითს ქონდა განზრახული მოხსენებების გაკეთება ვიწრო წრეში, რომ მიეცა ერთგვარი დარიგებები და გაემხნევებია ამხანაგები. ალ. ლომთათიძე და ალ. ხელაძე წავიდნენ შინ. სეითმა და მე მოვიარეთ გურიის ზოგიერთი ადგილები. მოვაწყვეთ მოხსენებები და გავემგზავრეთ თბილისისაკენ. ქალაქ ლანჩხუთში ამ დროს იდგა წითელი ჯარი, წითელი სამხედრო კომისარ შალვა ელიავას მეთაურობით, რომელმაც გაიგო ჩვენი ლანჩხუთში ყოფნა და შემომითვალა, ჩვენი ამხანაგი ვარლამ ხუროძის პირით, მნახოსო. ჩვენ ძველი მეგობრები ვიყავით, ერთად ნაცხოვრები ჯერ პეტერბურგში და მერე გადასახლებაში ასტრახანში. რასაკვირველია მე ის არ ვნახე და შევუთვალე, რომ ჩვენს შორის ყველაფერი გამწყდარია. და, რომ სამშობლოს მოღალატეებთან მე საერთო არაფერი მაქვს.

საჯავახოს რკინიგზა აყრილი იყო. მისვლა-მოსვლა მხოლოდ პორომის საშუალებით ხდებოდა. ჩვენც ჩავჯექით პორომში, სადაც დაგვხვდა მთელი გვარდიის შტაბი, გარდა ვალიკო ჯუღელისა და რუბენ აუშტროვისა. მათთან ერთად ჩვენ გადავედით მეორე ნაპირზე და ფეხით მივედით სამტრედიის სადგურზე. აქ ჩვენ დიდხანს მოგვიხდა ცდა. სეითმა დაიწყო ნერვიულობა, მიდი-მოდიოდა გაუჩერებლად, შემდეგ გადაწყვიტა დელეჟე წასულა ქუთაისისაკენ. ჩვენ ბევრი ვუშალეთ არ ნდობოდა სოფლის გზას, მაგრამ არ დაიჯერა და გაუდგა გზას.

მე წავედი გვარდიელებთან ერთად თბილისში და რამოდენიმე დღის შემდეგ გავიგე, რომ სეითი გზაში გააჩერეს, გაჩხრიკეს, უნახეს პალტოში ჩაკერებული ათი მილიონი და ჩამოართვეს.

მუშათა სასახლე, რომელიც ჩვენ დავტოვეთ, დამხვდა კომუნისტების ხელში. იმათ ესარგებლათ ჩვენი იქ არ ყოფნით და მოკალათებულიყვნენ შიგ. მე მივედი იქ ჩამოსვლისთანავე და განვაცხადე სასტიკი პროტესტი. მოვითხოვე მოეცათ ჩვენთვის განცხადების გაკეთების საშუალება თვით პლენუმზე, რაზედაც მომცეს დასტური, მაგრამ როდესაც სხდომაზე მივედი დასვეს საკითხი მივცეთ თუ არა ნება განცხადებისო, მოითხოვა სიტყვა ელექტრონზე მომუშავეთა კავშირის თავმჯდომარემ, ნიკო კიკნაძემ- გასწია საზიზღარი დემაგოგია და შემოიტანა წინადადება არ მიეცათ ჩემთვის სიტყვა, რაც ერთხმად მიიღეს. ერთადერთი ხმა ჩემ სასარგებლოთ, რომ გაისმა იყო მასწავლებლების კავშირის წარმომადგენელის, ნიკო ჩიგოგიძის, რომელმაც გააცხადა ჩემთან ერთად პროტესტი და დატოვა სხდომა პროტესტის ნიშნად. როგორც შემდეგ გამოირკვა, ჯერ კიდევ საქ–ს ოკუპაციის წინ, ქართველ კომუნისტებს აფიქრებდა თურმე ის გარემოება თუ როგორ მოქცეოდნენ საქ–ს მუშათა პროფკავშირებს, სადაც მუშათა *90%* იყო მათდამი უარყოფითად განწყობილი. ჩვენი მასიურათ უკან დახევის გამო, მათ უბრძოლველად ჩაუვარდათ ხელში შენობაც და თვით კავშირებიც, რადგან მთელი კავშირის კადრები და ხელმძღვანელები ჩაბმული იყვნენ ომში, ზოგი გვარდიაში და ზოგიც როგორც მოხალისეები-

<u>ათი აპრილის სხდომა.</u>

საქ–ს სოც. დემოკრატიულმა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელსაც თავმჯდომარეობდა განსვენებული სილიბისტრო ჯიბლაძე, გამართა თბილისის რაიონის პარტიულ წევრთა საერთო კრება, სახელმწიფო თეატრის დარბაზში. სხდომას დაესწრო თბილისში მყოფი ყველა პარტიის წევრი, თითქმის გამოუკლებლივ. ზალა აღარ იტევდა დამსწრეთ. კრებას თავმჯდომარეობდა ლადო ჯიბლაძე, მდივანი შალვა აბდუშელი. კრებაზე მეტად შინაარსიანი მოხსენება გააკეთა სეით დევდარიანმა. სიტყვებით გამოვიდნენ ისიდორე რამიშვილი და კიდევ რამდენიმე სხვა ორატორები. როგორც მომხსენებელი, ისე სხვა ორატორები აცხადებდნენ სასტიკ პროტესტს იმ ძალმომრეობის გამო, რომელსაც ქონდა ადგილი ჩვენ სამშობლოზე. მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ ჯარის გაყვანას. მიღებული იქნა ამავე ხასიათის რეზოლუცია, რომელიც კრების სახელით გაეგზავნა საბჭოთა ხელისუფლებას და გადმოგზავნილი იქნა მეორე ინტერნაციონალში.

შალვა აბდუშელი, საქ–ს თავისუფალი მუშათა პროფესიონალური კავშირების ცენტრალური საბჭოს მდივანი და მისი ორგანოს ჟურნალ „მუშათა ცხოვრების" რედაქტორი.

## მოგონებები, ამოღებული ჩემი რვეულიდან

შესავლის სახით, მინდა მკითხველს მოვაგონო, რომ თბილისის არსენალი, რომელიც მთელ ამიერკავკასიას ამარაგებდა პირველი მსოფლიო ომის დროს, ჩვენს ხელში არ ყოფილიყო, ჩვენ დამოუკიდებლობას ვერ გამოვაცხადებდით. არსენალი კი ჩვენ ავიღეთ ***1917*** წლის ***28*** ნოემბერს ძველი სტილით, ახალით ***12*** დეკემბერს.

აგრეთვე მინდა დავუმატო: ცნობილი მიტინგი, ალექსანდროვის ბაღში, ***1918*** წლის თებერვალში, რომ არ გაერეკათ, რუსები და ქართველი ბოლშევიკები ჩვენ აგვიღებდნენ მაშინ. ისტორიაში შევა ევგენი გეგეჭკორმა, რომ უბრძანა გენერალ მაზნიაშვილს და კაპიტან ელასა იმნაძეს მათი გაფანტვა. აი, აქ გადაწყდა ჩვენი ***26*** მაისი.

როცა ვიგონებ ***1921*** წლის თებერვალს, ვარ უბედურიც და ბედნიერიც. სიტყვები უძლურია გადმოვცე ჩემი განცდა: ჩემი ქვეყნის დაპყრობა, ბევრი, ბევრადბევრი თანამებრძოლი მაშინ დაღუპული, შემდეგ ციმბირი... დახვრეტები ***1924*** წელში და აქ–უცხოეთში–გავამსეთ ლოვილის ძმათა სასაფლაო. ბედნიერი ვარ იმითი, რომ ქართველ მოღალატეების, ვინც რუსეთის წითელ არმიას შემოუძღვნენ, იმათ დახვრეტას მოვესწარი. აი, მათი სახელები, „შულავერის მთავრობის" წევრები: ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, ლადო დუმბაძე, შალვა ელიავა, მიშა ოკუჯავა, ომარ ნაზარეტიანი, საშა გეგეჭკორი და კვირკველია. ესენი დახვრიტეს, გარდა ფილიპე მახარაძისა, ***1936-37*** წლებში. დგებუაძე გადაასახლეს ***1929*** წელს უზბეკისტანში და იქ გარდაიცვალა. საშა გეგეჭკორმა ხომ თავი მოიკლა ***1922*** წელში.

მე ჩემ წიგნში აღვნიშნე, რომ ვიყავი ***1917*** წლიდან სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის მუდმივ განკარგულებაში. ე.ი. დღიდან თბილისის მთავარი არსენალის აღებისა, რომლის დროსაც მე მხვდა წილად არსენალის მთავარი კარების გატეხვა და ჩემი ათეული მებრძოლებით შევედი არსენალში. ამის შემდეგ მე არ მიცილებდა ვალიკო ჯუღელი და ალექსანდრე დგებუაძე. იქ ვიყავი ყოველთვის წინა ხაზზე, სადაც გვარდია იყო. ეს ორი პიროვნება და მე ვიყავით სწორედ იქ, როცა ომი დაიწყო, საზღვრის ახლოს, პატარა ქალაქ რანში. სომხები ეძახდნენ „ნაგერალა"-ს. ორი მთავარი საგუშაგო იყო. ერთს იცავდა პირველი იმერეთის სახ. გვ. ათასეული, პოლკოვნიკ აბესალომ გაფრინდაშვილის მეთაურობით, მეორე საგუშაგოს კი პირველი ქართული ათასეული, პოლკოვნიკ გეგელაშვილის მეთაურობით. გვარდიის საგუშაგომ შეამჩნია საზღვარზე შეიარაღებულ ხალხის თავმოყრა. ეს აცნობა მეორე საგუშაგოს, მაგრამ სამწუხაროდ მეორე საგუშაგოს მთავარი ხელმძღვანელი არ აღმოჩნდა ადგილზე. ეს იყო დილის ოთხი საათი. ექვს საათზე თოვდა და ამ დროს დაესხნენ თავს ჯერ პირველ საგუშაგოს, ზოგი მოკლეს, ზოგი ტყვედ წაიყვანეს. მე თვითონ ვნახე ერთი ჩემი ნაცნობი ჯარისკაცი, საჩხერელი აბრამიშვილი, მკვდარი. ამავე დროს დაიწყეს გამოსვლა რუსმა დუხაბორებმა და სომხებმაც. ასე, რომ ეს ორი ათასეული გვარდიის და პირველი პოლკი ძლიერ დაზარალდნენ. ჩვენ–ალ დგებუაძე, გეგელაშვილი და მე,– დავუყარეთ თავი ვინც გადარჩნენ, შევუტიეთ და მტერი სასტიკად დავამარცხეთ და ქალაქიც გავწმინდეთ ***12*** თებერვალს. შულავერიდან მოვიდა გვარდიის მესამე ათასეული, იმერეთის, ლავრენტი ნებიერიძის მეთაურობით. ეს უკანასკნელი ცვლიდა პოლკოვნიკ ტრიფონ ლაბაძეს, რომელიც შვებულებაში იყო და მოვიდა ***17***-ში კოჯორზედ. ***13*** თებერვალს წითელ არმიას მოუვიდა ახალი დამხმარე შენაერთები და კვლავ გადმოვიდა შეტევაზე. ჩვენ კიდევ დაგვემატა მეხუთე ქართული პოლკის ორი გუნდი, კაპიტან გრიგოლ აბესაძის მეთაურობით. ჩვენ მტერს ვამარცხებთ. ამ დროს–***16*** თებერვალს– წითელ ხიდზე იდგა გურიის პირველი ათასეული, პოლკოვნიკ გ. ხომერიკის მეთაურობით, წითელმა არმიამ გადმოლახა წითელი ხიდის და ბამბაკის სიმაღლეები და წინ მოიწევს. გურიის პირველი

ათასეული, დუშეთის გვარდიის ათასეული, ტატო შოშიაშვილის მეთაურობით, მტერს შეხვდნენ პირისპირ არშაგასკლოში და სასტიკად დამარცხდნენ. ჩვენ მივიღეთ ბრძანება მთავარსარდლისაგან, გენერალი ოდიშელიძე, დაგვეხია უკან და გავმაგრებულიყავით მდინარე ხრამთან.

*17* თებერვალს გავიგეთ, რომ მთავრობამ გადააყენა გენერალი ოდიშელიძე და მის მაგიერად დანიშნა გენერალი გიორგი კვინიტაძე. ჩვენში ამ ამბავმა სიხარული გამოიწვია, რადგანაც გენერალი კვინიტაძე იყო მთავარსარდლად *1920* წელს, როცა ომი იყო რუსეთთან, ვითომ აზერბაიჯანთან, მაგრამ აზერბაიჯანი ჩვენ ომს ვერ გაგვიბედავდა.
*19* თებერვალს, პირველმა ქართულმა პოლკმა, პოლკოვნიკ გოგელაშვილის მეთაურობით და მესამე იმერეთის გვარდია ტრიფონ ლაბაძის მეთაურობით, მთავარი შტაბის თავმჯდომარე ვ. ჯუღელის, ალექსანდრე დგებუაძის და გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით მტერი სასტიკად დავამარცხეთ. ტყვედ ჩაგვივარდა *1800* ჯარისკაცი, ოთხი ზარბაზანი, დიდძალი სხვა იარაღი და გაშიფრული საიდუმლო საბუთები.
*16* თებერვალს ქიათურის სახ. გვარდიის ერთი გუნდი დაგვემატა, კაპიტან აქვსენტი ქურციკიძის მეთაურობით. მტრის ახალმა ძალებმა თავი დაგვიარა ქოროღლის ციხის გვერდიდან და შეიქნა ძლიერი საარტილერიო დუელი. ჩვენმა ზარბაზნებმა, პოლკოვნიკ კარგარეთელის მეთაურობით მტერის არტილერია ჩააჩუმა. მტერმა ბრძოლის ველზე გამოიყვანა ტანკები და როსტოვიდან სამხედრო კურსანტების დივიზია. ჩვენც დაგვემატა მოხალისე სტუდენტები. მთელი თბილისი ფეხზე დადგა. ამ დროს გავიცანი კოწია სამყურაშვილი, დახვრიტეს ვაგონებში *1924*-ში, სევერიან ქირაქაძე და წითელ ჯვარში ჩაწერილი ერასტო მაჭავარიანი. ამავე წითელ ჯვარში დაემატა, ცნობილი პოეტის კოტე მაყაშვილის ქალიშვილი მარო, მოწყალების და. მაგარი არტილერიის ბრძოლის დროს ჩემს გვერდით მომიკლეს კაპ. აქვსენტი ქურციკიძე, კოლია ხვედელიძე, ლავრენტი მიქაბერიძე. მძიმედ დაჭრილი მარო მაყაშვილი ჩემ ნაბადში გადავიწვინე, ზურგით გამოვიტანე და ჩავაბარე ექიმ ბეჟუაშვილს. ეს უკანასკნელი იყო ზესტაფონის სახ. გვარდიის საექიმო ნაწილის უფროსი. კაპიტანი ქურციკიძე, ხვედელიძე და ნიქაბერიძე ჩავასვენე თბილისის სადგურში და გოგიტა ფალავამ გააგზავნა ქიათურაში. გოგიტამ მითხრა: რაღაი მიდიხარ ფრონტზე, ჩვენი სამხედრო სკოლა უკვე გამოვიდა და წაყევი იმასო. ეს იყო *17* თებერვალს, მართლაც ერევნის მოედანზე შევხვდი იუნკერთა ორ გუნდს, მოუძღოდა პოლკ. ჩხეიძე სამხედრო მუსიკით. მთელი ხალხი ყვავილებს ესროდათ და ისმოდა: გაუმარჯოს ჩვენს თავისუფალ საქ-ს, მის მეთაურობას- საქართველოს მთავრობას, გაუმარჯოს ჩვენს ახალგაზრდა სამხედრო სკოლას!...

იუნკრებმა, მესამე იმერეთის სახ. გვარდიამ და ბათუმის სახ. გვარდიამ, ათასეულის მეთაური პოლკ. კვაშალი, დავიკავეთ *25* კილომეტრის ფრონტი-ტაბახმელა-კოჯორ-კუმისის სიმაღლეები. *18* თებერვალს მტერი აჩაღებს არტილერიის მაგარ ცეცხლს, ჩვენებმა უპასუხეს და ჩააჩუმეს. ფრონტის უფროსმა გენ. ანდრონიკაშვილმა თბილისის საგანგებო ათასეულის უფროსს პოლკ. ცომაიას უბრძანა გადასულიყო შეტევაზე. პოლკ. ცომაიამ გამოყო პირველი გუნდი ილიკო ჯუღელის მეთაურობით და მტერს დაედევნა. ი. ჯუღელმა მიაღწია ტბის მარჯვენით და შეეჩეხა მტრის ცხენოსან ჯარს. აქ, ჯუღელმა მისცა ბრძოლა და გირეკა მტერი, მაგრამ მარცხნით მოვიდა მტრის სამხედრო კურსანტების ათასეული, ი. ჯუღელი დაიჭრა ფეხში და მთელი გუნდი ტყვედ ჩავარდა.
*19,20,21* და *22*-ს ჩვენ ყველგან გამარჯვებული ვიყავით. *23* თებერვალს მტრის ავიაციამ დაბომბა ჩვენი დიდი არსენალი და ვაზიანის ხეობა. ემჩნეოდა პანიკა მთავარსარდლობაში. გენერალი მაზნიაშვილი და გენ. ანდრონიკაშვილი მაგრად იყვნენ.

*24* თებერვალს ჩვენ გადავედით რკინიგზის ლიანდაგზე შეშის მოსატანათ. აქ იდგა ალფეზა გოგუაძე ჯავშნოსნით. ღამის პირველი საათია, გოგუაძემ მტერი განდევნა. ჩვენი ათასეული, იმერეთის მესამე სახალხო გვარდია და ბათუმის სახ. გვარდია, კვაშალის მეთაურობით, მარჯვენით მეორე გუნდი იუნკრების. მტერმა ცენტრში მოიტანა

იერიში, მოგვეკლეს პოლკ. კვაშალი და ექვსი გვარდიელი, კვაშალის ადგილი დაიკავა პირველი გუნდის უფროსმა კაპიტანმა ლოლიძემ. მტერი სასტიკად დამარცხდა.

ამოვიდა მთავარსარდალი გიორგი კვინიტაძე, კარავში გაიშალა კარტა. აქ არიან გენერლები მაზნიაშვილი, ანდრონიკაშვილი და ზაქარიაძე, პოლკ. ჩხეიძე, ვ. ჯუღელი. ეს არის *24* თებერვლის *11* საათი დილის, *25* დილით, ოთხ საათზე ვიწყებთ შეტევას: კოჯორი-შინდისი- ქოროღლის ციხე- ვაზიანიდან. საღამოს *11* საათზე მოდის ფრონტის უფროსის ბრძანება: „დაიხიეთ მწყობრად მცხეთაში უნდა გაემაგრდეთ, თბილისს ვტოვებთ." (ამის შესახებ იხილეთ გენ. მაზნიაშვილის წიგნი, გამოცემული *1928* წ. თბილისში.)

ვიხევთ წყნარათ. ნაშუაღამევს ვართ სადგურში, სადაც ალფეზა გოგუაძეს ჯავშნოსანი დგას. აქ ვხედავ ნოე ჟორდანიას. გავიგონე ალფეზას ხმამაღალი შეძახილი: „რატომ გვიშვებით ბატონო ნოე!" „ხიფათში ვვარდებით, მტერი უკვე ნავთლუღშია", უპასუხებს ნოე ჟორდანია. დავინახე, რომ ორი ვაგონი მოუბეს ჯავშნოსანს, რომელშიც ჩაჯდა ნოე ჟორდანია. ჩვენი ეშელონი: ბათუმის და იმერეთის მესამე გვარდიის ათასეულები, გავიდა მის შემდეგ.

გორში, მე მივიღე ბრძანება გავყოლოდი იმერეთის სახ. გვარდიის მესამე ათასეულს საჩხერისაკენ. მღერს გადმოულახავს მამისონის უღელტეხილი. შევიარე მთავრობის ვაგონში რომ გამოვემშვიდობებოდი. ვნახე ბატონი ნოე ჟორდანია ერთობ დაღლილი და მოწყენილი. ამ დროს მოვიდა გენ. კვინიტაძე, რომელმაც განუცხადა: „მე ხომ გთხოვეთ, რომ ნუ ერევიან გვარდიის მთავარ შტაბის წევრები ჩემს სამხედრო საქმეებშიო." საქმე ყოფილა ასე: ვლადიმერ ჯიბლაძეს გაუგია, რომ სურამის უღელტეხილზე და წიფის უღელტეხილზე სანგრები არ ყოფილა მომზადებული და ეს მას უთქვამს გენ. კვინიტაძისთვის. ამის საპასუხოთ, ნოე ჟორდანიამ გასცა ბრძანება აეხადოს ყოველივე უფლება ვლადიმერ ჯიბლაძესო.

ხაშურში მოგვისწრო ევგენი გეგეჭკორმა, ევროპიდან დაბრუნებულმა. მახსოვს და არასოდეს დამავიწყდება, როცა გავიგეთ ევროპიდან არავითარი დახმარება არ არისო, ალექსანდრე დგებუაძემ ბატონ ევგენს მიახალა: „ნავხოთ რას ისარგებლებს ინგლისი და ლოიდ ჯორჯი ასეთი უმსგავსო პოლიტიკითო!"

ვალიკო ჩუბინიძე

<u>დიქტორი:</u> <u>("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")</u>

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება,

ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემულო მსმენელებო,

აფხაზი მწერლის,

პოეტისა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი გულიას ლექსი "სიმღერა აფხაზეთზე", რომელშიც ის ამბობს:

"მშობლიური აფხაზეთი,
ჩემი მიწა, მთები, ტყეები,
მზიანია და ლამაზი,
და ნაზად იქრის ქარი.

ვა, საჩქაროდ უნდა ნახო
აფხაზეთის სამისახლი.
სულ პატარა კუთხე წყნარი,
საქართველოს ყურე მხარის."

## წითელი რუსეთი თავს დაგვესხა.

(მოგონებები)

*1921* წლის *11 -12* თებერვალს, ჩრდილოეთიდან წამოსულმა შავმა ღრუბელმა, წითელ ფერში გახვეულმა, ჩვენი ძვირფასი სამშობლო გადმოლახა. ვერაგულად თავს დაგვესხა, სისხლში ჩაახრჩო ჩვენი ეროვნული მეობა. რუსეთის წითელმა არმიამ დაიპყრო ჩვენი ქვეყანა. *25* თებერვალი არის ქართველი ერის გლოვის დღე.

მოსკოვმა შეადგინა მოღალატე ქართველებისაგან მთავრობა და დანიშნა „გრუზჩეკის" თავმჯდომარედ კოტე ცინცაძე, რომელსაც გვერდში ამოუყენა რუსი და სომეხი ჯალათები. საქ-ს საბჭოთა ხელისუფლებამ გამოსცა ამნისტია, რომ წარსულზე შურს არ იძიებენ. ჩვენ კარგად ვიცოდით ამ ამნისტიის ფასი და ღირებულება-დღით გამოვდიოდით ხალხში და საღამოობით თავს ვაფარებდით შეუმჩნეველ ამხანაგებში.

საქ-ს დაპყრობის ერთი კვირის შემდეგ მოიწვიეს ლანჩხუთში დიდი მიტინგი, სადაც სიტყვით გამოვიდა მოღალატე ფილიპე მახარაძე. მიტინგი მოაწყვეს ნოე ჟორდანიას მოედანზე. ჩვენ კი ალყა გვქონდა შემორტყმული შეიარაღებული კომუნისტებით. მიტინგი გახსნა კოსანდილე ცინცაძემ და ტრიბუნაზე ადის ფ. მახარაძე. მთელმა დამსწრე ხალხმა ყვირილით და ფშვიტინით შესძახა: მოღალატე მახარაძე როგორ ბედავ ტრიბუნაზე გამოსვლას, რუსის წითელ ჯარს შემოუძეხით, მოსპეთ ჩვენი ეროვნული მეობა, მთელი ერი შავებშია გახვეული, გლოვობს დიდი და პატარა, დედები სტირიან თავიანთ შვილებს, რომლებიც გმირულად დაეცენ ბრძოლის ველზე. ძირს მოღალატე მახარაძე ! გაიყვანეთ რუსის ჯარი და შემდეგ გამოდი ტრიბუნაზეო. სიტყვის ნება არ მისცა ხალხმა, ვერავითარი რეზოლუცია ვერ გამოიტანეს. ასე, რომ ბოლშევიკები სახტად დარჩენ. შემდეგ ტრიბუნაზე გადის ჩვენი დამფუძნებელი კრების წევრი ნიკიფორე იმნაიშვილი. მას არ უშვებენ ტრიბუნაზე მაგრამ ძალით გადის და შესძახა მოღალატეებს: „დღეს საქ-ო გლოვობს რუსის ხიშტებით, რომ მოუსპეთ ერს მისი მეობა, გაიყვანეთ რუსის ჯარი და შემდეგ გამოდით ტრიბუნაზეო." მთელი დამსწრე ხალხი ნიკიფორეს დიდი ოვაციებით და ტაშით შეხვდა და ერთხმათ შესძახა: „გაუმარჯოს ნოე ჟორდანიას და ჩვენს ეროვნულ მთავრობასო." და ერთხმათ შემოსძახეს ჩვენი ეროვნული იმნი „დიდება ჩვენსა სამშობლოს."

თუ რა მოელოდა საქ-ს ახალი მდგომარეობის შექმნის გამო, ამაზე ხალხის აზრი მეტად ჭრელი იყო. ფართე მასაში ბევრი ფიქრობდა, რომ ბოლოს და ბოლოს "ბოლშევიკებთან" საერთო ენა მოინახებოდა და ეს საქ-ს დაპყრობა არ გადაიქცეოდა ისეთ დაპყრობად, როგორც ეს საერთოდ ხდება ასეთ შემთხვევაში. საერთოდ გურიაში საქ-ს დაპყრობის წინ ბოლშევიკების ორგანიზაციები განადგურებული იყვნენ. არ ყავდათ პირები მრავალ თემებში რომ რევკომი შეედგინათ და სხვადასხვა სოფლებიდან მოყავდათ. საერთოდ გურიაში არ მომხდარა ისეთი რამე, რომ ხელისუფლების რეპრესიები გამოეწვია. რასაკვირველია, იყო ბევრი გამონაკლისი. ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო ის ხალხი, ვისაც ბოლშევიკები იცნობდნენ როგორც შეურიგებელ მტერს, ან ვინც დამოუკიდებლობის დროს მონაწილეობა მიიღო ბოლშევიკების წინააღმდეგ რეპრესიებში.

*1921* წ. *29* აპრილს იყო წითელი პარასკევი, გავედი ლანჩხუთის ბაზარში, აქ იცოდენ პარასკევობა. ბევრი ამხანაგი ვინახულე და თან ბევრი ბოლშევიკები შემხვდენ. საღამოს გავიარე ჩემს სახლში და დამიხვდა ბათომიდან ჩამოსული ჩემი და ვერა და სიძე. შევუდექით ლაპარაკს, უკვე ვახშმობის დრომ მოაწია და შევექეცით ვახშამს. იყო საღამოს *10* საათი, რომ კარებზე არახუნებენ. გააღეს კარი. შემოვიდენ შეიარაღებული ბოლშევიკები და მითხრეს დატუსაღებული ხარო. რაშია საქმე? ამნისტია გამოუშვით და მატუსაღებთ ქვა. მიპასუხეს: თქვენ არ ისვენებთ, ქუთაისში სიშა გეგეჭკორს ბომბი ესროლეთო. მე დამიჭირეს ღამის ათ საათზე და ბომბი გავარდა ქუთაისში ღამის თერთმეტ საათზე. ასე, რომ ეს ხელოვნურად მოაწყვეს, რომ ამით გამოეწვიათ რეპრესიები. *30* აპრილს დილით მიმიყვანეს ლანჩხუთის რევკომის ბინაზე, იქ დამიხვდა ყველა მოწინავე პირები დატუსაღებული. ბევრმა მისაყვედურა თუ მე რათ ჩავუვარდი ხელში ამათ. ამავე დღეს, ე.ი. დიდ შაბათს, ჩაგვაყენეს რიგში სუყველანი და ნაშუადღევის სამ საათზე, გაძლიერებული ბოლშევიკებით, გაგვამგზავრეს ოზურგეთისაკენ. შუხუ-

თის გზით. შუხუთში თელი ხალხი გადმოდგა და ჩვენ გვამხნევებს. დაუახლოედი მოუ-
დანს, სწორედ აქ ცხოვრობდა ნიკიფორე იმნაიშვილი, იყო ჰიშკართან რაღაცას ასწორე-
ბდა. ბალკონზე გადმომდგარი დავინახე კირილე ნინიძე. ნიკიფორე გამოიქცა ჩვენსკენ
გადამკოცნა და გამამხნევა. მცველებმა ბევრი აღარ შეგვაჩერეს და გაგვიძახეს აკეთის
გზით ნაგომარისაკენ, სადაც მივედით საღამოს დაღლილები. აქ შეგვიყვანეს სკოლის დარ-
ბაზში. აქაც ადგილობრივი ამხანაგები დაგვიხდენ დატუსაღებული. მოვიდა თელი სოფ-
ლელები, მოგვიტანეს საჭმელ-სასმელი. ჩვენი მცველები სრულებით დაიბნენ.

პირველ მაისს დილით, აღდგომა დღეს, ჩაგვაყენეს რიგში და ნასაკირალის
გზით გაგვიძახეს ოზურგეთისაკენ... მივედით ოზურგეთის ციხეში სამ საათზე, აქ და-
გვიხდა მთელი გურიის მოწინავე პირები დატუსაღებული. ბევრი გადაიყვანეს სამხედრო
ყაზარმებში, უადგილობის გამო. დაახლოებით ორი ათასი კაცი იყო და მათ შორის ბევრი
მანდილოსანიც. აქვე იყო კარგი ქართველი, მღვდელი ლავრენტი წულაძეც. მეორე დღეს,
ორშაბათს, მოიყვანეს ნიკიფორე იმნაიშვილი.(ნ. იმნაიშვილი ჩეკამ დახვრიტა *1939*-ში)
ერთი კვირის შემდეგ სულ ყველანი გაანთავისუფლეს, მხოლოდ დაგვტოვეს თორმეტი, რო-
მლებიც ჩვენი დამოუკიდებლობის დროს იყვნენ ბოლშევიკების დაუნდობელი მტრები:
ქრ. იმნაიშვილი, გრიგოლ ცინცაძე, გიორგი მურვანიძე, გრიგოლ ცინცაბაძე, ევგენი იმ-
ნაიშვილი, ისაკი ურუშაძე, ექვთიმე თოდრაძე(გახუჰული მღვდელი), ნ. ჰყონია, შიო ქა-
ნტურიშვილი. სამის სახელი აღარ მახსოვს.

მოახლოვდა *26* მაისი. გარეთ ემზადებიან სადღესასწაულოთ. გვესმის ხალ-
ხის დიდი მოძრაობა. ოზურგეთის ქალაქის მოედანზე მოაწყვეს დიდი მიტინგი, მოისმის
გიორგი ნაკაშიძის პატრიოტული, შესანიშნავი სიტყვები, სამშობლოს მოღალატეთა და და-
მპყრობელთა წინააღმდეგ მიმართული. თუ როგორ შეხედა ხალხი თვით გურიაში, რუსის
ხიშტებზედ დაყრდნობილ საბჭოთა ხელისუფლებას, ეს აშკარად ჩანდა იმ ფაქტებიდან, რა-
საც ადგილი ქონდა მთელს გურიაში. აპრილში გურიაში ჩამოასვენეს ტაბახმელაზე მოკ-
ლული სახალხო გვარდიის ბათომის ათასეულის უფროსი, კაპიტანი გრიგოლ კვაშალი. მთე-
ლი მაზრა ამ მოვლენისათვის წინასწარ მომზადებული იყო. ქ. ოზურგეთის და ახლო- მა-
ხლო თემების მცხოვრებნი, დელეგატები სხვა რაიონებიდან, დიდძალი ხალხი შავებში ჩაც-
მული, დიდი შავი დროშებით შეეგებენ სამშობლოსათვის თავდადებულ გმირის ცხედარს.
უსიტყვოდ, სამარისებული სიჩუმით, მიასვენეს ის და დაკრძალეს ოზურგეთის ქალაქის მო-
ედანზე ეკლესიის ეზოში. საბჭოთა ხელისუფლებამ ვერავითარი ჩარევა ვერ გაბედა.
თითქმის ასევე ხდებოდა უფრო პატარა მასშტაბით ყველა რაიონებში შეხვედრა და დასა-
ფლავება სხვადასხვა ფრონტებიდან მოსვენებულ მხედრების. გრიგოლ კვაშალის დასაფლავება
მოხდა ჩემს დაჭერამდე. ლანჩხუთიდან ვიყავი დელეგატათ ხუთი თანამებრძოლის თანხლებით.

*30* მაისს, მახსოვს ოთხშაბათი დღე იყო, ჩემს საკანში შემოვიდა ციხის უფრო-
სის თანაშემწე და წამიყვანა ციხის კანცელარიაში. იქ დამიხდა გიორგი მახარაძე, შუხუ-
თის რევკომის თავმჯდომარე(ჩემი მეზობელი), რომელიც მეუბნება თავდებით უნდა გაგიყვა-
ნოო. მაშინ მე უპასუხე თქვენ ამნისტია გამოუშვით და ის უნდა დაგეცვათქვა. მახარა-
ძე მეუბნება, კაცო, ამას თავი დაანებე, მე მემუქრებიან შენი დები და ბიძაშვილები:
ქრისტეფორეს თუ რამე შეემთხვა ცუდი, კარგს დღეს არ დაგაყენებთო. დამემშვიდობა მახა-
რაძე და წავიდა. მესამე დღეს ციხის უფროსმა ჩემი ხიბაკით წამიყვანა ოზურგეთის სამა-
ზრო მილიციის სამართველოში. იქ კარების წინ დამიხვდა სამი კოფილი ყაჩაღი, რომლებსაც
დამოუკიდებლობის დროს ჩვენ ვსდევდით და მომილოცეს განთავისუფლება. მილიციის უფრო-
სმა სხვათაშორის მითხრა: შენ ხარ ძველი სოც. დემოკრატი და ჩვენს წინააღმდეგ არ
იმოქმედებო, თავდებით გაყავხარ გ. მახარაძესო. ჩამომართვა მისამართი. რომ გამოვედი
სამართველოდან, ეს სამი ყაჩაღი შემეგება წინ ძალიან გახარებული ჩემი განთავისუფლე-
ბით და მიმიპატიჟეს რესტორანში. ახლა კარგად ვგრძნობ, თუ რა მომელის მარა უკან
არ დავიხიე და არც შევიმჩნიე. ეხედავ: ჩემი თავდებში გაყვანა ჩაწყობილია. რესტორან-
ში დავსხედით სადილზე. შეიქნა სადღეგრძელოები. გარდა ერთისა ყველამ შემაქო. ეს მე-
სამე იყო ფილიპა მეგრელაძე. ის არ იყო ყაჩაღი, მარა ქონდა მათთან კავშირი. შუა ქე-
იფში გამომიხმო მეგრელაძემ გარეთ, ჩამიდვა გულის ჯიბეში თუთხმეტი მანეთი და მით-
ხრა უშველე თავსო. მხოლოდ შებრუნდი მაგიდაზე, უთხარი მათ, რომ ვითომ აქ ნათესა-

ვებთან ხიბაკი გაქვს და[illegible]კებული და ხელად მოხეალ. თხოვე, რომ ეტლი გიშოვონო. სწორედ ასეც მოვიქეცი. გამოვედი გარეთ, გავედი ქალაქიდან, იქ ახლოს ერთი მეგობარი მყავდა, იმას გავუარე და გავედი სოფელ მშვიდობაურში, სადაც მყავდა ცოლის ძმები. იმ ღამით იქ დავრჩი, დილით ადრე გავსწიე ფეხით, გავედი ნაგომარში, იქიდან აკეთის გზით ლანჩხუთისაკენ. იქნებოდა დილის ათი საათი მივედი სახლში. მოვინდომე ტანის დაბანვა, მაგრამ ამ დროს, *12* საათზე, შემომარტყეს ალყა. მითხრეს შეცდომით ხარ გაშვებულიო. ცხადია იმათ უნდოდათ ჩემი გზაში მოკვლა. შემდეგ იტყოდენ: ჩვენ გავანთავისუფლეთ და ვილაცამ გზაში მოკლაო.

ხელახლად მიმიყვანეს ლანჩხუთის რევკომის ბინაზე. იქ კიდევ დამხვდა ოთხი ჩვენი ამხანაგი დატუსაღებული. შემოვიდა ჩემთან ცეკის წევრი პარმენ ცინცაძე და მეუბნება: დაგმე შენი წარსული, უარყავი შენი მენშევიკობა და ეხლავე გაგანთავისუფლებო. ამაზე მე მაგრად ვუპასუხე: ჯერ ერთი, მე ჩემს წასულს არ დავგმობ და, მეორე, მე მენშევიკი არა ვარ, მე ვეკუთნი საქ—ს ს.დ.მუშათა პარტიას თქვა. ცინცაძემ როცა ჩემგან ვერაფერი მიიღო წავიდა. მეორე დღეს, გაძლიერებული მცველებით, გაგვაგზავნეს ოზურგეთისაკენ. გზაში დედაჩემი დამეწია და შემომძახა: შვილო მაგრად იყავი, არ შეუშინდე ამ ჯალათებსო. მეორე დღეს, როგორც გადმომცეს, დედაჩემი დაეჭირათ და სამ დღეს ყოფილიყო დატუსაღებული. ოზურგეთში ჩასვლის მეორე დღეს გამომიძახეს სამაზრო ჩეკაში. შემიყვანეს ერთ მიყრუებულ ოთახში. გამოვიდა ერთი ლაწირაკი, პოეტ ნოე ზომლეთელის ძმა—ქურიძე. დამიწყო დაკითხვა. მოაქვს დიდი იერიშები. სხვათაშორის მეკითხება თუ როგორ უყურებ საბჭოთა ხელისუფლებასო? უარყოფითად, ვუპასუხე. დღეს საქ—ო დაპყრობილია რუსის ხიშტებით და მე ამას ვგმობ თქვა.(ეიცი მაინც არ დამინდობენ და ვიჩენ ვაჟკაცობას). შემდეგ მისვამს კითხვას: *1919* წლის შემოდგომაზე, რომ თავს დამესხენ ჩემს სახ. გვარდიის შტაბზე და სისხლში ჩავახრჩვე მათი აჯანყება. მე ვუპასუხე: ამხანაგო კომისარო, მე ვიყავი ჩემი სამშობლოს სადარაჯოზე და თავი ხომ უნდა დამეცვა თქვა. უცებ ადგა ჩემი გამომძიებელი, გავიდა მეორე ოთახში, მაუზერის რევოლვერი დატოვა მაგიდაზე. დაახლოებით *15* წუთი დაჰყო და გამოვიდა. მე ადგილიდან არ დავნძრეულვარ. კარგად მივხვდი მისი ეშმაკობა. მას ეგონა მე მაუზერს ავიღებდი, მაგრამ ოინები არ გაუმართლდა.

ერთი კვირის შემდეგ გადაგვიყვანეს ქუთაისის ჩეკაში *18* კაცი, ამათში იყვენ: დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ცინცაბაძე, ოზურგეთის ქალაქის თავი და დამფუძნებელი კრების წევრი გიორგი მურვანიძე, ისაკი ურუშაძე, გრიგოლ ცინცაძე, თედორე ჰანიშვილი, მწერალი შიო ჰანტურიშვილი და სხვა. ქუთაისის ციხეში დაგვიხვდა მრავალი ამხანაგი სხვადასხვა კუთხიდან, ამათში იყო მიშა კოლუაშვილი, რომელიც იყო ფედერალისტი და ცნობილი ვაჟკაცი და კარგი ქართველი. *1923* წელში, თბილისში თავს დაესხენ და მოკლეს. გურიის განმათავისუფლებელმა კომიტეტმა მოაწყო წითელი ჯვარი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვასო ჩიტაიშვილი.(ვ. ჩიტაიშვილი *1924* წლის აჯანყების დღეებში დახვრიტეს ბათომში.)

ქუთაისის ჩეკის სარდაფში გვაძლევდენ ას გრამ პადს და ლობიოს ნახარშავ წვენს. აქ იყო „კომენდატ სმერტი"—ჯალათი ახუნდოვი, საზიზღარი შეხედულების, იცვამდა თეთრ ჩერკესკას და სისხლით შელებილი იყო. ამ ჯალათს მოყავდა სისრულეში დახვრეტა. სარდაფში ჩაკლავდა და შემდეგ მიქონდათ სალორიას ტყეში. ლადიკო გიგინეიშვილი და თედორე ჰანიშვილი ჩაკლა ჩეკის სარდაფში.

ჰანიშვილის და გიგინეიშვილის დახვრეტის მესამე დღეს გამოგვიძახეს ჩეკის სარდაფიდან მე და ისაკია ურუშაძე, გაძლიერებული მცველებით მიგვიყვანეს ქუთაისის სადგურში, ჩაგვსვეს ერთ ვაგონში და ნაშუადღევის სამ საათზე ვიყავით თბილისის სადგურზე. აქ დავინახე ჩემი უმცროსი ძმა ლავრენტი, არტილერიის ოფიცერი, როცა დამინახა თავი გააქნია და თურმე თქვა: ვაი რა დღეში ხარო. ეს შეამჩნია ჩეკისტებმა და დაატუსაღეს. სამ დღეს ყოფილიყო თბილისის სადგურის ჩეკაში დატუსაღებული და გაანთავისუფლებია კოტე ცინცაძის ძმას ბიკტორას, რომელიც იყო მისი ახალგაზრდობის მეგობარი.

შემიყვანეს ჩეკის მესამე სარდაფში. იქ დამიხვდა მიკიჩა ვარდოიანი, გიზო ანჯაფარიძე, გენერალი მაზნიაშვილი, მიშა ნაკაშიძე და სხვები. არ აიწერება თუ რა ყოფაში ვიყავით აქ. დაგვესია კბენარი. გავიძრობდით საცვლებს და ვხეკავდით ტილებს. ვიყავით ნახევრად მშიერი. ნაშუადღევის ორ საათზე შემოვიდა სარდაფში ჯალათი შულმანი, მას თან ახლდა ჯალათი სომხები. ვინც მას მოესურვებოდა გამოუძახებდა: ვიხადიტე ტოვარიშჩ, გაიყვანდენ კალიდორში და იყო საშინელი წამება მათი და ყვირილი. შეუკრავდენ ხელებს და მიყავდათ და ჩაყრიდენ საბარგო მანქანაში. ეს საბარგო მანქანა ამუშავებული ყავდათ, რომ ყვირილის ხმა გარეთ არ გასულიყო. წაიყვანდენ საბურთალოზე და გამზადებულ ორმოში ჩაყრიდენ. ყოველ ღამით მიმდინარეობდა ეს არგაგონილი წამება და მხეცური ჩაკვლა ადამიანების. ერთ ღამეს გამოუძახეს რამოდენიმე პირს, მათ შორის იყო ერთი ნიგოითელი ორმოცაძე. როცა გაიყვანეს და მოუნდომა ჯალათმა შულმანმა ხელების შეკვრა, ორმოცაძემ მოასწრო ჯიბიდან ნატეხი ქიქის ამოღება და დაკრა სახეში შულმანს და მაგრად დაასახიჩრა. ორმოცაძე მოკლეს კალიდორში.

გამომიძახა დაკითხვაზე გამომძიებელმა და მისვამს კითხვებს რუსულად. არ ვიცი რუსულითქვა. გამომძიებელს გაეცინა. გამომძიებელი იყო გეგეჭკორი, ცოტა ლიბერალი პიროვნება. როცა იმან გადახედა ჩემს დოსიეს ოზურგეთიდან გადმოგზავნილს, მითხრა: „რატომ უთხარი გამომძიებელს ოზურგეთში, რომ უარყოფითად უყურებ საბჭოთა ხელისუფლებასო". თერთმეტი თვე გავატარე ჩეკის სარდაფში. *1922* წლის *12* მარტს გადამიყვანეს მეტეხის ციხეში. აქ შევხვდი ალექსანდრე დგებუაძეს. წამიყვანა მის საკანში, გამაცნო ერთი პიროვნება—დათიკო ქღენტი. ალექსანდრემ მითხრა ამ კაცს ნუ მოიშორებ, ეს არ არის დასაკარგავი კაციო. დ. ქღენტზე გაგრაში გაგონილი მქონდა, რომ რაღაც უსიამოვნება მოუვიდა და დარცხვენილი იყო. დათიკო იყო კარგი ვაჟკაცი და კარგი საძეგობრო და კარგადაც დაემეგობრდით. დათიკომ ვიღაც ნაცნობი აღმოაჩინა ციხის მოსამსახურეებში. მასთან მოაწყო საქმე. ამ ხანებში ბევრს აგზავნიდენ სამუშაოდ სოფლებში. ნატანებიდან ოზურგეთამდე გაყავდათ რკინის გზა. დათიკომ ამ პიროვნებას ჩემი თავი შეატანია გასაგზავნთა სიაში. ერთ დილით გამოგვიყვანეს, მიგვიყვანეს თბილისის სადგურში, ჩაგვაჯინეს მატარებელში და მივდივართ, არ ვიცით თუ სად. ჩაგვიყვანეს ნატანებში და მცველებმა გაგვიძახეს ოზურგეთისკენ. ოზურგეთში შეგვიყვანეს ციხეში. ციხის უფროსს გაუკვირდა მე რომ დამინახა. მითხრა: დახვრეტილი მეგონეო. ხელად აცნობა თბილისს, რომელმაც უბრძანა: ხელად გამოგზავნე თბილისშიო.

ახლა მე ვემზადები, უნდა გავიდე აქედან. სწორედ *8* აპრილს, აღდგომა დღეს, ციხის მცველებში აღმოვაჩინე ერთი ჩემი ნათესავი. მასთან გავაბი კავშირი და მისი საშუალებით გავედით ციხის კედლებიდან. გავედით ნასაკირალი—სოფ. მშვიდობაურში, სადაც დაგვაკავშირეს სიმონიკა გოგიბერიძეს. სიმონიკამ მოგვიტანა ორი თოფი კარაბინის, თავის ვაზნებით. თავს ვაფარებდით ერთ მიყრუებულ წისქვილში და საჭმელი მოქონდა სიმონიკას დედას. ეს იყო სოფ. ჰაჰიეთი. კომუნისტებმა შეკრეს ყველა გზები. ამ სოფელში ცხოვრობდა ჩემი და, დაეცენ მის ოჯახს ჩეკისტები, ჩემი ღრმად მოხუცი დედ-მამა დაატუსაღეს, აწამეს, ჩემი ოდა სახლი დაშალეს, წაიღეს და კომუნისტებმა დაიდგეს. დედაჩემი დაავადმყოფდა ამ წამებით და გარდაიცვალა ექვს თვეში. ჩემი ცოლი ჩეკაში აწამეს, მოთხოვეს გვარი გამოიცვალეო. არ გამოიცვალა გვარი. შემდეგ ციმბირში დაიკარგა.
აი, რა მომიტანა მე და რა მოუტანა ჩვენს სამშობლოს თებერვალმა.

ქრისტეფორე იმნაიშვილი

## თბილისის დატოვება

### ( კოტე იმნაძის რვეულიდან *)

### (მასალა ისტორიისათვის)

მთავრობის თავმჯდომარე ჩემი თანხლებით ყოველ დღე შედიოდა რამოდენიმეჯერ მთავარ შტაბში, სადაც ეცნობოდა ფრონტის მდგომარეობას. იმ საბედისწერო დღეს, 1921 წ. 24 თებერვალს, რვა საათი სრულდებოდა შტაბში რომ დავბრუნდით. აქ დაგვხვდა შემდეგი პირები: მთავარსარდალი გენ. კვინიტაძე, გენ. ოდიშელიძე და შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი პოლკოვნიკ გედევანიშვილი. შესვლისთანავე მთავრობის თავმჯდომარე მიუჯდა შტაბის უფროსის მაგიდას, რომელზედაც ფრონტის რუკა იყო გაშლილი და მოსთხოვა პოლკ. გედევანიშვილს ფრონტის მდგომარეობის გაშუქება.

გენ. ოდიშელიძე ოთახის ერთ-ერთ კუთხეში იჯდა ჩაფიქრებული. მისალმა რა ფეხზე ადგომით მთავრობის თავმჯდომარეს, გენ. ოდიშელიძე ისევ დაჯდა იმავე კუთხეში. მთავარსარდალი მისჩერებოდა კედელზე გაკრულ რუქებს და ნერვიულათ გლარჯის მილს გლარჯის მილზე ეტანებოდა. ამ მისმა ნერვიულობამ უნებლიეთ ჩემი ყურადღება მიიპყრო. ამ ოთახში მყოფთა შორის უფრო ობსერვატორი ვიყავი, ვინემ რაიმე აქტიური როლის მქონე.

პოლკ. გედევანიშვილი შეუდგა რუკაზე ქინძისთავებით აღნიშნულ ფრონტის მდგომარეობის გაშუქებას. ჩვენს არ ყოფნის დროს გენ. ჯიჯიხიას ეცნობებია შტაბისთვის მის სანგრებში (ვაზიანში), რომელიც გვარდიელებს ეჭ-

*) განსვენებული კ. იმნაძე იყო საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას ადიუტანტი.

ირათ, მტრის ტანკების შემოჭრა, რასაც ხაზში არევ-დარევა შეეტანა და გვარდიელთ მიერ სანგრების მიტოვება, თანაც დაერთო რომ ღებულობს ზომებს ფრონტის აღსადგენად...

რამდენიმე ხნის შემდეგ მე გაველი დერეფნით მეზობელ ოთახში, სადაც შტაბის ტელეგრაფის აპარატურა იყო მოწყობილი (საკავშირო განყოფილება). აპარატებზე რამოდენიმე მხედრები მუშაობდნენ, თუ არ ვცდები მაიორ ებანოიძის მეთაურობით. აქ წინა დღეებში ხშირად შევსულვარ, განსაკუთრებით, როდესაც მოლაპარაკება სწარმოებდა ყარსის (ყარსში თურქების მთავარსარდალი კარა ბექირი ბატონობდა) საშუალებით ანგორასთან (ჩვენ ელჩ ს. მდივანთან). ხშირად შევხვედრივარ სასტუმრო „ორიანტში" თურქების ელჩს კიაზიმ ბეის, რომელიც ანგორასთან მოლაპარაკებას ესწრებოდა, რომ ჩვენთვის აეცილებინა ყარსის ჩვეულებრივი საბოტაჟი. ყარსი თბილისის ანგორასთან შეერთებას და მოლაპარაკების წარმოებას ხელს უშლიდა. ლაპარაკი ეხებოდა საკითხს, თუ რას ნიშნავდა თურქების ჯარის მიერ ჩვენი საზღვრების გადმოლახვა. რუსეთის თბილისთან მოახლოებასთან ერთად უკვე შემჩნეულ იქმნა თურქების ჯარების საქართველოსკენ მოძრაობაც (ახალციხისაკენ). სხვათა შორის იმ ღამეს, დაახლოებით მესამე თუ მეოთხე საათი იქნებოდა, როდესაც სოღანლუღთან და საერთოდ მთელ ფრონტზე სამკვდრო სასიცოცხლო ომი იყო გაჩაღებული, როდესაც გაშმაგებულ მტერს იერიში იერიშზე მოჰქონდა და ვათენებამდის ხელჩართულ ბრძოლებს ჰქონდა ადგილი, სადაც გენ. მაზნიაშვილის მიერ პირადი საოცარი სიმამაცის მაგალითით წახალისებულმა ცენტრში მყოფმა ჩვენმა ჯარმა ასე სასტიკად დაამარცხა მტერი — მე და კიაზიმ ბეი ავტომობილით შტაბში მივექანებოდით სადაც ის ანგორის მიერ იყო გამოძახებული. ამ ცეცხლის და გულშემზარავ ჭექა-ქუხილის შემყურე ქიაზიმ ბეი თურქული აქცენტით მეუბნება რუსულად: „იცით, ბატონო მაიორო, თქვენი მთავარსარდალი, მგონი, თბილისთან ბოლშევიკებს იმასვე უმზადებს, რაც მათ ვარშავასთან იგემეს"...

დაახლოებით ცხრა საათი იქნებოდა საკავშირო საინფორმაციო განყოფილებაში რომ შევედი. აქ აპარატები განუწყვეტლივ მუშაობაში იყო. სწორედ იმ დროს მომიხდა აპარატურაში შესვლა, როდესაც გენ. ჯიჯიხიას (ვაზიანის ფრონტი) დასრულებული ჰქონდა მთავარსარდლისათვის პატაკის გადმოცემა. ეს პატაკი — რომ ბოლშევიკების ტანკები იძულებული გავხადეთ ჩვენი სანგრები მიეტოვებინათ, გარღვეული ხაზი აღდგენილია და გვარდიელთა სულისკვეთება მტკიცე. — როგორც ფრიად სასიხარულო ამბავი, მინდოდა რა თვითონ შემეტანა მთავრობის თავმჯდომარისა და მთავარსარდლისათვის.

გამოეართეი მიმლებ მხედარს. თუ არ ეცდები იმავე მაიორ ებანოიძეს და შეეუტანე აღნიშნულ პირთ. გაეცნო რა ღენ. ჯიჯიხიას პატაკს. ღენ. კვინიტაძე კვლავ თამბაქოს თამბაქოზე წევით მიუბრუნდა ისევ კედლის რუქას და ჩაილაპარაკა: „ვსიო რავნო“... რამოდენიმე წუთის შემდეგ უეცრად შემოტრიალდა. თითქოს კედელს მოწყდაო. გაექანა მთავრობის თავმჯდომარისაკენ და ვანუცხადა: „ია ოტსტუპაიუ!“ ეს ორი სიტყვა იქ მყოფთ მეხივით დაატყდა თავზე. მთავრობის თავმჯდომარემ და მის გვერდით მდგომ პოლკ. გედევანიშვილმა რუქაზე ჩაქინდრული თავი მაღლა ასწიეს და ვაუსწორეს მთავარსარდალს. მთავრობის თავმჯდომარემ სათვალე მოიხსნა და გაოცებული გამომეტყველებით შეეკითხა მთავარსარდალს: — როგორ, რა მოხდა...

უკან დახევა აუცილებელია?! — დიახ!... — გესმით ასეთი ნაბიჯის პასუხისმგებლობა და ღებულობთ ამ პასუხისმგებლობას თავზე? — დიახ!.. და შეუდგა ამ მოულოდნელი გადაწყვეტილების დასაბუთებას შემდეგი სახით: — კახეთიდან მოყოლებული ვიდრე მანგლისამდე ფრონტი 90 კილომეტრით გამიგრძელდა. არამც თუ რეზერვები არ მყავს დაქანცულ-დაზიანებული ჯარის შესავსებად — პირიქით. მთელი რიგი „პუსტიე პროსტრანსტვა“... ამავე დროს მტრის ცხენოსანი ჯარი დაეშვა დიღომით და გამოჩნდა ზურგში. კოჯორით საბურთალოსკენ მიემართება. ამავე დროს ვაზიანიდანაც გარს მივლიან. ადვილი შესაძლებელია მტერმა ავჭალა დაიკავოს და უკან დასახევი გზაც მოგვიჭრას. უკან დახევით და მცხეთის ხეობის დაკავებით ფრონტს შევამოკლებ ორი კილომეტრით. აქ შევძლებ ჯარის გადაჯგუფებას და სათანადო რეზერვის შექმნას. აქვე დავამარცხებ მტერს, კვლავ დავიკავებ თბილისს. რის შემდეგ საშუალება მომეცემა დამარცხებული მტრის დევნისა და სავსებით განადგურებისა... — ათი საათი სრულდებოდა — და დაუმატა: თქვენ განკარგულებაშია. ბატონო თავმჯდომარე. ორი საათი. მე ვიწყებ უკან დახევას ღამის 12 საათზე. ისარგებლეთ ამ დროთი როგორც საჭიროთ მოიჩნევთ... და მიუბრუნდა პოლკ. გედევანიშვილს: — სწერეთ უკან დახევის გეგმა! და დაუწყო გედევანიშვილს კარნახი თუ რომელი ნაწილი რა გზით და რა წესით ივლის და რომელი პოზიცია უნდა დაიკავოს მცხეთის მიდამოებში... ამ დროს კუთხეში მჯდომი ღენ. ოდიშელიძე ადგა და მიუახლოვდა მაგიდას შემდეგი სიტყვით: — ნება მიბოძეთ. ბატონებო. გამოვსთქვა ჩემი აზრი. ამ სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია მთავარსარდალმა. რომელიც განაგრძობდა უკან დახევის გეგმის კარნახს. მიუხედავად ამისა. ღენ. ოდიშელიძემ მაინც წარმოსთქვა თავისი აზრი.

საომარ სტრატეგიული მოსაზრებით ასე ურყევი გადაწყვეტილების აუცილებლობა მთავარსარდალმა. როგორც ეს ზემოთ აღვნიშნე. სათანადოთ დაასაბუთა და ამ დასაბუთებას ლოღიკაც არ აკლდა. მიუხედავად ყოველივე ამისა თვით აზრი უკან დახევისა და მისი აუცილებლობა ისეთ საშინელებათ მიმაჩნდა. რომ ინსტიქტიურათ ხსნას ღენ. ოდიშელიძის სიტყვაში ველოდი და ამიტომ ჩემი გულისყური მის მერ გამოთქმულმა აზრებმა მიიპყრო. მან დაახლოებით შემდეგი სთქვა: — ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია უკან დახევა. რადგანაც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ. თუ რა ფსიქოლოგიურ გამოძახილს ჰპოვებს ეს ნაბიჯი ჩვენს გამარჯვებულს ჯარში. მე ვფიქრობ მცხეთაში არც ერთი ჯარისკაცი არ გაჩერდება. ამიტომ თუ ხსნა გვიწერია, ხსნა ისევ იქ არის. იმ პოზიციებზე. რომელიც დღეს ჩვენს ჯარს უკავია... (თითქოს მთავარსარდლის თავმოყვარეობაზე უნდა გაეთამაშოსო:) — როგორ შეიძლება ისეთი დიდი გამარჯვება. რომელიც მთავარსარდალმა იგემა თბილისთან. უკან დახევით სასწორზე დაიდოს. პირიქით მე მის ადგილზე გადავიდოდი შეტევაზე... და შეტევაზე არა საერთო ხაზით. არამედ ერთგვარი პარტიზანული წესით. განაგრძობდა ოდიშელიძე. პარტიზანული შეტევით რომ მტერს მოსვენება არ მიეცეს... მანამ, სანამ დაუძლურებული და საკმაოდ შელახული მტერი სავსებით არ მოტყდება. ამავე დროს მოგვისწრობს მოხალისეთა ის ორი ათასეული. რომელიც იმერეთიდან დაძრულა. ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში. რომ მტერსაც არ ჰყავს რეზერვი და არც შესაძლებლობა დამხმარე ძალების მოშველებისა. დაბოლოს შეტევაზე გადას-

ვლა საერთო ხაზით მტრის სავსებით განადგურებისათვის.. თუ სხვა რამ არ გვიწერია. მე ვფიქრობ. უმჯობესია თბილისის წინ სასახელოდ დავიხოცოთ.
დაასრულა ამით.

ლენ. კვინიტაძემაც დაასრულა თავის უკან დახევის გეგმის კარნახი შემდეგი სიტყვებით: — ზურგში უკან დახევის დასაცავად, ენიშნავ გენ. მაზნიაშვილს თავისი ნაწილებით. — მთავრობის თავმჯდომარე შეეკითხა ლენ. ოდიშელიძეს: — აქვს თუ არა მთავარსარდალს უფლება, პირადი გადაწყვეტილებით გადადგას ასეთი საპასუხისმგებლო ნაბიჯი? — მთავარსარდლის საომარ სტრატეგიულ განკარგულებაში ვერავინ ჩაერევა. მიუგო ლენ. ოდიშელიძემ. ამ განმარტების შემდეგ ნოე ჟორდანიამ დატოვა შტაბი და ჩემი თანხლებით გაემართა სასახლისაკენ. აქ დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის მოზდილ ოთახში თავი მოეყარათ დეპუტატთა უმრავლესობას. მისვლისთანავე მთავრობის თავმჯდომარემ სიტყვა აიღო. მან გააცნო დამფუძნებელ კრების წევრთ ჩვენი ჯარის უკან დახევის და თბილისის დატოვების აუცილებლობა იმ სახით. როგორც ეს მთავარსარდალმა გადასწყვიტა და დასძინა. რომ უკან დახევა დაიწყება ლამის 12 საათზე...

ამ ამბავმა საერთო ჩოჩქოლი გამოიწვია დამსწრეთა შორის. პირველი სიტყვა აიღო ვეშაპელმა და გაოცებული შეეკითხა მთავრობის თავმჯდომარეს — თუ ვინ გაბედა. ვისი აზრია დედა ქალაქის დატოვება.
-- ასეთია მთავარსარდლის ურყევი გადაწყვეტილება. თუ ეს არ მოგწონთ. მას გადავაყენებ და თქვენ დაგნიშნავთ. ან სხვა ვინმეს ვისაც ინებებთ — მიუგო მთავრობის თავმჯდომარემ.

გახურებულ თავს თითქოს ცივი წყალი გადაევლო... სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, არც ერთი ხმა. არც ერთი კრინტი. ვეშაპელიც ჩაჯდა... ცოტა სიჩუმის შემდეგ ნოე ჟორდანიამ სთქვა: — თქვენს განკარგულებაში ცოტა დროა დარჩენილი. ვისაც არ გინდათ დარჩენა. ისარგებლეთ ამ დროთი.

მთავრობის თავმჯდომარე მივაცილე სახლში. სადაც თბილისის მოქალაქეთათვის სახელდახელო მოწოდება დაწერა დედა ქალაქის დატოვების აუცილებლობაზე და პირდებოდა მოკლე ხანში ჩვენი ჯარის მიერ თბილისის ისევ დაკავებას. გადმომცა ეს მოწოდება და მიბრძანა სასწრაფოდ გაზეთ "ერთობის" სტამბაში შევსულიყავი მის დასაბეჭდად და გასავრცელებლად. სტამბაში მოწოდება გადავეცი ასოთ-ამწყობს (გვარი არ მახსოვს). რომელთანაც წინასწარ ტელეფონით ვიყავი შეთანხმებული. წაკითხვა ვერ დაასრულა. რომ ასოთ-ამწყობს თვალები ცრემლით აევსო. ამ სურათმა ჩემზედაც იმოქმედა. მაგრამ თავს ძალა დავატანე და ყელში მობჯენილ ბოღმას გზა არ მივეცი...

ლამის პირველი საათი სრულდებოდა. რომ გავეშურე ავტომობილით სახლისაკენ. მისვლისთანავე რაც ხელში მომხვდა ჩავაწყე ჩემოდანში და გავექანე სადგურისაკენ... ქალაქი ძილს მისცემოდა. ირგვლივ სრული სიწყნარე — წესრიგი სუფევდა, პოსტზე მდგომი მილიცია ჩვეულებრივ თავის მოვალეობას ასრულებდა. არც ფრონტიდან მოისმოდა ზარბაზნების ჩვეულებრივი გრგვინვა თუ ტყვიამფრქვევთა რაკრაკი. ვინ წარმოიდგენდა თუ ამ დროს ჩვენი ჯარი უკან იხევდა. თბილისს სტოვებდა...

("ბედი ქართლისა", ნომერი 29, ივნისი 1958 წ.)
===========================================

# საქართველო დაპყრობის შემდეგ

საბჭოთა საქართველოს ისტორიული მთავარი ეტაპები შეიძლება ასე განისაზღვროს:

1921 წლის 25 თებერვალი - დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის დღე, თუმცა დამოუკიდებელი საქართველოს კანონიერმა მთავრობამ, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორია 1921 წლის 17 მარტს დატოვა, და ამდენად, ამ თარიღამდე, საქართველო ფაქტიურადაც დამოუკიდებელი სახელმწიფო დარჩა.

1922 წლის 25 თებერვალს შეხდგა სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობა, რომელმაც მიიღო საბჭოთა საქართველოს კონსტიტუცია.

1922 წლის 13 დეკემბერს შეიქმნა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკა, რომელშიც გაერთიანდა საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი.

1922 წლის 30 დეკემბერს ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკა შეყვანილ იქნა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

1936 წლის 5 დეკემბერს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა გახდა მოკავშირე რესპუბლიკა და გახდა საბჭოთა კავშირის ერთერთი შემადგენელი რესპუბლიკა, რაც გრძელდება დღემდე.

1937 წლის თებერვალში საბჭოთა საქართველოს საბჭოების მრილობამ მიიღო საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომელიც ძალაში დარჩა 1976 წლამდე.

1978 წლის 14 მარტს კი საბჭოთა საქართველოს უმაღლესმა საბჭომ მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომელიც ძალაშია დღესაც.

საბჭოთა საქართველოს ეკონომიკური ცხოვრებაც გადაჯაჭვული იყო და არის მოსკოვის პარტიული ხელმძღვანელობის ეკონომიკურ ცხოვრებასთან. პირველი ე.წ-ლი"ხუთწლიანი გეგმა" დაიწყო 1929 წელს, რის შედეგად საბჭოთა საქართველოშიც განხორციელდა ე.წ-ლი"კოლექტივიზაცია" და "ინდუსტრიალიზაცია".

მეორე ხუთწლედი(1933-1937) საბჭოთა ისტორიოგრაფიაში იწოდება ხანად, როცა "ხოციალიზმი ძირითადათ აშენდა". და ახლა,1984 წელს, მოქმედება-

შია მეთერთმეტე ხუთწლედი, რომლის დროსაც, როგორც საბჭოთა სინამდვილე ნათელჰყოფს, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება არსებითად მაინც ვერ განხორციელდა.

საბჭოთა ისტორიოგრაფია უგულებელჰყოფს ან ამახინჯებს ისეთ ისტორიული ფაქტებს, როგორიცაა,

1924 წლის 28-29 აგვისტოს სახალხო აჯანყება, რომელიც სისხლში ჩაახშო ბოლშევიკებმა;

"განკულაკების","ინდუსტრიალიზაციის" თუ "კოლექტივიზაციის პერიოდს, რომელმაც თავის კულმინაციურ წერტილს 1936-1937 წლების "წმენდების" დროს მიაღწია, რომელმაც შეიწირა ათასობით ადამიანები;

მეორე მსოფლიო ომის პერიოდი - 1941-1945 წლები -, რომლის დროს, როგორც საბჭოთა წყაროებიც ადასტურებენ, საქართველოს მაშინ სამ-ნახევარი მილიონი მოსახლეობიდან შვიდასი-ათასი კაცი გაიწვიეს ომში, რომელთაგან ნახევარზე მეტი უკან აღარ დაბრუნებულა;

1956 წლის 9 მარტის თბილისის სტუდენტებისა და ახალგაზრდა მუშების მასობრივი დემონსტრაციები, რაც სისხლი ჩაახშო საბჭოთა არმიის სპეციალურმა ნაწილებმა;

1978 წლის 14 აპრილის მასობრივი დემონსტრაცია თბილისში ქართული ენის,როგორც სახელმწიფო ენის,ისევ შეტანისათვის საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში, რაც, მადლობა ღმერთს, მშვიდობიანად ჩატარდა, და პარტიულმა ხელმძღვანელობამ დემონსტრანტთა მოთხოვნა დააკმაყოფილა. ყველა აღნიშნული და სხვა საკითხების განხილვა სცილდება ჩვენი შესაძლებლობის საზღვრებს; ამიტომ გავაცნობთ მხოლოდ ზოგიერთ მონაკვეთებს აღნიშნულ პერიოდიდან.

## აჯანყებიდან მშვიდობიან დემონსტრაციამდე

### 1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყება და მისი შედეგები

ქართველი ხალხი, თავისი სახელმწიფოებრივი ისტორიის მანძილზე, ყოველთვის ცდილობდა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ტაქტიკის არსებულ პირობებთან შეგუებას, რაც განპირობებული იყო იმით, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული ჩვენი ხალხის უაზრო სისხლის ღვრა. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ 1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების შემდეგ, ქართველი ერი მშვიდობიანი დემონსტრაციების გზას დაადგა, თუმცა 1956 წელს, 9 მარტს, თბილისის სტუდენტებისა და ახალგაზრდა მუშების მშვიდობიანი დემონსტრაცია მაინც სისხლისღვრით იქნა ჩახშობილი. მაგრამ დემონსტრანტებმა, ამ ტრაგიკულ მომენტშიც, ძალადობას არ მიმართეს. 1958 წლის 14 აპრილს კი, თბილისში, მასობრივი დემონსტრაცია, რ ო მ ე ლ ი ც ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დაცვას მოითხოვდა, —მშვიდობიანად და წარმატებით დამთავრდა, რის შედეგად საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში ისევ შეტანილ იქნა მუხლი ქართული ენის საქართველოს სახელმწიფო ენად აღიარების შესახებ.

მაგრამ, როგორც ჩანს, ყოველთვის შეუძლებელი ხდება ერმა თავი აარიდოს ძალის გამოყენებას, და ამგვარი ტრაგიკული თარიღია 1924 წლის 28-29 აგვისტო, როცა ქართველი ხალხი ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ამხედრდა. გავეცნოთ ზოგიერთ მასალას საქართველოს, ქართველი ერის ამ საბედისწერო აჯანყებისა და მისი შედეგების შესახებ.

# საქართველოს 1924 წლის ამბოხება

(მოგონებანი)

სოლომონ ზალდასტანიშვილი

მიუნხენი
1960

## წინასიტყვაობა

საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად აჯანყება მოხდა 1924 წლის 28 აგვისტოს.

ეს დიდმნიშვნელოვანი ამბავი ახლა წარსულს ეკუთვნის და მისი გახსენება და შეფასება საყურადღებოა არა მხოლოდ პოლიტიკოსებისათვის, არამედ მისი ისტორიის შესწავლისათვისაც. მე, როგორც მოწმე და აჯანყების აქტიური მონაწილეთაგანი, ვეცდები აღვწერო, თუ როგორ ხდებოდა აჯანყების მომზადება, დაწყება და რამ მიიყვანა აჯანყება დამარცხებამდე, ე. ი. გარკვეული სურათი გადავშალო, თუ რა ხდებოდა მაშინ ჩვენში. მაგრამ სიფრთხილისა გამო იძულებული ვარ ჩემს მოგონებებში ზოგიერთი პირები ჯერ კიდევ არ დავასახელო და ამის გამო მომხდარი ამბებიც ალაგ-ალაგ შევამოკლო. ამიტომ მოგონება არ იქნება მთლიანი, მაგრამ ეს არ დაგვიშლის, აჯანყების მთავარ მოძრაობაზე და ვითარებაზე სწორი წარმოდგენა, გაგება და შეფასება ვიქონიოთ; სიმართლის თქმა სიბოროტის ქმნა არ არის. ჩემი მოგონება და შიგ გამოთქმული აზრები არც ერთ პიროვნების წინააღმდეგ არ არის მიმართული.

მე ვეცდები აღვადგინო მაშინდელი ჩვენი ბრძოლის მთავარი მომენტები და პირუთვნელად განვიხილო მათი მოქმედება, ვინც ამ აჯანყებაში მთავარ როლს თამაშობდა.

ყველას აქვს უფლება, თავისი პირადი შეხედულება ჰქონდეს აჯანყების რომელიმე ერთ ან რანოდენიმე შემთხვევაზე (ეპიზოდზე), მაგრამ 1924 წლის აჯანყების მთავარ ფაქტებსა და მოვლენებს ვერ გავექცევით, ე. ი. იმას, რაც ერთნაირად უნდა ვიცოდეთ, გვესმოდეს და ერთნაირად ვაფასებდეთ.

ჩემი მიზანია, ეს გამოვარკვიო, რომ ამით გამოჩნდეს, რა იყო სწორი და რა იყო მცდარი, ან და,—რა არის უდავო და რა დარჩება სადავო.

სოლომონ ზალდასტანიშვილი.

საფრანგეთი, 1938 წელი.

1.

1783 წლის 24 ივლისს ქ. გიორგიევსკში დაიდო ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის. რომელიც ავალებდა რუსეთს, დაეცვა საქართველო გარეშე მტრებისაგან.

1795 წელს კრწანისის ბრძოლაში რუსეთმა ეს ხელშეკრულება დაარღვია და ამით სპარსეთის შახს აღა-მამადხანს შეძლება მისცა, ქართლ-კახეთი აეკლო. რუსეთმა ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით, — დაეპატრონა დასუსტებულ საქართველოს და ხელში ჩაიგდო ქართლ-კახეთის მმართველობა.

მეფე გიორგი მეთორმეტის სიკვდილის შემდეგ თავაშეებულმა რუსეთმა 1801 წლის 12 ენკენისთვეს ძალით გამოაცხადა საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილად. ამ უსამართლობას ქართველი ხალხი ვერ შეურიგდა და ზედი-ზედ აჯანყებებით უპასუხა.

1802 წ. რუსეთს აუჯანყდა კახეთი; 1804 წ. კახეთთან ერთად იფეთქა დიდმა აჯანყებამ მთიულეთში; 1812 წ. მათ მიემხრო ქართლის ნაწილიც; 1819-20 წ. დასავლეთ-საქართველოში შეჭრილ რუსულ ჯარს ახლა მთელი იმერეთი აუჯანყდა. ამ წლებში საქართველოს მიწა-წყალი მთლად რუს-ქართველთა შორის შეუწყვეტელი ომების ასპარეზად გადაიქცა. თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და გლეხობა მხარ-და-მხარ გააფთრებით ებრძოდნენ ახალ დამპყრობელებს. მაგრამ ბოლოს დამარცხდნენ, რადგანაც ყველა ეს აჯანყებები კუთხურად ხდებოდა და რუსების ჯარი. თუმცა დიდი სიძნელით, ნაწილ-ნაწილად მოერია მეამბოხეებს და გაბატონდა საქართველოში.

რაც დრო გადიოდა, ხალხს უფრო და უფრო უძნელდებოდა ცხოვრება რუსულ მძიმე ეკონომიურ-პოლიტიკურ და ადმინისტრატიულ უღელ ქვეშ. ამას დაემატა კიდევ 1829 წლის ბრძანება: ქართველი ხალხი რუსის ჯარში უნდა გასულიყო, ე. ი. „სალდათობა“ შემოელო. ამ ბრძანებამ მთელი ერი ერთნაირად აალელვა. მისმა გამოსელამ უკვე ორგანიზაციული სახე მიიღო, მხოლოდ გამოუცდელმა ხელმძღვანელებმა ვერ ისარგებლეს ამ უკმაყოფილობით: მათ შეეძლოთ ეს მოძრაობა დიდ ეროვნულ - პოლიტიკურ მიზნისათვის გამოეყენებინათ და აჯანყების დროშაზე რუსეთის გარეკა დაეწერათ; მათ კი თავიანთ დროშებს მეორე ხარისხოვანი მიზანი წააწერეს: „რუსს სალდათს არ მივცემთ“-ო. აჯანყებამ მასიური ხასიათი მიიღო, რადგანაც გამოეიდა თბილისი, გორი, კავთის-ხევი, თელავი, სიღნაღი და ბორჩალო. ამავე დროს გურიაში, სოფ. კინტრიშის ციხეში, დედოფალი სოფიო იბრძოდა რუსების წინააღმდეგ. მას მხარს უჭერდნენ ალექსანდრე და ვახტანგ ბატონიშვილები. საერთაშორისო მდგომარეობა აჯანყებას ხელს უწყობდა, ამიტომ რუსებმა ჩვეულ ხრიკს მიმართეს: ისარგებლეს ქართველების ამ მორუსებს გაუძნელდათ ქართველებთან ბრძოლა. როგორც მუდამ. ძრაობის სულისკვეთებით და ხელმძღვანელების გულუბრყვილო შეცდომით: ქართველების ჯარში გაყვანა გააუქმეს და წაყვანილი ჯარისკაცები დააბრუნეს; ამით ხალხი ადვილად დააკმაყოფილეს და დაამშვიდეს.

გარეგნულად ეს იყო ქართველი ხალხის ერთგვარი გამარჯვება. მაგრამ სინამდვილეში ეს იყო დიდი დამარცხება, რადგანაც რუსეთი კვლავ ბატონად დარჩა საქართველოში.

1832 წელს შეთქმულებას ხელმძღვანელობდნენ რუსეთიდგან ბატონიშვილები: დიმიტრი და ოქროპირი. მოძრაობაში გაერთდა გლეხი, მღვდელი, მემამულე, ვაჭარი და მოქალაქე. შეიქმნა საერთო სამოქალაქო ორგანო; მიზანიც სწორი დაისახეს, — რუსეთის განდევნა საქართველოდგან. აჯანყებისათვის გამოსვლის გეგმაც ჰქონდათ დამუშავებული. სამწუხაროდ, სამოქმედო ორგანო მრავალ-

რიცხოვან წრეს წარმოადგენდა და, აგრეთვე, ისეთი პირები იღებდნენ მონაწილეობას, რომლებსაც მოქმედებაში გამბედაობა აკლდათ. მათი გაელენის წყალობით გამოსვლის დღე რამდენჯერმე გადაიდო. ამას მოჰყვა გამცემლობა და შურობა. 1832 წლის შემოდგომის მიწურულში შეთქმულთა მოქმედება გამოაშკარავდა. მეთაურები დაიჭირეს და რუსეთში გადაასახლეს. კარგად დაწყებული შეთქმულობა უმოქმედოდ დამთავრდა, რადგანაც აჯანყებას ხელმძღვანელობდა დიდი ორგანო, რომელიც საკითხების გადაწყვეტას დიდ დროს ანდომებდა.

**აჯანყების დაწყებას თავისი დრო აქვს. მისი ხელიდგან გაშვება დამარცხებას უდრის.**

ამ აჯანყებებიდგან შემდეგი დასკვნები შეგვიძლიან გამოვიტანოთ:

1. გამოსვლა მთელ საქართველოში ერთობ უნდა მომხდარიყო.
2. მეთაური ორგანო უნდა ყოფილიყო ვიწრო, მოძრავი, აქტიური და გაბედული ზომების მომხრე. პასიურ და მერყევ პირებს მომქმედ წრეში ადგილი არ უნდა ჰქონოდათ.

დაიწყო ქართველი ხალხის გადაგვარება, — გარუსების ცდები. მართალია, რუსის ბატონობას ჯერ კიდევ ვერ ინელებდნენ საქართველოში, მაგრამ ბევრნი რუსის ერთგულ ქვეშემდგომებად გადაიქცნენ. ამას ხელს უწყობდა ჯერ არ დავიწყებული სპარს-ოსმალოს მიერ საქართველოს მუდმივი დარბევა, რომელმაც უკვე კაი ხანია ქართველ ხალხში გააჩინა რუსეთის მომხრე წრეები და მეთაურები. ამ გვარად რუსმა თავისი ცდა თითქოს გაიტანა და მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოში მას ჰყაედა არა მცირე რიცხოვანი მომხრეები თავადაზნაურობაში, მოხელეებში და მხედრობაში. ამათ გვერდით შეიქმნა რევოლუციური მუშათა კლასი და ინტელიგენცია, რუსული კოსმოპოლიტ-ინტერნაციონალური პარტიები — რუსული ნიჰილისტური დოქტრინებით და ფილოსოფიით გატაცებულნი.

2.

პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წელს, საზღვარგარეთ საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის ცდილობით და გერმანელების დახმარებით, შესდგა პატარა ლეგიონი ლეო კერესელიძის მეთაურობით, რომელიც ოსმალეთის ფრონტიდან ებრძოდა რუსებს. მაგრამ ომის გათავებით მათი მუშაობაც შესწყდა. მეფეთა რუსეთის იმპერია დაინგრა, საქართველოში ქართველმა ხალხმა 1918 წლის 26 მაისს რუსეთისაგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ახალმა ქართულმა მთავრობამ რუსეთთან საზავო მორიგებისათვის მოლაპარაკება დაიწყო. 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და დასდო მასთან ხელშეკრულება. მაგრამ 1921 წლის 11 თებერვალს რუსეთმა ხელშეკრულობა დაარღვია და საქართველოს თავს დაესხა.

ამ ხანაშიც ქართველი ხალხის ნაწილ ფენებში ჯერ არ გამქრალიყო რუსოფილური ტენდენციები და რუსთან შეტაკებაში მისმა ხელმძღვანელმა წრეებმა ღირსეული ბრძოლა ვერ აწარმოეს.

ბოლშევიკურ რუსეთთან ბრძოლამ ერთ თვემდე გასტანა, მაგრამ უნაყოფოდ. მარტის მიწურულში რუსეთმა მთელი საქართველო დაიპყრო. ქართველმა ხალხმა, როგორც მე-19-ე საუკუნის დასაწყისში, ვერ აიტანა რუსების ბატონობა და იარაღით ხელში ხელისუფლების წინააღმდეგ გამოვიდა. მისი მიზანი იყო რუსებისაგან საქართველოს განთავისუფლება. ამ ბრძოლების შინაარსს მშვენიერად ამაბუთებს სასამართლოში გასამართლების დროს ეროვნულ-დემო-

კრატი, „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ წევრი, იასონ ჯავახიშვილი (პროცესის ოქმი 1925 წლის 31 ივლისისა): ... „რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, 1921 წელს, საქართველოში ხელისუფლების სათავეში ჩადგნენ ქართველი ბოლშევიკები. მოსალოდნელი იყო, რომ ხელისუფლება შეეცდებოდა თავისი ფრთხილი პოლიტიკით დაევიწყებინა ქართველი ერისათვის ახალი ხელისუფლების წარმოშობის მომენტი. მართლაც, ხელისუფლებამ განაცხადა, რომ საქართველოში მოხდა მხოლოდ ძალაუფლების შეცვლა: ბურჟუაზიის მაგიერ ქვეყნის სათავეში ჩადგნენ ქართველი მუშები და გლეხები, საქართველოს დამოუკიდებლობა კი დარჩა ხელშეუხებლად... რამდენად შეეგუა ამ დეკლარაციის შინაარსს მთავრობის შემდეგი მოქმედება?

ჯერ გააერთიანეს რკინის გზა რუსეთთან; ამას მოჰყვა შემდეგი მოვლენები: გამოიწერეს რუსის მუშები როსტოვიდგან და დააყენეს ქართველი მუშების ადგილას; დაჰკეტეს 1500-მდე ქართული ეკლესია; შეურაცხყვეს საფლავეი დავითისა და კონსტანტინესი მოწამეთში, რომელნიც იყვნენ ეროვნული გმირები; ამით შეაგინეს ჩვენი ეროვნული გრძნობა. შემდეგ ჯერი მიდგა საქართველოს ტერიტორიაზე: რუსეთმა დაუთმო ანგორას ბათუმის ოლქის ნაწილები და ართვინი, სომხებს მისცა ბორჩალოს მაზრის ნაწილი, აზერბეიჯანს — ზაქათალის, სიღნაღისა და თბილისის მაზრების ნაწილები. ამგვარად დედა-აზრი ამ ცვლილებათა, რომელიც მოხდა აქ თებერვლის შემდეგ, ფაქტიურად მდგომარეობს არა ხელისუფლების შეცვლაში (ქართველი მენშევიკებისა ქართველ კომუნისტებზე), რასაც ჩვენთვის მეორე ხარისხოვანი ხასიათი აქვს, — არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობაში. ამ გარემოებამ თვით ქართველი კომუნისტების რიგებში გამოიწვია გადახრები, ე. წ. „უკლონიზმი“, ქართველი ერი კი აიძულა დასდგომოდა აჯანყების გზას“. ამ განცხადებიდან სჩანს, თუ როგორ თან-და-თანობით შეიქმნა მეამბოხეთა მოძრაობის ზრდა. ხალხი, შეიძლება, შეჰრიგებოდა კიდეც რუსების მიერ კომუნისტური ხელისუფლების შექმნას, მხოლოდ იმ პირობით, თუ საქართველოს დამოუკიდებლობას შეინარჩუნებდა. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ კი თან-და-თანობით საქართველოს დამოუკიდებლობას ძირი გამოუთხარა და ქართველმა ხალხმა აჯანყებით უპასუხა.

### 3.

მოძრაობა დაიწყო ჯერ სვანეთში. 1921 წლის ზაფხულში ხალხმა სვანეთი დაიკავა. მართალია, გამარჯვებამ დიდი ხანი ვერ გასტანა, მაგრამ ამ გამოსვლამ მთელი საქართველო გამოაფხიზლა.

1921 წლის შემოდგომას საქართველოში სამოქმედოდ რუსების წინააღმდეგ ყველა პარტიები გაერთიანდნენ და ორგანიზაციული ფორმა მიიღეს. დაარსდა გაერთიანებული ორგანო „დამკომი“ (დამოუკიდებლობის კომიტეტი), რომელშიც შედიოდნენ შემდეგი პოლიტიკური პარტიები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, სოციალ-ფედერალისტური პარტია, სოციალ-რევოლუციონური პარტია და სხიველები. კომიტეტს თავმჯდომარეობდა ნ. ქარცივაძე 1922 წელს, შემდეგში — კ. ანდრონიკაშვილი 1924 წლამდე. ამავე დროს საზღვარგარეთ დაარსდა საერთო კომიტეტი იმავე პოლიტიკური პარტიების შემადგენლობით. მას ევალებოდა დიპლომატიური მუშაობა უცხოეთში. თბილისში დაარსდა კომისიები: 1. წითელი ჯარისა, 2. ფინანსიური, 3. სარედაქციო და 4. სამხედრო. ამათ ევალებოდათ, თავიანთ დარგში მუშაობა და ორგანიზაციულად ჩამოყალიბება. აჯანყებისათვის

ხალხის დარაზმვა ორი მხრივ სწარმოებდა: 1. პოლიტიკური პარტიების ორგანიზაციების აღდგენას აწარმოებდა „დამკომში“ შესული პარტიების წარმომადგენლები. 2. ქართველი ხალხის მხედრულად დარაზმვას და აჯანყებისათვის მომზადებას ასრულებდა სამხედრო ცენტრი, რომელიც ჩამოყალიბდა 1922 წლის მარტში შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე გენ. კ. აფხაზი; წევრები: გენერალური შტაბის გენერალი ალ. ანდრონიკაშვილი, გენ. ვარ. წულუკიძე, პოლკ. გოგი ხიმშიაშვილი და პოლკ. როსტომ მუსხელიშვილი (ქართული მეორე დივიზიის შტაბის უფროსი). პარტიზანული რაზმის უფროსად დაინიშნა კახეთში პოლკ. ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი. (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი). ქართლში — მიხ. ლაშქარაშვილი.

აჯანყების გეგმა იყო შემდეგი: პირველი და მთავარი გამოსვლა უნდა მოეხდინა ქაქუცა ჩოლოყაშვილს დუშეთში. როცა თბილისიდან მის წინააღმდეგ გაგზავნილი რუსული ჯარი მას ბრძოლაში ჩაებმებოდა, მცხეთის მხრივ მ. ლაშქარაშვილი თავისი რაზმით ზურგში დაარტყამდა. ამით მტრის რიგებში მოახდენდნენ არეულობას და შეერთებული რაზმებით ქაქუცას მეთაურობით თბილისს მოადგებოდნენ. ამავე დროს აჯანყება უნდა მომხდარიყო გურიაში, სამეგრელოში, სვანეთში, ქართლში და კახეთში.

1922 წლის ზაფხულში ხალხში უკმაყოფილება გაძლიერდა. აქაიქ პატარა გამოსვლებიც მოხდა. ზოგი პროვინციები საერთო გამოსვლის დაწყებას თხოულობდნენ. ქაქუცას, რომელიც გასული იყო თავისი რაზმით ტყეში და სამხედრო ცენტრიდან განკარგულებას ელოდდა, ხევსურები ძალას ატანდნენ და თხოულობდნენ რუსებთან ბრძოლა დაეწყო. ისინი ქაქუცას უთვლიდნენ: „რუსების სიმხეცეს ველარ ვიტანთ,— წაბილწეს სოფლები, დაანგრიეს ოჯახები. გაგვიძეხ და მტერს შევუტიოთ!“-ო. იმის შიშით, რომ ხალხი თავისთავად არ გამოსულიყო და ამით საერთო გამოსვლისათვის არ ევნო, ქაქუცა კახეთიდან მთიულეთში გადავიდა. ამავე დროს კახეთიდან ჩამოვიდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი გიორგი წინამძღვრიშვილი, რომელმაც ეროვნულ-დემოკრატიულ კომიტეტში საქმეთა ვითარების შესახებ მოხსენება გააკეთა. მან განაცხადა,— ქაქუცას ირგვლივ უკმაყოფილო ხალხი თავს იყრის და შესაძლოა ახლო მომავალში მოქმედებამაც იგრიალოსო. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია პრინციპში წინააღმდეგი იყო ნაადრევად გამოსვლისა, მაგრამ თუ გამოსვლები უნებურად მაინც დაიწყებოდა, პარტია მხარს დაუჭერდა. პარტიამ დაავალა იასონ ჯავახიშვილს, ეს დადგენილება გადაეცა „დამკომისათვის“, სადაც ის იყო ეროვ.-დემოკრატ. პარტიის წარმომადგენლად. მასთან ერთად პარტია სთხოვდა „დამკომს“, რომ მოძრაობას სათავეში „სამხედრო ცენტრი“ ჩასდგომოდა. „დამკომმა“ არ გაიზიარა ნაადრევი გამოსვლებში მონაწილეობის მიღება და „სამხედრო ცენტრსაც“ არ მისცა უფლება ასეთ მოძრაობისათვის ეხელმძღვანელა. ამის გამო ეროვ.-დემ. პარტიაში დადგა საკითხი სეპარატიული გამოსვლებისა. ამას მხარი დაუჭირეს ეროვ.-დემ. პარტიის ცენტრის წევრებმა: პარტიის თავმჯდომარემ გენ. კ. აფხაზმა, პოლკ. დ. ვაჩნაძემ, გიორგი წინამძღვრიშვილმა და ექიმმა მ. იშხნელმა. ესენი ასაბუთებდნენ იმას, რომ რაკი არ ხერხდება ხალხის სტიქიური გამოსვლის შეჩერება, საჭიროა მისი დაუყონებლივი გამოყენება და გაფართოვება, სანამ რუსის ძალები საქართველო-კავკასიაში ჯერკიდევ მომაგრებულნი არ არიან. წინააღმდეგ იყო ია. ჯავახიშვილი, რომლის აზრითაც სეპარატიული გამოსვლა დაანაწილებდა ქართულ ძალებს და ამით ზიანს მიაყენებდა საერთო ეროვნულ მოქმედებას. აჯანყება მიზანშეწონილად მიაჩნდა მას იმ შემთხვევაში, თუ ყველა პოლიტიკური პარტიები გაიზიარებდნენ და მოქ-

მღდების ხელმძღვანელობაც „დამკომის" ხელში იქნებოდა. საბოლოოდ პარტიამ ის. ჯაბახიშვილის შეხედულება გაიზიარა და დაადგინა: მიღებულ იქმნეს ყველა ზომები. რომ ნაადრევი გამოსვლები არსად არ მოხდეს. ეს დადგენილება პარტიამ ყველა პროვინციებს აცნობა.

4.

1922 წლის აგვისტოში აჯანყება მაინც მოხდა. გამოვიდა კახეთი და ხევსურეთი. მოძრაობას ქაქუცა ჩოლოყაშვილი ჩაუდგა სათავეში. მეამბოხეებმა დუშეთის მიდამოებში მოიყარეს თავი. რუსებმა თბილისიდან აჯანყებულების წინააღმდეგ რამდენიმე ათასეული ჯარისა გაგზავნეს და შტაბის უფროსად პოლკ. რომ. მუსხელიშვილი („დამკომის" სამხედრო წევრი) დანიშნეს. როდესაც „დამკომის" სამხედრო ცენტრმა ეს ამბავი გაიგო, მოითხოვა რომ „დამკომი" ჩასდგომოდა სათავეში ამ მოძრაობას. პირადად პოლკ. რ. მუსხელიშვილმა ექიმი კოწია არდიშვილის საშუალებით ინახულა სოც.-დემ. პარტიის წარმომადგენელი ექიმი ის. ცინცაძე და კატეგორიულად მოსთხოვა, რომ სოც.-დემ. რაზმები დუშეთის მიდამოებში მის განკარგულებაში გადაეცათ. ექ. ცინცაძემ საბოლოო პასუხი ვერ მისცა და საკითხი თავიანთ წრეში დასვა. სოც.-დემ. პარტიამ უარჰყო ნაადრევ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება და ეს შეხედულება თავიანთ რაზმელებს შეატყობინა. დუშეთში მიახლოვებული რაზმები შ. ფალავანდიშვილისა და მ. ლაშქარაშვილისა როტმისტრი ბაგრატიონ-მუხრანელის მეთაურობით, დაიშალნენ და სახლში დაბრუნდნენ. ამის გამო პოლკ. რ. მუსხელიშვილმა თავისი გეგმის შესრულება ვერ მოახერხა და იძულებული გახდა რუსების ჯარით იერიშით მისულიყო ქაქუცას წინააღმდეგ. ქაქუცა მტერს მაგრად დაუხვდა: პირველ შეტევაზე დიდი ზარალიც მიაყენა. რუსებმა მცხეთისაკენ დაიხიეს. ძალების სიმცირის გამო ქაქუცა იძულებული იყო დევნა შეეჩერებინა. ძველ პოზიციაზე დაბრუნდა და აქ გამაგრდა. რუსებმა თბილისიდან დამხმარე ძალები მიიღეს და ხელმეორედ შეტაკებაზე გადავიდნენ, დაამარცხეს ჩოლოყაშვილი და მის რაზმს რკალი შემოარტყეს. ქაქუცამ ბრძოლით რკალი გაარღვია და კახეთისაკენ დაიხია. რუსები ხევსურეთში შევიდნენ და სოფლები გაანადგურეს. თბილისში ამ გამოსვლის გამო დაჭერა და დახვრეტა დაიწყეს. დახვრეტილ იქმნენ: როტმისტრი ს. ანდრონიკაშვილი, ლეიტ. სუმბათაშვილი ძმით, ლეიტ. კ. ჩოლოყაშვილი, ლეიტ. არჩილ ეაჩნაძე, აგრონომი ვახტანგ აბაშიძე. სიღნაღის სოც.-დემ. პარტიის წარმომადგენელი ს. გელაშვილი.

5.

კახეთ-ხევსურეთის აჯანყებამ ოსმალეთის მთავრობაში ლაპარაკი გამოიწვია. იმ დროს სტამბოლში იმყოფებოდა ეროვ.-დემოკ. მთავარი კომიტეტის წევრი შალვა ქარუმიძე, რომელმაც ისარგებლა საქართველოში შექმნილ მდგომარეობით და მოლაპარაკება დაიწყო ოსმალეთის მთავრობის ერთ წევრთან. მოლაპარაკების დროს სჩანდა, რომ ოსმალები თანახმანი იქნებოდნენ ჯარით და იარაღით დახმარებოდნენ აჯანყებულებს რუსეთის წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ ქართველები დათანხმდებოდნენ შემდეგ პირობებზე:

1. ბათუმი თავისუფალ ქალაქად გამოეცხადებინათ;
2. ახალციხის, ახალქალაქის მაზრები ოსმალეთისათვის საკუთრებად გადაეცათ;
3. ბათუმ-ბაქოს ლიანდაგი ექსტერიტორიულად გამოეცხადებინათ; და სხვა.

შალვა ქარუმიძემ ოსმალეთის პირობები მიუღებლად ჩასთვალა, მაგრამ ვალდებულად სცნო ეს მოლაპარაკება თბილისში პარტიის მთავარ კომიტეტისათვის ეცნობინებინა. ამ დავალებით 1922 წლის ენკენისთვეში მე გამგზავნეს სტამბოლიდან საქართველოში. პარტიის თავმჯდომარესთან, გენ. კ. აფხაზთან, შეხვედრა მქონდა „მწყემსის" საზოგადოებაში. როდესაც ოსმალეთის პირობები გავაცანი, მან ის კატეგორიულად უარჰყო: „ქართველი ხალხისათვის ამნაირი პირობების შესრულება მიუღებელია, ამიტომ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ ჯერ-ჯერობით საკუთარ ძალებზედ დავეყრდნობით. თუ თურქები საქართველოს დამოუკიდებლობას აფასებენ და მეგობრობა ჰსურთ, მათ დღეს უპირობოდ უნდა გაგვიწიონ დახმარება." ამავე შეხედულებით უარჰყო ოსმალების წინადადება მთელმა პარტიამ. ეს აზრი აცნობეს საზღვარგარეთის კომიტეტსაც.

6.

კახეთ-ხევსურეთის აჯანყების შემდეგ საქართველოში რამდენიმე თვე სიჩუმე ჩამოვარდა. თითქმის იმავე დროს, როცა მე თბილისში ჩაველი, ნ. ხომერიკიც საზღვარგარეთიდან იქ ჩამოვიდა და თავიანთ წრეში მუშაობა გაახალისა. 1923 წლის იანვარში უკვე ყველა პარტიელებმა ხელახლად გააჩაღეს მუშაობა და მთელ საქართველოში მას მისცეს ორგანიზაციული ხასიათი. თბილისში „დამკომი" და სამხედრო ცენტრი გახდა მეამბოხეთა მთავარ ორგანოდ როგორც თბილისში, აგრეთვე პატარა ქალაქებში და სოფლებში. დააარსეს გაერთიანებული ორგანოები, სადაც დანიშნულები იყვნენ „დამკომის" და სამხედრო ცენტრის წარმომადგენლები. 1923 წლის იანვრის პირველ რიცხვებში ეროვნ.-დემოკრ. პარტიის დავალებით ვინახულე ქაქუცა, გავაცანი საერთაშორისო მდგომარეობა, „დამკომისა" და სამხედრო ცენტრის მუშაობა; აღვნიშნეთ სუსტი მხარეები კახეთ-ხევსურეთის გამოსვლისა.

ამ დღიდან ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით ჩვენი პარტიის რჩევითა და საშუალებით გადავიდა „დამკომის" განკარგულებაში. მან პირობა მოგვცა, რომ ის გამოსვლას მხოლოდ „დამკომის" დასტურით მოახდენდა. მართალი უნდა ითქვას, რომ მთელ ორი წლის განმავლობაში ეს პირობა მის მიერ არ დარღვეულა. ადგილსაც რომ იცვლიდა, ამასაც კი სამხედრო კომისიის შეთანხმებით ახდენდა. იარაღზე, ტანსაცმელზე და ფულზე ზრუნვაც (რამდენადაც შესაძლებელი იყო) სამხედრო კომისიას უხდებოდა. ფულის მხრივ „დამკომი" მუდამ ღარიბი იყო და ამიტომაც ქაქუცა და სხვა რაზმებიც დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ.

7.

ხელისუფლება დიდხანს ეძებდა კახეთ-ხევსურეთის აჯანყების ხელმძღვანელებს. 1923 წლის თებერვალში ეროვნ.-დემოკ. პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრმა კ. მისაბიშვილმა გასცა მთელი შემადგენლობა სამხედრო ცენტრისა, დუშეთის ეროვ.-დემოკ. პარტიის წარმომადგენლობა და თანაც გამოაშკარავა პოლკ. რ. მუსხელიშვილის როლი. მარტში თითქმის ყველა, ვინც მონაწილეობას იღებდა ამ აჯანყებაში დატუსაღებულ იქმნა. 1923 წლის აპრილში ეროვ.-დემოკ. სამხედრო კომისიაში დაისვა საკითხი: როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო ცენტრის წევრებს გენ. კ. აფხაზის მეთაურობით სიკვდილი გადაუწყვიტეს. გადავწყვიტეთ, განსაკუთრე-

ბული რაზმი შეგვედგინა, რომელიც ღამე დაეცემოდა ჩეკას და ყველა დატუსაღებულებს გაანთავისუფლებდა. ამ ამოცანის შესრულება ვიკისრეთ მე და გიორგი წინამძღვრიშვილმა. მაისის პირველ რიცხვებში როტმისტრი ე. ყარანგოზაშვილის მეთაურობით რაზმი დამზადებული იყო და „დამკომის" გადაწყვეტას ელოდდა. „დამკომში" ყველა არ იზიარებდა ამ ამოცანის შესრულებას. ამასობაში ჩეკამ გაიგო როტმ. ყარანგოზაშვილის როლი და დასაჭერად ეძებდა. თბილისში მისი დარჩენა შეუძლებელი გახდა და გადავწყვიტეთ, მთელი რაზმი გაგვეგზავნა ქაქუცასთან. ამ რაზმელებისათვის იარალი საწყობიდან გამოვიტანეთ და ორ სანდო რაზმელს (ს. კვალიაშვილს და ლ. ნაზარაშვილს) ჩავაბარეთ და იმ ღამესვე ქაქუცას კავშირის საშუალებით მასთან დუშეთისაკენ გავისტუმრეთ. როტმ. ყარანგოზაშვილის ერთი რაზმელთაგანი ვინმე შ. კანდელაკი ჩეკიდან მოგზავნილი ყოფილიყო და ყველა ცნობებს თურმე ჩეკას ატყობინებდა. სანამ ე. ყარანგოზაშვილი თბილისში იმყოფებოდა, საიდუმლოს იცავდა, და მის რაზმელებმა არაფერი იცოდნენ. ვისთან ჰქონდა მას დამოკიდებულება. მაგრამ, ქაქუცასთან რომ წავიდა, იქ საიდუმლოების დაცვა დაავიწყდა და გულახდილად უამბო თავისი თავგადასავალი, ჩვენი გვარებიც არ დამალა. ის იმ ღამესვე თელავში გაიპარა და იქიდან ტელეფონით ჩეკას ცნობები გადასცა. ჩეკამ იმავე დღეს უდანაშაულო ჩემი ძმები და მათთან ბევრი სხვა დააპატიმრა. თვით ე. ყარანგოზაშვილს პარტიზანული ბრძოლა გაუძნელდა და იძულებული ხდებოდა ხშირად ქაქუცას რაზმელებს ჩამოჰშორებოდა. შემოდგომას ქაქუცა მთიელებთან მიეშურებოდა, რომ მათ წარმომადგენლებს შეჰხვედროდა. ე. ყარანგოზაშვილი მათ გზაში ჩამორჩა. ქაქუცამ მასთან ს. კვალიაშვილი დასტოვა და სიფრთხილისათვის ურჩია, სოფელზე მოშორებით ევლოთ, ვინაიდგან მთიელებისათვის უცნობნი იყვნენ და ხიფათში ადვილად გაებმებოდნენ. ქაქუცას გაფრთხილება მართალი გამოდგა,—ერთ ადგილს ჩასაფრებულმა თუშებმა მას იარალის აყრა მოსთხოვეს. ე. ყარანგოზაშვილი მათ არ დაუმორჩილდა და ატეხილ სროლაში ორივენი მოკლეს.

1923 წლის 19 მაისში ჩეკას დადგენილებით დახვრეტილ იქმნენ: 1. ეროვ.-დემოკ. პარტიის თავმჯდომარე გენ. კ. აფხაზი, 2. გენერალური შტაბის წევრი გენ. ა. ანდრონიკაშვილი, 3. გენ. ვარდენ წულუკიძე, 4.პოლკ. რ. მუსხელიშვილი, 5. პოლკ. გ. ხიმშიაშვილი, 6. პოლკ. ელ. გულისაშვილი, 7. პოლკ. ალ. მაჭავარიანი, 8. პოლკ. დიმ. ჩრდილელი, 9. როტმ. სიმ. მუხრან- ბატონიშვილი, 10. როტმ. ფ. ყარალაშვილი, 11. ლეიტ. ლ. კლიმიაშვილი, 12. სამხედრო მოხელე მ. ზანდუკელი, 13. იასონ კერესელიძე, 14. ს. ჭიაბრიშვილი და 15. ივ. ქუთათელაძე.

8.

ეს დანაკლისი ქართველმა ხალხმა ღრმად განიცადა. ყველა დასტიროდა დაღუპულებს: დიდი, პატარა, ქალი და კაცი. ეს მოხდა სწორედ იმ დროს, როდესაც სრულიად საქართველოს კათოლიკოსი დიდხნის დატუსაღების შემდეგ ციხიდან გამოუშვეს. მან გადაწყვიტა, ქვაშვეთის ეკლესიაში სამი წირვა გადაეხადა. ეს ხმა უცებ მთელ თბილისს მოედო და პირველ კვირას აუარებელი ხალხი დაესწრო წირვას. გამობრძანდა კათოლიკოსი თუ არა სალოცავიდან, ხალხი მუხლმოდრეკილი, ქვითინით შეხვდა თავის სულიერ მამას. კათოლიკოსი აღელდა, თვალები ცრემლით აევსო, გადმოგახედა ყველას და

წარმოსთქვა: „ვინა სთქვა, რომ ქართველმა ხალხმა რწმენა დაჰკარგაო?!" ამ სიტყვის თქმასთან გულიც წაუვიდა. დეკანოზმა ცინცაძემ (შემდეგ კათოლიკოსმა) ხალხში ექიმებს მიჰმართა. იმ წუთშივე რამდენიმე ექიმი მიეშველა და მისი უსამღვდელოესობა გონს მოიყვანა. წირვა მაინც დაასრულა ხალხის ქვითინში. რას ევედრებოდა ეს ტანჯული ხალხი ღმერთს და „ჩეკაში" ფიზიკურად ნაწვალებ, ღონემიხდილ კათოლიკოსს,—ეს უსიტყვოდ მისახვედრია. ქართველ ერს სანუგეშოდ მხოლოდ ეს სულიერი მეთაური ლა შერჩა და, როგორც შვილი, მშობლისაგან ნუგეშს ელოდდა. კათოლიკოსმა მწვავედ იგრძნო ხალხის განცდა და სათნოებით, ნუგეშით სავსე სიტყვით მოგვმართა, გაგვამხნევა, და გულჩათხრობილნი მშვიდობიანად დავიშალენით. თვითონ კი დაღლილი დაქანცული სიცხიანი დაბრუნდა სახლში. ამ დღიდან ლოგინად ჩავარდა; დაქანცულმა სხეულმა ავადმყოფობა ვერ დასძლია და მალე გარდაიცვალა განუსაზღვრელი რწმენით და სამშობლოსადმი დიდი სიყვარულით. დაობლდა მთლიანად ქართველი ერი და საქართველოში გაძლიერდა რუსების ფარფაშობა.

9.

ამ გარემოებით გამწარებული ხალხი უფრო დიდი ენერგიით შეუდგა მზადებას აჯანყებისათვის. სამხედრო ცენტრის მაგიერად „დამკომთან" დაარსდა „სამხედრო კომისია", რომლის შემადგენლობა იყო შემდეგი: „დამკომის" თავმჯდომარე სოც.-დემოკ. კ. ანდრონიკაშვილი, მისი მოადგილე ეროვ.-დემოკ. იასონ ჯავახიშვილი, სოციალ-დემ. გ. ფალავა და ვ. ნოდია, ეროვ.-დემოკ. გიორგი წინამძღვრიშვილი და მე. გეგმა მოქმედებისა იყო შემდეგი: 1. პოლიტიკურ მუშაობას ხალხში აწარმოებდნენ კ. ანდრონიკაშვილი და იას. ჯავახიშვილი. 2. მხედრული მუშაობა დაევალა დანარჩენ ოთხს. გ. ფალავა და ვ. ნოდია მუშაობდნენ სოც.-დემ. პარტიაში. გ. წინამძღვრიშვილი და მე ვმუშაობდით ეროვ.-დემ. პარტიაში და ოფიცრებში. მუშაობის განმავლობაში ოთხივეს ერთმანეთ შორის მუდმივი კავშირი გვქონდა. დროგამოშვებით სამხედრო კომისიაც თავს იყრიდა ანგარიშების ჩასაბარებლად და მდგომარეობის გამოსარკვევად. სამხედრო კომისია თავის მუშაობის დამთავრებისათანავე აჯანყების საკითხს „დამკომში" სვამდა. 3. გაფართოებული „დამკომი" პოლიტიკური პარტიების თავმჯდომარეებთან ერთად პრინციპში სწყვეტდნენ აჯანყების საკითხს. 4. აჯანყების დროს დანიშნვა კი ევალებოდა გამოსვლის წინ დანიშნულ მთავარ-სარდალს და მის შტაბს.

10.

როგორ სწარმოებდა მხედრული მუშაობა?

1923 წლის აპრილში მე და მეორე ეროვ.-დემოკრატმა მოვაწყეთ სამხედრო საიდუმლო ყრილობა; გავუკეთეთ მას მოხსენება შექმნილი მდგომარეობის შესახებ. კრებას დაესწრნენ ყველა იარაღის წარმომადგენლები. კრებამ მთლად გაიზიარა ქართველი პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული აჯანყების გეზი. ამ კრებაზე გამოაშკარავდა, რომ ოფიცრებისათვის ხალხში და ჯარში მუშაობა სახიფათო და უნაყოფო იქნებოდა. ამის მიხედვით მოქმედებაც გავანაწილეთ:

ოფიცრების მუშაობას და მათ დარაზმვას თვით ოფიცრები კისრულობდნენ, სამხედრო კომისიას კი ევალებოდა ჯარში მუშაობა, ხალხის დარაზმვა და მათი შეიარაღება, დანიშნულ დროს დარაზმული ხალხის დანაწილება და აჯანყების წინა დღეებში ოფიცრების დაკავშირება ხალხთან. ამავე კრებაზე მიღებულ იქმნა გეგმა აჯანყებისა:

მთავარი დარტყმა უნდა მომხდარიყო თბილისზე და ბათუმზე. ამისათვის გეგმის დეტალური დამუშავება სამხედრო-სამოქმედო შტაბს უნდა შეესრულებინა ბოლო დღეებში.

ამ კრებაზე წაკითხულ და მიღებულ იქმნა ფიცის ტექსტი. ეს ფიცი მიღებული ჰქონდა აგრეთვე მთელ ეროვ.-დემ. სტუდენტთა რაზმს და იგივე ფიცი ჩემ მიერ იქმნა გაგზავნილი ქაქუცასთან როტმ. ყარანგოზიშვილის საშუალებით 1923 წლის მაისში, და ამ დღიდან ქაქუცას რაზმი ხდება „შეფიცულთა რაზმი". სამხედრო კომისიამ მიიღო რა თავისი ამოცანები, შეუდგა მის შესრულებას: რამდენიმე თვის განმავლობაში ქალაქები და სოფლები დაჰყო რაიონებად, ხალხი დააწყო ხუთეულად, ათეულად და ასეულად. აღინიშნა მთავარი პუნქტები, რომლებიც დანიშნულ დღეს უნდა აეღოთ, რის აღებაც უდრიდა ქალაქის დაჭერას. დამრტყმელი რაზმის უფროსებს, ე. ი. ოფიცრებს დაევალა თაე-თაეიანთ პუნქტების დეტალური შესწავლა და გამორკვევა, თუ რამდენი კაცი დასჭირდებოდა მას თავისი პუნქტების ასაღებად. თბილისი იყო დაყოფილი შემდეგ პუნქტებად: 1. საბურთალო (არტილერიის ყაზარმები), 2. ვაკე—კურსანტები, 3. ფოსტა-ტელეგრაფი, 4. „ჩეკას" ასაღებად—თოფ-აღებული ხალხი, 5. რკინის გზის არსენალი, ელექტრონის და „ტეესეფის" სადგურები, 6. ჯავშნოსანავტომობილები და ჯავშნოსანი მატარებელი. ყველაზე სუსტად ვიყავით საავიაციო გუნდში. მაიორი სიკო დავითაშვილის სიკვდილის შემდეგ, უმცროსი ოფიცრობა ერიდებოდა მუშაობაში ჩარევას.

ზემომოხსენებული რაზმის გარდა შიგ თბილისში ეროვ.-დემ.ოკ. ორგანიზაცია იძლეოდა 40 ათეულს; ამდენსავე—სოც.-დემოკრატები. სოც.-ფედერალისტები, სოც.-რევ. და სხვები იძლეოდნენ უფრო ნაკლებს. ამავე სისტემით იყო დამუშავებული და დაწყობილი ყველა პატარა ქალაქები და სოფლები.

მთელი საქართველო დაიყო სამოქმედო რაიონებად რაიონებში დაინიშნა სარდლები და მათი თანაშემწეები. თვითეულ რაიონს — გაერთიანებულ პარტიათა ორგანოს წარმომადგენელი („დამკომის") მეთაურობდა. მას ემორჩილებოდა ამ რაიონის სარდალიც.

1. თელავის მაზრაში რაიონის სამხედრო წარმომადგენელი იყო კაპ. მიხაილოვი (ბერძენი, ქართველი ქვეშევრდომი) და ლეიტ. შ. სიდამონ-ერისთავი. გაერთიანებულ ორგანოს მეთაურობდა სოც.-დემ. ფირუზა (ფსევდონიმი) და მის თანაშემწედ იყვნენ ეროვ.-დემ. რაზმაძე და მასწავლებელი გიორგი ცოცქიშვილი. ამავე მაზრაში იყო შედგენილი განსაკუთრებით ოფიცერთა რაზმი, რომელსაც პოლკ. სოლო მაჭავარიანი მეთაურობდა. მისი თანაშემწეები იყვნენ: კაპ. ირაკლი გამყრელიძე და კაპ. დათა სულხანიშვილი.

2. გურჯაანის რაიონს მეთაურობდა ჯანდიერი.

3. თიანეთში, დუშეთში, კავთის-ხევში, მანგლისში და ბორჩალოში ქაქუცა ნიშნავდა თავის ხალხიდან მეთაურებს და თვითონ ინიშნებოდა სარდლად ამ რაიონში.

4., 5. სიღნაღსა და გორს ჰყავდა აგრეთვე თავისი უფროსები.

6. ქუთაისის რაიონში—პოლკ. ს. წერეთელი და „დამკომის" წარმომადგენელი იყო გიორგი წერეთელი.

7. სვანეთში—პოლკ. გარდაფხაძე და მისი თანაშემწე ეროვ.-დემ. ბიძინა პირველი და ორი ძმა დადიანები.

8. სამეგრელოში ეროვ.-დემ. ორგანიზაციების ხელმძღვანელები იყვნენ: გენ. თოფურია, ნოტარიუსი მიხეილ გვალია, შალვა კალანდარაშვილი („დამკომის" რწმუნებული), ფოთის გიმნაზიის დირექტორი სტეფანე გაგუა, როტმ. დავით მხეიძე და სხვა.

9. ქუთაისში სამხედრო ორგანიზაციაში შედიოდნენ პოლკ. მიქელაძე, პორუჩ. გ. ჰაჭიაშვილი, ბარათაშვილი და სხვა. ქუთაისში მეთაუ-

რობდა ეროვ.-დემ. პარტიის ორგანიზაციას ელისე პატარიძე.

10. გურიაში—გენ. სოლ. ყარალაშვილი. „დამკომის“ წარმომადგენელი ქავთარაძე.

11. ბათუმში—გენ. ფურცელაძე. სამხედრო კომისიის წარმომადგენელი ჩოტიაშვილი. ეროვ.-დემ. წარმომადგენელი მგალობლიშვილი.

რაიონის სარდლები ამოცანების შესრულების შემდეგ სამაზრო ქალაქებს უნდა დაჰხმარებოდნენ. ჩრდილო-კავკასიის მთიელებთან იგზავნებოდნენ: მაიორი ვ. ბერიძე (სოლოვკაში გარდაიცვალა), როტმ. ი. ავალიშვილი და 7 სხვა ოფიცრები. ამათ უნდა ეხელმძღვანელათ აჯანყებულ მთიელ ხალხისათვის.

პირველი გამოსვლისათვის იარაღი საკმარისად მგვაჩნდა, შემდეგისათვის კი ვშოულობდით. მთავარ-სარდლის დანიშვნა და მასთან სამოქმედო შტაბის შედგენა უნდა მომხდარიყო მხოლოდ აჯანყების წინა თვეში. შტაბს დეტალურად უნდა შეესწავლა მოწყობილი ორგანიზაციები და მოქმედებისათვის ბრძანებები დაეგზავნა. მთავარ-სარდლის დანიშვნისა და სამოქმედო შტაბის დაარსების შემდეგ სამხედრო კომისია ავტომატურად უქმდებოდა (ალბად ამ კომისიის წევრებს გამოცდილი მთავარ-სარდალი შტაბის წევრებად შეიყვანდა, მაგრამ სამწუხაროდ ასე არ მოხდა).

1923 წლის შემოდგომისათვის სამხედრო კომისიას თავისი მუშაობა დამთავრებული ჰქონდა, ე. ი. აჯანყებისათვის ხალხი დარაზმული ჰყავდა. აჯანყება უნდა დაწყებულიყო მთელ საქართველოში ერთ დღეს, ერთ საათს; უეცრივ და შეუჩერებლად უნდა ემოქმედათ, ხანამ მტრის რიგებში დემორალიზაცია არ მოხდებოდა.

### 11.

ვინაიდან ამ აჯანყებაში გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა ქაქუცა ჩოლოყაშვილს თავისი შეფიცულებით, ამიტომ საჭიროდ ვცანით პირადად ქაქუცასთან მოგველაპარაკა. გადავწყვიტეთ ქაქუცას ჩამოყვანა თბილისში და აჯანყების გეგმა და დრო მასთან შეთანხმებით მიგვეღო და დაგვენიშნა. ამ საქმის მოწყობა მე ვიკისრე. 1923 წლის ქრისტიშობის თვეში, ერთი მანდილოსანის საშუალებით, ქაქუცა თავისი ორი შეფიცულით: სერგო მაისურაძით და გაბო ოზიაშვილით თბილისში ჩამოვიდა. პირველი ღამე ერთ ოჯახში გავატარეთ, მეორე დღეს, საღამოთი, სამხედრო კომისიის კრება მოისმინა. სამხედრო კომისიის მიერ დამუშავებული გეგმა მთლად გაიზიარა. ქაქუცა თბილისში რვა დღე დარჩა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი სამხედრო პირები ინახულა, რომლებიდანაც თანხმობა მიიღო, რომ გამოსვლის წინა დღეებში მას შეუერთდებოდნენ. რვა დღის შემდეგ ქაქუცა თავისი შეფიცულებით ტყვია-წამლით დატვირთულნი საღამოს 9 საათზე ვერიდან დუშეთის მიდამოებში გადავიდნენ.

### 12.

როგორც ზემოთ ვსთქვით, „დამკომში“ მუშაობა ორი მხრივ სწარმოებდა: 1. პოლიტიკურ მუშაობას „დამკომი“ აწარმოებდა; მან აღადგინა კავშირი ყველა ორგანიზაციებთან ქალაქებში და სოფლებში, ყველგან დანიშნა თავისი წარმომადგენლები, გააბა კავშირი სომხებთან, აზერბეიჯანთან და მთიულებთან. პირველ ორთან კავშირი ჰქონდათ სოც.-დემოკრატებს, მესამესთან — ეროვ.-დემოკრატებს. პირველად მთიულების წარმომადგენლებს შეხვდა ქაქუცა

1923 წელს. მთიულებმა მოითხოვეს „დამკომიდან“ პოლიტიკური წარმომადგენელი მანდატით, რომლებთანაც მათ ჰსურდათ ოფიციალური ხელშეკრულების დადება. „დამკომმა“ მიიღო მათი წინადადება და ოქტომბერში გაგზავნა გიორგი წინამძღვრიშვილი მოსალაპარაკებლად ქ. გროზნაში. იქ ალი მიტაევმა მეჯლისი მოიწვია. გ. წინამძღვრიშვილმა მოხსენება გაუკეთა საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ და სთხოვა მთიელებს, მოძრაობაში მონაწილეობა მიეღოთ ქართველებთან ერთად. მეჯლისმა ერთხმად მიიღო ქართველების წინადადება. გ. წინამძღვრიშვილი ერთ კვირამდე დარჩა ქ. გროზნაში. მოაგვარა რამდენიმე ტეხნიკური საკითხი და უკან დაბრუნდა. „დამკომში“ მისმა მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ოქტომბრის გასულს მთიელებიდან კაცი ჩამოვიდა მდგომარეობის გამოსარკვევად და თანაც მოითხოვა რამდენიმე ქართველი ოფიცერი, რომ მათ აჯანყებულ ხალხისათვის ეხელმძღვანელათ. ნოემბერში „დამკომს“ ხალხი უკვე დარაზმული ჰყავდა გამოსასვლელად და თავიანთ წრეში აჯანყების დაწყების საკითხი დასვა. დაადგინეს. აჯანყება მოხდეს 1924 წლის თებერვლის დასაწყისში, სანამ კი ვასო ნოდია და გიორგი წინამძღვრიშვილი გაიგზავნოს საზღვარგარეთ საერთაშორისო მდგომარეობის გამოსარკვევად და დაევალოთ მათ პოლიტიკური მუშაობისათვის საზღვარგარეთიდან წამოიყვანონ ხალხი, ოღონდ ურჩიონ ვალიკო ჯუღელს და ბენია ჩხიკვიშვილს არ წამოვიდნენ, რადგანაც მათი ჩამოსვლა საქართველოში საქმეს დიდად ავნებს. უთანხმოების გამო „დამკომმა“ გაგზავნა მხოლოდ ვასო ნოდია.

სტამბოლიდან ვ. ნოდიასაგან ცნობა მივიღეთ, რომ მშვიდობით ჩავიდა და ეცდება თებერვალში უკან დაბრუნდეს. „დამკომმა“ დააჩქარა მუშაობა; მოიწვია ყველა ქალაქებიდან და მაზრებიდან თავისი წარმომადგენლები; მოისმინა სამხედრო კომისიიდან ძალების აღნუსხვა, რაშიც შეიტანა შესწორებანი და თანაც დაავალა ამავე კომისიას თებერვლისათვის მუშაობა დაემთავრებია და აჯანყებისათვის მზად ყოფილიყო.

ამ ხანში „ჩეკამ“ ხელში ჩაიგდო დიდი აქტიური და ენერგიით სავსე პირები: ჯერ ნ. ხომერიკი, შემდეგ 1924 წლის 24 იანვარს გოგიტა ფალავა (აზერბეიჯანის კავშირის გამგის დროს ბაქოდან ჩამოსულმა კაცმა გასცა და ჩეკისტებთან ერთად მივიდა გ. ფალავას ფარულ ბინაზე. 28 იანვარს 1924 წელს დაიჭირეს აგრეთვე გიორგი წინამძღვრიშვილი იმ დროს, როდესაც ის ქაქუცასთან იარაღს ჰგზავნიდა. იარაღის მომტანთა ორში ერთი მოღალატე გამოდგა. მასთან ერთად ჩეკისტი ეჯიბიაც მოვიდა გ. წინამძღვრიშვილთან და დააპატიმრა.

ხალხმა ნერვიულობა დაიწყო. თხოულობდნენ გამოსვლას ან მუშაობის შენელებას, ვინაიდან დარაზმულ ხალხში კონსპირაციის შენახვა დიდხანს შეუძლებელი ხდებოდა. სამხედრო კომისიაში გ. ფალავას მაგიერად შემოვიდა ლ. ბელთაძე, რომელიც ერთი კვირის მუშაობის შემდეგ დაპატიმრებულ იქმნა. მის მაგიერად შემოვიდა ნ. კახიანი. აპრილში ესეც ხელში ჩაუვარდა ჩეკას. ის შეცვალა პორ. იურისტმა ჯინორიამ. ამ ხალხის დაჭერამ ძალები გაგვინახევრა და ჩაშლილი ორგანიზაციები ძლივს აღვადგინეთ მაისში.

## 13.

საბრძოლველად გამზადებული რაზმები მოქმედების დაწყებას თხოულობდნენ იმ მოსაზრებით, რომ ზოგიერთ რაზმებს თავისი ნებით გამოსვლები არ დაეწყოთ, როგორც ეს მოხდა 1922 წელს და რამაც დიდი ზარალი მოიტანა, „დამკომმა“ გადაწყვიტა გაეგზავნა თავისი წარმომადგენლები მაზრებში ხალხის დასამშვიდებლად. სწორედ ამ დროს ორი დიდი რაზმი ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მიხეილ

ლაშქარაშვილისა ბინადრობდა კავთის-ხევის მიდამოებში (ქართლში) ორივეს ჰქონდა სურვილი გაერთიანებისა. ამ გარემოებით ვისარგებლე და წავედი ქაქუცასთან შესახვედრად. მე და ქაქუცასაგან გამოგზავნილი კაცი თბილისის სადგურიდან გავედით ღამის თერთმეტნახევარ საათზე. ამავე მატარებლით მოდიოდა ლაშქარაშვილის მეუღლეც. სადგურ ზემო-ხანდაკში ჩამოვხტით დილის 2 საათზე. ელენე ლაშქარაშვილს მიუახლოვდა ერთი გლეხიკაცი და გააფრთხილა, რომ სოფელი ჩეკისტებით სავსეა და გზებს სდარაჯობენ, რადგანაც გაუგიათ ერთ-ერთი გასული რაზმის ამ რაიონში ბინადრობა. ადგილობრივი „ჩეკას“ მოხელეები ელენე ლაშქარიშვილს კარგად იცნობდნენ, ამიტომ, სიფრთხილის გამო, ის იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო თბილისში, მე კი გადავწყვიტე სიბნელით მესარგებლა და დანიშნულ ადგილას ქაქუცას შევხვედროდი. გზას გავუდექი და ცოტა მოშორებით ქაქუცას კაცი გავიძღოლე. აგერ, სიბნელეში ბორნის პატარა ქოხიც გამოჩნდა. ქოხში ცეცხლი ენთო. ცეცხლის შუქზე ქაქუცას კაცი ხელით საშიშროებას მანიშნებდა, მაგრამ უკან დახევა უკვე გვიანღა იყო. ქოხიდან რამდენიმე შეიარაღებული კაცი გამოვიდა და ჩემს მხლებელს ლაპარაკი დაუწყო. გადავწყვიტე პირდაპირ მივსულიყავი მათთან. დაჭიმული წუთები შეიქმნა; ყველაფერი დამყარებული იყო იმაზე, თუ რამდენად შევინახავდი სიმშვიდეს. ბორანს მიმოსვლა ჯერ არ დაეწყო, რომ პირდაპირ მტკერის მეორე ნაპირას გადავსულიყავ და ამ ხალხთან ლაპარაკი ამეცდინა. ქოხში შევედი თუ არა, მილიციონერები ფეხზე წამოდგნენ. ნება ვთხოვე ცეცხლთან გათბობისა, თანაც აქაური სოფლების გამოკითხვა დავუწყე, ვითომ ოჯახობისათვის სააგარაკო ბინას.

ვეძებდი და მათ რჩევასა ვთხოვდი. ერთმა მათგანმა მირჩია დილით მათ წავყოლოდი და თავიანთ სოფელში კარგსა და იაფ ოთახს მიშოვნიდა. ამავე დროს შევამჩნიე. რომ ამ ხალხმა რაღაც ჩურჩული დაიწყო. გარეთ გაიყვანეს ჩემი მოკავშირე და გამოკითხვა დაუწყეს. —ვინა ვარ, საიდან მოვდივარ, ან სად შემხვდა. მოკავშირემ ყველაფერზე უარი გამოაცხადა. მათი ჩურჩული მშვენიერად მესმოდა. ქაქუცასთან შეხვედრაზე უკვე აღარა ვფიქრობდი; უმთავრესი იყო, ამ ხალხისაგან როგორმე თავი დამეღწია. ვიფიქრე, სჯობია, დილით ამათ წავყვე და მართლა საგარაკო ბინა ავიღო. ის იყო რიჟრაჟი დაიწყო, მტკვრის მეორე მხარეს მებორნეც გამოჩნდა, აამუშავა ბორანი და ჩვენს ნაპირს მოადგა. ქოხიდან გამოვედი და მილიციონერებს მივმართე, წამოსულიყვნენ. ისინი როგორღაც შეტორტმანდნენ, წაიჩურჩულეს და შემდეგ ერთმა მათგანმა მირჩია, რომ მე წავსულიყავი და ისინი ათ-თხუთმეტ წუთში დამეწეოდნენ. უკვე იმედი მომეცა, რომ თავს ვიხსნიდი ამ ხათაბალისაგან. მტკვრის მეორე ნაპირზე გავედით მე ჩემი მოკავშირით და კიდევ ერთი გლეხიკაცი. აშკარა იყო, მილიციონერებს გადაეწყვიტათ, შორიდან თვალ-ყური ედევნათ, და ეხლა უკვე შეუძლებელი ხდებოდა ქაქუცას კაცთან ერთად მოგზაურობა. ერთმანეთს უნდა დავშორებოდით და საღამოს, შებინდებისას, სადმე მინდორში ისევ შევხვედროდით ერთმანეთს. დრო რომ ვიხელთე, ჩემი გადაწყვეტილება მოკავშირეს შევატყობინე. რამოდენიმე მანძილის შემდეგ მას დავშორდი და სხვა ბილიკით კავთის-ხევისაკენ გავემგზავრე. ჩემს ბედზე ამ დღეს კვირა იყო და მინდორში მუშაობა არ სწარმოებდა. პატარა ბუჩქებს შევეფარე და საღამომდე მშიერ-მწყურვალი თავს ვინახავდი. შებინდებისას დანიშნულ ადგილისაკენ გავეშურე. ცოტა დაგვიანებით მოკავშირემ ქაქუცა მოიყვანა. მას ახლდა თავისი შეფიცული ლელო ჩიქოვანი. ამათაც იმ დღეს ბევრი განცდები გადაეტანათ. სოფელში ჩეკისტები დათარეშობდნენ და რამდენჯერმე იმ ვენახსაც მისდგომოდნენ, სადაც ამათ თავი შეეფარათ. სანამ კარგად არ დაბნელდა, ვენახიდან არ გამოსულიყვნენ. მოკავშირე უკან სოფელში დაბრუნდა, ჩვენ

კი იქვე ახლოს ციხის ნანგრევებში შევედით და საქმეს შევუდექით: გავაცანი ქაქუცას მდგომარეობა და „დამკომის" სახელით ვთხოვე, მოთმინება გამოეჩინა, რადგანაც გამოსვლა საქართველოში და მთიულეთში ერთად უნდა მომხდარიყო, და ეს საჭიროებდა ზოგიერთი საკითხის მოგვარებას. გამოსვლის გადადება ბევრად არ ესიამოვნა ქაქუცას, მაგრამ რას იზამდა?! საქმე მორჩილებას მოითხოვდა. აქვე გადავწყვიტეთ მთავარ-სარდლის კანდიდატურა წამოგვეყენებინა. ბევრი ლაპარაკის შემდეგ გენ. ს. ჭავჭავაძე ავირჩიეთ. საქმის მოთავების შემდეგ ქაქუცამ მთხოვა, თავის ბინაზე წავყოლოდი და დანარჩენი რაზმელებიც მენახა. სიამოვნებით დავთანხმდი და მაშინვე გზას გავუდექით.

მაისის პატარა ღამე იყო; სიბნელით უნდა გვესარგებლა და ჩქარა გვევლო, რომ დილით ბინაზე ავსულიყავით. მე, ორივე ფეხში დაჭრილს, სიარული მიძნელდებოდა, ისინი კი შველებივით მირბოდნენ. შუა-გზაში ქაქუცას თანაშემწე კაპ. ვაჩნაძე და სერგო მაისურაძე დაგვხვდნენ, ტყიდან გზის დასაზვერად ჩამოსულიყვნენ. ეხლა ხუთნი ვიყავით. წინ, ოცდაათი ნაბიჯით, ს. მაისურაძე მიგვიძღოდა, უკან ლ. ჩიქოვანი გვფარავდა სანამ ტყეში შევიდოდით. უცებ ს. მაისურაძემ თოფი მხარზე მიიბჯინა და ვილაცას შეჰყვირა: — „უკან მიბრუნდით!" — ჩვენ რომ მივუახლოვდით, შემდეგი სურათი დავინახეთ: სოფლიდან მომავალი ხალხი, 15 კაცამდე, გაეჩერებინა, გზის ნაპირას გადაეყვანა, ზურგი ჩვენსკენ ექნევინა და, სანამ ჩვენ არ გავცილდით კარგა მოშორებით, არ გაანთავისუფლა. თითონ კი მარდად დაგვეწია და ისევ თავის ადგილი დაიჭირა. დილით დაღლილ-დაქანცულები ბინაზე ავედით. ახლო სოფელში გაეგოთ, რომ ბელადს ქალაქიდან საიდუმლო მთავრობის კაცი მოსულია, და რამდენიმე გლეხკაცი ძღვენით ამოვიდნენ. მთელი დღე იმათთან გავატარე და საღამოს იქაურ გლეხკაცთან ერთად სადგურისაკენ დავეშვი. გლეხკაცმა სხვა გზით სადგურ ქსანში ამომიყვანა.. თბილისში დილით 10 საათზე ჩამოვედი. სადგურთან ახლო საიდუმლო ბინაზე თავი შევაფარე. „დამკომის" წევრებს ვაცნობე ჩემი დაბრუნება და იმავე საღამოს მოწვეულ კრებაზე მოხსენება გავაკეთე.

## 14.

მთავარ-სარდლად გენ. ს. ჭავჭავაძე ყველასათვის მისაღები იყო. „დამკომის" თავმჯდომარემ, გ. ანდრონიკაშვილმა, მასთან მოლაპარაკება იკისრა. მალე მისგან თანხმობაც მივიღეთ. შესდგა სამოქმედო შტაბი. მთავარ-სარდლის დასახმარებლად დანიშნულ იქმნა ორი პოლკოვნიკი. დადგა მომენტი, როდესაც პარტიულ და სამხედრო ძალებს ერთ დარაზმულებაში თავი უნდა მოგვეყარა. ეს მუშაობა ყველაზე მეტ სიფრთხილეს თხოულობდა, რადგანაც პარტიულ ორგანიზაციებში ხშირად გაცემა ხდებოდა. ამიტომ სამხედრო პირები მათთან დაკავშირებას ბოლო მომენტისათვის სდებდნენ.

მაისში საზღვარგარეთიდან თბილისში დაბრუნდა ე. ნოდია. მას ჩამოჰყვა, მიუხედავად „დამკომის" დადგენილებისა, ვალიკო ჯუღელი, ბ. ჩხიკვიშვილი და მათთან ერთად ვ. მგელაძე, ცინცაბაძე და ცენტერაძე (ყველა სოც.-დემოკრატები), სხვა პარტიებიდან არავინ და არც არაფერს იტყობინებოდა. ახალმა ჩამოსულებმა ჩამოიტანეს შემდეგი ინფორმაცია: **საერთაშორისო მდგომარეობა ხელს უწყობს აჯანყების დაწყებას, და, თუ ვინიცობაა, აჯანყება დამარცხდეს, მაშინ მოძრაობა პროვინციებში უნდა გაგრძელდეს, რომ ამით პარიზში მყოფმა გაერთიანებულმა ცენტრმა შესძლოს ზოგიერთ მეგობრულად განწყობილ სახელმწიფოსთან დიპლომატიური წესით მოაგვაროს საქართველოს საკითხი რუსებთან.**

ჩვენთვის ასეთი ცნობები სრულიად დამაკმაყოფილებელი იყო. მუშაობა უფრო გაჩაღდა. სამხედრო კომისიაში, დიდი კამათის შემ-

დეგ, გოგიტა ფალავას მაგიერ შემოვიდა ვალიკო ჯუღელი. სამხედრო კომისია განახლდა შემდეგი შემადგენლობით: სოც.-დემოკრატები: კოტე ანდრონიკაშვილი, ვალიკო ჯუღელი და ჯინორია. ეროვ.-დემოკრატები: იასონ ჯავახიშვილი და მე. ვალიკო ჯუღელი დიდ აქტიობას იჩენდა სოც.-დემოკრატიულ წრეში. ხალხი გაამხნევა და ძალებიც შეჰმატა. პირველად მასთან შეხვედრა მქონდა მისი კავშირის, ქეთო ხუციშვილის, საშუალებით. მასთან იყვნენ ვასო ნოდია და ჯინორია. ჩვენ გავაცანით სამხედრო კომისიის მუშაობა. ვ. ჯუღელი აღტაცებაში მოვიდა და განაცხადა, რომ ყველაფერი მშვენივრად არის დამუშავებული და, რაც შეიძლება, საჩქაროდ უნდა მოხდეს გამოსვლაო.

## 15.

1924 წლის ივნისში ჩვენმა პარტიამ მოახდინა მთავარი კომიტეტის ყრილობა, რომელსაც საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა აჯანყების საკითხი. იასონ ჯავახიშვილმა, „დამკომის" თავმჯდომარის მოადგილემ, გააკეთა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და დაუმატა ე. ნოდიას საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი ცნობა, რომ საერთაშორისო მდგომარეობა ხელს უწყობს აჯანყების დაწყებას. ცნობა „დამკომს" საკმარისად მიაჩნდა, რომ აჯანყება დაეწყო. აჯანყებისათვის ძალთა აღრიცხვის შესახებ მე გავაკეთე მოხსენება. რასაკვირველია, კონსპირაციის მოსაზრებით მოხსენება სრული არ იყო და ზოგადი ხასიათი ჰქონდა, რამაც ზოგი-ერთი წევრი არ დააკმაყოფილა. ამ საკითხის ირგვლივ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა: პარტიის თავმჯდომარე შალვა ამირაჯიბი იყო აჯანყების წინაალმდეგი. მისი აზრით ქართველმა ხალხმა უარი უნდა სთქვას აჯანყებაზე, რადგანაც დღევანდელ პირობებში პატარა საქართველო ვერ გაუმკლავდება რუსეთსაო. ექიმი მიხეილ იშხნელი აჯანყების მომხრე იყო. ის ამბობდა: საქრთველოსათვის დამარცხებული აჯანყებაც გამარჯვება იქნებაო, მხოლოდ „დამკომის" მუშაობით არ იყო კმაყოფილი და თხოულობდა უფრო ენერგიულ მუშაობას ხალხში. ელისე პატარიძე არ ენდობოდა ე. ნოდიას მიერ ჩამოტანილ ცნობას და თხოულობდა აჯანყებისათვის მოწყობილი ორგანიზაციების დაშლას და მხოლოდ ცენტრალური და სამაზრო სამხედრო სამეულების შენარჩუნებას. მოითხოვდა აგრეთვე დაუყონებლივ ჩვენი (ე. ი. ეროვ.-დემოკრატების) წევრის გაგზავნას ევროპაში, ჩვენი პარტიის წარმომადგენელთა დაკავშირებას და მისგან უშუალო ცნობების მიღებას.

აქ უნდა აღენიშნო. რომ ამნაირი ოპოზიცია სოც.-დემ. პარტიაშიც იყო. მაგალითად. კოტე ანდრონიკაშვილს ეძახდნენ ეროვ.-დამ. პარტიის ინტერესების დამცველს და ჩვენებმა იასონ ჯავახიშვილი სოც.-დემოკრატად მონათლეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ „დამკომის" წევრებს სწორედ ესმოდათ გაერთიანებული ეროვნული მუშაობა, პოლიტიკურ პარტიებში კი ჯერ კიდევ სჭარბობდა ვიწრო პარტიული შეხედულებანი.

ყველა ზემოთ გამოთქმული აზრები „დამკომის" მიმართ უნდობლობას ნიშნავდა. ამიტომ იას. ჯავახიშვილმა ნდობის საკითხი დასვა. კომიტეტმა ნდობა გამოუცხადა და აჯანყება უმრავლესობით გადაწყდა. ამავე კრებაზე განვიხილეთ „ჩეკიდან" გამოგზავნილი გიორგი წინამძღვრიშვილის წერილი, რომელიც ნებას თხოულობდა „ჩეკასთან" მოლაპარაკება დაეწყო შემდეგ პირობებში: აჯანყებაზე პარტიას უარი ეთქვა, სამოქმედოდ დამზადებული რაზმები დაგვეშალა და ყველა პასუხისმგებელი პირები და ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით საზღვარგარეთ გავსულიყავით. ეს წინადადება მართლაც რომ გ. წინამძღვრიშვილისაგან ყოფილიყო და არა „ჩეკის" ხრი-

ქები, მაინც მხარს არავინ დაუჭერდა. თითონ გ. წინამძღვრიშვილს კი ვაცნობეთ, რომ პირადად ის თავისუფალია, რა პირობებითაც და რა საშუალებითაც ჰსურს, ისე დააღწიოს თავი „ჩეკას“.

## 16.

ივლისის შუა რიცხვებში „დამკომმა“ მოიწვია გაფართოებული კრება, რომელსაც დაესწრნენ ყველა პარტიების ბიუროთა და კომისიის წევრები და მთავარ-სარდალი ს. ჭავჭავაძე. ბინას სდარაჯობდა მიშა კოლუაშვილისა და ეროვ.-დემოკრატიული შეიარაღებული რაზმები. „დამკომმა“ გაუკეთა კრებას საერთო პოლიტიკური მოხსენება. ყველა კომისიებმა ჩააბარეს ანგარიშები; სამხედრო კომისიამ ალნუსხა რაზმელების ძალები. ამის შემდეგ საბოლოოდ დაისვა აჯანყების საკითხი. მთავარ-სარდალმა განაცხადა, რომ ძალები და ტეხნიკური მუშაობა საკმარისად მიაჩნია აჯანყების დაწყებისათვის. მთავარ-სარდლის დაფასებამ გადასწყვიტა აჯანყების საკითხი, რაც ყველა პარტიის მიერ იქმნა მიღებული. აჯანყების დღე უნდა დაენიშნა თვით მთავარ-სარდალს მას შემდეგ, როდესაც სამხედრო კომისიიდან მუშაობას ჩაიბარებდა. სამი დღის განმავლობაში ვ. ჯუღელი, ჯინორია და მე ვაბარებდით სამხედრო მუშაობის შედეგებს მთავარ-სარდალს. ამ დღიდან აჯანყების დეტალური დამუშავება მთავარ-სარდალს და მის შტაბს ევალებოდა.

ჩრდილო-კავკასიაში „დამკომმა“ გაგზავნა ექიმი მ. იშხნელი, რომელმაც ინახულა ალი მიტაევი და მისგან გაიგო, რომ მთა მზად იყო აჯანყებისათვის, მხოლოდ ელოდებოდა საქართველოდან ნიშანს და ხელმძღვანელ ოფიცრებს. ამ ცნობით მ. იშხნელი თბილისში დაბრუნდა. ქ. ანდრონიკაშვილმა და ი. ჯაჯანიშვილმა პირადად ინახულეს პასუხისმგებელი ოფიცრები. ქალაქებიდან და მაზრებიდან მოიწვიეს სამხედრო და პარტიათა წარმომადგენლები და დაავალეს, რომ რაზმები მზად ჰყოლოდათ გამოსასვლელად. მხოლოდ დღესა და საათს განსაკუთრებული ბარათებით შეატყობინებდნენ.

„დამკომმა“ აჯანყების დღედ დანიშნა 17 აგვისტო, და გამოსვლა უნდა დაწყებულიყო შემდეგი გეგმით: პირველად გამოვიდოდა თბილისი. ამისათვის ქაქუცა თავისი რაზმით თბილისს მოუახლოვდა 20 კილომეტრზე და სოფ. ნახშირის გორასთან დაბანაკდა. მას დაუკავშირდა მიშა ლაშქარაშვილი თავისი რაზმით, გ. ნაცვლიშვილი დუშეთისა და დილმის რაზმით, კაპ. ელ. ვაჩნაძე ბორჩალოს რაზმით და კიდევ მოემატა მანგლისის რაზმიც. თვით თბილისში ყველა დამკვრელ რაზმებს უფროსები ჩაუდგნენ სათავეში, დანიშნულ რაიონებში კი სარდლები გაგზავნეს. აგვისტოს პირველ რიცხვებში ხალხი მზად იყო და „დამკომის“ სიტყვას ელოდებოდა აჯანყების დასაწყებად. ამ ხანში ვაზიანის მიდამოებში დაბანაკდა მთელი ამიერ-კავკასიის არტილერია 120 ზარბაზნით. ამ ძალის ხელში ჩაგდება ნახევრად მაინც სწყვეტდა თბილისის ბედს. ამისათვის საჩქაროდ ავმუშავდით. დავიმუშავეთ გეგმა. რომლითაც მთელი არტილერია ხელში გვევარდებოდა. ამ რაიონის სარდლად დაინიშნა არტილერისტი პოლკ. ი. ცაგურია. მის განკარგულებაში იყო ამ რაიონის სოც.-დემ. რაზმი. დამუშავებული გეგმით მათ უნდა ჩამოერთმიათ რუსებისათვის ზარბაზნები და მოსდგომოდნენ თბილისს ნავთლუღის მხრივ. აჯანყების მეორე დღეს თელავის, სიღნაღისა და გურჯაანის რაზმები ყველა ერთედ პოლკ. ცაგურიას ხელში უნდა გადასულიყვნენ. ჩრდილო-კავკასიაში ცნობის მისაცემად გაიგზავნა ეროვ.-დემ. სტუდენტთა სამხედრო კომისიის ერთი წევრი. გ. ფალავას დაჭერის შემდეგ კავშირი აზერბეიჯანთან ველარ აღვადგინეთ ასე, რომ აჯანყებაში გამოდიოდნენ მთელი საქართველო და ჩრდილო- კავკასიელები.

ასეთი იყო ვითარება პირველიდან ექვს აგვისტომდე, ე. ი. სანამ „ჩეკამ“ ვ. ჯუღელი დააპატიმრა, როდესაც ის მტკვრის მარცხენა მხრიდან ბორნით საპურთალოში გადმოდიოდა დანიშნულ პარტიულ კრებაზე დასასწრებლად. ამ დღიდან დაიწყო აჯანყების ჩაშლა. მის დაპატიმრებას მოჰყვა გეგმის შეცვლა და აჯანყების ცუდ პირობებში დაწყება. ვ. ჯუღელის დაკითხვის შემდეგ „ჩეკაში“ დაახლოებით აჯანყების დღეც გამოაშკარავდა. ეს მოხდა შემდეგი სახით: „ჩეკას“ გამომძიებელმა, მორიზოვმა, თავისი შედგენილი აჯანყების გეგმა უჩვენა ვ. ჯუღელს და დაარწმუნა, რომ ვითომ „დამკომის“ სამხედრო კომისიის ერთ-ერთი წევრი ყველა ცნობებს აწვდიდა „ჩეკას“ და თუ ვ. ჯუღელი ზომებს არ მიიღებს და „დამკომს“ აჯანყების გადაწყვეტილებას არ მოახსნევინებს, ხელისუფლება იძულებული იქნება დიდი სისასტიკე გამოიჩინოს. პირველ რიგში დაჰხვრეტს იმ ხალხს, ვინც ამ საქმეზე უკვე დატუსაღებული ჰყავს და შემდეგ ქალაქებს და სოფლებს გაანადგურებს. ამ ტყუილმა ცნობამ ვ. ჯუღელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მაშინვე „დამკომს“ წერილი გამოუგზავნა და სთხოვა, აჯანყება მოეხსნათ. რასაკვირველია, „ჩეკიდან“ გამოგზავნილ წერილს ჩვენთვის ფასი არა ჰქონდა, მით უმეტეს, რომ ეს პირველი შემთხვევა არ იყო. ასევე მოიქცა „ჩეკა“ გ. წინამძღვრიშვილისა და გ. ფაღავას დაჭერის შემდეგ. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ ვ. ჯუღელის წერილი უფრო კატეგორიული იყო. „დამკომმა“ დაადგინა, ვ. ჯუღელთან შეეწყვიტოს ყოველგვარი კავშირი და მისგან გამოგზავნილი წერილი უკან გაუგზავნა. მაშინ ვ. ჯუღელი „ჩეკას“ შეევედრა, საჩქაროდ გაენთავისუფლებინათ, რომ პირადად მიეღო მონაწილეობა „დამკომის“ საწინააღმდეგოდ და აჯანყება მოეხსნევინებინა. „ჩეკა “ჯუღელს არ ენდო, მხოლოდ „ჩეკაში“ დატუსაღებული სოც.-დემ. ვანო ღლონტს დააკისრა შეესრულებინა ვ. ჯუღელის დავალებანი. ვანო ღლონტმა ჯუღელის სახელით მიმართა სოც.-დემ. ცენტრალურ კომიტეტს და სთხოვა, აჯანყებაზე ხელი აეღოთ. მენშევიკების ცკამ უპასუხა: „გადაეცით ვ. ჯუღელს და „ჩეკას“, რომ გამოსვლის საკითხი ახლო მომავალში არა სდგას და არც არავითარ აჯანყებას არ ვაპირებთ“-ო. ამ პასუხით, რასაკვირველია, „ჩეკა“ არ დაკმაყოფილდა. ხელისუფლებამ ნერვიულობა დაიწყო და რეპრესიებს მიმართა. მანევრებზე გასული ჯარი თბილისში დააბრუნა, თბილისის ირგვლივ გზები შეჰკრა, საღამოს 9 საათიდან თბილისიდან გასვლა და შემოსვლა აღკრძალა, გაამაგრა ქალაქის მნიშვნელოვანი პუნქტები, ქუჩებში „პატრულები“ გამოიყვანა და საეჭვო სამხედრო პირების დატუსაღება დაიწყო. ბათუმში დააპატიმრეს ბათუმის გაერთიანებული ორგანო. მასთან ერთად გენ. ფურცელაძე. გურიაში დაატუსაღეს გენ. ს. ყარალაშვილი. ამ ამბებმა თავზარი დაგვცა. მთავარ-სარდალმა გენ. ქავქავაძემ ძალების შესუსტება იგრძნო და შეხვედრა მთხოვა. ბაასის დროს გამოირკვა, რომ მთავარ-სარდალს აჯანყების გამარჯვების იმედი დაჰკარგოდა და მთხოვა, „დამკომისათვის“ გადამეცა, რომ ამ პირობებში გამოსვლა შეუძლებელი ხდება. ამ საღამოსვე ვინახულე იასონ ჯავახიშვილი და გადავეცი მთავარ-სარდლის აზრი. ი. ჯავახიშვილმა შემდეგი სიტყვებით მომმართა: „მთავარ-სარდალს გადაეცი, რომ აჯანყება უკვე დაწყებულია და ამ პირობებში უკან დახევა და მისი შეჩერება უფრო მეტ მსხვერპლს გამოიწვევს. ვთხოვ მთავარ-სარდალს თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგეს.“

ი. ჯავახიშვილმა „დამკომში“ მოითხოვა მთავარ-სარდლის გადაყენება და მის მაგიერად პოლკ. ქ. ჩოლოყაშვილის კანდიდატურა წამოაყენა. „დამკომმა“ ეს წინადადება არ მიიღო და მთავარ-სარდლად ისევ გენ. ქავქავაძე დასტოვა.

შეცვლილმა მდგომარეობამ დამუშავებული გეგმის შეცვლა გამოიწვია. „დამკომის“ და მთავარ-სარდლის აზრით თბილისი აჯანყების ცენტრად ველარ გამოდგებოდა. ამიტომ ქ. ჩოლოყაშვილის ბანაკი გა-

მოაცხადეს აჯანყების ცენტრად. პოლიტიკური პარტიები ამას არ იზიარებდნენ. სოც-დემოკ. პარტია აჯანყების დაწყებას დასტურს აღარ აძლევდა. სხვა პარტიებშიაც წინანდელი სიმაგრე და ერთ-აზროვნობა აღარ მოსჩანდა. „დამკომი" იძულებული გახდა ამ მდგომარეობისათვის ანგარიში გაეწია და აჯანყება სხვა დღისათვის გადაედო. საჩქაროდ გაიგზავნა ყველგან შიკრიკები, რომ აჯანყება შეეჩერებინათ. ვინაიდან ახალი გეგმით ქაქუცას ამოცანაც იცვლებოდა. „დამკომმა" მე დამავალა მისი ნახვა და აზრის გაგება.

## 17.

15 აგვისტოს დილით თბილისიდგან გავედით მე და ქაქუცას საკავშირო კაცი. შუა ღამეს კავშირმა ქაქუცას ბინაზე მიმიყვანა. მთელი მთა ქაქუცას გუშაგებით იყო შეკრული. გასავლელად ჩვენგან „პაროლს" თხოულობდნენ. ქაქუცასთან უკვე თავი მოეყარათ მანგლისისა და დილომის რაიონების წარმომადგენლებს და ბელადისაგან, ე. ი. ქაქუცასაგან, განკარგულებას ელოდნენ. როცა მე მივედი, რაზმელებს მშვიდად ხის ძირს ეძინათ. რიჟრაჟზე ყველამ გამოიღვიძა, მორიგე ხალხი გუშაგების შესაცვლელად წავიდა, ზოგმა თოფის წმენდა დაიწყო, ზოგი ქალამნის ამოწყობას შეუდგა. მალე ქვევიდგან ხალხის ხმაურობა მოისმა და რამდენიმე ხანში შეიარაღებული რაზმის პირველი რიგი გამოჩნდა. მას წინ მოუძღოდა კაპ. ელიზბარ ვაჩნაძე და მოხუცი ღვდელი, რომელმაც ქაქუცას შემდეგი სიტყვებით მიჰმართა; „ეიცი შვილო უკვე ბრძოლის დღეები დადგა, მებრძოლნი საკმარისად გყავს, მე კი თქვენ დასალოცათ ამოვედი"—ო. კაპ. ვაჩნაძის რაზმით ქაქუცას 200 კაცამდე უსრულდებოდა და 300 კაცს კიდევ მოელოდებოდა. 17 აგვისტოსათვის მ. ლაშქარაშვილი და მ. ნაცვლიშვილი თავიანთი რაზმებით უნდა მოსულიყვნენ, ისე რომ პირველ გეგმის შესასრულებლად მას 17 აგვისტოსათვის 600 კაცამდე უგროვდებოდა და ეს ძალა თბილისზე იერიშის მისატანად მთლად საკმარისი იყო მით უმეტესად, რომ თბილისში სხვა რაზმები უნდა დაჰხვედროდა. ქაქუცა დარწმუნებული იყო, რომ ერთ ღამეში რუსებს თბილისიდან გარეკავდა, მაგრამ როცა შევატყობინე სინამდვილე, ქაქუცას გული გაუფუჭდა, დაღონდა, გეგმის შეცვლა არ ესიამოვნა, აჯანყების გადადებამ კიდევ აღელვა. ბოლოს იძულებული იყო „დამკომს" და მთავარ-სარდლის დადგენილებას დამორჩილებოდა, მაგრამ დამისვა შემდეგი პირობები; — „ხომ ხედავ, ხალხი თავს იყრის და თუ დროზე გამოვედით, იმედი მაქვს, რაზმს უფრო გავაძლიერებ, თუ გამოსვლა 20 აგვისტოს არ მოხდა, მაშინ თბილისთან ახლო ტყეში ამდენ ხალხს ვერ შევინახავ, სანოვაგის საკითხი ამისათვის მოგვარებული არა მაქვს და იძულებული გავხდები რამოდენიმე დღის შემდეგ ხალხი სოფელში დავაბრუნო. ახლო მომავალში მათი თავის მოყრა ადვილი აღარ იქნება. მინამ გლეხკაცი პურს და ღვინოს არ დააბინავებს, აღარ გამოვა. რადგან გადადება აუცილებელია, მაშინ გონიერება მოითხოვს, აჯანყება ოქტომბრისათვის გადიდოს". — ქაქუცას მოსაზრება სავსებით გავიზიარე და დარწმუნებული ვიყავი, რომ „დამკომი" და მთავარ-სარდალი ამ შეხედულებას მხედველობაში მიიღებდა. იმავე დღეს ქაქუცამ შიკრიკები დაგზავნა, რომ მ. ლაშქარაშვილისა და ნ. ხაცვლიშვილის რაზმები თავიანთ რაიონებიდან არ დაძრულიყვნენ და მის განკარგულების მოლოდინში ყოფილიყვნენ. მე იმ დღესვე თბილისში დავბრუნდი „დამკომს" კრება მოვაწვევინე. ამ კრებას დაესწრნენ კ. ანდრონიკაშვილი, შ. ამირაჯიბი, დ. ონიაშვილი, ი. ჯავახიშვილი, მთავარ-სარდალი გენ. ჭავჭავაძე და კიდევ ორი სხვა პარტიის წარმომადგენელი. მოისმინეს რა ჩემი მოხსენება, დაადგინეს; სამხედრო კომისიის წევრის პოლ. ს. ზალდასტანიშვილის მოხსენება მიიღონ მხედველობაში, აჯანყების საკითხის შესახებ ბაასი გადიდოს განსაკუთრებული კრებისათვის უფრო ვიწრო წრის შემადგენლობით. კრების და-

ხურეამდე მე განვაცხადე, რომ ანგარიში გაეწიათ ქაქუცას პირობებისათვის, რასაც მე დიდ მნიშვნელობას ვაძლევდი. სამწუხაროდ ჩემი განცხადება უყურადღებოდ დარჩა. და აქვე უნდა აღენიშნო, რომ რაღაცა უნდობლობა შევამჩნიე ჩემდამი. ეს უკვე დიდ საშიშროებას იწვევდა ჩვენი მუშაობისათვის.

აჯანყების საკითხის გადაწყვეტა ხუთ კაცს მიანდეს; „დამკომის“ თავმჯდომარეს კ. ანდრონიკაშვილს, მის მოადგილეს ი. ჯავახიშვილს, სოც.-დემ. ბიუროს თავმჯდომარეს დ. ონიაშვილს, ეროვ.-დემ. ბიუროს თავმჯდომარეს შ. ამირაჯიბს და მთავარ-სარდალს გენ. ჰავჰავაძეს.

მოვითხოვე აეხსნათ, — რამ გამოიწვია სხვებისადმი ამნაირი უნდობლობა, ან სად არიან დანარჩენი სამხედრო კომისიის წევრები — **მთავარი ძარღვი მთელი მოძრაობისა?**.. საქმე შეტრიალდა და უცნაური ხასიათი მიიღო. ჩეკა ბევრი ეცადა და ბოლოს მაინც შექმნა ჩვენ წრეში უნდობლობა. ღალატი დასწამეს პორ. ჯინორიას (რომელიც სამხედრო კომისიაში ვ. ჯუღელის მაგივრად შემოვიდა) და გერ. ღლონტს. „დამკომმა“ პორ. ჯინორია სამხედრო კომისიიდან გადააყენა და სამეგრელოში გაგზავნა, გერ. ღლონტის (ეს ის ღლონტი იყო, რომელიც „ჩეკაში“ წამების დროს ჯალათებს ხელში შემოაკვდათ,

მაგრამ მის პირიდან ვერც ერთი ოფიცრის გვარი ვერ გაიგეს) შესახებ ვერ გადაეწყვიტათ, როგორ მოქცეულიყვნენ. ზოგიერთი გერმან ღლონტის სიკვდილს თხოულობდა, რაც უკვე ნამდვილი პროვოკაცია იყო. „ჩეკა“ ჩვენი ხელით თავის საქმეს აკეთებდა — აქტიურ პირებს გვაკვლევინებდა.

18 აგვისტოს კრება შუა-ღამემდე გაგრძელდა. ძლივს ხელი ავაღებინე ამნაირ შეხედულობაზე, მაგრამ კრებამ უნდობლობა გამოუცხადა სამხედრო კომისიას, რომლის მუშაობა დასრულებულად ჩასთვალა და წევრები პარტიებში დააბრუნა.

ამ კრების შემდეგ „დამკომ“-ის კიდევ ერთ ყრილობას დავესწარი 20 აგვისტოს, არა როგორც სამხედრო კომისიის წევრი, არამედ როგორც ეროვ.-დემოკრატიის სამხედრო წარმომადგენელი. ამ სხდომაზე ყველა პარტიები საბოლოო განცხადებას აკეთებდნენ აჯანყების შესახებ. აქ გამოირკვა, რომ აჯანყებაში იღებდნენ მონაწილეობას: სოც.-დემ. პარტია, ნაც.-დემოკ. პარტია, სოც.-რევ. პარტია და სხიველები. სოც.-ფედ. პარტია მზად არ იყო გამოსვლისათვის და მოითხოვა დრო. ვინაიდან ეს დრო „დამკომმა“ არ მისცა, მათ უარი სთქვეს აჯანყებაში მონაწილეობის მიღებაზე და მის პასუხისმგებლობაც თავიდან მოიხსნეს. კრებამ აჯანყების დღის დანიშვნა 5 კაცს მიანდო. ამ ყრილობის შემდეგ ი. ჯავახიშვილი წავიდა ქაქუცას ბანაკში, რომ თვითონ დარწმუნებულიყო მის ძალებში. ქაქუცამ და მისმა რაზმმა მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა ი. ჯავახიშვილზე და გამხნევებული და დიდი იმედით 22 აგვისტოს უკან დაბრუნდა.

## 18.

24 აგვისტოს ხუთმა კაცმა დაადგინა: აჯანყება დაიწყოს 29 აგვისტოს, 2 საათზე; მეამბოხეთა მთავარი შტაბი გადაიტანოს ქაქუცას ბანაკში. „დამკომი“ და მთავარ-სარდალი მათ შეუერთდნენ, თბილისში კი დაარსდეს „დამკომის“ განყოფილება შემდეგი შემადგენლობით: სოც.-რევ.—თავმჯდომარე. წევრები: სოც.-დემ. ს. მენაღარაშვილი და ღლონტი, ეროვ.-დემ.—ექიმი მ. იშხნელი და მე, და ერთი სხიველი. ასეთი დადგენილება ჩვენი პარტიისათვის გაუგებარი იყო. მე და მ. იშხნელმა პროტესტი განუცხადეთ ი. ჯავახიშვილს. ამ დადგენილებით, ჩვენი აზრით, მოძრაობას თავსა სჭრიდნენ და ქაქუცას მოძრაობასაც ხელს უშლიდნენ. თბილისში ახალი არჩეული „დამკომის“ განყოფილება „დამკომის“ მაგიერობას ვერ გასწევდა და სხვა... მაგრამ ჩვენმა

პროტესტმა არაფერი შედეგი არ მოიტანა და 25 აგვისტოს 5 საათზე კ. ანდრონიკაშვილმა, ი. ჯავახიშვილმა, შ. ამირაჯიბმა, დ. ონიაშვილმა, ა. წულაძემ და მთავარ-სარდალმა გენ. ჭავჭავაძემ თბილისი მიატოვეს და ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბანაკში გადაკიდნენ. 26 აგვისტოს „დამკომის" თბილისის განყოფილების თავმჯდომარემ კრება მოიწვია. რომ გამოერკვია, რა დავალებები ჰქონდათ შესასრულებელი თბილისის ორგანიზაციებს. კრებამ ჩემზე ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. აშკარად სჩანდა, ახალი წევრები რამდენად არ იყვნენ საქმეში ჩახედულნი; აჯანყება კი ორი დღის შემდეგ უნდა დაწყებულიყო. მართალი რომ ვსთქვა, აჯანყების გამარჯვებაზე ეჭვი ჩემს დღეში არ მეპარებოდა, ეხლა კი კარგად ვხედავდი, რა ცუდ პირობებში გეიხდებოდა მისი დაწყება.

19.

თბილისის „დამკომს" ექვსი ამოცანა ჰქონდა: ფოსტა-ტელეგრაფის, ჯავშნოსანი ავტომობილების, „ჩეკის", კურსანტების, ჯავშნოსანი მატარებლისა და საავიაციო გუნდის დაკავება. ამ ამოცანებისათვის რაზმები მზად იყვნენ და განკარგულებას ელოდებოდნენ. ჩრდილოეთში გავგზავნეთ შვიდი ოფიცერი მაიორ ვ. ბერიძის მეთაურობით იმ აზრით, რომ ჩრდილოეთ-კავკასიას საქართველოსთან ერთად დაეწყო აჯანყება 29 აგვისტოს 2 საათზე (განთიადზე). 27 აგვისტოს ქაქუცას ბანაკიდან ი. ჯავახიშვილის წერილი მივიღეთ, რომელიც გვატყობინებდა, რამდენად კმაყოფილი იყო ქაქუცას რაზმით. ამ დღეს თბილისშიც ყველანი ამოძრავდნენ: ხალხს გამბედაობა მოემატა, ოფიცრობაც აღარაფერს ერიდებოდა, თხოულობდნენ ქაქუცასთან გაქცევას ან რომელიმე რაზმში ჩაწერას. „ჩეკა" შიშობდა, ორჭოფობდა და თავის გადასარჩენად უფრო იოლ გამოსავალს ეძებდა. 28 აგვისტოს კი დილით ზომების მისაღებად გამბედაობა დაკარგა. ხალხი ამით უფრო გამხნევდა, აჯანყებაზე მოურიდებლად ლაპარაკობდა. ყველას სიხარულისაგან სახეზე ღიმილი ემჩნეოდა. მე პირადად ალაგს ვეღარ ვპოულობდი და სანატრელ წუთებს, ლამის ორ საათს, მოუთმენლად ველოდებოდი. ნასადილევს გახარებულმა ბავშვმა გაზეთი შემომიტანა —ძია წაიკითხე, რა კარგი ამბები სწერიაო. გავშალე გაზეთი და ჩემს თვალებს არ დავუჯერე: ჭიათურა 28 აგვისტოს დილით 2 საათზე გამოსულიყო და აჯანყებულ ხალხს ქალაქი დაეკავა, ე.ი. ჭიათურა გამოვიდა 24 საათით ადრე, ვიდრე საჭირო იყო. ყველა ზემოთ მოხსენებულ მარცხს ესაც დაემატა. თავბრუ დამეხვია, კანკალმა ამიტანა. მწუხარებით შეპყრობილმა არ ვიცოდი, რა მექნა! რითი მეშველა!? ამის წამკითხველი მეტყვის,—კიდევ იყო გამოსავალი. დიაღ, მეც ვიგრძენი, რომ იყო... მხოლოდ ამისათვის საჭირო იყო, ელვის სისწრაფით გვემოქმედა და იმ წუთშივე ყველგან, და განსაკუთრებით თბილისში, აჯანყება დაგვეწყო. მაგრამ როგორ მოგვეწყო ანდა ვინ იკისრებდა ამდენი შეცდომების გამოსწორებას. მთავარ-სარდალი და ხელმძღვანელი ორგანო 20 კილომეტრით იყო თბილისიდან დაშორებული და ტეხნიკურად მოწყვეტილი ჩვენგან. ამბოხების პირობებში ყოველ დაგვიანებულ წუთს მნიშვნელობა აქვს. გარემოება ისეთი შეიქმნა, რომ ჭიათურაში 24 საათით ადრე გამოსვლამ დრო და ინიციატივა მოქმედებისა „ჩეკას" და ხელისუფლებას გადასცა. იმავე დღეს, ე. ი. 28 აგვისტოს გამოაცხადეს სამხედრო წესები, დაიკავეს ჯავშნოსანი ავტომობილები, ფოსტა-ტელეფონი, ჯავშნოსანი მატარებელი ჭიათურაში გაგზავნეს, საეჭვო ოფიცრები დროებით ადგილებიდან გადააყენეს, პარტიული კომუნისტური რაზმი ქუჩაში გამოიყვანეს და სხვა. ერთი სიტყვით, თაოსნობა ხელიდან წაგვართვეს და ხელისუფლება იერიშით ქართველი ხალხის წინააღმდეგ გამოიყენა. მაგალითად, კახეთის ყველა ორგანიზაციების ხელმძღვანელები 29 აგვისტოს ღამე დაიჭირეს და სულყველანი დახვრიტეს. სიღნაღის მაზრაში, როგორც სამხედრო წარმომადგენელმა გადმომცა, სხვა განკარგულება მიეღოთ.

ადგილობრივი გაერთიანებული ორგანოს თავმჯდომარეს შეიარაღებული რაზმი ვენახებში ჩაესაფრებინა და სამი დღის განმავლობაში პოლკ. ცაგურიას გამარჯვებას ელოდნენ, რომ შემდეგ მისი დახმარებით სიღნაღი და თელავი აეღოთ. ეს ცნობა ოქტომბერში თვითონ თავმჯდომარემ ჩემი თანადასწრებით დაადასტურა სოც.-დემ. პარტიის კომიტეტში. ამისათვის სოც.-დემ. კომიტეტმა ეს წევრი პარტიიდან გარიცხა. იმან ეს სასჯელი მშვიდად მიიღო და რამდენიმე კვირის შემდეგ მტრის ბანაკში გადავიდა. ერთი იმედილა იყო, რომ ქაქუცა თავისი რაზმით მანგლისის მხრივ და პოლკ. ცაგურია ვაზიანის მხრივ თბილისს მოადგებოდნენ და ჩვენ იმავე წუთს თბილისში დარჩენილი რაზმებით მტერს ბრძოლას დაუწყებდით.

გავიდა 29—30 აგვისტო და არსაიდან არავითარი ცნობა არ იყო. მანგლისიცა და ვაზიანიც სდუმდა. ახალ-გაზრდობა მოქმედებას მოითხოვდა, ხელისუფლებამ კი ტერორს მიჰყო ხელი და ასობით გაჰყავდა ხალხი დასახვრეტად. მდგომარეობა მოითხოვდა, რომ ჩვენც ტერორით გვეპასუხა, მაგრამ თბილისის პარტიათა წარმომადგენლები ამ აზრს არ იზიარებდნენ. 31 აგვისტოს პოლკ. ცაგურია თბილისში შემოიპარა, გვინახულა მე და ექიმი იმხნელი და გვიამბო თავისი თავგადასავალი. 29 აგვისტოს დილით ორ საათზე დანიშნულ ადგილას რაზმი არ დაჰხვდა და ვინც მისულიყო, ისიც რამდენიმე ცალი თოფით. მაშინ მას გადაუწყვეტია,—ჯერ სოფ. პატარძეულში მილიციონერებისათვის იარაღი აეყარა და შემდეგ თავისი ამოცანა შეესრულებია. სოფ. პატარძეულში ხელისუფლებას მილიციონერები გაეფრთხილებინა და მათ პოლკ. ცაგურიას ბრძოლა აუტეხეს. პოლკ. ცაგურიამ ასეთი ბრძოლა უაზროდ ჩათვალა, თავისი რაზმი დაშალა და თითონ თბილისში მოვიდა. ქაქუცაც თითქმის ამგვარ პირობებში ჩავარდნილიყო. ჰიათურის ნაადრევი გამოსვლის შემდეგ მანგლისში ხელისუფლებას რუსული ჯარი გაეფრთხილებია, სოფელში მზვერავი მილიციონერები დაეგზავნა. წინასწარი ზომების მიღებისა გამო ხალხი შეშინებულიყო, გამბედაობა დაჰკარგოდა და მანგლისელები ქაქუცასთან არ გამოცხადებულან. მართალია, კაპ. ელიზბარ ვაჩნაძემ მანგლისს შეუტია და ლელო ჩიქოვანმა სოფ. პრიუტი დაიკავა, მაგრამ თავიანთი ძალებით ეს ადგილები ვერ დაიმაგრეს და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ და ქაქუცას შეერთებოდნენ. ქაქუცა „დამკომის" რჩევით თბილისზე შეტევას ერიდებოდა. 30 აგვისტოს კავთისხევში გადავიდა, სადაც მას რუსის ჯარი დაჰხვდა. ბრძოლას მოერიდა და შებინდებისას მტკვრის იქით გადავიდა. ქაქუცა დარწმუნდა, რომ „დამკომი" ხელს უშლიდა და მოქმედების საშუალებას არ აძლევდა. ამის გამო მან „დამკომი" შიო-მღვიმის მონასტერში დატოვა, სადარაჯოდ ორი რაზმი დაუნიშნა და თითონ თავისი რაზმით დუშეთისაკენ წავიდა. ქაქუცასთან დარჩა „დამკომის" ორი წევრი—შალვა ამირაჯიბი და გენ. ჭავჭავაძე. ბრძოლით დუშეთი აიღეს, შევიდნენ ზემო-კახეთში, აქედან გადავიდნენ ყარაიაზში და ამოვიდნენ ბორჩალოში. შემდეგ დაიწყო თბილისის ირგვლივ დაზვერა, რომ გაეგო, შეიძლებოდა თუ არა თბილისის გარედან აღება, მაგრამ უკვე გვიან და იყო: ხელისუფლებამ ყველგან ზომები მიიღო და ბრძოლის გაგრძელება უაზრო ხდებოდა. ქაქუცამ მდგომარეობის გამოსარკვევად შალვა ამირაჯიბი თბილისში გაგზავნა. სამი კვირა ელოდდა თბილისიდან ცნობებს. კავშირის გაბმა გაძნელდა. ბოლოს, როგორც იყო, გაიგო ქართველი ხალხის დამარცხება. გულ-ჩათუთქულმა დასტოვა თავისი სამშობლო მიწა-წყალი და თავისი რაზმის ერთი ნაწილით გადავიდა ოსმალეთში და იქიდან, ოქტომბრის დამლევს, საფრანგეთში.

**ხამი წლის განმავლობაში შიშველ-ტიტველმა, მშიერ-მწყურვალმა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილმა პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე.**

**ქართველი ერი ამაყობს მისი ხახელით.**

20.

დასავლეთ-საქართველოში აჯანყების ინიციატივა ხალხის ხელში იყო; მთელი რაიონები მეამბოხეთა ხელში გადავიდა. რუსების წარმომადგენლები დაატუსაღეს, მაგრამ ბრძოლის გაღრმავება ვერ მოახერხეს. მაგალითად, გურიაში აჯანყებულთა ხელში იყო ხიდის-თავი, ნაგომარი, საჯავახო და სხვა. გენ. ყარალაშვილის დაჭერის შემდეგ ბრძოლებს მეთაურობდნენ გასული რაზმელების უფროსები: ს. მათითაშვილი, თ. მუხარაშვილი და პ. ჭანუყვაძე. ორი დღის შემდეგ. 31 აგვისტოს, მთელი გურია ქ. ოზურგეთზე იერიშით მივიდა. ოზურგეთი გამაგრებული დახვდათ ბათუმიდან და სამტრედიიდან ჩასული რუსის ჯარით. უთანასწორო ბრძოლაში აჯანყებულნი იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ. 2 სექტემბერს რუსის ჯარმა ქართველებს ალყა შემოარტყა. მეამბოხეებმა ალყა გაარღვიეს, ტყეში ავიდნენ და მთებში გაიფანტნენ; ზოგი მათგანი რამდენიმე ხნის შემდეგ, საზღვარგარეთ გადავიდნენ.

მთელი სამეგრელო და სვანეთი მეამბოხეთა ხელში იყო. სამეგრელოში მოძრაობას, გენ. თოფურიას შემდეგ, სათავეში ჩაუდგა როტმ. დავით მხეიძე. პოლიტიკურ ხელმძღვანელად დანიშნული იყო ერ.-დემ. შალვა კალანდარაშვილი. 29 აგვისტოს დ. მხეიძემ და 17 ახალგაზრდამ ეროვ.-დემოკ. ორგანიზაციიდან ქ. სენაკი დაიკავეს, „ჩეკა" განიარაღეს, ციხიდან ხალხი გაანთავისუფლეს და შეიარაღეს. შეიარაღებულმა ხალხმა რუსებს ბრძოლა დაუწყო სამტრედიისა და ფოთის მიმართულებით. რამდენიმე დღე მთელი სამეგრელო ხალხის ხელში იყო. ბრძოლაში დ. მხეიძე რუსებმა დასჭრეს. ამ შემთხვევით მტერმა ისარგებლა და დიდი ძალით გამოსული ხალხი დაამარცხა. მეამბოხენი იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ და მთებში შეფარებულიყვნენ, ზოგი მათგანი კი სვანეთში გასულ ხალხს შეუერთდა.

სვანეთში გამოსულ ხალხს ხელმძღვანელობდა პოლკ. გარდაფხაძე, ერ-დემოკ. ბიძინა პირველი, კაპ. ჭიჭინაძე და სხვა. 29 აგვისტოს სვანეთი მთლად ხალხის ხელში გადავიდა. 30 აგვისტოს 500 კაცი ქუთაისს მიადგა. ქ. ქუთაისი რუსების მიერ უკვე გამაგრებული დახვდა და რაზმი იძულებული გახდა რამდენიმე ბრძოლის შემდეგ უკან სვანეთისკენ დაეხია. სამი კვირა დასჭირდათ რუსებს სვანეთის დასამორჩილებლად.

შორაპნის მაზრაში პოლიტიკურ ხელმძღვანელად დანიშნული იყო დ. გაბუნია. მის თანაშემწეებად იყვნენ სტუდენტები: დ. ახვლედიანი. ალ. აბაშიძე და ხუზა ქორჩაკიძე. 29 აგვისტოს ამათ თავიანთი რაზმით დაიკავეს ქ. ჩხარი, რომელიც რამდენჯერმე ხელიდან ხელში გადადიოდა, მაგრამ საბოლოოდ რუსმა დასძლია და გამოსული ხალხი ზოგი დანებდა, ზოგმა კი თავი მთაში შეაფარა. საერთოდ დასავლეთ საქართველოში ხალხმა და მათ მეთაურებმა თავიანთი ამოცანები კარგად შეასრულეს და ახალ დირექტივებს თბილისიდან „დამკომისაგან" ელოდებოდნენ.

„დამკომს" ფაქტიურად არ შეეძლო რამე განკარგულება მიეცა პროვინციებისათვის, რადგანაც კავშირები გაწყვეტილი იყო. თვით თბილისთანაც კი კავშირი შეწყვეტილი იყო. 1, 2, 3 სექტემბერში საშინელი მდგომარეობა შეიქმნა: „ჩეკიდან" და" მეტეხის ციხიდან ასობით გამოჰყავდათ ხალხი და საბურთალოზე ხვრეტდნენ. ხალხი მოთმინებას ჰკარგავდა. 2 სექტემბერს ეროვ.-დემოკ. სამხედრო სტუდენტთა ორგანიზაციამ გამომგზავნა სამი წარმომადგენელი,—მთხოვეს, რომ ხელისუფლების ტერორზე ტერორითვე გვეპასუხა. ამისათვის მთელი ორგანიზაცია, რომელიც შეადგენდა 40 ათეულს, მზად იყო და ელოდებოდა ხელმძღვანელების განკარგულებას. თბილისის გაერთი-

ახებულ ორგანომ არ გაიზიარა ეს წინადადება. შექმნილ პირობებში ყოველგვარი აქტიობა უაზროდ ჩათვალა. ახალგაზრდობა იძულებული გახდა, დამორჩილებოდა უფროსების დადგენილებას. ბევრი მათგანი მაინც ვერ ასცდა დახვრეტასა და გადასახლებას.

4 სექტემბერს მცხეთის მიდამოებში დაიჭირეს კოტე ანდრონიკაშვილი და იასონ ჯავახიშვილი; უკანასკნელი ფეხში დასჭრეს ჩეკისტებმა. 5 სექტემბერს ორივე აიძულეს, ხალხისათვის მიემართათ, რომ აჯანყება დამარცხებულია და გასულ რაზმებს სთხოვეს, იარაღი აეყარათ და ხელისუფლებას დამორჩილებოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში უპირებდნენ კიდევ ათასობით ხალხის დახვრეტას. ეს ფურცლები ხელისუფლებამ სწრაფად თვითმფრინავით მაზრებში გააერცელა, რამაც, რა თქმა უნდა, გასულ რაზმებზე შთაბეჭდილება მოახდინა, მეამბოხეთა მოქმედება შეანელა და ბევრმა მათგანმა მორჩილებაც გამოაცხადა. აქაც რუსმა რუსობა გამოიჩინა: შერიგებული ხალხი თანდათან სოფლებს მოაშორა, „ჩეკაში" ჩაყარა, საიდანაც ზოგს საბურთალოზე ხვრეტდა და ზოგს კი შორი გზით ციმბირში და სოლოვკაში აგზავნიდა.

ქუთაისის მეამბოხენი შეირიგა, იარაღ-აყრილი ხალხი თბილისში გასაგზავნად საქონლის მატარებელში ჩაყარა. შუა-გზაში გააჩერეს და დაკეტილ ვაგონებში ხალხი ტყვიისმფრქვეველებით ამოჟლიტეს.

## 21.

მიუხედავად ასეთი სასტიკი ზომებისა, ხელისუფლებამ ქართველი ხალხი მაინც ვერ გასტეხა. ამის დამამტკიცებელია შემდეგი რამოდენიმე შესანიშნავი მაგალითი: ერთი ჩემი ნაცნობი გენერალი ბევრი წვალების შემდეგ ციხიდან გამოუშვეს. გამოშვებისას მისმა დამ ინახულა და შეეკითხა მის თავგადასავალზე. გენერალმა უამბო: „ჩეკამ" დაკითხვაზე სამი კითხვა დამისვა და გამაფრთხილა, რომ იმ სამ კითხვაზე მიცემულ პასუხზე იქნებოდა დამოკიდებული ჩემი სიცოცხლე.

1. თქვენ ყოფილი თავადი ხართ? — დიაღ.
2. თქვენ ყოფილი გენერალი ხართ? — დიაღ.
3. გქონდათ თუ არა იმედი აჯანყების გამარჯვებისა? — როცა ქართველ ხალხს თავისი ეროვნული მთავრობა და ჯარი ჰყავდა, მაშინ არ მჯეროდა, რომ დიდხანს შეინარჩუნებდა საქართველო დამოუკიდებლობას და ეხლა, ამნაირ პირობებში მომზადებული აჯანყებისა, რა იმედი უნდა მქონოდა?!—ვუპასუხე მე.

— კარგად გიპასუხია; სხვანაირად როგორ უნდა გეპასუხა? — უთხრა დამ.

გენერალი სკამიდან წამოხტა, მაგიდაზე ხელი დაჰკრა და დაიწყო ყვირილი:

— სიკვდილისა შემეშინდა!.. მე, უმსგავსმა ბებერმა, ვიცრუე! მართალია, მაშინ არა მჯეროდა თავისუფალი ქართველი ერის ხანგრძლივი არსებობა, რადგანაც ვხედავდი, რომ უმრავლესობას ჯერკიდევ არ ესმოდა შინაარსი მოპოვებული ბედნიერებისა, ეხლა კი, როცა ერმა გამოიღვიძა და შეიგნო, თუ რა დაჰკარგა და რა გულმოდგინედ მუშაობდა მისი აღდგენისათვის, ამისი მე მჯეროდა. მჯეროდა, რომ ქართველი ხალხი გაიმარჯვებდა; ამას ვცემდი პატივს, ამით ვცოცხლობდი! „ჩეკის" წინ კი შემეშინდა, ვერ გავბედე, რუსებისათვის პირში მიმეხალა, რომ აჯანყება მწამდა და გამარჯვების იმედიც დიდი მქონდა. ამ რწმენით, როგორც მამა, მეც უნდა გავყოლოდი იმ ახალგაზრდა ყმაწვილებს, რომლებიც ციხიდან დასახვრეტად გაჰყავდათ და უკანასკნელ წუთამდე „გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს" გაჰყვიროდნენ... მე კი ვიტყუე ჩემი სინიდისის წინაშე, ჩემი საქციელი მოსვენებას არ მაძლევს და გიჟივით თბილისის ქუჩებს ვუვლი...

ქიათურის დახვრეტილთა შორის ორი ძმა იყო. თბილისში მათ დედასთან მივიდნენ მეგობრები სამძიმრის სათქმელად. დედა მათ უცრემლოდ მიესალმა და გამოუცხადა გაკვირვებულ მოსამძიმრეებს: სამგლოვიარო არა მაქვს რა; მე ვამაყობ, რომ ჩემმა შვილებმა სამშობლოს თავი შესწირეს;მარტო მისი დატანჯული სახე ამტკიცებდა, როგორი დიდი მსხვერპლი გაიღო მისმა გულმა.

გურიიდან მასწავლებელი ქალი ჩამოვიდა, დაწვრილებით აღწერა იქაური მოძრაობის ამბები. ბოლოს ჩემი მეგობარი შეეკითხა (მე მეორე ოთახში ვიმალებოდი):ალბათ ხალხს გული გაუტყდა აჯანყების დამარცხების გამო! — რასა ბრძანებთ!? მთელი გურია იმას გაიძახის, —ერთი კვირა ხომ მაინც თავისუფლად ამოვისუნთქეთო, რა ვუყოთ, რომ პირველი აჯანყება სუსტი გამოდგაო!..

ამნაირი მაგალითები ბევრი იყო.

## 22.

ასე დამთავრდა 1924 წ. აჯანყება. წინასწარი მუშაობა მშვენივრად იყო მოწყობილი, მოქმედება კი უვარგისად ჩატარდა. „დამკომმა" საუკეთესოდ შეასრულა ტექნიკური მხარე აჯანყების მომზადებისა, მაგრამ აჯანყებას კი ხელმძღვანელობა სრულებით ვერ გაუწია. რატომ? — იმიტომ, რომ მეთაურთა შორის არავინ გამოჩნდა ისეთი ძლიერი პიროვნება რომელიც შესძლებდა მოქმედების ინიციატივა გამოეჩინა და მოძრაობისათვის გაბედულად ეხელმძღვანელა. ამის მიზეზი თვით „დამკომის" ორგანიზაციის შინაწყობაში უნდა ვეძებოთ. მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოში მომხდარი აჯანყებები დამარცხდნენ, რადგან აჯანყებას კუთხური ხასიათი ჰქონდა. რუსის მთავრობას ასეთი ამბოხების ჩაქრობა ეადვილებოდა.

მეოცე საუკუნეში საქართველო უკვე გაერთიანებული იყო, მაგრამ ხალხის მთლიანობას ასუსტებდნენ და არღვევდნენ არსებული სხვა და სხვა პოლიტიკური პარტიები — დაარსებული ერთი მეორის საწინააღმდეგოდ, აგებულნი დოქტრინებზე, კლასთა ქიშპობაზე და სიძულვილზე.

გადაწყვეტილი იყო ქართული ეროვნული აჯანყების მოწყობა, მაგრამ საერთო მუშაობის დროს ვიწრო პარტიული ინტერესები სჭარბობდნენ საერთო ეროვნულზე. ეხლა შორიდან რომ უკვირდები წარსულ ამბავს და იმ წლების გაერთიანებულ პარტიების ორგანოს „დამკომს" და მის მიერ მოწყობილ გამოსვლებს, ცხადი ხდება, რომ ეს უკანასკნელნი გამარჯვებით ვერ დამთავრდებოდნენ, რადგან „დამკომში" მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს თავიანთ ხელშეკრულებაში ჰქონდათ მიღებული ერთი მუხლი, რომელიც „დამკომის" მოქმედებას წინასწარ აქარწყლებდა: ამ მუხლის ძალით ყველა საკითხი ჯერ პარტიაში სწყდებოდა და შემდეგ „დამკომში" გადაჰქონდათ და, თუ აქ ვერ შეთანხმდებოდნენ, საკითხი ისევ პარტიებში ბრუნდებოდა. ასე გრძელდებოდა, სანამ მისაღებ ფორმულას არ გამონახავდნენ. ამნაირი მუშაობა მუდამ დროს დაკარგვას იწვევდა და ხშირად მოქმედებისათვის ძვირფას მომენტს ხელიდგან უშვებდით. რასაკვირველია, ამ საფუძველზე შედგენილი საერთო ორგანო თავის მიზანს და გეგმას ვერ განახორციელებდა. მაგალითად, დუშეთ-ხევსურეთის აჯანყებაში, 1922 წ. აგვისტოში მომხდარს, როცა რუსის ძალები საქართველოში სუსტი იყო, სოც.-დემოკ. პარტიამ გადასწყვიტა აჯანყებაში მონაწილეობა არ მიეღო, იმ დროს, როცა „დამკომიც" და „სამხედრო ცენტრიც" უკვე ჩათრეული იყო ამ მოძრაობაში, ეროვ.-დემოკ. პარტია კი ძალას ატანდა „დამკომსაც" და „სამხედრო ცენტრსაც", რომ მათ აჯანყებაში მონაწილეობა მიეღოთ. ამავე დროს საზღვარგარეთის სოც.-დამოკ. ორგანიზაციიდან „დამკომს" მოსდიო-

და სამხედრო შინაარსის დირექტივები. რომელნიც ხშირად „ჩეკას" უვარდებოდა ხელში და „დამკომის" დავალებულ მუშაობაში აგრეთვე უთანხმოება შეჰქონდათ.

ამგვარად „დამკომი", ვითომდა ალჰურვილი ხრული ნდობით და უფლებებით, მოქმედებაში ხელ-ფეხ შეკრული იყო.

აჯანყების საქმეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი ასუსტებდა: — ყველა პოლიტიკური პარტიების მიერ პრინციპში მიღებული იყო აჯანყების მოწყობა. მაშასადამე მის მოწყობაში ბუნებრივად აქტიური პირები უნდა ყოფილიყვნენ. ჩვენ მუშაობაში კი ზოგი ერთნი, რომელიც აჯანყების წინააღმდეგ ილაშქრებოდნენ, „დამკომის" შემადგენელ პოლიტიკურ პარტიებში დიდ როლს თამაშობდნენ, და მათი პასიობა გავლენას ახდენდა და ხალხს წინასწარ გამარჯვების იმედს უკარგავდა. თვით აჯანყების ხანაში ამას იმდენად ნაკლებ ანგარიშს უწევდნენ, რომ მაგალითად, „დამკომმა" აჯანყებისათვის გურიაში გაგზავნა თავის წარმომადგენლად ისეთი კაცი, რომელიც მთელი თავის შეგნებით არ იზიარებდა აჯანყებას და უფრო გასაოცარი ის იყო, რომ ეს წარმომადგენელი ტყეში საბრძოლველად გასულ ხალხს უქადაგებდა აჯანყების უაზრობას (ლოლობერიძე — ბრძოლა სამშობლოსათვის გვ. 96).

მოთხრობილი მარცხის ამბები, რომელნიც თან სდევდნენ მომხდარ აჯანყებებს, იძლევიან თავის პირუთვნელ დასკვნებს.

საქართველოს თავისუფლების აღდგენის ბრძოლა, თავდაპირველად მოითხოვს ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკურ მტკიცე ერთობის დაცვას. საქართველოს ეროვნული იდეალი უნდა ჰფარავდეს ყველა ვიწრო პარტიულ ინტერესებს. არც კუთხური, არც წოდებრივი, არც კლასობრივი დაყოფა ეროვნულად მთლიან საქართველოსი. ყოველმა ქართველმა, რომელ წრესა და მიმართულებას ის არ ეკუთვნოდეს, უნდა თავისი პარტიული დროშა დაკეცოს და ეროვნული დროშის ირგვლივ თავი მოიყაროს ერთი მიზნით, ერთი შეგნებით — საქართველოს თავისუფლების აღსადგენად.

მაგრამ არ შეიძლება მომავალი საქართველო ავაშენოთ თუ მის წარსულ ისტორიას არ მოვეპყრით ფაქიზათ, პატივისცემით, სიყვარულით.

არ შეიძლება საქართველოს განთავისუფლების ბრძოლაზე ვილაპარაკოთ, თუ არ გავიხსენებთ სამშობლოსათვის თავდადებულებს, მისთვის მსხვერპლად შეწირულებს, მათ საფლავებს არ გავიხდით წმინდათა-წმინდად და მათ ეროვნულ მიზანს არ დავისახავთ ჩვენს იდეალად.

სტამბა არჩილ მეტრეველისა მიუნხენში.

## საქართველო და რუსეთი

1920 წლის ნოემბერში ბოლშევიკური რუსეთი და ქემალისტური ძალები სომხეთის რესპუბლიკას თავს დაესხნენ და იგი შუაში გამოჭყლიტეს. 29 ნოემბერს 1920 წ. სომხეთში ბოლშევიკებმა საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს და სომხეთი საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადეს.

1920 წლის დასავალს საქართველოს გარშემორტყმა და რკალში მომწყვდევა უკვე დასრულებული იყო. საქართველოს ყოველი მხრიდან ერტყმოდნენ მტრული მეზობლები და მთელი ქვეყანა შემოქალტული იყო ბოლშევიკური რუსეთით ბოლშევიკურ აზერბაიჯანით, ბოლშევიკური სომხეთით და ბოლშევიკთა მეგობარის, ქემალისტური თურქეთით.

1920 წლის ნოემბრის 28-ს კომუნისტური პარტიის მდივანთა კრებაზე ტროცკიმ განაცხადა — „სომხეთის გასაბჭოების შემდეგ ჯერი საქართველოზე მიდგა; სულ ცოტა დაჭიმვა გვჭირდება, რათა მათუში ბაქოს შევუერთოდ"-ო. ჰეკკერი, მეთორმეტე რუსული არმიის სარდალს მოსკოვმა მოხსენება მოსთხოვა, თუ როგორ შეიძლებოდა საქართველოს დაკავება. ჰეკკერი მოსკოვს მოახსენებდა, ამისათვის საჭიროა თურქეთის გულის მოგება, რათა მან ხელი არ შეგვიშალოსო. მოსკოვში თურქებთან მოლაპარაკება დაიწყო, რომელიც 16 მარტის ხელშეკრულებით დასრულდა და ამავე დროს რუსულმა ჯარებმა საქართველოს ყოველი მხრიდან შეუტიეს.

1921 წელს 11 თებერვალს საბჭოთა სომხეთის მხრიდან წითელი ჯარები საქართველოს საზღვრებში შეიჭრნენ. როგორც კი წითელმა ჯარებმა მოულოდნელად შულავერი დაიპყრეს, იქ გამოცხადებულ იქმნა „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა", რომელშიც შედიოდნენ წევრებად, ქართველი ბოლშევიკები — ფილიპე მახარაძე, ბუდუ მდივანი, მამია ორახელაშვილი, და მათ გარდა სომხები თათრები და სხვანი. ბოლშევიკებმა აქ განიმეორეს ის, რაც ერთ ჯერ უკვე გააკეთეს სომხეთში, მაგრამ აქ, ამ შემთხვევაში, ამ შეთითხნილ, სრულიად უკანონო მთავრობას ხელისუფლება არავინ ჩააბარა, და ომი დაიწყო.

საქართველოს მთავრობამ დაუყოვნებლივ მიმართა რუსეთის წარმომადგენელს თბილისში, შეიმანს — თუ რატომ ესხმის საქართველოს წითელი არმია? შეიმანმა მთავრობას განუცხადა, რუსეთმა ამის შესახებ არაფერი იცის, სამხედრო მოქმედება საბჭოთა სომხეთმა დაიწყოო.

იმავე წუთში თბილისში მყოფმა საბჭოთა სომხეთის წარმომადგენელმა, შავერდოვმა საქართველოს მთავრობას განუცხადა — სომხეთი აქ არაფერ შუაში არ არის, იგი ომს არ აწარმოებს და საბჭოთა სომხეთი მზა არის, ყველა სადავო საკითხი მშვიდობიანი მოლაპარაკებით გადასწყვიტოსო.

მაგრამ 15 თებერვალს კი, ეხლა აზერბაიჯანის მხრიდან, წითელმა ჯარებმა საქართველოს შეუტიეს.

16 თებერვალს (1921 წ.) საქართველოს მთავრობის თავჯდომარე, ნოე ჟორდანია პირდაპირი მავთულით მიმართავს მოსკოვს მოსალაპარაკებლად, მაგრამ მოსკოვში მას არ უპასუხებენ.

მაშინ იგი მიმართავს საქართველოს ელჩს მოსკოვში, მაგრამ მას იქ აპარატზე არ ეძახიან.

17 თებერვალს საქართველოს მთავრობა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ჩიჩერინისაგან რადიო - დეპეშას ღებულობს, რომელშიც, თითქო რუსეთი აქ არაფერ შუაშია, ნათქვამია — რუსეთი მზადაა შუაკაცობა გასწიოს საქართველოსა და სომხეთის შორისო!

საქართველოს მთავრობამ ჩიჩერინს უპასუხა — იგი მზადაა მიიღოს ეს წინადადება, თუ მოსკოვი საქართველოს ტერიტორიიდან თავის ჯარებს გაიყვანსო.

ამ დიპლომატიური ამბების დროს საქართველოს მიწაზე სისხლი იღვრებოდა. ქართულმა ჯარებმა თავისი მცირე ძალები მოიკრიბეს და მტრის იერიშები მოიგერიეს.

1921 წ. 21 თებერვალს საქართველოს მთავრობის თავჯდომარე ნ. ჟორდანია კვლავ ეკითხება რუსეთის საგარეო კომისარს ჩიჩერინს — რა მიზეზია რუსეთი რომ ომს აწარმოებს პატარა საქართველოს წინააღმდეგ? „რა გნებავთ ჩვენგან? წამოაყენეთ მოთხოვნილებანი, რომელთა გულისათვის თქვენ ჩვენს წინააღმდეგ ომი დაიწყეთ. შეიძლება ჩვენ სისხლის დაუღვრელად შევთანხმდეთ"-ო.

რასაკვირველია, ნ. ჟორდანიას ამ დეპეშაზე პასუხი არავის გაუცია.

22 თებერვალს ნ. ჟორდანია ეხლა მიმართავს ლენინსა და ტროცკის და სთხოვს მათ, შეწყვეტილ იქმნას ომი,

რომლის დამპყრობითი და თავდამსხმითი ხასიათი ეჭვს გარეშეაო.

ეს მიმართვაც უპასუხოდ დარჩა.

პასუხი ნამდვილი კი ის იყო, რომ სომხეთ - აზერბაიჯანის მხრიდან ადრევე, შემდეგ დარიალის მხრიდან, მამისონის მხრიდან რაჭაზე, აფხაზეთის მხრიდან საქართველოს მიასკდნენ რუსულ ჯართა ერთეულები — მეთერთმეტე არმია მერვე, მეცხრე და მეთორმეტე არმიის ერთეულები, კავალერია ბუდიონისა და ჟლობასი.

17 თებერვალს სოღანლუღთან მეტად სისხლიანი ბრძოლა იყო სამი დღის განმავლობაში.

1921 წ. 23 თებერვალს საქართველოს მთავრობა უკვე ქემალისტურ თურქეთის მთავრობისაგან ულტიმატუმს ღებულობს — ქართულმა ჯარებმა დასცალონ არდაგანი და ართვინიო!

საქართველოს თურქეთთანაც ომი არ შეეძლო — მან პროტესტი განაცხადა თურქეთის მთავრობის მოთხოვნის წინააღმდეგ და რათა მდგომარეობა არ გაემწვავებინა და ფრონტის შემოკლების მიზნითაც არდაგან — ართვინიდან თავისი ჯარები გამოიყვანა.

24 თებერვალს წითელი ჯარი მდ. მტკვარზე გადმოვიდა და 24 თებერვალსვე კოჯორზე მწარე ბრძოლათა შემდეგ ქართული ჯარების მთავარსარდალმა გიორგი კვინიტაძემ საქართველოს დედაქალაქი დასტოვა და მთავრობაც ბათუმისაკენ გაიხიზნა.

აფხაზეთში წითელი ჯარები სოხუმს უახლოვდებოდნენ. მამისონის უღელტეხილი წითლებმა უკვე გადმოლახეს და ქუთაისს დაემუქრნენ. ქართულმა ჯარებმა მცხეთისაკენ დაიხიეს, აქ ფეხი ვერ მოიმაგრეს და გორისაკენ გასწიეს; თურქებმა არდაგანი და ართვინი დაიკავეს. გორში მყოფმა ქართულმა ნაწილებმა დაიწყეს სურამის უღელტეხილის გამაგრება, მაგრამ ვეღარ შესძლეს, აქედანაც დაიხიეს და მდინარე რიონის პირას, საჯავახოს ზემოთ დაიკავეს პოზიციები.

ამ დროს თურქეთის მთავრობის წარმომადგენელი საქართველოს მთავრობას უცხადებს, რომ ის დაკმაყოფილებულია არდაგანისა და ართვინის დაკავებით, სხვა რამე მოთხოვნა მას აღარა აქვს და ეხლა მზადაა დაგეხმაროთ და ბოლშევიკური ჯარები ბათუმში არ შევუშვათო. ამიტომ ნება მოგვეცით შევიყვანოთ ჩვენი თურქული ჯარები ბათუმის ოლქში და მერმე თქვენთან ერთად ვიბრძოლებთ ბოლშევიკების წინააღმდეგო! გაპირვებულ და სასოწარკვეთილ საქართველოს მთავრობას ეს განცხადება გულწრფელი და მართალი ეგონა, და ოსმალეთს ნება დართო თავისი სამხედრო ძალები ბათუმში შეეყვანა. მაგრამ შევიდნენ თურქები ბათუმში თუ არა, რამოდენიმე დღის შემდეგ, 16 მარტს, ქალაქში ფურცლები გააკრეს, რომლითაც აცხადებდნენ, რომ ბათუმი და სხვა მისი ტერიტორია თურქეთს ეკუთვნისო!

თურქებმა მოიწადინეს — ბათუმის ციხის ფორტების დაკავებაც და ეხლა დაიწყო ბრძოლა თურქების წინააღმდეგაც. ბათუმში მყოფმა ქართულმა ნაწილებმა გაილაშქრეს თურქების წინააღმდეგ და სისხლიანი ბრძოლით ისინი ქალაქიდან გარეკეს.

ამ დროს ქართული ჯარი რიონის ხაზზე ქვაბშია მომწყვდეული. არავითარი იმედი აღარაა ბრძოლის გაგრძელებისათვის და არც ვინმეს დახმარებაზე ოცნებაც კი არ შეიძლება!

17 მარტს საქართველოს მთავრობამ გასცა ბრძანება ქართული ჯარის დაშლის შესახებ. დამფუძნებელი კრების უკანასკნელმა სხდომამ საქართველოს მთავრობას დაავალა უცხოეთში გაეგრძელებინა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა და დაეცვა ქართული უფლებანი. 18 მარტს 1921 წ. საქართველოს მთავრობა ევროპაში გაემგზავრა და რამოდენიმე საათის შემდეგ ბოლშევიკური წითელი ჯარები ბათუმში შევიდნენ.

მოსკოვის მთავრობამ განსაკუთრებული დეპეშებით მთელს მსოფლიოს აცნობა — „საქართველოს გლეხები და მუშები აჯანყდნენ ბურჟუაზიული კონტრ - რევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ"-ო! შემდეგ ამას ის ცნობაც დაურთეს, რომ ქართველმა გლეხებმა და მუშებმა დაიპყრეს საქართველოს ხელისუფლება და საბჭოთა ძალაუფლება დაამყარესო! რასაკვირველია, ეს მტკნარი სიცრუე არავის დაუჯერებია! არც ქართველი მუშები და არც ქართველი გლეხები საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ არ აჯანყებულან; საქართველოს ოკუპაცია მოუხდინა რუსულმა წითელმა ჯარმა. მაგრამ ამ სიცრუეით მოსკოვს სურდა ევროპა შეცდომაში შეეყვანა და თავისი იმპერიალისტური ძალადობა დაემალა. ევროპის პრესა და საზოგადოებრივი აზრი დიდი აღშფოთებით შეხვდა რუსეთის ამ უხეშ თავდასხმას და საქართველოს შესახებ რუსეთის წინააღმდეგ დიდი ქადაგება დაიწყო.

რუსეთზე ბეჭდვითი სიტყვით თავდასხმა ისე შორს წავიდა, რომ თვითონ ტროცკი იძულებული გახდა, მოსკოვის მთავრობის გასამართლებლად, საქართველოს შესახებ წიგნი გამოეცა, რომელშიც ზემოაღნიშნული ზღაპარი ქართველი მუშებისა და გლეხების აჯანყების შესახებ განმეორებულია. შემდეგ ბოლშევიკებმა

ვეღარ დამალეს სიხარული და იძულებული გახდნენ იგი აღეარებინათ —

ჯერ კიდევ 1922 წელში, აპრილის 2 — 5-ს მეორე ინტერნაციონალის, ორნახევარი ინტერნაციონალის და მესამე ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტთა სხდომაზე ვანდერველდემ და მაკდონალდმა მოსთხოვეს ბოლშევიკებს საქართველოს განთავისუფლება. ამაზე ბოლშევიკების წარმომადგენელმა რადეკმა განაცხადა —

„რაც საქართველოს საკითხს შეეხება, ჩვენ აღარ ვიცით, რა აწუხებს ვანდერველდეს, — ის რომ თბილისში ჩხეიძესა და ჟორდანიას მაგიერ მდივანი გამოჩნდა, თუ ის, რომ ბაქოზე თავდასასხმელი კარები (ბათუმი!) ინგლისის ხელში არ არის... ეხლა, ამხანაგებო შეიძლება სხვა და სხვა აზრისა იყონ განაპირა სახელმწიფოთა შესახებ; მაგრამ რასაც ეს ნიშნავს, ესმის ყველას; სახელდობრ, რომ რუსეთზე თავდასასხმელ კარებზე, რიგა და ბათუმზე, ინგლისს უნდა ჰქონოდა ხელი... საქართველოს არ შეეძლო ნეიტრალური დარჩენილიყო. მთავრობის თავჯდომარეს ჟორდანიას ესმოდა ეს და ამიტომ თქვა — თუ ჩვენ უნდა ავირჩიოთ აღმოსავლეთის ფანატიზმსა და დასავლეთის ცივილიზაციის შორის, ჩვენ ვემხრობით დასავლეთის ცივილიზაციას“. ეხლა, დასავლეთის ცივილიზაცია მეტად კარგი საქმეა, მაგრამ დასავლეთის ცივილიზაციას ეკუთვნის არა მარტო ისეთი მშვენიერი რამე, როგორიც არის თბილისის დემოკრატია...; ინგლისი კი დასავლეთის ცივილიზაციის ნაწილად სთვლის აგრეთვე ბაქოს ნავთის წყაროებს. ნავთის წყაროებზე მოთხოვნილება მეტად დიდი ხდება არა მარტო სანავთო საზოგადოებისათვისაც რომლის უკან ინგლისის ადმირალიტეტი სდგას, არამედ თვით ინგლისის მთავრობისათვისაც. თქვენ კარგად იცით, რომ ნავთის საკითხი არა მარტო პატარა საქართველოსათვის, არამედ აგრეთვე თვით დიდი რუსეთის ხალხისათვის და რუსეთის მუშათა კლასისათვის ისეთი რამეა, რომელსაც აგრეთვე ერთგვარი მნიშვნელობა აქვს. ეხლა დამიძახა ერთმა ამხანაგმა ვენის ინტერნაციონალისა: „მშვენიერი ნავთის კომუნიზმი!“-ო (აბრამოვიჩი იძახის — მართალია, ნავთის კომუნიზმი!). როდესაც მოქალაქე აბრამოვიჩი სოციალიზმს დაამყარებს, ამას ის უნავთოდ იზამს (დიდი სიცილი). ჩვენ საწყლებს არც კი გვისწავლია ნავთი ხეირიანად მოვიხმაროთ“... ასე მჭერმეტყველებდა ბოლშევიკი რადეკი და ამით მან გამოამჟღავნა ერთი ის მიზეზი, თუ საბჭოთა რუსეთმა საქართველო რისთვის დაიპყრო — რუსეთს უნდოდა ბათუმის კარები ხელში ჰქონოდა და ბაქოს ნავთის გზა ხელთ ჰყრობოდა.

შემდეგ ბოლშევიკებს აღარ დაუმალავთ ის მოვლენა, რომ არა აჯანყებულმა ქართველმა გლეხებმა და მუშებმა დაიპყრეს საქართველოს ხელისუფლება, არამედ ნამდვილმა რუსულმა წითელმა ჯარებმა და ამას აშკარად სწერდნენ იქ, რუსეთში — რუსული სამხედრო ჟურნალი „მეხანიზაცია ი მოტორიზაცია“ (1936 წ. თებერვლის ნომერი გვერდი 18) მოგვითხრობს საქართველოზე რუსეთის ლაშქრობის შემდეგ ამბავს —

„საქართველოს განთავისუფლებისათვის (!) მეთერთმეტე არმიის ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ამ არმიის იმ ნაწილებმა, რომელნიც აღჭურვილი იყვნენ ჯავშნიანი მატარებლებითა და ტანკებით... ორი მოკლე გზაა აზერბაიჯანიდან საქართველომდე, მენშევიკურ ცენტრისაკენ, თბილისისაკენ და ამ ქალაქზე დარტყმას შეეძლო გადაეწყვიტა ბრძოლის ბედი... ამ მიმართულებით გაგზავნილ ჯარებს დაემატა რკინისგზით ხუთი ჯავშნიანი მატარებელი (ნომერი 5, 7, 77, 94) და ტანკების ჯგუფები (ნომერი 2)...

ჯავშნიანი ავტომობილების ჯგუფმა (ნომერი 55) ბრწყინვალედ შეასრულა თავისი ამოცანა 1921 წლ. 16 თებერვალს ღამით... 16 თებერვალის განმავლობაში ჯავშნიანი მატარებლები... უპასუხებდნენ ყუმბარებითა და ტყვიამფრქვევებით მტერს, რომელიც რამოდენჯერმე შეეცადა ჩვენს ჯარებზე იერიში მოეტანა, მტრის ჯავშნიანმა მატარებელმა სცადა შეტევა ჩვენი ჯარების წინააღმდეგ სალოღლის მხრიდან, მაგრამ ჩვენი ჯავშნიანი მატარებლის ნომერ 94 შორსმსროლმა ქვემეხებმა აიძულა იგი უკან დაეხია“-ო.

საქართველოს დაპყრობის ამბავი ისედაც ძნელი დასამალი იყო, ვინაიდან იმ დროს საქართველოში უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები ცხოვრობდნენ და საერთოდ იქ ბევრი უცხოელი იმყოფებოდა. ამიტომ მოსკოვის ტყუილს უცხოეთში არავითარი გამართლება და გასავალი არა ჰქონია.

საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით საქართველო დღესაც უფლებრივად დამოუკიდებელი სახელმწიფოა. რუსეთის ბატონობამ მას უფლებრივად ვერ მოუშალა მისი ღირებულება და პატივი. ამ საკითხის შესახებ ცნობილი ფრანგი იურისტი საერთაშორისო უფლების პროფესორი ლე ფურ სწერს —

საქართველოს წინანდელი და დღევანდელი (1932 წ.) მდგომარეობის

გამხილვის შემდეგ უნდა დავასკვნათ, რომ ეს ქვეყანა უფლებრივად მუდამ დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ეს დამოუკიდებლობა ორჯერ იყო ძალით დარღვეული, წინააღმდეგ გარკვეულ ვალდებულებათა. მოხდა ძალადობის ფაქტები, რომელთა წინააღმდეგ ყოველთვის ენერგიულ პროტესტს აცხადებენ გადაყენებული მთავრობანი და თვითონ ხალხი გამუდმებული აჯანყებებით-ო...

## აჯანყებანი საქართველოში

ეროვნული თუ სოციალური ბრძოლის ასპარეზზე ყველაზე უფრო მჭრელი მახვილი და სახიფათო იარაღი — აჯანყებაა. იგი ბევრ მსხვერპლს მოითხოვს და ხშირად მიზანს ვერ აღწევს. ეს იცის ერმა, ეს იცის აჯანყებულთა ფენამ, მაგრამ ისტორიაში აჯანყება დღემდე მეორდება.

ქართველი ერის გრძელი ისტორია ეროვნულ აჯანყებას კარგად იცნობს. საქართველო პარტიზანულ ომთა და აჯანყებათა კლასიკური ქვეყანაა. არა ერთხელ უბრძოლია ქართველ ერს გარეშე მტერთა წინააღმდეგ პარტიზანული ომებითა და აჯანყებებით. არა ერთხელ აფრიალებულა დროშა აჯანყებისა ქართულ მიწაზე. უცხოეთის ბატონობის წინააღმდეგ, რადგან აჯანყება აქ ყოველთვის დამპყრობელთა გასაძევებლად იყო მიმართული.

ძველმა საქართველომ არ იცის სოციალური აჯანყება ან ბრძოლა საკუთარი, ქართული წესწყობილების წინააღმდეგ. და როდესაც ამ ნიადაგზე, სოციალ - ეკონომიურ საფუძველზე აჯანყება ხდებოდა, იგი მიმართული იყო მხოლოდ იმ წესების წინააღმდეგ, რომელიც უცხო ძალამ, უცხო ბატონობამ თან მოიტანა და დაამყარა.. ამგვარად, ეს აჯანყებაც ამ შემთხვევაში ყოველთვის იყო ეროვნული, ვინაიდან იგი მოწყობილი იყო უცხო ბატონების მიერ შექმნილი წესრიგისა, და მაშასადამე, თავისთავად დამპყრობელთა ბატონობის წინააღმდეგ. ვინ ჩამოსთვლის რამდენი პარტიზანული ბრძოლა და აჯანყება გადაიხადა ქართველმა ერმა თავისი ხანგრძლივი ისტორიის გზაზე!!! მარტო მეცხრამეტე საუკუნე რომ მოვიგონოთ, საქართველოში ოცდახუთჯერ მაინც მოხდა აჯანყება!

1801 წლიდან 1905 წლამდე აჯანყებითი ბრძოლის დროშა მრავალჯერ აფრიალდა და მრავალჯერ ჩამოიგლიჯა, სისხლში გასვრილი...

ალექსანდრე ორბელიანი, 1832 წლის შეთქმულების წევრი, თავის მოგონებებში სწერდა — რაც რუსები მოვიდნენ საქართველოში, აქიდან 1812 წლამდისინ ექვსი შეთქმა გაუკეთეს რუსებს, საწინააღმდეგო მათი და იმათი გარეკისათვის საქართველოდან-ო.

1802 წ. მოხდა აჯანყება მთიულეთში, კახეთში, ხევსურეთში.

ამ აჯანყების საბაბი იყო ის მოვლენა, რომ რუსის სალდათებმა ხალხი აწიოკეს, გლეხებს სცემეს, ქალები გააუპატიურეს, ასოში ძაბრით ღვინო ჩაასხეს!

1804 წ. — აჯანყება მთიულეთში. საბაბი — რუსების მიერ დადებული ბეგარა აუტანელი შეიქმნა.

1804 წ. — აჯანყება მთიულეთში და ქართლში. კიჟინა — არა გვსურს რუსები!

1812 წ. — აჯანყება კახეთში და ქართლში. — ჩვენ გვსურს ჩვენი მეფე! და გრიგოლ ბატონიშვილი აირჩიეს საქართველოს მეფედ!

1813 წ. — აჯანყებანი და პარტიზანული ბრძოლანი, რომელთაც ალექსანდრე ბატონიშვილი ხელმძღვანელობდა კახეთში და მთიულეთში.

1819 — 1820 წ. — აჯანყებანი გურიაში, იმერეთში, რაჭაში, კახეთში, სამეგრელოში. იმერეთის აჯანყებულებმა საქართველოს მეფედ ბატონიშვილი ვახტანგი გამოაცხადეს.

1824 წ. — აჯანყება აფხაზეთში.

1826 წლიდან 1832 წლამდე შეთქმულების მზადება, რომელშიც ქართველი ინტელიგენცია და რუსულ სამხედრო სამსახურში მყოფი ოფიცრები მონაწილეობდნენ. შეთქმულება გაცემულ იქმნა და მისი მონაწილენი დასჯილი. კიჟინა — (როგორც სოლომონ დოდაშვილი დავით ბაგრატის ძეს სწერს) — გავდევნოთ ძალით მოსულნი, სამშობლოს მაოხრებელნი!

1829 წ. — აჯანყება თბილისში — სიძვირეა მეტისმეტი!

1840 წ. — აჯანყება გურიაში, იმერეთში, წებელდაში გურიაში — გადასახადების გულისათვის — შაურიანი აჯანყება!

1841 წ. აჯანყება გრძელდება გურიაში და იმერეთში. აჯანყება გორშიც.

1849 წ. — აჯანყება თბილისში.

1857 — 1862 წ. — აჯანყებანი სამეგრელოში გურიაში, იმერეთში. ქართლში, — აგრარულ ნიადაგზე.

1863 წ. აჯანყება საინგილოში — ადმინისტრატიულ უწესობათა გამო.

1865 წ. — აჯანყება თბილისში — გადასახადთა მომატების გამო.

1866 წ. აჯანყება აფხაზეთში — ავტონომიის მოსპობის გამო.

1875 წ. — აჯანყება სვანეთში — რუსული ადმინისტრაციის დამყარების გამო.

1878 წ. — არეულობა კახეთში — სალდათობის გამო.

1882 წ. — აჯანყება გურიასა და აჭარაში, — მაჰმადიანობის დევნის გამო.

1905 წ. — ფართო აჯანყება მთელ საქართველოში.

---

ყველა ეს აჯანყება, იყო იგი პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიური ხასიათისა, არსებითად მაინც რუსული წესწყობილების წინააღმდეგ იყო მიმართული და ამ აჯანყებებით ქართველი ხალხი თავის უკმაყოფილებას ხმამაღლა და თოფის სროლით გამოხატავდა.

ყველა აჯანყება, რასაკვირველია, სრული დამარცხებით დასრულდა, მაგრამ ხალხი ამ ბრძოლაში თავის ზნეობრივ დაკმაყოფილებასაც პოულობდა და ერი თავის ნებისყოფას განამტკიცებდა.

სწორედ ამ დროს იწყება კიდეც ქართულ პოლიტიკურ პარტიათა ასპარეზზე გამოსვლა და ხალხის პოლიტიკურად დარაზმვაც. ქართველი ხალხის მოწინააღმდეგობის სული ამ პოლიტიკურ პარტიებში გადავიდა და ბრძოლამ უკვე ჩამოყალიბებული პოლიტიკური ხასიათი მიიღო.

ამ ბრძოლის სულის მატარებელმა ერმა 1918 წ. თავისი სახელმწიფოებრიობა აღიდგინა და საკუთარი ცხოვრების მოწყობას შეუდგა. მაგრამ იმავე რუსეთმა თავს მოახვია ძალადობით თავისი რეჟიმი და ქართველი ხალხი არც დამოუკიდებლობის დაკარგვასა და არც უცხო წესწყობილებას არ შეურიგდა.

ღია ბრძოლაში დამარცხებული ხალხი გადადის ფარული ბრძოლის წესზე და არა - ლეგალური ანტი - ბოლშევიკური მუშაობა იწყება, რომელიც მალე აჯანყებათა ხასიათს ღებულობს.

ბოლშევიკური ჩეკა სასწრაფო ზომებს ხმარობს — იჭერს მოწინააღმდეგეთ, ასახლებს მათ, მაგრამ ჯერ კიდევ ხვრეტას გაურბის; იმ იმედით, რომ თავისი დაპირებებით ხალხს მუშებსა და გლეხებს თავის მხარეზე გადაიყვანს.

## 1921 წლის აჯანყება.

ამის მიუხედავად, ქართველმა ხალხმა აჯანყება დაიწყო სვანეთში, მთიან ადგილებში, სადაც ბრძოლა არც ისე ადვილი უნდა ყოფილიყო. ბოლშევიკებმა წითელი არმიები მიაყარეს სვანეთს და აქ ბრძოლაში ორივე მხარეს დიდი დანაკლისი ჰქონდა. აჯანყება დამარცხდა. დაიწყო დახვრეტების ხანაც.

## 1922 წ. ხევსურეთის აჯანყება

ხევსურეთში აჯანყება დაიწყო 28 აგვისტოს და იგი დიდად აქტიური და სისხლიანი იყო. წითელმა რეგულიარულმა ჯარებმა იგი სისხლში ჩაახრჩვეს, ... ბევრი დახვრიტეს... ბევრი გადაასახლეს...

ამის მიუხედავად, ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ მაინც არ ნელდებოდა. არა - ლეგალური ქართული პარტიები შეეცადნენ ხალხის უკმაყოფილებისათვის ორგანიზაციული სახე მიეცათ და ბრძოლაც ორგანიზაციულად მოეწყოთ. ამ მიზნით დაარსდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი რომელშიც ყველა არა - ლეგალური პარტიების წარმომადგენლები მონაწილეობას ღებულობდნენ

## 1923 წლის შეთქმულება

ბოლშევიკებს თავიდანვე არ მოუპატიათ ქართული ჯარი, რომელსაც ქართველი ოფიცრები ხელმძღვანელობდნენ, ჩეკის მეთვალყურეობით. ეს ქართული ჯარიც ქართველ ხალხს წარმოადგენდა და მის სურვილთა მატარებელი იყო; ამიტომ მას არ შეეძლო დამპყრობელთა ერთგული გამხდარიყო. ამიტომ ჯარში დაიწყო არა - ლეგალური ანტი - ბოლშევიკური საიდუმლო მუშაობა და დაარსდა შეთქმულების ცენტრი. შედეგი — დახვრიტეს უმაღლესი ოფიცრობა და დაშალეს ქართული ჯარი..

## პარტიზანული ბრძოლანი

საქართველო მთიანი ქვეყანაა და პარტიზანული ომებისათვის ძალიან

ხელსაყრელი და გამოსადეგი. ქართველმა ხალხმა ისარგებლა ამ თავისი გეოგრაფიული ვითარებით და მრავალი ახალგაზრდობა იარაღით ხელში ტყეში გაიჭრა. შეიქმნენ პარტიზანული რაზმები ქართლში (1. კასრაძისა, 2. ფავლენიშვილისა, 3. ლამქარაშვილისა); კახეთში — 1. კრაწაშვილისა, 2. მათიაშვილისა; ჯავახეთში — ფირ-ასი; გურიაში — გოგუაძისა, 2. მუხაშაურიასი, 3. მათითაიშვილისა და სხვანი. მაგრამ ყველაზე უფრო სახელგანთქმული და დიდი რაზმი იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილისა ,კახეთში. ბოლშევიკურ ხელისუფლებას დიდი ძალები სჭირდებოდა ყველა ამ რაზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს იყო იარაღით ბრძოლა... დიდი მსხვერპლითა და დიდი მარცხით.

### საქართველოს დიდი აჯანყება 1924 წელს

1924 წლის აგვისტოს დასასრულს, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ხელმძღვანელობით, საქართველოში დიდმა აჯანყებამ იფეთქა. აჯანყებულებმა დაიკავეს პროვინციები, აღადგინეს ძველი დაწესებულებანი, ააფრიალეს შეინდისფერი დროშა...., მაგრამ თბილისიდან წამოსულმა წითელმა ჯარებმა ზარბაზნებითა და ტყვიამფრქვევებით თოფიან - მაჭახელიანი ხალხი ყველგან დაამარცხეს.

დიდი და სასტიკი იყო ბოლშევიკური მთავრობის შურისძიება. გამარჯვებული ჩეკა აჯანყებულთ და არა - აჯანყებულთ განუკითხავად, განუსამართლებლად ხვრეტდა. სისხლის ტბები დადგა საქართველოში.

აჯანყების სისხლში ჩახრჩობის დღეებში ერთმა მოხუცმა ქალმა თბილისელ ერთ ყასაბს შესჩივლა — ხორცი ძვირიაო! ყასაბმა, რომელიც ქართველი არ იყო, მას უპასუხა — დედი-ჯან! იაფი ხორცი თუ გინდა, წადი საბურთალოზე, იქ ბევრი ხორცი არის, ქართველებს ჰკლავენო!...

### 1925 — 1926 წელი

ეს ორი წელიწადი იყო მწარე და განუსაზღვრელი გლოვის დრო — ქართველი ხალხი ძაძით იყო შემოსილი...

### 1927 წელი

ამ წელს მოხდა აჯანყება სვანეთში და ლეჩხუმში, მაგრამ მას ფართო ხასიათი არ მიუღია, ვინაიდან ბოლშევიკურმა მთავრობამ სასწრაფოდ ზომები მიიღო და ჰაეროპლანებით სოფლები გაანადგურა.

### 1928 — 30 წელი

ხალხი ბოლშევიკებს პასიურ წინააღმდეგობას უწევს. კოლექტივიზაციის გატარებამ საქართველოს ყველა კუთხეში ხელისუფლების წინააღმდეგ მასიური გამოსვლანი და თავდასხმანი გამოიწვია. ხალხი სწვავდა და ანადგურებდა კოლექტივში შესატან ქონებას, თავს ესხმოდნენ მოქალაქეთა და ინსტრუქტორებს, პარტიულ პირებს და სხვ. ამას თან მოჰყვა მასსიური დაჭერანი, გადასახლებანი, დახვრეტანი...

### 1931 — 1932 წ.

კოლექტივიზაციის შემოღებას ხალხი არ ურიგდება და თავდასხმანი გამუდმებით გრძელდებიან იმის მიუხედავად, რომ გლეხებს დაუბრუნეს ვენახის ნაწილი და ეზო. გრძელდებიან დაჭერა - გადასახლებანი...

### 1933 — 1936 წ.

კოლექტივიზაციამ და კოლექტივში მონებად გლეხების შეყრამ დიდი სასოფლო - სამეურნეო კრიზისი გამოიწვია, რომელიც შიმშილობით დასრულდა. სიღნაღის რაიონში მოხდა აჯანყება. აჯანყებულებმა მთავრობის მსგავსი ორგანიზაცია აირჩიეს და და პლაკატები გამოაკრეს, რომლითაც ისინი ბოლშევიზმის მოსპობასა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას მოითხოვდნენ....

### 1933 — 1936 წ.

ამ წელთა განმავლობაში დიდი გარდატეხა მოხდა ქართულ კომუნისტურ პარტიაში, სადაც ძველმა ბოლშევიკებმა შექმნეს მიმდინარეობა, ეგრედწოდებული უკლონისტური გადახრა. ქართველი ხალხის შეურიგებელმა ბრძოლამ კომუნიზმის წინააღმდეგ და თავისუფლების მოსაპოვებლად თვით ქართველ ბოლშევიკებზე იქონია გავლენა და ისინი იძულებული გახდნენ ქართველი ხალხის მისწრაფებისათვის ერთგვარი ანგარიში გაეწიათ. ამ ნიადაგზე წარმოიშვა ქართული კომუნისტური პარტიის ერთი დიდი ნაწილის ოპოზიცია მოსკოვის წინააღმდეგ და მოითხოვდნენ მოსკოვის ოპეკისაგან და ცენტრალური ხელისუფლებისაგან განთავისუფლებას. ამ ძრაობაში მონაწილეობდნენ ძველი ქართველი ბოლშევიკები, ცენტრალური კომიტეტის წევრები, მთავრობის წევრები და პარტიის ლიდერები, როგორც მაგალითად — ბუდუ მდივანი, მიხეილ ოკუჯავა, ნიკოლოზ ოკუჯავა, მამია ორახელაშვილი, შა-

ლვა ელიავა, მალაქია ტოროშელიძე, თენგიზ ჟღენტი და სხვა მრავალი, ხოლო მოსკოვში მათ ემხრობოდა საბჭოთა კავშირის აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი, აბელ ენუქიძე...

ამ უკლონისტურ-ნაციონალურმა მოძრაობამ მოსკოვისათვის ისეთი საშიში ხასიათი მიიღო, რომ მოსკოვმა სასწრაფო ზომებით ჩვეულებრივ სასტიკ სასჯელს მიმართა და თითქმის ყველა ბოლშევიკი, დიდი და პატარა, რომელიც ამ ეროვნულ მოძრაობას მიემხრო, დახვრეტილ იქმნენ ... ასობით...

## 1936 — 37 წ.

ხვრეტა გრძელდებოდა ამ ორი წლის განმავლობაში და დაიხვრიტნენ არა მარტო ბოლშევიკები, არამედ უბრალო ხალხიც, საერთო სიულიად ესესერის ხვრეტასთან შეთანხმებით. პროფესორები, მწერლები, არტისტები, ინჟინრები და საერთოდ, ბრალიანი და უბრალო დაუზოგველად ილეტებოდა...

## 1938 — 1939 წ.

ამ მასიური ხვრეტა - ჟლეტის მიუხედავად პროტესტები მაინც გაგრძელდა და საქართველოს ცხრამეტი უმაღლესი სასწავლებლიდან 1500 სტუდენტი გამორიცხეს და ციხეებში გამოამწყვდიეს. ამ სტუდენტთა უმრავლესობა ციმბირის კონცენტრაციულ ლაგერებში გადააგზავნეს.

ვინ დაბრუნდა იქიდან? ...

## მეორე მსოფლიო ომის ხანა 1941 — 1945 წ.

1941 წლის 22 ივნისს გერმანია-საბჭოთა რუსეთის ომი დაიწყო. გერმანული ჯარები ელვის სისწრაფით შეიჭრნენ საბჭოთა კავშირში და მილიონობით ტყვე ჯარი ხელთ იგდეს. საბჭოთა კავშირის ამ ტყვე ჯარებიდან შემდეგ, გერმანიამ ნაციონალური ჯარები შექმნა და რუსეთის წინააღმდეგ მიმართა....

რუსი ემიგრანტები სწერენ, ეს იყო რუსის ხალხის პორაჟენცობის გამოსახულებაო. შემცდარი შეხედულებაა. ეს იყო არა უბრალოდ პორაჟენცობა, არამედ იარაღით საბჭოთა კავშირის ხალხთა აჯანყება, უდიდესი და უმაგალითო აჯანყება, ისტორიაში ამგვარი, უცნობი. ყველა სხვა ერთან ერთად ქართველებმაც მიიღეს ამ აჯანყებაში მონაწილეობა და ვაჟკაცურად იბრძოლეს. ეს გრძელი ამბავია, რომელიც ცალკე ფურცლებს მოითხოვს...

## მომავალი წლები

მთელი მსოფლიო დღეს ორ ბანაკად ირაზმება და მოსალოდნელია დაუზოგველი ამ ორი ბანაკის დაჯახება. ომი იქნება სასტიკი თავისი იარაღითა და უმოწყალო წესებით...

საქართველო დიდი საფრთხის წინაშე სდგას, მას განადგურება და ალგეა მოელის ამ ომში... თუ მან სიდინჯე, მოთმენა და გამძლეობა არ გამოიჩინა... ქართველმა ხალხმა, რომლის მთელი რიცხვი დიდი სახელმწიფოს არმიის მხოლოდ უმცირეს ნაწილს თუ უდრის, წინდახედულება და თავის დაზოგვის უნარი უნდა გამოაჩინოს. დღეს ბრძოლა მაჭახელებით არა ხდება და ამიტომ ქართველი ხალხი ყოველგვარ ცთუნებას უნდა მოერიდოს, — მის ჩაურევლად გადაწყდება ვეებერთელა, მომავალი ცეცხლიანი საერთაშორისო დაჯახება...

ვ. ნოზაძე.

## ფიქრები აგვისტოს დღეებზე

საქართველოს მრავალი საუკუნეები უცხოვრია კულტურულ სახელმწიფოს ცხოვრებით და ნურავის გაუკვირდება, თუ ახლო და შორეულ მეზობელ ერებთან შედარებით, მას მეტი გამოცდილება შეეძინოს.

არა ერთხელ ყოფილა ველურ ურდოებისაგან ვარდალახული, ძლიერ მაჭმადიან მეზობელთაგან დაპყრობილი და „ლირსება - აყრილი" ერთ ადგილას მიჯაჭული. ხანდისხან მას შეეძლო კიდეც ამ ჯაჭვის გაწყვეტა და თავის აშვება, მაგრამ... ის არჩევდა დუმილით, ჩუმი დრტვინვით გაუგონარ ტკივილების ატანას და მოთმენას მომავალის ახალ იმედებით.

მან იცოდა რომ მტერსაც, ამ შემოსულ, უცხო ძალასაც თავისი თავი უნდა ამოეჭამა, რომ ერთხელ მასაც მოულოდნელი გართულება უნდა გაჩენოდა და ამ დროს ჯაჭვის გაწყვეტა ამირჩანისათვის ნაკლები ძალების განწირვას მოითხოვდა.

საქართველო თვის მცირე ძალებს განსაკუთრებულის სიფრთხილით ეპყრობოდა. მან იცოდა, რომ „მრავალ გზით პირნახადი" იყო და წინ კიდევ დიდი და მძიმე ისტორიული გზა უნდა გარდაელახა, — ეს იყო მისი უმაღლესი მისია...

ამიტომ ჩვენი წინაპრები მუდამ მოთმინებისკენ მიგვითითებდენ; რამდენჯერ ურჩევდნენ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ მეფეს ბრძენნი და ერის მესვეურნი: კვლავ ხლებოდა მტერს თაყვანსაცემად, თუნდაც ეს გამგზავრება მისთვის სახიფათოც გამხდარიყო...

ჩვენი მატიანე მდიდარია ამგვარ დამამცირებელ ტკივილების ატანით, და ყველაფერი ეს ხდებოდა არა „შეგუების" და მტერთან შესხეულების მიზნით, არამედ ცოცხალ ძალთა შენახვისათვის, ქართულის კერის შენარჩუნებისათვის.

მაგრამ მას აზრი ჰქონდა მხოლოდ განსაზღვრულ დრომდე და როცა სასწორი იქეთკენ გადიხრებოდა, საცა მისი მეტი „მოთმინება - შეგუება" უკვე ხიფათს უმზადებდა ერს და მთლიანად გადაგვარებით ემუქრებოდა, მაშინ ერთბაშად გაისმოდა ისტორიული: — „ქართველო, ხელი ხმალს იკარ... ან სიკვდილი, ან თავისუფლება"...

მეცხრამეტე საუკუნის მიჯნაზე კავკასიას და კერძოდ მისს უძველეს სახელმწიფოს — საქართველოს ახალი ძალები ეპატრონებიან.

მოდის დიდი და უტრადიციო ძალა რუსულ იმპერიალიზმისა, რომელიც მითომდა ქრისტიანულ ალთქმებით და დაპირებებით საქართველოს დარიალის კარს გაახსნევინებს.

აი, აქედან იწყება ქართველობის, მისი ძველებურ რაინდობის და ქრისტიანობის უდიდესი ტრაღედია.

მფარველობა - ერთგულების ფიცი ერთბაშად ავიწყდება „მოკავშირედ" შემოსულ მტერს.

იქნებ ამ ტკივილებსაც კარგა ხნით თმენით გაუძლებდა და აიტანდა ერი, მაგრამ აქ მოხდა მისთვის სრულიად უჩვეულო და გაუგონარი რამ: ქართველმა ერმა ისეთი რამ დაჰკარგა, რისთვისაც ის მრავალ საუკუნეთა გასწრივ ილვწოდა, მტერს ფეხქვეშ ეგებებოდა და ათასნაირ ხვრელებში ძვრებოდა.... ეს იყო მისი სუვერენობა, მეფობა და ტახტი, რომელიც ათასეულ წელთა მანძილზე სისხლისაგან დაცლილ ქვეყანას, მაინც დაეცვა და მოეტანა.

თუ საქართველოს ხალხი ეხლა ამის დაკარგვასაც შეურიგდებოდა ეს იქმნებოდა მისი უკანასკნელი ნაბიჯი: — აღიარება, რომ „როგორც ეროვნული ინდივიდუმი, ის აღარ არსებობდა.

მაგრამ საქართველოს უძველესი ვიტალური ძალები ამოქმედდებდნენ და მას ისტორიულ გზაზე თავისი სიტყვის და სახის ძველებურად გამოთქმა სწადდა. ერს სიცოცხლე სწყუროდა, მას ახალ ქმედობის პოტენციები მძლავრად აწვებოდნენ.

ჩრდილოეთიდან შემოჭრილ ძალას არ შეეძლო ამ ატავისტურ ენერგიის ჩაკვლა და მეცხრამეტე საუკუნის მატიანეს ფურცლები სავსეა ქართველი ერის აჯანყებათა ისტორიით.

რუსეთის დამკვიდრების პირველ წელშივე იწყება ქართველთა პირველი აჯანყება (1801 წ.) ამას მოსდევენ უფრო ძლიერი და უფრო მძაფრი ბრძოლები ერის ღირსების და სუვერენობის აღსადგენად: — 1802, 1804, 1806, 1812, 1819, 1832 წლები ხომ განუწყვეტელი ჯაჭვია აჯანყებათა, რუსეთმა რომ სისხლში ჩაახრჩო. ამ აჯანყებათა ცეცხლმა სამოციან წლებამდე მოაღწია და შეინახა მტკიცე დარაზმულობა ქართულ ეროვნულ სულისა.

ამ სისხლის გაღების შემდეგ, არავითარ ძალას აღარ შეეძლო ერის დაშლა და გახრწნა, მისი მტერთან შერიგება... უფსკრული უფრო ეღრმავდა.

მალე ბრძოლამ სულ სხვა სახე მიიღო, ქართველობამ ძალები მოიკრიბა და იწყო კულტურულ და ეკონომიურ მაღლობათა დაპატრონება.

აჯანყების დროშა დაიკეცა; გამრთელებული და ეროვნულად გათვითცნობიერებული ერი სხვა გზას დაჰ-

ყვა, სხვა ამბებისათვის შეემზადა და მართლაც ეს მისი ახალი ენერგია მთელის სიძლიერით და მშვენებით 26 მაისს 1918 წ. გარდაიშალა — საქართველოს სახელმწიფო აღსდგა!

3 წლის შემდგომ ყოველივე სტერეოტიპიულად განმეორდა: ეხლა იმავე ჩრდილოეთიდან იგივე იმპერია შემთხვევათა გამო გაწითლებული, კვლავ მოტყუილებით (6 თვის შემდეგ მეგობრობის ხელშეკრულების დადებისა), შემოიჭრება საქართველოში, სთელავს და ანგრევს მისს ახლად გაფურჩქვნილ აღმშენებლობას, და, რაც მთავარია, ქართულ სუვერენობას და სახელმწიფოს ეხლაც ისე, ვით 1801 წ. ერთის დაკვრით ანადგურებს... საქართველოს ის სოვეტების იმპერიის წითელ პროვინციად ხდის.

ჯერ არ ნახული ეროვნული დამცირება განაცდევინეს საქართველოს უმძიმეს მორალურ და ნაციონალურ დამცირებასთან მას წილად ხვდა დევნა, საშინელი ტერორი და სისხლის ღვრა...

ასეთ უხეშ დაწოლას უნდა მოჰყოლოდა სასტიკი პროტესტი, წინააღმდეგობის გაწევა და ერის ორგანიზაციული დარაზმვა.

საქართველოს აქაც ძველის, ნაცადის გზებით უნდა ევლო: — ერის მთლიანობა და სიმტკიცე უნდა აღედგინა და შეენახა.

მაგრამ ეს მტერი სხვა იყო, ის ყველაზე დაუნდობელი და ულმობელი გამოდგა და ყველა საამისო ცდები მტრის მიერ უსასტიკესის ტერორით თავშივე ჩაკლულ იქმნა... და სასოწარკვეთამდე მისული ერი, რომელსაც სიცოცხლე სწყუროდა თავდაცვას იწყებს და საშინელ დევნას და ტერორს აჯანყებით უპასუხებს.

ისე, როგორც წინად, გასაბჭოების პირველ წელსავე იწყება ამ აჯანყებათა სერია.

ამას მოსდევს 1922 წლის აჯანყება, შემდეგ, ეს სტიქიური წინააღმდეგობა 1924 წლის აჯანყებაში მთელი ქართველი ერის დარაზმულად გამოსვლაში გადადის.

ორგანიულად შედუღებული, აღტყინებული ქართველი ერი რამდენიმე დღეში დაეპატრონა მრავალ სოფლებს და დაბა - ქალაქებს, სუვერენობის დროშა კვლავ აფრიალდა და მარიონეტულ წითელ „მთავრობის“ თავჯდომარე და მისი მესვეურნი ტყვედ ხელთ იგდო.

ამგვარ მარცხს, რუსეთი, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდებოდა... დიდძალ ჯარს და იარაღს თავს უყრის, სისხლის ღვარებს აღენს, ცეცხლით და მახვილით გარდაუვალის საქართველოს და ბოლოს ამარცხებს...

ეხლა არავითარი შემაკავებელი ძალა აღარ არსებობს. შურისძიების წყურვილით მთვრალი რუსეთი პატარა, წამქცეულ საქართველოს შიგ გულში გაუტარებს ხიშტს... მასიური, წითელი ტერორი მძვინვარებს მთელ ქვეყანაში. „კონტრიბუციის“ სახით უდანაშაულო ხალხი ათასობით იხვრიტება.

სოფლებზე, დაბებზე, რაიონებზე ჩაწერილია რაოდენობა დასახვრეტ ქართველთა. სულერთია ვინც იქმნება ის, ოღონდ საუკეთესო, მოწინავე კი იყოს იმ ერთეულში და კონტინგენტი აუცილებლივ უნდა შევსებულ იქმნას...

აქ რუსეთმა, სხვა დეკორაციებით მოვლენილმა, სავსებით აიხადა ნიღაბი.... თვისი ველური, მონღოლური ბუნება უხვად გაშალა და საუკეთესო მამულიშვილთ თავები დააყრევინა, შორს გადაჰყარა ისე, რომ მათი საფლავიც არავის უნახავს.

ქართველობამ ყველაფერი ეს ნახა და გულის ფიცარზე დაიწერა; ერი ამ აგვისტოს წამებულთა სისხლით განბანილი, წმიდა სისხლით განწმენდილია...

მისი შერიგება, შეგუება ამ მონღოლურ, ველურ ძალებთან ვერას დროს და ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოხდება...

უფსკრული სამუდამოდ გაითხარა.

აჯანყების ხანა დამთავრდა და მისი დროშაც ერთხელ კიდევ დაიქცა.

ქართველი ერი კვლავ შეადუღა და განამტკიცა ამ გაუგონარმა შურის ძიებამ და სისხლის ღვარმა, რუსეთმა რომ აღინა მას. ის მძიმე ტკივილებ ქვეშ მოხრილი და განაწამებია, მაგრამ მაინც უდიდეს მოთმინებით აღჭურვილი, სდგას და უცდის ახალ, დიდ ამბებს.

ამ დიდ ამბებს საქართველოს აღდგომა უნდა მოჰყვეს და ახალმა ნათელმა თარიღმა 26 მაისი კვლავ უნდა გააცოცხლოს.

ჩვენს ქვეყანას ახალი პოლიტიკური აჯანყებები აღარ სჭირდება.

საქართველო დღესაც გამთელებული და გაერთიანებული სდგას მდუმარედ ეროვნულ სადარაჯოზე და სანატრელ განთიადს თმენით უცდის.

წინაპართა ანდერძი გამძლეობისა და ატანისა, მოთმინებისა დღესაც მისი წმიდა ანდერძია; მან იცის, რომ არასდროს არ უნდა მიეცეს სასოწარკვეთილებას.

მართალია, მრისხანე და დაუნდობელმა მტერმა ის ამბოხებათა ახალ ამბებში ჩაითრია, რათა მორიგი სისხლი გაეღო, მაგრამ ქართველი ერი ამ ავანტიურას არ გაჰყვა და ამბები

1930 — და 1937 წლისა მან საერთო, პოლიტიკურ აჯანყებად არ აქცია. რუსის ჯალათებს იმედი არ გაუმართლდა და ერის ფიზიკური არსებობა გადარჩენილ იქმნა.
ნაციონალურ პოლიტიკურ აჯანყების ხანა 1924 წლის აგვისტოში დამთავრდა. აქ გაივლო საზღვარი და ამაშია აგვისტოს დღეების დიდი, ისტორიული მნიშვნელობა....

კახაბერი

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება;
ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ახლა დაკავშირებით მაგონდება, პატივცემული მსმენელებო, ნოდარ წულეისკირის სიტყვა -"ნუ დავივიწყებთ მშობლიურ ენას"-, რომელიც ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრისას წარმოსთქვა მწერალთა კავშირში, და რომელიც გამოქვეყნებულია ქართულ თვითგამოცემის ჟურნალ "ოქროს საწმისის" 1975 წლის პირველ ნომერში. ამ სიტყვაში მწერალმა ნოდარ წულეისკირმა, სხვათა შორის, თქვა:

"რუსული ენა - ლენინის ენა, ოქტომბრის ენა, დიდი რუსი ხალხის ენა დიადი და მძლავრია. იგი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული ენაა. და ეს ენა უნდა იცოდეს რესპუბლიკის თვითეულმა მცხოვრებმა. ახალია ამოცანა, ახალია ცხოვრების მოთხოვნა".

"ჩემთვის გაუგებარია გამოთქმა - განაგრძობს ნოდარ წულეისკირი- "რუსული ენა - ლენინის ენა", ვითომ რას უნდა ნიშნავდეს ეს? გერმანული ენა მარქსის ენაა მაგალითად, ხოლო ბერძნული რომ პლატონის ენაა, ამით რა დასკვნამდე მივალთ? მსოფლიოში ყველაზე აღიარებული ენა მარტო რუსული ენა არ არის, ასეთი ენები ბევრია. რა საჭიროა ამგვარი გამოცალკევება?"

"რუსულ ენაზე საქართველოში გამოდის უამრავი ჟურნალ-გაზეთი და წიგნი, გახსნილია უამრავი რუსული სკოლა, უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში გვაქვს რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტები და კათედრები. მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაში, ვაჭრობა-ქარხნებში, თვით ცენტრალურ კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოში წარმოება რუსულ ენაზეა. ხოლო ყოველი ქართველის ოჯახში დგას ტელევიზორი რუსული ენის ეს დიდი პროპაგანდისტი".

"რა არის ამის მიზეზი?" - აყენებს კითხვას ნოდარ წულეისკირი და პასუხობს: "მიზეზი ის გახლავთ, რომ ახალგაზრდობას ყველაფერს ვასწავლით გარდა მშობლიური ენისა, მშობლიური ისტორიისა, ამიტომ მისი აზროვნება შეზღუდულია, მკვდარია, რაღაც იცის, მაგრამ გამოთქმა უჭირს..."

და ნოდარ წულეისკირი დასძენს: "...ენების თანდათანობით დაახლოება და ერთ ენად შერწყმა ისტორიული კანონზომიერება არ არის, ქართული ენის დავიწყება და რუსულის შესწავლა ცხოვრების მოთხოვნილება არ არის, ...კონსტიტუციის დარღვევა და ქართულ სახელმწიფოდან ქართული ენის გაძევება - ობიექტური რეალობა არ უნდა იყოს!"

# რა მოხდა

მოხდა საქართველოს აჯანყება,
მოხდა საქართველოს დამარცხება.
რას გვასწავლის ეს ორი უდიდესი მოვლენა, როგორ უნდა შევხედოთ მას და რა დასკვნები გამოვიყვანოთ აქედან?

ჩვენი მტრები ერთობ ბევრს სწერენ ამ საგანზე. მთელი ევროპა ნაყიდი კალმებისა და ენებისა უხვათ სარგებლობენ ჩვენი ერის ფიზიკური დამარცხებით და ლამიან მორალურათაც დაგვამარცხონ. ამ ფერხულს შეუერთდენ ლიბერები და რენეგატები და გამართეს ნადიმი ნაციის სასაფლაოზე. დადგა კი მართლა ამათი დრო? ლეექანდეთ ჩვენ, დარღვევის და გაქრობისაკენ? მართლა დავმარცხდით პოლიტიკურათ და მორალურათ?

გავსინჯოთ.

### I. აჯანყების დადებითი მხარეები.

მაგალითი აჯანყებისა მრავალია ისტორიაში. მათ ახასიათებს ორი ნიშანი: ორგანიზაციული—საიდუმლოთ მომზადება და სამხედრო—აფეთქება და მსვლელობა. ამ საერთო კალაპოტში თავსდება საქართველოს აჯანყებაც, მაგრამ ამასთანავე ის ხასიათდება ერთი განსაკუთრებითი თვისებით. ჩვეულებრივ საიდუმლო ორგანიზაციის საშუალებით შეუძლებელია ფართე მასის ამოძრავება და ბრძოლის ველზე გამოყვანა. ამიტომ თითქმის ყველა ცნობილი აჯანყება იწყებოდა ერთ ალაგას, ერთ ცენტრში, დიდი-დიდი ორ ალაგას, ხოლო შემდეგ ან გავრცელდებოდა ან და იქვე მარცხდებოდა. საქართველოში კი ერთ და იმავე დროს აჯანყება იწყება მრავალ სხვა და სხვა ალაგას, ერთი მეორისაგან საკმაოთ დაშორებულ მაზრებში და პუნქტებში, დანიშნულ დროს ფეხზე დადგა მრავალი ხალხი, მოძრაობაში ჩაება მასები. აი ეს მასიური აჯანყების საიდუმლოთ მოწყობა იშვიათია. ის არის ერთ და იმავე დროს აჯანყებაც და რევოლუციაც. აქ შეერთდა პოლიტიკური ორგანიზაცია და ერის სტიქია.

საქართველოს აჯანყება ნიშნავს ჩვენი ორგანიზაციული, ორგანიზაციების უმაღლეს კონსპირაციას და დისციპლინას ერთი მხრით, მთელი ხალხის გულისთქმის და პოლიტიკური წყურვილის ზედმიწევნით გამოხატვას მეორე მხრით. აი ამ ორი სთაიჯთა ერთსულოვნება, ერთ სისხლ-ხორცათ ჩამოყალიბება სრულიად უდავო ფაქტია.

აჯანყებამ ნათლად მეორე ახლთავე უდაო მოვლენა—ბოლშევიკების ერის სხეულისაგან სავსებით მოწყვეტა და მტრის ბანაკში ყოფნა. ეს ჩვეულებრივი მდგომარეობაა ტირანებისა. ტერორით მართვა აუცილებლათ იწვევს მართველთა საზოგადოებისაგან განმარტოებას. ნიკოლოზ მეორის ჟანდარმებს მეტი კავშირი ჰქონდათ ხალხთან, ვინემ დღეს ბოლშევიკებს აქვთ. ბოლშევიკს ხალხს ეშინია, მას ის თავის ზრახვებს ვერ გაანდობს, გულს ვერ გაუხსნის და მზგავსიც ვერ ჩაახედავს. თვითეულ ბოლშევიკს გაცილებით მეტი უნდობლობა აქვს ადამიანზე, ვინემ თვით მეფეებს ჰქონდათ. საკმარისია ერთი მათგანის გადამტერება, რომ გამოაშკარავდეს ან სიცოცხლეს, ან ქონებას, ან ორივეს ერთად. აი ამით აიხსნება ის გაუგონარი ამბავი, რომ გაბატონებულთათვის სრულიად შეუმჩნევლათ ხალხი ადგა ერთ დამეს, დაატყვევა კომუნისტები და გამოაცხადა თავის ხელისუფლება! ასეთი უმაგალითო კონსპირაცია შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც ხალხს და არსებულ წყობილებას შორის ხიდი სავსებით ჩატეხილია, გარდაუვალი ზღვარი გავლებულია.

ჯერ კიდევ მაისში, აჯანყების წინა თვეებში, კომუნისტური პარტია ერთ თავის ანგარიშში ოფიციალურათ აცხადებდა: „ჩვენ მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან სავსებით ან თითქმის სავსებით გაქრენ ისეთი ძალები, როგორიცაა პარტია მენშევიკებისა, ნაციონალ-დემოკრატების და ორგანიზაცია ახალგაზდა მარქსისტებისა“*). ხოლო რენეგატები რუხაძე, ჩარნიევი და კომპ. ყოველ ჯერზედინა გზაზე მენშევიზმის დარღვევას აცხადებდენ.

და აი, ეს „გამქრალი“, „დარღვეული“ პარტია ამოდის სამალავიდან და მას მისდევს მთელი ხალხი!

ასე გარიყულია პარტია კომუნისტებისა! ქართველი ერი მისდევს მხოლოდ დევნილ პარტიებს. რატომ? ცხადია რატომ. მარტო ეს პარტიები იბრძვიან ერის იდეალებისათვის, მისი სიცოცხლის და კეთილდღეობისათვის. ქართველ ხალხს სურს თვით იყოს თავის თავის მართველი, თავის თავის ბატონი, ჰქონდეს საკუთარი სახელმწიფო და ის მისი საჭიროებისამებრ მოაწყოს. აგვისტოს გასულს სწორეთ ეს ნაციონალური და დემოკრატიული დროშა აფრიალა, დროშა რომელიც საქართველოს მტერმა სამ წელიწადს ფრიალებდა და იქიდან მტერმა ხელმა ჩამოგლიჯა. ახლა ის შენახულია ხალხის გულში და მისი ამოგლეჯა შეუძლებელია.

*) „სოციალისტი“, 1924.

28 აგვისტოს ქართველი ერი ამ დროშის ქვეშ გაერთიანდა და მის დასაცავათ სისხლი დაღვარა. მან ამით საჯაროთ დასვა საქართველოს საკითხი და მისკენ მიაპყრო ქვეყნის ყურადღება. ერთი გამოსვლით ერი ვერ განთავისუფლდება, მაგრამ განთავისუფლების საქმეს კი წინ წასწევს. მტერი და მოყვარე დარწმუნებული უნდა იყოს ჩვენს განთავისუფლების სურვილში, ეს სურვილი კი ცხადდება მხოლოდ

ბრძოლით, მასის ამოქმედებით. ან ეს სტრატეგიული ჩვენმა ქვეყანამ აჯანყებით განიცადა და მსხვერპლის გაღებით ამცნო კაცობრიობას თავისი დროშა და მისწრაფება. მან მიიღო საკაცობრიო კურთხევა და შევიდა მის ოჯახში სრულუფლებიანად.

როგორც ხედავთ, აგვისტოს აჯანყებას ქონდა დიდი დადებითი შედეგები. შიგნით მან გააერთიანა მთელი ერი, ამოთხარა ორმო ჩვენს და მტრის შორის, გარეთ მან დასვა ჩვენი საკითხი კონკრეტული პოლიტიკის დღის წესრიგში.

და სწორედ ამიტომ მას ებრძვიან ბოლშევიკები და ავანტიურათ აღიარებენ. მათ აყვა ზოგი ჩვენებურიც და უკრიტიკოთ დაიჯერეს მტრის თქმული. მომხდარი ფაქტის დაფასება დამარცხებულთათვის ძნელია. მათი ლოღიკა სრულიად სადაა. მიაჩნიათ გამარჯვებული აჯანყება, უარსაყოფია დამარცხებული—აი მათი მთავარი დებულება. მართალია ეს? აქვს რაიმე კავშირი ამ აზრს რევოლუციასთან და სოციალიზმთან? არა, არაფითარი.

და მართლაც, ბევრ დამარცხებულ აჯანყებას ვადიდებთ და გამარჯვებულს უარსვყოფთ. მაგ. მუშათა აჯანყება 1848 წ. და 1871 პარიზში; დეკემბრის აჯანყება მოსკოვში 1905 წ., კრონშტადის აჯანყება 1921 წ. და სხ. განა ესენი დასაგმობია იმიტომ რომ დამარცხდნენ? აიღეთ ნაციონალური აჯანყებები—პოლონეთისა 1831 წ. და 1863 წ., უნგრეთისა 1849 წ., კრაკოვისა 1846 წ. და სხ. ყველა ეს დამარცხდა, მაგრამ მათ საპატიო ადგილი უჭირავს მსოფლიო ისტორიაში. ამ ერთა თვითცნობიერი მოძრაობა სწორედ ამ ამბებით იწყება. აი გამარჯვებული აჯანყება ბოლშევიკების (ოქტომბერში), განა ის მისაღებია იმიტომ რომ გაიმარჯვა?

ცხადია, აჯანყების საზომი არის არა გამარჯვება-დამარცხება, არამედ სულ სხვა რამ, რასაც პირდაპირი კავშირი არ აქვს ამ [illegible] შედეგებთან. აჯანყების ერთად-ერთი საზომია მისი პოლიტიკური მიზანი, მისი დროშა, მისი იდეოლოგია. რომელი ამ იდეოლოგიის მომხრეა მისთვის გაღებული მსხვერპლისაც, მოწინააღმდეგე ამ იდეოლოგიისა—მოწინააღმდეგეა აჯანყებისაც. პარიზის აჯანყებებს გმობენ ბურჟუები, აქებენ სოციალისტები; ოქტომბრის გადატრიალებას აქებენ ბოლშევიკები, გმობენ სოციალისტები. თუ მიზანი მისაღებია, მისი მიღწევა უმსხვერპლოთ, უბრძოლველათ შეუძლებელია. აქ იხმის მეორე საკითხი—ნაკლები მსხვერპლით მეტი შედეგები. ეს კი ანგარიშის საქმეა და არა პრინციპის, ხოლო ანგარიში ყოველთვის არ მართლდება.

მარქსის აზრით, აჯანყება არის ხელოვნება მსგავსად ომისა*). მისით თამაში არ შეიძლება: აჯანყება როგორც ომი უკიდურესი საშუალებაა, რომელიც შეიძლება გლახათ გათავდეს. გერმანიამ დაიწყო ომი და წააგო. აშკარაა, აჯანყება უნდა იქვას წარმოებული ხელსაყრელ პირობებში. ხალხს უნდა შეეძლოს ასეთი პირობებისათვის დაცდა. მაგრამ არის მეორე გარემოება, რომელიც ტანჯულთ უკარგავს მოთმინებას—ეს არის მტრის მწვავე უღელი: რაც უფრო ის აუტანელია მით უფრო ჩქარის ხალხი ის გადააგდოს. ამიტომ ამბობს მარქსი: აჯანყებას აკეთებს არა ხალხი, არამედ მის კისერზე მჯდომნი მტარვალნიო. ქართველმა ერმა იგემა ბოლშევიკური მტარვალობა სამ წელიწადნახევარს და ბოლოს იფეთქა. ვის შეუძლია ამისთვის მას ქვა ესროლოს? მხოლოდ საქართველოს მტერთ, მხოლოდ ბოლშევიკებს. და ეს ასეც მოხდა. ყველა არა-ბოლშევიკი, მთელი კაცობრიობა მას უცხადებდა თანაგრძნობას და უნატრიდა გამარჯვებას: მან 28 აგვისტოს სისხლით ჩასწერა თავისი ნება მსოფლიო მატიანეში.

აჯანყება ტირანიის წინააღმდეგ ღვთიური საქმეა, ამბობდენ ძველი ბერძნები. მაშასადამე უნდა იყოს ტირანია, ყოველნაირი ლეგალური საშუალებების მოსპობა საზოგადოების, სურვილის გამოსახატავებლათ და ბრძოლის საწარმოებლათ. ასეთ მდგომარეობაში მიჩნეულ ხალხს არაფერი დარჩენია თავის დასაცავათ გარდა იარაღისა. აქ შეიძლება მოხდეს ტრაღიკული მოვლენა, დრამატიული ეპიზოდები, მაგრამ არა ავანტიურული და კომიკური. აჯანყება დემოკრატიულ ქვეყანაში, რასაც ბ-ბი ასე ხშულმოდგინეთ აწყობენ (გერმანიაში, ირლანდიაში და სხ.), წარმოადგენენ მართლაც პირწავარდნილ ავანტიურას და ახდენენ საზოგადოებაზე კომიკურ შთაბეჭდილებას. და ეს იმიტომ რომ აქ ყველა საზოგადოებრივ კატეგორიას ღიაა მოძრაობა და ბრძოლა არავის აქვს აკრძალული, თავისუფლება დამკვიდრებულია, ტირანიის ხსენებაც კი არ მოიპოვება და მაშასადამე ხალხი არ არის იძულებული იარაღს მიმართოს.

ამნაირად, საქართველოს აჯანყება, გამოწვეული მოსკოვის მტარვალობით, უდიდესი მოვლენაა ერის განმათავისუფლებელი მოძრაობისა. ჩვენს ახალ ისტორიაში ის იჭერს ცენტრალურ ადგილს და მის ირგვლივ იკრიბება ყველა სასიცოცხლო ძალები.

## 9. აჯანყების უარყოფითი მხარეები.

აჯანყების დადებითი მხარეების აღიარება არ ნიშნავს მისი უარყოფითი მხარეების უარყოფას. მისი ნაკლულოვანება, მისი მოუწყობლობა ის აშკარაა, რომ საჭიროა მისი გულდასმით გამორკვევა.

აჯანყების ძირითადი ნაკლულოვანება მდგომარეობს იმაში, რომ მისი სიმძიმის ცენ-

*) მარქსის „რევოლუცია და კონტრრევოლუცია".

ტრი შეიარაღებულ გამოსვლებიდან გადავიდა უიარაღოთა გამოსვლებში, რევოლუციურ მოძრაობაში. აჯანყება დაფარა რევოლუციამ და მით ის დაასუსტა. ეს ორი აქტი სრულიად სხვა და სხვა მოვლენაა, ემორჩილება სხვა და სხვა კანონს და მიდის თავ-თავისი გზით. რევოლუცია—ეს სახელმწიფო წყობილების დარღვევა და ძალა-უფლების ახალ კლასების ხელში გადასვლაა. ამ პროცესში შეიძლება აჯანყებაც მოხდეს. მარა ის არ იქნება ეპიზოდი, წარმავალი მოვლენა, გამოწვეული რევოლუციის მიერ წამოყენებული პრინციპის ცხოვრებაში ძალით გასატარებლად. ასეთია 10 აგვისტოს აჯანყება საფრანგეთის დიდი რევოლუციისა, რის შედეგი იყო კონვენტის მოწვევა და რესპუბლიკის გამოცხადება. რევოლუცია კი ამ აჯანყებით არც დაწყებულა და არც გათავებულა; მისი მთავარი შინაარსია სამხედრო მოქმედება. მარქსი ასე განმარტავს მას:

«აჯანყება არის ანგარიში უცნობი რაოდენობით, რომელთა ღირებულება შეიძლება იცვლებოდეს ყოველ დღე. იმ ძალას, რომელსაც ებრძვით აქვს უპირატესობა ორგანიზაციის, დისციპლინის და ტრადიციული ავტორიტეტის. თუ მას ვერ დაუპირდაპირებთ მეტ ძალას, დამარცხდებით, დაიღუპებით. მეორეთ, რა კი ერთხელ შედგით რევოლუციურ გზაზე, იმოქმედეთ უდიდესი გაბედულობით, გადადით შეტევაზე; მოგერება არის სიკვდილი ყველა შეიარაღებული გამოსვლისა; ის იღუპება მოწინააღმდეგესთან შეტაკებამდე. მტერს თავს დაესხით უცებ, როცა მისი ჯარები გაფანტულია; იქონიეთ ყოველ დღე გამარჯვება, რა გინდ პატარა იყოს იგი. შეინახეთ ის მორალური სიმაღლე, რომელიც გქონდათ პირველ გამარჯვებულ დღეს. შემოიკრიბეთ გარემემო მოქანავე ელემენტები, რომელნიც განიცდიან უძლიერესის გავლენას და ყოველთვის ეკედლებიან უძლიერესს. აიძულეთ მტერი უკან დაიხიოს მანამდე, სანამ ის თავის ჯარებს თავს მოუყრიდეს. ერთი სიტყვით, დანტონის სიტყვით რომ ვთქვათ—იქონიეთ გამბედაობა, მეტი გამბედაობა, კიდევ გამბედაობა». (იქ.)

როგორც ხედავთ, აჯანყების გასამარჯვებლათ საჭიროა მრავალი შეიარაღებული ძალა და მტერზე შეუდრეკელი შეტევა. მეტი სამხედრო ძალა, მეტი გამბედაობა—აი აჯანყების მოუცილებელი თვისება. უიარაღო ხალხი მხოლოდ ტვირთია შეიარაღებულთათვის, როცა ისიც ამათ ეურთდება, მაგრამ დიდი დამხმარეა თუ ის შინ ზის და მებრძოლთ ეხმარება საზოგადოებით, ახალ-ახალი შეიარაღებული რაზმების გამოყვანით, მტრის დაზვერვით და სხვ. სწორედ ამ წესით აწარმოვა ირლანდიის უკანასკნელი წლების აჯანყებანი. მეთაურთა განკარგულებაში იმყოფებოდა არა ათასამდე მებრძოლი და მთელი ერის თანაგრძნობა. ინგლისმა ქედი მოიხარა ამ ძალის წინაშე.

საქართველოს აჯანყებამ აწარმოვა სრულიად წინააღმდეგ აჯანყების ძირითადი კანონისა, აქ ხალხის რევოლუციური გამოსვლა სრულებით ფარავს სამხედრო მოქმედებას, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. მოძრაობას მეთაურობს უიარაღო ხალხი, შეიარაღებულნი გამონაკლისია. აღმოსავლეთში მოქმედებენ უმთავრესათ შეიარაღებული რაზმები, იჩენენ თავდასხმის ინიციატივას, მაგრამ მცირე რიცხოვნობის გამო მოწინააღმდეგეთ ვერ უმაგრდებიან. მოძრაობა აქ უფრო გავს აჯანყებას, ვინემ რევოლუციურ მდგომარეობას.

საქართველოს ორი ნაწილის ორ-გვარი აჯანყება—ხალხური და რაზმული—ხატავს მათ სხვა და სხვა პოლიტიკურ მდგომარეობას და დამოკიდებულებას ბრძოლასთან: ამერი იარაღს გაცილებით მეტ მნიშვნელობას აძლევს, ვინემ იმერი. ის ისტორიულად მიჩვეულია მტერს იარაღით უსწორდებოდეს და ეს სამხედრო კულტურა მას შერჩა. იმერი არ საჭიროებდა ასეთ მეომრულ თავდაცვას, ვინაიდან შორს იყო მტრის შემოსევიდან. თუ გურიაში ხან და ხან შემოიჭრებოდა ოსმალო, უფრო კი აჭარელ-ქობულეთელი, მას უპასუხებდნენ მეზღვრესთან არა რეგულიარული ბრძოლით, არამედ ტყეში გახიზვნით და პარტიზანული თავდასხმით. სამხედრო კულტურა აქ მეტად სუსტია. ამისათვის აქ აჯანყება იღებს დემონსტრაციის ხასიათს. გურიამ აგვისტო-სექტემბერში განიმეორა სახელით 1841 წლის აჯანყება. ორივე შემთხვევაში ხალხი დგება და უსწორდება ადგილობრივ მმართველობას, გარდა ოზურგეთისა, რომელიც ორივეჯერ ერთნაირათ შემოქალდა, მარა არ აიღო. მტერზე შეტევას ორივე აჯანყება გაურბის და უცდის როდის მას შემოუტევენ. ლიკვიდაცია ორივესი დაახლოვებით ერთნაირია—ნაკლები მსხვერპლით და მეტი ლაპარაკით. სამეგრელომ განიმეორა გლეხთა აჯანყება 1859 წლისა, როცა დიდი სამხედრო შეტაკებები გადაიხადა აჯანყებულებმა. უიარაღონი აქაც ბატონობდენ, მარა იარაღსაც საპატიო ადგილი უჭირავს. შორაპნის მაზრაში ვხედავთ რევოლუციურ მოძრაობასაც და ხანგრძლივ სამხედრო მოქმედებასაც. აქ იარაღს კიდევ მეტ ფასს აძლევენ ვინემ სამეგრელოში, ხოლო ცოტა იქით, ლიხის გადაღმა ეს ტენდენცია მატულობს.

როგორც ხედავთ, საქართველოს თვითეული ნაწილი თავის ინდივიდუალურ თვისებებს აძლევს მოძრაობას. სვანეთს მაგ. სრულიად არ სწამს უიარაღო გამოსვლა. აჯანყების ყველა წესები აქ ბუნებრივათ დაცულია. აქ იბრძვიან მარტო სამხედრო რაზმები; სვანი მაგრდება ციხეებს და ხმალს ქარქაშში აგებს უკიდურეს შემთხვევაში, როცა მთელი ძალღონე ამოწურულია და პერსპექტივაც გამქრალია. საქართველოს ხშირათ მიუტოვებია სვანეთი გაჭირვებაში, მეფეთა ხანაში და ახლა ბ-ბის ბატონობაში. სექტემბერშიაც სვანეთი უკანასკნელათ დანებდა

მტერს. სვანმა სავსებით დაიმსახურა სამშობლო.

ამ ნაირათ, მეტი შეიარაღებული ძალა და ნაკლები უიარაღო—აი მთავარი კანონი აჯანყებისა—საქართველოში შეტრიალდა უკუღმა—მეტი უიარაღო და ნაკლები შეიარაღებული. აი ერთი მთავარი მიზეზთაგანი მოძრაობის დამარცხებისა.

აჯანყების მეორე ძირითადი კანონი—მტრის მთავარ ბანაკზე თავდასხმა—სრულიად არ განხორციელებულა. ასეთი ბანაკია ჩვენში თფილისი და ბათუმი. იმავე დროს ეს არის უდიდესი სტრატეგიული პუნქტები. აჯანყება უნდა დაწყებულიყო თფილისის აღებით, რაც უცებ შექმნიდა რევოლუციურ მდგომარეობას და გამოიწვევდა მთელი საქართველოს აღდგომას, შეიძლება აზერბეიჯანისა და მთისაც. აჯანყება გახდებოდა საერთო კავკასიური, ბრძოლის ხაზი გადაიქცეოდა კავკასიის ქედი და მთ ჩვენი ინტერნაციონალური მდგომარეობა უცებ შეიცვლებოდა. საერთაშორისო პოლიტიკა არის ფაქტების რიგი. ის მისდევს სინამდვილეს.

აშკარაა, მტრის მთავარი ბანაკის დატოვება და წვრიმალი პუნქტებით აჯანყების დაწყება—მეორე მთავარი მიზეზია დამარცხებისა.

რა კი აჯანყების სამხედრო მომზადებას ასეთი ორგანიზაციული და სტრატეგიული ნაკლი ქონდა, ის, ცხადია, უნდა გათავებულიყო პუჩათ, როგორც გერმანელები იტყვიან, ანუ ჯგუფურ გამოსვლათ, მსგავსათ კომუნისტური გამოსვლისა რეველში; მსხვერპლიც გაცილებით მეტი იქნებოდა. მაგრამ მდგომარეობა იხსნა პოლიტიკურ პარტიებმა, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიამ. მან ბრძოლის ველზე გამოიყვანა მასები და მისცა აჯანყებას სახალხო ხასიათი. სამხედრო თვალსაზრისით ეს უაზრო [illegible] მოვლენა შექმნილ პირობაში გახდა დიდებით მოვლენათ და ერის მორალური გამარჯვება უზრუნველყოფილათ. აი ეს თვისება მოძრ. [illegible]ისა სწრაფათ დაინახეს მტრებმა და შეეცადნენ მის მიფუჩეჩებას. ევროპაში მათ არავის სჯეროდა, მათ ცრუ დეპეშებს არც ერთი სერიოზული არ იღებდა და არ აქვეყნებდა; დასავლეთი დარწმუნდა თავიდანვე საქართველოს აჯანყების სახალხო ხასიათში და მისი გაცალობება მოსკოვს არ დაანება*).

ამ ნაირათ, აჯანყების სიმძიმე თავს დაატყდა არა მეომართ, არა შეიარაღებულ ნაწილებს, არამედ პოლიტიკურ პარტიებს, უიარაღო ხალხს და მან მოგვცა ის, რის მოცემა შეეძლო—ფიზიკური დამარცხება, მორალური გამარჯვება.

## გ. აზრთა არევა.

აჯანყება იყო მომზადებული პოლიტიკურათ და არა ტეხნიკურათ. ე. ი. პოლიტიკური ხაზი იყო სწორი, სავსებით ხალხური და ნაციონალური, ხოლო მისი განმახორციელებელი სამხედრო ხაზი არ იყო სწორი და თავის სიმაღლეზე აყვანილი. აქედან იბადება ერთათ-ერთი ტაქტიკური დასკვნა—პოლიტიკური ხაზის გაგრძელება, სამხედრო ხაზის გადასინჯვა. ამ ბუნებრივ ლოღიკას შემოწყვეტილიან ახალ მოდის ლიკვიდატორები და შექმნეს აზრთა საოცარი არევა.

აჯანყება დამარცხდა, მაშასადამე... ვიცნოთ მოსკოვის ბატონობა—აი მათი პოლიტიკური სიბრძნე. გამოდის რომ ვითომ ჩვენ ორდესმე გვაქვს: ან აჯანყება ან ბოლშევიზმი. სოც.-დემოკრატიას ასეთი სიბრიყვე არასოდეს წამოცდენია. ერის განმათავისუფლებელი საშუალება მრავალნაირია და თუ ერთი უვარგისი გამოდგა, საჭიროა მეორის და მესამისათვის ჩაჭიდება.

ერთი აშკარაა, 28 აგვისტოს გამოსვლა აღარ უნდა განმეორდეს; იმან ითამაშა თავისი როლი და კიდევ ასეთ როლში საქართველო არ საჭიროებს. მარა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქართველ ერს არ მოუწევს იარაღის ხელში აღება და განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმა, რა პირობაში მოხდება ეს?

ჩვენ უნდა გვახსოვდეს ერთი ძირითადი მდგომარეობა და იქიდან გამოვდიოდეთ. ეს გახლავს მოსკოვის ქვეყნათ გამარტოვება, მისი და მსოფლიოს დაპირდაპირება. საბჭოთა წყობილების დაცემაში მარტო საქართველო რომ იყოს დაინტერესებული, ჩვენი საქმე წინდაწინ იქნებოდა დაწერილი და არც ასეთი თამასუქით სოც.-დემოკრატია იანგარიშებდა. ნამდვილათ კი მის დაცემაში დაინტერესებულია მთელი ქვეყანა. ყველა სახელმწიფო, თვით რუსის ხალხი და, მაშასადამე, ჩვენ ჩინებულ კომპანიაში ვიმყოფებით.

ბოლშევიკური რეჟიმის სტაბილიზაცია არ მომხდარა, ვერ მოხდება არა იმიტომ რომ მას ბევრი მტერი ყავს, არამედ იმიტომ რომ მას ეს ორგანიულათ, ისტორიულათ არ ძალუძს. სახელმწიფო, რომელიც არ ცნობს ევროპის ეკონომიურ და პოლიტიკურ სისტემას—უნდა დაინგრას, მას არსებობა არ უწერია. საბჭოთა წყობილება კრიტიკულ პერიოდში იქნება სიკვდილამდე.

მაშასადამე, ერთი მხრით მოსკოვის ორგანიული სენი, მისი უისტორიობა, ხოლო მეორე მხრით მთელი ქვეყნის მასზე გადამტერება—აი ჩვენი მოკავშირე, აი ჩვენი გამყვანი ფონი. მხოლოდ როგორ ვისარგებლებთ ამით, ეს ჩვენზეა დამოკიდებული. ლიკვიდატორობა და დევდარიანობა მოასწავებს ყველა მომენტის

*) პერსელის დელეგაცია, რომელიც მოსკოვმა საქართველოში ჩამოიყვანა თავის პრესტიჟის აღსადგენათ, სავსებით დამარცხდა ევროპაში. ბრიუსელის იანვრის ყრილობაზე მის წინააღმდეგ გაილაშქრა მეორე ინტერნაციონალმა, ამსტერდამის ინტერნაციონალმა, ინგლისის მუშათა პარტიამ და სხვა ყველა სოციალისტურმა პარტიებმა.

ხელიდან გაშვებას და მონობაში სამუდამოთ ჩარჩენას.

ევროპა დიდი ქვეყანაა, რუსეთიც დიდია. მათი ბორბლების მიბრუნ-მობრუნება დროს ითხოვს. აჩქარებულთ მოთმინება ეკარგება და სასოწარკვეთილებას ეძლევა—რაკი ამდენ ხანს ჩავრჩით რუსის ხელში, აწი რაღა გვეშველებაო. მარა ერის ცხოვრებაში რა არის წელიწადი? საკითხი იზომება არა დროით, არამედ მისი შინაგანი ბუნებით. რა კი მიზანი სამართლიანია, საქმე წმინდაა, ნიადაგი ხელსაყრელია, ეს სრულიად საკმარისია ვიყოთ დარწმუნებული გამარჯვებაში.

ერის განთავისუფლება ხდება ვისიმე დახმარებით. არც ერთი პატარა ერი საკუთარი ძალღონით არ განთავისუფლებულა. მარტო საქართველო რუსეთს ვერ მოერევა, ეს უეჭველია. ეს კარგათ იცის ჩვენმა ხალხმა და ამიტომ მუდამ კითხულობს—ვინ გვეხმარებაო. პოლონეთი რამდენიმეჯერ აჯანყდა, ვერ განთავისუფლდა. ბოლოს ის ევროპამ გაანთავისუფლა. მორჩილ პოლონეთს, რასაკვირველია, არავინ დაეხმარებოდა. აუჯანყებლათ, სისხლის დაუღვრელათ, უბრძოლველათ პოლონეთის საკითხიც კი არ იქნებოდა საერთაშორისო პოლიტიკაში შეტანილი. ასეთივე ბრძოლით მიაღწიეს მიზანს ჩეხებმა, ფინლანდიელებმა და სხვა პატარა ერებმა.

ცხადია, ერის განსათავისუფლებლათ საჭიროა ორი მომენტი: ერის ბრძოლა და გარეშე ძალის დახმარება. აქედან ქართველობის შერჩენა ანტიმოსკოვურ პოზიციაზე და მუშაობის გაგრძელება ევროპაში მოგვცემს იმას, რის მიღებაც კი შეიძლება დღევანდელ ისტორიულ ხანაში.

«ახალ გზის» მაძიებელნი განაგრძობენ: ეს პერსპექტივა ჩვენც მოგვწონს, მარა სანამ ის განხორციელდება, საჭიროა თავი შევაფაროთ, ბოლშევიკებს შევუძვრეთ და მათი რისხვა ლმობიერებაზე გადავცვალოთო.

ეს ოპორტუნიზმი არ ახალია, ძველია. მას ჩვენში ასი წლის ისტორია აქვს. შეძრომის პოლიტიკას აწარმოებდა ჩვენი არისტოკრატია გასულ საუკუნეში, რისთვისაც უხვათ დაიმსახურეს ჩინები, პენსიები, სუბსიდიები. ხალხს რა ხვდა აქედან? არაფერი, გარდა მათრახებისა. ხალხი ჩაება რევოლუციურ ბრძოლაში, ოპორტუნისტები გაძრომ-გამოძრომაში, და აი, ეს დამარცხებული პოლიტიკა ამოაქვენ არქივიდან და «ახალ გზათ» ასაღებენ.

შეძრომა სარფიანია შემძრომელთათვის, საზიანოა ხალხისათვის. რატომ? ცხადია რატომ. შეძრომა შეუძლია თითო-ოროლა პირს, გუნდს, არასოდეს ხალხს. ბატონობა მოითხოვს მორჩილებას და თუ ყველა გაბატონდა, ვინ დარჩება მორჩილი? ბოლ-ზმი ნიშნავს უთანასწორობას, უფროს-უმცროსობას. მთელი ხალხის გაბოლშევიკება სპობს ბოლშევიკობას, როგორც ყველას გათავადება აუქმებს თავადობას. აი ამიტომ საბჭოები ცდილობენ ბოლშევიკთა რიცხვი არ გადიდდეს, დანიშნულ დონეს არ გადაცდეს. კომუნისტი გამოცხადებულია ხელშეუხებელ ადამიანათ და მას იცავს მთელი სახელმწიფო. ხალხი დაბმულია, ეს ვაჟბატონი აშვებულია და დაბმულზე დაუსჯელათ ნავარდობს. ხალხის აშვება მოასწავებს ამ მოთარეშეთა დაბმას. რომელი ბოლშევიკია თავის მტერი? ამიტომ როცა «მაძიებელნი» შეძრომის პოლიტიკას გვირჩევენ, ამით ისინი გვირჩევენ რამოდენიმე შემძრომელთა თბილ ალაგზე მოკალათებას, პრივილეგიურ წრეში შეყვანას, ხალხის კისერზე კიდევ რამოდენიმე ახალი ბატონის წამოჯდენას. აქ ახალი არაფერია. მას კაი ხანია აწარმოებენ რუხაძე-ფარნიევები. ამათაც დიდი დაპირებებით დაიწყეს და გაათავეს «ჭამა-სმა დიდათ შესარგით».

არა, გვეუბნებიან ლიკვიდატორები, ჩვენი მიზანი ფართეა, ეროვნულია, მისაღწევია, ოღონდ შევძვრეთ კი. გვწამს, მათი მიზანი ჩინებულია, მარა საშუალება კი უვარგისია. ვისუძვრებით, რა ხალხთან იპერთ კავშირს? აიწაიკითხეთ საქართველოს ბოლშევიკური პარტიის მიერ გამოცემული ანგარიში და კარგათ გაიცნობთ ამ ვაჟბატონებს. აქედან სჩანს შემდეგი: ჩვენში ყოფილა ორი ჯგუფი ბოლშევიკებისა, ძველი, მახარაძის მეთაურობით, და ახალი, ორჯონიკიძე-ორახელაშვილის წინამძღოლობით. ამ ორ ჯგუფს შორის გამართულა ბრძოლა ნაციონალურ საკითხის გარშემო. პირველმა შემოუძღვა რუსის ჯარს და საქართველო დაიპყრო. მარა ამასთანავე მოუნდომებიათ «საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტობის შენახვა», მენშევიკებთან იდეურათ ბრძოლა და სხვა კარგი ამბები. მელა მახეში გაება და თავი მოიმძინარა, სიზმარი იქნებაო. მახარაძის ამქარი მოუკვეთა «საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტობის» მოსასპობათ გამოუჯანყდნენ, მათ კი ეს სიზმრათ გამოაცხადეს. მოსკოვმა სწრაფათ დაუჭირა ეს უტოპისტები და მათ ალაგს დანიშნა დერჟიმორდები, როგორც ლენინმა უწოდა ორჯონიკიძის ამქარს. ამათ მაშინვე ალმართეს სასტიკანი დროშა და შეუდგნენ ქართველი ერის მოსპობას, მასზე ნაძირალთა და არა ქართველთა გაბატონებას, მოწინააღმდეგეთა ხოცვა-ჟლეტას—შაჰ-აბასის პოლიტიკის განმეორებას.*)

როგორც ხედავთ, მოსკოვს ვერ «შეუძვრია» ცნობილი ბოლშევიკებიც. ერის ინტერესები ვერ დაიცვეს კომუნისტებმაც კი. და ეს იმიტომ რომ მოსკოვს არ აქვს შესაძვრენი კარები: აქ ყველა კარი დახშულია გარდა ერთისა, ხოლო აქ კი შედიან მხოლოდ დერჟიმორდები. ლიკვიდატორებსაც ეს ერთად-ერთი კარები აქვთ შესასვლელი, მარა ამისათვის საჭიროა პირველ ყოვლისა მათი გადანათვლა დერჟიმორდებათ, თაყვანისცემა ტერორისტებისა

კულტურული მეშვობა, ეკონომიური

*) დაწვრილებით იხ. [illegible]

აღორძინება—გაზეთების ლიკვიდაციით. რომელ კულტურაზეა ლაპარაკი, რა ეკონომიკაზე მათ მშვიდობაში? თუ კულტურა ნიშნავს ეკლესიების დანგრევას, ჩვენი გაზეთების, ბოლშევიკურ ორგანოთა გამოცემას და რევოლკომუნიზმის ქადაგებას—ეს ბოლომდი მოგვიღება საქართველოს და აბაშის [illegible] ლიკვიდატორებით. თუ ეკონომიური აღორძინება ნიშნავს ხალხის გადასახადებით გაძარცვას, ეკონომიური ინიციატივის და საქმიანობის მოკვლას, ათასობით წარმოებათა და ათისათვის მიცემას, მაშინ ამით [illegible] ქვეყანა ლიკვიდატორების კარებში [illegible] კულტურული და ეკონომიური [illegible] განვითარება.

[illegible] ბიუჯეტი, ვალიუტა—ეს განა ეკონომიური აღორძინებაა არ არის [illegible] და [illegible]. მაშინ თუ დავუჯერებთ, ეკონომიური განვითარების [illegible] საშინელი განვითარება, ხოლო ჩვენ თუ დავუჯერებთ—სოკოლნიკოვის ბიუჯეტი არის მთელი რიგი ქვეყნების, საფრან[illegible]. ბიუჯეტიც სწორი აქვთ, ხოლო ვალიუტაც ოქროს ან ვერცხლის, მიუხედავათ ამისა, საარაკო სიღარიბე და უკან ჩამორჩენაა გამეფებული. აი მაგ. აბესინია, დაჰომეის სამეფო, ანამის სამთავრო, სიამის საბრძანებელი და სხ. [illegible] ვალიუტა ქონდა. საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ბელგია და მრავალი სხვა საპროგრესო ქვეყნები დღეს შერყეული ბიუჯეტით და სუსტი ვალიუტით არიან. ნიშნავს ეს მათ აბესინიის უკან დაქანებას? პოლიტიკური ეკონომიის ანბანი საბჭოთა რეჟიმშიაც [illegible]. სოკოლნიკოვის ბიუჯეტი [illegible] არა აღორძინებას, არამედ დიდ ნაციონალურ უბედურებას, ვინაიდან ის აგებულია დაცემულ მრეწველობაზე; გადატვირთულ ხალხზე, შიმშილობაზე, ტერორზე—ერთ [illegible] ბატონობაზე. ერის სისტემატიურათ ცარცვა და მისი ქონების ბოლშევიკების კასაში თავის მოყრა ვისი აღორძინებაა? ბოლშევიკების დიახაც, ხალხის კი არასოდეს. ეს სოლატაკის ბიუჯეტიც თავს ინახავს მხოლოდ და მხოლოდ აბესინური მეთოდით—ევროპიდან კარის გამოკეტით, მსოფლიოს ბაზრიდან გაქცევით და ტრესტარაკანის ეკონომიკის წარმოებით. როგორც კი მოისპობა ევროპის ალებმიცემობაში ჩაება, მისი ბიუჯეტიც გასქდება და ჩერვონეცი თავდაყირა დატრიალდება.

აი რა აზრთა არევ-დარევა გამოიწვია აჯანყების დამარცხებამ. [illegible] თუ დავუჯერებთ, ეს არევ-დარევა უმთავრესათ შეეხო ჩვენში დამწყებლებს. სამწუხაროთ, იქ ბატონებს, [illegible] არა აქვთ, [illegible] ჯანმრთელობის თვისებები—გამჭრიახობა და [illegible]—ლაპარაკის ცოებ-ცხვილება. ქართველი ხალხი ამას უკვე შეეჩვია და არც რაიმე მნიშვნელობას აქცევს ჩვენში ნაციონალიზმ აზროვნებას. დეე, ამით ბოლშევიკებმა თავი ინუგეშონ.

### 4. ბრძოლა კლასიური და ნაციონალური.

აჯანყების მიერ გამოწვეული აზროვნების ბორძიკი ამით არ თავდება. ამას წინეთ აბრამოვიჩი გვისაყვედურებდა «სოც. ვესტნიკში»—თქვენ ეწევით ბრძოლას ნაციონალურს და არა კლასიურსო. ზოგს ახლა მოაგონდა, რომ ის სოციალისტია და ნაციონალური ბრძოლის კალაპოტში თავის სოციალისტობას ვეღარ ათავსებს.

რას ნიშნავს კლასიური ბრძოლა ბოლშევიკურ საზოგადოებაში?

კლასიური ბრძოლა ნიშნავს ბრძოლას დამჩაგვრელთა წინააღმდეგ, რაიცა იღებს სხვა და სხვა ფორმას სხვა და სხვა ეპოქაში. კაპიტალისტურ საზოგადოებაში დამჩაგვრელია კლასი კაპიტალისტებისა, ხოლო ეს იპატება მის ხელში ნივთიერი სიმდიდრის დაგროვებით და პოლიტიკური ძალაუფლების დაპატრონებით.

ბოლშევიკურ საზოგადოებაში ჩაგვრის ეს ძარღვი—ნივთიერი სიმდიდრე და პოლიტიკური ძალა-უფლება —დაგროვილია ბოლშევიკების ხელში. აქ საჭიროც კი არა არის რა გარდა კომუნისტისა, ბოლშევიკური პარტიის საქმეთა საწარმოებლათ. არც ერთ საზოგადოებაში ხალხი არ არის ისე მკაცრათ და აშკარათ მოკლებული ნივთიერ და საზოგადოებრივ უფლებას, როგორც კომუნისტურში. ძველ ეპოქაში დაჩაგრულს ქონდა რაიმე გარანტია მცირე უფლებისა მაინც: დამოკიდებულება ყმის და ბატონის, მუშის და კაპიტალისტის განსაზღვრულია უფლებრივათ, კანონებით. ერთად ერთ ბოლშევიკურ ურთიერთობაში არ არის ასეთი განსაზღვრა: ჩვენ კლასი და ჯგუფი. პიროვნება გადაქცეულია უუფლებო იდიოტებათ; რომელთაც აწევთ მხოლოდ ერთი ვალდებულება—იმუშაონ და ბ-ნნი ბოლ-ბი ღირსეულათ არჩიონ.

ცხადია, ბრძოლა ბოლშევიკურ წყობილებასთან არის ერთად ერთი კლასიური ბრძოლა, რომელიც კი შეიძლება წარმოებდეს ამ საზოგადოებაში: ეს არის ბრძოლა ერთ და იმავე დროს სოციალური, კონკრეტი პრივილეგიების დასანგრევათ, და პოლიტიკური—უფლებრივი პრივილეგიების გასაუქმებლად. საბჭოთა ბატონობის მოსპობა არის უდიდესი რევოლუცია, ვინაიდან ამით თავისუფლდება მთელი ერი ტირანიისაგან და გზა ეხსნება დემოკრატიულ წყობილებას.

მართალია ბოლშევიკურ საზოგადოებაში არსებობენ შუათანა კლასები, რომელთა შორის ინტერესთა წინააღმდეგობაა მაგრამ ჯერ ერთი ეს წინააღმდეგობა მეტათ სუსტია თავის [illegible]

დაახლოებით ისეთი ზომისა, როგორიც იყო წინა-კაპიტალისტურ ხანაში. პირიქით, ამასაც ხელ-სებით ფარავს უდიდესი სოციალური შუღლი, რომელიც არსებობს საბჭოთა წობილების და ხალხს შორის. ამის გვერდით პირველი არც კი სჩანს. მას მხოლოდ ბოლშევიკები აჩენა-დებენ ტანჯულთა ყურადღების სხვისკენ მისა-პყრობლათ. განა გლეხს იმდენ ზიანს მიაყენებს «კულაკი», რამდენსაც ბოლშევიკი? პირიქით, დღეს რუსეთის გლეხობა «კულაკსა» და ხუცესს სცნობს თავის მეთაურად კომუნისტურ ძალ-მომრეობასთან ბრძოლაში. ყველა კლასი, ყვე-ლა საზოგადოებრივი წრე დაინტერესებულია ამ ძალმომრეობის მოსპობაში და ნივთიერი და პოლიტიკური უფლებების მოპოვებაში.

საქართველოში ეს სოციალური ურთიერ-თობა კიდევ უფრო გამარტივებულია. აქ ბრძო-ლა არსებულ რეჟიმთან არის კლასიურიც და ნაციონალურიც. ბოლშევიზმი ქართველ ერს მოევლინა არა მარტო სოციალურ რეაქ-ციად, არამედ იმავე დროს ნაციის დამპყრობე-ლადაც. ხალხი იმყოფება სამ ნაირ უღელს ქვეშ: ეკონომიურის, პოლიტიკურის და ნაციონალუ-რის. ბრძოლა ნაციის თავისუფლებისათვის ნიშ-ნავს იმავე დროს ბრძოლას უფლებრივი თავისუფ-ლებისათვისაც. ნაციონალური მოძრაობა ქარ-თველი ერისა არის უაღრესად კლასიური მოძ-რაობა, ვინაიდან ის მიმართულია მთავარი სო-ციალური და პოლიტიკური მტანჯველის— ბოლშევიკების წინააღმდეგ.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში ნაციო-ნალური ბრძოლა შეიძლება არ იყოს არც კლა-სიური არც პოლიტიკური. მაგალითად ირლან-დია ებრძოდა ინგლისს არა რაიმე ახალი ეკო-ნომიური ან პოლიტიკური სისტემისათვის, არამედ მხოლოდ ეროვნული თავისუფლებისათ-ვის, რადგან სრულიად არ არყევდა არსებულ სო-ციალურ რეჟიმს. მიუხედავად წარსულის ამ წმინდა ნაციონალური ხასიათისა, მას ეხმო-ბოდა ირლანდიის ყველა პარტია, რომელთაც ქონდათ შემდგარი ერთი ანტი-ინგლისური ფრონტი. თუ ეს არ იყო დასაძრახი ირლანდიე-ლთათვის, რატომ უნდა იყოს დასაგმობი ქარ-თველ ერისათვის, რომლის ნაციონალური მოძ-რაობა არის უაღრესად სოციალური მოძრაობა. ეს დასაძრახავია მხოლოდ ბოლშევიკური თვალსაზრისით, ვინაიდან რუსული კომუნიზმი მათ უმალავს ბედნიერებით მოაწნიათ. აპრაშო-ვიჩი ხომ არ არის ამ ბანაკში. მაშასადამე მის-თვის ბოლშევიკურ წარმოებასთან ბრძოლა უნდა იყოს კლასიური ბრძოლა, ან შეიძლება მას ბრძოლა არ სურს და მხოლოდ.... ვედრე-ბით ფიქრობს მის შეცვლას. ეს სხვა საკითხია. ვედრების ტაქტიკა პოლიტიკაში არ სჭრის. აქ საკითხს სწყვეტს მხოლოდ ძალთა განწყო-ბილება, მხოლოდ ბრძოლა.

ამნაირად, ბოლშევიკურ საზოგადოებაში წინააღმდეგ კაპიტალისტურ საზოგადოებისა, ერის გამანთავისუფლებელი მოძრაობა იღებს ფორმას სოციალური და პოლიტიკური მოძრა-ობისას. აქ პირისპირ დგას ერთი მხრით ყოვ-ელგვარ უფლება-უპირატესობით მოსილი წრე კომუნისტებისა და მეორე მხრით ყოველგვარ უფლებას მოკლებული მასა ხალხისა. აი აქე-დან წარმოდგება ნიადაგი საერთო ფრონტისა ყველა ანტიბოლშევიკურ ელემენტებისა.

იბადება ერთი დიდი ტაქტიკური საკით-ხი: საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ რო-გორ აწარმოოს საერთო ბრძოლა, ისე რომ თვით არ გაითქვიფოს სხვა პარტიებში. ამ შემ-თხვევაში ერთად ერთი მხსნელია პარტიის იდე-ოლოგია და პარტიის პრაქტიკა, ე. ი. ის სო-ციალური და პოლიტიკური მსოფლმხედველო-ბა, რომლითაც ის სხვავდება დანარჩენ პარტი-ებისაგან და რის განხორციელებისათვის ის ეწევა ყოველდღიურ მუშაობას. ჩვენი პარტიის ძირითადი დებულება იხატება მისი სახელწო-დებით: სოციალიზმი—დემოკრატიზმი. უკანას-კნელი პირველის გზა და ხიდია. ჩვენ შეგვი-ძლია მივიღოთ მონაწილეობა ისეთ ფრონტში, რომელიც სავსებით დგას დემოკრატიის, ხალხის სუვერენიტეტის ნიადაგზე. ასეთ ფრონტში მო-ნაწილეობას იღებს ყველა სოციალისტური პარ-ტია ევროპისა, როცა მისი აუცილებელი ჟამი დგება. შეიძლება ჩვენში არსებობენ ფაშისტუ-რი ელემენტები, პირობებში [illegible] ჯგუფის დიქ-ტატორობის მომხრეები. ესენი უშვილოდ შეეცდებიან განთავისუფლებულ საქართველო-ში ხელში ჩაიგდონ მმართველობა და თავისი კლასიური სულისკვეთება ერს მოახვიონ. ასეთ შემთხვევაში აღდგება საომარი ფრონტი და შიგ თავისუფალი საქართველო დაიღუპება. ამგვარ ელემენტებთან საერთო არაფერი არა გვაქვს. მათ უნდა ვებრძოლოთ ისე, როგორც ბოლ-შევიკებს.

პარტიის იდეოლოგია იხატება არა მარ-ტო მიზანში და საშუალებაში, არამედ მის პრაქტიკულ მუშაობაშიც. დაცვა ყოველდღი-ური ინტერესის მუშის, გლეხის, მოქალაქის და ამ ინტერესის გადაბმა უცხო წარმოებების ბატონობასთან, უნდა იყოს პარტიული მუშა-ობის შინაარსი. პარტიამ უნდა შეინარჩუნოს [illegible] გეგემონია და თავის ირგვლივ შემო-იკრიბოს, თავის ტაქტიკის ქვეშ დააყენოს ყვე-ლა სხვა უკმაყოფილო ელემენტები და პარტი-ები. მან ხელიდან არ უნდა გაუშვას სადავე მოძრაობისა და შიგ შთაბეროს სოციალ-დემო-კრატიული სულისკვეთება. ამ გარდამავალ ხა-ნაში, პარტიის უმთავრესი მუშაობა იხატება ორგანიზაციაში და პროპაგანდა-აგიტაციაში. მოშლილი თუ დანგრეული პარტიული ორგა-ნიზაციის აღდგენა, მათი პოლიტიკურ როლზე-ზე შეყვანება და ფართო იდეური პროპაგანდის გაწევა — აი მიმდინარე მოღვაწეობის საგანი. ხალხს ეპირება არა მარტო საშორეო პოლი-ტიკური მიზანი—ქვეყნის განთავისუფლების— ქადაგება, არამედ ამასთანავე ახსნა-განმარტება ყოველდღიური მოვლენის და ხელმძღვანელობა ყოველდღიური ბრძოლის. ბოლშევიზმთან ნა-

გოგიერი ბრძოლა შეიძლება მხოლოდ სოცია-ლისტური იდეოლოგიით და მის საფუძველზე უნდა დაეყრდნოს სოც.-დემოკრატიის მოქმედება.

საქართველოს გვერდით პოლიტიკური მიმდინარეობა, თვით ბოლშევიკებიც კი ერის მთავარ საკითხად აღიარებენ ნაციონალურ საკითხს. გათვითცნობიერებულ, პოლიტიკურად ჩამწიფებულ თავისუფალ ხალხს აუცილებლად წართმევს თავისუფლება, დამოუკიდებლობა, პოლიტიკური სიმწიფე და მას ბორკილები დაადგეს-მისი სულიერი სიმაღლე ეტანჯება ამ ფიზიკური დამცირებით და აქედან იბადება ერის ტრაგედია. სოციალ-დემოკრატია იქნებოდა სექტა და არა მასიური პარტია, რომ მას ეს ეროვნული საკითხი თავის საქმედ არ გამოეცხადებინა და მოქმედების ღერძად არ ექცია. მარქსიზმი არ არის დოგმა, როგორც ფიაკვანი უ ვლელათ კითხულობს. ის ცოცხალი მეთოდია, რომლითაც უნდა მიუდგე ცოცხალ საზოგადოებას და მის გულში ჩაწყობილი ამოიკითხო. ხოლო აქ კი სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა ამბავი იწერება და ვაი იმ პარტიას, რომელიც მუდამ ერთ და იმავე დაზეპირებულ ამბავს კითხულობს. ქართველი სოციალ-დემოკრატია არასოდეს არ ყოფილა შებოჭილი ამ დოქტრინალური სიბეცით და სწორედ ამაშია მისი ძლიერება. სანამ ამ გზაზე ივლის ის უკვდავია, როგორც კი სექტანტობა დასჩემდება, ის მტრის მსხვერპლი გახდება.

დასკვნა.

დატყვევებულმა საქართველომ შინჯა ყველა გზა ტყვეობისაგან განსათავისუფლებლად; საკუთარი ძალღონით მოსკოველთა განადევნა მიზანს ვერ მიაღწია. ეს საშუალება არ გამოდგა მიზანშეწონილი. მაგრამ დარჩა სხვა გზები, სხვა საშუალებები, გაცილებით უფრო მყარი და ძლევამოსილი. ეს არის საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო კრიზისი, რომელიც თანდათან აღრმავდება და ჩვენ გვიმზადებს ერთგულ მოკავშირეს. ეს იქნება ბრძოლა უკანასკნელი, საცოცხლის და თავისუფლების მომნიჭებელი.

ხუთი ათასი უმანკო მსხვერპლი ჩვენ შემოგვცქერის; ხუთი ათასი გათხრილი საფლავი ჩვენ გვიწოდებს ერთგულებისაკენ. მებრძოლი ერი არ დაივიწყებს მათ მცნებას და არ დატოვებს მათ საფლავს ყვავ-ყორნის დასაცინარათ.

ნ. ჟორდანია.

15 იანვარი 1925. წ.
პარიზი.

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია ერისა და პიროვნების თავისუფლება,
ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემულო მსმენელებო, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის - ამბროსის - სიტყვები, რომლებითაც მან მიმართა ბოლშევიკურ სასამართლოს 1924 წელს, თბილისში. მოგახსენებთ: ბოლშევიკებმა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი (ამბროსი) გაასამართლეს იმისათვის, რომ მან 1922 წელს ოფიციალური მემორანდუმი-წერილი გაუგზავნა გენუის კონფერენციას იტალიაში, რომელშიც ის აღწერდა საქართველოს მაშინდელ უმწეო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ მდგომარეობას და მოითხოვდა საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ნაწილების გაყვანას საქართველოდან და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. და როცა ბოლშევიკური სასამართლო შეეცადა მისი უწმინდესობის - ამბროსის - მორალურ გატეხას და მოითხოვდა მისგან თავისთავის დამნაშავედ აღიარებას, კათალიკოს-პატრიარქმა - ამბროსიმ - ბოლშევიკ მოსამართლეებს უპასუხა:

"ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, ჩემი გული საქართველოს, ხოლო ჩემს გვამს რაც გსურთ ის უქენით!.."

ას-1830 - მოსკოვსა და საქართველოს შორის 1917 წლამდე და მის შემდგომ პერიოდში არსებულ ურთიერთობათა მიმოხილვა.

(თბილისი),1974 წელი.(არა უადრეს 6 თებერვლისა).

რუსი მწერლები და საქართველო - II.

დიქტორი: რუსეთისა და რუსი მწერლების დამოკიდებულებას პატარა ერების თავისუფლებისადმი ეხება ქართული თვითგამოცემის დოკუმენტი,რომელიც დათარიღებულია 1974-ი წლით და რომელშიც,სხვათა შორის, ვკითხულობთ:

უკანასკნელ წლებში ლღობა იწყო დიდმპყრობელური რუსული შოვინიზმის ყინულმა.და რუსი ინტელიგენციის წიაღში გამოჩნდნენ ადამიანები,რომლებიც თანაგრძნობით შესცქერიან პატარა რესპუბლიკების ბედს და იბრძვიან კიდეც მათი უფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.ასეთებია:სოლჟენიცინი,სახაროვი და სხვები. ისინი მოითხოვენ კონსტიტუციის იმ მუხლის ფაქტიურ შესრულებას, რომლის მიხედვითაც უფლება აქვს თვითეულ რესპუბლიკას,შევიდეს სსრ კავშირის შემადგენლობაში ან გამოვიდეს მისგან.

აი,რას სწერდა რუსი პოეტი ანდრეი ბელი:

"...არა ერთხელ მსმენია,რომ ქართველებმა ცხვირი ასწიეს, ავიწროებენ რუსებს:არ ვიცი,არ შემინიშნავს;ჩემს ფოცოპარაცს, რომელიც მკაფიოდ აღიქვამდა ყველაფერს,არ გამოუმჟღავნებია ქართული "ნაციონალიზმის"რაიმე ნიშანწყალი.ქართველი ხალხი ჩემში აღიბეჭდა მთელი თავისი სიმშვენიერით:ცოცხალი,ბევრის აღმთქმელი მომავლით,შეკავშირებული უძველესი კულტურით(ო,უფრო ძველი ვიდრე ჩვენია),და მე შეურაცხყოფილად ვიგრძნობ თავს დღემდე მოარული უხამსი ანეკდოტების გამო,რომლებშიდაც დასცინიან"აღმოსავლეთელ ხალხს".ჩვენ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ ქართველებიდან:ტაქტი,გულითადობა,თავდაჭერილობა,შეერთებული ნამდვილ და არა სახაცილო გულმართლობასთან.როდესაც მეუბნებიან მე ქართულ "ნაციონალიზმზე",

სტალინის სიკვდილის შემდეგ მდგომარეობა რამდენადმე გამოს-წორდა. მთავრობასაც მოშორდა მუდმივი შიში და სისხლის სუნი. ისიც ოცნებობდა დაეხსნა იმ ვულკანისაგან, რომელზედაც იჯდა მრავალი წლების განმავლობაში, ოცნებობდა ტკბილ ძილზე. მასიური დახვრეტები შეწყდა. არ შეწყვეტილა მხოლოდ იმათი დევნა, ვინც განაგრძობდა სტალინურ ბოროტმოქმედებათა მხილებას და სთავაზობდა მთავრობას მთლიანად შეეცვალა სტალინური კურსი. მაგრამ, 1956 წელს (9 მარტს), საქართველოში ადგილი ჰქონდა აღმაშფოთებელ ფაქტს: ახალგაზრდების დემონსტრაციის წინააღმდეგ გამოყვანილ იქნა სატანკო ნაწილები და თბილისის ქუჩებში მოკლულ იქნა 500-მდე ახალგაზრდა. ამრე ბავშვებს სკოლის მერხებიდან უნერგავდნენ, რომ სტალინი-ღმერთია, და უცებ გამოაცხადეს, რომ ის იყო არამზადა. ახალგაზრდობაში თავი იჩინა პროტესტის ხმამ, რომელმაც შემდეგ აგრეთვე პატრიოტული ფორმაც მიიღო: წამოყენებულ იქნა ლოზუნგები საქართველოსათვის თვითგამორ-კვევის უფლების მინიჭების შესახებ, რასაც ხელისუფლებმა დემონ-სტრანტების დახვრეტით და მრავალრიცხოვანი რეპრესიებით უპასუ-ხეს. ამ ამბების შემდეგ, დღემდე ახალგაზრდული მოძრაობა საქართვე-ლოში არ წყდება.

ურჩხული ჯერაც არ არის დაუძლურებული. სახელმწიფო უშიშროების ხროვის, მომსახურე ჯიჯისწამებათა მნთხეველი საბჭოთა პრესის და-ღებული სახით, სმების დამრხევი მოწამლული ენით ჯერ კიდევ იმუქ-რება, ფრუტუნს, შიშს თესავს. მაგრამ ურჩხულიც შეიძლება სასარგებლო იყოს იმისათვის, ვინც არ უშინდება მას, არ ეცემა მორალურად, ვისაც ჯერ კიდევ არ დაშრეტია სიყვარული მოყვასისადმი და არ ჩაქრობია გონება. ასეთი ადამიანები ფეხით ქელავენ ურჩხულს, რომელიც კიდევ უფრო ბასრს ხდის მათ ვაჟკაცობასა და სიმამაცეს. ბევრს მიაყენა ზიანი ურჩხულისეულმა არსებამ - სტალინმა, ბევრმა მოისარა ქედი მის წინ. ჩვენ არ ვკისრულობთ მათ გასამართლებას. მაგრამ დარჩნენ დაუმარცხებელნიც, გამოწრთობილნი ურჩხულთან ბრძოლაში, რომლებმაც სააშკარაოზე გამოიტანეს მისი საზიზღარი ნამოქმედარი. ერთ-ერთი

მე არ ვუსმენ."რუსულ მუზს"მე აღვიქვამ,როგორც ნამდვილ რუს შავრაზმელში ჩამალულ მარქენალ რქებს;ქართველთა "მარქენალი რქები"მე არ მინახავს,მაგრამ მე მაქვს ნანახი სხვა "რქები", რომლებითაც ძველი ადათის მიხედვით საქართველოში სვამენ ღვინოს ძმურად და მეგობრულად.

რუსებს ქართველები ექცევიან თავაზიანად.ჩვენი კულტურისა და ჩვენი პოეტების,-პუშკინის,ვრუბელის,ლერმონტოვის მეშვეობით ჩვენ უკვე დაძმობილებულნი ვართ ქართველებთან;ვისაც უყვარს ეს პოეტები მას უყვარს საქართველოც.ვის უყვარს საქართველო,-ამას გრძნობენ ქართველები...

და როდესაც მესმის,რომ ქართველები ჩვენ გვავიწროვებენ,მე ვფიქრობ:"სხვას რად ქირდავ მეგობარო,სახე შენ თვითონ მოღრეცილი გაქვს"...

...ქართველთა სისხლი - უძველესი ღვინოა,ღრმა ცანჯვებზე დაყენებული;ჩვენ ჯერ კიდევ ცხოველების ტყავი გვემოსა,საქართველომ რომ პირველმა მიიღო დარტყმები მონღოლებისა და სპარსელებისაგან.

...და მთელი საქართველო-სიმღერაა:მოწივი კეთილშობილური, სიტყვები მოზომილი და ნაღვლიანი....

...დიახ,საქართველოში დუღდა და გადადუღდა კულტურა,როდესაც ჩვენ მხეცებივით ტყეში დავეხეტებოდით.ისინი ჩვენზე უფროსებია, ჩვენ მათგან ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ"(ა.ბელი,ქროლვა კავკასიიდან",1928 წ.)

მეგობრობა თავისუფლად უნდა მოედინებოდეს გულიდან.არ არსებობს ძალმომრეობასა და პროპაგანდისტულ-ადმინისტრაციულ ღონისძიებებზე დაფუძნებული მეგობრობა.

საქართველო არ არის რუსეთთან მეგობრობის წინააღმდეგი,ისევე როგორც არ არის წინააღმდეგი სხვა ხალხებთან მეგობრობისა.ჩვენ ვიცით რუსი ხალხის უბრალოება და გულითადობა.მაგრამ ვიცით აგრეთვე მისი გადამეტებული ნდობა და მორჩილება მთავრობისადმი. რუს მოქალაქეს რატომ უნდა პაჩნდეს ბუნებრივად ის გარემოება,

რომ რუსეთის ჯარები დგანან ჩეხოსლოვაკიაში ან სხვა ქვეყნებში? კარგია,როდესაც შენს სახლში,შენს ოჯახში იჭრება მეზობელი,მეგობრობის ან სიყვარულის მოტივით ეუფლება შენს მეუღლეს,ადუნებს და თრგუნავს შენს ნებას?

თუ რუსეთი სთვლის,რომ მან გაათავისუფლა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ფაშიზმისაგან,გაათავისუფლოს იგი თავისი ჯარებისაგანაც.ასე იქცეოდნენ ყოველთვის ჭეშმარიტი რაინდები – იცავდნენ სუსტებს,მაგრამ თვითონ არასოდეს არ გაიხდიდნენ მათ მონებად.

ვინც ქარს დათესავს – ქარიშხალს მოიმკის.თუ რუსეთი არ დაიმსახურებს პატარა ერების სიყვარულს,შესაძლოა მსოფლიო კატასტროფის პირისპირ,გასაჭირში მარტოდ მიატოვებენ მას:მადლიერობა ხომ მეტად არა საიმედო საყრდენია.

სხვადასხვა ერების კავშირში არ იქნება თანასწორობა,ვიდრე ყველაზე მრავალრიცხოვანი მათ შორის უარს არ იტყვის თავის პრივილეგიებზე,ვიდრე არ დააყენებს თავის თავს სხვების თანაბრად. პოლიტბიუროში რატომ არიან უმრავლესობა რუსები,სსრ კავშირის დედაქალაქი რატომ არის რუსეთში,მაშინ როდესაც თუნდაც თვით რუსეთში შესაძლებელი იყო ახალი დედაქალაქის აგება,სადაც იცხოვრებდნენ ყველა ერების წარმომადგენლები და სადაც ყოველ ორ წელიწადში არჩეული იქნებოდნენ ახალი მდივნები,მინისტრთა საბჭ თავმჯდომარეები რიგ-რიგობით ყველა რესპუბლიკიდან.

მაგრამ სასაცილოა ასეთ დათმობებზე ლაპარაკი.ხალხი ხომ არჩევნებზე ყოველთვის ერთსადაიმავე ცეკას მდივნებსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევს და არასოდეს სხვა ვინმეს. ეს უცვლელი მდივნები და თავმჯდომარეები ან უნდა გარდაიცვალონ (თავისით ან ვინმეს დახმარებით),როგორც ეს მოხდა სტალინის შემთხვევაში,ან ხმაურით უნდა გადმოვარდნენ თავიანთი პოსტებიდან ცეკას რიგგარეშე სხდომებზე,როგორც ეს მოხდა მალენკოვისა და ხრუშჩოვის მიმართ.დიახ,რა თქმა უნდა,არა ხალხი,არამედ ვიწრო პარტიული დაჯგუფებები მონაწილეობენ საბჭოთა მთავრობის არჩევნებში.თვითონ მთავრობის წევრებისთვისაც ხომ უმჯობესი იქ-

ნებოდა არ ეკავოთ პასუხსაგები პოსტები ორ-სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში.ხომ არსებობს არა მარტო თანამდებობაზე დანიშვნის სასიხარულო წუთები,არამედ მოხსნის სამწუხარო წუთიც და მის შემდეგ უკვე მთლად უსიხარულო დარჩენილი ცხოვრება. გარდა ამისა,ხანგრძლივი დროის მანძილზე ადმინისტრაციულ ხელმძღვანელ პოსტზე ყოფნა შინაგანად ფიტავს ადამიანს,-უხეშსა და ჩლუნგს ხდის მას.ასევე,სრულიად ბუნებრივი იქნება,თუ საბჭოთა მთავრობა დაუშვებს მეორე პარტიის არსებობას.

რუს ხალხს დიდი მომავალი აქვს.და ეს მომავალი მდგომარეობს არა სამხედრო ძლიერებაში,არამედ ახალი მსოფლიო კულტურის გაფურჩქვნაში.ეს იქნება კულტურა საერთო სახალხო სიყვარულისა და თვითგატაცებისა.უკვე დღეს ჩანს ახალი რუსეთის პირველი ყლორტები.ესენი არიან სოლჟენიცინი,სახაროვი და ბევრი სხვა მამაცი ადამიანები,რომლებსაც ესირცხვილებათ თავიანთი სახელმწიფოს ძალმომრეობისა და თარეშის გამო.

ღირსების შეგნება შეიძლება არა სამხედრო ძლიერებითა და ბალისტიკური რაკეტებით,არამედ იგი აღმოცენდება შეგნებულ, მოაზროვნე და თავგანწირულ ინდივიდუუმებში.სიმამაცე ჩაქსოვილია არა მძვინვარე ზამთარსა და ყინვაშიც,არამედ ნაზ ენძელებსა და იებში,რომლებიც არ უშინდებიან სუსხს და პირველნი ამოზენ ხოლმე გაყინულ მიწას,რითაც დიდი სითბო და სილამაზე მოაქვთ მსოფლიოსათვის,რომელსაც გაზაფხულის მოახლოებას ამცნობენ.

/ კათარზისი – რევოლუციური მოვლენაა;ეს არის უეცარი აფეთქება; ნახტომი ადამიანის შინაგან განვითარებაში.ეს ისეთივე საოცარი კანონზომიერებაა,ადამიანის შინაგან ცხოვრებაში,როგორც დუყებისა და კოკორების უეცარი გადაშლა.ეს არის მეხსიერების ელვისებური აღგზნება,როდესაც ჩვენს თვალწინ ჩვენს მიერ,ჩვენის თანხმობით ან ჩვენის მდუმარე თანდასწრებით ჩადენილ ბოროტებათა სურათები ჩაიქროლებენ.მათ მივყავართ საშინლად აფორიაქებულ მდგომარეობამდე და ამ წამების ჟამს იბადება ჩვენში ახალი

ადამიანი – ჩვენი შინაგანი მე,რომელიც იმავე დროს ჩვენი ულმობელი მოსამართლეც ხდება.

სინდისის ამოზოჭრებას ნეხლიუდოვის[1] სულში,შემთხვევით როდი ადარებდა ლ.ტოლსტოი გამოღვიძებული ბუნების აფეთქებასა და გაზაფხულის დაუცხრომელ ვეგეტაციას.ადამიანის პიროვნულ საზღვრებს გამცდარმა სინდისმა,რომელიც იწინათგრძნო ლ.ტოლსტოიმ,სოლჟენიცინისა და სახაროვის მოღვაწეობაში,სოციალური და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა მიიღო.

ხალხის უმრავლესობა რუსეთში რომ ისეთი იყოს,როგორიც სოლჟენიცინი და სახაროვი არიან,– მაშინ ჩვენ,პატარა ხალხების წარმომადგენლები,ხელს ავიღებდით ჩვენს ეროვნებაზე და ვიტყოდით, რომ ჩვენც რუსები ვართ;იმიტომ,რომ ანდრეი ბელი,სოლჟენიცინი, სახაროვი და მათი მსგავსნი წარმოადგენენ ზენაციონალურ სახეებს, ჭეშმარიტად მსოფლიო მასშტაბის მოქალაქეებს.და პირიქით:საბჭოთა მოქალაქის პასპორტის ადმინისტრაციული,იძულებითი წესით შემოღება და მისგან ეროვნების მაჩვენებელი გრაფის მექანიკური ამოღება მხოლოდ გაღიზიანებასა და სიძულვილს გამოიწვევს.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან,რომ საბჭოთა წყობის გადაგდება ვიქადაგოთ,მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია საბჭოთა წყობის გარდაქმნა.საბჭოთა კავშირმა პატივი უნდა სცეს მოქალაქეობრივ უფლებებს და გააუქმოს კოლონიალური რეჟიმი,–საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხებს კი უნდა მიეცეთ თვითგამორკვევის უფლება,რაც ჭეშმარიტად მოწინავე სახელმწიფოდ აქცევს მას.

დასანანია,რომ სოლჟენიცინს,ჩალიძეს,მაქსიმოვსა და სხვა მათ დამაგვართ,საბჭოთა მთავრობა აძევებს ქვეყნიდან ან აპატიმრებს. ჩვენ გვინდა მოვაგონოთ საბჭოთა ხელმძღვანელებს,თუ ძველმა ბერძნებმა და რომაელებმა როგორ გააძევეს მშობელი ქვეყნიდან თავიანთი საუკეთესო მოქალაქეები – მილციადი,თემისტოკლე,ციცერონი, ინგლისელებმა – ბაირონი და შელი.დიდხანს ითვლებოდა ლტოლვილად ღვთიური დანტე,18 წლის განმავლობაში იყო გაძევებული საფრანგე-

---

1.გმირი რომანისა"აღდგომა".

თის უდიდესი მწერალი – ვიქტორ ჰიუგო,გერმანიიდან თომას მანი და ს.შ.

მაგრამ რა?- უმღეროდნენ და მხატვრული ფორმებით ასახავდნენ რა ჭეშმარიტებას,ისინი იქცნენ შუქურებად მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის,მათ მდევნელებს კი ამაგებს მთელი მსოფლიო.

სამწუხაროდ,ეს ვერ იქცა სათანადო მაგალითად ძლიერთათვის ამა ქვეყნისა.ამას მკაფიოდ მოწმობენ საბჭოთა კავშირში მომხდარი უკანასკნელი მოვლენები,რაც იმაზე მიუთითებს,რომ ურჩხული ჯერ ვერ ხედავს სათანადოდ თავის მომავალს,არ ესმის,რომ საჭიროა კანი გამოიცვალოს,გაადამიანდეს,განიწმინდოს,გასპეტაკდეს და გაღვთისნიერდეს..ოდესღაც,ძვირად ზღო ისრაელმა თავის საუკეთესო შვილთა შემუსვრისათვის.

არ უნდა დაგვავიწყდეს,რომ უფალმა მანამ არ აღგავა მიწისაგან სოდომი და გომორი,ვიდრე არ გამოიყვანა მათგან უცოდველნი და უბიწონი.

ახლა ნათქვამი ქართულ თვითგამოცემით დოკუმენტში,რომელიც დათარიღებულია 1974 წლით და რომელიც ეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას.

<u>გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..</u>

ქართული რედაქცია-რადიო "თავისუფლება"

ავტორი: "ესტ-უესტ", 1956 წ., ივნისი

## სპეციალური გადაცემა: 1956 წლის თბილისის სტუდენტთა დემონსტრაციის წლისთავი:

წამყვანი: (სიგნალი, მუსიკა............)

ჩვენი პროგრამის მეორე ნაწილი მთლიანად მიძღვნილია 1956 წლის თბილისის სტუდენტებისა და ახალგაზრდა მუშების მასობრივი დემონსტრაციების წლისთავისადმი.

(მუსიკა.......)

1956 წლის 5-ი მარტიდან 9-ა მარტამდე თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში, მაგალითად, სოხუმში ჩატარდა სტუდენტებისა და ახალგაზრდა მუშების მასობრივი დემონსტრაციები, რომლებმაც თბილისში ტრაგიკული ხასიათი მიიღო.

(მუსიკა: "გაფრინდი შავო მერცხალო")

სხვათა შორის, პატივცემულო მსმენელებო, ახალგაზრდა დემონსტრანტებში მარტის იმ დღეებში გაისმოდა ჩვენი ეროვნული სიმღერა - "გაფრინდი შავო მერცხალო", რომელიც 1956-ი წლის მარტის დემონსტრაციების, ასე ვთქვათ, ჰიმნად იქცა...

(მუსიკა)

1956-ი წლის 5-ი მარტს,

თბილისში დაიწყო სტუდენტებისა და ახალგაზრდა მუშების დემონსტრაციები, რომლებმაც ეროვნული ხასიათი მიიღო. თბილისში მაშინ შეყვანილ იქნა თავისი სისასტიკით ცნობილი 8-ე პოლკი და მშვიდობიანი დემონსტრაციები სისხლში იქნა ჩახშობილი.

დასავლეთის პრესამ მაშინ დაწერა, რომ თბილისში მოკლულ იქნა 120-მდე კაცი, დაიჭრა 200-ზე მეტი, ხოლო რამდენიმე ასეული გადასახლებულ იქნა.

მაშინ უამრავი მასალები გამოქვეყნდა დასავლეთის პრესაში თბილისის ამ ტრაგიკული მოვლენების შესახებ. ვრცელი სტატიები და კომენტარები გამოაქვეყნეს ამერიკულმა გაზეთმა "ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნმა", ფრანგულმა გაზეთებმა "ფიგარომ", "მონდმა", გერმანულმა გაზეთებმა "ზიუდდოიჩე ცაიტუნგმა", "მიუნხნერ მერკურმა" და მრავალმა სხვამ.

თბილისის სტუდენტებისა და ახალგაზრდა მუშების დემონსტრაციის წლისთავთან დაკავშირებით, დღეს გვსურს გაგაცნოთ წერილი, რომელიც ამ მოვლენებთან დაკავშირებით გამოაქვეყნა ფრანგულმა ჟურნალმა "ესტ-უესტმა", 1956-ი წლის ივნისის ნომერში. აი რას წერს ჟურნალი "ესტ-უესტი" ამ მეტად საინტერესო სტატიაში, რომლის სათაურია: "თბილისის დემონსტრაციები და მათი მნიშვნელობა".

ლექტორი I: კრემლის თეორეტიკოსების მტკიცებით, საბჭოთა რეჟიმის გამარჯვებით ბოლო მოეღო ყველა სახის სოციალურ, ეკონომიკურ და ნაციონალურ უთანხმოებებს,

მაგრამ, 1956-ი წლის 9-ა მარტს, ქართველებმა ამკარად უარყვეს ეს ილუზიები. ამ დღეს, პირველად საბჭოთა კავშირში, მოხდა რაღაც მნიშვნელოვანი. რა მოხდა თბილისში?, კითხულობს ჟურნალ "ესტ-უესტში" გამოქვეყნებული წერილის ავტორი. განა მართლაც, რომ სტალინიზმის თაყვანისმცემლებს სურდათ დაემტკიცებინათ მათი ერთგულება გარდაცვლილი და შემდეგ მასხრად აგდებული ღმერთისადმი; ან პროტესტი განეცხადებინათ ლიკვიდაციის მოსალოდნელი შედეგების გამო? თუ, პირიქით, მოხდა საწინააღმდეგო, ე.ი. ქართველი ხალხის გამოფხიზლება, რომელმაც გამოიწვია სიძულვილი და მძინვარება აუტანელი რეჟიმის მიმართ, რომელსაც ბოლო არ უჩანს?

ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ ამ კითხვაზე პასუხს გავცემთ მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა დოკუმენტებზე დაყრდნობით. ამ შემთხვევაში, ჩვენ მივმართავთ დოკუმენტთა სამ სერიას: ძარცის "ზარია ვოსტოკას" სტატიებს, თბილისის უნივერსიტეტის რექტორისა და საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, დეპუტატ კუჭრაძის ორ ინტერვიუს, და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მჟავანაძის და მისგან საქმეთა

მინისტრის მოადგილის ძუსელიძის მიერ 19-ც მარტს თბილისში წარმოთქმულ სიტყვებს.

რა ცნობებს გვაწვდიან ეს დოკუმენტები 9-ა მარტის ამბების მოცულობაზე?

საბჭოთა ოფიციალური ვერსიის მიხედვით, განაგრძობს წერილის ავტორი, 9-ა მარტს, თბილისში, მოსახლეობის საეჭვო ელემენტებმა გამოიწვიეს არეულობა ქალაქში, სტალინის გარდაცვალების მე-3-ე წლისთავზე დანიშნულ ლეგალური მანიფესტაციის დროს. თუ ამ ინფორმაციას სარწმუნოდ მივიღებთ, მაშინ საქმე გვაქვს ტერორისტულ და უხეშ მანიფესტაციასთან, და არა აჯანყებასთან. მაგრამ, ვიქტორ კუპრაძე, ინტერვიუში უნებლიედ გვაძლევს ძვირფას ცნობებს 9-ა მარტის მოვლენების ნამდვილ მასშტაბზე. შეკითხვაზე, მთავრობა თუ მიიღებს სადაწგებო ზომებს პირველი მაისის დღესასწაულის დროს არეულობის აღსაკვეთად თბილისში, კუპრაძემ სხვათაშორის უპასუხა:

დიქტორი- II:-" სიფრთხილის ზომების მიღება ძირითადათ საპრო-პაგანდო ორგანოების ფუნქციებში შედის. მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ საბჭოთა ორგანოებმა კარგი გაკვეთილი მიიღეს 9-ა მარტის პრო-სტალინური დემონსტრაციების დროს, და რომ გაკეთებული იქნება სათანადო დასკვნები. მსგავსი ამბების განმეორება არ იქნება დაშვებული."

დიქტორი - 1: კითხვაზე, თუ იქნა გაძლიერებული მილიციის რაზმები ამ მოვლენების შემდეგ, კუპრაძემ განაცხადა:

დიქტორი - II:"არ ვიცი. წესრიგის დაცვა მილიციას ევალება. მე ვფიქრობ, რომ მილიციამ 9-ა მარტის დემონსტრაციების დროს ბევრი რამ ისწავლა. ამ გამოცდილებას გამოიყენებს წესრიგის დარღვევის ასაცილებლად მომავალი დღესასწაულების დროს."

კუპრაძის
დიქტორი - I: ეს იძულებითი აღიარება უფლებას გვაძლევს შემდეგი დასკვნები გავაკეთოთ, წერს ფრანგულ ჟურნალ "ესტ-უესტში" ამოქვეყნებული წერილის ავტორი. პირველ ყოვლისა, 9-ა მარტის დემონსტრაციების დროს ამოქმედებული იქნა ჯარი და მილიცია. შემდეგ, "მათ

ჯაცური გარეგნული მიიღეს; მაშასადამე ჯარმა და მილიციამ თავი ვერ შეაჩერეს მანიფესტაციის მონაწილე მასშტაბს. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა შემდეგი ვითარების დასკვნა გავაკეთოთ: ვინაიდან ჯარიც და მილიციაც ამოქმედდა დემონსტრანტების წინააღმდეგ, თან მათი აქცია შეიმარა, მაშასადამე მანიფესტაციის მასშტაბი ძალიან აჭარბებდა ოფიციალურ წყაროების მიერ დახატულ სურათს. სინამდვილეში, ეს მიტინგი ალბათ მასშტაბური ხასიათისა იყო.

ამას გვიმტკიცებს აგრეთვე რექტორ კუპრაძის სხვა განცხადებებიც, რომლებიც ცნობებს გვაძლევენ მანიფესტაციის სიმძაფრეზე. როცა რექტორს მიმართეს, დაესწრებოდა, თუ რა მოხდა 9-ა მარტს თბილისში, მან განაცხადა:

დიქტორი – II "სტუდენტებმა მოძრაობა შეაჩერეს ქალაქის ქუჩებში. გადააბრუნეს ტრამვაის ვაგონები და კერძო მანქანებით დაჯირითობდნენ ქალაქში, რითაც ჭანჯა და უბედური შემთხვევები გამოიწვიეს." რექტორმა დაუმატა " რა თქმა უნდა, მხეცური სისწრაფის განვითარებით, მანქანებმა ადამიანებიც იმსხვერპლეს. გარდა ამ უბედური შემთხვევებისა, მე არ მგონია, რომ სხვა მოკლულები ყოფილიყვნენ".

დიქტორი – I: თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის უნივერსიტეტის რექტორს და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, მაშინ საქმე გვაქვს საკმაოდ აღიარებასთან. უფლება გვაქვს დაბეჯითებით ვთქვათ, რომ 9-ა მარტის დემონსტრაციებმა ისეთი მძაფრი სახე მიიღო, რომ მათ შედეგად მოჰყვა ადამიანის მსხვერპლი. ის ამბავი, რომ ადამიანის მსხვერპლი თვით გამოწვეული იყო მხოლოდ ავტომობილების ავარიების შედეგად, მრავალსაც არ ჯერათ. კუპრაძე აღიარებს აგრეთვე, რომ მოძრაობა მთლიანად იყო შეჩერებული და რომ ტრამვაის ვაგონები გადაყირავებული იყო. კუპრაძის მიერ გაკეთებული განცხადებებიდან კი აშკარად მტკიცდება, რომ 9-ა მარტს თბილისში ადგილი ჰქონდა არა უბრალო დემონსტრაციას, არამედ ჭეშმარიტ აჯანყებას. რა თქმა უნდა, მეტის აღიარება არც იყო მოსალოდნელი ისეთი ოფიციალური პირისაგან, როგორიცაა

ვიქტორ კუპრაძე. [illegible] შეგვიძლიან დავასკვნათ, რომ 9-ა მარტის გამოსვლების მასშტაბი და სიმძაფრე მეტად დიდი იყო. ყოველ შემთხვევაში, მისი მსგავსი არ ყოფილა საქართველოში 1924-ი წლის აგვისტოს აჯანყების შემდეგ. თუ ყოველივე ამას დავუმატებთ კუპრაძის აღიარებას, რომ ადგილი ჰქონდა რეპრესიებსაც, მაშინ ზუსტი წარმოდგენა გვექნება იმაზე, თუ რა მნიშვნელობის უნდა ყოფილიყო თბილისის 9-ა მარტის გამოსვლები.

წერილის ავტორი შემდეგ ეხება რეპრესიების საკითხს და წერს: თვით საბჭოთა წყაროებიც უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ აჯანყებას თან მოჰყვა რეპრესიები. ამას, სხვათა შორის, ადასტურებს საქართველოს კომპარტიის პირველი მდივნის მჟავანაძის მიერ 19-ც მარტს წარმოთქმული სიტყვაც, რომელშიც იგი მკაცრად აკრიტიკებს ადგილობრივ ტრიბუნალებს იმისათვის, რომ რეპრესიები არ იქნა გატარებული მეტი სიმკაცრით. ესეც ცხადყოფს, რომ რეპრესიებს ნამდვილად ჰქონდა ადგილი.

კუპრაძე კი თავის მხრივ არაპირდაპირ იძლევა ცნობებს რეპრესიების სახითზე. მან განაცხადა:

დიქტორი - II: " მე კატეგორიულად ვუარყოფ სენსაციურ ხმებს, რომელთა მიხედვით თითქოს მოკლული იქნა 1.000-ბით კაცი. არ შემიძლია ვთქვა, რომ იყო მოკლულები. პირადათ ვფიქრობ, რომ საერთოდ მოკლულები არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, უნივერსიტეტში არც რეპრესიები, არც მსხვერპლი არ ყოფილა. რაც შეეხება სხვა ინსტიტუტებს, ამის შესახებ არაფერი არ ვიცი."

დიქტორი - I: სხვა ადგილას, კუპრაძემ გააკეთა განცხადებები, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგება ზემოთქმულს, სახელდობრ, მან თქვა: "არ შემიძლია ვთქვა, თუ რამდენი კაცი იქნა მოკლული. მე მგონია, რომ საერთოდ არც კი ყოფილა მოკლულები". შეკითხვაზე - დაიღუპნენ თუ არა სტუდენტები?, კუპრაძემ უპასუხა: " არ ვიცი, მაგრამ მე პირადათ ვფიქრობ, რომ იყვნენ დაჭრილები". ბოლოს, მან აღიარა: " რა თქმა უნდა, ამ ამბებს მსხვერპლი მოჰყვა."

კუპრაძის განცხადებებიდან გამომდინარე უხერხულობა და წინააღმ-

ლეგიზანი თავისთავად ლაპარაკობს. სურს თუ არ სურს, კუპრაძე გვეუბნე-ბა: იყო რეპრესიები, იყვნენ დაჭრილები, იყო მოკლულებიც. კუპრაძე პირდაპირ არ ამბობს, რომ მსხვერპლი გამოიწვია რეპრესიული ძალების მო-ქმედებამ", მაგრამ ეს აშკარაა, თუ მის განცხადებებს ერთმანეთთან შე-ვადარებთ. "ვფიქრობ იყვნენ დაჭრილები" - "არ შემიძლია ვთქვა, თუ რამ-დენი კაცი იქნა მოკლული" - "რა თქმა უნდა, ამ ამბებს მსხვერპლიც მოყვა" - ამ ფრაზებს კომენტარი არ სჭირდება, და თუ არა ზუსტ, სრულ სურათს მაინც გვაძლევს 9-ა მარტის ამბებზე: თბილისში ადგილი ჰქონდა მძაფრ გამოსვლებს, გამოსვლები ატარებდა მასობრივ ხასიათს, მსხვერ-პლიც იყო. გამოსვლებს მოყვა სისხლიანი რეპრესიები.

ჟურნალ "ესტ-უესტში" გამოქვეყნებული წერილის ავტორი შემდეგ ეხება კომპარტიის და ოფიციალური ორგანოების როლს და წერს: არ უნდა დავივიწყოთ ის ფაქტი, რომ 9-ა მარტის პროსტალინური დემონსტრაციები ორგანიზებული იყო ადგილობრივი კომუნისტური პარტიის მიერ.

როგორც ჩანს, კომპარტიის პასუხისმგებელ პირებს არ ჰქონდათ გათვალისწინებული, თუ რა მიმართულებას მიიღებდა მათ მიერ მოწყობილი დემონსტრაცია, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ სწორედ მათი ინი-ციატივით მოეწყო დიქტატორის გარდაცვალების დღის აღნიშვნა. აი რას წერდა 1956-ი წლის 9-ა მარტის გაზეთი "ზარია ვოსტოკა":

დიქტორი-II: დღეს, რესპუბლიკის ყველა მოედანზე, დარბაზებში ეწყობა მიტინგები, სტალინის გარდაცვალების 3-ი წლისთავის აღსანიშნა-ვად."

დიქტორი- I: რექტორი კუპრაძე თავის მხრივ 9-ა მარტის ამბებს აჯანყების დაწყებამდე, ასე აგვიწერს:

დიქტორი-II: "სტალინის გარდაცვალების დღეს, 5-ი მარტს, ხალხმა თავი მოიყარა სტალინის ძეგლთან, თბილისში.. შემდეგ დღეებში, ამ თავ-მოყრამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ოფიციალური ტრიბუნებიდან წაკითხუ-ლი იყო ლექსები და წარმოთქმული იყო სიტყვები სტალინის ღირსებაზე. 9-ა მარტის მიტინგები ლეგალური იყო, ნებადართული მთავრობის მიერ და მო-წყობილი პარტიის მიერ."

დიქტორი - I: ამ სიტყვებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ, წერს ჟურნალ "ესტ-უესტში" გამოქვეყნებული წერილის ავტორი, რადგან მათში მოცემულია ძირითადი და გადამწყვეტი ელემენტები. პირველ ყოვლისა, საქართველოს კომუნისტური პარტია - მისივე აღიარებით, კრემლთან ამჟამად წინააღმდეგობაში აღმოჩნდა: მიუხედავად მოსკოვის ინსტრუქციებისა, საქართველოს კომპარტიამ მაინც მოაწყო სტალინის დიდების დღე. შემდეგ, და [illegible] დასავლეთის პრესაში, 9-ა მარტის დემონსტრაციას პროსტალინური ხასიათი მისცა არა ქართველმა ხალხმა, არამედ კომუნისტურმა პარტიამ და ხელისუფლებამ. კუპრაძის მტკიცება, რომ 9-ა მარტის დღე მოეწყო იმისათვის, რომ ხალხი თითქოს პროსტალინურად იყო განწყობილი, სავსებით არ გამოდგება. ვის უნახავს, რომ საბჭოთა მთავრობას თავისი პოლიტიკა გაეტარებინოს საზოგადოებრივი აზრის საფუძველზე?! ამ მნიშვნელოვან პუნქტს კიდევ შევეხებით, ამჟამად კი დავკმაყოფილდეთ იმის კონსტატაციით, რომ საქართველოს კომპარტიაში ყველაფერი რიგზე ვერ არის. საქართველოს კომპარტია უთანხმოებაშია კრემლთან და მეორეს მხრივ დაქუცმაცებულია მძაფრი შინაური წინააღმდეგობებით. ამას ცხადყოფს კომკავშირის გენერალური მდივნის და კომპარტიის ერთ-ერთი მდივნის ახლახან გადაყენება.

მაგრამ მარტო საქართველოს კომპარტია როდია დაავადებული. შეინიშნება აგრეთვე ე.წ. განქორწინება პარტიასა და პროფესიულ ორგანიზაციებს შორის, რომლებშიც ფაქტიურად მთელი საზოგადოება.. შეინიშნება აგრეთვე გასხვისება ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებსა და პარტიის ბელადებს შორის. ეს ბზარი დაგმო თვით მჟავანაძემ, თბილისის პარტაქტივის კრებაზე. ორატორებმა ამ კრებაზე სასტიკად გააკრიტიკეს მილიციისა და სასამართლო ორგანოების მოქმედება. მჟავანაძე კი კიდევ უფრო შორს წავიდა; მან განაცხადა:

დიქტორი- II: "თბილისის სასამართლო ორგანოები, და პირველ რიგში პროკურორები არ ღებულობენ ეფექტურ ზომებს სპეკულანტების, ბანდიტების და ანტისოციალური ელემენტების წინააღმდეგ. პარტიული, კომკავშირული და პროფესიული ორგანიზაციები მათ საჭირო დახმარებას არ უწევენ."

დიქტორი-I: იხმება კითხვა: შეგნებული ჰქონდა მჟავანაძეს მისი ამ სიტყვების რეალური და სრული მნიშვნელობა? თუ რომ [illegible] საქართველოს ცხოვრების სექტორებს, რომლებსაც იგი ბრალს დებს სიმპათიებში ოპოზიციის მიმართ, საერთო ჯამში გამოდის, რომ საბრალდებლო სკამზე დასმულია რესპუბლიკის ყველა ორგანიზაცია. და მართლაც, საზოგადოებას რაღა ნაწილი რჩება, თუ მას გამოვაკლებთ პარტიულ ორგანიზაციებს, სასამართლო ორგანოებს, კომკავშირს, საბჭოებს და პროფესიულ ორგანიზაციებს? თუ ამას მივუმატებთ ოპოზიციის მიერ აღიარებულ უნივერსიტეტს, რომელიც სასტიკად იქნა გაკრიტიკებული, სხვა არაფერი რჩება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიტყვები - "პროფესიული ორგანიზაციები". [illegible] მჟავანაძის ნიშნავს : საქართველოს რესპუბლიკის ხალხი მთლიანად სიმპათიებს იჩენს ოპოზიციის მიმართ.

ჩვენ არ გვინდა შევამციროთ სტუდენტების როლი 9-ა მარტის გამოსვლებში, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ "მარია ვოსტოკას" მიერ წაყენებული ბრალდება უნივერსიტეტის წინააღმდეგ, რაც შემდეგ გადაბეჭდილი იყო დასავლეთის გაზეთებში, უბრალო დივერსიად გვეჩვენება. უდაოა, რომ ოფიციალურ საბჭოთა პრესას სურდა ყურადღება გაემახვილებინა რეჟიმისად-მი მტრულად განწყობილ მხოლოდ რამდენიმე ელემენტზე, და არა ოპოზიციურად განწყობილ მასებზე - და მჟავანაძის სიტყვები ფანტავს ილუზიებს; მარტო სტუდენტები არ არიან მოსკოვის რეჟიმისადმი ოპოზიციურად განწყობილნი, არამედ ქართველი ხალხი მთლიანად, დაწყებული მოსამართლეებიდან უბრალო მუშებამდე.

გავეცით რა პასუხი კითხვას, თუ ვინ მიიღო მონაწილეობა 9-ა მარტის გამოსვლებში, უფლება გვაქვს ვიკითხოთ, ან უფრო სწორად, ვკითხოთ საბჭოთა დოკუმენტებს - რატომ?

როგორც ვიცით, საბჭოთა ოფიციალური ვერსია 9-ა მარტის დემონსტრანტებს წარმოგვიდგენს რეაქციონერებად და დიქტატურის თაყვანისმცემლებად. ასეთი ახსნა-განმარტება მოკლებულია საფუძველს. ვის წინააღმდეგ აჯანყდნენ ე.წ. "პროსტალინელები"? პარტიისა და ადგილობრივი მთავრობის წინააღმდეგ. მაგრამ სწორედ პარტიამ და მთავრობამ თავად პროსტალინური დღის მოწყობა. ამ შემთხვევაში, რატომ უნდა გამოუჩინა.

მტრობა ქართველ ხალხს პროსტალინური მანიფესტაციის მომწყობთა მიმართ? როგორც ვხედავთ, სტალინის კულტი არ შეიძლება იქნას გამოცხადებული აჯანყების წყარო. რექტორი კუპრაძე არაპირდაპირ გვაწვდის ნამდვილ მიზეზებს. მისი თეორია შემდეგია:

დიქტორი- II: "სტალინის მიძულე პროვოკატორებმა და საეჭვო ელემენტებმა წააქეზეს სტუდენტების ეროვნული გრძნობები და მათი მიზნებისათვის გამოიყენეს ისინი."

დიქტორი- I: მაშასადამე, განაგრძობს ჟურნალ "ესტ-უესტში" გამოქვეყნებული წერილის ავტორი, კუპრაძის აზრით, საქმე გვქონია წინასწარ გამიზნულ პროვოკაციასთან. ანტისტალინელებმა თითქოს წააქეზეს სტუდენტები გამოევლინებიათ [illegible] ნაციონალიზმი სტალინის კულტის გამო. მიუხედავად ამ აბსურდული განცხადებისა, საინტერესოა მაინც ერთი ფაქტი: დესტალინიზაცია გადაიქცა ეროვნული [illegible]

ზად. იყო [illegible] არა პროვოკაცია, სინამდვილეში არაფერს არ ცვლის. კუპრაძის სიტყვებიდან ჩანს, რომ 9-ა მარტის დემონსტრაციებში სტალინის აჩრდილის როლის მეორეხარისხოვანი იყო, ხოლო პირველ ადგილზე იყო ნაციონალიზმი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა საბჭოთა კომენტარში, როცა საქმე ეხება პროსტალინიზმს, მაშინათვე იწყებენ ლაპარაკს შოვინიზმზე თუ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმზე, რომელმაც მანიფესტაციისაკენ უბიძგა ქართველ ახალგაზრდებს. ასე მაგალითად, კუპრაძე აცხადებს:

დიქტორი - II: "მხოლოდ ანტისოციალური ელემენტები და პროვოკატორები არიან არეულობის პასუხისმგებელნი. მათ გამოიწვიეს მოსახლეობაში ნაციონალიზმი და პროსტალინიზმი".

დიქტორი - I: მაშასადამე, მარტის დღეების პროსტალინურ ხასიათზე ლაპარაკი ზედმეტია. ეს მხოლოდ საბაბი იყო. ყოველ შემთხვევაში, მთელი საბჭოთა პრესა მაშინვე ალაპარაკდა ქართულ ნაციონალიზმზე. ის ფაქტი, რომ ასე გაასმაურეს ქართული ნაციონალიზმი, [illegible] იყო რეჟიმისათვის, ადასტურებს, რომ ის ნამდვილ მორალურ საფრთხეს წარმოადგენს რეჟიმისათვის. კუპრაძე პირდაპირ ამბობს:

"არეულობის დროს, დემონსტრანტები გაიძახოდნენ ნაციონალისტურ, აკრძალულ ლოზუნგებს" - "პროვოკატორებს გარკვეული მიზნები ჰქონდათ და მათ გააღვივეს ქართული ნაციონალური გრძნობები".

18-ი მარტის "ზარია ვოსტოკა", ავლებს რა ზღვარს პატრიოტიზმსა და ნაციონალიზმს შორის, წერს:

"დიდი განსხვავებაა არსებობს საბჭოთა შემოქმედებით პატრიოტიზმსა, მომქმედ პატრიოტიზმსა და ნაციონალიზმს თუ შოვინიზმს შორის, რომ ეს [illegible] გამოვლინდა თბილისში 9-ა მარტს!/[illegible]

იგივე "ზარია ვოსტოკა" აშკარად აღიარებს, რომ არა სტალინიზმი, არამედ მხოლოდ ნაციონალური გრძნობები იყო დემონსტრაციების მამოძრავებელი ძალა. იქვე წერილში, ნათქვამია, რომ მხოლოდ და მხოლოდ უნივერსიტეტის ნაციონალისტური ელემენტები პასუხისმგებელნი არიან 9-ა მარტის არეულობისა.

დაბოლოს, კუპრაძე საინტერესო ცნობებს იძლევა იმაზე, ვისაც იგი მოძრაობის ხელმძღვანელებად თვლის. როცა მას ჰკითხეს, დაზუსტებია, თუ ვინ არიან ის "ბნელი ელემენტები", რომლებზედაც მუდამ ლაპარაკობდა, მან განაცხადა:

ლიქტორი -II: "ეს ელემენტები ალბად იყვნენ მექისხორები, უფლებაწართმეულნი, როგორც მაგალითად ყოფილი კულაკები, და , მუხამბეზელია, უკვე დიდი ხნის წინ განადგურებული პარტიების წევრები. მრავალი მათგანი გადასახლებიდან დაბრუნდა და შეიძლება ზოგი მათგანი უკმაყოფილო ელემენტებია."

ლიქტორი -I: ვინც კი ცოტათი ჩახედულია ქართულ საქმეებში, აღნიშნავს წერილის ავტორი, მათთვის ნათელია, რომ კუპრაძეს აქ მხედველობაში ჰყავს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც საქართველოში მუდამ იყო ყველაზე აქტიური და ძლიერი პარტია, და რომელიც სათავეში [illegible] საქართველოს [illegible] ყრის, 1918-დან 1921-ა წლებში. აქ საინტერესოა აღინიშნოს საბჭოთა ოფიციალური პირის აღიარება მასზე, რომ გრძელდება მისახლეობის პოლიტიკური აქტივობა. [illegible] აშკარად მტკიცდება, რომ 9-ა მარტის დემონსტრაციები იყო არა/ნაციონა-

ლიზმის უბრალო აღტკინება, არამედ გამოწვეული იყო ნაციონალური გრძნობების უ..ველავებით და საბჭოთა რეჟიმისადმი შეუწყვეტელი მტრობით.

საბჭოთა დოკუმენტების მიხედვითაც კი ასე გამოიყურება 9-ა მარტის დემონსტრაციების არსი. ჩვენ [illegible] რომ ეს მოძრაობა სისხლში იქნა ჩახშობილი და შემდეგ რეპრესიები ჩატარდა. გარდა ამისა, 9-ა მარტის [illegible] დაადასტურებულმა [illegible] არსებობა თვით იდეიალურ ორგანიზაციებში.

ამგვარად, 9-ა მარტის დემონსტრაციები გამოწვეული იყო არა ტირანის ხსოვნით, არამედ ქართველი ხალხის ღრმა და საყოველთაო მტრობით საბჭოთა რეჟიმისადმი. ქართველი ხალხი არ წამოეგო "დესტალინიზაციის" და "მოჩვენებითი ლიბერალიზაციის" ანკესზე. ქქართველმა ხალხმა დაამტკიცა, რომ უნდა გაგრძელდეს ბრძოლა აუტანელი დიქტატურის წინაამდეგ და ეს ბრძოლა მან, პირველმა, ბრწყინვალედ გაიჩაღა. ქართველებმა 9-ა მარტს ისევ აამოძრავეს ისტორიის ჩარხი.

ჩვენი დასკვნების დასადასტურებლად, ამბობს წერილის ავტორი, აქვე მოგვყავს შემდეგი ცნობები საქართველოში ჩატარებულ რეპრესიების შესახებ:

"ავსტრიელი სამხედრო ტყვე, რომელიც იქნა განთავისუფლებული საბჭოთა ტყვეობიდან, იძლევა ცნობას ერთ-ერთი ბანაკის შესახებ, რომელიც გაშენებულია ენისეის ნაპირზე და რომელიც მან ინახულა 1956 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში. მან თქვა, რომ აპრილის პირველ დღეებში 1 ასობით ქართველები ჩამოიყვანეს თბილისიდან და საქართველოს სხვა ქალაქებიდან, საიდანაც ისინი გადასახლებული იქნენ 9-ა მარტის ამბების შემდეგ."

სარწმუნო წყაროდან მიღებული ცნობით, თბილისის დემონსტრაციების შედეგად მოკლული იქნა 106-ი კაცი, დაიჭრა 200-ზე მეტი და რამდენიმე ასეული გადასახლებულ იქნა. ეს ცნობები აშკარად ლაპარაკობს მასზე, რომ სტალინიზმი არ მომკვდარა.

წამყვანი: 1956-ი წლის მარტის დემონსტრაციების წლისთავთან დაკავშირებით, ჩვენ გადავეცანით სრული ტექსტი წერილისა, რომელიც გამოაქვეყნა ფრანგულმა ჟურნალმა "ესტ-უესტმა" 1956-ი წლის ივნისში და ივლისში. გაანალიზებულია იმავე წლის 9-ა მარტის ქართველ სტუდენტებისა და ახალგაზრდა მუშების დემონსტრაციების მთელი არსი. დაბოლოს, ისევ მოვისმინოთ ჩვენი ხალხური სიმღერა – "გაფრინდი შავო მერცხალო", რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, თბილისის სტუდენტებისა და ახალგაზრდა მუშების დემონსტრაციების, ასე ვთქვათ, ჰიმნად იქცა.

და ამით გვსურს აგრეთვე მოვიგონოთ ის ახალგაზრდები, რომლებიც გახდნენ მსხვერპლი უხეში ძალისა, როცა მშვიდობიანი დემონსტრაცია სისხლში იქნა ჩახშობილი.

(სიმღერა: "გაფრინდი შავო მერცხალო!")

ლაპარაკობს რადიო თავისუფლება!..

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "ლაისილან")

ჩვენი დევიზია – ერისა და პიროვნების თავისუფლება, ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემულო მსმენელებო, ნობელის პრემიის ლაურეატის, ცნობილი რუსი მწერლისა და მოაზროვნის – ალექსანდრე სოლჟენიცინის – სიტყვები, რომელიც მან თქვა პრეს-კონფერენციაზე, ციურიხში, 1974 წლის 16 ნოემბერს:

"ნაციონალური პრობლემების სიცხარე დღეს საბჭოთა კავშირში უფრო მწვავეა, ვიდრე ეს მეფის რუსეთში იყო. თუ ნაციონალურ წინააღმდეგობათა სიმწვავეს მიწისძვრის თორმეტბალიანი შკალით განვსაზღვრავთ, მაშინ მეფე რუსეთში ეს იქნებოდა სადღაც ორ ბალზე, ხოლო დღეს საბჭოთა კავშირში არის ათ ბალზე".

"...ჩვენი ზრუნვა იქითკენ უნდა იყოს მიმართული – დასძენს ალექსანდრე სოლჟენიცინი –, რომ ეს, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირში ასე გამწვავებული ნაციონალური პრობლემა, როგორმე არ დავუშვათ აფეთქებამდე, არ დავუშვათ ხანძრამდე".

ც ი კ ლ ი:

"საბჭოთა კავშირის" შექმნის 60-ი. წლისთავი და საქართველო:

წამყვანი: ახლა ჩვენი მორიგი საუბარი ციკლიდან - "საბჭოთა კავშირის" შექმნის 60-ი წლის თავი და საქართველო. მიკროფონთან არის დავით თაბორიძე:

დიქტორი: "საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი", პატივცემული მსმენელებო, შეიქმნა 1922 წლის 30-თ დეკემბერს, მოსკოვში, საბჭოების პირველ ყრილობაზე, და პარტიული ხელმძღვანელობა მიმდინარე 1982 წელს აღნიშნავს საბჭოთა კავშირის შექმნის 60-ე წლისთავს.

საბჭოთა საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც ჩაბმულია ამ საერთო საკავშირო საიუბილეო კამპანიაში, და ცდილობს მხოლოდამხოლოდ ვარდის ფერებში ასახოს საბჭოთა კავშირის არსებობის ეს 60-ი წელი, რომლის დროს მაღალფარდოვანი სიტყვების კრიანწელია დაყენებული.

იბადება კითხვა: ვითომ "საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის", მოკლედ; საბჭოთა კავშირის შექმნა, როგორც ამბობენ, "...გაშლილი სოციალისტური დემოკრატიის" გამარჯვებაა თუ მეფის რუსეთის იმპერიის ლენინური წითელი რუსეთის იმპერიით შეცვლა? - ვალაპარაკოთ ფაქტები:

მეფის რუსეთის იმპერიას ბოლო მოეღო 1917-ი წლის თებერვლის დემოკრატიული რევოლუციის შედეგად, რომლის დროს თვით ლენინმაც,

ხელ ცოფა, თეორიულად აღიარა რუსეთის იმპერიაში მოქცეული ხალხების თვითგამორკვევის უფლება სრულ გამოყოფამდე. მაგრამ, ისარგებლეს რა რუსეთის მიპერიაში ძალით შეყვანილმა ზოგიერთმა ერმა თვითგამოკვევის უფლებით სრულ გამოყოფამდე, - და,ვთქვათ, საქართველოს 1918 წლის 26 მაისს ისევ აღადგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა, საბჭოთა რუსეთმა,მაგაოითად, 1920 წლის 7-ი მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულებით - ჯერ - იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ შემდეგ, 1921 წლის თებერვალ-მარტში იარაღის ძალით დაიპყრო ის და 1922 წლის 30-თ დეკემბერს ძალით შეიყვანა ე.წ-ლ საბჭოთა კავშირში, და ამ გზით საქართველო ისევ მოექცა რუსეთის ბატონობის ქვეშ. და ახლა, აღნიშნავენ რა საბჭოთა კავშირის შექმნის 60-ე წლისთავს,

პარტიული ისტორიკოსები მრავალ ფაქტს ისე ასახავენ, როგორც ეს გაამართლებდა დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობას და მის საბჭოთა კავშირში ძალით შეყვანას. იოსებ ჩიქავა, მაგალითად, ეხება რა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის მიმართვას გენუის კონფერენციისადმი, ვრცელ სტატიაში -"გენუის კონფერენცია და საქართველო" -,სხვათა შორის, წერს:

"1922 წლის 10 აპრილს გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია იტალიის ქალაქ გენუაში...ინგლისმა,რომელიც საბჭოთა რუსეთთან საერთო ენის გამონახვას ცდილობდა, ქალაქ კანში მოკავშირეებს მიაღებინა დადგენილება გენუის კონფერენციაზე არ განეხილათ საქართველოს საკითხი...გენუაში კონფერენციის მიმდინარეობის დროს თავი გამოყო - წერს შემდეგ იოსებ ჩიქ-ვა - საქართველოს ანაფორიანმა კონტრრევოლუციამ. სრულიად საქართველოს კათოლიკოსმა ამბროსიმ(ბესარიონ ხელაია) საეკლესიო საბჭოს და ქართველი ხალხის სახელით

გენუის კონფერენციას თხოვნით მიმართა...მოელწია საქართველოდან წითელი არმიის გაყვანისა და საყოველთაო სახალხო რეფერენდუმის ჩატარებისათვის".
იოსებ ჩიქავა შემდეგ იმეორებს ფილიპე მახარაძის სიტყვებს

-"მენშევიკური ოინები გენუის კონფერენციაზე", და თითქოს დიდი საამაყო საქმე იყოს ქართველი კაცისათვის - იოსებ ჩიქავასათვის, რომ ის ასე გულმოდგინებით იცავს საქართველოს დამპყრობს, საბჭოთა რუსეთის ბატონობას საქართველოსა და ქართველ ხალხზე.

იოსებ ჩიქავას მოჰყავს სერგო ორჯონიკიძის სიტყვები, რომლებიც მას უთქვამს ამიერკავკასიის საბჭოების პირველ ყრილობაზე:"...მენშევიკები, წერეთელი, ჟორდანია ყველგან ცდილობდნენ, რომ (გენუის) კონფერენციაზე ბუდუ მდივნის მაგივრად ნოე ჟორდანიას გაგზავნა მოეხერხებინათ, მაგრამ ეს მათ ვერ მოახერხეს, რადგან რუსეთმა საქართველოს საკითხი ულტიმატურად დასვა".

"ეს ის რუსეთია,- ამაყობდა თვით სერგო ორჯონიკიძე - ურომლისოდაც ვერც ერთი საკითხი საერთაშორისო ფარგლებში ვერ გადაწყდება".

მაგრამ გავეცნოთ თვით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის მიმართვას გენუის კონფერენციისადმი.

# ქართველ ერს

საქართველო აჯანყდა.

საქართველო დამარცხდა!

ეს ორი უდიდესი მოვლენა, რომლის მსგავსი ჩვენს ქვეყანას არ განუცდია კარგა ხანია.

საქართველო ხშირად აჯანყებულა ისტორიულ წარსულში დამპყრობთა უღლის წინააღმდეგ.

მას არა ერთხელ აუღია ხმალი თავის თავისუფლების, თავის ერთობის და კულტურის დასაცავათ.

ქართველი ერი მუდამ ბრძოლით მიდიოდა სიცოცხლის გზაზე. ის ხან იმარჯვებდა, ხან მარცხდებოდა. დამარცხება მას გულს არ უტეხდა, გამარჯვება არ აბნევდა.

და აი, ერთი საუკუნის მოსვენების შემდეგ მის ხელში ხმალმა კიდევ გაიელვა. ის ამეტყველდა ძველებურათ, ქართველურათ და ქვეყანას ამცნო თავის ღირსება და მისწრაფებანი მამაცურათ.

რა თქვა მან?

ქართველმა ხალხმა სისხლით დასწერა ცხოვრების ფურცელზე, რომ სურს იყოს თავის თავის პატრონი, თავის ქვეყნის ბატონი. ბორკილდადებული დემოკრატია აღადგინეს ჯანყებმა და აცხადებს თავისუფლებას.

ეს არის უპირველად დემოკრატიული აჯანყება.

დემოკრატიის გამარჯვება, ხალხის ბატონობა თავისუფალ ნიადაგზე მოსპობს საქართველოდან განდევნას, დაკარგული სახელმწიფოს აღდგენას.

საკუთარი სახელმწიფო — აი რა მოითხოვა აჯანყებულ ერმა.

ეს არის უპირველესად ეროვნული აჯანყება.

თავისუფალი საქართველო თავისუფალი ხალხით — შეუძლია გაიხსნა ქვეყნათ აღმოსავლეთის გასულს და ამ ყოფნამ შეაშფოთა ერნი, გაახარა მტრები.

შეაშფოთა ბნელეთის მოციქულნი მოსკოვის და მისი დაქირავებული კომისრები.

გაახარა ყველა დაჩაგრულნი, მთელი კაცობრიობა, სიმართლის და თავისუფლების მოტრფიალენი.

მოსკოვმა ნიღაბი საქვეყნოთ აიხადა და დაჩაგრული სისხლიანი პირი აშკარათ გახსნა. ის წინეთ კიდევ ბოდიშობდა, ძველი რეჟიმის დამცველნი გვაიძულებდნენ ტერორის შემოღებით.

ახლა კი გამოჩნდა, რომ ბოლშევიზმს და დემოკრატიას ის ებრძვის გაცილებით უფრო მკაცრათ, კაპიტალით უფრო შეურაცხყოფით. აღმოსავლეთის და მუშათა კლასის ფიცული მოსისხლე მტრები ზე მან საქართველოს უმაღლესი მასწავლი ძალებით, უმანკო სისხლის მღვრელებით.

საქართველოს დაპყრობით ბოლშევიზმი გაკოტრდა პოლიტიკურათ. ის დაადგა მეფეთა საგარეო პოლიტიკას.

საქართველოს აღგომის ხაზრობით ის გაკოტრდა მორალურათ. მან გადააჭარბა ყველა თვითმპყრობელთა მტარვალობას.

ისტორიის შავ დაფაზე აღბეჭდილია პოლონელის აჯანყების (1863წ.) ჩამქრობი მურავიევი. მაგრამ ეს პირი უმანკო ბავშვია შედარებით საქართველოს დღევანდელ ჯალათებთან, სტალინ-ორჯონიკიძეებთან. ამათ დაასხეს ქართველი ხალხის სისხლის ღვარი და შიგ ცურაობენ სიცილ-ხარხარით.

სანამ ქვეყანათ იარსებებს ქართველი ერი, მისი გულიდან არ ამოიშლება ეს საშინელი ხედვა.

დაიწყების ზღვარი გადაეფარება ლენინ-ტროცკის ჯემისგან, შეამცირება კომისარს საკაცობრიო დამოკლამების. არ დაივიწყებს მხოლოდ სისხლის მიმღებთა ხროვა, ღვთის საქართველოში მოკალათებული. სიმხეცე ჩათი ბატონობის ხელყოფები გადაყვება.

ქართველი ერი გლოვის ძაძებში გახვეული. ის დასტირის ვერაგულათ დაღუპულ საუკეთესო შვილთ. მოიგონეთ ძველი თქმულება: პირველ წინათ გამარჯვება ისე უნდა ვით ქალთა კრისა! ნუ სტირით, მომავალი ჩვენია!

გადახედეთ ჩვენს ისტორიას. სადღა არიან საქართველოს ძველი მტარვალნი? ქვეყნის ბრუნვამ მათ გაუთხარა საფლავი.

გაივლის მოკლე დრო და თქვენვე იკითხავთ — სადღა არიან საქართველოს დღევანდელი მტარვალნი? მათ სამარესაც კი ვერ მიაგნებს ვერავინ.

მახვილის ამღებნი მახვილით დაეცემიან, ამ განაჩენს ვერ ასცდება მტარვალი.

ქართველ ხალხს დღეს მარტოებს მოითმენება, გამაგრება და მომავლისაკენ იმედიანათ გახედვა.

მისთვის მოსკოვი სამუდამოთ მოკვდა. ახლა მოსკოვიც კი აქცია ცეცხლი ტყვის ღამენაბას სისხლით დამთვრალი ტირანი. ჩვენს და მას შორის უკვე გზა არის კლდეანი.

ქართველი ერი დღეს სასტიკად დამონებულია. საერთო ევროპიული უბედურებით მოხიბლუ-ლი, ის დგას ერთი დროშის ქვეშ, ერთი აზრით, ერთი ცრემლიანი გრძნობით. მისი სიმტ-კიცე, მისი ერთობა და ამ დროშისათვის ერთგულება მას მიანიჭებს საბოლოო გამარჯვებას. მისი მკერდი უნდა გამოსცეს გალილეის გმირული სიტყვები. ის ჯალათის წინაშეც კი უშიშ-რად იმეორებდა: «მაინც ბრუნავსო!»

დიახ, საქართველო მაინც ბრუნავს! ეს ნათელყო აგვისტო-სექტემბრის [illegible]-ფლობის გამოხმაურებამ. არც ერთ პარტიას ერს არ დაუმსახურებია ასეთი სიყვარულით თანაგრძ-ნობა. ამის რეალიზაცია უმეტესად მოხდება. ნაცადი — ეს სხვა საკითხია. აჯანყება არ გვმა-რთებს. რაც დრო მიდის მოსკოვი სუსტდება, ლპება და თავისთავად შიგნიდან იშლება. მისი მესაფ-ლავე წარმოსდგება შიგნიდან თუ გარედან — ეს ჩვენთვის სულ ერთია. ოღონდ შემთხვევისათ-ვის მზად უნდა ვიყოთ, ხმათ უმთავრესით მოვალეობით, შეერთებით შეკრულად შევხვდეთ ბოლომდე.

შიში არ იცის მებრძოლმა ერმა, ერთი დაღუპულის მაგიერ ასი ჩნდება. სულიერი მონობის ჩვეული არ არის ქართველობა. ის თავგანწირულად იბრძოდა მტრის ბატონობის წინააღმდეგ გზა-ზე. ის იძულებულია დროებით მოითმინოს ძალმომრეობა, მარა მას არავინ დაავიწყებს სასურველ მიზანს.

საქართველოს საკურთხეველზე დიდი მსხვერპლია მიტანილი; იქ ანთებულია ლამპარი სისხლით მორწყული; იქ ირეკება გლოვის ზარი; იქ ილოცება წამებულთა წინაშე და იდება ფიცი, ფიცი გაუტეხარი.....

ნოემბერი.
1924 წ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა,
თავმჯდომარე: ნ. ჟორდანია

ლოზუნგი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება,
ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება,
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
და ამასთან დაკავშირებით მაგონდება,პატივცემულო მსმენელებო,

რუსი დემოკრატისა და პატრიოტის - ვლადიმირ ბუკოვსკის სიტყვები,რომლებიც მან გამოთქვა წერილში 1975 წლის ზაფხულზე, მისი ვლადიმირის ციხეში პატიმრობის დროს:

"მე ვარ რუსი, - წერს ვლადიმერ ბუკოვსკი ამ წერილში - და მე გული მტკივა ჩემს ქვეყანაზე,სადაც იდიოტიური პირები ქადაგებენ შოვინიზმს, სადაც რუსიფიკაცია აყვანილია სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე. მე გული მტკივა, რომ რუსეთი არის სადღაც საპყრობილე უფრო დიდი მასშტაბით, ვიდრე ეს იყო 60 წლის წინათ, სადაც საპყრობილეებში არ არსებობენ ნებაყოფლობით მცხოვრებლები. მე რუსი - ეროვნებით,კულტურით,ენით - ვაცხადებ: საბჭოთა კავშირ-ში არსებობს ნაციონალური დისკრიმინაცია და იძულებითი რუსიფი-კაცია".

## ც ი კ ლ ი:

## "საბჭოთა კავშირის" შექმნის 60-ი წლისთავი და საქართველო:

წამყვანი: ახლა ჩვენი მორიგი საუბარი ციკლიდან - "საბჭოთა კავშირის" შექმნის 60-ი წლის თავი და საქართველო. მიკროფონთან არის დავით თაბორიძე:

დიქტორი: "საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი", პატივცემულო მსმენელებო, შეიქმნა 1922 წლის 30-თ დეკემბერს, მოსკოვში, საბჭოების პირველ ყრილობაზე, და პარტიული ხელმძღვანელობა მიმდინარე 1982 წელს აღნიშნავს საბჭოთა კავშირის შექმნის 60-ე წლისთავს.

საბჭოთა საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც ჩაბმულია ამ საერთო საკავშირო საიუბილეო კამპანიაში, და ცდილობს მხოლოდდამხოლოდ ვარდის ფერებში ასახოს საბჭოთა კავშირის არსებობის ეს 60-ი წელი, რომლის დროს მაღალფარდოვანი სიტყვების კორიანტელია დაყენებული.

იბადება კითხვა: ვითომ "საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის",მოკლედ; საბჭოთა კავშირის შექმნა, როგორც ამბობენ, "...გაშლილი სოციალისტური დემოკრატიის" გამარჯვებაა თუ მეფის რუსეთის იმპერიის ლენინური წითელი რუსეთის იმპერიით შეცვლა? - ვალაპარაკოთ ფაქტები:

განვიხილოთ,ამ-ჯერად, საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა საქართველოს ჰიმნები. რას მეტყველებენ ამ ჰიმნთა ტექსტები? -

საბჭოთა კავშირის ჰიმნის ტექსტში, სხვათა შორის, ნათქვამია შემდეგი:

# საბჭოთა კავშირის
# ჰ ი მ ნ ი

(ტექსტი ს. მიხალკოვის და გ. ელ-რეგისტანისა.
ტექსტის ახალი რედაქცია ს. მიხალკოვისა).

თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური
შეუკრავს მუდმივად დიდ რუსეთის ხალხს,
გაუმარჯოს ხალხთა ნებისყოფით შექმნილს
დიდ საბჭოთა კავშირს, ერთიანს და მძლავრს!

დიდება. სამშობლოვ. შენ თავისუფალო
ხალხთა მეგობრობის ბურჯი ხარ შენ!
ლენინის პარტია — ხალხის ძლიერება
წინ, კომუნიზმისკენ მიგვიძღვის ჩვენ!

შუქს გრიგალში გვფენდა მზე თავისუფლების
და ლენინი დიდი გვინათებდა გზას,
მან დარაზმა ხალხი მართალ საქმისათვის.
გმირობა და შრომა შთააგონა ხალხს.

დიდება, სამშობლოვ, შენ თავისუფალო,
ხალხთა მეგობრობის ბურჯი ხარ შენ!
ლენინის პარტია — ხალხის ძლიერება
წინ, კომუნიზმისკენ მიგვიძღვის ჩვენ!

კომუნიზმის საქმის ზეიმში ჩვენ ვხედავთ
ქვეყნის მომავალს და მას ვუსწორებთ თვალს,
და სამშობლოს წმინდა, ალისფერი დროშის
უსაზღვროდ და მარად ჩვენ ერთგულნი ვართ!

დიდება. სამშობლოვ, შენ თავისუფალო,
ხალხთა მეგობრობის ბურჯი ხარ შენ!
ლენინის პარტია — ხალხის ძლიერება
წინ, კომუნიზმისკენ მიგვიძღვის ჩვენ!

---

ქართული თარგმანის ტექსტის ახალი რედაქცია
ირაკლი აბაშიძისა.

საბჭოთა საქართველოს ჰიმნის ტექსტში კი, რომელიც

*დამტკიცებულია საქართველოს სსრ*
*უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის*
*1978 წლის 14 აპრილის ბრძანებულებით*

## საქართველოს სსრ ჰიმნი

ტექსტი ალ. აბაშელისა და გრ. აბაშიძისა

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ,
გმირთა კერა ხარ განახლებული,
დიად პარტიის ნათელი აზრით,
ლენინის სიბრძნით ამაღლებული.

შენი ოცნება ასრულდა,
რისთვისაც სისხლი ღვარეო,
მშრომელი კაცის მარჯვენით
აყვავებულო მხარეო.

დიდი ოქტომბრის დროშის სხივებმა
შენ გაგინათეს მთები ჭალარა,
თავისუფლებამ და შემართებამ
გადაგაქციეს მზიურ ბაღნარად.

ძოძმე ერების ოჯახში
ამაღლდი, გაიხარეო,
მეგობრობით და გმირობით
გამარჯვებულო მხარეო.

უხსოვარ დროდან ბრწყინავდა შენი
აზრი, ხმალი და გამბედაობა.
დღეს საქართველოს ნათელ მომავალს
სჭედს ლენინური წრთობის თაობა.

კომუნიზმის მზე დაგნათის,
კაშკაშა-მოელვარეო,
იდიდე მრავალჟამიერ,
ჩემო სამშობლო მხარეო!

ახალი რედაქცია გრ. აბაშიძისა.

ვითომ გამოთქმები -"...ლენინი გვინათებდა გზას",კავშირი "შეუკრავს მუდმივად დიდ რუსეთის ხალხს", "დღეს საქართვე-

ლოს ნათელ მომავალს სჭედს ლენინური წრთობის თაობა" - მეტყველებს იმას, რომ - ჯერ-ერთი - საბჭოთა კავშირი ერების, ე.ი. ამ შემთხვევაში რუსი და ქართველი ერების (ერთა თანასწორუფლებიანი) მართლაც ძმური კავშირია, და - მეორე - გამოთქმა "ველიკაია რუს-'ი", რომელიც ქართულად "დიდ რუსეთის სადსადაა" თარგმნილი, არ ადასტურებს იმას, რომ საბჭოთა კავშირი სხვა არაფერია თუ არა - მეფის რუსეთის იმპერიის მემკვიდრე - საბჭოთა რუსეთის იმპერია?.. და 1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკების მიერ დაპყრობილი საქართველო, მისი დაპყრობის -საბჭოთა რუსეთის იმპერიას უნდა უმღეროდეს და ისიც საბჭოთა საქართველოს ჰიმნშიდაც კი?.. ქართველი ერის ეროვნული უფლებების უგულებელყოფა და დაცინვა, მართლაც რომ შეუძლებელია უფრო შორს წავიდეს!..

და ჩემი ეს დღევანდელი საუბარი არ მსურს დავასრულო დამოუკიდებელი საქართველოს არა მარტო ეროვნული ჰიმნის მოგონების გარეშე:

გამოცხადდა, ისევ-აღსდგა საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა 1918 წლის 26 მაისს, თბილისში, მთავრობის სასახლეში. ეროვნული საბჭოს თავჯდომარემ - ნოე ჟორდანიამ - წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომლის პირველ მუხლში ნათქვამია:

"ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა".

იგივეა დაკანონებული დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციაში, რომელიც საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო 1921 წლის 21-თ თებერვალს: "საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო", - ნათქვამია კონსტიტუციის პირველ მუხლში, ხოლო მომდევნო მუხლებში დაკანონებულია: "საქართველოს დედა ქალაქი არის თბილისი", "საქართველოს სახელმწიფოებრივი

ენა არის ქართული ენა", "საქართველოს რესპუბლიკის დროშა არის - შვინდის ფერი ალამი შავი და თეთრი ზოლით.
საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობით".

უნდა ავღნიშნო აგრეთვე, რომ დამოუკიდებელი საქართველო უმოკლეს ხანში იცნო მსოფლიოს 22-მა სახელმწიფომ, რომელთა შორის იყო თვით საბჭოთა რუსეთი, ლენინის მთავრობა, რომელმაც 1920 წლის 7-ლ მაისს დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობასთან დადო საზავო ხელშეკრულება და საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო ფაქტიურად და იურიდიულად. და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მოსკოვის პარტიულმა ხელმძღვანელობა ძალით შეიყვანა საქართველო, ამიერკავკასიის ფედერაციის შემვეობით, 1922 წლის 30 დეკემბერს, მას შემდეგ, როცა დამოუკიდებელი საქართველო 1921 წლის თებერვალ-მარტში დაიპყრო იარაღის ძალით.

ამგვარად, საბჭოთა საქართველო ისევე რუსეთის ხელმძღვანელობის განუკითხავი კონტროლის ქვეშ იმყოფება, როგორც ეს იყო მეფის რუსეთის საქართველოში ბატონობის დროს; და ამის გამომხატველია არ არის - თუ გნებავთ, საბჭოთა ფავშირისა და საბჭოთა საქართველოს ჰიმნებიც, რომლებშიც "ველიკაია რუსს", ეს წმინდა წყლის რუსული იმპერიალიზმის გამომხატველი გამოთქმა, - ქება-დიდებითაა მოხსენებული ლენინის, დამოუკიდებელი საქართველოს დამპყრობის სახელთან ერთად? და აქ მსურს, პატივცემულო მსმენელებო, მოვისმინოთ დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ჰიმნი -"დიდება"; და ვისურვოთ, რომ ეს ჰიმნი ისევ აჟღერდეს ჩვენს დედაქალაქ თბილისში, ჩვენს სამშობლო საქართველოში:

(ეროვნული ჰიმნი:"დიდება")

## დინ აჩესონის მიმართვა ქართველი ხალხისადმი

ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელი სახელმწიფო მდივნის,ე.ი. საგარეო საქმეთა მინისტრის დინ ეჩესონის სიტყვა , რომელიც მან წარმოსთქვა "ამერიკის ხმის" ქართული რედაქციის გახსნაზე, 1951 წლის 26 მაისს. აი, დინ ეჩესონის ამ სიტყვის სრული ტექსტი:

"დიდად ბედნიერი ვარ იმის გამო, რომ მომეცა შესაძლებლობა რამდენიმე სიტყვით მივმართო ქართველ ხალხს. ბევრი მხმენია თქვენი თვალწარმტაცი ქვეყნის, მისი ბუმბერაზი მთებისა და ბარაქიანი მიწის, მთამბეჭდავი ისტორიული ძეგლების, ქართველი ერის შესანიშნავი ხასიათისა და ურყევი სულისკვეთების შესახებ. არც თუ ბევრ ამერიკელს ხვდა წილად ბედნიერება სწვეოდა საქართველოს, თუმცა თქვენი ქვეყანა კარგადაა ცნობილი ჩვენში. საქართველოს სახელი უნებლიედ მოგვაგონებს არგონავტებს, რომლებიც ოქროს საწმისის საძებნელად გაემგზავრნენ კოლხეთს, აგრეთვე პრომეთეს, რომელმაც ცეცხლი მისცა კაცობრიობას, რათა ადამიანი ყოფილიყო თავისუფალი. მსოფლიოს კარგად ახსოვს, თუ რამდენი ბრძოლა გადაგხდათ თქვენ,

ქართველებს თავისუფლების პრინციპების დასაცავად, და რამდენი სიმამაცით იცავდით თქვენი ბრწყინვალე საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე თქვენს უძველეს კულტურასა და რელიგიას. ხშირად ყოფილხართ თქვენ დაპყრობილნი, თუმცა არასოდეს მომხდარა თქვენი დამონება. საუკუნეების მანძილზე, თქვენ შესძელით საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება და არასოდეს შენელებულა თქვენში სურვილი-დაგეცვათ საკუთარი მოქალაქეობრივი უფლებები. ჩვენ, ამერიკელები, აღფრთოვანებული ვართ თქვენი ურყევი სულისკვეთებით. ჩვენი სახელმწიფო დაარსდა თვითეული პიროვნების თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპის საფუძველზე; ჩვენი შვილები შეეწირნენ და დღესაც იბრძვიან ამ პრინციპების დასაცავად. დღეიდან, "ამერიკის ხმა" თქვენს მშობლიურ ენაზე მოგაწვდით სიმართლეს, რომელსაც თქვენ გიმალავენ კომუნისტები, ვინაიდან მათ ეშინიათ სიმართლის თქმისა. ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს, მათ შორის აგრესიულ მილიტარისტულ მოქმედებებს, რასაც კომუნისტი ლიდერები სჩადიან მშვიდობის დაცვის ნიღაბქვეშ. მათი შეთქმულებები და მუქარა აიძულებს თავისუფალ სამყაროს მტკიცედ აღუდგეს წინ დესპოტიზმის შემდგომ გავრცელებას. ამერიკელი ხალხისა და მისი მთავრობის საბოლოო მიზანია მშვიდობის დამყარება მთელს მსოფლიოში, როცა აღარ იქნებიან ძლიერნი და სუსტნი, ბატონები და ყმები, როცა თვითეული ადამიანი შესძლებს იცხოვროს და იშრომოს თავისუფლებისა და ბედნიერების პირობებში ყოველგვარი სიდუხჭირისა და შიშის გარეშე, და როცა ყველასათვის იქნება გარანტირებული რელიგიის თავისუფლება. ასეთია მომავლის ჩვენებური ჭვრეტა, და

ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ გაიზიაროთ იგი ჩვენთან ერთად. ნება მი-ბოძეთ, ამერიკული ხალხის სახელით, გულითადად მოგესალმოთ თქვენ, ქართველებო."

## STATEMENT FOR THE OPENING OF GEORGIAN BROADCASTS

**May 26, 1951**

**by Secretary of State**

**D e a n   A c h e s o n**

I am very happy to have this opportunity to say a few words to the Georgian people. I have heard a great deal about your beautiful country, its majestic mountains and rich valleys, its impressive relics of the past and the magnificent character and spirit of its people. Althought it is true that not many Americans have had the good fortune of visiting Georgia, your country is well known to us. The word Georgia brings back the memory of the Argonauts who sailed in quest of the Golden Fleece, and of Prometheus who stole the sacred fire from heaven and gave it to man — that he may be free. The world remembers how often you Georgians have fought for this principle of freedom, how valiantly throughout your glorious thousand year old history you have defended your ancient culture and Christian civilization. You have been often conquered, but never subdued. You have been able throughout the ages to preserve your national personality, and you have never lost the will to stand up for your human rights. We Americans admire you for this enduring spirit. Our country was founded on a firm belief in the principles of liberty and justice for all; and our sons have fought and died and are fighting now for the defense of those principles. The Voice of America will from now on bring you in your own language the truth which the communists fear and try to keep from you. We shall tell you what goes on in the world at large, including the aggressive militaristic actions in the name of peace for which the communist leaders are responsible. Their plots and threats are forcing free men to stand firmly against the further spread of despotism. The ultimate goal of the American people and their gouvernment is a peaceful world in which there is no strong and no weak, no master and no slave, but where all men can live and work freely and happily without want or fear and with the right to worship God in their own way. This is our vision of the future; we invite you to share it. I extend to you Georgians in the name of the American people, our sincere friendly greetings.

აი, სრული ტექსტი განცხადებისა, რომლითაც ამერიკის შეერთებული შტა-ტების სახელმწიფო მდივანმა - დინ აჩესონმა - მიმართა ქართველ მსმე-ნელებს 1951 წლის 26 მაისს,"ამერიკის ხმის" ქართული რედაქციის ოფიციალური გახსნის დღეს.



# საქართველო

"ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა"



"მესამე დასის" პროგრამიდან
1893 წელი

"Material prosperity as the basis for life of the human being; Freedom for the whole nation and every individual"



From the program of "MESSAME DASSI" = "Third Group",1893

GEORGIA

"ქაღალდზე მეოცნებეთა დრო წავიდა!
საქმეა საჭირო, საქმე!"
"ნაცვრის ხე"

ქართული რედაქცია - რადიო"თავისუფლება"
ავტორი,დიქტორი: დავით თამორიძე

ციკლი: აჯანყებიდან მშვიდობიან დემონსტრანიამდე

1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების 60 წლისთავი

ქართველი ხალხი, თავისი სახელმწიფოებრივი ისტორიის მანძილზე, ყოველთვის ცდილობდა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ტაქტიკის არსებულ პირობებთან შეგუებას, რაც განპირობებული იყო იმით, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული ჩვენი ხალხის უაზრო სისხლის ღვრა. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ 1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების შემდეგ, ქართველი ერი მშვიდობიანი დემონსტრაციების გზას დაადგა, თუმცა 1956 წელს, 9 მარტს, თბილისის სტუდენტებისა და ახალგაზრდა მუშების მშვიდობიანი დემონსტრაცია მაინც სისხლისღვრით იქნა ჩახშობილი. მაგრამ დემონსტრანტებმა, ამ ტრაღიკულ მომენტშიც, ძალადობას არ მიმართეს. 1958 წლის 14 აპრილს კი, თბილისში, მასობრივი დემონსტრაცია, რ ო მ ე ლ ი ც ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დაცვას მოითხოვდა, -მშვიდობიანად და წარმატებით დამთავრდა, რის შედეგად საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში ისევ შეტანილ იქნა მუხლი ქართული ენის საქართველოს სახელმწიფო ენად აღიარების შესახებ.

მაგრამ, როგორც ჩანს, ყოველთვის შეუძლებელი ხდება ერმა თავი აარიდოს ძალის გამოყენებას, და ამგვარი ტრაღიკული თარიღია 1924 წლის 28-29 აგვისტო, როცა ქართველი ხალხი ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ამხედრდა. გავეცნოთ ზოგიერთ მასალას საქართველოს, ქართველი ერის ამ საბედისწერო აჯანყებისა და მისი შედეგების შესახებ.

(სკრიპტი, ინტერვიუ, საუბარი....)

წამყვანი: ეს იყო ჩვენი მორიგი გადაცემა ციკლიდან -"აჯანყებიდან მშვიდობიან დემონსტრაციამდე" - 1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების 60-ე წლისთავთან დაკავშირებით. ლაპარაკობს რადიო თავისუფლება!..

# აჯანყებიდან მშვიდობიან დემონსტრაციამდე

## 1924 წლის 26-29 აგვისტოს აჯანყების 60 წლისთავი

> აჯანყება, თუ ის ერის გულიდან, როგორც ვულკანი ამოხეთქავს, -როგორც ეს საქართველოში 1924 წლის 26-29 აგვისტოს მოხდა, - თავისუფლებისათვის თავგანწირვის უკიდურესი ფორმაა, რომლის ფიზიკური დამარცხება შესაძლებელი, მაგრამ იდეურმორალური დამარცხება შეუძლებელია.

### I.

1924 წლის 26-29 აგვისტოს აჯანყების 60 წლისთავთან დაკავშირებით, მაგონდება ერთი ამბავი:

- სისხლი უნდა დაიღვაროს, მტერმა კედელზე უნდა მიგვაყენოს, თორემ მივიძინებთ, და ეროვნულ თავისუფლებას ვერ ვეღირსებით, - თქვა სამიდან ერთმა ახალგაზრდამ, ოთხმოციანი წლების დასაწყისში, პარიზში, საქართველოს, ქართველი ერის ბედ-იღბალზე საუბრისას, რომლის მოწმე, სრულიად შემთხვევით, მეც გავხდი.
- ჩვენ,როგორც ელინისტურ-ქრისტიანული სამყაროს განუყოფელმა ნაწილმა, უნდა დავეყრდნოთ დასავლეთის დემოკრატიას, რომ ეს ქვეყნები დავაინტერესოთ საქართველოს ეროვნული თავისუფლების პრობლემით და ამ გზით უნდა მოვიპოვოთ თავისუფლება, - თქვა მეორე ახალგაზრდამ.
- საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის მოპოვებისათვის ყველაზე უფრო რეალურია საქართველოს დღევანდელი მდგომარეობიდან გამოსვლა: საქართველომ, როგორც საბჭოთა კავშირის ერთერთმა მოკავშირე რესპუბლიკამ, ყოველი ძალითა და ღონით, ყოველი კანონიერი მოქმედებით, უნდა შეეცადოს - ჯერ - სხვა კომუნისტური ქვეყნების

- ბულგარეთის, უნგრეთის თუ ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოებრივი სტატუსის მოპოვებას, და ამ გზით საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლას, ხოლო - შემდეგ - უნდა შეეცადოს თანდათანობით დაამყაროს დემოკრატიული წესყობილება საქართველოშიო, - თქვა მესამე ახალგაზრდამ.

## II.

მეორე ფაქტი:

იასე ფალავანდიშვილი: - ბატონებო! ვინაიდან ყველამ ვიცით ის მიზანი, რომლისკენაც მიმართულია ყველა ჩვენგანის აზრები, ვიყოთ გულახდილნი. დღეიდან ჩვენ მეგობრები ვართ, ჩვენ შორის არაფერი არ უნდა იყოს დაფარული. დრო ჩვენთვის ძვირფასია; ისტორია გვიჩვენებს, რომ დაგვიანებას საქმე ყოველთვის ჩაუშლია. ჩვენ ეხლა ვთხოვთ ყველას, რომ გამოსთქვან თავისი აზრი საშუალებების შესახებ, რომ...

დიმიტრი ერისთავი: - რომ საქართველო განვათავისუფლოთ რუსეთისაგან, ცხადია.

ელიზბარ ერისთავი: - ხომ გაიგეთ, ბატონებო! აი მიზანი ჩვენი შეკრების. ინებეთ გამოთქვათ თქვენი თქვენი აზრი...

ასე დაიწყო ერთერთი ფარული სხდომა ტფილისის გუბერნატორის ფალავანდიშვილის სახლის ქვემო სართულში, გუბერნატორის ძმის ია ფალავანდიშვილის თავჯდომარეობით. ეს 1832 წლის დეკემბრის 9-ს შეთქმულება, რისმა ერთერთმა მთავარმა ორგანიზატორთაგანმა

იასე ფალავანდიშვილმა გასცა. დააპატიმრეს ას-ორმოცდა-ათამდე მონაწილე, ეროვნული შემადგენლობის მიხედვით, ქართველების გარდა, მათში იყო თათარი, სომეხი, უკრაინელი, პოლონელი, და ბრალი ედებოდა აგრეთვე ფრანგსაც კი(ვ.ნოზაძე:"კავკასიონი",პარიზი, 1932,ნრმერი 8)."ეს მოძრაობა განმეორება თუ არა, უეჭველი გამოძახილია მაინც საერთოდ იმ დროს ევროპაში გავრცელებული ლიბერალური იდეებისა..."(გ.გოზალიშვილი:"1832 წლის შეთქმულება",ტფ.1935 წ.).

## III.

მესამე ფაქტი:

1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყება საქართველოში.

"...რით იყო გამოწვეული ეს აჯანყება?" - "ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი უფლებების აღსადგენად და დასაცავად მოვალე იყო გამოსულიყო როგორც ნაციონალისტები, ისე სოციალისტები. და მართლაც, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეერთდენ ყველა ქართული პოლიტიკური პარტია: სოციალდემოკრატები,სოციალფედერალისტები, სოციალრევოლუციონერები, ნაციონალდემოკრატები და დამოუკიდებელი სოციალდემოკრატები(სხიველები)......მათგან დაარსებულმა დამოუკიდებლობის კომიტეტმა გადაწყვიტა 1924 წლის აგვისტოში აჯანყების მოხდენა.... ეს აჯანყება იყო ხალხური, მასიური, ძლიერი..."
ასე განუცხადა,სხვათა შორის, დამოუკიდებლობის კომიტეტის თავჯდომარემ კოტე ანდრონიკაშვილმა "გერმანელ დელეგაციას" მეტეხის ციხეში, 1925 წლის 5 აგვისტოს 1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების მიზნის შესახებ.

## IV.

ამგვარად, აღნიშნული სამი ფაქტიც ადასტურებს, რომ ქართველი ხალხის მიზანი იყო, არის და რჩება ეროვნული თავისუფლების, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის მიღწევა, შენარჩუნება, განმტკიცება. ქართველი ხალხი და მისი ხელმძღვანელობა ამ მიზნისათვის იბრძოდენ, საქართველოს უახლოესი ისტორიული ფაქტები რომ მოვიგონოთ, 1832 წელს, 1924 წელს და დღესაც, საბჭოთა საქართველოს პირობებში არსებული შესაძლებლობის ფარგლებში. მიზანი რჩება უცვლელი, ტაქტიკა ბრძოლისა კი სხვადასხვაგვარი იყო და დარჩა, გამომდინარეობდა რა ყოველთვის არსებული საშინაო და სა-ერთა-შორისო მდგომარეობის რაობიდან.

## V.

საქართველოს, ქართველი ხალხის ბრძოლამ დამოუკიდებლობისა და სუვერენობისათვის განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო იმის გამო,რომ რუსეთის მთავრობამ საქართველოსთან ორჯერ დადო საერთაშორისო ხელშეკრულება - ჯერ - 1783 წლის 24 ივლისს და - შემდეგ - 1920 წლის 7 მაისს, და ორივეჯერ ცალმხრივად დაარღვია ეს ხელშეკრულებები, იარაღის ძალით დაიპყრო საქართველო და იგი რუსეთის პროვინციათ აქცია. 1763 წლის ე.წ-ლი "გეორგიევსკის ტრაქტატი" რუსეთის მთავრობამ დაარღვია, როგორც ცნობილია, 1801 წელს და საქართველოს ანექსია მოახდინა, ხოლო რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულება 1921 წლის თებერვალ-მარტში დაარღვია, როცა საბჭოთა რუსეთმა, ომის გამოუცხადებლად, დაესხა თავს საქართველოს და იგი ისევ რუსეთის პროვინციათ აქცია.

და თუ საქართველოს 1801 წლის ანექსიას ქართველი პატრიოტების 1632 წლის შეთქმულება მოყვა და მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში აჯანყებები არ ცხრებოდა, დამოუკიდებელი საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტში დაპყრობის შემდეგაც ქართველი ხალხი არაერთხელ ამხედრდა უცხო ბატონობის წინააღმდეგ, რომლის კულმინაციური წერტილი 1924 წლის აგვისტოს აჯანყება იყო.

ამდენად, ქართველმა ხალხმა რუსეთის მთავრობის ნდობა, მასთან კეთილმეზობლური კავშირის დამყარების იმედი დაკარგა და იარაღს მოკიდა ხელი. აჯანყება კი, როგორც ავღნიშნეთ, თუ ის ერის გულისაგან, როგორც ვულკანი, ამოხეთქავს, - როგორც ეს მოხდა საქართველოში 1924 წლის 28-29 აგვისტოს, - თავისუფლებისათვის თავგანწირვის უკიდურესი ფორმაა, რომლის ფიზიკური დამარცხება შესაძლებელი, მაგრამ იდეურ-მორალური დამარცხება შეუძლებელია.

VI.

"ქართველი ერი მუდამ ბრძოლით მიდიოდა სიცოცხლის გზაზე. ის ხან იმარჯვებდა, ხან მარცხდებოდა. დამარცხება მას გულს არ უტეხდა, გამარჯვება არ აბნევდა...ქართველმა ხალხმა სისხლით დასწერა ცხოვრების ფურცლებზე, რომ სურს იყოს თავის თავის პატრონი, თავის ქვეყნის ბატონი. ბორკილებდადებული დემოკრატია ამტვრევს ჯაჭვებს და აცხადებს თავისუფლებას...დემოკრატიის გამარჯვება, ხალხის გაბატონება თავისთავად ნიშნავს მოსკოვის საქართველოდან განდევნას, დემოკრატიული სახელმწიფოს აღდგენას...დიახ, საქართველო 'მაინც ბრუნავს'! ეს ნათელჰყო აგვისტო-სექტემბრის ამბებზე მსოფლიოს გამოხმაურებამ. არც ერთ პატარა ერს არ ღირსებია ასეთი საყოველთაო თანაგრძნობა...საქართველოს საკურთხეველზე დიდი მსხვერპლია მიტანილი; იქ ანთებულია ლამპარი სისხლით მორწყული; იქ ირეკება გლოვის ზარი; იქ ილოცება წამებულთა წინაშე და იდება ფიცი, ფიცი გაუტეხარი..." - ასეა ნათქვამი,სხვათა შორის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარის - ნოე ჟორდანიას - მიმართვაში ქართველი ერისადმი, რომელიც გამოქვეყნდა პარიზში 1924 წლის ნოემბერში. თავის შემაჯამებელ წერილში -"რა მოხდა" - კი, რომელიც, პარიზში, 1925 წლის 15 იანვარს გამოაქვეყნა, ნოე ჟორდანია დაასკვნის:

"დატყვევებულმა საქართველომ მინ[illegible]ა ერთი გზა ტყვეობისაგან განსათავისუფლებლათ, საკუთარი ძალონით მოსკოველთა გასადევნათ. მიზანს ვერ მიაღწია. ეს საშუალება არ გამოდგა მიზანშეწონილი. მარა დარჩა სხვა გზები, სხვა საშუალებები, გაცილებით უფრო მჭრელი და ძლევამოსილი. ეს არის საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო კრიზისი...ხუთიათასი უმანკო მსხვერპლი ჩვენ შემოგვყურებს; ხუთი ათასი გათხრილი საფლავი ჩვენ გვიწოდებს ერთგულებისაკენ. მებრძოლი ერი არ დაივიწყებს მათ მცნებას..."

## VII.

"საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად აჯანყება მოხდა 1924 წლის 28 აგვისტოს", - ამბობს სოლომონ ზალდასტანიშვილი(საქართველოს 1924 წლის ამბოხება, მიუნხენი, 1956 წელი). "1910 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და დასდო მასთან საზავო ხელშეკრულება. მაგრამ 1921 წლის 11 თებერვალს რუსეთმა ხელშეკრულება დაარღვია და საქართველოს თავს დაესხა...ბოლშევიკურ რუსეთთან ბრძოლამ ერთ თვეზე გასტანა, მაგრამ უნაყოფოდ. მარტის მიწურულში რუსეთმა მთელი საქართველო დაიპყრო. ქართველმა ხალხმა, როგორც მე-19-ე საუკუნის დასაწყისში, ვერ აიტანა რუსების ბატონობა და იარაღით ხელში ხელისუფლების წინააღმდეგ გამოვიდა. მისი მიზანი იყო რუსებისაგან საქართველოს განთავისუფლება"(გვ.16)."აჯანყების გეგმა იყო შემდეგი: პირველი და მთავარი გამოსვლა უნდა მოეხდინა ქაქუცა ჩოლოყაშვილს დუშეთში. როცა თბილისიდან მის წინააღმდეგ გაგზავნილი რუსული ჯარი მას ბრძოლაში ჩაებმებოდა, მცხეთის მხრივ მ. ლაშქარაშვილი თავისი რაზმით ზურგში დაარტყამდა. ამით მტრის რიგებში მოახდენდნენ არეულობას და შეერთებული რაზმებით, ქაქუცას მეთაურობით, თბილისს მოადგებოდნენ. ამავე დროს აჯანყება უნდა მომხდარიყო გურიაში, სამეგრელოში, სვანეთში, ქართლში და კახეთში"(გვ.18)."1922 წლის ზაფხულში ხალხში უკმაყოფილება გაძლიერდა. აქა-იქ პატარა გამოსვლებიც მოხდა. ზოგი პროვინციები საერთო გამოსვლის დაწყებას თხოულობდნენ...1922 წლის აგვისტოში აჯანყება მაინც მოხდა. გამოვიდა კახეთი და ხევსურეთი." "1923 წლის იანვარში უკვე ყველა პარტიამ ხელახლად გააჩაღეს მუშაობა და მთელ საქართველოში მას მისცეს ორგანიზაციული ხასიათი." "აჯანყება უნდა დაწყებულიყო მთელ საქართველოში ერთ დღეს, ერთ საათს; უეცრივ და შეუჩერებლად უნდა ემოქმედათ, სანამ მტრის რიგებში დემორალიზაცია არ მოხდებოდა". "მთავარ-სარდლად გენერალი ს.ჭავჭავაძე ყველასათვის მისაღები იყო. დამკომის(დამოუკიდებლობის კომიტეტის ) თავჯდომარემ გ. ანდრონიკაშვილმა მასთან მოლაპარაკება იკისრა. მა-

ლე მისგან თანხმობა მივიღეთ. შეხვდა სამოქმედო შტაბი". "საერთა-
შორისო მდგომარეობა ხელს უწყობდა აჯანყების დაწყებას..."1924
წლის 24 აგვისტოს ხუთმა კაცმა დაადგინა: აჯანყება დაიწყოს 29-ა
აგვისტოს, 2 საათზე..." "ჭიათურა 28 აგვისტოს დილით 2 საათზე გა-
მოსულიყო და აჯანყებულ ხალხს ქალაქი დაეკავა, ე.ი.ჭიათურა გამო-
ვიდა 24 საათით ადრე..." "გარემოება ისეთი შეიქმნა,
რომ ჭიათურაში 24 საათით ადრე გამოსვლამ დრო და ინიციატივა მოქმე-
დებისა ჩეკას და ხელისუფლებას გადასცა. იმავე დღეს,ე.ი. 28 აგვის-
ტოს გამოაცხადეს სამხედრო წესები..." "4 სექტემბერს მცხეთის მი-
დამოებში დაიჭირეს კოტე ანდრონიკაშვილი და იასონ ჯავახიშვილი...
5 სექტემბერს ორივე აიძულეს ხალხისათვის მიემართათ, რომ აჯანყება
დამარცხებულია.." "ასე დამთავრდა 1924 წლის აჯანყება."

## VIII.

"გამარჯვებულმა და სისხლით დამთვრალმა ხელისუფლებამ - წერს ვა-
ლიკო ჩუბინიძე(მოგონებები,პარიზი,1953 წ.) - მუსრი გაავლო ქართველ
მოსახლეობას. ძუძუმწოვარა ბავშვებითურთ ამოწყვიტა რამდენიმე გვარე-
ულობა - ფანიაშვილები, კლიმიაშვილები და მამაცაშვილები სოფელ რუი-
სში(გორის მაზრა)". "ჯალათის სისხლიანი ხელი სწვდება შორეულ ჩრდი-
ლოეთის სუზდალის ციხეში მჯდომთ: ხომერიკს, ჩხიკვიშვილს, ფაღავას,
ნოდიას, წინამძღვარიშვილს და ქართველი ერის საუკეთესო შვილთ სი-
ცოცხლეს უსპობს..."(გვ.235-236). "...მთელ საქართველოში დახვრე-
ტილთა და დახოცილთა რიცხვი, რამდენათ ჩვენ შევძელით...პატიმართა
ცნობებით გამოვარკვიეთ, აღწევს სამი ათას ცხრაას თვრამეტ კაცს".
(გვ.243).

## IX.

და როგორ ეპყრობიდენ აჯანყებულები ტყვედ აყვანილ კომუნისტებს? -
"უნდა ავღნიშნოთ, - განუცხადა კოტე ანდრონიკაშვილმა "გერმანელთა
დელეგაციას",მეტეხის ციხეში, 1925 წლის 5 აგვისტოს, - რომ შეამბო-

ნი ღმობიერად ეპყრობოდენ ტყვედ აყვანილ კომუნისტებს. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა ტყვედ წაყვანილი კომუნისტის დახვრეტისა. ცენტრიდან მიღებული იყო სასტიკი დირექტივა, რომ ასეთ დახვრეტას ადგილი არ ჰქონოდა და ეს კიდევაც სრულდებოდა".

X.

ამგვარად, ბოლშევიკებმა, 1924 წლის 28-29 აგვისტოს სახალხო აჯანყების დამარცხების შემდეგ, - აჯანყებულთა დაუნდობელი ფიზიკური განადგურებით მათი შერიგების შემდეგაც კი, -დაადასტურეს ნოე ჟორდანიას ცნობილი შეხედულება:" არის - თქვა ნოე ჟორდანიას 1919 წლის 12 დეკემბერს სახალხო გვარდიის პირველ ყრილობაზე - არის ორი გზა, ჩვენი და რუსეთის: ორი პოლიტიკური და კულტურული გზა -ერთის გზა არის ანტიდემოკრატიული და მეორე გზა არის დემოკრატიული...აქედან თქვენ დაინახეთ, რომ აქტი 26 მაისისა, - ეს არის დიდი ისტორიული აქტი, აღმოცენებული არა შემთხვევით, არამედ - დიდ ისტორიულ აუცილებლობაზე და ფაქტზე". და 1918 წლის 26 მაისის, ე.ი. საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის აღდგენა იყო 1924 წლის 28-29 აგვისტოს სახალხო აჯანყების მიზანი, რომლის დროს საქართველოს დემოკრატია, ჰუმანიზმი შეეჯახა რუსეთის ბოლშევიკურ ანტიდემოკრატიას, ანტიჰუმანიზმს, რასაც მოყვნა ბოლშევიკების სისხლიანი ტერორი უდანაშაულო და შერიგებულ ხალხთა წინააღმდეგაც კი.

XI.

1924 წლის 6 სექტემბერს, საქართველოს ეროვნული მთავრობის თავჯდომარემ ნოე ჟორდანიამ ერთა ლიგას მემორანდუმი გადასცა, რომელშიც ნათქვამია:

"საოკუპაციო ხელისუფლებისაგან სამი წლის უმაგალითო ჩაგვრით სა-
სოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ხალხი აჯანყდა. ათი დღეა სწარმოებს
გააფთრებული ბრძოლა მოსახლეობასა და რუსის ჯარს შორის. სწვავენ
სოფლებს, გაუსამართლებლად სვრეტენ დიდი ხნიდან დატყვევებულ პო-
ლიტიკურ ტყვეებს. ხალხი იბრძვის ეროვნულ დამოუკიდებლობის აღსა-
დგენად, რომელიც მოსტაცა მას მოსკოვის მთავრობამ, გათელა რა
ფეხქვეშ საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულება.
ვთხოვ ერთა ლიგას, რომლის დანიშნულებაა საერთაშორისო კონფლიქტე-
ბის მოგვარება და სისხლიანი ბრძოლების შეჩერება, ჩაერიოს ამ საქ-
მეში და წინადადება მისცეს მოსკოვის მთავრობას, რომ შეაჩეროს
სამხედრო მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ, ხოლო კონფლიქტის
მოგვარება გადაეცეს საერთაშორისო სამედიაციო სასამართლოს".
("ბრძოლა",1925 წლის სექტემბერი, ნომერი 3,გვ.29).
სოციალისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესმა, მარსელში, 1924
წლის სექტემბერში, - შეეხო რა რუსეთისა და საქართველოს საკითხს, -
თავის განცხადებაში,სხვათა შორის,თქვა:
"...საქართველო გახდა პირველი მსხვერპლი საბჭოთა იმპერიალიზმისა".
(იქვე,გვ.37-45).

---

## XII.

მართალია, აჯანყება - ეროვნული თავისუფლებისათვის თავგანწირვის
ეს უკიდურესი გამოსვლა - მარცხით დამთავრდა, რასაც უამრავი ხალ-
ხი შეეწირა, მაგრამ - როგორც ავღნიშნე - აჯანყება, თუ ის,როგორც
ვულკანი, ერის გულისაგან ამოხეთქავს, როგორც ეს საქართველოში
1924 წლის აგვისტოში მოხდა, შეუძლებელია დამარცხებულ იქნას იდეურ-
მორალურად.

## XIII.

რას გვეუბნება დასაწყისში აღნიშნული ფაქტი? - ფაქტი? - ჩემის აზრით, აღნიშნული სამი ახალგაზრდას შეხედულებები ესიტყვება საქართველოს ისტორიის უახლოეს სამ მოვლენას:

დასავლეთური დემოკრატიული წესწყობილების დამყარების ქართული ვარიანტი იყო და დარჩა 1918 წლის 26 მაისი. კიდევ მეტი:

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენა კიდევ უფრო მეტი იყო, ვიდრე დასავლეთ-ევროპული პარლამენტარული დემოკრატიის იდეების დანერგვა საქართველოში, ვინაიდან საქართველოს დამოუკიდებლობა დაეყრდნო არა მარტო უფლებრივი სახელმწიფოს ხელისუფლების სამი სვეტის - კანონმდებლობის, მმართველობისა და მართლმსაჯულების - ურთიერთ დემოკრატიულ კონტროლს თუ მეთვალყურეობას, რაც ჩამოყალიბებულია დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციაში, არამედ - მას ზევით - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა განსახიერება თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოსი საერთოდ, რომელშიც ერისა და პიროვნების თავისუფლება დაკავშირებულ იქნა სოციალურ სამართლიანობასთან. გავიხსენოთ პირველი (საბჭოთა) ახალგაზრდის შეხედულება.

## XIV.

სისხლი დაიღვარა, კედელზე მიგვაყენა მტერმა 1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყებისას, ვინაიდან, როგორც დავინახეთ, ეროვნული თავისუფლების მიმტაცებლებმა, ჩვენი ეროვნული თავისუფლება უგულებელყო ისე მკაცრად და დაუნდობლად, რომ ქართველი ხალხი იძულებული გახდა უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ იარაღით ხელში აღმსდგარიყო.

## XV.

მესამე ახალგაზრდის შეხედულება კი ესიტყვება 1956 და 1978 წლების მოვლენებს საქართველოში:

1956 წლის 9-ა მარტს თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში ჩატარდა ახალგაზრდების დემონსტრაციები სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავთან დაკავშირებით, რომლის დროს ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ კომპარტიის მეოცე ყრილობაზე "პიროვნების კულტის" დაგმობით გამოწვეული დემონსტრაცია ეროვნულ დემონსტრაციაში გადაიზარდა, რომლის დროს დემონსტრანტებმა, რომელთა უმრავლესობა სტუდენტები და ახალგაზრდა მუშები იყვნენ, ეროვნული ლოზუნგებიც გადმოისროლეს, რასაც მოყვა სისხლის ღვრა, როცა საბჭოთა სპეციალურმა ნაწილებმა, მშვიდობიან დემონსტრანტებს ცეცხლი გაუხსნეს, რომლის დროს, როგორც დასავლეთელი კორესპონდენტები იტყობინებოდან თბილისიდან, ორასზე მეტი ახალგაზრდა მოკლულ იქნა.

## XVI.

1978 წლის 14-ტ აპრილს კი თბილისში ჩატარდა ქართული ენის, როგორც საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენის დაცვისათვის დემონსტრაცია, რომლის დროს მოსკოვისა და საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ იარაღი კი არ გამოიყენა მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1956 წლის მარტში, არამედ დემონსტრანტთა მოთხოვნილება დააკმაყოფილა, რის შედეგად საქართველოს კონსტიტუციაში ქართული ენა, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენა, ისევ შეტანილ იქნა.

## XVII.

რას გვეუბნებიან საქართველოს ისტორიის აღნიშნული უახლესი ფაქტები? - ეს ფაქტები, უთუოთ, გვასწავლიან:

ქართველი ხალხი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, ეროვნული თავისუფლების მოპოვებისათვის ყოველთვის გამოდიოდა არსებული მდგომარეობიდან, რომლის დროს საქართველოს საშინაო და საერთა-შორისო მდგომარეობა განსაზღვრავდა მოქმედების ხაზს, და ქართველი ხალხი, როგორც სჩანს, არა მარტო ეროვნული ძალების დაზოგვის მიზნით, მივიდა, ამჯერად, აჯანყებიდან მშვიდობიან დემონსტრაციამდე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქართველი ხალხი თვით განსაზღვრავს ადგილზე თავის მოქმედების პოზიციას, და მას არსებულ კონკრეტულ სიტუაციას უფარდებს. ქართველი ხალხის აი ამგვარმა გონიერმა მოქმედებამ დაბადა 1918 წლის 26 მაისი, და ამ დიდი ისტორიული მნიშვნელობის აქტით, ე.ი. საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ აღდგენით, სამოქალაქო ომი და დაქცევა-განადგურება თავიდან აიცილა.

1924 წლის 28-29 აგვისტოს საერთო სახალხო აჯანყების 60 წლისთავზე კი კიდევ ერთხელ ქედი მოვიხაროთ დაღუპულ გმირთა წინაშე, რომლებმაც თავი შესწირეს საქართველოს, ქართველი ერის თავისუფლებას. საუკუნო იყოს ხსენება მათი!...

კარლო ინასარიძე

ლევილი, 1984 წლის აგვისტო

## დეკლარაცია*).

საქართველოს ნაციონალური მთავრობის სახელით მაქვს პატივი განვაცხადო შემდეგი:

დღევანდელ საერთაშორისო სამხედრო კონფლიქტში ჩვენ თავიდანვე მოვახდინეთ ჩვენი არჩევანი. მივემხრეთ საფრანგეთის კოალიციას.

ეს ჩვენი გადაწყვეტილება აგებულია ორ საფუძველზე: პოლიტიკურზე და ნაციონალურზე.

ჩვენ ვართ ჩაგრული ერის შვილნი; ჩაგრულია ჩვენი ერი ორ ნაირად: როგორც ერი და როგორც ხალხი, უცხო ძალამ მას წაართვა თავისუფლება ნაციონალური და პოლიტიკური. ვის შეუძლია გაიგოს ეს ჩვენი ორგვარი ტანჯვა თუ არა იმან, ვისაც სწამს ეს ორგვარი თავისუფლება, ვისაც ერის და ადამიანის უფლება თავის დროშაზე დაუწერია და ის საყოველთაო, საკაცობრიო კუთვნილებათ უღიარებია. ჩაგრულთა ეს ბუნებრივი დამცველი იყო და არის საფრანგეთი. მან თავის არსებაში შეაერთა ფრანგული და კაცობრიული, ნაციონალური და ადამიანური.

ჩვენ არ გვწამს, არასოდეს გვიწამებია რომ ვინც თავის ხალხში ამყარებს დესპოტიას, ის სხვა ხალხში დაამყარებს თავისუფლებას, ვინც იპყრობს თავისუფალ ერს, ის გაანთავისუფლებს ჩაგრულ ერს. საერთაშორისო მტაცებლობა ძირს უთხრის ყოველი ფორმის უფლებას. დღეს მსოფლიოში ფრიალებს ორი მოპირდაპირე დროშა—თავისუფლების და მონობის; საქართველოს დროშის ადგილია მხოლოდ თავისუფლების ბანაკი.

ასეთია ჩვენი ორიენტაციის პოლიტიკური მოტივი. ამ ხაზისაა აგრეთვე ჩვენი ნაციონალური მოსაზრება.

ქართველ ერს ფლობს და სტანჯავს საბჭოთა რუსეთი. საქართველო არ შეურიგდა ამ მდგომარეობას და ებრძვის შეურიგებლივ მის დამპყრობელ მოსკოვს. ამით ის ებრძვის ყველა მის მოკავშირეთ და დამხმარეთ, ვინც უნდა იყოს იგი. ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ, არც ვართ, არც ვიქნებით სტალინის და მის დამცველთა მხარეზე. არც იდეურად, არც პოლიტიკურად, არც ნაციონალურად. ჩვენ შორის დიდი ხანია ხიდია ჩატეხილი, ბრძოლაა გამოცხადებული. ამ ჟამათ ჩვენს პოზიციაზე დადგენ მოკავშირენი: ჩვენ მიერ ბოლშევიზმის გამოცხადება მტრათ არა მარტო საქართველოსი, არამედ მთელი კულტურული კაცობრიობისა, როგორც ძველი რუსულ-აზიური ბარბაროსობის აღდგენა—დღეს საქვეყნოთ დამტკიცდა და ეს გაიზიარა მოწინავე საზოგადოებამ. ჩვენ მიერ წარდგენილი პროტესტი 1935 წელს ერთა ლიგისათვის წინაამდეგ საბჭოთა კავშირის დაშვებისა მის წევრთა შორის—დღეს საქვეყნოდ დაადასტურა იმავე ლიგამ მოსკოვის იქიდან განდევნით.

როგორც ხედავთ ჩვენ ადგილი არ გამოგვიცვლია. ერთხელ აღებულ ხაზზე ოდნავადაც არ წაგვიფორხილებრა: ვართ იქ, სადაც ვიყავით თავიდანვე. ეს ჩვენი პოზიცია—პოზიცია მთელი ქართველი ერის გაამართლა ისტორიამ. მისკენ იბრუნა პირი მსოფლიო დემოკრატიამ; და თუ დღევანდლამდე ვსულდგმულებდით იმედით. დღეს ამ იმედს მიეცა რეალური საფუძველი.

საქართველოს ნაციონალური მთავრობა გამოსული ხამ შობლოდან დამფუძნებელი კრების დადგენილებით და საგანგებო მანდატით განაგრძობს ბრძოლას მოსკოვის მტაცებლობასთან გამარჯვებამდე. მოუწოდებს ყველა ქართველ ემიგრანტს ჩვენთან ერთად ჩადგეს მოკავშირეთა ბანაკში, ვუსურვოთ ამ ბანაკს გამარჯვება და საერთო ძალ-ღონით ვიმუშაოთ ქართველი ერის თავისუფლების აღსადგენად.

«ბრძოლის ხმა» № 14 (93).

---

*) ეს დეკლარაცია წაკითხულ იქმნა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას მიერ დამფუძ. კრების წევრების კერძო [illegible]

# TRAITÉ

*conclu le 7 mai 1920*

**entre la République Démocratique de Géorgie**

*et*

**la République Socialiste Fédérative Soviétiste Russe**

---

PARIS
IMPRIMERIE PAUL DUPONT
1924

## TRAITÉ ENTRE LA GÉORGIE ET LA RUSSIE

---

La République Démocratique de Géorgie, d'une part, et la République Socialiste Fédérative Soviétiste Russe, d'autre part, animées du commun désir d'établir entre les deux pays des relations stables et pacifiques pour assurer le bien-être des populations des deux pays, ont décidé de conclure, à cet effet, un traité spécial et ont nommé comme plénipotentiaires : Le Gouvernement de la République Démocratique de Géorgie, M. Grégoire Ouratadze, et le Gouvernement de la République Socialiste Soviétiste Russe, M. Léon Mikhaïlovitch Karakhan, Adjoint au Commissaire du Peuple aux Affaires Etrangères. Les plénipotentiaires précités après s'être réciproquement communiqué leurs

pleins pouvoirs et les avoir reconnus comme donnant le droit aux personnes susmentionnées de signer le présent traité, sont tombés d'accord sur les articles ci-après :

ARTICLE PREMIER.

Se basant sur le droit de tous les peuples, proclamé par la République Socialiste Fédérative Soviétiste Russe, de disposer librement d'eux-mêmes jusques et y compris la séparation totale de l'Etat dont ils font partie, la Russie reconnaît sans réserves l'indépendance et la souveraineté de l'Etat géorgien et renonce de plein gré à tous les droits souverains qui appartenaient à la Russie à l'égard du peuple et du territoire géorgiens.

ART. II.

Se basant sur les principes proclamés dans l'article premier précédent, du présent traité, la Russie s'engage à renoncer à toute intervention dans les affaires intérieures de la Géorgie.

ART. III.

1° La frontière d'Etat entre la Géorgie et la Russie longe, à partir de la Mer Noire, la rivière Psoou jusqu'au mont Akhakhtcha, franchit le mont Akhakhtcha et le mont Agapet, suit la limite septentrionale des anciens gouvernements de la Mer Noire de Koutaïs et de Tiflis jusqu'au district de Zakataly et la limite orientale de ce district jusqu'à la frontière de l'Arménie.

2° Tous les cols situés sur la ligne frontière ci-dessus mentionnée sont déclarés neutres jusqu'au 1er janvier 1922. Ils ne peuvent être ni occupés par les troupes d'aucune des deux parties contractantes, ni fortifiés par aucune de ces deux parties.

3° Au col du Darial, la neutralisation prévue au paragraphe 2 du présent article s'étendra sur la partie du Col comprise entre Balta et Kobi; au Col de Mamisson; de Zaramag à Oni; et, à tous les autres Cols : sur une distance de cinq verstes de chaque côté du point où passe la frontière.

4° Le tracé exact de la frontière d'Etat entre les deux parties contractantes sera déterminé par une Commission de frontière mixte spéciale se composant à nombre égal de représentants de chaque partie. Les résultats des travaux de cette Commission seront enregistrés dans un traité spécial à conclure entre les deux parties contractantes.

ART. IV.

1° La Russie s'engage à reconnaître sans réserves, comme compris dans l'Etat géorgien, outre les parties du Gouvernement de la Mer Noire attribuées à la Géorgie, en vertu du paragraphe premier de l'article III du présent traité, les gouvernements et régions de l'ancien Empire Russe suivants : de Tiflis, de Koutaïs et de Batoum, avec tous les arrondissements et districts formant lesdits gouvernements et régions ainsi que les districts de Zakataly et de Soukhoum.

2° Au fur et à mesure que, dans la suite, s'établiront les relations de la Géorgie avec les autres Etats que la Russie, — existants, ou qui viendraient à se créer, — et limitrophes de la Géorgie par des frontières autres que celle stipulée à l'article III

précédent du présent traité, la Russie se déclare prête à reconnaître comme appartenant à la Géorgie telle ou telle autre partie de l'ancienne Vice-Royauté du Caucase qui lui reviendrait en vertu de traités conclus avec ces Etats.

ART. V.

Faisant droit à la demande de la Russie tendant à ce que dorénavant ne soient tolérés aucune opération militaire, ni séjour de troupes, ni autres faits susceptibles de créer sur le territoire de la Géorgie une situation menaçant son indépendance ou pouvant transformer le territoire de la Géorgie en une base d'opérations dirigées contre la République Socialiste Fédérative Russe ou contre ses alliés, ou contre l'ordre public qui y est établi, la Géorgie s'engage :

1° A désarmer immédiatement et à interner dans des camps de concentration les unités militaires ou de la marine de guerre, détachements et groupes prétendant au rôle de gouvernement de la Russie, ou d'une de ses parties ou d'Etats alliés de la Russie — de même que les représentations et fonctionnaires, organisations et groupes ayant pour but de renverser le Gouvernement de la Russie ou de ses Alliés — qui se trouveraient sur le territoire de la Géorgie au moment de la signature du présent traité ou qui viendraient ultérieurement à y pénétrer.

2° A désarmer immédiatement et à interner tous les bâtiments appartenant à la marine de guerre des organisations et groupes mentionnés au paragraphe premier du présent article et se trouvant dans les ports de la Géorgie, de même que ceux qui, pour une raison quelconque, se trouvent dans ces ports, à la disposition de ces organisations et groupes. Les dispositions du paragraphe premier du présent article s'appliquent intégralement aux équipages de ces bâtiments.

3° A transférer à la Russie gratuitement, et sans exiger aucune compensation, tous les biens militaires et de la marine de guerre sans exception, valeurs et fonds, se trouvant en la possession, en la jouissance ou à la disposition des organisations et groupes mentionnés au paragraphe premier du présent article et qui, conformément aux paragraphes premier et 2 du même article, seront mis à la disposition de la Géorgie.

Sont considérés, en vertu du présent paragraphe, comme biens militaires et de la marine de guerre : les bâtiments et autre matériel flottant, tout le matériel en général de l'artillerie, de l'intendance (y compris les stocks de vivres et d'équipement) du génie et de l'aviation.

4° A remettre à la Russie, après leur désarmement, les unités, organisations et groupes ainsi que les équipages mentionnés au paragraphe premier du présent article.

*Remarque.* — La Russie garantit la vie sauve à tous ceux qui lui seront remis en vertu du présent article.

5° A prendre des mesures pour éloigner du territoire de la Géorgie compris dans les limites fixées à l'article IV du présent traité, toutes troupes et détachements militaires n'appartenant pas aux troupes nationales de la Géorgie.

6° A prendre des mesures pour interdire dorénavant le séjour, sur le territoire de la Géorgie, des troupes et détache-

ments militaires énumérés au paragraphe 5 du présent article.

7° A interdire aux personnes appartenant aux unités, organisations et groupes énumérés aux paragraphes premier et 5 du présent article, pour autant que ces personnes ne sont pas de nationalité géorgienne, d'entrer à quelque titre que ce soit, entre autres comme volontaires, dans les troupes du gouvernement de la Géorgie.

8° A n'admettre dorénavant la formation et le séjour sur son territoire, dans les limites fixées à l'article IV du présent traité, d'aucuns groupes et organisations prétendant au rôle de gouvernement de la Russie ou d'une de ses parties, ou au rôle de gouvernement d'Etats alliés de la Russie, de même que de représentations et fonctionnaires, organisations et groupes ayant pour but de renverser le gouvernement de la Russie ou de ses Alliés; la Géorgie s'engage également à ne pas permettre le transport, par les organisations, groupes, représentations et fonctionnaires susmentionnés, à travers le territoire de la Géorgie, de tout ce qui peut être utilisé pour attaquer la Russie ou ses Alliés, de même qu'à interdire le séjour, dans ses ports et eaux, des bâtiments et autre matériel flottant de pareilles organisations, sauf s'il s'agit de navires en détresse et autres cas prévus par le droit international.

9° Au cas où les organisations, groupes, représentations et fonctionnaires visés au paragraphe 8 précédent du présent article tenteraient d'enfreindre l'interdiction mentionnée dans ce paragraphe 8, il sera procédé à l'égard des personnes et des biens que le Gouvernement géorgien s'engage à arrêter en vertu des obligations assumées par lui conformément au paragraphe 8 du présent article, comme il convenu dans les paragraphes 3 et 4 dudit article.

ART. VI.

La Russie s'engage à ne pas permettre sur son territoire le séjour et l'activité de tous groupes et organisations prétendant au rôle du Gouvernement de la Géorgie ou d'une de ses parties, ainsi que de tous groupes et organisations ayant pour objet le renversement du Gouvernement de la Géorgie. La Russie s'engage à user de toute son influence sur ses Alliés afin que les groupes et organisations visés dans le présent article ne soient pas admis sur leur territoire.

ART. VII.

Afin d'éviter tout malentendu, les deux parties contractantes se déclarent d'accord pour que, lors de l'exécution des paragraphes 5 et 6 de l'article V du présent traité, dans les parties du territoire de la Géorgie qui doivent lui revenir en vertu du paragraphe 2 de l'article IV dudit traité, après la délimitation des frontières de la Géorgie avec les pays limitrophes autres que la Russie, les mesures de sûreté indispensables soient, dans ces cas, prises par la Géorgie, dans le délai le plus court, une fois assumé par elle l'exercice formel de sa souveraineté dans tel ou tel de ces territoires.

ART. VIII.

Une Commission mixte comprenant un nombre égal de représentants de chacune des parties est constituée pour veiller à la stricte exécution des articles V et VI du présent traité et pour la livraison et la réception des personnes et des biens visés aux paragraphes 3 et 4 du susdit article V.

La Commission fixera elle-même l'ordre de ses travaux.

La livraison et la réception des personnes et biens visés aux paragraphes 3 et 4 de l'article V du présent traité doivent être terminées dans le délai de deux mois à dater de la signature dudit traité.

ART. IX.

1° Les personnes d'origine géorgienne, résidant sur le territoire de la Russie et ayant atteint l'âge de 18 ans, ont la faculté d'opter pour la nationalité géorgienne. Réciproquement, les personnes d'origine non géorgienne résidant sur le territoire de la Géorgie et ayant atteint l'âge ci-dessus indiqué, ont la faculté d'opter pour la nationalité russe.

2° Les détails relatifs à l'exécution du présent article seront fixés par une convention spéciale à intervenir entre les deux partie contractantes.

3° Les ressortissants des deux parties contractantes désirant bénéficier des droits qui leur seront conférés en vertu du présent article, seront tenus de remplir les formalités auxquelles ils sont soumis dans le délai d'un an à dater de l'entrée en vigueur de la convention mentionnée au paragraphe 2 précédent du présent article.

ART. X.

La Géorgie s'engage à libérer des peines encourues et des poursuites judiciaires ou administratives, toutes personnes faisant l'objet de pareilles poursuites, sur le territoire de la Géorgie, à raison d'actes commis dans l'intérêt de la République Socialiste Fédérative Soviétiste Russe ou dans celui du parti communiste.

*Remarque.* — La Géorgie s'engage à libérer immédiatement les personnes se trouvant emprisonnées pour des actes susmentionnés.

ART. XI.

Chacune des parties contractantes s'engage à reconnaître et à respecter le pavillon et les armoiries de l'autre partie, en tant qu'emblème d'un Etat ami. Les dessins du pavillon et des armoiries, de même que les modifications qui pourraient y être ultérieurement apportées, seront réciproquement communiquées par voie diplomatique.

ART. XII.

En attendant la conclusion, entre les deux parties contractantes, d'un traité de commerce, qui sera l'objet, dans le plus bref délai possible, des mesures nécessaires, les relations économiques entre la Géorgie et la Russie sont réglées provisoirement, en conformité des dispositions générales suivantes :

1° Les deux parties contractantes posent, comme base de leurs rapports commerciaux, le principe de la nation la plus favorisée.

2° Les marchandises en provenance ou à destination de l'une des parties contractantes ne doivent être frappées par l'autre partie d'aucuns droits ni taxes de transit.

ART. XIII.

Les dispositions des paragraphes premier et 2 du précédent article XII du présent traité serviront de base au traité de commerce qui doit être conclu entre les deux parties contractantes en vertu de ce même article XII.

ART. XIV.

Les relations diplomatiques et consulaires entre la Géorgie et la Russie seront établies dans le plus bref délai possible. En attendant la conclusion, entre les deux parties contractantes, d'une Convention spéciale réglant le statut réciproque des consuls, convention qui sera l'objet des mesures nécessaires, les droits et obligations de ces derniers seront déterminés par les règlements en vigueur existant à cet effet chez chacune des parties contractantes,

ART. XV.

La solution des questions surgissant en matière de droit public ou privé, entre les citoyens des deux parties contractantes, de même que le règlement de certaines questions particulières entre les deux Etats, seront confiés à des Commissions spéciales mixtes russo-géorgiennes qui seront instituées dans le plus bref délai possible après la signature du présent traité. La composition, les droits et les obligations de ces Commissions seront fixés par instructions spéciales arrêtées, pour chaque Commission, d'accord entre les deux parties contractantes.

La compétence de ces Commissions s'étendra, entre autres, aux objets ci-après

1° Elaboration du traité de commerce et autres accords économiques.

2° Règlement des questions concernant la répartition des archives et des affaires en cours, des dépôts judiciaires et administratifs et des actes d'état-civil, dans les anciennes Institutions centrales.

3° Règlement de la question du mode d'utilisation, de possession et de disposition du pipeline Batoum-Bakou, quant à sa partie qui, en vertu de l'article IV du présent traité, se trouvera sur le territoire de la Géorgie. Cette question sera réglée ultérieurement par voie d'accord spécial entre les deux parties contractantes.

ART. XVI.

Le présent traité entre en vigueur du fait même et du moment de sa signature sans qu'une ratification spéciale soit nécessaire.

En foi de quoi les plénipotentiaires des deux parties ont signé de leur propre main le présent traité et y ont apposé leur sceau.

Fait en deux exemplaires à Moscou, le 7 mai mil neuf cent vingt.

*Signatures* : G. OURATADZE.
L. KARAKHAN.

ლიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლებაა
ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..

და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემულო მსმენელებო, ნოდარ წულეისკირის სიტყვა -"ნუ დავივიწყებთ მშობლიურ ენას"-, რომელიც ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრისას წარმოსთქვა მწერალთა კავშირში, და რომელიც გამოქვეყნებულია ქართულ თვითგამოცემის ჟურნალ "ოქროს საწმისის" 1975 წლის პირველ ნომერში. ამ სიტყვაში მწერალმა ნოდარ წულეისკირმა, სხვათა შორის, თქვა:

"რუსული ენა - ლენინის ენა, ოქტომბრის ენა, დიდი რუსი ხალხის ენა დიადი და მძლავრია. იგი მსოფლიოში ერთერთი ყველაზე აღიარებული ენაა. და ეს ენა უნდა იცოდეს რესპუბლიკის თითოეულმა მცხოვრებმა. ასეთია ამოცანა, ასეთია ცხოვრების მოთხოვნა".

"ჩემთვის გაუგებარია გამოთქმა - განაგრძობს ნოდარ წულეისკირი- "რუსული ენა - ლენინის ენა", ვითომ რას უნდა ნიშნავდეს ეს? გერმანული ენა მარქსის ენაა მაგალითად, ხოლო ბერძნული რომ პლატონის ენაა, ამით რა დასკვნამდე მივალთ? მსოფლიოში ყველაზე აღიარებული ენა მარტო რუსული ენა არ არის, ასეთი ენები ბევრია. რა საჭიროა ამგვარი გამოცალკავება?"

"რუსულ ენაზე საქართველოში გამოდის უამრავი ჟურნალ-გაზეთი და წიგნი, გახსნილია უამრავი რუსული სკოლა, უნივერსიტეტსა და სხვა უმ. ჯეს სასწავლებლებში გვაქვს რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტები და კათედრები. მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაში, ფაბრიკა-ქარხნებში, თვით ცენტრალურ კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოში წარმოება რუსულ ენაზეა. ხოლო ყოველი ქართველის ოჯახში დგას ტელევიზორი რუსული ენის ეს დიდი პროპაგანდისტი".

"რა არის ამის მიზეზი?"- აყენებს კითხვას ნოდარ წულეისკირი და პასუხობს:"მიზეზი ის გახლავთ, რომ ახალგაზრდობას ყველაფერს ვასწავლით გარდა მშობლიური ენისა, მშობლიური ისტორიისა, ამიტომ მისი აზროვნება შეზღუდულია, მკვდარია, რაღაც იცის, მაგრამ გამოთქმა უჭირს..."

და ნოდარ წულეისკირი დასძენს:"...ენების თანდათანობით დაახლოება და ერთ ენად შერწყმა ისტორიული კანონზომიერება არ არის, ქართული ენის დავიწყება და რუსულის შესწავლა ცხოვრების მოთხოვნილება არ არის, ...კონსტიტუციის დარღვევა და ქართულ სახელმწიფოდან ქართული ენის გაძევება - იმპერიული რეალობა არ უნდა იყოს!"

და ამიტომაა ჩვენი დევიზი - ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა"დაისიდან")

# СОБРАНИЕ УЗАКОНЕНИЙ и РАСПОРЯЖЕНИЙ
## РАБОЧЕГО и КРЕСТЬЯНСКОГО ПРАВИТЕЛЬСТВА.

9 июля 1920 г. **№ 64.** Цена за 1 год — 80 р. Отд. № — 1 р. Юридическое Книгоиздательство, Москва, [illegible]


СОДЕРЖАНИЕ:


Ст. 282 Договор между Россией и Грузией.


## 282. Договор между Россией и Грузией.

Российская Социалистическая Федеративная Советская Республика с одной стороны и Демократическая Республика Грузия с другой, руководимые общим желанием установить между обоими странами прочное и мирное сожительство на благо населяющих обе страны народов, решили заключить для сего особый договор и назначили для сего своими уполномоченными:

Правительство Российской Социалистической Федеративной Советской Республики — заместителя Народного Комиссара по Иностранным Делам Льва Михайловича Карахана и Правительство Демократической Республики Грузии — Члена Учредительного Собрания Грузии Григория Илларионовича Уратадзе. Означенные уполномоченные по взаимном осведомлении о своих полномочиях, признанных дающими перечисленным выше лицам право на подписание настоящего договора, согласились о нижеследующих статьях:

**Статья I.**

Исходя из провозглашенного Российской Социалистической Федеративной Советской Республикой права всех народов на свободное самоопределение вплоть до полного отделения от Государства, в состав которого они входят, Россия безоговорочно признает независимость и самостоятельность Грузинского Государства и отказывается добровольно от всяких суверенных прав, кои принадлежали России в отношении к Грузинскому народу и земле.

**Статья II.**

Исходя из провозглашенных в предшествующей статье I настоящего договора принципов, Россия обязуется отказаться от всякого рода вмешательства во внутренние дела Грузии.

**Статья III.**

1. Государственная граница между Россией и Грузией проходит от Черного моря по реке Псоу до горы Ахахча, через гору Ахахча и гору Агепста и по северной границе бывших губерний Черноморской, Кутаисской и Тифлисской до Закатальского округа и по восточной границе этого округа до границы с Арменией.

2. Все перевалы на означенной пограничной линии до первого января тысяча девятьсот двадцать второго года признаются нейтральными. Они не могут быть занимаемы войсками ни одной из обоих договаривающихся сторон и не могут быть ни одной из них укреплены.

3. На Дарьяльском перевале указанная в пункте 2 настоящей статьи нейтрализация будет распространена на протяжении перевала от Балты до Коби, на Мамисонском перевале от Зарамага до Оны, а на всех прочих перевалах на пятиверстное в обе стороны от пункта прохождения границы расстояние.

4. Точное проведение государственной границы между обоими договаривающимися сторонами будет произведено особой смешанной пограничной комиссией с одинаковым числом членов от обоих сторон. Результаты работы этой комиссии будут закреплены в особом договоре между обоими договаривающимися сторонами.

**Статья IV.**

1. Россия обязуется признать безусловно входящими в состав Грузинского Государства, кроме отходящих к Грузии в силу пункта 1-го статьи III настоящего договора частей Черноморской губернии, нижеследующие губернии и области бывшей Российской Империи: Тифлисскую, Кутаисскую и Батумскую со всеми уездами и округами, составляющими означенные губернии и области, а также округа Закатальский и Сухумский.

2. Впоследствии, по мере выяснения взаимоотношений между Грузией и другими кроме России государственными образованиями, существующими или имеющими создаться и сопредельными с Грузией по другим границам, чем та, которая описана в предшествующей статье III настоящего договора, Россия выражает готовность признать входящими в состав Грузии те или иные части бывшего Кавказского Наместничества, которые отойдут к ней на основании заключенных с этими образованиями договоров.

## Статья V.

Признавая справедливым домогательство России о недопущении отныне на территории Грузии никаких военных операций, пребывания воинских сил и прочих действий, могущих создать на территории Грузии условия, угрожающие ее независимости или могущие превратить территорию Грузии в базу для операций, направленных против Российской Социалистической Федеративной Советской Республики или союзных с нею государств, и установленного в ней государственного правопорядка, Грузия обязуется:

1. Немедленно разоружить и интернировать в концентрационных лагерях находящиеся на территории Грузии к моменту подписания настоящего договора, буде таковые окажутся, или имеющие впредь перейти в ее пределы воинские и военно-морские части, команды и группы, претендующие на роль правительства России или части ее, или на роль правительства союзных с Россией государств, а равно представительства и должностные лица, организации и группы, имеющие своей целью ниспровержение Правительства России или союзных с нею государств.

2. Немедленно разоружить и интернировать все находящиеся в портах Грузии суда, входящие в состав военно-морских сил организаций и групп, упомянутых в пункте 1 настоящей статьи, а равно на том или ином основании состоящие в распоряжении этих организаций и групп и находящиеся в портах Грузии. К экипажу этих судов полностью применяется постановление пункта 1 настоящей статьи.

3. Передать России безвозмездно и не требуя за то никакого вознаграждения все без исключения военное и военно-морское имущество, в том числе и денежные суммы, находящиеся во владении, пользовании или распоряжении организаций и групп, упомянутых в пункте 1 настоящей статьи и согласно пунктов 1 и 2 той же статьи выше поступающие в распоряжение Грузии.

Под военным и военно-морским имуществом в смысле настоящего пункта подразумеваются: *суда, и прочие плавучие средства* и все вообще предметы артиллерийского, интендантского (не исключая пищевого и вещевого довольствия), инженерного и авиационного снабжения.

4. Передать России после их разоружения части, организации и группы и экипажи судов, упомянутые в пункте 1 настоящей статьи.

*Примечание.* Россия обещается сохранить жизнь всем передаваемым ей в силу настоящей статьи лицам.

5. Принять меры к удалению с территории Грузии в тех пределах, кои определены статьей IV настоящего договора, всякого рода войск и военных отрядов, не входящих в состав правительственных войск Грузии.

6. Принять меры к недопущению впредь пребывания на территории Грузии войск и военных отрядов, перечисленных в предшествующем пункте 5 настоящей статьи.

7. Воспретить лицам, принадлежащим к частям, организациям и группам, перечисленным в пунктах 1 и 5 настоящей статьи, поскольку эти лица не являются по своей национальности грузинами, вступать под каким-либо видом, в том числе и в качестве добровольцев в правительственные войска Грузии.

8. Не допускать впредь образования и пребывания на ее территории в тех пределах, кои установлены статьей IV настоящего договора, всякого рода организаций и групп, претендующих на роль правительства России или части ее, или на роль правительства союзного России государства, а равно представительств и должностных лиц, организаций и групп, имеющих своей целью ниспровержение правительства России или союзных с нею государств. Грузия равным образом обязуется не допускать перевозку указанными организациями, группами, представительствами и должностными лицами через территорию Грузии всего того, что может быть использовано для нападения на Россию или на союзные с нею государства, а также воспретить пребывание в своих портах и водах судов и прочих плавучих средств подобных организаций, за исключением установленных международным правом в отношении судов, терпящих бедствие и пр. случаев.

9. В случае, если бы со стороны организаций, групп, представительств и должностных лиц, перечисленных в предшествующем пункте 8 настоящей статьи, были сделаны попытки нарушения наложенного в означенном пункте 8 воспрещения, с лицами и имуществом, имеющими быть задержанными правительством Грузии в силу принимаемого им на себя на основании пункта 8 настоящей статьи обязательства, будет поступлено соответственно обусловленному в пунктах 3 и 4 настоящей статьи.

10. Меры, обусловленные в пункте 5 настоящей статьи, должны быть начаты исполнением немедленно после подписания договора. Грузия обязуется закончить их в кратчайший срок, не останавливаясь перед применением вооруженной силы.

### Статья VI.

Россия обязуется не допускать на своей территории пребывания и деятельности всякого рода групп и организаций, претендующих на роль правительства Грузии или части ее, а также всякого рода групп и организаций, ставящих своей целью низвержение правительства Грузии. Россия обязуется оказать все свое влияние на союзные ей государства с целью недопущения на их территории указанных в настоящей статье групп и организаций.

### Статья VII.

Для устранения возможных недоразумений, обе договаривающиеся стороны соглашаются в том, что при выполнении пунктов 5 и 6 статьи V настоящего договора на тех частях территории Грузии, которые смогут войти в ее состав на основании пункта 2 статьи IV настоящего договора, после разграничения Грузии с другими кроме России сопредельными ей странами, необходимые распорядительные со стороны Грузии в подобных случаях меры должны быть закончены в кратчайший срок после принятия ею на себя формального осуществления государственного верховенства на той или другой из этих территорий.

### Статья VIII.

Для наблюдения за точным выполнением статей V и VI настоящего договора и для сдачи и приема лиц и имущества, упомянутых в пунктах 3 и 4 означенной статьи V, учреждается смешанная комиссия из представителей обеих сторон с одинаковым числом членов от каждой из сторон. Порядок работ комиссии определяется самой комиссией. Сдача и прием лиц и имущества, упомянутых в пунктах 3 и 4 статьи V настоящего договора, должны быть закончены в двухмесячный со дня подписания настоящего договора срок.

### Статья IX.

1. Лица грузинского происхождения, проживающие на территории России и достигшие восемнадцати лет от роду, вправе оптировать грузинское гражданство. Равным образом лица не грузинского происхождения, проживающие на территории Грузии и достигшие указанного возраста, вправе оптировать Российское гражданство.

2. Подробности о порядке исполнения настоящей статьи имеют быть закреплены в особом соглашении между обеими договаривающимися сторонами.

3. Граждане обеих договаривающихся сторон, желающие воспользоваться предоставленным им настоящей статьей правом, будут обязаны выполнить требуемые от них формальности в течение годового срока со дня вступления в силу упомянутого в предшествующем пункте 2 настоящей статьи соглашения.

### Статья X.

Грузия обязуется освободить от наказания и от дальнейшего преследования судебного или административного всех лиц, подвергшихся на территории Грузии таковому преследованию за деяния, совершенные в пользу Российской Социалистической Федеративной Советской Республики или в пользу Коммунистической Партии.

*Примечание.* Грузия обязуется немедленно освободить лиц, находящихся в тюремном заключении за деяния указанного выше рода.

### Статья XI.

Каждая из договаривающихся сторон обязуется признавать и уважать флаг и герб другой стороны, как эмблемы дружественного Государства. Рисунки флага и герба, а равно вносимые в оные изменения, буде таковые последуют, будут взаимно сообщаться дипломатическим путем.

### Статья XII.

Экономические отношения между Россией и Грузией определяются временно, впредь до заключения между обеими договаривающимися сторонами торгового договора, к чему имеют быть приняты в возможной скорости необходимые меры, нижеследующими общими положениями:

1. Обе договаривающиеся стороны в основу торговых взаимоотношений кладут принцип наибольшего благоприятствования.

2. Товары, идущие из или по назначению одной из договаривающихся сторон, не должны облагаться другой стороной никакими транзитными пошлинами или сборами.

### Статья XIII.

Постановления пунктов 1 и 2 предшествующей статьи XI настоящего договора имеют быть положены в основу торгового договора, в силу той же статьи XI имеющего быть заключенным между обеими договаривающимися сторонами.

### Статья XIV.

Дипломатические и консульские отношения между Россией и Грузией будут установлены в кратчайший по возможности срок. Впредь до заключения между обеими договаривающимися

сторонами особого соглашения о взаимном положении консулов, к чему имеют быть приняты меры, права и обязанности таковых будут определены существующими на сей предмет в каждой из договаривающихся сторон узаконениями.

Статья XV.

Разрешение вопросов публично-правового и частно-правового характера, возникающих между гражданами обеих договаривающихся сторон, и равно упорядочение некоторых отдельных вопросов между обоими Государствами, будет производиться особыми смешанными русско-грузинскими Комиссиями, учреждаемыми в кратчайший по возможности срок после подписания настоящего договора. Состав, права и обязанности этих Комиссий будут установлены особой инструкцией, утвержденной для каждой Комиссии по соглашению обеих договаривающихся сторон. Ведению этих Комиссий будут, между прочим, подлежать:

1. Составление торгового договора и иных соглашений экономического характера.

2. Разрешение вопросов относительно выдела из бывших центральных учреждений, архивов и делопроизводства судебных и административных депозитов и актов гражданского состояния.

3. Определение вопроса о порядке пользования, владения и распоряжения нефтепроводом Батум-Баку, в той части его, которая в силу статьи IV настоящего договора будет находиться на территории Грузии. Вопрос этот будет закреплен затем путем особого соглашения между обоими договаривающимися сторонами.

Статья XVI.

Настоящий договор вступает в силу самым фактом и с момента его подписания и не будет подлежать особой ратификации. В удостоверение чего уполномоченные обеих сторон собственноручно подписали настоящий договор и приложили к нему свои печати.

Учинено в двух экземплярах в Москве, мая 7 дня тысяча девятьсот двадцатого года.

Подписали: Л. Карахан.
Г. Уратадзе.

Опубликован в № 99 Известий Всероссийского Центрального Исполнительного Комитета Советов от 9 мая 1920 г.

## Дополнительное соглашение к мирному договору между Россией и Грузией от 7 мая 1920 года.

Нижеподписавшиеся Представитель Российской Социалистической Федеративной Советской Республики заместитель Народного Комиссара Иностранных Дел Лев Михайлович Карахан и Представитель Демократической Республики Грузии Член Учредительного Собрания Грузии Григорий Илларионович Уратадзе, приняв во внимание, что Российское Правительство заручилось по содержанию нижеследующих статей предварительным согласием Правительства Азербейджанской Советской Республики, согласились о нижеследующем:

Статья I.

Вопрос о спорных местностях на границе между Грузией и Азербейджаном и в Закатальском округе передается на разрешение смешанной Комиссии, образуемой из представителей Правительств Азербейджана и Грузии в равном количестве, под председательством представителя Р. С. Ф. С. Р. Все решения этой Комиссии будут признаваться для себя обязательными Правительствами Азербейджана и Грузии.

Статья II.

Грузия и Азербейджан впредь до принятия Комиссией решений по вопросам, затронутым в ст. I сего соглашения, не вводят в Закатальский округ новых войск, кроме имеющихся там к моменту подписания настоящего дополнительного соглашения.

Статья III.

Настоящее дополнительное соглашение будет рассматриваться, как неразрывная часть договора между Россией и Грузией, подписанного 7 мая 1920 года в Москве, и наравне с указанным договором вступает в силу самым фактом и с момента своего подписания и не будет подлежать особой ратификации.

В удостоверение чего нижеподписавшиеся собственноручно подписали настоящее соглашение и приложили к нему свои печати.

Учинено в Москве в двух экземплярах мая 12 дня тысяча девятьсот двадцатого года.

Подписали: Л. Карахан.
Гр. Уратадзе.

24-я типография М. Г. С. Н. Х. (б. 3-я Государственная), Тверская, Мамоновский 12.

«დამოუკიდებელი საქართველოს» გამოცემა № 3.

LOUIS LE FUR
საერთაშორისო უფლების პროფესორი
პარიზის უნივერსიტეტში.

# საქართველო
# და
# საერთაშორისო უფლება

(თარგმანი ფრანგულიდან)

პარიზი
1933

# საქართველო და საერთაშორისო უფლება

ქართველი ერი დამოუკიდებელი იყო თავის ისტორიის უშორეს დროიდან. იგი წარმოსდგება რასისაგან, რომელიც ერთი უძველესთაგანია დედამიწაზე და თუმცა განიცადა ზოგი აუცილებელი შერევა, მაგრამ გასაოცრად დაიცვა თავისი სიწმინდე საუკუნეთა მანძილზე. ქართველი ერი მსოფლიო ისტორიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ევროპის უმაღლეს მთებში შეფარებული იძულებული იყო მრავალი წინაამდეგობა გაეწია დიდი იმპერიებისთვის, სპარსეთისა და ოსმალეთისთვის სამხრეთით, რუსეთისთვის ჩრდილოეთით, რომლებიც ცდილობდენ მის დაპყრობას. მაგრამ ეს ხალხი ხანდახან ვერ ჰკარგა უცხოთა უღელს.

საქართველოს ისტორია აღსავსეა ბრძოლებით თავდამსხმელების წინაამდეგ, ბრძოლებით, რომლებიც თითქმის ყოველთვის თავდებოდა ამ მამაცი ხალხის განთავისუფლებით. საერთო გამარჯვებამ და დამარცხებამ, საერთო სიხარულმა და მწუხარებამ დიდად შეუწყო ხელი ქართველი ერის მთლიანობის გამოჰვედას, რომელიც დარჩა შეურყეველი მიუხედავად მისი ისტორიის ცვალებადობისა *).

## I.

მე-18 საუკ. ბოლოს საქართველოს მდგომარეობა განსაკუთრებულად კრიტიკული შეიქნა. სამხრეთის მეზობელთა შემოტევებმა ისე დაასუსტეს, რომ იძულებული გახდა დახმარება ეძებნა ძლიერ ჩრდილოელ მეზობელთან, რუსეთთან, რომელიც მას უახლოვდებოდა სარწმუნოებრივი ერთობით. ამისათვის დაუკავშირდა რუსეთს ხელშეკრულებით, რომელიც დადებულ იქნა რუსეთის იმპერატრისა ეკატერინე მეორესა და ქართლისა და კახეთის *) მეფეს ერეკლეს შორის, 1783 წ. 24 ივლისის რიცხვით **).

ამ დრომდე საქართველოს იურიდულ საერთაშორისო მდგომარეობას არავითარი სიძნელე არ ახლდა. ეს სახელმწიფო სარგებლობდა სრულს სუვერენობას როგორც შიგნით ისე გარეთ. არავითარი დამოკიდებულობის კავშირი არ აერთებდა მას მეორე სახელმწიფოსთან. სრულიად უდავოა, რომ საქართველოს ჰქონდა მაშინ სრული საერთაშორისო პიროვნება.

გართულება იწყება მხოლოდ 1783 წ. ხელშეკრულობის დადებიდან. ამიტომ საჭიროა ამ ხელშეკრულობის მოკლე გარჩევა, თუმცა და დღეს მას მარტოოდენ წმინდა ისტორიული მნიშვნელობა აქვს ***).

ყოველის უწინარეს ფორმის მხრით, ამ ხელშეკრულობას, როგორც ყველა მსგავს ხელშეკრულობას, აქვს ორმხრივი შეთანხმების ხასიათი, რომელიც მოხდა ორს სუვერენულ სახელმწიფოს შორის. ეს ხასიათი უეჭველია, თუ მხედველობაში მივიღებთ ხელშეკრულობის შესავალს და მის აშკარად გამოთქმულ დებულებებს. შესავალში ორი სუვერენი, იმპერატრისა ეკატერინე მეორე და მეფე ერეკლე მეორე ასახელებენ სრულუფლებიან რწმუნებულებს, რომლებიც მათი სახელით სდებენ ხსენებულ ხელშეკრულობას; იგი ხდება სავალდებულო ორივე მხრისთვის მხოლოდ დღიდან რატიფიკაციისა ორივე ერის სუვერენების მიერ *).

1783 წ. ხელშეკრულობის ორმხრივს ხასიათს ხაზს უსვამს კიდევ ის დებულებანი, რომელთაც იგი შეიცავს. ორივე მხარე აღიარებს ურთიერთის განსაზღვრულ უფლებებს და ლებულობენ ვალდებულებებს ერთმანერთის მიმართ. ბოლოს მე-12 მუხლი გადაჭრით აცხადებს, რომ ხელშეკრულობის ყოველგვარი შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთის თანხმობით. აქედან უდავოა, რომ ჩვენს წინაშეა საერთაშორისო ხელშეკრულობა, დადებული ორ სწორ უფლებიან სახელმწიფოს შორის და საერთაშორისო უფლების ორს სუვერენულ პიროვნებას შორის.

1783 წ. ხელშეკრულობის მიზანია რუსეთსა და საქართველოს შორის პროტექტორატის რეჟიმის დაწესება. საქართველო სდგება რუსეთის მფარველობის ქვეშ. პირველი მუხლი განსაზღვრავს საქართველოს ახალს მდგომარეობას და ჩამოთვლის იმ ვალდებულებათ, რომელნიც ეკისრება მას, როგორც მფარველობის ქვეშ მყოფ სახელმწიფოს; მისთვის აკრძალულია რაიმე დამოკიდებულობის კავშირი უცხო სახელმწიფოსთან; იგი აღიარებს რუსეთის უზენაესობას და პროტექციას; ვალდებულია დაუხმაროს მას საჭირო შემთხვევაში.

ასეთი წყობილების დამყარებას აუცილებელ შედეგად ჰქონდა საქართველოს ზოგიერთი სუვერე-

---

*) F. Kuhne. La Géorgie libre, son passé, son présent, son avenir. Genève, 1920. ეს შრომა შეიცავს საქართველოს მოკლე ისტორიას. უფრო სრული გაცნობისათვის საჭიროა სამ ტომიანი M. F. Brosset, Histoire moderne de la Géorgie (S. Peter. 1856-58).

*) ქართლი და კახეთი, რომლებიც საქართველოს ნაწილს შეადგენენ. აქ ნახმარია როგორც საქართველოს სინონიმები. ხელშეკრულობის გერმანულ ტექსტს ასეთი სათაური აქვს: «Traktat zwischen dem russischen Reiche und Georgien». O. Nipold. La Géorgie du point de vue du droit intern. Berne, 1920. გვ. 8.

**) 6. ამ ხელშეკრულობის ტექსტი Martens-ის Recueil des traités, მეორე გამოცემა. ტ. 3. ან რუსეთის კანონების კრებულში, ტ. 21, № 15.835. ნამდვილი მოთავსებულია ს. პეტერ. Nouveau journal, 1783 წ. ნაწ. 3, გვ. 145. ხელშეკრულობა საგანგებოდ იყო გამოცემული ჟენევაში 1919 წ.

***) O. Nipold-მა მოგვცა ხსენებული ხელშეკრულობის ვრცელი განხილვა უკვე დასახელებულ შრომაში. გვ. 8 და შემდ.

*) რატიფიკაციათა გაცვლას ჰქონდა ადგილი 1783 წ. ნოემბერში.

ნულ უფლების შეზღუდვა; მფარველობის ქვეშ მყოფი სახელმწიფო თითქმის ყოველთვის უარს ამბობს თავის საგარეო სუვერენობის უფლების სარგებლობაზე, რომელიც გადადის პროტექტორ სახელმწიფოს ხელში. 1783 წ. ხელშეკრულობის მეოთხე მუხ. ძალით საქართველოც უარს ამბობს საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებელ წარმოებაზე. ამ მუხლის თანახმად, იგი ვალდებულია არავითარი ურთიერთობა არ იქონიოს მეზობელ სუვერენებთან, თუ წინასწარ არ შეუთანხმდა (რუსის) ჯარის უფროსს საზღვარზე ან მისი იმპერატორობითი დიდებულების მინისტრს, რომელიც წარმოგზავნილი იქნება მეფის კარზე.

ამიერიდან საქართველოს საგარეო ურთიერთობა უნდა დაემორჩილოს რუსეთის კონტროლს. ეს უარისთქმა საგარეო სუვერენობაზე იწვევს თუ არა საქართველოსთვის საერთაშორისო უფლების პიროვნების ღირსების დაკარგვას? აქვს თუ არა აქ ადგილი საერთაშორისო უფლებასთან უშუალო დამოკიდებულების—ავსტრიელთა სკოლის (Verdross, Kunz) Volkerrechtsunmittelbarkeit-ის — გაუქმებას, რაიც წარმოშობდა საქართველოსთვის სახელმწიფოებრივი ხასიათის დაკარგვას საერთაშორისო თვალსაზრისით? არა. საქართველო სრულად არ ამბობს უარს თავის საგარეო საქმეების წარმოებაზე; მის სუვერენს, ეს თვით მეოთხე მუხლიდანაც გამომდინარეობს, აქვს დამოკიდებულება უცხოელ სუვერენებთან. ხოლო მისი უფლებები ამიერიდან შეკვეცილია რუსეთის სასარგებლოთ; ყოველი გადაწყვეტილებისთვის, რომელიც ეხება საგარეო პოლიტიკას, საქართველოს სუვერენი მოვალეა შეეკითხოს რუსის ჯარის უფროსს საზღვარზე ან მასთან წარმოგზავნილ მინისტრს.

რომ 1783 წ. ხელშეკრულობამ სავსებით არ გააუქმა საქართველოს საერთაშორისო პიროვნება, მიუხედავად იმ დებულებაში მოთავსებულ შეზღუდვისა, რომელიც ზემოთ განვიხილეთ,—ამას ამტკიცებს ლეგაციის აქტიური და პასიური უფლება, რომელსაც აღიარებს საქართველოსთვის ხელშეკრულობის მეხუთე მუხლი. მართალია, ეს უფლება ფორმალურად მას რუსეთის მიმართ აქვს; მაგრამ რადგან საწინააღმდეგო მუხლი არ არსებობს, უნდა ვიხელმძღვანელოთ საზოგადო პრინციპით, რომ პროტექტორატის ხელშეკრულობათა დებულებანი შეზღუდვით უნდა იქნეს განმარტებული, და ჩვენ უნდა დავასკვნათ, რომ ხსენებული უფლება საქართველოს რჩება სხვა სახელმწიფოების მიმართაც. მაშასადამე 1783 წ. ხელშეკრულობის შემდეგაც საქართველო განაგრძობს უშუალოდ საერთაშორისო უფლების სარგებლობას, მას შერჩა სახელმწიფოს ხასიათი საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით *). თვით იმ შემთხვევაშიაც, საქართველოს რომ მთლად ეთქვა უარი თავის საგარეო დამოუკიდებლობაზე და ამგვარად აღარ დარჩენილიყო საერთაშორისო უფლების სუვერენული პიროვნება, აქედან ვერ დავასკვნიდით, რომ მან დაჰკარგა სახელმწიფოებრიობა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ უარის თქმას საფუძვლად აქვს საერთაშორისო ხელშეკრულობა, რომლის დაცვას თვით მოითხოვს. გაუქმდება თუ არა ხელშეკრულობა, საქართველო ისევ იბრუნებს სავსებით თავის სუვერენულ უფლებებს *).

*) მკვლევართა დიდი უმრავლესობა ემხრობა იმ აზრს, რომ პროტექტორატის ქვეშ მყოფი სახელმწიფო არ ჰკარგავს საერთაშორისო უფლების პიროვნების ღირსებას. Vattel, *Droits des gens*, გამოცემა 1830 წ., წიგნი I, თავი 16; P. Fauchille, *Droit International public*, ტ. I, ნაწილი 1, გვ. 259 და 260; Oppenheim, *International law*, 2 გამოც. 1912 წ., ტ. I, პარაგ. 92.; Lawrence, *Principes de droit international*, trad. Dumas et de Lapradelle. Paris 1920 წ., პარ. 39 და 80; von Liszt, *Das Volkerrecht*, 6 გამ., გვ 58; von Ullmann, *Volkerrecht*, 2 გამ., 1908, გვ. 106; Rivier, *Principes du Droit des Gens*, 1896, ტ. I, გვ. 91; Despagnet, *Essais sur les protectorats*, Paris 1896, გვ. 369 და 370; Jellinek, *Die Lehre von den Staatenverbindungen*, Wien, 1882, გვ. 133; J. Kunz, *Die Staatenverbindungen*, Stuttgart, 1929, გვ. 335; P. Heilborn, *Das volkerrechtliche Protektorat*, Berlin, 1891, გვ. 46 sq.; A. Verdross, *Die Verfassung der Volkerrechtsgemeinschaft*, Wien, 1926, გვ. 100, 120—122.

რაც შეეხება შინაურ სუვერენობას, 1783 წ. ხელშეკრულობას სრულებით არ შეუკვეცავს საქართველოს უფლებანი. მეექვსე მუხლის ძალით, რუსეთი ვალდებულია არ ჩაერიოს ქვეყნის შინაურ საქმეებში, არ მიიღოს არავითარი მონაწილეობა აღმასრულებელ ხელისუფლებაში, არც შინაურ მართველობაში, არც სასამართლოში, არც გადასახადების აკრეფაში. შინაური თვალსაზრისით საქართველო რჩება აბსოლუტურად დამოუკიდებელი.

ეხლა თუ მივუბრუნდებით რუსეთს, დავინახავთ, რომ ხელშეკრულობა მას აკისრებს განსაზღვრულ ვალდებულებათ, პირისპირ იმ უფლებათა, რომელსაც ის სცნობს მის მხარეზე. ეს უფლებანი ჩვენ უკვე გავიცანით—ისინი შეადგენენ საქართველოს ვალდებულებათ. რაც შეეხება რუსეთის ვალდებულებებს, ისინი ბევრია და ყველაზე უმნიშვნელოვანესი ისაა, რომ რუსეთი ვალდებულია დაიცვას საქართველოს

*) საერთაშორისო სამართალმა სუვერენობის შესახებ იცის განსხვავება, მსგავსი იმისა, როგორიც არსებობს კერძო სამართალში საკუთრების უფლებასა და ამ უფლების სარგებლობას შორის. საკუთრების უფლების სარგებლობა შეიძლება ხელშეკრულობით გადაეცეს სხვას ისე, რომ ამ გადაცემამ არ გააუქმოს თვით საკუთრების უფლება; როგორც კი ხელშეკრულობა დასრულდება, მესაკუთრეობის სრული უფლება უბრუნდება პატრონს. ამგვარადვე საერთაშორისო სამართალში, სახელმწიფოს ხელშეკრულობით შეუძლია დათანხმდეს თავის სუვერენულ უფლებათა ზოგიერთ შეზღუდვაზე. ხოლო დასრულდება ხელშეკრულობა თუ არა, მასთან ერთად ისპობა მისი დადებული შეზღუდვანი და სახელმწიფო იბრუნებს სრულს თავის სუვერენობას. რასაკვირველია, შეზღუდვა ისე შორს არ უნდა მიდიოდეს, რომ დაუკარგოს სახელმწიფოს სრულიად საერთაშორისო ხასიათი და გადააქციოს იგი მხოლოდ შინაური უფლების უბრალო კოლექტივად. ამ საგნისთვის არ არსებობს საზოგადო წესები, ყოველი კერძო შემთხვევა ცალკე უნდა იქნეს განხილული, ხელშეკრულობის მუხლების მიხედვით.

ტერიტორია ყოველი თავდასხმისაგან (მუხ. 2 და 8). იგი მოვალეა არა თუ უზრუნველჰყოს საქართველოს აწინდელი ტერიტორიის მთლიანობა, არამედ იმ ადგილებისაც, რომელთაც საქართველო მოიპოვებს მომავალში (მუხ. 2). ხელშეკრულობის დამატებით შეთანხმებაში რუსეთი იმის პირობასაც კი სდებს, რომ შეუერთებს საქართველოს იმ ტერიტორიებს, რომლებიც მას წინად ეკუთვნოდა.

მეორე მნიშვნელოვანი მოვალეობა გამომდინარეობს მეექვსე მუხლიდან: რუსეთი პირობას სდებს,

«მისთვის სამეფოს მკვიდრნი იქნებიან ვითარცა მისი დიდებულების იმპერიასთან მჭიდრო კავშირსა და სრულ თანხმობაში მყოფნი და მაშასადამე მათ მტრებს მიიჩნევს საკუთარ თავის მტრებად». ამ ორი მუხლის ძალით, რუსეთი ვალდებული იყო მიშველებოდა საქართველოს ომის დროს; ცალკე შეთანხმების მესამე მუხლი განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოეწყოს ეს დახმარება.

ასეთია მთავარი დებულებანი 1783 წ. ხელშეკრულობისა. ამ დებულებათაგან ის გამომდინარეობს, რომ ჩვენს წინაშეა საერთაშორისო შეთანხმება ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის დადებული. იგი აწესებს მათ შორის პროტექტორატის წყობილებას, რომელიც განსაზღვრულ უპირატესობას ანიჭებს რუსეთს, სახელმწიფოს—პროტექტორს. ხოლო ეს უპირატესობა სრულებით არ შელახავს საქართველოს სახელმწიფოებრივ ხასიათს; იგი სტოვებს, თუმცა შესუსტებულად, ამ სახელმწიფოს საერთაშორისო პიროვნებასაც, რომელიც სდგება მხოლოდ მფარველობის ქვეშ *).

მაგრამ 1783 წ. ხელშეკრულობა მეტია ვიდრე პროტექტორატის ხელშეკრულობა, ის ამავე დროს კავშირის და მეგობრობის ხელშეკრულობაა (იხილე შესავალი), რომელიც აწესებს არბიტრაჟს იმ შემთხვევისთვის, თუ მხარეთა შორის რამ უთანხმოება ჩამოვარდა. ასეთი დებულებანი საზოგადოთ შესაძლებელია მარტო იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან და სარგებლობენ თავის სუვერენობას.

*) Nipold. გვ. 26.

## II.

ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მოკლედ აღვნიშნოთ 1783 წლის ხელშეკრულობის დადების შემდეგ მომხდარი ამბები. პირველი იყო სპარსეთის თავდასხმა საქართველოზე. წინაამდეგ ხელშეკრულობაში აშკარად გამოთქმულ პირობებისა რუსეთი არ მიეშველა საქართველოს. უკანასკნელი მარტოდ დარჩა და ვერ გაუწია წინაამდეგობა მტრის ჯარს, რომელიც შეესია ქვეყანას, გაანადგურა და სატახტო ქალაქი ცეცხლით გადაწვა (1795 წ.).

ეს იყო პირველი მძიმე დარღვევა რუსეთის მიერ 1783 წლის ხელშეკრულობისა, რომელიც ავალებდა მას საქართველოს დაცვას. ხოლო ერთხმად არის მიღებული საერთაშორისო უფლებაში, ისე როგორც საშინაოშიაც, რომ ვალდებულობის შეუსრულებლობა ერთის მხრის მიერ ათავისუფლებს მეორეს საკუთარ ვალდებულებათაგან. ერთი წინამორბედთაგანი საერთაშორისო უფლებისა Vattel, რომელიც თითქმის ამ ამბების თანამედროვე იყო და რომელმაც განსაკუთრებული სიღრმით შეისწავლა პროტექტორატის ხელშეკრულობის გაუქმების საკითხი, ასე ამბობს ამ საგანზე *): «როდესაც რომელიმე ერი სდგება მეორე, უფრო ძლიერის, ერის პროტექტორატის ქვეშ, ან კიდეც დაექვემდებარება მას მფარველობის მისაღებად, და ეს უკანასკნელი არ გაუწევს ნამდვილ მფარველობას შემთხვევის დროს,—აშკარა ხდება, რომ ის უყურადღებოთ სტოვებს ნაკისრ ვალდებულებას, და ამიტომ ჰკარგავს ყველა უფლებას, რომელიც ხელშეკრულობამ მიანიჭა, ხოლო მეორე მხარეც თავისუფლდება ყოველი მოვალეობისაგან, რომელიც თავის თავზე მიიღო, იბრუნებს ყველა თავის უფლებებს და აღიდგენს თავის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას». 1783 წ. ხელშეკრულობა მომხდარ ამბის გამო შეიძლებოდა გაუქმებულიყო და საქართველოს, რომელიც განთავისუფლდა ყოველი ვალდებულობისაგან, შეეძლო აღედგინა ყველა თავისი სუვერენული უფლებანი.

*) Vattel. დასახ. თხზულება, პარაგ. 198. Rivier, 108 გვ. Despagnet. გვ. 400, Nippold, 41-42, Hielborn, 175-183. Kunz, 336 და 337.

მაგრამ სინამდვილეში მოხდა სულ წინაამდეგი; რუსეთმა უარყო ხელშეკრულობის მე-12 მუხლი, რომელიც მოითხოვდა, რომ ვალდებულებათა ყოველგვარი შეცვლა უნდა მომხდარიყო ორივე მხრის შეთანხმებით,—და ცალმხრივი გადაწყვეტილებით რამდენიმე წლის შემდეგ მოახდინა უბრალოთ საქართველოს სრული ანექსია. ეს ანექსია გამოცხადდა ორი მანიფესტით—პირველი გამოაქვეყნა იმპერატორმა პავლემ 1801 წ. 28 იანვარს, ხოლო მეორე, რომელიც ადასტურებდა პირველს,—ალექსანდრე პირველმა იმავე წლის 18 სექტემბერს.

ამგვარად რუსეთმა ცალმხრივი აქტებით მიითვისა უფლებები, რომლებიც მას არ ჰქონდა პროტექტორატის ხელშეკრულობით. ეს გარემოება უფლებას აძლევდა საქართველოს გაუქმებულად ეცნო ხელშეკრულობა და თავისი თავი სრულიად განთავისუფლებულად ყოველი ვალდებულობისაგან რუსეთის მიმართ. ვატტელი აქაც იმავე აზრისაა; თავის ნაშრომის 198 პარაგრაფში სწერს: «იმავე პრინციპის ძალით, რომელიც ანთავისუფლებს ერთს მხარეთაგანს, როცა მეორე არ ასრულებს თავის მოვალეობას, ან უფრო ძლიერი ცდილობს დააკისროს სუსტს მხარეს უფრო მეტი ვალდებულება, ვიდრე ნაგულისხმევია პროტექტორატის თუ დაქვემდებარების ხელშეკრულობაში,—ამ უკანასკნელს მხარეს შეუძლია ხელშეკრულობა გაუქმებულად ჩასთვალოს და იზრუნოს თავის მდგომარეობისათვის, როგორც თვით განსაჯავს. საქმეს რომ სხვანაირად შევხედოთ, მაშინ სუსტს ერს ყოველთვის დაღუპავდა ხელშეკრულობა, რომელსაც მან მიმართა სწორედ თავის დასაცავად, და ის რომ შებორკილი დარჩეს მიღებულ ვალდებულობით, როცა მფარველი მხარე არ ასრულებს თავის ვალდებულობას, ხელშეკრულობა გახდებოდა მისი დასაჭერი მახე» *).

მაშასადამე უდავოა, რომ რაკი რუსეთმა ორჯელ არ შეასრულა თავისი ვალდებულებანი, 1783 წ. ხელშეკრულობა უფლებრივად გაუქმდა. საქართველომ თეორიულად დაიბრუნა სრული თავისი დამოუკიდებლობა. ხოლო ის თუ ვერ სარგებლობდა ამ დამოუკიდებლობას, მხოლოთ იმიტომ, რომ რუსეთმა მოახდინა მისი ოკუპაცია თავის ჯარით.

*) Despagnet, 401; Nippold, 42.

ძალაზე დამყარებული ანექსია დაემკვიდრა 1783 წლის ორმხრივი ხელშეკრულობისაგან წარმოშობილ პროტექტორატის რეჟიმის ალაგას და შეიქმნა მდგომარეობა ფაქტისა, ნაცვლად წინანდელის იურიდულისა. რა იურიდული შედეგები აქვს ამ ანექსიას? შევნიშნოთ ყოვლის უწინარეს, რომ საქართველოს ანექსია არასოდეს უცვნიათ უცხოეთის სახელმწიფოებს, რომელთაგან ინგლისმა, საფრანგეთმა, ოსმალეთმა და სპარსეთმა პირიქით ფორმალური პროტესტებიც განაცხადეს ამ ფაქტის წინაამდეგ. 1856 წ. ყირიმის ომის დროს საფრანგეთმა, ინგლისმა და ოსმალეთმა აღუთქვეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. საფრანგეთის წარმომადგენელი გრაფი მეფრეი სწერდა 1855 წ. 25 დეკემბერს: «დამოუკიდებლობა, წარმატება—აი რა მოგვაქვს ჩვენ თქვენთვის. ევროპას უნდა, რომ თქვენ შემოხვიდეთ განათლებულ ერთა დიდ ოჯახში». ოსმალეთის ჯარის

გენერალისსიმუსი კი თავის მხრით სწერდა 1855 წლ. 31 ნოემბერს: «მათი (მოკავშირე სახელმწიფოების) სურვილია, რომ სამეგრელო[*]) და მისი მეზობელი მხარეები იყვნენ დამოუკიდებელნი რუსეთისა და სხვა სახელმწიფოსაგან, იყვნენ თავისუფალნი და ყავდეთ საკუთარი მთავრობანი».

ბოლოს საქართველოს საკითხი დაისვა ხელახლა პარიზის კონგრესზე 1856 წ. 1856 წლის 1 მარტის პროტოკოლში ვკითხულობთ: «ბ. გრაფი ვალევსკი, საფრანგეთის დელეგატი, აცხადებს, რომ მოკავშირე სახელმწიფოები მოითხოვენ, რათა სპეციალურად იქნეს განხილული შავი ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიების მდგომარეობა». ცხადია, აქ ნაგულისხმევი იყო საქართველო. სამწუხაროთ ეს საკითხი არ იქნა განხილული კონგრესზე. მაშინდელი საერთო ვითარება ხელს არ უწყობდა ამას.

მაგრამ მთავარი ისაა, რომ ქართველი ერი არასოდეს შერიგებია თავის ქვეყნის იძულებით ოკუპაციას. ძნელია ჩამოთვლა ქართველი ერის ყველა

*) სამეგრელო მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მთლად დამორჩილებული რუსეთის მიერ.

აჯანყების და განმათავისუფლებელ ბრძოლის დამპყრობელის წინაამდეგ, რასაც მოსდევდა ყოველთვის საშინელი რეპრესიები. აჯანყება იფეთქებდა ხან ერთს ალაგას, ხან მეორეს—ასე იყო მთელი მე-19 საუკუნის სიგრძეზე—1802 წ., 04, 12, 19, 32, 78 წ. და ბოლოს 1905 წელს. 1907 წ. ქართველმა ერმა პეტიციით მიმართა ჰააგის სამშვიდობო კონფერენციას, სადაც ამბობდა, თუ რა დევნას განიცდიდა რუსეთისაგან, და მოითხოვდა თავის უფლებათა აღდგენას.

თუ ამ ფაქტებზე შევჩერდით, მხოლოთ იმიტომ რომ არიან იურისტები, რომლებიც უარყოფენ საქართველოს დამოუკიდებლობას[*]). ამ იურიდულ არგუმენტაციას ისინი უპირდაპირებენ «ფაქტის ნორმატიულ ძალას» (normative kraft des Faktischen); ფაქტი ჰქმნის და სპობს უფლებასო. ის ფაქტი, რომ რუსეთმა, ერთ საუკუნეზე მეტია, დაიპყრო საქართველო და მფარველობაში ყოფილი სამეფო გადააქცია რუსეთის გუბერნიებად,—საკმარია იმისთვის, რომ დაუკარგოს ძალა წინანდელ ხელშეკრულობათ და შექმნას ახალი იურიდული მდგომარეობა. ეს ნიშნავს ვადის გადასულობის მცნების შეტანას საერთაშორისო უფლებაში[**]). ხოლო ჩვენ არ გვინდა აქ ვიდავოთ ამ საკითხზე და რაც უნდა მოსაზრებანი იქნეს წარმოდგენილი ამის თაობაზე, საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ პოზიტიურ საერთაშორისო უფლებას ვადის გადასულობის (ფლობელობის ხანგრძლივობის) მცნება არასოდეს დაუმუშავებია: მეტიც შეიძლება ითქვას, მას იგი დღემდის არ უცვნია. უეჭველია, არიან ავტორები, რომელთაც სურთ შეიტანონ საერთაშორისო უფლებაში თვით შეძენა ტერიტორიისა ხანგრძლივი ფლობელობის შემწეობით[***]). ეს უკანასკნელი იქნებოდა საერთო ინსტიტუ-

*) Von Liszt, Die Volkerrechtliche Stellung der Republik Georgien, ბერლინი 1918.

**) იხ. ამ საგნის მეტად სწორი განხილვა P. Fauchille, Traité de droit international public, ტ. I, წ. 2, გვ. 754. აგრეთვე ჩემი Précis de droit International public. 1931. № 105, 108 და 688.

***) Cf. Audinet, La prescription acquisitive en droit international public, ფასახელ. Revue-ში, ტ. III, გვ. 313; Lawrence, op. cit. პარაგ. 78; Oppenheim, op. cit., ტ. I, პარაგ. 242 sq.; Fiore, Droit international public, trad. Pradier-Fodéré, გვ. 309 sq.; Calvo, Droit international théorique et pratique, 4 გამოცემა, 1887-1888, ტ. I, გვ. 317; Pradier-Fodéré, Traité de droit international public européen et américain, 1885-1906, ტ. II, № 828; P. Fauchille, op. cit., გვ. 755.

იხ. წინააღმდეგ Von Holtzendorff, Handbuch des Volkerrechts, ტომ. II, გვ. 255; Mérignhac, Traité de droit public international, 3 ტომი, 1905-1912, 2 ნაწ., გვ. 417; Von Ullmann, op. cit., პარაგ. 92.

ტი როგორც საერთაშორისო ისე კერძო უფლებისთვის. ხანგრძლივი და მშვიდობიანი ფლობელობის უზრუნველყოფა ერთი აუცილებელ პირობათაგანია სოციალურ მშვიდობიანობისთვის როგორც საერთაშორისო წესიერებისა, ისე საშინაოსთვის.

მაგრამ თანამედროვე საერთაშორისო უფლებას არ მოეპოვება ხანგრძლივი მფლობელობის შესახებ არავითარი გარკვეული წესი, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ან რა იურიდული შედეგები ექნება მას. ჯერჯერობით მუშაობა საგნის თეორიული შემუშავებისთვის სწარმოებს და ავტორთა შეხედულობანი ყოველთვის არ ეთანხმებიან ერთი მეორეს: სახელდობრ დიდი განსხვავებაა ხანგრძლივობის ვადის თაობაზე[*]). ესაა უპირველესი საკითხი; მისი გადაჭრა ყოველთვის პრაქტიკულად დამოკიდებული იქნება იმ პირობებისაგან, რომლებშიაც ფლობელობას სარგებლობდა სახელმწიფო, ამ საშუალებით ტერიტორიის შეძენა რომ უნდა. ამ პირობებს შორის, რომლებიც საზოგადოთ მიჩნეული არიან როგორც აუცილებელნი, არის ორი, რომელნიც პირდაპირ ეხებიან ჩვენთვის საინტერესო შემთხვევას.

ყოვლის უწინარეს საჭიროა, რომ ფლობელობა

*) გაბატონებული შეხედულებაა, რომ რადგან არ არსებობს პოზიტიური წესი, არავითარი ერთი მტკიცე ვადის მიღება არ შეიძლება; დრო იცვლება გარემოებათა მიხედვით. Audinet, op. cit., გვ. 323; Fiore, Nouveau droit international public, 1885 ტ. II, № 851; Lawrence, op. cit., პარაგ. 78 გვ 169; Oppenheim, op. cit., ტ. I, პარაგ. 243; Pradier-Fodéré, op. cit., ტ. II № 828. წინააღმდეგ, P. Fauchille, op. cit., გვ 762: მას შესაძლებლად მიაჩნია ოცდაათი წლის ვადის მიღება.

იყოს მშვიდობიანი და შეუწყვეტელი, რომელიც ჰგულისხმობს პრაქტიკულად შემოერთებული ხალხის დათანხმებას, ყოველს შემთხვევაში ჩუმს. ფლობელობა არა მშვიდობიანი, რომელიც მხოლოდ ძალას ემყარება, მნიშვნელობას უკარგავს დროს; ასეთივე გავლენა აქვს ფლობელობის შეწყვეტას ფორმალური ოპოზიციით, შემოერთებული ხალხის აჯანყებით. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს შესახებ, ეს ფლობელობა არ ყოფილა არც მშვიდობიანი, არც შეუწყვეტელი; ერის მუდმივი ამბოხებანი დამჩაგვრელის წინაამდეგ და პროტესტები არ აძლევენ ნებას რუსეთს, გამოიყენოს თავის სასარგებლოთ ხანგრძლივი ფლობელობა.

საჭიროა აგრეთვე, მფლობელმა სახელმწიფომ რომ გამოიყენოს ფლობელობის ხანგრძლივობა, მან თვითონ არ უნდა შესცვალოს ფლობელობის ხასიათი. თუ სახელმწიფო სრულებით დაეპატრონება ტერიტორიას, რომელსაც ფლობს იურიდულად მხოლოთ შეზღუდული უფლებით, და ყოველ შემთხვევაში შინაგანი სუვერენობა ეკუთვნის მეორე სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში მას არ შეუძლია შეიძინოს ტერიტორია ფლობელობის ხანგრძლივობით. «სახელმწიფოს, ამბობს Fauchille, ისე როგორც კერძო პიროვნებას, არ შეუძლია შეძენა უფლების წინაამდეგ. შეუძლებელია თავის ნებით შეცვლა თავის ფლობელობის მიზეზისა და პრინციპისა». თუ პროტექტორი სახელმწიფო, დასძენს გამოჩენილი სწავლული, შთანთქავს იმ სახელმწიფოს მთავრობას და ადმინისტრაციას, რომელიც მის მფარველობის ქვეშაა, და დაუტოვებს მას მარტო ნომინალურ დამოუკიდებლობას, ესეთი ფლობელობა რაც უნდა ხანგრძლივი იყოს, ვერ მიანიჭებს მას სუვერენობას

დაჭერებულ ტერიტორიაზე *). ესევეა იმ შემთხვევაშიც, როცა საქმე გვაქვს უფლების უფრო მძიმე დარღვევასთან, როცა მაგალითად მფარველი სახელმწიფო, როგორც ეს მოხდა საქართველოს მიმართ, სრულებით აუქმებს მფარველობის ქვეშ მყოფ სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და გადააქცევს მას თავის პროვინციად.

*) Fauchelle, გვ. 780.

«ფაქტის ნორმატიული ძალის». საბუთი ფუვარგისია, ყოველ შემთხვევაში იმ მდგომარეობისთვის, რომელსაც ჩვენ აქ ვეხებით. საქართველოს ფლობელობა რუსეთის მიერ, თუმცა ღა ერთ საუკუნეზე მეტს გაგრძელდა, არაა საკმარისი, რომ რუსეთმა მოიპოვოს სუვერენობა საქართველოზე. აქ იყო წმინდა ფაქტის მდგომარეობა, რომელსაც არ შეეძლო ევნო საქართველოს უფლებისთვის. ამგვარად, როგორც ეს თქვა სრულიად სამართლიანად იელინეკმა, «უნდა კარგად გავარჩიოთ თვალსაზრისი პოლიტიკური და თვალსაზრისი იურიდული. იურიდულ დამოუკიდებლობას შეუძლია სრული თანაარსებობა მეტად ფართო პოლიტიკურ დამოკიდებულებასთან. ამ განსხვავებას, პრაქტიკული თვალთსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს: როცა სახელმწიფო იურიდულად დამოუკიდებელია, რაც უნდა ძლიერი იყოს მისი ფაქტიური დამოკიდებულება, იგი სუვერენულია და შეუძლია მოითხოვოს ყველა ის უფლება, რომელიც მას ეკუთვნის საერთაშორისო სამართალით» *).

ეს დებულება სავსებით შესაფერია საქართველოს ვითარებისთვის: უბრალო და წმინდა ანექსია რუსეთის—მფარველი სახელმწიფოს მიერ, რომელმაც წინაამდეგ ამისა დახმარება აღუთქვა, იურიდულად უბრუნებს საქართველოს წინანდელს სუვერენობას, რომლის მოსპობა არ შეეძლო სხვა აუცილებელ თვისებებსაც მოკლებულ ფლობელობის ხანგრძლივობას.

## III.

საერთაშორისო თვალსაზრისით რუსეთის მიერ მოხდენილ ანექსიას ის ფაქტიური შედეგი ჰქონდა, რომ საქართველომ დაჰკარგა საერთაშორისო უფლების პიროვნების ღირსება. სახელმწიფოთა წარმოშობა და გაქრობა პოზიტიური საერთაშორისო უფლების შეხედულობით არიან მარტო ფაქტები, რომელთაც იგი აღნუსხავს მხოლოდ. მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რომ მიუხედა-

*) G. Jellinek, L'Etat moderne et son droit, ნაწ. 2, Theorie juridique de l'Etat, გვ. 507.

ვად ფაქტიური მდგომარეობისა მან შეინახა თავისი იურიდული სახე დამოუკიდებლობისა: სახელმწიფო შეიძლება აღარ არსებობდეს როგორც ასეთი, მაგრამ მას შეუძლია აღსდგეს და მაშინ დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, რომ საშუალება აქვს დაამტკიცოს თავის უფლების გაგრძელება *). მაშინ დაისმება საკითხი არა ახალი სახელმწიფოს შექმნისა, არამედ წინად არსებული სახელმწიფოს აღდგენისა, რასაც იელინეკი სრული სისწორით უწოდებს «საერთაშორისო იურიდულ პიროვნების აღდგენას» (Das Wiederaufleben einer völkerrechtlichen Persönlichkeit).

სწორედ ეს მოხდა საქართველოსთვის. 1917 წ. ნოემბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ რუსეთში, უკანასკნელის ხელისუფლება საქართველოში მოისპო. საქართველო, ისე როგორც ამიერკავკასიის სხვა სახელმწიფონი, ჩამოშორდა დიდს იმპერიას, რომელიც ირღვეოდა. 1918 წ. მაისის 26 საქართველოს საერო კრილობის არჩეულმა ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა, და ეს ამბავი ჯეროვანის წესით ეცნობა ყველა უცხოელ სახელმწიფოს.

არის აქ ჩვენს წინაშე ახალი სახელმწიფოს წარმოშობა, თუ უკეთ ხელახალი გამოცხადება სახელმწიფოსი, რომელიც 1801 წლამდის არსებობდა? იმის შემდეგ, რაც ზემოთ უკვე განვიხილეთ, პასუხი საეჭვო აღარაა: ჩვენ საქმე გვაქვს უკვე წინად არსებულ საქართველოს სახელმწიფოს აღდგენასთან. მისი არსებობის განგრძობა ყოველთვის უზრუნველყოფილი იყო სახელმწიფოს იმ ორი არსებითი ელემენტის მუდმივობით, რომელთაც წარმოადგენენ ტერიტორია და მოსახლეობა. სრულიად სუვერენულ სახელმწიფოს შესადგენად საქართველოს აკლდა მესამე მთავარი ელემენტი სახელმწიფოსი—სუვერენული მართველობა. რუსული ხელისუფლების დამხობამ და საქართველოს მთავრობის მოწყობამ შეავსეს ეს ნაკლი და ამ რიგად საქართველოს აღდგენა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსი, გახდა შესრულებული ფაქტი **).

*) Rivier, გვ. 65 და სხ.

**) «შესაძლებელია აგრეთვე, რომ მომკვდარი სა-

დამოუკიდებლობის გამოცხადება დაადასტურა დამფუძნებელმა კრებამ 1919 წ. 12 მარტს. ამ კრების არჩეულს კომისიას დაევალა ახალი რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შემუშავება. 1921 წ. თებერვლის 21-ს დამფ. კრებამ მიიღო საბოლოო ტექსტი კონსტიტუციისა, რომელიც ამყარებდა პარლამენტარულ დემოკრატულ რესპუბლიკას. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნოდა საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ, ფარულ და პროპორციულ კენჭის ყრით არჩეულ პარლამენტს (მ. 4); აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა «რესპუბლიკის მთავრობას» (მ. 66), რომლის თავმჯდომარეს ირჩევდა პარლამენტი (მ. 67), ხოლო დანარჩენ წევრებს იწვევდა თვით თავმჯდომარე (მ. 68): მთავრობა სოლიდარულად პასუხისმგებელი იყო პარლამენტის წინაშე (მ. 73). კონსტიტუციას გათვალისწინებული ჰქონდა აგრეთვე დამოუკიდებელი სამოსამართლო ხელისუფლება (მ.მ. 76-83). ბოლოს მეთოთხმეტე თავი ეხებოდა უმცირესობათა უფლებებს: იგი ანიჭებდა უმცირესობათ უფრო ფართო უფლებებს, ვიდრე ეს განსაზღვრულია 1919 წ. ხელშეკრულობით უმცირესობათათვის ახლად წარმოშობილ სახელმწიფოებში.

საქართველოს სახელმწიფოს არსებობა შინაგანი საზოგადოებრივი უფლების თვალსაზრისით სრულებით უდავოა. რაც შეეხება საერთაშორისო საზოგადოებრივ უფლებას, 1918 წ. შემდეგ მოხდა მთელი რიგი აქტებისა, რომელთაც საბოლოოდ განამტკიცეს საქართველოს სტატუტი. ყოვლის უწინარეს საპიროა გარკვევა მდგომარეობისა რუსეთის მიმართ. უნდა აღვნიშნოთ, რომ როცა საქართველო რუსეთს ჩამოშორდა, მან იხარგებლა მხოლოდ საბჭოთა კონსტიტუცია, რომელმაც ყოფილ რუსეთის იმპერიის ყველა ერს მისცა სრული თვითგამორკვევის და გამოყოფის უფლება.

ხელმწიფო ისევ გაცოცხლდეს, თუ შეკავშირების ელემენტები კვლავ შეიქმნებიან» (იელინეკი, ნაწ. 1. სახელმწიფოს საზოგადო თეორია, გვ. 440). აღდგენა პოლონეთის, ირლანდიის, ჩეხოსლოვაკიის და სხვ., რომლებიც საუკუნეზე მეტი იყვნენ უცხოელთა ოკუპაციის ქვეშ, ამ აზრს ადასტურებენ.

მაგრამ ამაზე უფრო მნიშვნელოვანია რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის და საქართველოს შორის 1920 წ. მაისის 7 დადებული ხელშეკრულობა. ხელშეკრულობის პირველი მუხლის ძალით რუსეთმა აღიარა ყოველივე პირობის გარეშე საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა და უარი სთქვა სრულის ნებით ყოველ სუვერენულ უფლებაზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოს მიმართ. ხელშეკრულობის მეორე მუხლიც არაა ნაკლებად დაბეჯითებული: „რუსეთი—ეკითხულობთ იქ—ემყარება ამა ხელშეკრულობის წინა მუხლში გამოცხადებულ პრინციპებს და ვალდებულობას ღებულობს, არ ჩაერიოს არავითარ საშუალებით საქართველოს შინაურ საქმეებში».

ცხადზე უცხადესია, რუსეთმა გადაჭრით იცნო საქართველო როგორც სავსებით სუვერენული სახელმწიფო და იკისრა ვალდებულება პატივი სცეს მის დამოუკიდებლობას. ჩვენ მალე ვნახავთ, თუ რამდენად შეასრულა მან ნაკისრი ვალდებულება. მაგრამ მიუხედავად ამისა, რუსეთის შეხედულობით, საქართველოს იურიდული მდგომარეობა იყო შეუვალი.

ამ ცნობის წინ და შემდეგაც საქართველო იცნეს სხვა სახელმწიფოებმა, კერძოდ მოკავშირე სახელმწიფოებმა. საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო de facto 1920 წ. იანვრის 11-ს ვერსალის კონფერენციის უმაღლესმა საბჭომ, ე. ი. საფრანგეთმა, ინგლისმა, იტალიამ, ბელგიამ და იაპონიამ. იმავე საბჭომ 1921 წ. იანვრის 27 ს აღიარა ეს დამოუკიდებლობა de jure *). საქართველოს დამოუკიდებლობა იცნეს აგრეთვე სხვა სახელმწიფოებმაც, სახელდობრ პოლონეთმა, რუმინეთმა, ლუქსენბურგმა, გერმანიამ, ავსტრიამ, არგენტინამ, მექსიკამ, პანამამ, პაიტიმ, ოსმალეთმა, სიამმა და ლიბერიამ.

ნაციათა ლიგის კრების პირველ სესიაში 1920 წ. განხილულ იქნა საკითხი საქართველოს მიღების შესახებ. საქართველოს დელეგაციამ სამ მეიდობო კონფე-

*) თუ რა განსხვავებაა de facto და de jure-ს ცნობას შორის, ამის შესახებ ნ. ჩემი Precis de Droit internat. № 397.

რენციაზე, 1919 წ. 28 მაისს წარადგინა საქართველოს მთავრობის სახელით მოთხოვნა, რათა დაშვებული ყოფილიყო წევრად თანახმად ნაციათა ლიგის პაქტის პირობებისა. ამ საგნის განხილვის დროს როგორც მეხუთე კომისიაში ისე ლიგის საერთო კრებაზე არც ერთს წევრს არ გამოუცხადებია პრინციპიალური წინააღმდეგობა საქართველოს დაშვებისა. კრებამ მაინც, თანახმად კომისიის წინადადებისა, გადაწყვიტა საქმის გადადება *). გადადების მოსაზრება ის იყო, რომ საქართველო, როგორც მეზობელი საბჭოთა რუსეთისა, რომელიც ნაციათა ლიგის გავლენის გარეშე იმყოფებოდა, საფრთხეში იყო ჩავარდნილი რუსეთის აგრესივობით. პაქტის მეათე მუხლის ძალით, რომელიც უზრუნველყოფს ყველა წევრის ტერიტორიის მთლიანობას და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, ნაციათა ლიგა ვალდებული იქნებოდა დახმარება აღმოეჩინა საქართველოსთვის განსაცდელის დროს, ხოლო ლიგას არ მოეპოვებოდა საშუალება ნამდვილი დახმარების გასაწევად და ეს შეუძლებლობა ზიანს მიაყენებდა მის (ლიგის) ავტორიტეტს.

რაც უნდა იყოს წონა ამ მოსაზრებისა რომელიც შეიძლებოდა წამოეყენებიათ სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ და არა საქართველოსი, საპირობა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მოთხოვნა არ ყოფილა უკუგდებული საბოლოოთ, არამედ იყო მხოლოთ გადადებული, კრების მომავალ გადაწყვეტილების მოლოდინში. საქართველოს მინიჭებული ჰქონდა უფლება, თუ ამის სურვილს გამოაცხადებდა, მიელო მონაწილეობა, როგორც ნაციათა ლიგის წევრებს, ჟენევის დაწესებულების ტექნიკურ ორგანიზაციებში,

*) 1920 წ. 16 დეკ. გადაწყვეტილება. 23 სახელმწიფოში, რომელთაც ხმა მისცეს, 10 დაშვების მომხრე იყო, 13 წინააღმდეგი; 18 სახელმწიფომ თავი შეიკავა ან არ დასწრებია. Journal officiel de la S. D. N. Actes de la 1-re assemblée, 1920, გვ. 633. მხარის დამპერი მეტი იყო პროპორციულად ვიდრე ბალტიის სახელმწიფოებისთვის, რომელთა მიღების თხოვნა აგრეთვე გადადებულ იქნა, მაგრამ რომელნიც დღეს ლიგის წევრები არიან.

განსაკუთრებით შრომის საერთაშორისო კონფერენციაში (J. O. de la S. D. N. Actes 1920, გვ. 634).

საქართველოს იურიდული მდგომარეობა საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით მისი სრული დამოუკიდებლობის წლებში იყო ისეთვე ნათელი, როგორც შინაგან საზოგადოებრივ უფლების თვალსაზრისით. ცნობამ მრავალ უცხოელ სახელმწიფოს მიერ საქართველოს ნაციათა ოჯახში დაბრუნების საშუალება მისცა; იგი კვლავ გახდა საერთაშორისო უფლების სუვერენული პიროვნება.

მაგრამ ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. რუსეთი წინააღმდეგ 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულობისა, რომლის თანახმად აღიარა საქართველოს სუვერენობა და უარი განაცხადა ჩარევაზე მის შინაურ საქმეებში, ხელახლა თავს დაესხა საქართველოს. 1921 წ. 11 თებერვალს რუსის ჯარები შეესივნენ საქართველოს და ცხარე წინააღმდეგობის შემდეგ, რომელიც გაგრძელდა ხუთ კვირას, დაიკავეს მისი ტერიტორია 1921 წ. მარტის 20 *). ეს ოკუპაცია აქამდის გრძელდება. ამგვარად რუსეთმა ორჯელ დაარღვია წესიერად დადებული ხელშეკრულობა, დაიპყრო და დაიკავა საქართველო. და თუ ძველს იმპერიას შეეძლო 1801 წ. გაემართლებია ანექსია საქართველოს სისუსტით და მისი დაცვის საჭიროებით, საბჭოთა რუსეთს ეს არ შეეძლო, ვინაიდგან ახლა საქართველოს არც ერთს მეზობლისაგან არ მოელოდა საშიშროება, თუ არა თვით რუსეთისაგან.

*) ცთილობდენ დაერწმუნებიათ საზოგადოება (L'Humanité 1921 წ. 1 და 3 მარტის), რომ ვითომც ადგილი არ ჰქონდა საქართველოს სამხედრო ოკუპაციას რუსეთის მიერ. საქმე სხვანაირად იყო: ბოლშევიკური რევოლუცია მოხდა თვით შიგნით საქართველოში და რუსეთს არავითარი აგრესიულობა არ გამოუჩენია. მაგრამ თვით საბჭოთა წყაროებიდან წარმომდგარი საბუთები ამათილებენ ასეთს მტკიცებას. არსებობს საბჭოთა მეორე არმიის სარდლის ჰეკერის ანგარიში, 1920 წ. 18 დეკემბრის რიცხვით, რომელიც ააშკარავებს, რომ საქართველოში შესევა იყო წინასწარ გამზადებული. ამ მოხსენების დასკვნაში ვკითხულობთ: „ზემო დასახელებული მოსაზრებანი სრულებით იმისთვის არ მოვიტანეთ, რათა დავამტკიცოთ შეუძლებლობა შეტევისა საქართველოზე, არამედ იმის ვამბობთ მხოლოდ, რომ ეს შეტევა უნდა მოხდეს ბეჯითი მომზადების შემდეგ და დასრულდეს რაც შეიძლება მოკლე დროში» (მთავარი ადგილები ამ მოხსენებისა მოხსენებული აქვს დეპუტატს რენოდელს სიტყვაში, რომელიც წარმოსთქვა საფრანგეთის პალატაში 1925 წ. 28 იან-

## IV.

განვიხილოთ ეხლა საქართველოს იურიდული მდგომარეობა, როგორიც არის დღეს. ეს მდგომარეობა ცოტა უფრო რთულია საერთაშორისო საჯარო უფლების თვალსაზრისით, ვიდრე იყო 1801 წ. ანექსიით შექმნილი.

სანამ გავარკვევდეთ ამ საერთაშორისო მდგომარეობას, უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტი ოკუპაციისა რუსეთის მიერ არასოდეს არ უცვნია კანონიერად ქართველ ხალხს. ამის დამამტკიცებელი მრავალი საბუთი შეიძლება დავასახელოთ: არაპირდაპირი — ის, რომ რუსეთი იძულებულია დიდი ჯარი იყოლიოს საქართველოში *), რაც იმას ამტკიცებს, რომ საბჭოთა მთავრობას შეუძლია არსებობა მხოლოდ ძალის შემწეობით. შემდეგ როცა ეროვნული მთავრობა შეეცადა საკითხი არბიტრით ან პლებისციტით გადაწყვეტილიყო საქართველოს კომუნისტურმა მთავრობამ ამაზე უარი განაცხადა. ხოლო ყველაზე პირ-

ვარს). გვაქვს მეორე დოკუმენტი არა ნაკლებ მნიშვნელობისა. ტროცკიმ დასწერა 1922 წ. თავის წიგნში (იმპერიალიზმსა და რევოლუციას შუა): «ჩვენ არ გვაქვს არავითარი სურვილი დავფაროთ ან შევასუსტოთ საბჭოთა ჯარის მნიშვნელობა კავკასიის დაკავებაში». ამავე წიგნის მეორე ადგას (გვ. 142) დასძენს: «საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა, რათა წითელი ჯარები შესულიყვნენ ამ მხარეში». ასეთი განცხადებების შემდეგ შეუძლებელია რაიმე ეჭვი იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა საქართველოს გასაბჭოება: მოხდა შემოსევა და არა რევოლუცია.

*) რენოდელის სიტყვა, გვ. 25 და 26.

დაპირი საბუთია 1924 წ. აგვისტო-სექტემბრის აჯანყება, რომელიც მთელს საქართველოს მოედვა. ეს აჯანყება საბჭოთა მთავრობამ ველურად ჩააქრო: ხოლო ამის შემდეგ ხალხური აჯანყებანი რუსის ოკუპანტების წინაამდეგ არასოდეს შეწყვეტილა. მოძრაობამ თითქმის საერთო ხასიათი მიიღო და გაგრძელდა 1929 წ. შემდეგ, როცა კავკასიაში მიწების კოლექტივიზაციას შეუდგნენ. პარტიზანების ბრძოლას გაძლიერება დაეტყო 1932 წ. ეს აჯანყებანი, რომლებიც ხან აქ იფეთქებენ და ხან იქ, რასაკვირველია იწვევენ ახალ და ახალს რეპრესიებს საბჭოთა მთავრობის მხრით.

ვნახოთ ეხლა საქართველოს დღევანდელი იურიდული მდგომარეობა საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით. ეს მდგომარეობა, როგორც ვსთქვით უკვე, 1801 წლისაზე უფრო რთულია. რუსების ანექსიის შემდეგ საქართველო აღარ იყო ნამდვილად საერთაშორისო პიროვნება. სრულებით ვსევე არაა დღეს. მართალია საქართველო ძალით გაასაბჭოვა რუსეთმა და იგი წევრ რესპუბლიკის სახელით შედის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში *). მაგრამ ეს იძულებითი გასაბჭოება არ უცვნია უცხოელ სახელმწიფოების მეტ ნაწილს, და ზოგან ძველი სახელმწიფოს წარმომადგენლობა არსებობს ისევ; ასეა მაგალითად საფრანგეთში, სადაც იმყოფება საქართველოს ლეგაცია. ცხადია, საფრანგეთს არასოდეს უცვნია საქართველოს ოკუპაცია საბჭოთა ჯარების მიერ.

როცა დაისვა საკითხი ს. ს. რ. კავშირის ცნობისა ზოგიერთ უცხოელ სახელმწიფოების მიერ, რუსეთი შეეცადა, რომ ეცნოთ მისი სუვერენობა საქართვე-

*) აქ უნდა მივაქციოთ ყურადღება ს. ს. რ. კავშირის კონსტიტუციის მეოთხე მუხლს, რომელიც უტოვებს წევრ-რესპუბლიკებს კავშირის დატოვების თავისუფლებას. 1924 წ. ქართველმა ერმა სწო-

რედ გამოაცხადა თავისი სურვილი კავშირიდან გასვლისა. ეს სურვილი ჩაახშევს რუსის სამხედრო ძალებმა. მაშ რაღა იქნა მე-4 მუხლი? ეს აშკარად გვიჩვენებს იმას, რომ საბჭოთა კონსტიტუციის არც ერთი მუხლი მიტომ არ არსებობს, რომ გამოიყენონ.

ლოზე. მაგრამ ეს მოთხოვნა არასოდეს ყოფილა მიღებული უცხოელ სახელმწიფოებისაგან. დიდმა ბრიტანეთმა რომ ს. ს. რ. კავშირი იცნო, თავის ნოტაში შემდეგი განსაზღვრა შეიტანა: «ბრიტანეთის მთავრობა ცნობილობს ს. ს. რ. კავშირს როგორც მთავრობას de jure ყოფილ რუსეთის იმპერიის იმ ტერიტორიებზე, რომელნიც სცნობენ მის ხელისუფლებას». ეს რეზერვი გარკვევით პგულისხმობდა საქართველოს *), სადაც ხალხმა არამც თუ არ მიიღო საბჭოთა მთავრობა, არამედ გამუდმებით უჯანყდება მას.

საფრანგეთის ნოტაში, რომლითაც მან იცნო ს. ს. რ. კავშირი, ნათქვამია, რომ სცნობს მას «როგორც ყოფილ რუსეთის იმპერიის იმ ტერიტორიების მთავრობას, სადაც მისი ხელისუფლება მიღებულია მკვიდრთა მიერ». ამ ნოტაში გარდა ამგვარ საზოგადო რეზერვისა არის პირობა კიდევ უფრო გარკვეული საქართველოსა და ბესარაბიის შესახებ, რომლის თანახმად ეს ცნობა (ს. ს. რ. კავშირისა) «ვერ შეეხება ვერც ერთს უკვე ნაკისრ ვალდებულებას».

რომ აქ სწორედ საქართველოა ნაგულისხმევი, ამას ამტკიცებს ჰერიოს გამოსვლა საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში 1922 წ.: «საქართველოს სუვერენობა გადაჭრით იყო ცნობილი მოკავშირე სახელმწიფოების მიერ, იგი იცნო სრულიად გარკვეული ხელშეკრულებით რუსეთმაც. ეთხოვ მთავრობის თავმჯდომარეს კეთილ ინებოს და გამოაცხადოს, რომ მისი მთავრობა კვლავინდებურად მხარს უჭერს ამ დამოუკიდებლობას». პუანკარემ ამაზე მეტად ნათელი პასუხი გასცა: «პატივცემულმა ჰერიომ თვითონ გამოსთქვა მთავრობის აზრი, რომელიც არა ერთხელ გამოგვითქვამს საქართველოს სახელმწიფოს მიმართ. და უკანასკნელს ჰყავს თავისი წარმომადგენელი პარიზში და მისთვის ღიაა

*) იხ. მაკდონალდის და ჯილბერტ მურეის განცხადებანი 1924 წ. 25 სექტემ. ნაციათა ლიგის მეხუთე კრილობაზე. პირველი იყო ბრიტანეთის იმპერიის, ხოლო მეორე კანადის წარმომადგენელი. Journal offic. de la S. D. N., Actes de la cinquième Assem., გვ. 163-164.

ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს კარები»).

მართლაც 1921 წ. თებერვლის 25-დან, როცა საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიანმა მინისტრმა თავის რწმუნებულობის ქაღალდები წარუდგინა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, საქართველოს ლეგაცია დაარსებულია პარიზში. რადგან ს. ს. რ. კავშირის ცნობა de jure საფრანგეთის მიერ «ვერ შეეხება ვერც ერთს უკვე ნაკისრ ვალდებულებას», ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ვერ შეცვლის საქართველოს ცნობას საფრანგეთის მიერ, რაიც მაზე ადრე მოხდა. ამ ცნობამ (საქართველოსამ), რომელსაც არავითარი პირობა არ ახლდა, დააკისრა საფრანგეთს, მიიღოს ამიერიდან ახალი სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო უფლების სუვერენული პიროვნება.

კიდევ მეტი, საქართველოს ცნობა დადასტურებული იყო ნათლად მრავალი საერთაშორისო აქტით შეთანხმებულ და შეკავშირებულ სახელმწიფოების მიერ. რუსეთის წარმომადგენელი ორჯელ შეეცადა, რომ დაშვებული ყოფილიყო საერთაშორისო კონფერენციებზე, ვითარცა საქართველოს დელეგატი,

მაგრამ ორჯელვე უნაყოფოდ. პირველად ეს იყო გენუის კონფერენციაზე 1922 წ. საფრანგეთის მთავრობა თავის დელეგაციისათვის (რომლის თავმჯდომარე ლუი ბარტუ იყო) მიცემულ ინსტრუქციებში

*) იხ. Journ. offic. 1922 წ. აპრილის 2. გვ. 1357, 1358-1360. აგრეთვე Noulens, La reconnaissance internation. de nouveaux gouvernements, dans Séances et travaux de l'Académie Diplomatique internation. 1930 წ. აპრილ-ივნისი. გვ. 120. იხ. აგრეთვე სოციალისტური ჯგუფის წერილი მთავრობის თავმჯდომარის ჰერიოს მიმართ 1924 წ. ივლისის 3: «სოციალისტური პარტია სურვილს გამოსთქვამს, რომ საფრანგეთის მთავრობამ გამოაცხადოს: იგი სავსებით სცნობს de jure ს. ს. რ. კავშირს იმ საერთაშორისო აქტების გამოკლებით, რომელთა ძალით ცნობილი იყო de jure დამოუკიდებლობა ყოფილ რუსეთის იმპერიიდან გამოსულ სხვადასხვა სახელმწიფოთა, რომელთაც თავიანთი წარმომადგენლები ჰყავთ საფრანგეთის მთავრობასთან».

სპეციალურად აღნიშნავს, რომ რუსეთის დელეგატები არ უნდა ყოფილიყვნენ მიღებულნი საქართველოს წარმომადგენლებად *). საფრანგეთის დელეგაციის თვალსაზრისი გაიზიარეს ბრიტანეთის და სხვა დელეგაციებმა და რუსთა დელეგაციის ყოველმა ცდამ ამ შეხედულობის შესაცვლელად უნაყოფოდ ჩაიარა.

აგრეთვე ჩაიფუშა მეორე ასეთივე ცდა ლოზანის კონფერენციაზე 1922-23 წლ. რუსების დელეგაციის მოთხოვნით საქართველო და უკრაინა შეტანილ იქნენ კონფერენციის პროტოკოლებში. მაგრამ განმარტებულ იქნა კონფერენციის მთავარ მდივნის მასილის მიერ კონფერენციის თავმჯდომარეებთან შეთანხმებით, რომ ეს შეტანა ისე არ უნდა იქნეს განმარტებული, რომ უკრაინა და საქართველო წესიერად არიან წარმოდგენილნი კონფერენციაზე **).

გარდა ამისა, ლონდონის, პარიზის და რომის მთავრობათა მოთხოვნით, სრუტეების შეთანხმებას საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა ხელი მოაწერა მხოლოდ რუსეთის სახელით. აღვნიშნავთ დაბოლოს, რომ სრუტეების შეთანხმებამ ბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალიის დელეგაციების წინადადებით ერთი ადგილი საქართველოსთვის შეინახა საკონტროლო კომისიაში ***).

საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის მთავრობებმა არა ერთხელ დაადასტურეს თავიანთი სურვი-

*) აი რა ეწერა ინსტრუქციაში, რომელიც მთავრობის თავმჯდომარემ დეპუტატთა პალატაში წაიკითხა: «საფრანგეთის მთავრობას, რომელმაც თავის მოკავშირეებთან ერთად იცნო დე-იურე საქართველოს წინანდელი მთავრობა, არ შეუძლია დღეს რაიმე მოლაპარაკება გამართოს საქართველოს საკითხის შესახებ ფაქტიურ ძალაუფლების წარმომადგენლებთან, რომელმაც საქართველოდან გამოაძევა მისი წესიერი მთავრობა». Journ. offic. 1922 წ. 2 ივნისი. გვ. 1843.

**) მასილის წერილი რუსთა დელეგაციის მდივნის საბანინის მიმართ მოთავსებულია ლოზანის კონფერენციის პროტოკოლებში.

***) იხ. სრუტეების შეთანხმების მუხ. 12.

ლი, რომ საქართველო დამოუკიდებელი იყოს. ამით მათ უარყვეს, იცნონ ის ფაქტიური მდგომარეობა, რომელიც შეიქნა საქართველოში საბჭოთა შემოსევის გამო.

აგრეთვე ნაციათა ლიგა ბევრჯელ შეეხო საქართველოს საკითხს. სახელდობრ მესამე კრებამ ერთხმად მოიწონა ბელგიის წარმომადგენლის წინადადებით შემდეგი რეზოლუცია საქართველოს შესახებ:

«ნაციათა ლიგის კრება, განიხილა რა საქართველოს მდგომარეობა, მოუწოდებს საბჭოს დაბეჯითებით ადევნოს თვალყური ამბებს ამ მხარეში, რომ ისარგებლოს გარემოება, რომელიც დაეხმარება, მშვიდობიანი გზით და თანახმად საერთაშორისო უფლების წესებისა, ამ ქვეყანაში ნორმალური მდგომარეობის აღდგენას» *).

ამის შემდეგ 1924 წ. სწორედ იმ დროს, როცა შემდგარი იყო ნაციათა ლიგის მეხუთე კრება, საქართველოში იფეთქა აჯანყებამ საბჭოთა წინააღმდეგ. საფრანგეთის წარმომადგენელის პოლ-ბონკურის წინადადებით საფრანგეთის, ბრიტანეთის და ბელგიის დელეგაციებმა რეზოლუცია შეიტანეს საქართველოს შესახებ. ამ რეზოლუციამ, რომელიც ერთხმად იყო მიღებული ლიგის კრების მიერ 1924 წ. 25 სექტემბერს, განაახლა 1922 წ. 22 სექტემბრის რეზოლუცია. ახალი რეზოლუცია თხოვდა ლიგის წევრ-სახელმწიფოების მთავრობებს მიიღონ მონაწილეობა საბჭოს მუშაობაში, მიაწოდონ ინფორმაცია და გარემოებისა და საშუალების მიხედვით დაეხმარონ თავის მშვიდობიანი გავლენით **).

ყველა ამ საერთაშორისო აქტს, რომელთა საშუალებით ზოგიერთმა სახელმწიფოებმა და თვით ნაციათა ლიგამ უარი თქვეს, იცნონ საქართველოში შექმნილი ფაქტიური მდგომარეობა წინააღმდეგ მისი სრულიად უდავო უფლებებისა,—დიდი პრაქტიკული მნიშენელობა აქვს. ამ აქტების გახსენება შეიძლება, როცა დაისმება საკითხი რუსეთის მიღებისა ნაციათა ლიგაში. მართალია, დღეს რუსეთი მტრულად

*) 1929 წ. 22 სექტემ. რეზოლუცია. Jour. offic. de la S. D. N. Actes de la 3 Assemblée, გვ. 203.

**) Journ. offic. de la S. D. N., Actes 1924 წ. გვ. 186.

უყურებს ჟენევის დაწესებულებას და ასე იქნება განწყობილი კიდევ დიდხანს. მაგრამ არაა შეუძლებელი მისი შეხედულობის შეცვლა ახლო თუ შორეულ მომავალში. მაშინ ძნელი იქნება ნაციათა ლიგისთვის, საქართველოს სასარგებლოთ მიღებულ ამდენი რეზოლუციის შემდეგ, გვერდი აუქციოს მის დამოუკიდებლობას და არ წამოაყენოს ამის ცნობა რუსეთის მიერ, როგორც პირობა რუსეთის მიღებისა ლიგაში *).

დღეს ამ საკითხს პრაქტიკული ინტერესი აქვს საფრანგეთის და ს. ს. რ. კავშირის ურთიერთობისათვის. ყველამ უწყის, რომ ს. ს. რ. კავშირი რაღაც მოსაზრებისა გამო, რომელსაც აქ არ შევეხებით, ცდილობს თავდაუსხმელობის პაქტები შეკრას ევროპის სახელმწიფოებთან. ამ მიზნით საბჭოთა მთავრობამ მოლაპარაკება გამართა ჯერ მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და მერე საფრანგეთთან. ამგვარი ხელშეკრულობა წინასწარის სახით ამას წინად დასდევს საფრანგეთის საგარეო საქმეთა კანცელარიამ და ს. ს. რ. კავშირის ელჩმა პარიზში. აი ამ ხელშეკრულობის მეოთხე მუხლი ასეა შედგენილი:

«თითოეული მაღალი მხარე ხელშეკრულობისა ვალდებულია ყოველნაირად პატივი სცეს მეორე მხარის სუვერენობას მთელ მის ტერიტორიებზე იმ ფარგლებში, რომლებიც განსაზღვრული არიან ამა ხელშეკრულობაში, არ ჩაერიოს არავითარი საშუალებით მის შინაურ საქმეებში, სახელდობრ თავი შეიკავოს ყოველი მოქმედებისაგან, რომელიც აღძრავს ან ხელს შეუწყობს ყოველნაირ აგიტაციას, პროპაგანდას თუ ინტერვენციის ცდას მეორე მხრის ტერიტორიალურ მთლიანობის წინააღმდეგ ან ძალით პოლიტიკური თუ სოციალური რეჟიმის შესა-

ცელელად მთელ მის ტერიტორიაზე ან ნაწილზე.

ორივე მაღალი მხარე ხელშეკრულებისა ვალდებულებას კისრულობენ განსაკუთრებით, არ შექმნან, არ გაუწიონ მფარველობა, არ დაეხმარონ მოწყობილობით, ფულით, არ მისცენ ყოფნის ნება თავიანთ ტერიტორიაზე სამხედრო ორგანიზაციებს, რომელთა მიზანია შეიარაღებული ბრძოლა მეორე მხარის წინააღმდეგ, და არც იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ითვისებენ მეორე მხარის მთელი ტერიტორიის თუ ნაწილის მთავრობის გინდ წარმომადგენლის სახელსა.

საფრანგეთი ამ ხელშეკრულებას სდებს ს.ს.რ. კავშირთან. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ იგი სცნობს ფაქტიურ ხელისუფლებას საქართველოში, რადგან უკანასკნელი ძალით შეუერთეს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს? ეს იქნებოდა აშკარა წინააღმდეგი იმ მრავალ საერთაშორისო აქტისა, რომლებიც ჩვენ დავასახელეთ და რომელთაგან ზოგი საფრანგეთისაგან მომდინარეობდა, და საფრანგეთი ხომ ყოველთვის პატივს სცემდა და ასრულებდა მიცემულ სიტყვას.

თუ განსაკუთრებით საფრანგეთ-რუსეთის ხელშეკრულების პროექტის მეოთხე მუხლის მეორე პარაგრაფი გულისხმობს საქართველოს ლეგაციას, რომლის არსებობა არას დროს შეწყვეტილა, ეს იქნებოდა სრული გაწყვეტა, ფარული სახით და ნაკლებად შესაფერით დიდი ქვეყნისა, იმ მიმართულების, რომელსაც ყოველთვის მისდევდა იგი რუსეთის რევოლუციის შემდეგ. ამგვარი განმარტება იქნება წინააღმდეგი საფრანგეთის ყველა ტრადიციის, როგორც საერთაშორისო ვალდებულებათა პატივცემულობის ისე მოქმედებისა იმ ერების მიმართ, რომლებიც იბრძვიან თავიანთ თავისუფლებისათვის.

ცხადია, ყოველი სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუშალოს, რათა მისი ტერიტორია არ იქნეს გამოყენებული მოქმედებისათვის სხვა სახელმწიფოთა უშიშროებისა და შინაურ წესიერების წინააღმდეგ*). მაგრამ საქართველოს შემთხვევაში საქმე ეხება არა კრიმინალურ აქტების მომზადებას, არამედ ჯეროვნად აღიარებულ სახელმწიფოს ოფიციალურ წარმომადგენლობას, რადგან საქართველოს ლეგაცია დღემდე არის წესიერი დიპლომატიური წარმომადგენლობა ამ სახელმწიფოსი, რომლის ახალი ოკუპაცია საფრანგეთს არ უცვნია.

მხოლოდ ასეთი განმარტება, რომელიც შეესაბამება საფრანგეთის ტრადიციებს, და მთელი წინანდელი მოქმედება უკანასკნელისა საქართველოს მიმართ დადასტურებულია თვით საფრანგეთ-რუსეთის ხელშეკრულების შესავალით. მართლაც იქ გარკვეულად არის გამოცხადებული, რომ ორივე მთავრობას ნაკისრი აქვს საერთაშორისო ვალდებულებანი, რომელნიც წინად მიიღეს თავის თავზე, და მათ ესმით, რომ, არც ერთი ამ ვალდებულებათაგანი არ დააბრკოლებს მათ ურთიერთის დამოკიდებულობის მშვიდობიან განვითარებას და არ ეწინააღმდეგება ამა ხელშეკრულებასა.

ასეთი განცხადება რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებაში უეჭველია არ გულისხმობს საფრანგეთის მიერ წინად დადებულ ხელშეკრულებებს ბოლივიასთან თუ აბაშეთთან; ამას შეუძლია მხოლოდ ერთი აზრი ჰქონდეს—ის, რომ გაიხსენოს ის რეზერვები, რომლებიც უკვე გააკეთა ბევრჯელ თავის ურთიერთობაში ს. ს. რ. კავშირთან, განსაკუთრებით გენუის და ლოზანის კონფერენციებზე. მეოთხე მუხლის მეორე პარაგრაფი რომ საქართველოს გულისხმობდეს, მაშინ ჩვენს წინაშე იქნებოდა აშკარა წინააღმდეგობა ერთი და იმავე ხელშეკრულების ორ დებულებას შორის. მაგრამ განმარტების (ინტერპრეტაციის) ელემენტარული წესი მოითხოვს, რომ როცა ხელშეკრულებაში ორი მუხლი გარეგნულად თითქოს ეწინააღმდეგება ერთი მეორეს, ისეთი განმარტება უნდა მივიღოთ, რომ ეს ორი მუხლი შევათანხმოთ და არა დავუპირდაპიროთ ერთი მეორეს.

აქვს თუ არა აქ ადგილი ასეთ განმარტებას, რომელიც თავიდან აგვაცდენს ნაჩვენებ წინააღმდეგობას? აქვს და ეს განმარტება მეტად მარტივია და ცხადი და ორი, სრულად ნათელი. ტექსტისათვის არც შეიძლება მიემართოთ სხვა განმარტებას. ამ განმარტებით, როცა ორივე სახელმწიფო ამბობს, რომ მათ ნაკისრი აქვთ საერთაშორისო ვალდებულებანი, რომელნიც წინად მიიღეს თავის თავზე, ეს გულისხმობს საქმეთა აწინდელს უფლებრივ ვითარებას (და უეჭველია, არც შეიძლება სხვანაირად იყოს, რადგან ამის საწინააღმდეგო არაფერია დადებითი ნაჩვენები); მეოთხე მუხლის მეორე პარაგრაფი კი გულისხმობს მომავალს. საფრანგეთი მომავლისათვის კისრულობს ვალდებულებას, არ მისცეს ყოფნის ნება თავის ტერიტორიაზე არავითარ ორგანიზაციას, რომელიც ითვისებს ს. ს. რ. კავშირის ტერიტორიების რომელიმე ნაწილის მთავრობის და წარმომადგენლის როლს და ცდილობს ამიერითგან კავშირიდან გამოყოფას. ხოლო ეს ვალდებულება ვერ შეეხება საფრანგეთის მიერ წინად ნაკისრ ვალდებულებათ, რომელთა შორის (იმათთან ერთად, რომლებიც ეხებიან ამგვარადვე ყოფილ რუსეთისაგან გამოყოფილ სახელმწიფოებს) არის ცნობა საფრანგეთის მთავრობის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი სახელმწიფოებრივი სუვერენობის.

საქართველოს წინანდელი და დღევანდელი მდგომარეობის ამ ობიექტიური განხილვის შემდეგ უნდა დავასკვნათ, რომ ეს ქვეყანა უფლებრივად მუდამ დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ეს დამოუკიდებლობა ორჯელ იყო ძალით დარღვეული წინააღმდეგ გარკვეულ ვალდებულებათა; მოხდა ძალადობის ფაქტები, რომელთა წინააღმდეგ ყოველთვის ენერგიულ პროტესტს აცხადებდნენ გადაყენებული მთავრობანი და თვით ხალხი გამუდმებული აჯანყებებით.

დღევანდელი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა ცნობილი იყო ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოს მიერ, მათში საფრანგეთიცაა; პირიქით მათ არასოდეს უცვნიათ რუსთა ბატონობა ამ სახელმწიფოში, ამაო იყო ს.ს.რ. კავშირის ყოველივე ცდა ამისთვის ევროპიულ კონფერენციებზე.

რაც შეეხება საფრანგეთ-რუსეთის შეთანხმებას —რომელიც ეხება ყოველ შემთხვევაში მხოლოდ ამ ორ სახელმწიფოს და არა აქვს საზოგადო ხასიათი— ეს ჯერ მარტო პროექტია და მისი რატიფიკაცია არ მომხდარა, როგორც ამას მოითხოვს შეთანხმების მეექვსე მუხლი. რომ ჯერ მხოლოდ პროექტია უბრალო, ამით აიხსნება ის საიდუმლობა, რომლითაც მოცულია იგი დღემდის და რომელიც არაჩვეულებრივი იქნებოდა, როდესაც ნაციათა ლიგის პაქტის მე-18 მუხლი მოითხოვს მის წევრების ყოველ ხელ-

---

*) ნაციათა ლიგის პაქტის პირველი მუხლის მეორე პარაგრაფი.

*) იხ. სახელმწიფოების ვალდებულებათა დეკლარაცია, მოწონებული საერთაშორისო უფლების ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ასოციაციების მიერ ჩემს Précis de droit international public, № 663, წერ. C.

შეკრულობის რეგისტრაციას. და თუ მოხდა მისი რატიფიკაცია. ხოლო იურიდული ინტერპრეტაცია მოითხოვს, რომ მას არ მიეცეს ისეთი აზრი, რომელიც წინააღუდგებოდა თვით მასვე და საფრანგეთის მთელს წინანდელს მოქმედებას.

ყველა ამ მოსაზრებისა გამო უნდა გადაჭრით ითქვას, რომ დღევანდელი მდგომარეობა შემოსულ სახელმწიფოისი საქართველოს მიმართ წარმოადგენს წმინდა ფაქტის მდგომარეობას. უფრო სწორად რომ ვსთქვათ. ძალადობის ფაქტის მდგომარეობას. რომელიც დაგმობილია თანამედროვე საერთაშორისო უფლებით. საქართველოს დამოუკიდებლობა უძლებრივად განაგრძობს არსებობას: იგი მოწოდებულია. გაცოცხლდეს კვლავ. როგორც კი მოისპობა ის დაბრკოლება ფაქტიური, რომელიც წინ ელობება

საქართველო მუდამ გაერთიანებული იყო როგორც ჩრდილოელ ისე სამხრეთელ თავდამსხმელების წინაამდეგ: თუ ის გააგრძელებს თავის ერთსულოვან წინაამდეგობას, როგორც სურვილს აცხადებს, მოქმედებით და არა მარტო სიტყვით, მისი ბედი იქნება, იმედი უნდა ვიქონიოთ, ისეთი, როგორიც იყო ყველა ერის, ერთსულოვნად რომ უნდოდათ დამოუკიდებლობა: იშვიათად თუ მათ არ გაუმარჯვნიათ ადრე თუ გვიან. გასულ საუკუნეში ამის მშვენიერი მაგალითი მოგვცეს საბერძნეთმა, ბალკანეთის და დუნაის სახელმწიფოებმა: ჩვენს საუკუნეში, რომელიც მხოლოდ დაწყებულია, აი განთავისუფლდნენ პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ირლანდია, ეგვიპტე. უნდა ვისურვოთ, რომ ამ სიას, რომელიც გრძელია, ხოლო ჯერ კიდევ არაა სრული, მიემატოს არა დაგვიანებით ახალი სია ერთა, რომელნიც კვლავ აღადგენენ თავიანთ დამოუკიდებლობას უცხოელთა ხანგრძლივ თუ მოკლე ბატონობის შემდეგ.

1932 VII.

«დამოუკიდებელი საქართველოს» გამოცემა № 3.

**LOUIS LE FUR**

**საერთაშორისო უფლების პროფესორი
პარიზის უნივერსიტეტში.**

# საქართველო

**და**

# საერთაშორისო უფლება

**(თარგმანი ფრანგულიდან)**

**პარიზი**
**1933**



# TRAITÉ

conclu en 1783

## entre Catherine II, impératrice de Russie et Irakly II, roi de Géorgie.

(Recueil des lois russes, vol. XXI, n° 15835)

---

Avec une préface de M. Paul Moriaud,
Professeur à la Faculté de droit de l'Université de Genève,

et commentaires de M. A. Okoumeli.

---

GENEVE, 1919

# Préface

Les annales de la Géorgie remontent plus haut que celles de la Grèce et de Rome. Dès le quatrième siècle de notre ère, elle embrasse le christianisme. Au moyen-âge, avec le roi David et la reine Thamar, elle connaît la gloire. Puis viennent de longs siècles de luttes meurtrières contre les Musulmans, et l'on comprend que, sans cesse envahie et rançonnée par le Turc et par le Perse, elle fasse appel à la grande sœur orthodoxe d'au-delà le Caucase. L'ours moscovite, hélas! sous prétexte de la protéger, étend sa patte sur la Géorgie et en écrase les libertés. On peut trouver à la domination russe en Transcaucasie un fondement « historique » et des raisons « politiques », on ne peut lui donner une base « juridique ». C'est ce que montre clairement le traité publié ici. L'original géorgien en a disparu, arraché par la ruse et la violence des mains du patriote Salomon Léonidzé. Le texte, heureusement, demeure, en russe dans le Svod de Nicolas II, en allemand et en français dans les journaux du temps.

En 1783 Irakly II, roi de Karthlie et de Kakhétie — la Karthlie est le centre et le noyau de la Géorgie, et c'en est aussi le vrai nom, comme Schwyz est le nom de la Suisse — conclut avec Catherine II un traité d'amitié (préambule), d'alliance (art. 4 et 6) et d'établissement (art. 10 et 11), en même temps que de protectorat. La Karthlie ne renonce qu'à sa souveraineté internationale (art. 1 à 4): son roi prêtera serment de fidélité à l'empereur, en en reconnaissant le pouvoir suprême (art. 3) et il n'entretiendra aucune relation avec les souverains voisins sans l'assentiment de la Russie (art. 4); en retour elle s'assure la protection de l'empire russe et la garantie de ses territoires (art. 2 et 7). La Karthlie conserve par ailleurs une entière indépendance et sa Majesté Impériale s'engage à ne point se mêler, en aucune façon, des affaires intérieures du pays (art. 6); la Karthlie entretient même à la cour de Russie un ambassadeur qui sera reçu « avec les mêmes honneurs que tous les autres ambassadeurs du même rang des autres princes souverains » (art. 5). Et cette indépendance est assurée pour l'avenir par la clause formelle de l'article 12, qu'aucun changement au traité « ne pourra se faire qu'en vertu d'un consentement réciproque. »

Ce traité est le seul qui ait jamais été conclu entre la Karthlie et la Russie. Mais la Russie ne l'a jamais respecté. Pendant les dix-sept années qui s'écoulent jusqu'à la mort du roi Georges XIII, fils d'Irakly, elle ne protège pas sa protégée, elle la laisse aux prises avec les Turcs et les Perses, irrités par cette alliance, elle laisse prendre et détruire Tiflis, capitale du royaume. Puis le roi Georges étant mort le 22 janvier 1800, elle saisit le moment favorable et, profitant des hésitations de David, fils de Georges, à monter sur le trône sans avoir reçu le décret d'investiture prévu par le traité de 1783, Paul I^er^, dans une déclaration datée du 28 janvier 1801, décide d'annexer la Géorgie, et, après quelque résistance, son successeur Alexandre I^er^, le 12 septembre de la même année, proclame la réunion des deux pays.

Le manifeste d'Alexandre, qu'on voit encore gravé sur les murs du musée militaire à Tiflis, décrète purement et simplement l'annexion. Paul I^er^, lui, dans son

projet*, s'efforçait encore de la justifier. Il proteste de « la sollicitude dont il a toujours été animé pour le bien-être du peuple de Grusinie » (c'est le nom russe de la Géorgie) et il prétend agir à sa demande : « Le czar Georges Iraklievitch », dit-il, « voyant approcher le terme de ses jours, a eu recours à notre protec- « tion, du consentement des premières personnes de son empire, et du peuple « même, et ne voyant aucun autre moyen de salut, pour se garantir d'une chute « inévitable, et se soustraire à l'oppression de leurs ennemis, ils ont envoyé des « plénipotentiaires, pour nous prier d'adopter comme sujets immédiats du trône « impérial de Russie, la Grusinie et les provinces qui y sont soumises. »

Admettons que cette démarche fut autre chose qu'un appel à la protection promise et due, admettons même qu'elle ait eu le caractère que lui attribue le souverain russe, ce n'était rien de plus qu'une proposition faite à la Russie, et après la mort de son auteur, le roi Georges, les tractations devaient être reprises avec son successeur David, pour aboutir au traité en bonne et due forme qui, seul, aurait pu prendre la place du traité régulier conclu « pour toujours » par Catherine et par Irakly et auquel aucun changement ne pouvait être apporté « qu'en vertu d'un consentement réciproque ».

Le manifeste de 1801 est un acte purement unilatéral. Ce n'est pas un traité, mais un coup de force.

Pas plus que l'assentiment du roi, qu'Alexandre Ier se hâta de déporter en Russie avec toute sa famille, l'annexion n'avait l'assentiment du peuple géorgien. Elle souleva son immédiate protestation. En 1802, en 1804, en 1810, en 1812, en 1813, des insurrections éclatent. Elles se renouvellent à mainte reprise au cours du dix-neuvième siècle. Et jamais les Géorgiens n'ont cessé, depuis le jour funeste, d'aspirer à l'indépendance. En la proclamant solennellement le 26 mai 1918, le Conseil National de Géorgie n'a fait que réparer l'injustice commise il y a cent ans.

Aucune nation ne mérite davantage d'être libre. Rien ne l'unit au peuple russe. Géographiquement même, la Russie finit au Caucase, barrière formidable, plus haute que les Alpes, qui sépare la Russie d'Europe de la Géorgie, terre asiatique. Les Géorgiens parlent un idiome original, sans ressemblance avec les langues slaves. Ils ont une culture propre, leurs chants et leurs épopées, leur art, leur histoire et leurs traditions. Ils ont pardessus tout la volonté de vivre par eux-mêmes, de leur vie personnelle. Ils ne désirent point opprimer leurs voisins, car ils ne prétendent pas aux terres qu'ils occupèrent jadis, aux temps de grandeur et de puissance, ils ne réclament que le simple respect des frontières ethnographiques, et tout en garantissant à l'intérieur les mêmes droits civils et politiques à tous les citoyens, sans distinction de race ni de confession, la République démocratique géorgienne s'est déclarée neutre dans les conflits internationaux.

Il ne saurait être un instant question de lui imposer aucune union, aucune fédération même, avec sa grande voisine du nord. Nul n'osera essayer aujourd'hui de faire revivre le vieux traité d'alliance et de protectorat que signa, dans une heure de détresse, Irakly II, fils de Théimourase, et que sa violation répétée par Catherine II et par ses successeurs a rendu caduc pour toujours.

Genève, 10 octobre 1919.

Paul MORIAUD,
Professeur à la Faculté de droit de l'Université.

* Voir le texte dans le *Recueil* de MARTENS, 2e édition, tome VII, pages 313 et 314.

Les plénipotentiaires ci-dessus nommés, commençant avec l'aide de Dieu les pourparlers, ont fait *réciproquement* valoir leurs pleins pouvoirs, et ont conclu et signé les articles suivants:

ARTICLE 1.

Son Altesse, le Tsar de Karthlie et de Kakhétie, aussi bien en Son nom qu'au nom de Ses Héritiers et Descendants, renonce à jamais solennellement à être vassal de qui que ce soit ou de dépendre en quoi que ce soit de la Perse ou de toute autre puissance, et par le présent, il déclare devant le monde entier que Lui et ses Descendants ne reconnaissent d'autre souveraineté que le pouvoir suprême et *la protection* de Sa Majesté Impériale et de Ses éminents Héritiers et Descendants, et jure aux représentants de cette couronne Sa fidélité et Sa promesse formelle d'apporter *Son aide* à l'Etat russe chaque fois qu'on l'exigera de Lui.

ARTICLE 2.

Sa Majesté Impériale, prenant en considération cette sincère promesse solennelle de Son Altesse, donne également une garantie confirmée par Sa parole Impériale, qu'Elle et Ses Descendants s'obligent de ne jamais retirer la grâce et *la protection* accordées aux Tsars Sérénissimes de Karthlie et de Kakhétie. Pour en donner la preuve, Sa Majesté donne Sa garantie Impériale pour la conservation complète des territoires actuels de Son Altesse, le Tsar Irakly, fils de Theimourase, en Se proposant d'étendre cette garantie également sur les *territoires* qui seront *acquis* à l'avenir selon les circonstances, et qui Lui seront *fermement confirmés.*

ARTICLE 3.

Pour faire preuve de la sincérité avec laquelle son Altesse, le Tsar de Karthlie et de Kakhétie, reconnaît le pouvoir suprême et *la protection* des Empereurs russes, il est statué que les Tsars mentionnés, en montant sur Leur Trône, en vertu de la loi de succession doivent en aviser immédiatement la Cour Impériale russe, en demandant, par l'intermédiaire de Leurs *ambassadeurs*, la confirmation avec l'investiture, consistant en un décret Impérial, un étendard avec les armoiries de l'Empire russe, au milieu duquel se trouveront les armoiries des Royaumes mentionnés, un sabre, un sceptre et un manteau d'hermine: ces signes seront remis, soit aux *ambassadeurs*, soit, par l'intermédiaire des autorités de frontières, au Tsar, qui, en les recevant en présence du *Ministre* russe, devra prêter solennellement serment de fidélité et de zèle à l'Empire russe, ainsi que de reconnaissance du pouvoir suprême et de *la protection* des Empereurs de toute la Russie, conformément au traité ci-joint. Que cette cérémonie soit accomplie maintenant aussi par Son Altesse, le Tsar Sérénissime Irakly, fils de Theimourase.

ARTICLE 4.

Pour faire preuve de ce que les intentions de Son Altesse, en vue d'une étroite *alliance* avec l'Empire russe, sont sincères et qu'il reconnaît le pouvoir suprême et *la protection* des Souverains Sérénissimes de cet Empire, Son Altesse *s'engage à n'avoir aucune relation avec les souverains*

*voisins, sans un accord préalable avec le premier chef à la frontière ou avec le Ministre de Sa Majesté Impériale accrédité auprès de Lui;* et quand ces souverains voisins Lui enverront des messagers ou des lettres, il doit, en les recevant, consulter le premier chef à la frontière et le Ministre de Sa Majesté Impériale pour le retour de ces messagers ainsi que pour la réponse qu'il y a lieu de donner à leurs souverains.

ARTICLE 5.

Pour faciliter les relations et les accords avec la Cour Impériale russe, Son Altesse le Tsar désire avoir un *Ministre ou Résident* auprès de cette Cour, et sa Majesté Impériale, en accédant avec bienveillance à ce désir, promet qu'il sera reçu à Sa Cour avec les mêmes honneurs que tous les autres ambassadeurs du même rang des autres Princes Souverains, et en outre, Sa Majesté a bien voulu avoir Son propre *Ministre ou Résident* russe auprès de Son Altesse le Tsar Géorgien.

ARTICLE 6

Sa Majesté Impériale, en voulant bien accepter d'avoir le pouvoir suprême et *la protection* sur le Royaume de Karthlie et de Kakhétie, promet en Son nom et au nom de Ses Héritiers: 1) d'envisager les peuples de ces Royaumes comme étant *en alliance étroite et accord parfait* avec l'Empire de Sa Majesté et, par conséquent, *de traiter les ennemis de ces peuples comme Ses propres ennemis;* c'est pourquoi, la paix conclue avec la Turquie ou la Perse, ou une autre puissance ou province, doit avoir le même effet pour ces peuples, *protégés* par Sa Majesté; 2) s'engage à conserver toujours sur le Trône de Karthlie et de Kakhétie le Tsar Sérénissime Irakly, fils de Theimourase, et Ses Héritiers et Descendants; 3) *s'engage à ne pas se mêler des affaires intérieures du pays, à ne prendre aucune part au pouvoir exécutif, concernant le gouvernement intérieur, ou à la justice ou à la perception des impôts qui restent la propriété complète de ce Tsar, et à défendre à ses chefs militaires et civils d'empêcher l'exécution des ordres donnés.*

ARTICLE 7.

Son Altesse le Tsar, en acceptant avec respect ce signe de bienveillance de la part de Sa Majesté Impériale, s'engage en Son nom et au nom de Ses Descendants: 1) à être toujours prêt avec *Ses troupes* à se rendre au service de Sa Majesté; 2) à demeurer en relations constantes avec les autorités russes en satisfaisant aux demandes de celles-ci et en protégeant les citoyens russes contre toute offense ou oppression; 3) à les nommer aux emplois et à les élever en grade, leur témoignant des égards pour leurs mérites vis-à-vis de l'Empire russe, de la protection duquel dépend la tranquillité et la prospérité des Royaumes de Karthlie et de Kakhétie.

ARTICLE 8.

Pour faire preuve de Sa bienveillance Impériale tout à fait particulière vis-à-vis de Son Altesse le Tsar et de Ses peuples, Sa Majesté Impériale ordonne, dans un but d'union étroite de ces peuples coreligionnaires avec la Russie, que le Catholicos ou le Patriarche de Géorgie aura le huitième rang parmi les archevêques de Russie, c'est-à-dire après l'archevêque de Tobolsk, en lui conférant à jamais le titre de Membre du Saint-Synode. Quant à l'administration de l'Eglise géorgienne et à ses relations avec le Saint-Synode, on en parlera dans un traité à part.

ARTICLE 9.

Faisant également preuve de Sa grande bienveillance vis-à-vis des sujets de Son Altesse le Tsar de Géorgie, vis-à-vis des princes et des nobles de ce Royaume, Sa Majesté Impériale décrète que ceux-ci auront les mêmes privilèges et avantages que les nobles de Russie ; et pour que Sa Majesté l'Impératrice de Russie sache à qui ces titres appartiennent, le Tsar géorgien enverra à la Cour de Sa Majesté des listes concernant ces personnes.

ARTICLE 10.

Il est statué que, en général, tous les originaires de Karthlie et de Kakhétie, qui voudront avec leur famille s'établir en Russie ou y aller et en revenir, pourront le faire librement; en ce qui concerne les prisonniers libérés des Turcs et des Persans ou d'autres peuples, par des armes ou par des négociations, ils seront libres d'aller chez eux, remboursant seulement les frais de leur libération; Son Altesse le Tsar promet de faire la même chose pour les sujets russes, se trouvant comme prisonniers chez les voisins.

ARTICLE 11.

Les commerçants de Karthlie et de Kakhétie ont les mêmes droits et privilèges de commerce en Russie que tous les autres citoyens russes; et, réciproquement, le Tsar s'engage à décréter en collaboration avec le premier chef à la frontière ou le Ministre de Sa Majesté d'accorder toutes les facilités possibles aux commerçants russes qui se rendront en Géorgie ou ailleurs, en passant par Son pays, en prenant en considération leurs intérêts commerciaux, car sans un tel décret il ne pourrait même pas être question des privilèges mentionnés pour Ses commerçants à Lui.

ARTICLE 12.

Le présent traité est fait pour toujours. Cependant, il est bien entendu qu'au cas où l'on voudrait faire un changement quelconque, ce changement *ne pourra se faire qu'en vertu d'un consentement réciproque.*

### ARTICLE 13.

La *ratification* du présent traité doit se faire dans les 6 mois dès le jour de sa signature, ou même plus vite si possible.

Pour attester l'authenticité de ce traité, les plénipotentiaires soussignés, conformément à leurs mandats, ont signé ces articles et apposé leurs cachets, dans la forteresse de Géorgievsk, *le 24 juillet 1783.*

*(signé)* Paul POTEMKINE.
Prince Ivan BAGRATION.
Prince Garsévan TCHAVTCHAVADZÉ.

# Convention séparée *

### ARTICLE 2.

Pour protéger le domaine de Karthlie et de Kakhétie de toute attaque de la part de ses voisins et pour donner le renfort nécessaire aux armées de Son Altesse le Tsar, Sa Majesté Impériale s'engage à entretenir dans les domaines de Son Altesse *deux bataillons complets d'infanterie avec 4 canons,* lesquels bataillons seront nourris conformément à l'accord de Son Altesse avec le premier chef à la frontière d'après le tarif fixé.

### ARTICLE 4.

En cas de guerre, Sa Majesté l'Impératrice de Russie s'engage à faire tout le possible par les armes, et en cas de paix, — par la persuasion, — *pour obtenir le retour de tous les territoires qui d'ancienne date ont appartenu au Royaume de Karthlie et de Kakhétie et qui resteront en possession du dit Royaume sur la base de ce traité.*

Ces articles séparés ont la même valeur que le traité principal et doivent être ratifiés en même temps que le traité principal.

---

* L'original de la convention séparée contient, en dehors des articles ci-dessus, le premier et le troisième, dont voici le résumé :

Dans l'article 1, il était conseillé au Tsar Irakly de conserver l'amitié et l'entente avec le Tsar d'Iméréthie, Salomon II, pour que leurs peuples, de même religion et d'origine commune, gardent leur amitié et leur parfaite concorde pour repousser par leurs forces réunies toute tentative

Pour attester l'authenticité de cette convention, les plénipotentiaires soussignés, conformément à leurs mandats, ont signé ces articles et apposé leurs cachets dans la forteresse de Géorgievsk, *le 24 juillet 1783.*

*(signé)* Paul POTEMKINE.
Prince Ivan BAGRATION.
Prince Garsévan TCHAVTCHAVADZÉ.

**Le 20 août de la même année 1783 le présent traité a été solennellement rendu public à Tiflis, et au mois de novembre de la même année a eu lieu l'échange des ratifications.**

---

contre leur liberté, leur tranquillité et leur prospérité : Sa Majesté Impériale promet non seulement de concourir à cette œuvre utile, mais de donner Sa garantie à cette paix et à cette entente. Le Tsar Irakly déclare prendre, d'ores et déjà, dans Ses relations avec le Tsar Salomon II, Sa Majesté Impériale comme arbitre suprême et s'engage à soumettre les litiges et les malentendus qui pourraient s'élever entre les deux monarques malgré leur volonté à Sa décision souveraine.

L'article 3 dit que, en cas de guerre, le chef général à la frontière a toujours pleins pouvoirs de la part de Sa Majesté Impériale pour s'entendre avec le Tsar de Karthlie et de Kakhétie et pour prendre les mesures nécessaires en vue d'assurer la défense des territoires sus-mentionnés et de déterminer les actions dirigées contre l'ennemi qui sera considéré comme l'ennemi commun. En même temps, il est décidé que, si une partie de l'armée de Karthlie et de Kakhétie est placée au service de Sa Majesté Impériale en dehors des territoires géorgiens, elle sera traitée et entretenue sur le même pied que les autres armées de Sa Majesté Impériale.

# Commentaires

Le traité qui précède, conclu en 1783 entre l'impératrice de Russie, Catherine II, et le roi de Karthlie et de Kakhétie (Géorgie orientale), Irakly II, est le plus ancien, et, par conséquent, le plus important des traités analogues, conclus plus tard entre les empereurs de Russie et le roi d'Iméréthie (1804) et les princes souverains de Mingrélie (1803), de Gourie (1810), d'Abkhasie (1810) et de Svanéthie (1833) — soit la Géorgie occidentale.

Tous ces royaumes et principautés, liés intimement entre eux par l'unité de la race, de la langue, de la civilisation chrétienne et de la conscience nationale, formaient depuis une époque reculée une seule Géorgie, ou Ibérie. Ce fait se trouve confirmé entre autres par le titre même des empereurs de Russie qui s'appelaient « tsars de Géorgie ».

Le préambule du traité de 1783 contient les motifs de sa conclusion. Après environ 2000 ans d'existence indépendante, remplie des plus terribles épreuves et d'actions héroïques, la Géorgie se vit obligée de céder à la nécessité historique et de chercher la protection auprès de la Russie qui professait la même religion. Depuis la chute de Constantinople (1453), complètement séparée de l'Europe occidentale, avec laquelle elle s'efforçait toujours de conserver des relations directes, la petite Géorgie se trouva comme un îlot au milieu d'une mer musulmane dont les flots démontés menaçaient de l'engloutir à chaque instant.

C'est à cette période que se rapporte la lutte séculaire de la Géorgie, lutte à la vie et à la mort, contre ses plus grandes et ses plus cruelles voisines: la Turquie et la Perse, dont les hordes mainte et mainte fois ont mis à feu et à sang tout le pays, transformé les villes et les villages en amas de ruines, emmené chaque fois chez elles des dizaines de milliers de femmes et d'hommes.

C'est à cette période également que se rapporte, entre autres, le morcellement de la Géorgie, jusqu'ici unie, en divers royaumes et principautés, ainsi que la séparation et l'islamisation violente de toute la région sud-occidentale: la Meskhéthie et la Tchanéthie, c'est-à-dire les provinces d'Akhaltzikh, d'Akhalkalaki, de Batoum, d'Ardaghan, d'Olthy, du Lazistan — l'ancien berceau de l'épanouissement intellectuel et de la formation de l'Etat.

Parmi les résultats funestes de ces terribles épreuves on peut citer l'énorme diminution de la population qui, de 7 millions d'habitants au quinzième siècle, est tombée vers la fin du dix-huitième siècle à moins de 500,000, tandis que le territoire géorgien était amoindri d'un tiers.

Subissant de tous les côtés la pression de ses voisins, saignée à blanc, terriblement mutilée — telle était la Géorgie au moment où elle renonça volontairement à une partie de sa souveraineté politique en faveur de la Russie, dont elle attendait la guérison de ses blessures.

Passons à une brève analyse juridique du traité de 1783.

Il est très utile d'en distinguer la forme et le contenu.

Quant à la forme, le traité satisfait à toutes les exigences du droit international. En faisant abstraction du cliquetis de phrases et de ce style pompeux qui caractérisent l'époque, on se trouve en face d'un acte bilatéral habituel, passé entre les représentants légaux des deux parties contractantes, la Russie et la Géorgie orientale, qui jouissent de droits égaux, et ratifié ensuite par les souverains des deux nations. Les deux parties établissent certains droits réciproques et prennent certaines obligations l'une à l'égard de l'autre sans aucune restriction quant à la durée, tandis que l'article 12 déclare formellement que la modification du traité « ne pourra se faire qu'en vertu d'un consentement réciproque ».

En ce qui concerne le contenu, le traité place d'une manière générale la Géorgie sous le protectorat de la Russie. Cette dépendance même est mitigée par la formule donnée par Catherine II qui la définit comme une « alliance étroite » (art. 6) et nomme l'acte « un traité d'amitié » (voir le préambule).

En vertu de cet état de protectorat, la Géorgie renonce à la gestion indépendante de sa politique extérieure. Conformément à l'article 4 du traité, le roi Irakly II « s'engage à n'avoir aucune relation avec les souverains voisins sans l'accord préalable avec le premier chef à la frontière ou avec le Ministre de Sa Majesté Impériale accrédité auprès de Lui ».

Par contre, dans le domaine de l'administration intérieure, le traité ne diminue en rien la souveraineté de la Géorgie. En vertu de l'article 6, Catherine II « s'engage à ne pas se mêler des affaires intérieures du pays, à ne prendre aucune part au pouvoir exécutif, concernant le gouvernement intérieur, ou à la justice ou à la perception des impôts qui restent la propriété complète de ce Tsar, et à défendre à ses chefs militaires et civils d'empêcher l'exécution des ordres donnés ».

Comme preuve du fait que les deux Etats établissent leurs relations de droit sur des bases de droit international, Catherine II et Irakly II nomment réciproquement dans leurs résidences, à Petersbourg et à Tiflis, des représentants diplomatiques respectifs (art. 5). Le même caractère de relations internationales ressort avec beaucoup plus de relief des articles 10 et 11, en vertu desquels Catherine II et Irakly II s'engagent mutuellement dans les limites de leurs territoires à exercer la protection à l'égard des prisonniers de guerre, des commerçants et d'une manière générale de tous les ressortissants des deux Etats.

Mais le but poursuivi par la Géorgie était d'obtenir de sa protectrice, la Russie, une *garantie solide* quant à la défense de ses frontières contre les ennemis extérieurs. Et, en effet, Catherine II en promettant « de traiter les ennemis de ces peuples (géorgiens) comme ses propres ennemis » (art. 6), « donne Sa garantie Impériale pour la conservation complète des territoires actuels de Son Altesse le Tsar Irakly, fils de Theimourase, en Se proposant d'étendre cette garantie également aux territoires qui seront acquis à l'avenir selon les circonstances et qui Lui seront fermement confirmés » (art. 2).

Particulièrement intéressante est la deuxième partie de la garantie, en vertu de laquelle Catherine II promet de rattacher à la Géorgie de nouveaux territoires. Quels peuvent être ces territoires ? Sans aucun doute, ceux de la Géorgie sud-occidentale (Akhaltzikh, Akhalkalaki, Batoum, Ardaghan, Olthy, Lazistan) dont il a été parlé plus haut. Cela ressort avec évidence de l'article 4 de la convention séparée, conclue en même temps que le traité général. « En cas de guerre — dit cet article — Sa Majesté Impériale l'Impératrice de Russie s'engage à faire tout son possible par les armes, et, en cas de paix, — par la persuasion, — pour obtenir *le retour de tous les territoires qui d'ancienne date ont appartenu au Royaume de Karthlie et de Kakhétie* et qui resteront en possession du dit Royaume sur la base de ce traité ». Ainsi il est évident que par les territoires qui devraient être « acquis à l'avenir » avec l'appui de la Russie s'entendaient les provinces *ayant appartenu* à la Géorgie même et qui lui ont été enlevées par la Turquie à diverses époques.

La question de savoir pourquoi ces provinces ne furent pas nommées expressément tombe d'elle-même, si l'on prend en considération que les nommer dans un traité destiné à la *promulgation* aurait équivalu à la déclaration de guerre à la Turquie, ce que ni la Russie ni la Géorgie ne pouvaient alors désirer.

Plus tard la Russie rattacha effectivement à la Géorgie la plupart de ces provinces: en premier lieu celles d'Akhaltzikh et d'Akhalkalaki, en vertu du traité d'Andrinople (1829), ensuite celles de Batoum, d'Ardaghan et d'Olthy en même temps que le Kars, conformément au traité de Berlin (1878). Quant au Lazistan, il resta jusqu'à la dernière guerre mondiale à la Turquie, faisant partie du vilayet de Trébizonde.

Il n'y a pas lieu de s'étendre ici sur ces provinces. Il suffit de faire remarquer qu'au point de vue ethnique, historique et économique, elles forment une partie organique et inséparable de la République Géorgienne actuelle et qu'elles devraient être reconnues comme telles par la Conférence de la Paix à Paris.

En parlant de la convention séparée, il n'est pas possible de passer sous silence l'article 2, en vertu duquel Catherine II « s'engage à entretenir dans les domaines de Son Altesse deux bataillons complets d'infanterie avec 4 canons ». Cette mesure de précaution fut tout à fait opportune et elle fut prise sur l'initiative de Irakly II lui-même qui ne pouvait pas perdre de vue que l'alliance avec la Russie devait avoir pour résultat une nouvelle invasion de ses voisins extrêmement irrités.

Cette invasion eut, en effet, lieu bientôt après la conclusion du traité, et le vieux roi, Irakly II, *abandonné* par la Russie, livra sa dernière et célèbre bataille à la Perse sur les champs de Krtzanissy. Cette bataille, tout en ayant donné la victoire éphémère aux armes de la Géorgie, eut pour résultat le pillage et la destruction complète par l'incendie de la capitale Tiflis (1795).

Il ne nous reste que quelques mots à dire du sort du traité de 1783 et de sa valeur juridique actuelle.

Il faut tout d'abord constater que le traité en question fut déchiré avec la mauvaise foi la plus complète par le manifeste du 12 septembre 1801 qui fut publié par l'empereur Alexandre Ier et qui déclara tout bonnement la Géorgie annexée à la Russie. Cet acte, ainsi que les actes *unilatéraux* analogues qui le suivirent et qui abolirent tous les droits et toutes les franchises du peuple géorgien, étaient tout à fait contraires au traité, et tout particulièrement à son article 12 qui posait le consentement des deux parties comme condition nécessaire à toute modification.

L'annexion de la Géorgie par la Russie ne passa pas inaperçue à l'extérieur, au contraire, l'Angleterre et la France élevèrent la protestation la plus formelle contre ce fait. De plus, cet acte de violence ne fut jamais approuvé par aucun congrès international des puissances et, par conséquent, il resta illégal jusqu'au démembrement de la Russie même à la suite de la dernière guerre mondiale. Il n'est en outre pas dénué d'intérêt de faire observer que le traité de 1783 ne fut jamais aboli *formellement* par le gouvernement des Romanof et qu'il figure dans tous les recueils des lois russes sans exception.

Or, les événements de ces derniers temps ont annulé tout naturellement ce traité qui, à l'heure actuelle, ne représente plus qu'un document purement historique.

L'on sait que, depuis le coup d'Etat bolchéviste en novembre 1917, le pouvoir russe a cessé d'exister en Géorgie. Il a disparu, non seulement parce que la Géorgie n'a pas reconnu la domination des bolchéviks, mais encore plus, et principalement, parce que tout l'appareil russe, militaire, administratif et judiciaire, a cessé de fait de fonctionner sur le territoire géorgien ; quant aux fonctionnaires eux-mêmes, ils ont, pour la plupart, franchi les frontières de la Géorgie pour chercher à entrer au service du général Dénikine et d'autres « restaurateurs » de la Russie tsariste.

Cependant la disparition de la bureaucratie russe ne signifiait nullement la disparition de tout pouvoir en Géorgie. Déjà sous le gouvernement Lvof-Kerensky, toute la Transcaucasie, et particulièrement la Géorgie, s'administrait d'une manière tout à fait autonome, ayant à sa tête, en lieu et place de l'ex-vice-roi, le Comité Transcaucasien Spécial, dont les membres se recrutaient surtout parmi les députés des peuples transcaucasiens à la quatrième Douma. Au début ce Comité fut investi non seulement des pouvoirs administratifs d'un vice-roi mais aussi de pouvoirs législatifs. Usant de ces vastes pouvoirs, les peuples de Transcaucasie avaient réussi déjà à s'organiser en autant d'unités autonomes distinctes et à faire passer beaucoup de réformes qui ont posé les fondements de la complète nationalisation de toutes les institutions gouvernementales et locales.

Et c'est justement au plus fort de cette grande activité créatrice que, dans les limites de la Russie fédérative qui allait se former, éclata le coup d'Etat bolchéviste à la suite duquel les peuples autonomes de la Transcaucasie ont déclaré leur entière indépendance de la Russie.

La Géorgie en particulier, tout de suite après le coup d'Etat en question, au mois de novembre 1917, eut son congrès national pendant lequel fut élu le

Conseil National qui, de fait, concentra entre ses mains toute l'administration du pays. Ce premier pas fut suivi le 26 mai 1918 de la déclaration formelle par le Conseil National de l'indépendance de la République démocratique Géorgienne, lequel fait fut dûment notifié aux gouvernements de tous les Etats étrangers. Le Conseil National de Géorgie, qui prit le nom de Parlement provisoire, fit place, le 12 mars 1919, à l'Assemblée Constituante, élue suivant un système proportionnel sur la base du suffrage universel, égal, direct et secret de tous les citoyens des deux sexes ayant atteint 20 ans. L'Assemblée Constituante confirma *à l'unanimité* l'acte d'indépendance de la Géorgie et se mit à l'élaboration de la Constitution de la République. Actuellement, la Géorgie a ses représentants à la Conférence de la Paix à Paris dont elle attend sa reconnaissance formelle.

Ainsi, au moment même de la disparition du pouvoir russe en Géorgie, il s'y forma un pouvoir national, complètement souverain tant dans les affaires extérieures que dans les affaires intérieures. Ce pouvoir national trouve son expression dans le gouvernement responsable devant l'Assemblée Constituante quant à l'armée, la justice, l'administration, le budget d'Etat, etc., etc.

Pour compléter ce qui a été déjà dit, il faut tout particulièrement noter un fait ayant une très grande importance.

Le traité de 1783, comme nous l'avons vu, imposait à la Russie l'obligation de défendre par tous les moyens dont elle pouvait disposer les frontières de la Géorgie contre les ennemis extérieurs. De plus, la convention séparée annonçait directement l'obligation de la Russie d'entretenir dans ce but sur le territoire géorgien une certaine quantité de troupes dûment équipées.

Or, de quelle façon la Russie a-t-elle rempli cette obligation? La réponse à cette question est claire à tous ceux qui ont suivi les événements tragiques ayant eu lieu au Caucase au commencement de 1918. A la suite de la conquête du pouvoir en Russie par les bolchéviks, le front caucasien fut complètement détruit, et les troupes russes se retirèrent précipitamment au nord, en abandonnant à la Turquie presque tout son armement et toutes ses munitions. Quelque temps après le gouvernement bolchéviste conclut le traité de Brest-Litovsk en vertu duquel Batoum, Ardaghan et Kars, soit les trois forteresses de la Géorgie et de la Transcaucasie, passaient entre les mains des Turcs. Ainsi la Géorgie fut traîtreusement livrée à la merci de cette même Turquie contre laquelle la Russie s'engageait à la défendre.

La Géorgie se trouva donc dans la même situation qu'avant la conclusion du traité de 1783, à cette différence près que cette fois elle avait à défendre par

les armes son indépendance non seulement contre les Turcs envahisseurs, amplement pourvus de matériel de guerre russe, mais aussi contre les détachements bolchévistes qui, à trois reprises, l'ont attaquée par le nord.

La conclusion de tout cela ne peut être que la suivante : la Russie, en la personne du gouvernement bolchéviste, fit de son propre gré sortir du territoire géorgien ses forces armées et, en livrant la Géorgie à son sort, renonça définitivement aux droits — s'ils pouvaient encore avoir une valeur quelconque — qui découlaient du traité de 1783. Quant aux tentatives faites par le gouvernement bolchéviste pour conquérir la Géorgie, elles subirent un échec complet.

Il importe de faire remarquer que la Géorgie ne fut jamais conquise par la Russie, qu'elle entra volontairement avec elle dans certaines relations contractuelles ayant un caractère international et que ce fut aussi volontairement qu'elle fut abondonnée par la Russie à la suite de la guerre et de la révolution.

Ainsi la situation internationale de la Géorgie, de fait comme de droit, est tout à fait claire pour tous ceux qui n'ont pas de parti pris. S'il y a un peuple ayant le droit à l'existence politique indépendante, certes c'est le peuple géorgien qui a manifesté non seulement devant le monde entier sa ferme volonté d'être libre et indépendant, mais aussi a donné des preuves indiscutables de son aptitude à défendre ces précieux droits.

Au moment historique où, après des souffrances inouïes, l'humanité s'est approchée enfin de la réalisation de sa plus intime pensée, notamment de la création de la Société des Nations — le gage le plus sûr de l'inviolabilité des nationalités tant grandes que petites — la jeune république démocratique de la Géorgie n'a pas besoin de chercher d'autre protection que celle de la Société des Nations, dans laquelle elle entrera, on peut en avoir le ferme espoir, à égalité complète de droits.

A. OKOUMELI.

Genève, septembre 1919.

Pour les commandes, s'adresser au
BUREAU DE PRESSE GÉORGIEN, BERNE
Thunstrasse 2.

Imprimerie Chaulmontet
8, rue des Rois .. Genève

## ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ
## [1783 წ.]*

ყოვლად უგანათლებულესი, უთვითმპყრობელესი, დიდი ხელმწიფე იმპერატრიცა ეკატერინა ალექსიევნა, მპყრობელი ყოვლისა რუსეთისა, მოსკოვისა, კიევისა, ვლადიმირისა, ნოვღოროდისა; მეფე ასტრახანისა, მეფე სიბირისა; ხელმწიფე პსკოვისა, და დიდი მთავარინა სმოლენსკისა, მთავარინა ესტლანდიისა, ლიფლანდიისა, კორელისა, თვერისა, იუგორსკისა, პერმსკისა, ვიატსკისა, ბოლღარისა, და სხვათა ხელმწიფე, და დიდი მთავარინა ნოვღოროდის ნიზოვის ქვეყანათა, ჩერნიგოვისა, რეზანისა, როსტოვისა, იაროსლავისა, ბელოზერისა, უდორისა, ობდორისა, კონდიისა და ყოვლისა ჩრდილოეთის კერძოთა მბრძანებელი, და ხელმწიფე ივერიისა ქვეყანისა ქართლისა, და საქართველოსა თავადთა და ყაბარდოს ქვეყნისა, ჩერქეზთა, და მთიელთა თავადთა, და სხვათა მემკვიდრე, ხელმწიფე და მფლობელი;

ირაკლი მეორე, წყალობითა ღმრთისათა და თქვენის იმპერატორების დიდებულებისა კეთილნებობითა მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა, მემკვიდრე-მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსა, მთავარი შამშადილისა, მთავარი კაკისა, მთავარი შა[მა]ქისა, და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევნისა.

თქვენმა იმპერატორებისა დიდებულებამან მიიღო ყოვლად უმოწყალესობით თხოვა ჩვენი, უსამღდელოესისადმი საყდრისა თქვენისა მორთმეული, მიღებისათვის ჩვენისა, და მონაცვალეთა ჩვენთასა ყოვლითა სამეფოთა, და სამფლობელოთა ჩვენითა, ყოვლად უმაღლესსა მფარველობასა შინა თქვენსა, და მენაცვლეთა საყდრისა თქვენის იმპერატორებისათა, აღსარებითა კერძოთ ჩვენით უზენაესისა ხელმწიფებისა, ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთასა მეფეთა ზედა ქართლისათა და ყოველთა ზედა სამფლობელოთა მათთა, მონარხობითითა თქვენითა ჩუენდამი წყალობითა და მოწყალებითა ინებეთ დამტკიცება ახლითა წიგნითა, რომელიცა დამტკიცდა თქვენის იმპერატორების დიდებულებისა სრულის ძალის მქონებლისაგან და ჩვენ მიერითა სრულის ძალის მქონებელთაგან დღესასწაულობითითა პირობითა, რომელნიცა არიან აქა შემოხმულ ლექსით-ლექსად.

### სახელითა ღმრთისა ყოვლისა შემძლებელისა ერთისა სამწმინდაობასა შინა დიდებულისათა.

აღრითგან ერთმორწმუნეობამან ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა თანა ქართველთამან ჰმსახურა მფარველობითა, შეწევნითა, და შესავედრებულობითა მათ ერთათა, და უგანათლებულესთა მათთა მფლობელთათა წინ აღმდგომად მაკირვებელთა, რომელთაცა ქვეშე შემედრომ იყვნეს იგინი მეზობელთაგან თვისთა.

მფარველობამან ყოვლისა რუსეთისა თვითმპყრობელთამან მეფეთა მიმართ საქართველოისათა, ნათესავთა, და ყმათა მათდამი მინიჭებულმან, გამოიყვანა მოკიდებულება იგი უკანასკნელთა ამათ, პირველთა ამათგან, რომელიცა უფროსად იჩვენების რუსეთისა საიმპერატოროსა ტიტლისაგან.

აწ ბედნიერად მმეფობამან იმპერატორობისა მისისა დიდებულებამან ცხად უყო ერთა, ამათ ნამდვილითა სახითა მონარხობითი თვისი კეთილ-ნებობა, და დიდსულობით მზრუნველობა კეთილობისათვის მათისა თვისითა ძლიერითა მეცადინეობისა დართვითა განთავისუფლებისათვის მათისა უღლისაგან მონებისა, და საყვედრელისაგან ტყვედ მიხდისა ვაჟთა და ქალთასა, რომელისაცა რომელნიმე ერნი ამათგანნი მიცემად შეკრულ იყვნეს, და განაგრძელებს თვისსა მონარხობითისა მოხედვასა მფლობელთა მათდამი.

ჰაზრითა ამით სიმდაბლით შთამოსულმან თხოვასა ზედა უგანათლებულესისა მეფისა ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისა, რომელიცა მიღებულ იქმნა ტახტისადმი მისისა დიდებულებისა მიღებისათვის ყოვლითა მემკვიდრითა, და მენაცვალითა თვისითა და ყოვლითა სამეფოთა, და სამფლობელოთა თვისითა მონარხობითისა მფლობელობასა ქვეშე მისისა დიდებულებისასა, და მაღალთა მემკვიდრეთა მისთა, და მოსაყდრეთა უზენაეს ხელმწიფედ აღსარებითა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთა მეფეთა ზედა ქართლისა და კახეთისათა, ყოვლად უმოწყალესობით ინება აღდგინება და დამტკიცებაი მეგობრობითისა პირობისა ჰხსენებულისადმი უგანათლებულესისა მეფისა, რომლისაცა ღონედ ერთ კერძო უგანათლებულესობა მისი სახელითა თვისითა და თვისთა მენაცვლეთათა აღიარებს უზენაესსა ხელმწიფებასა და მფარველობასა მისისა იმპერატორობის დიდებულებისასა და მაღალთა მოსაყდრეთა [2] მისთა მფლობელთა ზედა, და ერთა სამეფოისა ქართლისა და კახეთისათა და სხვათა სამფლობელოთა შესაბამთა მათთადმი, რათა დანიშნულ ჰყოს (სამეფოთა) დღესასწაულობითა და ნამდვილითა ხატითა შეკრულება თვისი, განსჯითა ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა თანა.

ხოლო მეორით კერძო დიდებულება იმპერატორებისა მისისა ესრეთვე შემძლებელ არს, რათა დანიშნულ ჰყოს დღესასწაულობით, თუ ვითარი აღმატებულება და სარგებელი მიენიჭების, მოწყალისა და ძლიერისა მარჯვენისაგან მისისა ჰხსენებულთა ერთა და უგანათლებულესთა მფლობელთა მათთა.

დასამტკიცებლად ესევითარისა პირობისა, ინება დიდებულებამან იმპერატორებისა მისისამან სრულისა ძალისა მინიჭად უგანათლებულესი კნიაზი იმპერიისა ჰრომაულისა გრიგორი ალექსანდროვიჩი პოტემკინი, მხედართა თვისთა ღენერალ-ანშეფი, მბრძანებელი სუბუქისა ცხენოსნისა, განსწავლულისა და სხვათა მრავალთა სამხედროთა ძალთა, სენატორი სახელმწიფოისა,

სამხედროისა კოლეგიის ვიცე-პრეზიდენტი, ასტრახანისა და სარატოვისა, აზოვისა და ნოვოროსსიისა, მოადგილე ხელმწიფისა ღენერალ-ადიუტანტი თვისი და დეისტვიტელნი კამერღერი, კავალერ-ღვარდიისა კორპუსისა პორუჩიკი, ლეიბღვარდიისა პრეობრაჟენის პოლკისა პოდპოლკოვნიკი, უპირველესი მთავარი პალატისა სასაჭურველისა ხელოვნებისა, კავალერი ორდენთა წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისა და წმიდისა მოციქულთა სწორისა ვლადიმირისა დიდთა ჯვართა, კოროლთა პრუსიისა შავისა, და პოლშისა თეთრისა არწივისა, და წმიდისა სტანისლავისა, შვეციისა სერაფიმთა, დანსკისა სპილოისა, და ჰოლსტინიისა, წმიდისა ანნასი, ესევითარითა ხელმწიფეებითა, რათა არ ყოფასა მათ თვისსა აღირჩიოსმცა ნებითა თვისითა სრულისა ძალისა მქონებლად, ვისიცა კეთილად განჰსაჯოს მან, რომელმან რომლისათვის აღირჩია, და სრულისა ძალისა მქონებელ ჰყო, მაღალმსვლელი უფალი მისის დიდებულების იმპერატორობისა არმიის ღენერალ-პორუჩიკი, ასტრახნის ღუბერნიის მხედრობისა მოყამანდე, მისის იმპერატორების დიდებულებისა დეისტვიტელნი კამერღერი და ორდენთა რუსეთისათა წმიდათა ალექსანდრე ნევსკისა, თავადის ვლადიმირისა პირველისა ხარისხისა, სამხედროს დიდის [ჯ] მოწამისა და ძლევა-შემოსილისა გიორგისა, და ჰოლშტინიისა წმიდისა ანნას კავალერი პავლე პოტემკინი.

ხოლო უგანათლებულესობამან, ქართლისა და კახეთისა მეფისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისამან, აღირჩია და სრულისა ძალისა მქონებელ ჰყუნა კერძოთ თვისით ბრწყინვალენი თავადნი: მხედრობისა თვისისა მემარცხენე სარდარი და უმთავრესი თანაგამძრახი, ერეენისა საქმეთა თავადი იოანე კონსტანტინოვიჩი ბაგრატიონი, და მისისავე უგანათლებულესობისა მანდატურთუხუცესი, და ზედამხედველი ყაზახისა კნიაზ გარსევან რევაზოვიჩი ჭავჭავაძე.

ჰხსენებულთა მათ სრულისა ძალისა მქონებელთა, და შეწევნითა ღმრთისათა საქმისა მიმართ მიწევნულთა, ურთიერთარს ნაცვლის-მგებელთა სრულისა ძალისა მქონებლობისა მიერ, მებრ ძალისა მათისა, დაადგინეს და დაამტკიცეს და მოაწერეს შემდგომთა არტიკულთა, ან წევრთა:

## არტიკული პირველი

უგანათლებულესობა მისი მეფე ქართლისა და კახეთისა სახლითა თვისითა, მემკვიდრეთა და მენაცვლეთა თვისითა, დღესასწაულობით უარსთქვამს ყოველსა ვა[ს]ალობასა, ანუ ვითარსამე ტიტლისა, ყოვლისაგან მოკიდებულებისა სპარსთასა, ანუ სხვათა მპყრობელთასა.

და ამით ცხადჰყოფს წინაშე პირსა ყოვლისა სოფლისასა, ვითარმე არა შერაცხს იგი თვისზედა და მენაცვლეთა თვისთა ზედა სხვასა თვითმპყრობელსა, თვინიერ უზენაესისა ხელმწიფებისა და მფარველობისა მისისა იმპერატორების დიდებულებისა და მაღალთა მისთა მემკვიდრეთა და მენაცვლეთა საიმპერატოროსა ტახტისა ყოვლისა რუსეთისათა, აღთქმული ტახტისა

მის ერთგულებისა, და მზაყოფისა შეწევნისათვის სარგებლისა სახელმწიფოსა (რუსეთისა), ყოველსა შინა შემთხვევასა და დროსა, სადაცა ესე ითხოვებოდეს მისდამი.

## არტიკული მეორე

დიდებულება იმპერატორებისა მისისა, მიმღებელი უგანათლებულესობისაგან მისისა ესოდენისა უზაკველისა აღთქმისა, აღსთქვამს თანასწორადვე და იმედეულ ჰყოფს იმპერატორებრითა სიტყვითა თვისითა, თავისა თვისისათვის, და მოსაყდრეთა თვისთათვის, ვითარმედ მოწყალება და მფარველობა თვისი უგანათლებულესთა მეფეთა ქართლისა და კახეთისათა არასდეს მიელების.

რომლისაც დასამტკიცებლად დიდებულება მისი აძლევს იმპერატორებრსა თავსმდებობასა თვისსა მრთლად (და დაუკლებელად) დაცვასა ზედა აწინდელთა სამფლობელოთა მისისა უგანათლებულესობისა მეფისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისათა; და წინადაჰსდებს განვრცელებასა ესევითარისა თავსმდებობისასა ესგვარსა ზედა სამფლობელოსა, რათა, რომელნიცა, წარმდინარეობასა შინა დროთასა, გარემოებითა და განრჩევითა ხატითა, შესაბამად სამფლობელოსა მისისა იპოვებიან, პოვნილნი იგი სამფლობელოსა მისისა მიმართ დაიმტკიცებიან.

## არტიკული მესამე

განცხადებასა შინა ამის უზაკველობისასა, ვითარითაცა ხატითა უგანათლებულესობა მისი მეფე ქართლისა და კახეთისა აღიარებს უზენაესსა ხელმწიფებასა და მფარველობასა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთასა, განიწესების, ვითარმედ ჰხსენებულნი იგი მეფენი, ოდეს იგი მოიწევიან მემკვიდრეობით სამეფოსა ზედა მათსა, მყისწრაფად აცნობებდენ ამისთვის კარსა საიმპერატოროსა რუსეთისასა და ითხოვდენ დესპანთა თვისთა მიერ სამეფოსა ზედა თვისსა იმპერატორებრსა დამტკიცებასა ინვესტიტურისა წერილითა, (ესე იგი არს) ბოურაყი, ანუ დროშა, ყოვლისა რუსეთისა ღერბითა, მქონებელი საშუალ თვისსა, ჰხსენებულთა სამეფოთა ღერბისა, ხრმალი, კვერთხი საბრძანებელი, მანტია, ანუ წარმოსასხმელი ყარყუმისა.

ნიშანნი ესე, ან დესპანთა, ან მესაზღვრეთა მთავართა ძლით მოიწევის მეფისადმი, რომელიცა მიღებასა ზედა, მათ დასწრებითა რუსეთისა მინისტრისათა თანამდებ არს, რათა იფიცოს დღესასწაულობით ერთგულობისათვის, და გულსმოდგინებისა იმპერიისა რუსეთისა, და უზენაეს შერაცხეისათვის ხელმწიფობისა, და მფარველობისა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთასა, ესევითარითა ხატითა, ვითარცა დადებულ არს ფიცი იგი არტიკულთა ამათთანა.

წესი ესე თანა-აძს აღსრულებად ყოვლად უგანათლებულესსა მეფესა ქართლისა, და კახეთისა ირაკლის თეიმურაზოვიჩსა.

## არტიკული მეოთხე

დამტკიცებისათვის, ვითარმედ ჰაზრი მისისა უგანათლებულესობისა განჰსჯილთა ესოდენ მკვიდრისა [შ]ეერთებისა ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა თანა, და აღსარებისათვის უზენაესისა ხელმწიფებისა ყოვლად უბრწყინვალესისა ამის იმპერიისა მფლობელთასა ვითარმედ არიან უზაკველ, აღუთქვამს უგანათლებულესობა მისი, რათა უწინარეს თანხმობისა უპირველესისა მესაზღვრისა მთავრისა, და მინისტრისა მისის იმპერატორების დიდებულებისა კრწმუნებულისა, არა აქუნდეს მიწერ-მოწერა გარემოთა მფლობელთა მიმართ.

ხოლო იდეს იგი მოუვალნ მათ მიერ დესპანნი, ანუ წერილნი, ჰყოფს განზრახვასა უპირველესისა მიმართ მესაზღვრისა მთავრისა, და მინისტრისა მისისა იმპერატორების დიდებულებისასა, უკუნქცევისათვის დესპანთასა და შესადგენისათვის სიტყვისგებისა მფლობელთა მათდამი.

## არტიკული მეხუთე

რათა ადვილად აქუნდესმცა ყოველივე იგი საჭირო მიწერ-მოწერა და თანხმობა რუსეთისა საიმპერატოროსა კარისა თანა, ჰსურს ამისთვის უგანათლებულესობასა მისსა მეფესა ირაკლის, რათა ჰყვესმცა წინაშე კარისა მის მინისტრი, ანუ რეზიდენტი.

ხოლო დიდებულება იმპერატორებისა მისისა მოწყალებით მიმღებელი მისი აღჰსთქვამს, ვითარმედ იგი კარსა ზედა მისსა მიღებულ იქმნების რიცხვსა შინა სხვათა მფლობელთა მინისტრთა თანა, თანაჰსწორითა ნიშნითა თვისითა.

და გარდა ამისსა ჰნებავს რათა კერძოთცა თვისით ჰყვესმცა მინისტრი რუსეთისა წინაშე მისისა უგანათლებულესობისა.

## არტიკული მეექვსე

დიდებულება იმპერატორებისა მისისა მიმღებელი კეთილნებებით აღსარებისა უზენაესისა ხელმწიფებისა, და მფარველობისა სამეფოთა ზედა ქართლისა, კახეთისა, და საქართველოისათა, აღუთქვამს სახელითა თვისითა, და მოსაყდრეთა თვისითა:

პირველად, ერთა მის სამეფოსათა შეჰრაცხს ყოვლად მკვიდრითა კავშირითა სრულებით თანახმად იმპერიისა თანა თვისისა, მაშასადამე, მტერთაცა მათთა, შეჰრაცხს მტრად თვისსა. რომლისათვისცა პორტის ოთომანისა თანა(ესე იგი, ხონთქრისა), ანუ სპარსეთისა, ანუ სხვათა მპყრობელთა, და სამფლობელოთა თანა მშვიდობა დამტკიცებული, სათანადო არს, რათა განჰვრცელდეს დიდებულებისა მისისა დასაფარველთა ერთაცა ამათ ზედა;.

მეორედ, უგა[ნ]განათლებულესსა მეფესა ირაკლის თეიმურაზოვიჩსა, და სახლისა მისისა მემკვიდრეთა, და მონაცვლეთა, და ტომთა, დაიცავს უცვალებელად სამეფოთა ზედა ქართლისა, და კახეთისათა;

მესამედ, მინაგანსა ხელმწიფებისა მმართებლობასა თანა შეუვალისა, მჰსჯავრისა და სამართლისა და შეკრებასა მისაცემელისა ხარკისასა დაანებებს მისსა უგანათლებულესობასა მეფესა, სრულსა შინა ნებასა, და სარგებლობასა მისსა, და დააყენებს მთავართა სამხედროსა, და სამოქალაქოსათა აღრევად, ვითარიცადა იყო განწესება ერთა მათ ჰხსენებულთა.

## არტიკული მეშვიდე

მისი უგანათლებულესობა მეფე ღირსთანაწდებობითა კრძალულებითა მიმღებელი ესოდენ მოწყალებითისა იმედოვნებისა მისისაგან იმპერატორების დიდებულებისა, აღუთქვამს თავისა თვისისა, და ტომთა თვისთათვის.

პირველად, რათა იყოს ნიადაგ მზა სამსახურსა ზედა მისისა დიდებულებისასა მხედრობითა თვისითა.

მეორედ, მთავართადმი რუსეთისათა რათა იქცეოდესმცა საზარალისოთა მიწერ-მოწერითა, რაცალა თვისუფს მისისა იმპერატორების დიდებულებისა სამსახურსა, და კმაჰყოფდეს თხოვათა მათთა, და ყმათა მისისა დიდებულებისათა ჰსცვიდეს ყოველთაგან განსაცდელსა და შეიწროებათა.

მესამედ, განწესებასა შინა კაცთასა(თვისისა სამეფოსათა) ადგილთა ზედა, და აღყვანებასა ინა მათსა ხარისხთა შინა, ანუ აღსავალთა რომელთამე, რათა უსაკუთრესად აქუნოსმცა ულიდესობა მსახურებისათვის რუსეთის იმპერიისა, ესეეითარსა ჰატივის-ცემასა ზედა მოკიდებულ არს განსვენება, და ბედნიერობა ქართლისა და კახეთისა სამეფოსა.

## არტიკული მერვე

დასამტკიცებლად უსაკუთრესისა მონაწევისა კეთილნებობისა მისის უგანათლებულესობისა მეფისადმი და ერთა მიმართ მისთა, და უმტკესისა შეერთებისა რუსეთისა თანა, ამათ ერთმორწმუნეთა ერთა თანა, ინებებს მისი იგი დიდებულება ვითარმედ კათალიკოსსა, ანუ უმთავრესსა არხიეპისკოპოსსა მათსა, რათა აქუნდეს ადგილი რიცხვთა შორის რუსეთისა მღვდელთ-მთავართასა, მერვესა შინა ხარისხსა, ესე იგი არს, შემდგომად ტობოლსკისა და ყოვლად უმოწყალესობით მიუბოძებს მას ნიადაგ ტიტლისა უწმიდესისა სინოდის ჩლენობისასა.

ხოლო მართებისათვის საქართველო[ჲ]სა ეკლესიათასა, და მიწერ-მოწერათასა, თუ ვითარ სათანადო არს რუსეთისა სინოდისადმი, ამისთვის უკუე დაიწერების სხვა არტიკული.

## ა რ ტ ი კ უ ლ ი მ ე ც ხ რ ე

განკრძალულებისათვის მოწყალებისა თვისისა ყმათადმი მისისა უგანათლებულესობისა მეფისათა, თავადთა და აზნაურთათვის განაწესებს დიდებულება იმპერატორებისა მისისა ვითარმედ ყოველნი იგი ყოველსა შინა ყოვლისა რუსეთისა იმპერიასა იქმნებიან ესრეთ მსარგებელ ყოვლითა მით უპირატესობითა, და სარგებლითა, რომელნიცა შეეფერებიან რუსეთისა კეთილშობილთა.
ხოლო უგანათლებულესობა მისი მიიღებს მადლობით ესოდენ მოწყალებითსა ყმათადმი მისთა სიმდაბლით პშთამოსლვასა და შეიკრავს წარგზავნად კარისადმი მისისა დიდებულებისა ნუსხასა ყოველთა კეთილშობილთა გვართასა, რათამცა მით შესაძლებელ იყოს ცნობად ნამდვილი ზედმიწევნილება, თუ რომელსა ვითარმე ნამდვილი ეშესაბამების სამართალი.

## ა რ ტ ი კ უ ლ ი მ ე ა თ ე

განიწესების, ვითარმედ ყოველნი საზოგადოდ შობილნი ქართლის, და კახეთისანი შემძლებელ არიან რუსეთსა შინა დასახლებად, და კვალად უკუნქცევადვე დაუყენებელად.
ხოლო ტყვენი, უკეთუ საკვირველითა, ანუ გამოხსნითა რომლითამე თურქთაგან, და სპარსთა, ანუ სხვათა ერთაგან განთავისუფლდენ, რათა განტევებულ იქმნენ ქვეყანასა თვისსა. მაგრა რაცალა იგი წარგებულ არს გამოხსნასა, და მოყვანებასა ზედა მათსა გარდაიხადონ იგი.
თვით უკვე ამასვე უგანათლებულესობაცა მისი მეფე აღსთქვამს წმიდად აღსრულებად განპასუხითა რუსთა ტყვეთათვის, რომელნიცა დატყვევებულ იქმნენ მეზობელთაგან.

## ა რ ტ ი კ უ ლ ი მ ე ა თ ე რ თ მ ე ტ ე

ვაჭრობასა ქართლისა, და კახეთისასა აქვს თავისუფლება რათა განავაჭრონ სავაჭრო თვისი რუსეთსა შინა, და ისარგებლონ მითვე სამართლითა, და პატივისცემითა, რომლითაცა მკვიდრნი რუსეთისანი სარგებლობენ.
ნაცვლადვე მისსა აღუთქვამს მეფეცა განწესებად თავით მთავართა მესაზღვრეთა, ანუ მინისტრთა მისისა დიდებულებისათა, ყოვლითა ძალი[ს]თა აღსებუქებად ვაჭრობისა რუსთასა სავაჭროთა შინა სამფლობელოთა შინა თვისთა, ანუ მგზავრ განმვლელთა რუსთა ვაჭრობისათვის, სხვათა შინა ადგილთა.
ამისათვის რომელ გარდა ეს გვარისა ნამდვილსა განწესებისა და ზავისა სარგებელთათვის ვაჭრობისათა ადგილი ქონებად შეუძლებელ არს. (ესე იგი არს, სხვაგვარ ვაჭრობად შეუძლებელ არს).

## ა რ ტ ი კ უ ლ ი მ ე ა თ ო რ მ ე ტ ე

ზავი უკვე ესე, ანუ პირობა იქმნების საუკუნოდ. მაგრა უკეთუ განხილულ იქმნეს რამე საჭიროდ შეცვალებად, ანუ დაპირთვად ერთიერთისათვის სარგებლისა აქვს მას ადგილი ორთავე კერძოთა თანხმობისა.

## ა რ ტ ი კ უ ლ ი მ ე ა თ ს ა მ ე ტ ე

კმაყოფისათვის აწინდელისა ტრაქტატისა, სათანადო არს ერთიერთარს მეცვალებულიყოფა ქესთა თვისთა შინა ხელისმოწერითა, ანუ უკეთუ ემსწრაფლეს შესაძლებელ იყოს.
რომლისა დასარწმუნებლად ქვემო მოწერილთა სრულისა ძალისა მქონებელთა, მებრ ძალისა სრულ ძალმქონებლობისა მათისა მოაწერეს არტიკულთა ამათ ზედა, და ამას თანა თვისნიცა დაჰსხნეს ბეჭედნი გიორგის ციხეში, ივლისს *24* დღესა *1783* წელსა.

პ ა ვ ლ ე პ ო ტ ე მ კ ი ნ ი
თ ა ვ ა დ ი ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი
თ ა ვ ა დ ი გ ა რ ს ე ვ ა ნ ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

[ს ა ხ ე, რომლისაებრ უგანათლებულესობა მისი მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზისძე ჰყოფს ფიცითსა აღთქმასა ერთგულობასა ზედა მისისა იმპერატორებისა დიდებულებისასა, თვითმპყრობელისა ყოვლისა რუსეთისასა და აღსარებასა მფარველობისა და უზენაესისა ხელმწიფებისა იმპერატორთასა მეფეთა ზედა ქართლისა და კახეთისათა]*

### ს ა ხ ე ფ ი ც ი ს ა

მე უკვე ქვემო ხსენებული აღვუთქვამ და ვფიცავ ამას ყოვლისა შემძლებელითა ღმრთითა, წინაშე წმიდისა სახარებისა მისისა ვითარმედ მნებავს, და თანამდებცა ვარ მისისა იმპერატორების დიდებულებისა ყოვლად უბრწყინვალესისა და უმპყრობელესის დიდისა ხელმწიფისა იმპერატრიცასა, და თვითმპყრობელისა ყოვლისა რუსეთისა ეკატერინა ალექსიევნასა და მისისა ყოვლად

*აღდგენილია აკპრ, ფ. „ტრაქტატი", *1783* გადა, დ.№*178* რუსული ხელნაწერის მიხედვით.

საყვა[რ]ლისა ძისა ყოვლად უპრწყინვალესისა ხელმწიფისა ცესარევიჩისა, და დიდისა კნიაზისა პავლე პეტროვიჩისა ყოვლისა რუსეთისა საიმპერატოროსა ტახტისა მკვიდრისა მემკვიდრისა და ყოველთა მაღალთა მოსაყდრეთა მის ტახტისათა, რათა ვიყო ერთგულ სარწმუნო, და კეთილის-მწადნელ.

აღვიარებ სახელითა ჩემითა, მემკვიდრეთა და მონაცვლეთა ჩემთა, და ყოველთა სამეფოთა, და სამფლობელოთა ჩემთა საუკუნოდ უმაღლესსა მფარველობასა, და უზენაესსა ხელმწიფებასა მისისა იმპერატორების დიდებულებისა, და ყოველთა მაღალთა მოსაყდრეთა მისთასა ჩემზედა და მოსაყდრეთა ჩემთა, ქართლისა და კახეთისა მეფეთა ზედა; რომლისაცა შედეგომითა განვაგებ ყოვლისა ჩემზედა და სამფლობელოთა ჩემთა ზედა, ვითარითამე მისაღებელთა ტიტლოთა ანუ წინადადებათა, ვითარისამე ეულებისა, ანუ ხელმწიფებისა სხვათა ხელმწიფეთა, და მპყრობელთასა, და უარ-ვჰყოფ მფარველობასა მათსა.

შევჰკრავ წმიდათა ქრისტეანებრითა სვინდისითა ჩემითა ვითარმედ მტერთა რუსეთისა სახელმწიფოისათა ვჰრაცხდე საკუთრად მტრად ჩემდა ვითარმედ ვიყო მორჩილ, და მზა ყოვლისა შინა დროსა, სადაცა საჭმარ ვიყო მსახურებასა შინა მისისა იმპერატორების დიდებულებისასა და ყოვლისა რუსეთისა სახელმწიფოისასა; და ამას შინა ყოვლითურთ არა შევიწყალო სიცოცხლე ჩემი ვიდრე უკანასკნელ წვეთამდე სისხლისა:

სამხედროთა და სამოქალაქოთა მისისა დიდებულებისა მთავართა მიმართ, და მსახურთა ვიქცეოდე უმწვერვალესითა თანხმობითა.

და უკეთუ ვითარიმე საქმენი სარგებლისა და დიდებისა მისისა დიდებულებისა და მისისა იმპერიისა ვჰსცნა საქმე ანუ ზარი, მყის განვაცხადო იგი.

მოკლედ ესევე ვიტყვი: ესრეთ ვიქცეოდე, ვითარცა ერთმორწმუნე რუსეთისა ერთადმი, და შეერთებულისა ძლით ჩემისა განმსჯელითა მფარველობისა, და უზენაესისა ხელმწიფებისა მისისა იმპერატორების დიდებულებისათა შესაბამ, და თანამდებობით.

ხოლო დასასრულ ფიცისა ამის ვჰყოფ ამბორს უფლისა სიტყვასა, და ჯვარსა მაცხოვრისა ჩემისასა, ამინ.

მპყრობელნი სრულ ყოვლადთაცა შინა შეთანხმებითა მეფეთა ქართლისა და კახეთისათა ყოფისათვის მფარველისა აღთქმისა მფარვად მოპყრობისა, რომელიცა მიიღებენ დამტკიცებ[ნ]თისა წიგნსა დროთა, და ინვესტიტურთა ბოძებულსა რუსეთისა საიმპერატოროსაგან კარისა.

რომლისაცა დასარწმუნებლად ჩვენ მომწერელთა სრულისა ძალისა მქონებელთა, მეწრძალისა სრულ ძალმპყრობელობითა მოვაწერეთ სახესა ამას ზედა, დავბეჭდეთ ბეჭდითა ჩვენითა, გიორგის ციხეში, ივლისს *24* დღესა *1783* წელსა.

პ ა ვ ლ ე   პ ო ტ ე მ კ ი ნ ი
თ ა ვ ა დ ი   ი ო ა ნ ე   ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი
თ ა ვ ა დ ი   გ ა რ ს ე ვ ა ნ   ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

მიმცემელი ღირსთანაშემდებმობითისა კრძალულებისა ესოდენთა თქვენის იმპერატორების დიდებულებისა მოწყალებათა ჩვენდამი, ლომთა, და ერთა ჩვენთა ზედა ჩვენებულთათვის, ჩვენ დღესასწაულებითა ამათ მიკმელებათა, ხელითა ჩვენითა მოწერილთა, და სამეფოთა ბეჭდითა ჩვენითა განმტკიცებულთა, მიმღებელი, და დამამტკიცებელი ყოველთა ქმნილთა, და განწესებულთა ჩვენთა სრულის ძალის მქონებელთაგან აღვიარებთ, ვითარმედ იგი კმაჰყოფს სრულებით წადილსა ჩვენსა, და იმედებულ გვიყოფს დროთა აწინდელთა, და შემდგომთა სახლისა, და მამულისა ჩვენისა განსვენებათა და კეთილდღეობათა. რომლისათვისცა აღვუთქვამთ მეფობითითა სიტყვითა ჩვენითა წინაშე ღმრთისა ყოვლისა შემძლებელისა, წინაშე უსაღმრთოეულესისა თქვენის იმპერატორების საყდრისა, და წინაშე პირსა ყოვლისა სოფლისასა ჩვენთვის, და მონაცვლეთა ჩვენთა, და ყოვლისა სამეფოსა და სამფლობელოსა ჩვენისათვის, ვითარმედ ყოველი პირობასა ამას შინა აღთქმული ნამდვილისა ძალსა, და სწორესა გულისხმის-ყოფასა შინა იქმნების წმიდად, მრთლად, და დაუხსნელად დაცული და აღსრულებული.

დასასრულ ამისა მოწყალებისა, და კეთილნებობისა თქვენს იმპერატორების დიდებულებას [ვ] მივაბარებთ თავსა ჩვენსა, და სამეფოსა სახლსა ჩვენსა, ყოვლითურთ სამფლობელოთ ჩვენით.

სატახტოსა ქალაქსა შინა ჩვენსა ტფილისს, თთვესა იანვარსა *24* დღესა *1784* წელსა შობითგან ქრისტესა, მეფობისა ჩვენისა მეორმოცესა წელსა.

ე რ ე კ ლ ე
თ ა ვ ა დ ი   ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი   დ ა ვ ი თ
თ ა ვ ა დ ი   ქ ა ი ხ ო ს რ ო   ჩ ო ლ ო ყ ა ე ვ ი

[1]° ყოვლად უგანათლებულესი უძლიერესი დიდი ხელმწიფე იმპერატრიცა ეკატერინა ალექსიევნა, მპყრობელი ყოვლისა რუსეთისა, მოსკოვისა, კიევისა, ვლადიმირისა, ნოვგოროდისა; მეფე ყაზანისა, მეფე ასტრახანისა, მეფე სიბირისა; ხელმწიფე პსკოვისა, და დიდი მთავარინა სმოლენსკისა, მთავარინა ესტლანდიისა, ლიფლანდიისა, კორელისა, ტვერისა, იუგორსკისა, პერმსკისა, ვიატსკისა, ბოლგარისა, და სხვათა ხელმწიფე, და დიდი მთავარინა ნოვგოროდის ნიზოვის ქვეყანათა, ჩერნიგოვისა, რეზანისა, როსტოვისა, იაროსლავისა, ბელოზერისა, უდორისა, ობდორისა, კონდიისა და ყოვლისა ჩრდილოეთის კერძოთა მბრძანებელი, და ხელმწიფე ივერიისა ქვეყანისა ქართლისა, და საქართველოსა თავადთა და ყაბარდოს ქვეყანისა, ჩერქეზთა, და მთიულთა თავადთა, და სხვათა მემკვიდრე ხელმწიფე და მფლობელი.

I

ირაკლი მეორე წყალობითა ღმრთისათა, და თქუენის იმპერატორებისა დიდებულებისა კეთილნებობითა მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა, მემკვიდრე-მფლობელი სამცხე-საათაბაგოისა, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოისა, მთავარი შამშადილისა, მთავარი კაკისა, მთავარი შაქისა, და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევნისა.

ვითარცა განწესებასა ზედა სრულის ძალის მქონებელთასა თქუენის იმპერატორების დიდებულებისა, და ჩუენთა ძალის მქონებელთაგან პირობისა მიღებისათვის ჩუენისა სამეფოთ, და სამფლობელოთ ჩუენით უმაღლესსა მფარველობასა ქუეშე თქუენის იმპერატორების დიდებულებისა, და უზენაესისა ხელმწიფებისა უმკვიდრესისათვის სარგებელისა ჩუენისა დაიმტკიცნენ ოთხი სეპარატისა არტიკულნი სახელით.

### სეპარატისა არტიკული პირველი

ჰაზრი მტკიცე მისისა იმპერატორების დიდებულებისა, რათა ერთმორწმუნენიმცა ერისა მისისანი ესოდენ მჭიროსითა საკრულითა შეერთებულნი მისისა თანა იმპერიისა ეგნენ ურთიერთარს მეგობრობასა შინა და სრულსა თანხმობასა [v] საშიშრად მოწერენთა მეზობელთა მათთა და მოსაწყლეულად შეერთებულთა ძალითა, ვითდა, რომელნიცა შეეხებიან ენებად თავისუფლებასა, განსვენებასა, და კეთილდღეობასა მათსა, რომლისათვის უკვე აღიძერის დიდებულება მისი, მისისა უგანათლებულესობისადმი მეფისა ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისა, მიცემად მეგობრობითისა ჰაზრისა, და განზრახვისა (ესე იგი პრიჩევისა) დაცვისათვის მეგობრობისა, და კეთილისა თანხმობისა უგანათლებულესისა მეფისა მიმართ იმერთასა სოლომონისა, განწესებისათვის ყოვლისა მის რაცადა შესაძლებელ არს იდენ ლაპირუფულად წინათვე მსწრობად ყოვლისა ვერ გულისხმის-საყოფელისა, აღუთქვამს იმპერატორებრითა სიტყვითა თვისითა, არათუ იდენ შეწევნად მეცადინეობითა თვისითა ყოვლისათვის ესოდენ სასარგებლოსა ამის საქმისა, არამედ ამას ესევითარსა ზედა მშვიდობასა, და თანხმობასა, მიუხლცემს თვისსა თავსმდებობასა.

უგანათლებულესობა მისი მეფე ირაკლი, მიმღები თანამდებობითითა მადლობითა დიდსულობასა მისისა დიდებულობისა ზრუნვისასა დაცვისათვის მეგობრობისა ერთა შორის ერთვერთა, და ერთმსჯულთა, და უმაღლესსა თავსმდებობასა მისსა აღიარებს ამით, ვითარმედ ურთიერთთა შინა საქმეთა მათთა უგანათლებულესისადმი მეფისა სოლომონისა, აწ და შემდგომად შეპრაცხს მისისა იმპერატორებისა დიდებულებასა სრულად მეშუამავლად. და განაგდებს მისისა მიერ ჯუნაესისა განჩინებისა, ანუ განჩენისა ვერ გულისხმისსაყოფელთა მიზეზთა, შორის ორთა ამათ მფლობელთა, უფროს ყოვლისა მიღებისა გამოსრულთა.

### არტიკული მეორე სეპარატისა

დაცვისათვის სამფლობელოისა ქართლისა და კახეთისათა ყოვლით კერძო შეხებისაგან მეზობელთასა, და სიმტკიცისათვის მხედრობისა მისისა უგანათლებუ[2]ლესობისა მეფისა, დიდებულება იმპერატორებისა მისისა აღუთქვამს შენახვად სამფლობელოთა შინა მეფისათა ორსა სრულსა ბატალიონსა ქუეითისა ოთხითა ზარბაზნითა, რომელთაცა პრავიანტი, და საჭმელი ცხენებთა ხარჯისაებრ მხედრობისაგანთა მათ მიეცემის, და პრავიანტი იგი და საჭმელი ცხენებთა სრულ

* აქ იწყება მეორე რვეული.

იქმნების ნაყოფიერების ძლით ქუეყნისა, თანხმობითა მისისა უგანათლებულესობისათა თავისა თანა მესამზღვროისა მთავრისა დადებულთა ფასითა.

### არტიკული მესამე სეპარატისა

ძრისა ბრძოლისასა, ოდესცა იგი მთავარი მესამზღვრე მისისა იმპერატორების დიდებულებისა კერძოთ ნიადაგ სრულისა ძალისა ქონებად თანამდებ არს, რათა უგანათლებულესობასა მისსა მეფესა ქართლისა, და კახეთისასა ეთანხმოსმცა, და დაჰხლდეს ჰაზრი შეწევნისათვის თქმულთა მათ ქუეყნათა, და წინააღდგომისა მტერთასა მოქმედებისათვის, რომელიცა არა სხვებრ, არამედ ვითარცა საერთოდ მტრად შერაცხვად სათანადო არს.

ამას თანა განიწესების ესეცა, ვითარმედ უკუეთუ რაოდენიმე მხედრობა ქართლისა და კახეთისა ხმარებულ იქმნეს სამსახურისათვის მისისა იმპერატორების დიდებულებისა გარეგან საზღვართა მათთა, მაშინ განიჩინების მათთვის შესაბამი სრული, თანასწორი მისისა დიდებულებისა ჯარებთა.

### არტიკული მეოთხე სეპარატისა

დიდებულება იმპერატორებისა მისისა აღუთქვამს, რათა ძრისა ბრძოლისასა იხმაროსმცა ყოველი შემძლებლობა მეცადინობისა ძალითა საჭიროებისათა.

ხოლო ძრისა მშვიდობისასა დაზავებისა მიერ უკუმოქცევისათვის ქუეყნისა, და ადგილთა პეტრიდგან ქონებულთა, და ძუელადვე [v]სამეფოსა მიმართ ქართლისა და კახეთისა შერაცხულთა, რომელნი უკვე დამთვიან სამფლობელოდ მეფეებისთა მეფეთა, სატახტოსა ზედა თქმულთა პატრთასა, რომელნიცა ითხოვენ მფარველობისათვის, და უზენაესისა ხელმწიფებისა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთა.

ამათ სეპარატისა არტიკულთა აქვსთ ესევითარივე ძალი, ვითარცა თვით ზემო წერილნი იგი ტრაქტატნი ზემო წერილისაებრ ლექსით-ლექსად შემოტანილ ქმნილ იყვნენ, რომლისათვისცა სრულყოფასა ამისსა იგივე პატივი აქვს შეცდომებისა ზედა, ანუ დამტკიცებისა.
რომლისა დასარწმუნებლად ქვემო მოწერილთა სრულისა ძალისა მქონებელთა მებრ ძალისა სრულ ძალ-მპყრობელობისა მათისა მოაწერეს არტიკულთა ამათ ზედა, და ამასთანავე თვისნიცა დაასვნეს ბეჭედნი, გიორგის ციხეში, ივლისს **24** დღესა, **1783** წელსა.

პავლე პოტემკინი
თავადი იოანე ბაგრატიონი
თავადი გარსევან ჭავჭავაძე

ჩვენ მიმღებელნი ამათნი თანამდებობითითა კრძალულებითა დამამტკიცებელნი ყოვლისა მის, რაცა ჩვენთა სრულის ძალის მქონებელთაგან მუნ განიწესნენ, აღვსთქვამთ მეფობითითა სიტყვითა ჩვენითა ღონითა ამის მოქმედებისათა, რომელიცა ხელითა ჩვენითა მოწერილ არს და სამეფოთა ბეჭდითა ჩვენითა განმტკიცებულ, წინაშე ღმრთისა და ყოვლადმპყრობელისა და თქვენის იმპერატორების საყდრისა, ჩვენთვის, და მენაცვლეთა [3] ჩვენთათვის,. და ყოვლისა სამეფოისა და სამფლობელოისა ჩვენისათვის, წმიდად, მრთლად, დაუხსნელად დაცვად, და აღსრულებად.
დასასრულ ამის მოწყალებისა, და კეთილნებობისა თქვენს იმპერატორების დიდებულებას მივაბარებთ თავსა ჩვენსა, და სამეფოისა სახლსა ჩვენსა, ყოვლითა სამფლობელოთა ჩვენითა.
სატახტო ქალაქსა შინა ჩვენსა ტფილისს, თთვესა იანვარსა **24** წელსა შობითგან ქრისტესა **1784**, მეფობისა ჩვენისა მეორმოცესა წელსა.

ერეკლე
თავადი ორბელიანი დავით
თავადი ქაიხოსრო ჩოლოყაევი

---

*განმარტებები: ტრაქტატის ორიგინალის ქართული პირი დაკარგულად ითვლება. იგი რუსებმა ეშმაკურად გამოსტაცეს სოლომონ ლეონიძეს. წინამდებარე ტექსტი თარგმნილია რუსულიდან, საკმაოდ მოგვიანებით, მაგრამ ძველი, მეფე ერეკლეს დროის, სალიტერატურო ქართულით.

„ქართული სამართლის ძეგლები"-ის მიხედვით, ჩვენს მიერ ტექსტში მუქი ფერის ასოებით დაბეჭდილი სიტყვები, დედანში შესრულებული ყოფილა ასომთავრულით. თ.ტ.

•••

დიქტორი: ("თავისუფლების ჰიმნი" ოპერა "დაისიდან")

ჩვენი დევიზია - ერისა და პიროვნების თავისუფლება,
ვინაიდან ერს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
პიროვნებას, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება!..
და ამასთან დაკავშირებით მაგონდება, პატივცემული მსმენელებო, ქართული ერისეული და საერთო საკაცობრიო ისეთი ჰუმანიტარული სახელმძღვანელო აზრები და დებულებები, როგორიცაა:

"ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნეს". (ილია ჭავჭავაძე).

"ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა".
("მესამე დასის" პროგრამა).

"დემოკრატიის ძირითადი პრინციპია ადამიანი და მისი სუვერენობა".
(ნოე ჟორდანია).

"თანასწორობა...დიდი და პატარა ხალხებისა".
(გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტია).

"ყოველ ადამიანს აქვს რწმენისა და მისი თავისუფლად გამოთქმის უფლება; ეს უფლება მოიცავს უფლებას დაუბრკოლებლივ გაჰყვეს თავის რწმენას და თავისუფლად მოძებნოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაციები და იდეები ყოველი საშუალებით სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად".
(ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია).

"...ყოველ ხალხს მუდამ აქვს უფლება სრული თავისუფლების პირობებში განსაზღვროს...საშინაო და საგარეო პოლიტიკური სტატუსი გარედან ჩაურევლად..." (ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითი აქტი).

# 1918 – May 26 მაისი – 1984

## 66TH ANNIVERSARY OF THE RESTORATION OF GEORGIAN INDEPENDENCE

The independence of Georgia was restored on May 26th, 1918. After 117 years of foreign domination, Georgia became a subject of international law again.

How could the Georgian people create the structures of an independent state at a time when the whole world was healing the wounds of World War I and the civil war was raging in Russia? The Act of Independence of Georgia answers this question; it says:

" The Great Revolution created such a domestic situation in Georgia That the whole war front collapsed and the Russian Army left Transcaucasia.

Left alone with her own forces, Georgia and, with her, Transcaucasia took their own affairs in hand and created the appropriate organs. But the pressure from foreign powers led to the dissolution of the links between the Transcaucasian nations and the political unity of Transcaucasia was destroyed.

The actual situation of the Georgian people requires that Georgia creates her own state structures, in order to save herself from foreign domination . The situation requires to lay solid bases for un independent development."

All the Georgian political parties and groups took an active part in preparing May 26th, 1918. As soon as November 19th, 1917, the National Assembly of Georgia was convoked and elected the National Council on November 22nd. The Seim of Transcaucasia was convoked on February 10th, 1918, and the independence of the Transcaucasian Federative Republic was proclaimed on April 9th of that year. But the Transcaucasian Federation was dissolved due to discord between Armenia and Azerbaidjan.

As we see, Georgia's National Council started to create the Georgian state structures in rather difficult conditions.

A participant in the Declaration of Independence - Razhden Arsenidze - recalls in his memoire: "... All the parties agree on the issue of the declaration of independence. But itis also necessary to listen to the voice of the people... From each corner, from each town, the answer is unanimous - we agree... We are with you... We support you... Independence to Georgia! The issue of independence won its first referendum." Razhden Arsenidze further recalls:

"May 26th, 1918. Georgia's population is afoot. And on May 26th, at 5 in the afternoon in Tbilisi, when the grey-haired Noha Zhordania was reading the Act of Independence of Georgia in the White Hall of the Government Palace, it was the whole history of Georgia, the past and present of the Georgian nation which was speaking with his lips."

After having explained why it was necessary to declare Georgia's independence, Noha Zhordania enounced the fundamental principles which were to be the basis of Georgia's state organism; we'll quote two articles from these principles:

- "From now on, the Georgian people is the bearer of sovereign rights and Georgia is a competent state."

- "Independent Georgia is a Democratic Republic."

Right after the Declaration of Independence, the government and the whole people of Georgia took to settle Georgia's domestic and foreign affairs.

Domestic affairs: an agrarian reform was carried out: every landless peasant was granted up to 7 hectare land in private property. The workers, represented by Workers' Councils and free trade-unions, took an active part in the consrtuction of the country. The nobility itself welcomed the agrarian reform and voluntarily handed its goods over to the Georgian nation. As a result of such an economic policy, the Georgian currency -the MANETHI- became a solid value on the international market.

<u>Foreign Affairs</u>: The first task was to achieve international recognition of Georgia. 22 states recognized Georgia, among them France, Great Britain, Japan, Germany, Poland (28.1.1920), Romania (18.2.1921), Czechoslovakia (8.4.1920) and even Soviet Russia. A Peace Treaty was signed on May 7th, 1920 between Soviet Russia and Georgia. Article I of this Treaty stipulates:

"Russia fully recognizes the State Independence and sovereignty of Georgia and voluntarily renounces all its sovereign rights on the Georgian people and the territory of Georgia."

The elections of the Constituent Assembly were held in Georgia in June 1919. All the Georgian political parties and groups participated in these truly democratic elections. The Georgian social-democratic party won 109 seats out of 130, the Georgian national-democratic party - 8 seats, the social-federal party - 8 seats and the social-revolutionary party - 5 seats.

The Georgian Constituent Assembly set up a special commission, with the task of working out a Constitution draft. The Constitution draft was approved by the Constituent Assembly on February 21st, 1921. The first Article says: "Georgia is a free, independent and indivisible state. Its political system is that of a Democratic Republic."

Freedom of the nation, freedom of the individual were the basic principles of the Georgian independent state organism. This is why well-known European political leaders were astonished about the blooming of the Georgian state in such a short laps of time. The British Labour-party leader and former prime minister Ramsay Mac Donald, who travelled in Georgia with other European political leaders in 1920, wrote in the October 16th, 1920 issue of "The Nation" : "If freedom of nation is no empty word, if a nation deserves freedom, it is the Georgian nation, which proved to mankind its high culture and political maturity. I studied the Georgian Constitution, I studied Georgia's social and economic

construction and I would wish to see the life in our country as well organized."

Although Georgia's Independence lasted only 3 years - from 1918 to 1921 - although Lenin's government destroyed Georgia's Independence, the idea of May 26th is immortal, because it is based on the principles of freedom for the nation and for the individual, which Ilia Tchavtchavadze formulated as follows:

"Let us be our own Masters".

Karlo Inasaridse

A few statistical data about Georgia:

1. Territory of the Georgian Democratic Republic: 91.110 sq.km.
2. Territory of the Georgian SSR: 69.700 sq.km.
3. The population of Georgia: 5.016.000 inhabitants (1979 census).

4. National composition of the population.

| | | |
|---|---|---|
| Georgians ................ | 3.433.000 | (1979 census) |
| Ossetians ............... | 160.000 | " " |
| Abkhazians .............. | 85.000 | " |
| Armenians ............... | 448.000 | " |
| Russians ................ | 372.000 | |
| Azeris .................. | 256.000 | |

and others.

5. The capital of Georgia is Tbilisi. (population: over 1.000.000)
6. The state language of the Georgian SSR is Georgian.
7. The Abkhazian and Adjarian ASSR and the autonomous rayon of South Ossetia are parts of the Georgian SSR.

# ბიბლიოგრაფია

ბიბლიოგრაფიული ცნობები კარლო ინასარიძის ზოგიერთი ნაწერების შესახებ, რაც, მართალია, ამ ნაწერების რ ა ო ბ ა ზ ე, ხარისხზე ვერაფერს ამბობს, მაგრამ მათზე საერთო წარმოდგენას მაინც იძლევა.

## ნარკვევები:

### ა). გერმანულ ენაზე:

**1. 1783 წლის ხელშეკრულება**:

"საერთაშორისო-უფლებრივი ურთიერთობა ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის - რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორესა და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორეს შორის დადებული - 1783 წლის 24 ივლისის ხელშეკრულების საფუძველზე", მიუნხენი, 1951 წელი. 80(146) გვ. იურიდიული დისერტაცია.

"DIE STAATSRECHTLICHE STELLUNG DES KOENIGREICHES VON KARTHLI UND KACHETI ZU RUSSLAND AUF GRUND DES VERTRAGES VOM 24. JULI 1783 ZWISCHEN DER KAISERIN KATHARINA II. VON RUSSLAND UND DEM KOENIG HERAKLIUS II. VON KARTHLI UND KACHETI", Muenchen 1951, S.80(146). Juristische Dissertation.

ამ ნარკვევში ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ 1763 წლის ხელშეკრულებით, რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის შეიქმნა "შესუსტებული პროტექტორატი"("Abgeschwaechtes Protektorat".A.Verdross) დამოკიდებულება, რომლის დროს, ა.ვერდროსის მიერ ამ ცნების განსაზღვრის საფუძველზე, პროტექტორს უფლება ენიჭება პროტექტორატზე სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას თვალყური ადევნოს და ყოველგვარი საგარეო პოლიტიკის საკითხი შეთანხმების საფუძველზე გადაწყდეს.

**2. "რადიოპიესის დრამატურგია", "DIE DRAMATURGIE DES HOERSPIELS",**

მიუნხენი,1957 წელი, 107 გვ.
Muenchen 1957,S.107.

(Diese Untersuchung wurde fuer das Deutsche Institut fuer Film und Fernsehen in Muenchen geschrieben).

ამ ნარკვევში განხილულია რადიოპიესის მოსმენადობითი სტილი და კანონზომიერებანი, და მისი დამოკიდებულება ლიტერატურის, თეატრისა და კინოფილმის მსგავს ნაწარმოებებთან.

3. "სცენარის ფუნქცია კინოფილმში",
"DIE FUNKTION DES DREHBUCHES IM FILM",

მიუნხენი, 1955 წელი, 26 გვ.
Muenchen 1955, S.26.

(Diese Untersuchung wurde fuer das Deutsche Institut fuer Filmwesen geschrieben).
ამ ნარკვევში განხილულია სცენარის ფუნქცია ფილმში და დასაბუთებულია დებულება, რომ სცენარი="დაწერილი სურათი" კი ვერ ქმნის, არამედ მხოლოდ "მიუთითებს" ფილმურ მოძრავ სურათებისაკენ, რომელიც ფერი და ფორმაა, რის "ასოებით დაწერა" შეუძლებელია.

## ბ). ქართულ ენაზე:

4. "ხელოვნების მეშვიდე სამყარო",

მიუნხენი, 1953 წელი, 105 გვ.

ამ ნარკვევში ჩამოყალიბებულია ფილმის არსი, სტილი და კანონზომიერებები, რომლის დროს განხილულია აგრეთვე ფილმის ურთიერთობა ლიტერატურა-თეატრ-მუსიკასთან. ამ ნარკვევის ამოსავალი წერტილია დებულება, რომ ფილმი სურათოვანი გამოხატვაა, რომლის სამსახურშია ფილმური ხმა, ე.ი. სიტყვა, მუსიკა, ხმაური; ფილმური კი არის "მოძრავი სურათები".

5. "რადიომეტყველება", მიუნხენი, 1971 წელი, 835 გვ.

ეს ნარკვევი პირველია ოთხი წიგნიდან - "თეატრისმეტყველება", "ფილმისმეტყველება", "ტელემეტყველება","რადიომეტყველება", - რომელშიც ჩამოყალიბებულია რადიომეტყველების, ე.ი. რადიოური="მხოლოდსმენადობითი გამოხატვის" საფუძვლები და კანონზომიერებები, რომლის დროს გამოყენებულია პროფესორ არტურ კუჩერის კვლევის მეთოდი, რის საფუძველზე რადიომეტყველების ცენტრში უნდა იდგეს რადიოგამოხატვის მასალა - ხმა, ე.ი. რადიოური ენა, რადიოური მუსიკა და რადიოური ხმაური.

6. "ფილმისმეტყველება", მიუნხენი,1975 წელი, 704 გვ.

ეს ნარკვევი მეორე ოთხი წიგნიდან - "თეატრისმეტყველება","ტელემეტყველება", "რადიომეტყველება", "ფილმისმეტყველება", - რომელშიც ჩამოყალიბებულია ფილმისმეტყველების, ე.ი. ფილმური გამოხატვის=

„ფილმური მოძრავი სურათების" საფუძვლები და კანონზომიერებანი, რომლის ცენტრში დგას ფილმური გამოსახვის მასალა „მოძრავი სურათები", რომლის სამსახურშია ფილმური სიტყვა, ფილმური მუსიკა, ფილმური ხმაური.

## რადიო-პუბლიცისტური ნაწერები:

### 7. "ჩასაფიქრებელი", ივლისი, 1981 წელი, 18 გვ.

ამ პუბლიცისტურ ნაწერში გამოთქმულია აზრი, რომ პოლიტიკური ბრძოლა ცალკეულ პარტიებს, პოლიტიკურ დაჯგუფებებს თუ პირებს შორის, ისე შორს არ უნდა წავიდეს, რომ თვით საქართველოს, ქართველი ერის, და ამით ყოველი ქართველის თუ ცალკეული ქართველის სრულ უარყოფამდე იქცეს.

### 8. "აქ იყო კართაგენი...", მიუნხენი, 1981 წელი, 89 გვ.

ამ "კართაგენულ ასოციაციებში" ასახულია ტურისტული მოგზაურობა ტუნისში-კართაგენში, რომლის დროს აწმყო-წარსული-მომავალი ერთმანეთშია გადახლართული, ე.ი. ისეთი კავშირია დამყარებული წარმოდგენათა შორის, როდესაც ერთი წარმოდგენა იწვევს მეორეს მსგავსების, კონტრასტის ან მეზობლობის მიხედვით, რაც თავისებური გზით მიუ ენათა ჯეიმს ჯოისისეური აღქმისა, რა თქმა უნდა, საქართველოს აწმყო-წარსულ-მომავლის დონეზე.

### 9. "მესამე დასი" - "მესამე გზა?..",

პარიზი, 1983 წელი, 126 გვ.

ეს ნარკვევი მიძღვნილია "მესამე დასის", ე.ი. საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის დაარსების ოთხმოცდამეათე წლისთავისადმი, რომელშიც განხილულია "მესამე დასის" როლი, განსაკუთრებით მისი სამოქმედო პროგრამის სამი საყრდენი სვეტი - ნივთიერი კეთილდღეობა როგორც ღირსეული ადამიანის ცხოვრებისა, თავისუფლება ყოველი ერისა და თვითეული ადამიანისა - და გაანალიზებულია საკითხი: "მესამე დასი" დღესაც, ახლანდელ ეპოქაში, -"თავისუფალი ბაზრის" და დიქტატორული "გეგმიანი მეურნეობის" სისტემათა გარდაქმნისთვის,

- სომ არ გვისახავს "მესამე გზას", რომ განხორციელებულ იქნას ნივთიერი კეთილდღეობა როგორც ღირსეული ადამიანის ცხოვრებისა,

თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული ადამიანისა, სულ ცოტა, საქართველოში?..

10. "ჯადოსნური სამკუთხედი", მიუნხენი, 1983 წელი, 25 გვ.

ეს ნარკვევი, ქართული კინოფილმის "ვედრების" მაგალითზე, მისი დასკვნამდე: ადამიანი, ერი, რომელიც წარსულს, აწმყოსა და მომავალს, ამ ჯადოსნურ სამებას მოწყდეს, შეგნებულად თუ შეუგნებლად, წონასწორობას არღვევს, ხელმძღვანელობს და, ერთობ განმავითარებლად, დაილევება თუ ვერ შეიგნებს, შეიცნობს, რომ წარსული აწმყოა, აწმყო მომავალია. მხოლოდ ერი, ნაცია არის ინტერ-ნაციონალიზმის ჯანსაღი ბაზა და არა პირიქით.

11. "თერგ-დალეული ილია", მიუნხენი, 1983 წელი, 32 გვერდი.

ამ ნარკვევში ილია ჭავჭავაძე გაშუქებულია როგორც საზოგადო მოღვაწე, რომლის იდეალური ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: საზოგადო მოღვაწე, ისე როგორც პოლიტიკური მოღვაწე, მართალია, "მთელს" (ერს, ქვეყანას და ამით ადამიანს, ადამიანებს) ემსახურება, მაგრამ იგი, - პოლიტიკურ მოღვაწისაგან განსხვავებით -, "მთელიდან-ნაწილისაკენ" (ფენა, კლასი, დაჯგუფება) და არა "ნაწილიდან-მთელისაკენ" მიისწრაფვის. და ამით იგი უფრო საზოგადოებრივ-მორალურ, ვიდრე პოლიტიკურ ავტორიტეტს წარმოადგენს. ამდენად, თერგ-დალეული ილია "მთელი" ერის ამირან-თერი გიორგ-წმინდა გიორგისეულ კურთხეულ მკურნალადაა ასახული.

12. "ლუთერი და...საქართველო", მიუნხენი, 1983 წელი, 29 გვ.

ეს ნარკვევი მიძღვნილია მარტინ ლუთერის, დიდი გერმანელი რეფორმატორის დაბადების ხუთასი წლისთავისადმი(1483-1983). გადმოცემულია რა განსაზღვრული პარალელი ლუთერის რეფორმატორულ მოღვაწეობასა და, თუ გნებავთ, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების "ძეგლისწერას" შორის(1105 წ.), გამოთქმულია აზრი, რომ მარტინ ლუთერის რეფორმაციას=ისევ-აღდგენას=ისევ-განახლებას გააჩნია არა მარტო რელიგიური განზომილება, არა მარტო ამა თუ იმ რელიგიური მიმართულების ისევ-განახლების, ე.ი. ყოველდღიურ ცხოვრებასთან

მეჯარდების უნარიანობა, არამედ - მას შევით - მას გააჩნია თვით ყოველდღიური ცხოვრების ისევ განახლების უნარიანობაც, ვინაიდან ყოველი რელიგიური და საერო მოღვაწეობა ლიტერატურ ურთიერთობა-ბის ერთმანეთთან, რასაც ცხოვრებისეულობის უნარიანობა გააჩნია დღესაც, ატომურ ეპოქაში.

13. "ოქროს მუალელი", პარიზი, 1984 წელი, 33 გვერდი.

"ოქროს მუალელში" ნაგულისხმევია "მუა-საჯესური"="წიმიური სახი" პოლიტიკური მიქმედებისა; და მისი თეორიული ბაზა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

პოლიტიკა პოეზია ან წუხლი მეცნიერება კი არა, მეხამდებლობის ხელოვნებაა, რომლის საყრდენი, ამოსავალი წერტილი - ერისა და პიროვნების თავისუფლების, სოციალური სამართლიანობის გზაზე - "ოქროს მუალელია", რაც უარყოფს ყოველ ჯურის ექსტრემიზმს.

რადიოდოკუმენტაცია:
===================

14. "ივერიონი", მიუნხენი, 1960-1963 წელი, 529 გვ.

ეს რადიოდოკუმენტაცია შექმნილია ივერიონის ქართული მონასტრის (ათონის წმინდა მთა, საბერძნეთი) ათასი წლისთავის მესრულების-თან დაკავშირებით, და შეიცავს ოთხივე რადიორეპორტაჟს, რომლებიც ავტორმა მისი მოგზაურობის დროს იერუსალიმში ("ჯვარის" ქარ-თული მონასტერი), ათონის მთაზე ("ივერიონის" მონასტერი) და კონს-ტანტინოპოლში=სტამბოლში (ქართული კათოლიკური მონასტერი) 1967 წლის შექმნა, იანვარში და სამოცდა-ექვს ნახევარსაათიან რადიოდოკუმენტაციას, რომლებიც შექმნილ იქნა "ჯვარისა" და "ივერიონის" მონასტრის სულ-მერთე დათვალიერებისას 1981 წლის აგვისტოში. ავტორის შეხა-მე მოგზაურობა იმავე ადგილებში (1983 წლის სექტემბერ-ოქტომბერში), ამ რადიოდოკუმენტაციაში ვერ იქნა შეტანილი. ამ "კრებულში" მოთავ-სებულია აგრეთვე წერილი და ქართველი ავტორების ნარკვევები "ივე-რიონისა" და "ჯვარის" მონასტრების შესახებ.

15. "ახლიდან ალეგორიამდე" "VOM ABBILD ZUM SINNBILD".

მიუნხენი, 1963 წელი, 119 გვ.

"კრიტიკის აზრი" პარიზი, 1984 წელი, 29(37) გვერდი.

ამ ნარკვევში განხილულია, საერთოდ, კრიტიკის აზრი, კრიტიკა და გამოთქმულია აზრი, რომ კრიტიკა საზოგადოებრივი მეცნიერების ერთ-ერთი დარგია და არა ლანძღვა. აქედან გამომდინარე, კრიტიკა უნდა იყოს არა დესტრუქციული, დამანგრეველი, არამედ კონსტრუქციული, აღმაშენებელი, ვინაიდან კრიტიკა შეფასება, შემოწმება, განსაკუთრებული მიდგომა და პოზიციაა, რომელიც მოცემულს ან შედეგს კი არ ურიგდება, არამედ მას განსაზღვრული მასშტაბებით ზომავს და მათით აფასებს. ამგვარად, იგი მოვლენის, ფაქტის როგორც დადებითს, ისევე უარყოფითს აღნუსხავს და კონსტრუქციული და არა დესტრუქციული მიზნისაკენ მიისწრაფვის. კრიტიკა ამით არის ძირითადი ფუნქცია მოაზროვნე გონისა, თუ იგი განუწყვეტლივ საკუთარ აზროვნებაზედაც იქნება გამოყენებული.

რადიოდღიური | ჯვარი ივერიონი

ეს რადიორეპორტაჟი "მესამე დღიური" შეიქმნა 1983 წლის 26 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე, როცა მესამეჯერ ვიმოგზაურე ისრაელსა და ს ა ბ ე რ ძ ნ ე თ შ ი და დავათვალიერე ქართული "ჯვრის" მონასტერი იერუსალიმში და ქართული "ივერიონის" მონასტერი ათონის წმინდა მთაზე.

პირველად "ჯვარისა" და "ივერიონის" მონასტრები და აგრეთვე კონსტანტინეპოლის=სტამბოლის ქართული კათოლიკური მონასტერი დავათვალიერე 1967 წელს 18 იანვრიდან 29 იანვრამდე.

მეორედ "ჯვარისა" და "ივერიონის" მონასტერი დავათვალიერე 1981 წლის 16 აგვისტოდან 31 აგვისტომდე - "ივერიონის" მონასტრის ათასი წლისთავთან დაკავშირებით.

მესამედ კი, როგორც აღვნიშნე, "ჯვარისა"და "ივერიონის" მონასტერი დავათვალიერე 1983 წლის 26 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე.

პირველი ორი მოგზაურობის შემდეგ გამოვეცი რადიორეპორტაჟთა და რადიოგადაცემათა დოკუმენტური "კრებული"(მიუნხენი, 1980-1983 წლები, 529 გვერდი), და ახლა ეს რადიოდოკუმენტაცია - "სამება"("ჯვარი", "ივერიონი")- შეიძლება ჩაითვალოს, ასე ვთქვათ, "დამატებად" აღნიშნული "კრებულისა", თუმცა აქაც შეუძლებელი გახდა განმეორებათა თავიდან აცილება, რაც რადიორეპორტაჟთა, რადიოდოკუმენტაციათა და, საერთოდ, რადიოგადაცემათა თავისებურობითაც უნდა აიხსნას.

(მიუნხენი, 1984 წ., 112 გვერდი)

ეს რავიოლოკუმენტაციით ეხება თანამედროვე ვიტრაჟურობა და ხელოვნების წიგნური ასპექტს, რომლის ერის ავტორი გაწიმეინარეობს თანამედროვე მხატვრობაში ალიარებულ ლეგენდიდან – ახლიდან სურათიდან აწრიდან სურათამდე "VOM ABBILD ZUM SINNBILD".

თუ ხელოვნების ნაწარმოები ბუნების მუხლი წაბაძვაა, იგი მოკლებულია მხატვრული ნაწარმოების თვისებებს. ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები მხოლოდ მაშინ იქმნება, როცა იგი ითავისუფლებს თავს ბუნების მუხლი წაბაძვისაგან."...მხატვრული მწვერვალები გინიდან ვამაღლებული და ისევ-დამაღლებული მწვერვალებაა"(ჰეგელი).ამიტომ რაც უფრო დაშორებულია ნაწარმოები ბუნების უშუალო მიბაძვას, მით უფრო მხატვრულია იგი. მხოლოდდამხოლოდ ამ გზით იქმნება ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები, მიუხედავად იმისა შექმნილია იგი "ავალებულ" თუ "ძიებრივი" გამოსახვის ხერხით, ხერხებით.

## კრებული:

16. "გრიგოლ რობაქიძე", მიუნხენი, 1984 წელი, 141 გვ.

ამ კრებულში გამოქვეყნებულია გრიგოლ რობაქიძის მრავალფეროვანი შემოქმედების ხელმისაწვდომი ქართული ტექსტები, მათ შორის ლექსები, მოთხრობები, ნარკვევები, გერმანულ ენაზე გამოქვეყნებული რომანების სათაურები თუ კრიტიკული წერილები. წინასიტყვაობა კი ხინასულია გამომცემელი, რომ გრიგოლ რობაქიძის – ამ ჩვენი დიდი მწერლისა და მოაზროვნის – ნაწარმოებები არ იბეჭდება დღეს საქართველოში.

17. GEORGIA - LA GEORGIE - GEORGIEN, Munich 1978, 1983, P.149.
"საქართველო", მიუნხენი,1978 და 1983 წელი,149 გვერდი.

ეს კრებული გამოიცა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მე-სამოცე(1918-1978) და სამოცდა-მეხუთე(1918-1983) წლისთავზე. მასში მოთავსებულია,უმთავრესად, უცხოელი ავტორების წერილები დამოუკიდებელი საქართველოს და,საერთოდ, საქართველოსა და ქართველი ერის შესახებ, მათ შორის კარლ კაუცკის, რამსეი მაკდონალდის თუ ჯონ ხვეინსბეკის წერილები. ეს კრებული განკუთვნილია უცხოელ მკითხველებისათვის, და ამიტომ მასში მასალები გამოქვეყნებულია გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

# პატარა „ოქროს ხანა"

საქართველოს
დემოკრატიული
რესპუბლიკა

[illegible]
[illegible] 1924 წელი

ეს "რადიოდოკუმენტაცია", რომ იტყვიან ხოლმე, "წვეთია ზღვაში"; ხოლო "პატარა 'ოქროს ხანას'" ვუწოდებ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდს 1918-1921 წლებში იმიტომ, რომ საქართველო, "დიდი 'ოქროს ხანის'" დაცემისა და საქართველოს დაქუცმაცების შემდეგ, ისევ გახდა ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო.

ეს "რადიოდოკუმენტაცია", ამდენად, სხვა არაფერია თუ არა "კრებული" ზოგიერთი იმ მასალებისა, რომლებიც "ხელში ჩამივარდა" რადიორედაქციაში ყოველდღიური მუშაობის დროს. ამიტომ მასალების სრულყოფილებაზე ლაპარაკი შეუძლებელია. (სულ 690 გვერდი).

## ავტორის ვინაობა

დავიბადე 1919 წლის 15 ნოემბერს(ვანის რაიონი,სოფელი კუმუმიერი).
- 1937 წელს დავამთავრე ლანჩხუთის საშუალო სკოლა.
- იმავე წელს შევედი თბილისის კინო-მსახიობთა სტუდიაში. შემდეგ კურსზე ვიყავი,როცა გამიწვიეს წითელ არმიაში.

ომის დამთავრების შემდეგ ვისწავლე:
- სამი სემესტრი იურისპრუდენცია(UNRRA-UNIVERSITY MUNICH),
- ხუთი სემესტრი იურისპრუდენციის და ათი სემესტრი თეატრისმეცნიერების ფილოსოფიური ფაკულტეტის სფეროში(Ludwig-Maximilian Universität in München,
- ორი სემესტრი იურისპრუდენცია(Uni.Ucr.Liberae Pragensis),
- ოთხი სემესტრი ფილმისმცოდნეობა(Institut für Filmwesen in München).

ჩემი მასწავლებლებიდან ყველაზე უფრო მეტი კვალი დატოვეს ჩემში - დიმიტრი(დოდო)ალექსიძემ(მსახიობის ტექნიკა),აკაკი ფაღავამ(ანტიკური თეატრის ისტორია),ეროს ყაყიმაძემ(საერთაშორისო სამართალი), არჩერ კუჩერამ(თეატრისმეცნიერება),ე.შალენბერგ-ზენგერმა(ფილმისმცოდნეობა), ბერგ პანცერმა(სახელმწიფო სამართალი), ჰანს შრაუბმა(თეატრისკრიტიკა),ე. დ'ესტერმა(ჟურნალისტიკა)და პ.შორსტერმა(გერმანული დრამის ისტორია).

დიპლომი:"იურისპრუდენციის მაგისტრი"=Magister iuris,1951-9.3.
დისერტაცია:"იურისპრუდენციის დოქტორი"=Doctor iuris,1951-2.8.

ქართული რედაქცია - რადიო"თავისუფლება"

ავტორი,დიქტორი: დავით თაბორიძე

## საქართველოს წითელი არმია და ქართველი მხედრობა:

## საბჭოთა არმიისა და საზღვაო ფლოტის დღე - 23 თებერვალი

წამყვანი:"საქართველოს წითელი არმია და ქართველი მხედრობა", - ასეთი სათაური მისცა თავის დღევანდელ საუბარს დავით თაბორიძემ საბჭოთა არმიისა და საზღვაო ფლოტის დღესთან - 23 თებერვალთან - დაკავშირებით:

დიქტორი: "საქართველოს წითელი არმია და ქართველი მხედრობა", - ასეთი სათაური იმიტომ მივეცი ჩემს დღევანდელ საუბარს, პატივცემულო მსმენელებო, რომ ხელთ მაქვს 1977 წელს თბილისში გამოცემული ი.პ.ბაბალაშვილის წიგნი ტიტრით -"საქართველოს სსრ-ე დიდი სამამულო ომის - 1941 - 1945 - წლებში", რომელშიც მოცემულია აგრეთვე მოკლე ისტორია ქართველი მხედრობისა,საერთოდ, მის შემდეგ, როცა დამოუკიდებელი საქართველო დაიპყრო საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ 1921 წლის თებერვალ-მარტში.

თუ საქართველოს, ქართველი ერის ისტორიას გადავხედავთ, პატივცემულო მსმენელებო, საქართველოს არმია გაქრა მას შემდეგ, როცა მეფის რუსეთმა 1801-ლ წელს მოახდინა საქართველოს,უფრო ზუსტად, ქართლ-კახეთის,ე.ი. აღმოსავლეთ საქართველოს ერეკლე მეორეს სამეფო და შემდეგ,თანდათანობით, დასავლეთი საქართველოც დაიპყრო. მთელი მე-19-ე საუკუნის განმავლობაში, ქართველი მხედრობა, საქართველოს არმია არსად არ ჩანდა, ხოლო ქართველობა მიმოფანტული იყო მეფის რუსეთის უზარმაზარი იმპერიის სხვადასხვა კუთხეებში განლაგებულ სამხედრო დანაყოფებში, რომლის დროს, როგორც დღეს საბჭოთა არმია, - მეფის რუსეთის არმია ქართველთა გარუსების ერთ-ერთი ზასრი იარაღი იყო.

და პირველად, 117-ი წლის შემდეგ, საქართველოს, ქართველ ხალხს მიეცა საშუალება საქართველოს არმიის შექმნა-ისევ-ჩამოყალიბებისა 1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, როცა 1918 წლის 26-ს მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა.

საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, 1918-21 წლებში, საქართველოს ახალგაზრდა არმიამ და ეგრედწოდებულმა "სახალხო გვარდიამ" მრავალი გმირული ფურცელი ჩაწერეს საქართველოს ისტორიაში, რომლის წყალობით განმტკიცდა საქართველოს ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რომლის ტერიტორია 91.000-ხი კვადრატული კილომეტრი, ესე-იგი, დაახლოებით 21.000-ი კვადრატული კილომეტრით უფრო მეტი იყო, ვიდრე დღეს საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაა. მაგრამ, დაიპყრო რა დამოუკიდებელი საქართველო, საბჭოთა რუსეთმა დაპყრობისთანავე - 1921 წლის მარტში - შეუდგა საქართველოს ეროვნული არმიისა და სახალხო გვარდიის დაშლას, რაც ადვილი შესაძლებე გახდა მის შემდეგ, როცა საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ - რუსეთ-საქართველოს ომში 1921 წლის თებერვალ-მარტში -, როგორც მოსალოდნელი იყო, დაამარცხა დამოუკიდებელი საქართველოს ახალგაზრდა არმია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დამოუკიდებელი საქართველოს არმიამ არაერთი გმირული ფურცელი ჩაწერა საქართველოს ისტორიაში, როცა, მაგალითად, მწარე მარცხი აგემა მომხდურ მტერს თბილისის მისადგომებთან - ტაბახმელაზე.

დაშლილ იქნა რა დამოუკიდებელი საქართველოს არმია და სახალხო გვარდია, საქართველოს წითელი არმიის ჩამოყალიბება მოითხოვა თვით ლენინმა. "საჭიროა, - წერდა ლენინი 1921 წლის 2 მარტის წერილში, - საჭიროა დაუყოვნებლივ შეიარაღებულ იქნას მუშები და ღარიბი გლეხები, ძლიერი საქართველოს წითელი არმიის შესაქმნელად..."

საქართველოს წითელი არმიის შექმნა იურიდიულად კი დაიწყო 1921 წლის 21 მარტს, როცა საბჭოთა საქართველოს სახალხო სამ-

ხედრო-საზღვაო კომისარმა გასცა ბრძანება დამოუკიდებელი საქართველოს არმიის დაშლისა და საქართველოს წითელი არმიის შექმნის შესახებ.

როგორც ცნობილია, პატივცემულო მსმენელებო, დამოუკიდებელი საქართველოს კანონიერმა მთავრობამ, საქართველოს დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით, საქართველოს ტერიტორია დატოვა 1921 წლის 17-ტ მარტს, ე.ი. იმ დროს, როცა ბათუმსა და მის შემოგარენს თურქები იპყრობდნენ - ერთის მხრივ -, ხოლო მეორეს მხრივ - საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ნაწილებიც მოადგა ბათუმს. ამ დროს საქართველოს მთავრობის თავჯდომარემ - ნოე ჟორდანიამ და დამოუკიდებელი საქართველოს არმიის სარდლობამ მიიღო გადაწყვეტილება ბათუმის რაიონიდან თურქების გარეკვისა, რაც პირნათლად შეასრულა დამოუკიდებელი საქართველოს არმიის ნაწილებმა გენერალ გ.მაზნიაშვილის სარდლობით. ეს იყო, როგორც ავღნიშნე, ერთერთი გმირული ბრძოლა დამოუკიდებელი საქართველოს არმიისა, რომელმაც 1918-1921 წლებში, ე.ი. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, არაერთი გმირობის ფურცელი ჩაწერა საქართველოს ისტორიაში, განსაკუთრებით თბილისის მისადგომებთან ტაბახმელაზე, როცა წითელი არმიის მოზღვავებულ ნაწილებს სასტიკი დამარცხება აგემა. მაგრამ, საბოლოოდ, დამოუკიდებელი საქართველოს ახალგაზრდა არმიამ ვერ გაუმკლავდა საბჭოთა რუსეთის მრავალრიცხოვანი წითელი არმიის ნაწილებს და დამარცხდა. [რითაც შეწყდა დამოუკიდებელი საქართველოს სუვერენობა ფაქტიურად; იურიდიულად კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განაგრძობს არსებობას, და ფაქტიურადაც მაშინ ისევ-აღადგენს მის სუვერენობასა და დამოუკიდებლობას, როცა მოიხსნება საბჭოთა რუსეთის ძალადობის აქტი ჩადენილი დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ.]

მაგრამ - დაამყარა რა ბოლშევიკური რეჟიმი საქართველოში - საბჭოთა ხელმძღვანელობამ 1921 წლის აპრილისათვის იმდენად

გააძლიერა საქართველოს წითელი არმია, რომ მასში უკვე შედიოდა:

ოთხი ფეხოსანი პოლკი,

ორი ცხენოსანთა პოლკი,

ორი ჯავშნოსანი მატარებელი,

არტილერიის ერთი დივიზიონი სამი ბატარეის შემადგენლობით,

რამდენიმე სპეციალური და ზურგში განლაგებული დანაყოფები,

სულ 17.000-ი კაცი.

1925 წლის დასასრულს კი, საქართველოს წითელი არმიის შემადგენლობაში შედიოდა ორი ფეხოსანი დივიზია,

ერთი ცხენოსანთა პოლკი;

და საქართველოს წითელ არმიას გააჩნდა სამხედრო სკოლა, ადგილობრივი სამხედრო მმართველობა, და აგრეთვე რამდენიმე სპეციალური და ზურგში განლაგებული დანაყოფები. საქართველოს წითელი არმიის არსებობის 17-ი წლის განმავლობაში, ე.ი. 1938 წლის 7-დ მარტამდე, როცა საქართველოს წითელი არმია დაშალეს და საერთო საკავშირო წითელ არმიაში გააერთიანებს, - საქართველოს დივიზიების სარდლები, სხვა და სხვა დროს, იყვნენ: პ.აღნიაშვილი, ლ.ალდაძე, ფ.ს.ბუაჩიძე, დ.ბაქრაძე, ვ.გიორგაძე, ნ.ენუქიძე, გ.ქუთათელაძე, ს.ლეკვთაძე, კ.ლესელიძე, გ.მაზნიაშვილი, გ.თუხარელი.

საქართველოს წითელი არმიის დაშლის შემდეგ, ე.ი.1938 წლის 7-ი მარტიდან, საქართველოს ახალწვეულები უკვე სამხედრო ვალდებულებას იხდიდ'ნ საქართველოს ტერიტორიის გარეთ "შერეულ", უფრო ხშირად, რუსულ ნაწილებში. 1939 წელს, მაგალითად, როგორც ი.პ.ბაბალაშვილის წიგნში ვკითხულობთ, საქართველოდან წითელ არმიაში გაუყვანია, 1918-ც-1919-ც წლებში დაბადებული, 45.817-ი წვევამდელი.

მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას, როცა "დიდი სამამულო ომის" ტერმინოლოგია გამეფდა, მოსკოვის პარტიულმა ხელმძღვანე-

ლობამ არარუს ერების გულისმოგებას იმით შეეცადა, რომ საქართველოში,მაგალითად, ისევ დაშვებულ იქნა ეროვნული, ე.ი.ქართული სამხედრო დანაყოფების შექმნა. ეროვნულ შენაერთებს შორის, - ნათქვამია ი.ბაბალაშვილის წიგნში, - პირველი იყო საქართველოდან 224-ე დივიზია, რომელიც მთლიანად დაკომპლექტებული იყო საქართველოს მებრძოლებისაგან; ამ დივიზიის კომანდირი კი იყო პოლკოვნიკი ვ.მაზახიძე. მაგრამ, საბოლოო ჯამში, საქართველოს მეომრებმა მონაწილეობა მიიღეს მეორე მსოფლიო ომში როგორც საბჭოთა კავშირის, უფრო ზუსტად საბჭოთა რუსეთის არმიის მეომრებმა, ვინაიდან საქართველოს სამხედრო ნაწილები არ წარმოადგენდნენ ცალკე გამოყოფილ ერთეულს თავისი შტაბითა და მთავარსარდლით.

მეორე მსოფლიო ომში კი, როგორც ი.პ. ბაბალაშვილის წიგნში ვკითხულობთ, მონაწილეობა მიუღია სულ დაახლოებით შვიდას-ათას მეომარს, რაც საქართველოს მაშინდელი მოსახლეობის ერთმეხუთედს წარმოადგენს, რომელთაგან დაახლოებით ნახევარი სახლში აღარ დაბრუნებულა. სხვათა შორის, გასაკვირია, პატივცემულო მსმენელებო, რომ ამ წიგნში ლაპარაკია "დაახლოებით 700.000-სი კაცი მონაწილეობდა" მეორე მსოფლიო ომში და "სამასი-ათასზე-მეტი" სახლში არ დაბრუნებულა!.. ვითომ საქართველოს სამხედრო კომისარიატმა არ იცის ზუსტად თუ რამდენი კაცი გაიწვიეს მეორე მსოფლიო ომში და რამდენი დაიღუპა?.. ამავე წიგნში ვკითხულობთ, რომ საქართველოს მოსახლეობის 9-ა პროცენტი დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში,რაც, ჩემი გამოანგარიშებით, 325.000-ს კაცს უდრის. და თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ, მაგალითად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, თავისი ორასი-მილიონი მოსახლეობით, მეორე მსოფლიო ომში, ევროპასა და აზიაში, სულ სამასი-ათასი კაცი დაკარგა, მაშინ ნათელი ხდება ის უდიდესი დანაკარგი,რომელიც საქართველომ განიცადა მეორე მსოფლიო ომის დროს.

სავალალო კი სწორედ ის არის, რომ საქართველომ, ქართველმა ერმა დიდი, დიდი მსხვერპლი გაიღო მეორე მსოფლიო ომის დროს მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში და ამით ხელი შეუწყო საბჭოთა რუსეთის გამარჯვებას მეორე მსოფლიო ომში, მაგრამ სამაგიეროდ არავითარი უფლებები არ მიუღია მას საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენობის სფეროში. საბჭოთა საქართველო დღესაც ისევე მოსკოვის სრული კონტროლის ქვეშ იმყოფება, როგორც იმყოფებოდა მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში, რის შედეგია ისიც, რომ საქართველომ, რომელმაც მეორე მსოფლიო ომში სამასი-ათასზე მეტი კაცი დაკარგა,-დღეს არც ერთი სამხედრო დანაყოფი არ გააჩნია, საქართველოს საბჭოთა არმიაზე რომ საერთოდ არ ვილაპარაკოთ.

და აქ მაგონდება, პატივცემულო მსმენელებო, საბჭოთა საქართველოს სამხედრო-ფლოტის კომისრის შალვა ელიავას ერთი განცხადება:

1922 წლის 3-მ მარტს, "სრულიად საქართველოს მუშების, გლეხებისა და წითელარმიელების დეპუტატების საბჭოების პირველმა ყრილობამ მიიღო მოწოდება მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი", რომელშიც,სხვათა შორის, ნათქვამი იყო:

"წითელი არმია ჩვენ გვჭირია მანამ, სანამ არ გაქრება საბჭოთა რესპუბლიკების ემიშროების საშიშროება".

საბჭოების იმავე პირველ ყრილობაზე, შალვა ელიავამ, საბჭოთა საქართველოს სამხედრო-ფლოტის კომისარმა, სხვათა შორის, განაცხადა:

"სახელმწიფოს, განსაკუთრებით დამოუკიდებელ სახელმწიფოს არ შეუძლია იარსებოს თუ მას მისი არსებობის, დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად არ გააჩნია თავისი შეიარაღებული ძალები. მართალია, მუშები და გლეხები, რომელთაგან შესდგება რუსეთის წითელი არმია, ჩვენი ძმებია, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ რუსი

მუშები და გლეხები ვალდებულნი არ არიან სხვა ეროვნებათა სა-
გუშაგოზე იდგნენ. საჭიროა, რომ საქართველომ თავისი სფეროდან
დაბადოს თავისი შეიარაღებული ძალები, რომლებსაც შეუძლია თავისი
საზღვრების დაცვა".

როგორც ჩანს, პატივცემულო მსმენელებო, შალვა ელიავას მაშინაც,
1922 წლის მარტშიც, არ სჯეროდა, რომ საბჭოთა რუსეთმა დამოუკი-
დებელი საქართველო იმიტომ დაიპყრო 1921 წლის თებერვალ-მარტში,
რომ გაბატონებულიყო ჩვენს სამშობლოში.

ამგვარად, საბჭოთა საქართველო, მიუხედავათ იმისა,რომ მას,
საბჭოთა კავშირისა და საქართველოს კონსტიტუციების ძალით,
"სუვერენული" ეწოდება,—სამხედრო მხრივაც მოსკოვის განუკით-
ხავი კონტროლის ქვეშ იმყოფება. დ ღ ე ს საქართველოს
ერთი პოლკიც კი არ გააჩნია, რომ დროშამოშვებით პარადზე მაინც
გამოიყვანოს, როგორც საქართველოს სახელმწიფო-ძალაუფლების
ერთერთი გამომხატველი. და ამ ფაქტზე მსურდა თქვენი ყურადღების
მიპყრობა,ამ-ჯერად, პატივცემულო მსმენელებო.

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..

# დ ა ვ ი თ   თ ა ბ ო რ ი ძ ი ს

## გადაცემათა ციკლები

THE SERIES BY DAVID TABORIDSE

1."საქართველო დღეს"= "GEORGIA TODAY":

საბჭოთა საქართველოს აქტუალური პოლიტიკური,ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის გაანალიზება.

2."ქართული თვითგამოცემის ქრონიკა"= "ANALYSIS OF GEORGIAN SAMIZDAT":

ქართული "თვითგამოცემის" მასალების გაანალიზება.

3."პატარა 'ოქროს ხანა'"="GEORGIA 60TH YEARS AGO" - Small"Golden Age":

"საქართველო 60-ი წლის წინათ",ე.ი.დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რაობა დოკუმენტებში.

4."საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია"=

"ANALYSIS OF THE COSTITUTION OF THE GEORGIAN DEMOCRATIC REBUBLIC":

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის დებულებათა გაანალიზება.

5."თბილისი საარბრიუკენი - პარტნიორი ქალაქები"=

"SAARBRUECKEN TBILISSI - THE PARTNER CITIES":

6."პატარა მშვენიერია"= "SMALL IS BEAUTIFUL":Members of the U.N.:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატარა წევრ-სახელმწიფოების ცხოვრება.

7."ქართული ლიტერატურა უცხოეთში"= "GEORGIAN LITERATURE ABROAD":

8."ქართველები უცხოეთში"= "GEORGIANS ABROAD":

9."ქართული პრესა უცხოეთში"= "GEORGIAN PRESS ABROAD":

10."აკრძალული ლიტერატურა"= "THE FORBIDDEN LITERATURE":

გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და შემოქმედება.

11."ერისა და პიროვნების თავისუფლება"= "FREEDOM FOR WHOLE NATION AND EVERY INDIVIDUAL":

ქართველი და უცხოელი მოღვაწეები თავისუფლების შესახებ. ("ჩანართები"="სპოტები").

12."წესი და რიგი" ანუ "დემოკრატია მოქმედებაში":

"THE RULE OF LAW" - "DEMOCRACY IN ACTION":

უფლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წესწყობილების ფუძე-მდებელნი საქართველოში(ი.ჭავჭავაძე, ნ.ჟორდანია, და სხვები).

13. "ახლიდან ალეგორიამდე"= "VOM ABBILD ZUM SINNBILD":

თანამედროვე ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხები.

14."ჩვენი სანუგეშო სიტყვა"= "RELIGIOUS PROGRAM":

ა).საქართველოს ეკლესიის დღესასწაულები

ბ).ამონაწერები "ახალი აღთქმიდან"

გ).იესო ქრისტეს ცხოვრება, და სხვ.

15."რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულების 65-ე წლისთავი"=

"THE 65TH ANNIVERSARY OF RUSSIAN-GEORGIAN TREATY FROM MAY 7,1920":

1985 წლის 7 მაისს სრულდება რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების 65-ე წლისთავი.

# რადიო "თავისუფლება" - ქართული რედაქცია

მიუნხენი, 1984 წლის 30 ნოემბერი

**RADIO LIBERTY - GEORGIAN SERVICE**

**Munich, November 30/1984**